ქრონიკა სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის
მიტროპოლიტის უწმინდესი და უნეტარესი
ილია II-ის აღსაყდრების მე-40 და საქართველოს ეკლესიის
აუტოკეფალიის აღდგენის მე-100 წლისთავს



საქართველოს დავით აღმაშენებლის
სახელობის უნივერსიტეტი



ტურიზმის და მენეჯმენტის აკადემია

ნოდარ გრძელიშვილი

რელიგიური ტურიზმი

გამომცემლობა „კენტავრი“
თბილისი
2018

UDK (უაკ) 338.48-6:2
გ-918

სახელმძღვანელოში განხილულია რელიგიური ტურიზმის არსი და მნიშვნელობა, რელიგიური ტურიზმის ფორმები და მიმართულებები, მომლოცველობის ისტორიული ასპექტები, რელიგიური ტურიზმის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა. რელიგიური ტურიზმის სამართლებლივი ასპექტები, მსოფლიო რელიგიები.

განსაკუთრებული აქცენტებია გაკეთებული რელიგიური ტურიზმის მართლმადიდებლურ საფუძვლებზე საქართველოში, რელიგიურ კონფესიებზე საქართველოში, საზღვარგარეთ არსებულ ქართული კულტურის და რელიგიის ძეგლებზე. აღწერილია რელიგიური ტურები და პილიგრიმული ტურისტული მარშრუტები მსოფლიოსა და საქართველოში. ყურადღება გამახვილებულია რელიგიური ტურიზმის უნიკალური შესაძლებლობებზე საქართველოში.

სახელმძღვანელო განკუთვნილია ბაკალავრიატის, მაგისტრატურის სტუდენტებისათვის. ასევე, იგი გარკვეულწილად დაეხმარება დოქტორანტებს, უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგებს, აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას.

მთავარი რედაქტორი: ელდარ ბუბულაშვილი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. სასულიერო აკადემიისა და სემინარიის დოქტორანტურის ხელმძღვანელი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

სამეცნიერო რედაქტორი: ნიკოლოზ ჩიხლაძე – თეოლოგიის დოქტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ღვთისმეტყველების საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი.

რეცენზენტები:

დეკანოზი ლევან მთიშვილი – ისტორიის დოქტორი, ახალი საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი თეოლოგიის მიმართულებით.

კონსტანტინე აბულაძე – ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი. საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ტურიზმის პროგრამის ხელმძღვანელი.

გიორგი შიხაშვილი – ეკონომიკის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ვალერი მოდებაძე – სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი.

მანანა ალადაშვილი – ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, პროფესორი. ახალი უმაღლესი სასწავლებლის ტურიზმის პროგრამის ხელმძღვანელი.

რომან ბლიაძე – თეოლოგი, კონსულტანტი.

ეკატერინე ოქროპირიძე – დაკაბადონება, დიზაინი.

რეკომენდებულია სახელმძღვანელოდ საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის სკოლის საბჭოს მიერ. 14.02.2018. სხდომის ოქმი №2.

ტურიზმის და მენეჯმენტის აკადემიის, რელიგიური ტურიზმის განვითარების ცენტრის ექსპერტთა საბჭოს მიერ. 30.01.2018. ოქმი №1.

© ნოდარ გრძელიშვილი
© Nodar Grdzelishvili

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა „კენტავრი“, 2018
Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State
University Publishing House "Kentavri", 2018

ISBN 978-9941-9572-5-3

რედაქტორისგან 13
ავტორისაგან 14
შესავალი 15

ნაწილი პირველი

თავი 1. რელიგიური ტურიზმი და მისი ევოლუცია
1.1 მომლოცველობისა და რელიგიური ტურიზმის განსაზღვრა თანამედროვე მეცნიერებაში 17
1.2 რელიგიური ტურიზმის არსი და მნიშვნელობა 19
1.3 რელიგიური ტურიზმი და მომლოცველობა 23
1.4 რელიგიური ტურიზმის ფორმები და მიმართულებები 26
თავი 2. მომლოცველობის ისტორიული ასპექტები
2.1 მომლოცველობის ისტორია 29
2.2 შუა საუკუნეების ლაშქრობები და მოგზაურობები 31
2.3. მომლოცველობა და ჯვაროსნული ლაშქრობები 31
2.4 ჯვაროსანი რაინდები და საქართველო 41
2.4.1 იერუსალიმში ტამპლიერებისა და ქართველი ბერების ურთიერთობა (1155-1187 წწ.) 45
თავი 3. რელიგიური ტურიზმის გეოგრაფია
3.1 მსოფლიოში მომლოცველობის ძირითადი რეგიონები 47
3.2 მომლოცველობის ტრადიციული ცენტრები 47
თავი 4. რელიგიური ტურიზმის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა
4.1 რელიგიური ტურიზმის სოციალური ბუნება 55
4.2 რელიგიის და რწმენის როლი საზოგადოების ცხოვრებაში 55
4.3 რელიგიური ტურიზმის ეკონომიკური ასპექტები 57
4.4 რელიგიური ტურიზმი და გლობალიზაცია 59
თავი 5. რელიგიური ტურიზმი თანამედროვე ეტაპზე
5.1 რელიგიური ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობა მსოფლიოში 61
5.2 რელიგიური ტურიზმის მარკეტინგი – მსოფლიო გამოცდილება 62
5.3 მსოფლიოს რელიგიური ტურისტული მარშრუტები 63
5.4 თემატური რელიგიურ-შემეცნებითი ცენტრების შექმნა 65
5.5 რელიგიური კრუიზები 66
5.6 რელიგიური ტურიზმის საერთაშორისო მახასიათებლები 67
თავი 6. რელიგიური ტურიზმის სამართლებლივი ასპექტები
6.1 რელიგიური ტურიზმი და მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია 68
6.2 რელიგიური ტურიზმის საკანონმდებლო რეგულირება საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში 79
6.3 მომლოცველობის რეგულირება – ისტორიული ხედვა 73
თავი 7. რელიგიური ტურიზმი და კულტურა
7.1 რელიგია და კულტურული მემკვიდრეობა ადამიანი და კულტურა 74
7.2 იუნესკო (UNESCO) და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა 77
თავი 8. რელიგიური ტურიზმი სხვადასხვა რელიგიებში (ქრისტიანობა, ისლამი, ბუდიზმი, იუდაიზმი)
8.1.1 რელიგიური ტურიზმი ქრისტიანობაში 81
8.1.2 წარმოშობის ისტორია და ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლები 82
8.1.3 მართლმადიდებელი ქრისტიანები: მიმდევრები, ტერიტორია და ტურისტული ინფრასტრუქტურა 85

8.1.4 მართლმადიდებლური ქრიატიანული მომლოცველობა ... 86
მართლმადიდებლური მომლოცველობის მნიშვნელობა და შედეგები ... 87
მართლმადიდებლური მომლოცველობის თავისებურებები და წესები ... 87
8.1.5 საზღვარგარეთის ქვეყნების მართლმადიდებლური ქრისტიანული ცენტრები, მონასტრები, ტაძრები ... 89
ათონის წმინდა მთის მონასტრები ... 90
მართლმადიდებლური სიწმინდეები დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ... 98
ქრისტიაული სიწმინდეები წმინდა მიწაზე ... 98
წმინდა ადგილები თანამედროვე ეგვიპტის ტერიტორიაზე ... 100
ქრისტიანების წმინდა ადგილები თურქეთში, სირიასა და ლიბანში ... 100
8.2 რელიგიური ტურიზმი ისლამში ... 101
8.3 რელიგიური ტურიზმი ბუდიზმში ... 104
8.4 რელიგიური ტურიზმი იუდაიზმში ... 106

ნაწილი მეორე

თავი 9. რელიგიური ტურიზმის მართლმადიდებლური საფუძვლები საქართველოში
9.1 საქართველო – ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ... 111
9.2 ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართი და მის სახელთან დაკავშირებული სხვა სიწმინდეები საქართველოში ... 112
9.3 მაცხოვრის სახელთან დაკავშირებული სიწმინდეები საქართველოში ... 114
9.3.1 მაცხოვრის სახელთან დაკავშირებული სხვა სიწმინდეები საქართველოში ... 116
9.4 წმინდა მოციქულთა მოღვაწეობა საქართველოში ... 117
9.5 ქართველთა განმანათლებლის და მოციქულთასწორის წმინდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში ... 119
წმინდა ნინოს განსასვენებელი ბოდბეში ... 127
9. 6 მცხეთა – მეორე იერუსალიმი ... 128
თავი 10. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია, პატრიარქები და ეპარქიები
10.1 საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია ... 139
10.2 საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელნი
ქართლის (მცხეთის) ეპისკოპოსები და კათოლიკოსები ... 144
ერთიანი საქართველოს კათოლიკოსები და კათოლიკოს-პატრიარქები ... 145
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები ერთიანი სამეფის დაშლის შემდეგ ... 146
აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოსები და კათოლიკოს-პატრიარქები ... 147
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები ავტოკეფალიის აღდგენიდან (1917 წ.) ... 147
10.3 საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიები ... 148
თავი 11. მრავალეთნიკური და მრავალკულტურული საქართველო
11.1 რელიგიური სიტუაცია საქართველოში 1990 წლის შემდეგ ... 159
11. 2 საქართველოში რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების თანამედროვე მდგომარეობა ... 161
მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა 1897-2014 წლების აღწერების მიხედვით ... 163
საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის განაწილება 10 ყველაზე მრავალრიცხოვანი ეროვნების მიხედვით ... 164
საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის განაწილება აღმსარებლობის მიხედვით ... 165
თავი 12. საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურის და რელიგიის ძეგლები
12.1 ათონის ივერთა მონასტერი ... 266
12.2 ქართული რელიგიული ძეგლები ტაო-კლარჯეთში ... 173
12.3 ჰერეთი ... 195
12.4 ლორე ... 208

12.5 ქართველთა სავანეები წმიდა მიწაზე 212
12.6 სინაის მთა
წმინდა ეკატერინეს მონასტერი 216
12.7 აგიაპანტი 218
12.8 ღალიას მონასტერი 218
12.9 შავი მთა 220
12.10 ქართველთა სავანე ბულგარეთში 221
12.11 ანთიმის მონასტერი ბუქარესტში 226
12.12 ქართული ეკლესია-მონასტრები რუსეთში (ჩრდილოეთ კავკასიაში) 229
თავი 13. რელიგიური ტურიზმის გავლენა რეგიონების განვითარებაზე
13.1 რეგიონებში საკრალური ადგილების კვლევის მეთოდოლოგიის
ძირითადი პრინციპები 232
13.2 რელიგიური ტურიზმი საქართველოს რეგიონებში 234
საქართველოს რეგიონებში არსებული ეკლესია მონასტრები (არასრული ნუსხა) 237
13.3 რელიგიური ტურიზმი განვითარების პერსპექტივები აფხაზეთში 241
13.4 აჭარის ტურისტული ბრენდის ფორმირების ასპექტები
(რელიგიის ფაქტორი აჭარის ტურისტული ბრენდის ფორმირების პროცესში) 250
13.5 თბილისსა და საქართველოს რეგიონებში არსებული მსოფლიო და ეროვნული
მნიშვნელობის კულტურის ძეგლები 256
თბილისში არსებული რელიგიური ნაგებობანი 259
თავი 14. რელიგიური ტურიზმის უნიკალური შესაძლებლობები საქართველოში
14.1 წმინდა ადგილები და მაკურნებელი წყაროები, როგორც რელიგიური
ტურიზმის მიმზიდველობის ადგილი 278
14.2 რელიგიური ტურიზმი და თანამედროვე ტექნოლოგიები 285
14.3 რელიგიური ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში
14.3.1 პილიგრიმული ტურისტული მარშრუტები საქართველოში 290
14.3.2. წმინდა ასურელი მამების ნაკვალევზე
14.3.3 საერთაშორისო პილიგრიმული ტურისტული მარშრუტების
მნიშვნელობა საქართველოსთვის 295
14.3.4 რელიგიური ტურიზმის განვითარების პრობლემები და გადაწყვეტის გზები 314
ტურიზმის სისტემის და სხვა ტურისტული ქვესისტემების
ურთიერთდამოკიდებულება 315
რელიგიური ტურიზმის, როგორც მიზანზე ორიენტირებული სისტემის
ზოგადი მოდელი 315
(წრიული დიაგრამა) რელიგიური ტურიზმის განვითარება და პილიგრიმული
ზონების მიმზიდველობა, ვიზიტორთა რაოდენობა, ინფრასტრუქტურა,
და ინვესტიციები 316
გადაწყვეტილების მიღების მხარდამჭერი სისტემის
პარამეტრების ურთიერთკავშირი 317

საეკლესიო ტერმინთა მცირე განმარტებითი ლექსიკონი 319
გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები 345

DAVIT AGHMASHENEBELI UNIVERSITY OF GEORGIA

ACADEMY OF TOURISM AND MANAGEMENT

NODAR GRDZELISHVILI

RELIGIOUS TOURISM

Publishing House "Kentavri"

Tbilisi 2018

UDK (უაკ) 338.48-6:2
გ-918

The book discusses the essence and significance of religious tourism.Religious tourism forms and directions, historical aspects of pilgrimage, socio-economic importance of religious tourism, legal aspects of religious tourism, world religions.

There are special accents on Orthodox beliefs of religious tourism in Georgia, religious confessions in Georgia and on Georgian cultural and religious monuments existing abroad.There are description of religious and pilgrim tours in the world and in Georgia.Attention is focused on the unique opportunities of religious tourism in Georgia.

This book is intended for undergraduate and master students, as well as to help doctoral students, higher education teachers, and the general public interested in these issues.

Chief Editor: Eldar Bubulashvili - Doctor of History, Professor, head of Theological Academy and doctoral Seminary, academician of Gelati Academy of Sciences.

Scientific Editor: Nikoloz Chikhladze - Doctor of Theology, Doctor of Economics, Professor, Academician of the Academy of Economic Sciences of Georgia, Academician of the International Academy of Theology.

Reviewers:

Archpriest Levan Mateshvili - Doctor of History, professor of theology of the New University.

Konstantine Abuladze - Doctor of Economics, Professor. Head of Tourism Program of Davit Aghmashenebeli University of Georgia.

Giorgi Shikhashvili - Doctor of Economics, Associate Professor of Ivane Javakhishvili State University.

Valeri Modebadze - Doctor of Sociology, Professor. Saint Andrew the First Georgian University of Patriarchate.

Manana Aladashvili - Doctor of Business Administration, Professor, Head of Tourism Program of the New University.

Roman Bliadze - Teologian, Consultant.

Ekaterine Okropiridze - Proof-reader and designer

The book is recommended by the Council of Economy and Business School of the David Aghmashenebeli University of Georgia. 14.02.2018. Protocol of Session №2.

Academy of Tourism and Management, Religious Tourism Development Center, By The Board of Experts. 30.01.2018. Protocol №1.

© ნოდარ გრძელიშვილი
© Nodar Grdzelishvili



საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა „კენტაური“, 2018
Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State
University Publishing House "Kentavri", 2018

ISBN 978-9941-9572-5-3

Table of Contents

Preface 13
Author's note 15

PART ONE
Chapter 1. Religious Tourism and Its Evolution
1.1 Definition of Pilgrimage and Religious Tourism in Modern Science 17
1.2 Essence and Meaning of Religious Tourism 19
1.3 Religious Tourism and Pilgrimage 23
1.4 Formation of Religious Tourism and Directions 26
Chapter 2. Historical Aspects of Pilgrimage
2.1 History of Pilgrimage 29
2.2 Campaigns and Travels in Middle Ages 31
2.3 Pilgrimage and Crusades 31
2.4 Red Cross Knights and Georgia 41
2.4.1 Relationship of Templars and Georgian Monks in Jerusalem (1155-1187) 45
Chapter 3. Geography of Religious Tourism
3.1 Main Regions of Pilgrimage around World 47
3.2 Traditional Centers of Pilgrimage 47
Chapter 4. Social-Economical Importance of Religious Tourism
4.1 Social Nature of Religious Tourism 55
4.2 Role of Religion and Faith in the Life of Society 55
4.3 Economical Aspects of Religious Tourism 57
4.4 Religious Tourism and Globalization 59
Chapter 5. Religious Tourism at Modern Stage
5.1 Modern State of Religious Tourism in World 61
5.2 Marketing of Religious Tourism – World's Experience 62
5.3 World's Religious Touristic Routes 63
5.4 Establishing Topical Religious-Scientific Centers 65
5.5 Religious Cruises 66
5.6 International Characteristics of Religious Tourism 67
Chapter 6. Legal Aspects of Religious Tourism
6.1 Religious Tourism and World's Touristic Organization 68
6.2 Legislative Regulation of Religious Tourism in Georgian and Foreign Countries 79
6.3 Regulation of Pilgrimage – Historic Point of View 73
Chapter 7. Religious Tourism and Culture
7.1 Religion and Cultural Legacy, Man and Culture 74
7.2 UNESCO and Georgian Cultural Legacy 77
Chapter 8. Religious Tourism in Different Religions (Christianity, Islam, Buddhism, Judaism)
8.1.1 Religious Tourism in Christianity 81
8.1.2 History of Origin and Principles of Christian Doctrine 82
8.1.3 Orthodox Christians: Followers, Territory and Touristic Infrastructure 85
8.1.4 Orthodox Christian Pilgrimage 86
Significance and Results of Orthodox Pilgrimage 87
Features and Rules of Orthodox Pilgrimage 87
8.1.5 Orthodox Christian Centers, Monasteries, Temples of Foreign Countries 89
Monasteries of the Holy Mountain of Athos 90
Orthodox Sanctities in the Western European Countries 98
Christian Sanctities on the Holly Land 98
Holy Places on the Territory of Modern Egypt 100
Holy Places of Christians in Turkey, Syria and Lebanon 100
8.2 Religious Tourism in Islam 101
8.3 Religious Tourism in Buddhism 104
8.4 Religious Tourism in Judaism 106

PART TWO
Chapter 9. Orthodox Principles of Religious Tourism in Georgia
9.1 Georgia - Under the Auspices of the Most Holy Mother of God 111
9.2 Robe of the Most Holy Mother of God and other Sanctities Connected to her Name in Georgia 112

9.3 Sanctities Connected with the Name of Our Saviour in Georgia 114
9.3.1 Other Sanctities Connected with the Name of Our Saviour in Georgia 116
9.4 Activity of Holy Disciples in Georgia 117
9.5 Activity of Equal to the Apostles and the Enlightener of Georgians - Saint Nino in Georgia 119
Tomb of Saint Nino in Bodbe 127
9.6 Mtskheta – the Second Jerusalem 128
Chapter 10. Apostolic Orthodox Church of Georgia, Patriarchs and Eparchies
10.1 Brief History of Georgian Church 139
10.2 Helmsman of Georgian Church
Bishops and Catholicoses of Kartli (Mtskheta) 144
Catholicoses and Catholicos-Patriarchs of United Georgia 145
Catholicos-Patriarchs of Georgia after Collapse of United Kingdom 146
Catholicoses and Catholicos-Patriarchs of Abkhazia (Western Georgia) 147
Catholicos-Patriarchs of the United Georgia after Restoration of the Autocephaly (1917) 147
10.3 Eparchies of Apostolic Orthodox Church of Georgia 148
Chapter 11. Multi-Ethnical and Multi – Cultural Georgia
11.1 Religion Situation in Georgia since 1990 159
11.2 Modern Situation of Religious and Ethical Minorities in Georgia 161
Quantitative Dynamics of the Population Based on Surveys of 1897-2014 163
Distribution of Population of Georgia by Quantity According to 10 Most Numerous Ethnicities 164
Distribution of Georgian Population by Quantity According to Confession 165
Chapter 12. Georgian Cultural and Religious Monuments Existing Abroad
12.1 Monastery of Iveron on Mount Athos 266
12.2 Georgian Religious Monuments in Tao-Klarjeti 173
12.3 Hereti 195
12.4 Lore 208
12.5 Abbeys of Georgian on Holly Land 212
12.6 Mount Sinai
Monastery of Saint Ekaterine 216
12.7 Agiapant 218
12.8 Dalia Monastery 218
12.9 Black Mount 220
12.10Georgian Abbey in Bulgaria 221
12.11 Antimi Monastery in Bucharest 226
12.12 Georgian Church-Monasteries in Russia (North Caucasus) 229
Chapter 13. Influence of Religious Tourism on Development of Regions
13.1. Main Principles of Research Methodology of Sacral Places in Regions 232
13.2. Religious Tourism in Georgian Regions 234
Church Monasteries Existing in Regions of Georgia (incomplete list) 237
13.3. Perspectives for Development of Religious Tourism in Abkhazia 241
13.4. Aspects of Adjarian Touristic Brand Formation
(Religion Factor in the Process of Adjarian Touristic Brand Formation) 250
13.5. Cultural Monuments of Worldwide and National Significance Existing in Tbilisi and Georgia 256
Religious Constructions Existing in Tbilisi 259
Chapter 14. Unique Opportunities of Religious Tourism in Georgia
14.1 Holy Places and Healing Sources as Places of Religious Tourism Attraction 278
14.2 Religious Tourism and Modern Technologies 285
14.3 Opportunities of Religious Tourism Development in Georgia 290
14.3.1 Pilgrimage Touristic Routs in Georgia 295
14.3.2 In the Footsteps of Assyrian Holly Fathers 314
14.3.3 Significance of International Pilgrimage Touristic Routs for Georgia 315
14.3.4 Issues of Religious Tourism Development and Means of Solution Interrelation of Touristic
Relation and Other Touristic Sub-Systems 315
(Circular Diagram) Development of Religious Tourism and Attraction
of Pilgrimage Zones, Number of Visitors, Infrastructure, and Investments 316
Interconnection of System Parameters for Decision Making 317

Small Explanatory Dictionary of Church Terms 319
Used Literature 345

რედაქტორისაგან

მისასალმებელია, რომ ქართულენოვან სამეცნიერო მიმოქცევაში გამოჩნდა კიდევ ერთი ახალი საინტერესო სახელმძღვანელო – პროფესორ ნოდარ გრძელიშვილის ნაშრომი „რელიგიური ტურიზმი“.

საზოგადოდ, წმინდა ადგილების მონახულება ძველთაგანვე წარმოადგენდა ღირსეულ საქმესა და ტრადიციას ქართველი ხალხისათვის, რაც, თავის მხრივ, ორგანულად უკავშირდებოდა მართლმადიდებლურ სწავლებას. თუმცა, საბჭოთა პერიოდში ასეთი ადგილების მონახულება არა საკრალური, არამედ მხოლოდ ისტორიული და შემეცნებითი დატვირთვის მატარებელი იყო. ამასთან, რელიგიური და საკულტო დაწესებულებების დიდ ნაწილს პროფილი შეუცვალეს, აქციეს რა მუზეუმებად, ბიბლიოთეკებად, საკონცერტო დარბაზებად, საჯინიბოებად და აბანოებად.

მისასალმებელია, რომ თანამედროვე პირობებში საკულტო ობიექტების შინაარსმა და დატვირთვამ დაიბრუნა პირველადი მნიშვნელობა. შესაბამისად, რელიგიური ფასეულობები, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძვირფასი ნაწილი ტურიზმის ობიექტებადაც გვევლინება.

რელიგიური ტურიზმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო და შიგა ტურიზმის სისტემაში. ადამიანების სულ უფრო დიდი ნაწილი ცდილობს მონაწილეობა მიიღოს რელიგიურ ცერემონიებში, დაუახლოვდეს უფალს.

წარმოდგენილ ნაშრომში ავტორი განიხილავს რელიგიური ტურიზმისა და მომლოცველობის თანამედროვე მდგომარეობას და პერსპექტივებს. საზოგადოდ, რელიგიური მოგზაურობები არა მარტო მსოფლიო რელიგიებისათვის დამახასიათებელი სოციოკულტურული ფენომენია, არამედ თანამედროვეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სოციოკულტურულ ფაქტორადაც გვევლინება.

სახელმძღვანელოში, რომელიც 14 თავისაგან შედგება, რელიგიური ტურიზმის უმნიშვნელოვანესი საკითხებია განხილული. აღნიშვნის ღირსია მკითხველისათვის ისეთი საკითხების ახლებურად გაშუქება, როგორიცაა რელიგიური ტურიზმის გავლენა რეგიონების განვითარებაზე და რელიგიური ტურიზმის უნიკალური შესაძლებლობების დასაბუთება საქართველოში.

სახელმძღვანელო თანამედროვე ენაზეა გადმოცემული და სასიამოვნოდ იკითხება. იგი ისეთი ღირსებების მატარებელია, რომ დიდ დახმარებას გაუწევს რელიგიით, ტურიზმით, მომლოცველობით და სხვა მსგავსი სფეროებით დაინტერესებულ მკითხველს.

ნიკოლოზ ჩიხლაძე,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თეოლოგიის დოქტორი,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი,
ღვთისმეტყველების საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი

ავტორისაგან

ნაშრომის გამოცემა შესაძლებელი გახდა საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ **თეიმურაზ ქორიძის** მხარდაჭერით, რისთვისაც მას გულითადი მადლობა მინდა მოვახსენო.

მადლობა საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის სკოლის საბჭოს და ამავე სკოლის დეკანს, პროფესორ **ქეთევან ნანობაშვილს.** ასევე, ყველა კეთილისმსურველს, ვინც რაიმე სახით მიიღო მონაწილეობა წიგნზე მუშაობის პროცესში.

მადლობა წიგნის მთავარ რედაქტორს, სასულიერო აკადემიისა და სემინარიის დოქტორანტურის ხელმძღვანელს. გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ **ელდარ ბუბულაშვილს,** მისი რეკომენდაციები და მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომები დამეხმარნენ სახელმძღვანელოს წარმოდგენილი სახით ფორმირებაში.

მადლობა წიგნის სამეცნიერო რედაქტორს საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს. ღვთისმეტყველების საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, თეოლოგიის დოქტორს, პროფესორ **ნიკოლოზ ჩიხლაძეს**, რომელმაც დიდი შრომა გასწია სახელმძღვანელოს რედაქტირებისას.

მადლობა თეოლოგ ბატონ **რომან ბლიაძეს** თანადგომისათვის და მეტად მნიშვნელოვანი თეოლოგიური ასპექტების სიღრმისეული ანალიზისა და კონსულტირებისათვის.

მადლობა საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობას „კენტავრი", მის ხელმძღვანელს ქალბატონ **მარინე (მაკა) ვასაძეს**, წიგნის დიზაინერსა და დამკაბადონელს ქალბატონ **ეკატერინე ოქროპირიძეს**.

ავტორი მადლიერებით მიიღებს ნაშრომის მიმართ გამოთქმულ ყველა საქმიან და სამართლიან შენიშვნას თუ მოსაზრებას და გაითვალისწინებს მათ შემდგომ მუშაობაში (regioni.ge@yahoo.com), უნებლიე შეცდომებისთვის კი შენდობას ვითხოვთ.

შესავალი

„ტურიზმი და რელიგია“ თანამედროვე საზოგადოების მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს. რელიგიური ტურიზმის შესამჩნევად განვითარებამ ბოლო 30 წლის განმავლობაში, მომლოცველობას ძველი დიდება დაუბრუნა, რამაც თავის მხრივ მილიონობით ადამიანი დააკავშირა ერთმანეთთან. რელიგიური ტურიზმი ვითარდება არა მხოლოდ განვითარებულ, არამედ განვითარებად ქვეყნებშიც. ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში, სხვადასხვა კონფესიის მორწმუნეთა პილიგრიმულ მარშრუტებში შედიოდა საბერძნეთი, საქართველო, ეგვიპტე, საუდის არაბეთი, ისრაელი, პალესტინა, იორდანია, რუსეთი, იტალია, ინდოეთი, ტიბეტი და სხვ.

მომლოცველობა და მორწმუნეთა მასობრივი თავყრილობები ხელს უწყობს და ამტკიცებს ხალხთაშორის მშვიდობას და თავად ტურიზმსაც ეხმარება იქცეს „სოლიდარობის ტურიზმად“.

ძლიერია მომლოცველობის ტრადიცია მართლმადიდებლურ ქრისტიანულ რელიგიაში. ქრისტიანობაში მომლოცველობა მკვიდრდება, როგორც საკულტო მოქმედების ერთ-ერთი სახე მე-4 საუკუნიდან. სამომლოცველო მოგზაურობები ქრისტიანების ცხოვრებაში დიდ ადგილს იკავებდა და იკავებს. ეს იმით არის განპირობებული რომ ქრისტიანულ რელიგიაში დიდი ხანია არსებობს მომლოცველობის ტრადიცია, აგრეთვე პოპულარულია მომლოცველების მიერ რელიგიური ობიექტების სტუმრობა.

ქრისტიანული მომლოცველობის სპეციფიკას განსაზღვრავს მორწმუნეების რელიგიური ცნობიერება, რომელიც თავის მხრივ მჭიდრო კავშირშია ქრისტიანულ საკულტო პრაკტიკასთან. მომლოცველების მთავარ მისწრაფებას, მოტივაციას წარმოადგენს: რელიგიური ობიექტების ან რელიგიური დღესასწაულების ხილვა ან მასში მონაწილეობა; წმინდა ადგილების, ტაძრების, წმინდა ნაწილების თაყვანისცემა; სულიერი სრულყოფა, სულიერი და ფიზიკური გაჯანსაღება, ასევე სასურველია მონაწილეობა მიიღოს და შეასრულოს საეკლესიო-სამშენებლო სამუშაოები, გაიღოს შესაწირი, აგრეთვე ეს შეიძლება იყოს სურვილი ავადმყოფობისგან განკურნების, შეასრულოს უფლისადმი ან წმინდანისადმი ადრე მიცემული პირობა და სხვა სულიერი მიზნების მიღწევა.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ექსპერტები, რელიგიურ ტურიზმს, როგორც XXI საუკუნის ტურიზმის ერთ-ერთ პერსპექტიულ მიმართულებად მიიჩნევენ. დაახლოებით 90% ისტორიულ-კულტურული ობიექტებისა მთელს მსოფლიოში წარმოადგენს ტურისტულ ინტერესს და მათ პირდაპირი კავშირი აქვთ რელიგიასთან, ამიტომ აუცილებელია რელიგიური ტურიზმის როლის გაგება, განსაზღვრა საზოგადოების ცხოვრებაში, უნდა გამოვლინდეს მისი პოტენციალი, უნდა იყოს მიღებული ზომები მისი განვითარების და ოპტიმიზაციისათვის, რათა გარკვეული იყოს მისი როლი საზოგადოების ცხოვრებაში.

რელიგიური ტურიზმის განვითარების ისტორიის და თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს მნიშვნელოვანი დასკვნა გავაკეთოდ: სახელმწიფოსა და ეკლესიის, ასევე საზოგადოებრივი, კომერციული და რელიგიური ორგანიზაციების ერთობლივი და გეგმაზომიერი მუშაობის შედეგად, შეიძლება მივაღწიოთ იმას, რომ რელიგიური ტურიზმი განავითარებს და განამტკიცებს საზოგადოების სხვადასხვა ფენის ადამიანებს და სხვადასხვა ტრადიციული კონფესიების წარმომადგენლებს შორის ურთიერთპატივისცემას, ასევე ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებსა და სხვადასხვა ქვეყნებს შორის ურთიერთგაგებას, რაც თავის მხრივ მიგვიყვანს სოციალური დაძაბულობის და დაპირისპირებების შემცირებამდე, ეს ერთი მხრივ. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ დღევანდელ დღეს ტრადიციული ღირებულებების, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და მათი მომავალი თაობებისთვის გადაცემა, ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა, რომელიც ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია გადაწყდეს რელიგიური ტურიზმის განვითარების გარეშე. სულიერი აღზრდის თვალსაზრისით და ეს ეხება არა მხოლოდ ახალგაზრდობას, რელიგიური ტურიზმი არის შედარებით ხელმისაწვდომი და დიდ დადებით ზეგავლენას ახდენს ადამიანის სულიერ და ემოციურ მხარეზე.

მატულობს უცხოელთა დაინტერესება ჩვენი ქვეყნის რელიგიური რესურსებით, საქართველოს უნიკალური კულტურულ-ისტორიული ერთიანობა, რომელმაც შეითავსა თავის თავში კულტურული ღირებულებები: არქიტექტურის ძეგლები, ხალხური კულტურა, ტრადიციები, მუსიკალური და სამხატვრო ხელოვნება, ისტორიულ – ეთნიკური და ბუნებრივი გარემო, ქმნის რელიგიური ტურიზმის განვითარების დიდ პოტენციალს, მაგრამ სამწუხაროდ ამ პოტანციალის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია გამოყენებული.

მხოლოდ ერთობლივი თანამშრომლობით ექნება რელიგიურ ტურიზმს საფუძველი განვითარებისა და საფუძველი იმისა, რომ უფრო მეტი დადებითი გავლენა მოახდინოს საზოგადოების კულტურულ და რელიგიულ დიალოგში.

„რელიგიური ტურიზმის“ წინამდებარე სახელმძღვანელო ქართულ ენაზე ასეთი შინაარსის ნაშრომის გამოცემის პირველი მცდელობაა.

სახელმძღვანელოში გამოყენებულია, როგორც კლასიკური ლიტერატურა რელიგიის, კულტურის, ტურიზმის, ისტორიის და რელიგიური ტურიზმის შესახებ, ასევე უახლეს პერიოდში გამოცემული ნაშრომები. გათვალისწინებულია უცხოელი და ქართველი სპეციალისტების, მათ შორის ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული შრომები და განხორციელებული კვლევები.

სახელმძღვანელოში განხილული თემები ნათლად, ლოგიკური თანმიმდევრობითაა გადმოცემული, რაც ადვილად შესასწავლს და დასამახსოვრებელს ხდის მას. სახელმძღვანელო დიდ დახმარებას გაუწევს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს ცოდნის გაღრმავებაში, რაც მომავალში ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ წინსვლას და განვითარებას. სახელმძღვანელო დიდ დახმარებას გაუწევს აგრეთვე, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებს და მოცემული საკითხით დაინტერესებულ ყველა პირს.

ნაწილი პირველი

თავი 1. რელიგიური ტურიზმი და მისი ევოლუცია

1.1 მომლოცველობისა და რელიგიური ტურიზმის განსაზღვრა თანამედროვე მეცნიერებაში

მომლოცველობამ, რომელიც სხვადასხვა ხალხის რელიგიურ პრაქტიკაში უხსოვარი დროიდან არსებობს, XXI საუკუნის დასაწყისში მსოფლიო მასშტაბები შეიძინა, როგორც სოციალურ-კულტურული ცხოვრების ერთ-ერთმა ურთულესმა ფორმამ, რომელიც არ იყო მხოლოდ რელიგიის სფეროთი შემოფარგლული. მომლოცველობას მეცნიერები ორი სოციალურ-კულტურული სფეროს ანუ უშუალოდ ტურიზმისა და სამომლოცველო პრაქტიკის გასაყარზე განიხილავენ, რომელიც მოიაზრება, როგორც რელიგიური მოგზაურობის მიმართულება. მომლოცველები წარმოადგენდნენ კიდეც პირველ ტურისტებს (მწირებს).

იმ მოგზაურებისგან განსხვავებით, რომელთაც ახალი მიწები და აღმოჩენები იზიდავდათ, როგორც სიმდიდრისა და დიდების წყარო, მომლოცველები ეშურებოდნენ იქეთ, სადაც უკვე ჩაისახა და საყოველთაო აღიარების მასშტაბებამდე აღზევდა ისტორიული, რელიგიური, კულტურული სიმბოლოები, ძეგლები. ერთი სიტყვით, ჭეშმარიტი ტურისტი ის როდია, ვინც ეძებს გართობასა და უსაქმოდ ყოფნას, არამედ ის, ვინც შთაბეჭდილებების, ცოდნის, ისტორიული და ემოციური აღმოჩენების ძიებაშია. პილიგრიმი, მწირი, მომლოცველი, ყარიბი ან მოგზაური, ჩვენი აზრით, ადამიანური ცხოვრების სფეროს უმაღლესი გამოვლინებაა, რომელსაც თანამედროვე სამყაროში ტურიზმს უწოდებენ.

იმასთან დაკავშირებით, რომ მომლოცველობა მოიაზრება ქრისტიანობის საკულტო პრაქტიკისა და ტურიზმის გასაყარზე, თანამედროვე სპეციალურ ლიტერატურაში, ხშირად პარალელურადაც, გამოიყენება ისეთი ტერმინები, როგორიცაა „მომლოცველობა“, „პილიგრიმი“, „რელიგიური ტურიზმი“, „სამომლოცველო ტურიზმი“, „სასულიერო-სამომლოცველო ტურიზმი“. ისინი ხშირად გაიგივებულია ერთმანეთთან, თუმცა მათ სხვადასხვა შინაარსობრივი და სულიერი დატვირთვა აქვთ. აქ მთავარს წარმოადგენს ის, რომ მომლოცველობის (რელიგიური ტურიზმის) არსს, რომელიც მას მიჯნავს სხვა სახის მოგზაურობისგან, წარმოადგენს საკრალური საწყისის არსებობა შინაარსობრივ და ფორმალურ ასპექტებში. სწორედ, საკრალური წარმოადგენს ბირთვს სამომლოცველო რიტუალში. ამ კატეგორიის ყველაზე ადრეული გაგება გვხდება თეოლოგიაში, სადაც მისი შინაარსი ეხება ღვთიური საწყისის სხვადასხვაგვარ გამოვლინებას. თუმცა, არსებობს საკრალურის უფრო არსებითი და ფართო გაგებაც, რომელიც მიღებულია ფილოსოფიაში, სოციოლოგიასა და კულტუროლოგიაში. ამ გაგების თანახმად, საკრალური იქმნება საზოგადოების მიერ საბაზო სოციალური კავშირებისა და ყველაზე ფასეული იდეალების განმტკიცებისა და შენარჩუნებისთვის, წარმოადგენს ნებისმიერი კულტურის ატრიბუტს, მოიცავს ადამიანისა და უმაღლესი ძალების ურთიერთდამოკიდებულების, როგორც კონფესიურ, ასევე არაკონფესიურ სფეროებს.

საკრალურის კატეგორიას უპირისპირდება მომლოცველობის გასაგებად ისეთი ფენომენი, როგორიცაა სიწმინდე – ობიექტი, რომელიც წარმოადგენს აბსოლუტის ხორცშესხმასა და კონცენტრაციას, რომელიც მოგზაურობის ხორცშესხმისკენ გვიბიძგებს. სიწმინდეს უწოდებენ მომლოცველთა თაყვანისცემის ყველა ობიექტს (ტაძრებს, მონასტრებს, სასწაულმოქმედ ხატებს, წმინდა წყაროებს, წმინდა ნაწილებს, რელიქვიებს და ა.შ.). სიწმინდე არის ის, რაც გაჟღენთილია ღვთის მადლით. სიწმინდეა იქ, სადაც არის მამის, ძისა და სულიწმინდის მადლი. სიწმინდე შეიძლება იყოს ესა თუ ის ადგილი თუ ნივთი. სიწმინდეა ქრისტეს მოწამეთა სხეულის ნაწილები, ამ ნაწილებიდან გამომდინარე მირონი. მართლმადიდებლური საეკლესიო ტრადიცია წმინდა მოწამეთა მირონმდინარე ნაწილებსაც იცნობს. სიწმინდე შეიძლება იყოს წმინდანების საფლავიდან აღებული მიწაც. სიწმინდეა თვითონ ტაძარი, ტაძარში არსებული საღვთისმსახურო ნივთები, ყველაფერი, რაც საეკლესიო მსახურებას უკავშირდება. [114].

პავლე მოციქული ამბობს: „გინა შჭამდეთ, გინა თუ ჰსუმიდეთ, გინა თუ რასაცა იქმოდით, ყოველსავე სადიდებელად ღმრთისა იქმოდეთ“ (I კორ. 10,31).

უფლის ქრისტიანული თაყვანისცემა, თავისი ამაღლებული შინაარსით, არის თაყვანისცემა „სულითა და ჭეშმარიტებით“ (ინ. 4,23-24), რამეთუ უფალი, უპირველესად, სულია.

წმინდა დავით მეფსალმუნე შესთხოვს შემოქმედს: „გული წმიდა დაბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა“ (ფს. 50,12). ლოცვისას ჩვენც ხშირად ვიმეორებთ ამ

სიტყვებს. გული რომ განიწმინდოს, ჭეშმარიტ სინანულსა და ლოცვასთან ერთად ის სიწმინდეებსაც უნდა ეზიაროს და ეთაყვანოს. სიწმინდედ კი მართლმადიდებელი იმას მიიჩნევს, რაც სულიწმინდის ცხოველმყოფელ მადლთანაა ნაზიარები. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ უპირველესი სიწმინდე თავად უფალია და მისი თაყვანისცემა სულითა და ჭეშმარიტებით გვმართებს. ეს კი სულისა და მისი ყოველი მოქმედების უხილავი მიქცევაა უფლისკენ – მისი მორჩილება გონებით, აზრითა და გრძნობით.

უფლის თაყვანისცემას გარეგნულადაც გამოვხატავთ: პირჯვრის წერით, მუხლის მოდრეკით, გალობით, ხმამაღლა ლოცვით... ეს ყოველივე საჭირო და კარგია, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სულიერი თაყვანისცემისგან მომდინარეობს. წმინდა მამები გვასწავლიან, რომ სულიერი თაყვანისცემის გარეშე გარეგანი მოქმედება არათუ უსარგებლოა, ზიანიც კი მოაქვს [160].

ისტორიულად მომლოცველობის ორი გაგება ჩამოყალიბდა – ვიწრო და ფართო. წარსულში დომინირებდა მისი, როგორც სიწმინდისკენ რელიგიური მოგზაურობა (ამ კატეგორიის ვიწრო გაგება). დღეს მომლოცველობა გულისხმობს ნებისმიერ მოგზაურობას, რომელიც ხორციელდება სულიერი აბსოლუტის თაყვანისცემის მიზნით. აქედან გამომდინარე, ამ მოვლენის სტრუქტურაში გამოიყოფა სამომლოცველო მოგზაურობის ორი სახე, რომელიც ხორციელდება საკრალურ ფასეულობებთან ზიარების მიზნით – რელიგიური და საერო მომლოცველობა. რელიგიურ და საერო მომლოცველობას შორის განსხვავების მიუხედავად, მოგზაურობის ორივე ფორმა ატარებს რიტუალის შტრიხებს, რომელიც განისაზღვრება მეცნიერების მიერ, როგორც რთული სიმბოლური ქცევის ისტორიულად წარმოქმნილი ფორმა, რომელშიც ასახულია გარკვეული სოციალური და კულტურული ურთიერთდამოკიდებულებები, ფასეულობები.

მომლოცველობის ფსიქოლოგიური ასპექტი მოიცავს მოგზაურობის გარკვეულ მოტივაციას, დანახული ობიექტებისა და მოვლენების შეფასებას, მიღებულ შთაბეჭდილებაზე ემოციური რეაქციების ასახვას. ფსიქოლოგიურ სიბრტყეში დევს ინდივიდის მიერ სამომლოცველო მოგზაურობის დროს მიღწეული სოციალური და პირადი იდენტიფიკაცია.

სამომლოცველო რიტუალი წარმოადგენს ქრისტიანობაში ჩამოყალიბებული განვითარებული სარიტუალო პრაქტიკის ნაწილს. მისი წამყვანი ფუნქციების სახით გამოდის შემდეგი: მსოფლმხედველობითი (ქრისტიანობის სულიერი პირველსაფუძვლების განმტკიცება საკრალურთან გაერთიანების მეშვეობით); სოციალური (რწმენის კრიზისის დაძლევა, როგორც ერთი ადამიანის შიგნით, ასევე მთელი საზოგადოების გარემოში რწმენის აღორძინებისა და განმტკიცების მეშვეობით); ფსიქოლოგიური (მომლოცველობის, როგორც სულიერ-განმწმენდი საქმიანობის, ცოდვების მონანიების ტრადიციული ფორმის გაგება).

ქრისტიანული მომლოცველობის აქციონალური ასპექტი მოიცავს რიტუალისთვის დამახასიათებელ გადასვლის ეტაპებს. განკვეთის ფაზას შეესაბამება: მოგზაურობისთვის მომზადების მოქმედებები (მღვდელმსახურისგან კურთხევის მიღება, ფულადი სახსრების შეგროვება, მომლოცველობის თარიღის განსაზღვრა, სამომლოცველო ჯგუფის ფორმირება და სხვ.), და მომლოცველების მოძრაობის პროცესი თაყვანისცემის ადგილისკენ (ფეხით ან სატრანსპორტო საშუალებების მეშვეობით), რომლის დროსაც ხდება მორწმუნეთა განწმენდა (მარხვა, განბანა და სხვ.).

სალოცავთან კონტაქტის მომენტი (შეხება ან ამბორი) – ესაა ,,ტრანზიტი'', რომლის დროსაც ხდება კონტაქტი აბსოლუტის სამყაროსთან, რომელიც განაპირობებს მომლოცველის შუალედურ მდგომარეობას (მის სიმბოლურ გარდაცვალებას ძველი სახით და აღორძინებას ახალი სახით). აღორძინების ფაზას წარმოადგენს სუბიექტის დაბრუნება მიწიერ სამყაროში, მაგრამ უკვე ახალი სახით. მოგზაურობის ყველა ეტაპზე სრულდება ქცევის გარკვეული ნორმები (ლოცვა, გახსოვდეთ მოგზაურობის არსი, არ მოხდეს ფუჭი საუბარი, არ იფიქროთ ყოველდღიურ საქმეებზე, არ იმხიარულოთ ზომაზე მეტად, შეინარჩუნოთ რელიგიური განწყობა და ა.შ.). ეს ფრაზები და მათი სარიტუალო ხორცშესხმა სრულიად ერთნაირია, როგორც მართლმადიდებლურ მომლოცველობაში, ასევე კათოლიკურ პილიგრიმობაში.

ქრისტიანული მომლოცველობის საგნობრივ სფეროში გამოიყოფა საგნები, როგორც თაყვანისცემის ობიექტები და საკრალური მოგზაურობის სიმბოლოები. ქრისტიანულ სამყაროში სათაყვანო საგნებად ითვლება წმინდანთა ძვლები, წმინდა რელიქვიები, სასწაულმოქმედი ხატები, წიგნები და ა. შ.

სახალხო ქრისტიანობაში განსაკუთრებით საინტერესოა საქართველოს აღმოსავლეთის მთიანეთი, რომელთა კულტიც ერთიანდება სხვადასხვა წმინდანისადმი თაყვანისცემით ან ამა თუ იმ ქრისტიანული დღესასწაულის ზეიმობით. ჩვეულებრივი საგნების განსაზღვრა სამომლოცველო მოგზაურობის სიმბოლოების სახით იმით იყო განპირობებული, რომ მოგზაურობის მთავარ მიზანს

წარმოადგენდა შეხვედრა სალოცავთან საკრალურ ადგილას. ამიტომაც ყველა მოვლენა და საგანი აღიქმებოდა სიმბოლური ასპექტით. მომლოცველის ერთ-ერთ ატრიბუტს, რომელიც ადასტურებს განსახორციელებელი მომლოცველობის ჭეშმარიტებას, როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმოადგენდა პალმის რტო, რომელიც მოჰქონდათ პირველ მომლოცველებს პალესტინიდან. [121:169-184].

1.2 რელიგიური ტურიზმის არსი და მნიშვნელობა

რელიგიური ტურიზმი ტურიზმის უძველეს ფორმას წარმოადგენს, რომელიც მაშინ ჩაისახა, როდესაც მსოფლიოში შეიქმნა რელიგიის სხვადასხვა მიმდინარეობანი. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (UNWTO) მონაცემებით, ტურიზმის ყველაზე უფრო პერსპექტიულ მიმართულებებს შორის პირველ ადგილს რელიგიური ტურიზმი იკავებს. ექსპერტები რელიგიურ ტურიზმს აფასებენ როგორც XXI საუკუნის ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებას. ასეთი ტენდენცია დაკავშირებულია თანამედროვე ადამიანის გაზრდილ მოთხოვნილებებთან უფრო ღრმად გაეცნონ მსოფლიო რელიგიებს, გაიღრმავონ ცოდნა ცალკეული ქვეყნების და რეგიონების რელიგიური ცხოვრების შესახებ, აგრეთვე მიიღონ სულიერი სიმდიდრე ასეთი მოგზაურობიდან. დღეს რელიგიური მისწრაფებებით მოგზაურობის გეოგრაფია ფართოვდება გაცილებით სწრაფად, ვიდრე ტურიზმის სხვა მიმართულებები.

ტურისტებს იზიდავთ თანამედროვე და ადრეული პერიოდის რელიგიების საკულტო ნაგებობები და ისინი რელიგიურ დღესასწაულებში მონაწილეობენ. რელიგიური ტურიზმი ადამიანს ეხმარება ზოგადსაკაცობრიო კულტურული ღირებულებების შემეცნებაში.

სამომლოცველო ტურიზმი არის რელიგიური ფენომენი, რომელიც დღესდღეობით არსებობს მსოფლიოს ყველა დიდ რელიგიაში. ფაქტობრივად, ამ ტიპის ტურიზმი მსოფლიოს რელიგიური ისტორიის განუყოფელი ნაწილია [98:561]. საზღვარგარეთის ავტორთა ნაშრომებში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მომლოცველობას აქვს ძლიერი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული შედეგები, რომლებიც ხშირად განიხილება ტურიზმისაგან დამოუკიდებლად. მომლოცველობა ასევე იძლევა დამატებით იმპულსებს ვაჭრობის, კულტურული გაცვლის, პოლიტიკური ინტეგრაციისთვის. აქედან გამომდინარე, შემთხვევითი არ არის, რომ მსოფლიოს მასშტაბით რელიგიური ტურიზმის კვლევებში ჩართულები არიან ისტორიკოსები, თეოლოგები, სოციოლოგები, ფსიქოლოგები, ანთროპოლოგები, ეკონომისტები, არქეოლოგები და მრავალი სხვა.

მკვლევარები აღნიშნავენ, რომ რელიგიური ტურიზმი მსოფლიოში აღორძინების ხანას განიცდის და წარმოადგენს კულტურული ტურიზმის მნიშვნელოვან სეგმენტს. მომლოცველობითი მოგზაურობები უფრო და უფრო პოპულარული ხდება. მომლოცველთა ტურიზმის განვითარების პოზიტიური დინამიკა ადასტურებს მის რელიგიურ, ეკონომიკურ და ტურისტულ მნიშვნელობას. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია გამოიძებნოს ფაქტორები, რომლებიც უზრუნველყოფენ პოზიტიური პროცესების შემდგომ განვითარებას [89:326-329].

ადამიანი, რომელიც მოგზაურობს რელიგიური მიზნებით და მიემგზავრება წმინდა ადგილების და რელიგიური ცენტრების მოსანახულებლად, ჩვეული გარემოს საზღვრებს მიღმა არაუმეტეს ერთი წლისა, ეწოდება რელიგიური ტურისტი.

მომლოცველობის არსი ის არის, რომ წმინდა ადგილებში აღვლენილი ლოცვა, ბევრად უფრო ადვილად მიდის შემოქმედამდე, როდესაც სიწმინდეებისკენ მიისწრაფიან, მომლოცველებს აქვთ იმედი, რომ მათზე გადმოვა დიდი მადლი.

დ.ა. ბესარაბი და ლ. ვ. შტეფანი მიიჩნევენ, რომ „რელიგიური (მომლოცველობითი) ტურიზმი – ეს არის მოგზაურობა, რომელიც დაკავშირებულია რელიგიური წმინდანების და სალოცავების მონახულებასთან, სულიერ სრულყოფასთან“ [119:57].

რელიგიური ტურიზმი ტურიზმის ერთ-ერთი განვითარებადი და პერსპექტიული მიმართულებაა. რელიგიური ტეურიზმის მიზანია დაახლოვოს სხვადასხვა კონფენსიის ადამიანები ან შეამსუბუქოს რელიგიურ საფუძველზე აღმოცენებული დაძაბულობა. [122:3-6].

რელიგიური ტურიზმია, როდესაც ადამიანები ტოვებენ ტრადიციულ საცხოვრებელ გარემოს არაუმეტეს ერთი წლისა და მიემგზავრებიან სიწმინდეების და რელიგიური ცენტრების მოსანახულებლად [135:4-5].

მომლოცველობა – ეს არის მორწმუნე ადამიანების სწრაფვა წმინდა ადგილებისაკენ, რათა თაყვანი სცენ მათ [116:6-8].

რელიგიურ ტურიზმში იგულისხმება სხვადასხვა საქმიანობები, რომლებიც დაკავშირებულია

ტურისტთა მოთხოვნების და მომსახურების დაკმაყოფილებასთან, რომლებიც მიემგზავრებიან წმინდა ადგილებისაკენ და რელიგიური ცენტრებისაკენ. მათთვის ჩვეული საარსებო გარემოს მიღმა. რელიგიური ტურიზმი არის ტურიზმის დამოუკიდებელი სახეობა. რელიგიური ტურისტები და პირველ რიგში მომლოცველები მიემართებიან სამოგზაუროდ, როდესაც მათ გაუჩნდებათ იმის მოთხოვნა, რომ გააკეთონ რაღაც უფრო მეტი, ვიდრე ჩვეულებრივი საკულტო მოქმედებაა მათ ჩვეულ საკუთარ საცხოვრებელ გარემოში [336:282-283].

ადამიანები მიემგზავრებიან წმინდა ადგილებზე სხვადასხვა მოტივებით: ლოცვისათვის, საკუთარი პრობლემების გადაჭრისათვის, მათთვის შესაფერისი რელიგიის, სულიერი სკოლის და ფასეულობათა სისტემის მოსაძებნად, სხვადასხვა ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის გასაცნობად.

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ლოცვა ან ამა თუ იმ რიტუალის ჩატარება ყოველთვის დაკავშირებულია რომელიმე ღვთაებასთან დაკავშირებულ ადგილთან, ბუნებრივ ან ადამიანის მიერ შექმნილ საკულტო ნაგებობებთან (ეკლესიები, ტაძრები, მეჩეთები, სინაგოგები, სამლოცველო სახლები, ხატები, „წმინდანთა ნაწილები), რომელთა მიზანს წარმოადგენს ადამიანთა სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და რელიგიური ცნობიერების გამოცოცხლება [6:2-10].

ტურისტული მოგზაურობის საფუძველს გააჩნია მოტივაცია, რომელიც არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი სამოგზაუროდ წასვლისათვის გადაწყვეტილების მისაღებად და ასევე ტურისტული პროდუქტის და მისი შემადგენელი ელემენტების შერჩევისას. ტურისტული მოგზაურობის არჩევის მოტივაცია (დრო, ხანგრძლივობა, მიმართულება, სახეობა, ხარჯები, მოღვაწეობის ხასიათი) – ძირითადი მახასიათებელია, რომელიც გავლენას ახდენს ტურისტის ქცევის ინიციატივაზე ტურის შერჩევის, შეძენის და განხორციელებისას.

თანამედროვე მოგზაურობის მოტივატორად მრავალი ფაქტორი შეიძლება გამოვლინდეს, იმის მიხედვით, თუ რომელ დანიშნულების ადგილზე და რომელი სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფის წარმომადგენელთა მოგზაურობაზეა საუბარი. ერთი მხრივ, მეცნიერები გამოყოფენ მოგზაურობის ისეთ მოტივატორებს, როგორიცაა სიახლისა და ცოდნის ძიება, საკუთარი ეგოს გაძლიერება, დასვენება და რეკრეაცია [112:54].

მეორე მხრივ, საერთაშორისო ტურიზმის სოციალურ მექანიზმში დანიშნულების ადგილის მიმართ ტურისტის განწყობაც საკვანძო როლს თამაშობს, რომელიც სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედებით დანიშნულების ადგილის მიმართ ლოიალობას აყალიბებს [111:73].

ადამიანის მოტივები, გარკვეულ ხარისხში, აყალიბებს მის მოქმედებას ტურისტული პროდუქტის და მომსახურების შეძენასა და მოხმარებასთან დაკავშირებით – განსაკუთრებით ტურიზმში. პოტენციური მოგზაურის მოტივების გარკვევას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ტურისტული პროდუქტის დაგეგმარების, ფორმირების და ორგანიზების პროცესის რეალიზაციისას. იგი იძლევა საშუალებას უზრუნველყოს მოთხოვნისა და შეთავაზების შესაბამისობა და როგორც შედეგი – წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება ტურისტის მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხარჯზე, კონკრეტული ტურისტული პროდუქტის მიმართებასთან დაკავშირებით.

ტურისტების მოტივაციური ქცევა ღრმა ცვლილებებს განიცდის. ბოლო დროის ერთ-ერთი ძირითადი ტენდენცია არის ტურიზმის მასობრივი ფორმებიდან, ალტერნატიული, სპეციალური ინტერესების ფორმებისაკენ გადასვლა [113:27].

რელიგიური ტურისტების მიზიდვის ობიექტად გვევლინება წმინდა ადგილები და რელიგიური ცენტრები. იქ გამგზავრება შეიძლება იყოს განპირობებული ასევე საკულტო აქტებით, დღესასწაულებით, ფესტივალებით, რომლებიც ტარდება წელიწადის გარკვეულ დროს. იმის გათვალისწინებით, რომ რელიგიურ მოგზაურობებში იღებენ მონაწილეობას როგორც მორწმუნენი, ასევე საერო პირები, რელიგიური მოგზაურობის მიზნებს შეიძლება მიენიჭოს შემდეგი სახის კლასიფიკაცია: საკულტო ცერემონიების დღესასწაულის აღნიშვნა; სულიერი სრულყოფილების მიღწევა; რელიგიურ თემში საკუთარი სტატუსის ამაღლება; წმინდა ადგილის, ტაძრის, წმინდა ნაწილების თაყვანისცემა, სულიერი და ფიზიკური განკურნება; სულიერი „სიახლის» შეცნობა; ჩვეულებრივი, საერო ცხოვრებისთვის დამახასიათებელი მოტივები: ცნობისმოყვარეობა; არქიტექტურიდან, ფერწერიდან, ხატწერიდან, სკულპტურიდან – ესთეტიკური სიამოვნების მიღება.

ამრიგად, რელიგიურ ტურიზმში მოტივაციური ასპექტების აქტუალურობა და პრაქტიკული მნიშვნელობა აშკარაა. ტურისტული მოტივების გარკვევა, ცოდნა და გამოყენება რელიგიური მიზნებით მოგზაურობის დროს, შეიძლება გახდეს აღნიშნული ტურისტული მიმართულების პოპულარიზაციის გარანტია. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ მომლოცველებისათვის ექსკურსიას აქვს მეორადი მნიშვნელობა გარკვეულ საკულტო ქმედებებთან შედარებით [125:23].

რელიგიურ ტურიზმს შეიძლება მიენიჭოს შემდეგი ტიპობრივი კლასიფიკაცია: შიდა ტურიზმი – ქვეყნის მოსახლეობის მოგზაურობა ქვეყნის საზღვრებში; შიდა ადგილობრივი ტურიზმი – გარკვეული რეგიონის მოსახლეობის მოგზაურობა ამავე რეგიონში; შემომყვანი ტურიზმი – რომელიმე ქვეყანაში იმ პირების მოგზაურობა, რომლებიც არ არიან მოცემული ქვეყნის მოსახლე; გასვლითი ტურიზმი – რომელიმე ქვეყნის მოსახლობის მოგზაურობა სხვა ქვეყანაში.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ რელიგიური ტურიზმის კლასიფიკაცია ჯერ კიდევ დაუმუშავებელია. ტურისტულ თემებზე დაწერილ წიგნებსა და სამეცნიერო შრომებში და ასევე სხვადასხვა წყაროებში სახელწოდებას „რელიგიური ტურიზმი“ ცვლიან „მომლოცველობით, რელიგიური თემატიკის ექსკურსიებს ვერ განარჩევენ რელიგიური მოგზაურობებისაგან. თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბოლო წლების კვლევების თანახმად, მეცნიერები აღნიშნავენ პოტენციურ ორმაგ ბუნებას მომლოცველობისა და ტურისტული ქცევისა. მომლოცველი – ეს ნახევრად ტურისტია, ხოლო ტურისტი შეიძლება იყოს ნახევრად მომლოცველი. ამიტომ ხშირად მომლოცველობას განიხილავენ, როგორც რელიგიურ ტურიზმს. (რასაც ჩვენ არ ვეთანხმებით) [108:76].

იმის გათვალისწინებით, რომ რელიგიური ტურების კლასიფიცირება ხდება იმავე ნიშნებით, რითაც სხვა ტურისტული მარშრუტები და შესაბამისად ეფუძნება ტურების ტრადიციულ კლასიფიკაციას, ჩვენ გთავაზობთ რელიგიური ტურიზმის შემდეგ კლასიფიკაციას: მსოფლიო რელიგიური კონფესიების მიხედვით; ხანგრძლივობის მიხედვით; მონაწილეთა შემადგენლობის მიხედვით (შეაბამისად მოგზაურობის მოტივაციისა).

ზოგადად, მომლოცველი და პილიგრიმი სინონიმებია, რომელიც აღნიშნავს ადამიანს, რომელიც მიემგზავრება სახლიდან შორს, წმინდა ადგილების თაყვანსაცემად, მოსალოცად. სიტყვა პილიგრიმი



მომდინარეობს ლათინური სიტყვისაგან „პალმ“ – „პალმა“, ადრეულ მომლოცველებს იერუსალიმიდან შინ დაბრუნებისას პალმის რტო ეჭირათ ხელში, ისევე როგორც იესოს შეეგებნენ იერუსალიმში შესვლისას. სიტყვასიტყვით პილიგრიმი ნიშნავს „უცხოელს“, „უცხომიწელს“ ლათინურად – პერეგრინუს (pellegrino). პალმის რტო ყველაზე ხშირად იესო ქრისტეს იერუსალიმში შესვლის სცენებში ფიგურირებს: „მეორე დღეს სადღესასწაულოდ მოსულმა დიდძალმა ხალხმა გაიგო, რომ იესო იერუსალიმში მიდიოდა. აიღეს პალმის რტოები, მის შესაგებებლად გავიდნენ და იძახდნენ: ოსანა! კურთხეულ არს უფლის სახელით მომავალი, და მეფე ისრაელისა!“ (იოან 12:12-13). იესო ქრისტეს იერუსალიმში შესვლას ქრისტიანული ეკლესია აღნიშნავს პალმის კვირას (საქართველოში – ბზობის კვირა). ქრისტიანულ სახვით ხელოვნებაში პალმა (დღეგრძელობისა და უკვდავების სიმბოლიკა) მრავალი წმინდანისა და წამებულის ატრიბუტად იქცა. რომაელებს პალმის რტო გამარჯვების სიმბოლოდ მიაჩნდათ. ეს მნიშვნელობა აისახა ქრისტიანულ სიმბოლიკაში და იესო ქრისტეს გამარჯვებას აღნიშნავდა სიკვდილზე [33].

დღეისათვის სიტყვა პილიგრიმი სხვა მნიშვნელობითაც იხმარება. კერძოდ, ხშირად ამ სახელით, გადატანითი მნიშვნელობით მოიხსენებენ უცხო მგზავრს, მწირს, ყარიბს. პილიგრიმი (გერმ. – piligrim, იტალ. – pellegrino, რუს. пилигрим) დღეს უკვე წარმოადგენს მომლოცველობის მიზნით მოგზაური ხალხის განზოგადებულ სახელწოდებას.

მომლოცველობა კონკრეტული სარწმუნოების რიტუალებში მონაწილეობას გულისხმობს, განსხვავებით მათგან ვისი მოგზაურობის მოტივიც მსოფლიოს რელიგიებისა და მათთან დაკავშირებული ისტორიული და კულტურული ადგილების გაცნობაა. მომლოცველობით ტურებში შედარებით მცირე მოცულობით შედის გასართობი პროგრამები, დასვენებისა და შემეცნებითი ღონისძიებები.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მონაცემებით (UNWTO), ტურისტული ინტერესის ობიექტების 90% რელიგიასთანაა დაკავშირებული. არსებობს რელიგიური ტურიზმის განსაზღვრების რამდენიმე კონცეფცია. რელიგიური ტურიზმის განსაზღვრების მთავარი პრობლემა მისი მომლოცელობისგან გამოყოფაა, რადგან ძალიან ხშირად ამ ორ მოვლენას აერთიანებს ერთმანეთთან. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის თვალსაზრისით „რელიგიური ტურიზმი“ არის საქმიანობის ის ფორმა, რომელიც დაკავშირებულია მომსახურეობის მიწოდებასთან და ტურისტების მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან,

როცა ისინი იმ წმინდა ადგილებისა და რელიგიური ცენტრებისკენ მიემართებიან, რომლებიც მათი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მდებარეობენ. ამგვარად, მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის – UNWTO დიდად არ ანსხვავებს ერთმანეთისგან მომლოცველობას და რელიგიურ ტურიზმს.

ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ინდოეთი, ისრაელი, ნეპალი, საუდის არაბეთი და სხვა ის ქვეყნები, რომლებშიც მრავლადაა სიწმინდეები, ერთმანეთისგან კატეგორიულად ანსხვავებენ რელიგიურ ტურიზმს და მომლოცველობას.

ისრაელში ჩატარდა კვლევა, რათა მომხდარიყო თანამედროვე სამომლოცველო ტურისტული ფენომენის შესწავლა. კვლევის შედეგები გამოყენებული იქნა მოგზაურთა მოტივაციის განსასაზღვრავად. კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ წმიდა ადგილები უკიდურესად მრავალფეროვან კონტინგენტს იზიდავს: როგორც ჭეშმარიტ მომლოცველებს, ასევე რელიგიურ მოგზაურებს და საერო ტურისტებს. თანამედროვე მომლოცველთა საზღვრები გამოკვლეულ იქნა „ტურისტიდან – მომლოცველობამდე" ასეთი მიდგომა კი საშუალებას იძლევა შესთავაზონ მოგზაურებს სხვადასხვა სამომლოცველო ადგილები – ფორმალურიდან, ოფიციალურად აღიარებულ ადგილამდე [101:265].

რელიგიური ტურიზმის მომლოცველობისგან განსასხვავებლად არსებით საკითხად მიიჩნევა მოგზაურობის მიზანი. მომლოცველობაში მთავარია ღვთისმსახურება, რელიგიური სიწმინდეების თაყვანისცემა და ლოცვა. მართმადიდებლური ეკლესია პატივისცემით ეპყრობა იმ ადამიანებს, რომლებიც ქრისტიანულ სიწმინდეებს სტუმრობენ. რელიგიურ ტურიზმს ეკლესია სულიერი აღრზდისა და განათლების საშუალებად მიიჩნევს. რელიგიურ ტურიზმში მთავარია წმინდა ადგილების ისტორიის, წმინდანთა ცხოვრების, საეკლესიო არქიტექტურისა და ხელოვნების გაცნობა. ყოველივე ამას ტურისტი ეცნობა ექსკურსიებისას. აღსანიშნავია, რომ ექსკურსია შესაძლოა იყოს მომლოცველობის ნაწილი. მომლოცველები მორჩილებით იღებენ მგზავრობისას ყოველგარ აკრძალვასა და სიძნელეს.

რელიგიური ტურიზმი შემეცნებითი მიზნებით მოგზაურობაა, ის შემეცნებითი ტურიზმის სახესხვაობაა და კულტურული მემკვიდრეობის გაცნობას ემსახურება.

1972 წელს იუნესკოს მიერ მიღებული კონვენციით კულტურული მემკვიდრეობაში იგულისხმება:

• ძეგლები: არქიტექტურის ძეგლები, მონუმენტური ქანდაკებისა და ფერწერის ნიმუშები, არქეოლოგიური ხასიათის ელემენტები, ან სტრუქტურები, წარწერები, მღვიმეები და იმ ჯგუფთა ელემენტები, რომლებსაც გააჩნიათ ისტორიის, ხელოვნებისა და მეცნიერების თვალსაზრისით განსაკუთრებით უნივერსალური ღირებულება;

• ანსამბლები: ცალკეული, ან გაერთიანებული საამშენებლო ჯგუფები, არქიტექტურა, ერთიანობა, ან კავშირი ლანდშაფტან, რომლებსაც გააჩნიათ ისტორიის, ხელოვნებისა და მეცნიერების თვალსაზრისით განსაკუთრებით უნივერსალური ღირებულება;

• ღირსშესანიშნავი ადგილები: ადამიანის ხელით შექმნილი, ან ერთობლივად ბუნებისა და ადამიანის ნამოქმედარი, აგრეთვე არქეოლოგიური ზონები, რომლებსაც გააჩნიათ ისტორიის, ესთეტიკის, ეთნოლოგიის, ან ანთროპოლოგიის თვალსაზრისით განსაკუთრებით უნივერსალური ღირებულება; [66:34-35].

ტურისტულ ორგანიზაციებს მხოლოდ და მხოლოდ რელიგიური მოგზაურობის მოტივების გამოვლენის შემდეგ შეუძლიათ გამოიმუშავონ ეფექტური მეთოდები, რომელებიც უზრუნველყოფენ ტურისტის მიზიდვას და მასზე მუდმივობის სტატუსის მინიჭებას, რაც საბოლოოდ, პირდაპირი ან ირიბი სახით შეძლებს მოახდინოს ზეგავლენა მოთხოვნის და რეალიზაციის ხასიათზე და მოცულობაზე. საერთაშორისო მოგზაურობისას ტურისტებმა უნდა გაიარონ გამშვები პუნქტები, სავიზო და სხვა ფორმალობები. საქართველოს ტურისტულ ბაზარზე უკვე არის ჩამოყალიბებული ფირმები (თუმცა მცირე რაოდენობით), რომლებიც დაკავებულნი არიან მომლოცველების და ექსკურსანტების მოგზაურობის პრაქტიკული ორგანიზებით და სპეციალიზირებულები არიან რელიგიური ტურიზმის სფეროში მომსახურების შეთავაზებით.

რელიგიური ტურიზმი მხარდაჭერას საჭიროებს მისი სპეციფიკური ფორმით შესანარჩუნებლად, სადაც მთავარია „შესება" წმინდა ადგილთან,რელიგიურ რიტუალში მონაწილეობა, წმინდანების თაყვანისცემა და ა.შ. [126:15-19].

უნდა აღინიშნოს,რომ სტუდენტ-ახალგაზრდობაში რელიგიური ტურიზმის მეტი პოპულარიზაციისათვის, „ტურიზმის და მენეჯმენტის აკადემია" და მასთან არსებული „რელიგიური ტურიზმის განვითარების ცენტრი" ყოველწლიურად, წმინდა ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემობრძანების დღეს, 12 მაისს, ატარებს სტუდენტურ სამცნიერო კონფერენციას: „რელიგიური ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში".

მაგრამ, იმისათვის რომ, რელიგიური ტურიზმი განვითარდეს მთელი ქვეყნის მასშტაბით, საჭიროა სახელმწიფოს მხარდაჭერა : მორალური, ეკონომიკური, იურიდიული. მხოლოდ ამის შემდეგ ექნება ყველა მორწმუნეს შესაძლებლობა იმოგზაუროს წმინდა ადგილების მოსალოცად, რომელიც არა მხოლოდ მის მიზანს, არამედ მთელი ერის საკუთრებას წარმოადგენს [132:40].

1.3 რელიგიური ტურიზმი და მომლოცველობა

პრინციპულად მნიშვნელოვანია „რელიგიური ტურიზმისა“ და „მომლოცველობის“ ერთმანეთისგან გამიჯვნა, რადგან რელიგიური ტურიზმი არის სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობა, ხოლო მომლოცველობა – რელიგიური.

კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე, ადამიანები ქალაქიდან ქალაქში და ქვეყნიდან ქვეყანაში მოგზაურობდნენ. ყოველ ამგვარ ადგილმონაცვლეობას თავისი განსაკუთრებული მიზეზი და სხვადასხვა მოტივაცია გააჩნდა: შესაძლოა ეს ყოფილიყო უცხო მიწების აღმოჩენისა და დაპყრობის სურვილი, განსხვავებული კულტურების და ცივილიზაციების შეცნობა, უფრო მოგვიანებით კი მკურნალობა და დასვენება.

ყველა ჯგუფის მოგზაურთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავიათ რელიგიურ ტურისტებს ანუ იმას, რასაც ქრისტიანები მომლოცველებას უწოდებენ. საუკუნეების მანძილზე ადამიანის ცხოვრებაში სწორედ მომლოცველობა ანუ წმინდა ადგილების მონახულება ითვლებოდა ყველაზე მთავარ მოგზაურობად.

თავისი ცხოვრების მწვერვალად ადამიანი ღმერთს, ხოლო ცხოვრების მიზნად სულის გამოღვიძებას, ღმერთთან ურთიერთობას და მარადისობას თვლიდა. თუ ევროპის ქვეყნების ხელოვნებას ჩავუღრმავდებით ვნახავთ, რომ ადამინი თავის შემოქმედებას მთლიანად ღმერთს უძღვნიდა. ის ადიდებდა თავის შემოქმედს და მის ქმინილებას. ღვთაებრივი სამყაროს სილამაზემ და ჰარმონიულობამ თავისი ასახვა სწორედ სატაძრო არქიტექტურაში ჰპოვა. ლიტერატურაში პოპულარულ ჟანრად იქცა წმინდანთა ცხოვრება. ფერწერაში – ხატები, ქანდაკებაში კი ბიბლიური სახეების გამოქანდაკება.

მოგზაურობის დროს მომლოცველები ლოცულობენ, ასრულებენ სხვადასხვა საგალობლებს, თაყვანს სცემენ სხვადასხვა სიწმინდეებს და სხვ. [109:95-105].

მომლოცველობის ფუნდამენტური ელემენტია საერთო კომუნიკაციისა და ერთობის სპონტანური გრძნობა, რომელიც არღვევს ნებისმიერ სოციალურ საზღვრებს (კლასს, სტატუსს, განათლებას, თანამდებობას, პოლიტიკურ შეხედულებებს) და ა.შ. [92:247-269].

მოგზაურობების დროსაც, ადამიანები ცდილობდნენ თავი უფლისათვის მიეძღვნათ, ამიტომაც ითვლებოდა მომლოცველობა ღვთისადმი მსახურების გამოვლინებად. მომლოცველები უმეტესად ფეხით მოგზაურობდნენ და პილიგრიმობა სულიერ და ფიზიკურ თავდადებად ითვლებოდა. მომლოცველები წინასწარ ემზადებოდნენ ხანგრძლივი მოგზაურობებისთვის. ისინი მარხულობდნენ, ლოცულობდნენ და მთელი გულით ეწადათ მონანიება და საკუთარი ცხოვრების შეცვლა. დაბრუნებისას კი ყოველმხრივ ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ მომლოცველობიდან ჩამოყოლილი მადლი. თავიანთი შთაბეჭდილებების გასახანგრძლივებლად მომლოცველებს მოგზაურობიდან ჩამოჰქონდათ სუვენირები, იქნებოდა ეს წმინდა ადგილებიდან წამოღებული კენჭები, პეშვი მიწა თუ სხვა რამ.

XXI საუკუნეში ტურიზმი აქამდე არნახულ მასშტაბებს იძენს. გაჩნდა რელიგიური ტურიზმის ცნება, რომელიც ცდილობს, მომლოცველობა სწორედ ტურიზმის მიმართულებად განიხილოს, რაც ხელოვნურია და მრავალი მომლოცველისთვის მიუღებელი.

მომლოცველობიდან ტურიზმამდე. XVI საუკუნის ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი მიშელ დე მონტენი უპირველესად გვთავაზობს განვიხილოთ მოგზაურობა როგორც ოჯახური საზრუნავისგან განთავისუფლება: „სახლის გარეთ, ჩემი სული სწრაფად და ადვილად შუშდება, მაგრამ როდესაც მე ვიმყოფები სახლში, ჩემი სული განუწყვეტლივ განგაშის ქვეშ იმყოფება...“ [130:480].

ასეთი სახის მოგზაურობამ, რომლის მიზანია ოჯახური საზრუნავებისაგან დასვენება და სხვადასხვა გასართობების ძიება, მოიპოვა უდიდესი პოპულარობა და თავისი განსაზღვრება – „ტურიზმი“. ითვლება, რომ ტერმინი „ტურიზმი“ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შემოიღო ფრანგმა მწერალმა ანრი სტენდალმა (1783-1843) ანდა, სულ მცირე, მნიშვნელოვნად განაურცო. დაახლოებით ამავე პერიოდში საფრანგეთში გამოიცა ფრანგული ენის ლექსიკონი, სადაც მოცემულია „ტურისტის“ განმარტება – ადამიანი, რომელიც მოგზაურობს ცნობისმოყვარეობის, ან დროის მოკვლის“ მიზნით. [120:16].

ინტერნეტში მრავლადაა უამრავი ლამაზი ისტორია და მსჯელობა იმ თემაზე, თუ ვინ, სად და

როგორ იმოგზაურა, სად აპირებს გამგზავრებას და ურჩევს სხვებსაც. ზოგიერთი მათგანი აზიარებს თავის შთაბეჭდილებებს დასვენების შესახებ ოკეანის სანაპიროს ქვიშიან პლიაჟზე – შესანიშნავ სასტუმროში, ვიღაც აქებს მთის კურორტს ციცაბო ფერდობებით და მოსახვევებით, მოსახერხებელი ასასვლელებით და კარგი სამზარეულოთი, ვიღაც უყვება გამაოგნებელ მოგონებებს თანამოსაუბრეს მსოფლიოს საცრებებზე, როგორიცაა მაგალითად „ინკების დაკარგული ქალაქი“ მაჩუ-პიკჩუ პერუში, ანდა ბაითონის სამონასტრო კომპლექსი (სიემ-რიპი, კამბოჯა) საიდუმლო კოშკი-სახეებით, რომლებიც გამოთლილია ქვისაგან და ოდესღაც მდუმარედ გადაყურებდა სიმაღლიდან მთელს ქიმერების იმპერიას.

ადამიანები აიგივებენ ყველაფერს, რაც უკავშირდება დასვენებას, გართობას, სიტყვა „ტურიზმს“. დღესაც. ეს ცნება მოიცავს სახვადასხვა განსხვავებულ სფეროებს. ტურიზმი შეიძლება იყოს შემეცნებითი, გამაჯანსაღებელი, სპორტული, რელიგიური და სხვა. მუზეუმების დათვალიერება, როგორც „კულტურული“ დასვენება – მრავალი მიაკუთვნებს ასევე ტურიზმის ერთ-ერთ სახეობას.

მომლოცველობითი ტურიზმის ისტორია ითვლის არაერთ ასწლეულს. რელიგიურმა ტურიზმმა XXI საუკუნეში მიაღწია ჰიპერტროფიულ ზომებს. საქმე იქამდე მივიდა, რომ ხანდახან შესაძლებელია მოისმინო გამოთქმა „მომლოცველობითი ტურიზმი“. ამრიგად, ცდილობენ მომლოცველობაც კი მოაქციონ „ტურიზმი“-ს ჩარჩოებში, რაც საერთოდ მიუღებელია და საფუძველმოკლებულია. ასეთი მიდგომა გველინება თანამედროვე მომთხოვნი ადამიანის ცხოვრების წესის, მისი მსოფლმხედველობის, სულიერი საწყისებიდან მოწყვეტის ანარეკლად.

მიუხედავად მოჩვენებითი სიახლოვისა, მომლოცველობა და ტურიზმი სავსებით სხვადასხვა მოვლენაა და გააჩნიათ ერთმანეთისაგან განსხვავებული ბუნება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოგზაურობის მიზანი ერთი და იმავე ადგილების მონახულებაა., რადგანაც გარდა კულტურული მემკვიდრეობის გაცნობის, ანდა დასვენებისა, არსებობს ასევე ტურისტული მოგზაურობები რელიგიური მიზნებით. მომლოცველობა არ შეიძლება ჩაითვალოს ტურიზმად, იმისათვის რათა მოხდეს დისტანცირება „ტურიზმის“ გაგებისაგან მას უნდა ვუწოდოთ სულიერი მოგზაურობა [88:259].

მაინც რა განსხვავებაა რელიგიურ ტურიზმსა და მომლოცველობას შორის? როდესაც საუბარია ზღვის სანაპიროსთან დასვენებაზე და ათონის მონახულებაზე, აქ ყველაფერი თავისთავად გასაგები ხდება. პირველ შემთხვევაში მოტივაცია დასვენებაა, მეორე შემთხვევაში – ლოცვა და სიწმინდეების თაყვანისცემა, მაგრამ როგორ უნდა განვასხვავოთ ისინი მაშინ, როცა მათი მიზნები ერთმანეთს ემთხვევა, როდესაც ტურისტული მოგზაურობისას ადამიანები წმინდა ადგილებსაც სტუმრობენ და დასვენებასაც უთავსებენ?! მოვიყვანთ უბრალო მაგალითს: მიემგზავრებიან სამოგზაუროდ იერუსალიმში ტურისტებიც და მომლოცველებიც. მიფრინავენ ერთიდაიგივე თვითმფრინავით დასასვენებლადაც. შემდეგ გადაადგილდებიან წმინდა მიწაზე ავტომობილებით ან ავტობუსებით. მოინახულებენ უფლის საფლავს, გოლგოთას, ბეთლემს. ქალები ცდილობენ ტაძრებში მოიხურონ თავსაფრები, ხოლო მამაკაცები არ ივიწყებენ მოიხადონ ქუდები. ყველა უსმენს თანმხლების (გიდის) მონათხრობს. აი, სწორედ აქ არის შესაძლებელი აღვნიშნოთ პრინციპული განსხვავება. ტურისტისათვის, რომელიც თუმცა გამოემგზავრა „რელიგიური მიზნებით“, წმინდა მიწაზე მისი ჩამოსვლის ცენტრალური მომენტი აღმოჩნდა ახალი ცოდნის შეძენა. სიწმინდეების მიმართ ადამიანთა დამოკიდებულების სპექტრი შეიძლება იყოს სხვადასხვა: უბრალო ცნობისმოყვარეობიდან შეგნებულ, რელიგიურ განათლებამდე. ტურისტი მოემგზავრება, რათა ჰქონდეს სიწმინდეების, ბიბლიური ისტორიის და რელიგიური ტრადიციების, სატაძრო არქიტექტურის და ეკლესიური ხელოვნების მონახულების და გაცნობის საშუალება.

მომლოცველობა – ეს არის მომლოცველის წირვებზე დასწრება და ლოცვებში მონაწილეობა, ხოლო რელიგიური ტურიზმი – ეს არის, უფრო მეტად, ადამიანის ურთიერთობაში შესვლა კულტურასთან.

მომლოცველისთვის, ხომ ნებისმიერი ექსკურსია, თანმხლების (გიდის) მონათხრობი – ეს არის მხოლოდ შესავალი, მზადება უმთავრესისათვის – სიწმინდეებისათვის რელიგიური თაყვანისცემისათვის, ანუ ისტორიული ღირსშესანიშნაობების დათვალიერება ტაძარში ან მონასტერში. ბიბლიური მოვლენების გახსენება, წმინდანთა ცხოვრების ამსახველი სურათები და ხატები მომლოცველს უყალიბებს განსაკუთრებული სულიერ განწყობას. მის მწვერვალს შეადგენს მომლოცველის შეგნებული მონაწილეობა ღვთისმსახურების პროცესში და წმინდა ქრისტიანული საიდუმლოებების მიღებაში, მხურვალე ლოცვაში სასწაულმოქმედი ხატების წინაშე და წმინდანთა საკვირველმოქმედი ნაწილების მოწიწებით თაყვანისცემაში. წმინდა მიწაზე – ეს არის თავისთავად იმ ადგილების თაყვანისცემა, რომლებიც მაცხოვრის მიწიერ ცხოვრებას უკავშირდება. მართლმადიდებლური მომლოცველობა არის მორწმუნე ადამიანის რელიგიური ცხოვრების ნაწილი. მისი მთავარი მიზანია – ადამიანის სულიერი

განახლება. ამიტომ, ატმოსფერო მთლიანი მოგზაურობის მანძილზე, მიუხედავად იმისა, რომ ნახულობენ ერთიდაიმავე ადგილებს, მომლოცველებსა და ტურისტებს ასევე სხვადასხვა აქვთ. პირველ შემთხვევაში ეს ატმოსფერო არის ლოცვები და მონანიება, მეორეში – ცნობისმოყვარეობის, ცოცხალი ინტერესის, ყურადღების, ანდა ამის საწინააღმდეგოდ – დამღლელი გულგრილობის ატმოსფერო.

სხვადასხვა რელიგიებში ცნობილია მოვლენა, რომელსაც მომლოცველობის სახელით იცნობენ. იგივე მოვლენას მუსულმანები „ჰაჯს" უწოდებენ. ამდენად სიტყვა „მომლოცველობის" გამოყენება უპრიანია სწორედ ქრისტიანი მომლოცველების მიმართ.

სამწუხაროდ, ჩვენს დროში ყოველთვის კარგად არ ესმით მომლოცველობის მნიშვნელობა და მისი აღრევა ხდება ტურისტულ ბიზნესთან, რომელსაც არსებითად არაფერი აქვს საერთო მომლოცველობასთან. მომლოცველობა და რელიგიური ტურიზმი არსებითათ განსხვავებული მოვლენებია (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ). მომლოცველი სინამდვილეში არის ის, ვისაც პალმის რტო მოაქვს, თავისთავად აქ საუბარია იმ ადამიანებზე, რომლებსაც წმინდა მიწიდან პალმის რტო მოჰქონდათ და ჯვრის ზიდვაში მონაწილეობდნენ იერუსალიმში აღდგომის დღესასწაულისას ან ქრისტეშობის დღეს ბეთლემში. მომლოცველები ეწოდებოდათ არა მხოლოდ მათ, ვინც იერუსალიმში მოგზაურობდა, არამედ მათაც, ვინაც სხვა ქრისტიანული სიწმინდეების თაყვანისსაცემად მოგზაურობდა.


მორწმუნე ადამიანისთვის წმინდა ადგილები თაყვანისცემის ობიექტია და მართამდიდებელ ტრადიციებში არანაირი განსხვავება არ არის წმინდა ადგილებისა და წმინდა ხატებს შორის თაყვანისცემას შორის.

ვინაიდან კათოლიკურმა დასავლეთმა არ გაიზიარა მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილება, მომლოცველობის გაგებაშიც განსხვავება წარმოიშვა. კათოლიკებისთვის ხატები არ წარმოადგენენ სახეს, რომელიც საიდუმლოებრივად გვაზიარებს პირველსახეს, არამედ არის წმინდა ისტორიის ილუსტრირებული აღქმა და ამდენად წმინდა ადგილები არის არა თაყვანისცემის, არამედ წმინდა მოგონებების ადგილი, როცა კათოლიკე პილიგრიმი წმინდა ადგილებს სტუმრობს, ის მხოლოდ იხსენებს იმ წმიდა ამბებს, რაც იმ ადგილზე ხდებოდა: კითხულობენ სახარებას და წმინდანთა ცხოვრების ისტორიას. კათოლიკებს არ ახასიათებთ წმინდანების იმგვარი თაყვანისცემა, როგორიც მართმადიდებლებს.

წმინდა ხატების თაყვანისცემა მართმადიდებელი ეკლესიის ღვთისმსახურების შემადგენელი ნაწილია. აქ შეუძლებელია ერთმანეთისგან გამიჯნო ხატების თაყვანისცემა და მართამდიდებელი მორწმუნის სამლოცველო პრაქტიკა. იგივე ითქმის წმინდა ადგილების მოლოცვაზე. ქართველი მართმადიდებელი ქრისტიანები მომლოცველობას ყოველთვის აღიქვამდნენ, როგორც ღმერთისათვის სასარგებლო და წმინდა საქმიანობას. მომლოცველობა არის მართმადიდებელი ეკლესიის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი.

მცდელობა იმისა, რომ საერო და რელიგიური მოგზაურობას შორის მკაფიო საზღვარი მოძებნოს, – მოითხოვს ვაღიაროთ, რომ ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არა მიზნებით, (ტურისტმაც შეიძლება თაყვანი სცეს წმინდანებს) არამედ ზემიზნებით [134:17].

რათა უფრო კარგად აღქმადი იყოს ყოველივე ზემოთ ნათქვამი, წარმოგიდგენთ ნახაზს, სადაც თვალნათლივაა წარმოდგენილი რა განსხვავებაა მომლოცველობას, რელიგიურ ტურზმსა და ტურიზმს შორის.



წყარო: Simone Charteris, Maria Teresa & Boyd, Stephen W (2011), 'The potential for Northern Ireland to Promote Politico-Religious Tourism: An Industry Perspective'. 'Journal of Hospitality Marketing & Management', pp. 461.

და ბოლოს, მოვიყვანთ ასეთ ანალოგს: თუ მომლოცველობა შეიძლება შევადაროთ ღვთის კანონების შესწავლას, მაშინ რელიგიური ტურიზმი შეედრება მართლმადიდებლური კულტურის საფუძვლების შესწავლას. ანუ, ორივე შემთხვევაში საქმე ეხება რწმენას და რელიგიას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მომლოცველობა ეს არის მორწმუნის მონაწილეობა ტაძრად, ლოცვებში, ხოლო რელიგიური ტურიზმი უფრო მეტად არის ადამიანის კულტურასთან ურთიერთშეხება, და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, მის სულიერ შემადგენელთან, რომლის გარეშეც ვერ გააცნობიერებ ვერც კაცობრიობის ისტორიას და ვერც მსოფლიო კულტურას.

1.4 რელიგიური ტურიზმის ფორმები და მიმართულებები

საზოგადოების სრულყოფის ძირითად საშუალებად შემეცნება გვევლინება. ის ადამიანს ეხმარება ჩამოიყალიბოს ღირებულებებთან დამოკიდებულება და ამის საფუძველზე გამოიმუშაოს საკუთარი მსოფლმხედველობა. ამჟამად, ტრადიციული ღირებულებების შენარჩუნება და მათი მომავალი თაობებისთვის გადაცემა ის უმნიშვნელოვანესი საქმეა, რომლის მიღწევაც რელიგიური ტურიზმის გარეშე თითქმის შეუძლებელია.

ტურიზმი, ისევე როგორც ადამიანის საქმიანობის სხვა ფორმები, მიმართულია არა მხოლოდ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, არამედ ადამიანური სულიერებისა და კულტურის განსავითარებლად. ტურიზმის ყველა სახეობას თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ადამიანებს, რელიგიებსა და კულტურებს შორის ნდობის გაღრმავებაში.

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ექსპერტები რელიგიურ ტურიზმს XXI საუკუნის ყველაზე პერსპექტიულ მიმართულებად მიიჩნევენ. დღეს რელიგიური მიზნებით მოგზაურობის გეოგრაფიის არეალი სწრაფად ფართოვდება. დღევანდელი ტურისტების ინტერესთა სფეროში მოქცეულია არა მხოლოდ მართმადიდებლური, მუსულმანური ან ბუდისტური სიწმინდეები, არამედ აფრიკის, აზიისა და ამერიკის ლოკალური რელიგიური კულტურებიც.

ექსპერტები რელიგიური ტურიზმის მასშტაბების სწრაფად ზრდის ერთ-ერთ მიზეზად იმასაც მიიჩნევენ, რომ მისი მოგზაურების უმეტესობა საკმაოდ შეძლებული ადამიანები არიან, რომლებიც არანაირ ხარჯებს არ ერიდებიან „მარადიულ ღირებულებებთან" საზიარებლად. მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის განსხვავებული შეფასებით, რელიგიურმა ტურიზმმა ეკონომიკური კრიზისების მიმართ გამძლეობა გამოიმუშავა იმ მიზეზითაც, რომ ის განიხილება არა როგორც ფუფუნების სფერო, არამედ როგორც მოკრძალებული მოგზაურობა თავისი განსაზღვრული მიზნით.

რელიგიური ტურიზმის გავრცელებას ხელს უწყობს ისიც, რომ ადამიანები იწყებენ იმის შეგნებას, რომ გლობალური სამყაროს შექმნა მხოლოდ ცივილიზაციათა დიალოგითაა შესაძლებელი.

თანამედროვე რელიგიური ტურიზმი იმეორებს მასობრივი ტურიზმის ყველა მოდელს და შეიცავს მის ყველა ნიშანთვისებას: დაგეგმვას, გადაზიდვას, განთავსებას, კვებას, თანხლებას (გიდის მომსახურება) და უსაფრთხოებას.

ტურისტი-ექსკურსანტები სარგებლობენ ტურიზმის ინდუსტრიის მომსახურეობებით: სატრანსპორტო გადაზიდვების სექტორებით, განთავსებით და კვებით, ასევე ტუროპერატორებით და ტურსააგენტოებით, რომლებიც რეალიზებას უწევენ ტურისტულ პროდუქტს. მომლოცველები ხშირ შემთხვევაში სარგებლობენ სხვა სახის მომსახურეობებითაც: ცხოვრობენ ტაძრებსა და მონასტრებთან არსებულ განთავსების ობიექტებში (კელიებში) და იკვებებიან იქვე არსებულ სატრაპეზოებში, ზოგჯერ ჩადიან დანიშნულების ადგილამდე საკუთარი სატრანსპორტო საშუალებებით ან ტრანსპორტით, რომლებიც წარმოდგენილია ამ ორგანიზაციების მხრიდან. მომლოცველებმა ასევე შეიძლება შეასრულონ გარკვეული სახის სამუშაო მორჩილობისა და მომსახურების სახით; სანდახან ასეთი სახის სამუშაო მათთვის მოვალეობაა.

XXI საუკუნეში რელიგიური ტურიზმი ასახავს ტურისტული ინდუსტრიის პრაქტიკულად ყველა სეგმენტს. ექსპერტები რელიგიურ ტურიზმს ყოფენ:

1. მოგზაურობა სულიერი განწმენდისთვის (რელიგიური დესტილაცია)
2. რელიგიურ დღესასწაულებზე, თავყრილობებზე და ღონისძიებებზე გამგზავრება.
3. მისიონერული და ჰუმანიტარული მიზნებით მოგზაურობა.
4. რელიგიურ თანამოაზრეთა მოგზაურობა.

მნიშვნელოვან რელიგიურ ობიექტებთან დაკავშირებულ ადგილებში მოგზაურობას ტრადიციული და გავრცელებული ხასიათი აქვს. ეს გულისხმობს ეკლესია-მონასტრების მონახულებას, რელიგიური მუზეუმების და სხვა საკულტო ღირსშესანიშნაობების სტუმრობას. მომლოცველობა და რელიგიური

განწმენდის მიზნით მოგზაურობა ყველა ძირითადი რელიგიის თეოლოგიურ საფუძვლებშია ჩადებული, ამიტომ ასეთი სახის მოგზაურობა ყოველთვის მნიშვნელოვანია რელიგიური თვალსაზრისით.

რელიგიური ტურიზმის მეორე ყველაზე გავრცელებული ფორმაა რელიგიურ დღესასწაულებზე, თაყვრილობებზე და შეკრებებზე გამგზავრება. ისტორიულად მორწმუნეები ჯერ კიდევ ადმიანური საზოგადოების ჩამოყალიბების გარიჟრაჟისას იკრიბებოდნენ ერთად რელიგიური ზეიმების აღსანიშნავად და რიტუალების ჩასატარებლად. ჯერ კიდევ რომის იმპერიაში რელიგიურ ღონისძიებებში და ცერემონიებში მონაწილეობის მისაღებად ადამიანები თავს იყრიდნენ ქვეყნის ყველა კუთხიდან. ჩვენს დროში რელიგიური მიზნით ყოველდღიურად მილიონობით ადამიანი გადაადგილდება.

რელიგიური მოგზაურობის მესამე ფორმა, რომელიც სათავეს იღებს XX საუკუნის დასაბამიდან და განსაკუთრებით აქტუალურია ბოლო ორი ათწლეული, არის მისიონერული და ჰუმანიტარული მიზნებით მოგზაურობა. დღეს ყოველ ფეხის ნაბიჯზე შეხვდებით ადამიანებს, რომლებიც მისიონერული მიზნებით მოგზაურობენ. მართალია მისიონერული მოგზაურობა სხვადასხვა ფორმებად იყოფა, მაგრამ მისი მთავარი ამოცანაა მორწმუნე ადამიანებმა სხვებს უამბონ თავისი სარწმუნოების შესახებ ან დახმარება აღმოუჩინონ ადგილობრივ მოსახლეობას, მათი ადამიანური მოთხოვნების შესაფერისად. ყველაზე გავრცელებული და პოპულარული მისიონერული მოგზაურობა 7-14 დღეს გრძელდება. ამგვარ მოკლევადიან მოგზაურობებში ჩართული ადამინების რიცხვი ბოლო ხუთი წლის მანძილზე გაორმაგდა და მას კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

მისიონერული მოგზაურობის ნაწილია ვოლონტერობა, როცა ადამინი თავისუფალ დროს ნებაყოფლობით უთმობს გარკვეული მიზნის შესრულებას, პირი, რომელიც საქველმოქმედო ან სხვაგვარ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას ეწევა თავისი ფიზიკური ან გონებრივი რესურსის უსასყიდლოდ გამოყენების თანხმობით. ამგვარი მოგზაურობა შესაძლოა დაიგეგმოს სახლის აშენების, ბავშვების განათლების, სამედიცინო დახმარების, ხეების დარგვის, ბუნების დაცვის და სხვ. მიზნით, ასეთი მოგზაურობის გამოსარჩევად ხშირად იყენებენ ტერმინს ვოლონტურიზმი.

რელიგიური ტურიზმის მეოთხე, ყველაზე ახალი სახეა საერთო ინტერესებით გაერთიანებული ადამიანების, თანამოაზრეების მოგზაურობა. დღეს ამგვარი მოგზაურობები რელიგიური ტურიზმის სწრაფად მზარდი სეგმენტია. მისი მიზანია თანამოაზრე ადამიანების ერთად დასვენება, როცა ისინი უფრო კომფორტულად და ნაყოფიერად ისვენებენ.

რელიგიური ტურიზმი დამოუკიდებელი ტურიზმის სახეობაა. მას გააჩნია თავისი მიმართულებები.

რელიგიურ ტურიზმს აქვს სამი ძირითადი მიმართულება:

I. მომლოცველობა;

II. ექსკურსიული ტურები რელიგიური თემატიკით;

III. სპეციალიზირებული ტურები, რომლებშიც გაერთიანებული არიან მომლოცველები და ექსკურსანტები;

თუმცა, ანალიტიკოსების ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ რელიგიური ტურიზმი მოიცავს ორ მიმართულებას: მომლოცველობას და შემეცნებით – საექსკურსიო მიმართულებას. არსებობს სხვა მოსაზრებაც და ის რელიგიურ ტურიზმს მომლოცველობის ნაწილად განიხილავს.

შემოთავაზებულია ასეთი მოსაზრებაც, რელიგიური მიზნებიდან გამომდინარე შეიძლება გამოვყოთ მოგზაურობის ოთხი ძირითადი ტიპი:

- ღრმად მორწმუნე ხალხი;
- მორწმუნე ხალხი;
- მორწმუნეები ან ურწმუნოები;
- სხვა რელიგიებისა და არა მორწმუნეების წარმომადგენლები;

შემოთავაზებული კლასიფიკაციიდან გამომდინარე, შესაძლებელია სპეციალიზებული ტურების ორგანიზება, რომლის დროსაც პილიგრიმები და ექსკურსანტები გაერთიანდებიან [115:63].

შეიძლება გამოვყოთ მომლოცველობის სხვადასხვა სახეები. მოგზაურობაში მონაწილეთა რაოდენობით განასხვავებენ: ინდივიდუალურ, საოჯახო და ჯგუფურ მოლოცვებს. ხანგრძლივობის მხრივ შეიძლება განვასხვავოთ მოკლე და ხანგრძლივი მოლოცვები.

მეცნიერებაში, გამოყოფენ რამდენიმე სახის მომლოცველებს, რომლებიც კლასიფიცირდება სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვით:

1) მომლოცველთა რაოდენობის მიხედვით – ინდივიდუალური, საოჯახო და ჯგუფი მომლოცველები;

2) ხანგრძლივობის მიხედვით – გრძელვადიანი და მოკლევადიანი მომლოცველობა;

3) სეზონურობის მიხედვით – მომლოცველობა მთელი წლის განმავლობაში და მხოლოდ რელიგიურ დღესასწაულებზე;

4) მოსანახულებელი ადგილების მიხედვით – საკულტო ადგილები (ეკლესიები, მონასტრები, ტაძრები), ბუნებრივი საკულტო ადგილები (მთები, ტბები, გამოქვაბულები, წყაროები);

5) სამომლოცველო ადგილის მდებარეობის მიხედვით – შიდა (ქვეყნის შიგნით) და საზღვარგარეთ სამომლოცველო ტურები;

6) ვალდებულების მიხედვით – ნებაყოფლობითი და სავალდებულო სამომლოცველო ტურები (მაგალითად, ისლამში ხაჯი სავალდებულოა მომლოცველთათვის) [118:23].

კლასიფიკაცია ხელს უწყობს ტურისტული მოგზაურობის რელიგიური და საერო ელემენტების ურთიერთქმედების შესაძლებლობებს და სტრატეგიის შემუშავებას თითოეული ტიპის მოგზაურის მოსაზიდად [94:148-173].

ორგანიზების კუთხით, რელიგიური ტურიზმი შეიძლება იყოს ორგანიზებული და არაორგანიზებული. ზოგი ტურისტი ამჯობინებს ორგანიზებულ მოგზაურობას. ორგანიზებული მოგზაურობები მკაცრად არის რეგლამენტირებული და წინასწარი გადახდის საფუძველზე ხორციელდება. გამყიდველი და მოგზაური წინასწარ განიხილავენ სავარაუდო მარშრუტს და მოგზაურობის ხანგრძლივობას.

მოგზაურობებში მონაწილეთა რაოდენობით განასხვავებენ ინდივიდუალურ და ჯგუფურ ტურებს. ინდივიდუალური ტურების მონაწილეთა რაოდენობა შეადგენს 1-5 ადამიანს. ჯგუფურის კი ექვს ადამიანზე მეტს. ჯგუფი შეირჩევა დიდი დაკვირვებით, რადგან მასში არ მოხვდნენ ისეთი ადამიანები რომლებისთვისაც ეკლესია და რწმენა არაფრის მთქმელია. ზოგიერთი ტურისტული ფირმა ჯგუფურ მოგზაურობებს უწოდებს ორი ადამიანის მოგზაურობასაც. ინდივიდუალური ტურნე ერთი ადამიანის მოგზაურობაა. ამ დროს ადამიანს აქვს განმარტოვების სურვილი თავისი შინაგანი პრობლემების, ცხოვრების რთული სიტუაციების გადასაწყვეტად, საკუთარ თავში ჩასაღრმავებლად და ამისავის ადამიანი მარტო მიემგზავრება მონასტერში მოსალოცად.

მოგზაურობის ხანგრძლივობის მიხედვით განიხილავენ ერთდღიან, რამოდენიმე დღიან და მრავალ დღიან მოგზაურობებს. ერთდიანი მოგზაურობების ხანგრძლივობაა 3 საათი, 3-5 საათი, 6-8 საათი, 9-11 საათი, 12 საათი და მეტი. მოგზაურობა ღამისთევით შეიძლება იყოს 1-2, 3-7, 8-28, 29-91 და 95-365 ღამე. სპეციალიზირებული ტურები გათვლილია სულ მცირე სამ დღეზე, რელიგიურად წმინდა ადგილების და წარსულის ძეგლების მოსანახულებლად. ამგვარი ტურების მოსაწყობად, ზოგჯერ საჭიროა მონასტრის სულიერი წინამძღვრის კურთხევა (თანხმობა).

მომლოცველობის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სახეა რაციონალური (მიზანმიმართული) მომლოცველები. ესენი არიან ხალხი, რომლებიც პირველ ნაბიჯებს დგამენ სულიერების გზაზე და ეკლესიურ ცხოვრებაში, ე. წ. ნეოფიტები. ისინი აღიქვამენ რწმენას, როგორც შესაძლებლობას საკუთარი ცხოვრებისეული მიზნების მისაღწევად: მიიღონ დახმარება პირადი საქმეების უკეთესად წარმართვაში და ა.შ. [123:7-10].

კითხვები გამეორებისთვის:

1. როგორ განიხილავენ მეცნიერები მომლოცველობას?
2. რა განსხვავებაა რელიგიურ და საერო მომლოცველებს შორის?
3. რა ეწოდება მსოფლიო ტურისტულ ორგანიზაციას?
4. რომელი მოტივებით მიემგზავრებიან ადამიანები მოსალოცად?
5. გაიხსენეთ „პილიგრიმის“ წარმოშობის ისტორია.
6. რა განსხვავება და მსგავსებაა რელიგიურ ტურიზმსა და მომლოცველობას შორის?
7. რამდენ მიმართულებად ჰყოფენ ექსპერტები რელიგურ ტურიზმს?
8. ჩამოთვალეთ მომლოცველების სახელები.

თავი 2. მომლოცველობის ისტორიული ასპექტები

2.1 მომლოცველობის ისტორია

რელიგიური ტურიზმის ისტორიის ფესვები საუკუნეების სიღრმეშია განტოტილი. ადრეული, მყარად დასაბუთებული ცნობები საკულტო მიზნებით მოგზაურობების შესახებ ანტიკურ ეპოქას მიეკუთვნება. ძველი ბერძნები და რომაელები ტაძრებისა და სიწმინდეების მოსანახულებლად მოგზაურობდნენ. საბერძნეთის ყველაზე ცნობილი საკულტო ცენტრი იყო დელფოსი. თავისი ქურუმი ქალის შემწეობით, მას ზოგადბერძნული მნიშვნელობა ჰქონდა. მოგზაურების მრავალრიცხოვანი ნაკადი აქ მოდიოდა პიფიას წინასწარმეტყველების მოსასმენად [124:36].



შუა საუკუნეებში პილიგრიმთა რელიგიური მოტივებით მოგზაურობა განვითარებას განაგრძობდა და ფართოვდებოდა. მომლოცველობა ჯვაროსნული ლაშქრობების სახეცვლილ ფორმებში ვლინდება და მასობრივ ხასიათს იძენს. ურწმუნოთა („მუსულმანების“) წინააღმდეგ ლაშქრობა, მათგან წმინდა მიწების განთავისუფლების დროშით მიმდინარეობდა.

სამომლოცველო მოძრაობა შესამჩნევად გაიზარდა XV და განსაკუთრებით XVI საუკუნეში. მისი მასშტაბების ზრდასთან ერთად ნაკადების არაერთგვაროვნება ძლიერდება. მათი უმრავლესობისთვის, ვინც წმინდა მიწაზე გაემგზავრა, მომლოცველობა იყო მხოლოდ აღმსარებლობისგან შორსმყოფი ინტერესების რეალიზაციის საფარი. პილიგრიმთა შორის მრავლად იყვნენ დიდგვაროვნები, რომლებიც იერუსალიმში უფლის საფლავისკენ რაინდის ტიტულის მოსაპოვებლად მიემგზავრებოდნენ. აქტიურობდნენ მეფეთა პოლიტიკური და სამხედრო წარმომადგენლები, ისინი ოკულტურ ცოდნის დაუფლებას ცდილობდნენ. იყვნენ შემოქმედებითი ადამიანებიც, მაგალითად იუსტუს ტენელუსი და ვილჰელმ პოსტელი, რომლებიც საფრანგეთის მეფის ფრანცისკ II დავალებით პარიზის ბიბლიოთეკისთვის პალესტინაში ხელნაწერებს აგროვებდნენ და ბოლოს, იყვნენ ვაჭრები, რომლებიც მხოლოდ სავაჭრო მიზნებით მოგზაურობდნენ.

XIX საუკუნეში „წმინდა მოგზაურობა“ ორგანიზებულ ფორმებს იძენს. საფრანგეთში 1861 წლიდან მოყოლებული სამომლოცველო ქარავნები რესპუბლიკური მმართველობის მიერ ეკლესიის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების მონანიების ნიშნად ყოველწლიურად აღიჭურვებოდნენ. მონაწილეთა კი რაოდენობამ 300-400 ადამიანს მიაღწია. 1870 წლის მიწურულს ფრანცისკანელები ამგვარ ქარავნებს ვენასა და მიუნხენში აგზავნიდნენ.

მომლოცველობის ზრდასთან ერთად ანტიკურ ეპოქაში სტუმართა მიღების დაწესებულებები საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი ელემენტი გახდა. ძველ ეგვიპტეში დუქნები მოგზაურებს არა მარტო სუფრას, არამედ ღამისთევის საშუალებებსაც სთავაზობდნენ. მაგრამ, თანამედროვე სასტუმრო მეურნეობის პირველსახე, მაინც უმეტესწილად ძველ რომთანაა დაკავშირებული.

ძველ რომში ბევრს მოგზაურობდნენ: სავაჭრო საქმეებით თუ სამსახურებრივი საჭიროებისთვის, შემოსავლის ძიებაში, განათლების მიზნით ან დასვენებისა და გართობის მიზნით და რა თქმა უნდა მომლოცველობის მიზნით. ამაზე მეტყველებენ თუნდაც გზების გასწვრივ განლაგებული საფლავის ქვების ეპიტაფიებიც, რომლებიც, როგორც წესი, მგზავრისადმია მიმართული:

„...მგზავრო გისურვებ გრძელსა და ბედნიერ ცხოვრებას, შენ კი მისურვე მსუბუქი და თბილი მიწა“.

სულ უფრო მზარდი რაოდენობის მოგზაური პირების და მათ შორის პილიგრიმების მომსახურების მიზნით შეიქმნა ფუნდუკების მთელი ქსელი. იგი განაწილებული იყო იტალიისა და რომის პროვინციულ ქალაქებში, საზოგადოებრივი ცხოვრების და საკულტო დღესასწაულების ცენტრებში, ძირითადი გზების გასწვრივ, სასოფლო დასახლებებში. ეს ობიექტები სტუმრებს განთავსების საშუალებასაც სთავაზობდა.

არქეოლოგიური გათხრების დროს ფუნდუკებში ნანახი იქნა დღიური შემოსავლის საკმაოდ დიდი თანხა, რაც მათი კლიენტურის მრავალრიცხოვნობაზე მეტყველებს.

ძველ რომში სტუმართა მიღების დაწესებულებები ერთმანეთისგან ძალზე განსხვავდებოდნენ ადგილმდებარეობით, საკუთრების ხასიათით – სახელმწიფო და კერძო, განთავსების სახეებითა და ფორმებით, კეთილმოწყობისა და მომსახურების დონით. მთავარი გზების გასწვრივ განლაგებული იყო საიმპერატორო საფოსტო სამსახურის სადგურები (ე. წ. Mutationes), რომლებსაც ეკიპაჟის შეცვლისა და გზაზე მოკლევადიანი შესვენებისათვის იყენებდნენ, გზებზე იყო, აგრეთვე სადგომებიც (ე. წ. Mansiones), რომლებში შესაძლებელი იყო ღამისთევა.



ბოლო დროს, აქ, არქეოლოგებმა აღმოაჩინეს 535 მილის (861 კმ) სიგრძის გზა, ე. წ. ვია ეგნატია (Via egnatia), რომელიც თანამედროვე ალბანეთის, მაკედონიისა და საბერძნეთის ტერიტორიებზე გადიოდა. მის გასწვრივ, ყოველ 30-40 მილში (50-65 კმ) ფუნდუკების საძირკვლები, ხოლო ყოველ 7-14 მილში (11-23 კმ) საფოსტო სადგურები იქნა აღმოჩენილი. ფუნდუკების სახელები იმ დროის შემორჩენილი გზამკვლევებისა და ეპიგრაფების წყალობითაა ცნობილი. ისინი დიდი მრავალფეროვნებითა და ორიგინალობით გამოირჩეოდნენ: „ურჩხულთან“, „ცენტურიონებთან“, „შავ არწივთან“. ქალაქებში ფუნდუკების სხვადასხვა ნაირსახეობას შეხვდებოდით: დევერსორიუმებს (Deversorium), სტაბულუმებს (Stabulum), რომელშიც საპალნე ცხოველებისთვის (ცხენების, ვირების, ჯორების, აქლემებისთვის) ცალკე სათავსი იყო განსაზღვრული, ჰოსპიტიას (Hospitia), სადაც ცალკე იყო საერთო სატრაპეზო და ცალკე დასვენების ოთახები; ქსენოდოკუმს (Xenodokium) – ფუნდუკს მომლოცველთათვის. ტრაქტირებს დასასვენებელი ოთახებიც ჰქონდა.

დევერსორიუმის ტავერნა თავისებურ ტრაქტირს წარმოადგენდა, სადაც ოთახები ქირავდებოდა, მერიტორიუმის ტავერნა მოიცავდა ტრაქტირს და საცხოვრებელ ნაწილს, ანუ, საძინებლებს ხანგრძლივვადიანი ცხოვრებისთვის. რომაული ფუნდუკების მოწყობის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას იძლევა პომპეისა და მის შემოგარნში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგები.

სასტუმრო მეურნეობის აღმოცენების მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ მისი ჩანასახი ერთდროულად გაჩნდა როგორც ქალაქში, ასევე სოფლად, მეურნეობის სხვადასხვა სფეროში – ხელოსნობასა და მიწათმოქმედებაში. რომში, აქვილიაში, ოსტიაში, პუტეოლაში და სხვა მსხვილ სავაჭრო და სანავსადგურო ქალაქსა და ხელოსნობის ცენტრში, სტუმართა მიღების დაწესებულებები ეკუთვნოდა ბინათმფლობელებს, რომლებიც ხშირად ხელოსნები იყვნენ. პომპეის გათხრების შედეგად დადგინდა, რომ რამდენიმე ტრაქტირის მეპატრონე ხაბაზი იყო. ამ დაწესებულებებში სტუმრებს ძირითადად ეშსახურებოდნენ ბერძნები და აღმოსავლეთიდან გამოსული ებრაელები, სირიელები. ისინი საზოგადოების დაბალ საფეხურებზე იდგნენ, ცუდი სახელი ჰქონდათ და საზოგადოებრივ უფლებებს იყვნენ მოკლებულები.

მიუხედავად იმისა, რომ ძველ რომში მგზავრების მიღება და განთავსება ხელოსნებისა და მიწათმოქმედებისათვის მეორეულ საქმეს წარმოადგენდა და მცირეშემოსავლიან და ნაკლებად საპატიო საქმიანობად ითვლებოდა, სტუმართა მიღების სპეციალიზებული დაწესებულებების წარმოშობა და მგზავრების მომსახურებაში პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების დაგროვება, მნიშვნელოვან ნაბიჯად იქცა სასტუმრო მეურნეობის, თანამედროვე ტურიზმის ინდუსტრიის ამ მნიშვნელოვანი სეგმენტის ჩამოყალიბებაში.

2.2 შუა საუკუნეების ლაშქრობები და მოგზაურობები

შუა საუკუნეების დასაწყისი (IV-VI ს.) „ხალხთა დიდი გადასახლებით“ გამოირჩეოდა. ამ დროს ევროპის ტერიტორიაზე ჰუნები შემოიჭრნენ. რომაელი ისტორიკოსი ამიან მარცელინიუსი (330-400) მათ შესახებ წერდა: „ისინი სამარადჟამო ლტოლვილების მსგავსად თავიანთ საცხოვრებელ საზიდრებთან ერთად, რომელშიც მთელ ცხოვრებას ატარებდნენ, მომთაბარეობენ. მათ არ გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი, სახლი, კანონი და ცხოვრების მყარი წესი“.

ჩრდილოთ ევროპის ხალხები „ასევე არნახული მასშტაბებით ამოძრავდნენ. რომში მოდიოდა ხმები, რომ მთელს ამ სივრცეში, მაკრომანებიდან და კვაზებიდან დაწყებული პონტომდე, აქამდე უცნობი ბარბაროსი ხალხები თავიანთი ცოლ-შვილით ცენტრისკენ ლავასავით მოედინებოდნენ“. რომის იმპერია ამ პროცესების რეგულირებას ცდილობდა. ზოგიერთ ხალხთან, მათ შორის ბურგუნდიელებთან და ვესტგოთებთან დადებული ხელშეკრულებით, მასპინძლობის კანონების შესაბამისად უფლებას ანიჭებდა იმპერიის მიწა-წყალზე დასახლებულიყვნენ, სადაც მათთვის გამოიყოფოდა საბაზინო ან დიდი მამულებისგან ჩამოჭრილი მიწები. ამან მარცელიანუსმა გოთების გადმოსახლება ამგვარად აღწერა: „როგორც კი იმპერიისგან დუნაის გადმოლახვის და თრაკიის მიწების დაკავების ნებართვა მიიღეს, ისინი დღე და ღამე გემებით, ნავებით და ხის მორებითაც კი, ჯოგივით გადმოდიოდნენ მდინარეზე“. ეს მიგრაციული პროცესები იმდენად მასშტაბური იყო, რომ მას ყურადღებას უთმობდნენ თავიანთ ნაშრომებში პროკოფი კესარიელი და მავრიკიუსი. პროცესი რამდენიმე საუკუნეს გრძელდებოდა და მხოლოდ XIII საუკუნეში დასრულდა.

რომის იმპერია მის საზღვრების სიახლოვეს მცხოვრები ბარბაროსების შესახებ სულ უფრო მეტს გებულობდა. მათთვის მეტი ხდებოდა ცნობილი მათი სულაც არაბარბაროსული მორალისა და ცხოვრებისეული ქცევის შესახებ. რომაელი ისტორიკოსი პუბლიუს კორნელიუს ტაციტუსი (58-117) აღნიშნავდა: „არცერთი ხალხი არ არის ისეთი გულუხვი მასპინძლობისას, როგორც გერმანელები. მათთვის მიუტევებელ ცოდვათ ითვლება თუ რომელიმე მოკვდავთაგანს არ შეიფარებენ. ყოველი მათგანი, თავისი შესაძლებლობიდან გამომდინარე საუკეთესო საკვებით უმასპინძლდება სტუმარს, ხოლო როცა საკვები საკმარისი არაა, ის ვინც სულ ახლახანს მასპინძელი იყო, შენი თანამგზავრი და გზის მაჩვენებელი ხდება და უახლოესი სახლისკენ მიგიძღვის დაუპატიჟებლად და ეს ცუდ საქციელად არ ითვლება. ორივე მათგანს ერთნაირი გულითადობით ხვდებიან“.

მასპინძლობის ადათ-წესიდან გამომდინარე არავინ ანსხვავებს ნაცნობს და უცნობს. თუ გამომშვიდობებისას სტუმარი რაიმე ნივთს ისურვებდა, ჩვეულება ავალდებულებდა მასპინძელს უსიტყვოდ ებოძა იგი. ასევე შეეძლოთ, თავის მხრივ სანაცვლოდ ესურვათ რაიმე. გაცემული საჩუქარი დამსახურებად არ ითვლებოდა და არც მიღებული საჩუქარი ავალდებულებდა რამეს. მასპინძელსა და სტუმარს შორის ურთიერთობა წინდაბედულობით განისაზღვრებოდა. ბიზანტიელი ისტორიკოსის თეოფილეს „ქრონოგრაფიაში“, მავრიკიუსის „სტრატეგიკონში“, იორდანის თხზულებაში „გოთების წარმოშობისა და ქმედებათა შესახებ“, სხვადასხვა ხალხების ცხოვრებაცაა აღწერილი. „ხალხთა დიდი გადასახლების“ წყალობით შუა საუკუნეებში ხალხთაშორის მრავალმხრივი კონტაქტები მყარდებოდა და ვითარდებოდა, რაც სასიკეთო ზეგავლენას ახდენდნენ საერთო წინსვლაზე.

2.3. მომლოცველობა და ჯვაროსნული ლაშქრობები

შუა საუკუნეების ეპოქაში მოხეტიალეთა და მოგზაურთა მფარველები ხდებოდნენ მოგვები: ბალთაზარი, მელქიორი და გასპარი, რომლებმაც თავის დროზე მანამდე არნახული, ჭეშმარიტად წმინდა მოგზაურობა განახორციელეს, როდესაც ამ ქვეყნად მოვლენილ ყრმა იესოს სათაყვანებლად ეწვივნენ. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქაში მათ მფარველობას და დახმარებას სთხოვდნენ მეზღვაურები და მისიონერები. მათი თაყვანისცემა ქრისტიანებმა II-III საუკუნიდან დაიწყეს. შუასაუკუნეებში მომლოცველობამ დიდი გავრცელება ჰპოვა. პილიგრიმთა პალესტინაში ლტოლვა უკვე III-IV საუკუნეებიდან დაიწყო. იმპერატორ კონსტანტინეს მიერ (306-307) იერუსალიმში ქრისტეს საფლავზე აშენებულ იქნა ტაძარი. იმპერატორ კონსტანტინეს დედა, დედოფალი ელენე ხანდაზმულობისას მოსალოცად ეწვია იერუსალიმს და მონაწილეობა მიიღო გოლგოთის ერთ-ერთ მღვიმეში მაცხოვრის ძელიცხოველის აღმართვაში. სწორედ ამ დროისთვის ხდება ცნობილი ისეთი მომლოცველების სახელები, როგორიც იყვნენ წმინდა პორფირი, რომელიც მოგვიანებით ღაზის ეპისკოპოსი გახდა; ევსევი კრემონელი; წმინდა იერონიმე, რომელმაც ბეთლემში შეისწავლა წმინდა

დამწერლობა; წმინდა პავლე და მისი ქალიშვილი ევსტახია – გრაკხუსების ცნობილი ოჯახიდან, რომლებიც დაკრძალულნი არიან იესო ქრისტეს საფლავის მორიახლოს.

IV საუკუნიდან მოყოლებული, წმინდა მიწაზე მომლოცველობა იმდენად მასობრივი ხასიათის მოვლენა გახდა, რომ თავად მომლოცველები ხშირად აღიქვამდნენ მას, როგორც „საზღვარგარეთულ ტურიზმს“. საჭირო შეიქმნა მსგავს მოგზაურობებზე ეკლესიის მხრიდან შეზღუდვების დაწესება. ამის თაობაზე ცნობილია წმ. გრიგოლ ნიისელის (335-394) ქადაგება, როცა მან ამხილა იერუსალიმში მოსალოცად მოგზაურობის ბოროტად გამოყენების შემთხვევები. თაყვის ერთ-ერთ წერილში მან იქადაგა, რომ „ქრისტე და სულიწმინდა უპირატესად ერთ რომელიმე ადგილას არ ბინადრობენ“. მისი თქმით, იერუსალიმის წმინდა მიწაზე მაცხოვრებლები სულაც არ არიან უცოდველები. ქადაგებების დროს ხშირად მოჰყავდათ ავტორიტეტული საეკლესიო მოღვაწეთა მაგალითად წმ. ავგუსტინეს (354-430) გამონათქვამები: „თუ განიზრახავ მოგზაურობას, ღმერთს არ უთქვამს: წადი აღმოსავლეთით და სიმართლეს ჰპოვებ. იცურე დასავლეთით და ცოდვები მოგეტევება, იყავი იქ სადაც გწამს, რადგან იმასთან, ვინც ყველგან მყოფია მიდიან არა ზღვით, არამედ სიყვარულით“. ამ თემას განავრცობდა წმინდა იერონიმე (342-420): „ცათასასუფეველი ერთნაირად ღიაა, როგორც იერუსალიმისთვის, ისევე ბრიტანეთისათვის“. მათთვის სართო თეზისი იყო იმის რომ, „წმინდანთა უმეტესობამ მარადიული სამყოფელით ადგილი დაიმკვიდრა ისე, რომ თვალითაც არ უნახავს იერუსალიმი“. მაგრამ ყველა ამგვარი შეგონება ამაო იყო.



ევროპაში ქრისტიანობის გავრცელებასთან ერთად, პალესტინაში მოგზაურობის სულ უფრო მეტი მსურველი ჩნდებოდა. უკვე V საუკუნეში გალიიდან წამოსული მომლოცველებიათვის შედგენილი იქნა გზამკვლევი, რომელიც მათ რონისა და დორდონის ნაპირებიდან მდინარე იორდანამდე სავალ გზას უჩვენებდა. VI საუკუნეში პიაჩენცედან წმინდა მიწამდე იმოგზაურა წმ. ანტონმა თავის მრავალრიცხოვან მიმდევრებთან ერთად. ამ მოგზაურობის შემდეგ, შედგენილი იქნა კიდევ ერთი გზამკვლევი, რომელიც მის სახელს ატარებდა და საფუძვლიანად აღწერდა წმინდა მიწას.

VII საუკუნეში ხალიფა ომარის წინამძღოლობით, იერუსალიმი მუსულმანებმა დაიპყრეს, მაგრამ ამას მომლოცველობა არ შეუჩერებია. ქრონიკა ადასტურებს, რომ უკვე VIII საუკუნეში იერუსალიმს ეწვია გალიის ეპისკოპოსი წმ. არკულფი, რომელმაც თავისი მოგზაურობის შესახებ მოგონებები შემოგვინახა. საქსონიის ეპისკოპოსის მოგზაურობის შესახებ ცნობები შემონახულია მასთან ერთად მომლოცველი მონაზონის აღწერაში.

მომლოცველობისთვის ყველაზე ხელსაყრელი პირობები შეიქმნა აბასიდების დინასტიის ხალიფის ჰარუნ ალ-რაშიდის (786-809) მმართველობისას. მასსა და იმპერატორ კარლოს დიდს (768-814) შორის დამყარდა ურთიერთპატივისმცემლური დამოკიდებულება, რასაც ადასტურებს კიდეც ალ-ჰარუნის საჩუქარი, როდესაც კარლოს დიდს საჩუქრად გაუგზავნა ყველაზე წმინდა ქალაქისა და მაცხოვრის საფლავის ტაძრის გასაღები. ამ დროისთვის იერუსალიმში მომლოცველთათვის კარლოს დიდის ბრძანებით ააშენეს სპეციალური საცხოვრებელი. IX საუკუნეში მოღვაწე ფრანგი ბერის – ბერნარდის მოგონებებში გადმოცემულია თავშესაფრის აღწერილობა. ის შედგებოდა თორმეტი სახლისგან ანუ სასტუმროსგან. მომლოცველთათვის იქ გახსნილი იქნა ბიბლიოთეკა, როგორც ყველა მსგავს სხვა სახლებში, რომელიც კარლოს დიდის მიერ დაფუძნდა ევროპაში. ამ დაწესებულების მოხმარებაში იყო ბაღები, ზერები და სავარგულები.

მომლოცველები პალესტინაში მიდიოდნენ არა მხოლოდ სალოცავად, არამედ წმინდა ნაწილებისა და სხვა რელიქვიების მოსაპოვებლად. ყოველწლიურად 15 სექტემბერს იერუსალიმში ქალწულ მარიამის მოედანზე იმართებოდა ბაზრობა. მომლოცველთა შორის ვაჭრობა იმდენად სარფიანი იყო, რომ გენუელ, პიზელ, მარსელელ და ვენეციელ ვაჭრებს ქალაქში კანტორები ჰქონდათ მოწყობილი.

IX საუკუნიდან მოყოლებული, მომლოცველობამ სასჯელის საჯაროდ მოხდისა და ცოდვის გამოსყიდვის ხასიათი მიიღო. 868 წელს დიდგვაროვან და მდიდარ ბრეტანელ ფროტმონდს, რომელმაც თავისი ბიძა და ერთ-ერთი ძმა მოკლა, ცოდვების სრულად გამოსასყიდად მიესაჯა წმინდა მიწაზე სამჯერადი „მოგზაურობა“. რომაელი პრეფექტი ცენზიუსი, რომელმაც წმინდა მარია მაჯორის ეკლესიაში თვით რომის პაპი შეურაწყო, საკურთხეველთან შეიპყრეს და დაატუსაღეს. ის იძულებული შეიქმნა შეწყნარება ეთხოვა და ქრისტეს საფლავზე ლოცვები აღევლინა.

XI საუკუნეში კათოლიკურმა ეკლესიამ საეკლესიო მონანიება მომლოცველობით შეცვალა. ცოდვილებს სამშობლო უნდა დაეტოვებინათ და კაენის მსგავსად უთვისტომოდ ეხეტიალათ, მაგრამ მონანიების ამგვარი ფორმა სრულად შეესაბამებოდა დასავლეთევროპელი ხალხების ქმედით და ბობოქარ ხასიათს. აღსანიშნავია, რომ მომლოცველობა არსებობდა და წახალისებული იყო ყველა რელიგიის მიერ. ის იყო შიდატურიზმის მოტივაციის ერთ-ერთი ფორმა და ახლოს იყო ადამიანის ბუნებრივ გრძნობებთან, რომელიც რელიგიური ლტოლვით იყო გაჯერებული. შუა საუკუნეებში ევროპაში არ იყო ქვეყანა, რომელსაც თავისი წმინდანი ან მოციქული არ ჰყოლოდა, რომელსაც ადამიანები დახმარებისა და მხარდაჭერისთვის მიმართავდნენ.

მისიონერული მიზნებით მოგზაურობა ყოველმხრივ წახალისებული იყო. ერთ-ერთი პირველთაგანი მისიონერი, რომელიც ევროპულ ქვეყნებში ჯერ კიდევ IV საუკუნეში ავრცელებდა ქრისტიანობას, იყო მარტინ ტურელი (336-397). მან მისიონერული საქმიანობა ჩრდილო-დასავლეთ გალიაში წამოიწყო, შემდეგ კი ბრიტანეთში გაემართა. იქ მისი საქმიანობა იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ მრავალმა ბრიტმა, რომელიც ქრისტიანად მოექცა, თვითონ დაიწყო მისიონერობა. მათ ქრისტიანობა გაავრცელეს ირლანდიაში, თვით ისლანდიის ნაპირებამდე.

ირლანდიაში დაიწყეს მონასტრების დაფუძნება და ისინი მოგვიანებით ევროპული კულტურის უმსხვილეს ცენტრებად გადაიქცნენ. IV-VIII საუკუნეებში ირლანდიის ეკლესიამ კულტურის დონით ევროპაში წამყვანი ადგილი დაიმკვიდრა და თან ინარჩუნებდა ანტიკურობის მიღწევებს. ირლანდიის მონასტრებში ბერძნულ-რომაული მეცნიერება და კულტურა უცხო არ იყო. კონტინენტის მცხოვრებთაგან განსხვავებით, იქ მათ არავინ უარყოფდა, როგორც წარმართულს. სამონასტრო სკოლებში ისწავლებოდა ბერძნული ენა. ბერები კითხულობდნენ, თარგმნიდნენ და გადაწერდნენ რომაელი პოეტების და პროზაიკოსების ნაწარმოებებს. ირლანდიის სამონასტრო ტრადიცია მომლოცველობას განიხილავდა, როგორც ღვთისმსახურების შემადგენელ ნაწილს. მომლოცველობის არსებითი მხარე იყო მისიონერობა. ბევრი ირლანდიელი ბერი იქცა ქრისტიანობისა და კულტურული მიღწევების მთავარ მქადაგებლად კონტინენტურ ევროპაში. მნიშვნელოვანწილად, სწორედ ირლანდიელი ბერების მიერ იქნა შემზადებული VIII-IX სკ. „კაროლინგური რენესანსი“. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, ვინც „ოკეანეში უდაბნოს ეძებდა“ და ისლანდიის ყველაზე განაპირა ადგილებს მიაღწია. ამაში ისინი ქრისტიანული მომლოცველობის ტრადიციებს მისდევდნენ, მიისწრაფოდნენ დასავლეთის ყველაზე დაუსახლებელი ადგილებისკენ და ანაქორეტები ხდებოდნენ. მათ შორის ყველაზე სახელგანთქმულია VI-VII ს. მიჯნაზე მცხოვრები წმ. კოლუმბანი [124:40]. კოლუმბანი ძალზედ განათლებული ადამიანი იყო. იგი მშვენივრად იცნობდა ვერგილიუსს და ჰორაციუსს. კითხულობდა სენეკას და იუვენილს. მისი მთავარი მოწოდება იყო „ქრისტესთვის მოხეტიალობა“ (pro Christo peregrinaris). ქრისტეს მსგავსად ის გზას გაუდგა თორმეტ მეგობარ ბერთან ერთად. პირველი მონასტერი მის მიერ დაფუძნებული იქნა 575 წ. უდაბნოში. ის როგორც მისიონერი მოგზაურობდა გალიაში, ლანგობარდიასა და ალემანიაში. გზადაგზა აფუძნებდა მონასტრებს. მაგრამ როცა მას განმარტოვება ესაჭიროებოდა, კოლუმბანი ტოვებდა მონასტრებს და დაუსახლებელ ადგილებში საცხოვრებლად განმარტოვდებოდა. ყველაზე მსხვილ კულტურულ ცენტრად იქცა გენუის ახლოს მდებარე მონასტერყ ბობიო. აქ თავს იყრიდნენ მრავალრიცხოვანი მომლოცველები. ცნობილია, რომ ბერების მოვალეობაში შედიოდა სტუმართა და მომლოცველთა გამასპინძლება.

კოლუმბანის თანამედროვე, წმინდა ამანდიც ცნობილი იყო, როგორც მოხეტიალე მისიონერი. იმ დროის მისიონერობის განვითარება სწორედ ირლანდიის მონასტრებში აღზრდილი ბერების მეშვეობით ხდებოდა. ისინი „ღმერთის გულისთვის მოხეტიალობის“ ანუ სამყაროსთვის უფლის სიტყვის მიტანის მოწოდებით იყვნენ შთაგონებულები.

უკვე ადრეულ შუასაუკუნეებში წმინდა ნაწილების მოსანახულებლად წამოწყებულმა მომლოცველობამ მასობრივი ხასიათი მიიღო. გრიგოლ ტურელის (540-594) მოწმობით „ხალხის უზარმაზარი ბრბო, როგორც ფუტკრების გუნდი თაეშეყრილიყო წმინდა ნიცეტის საფლავის ირგვლივ. ისინი იღებდნენ ცვილის მომცრო ნატეხებს, სხვანი კი ცოტაოდენს სვამდნენ. ზოგიერთები საფლავზე გადაფარებული გადასაფარებლიდან ძაფებს აძრობდნენ, ზოგი კი საფლავიდან იმ ბალახის ფესვის ნაგლეჯებს

იღებდა, რომელიც მლოცველთა მიერ იქნა მოტანილი განსასვენებელთან", მაგრამ სათაყვანებლად წმინდა ნაწილები საკმარისი არ იყო, ხოლო მათი დანაწევრება ჯერ კიდევ იკრძალებოდა. წმინდა ნაწილებისთვის ევროპის მრავალ ქვეყანაში მოგზაურობდნენ ხანგრძლივად. გამოჩნდა ბევრი მოგზაური ბერი, რომლებიც ერთი მონასტრიდან მეორეში გადადიოდნენ და ყველანაირად ირიდებდნენ კონტროლს. მომლოცველებს დიდ პატივში ჰყავდათ წმ. ილარიონ პუანტელი; წმ. მარციალი ლიმოჟში; წმ. სერნენი ტულუზაში; წმ. დენი პარიზში. წმ. რემი რეიმში, წმ. მარტინი ტურში, რომლის სათაყვანებლადაც რამდენიმე ასეულ კილომეტრს ფარავდნენ ფეხით. დროთა განმავლობაში, თაყვანისცემის საგნად იქცნენ ეპისკოპოსთა საფლავები. ცნობილია, რომ 498 წელს ფრანკთა სახელმწიფოს დამაარსებელმა ხლოდვიგმა, ტურში სან-მარტენის მონასტრის სარკოფაგები მოინახულა.

ადგილობრივ სამომლოცველო ცენტრს შეიძლება მივაკუთნოთ წმ. მიხეილის საოცრებებით ცნობილი გარგანო. ანდა კასინო, რომელიც წმ. ბენედიქტეს მიერ იქნა სახელგანთქმული. თავის წმინდანები ჰყავდა პირინეის ნახევარკუნძულს, რომელიც მავრებმა დაიპყრეს, მაგრამ მაინც მრავალი მომლოცველი მიემართებოდა ევროპიდან. საფრანგეთის მეფე რობერმა იმოგზაურა რომში და ეთაყვანა წმ. პეტრეს და პავლეს წმინდა ნეშთს. პილიგრიმები მიდიოდნენ ეგვიპტეში და მემფისის მახლობლად უდაბნოში მოხეტიალობდნენ. ამით ისინი ცნობილი მეუდაბნოების პაველესა და ანტონის (251-356) ცხოვრებას „იზიარებდნენ". მაგრამ ამ რთულ და სახიფათო გზაზე შემდგარ მოგზაურთა ყველაზე ძვირფასი ოცნება იერუსალიმის მონახულება იყო.

ბიზანტიაში პირველი იტინერარები (გზამკვლევი) პილიგრიმებისთვის ბერძნულ ენაზე დაიწერა VIII საუკუნეში. მათგან ყველაზე ადრეულია „ეპიფანია აგეოპოლიტის ნაამბობი სირიასა და წმინდა ქალაქზე". ნაშრომში ეპიფანია ერთ დასახულ მიზანს მიჰყვება, რათა სხვა მომლოცველებს გაუზიაროს მაქსიმალურად მოკლე და ინფორმაციულად ტევადი „წმინდა ადგილების" გზამკვლევი. ის ძალზედ იშვიათად სცილდება საეკლესიო-ისტორიულ და ბიბლიურ-სახარებისეულ თემას. მისი თხრობის სტილი ლაკონურია და ყველა მითითება დიდი სიზუსტით გამოირჩევა. სავარაუდოდ, თავისი მოგზაურობისას ის დღიურს აწარმოებდა.

XII საუკუნეში ბიზანტიელი მომლოცველის იოანე ფოკას მიერ შედგენილი იქნა კიდევ ერთი ინტინერარია. წიგნი მან ასე დაასათაურა: „მოკლე მონათხრობი ქალაქებსა და ქვეყნებზე ანტიოქიიდან იერუსალიმამდე, აგრეთვე სირიის, ფინიკიისა და პალესტინის წმინდა მიწების შესახებ". ახალგაზრდობის წლებში ავტორი მეომარი იყო, შემდეგ ის გახდა მღვდელი და წმინდა მიწაზე იმოგზაურა. დაბრუნებისთანავე გადაწყვიტა აღეწერა თავისი სამომლოცველო შთაბეჭდილებები, მაგრამ მას აზრადაც არ მოსვლია, რომ მის თხზულებას გზამკვლევად გამოიყენებდნენ. ფოკამ თავისი შრომა იმათთვის განაკუთვნა, „ვისაც თავისი თვალით არ უნახავს ეს მშვენიერი ადგილები და მათ შესახებ შემთხვევით სხვისგან სმენია. ჩემი გადმოცემა უფრო ნათელ წარმოდგენას უქმნის და ვისაც ნაანხი აქვს, მათაც სიამოვნებას მოგვრის, რადგან რისი ნახვაც სიამოვნებას ანიჭებს, იმის მოსმენაც სასიამოვნოა".

მომლოცველობის აღწერას იოანე ფოკა ანტიოქიიდან იწყებს. შემდეგ ის ბეირუთის, სიდონის, ტიროსის, ნაზარეთის და ა.შ. დახასიათებას მიჰყვება. თავად „წმინდა ქალაქზე ის მოკლედ საუბრობს". მაგრამ საკმაოდ ზუსტად აღწერს ქრისტიანულ სიწმინდეებს მის შემოგარენში – მდ. იორდანეს ხეობაში, მკვდარი ზღვის მახლობლად. მონასტრები, ტაძრები, განდეგილთა საცხოვრისი. ის ასევე სტუმრობდა ბეთლემს, პალესტინის კესარიას, საიდანაც კუნძულ კრეტამდე, მისი საცხოვრებელი ადგილისკენ გაცურა. იოანე ფოკას განსაკუთრებით კარგათ გამოუვიდა ხელოვნების ძეგლებისა და პეიზაჟების აღწერა. შიგადაშიგ თავს უფლებას აძლევდა აღებეჭდა ისეთი ლანდშაფტები, რომელთაც არანაირი საკრალურ მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ავტორის დამახასიათებელი ნიშანია რელიგიური შემწყნარებლობა. ის ყოველგვარი სიძულვილის გარეშე საუბრობს კათოლიკებზე, სომეხ მონოფიზიტებზე და სამარიტელებზე. იერუსალიმის კათოლიკე ეპისკოპოს დიდი პატივისცემით იხსენიებს, რადგან მან განკარგულება გასცა ბეთლემის ტაძარში ბიზანტიის იმპერატორის მანუელ I კომნენოსის (1143-1180) პორტრეტი განეთავსებინათ. ფოკა სიმპათიებით აღნიშნავს ფავორის მთაზე ლათინური და ბერძნული მონასტრების გვერდიგვერდ არსებობის ფაქტს.

ავტორს მისთვის დამახასიათებელი რაციონალიზმი მაშინაც არ ღალატობს, როცა საუბარი ქრისტიანულ სიწმინდეებს ეხებათ. ამის მაგალითია იერუსალიმში მდებარე დავითის კოშკის შესახებ მისეული განსჯა: „ესაა უზარამზარი კოშკი, რომელსაც მართალია ყველა დავითისად თვლის, მაგრამ მე მყარი საფუძველი მაქვს ამ მტკიცებაში ეჭვის შესატანად. იოსები გვამცნობს, რომ დავითის კოშკი

თეთრი თლილი ქვისგან იყო აგებული; ეკლესია და სხვა ორი კოშკი აგებული იქნა იროდის მიერ ფასიადისა და მარიამნის სახელზე. ეს კი ჩვეულებრივი ქვისგანაა ნაგები. შესაძლოა ის ნაშენები იყოს ძველი კოშკის საფუძველზე". თავისი თაყვანისცემის სიფართოვის წყალობით იოანე ფოკამ „მონათხრობში" მრავალი ისტორიული, ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული მნიშვნელობის ფაქტი აღნუსხა. შესანიშნავად აღწერა ნაზარეთში მდებარე „იოსების სახლის" ფრესკები და „ქრისტესშობის მღვიმეები". ნაწარმოები ახლოსაა პილიგრიმთა ადრელათინური ჩანაწერების სტილთან, რომლებშიც აღწერილია პილიგრიმთა წმინდა მიწაზე მოგზაურობის გზები. მომლოცველთა ბიზანტიური ინტინერარიები არსებითად განსხვავდება საერო პირთა ინტინერარიებისგან. გზამკვლევის გამოყენებითი ხასიათი შერწყმულია მის საგანმანათლებო, პროპაგანდისტულ და თვით მხატვრულ ღირებულებებთან. ნაწარმოები სინთეზური ტიპისაა. ის ერთდროულად არის როგორც ინტინერარია, ისე მეგზური და ქადაგება.

მომლოცველობით ცოდვების გადაფარვა ხდებოდა. XI საუკუნის ცნობილი დასავლეთევროპელი მომლოცველი ფულკა ანჟუელი, რომელმაც სამჯერ იმოგზაურა „წმინდა მიწაზე", დადანაშაულებული იყო ცოლის მკვლელობასა და კიდევ სხვა დანაშაულებში. რობერტ ნორმანდიელი, ვილჰელმ დამპყრობელის მამა (1028-1087), რომელმაც მოკლა თავისი ძმა რიჩარდი, როდესაც იერუსალიმს ესტუმრა, შესასვლელთან ნახა მომლოცველთა უზარმაზარი ბრბო, რომლებიც უცდიდნენ მდიდარი ადამიანის გამოჩენას, რათა სიწმინდეების სანახავად მათთვის ფული გადაეხადა. თქმულება გვამცნობს, რომ მან ყველა მომლოცველის მაგივრად გადაიხადა ფული. 1054 წელს კამბრეის ეპისკოპოსი ლიტერგი ფლანდრიელ და პიკარდინიელ 3000 მომლოცველთან ერთად გაემგზავრა წმინდა ადგილების მოსანახულებლად, მაგრამ მთელი მისი „ჯარი" შიმშილით ამოწყდა ბულგარეთში. ცოცხლად დარჩენილები კი მუსულმანებმა ამოხოცეს. ათი წლის შემდეგ, გერმანიის მიწებიდან კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი რაზმი გამოემართა იერუსალიმისკენ, სადაც იერუსალიმის პატრიარქი დიდი ზარზეიმით შეხვდა. მომლოცველები ქალაქში შედიოდნენ ეფრაიმის კარიბჭიდან. შესვლისთვის მათგან გადასახადებს კრეფდნენ. მარხვისა და ლოცვის შემდეგ, ისინი მაცხოვრის საფლავის ეკლესიაში მიემართებოდნენ. ვინც სავანეში რჩებოდა, გარდაცვალების შემდეგ იქვე კრძალავდნენ. მრავალი მათგანი ცდილობდა შეეღწიათ ბეთლემში, რათა იქიდან პალმის რტო წამოეღოთ.

მომლოცველობის მოტივაცია სხვადასხვაგვარი იყო. შესაძლოა ეს ყოფილიყო ღვთისადმი სამადლობელი ომში გამარჯვებისთვის, შესაძლოა გამოჯანმრთელების ან საფრთხის არიდებისთვის. ზოგჯერ მოგზაურობის საბაბი იყო სიზმარი ან გამოცხადება. ზოგიერთი მშობელი ჯერ კიდევ აკვანში განაკუთვნებდნენ თავიანთ შვილებს ღვთისმსახურებისთვის, როცა ისინი იზრდებოდნენ, ვალდებულნი იყვნენ მოსალოცად გამგზავრებულიყვნენ. პილიგრიმებს ყველგან სიხარულით ხვდებოდნენ და ქირის სანაცვლოდ მათთვის ლოცვის აღვლენას სთხოვდნენ. მოგზაურებს ჯვრის გარდა სხვა არაფერი ჰქონდათ თავდასაცავად და მფარველებად ღმერთისგან გამოგზავნილ ანგელოზებს მიიჩნევდნენ.

მომლოცველობის შემდეგ ყველაზე დიდ მადლად მომლოცველობისთვის ხელის შეწყობა ითვლებოდა. პილგრიმთა მისაღებად სხვადასხვა ადგილებში სასტუმროებს (Hospitalia-hospes) აწყობდნენ: მდინარეთა სანაპიროებზე, მთის მწვერვალებზე, მრავალრიცხოვან ქალაქებსა და უდაბურ ადგილებში. XI საუკუნეში იტალიაში ბურგუნდიიდან მიმავალი პილიგრიმებისთვის განსაკუთრებით ფასობდა ცენისის მთაზე განთავსებული მონასტერი. უნგრეთსა და მცირე აზიის სახელმწიფოებში პილიგრიმები სხვა ქრისტიანებთან შედარებით პრივილეგირებულ პირებად ითვლებოდნენ. გასაკუთრებული „მომსახურეობის სამსახურს" წარმოადგენდნენ ჰოსპიტალიერთა რაინდული ორდენი (იოანიტები). ის დასაწყისს იღებს ჰოსპიტალიიდან (Hospitale hierosolymaitanum), რომელიც, იერუსალიმის ქალწულ მარიამის მონასტერში იყო განთავსებული, სადაც ჯერ კიდევ არაბულ დაპყრობამდე იღებდნენ და მკურნალობდნენ წმინდა მიწაზე ჩამოსულ პილიგრიმებს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ამ დაწესებულებას სათავეში ჰერარდი ჩაუდგა, შეიქმნა საძმო, ჩამოყალიბდა მისი წესდება, რომელიც დამტკიცდა რომის პირველმღვდელმთავრები მიერ XII ს-ში.

საძმოს თავდაპირველი ამოცანა იყო ავადმყოფების, პილიგრიმებისა და ვაჭრების დახმარება. ისინი მათ ურწმუნოთა თავდასხმებისგან იცავდნენ. პილიგრიმთა შორის განსაკუთრებულ მოწონებას იმსახურებდნენ ის სასტუმროები, რომლებიც ქრისტეს საფლავის მოპირდაპირე მხარეს იყვნენ განლაგებულები. თანდათანობით ჰოსპიტალიერების მიერ შეიქმნა სასტუმროების მთელი ქსელი, არა მხოლოდ წმინდა მიწის ქალაქებსა და შემოგარენში, არამედ მთელს ახლო აღმოსავლეთის სამომლოცველო ცენტრებში. ჰოსპიტალიერებმა მოგზაურებს უწოდეს „ბატონები", თავად კი თავს მათ „მსახურებად" მოიხსენიებდნენ. მოგზაურებს ისინი ხშირად ფულითაც ეხმარებოდნენ. ცნობილია

შემთხვევები, როცა ჰოსპიტალიერებმა მოელი დღის ნაშოვნი ფული სასტუმროში მიიტანეს და მომლოცველებს დაუტოვეს.

თანდათანობით პირველ ადგილს იკავებდა სამხედრო მიზნები, მომლოცველებს კი მხოლოდ ორდენის ცალკეული რაინდებიღა ეხმარებოდნენ. 1259 წელს რომის პაპმა სპეციალური ბრძანებით დაამტკიცა ორდენის სამი სახეობის წევრი: რაინდი, მღვდელი და ჰოსპიტალიერთა საძმო.



„სამომლოცველო ტურიზმი" წარმოუდგენლად მომგებიანი იყო. ორდენს დიდძალი მიწები ჰქონდა მფლობელობაში, რომელიც უმთავრესად საჩუქრად ჰქონდა მიღებული აზიასა თუ ევროპაში: საფრანგეთში, იტალიაში, ინგლისში, გერმანიაში, კასტილიაში და არაგონში. ორდენის საქმეები იმდენად წარმატებული იყო, რომ XII-XIII საუკუნეებში შეიქმნა თვით ორდენის სახელმწიფო, თუმცა კი, მან მხოლოდ 1291 წლამდე იარსება. ჰოსპიტალიერები იძულებულნი შეიქმნენ დაეტოვებინათ პალესტინა და კვიპროსში გადაბარგებულიყვნენ. ისინი აქ კვლავ გაძლიერდნენ. შეიძინეს კუნძული როდოსი და სახელმწიფო დააარსეს. მათ ბოლო თავშესაფრად იქცა 1530 წელს იმპერატორ კარლოს V მიერ ნაჩუქარი კუნძული მალტა. მას შემდეგ ორდენს მალტის ორდენი ეწოდებოდა. მომლოცველთა დაცვას ანხორციელებდნენ სხვა რაინდული ორდენებიც, მაგალითად ტამპლიერები. წმინდა მიწაზე თავისი მოგზაურობის დასრულების შემდეგ, პილიგრიმი განსაკუთრებულ სიწმინდეს იძენდა. მისი გამგზავრება, ისევე როგორც დაბრუნება გარკვეული საეკლესიო რიტუალით აღინიშნებოდა. ყიდრე მომლოცველი გზას გაუდგებოდა, მღვდელმსახური მას გადასცემდა ტილოს-ჯვრის გამოსახულებით. მოგზაურის ტანსაცმელს ასხურებდნენ ნაკურთხ წყალს. სამღვდელოება მას აცილებდა სპეციალური პროცესიით, შემდგომ დაბრუნებამდე. მომლოცველობის წამოწყება ყველას არ შეეძლო. ამისთვის საჭირო იყო არა მხოლოდ ნათესავების თანხმობა, არამედ ეპისკოპოსის ნებართვაც. ღვთისმსახურები წვრილმანებამდე ინტერესებოდნენ მომავალი მომლოცველის ცხოვრებით. მთავარი, რისი გარკვევაც სწადდათ, იყო თუ არა მოგზაურობის სურვილი ცარიელი ცნობისმოყვარეობით გამოწვეული, რათა მხოლოდ უცხო ქვეყნები მოენახულებინა. ცნობილი იყო, რომ ძალიან ბევრი მდიდარი ადამიანი წმინდა მიწაზე სამოგზაუროდ მხოლოდ პატივმოყვარეობის გამო მიემგზავრებოდა. დაბრუნებისას კი ტრაბახობდნენ თავიანთი თავგადასავალით, რომელიც სულაც არ იყო რელიგიური ხასიათის.

რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ამ შესარჩევი გამოცდის გავლა ყველაზე რთული ოავად ღვთისმსახურებისთვის იყო. მათზე ეჭვი ჰქონდათ, რომ წმინდა მიწაზე გამგზავრება საერო ცხოვრებაში დასაბრუნებლად სურდათ. ვერავინ მიადევნებდა თვალს იმას, თუ როგორ დაიცავდნენ ისინი კათოლიკური ეკლესიის სამღვდელოებისთვის დადგენილ ცელიბატის წესს.

მომლოცველს ეძლეოდა პასპორტის მაგვარი საბუთი, რომელშიც მას რეკომენდაციას უწევდნენ საერო და საეკლესიო პირების წინაშე.

„ყველა წმინდა, ღირსეულ ძმას, მეფეს, მბრძანებელს, ეპისკოპოსებს, გრაფს, აბატებს და სხვ. ყველა ქრისტიან ხალხს ქალაქში, სოფელსა და მონასტერში. ღმერთის სახელით ჩვენ ვუდასტურებთ თქვენს უდიდებულესობას თუ თქვენს ბრწყინვალებას, რომ ამ საბუთის წარმომდგენი არის ჩვენი ძმა, რომელმაც ნებართვა გვთხოვა ჩვენ, რათა მშვიდობით გასდგომოდა გზას სალოცავად და ცოდვების მოსანანიებლად. ამისთვის ჩვენ მას გადავეცით სიგელი, რომელშიც მოგესალმებით თქვენ, რათა ღმრთისა და წმინდა პეტრეს სიყვარულის სახელით მიიღოთ, როგორც სტუმარი. იყოთ მისთვის სასარგებლო მოსვლისას და წამოსვლისას, რათა შინ ჯანმრთელი და უვნებელი დაბრუნდეს. გთხოვთ, თქვენი კეთილშობილური ჩვეულების თანახმად, უზრუნველყოთ მისთვის ბედნიერი დღეები. დაე გფარავდეთ ყოვლისშემძლე ღმერთი. მოგესალმებით მთელი სულით და გულით". წერილი დამოწმებული იყო ეპისკოპოსის ან სიუზერენის ბეჭდით. მას შემდეგ, რაც მომლოცველს გადაეცემოდა პასპორტი

და აღეგლინებოდა ლოცვა, მას უკვე აღარ შეეძლო უარი ეთქვა პილიგრიმობაზე, რადგან მისი ასეთი საქციელი ფიცის გატეხვის დანაშაულს გაუთანაბრდებოდა. მომლოცველის უკან დაბრუნების დროსაც აღეგლინებოდა შესაფერისი ლოცვა მოგზაურობის ბედნიერად დასრულების ნიშნად. საკურთხეველთან კი პალესტინიდან ჩამოტანილი პალმის რტო აღიმართებოდა.

შუა საუკუნეების მომლოცველობა მრავალმოტივაციური მოვლენა იყო. რელიგიური გრძნობების გარდა, პილიგრიმთა გარკვეული ნაწილი განმსჭვალული იყო ამქვეყნიური სურვილებითაც.

ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქა (1096-1270) შუა საუკუნეების ისტორიის ყველაზე გრანდიოზული და დიდებული მოვლენაა. ესაა მასშტაბური სამხედრო ექსპედიციების დრო, რომელიც კათოლიკური ეკლესიის ეგიდით ახლო აღმოსავლეთში ეწყობოდა. ჯვაროსნული ლაშქრობების ოფიციალურად გამოცხადებული მიზანი წმინდა მიწების ურწმუნოთაგან (მუსულმანებისგან) განთავისუფლება და საერთო ქრისტიანული სიწმინდეების, ისლამის შეურაწყოფისგან გამოხსნა იყო. მასობრივი თავყრილობებისას კითხულობდნენ ცნობილი მომლოცველების წერილებს, სადაც გადმოცემული იყო ევროპიდან ჩასული ქრისტიანების მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში [90, გვ. 46].



პალესტინაში ბერძნები და რომაელები ჭარბად იყრიდნენ თავს წმინდა მიწაზე თაყვანისცემის აღთქმის გამო. მტრის მიწა-წყალზე ათას სიკვდილგამოვლილი მიდიოდნენ ქალაქის კარიბჭესთან, მაგრამ არ შეეძლოთ შიგ შესვლა თუ არ გადაიხდიდნენ ხარკს ოქროს მონეტით, თუმცა ისინი მთელს ქონებას გზაში კარგავდნენ და ძლივს ცოცხლადგადარჩენილებს გადახდის არანაირი საშუალება არ ჰქონდათ. ამის გამო ათასობით მომლოცველი თავსიყრიდა ქალაქის შესასვლელთან და ტანსაცმელ შემოძარცვულები შიმშილით ღაფავდნენ სულს.

მაშინაც კი თუ ისინი ქალაქში შეაღწევდნენ, სრულად დაუცველნი იყვნენ და შესაძლოა წმინდა ადგილების მონახულებისას მოეკლათ ან სადმე მიეხრჩოთ. ხშირად ყოველდღიური თავდასხმების მსხვერპლნი ხდებოდნენ. ღვთისმსახურებისას ურწმუნოები გაცოფებულები ყვირილით იჭრებოდნენ ტაძრებში, არბევდნენ და ბილწავდნენ საკურთხეველს. შეურაწყოფდნენ და სცემდნენ სამღვდელოებას. თავად მეუფეს ზიზღით ეპყრობოდნენ და როგორც არარაობას თმა-წვერით ათრევდნენ მიწაზე“ – წერდა არქიეპისკოპოსი ვილჰელმ ტირელი.

მოიპოვება სხვა მტკიცებებიც, რომ ქრისტიანები წმინდა მიწაზე არცთუ ცუდად ცხოვრობდნენ. რომ ზოგიერთი მათგანი მუსულმანების მათზე ან სხვა მომლოცველებზე თავდასხმის პროვოცირებას თავად ახდენდა. კერძოდ, მუსულმანების მიერ დაპყრობილ ქალაქებში შესვლისას საჯაროდ აღავლენდნენ ქრისტიანულ ლოცვებს.

ადამიანები, რომლებიც წმინდა მიწაზე იყრიდნენ თავს, იმ დროის ტერმინოლოგიით რომ ითქვას, „ჯვარს ტვირთულობდნენ“ და როგორც თვითონ ამბობდნენ მომლოცველობდნენ. თავად ტერმინი „ჯვაროსნული ლაშრობა“ იმ დროისთვის არ გამოიყენებოდა, ის უფრო მოგვიანებით წარმოიშვა. XVII საუკუნის ბოლოს, ლუდოვიკო XIV კარის ისტორიკოსმა ლუი მემბურმა დაწერა ამ ეპოქისადმი მიძღვნილი სამეცნიერო ნაშრომი, რომლის სახელწოდება იყო „ჯვაროსნული ლაშქრობების ისტორია“. ამ დროიდან ტერმინი ჯვაროსნული ლაშქრობები მყარად დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერატურაში და სასაუბრო ენაში.

ჯვაროსნული ლაშქრობა არის მოვლენა, რომელმაც შეცვალა ხალხთა მდგომარეობა. მის გაუთვალისწინებლად უკვე შეუძლებელია ისტორიულ მოვლენათა მსვლელობის აღწერა. ჯვაროსნული ლაშქრობებისთვის დამახასიათებელია საყოველთაობა და ყოვლისმომცველობა. მასში ასე თუ ისე მთელი ევროპის მოსახლეობა მონაწილეობდა. ეს ზოგადევროპული მოვლენა ყველა ქვეყანაში სახალხო ხასიათს ატარებდა და ყველა ფენას – მეფეებს, რაინდებს, ქალაქელებს და მიწადმოქმედებს აერთიანებდა. ასე ჩამოაყალიბა ერის მორალური ერთობა.

სწორედ ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა გამოამჟღავნა ევროპის, როგორც მთლიანობის თვისებები. ევროპელებს გაუჩნდათ მორალური, საზოგადოებრივი, სამხედრო და ეკონომიკური საერთო ხასიათის სტიმული.

1095 წელს პაპმა ურბან II ქალაქ კლერმონის მრავალათასიანი მოსახლეობის წინაშე გამოსვლისას იქადაგა წმინდა ომი ურწმუნოთა წინააღმდეგ. ურბან II-მ კარგად უწყოდა, რომ მის წინაშე ცოდვილი და კანონდამრღვევი ჩვეულებრივი მოკვდავები იდგნენ და ამიტომაც მისი ქადაგება წინასწარმეტყველურ გამონათქვამებს ერწყმოდა, რამაც კიდევ უფრო გააძლერა პაპის ეგზალტაცია და სიტყვის წარმოთქმისას არათუ ტიროდა არამედ ხმამაღლა მოსთქვამდა. თავის სიტყვაში პაპი ამბობდა: „სახარების სახელით მივმართავ საზოგადოების გრძნობებს და მოვიხმობ მკვლელებს მისადმი მსახურებად სწორედ იმიტომ, რომ ისინი მკვლელები და ყაჩაღები არიან. თქვენი ძმების სისხლში ნაწრთობი მახვილი მიმართეთ ქრისტიანული სარწმუნოების მტრების წინააღმდეგ! თქვენ, ქვრივ-ობოლთა მჩაგვრელები, მკვლელები, მონასტერთა ნამბილწავნი, სხვათა ქონების მძარცველები; თქვენ, ვისაც იმისთვის გჭირობენ, რათა ქრისტიანების სისხლი დაღვაროთ. იჩქარეთ თუ თქვენთვის ძვირფასია თქვენი სულების ხსნა და დადექით ქრისტეს დროშის ქვეშ – იერუსალიმის სადარაჯოზე!“. ის კათოლიკებს მოუწოდებდა წასულიყვნენ უფლის საფლავის გასათავისუფლებლად და ამ ლაშქრობის მონაწილეებს ეკლესიის მფარველობას და მატერიალურ გამორჩენას ჰპირდებოდა: ჯვაროსნების არყოფნისას მათ ოჯახებს და ქონებას ეკლესია იცავდა.

ჯვაროსნები ლაშქრობის განმავლობაში თავისუფლდებოდნენ ყველანაირი ვალისგან, ბეგარისა და გადასახადებისგან.

გლეხები, რომელთაც სურდათ მონაწილეობა მიეღოთ ჯვაროსნულ ლაშქრობაში, ანთავისუფლებდნენ ფეოდალთა ბატონობისგან.

გარდა ამისა, ვინც ჯვარს იტვირთავდა, ეკლესია მათ ყველა ცოდვას მიუტევებდა.

ჯვაროსანთა პირველი ლაშქრობა შეიძლება ორ ნაწილად გავყოთ: ღატაკების ლაშქრობა და რაინდების ლაშქრობა. ჩრდილოეთ და ცენტრალური საფრანგეთის, ასევე დასავლეთ გერმანიის გლეხობა და ქალაქის მარგინალები, დაახლოებით 30000 ადამიანი, უმეტესად ოჯახებით, ცუდათ შეიარაღებულები ან საერთოდ შეუიარაღებლები, 1096 წლის გაზაფხულზე პალესტინაში გაემგზავრნენ. ზოგირთმა მათგანმა თავისი მოძრავი და უძრავი ქონება გაყიდა. ღატაკთა ამ უწესრიგო მასას წინ უძღოდნენ პეტრე მეუდაბნოე და ღატაკი რაინდი ვალტერ გოლიაკი. ისინი მომლოცველებისთვის კარგად ნაცნობი გზით გადაადგილდებოდნენ რეინისა და დუნაის გასწვრივ. გადაადგილდებოდნენ მახრებივით და გზადაგზა ყველაფერს ანადგურებდნენ. მათ თან მიჰქონდათ არა მხოლოდ სურსათი, არამედ ყველაფერი, რაც ტრანსპორტირებისთვის გამოადგებოდათ. მასობრივმა მოროდიორობამ და ძარცვამ ადგილობრივი მოსახლეობა მათ წინააღმდეგ განაწყო.

ზოგიერთს ქვეყანაში „მომლოცველების“ მოძალებას სახელმწიფოს მეშვეობით იგერიებდნენ. უნგრეთმა და ბიზანტიის ბულგარეთმა ჯვაროსნების გადაადგილება მკაცრ არტახებში მოაქცია. მათ გაფანტვის ან გზიდან გადახვევის საშუალებას არ აძლევდნენ. ბიზანტიელი მოხელეები ზუსტად და ორგანიზებულად ახერხებდნენ ადამიანთა ეს მასა უმოკლეს დროში სრუტეებით გადაეყვანათ. მცირე აზიაში მოხდა ის, რაც თავიდანვე მოსალოდნელი იყო. თურქ-სელჩუკელებმა ჯვაროსნებს მხოლოდ ქალაქ ნიკეამდე მისვლის საშუალება მისცეს, სადაც თითქმის ყველა მათგანი გაანადგურეს. გადარჩა მხოლოდ 3000 კაციანი რაზმი, რომელმაც ევროპამდე მიღწევა შეძლო.

იმავე 1096 წელს რაინდთა რაზმები სალაშქროდ დაიძრნენ. ამ მგზავრობისთვის ისინი განსაკუთრებით მოემზადნენ. იმარაგებდნენ სურსათს, იარაღსა და ფულს. მათი ლაშქარი რამდენიმე ნაწილისგან შედგებოდა. ჩრდილოეთ საფრანგეთის რაინდთა სათავეში იდგა ნორმანდიის ჰერცოგი რობერტი. სამხრეთელებს გრაფი რაიმონდ ტულუზელი მეთაურობდა. ლოტარინგიელ რაინდებს ჰერცოგი გოტფრიდ ბულონელი და მისი ძმა ბოლდუინი თავკაცობდნენ. სამხრეთ იტალიის რაინდები ბოემუნდ ტარენტელის წინამძღოლობით მიემართებოდნენ. რაინდთა რაზმებს თან ახლდათ გლეხების მრავალრიცხოვანი ბრბო, მათ უკან კი გაჭიმული იყო სანოვაგის თვალუწვდენელი აღალი.


რაინდები სხვადასხვა გზებით მოძრაობდნენ. სამხრეთ იტალიის ნორმანები საზღვაო გზებს იყენებდნენ. ყველა, ეს ერთმანეთისგან დამოუკიდებელი რაზმები 1097 წელის გაზაფხულზე კონსტანტინეპოლის კედლებთან შეიკრიბნენ. მათი ურთიერთობა ბიზანტიის ხელისუფლებასთან თავიდანვე არ აეწყო. ამის მიზეზი თავად ჯვაროსნების მიერ დედაქალაქის მოსახლეობის ძარცვა-შევიწროვება იყო. ჯვაროსნების შიგნით წარმოიქმნა უთანხმოება, არა მხოლოდ იმის შესახებ თუ ვინ ჩაუდგებოდა ჯარს სათავეში, არამედ იმაზეც, თუ ვინ გადავიდოდა პირველი ბოსფორის აზიურ სანაპიროზე.

ბიზანტიის იმპერატორი ალექსანდრე I კომნენოსი (1081-1118) კომპრომისის გამონახვას ცდილობდა. იმისათვის, რათა სწრაფად მოეშორებინა ადამიანთა ეს მასა თავისი სახელმწიფოსთვის, უსწრაფესად უზრუველყო მათი აზიაში გადაბარგება და თან იმ პირობით რომ ჯვაროსნები თურქებისგან მიტაცებულ მიწებს ბიზანტიას დაუბრუნებდნენ.

მცირე აზიაში რაინდები გაუთვალისწინებელ პრობლემებს შეეჯახნენ. ჯერ-ერთი უკანდახევისას თურქები „გადამწვარი მიწის“ ტაქტიკას იყენებდნენ. ამიტომ მათ ძალიან სწრაფად შეეტყოთ სურსათის ნაკლებობა. დაიწყო შიმშილი. მეორეც ის, რომ საქმეს ართულებდა კლიმატური ფაქტორი. ევროპელებისთვის უცნობმა სიცხეებმა ისინი გამოფიტა. მზისგან გავარვარებული ჯავშანი ჯვაროსნების სიცოცხლეს საფრთხეს უქმნიდა. ისინი თავიდან იშორებდნენ ჯავშანს და მძიმე შეიარაღებას გზადაგზა ყიდნენ. ჯარი განიცდიდა არამარტო შიმშილს, არამეს წყურვილსაც. ჯვაროსანთა ერთ-ერთმა რაზმმა კილიკიაში მიღწევისთანავე, რომელიც მესოპოტამიიდან სირიისკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს, ბიზანტიის პროტესტის მიუხედავად დაიპყრო სომხების ქრისტიანული სამთავრო ედესი. ასე შეიქმნა ჯვაროსანთა პირველი სახელმწიფო – ედესის საგრაფო, რომელსაც სათავეში ბალდუინი ჩაუდგა.

ჯვაროსანთა ძირითადმა რაზმებმა ალყა შემოარტყეს უმდიდრეს ქალაქ ანტიოქიას. ერთწლიანი ალყისა და ქალაქის გარნიზონის უფროსის ღალატის შემდეგ, 1098 წელს ანტიოქია დაეცა. ჯვაროსნებმა ქალაქის მთელი მოსახლეობა, მათშორის ქრისტიანებიც, მთლიანად ამოწყვიტეს. ასე აღმოცენდა ჯვაროსანთა მეორე სახელმწიფო – ანტიოქიის სამთავრო ბოემუნდ ტარენტელის მეთაურობით.

ჯვაროსნებმა იერუსალიმს 1099 წელს მიაღწიეს. ალყა ხანმოკლე აღმოჩნდა, იერიში კი ძალზედ გააფრთებული. ხოცვა-ჟლეტა არნახულად სასტიკი იყო. მუსულმანებს სქესისა და ასაკის განურჩევლად ხოცავდნენ. მათ ვერც მეჩეთის კედლები შველოდათ, სადაც ისინი დამალვას ცდილობდნენ. დაიწყო ძარცვა. ცობა ამ სასაკლაოს შესახებ მთელს მუსულმანურ სამყაროში გავრცელდა, რამაც შეძრა და აღაშფოთა ისლამის მიმდევრები. იერუსალიმში შეიქმნა ჯვაროსნების უდიდესი სახელმწიფო – იერუსალიმის სახელმწიფო. მას ნომინალურად ექვემდებარებოდა ტრიპოლისა და ედესის საგრაფოები, ასევე ანტიოქიის სამთავრო. გოტფრიდ ბულონელი გახდა იერუსალიმის სამეფოს მეთაური. ჯვაროსანთა ყველა სახელმწიფომ სრულად გადმოიღო ევროპული სახელმწიფოების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობის მოდელი თავის ახალ მიწაზე.



ადგილობრივი მოსახლეობა არსებითად ყმებად აქციეს. ისინი მთლიანად რაინდების და ფეოდალების ნებასურვილზე იყვნენ დამოკიდებულები და მათ მოსავლის ნახევარს ართმევდნენ. ეს მათ გაღატაკებას იწვევდა, რაც ხშირი მღელვარებებისა და აჯანყებების მიზეზი ხდებოდა. ეკლესიამ მრავლად მიიღო მიწები და სრულად განთავისუფლდა გადასახადებისგან. იტალიური ქალაქების ვაჭრები, რომლებიც ჯვაროსნებს ახლო აღმოსავლეთის სანაპიროების დაპყრობაში დაეხმარნენ, ჯვაროსანთა ყველა სახელმწიფოში კოლოსალურ სარგებელს ჰპოვებდნენ, ისინი სწრაფად ზრდიდნენ ვაჭრობის მოცულობას. ჯვაროსანთა სახელმწიფოები კი აღმოსავლეთის ქვეყნებსა და ევროპას შორის

სატრანზიტო ვაჭრობის ცენტრად იქცნენ. ყველა ქალაქში წარმოიქმნა კვარტალები, რომელშიც იტალიელი ვაჭრები ცხოვრობდნენ. ისინი ექსტერიტორიულობის უფლებით სარგებლობდნენ.

ჯვაროსნების ტერიტორიული ექსპანსია 1130 წლამდე გრძელდებოდა. ამის შემდეგ მათი ტერიტორია ნელ-ნელა, მაგრამ განუხრელად მცირდებოდა. მუსულმანთა მხრიდან გამუდმებულ შემოსევებს ხშირად ვერ უწევდნენ სათანადო წიანაღმდეგობას, რადგან ჯვაროსანთა ციხესიმაგრეები და გარნიზონი ერთმანეთისგან ძალზედ შორს იყვნენ და დამხმარე ძალები დროულად ვერ მოდიოდნენ. თავად ფეოდალებიც იმდენად იყვნენ შურით გამსჭვალულები თავიანთი მდიდარი მეზობლების გამო, რომ მაინცდამაინც თავს არ იწუხებდნენ დასახმარებლად. ცალკეულ ფეოდალთა შორის მტრობა იმდენად ფესვგამდგარი იყო, რომ ხშირად კავშირებს ჰკრავდნენ მუსულმანებთან – ერთმანეთის წინააღმდეგ. არასტაბილური და სახიფათო ვითარება ხელს უწყობდა ემიგრაციას. მეტწილად კი, პილიგრიმთა დიდი ნაწილი, რომლებმაც მნიშვნელოვანი ქონების დაგროვება შეძლო, სამშობლოსკენ მიიჩქაროდა.

ჯვაროსანთა სახელმწიფოების ერთიანი თავდაცვის სისტემის შექმნის ორგანიზაციამ გამოიწვია ტამპლიერებისა და ჰოსპიტალიერების სამხედრო-მონაზვნური ორდენების შექმნა. ისინი მოწოდებულები იყვნენ დაეცვათ არამარტო სახელმწიფოს საზღვრები, არამედ მომლოცველებიც. მაგრამ მოხვეჭისა და ძალაუფლების განმტკიცების სურვილი მათ პირდაპირ მოვალეობაზე ძლიერი აღმოჩნდა. ეს ჯვაროსანთა სახელმწიფოს დაცემის ერთ-ერთი მიზეზიც იყო.

1144 წელს პირველი ედესის სახელმწიფო დაეცა.

1187 წელს თურქებმა დაიპყრეს იერუსალიმი, იაფფა, სიდონი, ბეირუთი და მთელი რიგი სხვა ქალაქები.

ბიზანტიის ნანგრევებზე შეიქმნა ლათინური იმპერია, თესალონიკის და აქეველთა სამთავრო და თებეათენის საჰერცოგო. 1261 წელს მიხეილ VIII პალეოლოგმა (1259-1261) შეძლო აღედგინა ბიზანტიის იმპერია, მაგრამ მას ძველი დიდება აღარ მოსავდა.

XIII საუკუნის დასაწყისში, რომის პაპისა და ახალი ორდენების (დომინიკელები, ფრანცისკელები) გააქტიურების შედეგად, რელიგიური „რენესანსი“ დაიწყო. გაჩნდა ახალი იდეოლოგემა: თითქოს იერუსალიმს იმიტომაც ვერ იღებდნენ, რომ ლაშქრობაში მონაწილე ადამიანები ცოდვებით იყვნენ ძლიერ დამძიმებულები და საქმეს მხოლოდ სულით უმწიკვლო ბავშვები უშველიდნენ.

XIII საუკუნის 20-იან წწ. ევროპაში ეკონომიკური ვითარება სტაბილური გახდა, ხოლო თრაკიასა და მცირე აზიაში ჯვაროსნები მარცხს მარცხზე განიცდიდნენ და მათი მოძრაობა, რომაულ-კათოლიკურ ეკლესიის გააფრთებული პროპაგანდის მიუხედავად, რეგრესს განიცდიდა.

1228-1229 წწ. ფრიდრიხ II შეძლო იერუსალიმისა და პალესტინის სხვა ქალაქების დამორჩილება, მაგრამ მას მყარი საფუძველი არ ჰქონია, 1244 წელს მუსულმანება ისინი ომით დაიბრუნეს.

XIII საუკუნის ბოლოს ჯვაროსნებმა ყველა თავის სამფლობელო დაკარგეს აღმოსავლეთში. 1268 წელს ჯვაროსნებმა დაკარგეს ანტიოქია, 1289 წ. ტრიპოლი, 1291 წელს თავისი ბოლო ციტადელ – აკრა.

აქამდე ერთიანი რელიგიური ენებათაღელვა საბოლოოდ დაცხრა. ამას ისიც ამტკიცებს, რომ ლუდოვიკო IX ცდილობდა მოლაპარაკებოდა თათარ-მონღოლობს აღმოსავლეთში ერთიანი მოქმედების შესახებ, თუმცა ვერ მოასწრო. მერვე ლაშქრობისას წმინდა მიწების განთავისუფლების საკითხი საერთოდ აღარ ყოფილა აქტუალური. ტუნისში ლაშქრობისთვის მოხალისეთა უმნიშვნელო რაოდენობა მოგროვდა და ლუდოვიკო IX იძულებული გახდა დაქირავებული ჯარი შეეკრიბა.

ახლო აღმოსავლეთში კოლოსალური ევროპული მიგრაციის შედეგი სხვადასხვაგვარი იყო.

ჯვაროსნული ლაშქრობების უმთავრესი შედეგი იყო ევროპელთა გონების განთავისუფლება უმოქმედობისგან. დამოკიდებულება ქრისტიანული სარწმუნოებისადმი არ შეცვლილა, თუმცა რელიგია აღარ განიხილებოდა იმ ერთადერთ სფეროდ, რომლის გარშემოც ადამიანის გონება ტრიალებდა.

ამ ლაშქრობების წყალობით ევროპამ გაიცნო არაბული სამყაროს მეცნიერებისა და კულტური მიღწევები. ევროპელმა მეცნიერებმა ზუსტ მეცნიერებებში: ასტრონომიაში, მათემატიკაში, გეოგრაფიასა და ქიმიაში მნიშვნელოვნად გაამდიდრეს თავისი ცოდნა. უძველესი ევროპული ფილოსოფია ისევ ევროპაში დაბრუნდა. მუსულმანმა ფილოსოფოსებმა არაბულ ენაზე გადათარგმნეს და შემოინახეს ანტიკური ავტორების მრავალი ნაწარმოები, რომელთა ნაშრომების ორიგინალიც განადგურებული იყო. მათ შორისაა არისტოტრლე.

სამყაროზე ზოგადი წარმოდგენა გაფართოვდა. გააქტიურდა კონტაქტები აღმოსავლეთის ხალხთან. XIV საუკუნეში პარიზის უნივერსიტეტში სურდათ თურქული ენების კათედრის შექმნა. ევროპულ ლიტერატურაში გაჩნდა ახალი სიუჟეტები, რომელიც ნასესხები იყო აღმოსავლელი ავტორების ნაწარმოებებიდან.

გამრავალფეროვნდა საკვები. ევროპელებმა დაიწყეს მანმადე მათთვის უცნობი ბრინჯის, ლიმონის, გარგალის, წიწიბურის, საზამთროს და სხვ. კულტურების გამრავლება. ხელი მიჰყვეს ლერწმისგან მიღებული შაქრის გამოყენებას.


ევროპელებმა შეიტყვეს ქარის წისქვილებისა და საფოსტო მტრედების არსებობის შესახებ. ყოფა-ცხოვრებაში დაინერგა ჰიგიენის ნორმები — ჭამის წინ ხელების დაბანის და ბანაობის წესი. დაიწყეს ჩანგლების გამოყენება და თეთრეულის მანმადე გამოცვლა, ვიდრე ის ტანზე შემოაცვდებოდათ.

ჯვაროსნული ლაშქრობები გამოცხადებული იქნა არამხოლოდ მუსულმანების წინააღმდეგ. უკვე XII საუკუნის შუახანებში შედგა პირველი ჯვაროსნული ლაშქრობა ბალტიისპირეთში ადგილობრივი წარმართი სლავების წინააღმდეგ.

ჯვაროსნული ლაშქრობების ეპოქა და ქრისტიანების მასობრივი მომლოცველობა, რომელიც მას წინ უსწრებდა, შუასაუკუნეების ეპოქის მოგზაურობის ყველაზე მასობრივი მოვლენაა. მასში მონაწილეობას იღებდა პრაქტიკულად ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელი. მრავალრიცხოვანი მემუარები, სამეცნიერო და გამოკვლევითი ლიტერატურა საშუალებას იძლევა შევაფასოთ ეს პროცესები და აღნიშნული მოვლენის მნიშვნელობა გავიგოთ ტურიზმისა და „სერვისის“ ჩასახვისა და განვითარების თვალსაზრისით იმ პერიოდის ევროპაში.

2.4 ჯვაროსანი რაინდები და საქართველო

რიჩარდ ჰალიბარტონმა, ამერიკელმა მოგზაურმა, 1935 წელს თბილისში ყოფნისას შეიტყო საოცარი ლეგენდა დაკარგული ჯვაროსანი რაინდების შესახებ, რომლებიც თითქოს კავკასიის მთებში ცხოვრობდნენ. ასეთივე ცნობა აქვს გერმანელ კ.კოხს, რომელიც აღწერს ჯვაროსანი რაინდის ხმლის ყიდვას აფხაზეთში და ახსენებს ხევსურებს, როგორც ევროპელ რაინდთა შესაძლო შთამომავლებს. ზისერმანმა და სხვა მსგავსმა მეცნიერებმა არ იცოდნენ ან შეგნებულად მალავდნენ (რასაც, ჩვენი ღრმა რწმენით, ხელს უწყობდა რუსული იდეოლოგია) იმ ფაქტს, რომ არა მხოლოდ ხევსურეთი, არამედ მთელი საქართველო ევროპაზე ორიენტირებული ჯვაროსნული და რაინდული ქვეყანა იყო.



იქედან გამომდინარე, რომ ყველაზე დიდხანს საქართველომ შეინარჩუნა რაინდული სული და ტრადიციები, იენის უნივერსიტეტის პროფესორი რობერტ ბლაიხშტაინერი ვარაუდობდა, რომ შუა საუკუნეების დასავლეთის რაინდობა ქართულის გავლენას განიცდიდა [28]. ეს დასტურდება როგორც ქართული, ასევე უამრავი უცხოური ისტორიული წყაროთი. არ უნდა იყოს შემთხვევითი, რომ ქართულ და დასავლეთ ევროპულ სარაინდო რომანებს ტიპოლოგიურად ბევრი რამ აახლოვებს, განსაკუთრებით სიყვარულის რაინდული გაგება, „წმინდა მხედრისა“ და „რაინდობის“ მსგავსი გააზრება და სხვა. ევროპაში რაინდების ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი დეზები იყო. ნიკოლოზ ტოლოჩანოვი, რომელიც 1651 წელს იმერეთში ელჩად იმყოფებოდა, აღნიშნავს, რომ იმერეთში ყველანი, ქვეითები თუ ცხენოსნები, დეზებს ატარებენ. დასავლეთ საქართველოში XIX საუკუნეშიც შემორჩენილი იყო დეზების ტარება, რაც ძლიერ უკვირდა ა.ნ.მურავიოვს, რომელიც წერდა: საოცარია საიდან შემოვიდა აქ ეს რაინდული ჩვეულებაო. საყურადღებო ცნობა ეკუთვნის კ. ბოროზდინს, რომლის მიხედვითაც 1850-იან წლების სამეგრელოში სამთავრობო აზნაურები ატარებდნენ ორ დეზს და, ევროპელი რაინდების მსგავსად, თავადებთან ერთად სხდებოდნენ და ერთმანეთს მიმართავდნენ სიტყვით „ძმაო“. დაძმობილების ინსტიტუტი, რაც ეგზომ მძლავრად აისახა „ვეფხისტყაოსანში“, რაინდული კოდექსს ემყარება. რაინდების ურთიერთმიმართვის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა იყო „ძმაო“, რაც ქართულ სინამდვილეში დღემდე შემორჩა. აი როგორ მიმართავს ხევსური თავის მეგობარს წერილში: „პირველად მრავალს მაკითხვას მაგახსენებ მზის უწინ სანახველო, საცხად სანატრელო, ჩემო იმედო, ძმაო აბიკავ“ [37]. ეს ჯვაროსინულ ხანის რაინდული მიმოწერის აშკარა ანალოგია. რაინდთა

განმასხვავებელი ნიშანი იყო აგრეთვე რაინდული სარტყელი. ამ მხრივ საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ლათინები (ეკრიპელები) ქართველებს „სარტყლის ქრისტიანებს“ უწოდებდნენ. საქართველოში შემორჩენილ ამ და ბევრ სხვა რაინდულ ტრადიციას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს, რაც, ჩვენი აზრით, რაინდ – ბერ ტამპლიერთა ორდენსა და საქართველოს შორის მჭიდრო კავშირიდანაც უნდა მომდინარეობდეს. არსებობდა თუ არა საქართველოში ტამპლიერთა მსგავსი რაინდული ორდენები? ამ საკითხს ზოგადად შეეხო ს.კაკაბაძე. მან საინტერესო პარალელები გაავლო ტამპლიერებსა და ქართულ ქრონიკებში ნახსენებ ტერმინ „ტაძრეულს“ შორის, გამოთქვა ვარაუდი საქართველოში რაინდული ორდენების არსებობაზე და აღნიშნა, რომ საკითხის გადაწყვეტა ახალ მასალებსა და დაკვირვებას საჭიროებს და თავის მოსაზრებას მხოლოდ სამუშაო ჰიპოთეზის ხასიათს ანიჭებს [32]. მიგვაჩნია, რომ ქართულ ხელნაწერებში წარმოდგენილი ტერმინი „ტაძრელი“ ევროპული „ტამპლიერის“ შესატყვისია. ეს დასტურდება XII საუკუნის იერუსალემის ერთ-ერთი ქართული ხელნაწერის მინაწერში დაცულ ტამპლიერ რაინდთა ალაპებით, სადაც მოხსენიებულნი არიან: „სირ პერ კუმანდური ტაძრელთა“, „პერი ტაძრელთა და ძმა ტაძრელთა ჯუან“ და მათი ოჯახის წევრები [40]. ამ ხელნაწერიდან მტკიცდება, რომ ტამპლიერები (ტაძრელნი) სწირავდნენ მამულებს და ფულად სახსრებს იერუსალემის ქართულ ჯვრის მონასტერს. რაც ცხადყოფს ქართველ და ევროპელ ტაძრელ – ტამპლიერთა სულიერ მეგობრობას. ქართულ წყაროებში ვხვდებით ტერმინს „ტაძრეული“: ყვარყვარე ციხისჯვარელმა „მოიწოდა ყოველთა მესხთა ერისთავთა და ყოველთა ტაძრელთა“ (ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, 1987), „შეიბნეს ძლიერად, სძლიეს თათართა და მრავალი ტაძრეული აზნაური მოკლეს“ (ჟამთააღმწერელი). მეტად მნიშვნელოვანია ტაძრეულის ხსნება დავით აღმაშენებელის ისტორიკოსთან, რადგან ეს ის ხანაა, როდესაც ტამპლიერთა ორდენი ყალიბდება და ამავე დროს ხდება ქართული მესიანისტური იდეის ხორცშესხმა. ტამპლიერთა ორდენს და საქართველოს უპირველესად აკავშირებს ღვთისმშობელი მარიამი. ტამპლიერთა განსაკუთრებული თაყვანისცემის ობიექტი ღვთისმშობელი იყო და ორდენის ტაძართა უმრავლესობა სწორედ მის სახელზე იყო აგებული, რადგან: „ღვთისმშობელია ჩვენი ორდენის დასაწყისი და მასში და მის ღირსებაში მოხდება ჩვენი სიცოცხლისა და ჩვენი ორდენის დასასრული მაშინ, როცა ღმერთი ინებებს“ – ეს გამოკვეთილად არის აღნიშნული ტამპლიერთა ორდენის წესდებაში [105]. ტამპლიერების სამფლობელოებს განსაკუთრებული პრივილიგირებული სტატუსი ჰქონდათ. ისინი გამოირჩეოდნენ ტაძრებისა და ციხესიმაგრეების დიდი რაოდენობითა და ტამპლიერული სიმბოლოკის სიუხვით. ტამპლიერთა ტაძრების უმრავლესობას მრგვალი ფორმა ჰქონდა და შემკული იყო კრავისა და აყვავებული ჯვრების სიმბოლიკით. ასეთი ანალოგიები გვაქვს საქართველოშიც. თვით ორდენის სახელწოდება წარმოიშვა იერუსალემში მდებარე იმ ადგილიდან, სადაც სოლომონ მეფის ტაძარი და სასახლე იდგა. VII საუკუნეში ამ ადგილას აშენდა მრავალწახნაგოვანი, მრგვალი მეჩეთი, რომელიც 1099 წელს ქრისტიანულ ტაძრად გადაკეთდა და ეწოდა „Templus Domini“, ანუ ტაძარი ღვთისა. ევროპაში დაბრუნებულმა ტამპლიერებმა იგი თავიანთი ტაძრების მოდელებად გამოიყენეს. ტამპლიერთა ერთ-ერთი მთავარი ტაძარი, რომელიც დღესაც დგას ლონდონის ცენტრში, მრგვალია [103]. ერთ-ერთი ვერსიით მრგვალი ტაძარი გრაალის სიმბოლოა და მის ფორმას იმეორებს. ტამპლიერების კავშირს გრაალთან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ვოლფრამ ფონ ეშენბახის „პარციფალის“ მიხედვით, გრაალის რაინდები ტამპლიერები არიან. გრაალის საზოგადოების ჩამოყალიბებისას ავტორი ტამპლიერთა ორდენის მაგალითით სარგებლობდა (ა.თვარაძე, გრაალის პრობლემა ვოლფრამ ფონ ეშენბახის მიხედვით, 2000). ჩვენი რწმენით, გრაალი თვით ღვთისმშობლის სიმბოლოა, რადგან მისი წმინდა სხეული მაცხოვარს ატარებდა, როგორც გრაალი ატარებს მაცხოვრის სისხლს. ღვთისმშობელის სხეული წმინდა ჭურჭელია – წმინდა გრაალია! „გრაალი არის სულიწმინდის მატარებელი, სიმბოლო ღვთისმშობელისა, სულიწმინდისა და გრაალის მფლობელი არის სულიწმინდით განმსჭვალული და სულიწმინდა მომადლებული ადამიანი“ [10].

ტამპლიერთა ორდენის დაარსებამდე რამდენიმე საუკუნით ადრე ღვთისმშობლის სახელზე აგებული ბანას განსაცვიფრებელი მრგვალი ტაძარი გრაალის ფორმას უნდა იმეორებდეს. საიდუმლოებებითაა მოცული 1978 წელს სამეგრელოში აღმოჩენილი მრგვალი ტაძრების ნანგრევები, რომელთა სახურავების კრამიტის ანტეფიქსებზე ე.წ. ტამპლიერული ჯვრებია გამოსახული. წყაროებში მათ შესახებ ცნობები არ მოიპოვება. ასევე აღნიშნის ღირსია ღვთისმშობლის სახელზე აგებული გელათის მთავარი ტაძრის მოზაიკაზე გამოსახული ღვთისმშობელი ყრმა იესოთი ხელში, რომელსაც შუბლზე გრაალი აქვს



გამოსახული [11]. ლეგენდის თანახმად, გრაალი აღმოსავლეთიდან მოდის და აღმოსავლეთშივე უნდა დაბრუნდეს [97]. გრაალს უზარმაზარი ქრისტიანული სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, რადგან ისევე როგორც ღვთისმშობელმა მარიამმა გამოისყიდა ევას ცოდვები, ასევე მაცხოვრის სისხლმა, გრაალის მეშვეობით უნდა გამოისყიდოს ცოდვები ლუციფერისა [100]. აღსანიშნავია ტამპლიერთა ტრადიცია ციხე-დარბაზის საფუძველში მონეტებით სავსე მოოქროვილი ვერცხლის თასის, ანუ განძის ჩადებისა. ასეთივე ტრადიციას ვხვდებით საქართველოშიც. თითქმის ყველგან სადაც ნაცხარია, მის მეზობლად მცხოვრების შეგნებაში ის რაღაც საიდუმლოს ინახავს, რაც ხშირად განძის სახით არის წარმოდგენილი. საქართველოში ვერცხლის თასი ჯვრის განძის აუცილებელი ნაწილი იყო. ღვთისმშობელს უკავშირდება ტამპლიერთა სიმბოლო – თეთრ ფონზე გამოსახული წითელი ჯვარი, რომლის, როგორც ღვთისმშობლის სიმბოლოს აღქმა, მტკიცდება ევროპული იკონოგრაფიით (მაგ.უილტონის დიპტიხი, ლონდონის ეროვნული გალერეაში). ამ სიმბოლოკის განმარტებას იძლევა ტამპლიერთა ორდენის მემატიანე ჟაკ დე ვიტრი, ქალაქ აკრის ლათინი ეპისკოპოსი 1216-1228 წლებში: „თეთრი ფერი არის ემბლემა უბიწოებისა, ხოლო წითელი მარტვილობისა“ [93], რაც, ჩვენი აზრით ერთგვარი სიმბოლოა საქართველოსა და ქართველი ერის ისტორიისა. ეს ის დე ვიტრია, რომელიც 1226 წელს ქართველების შესახებ წერდა: „მაშინ, როცა ქრისტიანთა უმრავლესობა დიდ წინააღმდეგობებს აწყდებოდა იერუსალემში შესვლასა და ცხოვრებაზე, ქართველებს შეეძლოთ თავისუფლად ემოძრავათ და ეცხოვრათ. ქართველები ცხენზე ამხედრებულნი, გაშლილი დროშით შედიოდნენ იერუსალემში და მათ არ მოეთხოვებოდათ იმ ბაჟის გადახდა, რაც ყველა სხვა ქრისტიანისათვის სავალდებულო იყო“. სამწუხაროდ, დე ვიტრი არ აღწერს ქართველთა დროშას, თუმცა თეთრ ფონზე წითელი ჯვრის სიმბოლიკა საქართველოშიც დასტურდება. ტამპლიერ რაინდთა უმთავრეს მოვალეობას პალესტინაში მიმავალი პილიგრიმების დაცვა იყო. იგივე მოვალეობას კისრულობდნენ საქართველოს მეფეები. ტამპლიერთა ორდენში ტრაპეზის დროს განსაკუთრებული წესები არსებობდა. სუფრის თავში ორდენის მაგისტრი უნდა მჯდარიყო და მას განსხვავებული სასმისი, თასი ეკუთვნოდა. მაგისტრი ერთადერთი იყო, ვისაც ჰქონდა პრივილეგია სუფრის წევრებისათვის გაეგზავნა სასმელი და კერძები. მისი უფლების გარეშე არავის შეეძლო მაგიდა დაეტოვებინა, თუ ამას განსაკუთრებული აუცილებლობა არ მოითხოვდა. ორდენის რაინდებს ზომიერად ღვინის სმის უფლება ჰქონდათ. დაშვებული იყო ღვინის სმა ეპისკოპოსებთან და არქიეპისკოპოსებთან, აგრეთვე იოანიტების ორდენის რაინდებთანაც, იმ შემთხვევაში თუ რაინდებს შორის გულითადი მეგობრობა არსებობდა. აღსანიშნავია აგრეთვე მწვანილი, როგორც აუცილებელი ატრიბუტი ტამპლიერთა ტრაპეზის დროს [105]. ყოველივე ეს აშკარა მსგავსებას ავლენს ქართველ დიდებულთა სუფრის წესებთან და თამადობის ინსტიტუტთან. ტამპლიერებსა და ქართველებს უკავშირდება მაცხოვრის ჯვრის ისტორიაც. ტამპლიერებს ჰქონდათ პრივილეგია ყოფილიყვნენ ამ უდიდესი რელიქვიის მცველები. ამ ჯვარის გადატანას უნდა ხლებოდა იერუსალემის ტამპლიერთა კომანდორი და ათი რაინდი. ორ ტამპლიერ ძმას ყოველთვის ღამე უნდა გაეთენებინა ჯვრის დაცვაში. ამ რელიქვიას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვისაც. ცნობილია, რომ როდესაც ეს ჯვარი ხელში ჩაიგდო სულთანმა სალადინმა, თამარ მეფემ უზარმაზარი გამოსასყიდი შესთავაზა ჯვრის დაბრუნებაში, მაგრამ უარი მიიღო. ჯვრის დაცვის ასეთივე ტრადიციის არსებობა დამტკიცებულია საქართველოშიც. ერთ-ერთ უდიდეს რელიქვიას, სადგერის ჯვარს, რომელიც დიდ ომებში წინ უძღოდა საქართველოს ლაშქარს, რამდენიმე საუკუნის განვალობაში იცავდა შოთაძეების გვარი (რ.ფირცხალაიშვილი, კლავ რუსთველის ბიოგრაფიის პრობლემების გარშემო, 1991). ტამპლიერ

რაინდთა შორის ხშირი იყო შემთხვევები იერუსალემში მოულოდნელი გამგზავრებისა, რისი მიზეზებიც პირადი ტრაგედიები (უიღბლო სიყვარული და სხვ.) ყოფილა. რაინდი გი კორნელი, ტილ-შატელიდან მივიდა იმ აზრამდე, რომ გამგზავრებულიყო იერუსალიმს და იქ, მაცხოვრის ტაძარში, გაეგრძელებინა ქრისტესადმი სამსახური, როგორც რაინდს [105]. ამგვარად, გამორიცხული არ არის, რომ ქართველი ბერი-რაინდი, მეჯურჭლეთუხუცესი შოთა რუსთაველი, რომელმაც მოახატვინა ჯვრის მონასტერი, მომხსენებელი და ღრმა სულიერი მეგობარი ყოფილიყო ტაძრელთა, რომლებთანაც მას ესოდენ ბევრი რამ აერთიანებს სულიერად და მსოფლმხედველობრივად" [12]. XI-XII საუკუნეებში მამაკაცების უმრავლესობა სუფთად პირგაპარსულნი იყვნენ, მაშინ როცა ტამპლიერებს ევალებოდათ წვერის ტარება, რაც მათი განმასხვავებელი ნიშანი იყო [87].


იმავე პერიოდის ქართველი რაინდებიც წვერ-ულვაშს ატარებდნენ, რაც ნათლად ჩანს ქართული ხელნაწერებიდან და ფრესკებიდან [85]. ტამპლიერების საქართველოსთან ურთიერთობაზე უნდა მეტყველებდეს შემდეგი ფაქტი: იონე ბატონიშვილის თანახმად, დავით აღმაშენებლის მეფობისას ქართლში ჩამოსულა იერუსალემის მეფე ბალდუინი; „ამა რიცხვსა შინა იყო ბალდჳოინ იერუსალიმის მეფედ, რომელმანცა მრავალი ძღუება მიიღო სარაცინელთა ანუ არაბთა ზედა. და ესე ბალჳოინ მოვიდა იდუმალ ქართლსა შინა მოთხრობისამებრ სხუათა ისტორიებითა". ცნობილია, რომ იერუსალემის პირველი მეფე ბალდუინი (რომლის ძმამ, გოტფრიდ ბულონელმა 1099 წელს აიღო იერუსალემი) ტამპლიერთა ორდენის დიდი მეგობარი და მფარველი იყო. სწორედ მან გადასცა ტამპლიერთა ორდენის დამაარსებელს, ფრანგ რაინდს ჰიუგო დე პეიენის იერუსალემში რეზიდენციად ის ადგილი, სადაც ბიბლიური სოლომონ მეფის სასახლე და ტაძარი იდგა. ბალდუინის ქართლში შესაძლო სტუმრობა უნდა მომხდარიყო 1117-1118 წლებში, რაც ემთხვევა ტამპლიერთა ორდენის დაარსების თარიღს (1118). ისევე, როგორც ბაგრატიონები, იერუსალემის ლათინი მეფეებიც ბიბლიური მეფე დავითის შთამომაელად და ქრისტეს ნათესავად სთვლიდნენ თავს და იერუსალემს თავის სამემკვიდრეოდ მიიჩნევდნენ. ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელის ლაშქარი ჯვაროსნებთან ერთად იბრძოდა იერუსალემისათვის [44]. იქნებ სწორედ ამიტომ აღნიშნავს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორი, რომ „სპანი ახლისა დავითისნი წყობათა დავითისათა იერუსალემს ერთობდეს-ო". დავით აღმაშენებელი ბალდუინს საჩუქრებსაც უგზავნიდა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ გოტფრიდ ბულონელისა და მისი ძმის ბალდუინის საფლავები წმ.იოანე მახარობლის ქართულ სამლოცველოში ყოფილა დაცული [65]. ბალდუინის ქართლში სტუმრობის ფაქტი კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის დავით აღმაშენებელის და საერთოდ საქართველოს როლს იმ დროის დასავლურ ცივილიზაციაში. ტამპლიერთა ორდენის დამაარსებლები, მათი პროტეჟეები (ისეთი, როგორიც იყო წმ.ბერნარ კლერვოელი, იმ დროის უდიდესი ავტორიტეტი), წარმოშობით საფრანგეთიდან იყვნენ. ამის გათვალისწინებით, ადვილდება დავით აღმაშენებელის ისტორიკოსის სიტყვების გაგება: „ვინ იყო ესოდენ მართლად აღმწონელ საქმეთა და მცნობელ ვითარებისა კაცისასა, რომელსა აჩრდილსა შეკრებულ იყვნეს ერნი, ტომნი და ენანი, მეფენი და ხელმწიფენი ოვსეთისა და ყივჩაყეთისანი, სომხეთისა და ფრანგეთისანი, შირვანისა და სპარსეთისანი" [35]; [146].

2.4.1 იერუსალიმში ტამპლიერებისა და ქართველი ბერების ურთიერთობა (1155-1187 წწ.)

ქართველთა კონტაქტები ჯვაროსნულ სახელმწიფოებთან (XIII ს.) არაერთხელ გამხდარა ისტორიკოსთა ინტერესის საგანი, ქართველთა ურთიერთობას ტამპლიერთა ორდენთან კი ისტორიოგრაფიაში სათანადო გაშუქება არ ჰქონია. ტამპლიერებისა და ქართველი ბერების კავშირების შესახებ ცნობები პირველად მხოლოდ XX საუკუნის შუახანებში ხდებიან ცნობილნი. 1948 წელს გამოქვეყნდა ელენე მეტრეველის სტატია „იერუსალიმის ერთი ხელნაწერი, სადაც ავტორი XII საუკუნის ქართულ ხელნაწერს „გოლგოთას სვინაქსარს“ იკვლევს, მოჰყავს მოსახსენებლები (ანუ „აღაპები“), სადაც ტამპლიერთა ორდენის რაინდები იხსენიებიან. ხელნაწერი H-1661 დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, შეიცავს 25x18 ზომის 340 ფურცელს, ტექსტი კი კალიგრაფიული ძველი ქართული საეკლესიო ანბანით – ნუსხურით – არის შესრულებული. „გოლგოთას სვინაქსარი“ 1155 წელს იერუსალიმში ბერ გიორგი დოდისს გადაუწერია, ცნობილ ქართულ ჯვრის მონასტერში.

ხუცეს-მონოზონი გიორგი ბიზანტიის იმპერატორს მანუელ I კომნენოსს, საქართველოს მეფე დემეტრე I-სა და იერუსალიმის მეფეს ბალდუინ III ახსენებს, დასათარიღებლად კი ქართულ ჟამთაღრიცხვის სისტემასა (=6759-5604=1155) და ქართულ „ქორონიკონს“ (=375+780=1155) იყენებს.

„გოლგოთას სვინაქსარი“ 1808 წელს ჯვრის მონასტერში ქართველმა ბერმა ლავრენტიმ (ოკრიბელი) აღმოაჩინა და სავარაუდოდ მანვე ჩამოიტანა საქართველოში, იმერეთში 1812 წელს. სვინაქსარის სახელწოდებიდან შეგვიძლია გავიგოთ, რომ ის თავდაპირველად უფლის საფლავის ტაძარს ეკუთვნოდა და შემდგომში გახდა ჯვრის მონასტრის საკუთრება. ამავეს ადასტურებენ სხვადასხვა მინაწერები, რომელთაგან ერთ-ერთი ამბობს: «ესე სვინაქსარი აღდგომის საფლავისა არის.



ქართულ ხელნაწერში ცნობილი ტამპლიერების სახელთა მოხსენიება, იმის გათვალისწინებით, რომ ხელნაწერი ჯერ უფლის საფლავის ტაძრის ქართულ სამრევლოს, შემდეგ კი ჯვრის მონასტერს ეკუთვნოდა, იმაზე მეტყველებს, რომ ტამპლიერთა და ქართველ ბერთა გზები ლათინური იერუსალიმის ამ დიდ მონასტრებში იკვეთებოდა. უფლის საფლავის ტაძარში ქართველი სამღვდელოების არსებობა ეჭვგარეშეა. მას მერე, რაც 1009 წელს, ეგვიპტის სულთნის, ალ-ჰაკიმის, ბრძანებით აღდგომის ტაძარი დაინგრა, ქართველები მის მრავალწლიან აღდგენაში მონაწილეობდნენ, რისთვისაც მათ უფლის საფლავის ტაძრის ზოგიერთი ნაწილის ფლობის უფლება მოიპოვეს. ამას ადასტურებს იოანე გოლგოთელის «მინეის» (თუენი) იელის-აგვისტოს ქართული ვერსია, რომელიც მან 1049 წელს გადაწერა. დაახლოებით 1050 წელს ბიზანტიის იმპერატორმა ქართველ სამღვდელოებასა და ბაგრატ IV კურაპალატს გოლგოთაზე მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრების ნაწილით სარგებლობის უფლება მისცა. იქვე დადგინდა ქართველი ეპისკოპოსი, რაც იერუსალიმში მრავალრიცხოვანი ქართველთა სათვისტომოს არსებობას მოწმობს. მოცემულ ხელნაწერებზე დაყრდნობით ე. მეტრეველი აღნიშნავს, რომ უფლის საფლავის ტაძარსა და ჯვრის მონასტერს შორის გარკვეული კავშირი არსებობდა – **„ჯვრის მონასტერი იყო გოლგოთას ეკონომიური ბაზა“.**

გასათვალისწინებელია, რომ უფლის საფლავის ტაძარში ქართველთა საქმიანობის შესახებ ცნობები XII საუკუნის დასაწყისიდან XIV საუკუნის დასაწყისამდე ალარ გვხვდება, თუმცა „გოლგოთის სვინაქსარის“ წყალობით შესაძლებელია გოლგოთაზე XII საუკუნეში ქართველთა საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღება.

მოცემული ხელნაწერის მოსახსენიებელი ჩანაწერები, სადაც ტამპლიერები მოიხსენიებიან 1155-1187

წლებით თარიღდება. გოლგოთის სვინაქსარში» ტამპლიერების მოსახსენიებლების არსებობა შესაძლოა იმაზე მეტყველებდეს, რომ მათ ჯვრის მონასტრისა და შესაძლოა ქართველთა საძმოსათვისაც შესაწირი მოჰქონდათ და მათი კეთილისმყოფელნი იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ თავად შესაწირებზე, სამწუხაროდ, არაფერია ცნობილი. მოსახსენებელში ტამპლიერთა სახელების არსებობა კი იმაზე მეტყველებს, რომ იერუსალიმის ქართველი სამღვდელოება ტამპლიერებს უყურებდნენ როგორც ერთმორწმუნეებს, ისევე როგორც თავად ლათინელები ქართველებს ჭეშმარიტ კათოლიკებად მიიჩნევდნენ. უნდა ითქვას, რომ იერუსალიმის ლათინური სამეფოში ჯვრის მონასტერი იერუსალიმის ლათინი პატრიარქისგან კანონიკურად დამოუკიდებელი იყო. მოსახსენიებლებში ტამპლიერები, ხშირად, როგორც „ძმები“ ისე მოიხსენიებიან [166].







კითხვები გამეორებისთვის:

1. რა კავშირია მომლოცველებსა და ჯვაროსნულ ლაშქრობებს შორის?
2. გაიხსენეთ რას ნიშნავს „ვია ეგნატიას გასა“.
3. რომელ საუკუნეში და სად დაიწერა პირველი გზამკვლევები.
4. რა იცით „ჯვრის ტვირთის“ შესახებ?
5. ჰქონდათ თუ არა ჯვაროსნებს რაიმე კავშირი საქართველოსთან? გაიხსენეთ რომელიმე ეპიზოდი.
6. რა იცით „ტამპლიერების“ შესახებ?

თავი 3. რელიგიური ტურიზმის გეოგრაფია

3.1 მსოფლიოში მომლოცველობის ძირითადი რეგიონები

დღეს, ისევე როგორც საუკუნეების წინათ, რელიგიური რწმენა მოგზაურობის ერთ–ერთი მთავარი მოტივია. ყოველწლიურად მსოფლიოში 300 მილიონზე მეტი ადამიანი მომლოცველობს. მათგან 150 მილიონზე მეტი ქრისტიანია. 20-30 მილიონი ინდუისტი, 40 მილიონი ბუდისტი, მუსულმანი, სინტოისტი და სხვ. მორწმუნეები სიწმინდეებისადმი სათაყვანებლად მოგზაურობენ იმის იმედით, რომ სულიერ სიმშვიდეს ჰპოვებენ, განერიდებიან სიავეს და ახლობელ ადამიანებთან სულიერ ერთობას ეზიარებიან. ისინი გზას ადგნენ დაკისრებული ეპიტამიის აღსასრულებლად ან უზენაესი ძალების სადიდებლად მონიჭებული მადლისთვის ან უბრალოდ მათი სიცოცხლისთვის აზრის მიმნიჭებელი რწმენის სამადლობელის სათქმელად.

მთელს მსოფლიოში მომლოცველობის 11 მაკრორეგიონს გამოყოფენ:

1. ქრისტიანული ევროპა.
2. ჩრდილოეთ ამერიკა – ქრისტიანობის დომინირებული მდგომარეობით და სხვა რელიგიების სიჭარბით.
3. ლათინური ამერიკა – ქრისტიანობის უპირატესობით და ადგილობრივი ტრადიციული რელიგიებით.
4. ჩრდილოეთ აფრიკა – ისლამის უპირატესობით.
5. დასავლეთ და აღმოსავლეთ აფრიკა, სადაც ისლამი ბატონობს და არსებობს ქრისტიანობისა და ტრადიციული რელიგიების ცენტრები.
6. დასავლეთ აზია – ისლამის დომინირებით და ქრისტიანობისა და იუდაიზმის ანკლავით.
7. სამხრეთ აზია, სადაც გავრცელებულია ინდუიზმი და ბუდიზმი, აგრეთვე არსებობენ ქრისტიანობის, ჯაინიზმის, ისლამისა და სიკხების ცენტრები.
8. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია – ბუდიზმის, ისლამისა და ქრისტიანობის უპირატესობით და ინდუიზმის ანკლავით.
9. აღმოსავლეთ აზია – ბუდიზმის, კონფუციანელობის, სინტოიზმის უპირატესობით და ისლამისა და ქრისტიანობის მონაკვეთით.
10. ცენტრალური აზია – ბუდიზმის დომინანტობით (ძირითადად ლამაიზმი).
11. შუა აზია – ისლამის ბატონობით.


უპირველესყოვლისა, ყოველი მაკრორეგიონი ცნობილია მომლოცველობის მსოფლიო ცენტრებით. ისინი მორწმუნეთა საერთაშორისო ნაკადს მასპინძლობენ და არცთუ იშვიათად რელიგიურ სპეციალიზაციას უთავსებენ ადმინისტრაციულ, სამრეწველო, კულტურულ და ტურისტული ცენტრის ფუნქციებს. გარდა ამისა, მაკრორეგიონში არსებობენ ზოგადნაციონალური და ადგილობრივი თაყვანისცემის ობიექტები.

საქართველოს მოქალაქეებისათვის მიმზიდველია მოგზაურობა, სადაც მიემგზავრებიან რელიგიურ-შემეცნებითი მიზნით, ასეთი მარშრუტების ძირითადი ნაწილი მიმართულია ისრაელისკენ, იტალიისკენ, საბერძნეთისკენ, რუსეთისკენ, კვიპროსისკენ და თურქეთისკენ.

3.2 მომლოცველობის ტრადიციული ცენტრები



იერუსალიმი მსოფლიოს უმსხვილესი რელიგიური ცენტრი. მსოფლიო კულტურულ ცენტრებს შორის იერუსალიმს განსაკუთრებული ადგილი აქვს. ის სამი რელიგიის – იუდაიზმის, ქრისტიანობის და ისლამის მიმდევართა წმინდა ადგილია. ებრაელები, რომლებიც იუდაიზმის აღმსარებლები არიან, წმინდა ქალაქში, გოდების კედელთან იყრიან თავს. აქ, პატარა მოედანზე, კედლის წინ ისინი არაბების მიერ ოდესღაც დანგრეული ტაძრის გამო მწუხარებენ.



შავებში ჩაცმული ორთოდოქსები ღმერთ იეღოვასადმი წარმოთქმული მიმართვის რიტმის შესატყვისად როკავენ.

ქრისტიანებისთვის იერუსალიმი ქრისტეს ამ ქვეყნად მოვლინებასთანაა დაკავშირებული. მათი მომლოცველობის მთავარი ადგილია აღდგომის ტაძარი – ქრისტიანული სამყაროს უმთავარესი სიწმინდე. თითოეული მორწმუნე ისწრაფვის ტაძრისკენ, რათა მის რელიქვიებს – გოლგოთას, მირონცხონებულ ქვას, უფლის სიცოცხლის მომნიჭებელ საფლავს ეთაყვანონ და ილოცონ. აკლდამა, რომელიც ღმერთის ძის დარკვევის ადგილის სიმბოლოა, მჭიდროდაა გარშემორტყმული სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიის მლოცველებით. ღმაელი კათოლიკეები ღმერთის სადიდებელს აღავლენენ მწუხარებით მდუმარე გრიგორიანელი ღვთისმსახურების გვერდიგვერდ. აქვე ლოცვის სიტყვებს ბუტბუტებენ სირიელი ორთოდოქსები. ეთიოპიელები რიტუალს მათთვის დამახასიათებელი საგუნდო სიმღერით და აფრიკული რიტმით ასრულებენ. მეორე გუნდში გალობენ ბერძნები. არავინ არავის ხელს არ უშლის. თითოეული კონცენტრირებულია თავის საქმეზე.



განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება რჩებათ იმ მომლოცველებს, რომლებიც იერუსალიმს აღდგომის წინადღეს სტუმრობენ, მაშინ, როცა წმინდა შაბათ დღეს აღდგომის ტაძარში წმინდა ცეცხლის გარდამოსვლა ხდება. მორწმუნეთათვის ამ მოვლენას განსაკუთრებული აზრი და მნიშვნელობა აქვს და ნიშნავს, რომ მათ ღმერთი სიცოცხლის კიდევ ერთ წელს უწყალობებს.უფლის საფლავზე აღმართულ სამრეკლოში შედის იერუსალიმის პატრიარქი. კარები ილუქება და მას მცველები დარაჯობენ. მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან ჩამოსული ქრისტიანი მომლოცველი ფარული მღელვარებით უცდის პატრიარქის გამობრძანებას. როცა პატრიარქი გამოდის ანთებული სანთლებით, მომლოცველები ყიჟინითა და შეძახილებით ხვდრბიან. ისინი სიხარულის ცრემლმორეულები ანთებენ თავიანთ სანთლებს.

იერუსალიმში მუსულმანებს თავიანთი სიწმინდეები გააჩნიათ. მათი მიზიდულობის ადგილი ომარის მეჩეთია. ის დღემდე მოღწეული ისლამის საკულტო ნაგებობებიდან ყველაზე ძველია. მისი გუმბათი წმინდა კლდის სიმბოლიზაციაა, საიდანაც რელიგიური წარმოდგენის თანახმად წინასწარმეტყველი მუჰამედი ცად ამაღლდა. ხმის გამაძლიერებლების მეშვეობით მოლას გამყინავი ხმა დღეში ხუთჯერ ფარავს ძველი ქალაქის ქუჩებს და მორწმუნეებს ლოცვისკენ მოუწოდებს.

ქრისტიანული მომლოცველობის ცენტრები. იერუსალიმისგან განსხვავებით, რომელიც რელიგიური კავშირების საოცარ მრავალფეროვნებას განასახიერებს, მომლოცველობის ცენტრების უმეტესობა ერთ რელიგიასთანაა დაკავშირებული. დედამიწის სხვადასხვა რაიონში ქრისტიანული სამყაროსთვის მრავალი წმინდა ადგილი არსებობს. მათშორის ყველაზე საპატიო ევროპაში მდებარეობს: რომი (იტალია), პარიზი და ლურდი (საფრანგეთი), ფატიმა (პორტუგალია), ვარშავა (პოლონეთი), მონსერატი (ესპანეთი) და სხვამილიონობით მომლოცველი მიისწრაფვის ამ ცენტრებისკენ სასწაულის ნახვის მოლოდინში ან წმინდა რელიქვიების სათაყვანებლად და მათგან მომდინარე მადლის მისაღებად.


ქრისტიანული რელიქვიებიდან ყველაზე საპატიო დაკავშირებულია იესო ქრისტეს ჯვარცმასა და ალსარულთან. მათგან გამორჩეულად ცნობილია ეკლის გვირგვინი, რომელიც ამჟამად პარიზის ნოტრდამის ტაძარშია დაცული. ის კონსტანტინეპოლის იმპერატორმა საფრანგეთის მეფეს XIII საუკუნეში მიჰყიდა. გვირგვინი ბრილის რგოლზეა დასვენებული და მრავალრიცხოვანი პილიგრიმების წინაშე მას თაყვანისცემისთვის ვნების კვირის პარასკევს დღეს გამოფენენ. ბევრი მომლოცველი აქ



თავს იყრის ქრისტიანული ახალგაზრდობის მსოფლიო დღის აღსანიშნავად, რომელიც რომის პაპის იოანე პავლე II ინიციატივით დაფუძნდა 1985 წ. ყოველწლიურად ამ უმსხვილეს კათოლიკურ ფორუმზე თავს 500 მორწმუნე სტუდენტი იყრის.

გადმოცემის თანახმად, გარდაცვალების შემდეგ იესოს სხეული ზეთით და მირონით გაჟღენთილი სელის ნაჭერში გაახვიეს და მღვიმის კლდეში დაასვენეს.სუდარა მზრუნველობით შემოინახეს და მას როგორც წმინდა რელიქვიას ისე ეთაყვანებიან. თუმცა შემდგომი საუკუნეების განმავლობაში იგი ბევრჯლ იქნა გაყალბებული. XIX საუკუნის შუახანებში დარჩენილი იყო 42 გარდამოხსნა, რომელიც პრეტენზიას აცხადებდა ნამდვილობაზე. ყველაზე ცნობილია სუდარა, რომელიც რომელიც XV საუკუნეში ლუდოვიკო სავოელს აჩუქეს. ტილოს ყურადღებით დათვალიერებისას იკვეთება ეკლის გვირგვინით შემოსილი მამაკაცის მოხაზულობა, რომელსაც სხეული მრავალრიცხოვანი ჭრილობებითა და სამსჭვალით აქვს დაღარული. გარდამოხნა ტურინის (იტალია) საკათედრო ტაძარში ვერცხლის შეჯავშნულ კოლოფში ინახება. 25 წელიწადში ერთჯერ ის საყოველთაო ჩვენებისთვის გამოიფინება. ამ დროს ტურინს 3 მილიონი მომლოცველი სტუმრობს. მომლოცველები რიგში რამდენიმე საათს დგანან, რათა რელიქვიას თვალი შეავლონ. ბელგიის ქალაქ ბრიუგეში ინახება სისხლის წვეთები, რომელსაც იესო ქრისტეს მიაკუთვნებენ. ოდესღაც იერუსალიმის პატრიარქმა ის საჩუქრად გადასცა ჯვაროსან გრაფს ტერი ელზასელს. ლაშქრობიდან დაბრუნებულმა რაინდმა ააშენა კაპელა (კათოლიკური სამლოცველო), სადაც რელიქვია საიმედოდაა დაცული. დღესდღეობით, ყოველ პარასკევს შესაძლებელია ბროლის ჭურჭელში ჩასხმული წმინდა სისხლის ხილვა, ხოლო „სისხლის დღეების“ ზეიმისას სიწმინდის ამბორიცაა ნებადართული. წელიწადში ერთხელ, ვნების კვირის ოთხშაბათ დღეს ოქროსა და ვერცხლის ლამაზი კოლოფით, სიწმინდე კაპელიდან გამოაქვთ. საზეიმო პროცესია ბრიუგეს ქუჩებში მიემართება. მასში მონაწილეობას ათასობით მომლოცველი იღებს.





ჯვარი წარწერით „იესო ნაზარეთიდან მეფე იუდეველთა“, რომელზეც ჯვარს აცვეს იესო ქრისტე, იერუსალიმში იპოვნა რომის იმპერატორის კონსტანტინეს დიდის დედამ – წმინდა ელენემ, რომელიც ხელს უწყობდა ქრისტიანობის გავრცელებას. მანვე მოიძია რამდენიმე წმინდა სამსჭვალავი და შუბი, რომლითაც ქრისტე განგმირეს. დროთა განმავლობაში ეს რელიქვიები მთელს ქრისტიანულ


სამყაროში გავრცელდა და სათაყვე დაუდეს მომლოცველობის ცნობილ ცენტრებს. „ჭეშმარიტი ჯვარის“ ცალკეული ნაწილები კონსტანტინეპოლში დარჩა. დანარჩენი ალექსანდრიაში, დამასკოში, ანტიოქიაში, კვიპროსში და საქართველოში ინახებოდა.

ქრისტიანული მომლოცველობის მრავალი ცენტრია დაკავშირებული ქალწული მარიამის სახელთან. მისი კულტი განსაკუთრებით გავრცელებულია კათოლიკეთა შორის. ევროპის 6 ათასი სიწმინდის ორი მესამედი ღვთისმშობლისადმია მიძღვნილი. მომლოცველთა დიდი ნაკადი მიემართება მარიამის სახის გამოცხადების ადგილებისკენ. ერთი ამგვარი სასწაული XIX საუკუნეში,საფრანგეთის სამხრეთით მდებარე პატარა სოფელ ლურდში მოხდა. წმინდა ქალწულის სახე ადგილობრივ გოგონას გამოეცხადა. მას შემდეგ ამ ადგილისადმი ინტერესი არ შესუსტებულა და აქ ახალი სასწაულის მოლოდინით მილიონობით მომლოცველი იყრის თავს. ისინი სტუმრობენ გამოცხადების ადგილს გროტ-დე-მასაბელში, რომლის გარშემოც მოწყობილია ელკესიის მიწისზედა და მიწისქვეშა კომპლექსი. რომის შემდეგ, დღეს ლურდი მეორე საკულტო ცენტრია ქრისტიან მომლოცველთა რაოდენობის (4,6 მლნ. ადამიანი წელიწადში) მხრივ. მსგავსი წმინდა ადგილებია ესპანეთში, პორტუგალიასა და მექსიკაში,

უძველესი დროიდან ადამიანები გამოსახავდნენ იმას, რასაც შემდეგ ეთაყვანებოდნენ. ისინი ქმნიდნენ ქანდაკებებს და ხატებს, რომელიც მრავალრიცხოვანი მომლოცველების თაყვანისცემის საგანი ხდებოდა. ზოგი მათგანი მოულოდნელად იწყებს ტირილს ან სიცილს, ზოგჯერ მათ მოსავენ უჭკნობი ყვავილების გვირგვინით. ეს ფენომენი შეისწავლება მეცნიერების მიერ, მაგრამ ჯერჯერობით მეცნიერული ახსნა არ ხერხდება. მორწმუნეები კი ამაში ღვთიური საწყისის გამოვლინებას ხედავენ.

მომლოცველობის გეოგრაფიის თვალსაზრისით, სპეციალურ ინტერესს წარმოადგენენ სასწაულმოქმედი „შავი“ ხატები და მადონას ქანდაკებები (შავი მადონა), რომელიც მომლოცველთა მრავალრიცხოვან ნაკადს იზიდავს.ზოგიერთ ხატზე მადონას სახე და ხელები გაშავდა სანთლის ჭვარტლისგან ან საღებავთან ქიმიური რეაქციის შედეგად. ქალწული მარიამის ცალკეული ქანდაკებები თავდაპირველად შესრულებული იქნა შავი ხის ჯიშისგან. მადონას ყველაზე ცნობილი შავი გამოსახულება შემონახულია ავსტრიაში, შვეიცარიაში, გერმანიაში. პოლონეთში მომლოცველები იასნა-გურუში მიისწრაფვიან, რათა ეთაყვანონ ეროვნულ სიწმინეს – ჩენსტოხოვის შავი მადონას ხატს. პოლონელები მას თავიანთ ქომაგად თვლიან და სასწაულებს და მადლითმოსილებას მიაწერენ. ცალკეულ საზეიმო დღეებში იასნა-გურუს 300 ათასი ადამიანი სტუმრობს.

იესო ქრისტესა და ღვთისმშობლის კულტის გარდა ქრისტინები კიდევ ბევრ წმინდანს ეთაყვანებიან. მათ სახელთან დაკავშირებული ადგილები ასევე წარმოადგენენ მომლოცველობის ცენტრებს. მაგალითად ნეაპოლი პილიგრიმებისთვის ცნობილია წმინდა იანუარის სახელის მეშვეობით, რომელიც ქალაქის მფარველად ითვლება. სან-ჯენარიოს შესანიშნავად გაფორმებულ კაპელაში ინახება მისი თავის ქალა და გამხმარი სისხლი, რომელიც გამოუცნობი თვისების წყალობით პერიოდულად ისევ თხევადდება. პირველად ეს ფენომენი IV საუკუნეში აღინიშნა და მას შემდეგ წლის განმავლობაში რამდენჯერმე მეორდება.




ქრისტიანული მომლოცველობის უმსხვილესი ცენტრი, სადაც შესაძლებელია ერთდროულად რამდენიმე წმინდანის თაყვანისცემა, არის რომი. ყოველწლიურად მას 8 მილიონი ქრისტიანი მომლოცველი სტუმრობს. მარადიულ ქალაქში მდებარეობს მსოფლიოში ცნობილი ტაძრები. ერთ-ერთი მათგანი, სან-ჯოვანი-ინ-ლატერანო დაფუძნებული იქნა IV საუკუნეში, რომელიც არაერთხელ დაინგრა და ისევ აღადგინეს. ის შერაცხულია „რომისა და მსოფლიოს ყველა ეკლესიის დედად“. მათში თავმოყრილია წმინდა რელიქვიები: წმინდა პეტრესა და პავლეს თავისქალა, იუდაისტური კიდობანი, აარონის წმინდა კვერთხი, მარიამის მოსასხამი, საიდუმლო სერობის მაგიდის ნაწილი და „ჭეშმარიტი ჯვრის“ ძელი. ჩვენამდე შემონახულია წმინდა კიბე, რომელიც მოტანილი იქნა პილატეს იერუსალიმის სასახლიდან.

28 მარმარილოს საფეხურზე ასვლა მხოლოდ მუსლმოდრეკითაა შესაძლებელი. ამჟამად, სან-ჯოვანი-ინ-ლატერანო რომის კათედრალური ტაძარია.

რომის ფარგლებშია მოქცეული კათოლიკური ეკლესიის ცენტრი და მისი მეთაურის – რომის პაპის რეზიდენცია, ქალაქი-სახელმწიფო ვატიკანი. ვატიკანში თავმოყრილია კულტურის საგანძური, მათ შორის წმინდა პეტრეს ტაძარი, რომელიც მნახველს თავისი სიდიადით ანცვიფრებს. აქ იკვეთება მსოფლიოს მილიონობით მომლოცველთა გზები. ვატიკანში განსაკუთრებული ხალხმრავლობაა კათოლიკური აღდგომის დღესასწაულზე, როცა წმინდა პეტრეს მოედანზე შეყრილ მორწმუნეებს პაპი აკურთხებს. ქრისტიანული სიწმინდეების ჩამონათვალი ამით არ სრულდება, მსგავსი რაოდენობის საკულტო ნაგებობები სხვა არცერთ რელიგიას არ მოეპოვება.

მუსულმანური მომლოცველობის ცენტრები. მუსულმანებს რელიგიური მიზიდულობის თავისი ცენტრები აქვთ. მათგან მთავარია მექა, რომელიც საუდის არაბეთში მდებარეობს. სიტყვა „მექა“ მომლოცველობის სინონიმად იქცა არა მხოლოდ მუსულმანურ სამყაროში. თუმცა, წმინდა ქალაქში მოგზაურობის უფლება მხოლოდ ისლამის მიმდევრებს ეძლევათ. ქალაქში, სადაც რელიგიური მოძღვრების თანახმად დაიბადა მუჰამედი.




ისლამის აღმსარებლები ყურბან-ბაირამის დღესასწაულზე ქააბას ტაძართან ღია ცისქვეშ იკრიბებიან. ეს არის დიდი კუბის ფორმის რუხი-მომწვანო ფორმის გრანიტი, რომელიც არსებითად თითქმის კვადრატის ფორმისაა და რომლის ერთი დიაგონალიც ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენ, ხოლო მეორე დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენაა მიმართული. ამას თავიდანვე განსაზღვრული ასტრონომიული აზრი უნდა ჰქონდეს მინიჭებული. ქააბას კუთხეში, სავარაუდოდ მეტეორული წარმომავლობის შავი ქვაა. გადმოცემის თანახმად, ქვა თავად წინასწარმეტყველმა მუჰამედმა მოათავსა ამ ადგილას.

ქააბა ალ-ხარამის, მსოფლიოში ყველაზე დიდი ღია ცისქვეშ მდებარე მეჩეთშია განთავსებული. ყოველწლიურად მის ტერიტორიაზე სალოცავად 2 მილიონამდე ადამიანი იკრიბება. ისინი ტაძარში შედიან სამყაროს კარიბჭიდან, ფეხზე იხდიან და ზღურბლს მარჯვენა ფეხით აბიჯებენ. დარბაზის გვერდის ავლით, ნელ-ნელა დერეფნით მიემართებიან, სადაც ოჯახები სალოცავ დგომში კითხულობენ ყურანს. აქ ისინი ტაძრის მთავარ სივრცეს უახლოვდებიან. მის ცენტრში განთავსებულია ქააბა. მომლოცველები ქააბას გარს უვლიან შვიდჯერ – საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით მანმადე, ვიდრე შავ ქვას შეეხებიან და ეამბორებიან. მუსულმანები ამ რიტუალის შესრულებისას ტანს იმოსავენ თეთრი იხრამით, რაც გარკვეული სიგრძის ნაჭრის ორ ნაწილს წარმოადგენს. მომლოცველს ტრადიცია ავალდებულებს იხრამი სახლში წაიღოს და მოგვიანებით გამოიყენოს როგორც დასაკრძალი სუდარა. მექაში მოგზაურობა მუსულმანის უმთავრესი მოვალეობაა. მათი მეორე სიწმინდე ქალაქ მედინაშია, რომელიც ასევე საუდის არაბეთის ტერიტორიაზე მდებარეობს.

მედინა თანამედროვე არაბული ქალაქია – თავისი ექვსშრიანი ავტომაგისტრალებით. მექასგან განსხვავებით მიწა აქ ნაყოფიერია და ქალაქი მწვანეშია ჩაფლული. მედინას მეჩეთი ალ–ხარამის მეჩეთზე პატარაა, თუმცა გასაოცრად ლამაზია. ვარდისფერი გრანიტი მოზაიკითაა დამშვენებული და ოქროს ჭრილებითაა მოვარაყებული. მეჩეთის შუაგულში არის ადგილი, სადაც გადმოცემის თანახმად ცხოვრობდა და სწავლობდა მუჰამედი. აქვეა ალიზის ქოხი, სადაც ის ისვენებდა და სადილობდა. ასევე საფლავი, სადაც წინასწარმეტყველი იქნა დაკრძალული. მექისა და მედინას სიწმინდეებს საერთო ისლამური მნიშვნელობა აქვთ.

ბუდისტური მომლოცველობის ცენტრები. იუდიზმი სამიდან ერთ-ერთი მსოფლიო რელიგიაა ქრისტიანობასთან და ისლამითან ერთად. ის ძველ ინდოეთში ძვ. წ. აღრიცხვით VI-V საუკუნეებში აღმოცენდა და შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთ და ცენტრალურ აზიაში, ნაწილობრივ კი შუა აზიასა



და ციმბირში გავრცელდა. ბუდისტური რელიგიური სწავლება ეფუძნება სულიერი გაბრწყინებისკენ ადამიანის შინაგან სწრაფვას (ნირვანა), რომელიც მედიტაციის, სიბრძნისა და უმაღლეს მორალურ ფასეულობებს მოიცავს.

ბუდისტი ორთოდოქსები არ მომლოცველობენ იმ აზრით, როგორც ეს მუსულმანებს და ქრისტიანებს ესმით. თუმცა მათ თავიანთი სიწმინდეები გააჩნიათ და ინდივიდუალურად მოგზაურობენ სულიერი სრულყოფილების მოსაპოვებლად. ჩინეთის მიერ 1951 წელს ტიბეტის მიერთებამდე, ათასობით მომლოცველი სახიფათო გზით მიემართებოდა ქალაქ ლხასამდე, რომელიც ჰიმალაის მთებში 3650 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. აქ არის ბუდისტების სულიერი ლიდერის დალაი-ლამას მონასტერი და სასახლე, რომელიც აგებულია XVII საუკუნეში და 1000 სხვადასხვა შენობას, 10000 თაყვანისცემის საგანს და 20000 ქანდაკებას მოიცავს. სასახლე 1959 წლამდე იყო ტიბეტის ზამთრის რეზიდენცია, ვიდრე დალა-ლამა XIV ინდოეთში არ გადასახლდა.

ბუდისტური სამყაროს მეორე სიწმინდე შრი-ლანკას ქალაქ ყანდში მდებარეობს. ხელოვნური ტბის ნაპირთან ქალაქის შუაგულში არხით გარშემორტყმული დალიდა მალიგავას ტაძარი დგას, სადაც, როგორც უდიდესი საგანძური ინახება ბუდას მარცხენა კბილი. მორწმუნეთა აზრით, ეს არის ქვეყნის მთავარი ღისება, მისი სუვერენიტეტის საწინდარი და გარანტია.

რელიქვიის ისტორია მისტიკურია. გადმოცემის თანახმად, ბუდას სხვა სხეულის კრემაციისას, მისმა ერთერთმა მოსწავლემ ჩასასვენებლის ქერქიდან მისი კბილი ამოაძრო. რვა საუკუნის მანძილზე ის ინდოეთში ინახებოდა. შიდა ომისას კი, უსაფრთხოების მიზნით კბილი შრი-ლანკაში გადაიტანეს. ის იქ ინდოეთის მეფის ასულმა ხემალატხამ საკუთარ თმის ნაწნავში დამალული გადაიტანა.

ყოველწლიურად, ივნისის ბოლოს და აგვისტოს დასაწყისში ყანდში ეწყობა ტაძრიდან რელიქვიის გამოტანასთან დაკავშირებული ზეიმი. მასში მონაწილეობას მთელი მსოფლიოს ბუდისტები იღებენ. მდიდრულად მორთულ სპილოზე დადებულ სიწმინდეს მთელს ქალაქს მოატარებენ. „კბილის პროცესია" ჩირაღდნებით, მუსიკოსების, მოცეკვავეებისა და სპილოების თანხლებით მიემართება. ზეიმი 10 დღეს გრძელდება.


თუმცა თავად ბუდიზმის დამფუძნებელი სიდხარტხა გაუტამა თაყვანისცემისა და სიმდიდრის წინააღმდეგი იყო, ბუდისტურმა ეკლესიამ საუკუნეების მანძილზე აურაცხელი სიმდიდრე დააგროვა მორწმუნეთა შემოწირულობებისგან. ჩვენს წელთა აღრიცხვამდე პირველ საუკუნეში ბუდისტური ხელოვნების ძეგლებში ბუდა არ გამოისახებოდა და მხოლოდ მის სწავლებასთან დაკავშირებული სიმბოლოები აღიბეჭდებოდა. დღეს კი მისი ცხოვრების საგნებთან ერთად, ბუდას სახესაც სცემენ თაყვანს.

ბუდისტი მომლოცველების მიზიდულობის ცენტრებს ბუდას ქანდაკებებიც წარმოადგენენ. ისინი გიგანტური ზომისანი არიან და მძაფრ შთაბეჭდილებას ტოვებენ. იაპონიის ქალაქ ნარაში, ოსაკას შორიახლოს, ტოდაიძის მონასტერში მდებარეობს იაპონიის მთავარი ღირსშესანიშნაობა – დიდი ბუდას ბრინჯაოს ქანდაკება. დამჯდარი ბუდას ფიგურა სიმაღლეში 16 მეტრია. ბუდას მარჯვენა ხელი გაშლილი ხელისგულით წინ არის გამოწვდილი კურთხევის ნიშნად, მარცხენა ხელის მდგომარეობა სურვილის ასრულების



სიმბოლოა. ბუდას გვერდით ხის დიდი კოლონა დგას, რომელიც ყველა მორწმუნემ უნდა გაიაროს. მომლოცველთა რწმენით, წარმატების შემთხვევაში ის სამოთხეში მოხვდება. პილიგრიმები აქ თავს იყრიან ორ-ორად ან სამ-სამად. მათი ტურისტებისგან განსხვავება საკმაოდ ძნელია.

რელიგიური თემატიკის საექსკურსიო ტურიზმის გეოგრაფია. რელიგიური თემატიკის საექსკურსიო ტურიზმი აფალიბებს მომლცველთა მსგავს ნაკადს. ასეთი მოგზაურობები მომლოცველობისგან განსხვავებით დიდხანს არ გრძელდება, ის მოხუცებზე და ბავშვებზეა გათვლილი.მისი ორგანიზება შესაძლებელია წლის ნებისმიერ დროს და არ არის მიჯაჭვული რელიგიურ დღესასწაულებთან. თუ მომლოცველისთვის მთავარი სულიერი მომენტია, ტურისტი კულტურულ-შემეცნებითი მიზნით მოგზაურობს. ზოგიერთ ტურში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც მომლოცველებს, ისე ტურისტებს. წინასწარ გაწერილი მარშრუტის შესაბამისად ისინი მოინახულებენ საკულტო სიწმინდეებს და წარსულის არქიტექტურულ ძეგლებს, რაც საერო ადამიანებს საშუალებას აძლევთ სულიერ ტრადიციებს ეზიარონ. ამგვარი ტურების გამართვა საგულდაგულო მომზადებას საჭიროებს. ჯგუფი კომპლექტდება დიდი დაკვირვებით, რათა მათში არ მოხვდნენ ადამიანები, რომლებიც პატივს არ სცემენ სარწმუნოებას და ეკლესიას. მათ აცილებენ თემის კარგადმცოდნე გიდები, სასურველია მორწმუნე ადამიანი, რადგან სწორედ მისი მეშვეობით ექმნებათ შთაბეჭდილება სულიერ ფასეულობებზე მოგზაურებს.




ისრაელის გარდა, სადაც მრავალდაა ადრექრისტიანული და მუსულმანური ძეგლები, ტურისტები დიდ ინტერესს იჩენენ იორდანიის მიმართ. ქრისტიანობის ისტორიაში ეს მიწა ძველ და ახალ აღთქმაშია მოხსენებული. აქ მოედინება მდინარე იორდანი, სადაც მოინათლა ქრისტე. ვრცელი ტურისტული ნაკადი მიემართება საბერძნეთში, როგორც დიდი ბიზანტიის მემკვიდრისა და მართმადიდებლობის აკვნის დასათვალიერებლად. აქ მრავლადაა მთებზე შეფენილი მონასტრები, აქვეა ათონის სამონასტრო რესპუბლიკა. ტურისტულ ნაკადებს იზიდავს კათოლიკური ეკლესიის ცენტრი — ვატიკანი. რელიგიური ღირსშესანიშნაობები ხიბლავს ტურისტებს საფრანგეთში. ძეგლების 57 %, ეროვნულ სიმდიდრეს წარმოადგენს და სახელმწიფო იცავს (გზისპირა ჯვრებისა და საფლავების ჩათვლით).

მთელს მსოფლიოში და მათ შორის ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში რელიგიური ტურიზმის განვითარება ეტაპობრივად მიმდინარეობს საზოგადოების ცხოვრებაში რელიგიის როლის ხელახლა გააზრების კვალდაკვალ. თუ უწინ სიწმინდეები მხოლოდ ესთეტიკური თვალსაზრისით იზიდავდა ტურისტებს, დღეს იზრდება მოსახლეობის სულიერი მოთხოვნილებები და მატულობს ინტერესი რელიგიური და სამონასტრო ცხოვრების მიმართ. რელიგია სულ უფრო ღმად იჭრება საზოგადოების ცხოვრებაში და ტურისტული გაცვლისთვის ახალ ჰორიზონტებს ხსნის.

რელიგიური მიზნებით მეცნიერული ტურიზმის გეოგრაფია. რელიგიური მიზნებით გაჯერებული მეცნიერული ტურიზმი თავის ნაკადებს აფალიბებს. ტურისტები ისწრაფვიან არა მხოლოდ რელიგიური ცენტრებისკენ, არამედ იმ ქვეყნებისკენაც, რომლებიც მდიდარია პოლიტიკური წარსულით. ესაა ეგვიპტე, იტალია და საბერძნეთი. განსაკუთრებული სამეცნიერო-რელი-გიური ინტერესის სფეროს მიეკუთვნება ინდოეთი, ჩინეთი და იაპონია. მართალია სპეციალისტების მოგზაურობა მრავალ-რიცხოვანი არ არის, თუმცა ისინი ნამდვილად აფართოებენ რელიგიური ტურიზმის გეოგრაფიულ არეალს.

სხვადასხვა ორგანიზაციები და დაწესებულებები გავლენას ახდენენ მის მიმართულებაზე. საფრანგეთში მოქმედებს ფონდი, მთებში კულტურული და საერთაშორისო ღონისძიებების გასამართად, სადაც ხდება ქვეყნის საკულტო მემკვიდრეობის პროპაგანდა. სახელმწიფო და მუნიციპალური ფონდების გამოყენებით ხდება სამრეკლოებისა და ეკლესიების რესტავრაცია. საფრანგეთის ნაციონალური ტურისტული ასოციაცია ხელს უწყობს ტურისტული ნაკადის ზრდას და მათთვის ყოველმხრივ ხელსაყრელ პირობების შექმნას. რელიგიური ტურიზმის განვითარებას სხვა ქვეყნებშიც დიდი ყურადღება ეთმობა.







კითხვები გამეორებისთვის:

1. რამდენ რეგიონად ჰყოფენ მთელ მსოფლიოში მომლოცველებს? ჩამოთვალეთ ისინი.
2. რომელი ადგილები ითვლება ქრისტიანულ სამლოცველო ცენტრებად? ჩამოთვალეთ რამდენიმე მათგანი.
3. რა იცით მუსულმანური სამომლოცველო ცენტრების შესახებ?
4. რა იცით ბუდისტური რელიგიის ცენტრების შესახებ?
5. რა იცით იუდეველთა მომლოცველობის შესახებ?

თავი 4. რელიგიური ტურიზმის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა

4.1 რელიგიური ტურიზმის სოციალური ბუნება

ამჟამად საზოგადოების სრულყოფის ძირითადი საშუალებაა შემეცნება, რომელიც ადამიანებს ეხმარება ჩამოაყალიბოს თავისი დამოკიდებულება ფასეულობების მიმართ და ამის საფუძველზე შეიცნოს და გამოიმუშაოს საკუთარი მსოფლმხედველობა. ბოლო დროს გამოიღვიძა ადამიანების ინტერესმა თავისი ისტორიული ფესვების, რელიგიის, წმინდა ადგილებისა და რელიგიური წეს-ჩვეულებების მიმართ. ადამიანები სულ უფრო მეტად ცდილობენ გაიაზრონ რელიგიური გამოცდილება და ამისთვის ხშირად მოგზაურობენ კიდეც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში.

ტურისტები მიისწრაფიან არსებული და უკვე გამქრალი რელიგიების და ცივილიზაციების ცენტრებში, იქ სადაც მდიდარი რელიგიური გამოცდილებაა, მათ იზიდავთ ისტორიულ-კულტურული პოტენციალი, რომელიც შერწყმულია მატერიალურ და სულიერ კულტურასთან. მათ აინტერესებთ ისტორიული ძეგლები, საკულტო ნაგებობები, ადგილობრივი ლანდშაფტი და ცდილობენ იმის გააზრებას, თუ რა გავლენა ჰქონდა კონფესიებს კულტურისა და საზოგადოების განვითარებაში.

რელიგიურ-შემეცნებითი ტურიზმის მიზანია რელიგიის ისტორიის, ეროვნული რელიგიური ტრადიციების, რიტუალების, წეს-ჩვეულებების, ასევე ცერემონიების შესწავლა და მათში მონაწილეობა.

რელიგიური ტურიზმი, როგორც სოციალური მოვლენა ტურისტებს სხვადასხვა მიზეზით იზიდავს:

1. სხვადასხვა კულტურებისა და რელიგიების შესწავლის შესაძლებლობა, სხვა კულტურის და კონფესიის წარმომადგენლებთან დიალოგის გამართვის პერსპექტივა.
2. ტურიზმის გამოყენების შესაძლებლობა სოციალური დაძაბულობის შესანელებლად;
3. დადებითი ემოციების მისაღებად, რომელიც ადამიანებს შესაძლებლობას აძლევთ თავი იგრძნონ ახალ ცხოვრებისეულ ვითარებაში და შეიძინონ გადაწყვეტილების მიღების საკუთარი გამოცდილება.
4. სხვადასხვა ქვეყნებსა და რეგიონებში მაცხოვრებელ ადამიანებთან კავშირის დამყარება, რაც მათ უკეთეს სოციო-კულტურულ გამოცდილებას სძენთ.

რელიგიურ ტურებში საზოგადოების სხვადასხვა ფენის, კონფესიის წარმომადგენლები მონაწილეობენ, ისინი ეცნობიან არა მხოლოდ რელიგიურ, არამედ მოსანახულებელი ტერიტორიის ისტორიულ, კულტურულ და მხატვრულ მემკვიდრეობას. იძენენ ცოდნას. იფართოებენ თვალსაწიერს. ამგვარი ტურებისას აუცილებელია განსხვავებული კულტურებისადმი პატივისცემა.

4.2 რელიგიის და რწმენის როლი საზოგადოების ცხოვრებაში

კულტები, რწმენა და რელიგიები მსოფლიო კულტურისა და მრავალი ცივილიზაციის მნიშვნელოვანი ნაწილია. რელიგია ათასწლეულების მანძილზე გამორჩეულ ზეგავლენას ახდენდა ადამიანების მსოფლმხედველობაზე და ისტორიის ცალკეულ ეტაპებზე ფაქტიურად მთლიანად წარმართავდა მრავალი ქვეყნისა და საზოგადოების ცხოვრებას, მის განვითარებას. რელიგიური დოგმები აყალიბებდნენ ჯგუფებისა და ხალხის სოციალურ ურთიერთობებს. გავლენას ახდენდნენ ეკონომიკაზე, პოლიტიკაზე, აგრეთვე ხალხის, სახელმწიფოსა და მსხვილი რეგიონების საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

რელიგია (religio) ლათინური სიტყვაა და იგი შეიძლება განიმარტოს, როგორც „კავშირის აღდგენა“ რელიგია უნივერსალური მოვლენაა, რომელიც ნებისმიერ საკაცობრიო ცივილიზაციაში იპოვება. კაცობრიობის უძველესი შრეების არქეოლოგიური მონაცემები (არტეფაქტების სახით) და დამწერლობის გამოგონების შემდეგ უკვე სიტყვიერი ტექსტებიც მოწმობენ, რომ რელიგია არსებობდა კაცობრიობის განვითარების ყოველ ეტაპზე და იგი გასდევს კაცობრიობის ისტორიას და, რომ არ დასტურდება ისეთი პერიოდი ამ ისტორიაში, როცა რელიგია არ არსებობდა. რელიგიის განვითარება უმჭიდროესად არის დაკავშირებული ადამიანის სულიერ-ინტელექტუალურ განვითარებასთან [44:.9].

რელიგია როგორც ცხოვრების, აზროვნებისა და შემეცნების ფორმა, ზოგადად ასე განიმარტება: იგი არის ადამიანის გარეთ არსებული ძალების ანუ მიღმიერი, ზებუნებრივი, ზეცნობიერი რეალობის

რწმენა. იმის მიხედვით, თუ როგორია ეს რწმენა: რა სწამთ და როგორია ის სამყარო, რომელიც სწამთ; როგორია ფორმები, რითაც ამ სამყაროსთან ურთიერთობა მყარდება, ან ვინ ამყარებს ამ ურთიერთობას, – რელიგიის გარეგანი მხარე. ე. ი. რელიგიური პრაქტიკა – კულტმსახურება (იგივე ღვთისმსახურება) განისაზღვრება, ასე იქმნება რელიგიური დოგმატიკა (თეორია, მოძღვრება), რელიგიური კულტი, რელიგიური თემი და რელიგიური იერარქია.

რელიგიის საფუძველი არის რწმენა. რელიგიას ხალხის (სოციუმის) რწმენა წარმოშობს. ამის გამო რწმენა, მორწმუნეობა და სარწმუნოება რელიგიისა და რელიგიურობის სინონიმებია. რწმენას ღრმა ანთროპოლოგიური საფუძვლები აქვს. ეს ის თვისებაა, რომელსაც იმედს და ნდობას ვუწოდებთ. იგი ადამიანის შინაგანი ბუნების ნაწილია და არა შეძენილი... [43:2-3].

რელიგიის, როგორც კაცობრიობის მძლავრი და ყოვლისმომცველი სულიერი სფეროს ჩამოყალიბება მითოლოგიის ფარგლებში, წინ უსწრებდა რწმენისა და რიტუალების ჩამოყალიბებას (ინდოეთის, ჩინეთის, სპარსეთის, საბერძნეთის, რომის და სხვ. ძველ საზოგადოებაში).

ყველა რელიგიას აბასიათებს წარმოდგენა რაღაც მაღლით აღვსილ სამყაროზე (სამოთხე, ნირვანა და სხვ.) რომელშიც ადამიანი ხვდება სიკვდილის შემდეგ, მაგრამ იქ გარდასვლა ყველა მოკვდავს არ აქვს გარანტირებული. რელიგია მორწმუნე ადამიანის ცხოვრების გარკვეულ სისტემას აყალიბებს, რომელიც მას საშუალებას აძლევს მიაღწიოს ამ მაღლით აღვსილ სამყაროს. სწორედ ეს სისტემაა გადარჩენის რელიგიური გზა.

დღესდღეობით რელიგიის რამდენიმე კლასიფიკაცია არსებობს. რელიგიები იყოფა იმისდამიხედვით ცნობენ თუ არა ისინი შემოქმედ ღმერთს, ხელახლა დაბადებას, მადლს და ა.შ. დღესდღეობით მსოფლიოში დაახლოებით 5 000-მდე აღმსარებლობა არსებობს. იმისათვის, რომ ეს მრავალფეროვნება სისტემატიზებული იყოს, ჩვეულებრივ, რელიგიურ ჯგუფებს ზოგიერთი საერთო ნიშნის მიხედვით ყოფენ. არსებობს განსხვავებული ტიპოლოგიური სქემები, რითაც რელიგიებს „დასწულ და ღია“, „ბუნებრივ და ეთიკურ“. „ბუნებრივ და გამოცხადებისეულ“ ან სხვა, მსგავს ჯგუფებად მიჯნავენ. არსებობენ მკვდარი და ცოცხალი (დღეს არსებული) რელიგიები. რელიგიები შეიძლება კლასიფიცირებული იყოს როგორც მონოთეისტური (ერთღმერთიანი) და პოლითეისტური (ღმერთების პანთეონი); გვარ-ტომობრივი (გავრცელებულია ხალხებში, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ უძველესი საზოგადოებრივი სტრუქტურა, მაგალითად, ავსტრალიის აბორიგენებში); ხალხურ-ნაციონალური (ინდუიზმი, კონფუციანელობა, სიქჰიზმი, შინტოიზმი და სხვ.) და მსოფლიო. მსოფლიო (ზენაციონალურ) რელიგიებს მიეკუთვნებიან: ბუდიზმი, ქრისტიანობა და ისლამი (ბოლო პერიოდში მსოფლიო რელიგიად ინდუიზმსაც მოიხსენიებენ) [46:17].

მსოფლიო რელიგიები მოიცავს უკლებლივ ყველა ადამიანს – ეროვნების, ენის, ჩვეულებისა და ცხოვრების წესის მიუხედავად.

ბოლო ათწლეულების მაგალითი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ რელიგია საზოგადოების ცხოვრებაში ისევ მნიშვნელოვან როლს თამაშობს. რელიგიის მიერ გაზიარებულ კულტურულ ფასეულობებში ჩადებულია უნივერსალური, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ისეთი ცნებები, როგორიცაა სიყვარული, მშვიდობა, სასოება, სამართლიანობა და სხვა. ამიტომაც რელიგიამ, როგორც მორალურმა და სულიერმა ძალამ, მოიპოვა შესაძლებლობა დიალოგი წარმართოს იმ სამყაროსთან, რომლის ბედიც მორალურ პრინციპებზეა დამოკიდებული.

მთელი ისტორიის განმავლობაში რელიგია გაულენას ახდენდა და ახლაც ახდენს ადამიანის მორალური პოტენციალის ამაღლებაზე ისევე, როგორც ინტელექტუალური პოტენციალის ფორმირებასა და ფუნქციონირებაზე.

მსოფლიოში ცნობილია მოქმედი თუ მივიწყებული რელიგიის არაერთი ობიექტი, რომელებიც ტურისტების გამორჩეულ ყურადღებას იქცევენ, ეს ეხებათ როგორც ეგვიპტურ პირამიდებს, ისე კავკასიის დოლმენებს ან ლათინური ამერიკის კომპლექსებს. გარდა ამისა, კულტურის ამ ძეგლების ჩართვა რელიგიური ტურიზმის პროგრამაში საჭიროებს თავად ტურისტების მომზადებას ამგვარი ძეგლების აღსაქმელად.

რელიგიური ტურებისას ტურისტებს არ უნდა მიეწოდებოდეთ დაზეპირებული, მშრალი ინფორმაცია. მათთვის რელიგიური ძეგლების გაცნობა უნდა იყოს ცოცხალი და მრავალფეროვანი. ექსკურსიამძღოლმა, ტურისტების განსხვავებულობის გათვალისწინებით, დამაჯერებლად და ამომწურავად უნდა წარმართოს საგანმანათლებო ინფორმაციის მიწოდება.

სწორად ჩამოყალიბებული რელიგიური მოგზაურობების პროგრამა ტურისტის ცხოვრებაში შთამბეჭდავ სულიერ და კულტურულ მოვლენად რჩება.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია სკოლების სასწავლო პროგრამაში ჩართულ იქნას „რელიგიური კულტურისა და ეთიკის საფუძვლები“, რომლის შესწავლაც ხელს შეუწყობს რელიგიური ტურიზმის პოპულარიზაციას ერთის მხრივ და მეორეც – ბავშვები შეისწავლიან იმ ზოგადსაკაცობრიო ეთიკურ ნორმებს, რომელიც განსაზღვრავს მათ სწორ დამოკიდებულებას სხვადასხვა რელიგიური კონფესიის ადამიანების მიმართ. საჭიროა ამ საგნის სახელძღვანელოს მეცნიერულ დონეზე დამუშავება, მაღალპროფესიულ დონეზე შესრულება და გამოცემა.

რელიგიისა და რწმენის შესახებ ცოდნას შეუძლია, გააძლიეროს იმის შეცნობა და აღიარება, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, პატივი ვცეთ ყველა ადამიანის რელიგიისა და რწმენის თავისუფლების უფლებას, ასევე ხელი შეუწყოს დემოკრატიული მოქალაქეობის დამკვიდრებას, სოციალურ მრავალფეროვნებას და, ამავე დროს, სოციალურ ინტეგრაციის გაზრდას;

რელიგიისა და რწმენის შესახებ ცოდნას გააჩნია ღირებული პოტენციალი იმისთვის, რომ შემცირდეს კონფლიქტები, რომლებიც გამოწვეულია სხვისი რწმენის გაგების ნაკლებობით და დიდი პოტენციალი აქვს ასეთი დამოკიდებულების აღმოსაფხვრელად;

რელიგიისა და რწმენის შესახებ ცოდნა ხარისხიანი განათლების არსებითი ნაწილია. ის საჭიროა ისტორიის, ლიტერატურისა და ხელოვნების სიღრმისეულად გაგებისათვის და სასარგებლოა პიროვნების კულტურული ჰორიზონტის გაფართოებისა და ცოდნის გაღრმავებისთვის.

4.3 რელიგიური ტურიზმის ეკონომიკური ასპექტები

რელიგიურ ტურიზმს ადგილობრივი მოსახლეობისთვის, სახელმწიფო სტრუქტურებისთვის და კერძო (და არა მხოლოდ ტურისტული) ორგანიზაციებისათვის ეკონომიკური სარგებლიანობა მოაქვს. იგი ეხმარება რელიგიურ საზოგადოებებს და ორგანიზაციებს. რელიგიური ტურიზმის ეკონომიკური მაჩვენებლები და ეფექტურობის შეფასების კრიტერიუმები იგივეა, რაც ჩვეულებრივი მასობრივი ტურისტული მოგზაურობისას.

ეკონომიკური თვალთახედვით, რელიგიურ ტურიზმი გახლავთ ტურისტული მომსახურების ბაზარზე სპეციფიური საქონლის წარმოება და რეალიზაცია. უშუალოდ ამ პროცესში მონაწილეობენ განთავსების ობიექტები (სასტუმროები, კემპინგები, საერთო საცხოვრებლები, მონასტრის კელიები); საზოგადოებრივი კვების ობიექტები; სატრანსპორტო კომპანიები. მგზავრობის ორგანიზება ხდება საექსკურსიო ბიუროების და იმ ტურისტული კომპანიების მეშვეობით, რომლებსაც თავის ძირითად საქმიანობად არჩეული აქვთ ტურიზმის ეს სახე, ასევე რელიგიური ორგნიზაციების დახმარებით. ეს კომპანიები, როგორც წესი, კულტურულ-რელიგიურ მგზავრობებს ან ექსკურსიებს აწყობენ ღირსშესანიშნაობების, წმინდა ადგილების და საკულტო ნაგებობების მოსანახულებლად, რითაც აკმაყოფილებენ მოგზაურთა შემეცნებით ინტერესს, აძლევენ მათ საშუალებას თვალი ადევნონ რელიგიურ წეს-ჩვეულებებს და რიტუალებს (ხოლო სურვილის შემთხვევაში მონაწილეობაც მიიღონ მასში), შეიძინონ რელიგიური ატრიბუტიკა და სუვენირები.

ტურისტებს როგორც წესი თან ახლავს ექსკურსიამძღოლი ან გიდი. მოგზაურებისას საჭირო ინფორმაციას სრულად იღებენ რუკების, მეგზურების, სამგზავრო პროგრამების, ასევე ბროშურების მეშვეობით ისინი ეცნობიან რელიგიური ობიექტების მონახულებისას ქცევისა და უსაფრთხოების წესებს. ტურისტებს დამატებით შეიძლება შესთავაზონ ტურისტულ–საექსკურსიო მომსახურება (რომელიც არ იყო გათვალისწინებული პროგრამით) არა სხვა ღონისძიების ხარჯზე, არამედ იმ თავისუფალ დროში, რომელსაც ტურისტი საკუთარი შეხედულებისამებრ ხარჯავს.

რელიგიურ ტურიზმს აქვს რიგი სპეციფიური მახასიათებლები, რომლებიც ვლინდება მარშრუტის შერჩევის თავისებურებებში, საჩვენებელი ობიექტის არჩევასა და მონახულებაში, ექსკურსიების ორგანიზებასა და ტრანსპორტით უზრუნველყოფაში. ეს მახასიათებლები აგრეთვე დამოკიდებულია მონაწილეთა განათლების დონესა და ასაკზე, ტურის ხანგრძლივობასა და სხვა ფაქტორებზე. მაგალითად, ტაძარში, მათ შორის ღვთისმსახურებაზე, ტურისტები მიდიან დამოუკიდებლად, მისდევენ ქცევის განსაზღვრულ წესებს და იცავენ საეკლესიო ეთიკას, რის შესახებაც ინსტრუქცია ეძლევათ წინასწარ. ექსკურსიის ტაძარში ჩატარება, მხოლოდ ექსკურსიის იმ ხელმძღვანელს შეუძლია, რომელსაც აქვს კურთხევა ტაძრის წინამძღვრისგან. ექსკურსია შესაძლებელია როგორც ღვთისმსახურებისას, ასევე დროის სხვა მონაკვეთშიც. საკუთარი წესებისა და ტრადიციის დაცვის მიზნით, პირი რომელიც არ მიეკუთვნება მოცემულ კონფესიას, შეიძლება არ დაუშვან ტაძრის, მონასტრის, სავანის ტერიტორიაზე, ან საეკლესიო ეთიკის ნორმებისა და წესრიგის დარღვევისათვის, შეიძლება სულაც გააძევონ იქიდან.

ტურიზმი და რელიგია იყენებენ ერთსა და იმავე კულტურულ რესურსს. ამიტომ აუცილებელია კულტურას, რელიგიასა და ტურიზმს შორის მჭიდრო ურთიერთობები, რაც მიმართულია კაცობრიობის უფრო მაღალი სულიერი განვითარებისაკენ. ამგვარად, ტურისტულმა კომპანიებმა მხედველობაში უნდა მიიღონ კულტურული ძეგლებისა და წმინდა ადგილების სპეციფიური მახასიათებლები და ასეთი ადგილების მონახულებისას უზრუნველყონ მორწმუნეთა ჭეშმარიტი გრძნობების პატივისცემა. მნიშვნელოვანი ამოცანა გახლავთ რელიგიური ტურიზმის ორგანიზატორებს შორის ეფექტური და ორმხრივად მომგებიანი ურთიერთობა ამა თუ იმ კონფესიების წარმომადგენლებთან.

რელიგიური ტურიზმის ეკონომიკური თავისებურება ისაა, რომ იყენებს განთავსების ტრადიციულ საშუალებებს კლასთა სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით. მგზავრობა ხდება სხვადასხვა სახის ტრანსპორტით. ეს დამოკიდებულია მომლოცველთა მოთხოვნილებაზე, ამიტომ რელიგიურ ტურიზმში ხელმოკლე მომლოცველთა მონაწილეობის წასახალისებლად მათ უნდა შეეთავაზოთ შედარებით იაფი მომსახურება. ამ პრობლემის გადაწყვეტა შეიძლება, თუ იმ ადგილებში, სადაც პოტენციური ტურისტები ცხოვრობენ, ტურისტული ორგანიზაციები პირველ ეტაპებზე მოაწყობენ მოკლევადიან (ერთ-ორდღიან) ტურებს უახლოესი წმინდა ადგილებისა და ღირსშესანიშნაობების მოსანახულებლად ან მოაწყობენ ექსკურსიებს დასვენების დღეებში. უპრიანი იქნებოდა, ექსკურსიაში ოჯახის ყველა წევრის მონაწილეობის შემთხვევაში, სპეციალური ფასების შეთავაზება. ამ საკითხში დადებითი როლი შეიძლება ითამაშონ საქველმოქმედო ორგანიზაციებმა, კერძო ბიზნესის წარმომადგენლებმა. მათ შეუძლიათ ხელი შეუწყონ და მოაწყონ რელიგიურ-საგანმანათლებლო მოგზაურობა მოსახლეობის ზოგიერთი სოციალური ჯგუფისთვის (უწინარეს ყოვლისა მოსწავლეებისა და ახალგაზრდებისთვის, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის პირებისათვის).

რელიგიურ ტურიზმი გამოყენებული რომ იყოს, როგორც სოციალური დაძაბულობის შერბილების ფაქტორი, ის უნდა ჩამოყალიბდეს და განვითარდეს ტურისტული ნაკადის (გამშვები) პოტენციალის საფუძველზე. ტურისტული ნაკადის გამშვებ პოტენციალში იგულისხმება მონახულებათა ის მაქსიმალური რაოდენობა, რომელსაც იტვირთავს ტერიტორია, რომელზეც ვითარდება რელიგიური ტურიზმი. ეს უნდა მოხდეს ისე, რომ ადგილობრივი რესურსების აღდგენაზე არ დაიხარჯოს დამატებითი თანხები, ტურისტთა შთაბეჭდილებაზე არ მოხდეს ნეგატიური გავლენა და ადგილობრივ მოსახლეობას არ გაუჩნდეს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. საქმე ის გახლავთ, რომ, განსაზღვრულ პერიოდებში თავმოყრილ მასობრივ ტურიზმს, რელიგიური ადგილის თავისებურებების, ტაძრისა და გარემოს შეზღუდული შესაძლებლობების გამო, მკვიდრი მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესებს შეიძლება პრობლემები შეექმნას და ამიტომ, რელიგიური ტურიზმის დანიშნულების ადგილის არჩევა მოითხოვს ამ საკითხის განხილვას ადგილობრივ მაცხოვრებლებთან, საზოგადოებებთან ერთად. ისინი იმედოვნებენ თავისი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას ტურისტული ინდუსტრიის წყალობით, მაგრამ, ამავდროულად, მათ სურთ შეინარჩუნონ თავისი საკუთარი ადათ-წესები და ცხოვრების ჩვეული რიტმი.

იმისთვის, რომ განისაზღვროს ტურიზმის განვითარების რაციონალური მიმღები პოტენციალი, უწინარეს ყოვლისა აუცილებელია ინფრასტრუქტურის მდგომარეობის გათვალისწინება და მისი განვითარება: უნდა იყოს მისასვლელი გზები, კავშირის საშუალებები, ტელეკომუნიკაცია და ტრანსპორტი, კომუნალური მომსახურება, ჯანდაცვის ორგანიზაციები, დაცული უნდა იყოს უსაფრთხოება და შესაძლებელი უნდა იყოს მომლოცველთა საცხოვრებლებში განთავსება.

აგრეთვე მიზანშეწონილია შეფასდეს ტურიზმის განვითარების მოცულობა, მომსახურების სფეროს დატვირთვის დონე, რომელიც მისაღები იქნება ადგილობრივი საზოგადოებისთვის, უნდა შეფასდეს შეთავაზებული ტურისტული პროდუქტის ღირებულება ტურისტის თვალთახედვით. ყოველივე ეს უზრუნველყოფს ტურისტულ ტერიტორიის ოპტიმალურ ეკონომიკურ სარგებელელს. ამასთან, უნდა განისაზღვროს, როგორ იმოქმედებს რელიგიური ტურიზმის განვითარება ეკოლოგიურ სისტემაზე, ადგილობრივი მაცხოვრებლების ცხოვრების წესსა და მოღვაწეობაზე; ისტორიული, რელიგიური და კულტურული ძეგლების, ადათ-წესებისა და ტრადიციების დაცვასა და შენარჩუნებაზე, რათა არ დაიშვას უარყოფითი ეფექტი.

4.4 რელიგიური ტურიზმი და გლობალიზაცია

კულტურათშორისი კომუნიკაცია, როგორც სოციალურ-კულტურული მოვლენა მაშინ წარმოიშვა, როდესაც ადამიანებმა დაიწყეს მოგზაურობა. აქამდე მათ შესაძლებლობა არ ჰქონდათ გაეცნობიერებინათ „უცხო“ კულტურების სინამდვილე და „საკუთარისგან“ განესხვავებინათ. XIX საუკუნიდან მოყოლებული, მოგზაურობები დაიწყეს სხვა კულტურების გასაცნობად და არა როგორც უწინდებურად – დაპყრობების, ვაჭრობის გაფართოვებისა და რელიგიური პროპაგანდის მიზნით. ეს იძლეოდა შემეცნების ჰორიზონტის გაფართოვების შესაძლებელობას და რითაც ახლებურ წაროდგენას იქმნიდნენ ადამიანების ცხოვრების სხვადასხვა ფორმების შესახებ. დასაწყისში კულტურული ტურიზმი ლოკალური სოციალური პრაქტიკა იყო, რომელსაც განსაზღვრული სოციალური გაერთიანება იყენებდა. მაგრამ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან, კულტურულმა ტურიზმმა, რომლის თავდაპირველი მიზანიც სხვა ქვეყნების კულტურისა და ისტორიის გაცნობა იყო, გლობალურ მასშტაბებს მიაღწია და თავის წარმოებისა და მოხმარების პროცესში ადამიანების გლობალურ რესურსები მიიზიდა. ამის მეშვეობით, ის ხდება თანამედროვეობის ყველაზე დინამიურად განვითარებადი ფენომენი, რომელიც საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების მრავალი მხარე მოიცვა. XX საუკუნის დასასრულის და XXI საუკუნის დასაწყისის მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, რომ გლობალიზაციის პროცესში კულტურული ტურიზმი სულ უფრო შესამჩნევად ხდება, როგორც კულტურული დიალოგის განხორციელების მძლავრი ინსტრუმენტი.

რაც შეეხება შიდა რელიგიური ტურიზმის სოციალურ-ჰუმანიტარულ დანიშნულებას, ამგვარი შემეცნებითი მოგზაურობები ხელს უწყობს მოსახლეობის სულიერ-პატრიოტულ აღზრდას. მართმადიდებლური ეკლესია მხარს უჭერს რელიგიური ტურიზმის განვითარებას, რაც ხელს უწყობს მართმადიდებლური ღირებულებების პოპულარიზაციას. რელიგიური ტურიზმი შესაძლოა გახდეს მომლოცველობის წინა საფეხური. შიდარელიგიური ტურიზმისას კულტურული მემკვიდრეობა ახდენს ეროვნული სიამაყის სტიმულირებას საკუთარის ისტორიის გამო, საერთაშორისო ტურიზმი კი ადამიანს სხვა კულტურების და სხვა რელიგიის პატივისცემას ასწავლის. რელიგიურ ტურიზმს შესწევს იმის ძალა, რომ მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ცივილიზაციათა შორის ურთიერთობების დამყარებაში და მშვიდობისმყოფელის მისია იკისროს.

უცხო, კულტურული სამყაროს აღმოჩენა სხვადასხვა კულტურული ტრადიციების მატარებელ ხალხს თვითშემეცნების გასაღებს აძლევს. საკუთარი კულტურის სხვა კულტურების შეცნობის მეშვეობით შემეცნების იდეა XVIII საუკუნის ფილოსოფოსს ჰერდერს ეკუთვნის. ეს კი ყველა ადამიანის თანასწორუფლებიანობის აღიარებას გულისხმობდა.

საერთაშორისო რელიგიური ტურიზმი გლობალური მისიის კონტექსტში, როგორც ხალხთა დაახლოების ფაქტორი და ინსტრუმენტი, ხელს უწყობს კონფლიქტების, შეუწყნარებლობის აღკვეთას და სხვა კულტურების მიმართ პატივისცემას და ტოლერანტობას ამკვიდრებს, რაც დღესდღეობით სამი მიმართულებით ვითარდება: 1) კულტურებისა და კონფესიების მრავალფეროვნება; 2) კულტურის შენარჩუნება და აღორძინება ტოლეტანტობის, ჰუმანიზმისა და ადამიანების კულტურული ზრდით; 3) რელიგიების, კულტურებისა და ცივილიზაციების დიალოგი;

საქართველო და გლობალიზაცია, პატრიარქი ილია II – „კულტურათა დიალოგი“ საკვირაო ქადაგება, სიონის საპატრიარქო ტაძარი, 17 ოქტომბერი, 2004 წელი

. . .

გლობალიზაციის ანუ გამთლიანების პროცესი გამოიწვია ტექნიკურმა და მეცნიერულმა პროგრესმა. ერთმანეთს დღეს ყველა ქვეყანა დაუახლოვდა, დაუახლოვდა კულტურითაც. მეტად საშიშია, რომ დიდი სახელმწიფოების კულტურამ თუ ფსევდოკულტურამ არ წალეკოს რიცხობრივად შედარებით პატარა ერების და მათ შორის, ჩვენი ფასეულობანიც. მით უმეტეს, ხშირია მაგალითები იმისა, რომ რასაც დღეს „კულტურას“ უწოდებენ და თავს გვახვევენ, სინამდვილეში არის ყალბი კულტურა.

ჩვენ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ და დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ოჯახსაც. ოჯახის ეროვნული ტრადიციები აუცილებლად უნდა დავიცვათ; ასევე უნდა დავიცვათ ჩვენი ენა და სარწმუნოება. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ქვეყნების დაახლოება თავისთავად ცუდი მოვლენა არ არის. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რა არის მისაღები და რა არა.

ზოგიერთი იმასაც ფიქრობს, იქნებ როგორღაც განერიდოს გლობალიზაციის პროცესს, ეს

შეუძლებელია. ვერცერთი ქვეყანა თავს ვერ აარიდებს მას, ოღონდ, ვიმეორებ, გვმართებს გონიერება.

საერთოდ ქართველი ადამიანი ყოველთვის სიამოვნებით ითვისებდა სხვა ქვეყნების კულტურათა საუკეთესო ნიმუშებს. ძალიან საინტერესოა და ბევრი რამის სწავლა შეიძლება როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური კულტურიდან. რამდენიმე წლის წინ „კულტურათა დიალოგის" ეგიდით თბილისში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია. მისთვის უნდოდათ ეწოდებინათ „ცივილიზაციათა დიალოგი" ან „რელიგიათა დიალოგი". მაგრამ მე კონფერენციის ორგანიზატორებს ვუთხარი, რომ თუ ჩვენ ამ ფორუმს „რელიგიათა დიალოგს" ვუწოდებთ, მხარეებს შორის აუცილებლად აღიმართებოდა კედელი, რადგან ყველა დაიწყებდა თავისი რელიგიის ქებას, რაც სხვებს უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებდა. ამიტომ ვურჩიე ფორუმისათვის „კულტურათა დიალოგი" ეწოდებინათ.



აუცილებლად უნდა ვისწავლოთ ერთმანეთისაგან, მაგრამ საკუთარი არ უნდა დავივიწყოთ. ჭეშმარიტი კულტურა არის ისეთი რამ, რაც აახლოებს ერებს, იგი უმტკივნეულოა და სხვა ქვეყნების კულტურას არ შეურაცხოფს, პირიქით, უფრო ამდიდრებს მას. არც შეიძლება, რომ რომელიმე კულტურა ჩაიკეტოს საკუთარ თავში, თავის ნაჭუჭში. დიდი შეცდომაა, რომელიმე ქვეყანამ ჩათვალოს, რომ მისი კულტურა სრულიად საკმარისია.

ვფიქრობ, ხელისუფლება და მთელი ჩვენი ერი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ქართული კულტურა, ზნეობრივი თუ ეროვნული ფასეულობანი შევინარჩუნოთ. ამასთან, თავის მხრივ, სხვებიც დაინტერესდებიან ჩვენი ფასეულობებითაც და ქართული კულტურით და შეითვისებენ მას, როგორც სხვა ქვეყნების ფასეულობანი გაამდიდრებს ჩვენსას [64:212-214].

კითხვები გამეორებისთვის:

1. რა მიზნებით იზიდავს ტურისტებს რელიგიური ტურიზმი?
2. რამდენი აღმსარებლობაა მსოფლიოში?
3. რა იცით რელიგიური ტურიზმის ეკონომიკური ასპექტების შესახებ?
4. როგორი ურთიერთკავშირია რელიგიურ ტურიზმსა და გლობალიზაციას შორის?
5. დააკავშირეთ რელიგიური ტურიზმი და კულტურათა დიალოგი ერთმანეთთან.

თავი 5. რელიგიური ტურიზმი თანამედროვე ეტაპზე

5.1 რელიგიური ტურიზმის თანამედროვე მდგომარეობა მსოფლიოში

ტურიზმის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც ბოლო წლებში ფართოდ გავრცელდა, რელიგიური ტურიზმია. რელიგიური ტურიზმი გულისხმობს სხვადასხვა ისეთი ადგილების მონახულებას, სადაც ტურისტებს მოქმედი რელიგიური ობიექტების, საკულტო ძეგლების, მუზეუმების, თანამედროვე თუ ძველი რელიგიების ხელოვნებისა და არქიტექტურული ნიმუშების მონახულება შეუძლიათ. ტურისტებს ასევე იზიდავთ რელიგიური ცერემონიების და ზეიმების ყურება. ტურისტულ ბაზარზე უამრავი შეთავაზებაა სააღდგომო, საშობაო თუ სხვა ტურების. რელიგიური ტურები ადამიანებს ეხმარება საკაცობრიო ღირებულებების შემეცნებასა და კულტურულ განვითარებაში. მათში ალვიძებს ჰუმანიზმს, რაც ხელს უწყობს ურთიერთგაგებას და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

ექსპერტების მიერ რელიგიური ტურიზმის მსოფლიო ბაზარი დღეისთვის 18 მილიარდ დოლარადაა შეფასებული (მთლიანი ტურისტული შემოსავლების 2%), საიდანაც მხოლოდ იტალია, რომელშიც თავმოყრილია უამრავი ქრისტიანული სიწმინდე, 4.5 მილიარდი დოლარის შემოსავალს იღებს. სამომლოცველო და რელიგიური მიზნებით მოგზაურთა ყოველწლიური რაოდენობა მსოფლიოში 300 – 330 მილიონია და ამავე მიზნებით 3 – 3.5 მილიარდი მგზავრობა ხორციელდება.

სამწუხაროდ არ არსებობს ცალკეულ ქვეყნებში რელიგიური ტურიზმის ოფიციალური სტატისტიკა, თუმცა ეჭვგარეშეა, რომ მისი მასშტაბები შთამბეჭდავია.

იტალიაში რელიგიური ტურიზმი საერთო ტურისტული ბაზრის 10% შეადგენს. ტურისტებს და პილიგრიმებს აქ იზიდავთ 30 ათასამდე ბაზილიკა და მონასტერი, 700 საპარქიო მუზეუმი, 220 ტაძარი და ასევე სხვა ობიექტები. ყოველწლიურად რელიგიურ ტურებში 40 მილიონი ადამიანი მონაწილეობს, ახალბედათა რაოდენობა კი 19 მილიონია. ამ ბიზნესიდან შემოსავალის საერთო რაოდენობა დაახლოვებით 4 მილიარდი ევროა. ერთი სტუმრის დანახარჯი საშუალოდ 104 ევროს შეადგენს. ტურისტულ მეცნიერებათა საერთაშორისო ინსტიტუტის გამოთვლით, მოგზაურთა 53.68% მონაწილეობს ღვთისმსახურებაში, თუმცა ერთი მესამედი (35.1%) ინტერესს იჩენს ტერიტორიის, ბუნებისა და რესურსების სიღრმისეული შესწავლის მიმართ. პილიგრიმთა ასაკობრივი შემადგენლობა ამგვარია: 20-30 წლის – 12.59%; 30-50 წლის – 38.7%; 50-70 წლის – 36.72%; 70 წლის ზემოთ 7.8 %.

რელიგიური ტურიზმის მასშტაბების მკვეთრი ზრდა შეიმჩნევა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მსოფლიო ტურისტული ასოციაციის (World Religious Travel association-WRTA), გამოკვლევის თანახმად, ამგვარი აქტიური ზრდის მიზეზი სამია. ჯერ ერთი, შეინიშნება მოგზაური და დამსვენებელი ამერიკელების რიცხვის ზრდა; მეორე, იზრდება იმ ჩრდილოამერიკელთა რაოდენობა, რომელიც თავს თვლის მორწმუნედ. მხოლოდ ქრისტიანული მოსახლეობის რიცხვი ბოლო ათი წლის განმავლობაში დაახლოებით ათ მილიონამდე გაიზარდა. მოგზაურობების ინდუსტრიის ამერიკის ასოციაცია (Travel Industry association) აღნიშნავს, რომ სამომლოცველო შვებულებით დაინტერესებას თითოეული ასაკობრივი ჯგუფის დახლოებით ერთი მესამედი გამოხატავს. მესამე – მორწმუნე ადამიანები სულ უფრო მეტად პოულობენ საშუალებას, რათა ყოველდღიურ ცხოვრებაში თავიანთი რწმენის ინტეგრირება მოახდინონ. ამაზე მეტყველებს ბოლო წლებში რელიგიური ფილმების, წიგნებისა და მუსიკის გასაოცარი წარმატება. მაღალი კლასის რელიგიური ტურის შემოთავაზებას მიაკუთვნება „დიდი რელიგიების“ სახელწოდებით ცნობილი TCS Eexpedition-ის შეთავაზება, 45000 დოლარად მოაწყოს მსოფლიოს გარშემო სამოგზაურო ტური. მოგზაურობისას ტურისტები მოინახულებენ ყველაზე სახელგანთქმული რელიგიურ ძეგლებს,ერთი ქალაქიდან მეორეში კერძო თვითმფრინავით გადაადგილდებიან და დაბინავდებიან ისეთი მაღალი კლასის სასტუმროებში როგორიც არის „King David“ იერუსალიმში და „Oberoi“ დელიში.

გარდა ამისა, რელიგიური ადამიანები აქტიურად მონაწილეობენ ჩვეულებრივ დასასვენებელ მოგზაურობებში და ასევე სათავგადასავლო ტურებში. მათი რაოდენობის დასადგენად არანაირი ზუსტი მონაცემები არ არსებობს.

პორტუგალიაში რელიგიური ტურიზმიდან შემოსული თანხა დაახლოებით 700 მილიონ ევროს შეადგენს, თუმცა აქ საერთოდ არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა, რომელიც რელიგიურ ტურიზმს შეეხება.

დღესდღეობით ბევრი ქვეყანა ცვლის თავის მიდგომებს ტურისტული ინდუსტრიის მიმართ

და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს რელიგიურ ტურიზმს. მაგალითად იამაიკის მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ განზრახული აქვს შეიძლეს რელიგიური ტურიზმის ბაზარზე და ქვეყანა რელიგიური ტურიზმით დაინტერესებულთათვის უფრო მიმზიდველი გახადოს.

საუდის არაბეთში რელიგიური ტურიზმი ითვლება ყველაზე პოპულარულად და მის ხელშეწყობაზე სახელმწიფო ზრუნავს. მექაში უკვე დასრულებულია 60 გვირაბისა და ვიადუკის მშენებლობა, რომელიც თანამედროვე ტექნიკითაა აღჭურვილი და მათი საერთო სიგრძე 30 კილომეტრია. საუდის არაბეთში რელიგიური ტურიზმიდან მიღებული ყოველწლიური შემოსავალი 7 მილიარდი დოლარია. იორდანია და პალესტინა ტურიზმის მზარდ მიმართულებად გვევლინებიან. პალესტინაში ტურიზმის 95% რელიგიურია, ხოლო იორდანიაში ტურიზმიდან მიღებული ყოველწლიური შემოსავალი 2.4 მილიარდი დოლარია.

აშშ-ს გლობალური ქრისტიანობის შემსწავლელი ცენტრის გამოკვლევით, ქრისტიანი მოგზაურის რაოდენობა 3.3 მილიარდს შეადგენს. 250 მილიონი უცხოელი ტურისტი ქრისტიანია, 150 მილიონი კი ქრისტიანი პილიგრიმი.

5.2 რელიგიური ტურიზმის მარკეტინგი – მსოფლიო გამოცდილება

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის თავჯდომარემ პან გი მუნმა კორდობაში (ესპანეთი), მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას განცხადა. ტურიზმი ხალხებს შორის კულტურული ურთიერთობის გამყარების მნიშვნელოვანი ფაქტორია და ის ასევე გამორჩეულ როლს თამაშობს ერის მორალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში. ფორუმზე წარმოადგინეს სამი მიმართულების თეორიული გამოკვლევა: ტურიზმი, რელიგია და ცივილიზაციათა დიალოგი; რელიგიური ტურიზმი და რელიგიური ტურიზმის მიმართულების სიმყარე. კონფერენციის მიზანი იყო განესაზღვრათ კავშირი რელიგიასა და ტურიზმს შორის – მათი სინერგიის ოპტიმიზაციის შესაძლებლობების და ტურიზმის პოტენციალის გამოყენებით. მთავრობებისთვის, რელიგიური მმართველებისა და ტურისტული ოპერატორებისთვის შეთავაზებული იქნა რეკომენდაციები და ორიენტირები, ამგვარი კონფერენციის გამართვა კიდევ ერთხელ ამტკიცებს რელიგიური ტურიზმისა და მსოფლიო ტურისტული ინდუსტრიის მნიშვნელობას.

რელიგიური ტურიზმის პოპულარიზაციის მიზნით ტურისტული კომპანიების მონაწილეობით ხშირად იმართება სპეციალიზირებული გამოფენები, კონგრესები, ფესტივალები და თეატრალიზებული წარმოდგენები. 2004 წელს იტალიაში საერთაშორისო ტურიზმის რელიგიური ორგანიზაციის მიერ გამართულმა ღონისძიებამ ერთად მოიცვა რწმენა, ხელოვნება, ისტორია და ბუნება. მსგავსი აქციები ხელს უწყობს რელიგიური ტურიზმის განვითარებას.

2009 წელს რომში გაიმართა რელიგიური ტურიზმის პირველი გამოფენა-ბაზრობა „სულიერი მოგზაურობის ფესტივალი", რომელიც თავისი შინაარსით ინოვაციური პროექტი იყო და მიზნად რელიგიური ტურიზმის მხარდაჭერას ისახავდა. მეორე ამგვარ ფესტივალზე, რომელიც 2010 წლის 14-17 იანვარს გაიმართა, წარმოდგენილნი იყნენ იტალიის რეგიონები, ტურიზმის სფეროს პროფესიონალები და დესტინატები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ახალგაზრდობის მიზიდვისა და ტურისტულ საქმიანობაში ჩართვის საკითხებს.

იტალიის ქალაქ აპულიაში უკვე ორმოცი წელია, იმართება ტურისტული კინოფესტივალი, სადაც მსოფლიოს 60 ქვეყნის კინოფილმია წარდგენილი.

რეგულარულად იმართება საერთაშორისო კონგრესები, რომელიც მიძღვნილია რელიგიური ტურიზმის პრობლემებისადმი. კვიპროსის ტურისრული ორგანიზაცია, კვიპროსის მართმადიდებელი ეკლესიის მხარდაჭერით 2006 წლის ოქტომბერში ნიკოზიაში გამართა რელიგიური თემისადმი მიძღვნილი კონფერენცია. კონფერენციაზე განიხილებოდა რელიგიური ტურიზმის, როგორც ტურიზმის განსაკუთრებული სახეობის მნიშვნელობა. კონგრესმა მოისმინა სასულიერო პირების რეკომენდაციები სახელმწიფოს მიერ რელიგიური ტურიზმის ხელშეწყობის შესახებ.

2008 წლის აპრილში პორტუგალიაში ჩატარდა საერთაშორისო ტურისტული კონგრესი სახელწოდებით: „კულტურულ-შემეცნებითი და რელიგიური ტურიზმის შესაძლებლობები და XXI საუკუნის გამოწვევები". ამ ღონისძიების მიზანი იყო თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების გაცვლა.

2009 წელს ბრაზილიაში გაიმართა რელიგიური ტურიზმის და მდგრადი განვითარების

საერთაშორისო კონგრესი თემაზე: „რელიგიური ტურიზმი – როგორც ადამიანისა და საზოგადოების რესურსების გამოყენება მდგრადი განვითარების ინტერესების შესაბამისად“. კონგრესის მიზანი იყო რელიგიური ტურიზმის ძირითადი ამოცანის – რელიგიური გათვითცნობიერების საკითხის განხილვა. ასევე,განიხილეს თემები, რომელიც დაკავშირებულია კულტურულ, რელიგიურ, ეკონომიკურ და გასტრონომიული პრობლემების გადაწყვეტასთან. ყურადღება დაეთმო ადგილობრივი რესურსებისა და ღირსშესანიშნაცი ობიექტების პოპულარიზაციის პრობლემას, რათა ამით უფრო მეტი ტურისტი იქნას მოზიდული.

რელიგიური ტურიზმის ასოციაციამ, რომელიც 2007 წელს აშშ-ში დაფუძნდა კევინ რაიტის მიერ, გადაწყვიტა ყოველწლიურად გამართოს გამოფენები სახელწოდებით: „რელიგიური ტურიზმის მსოფლიო გამოფენა და საგანმანათლებო კონფერენცია“.

2009 წელს გაიმართა რელიგიური ტურიზმის მეორე მსოფლიო გამოფენა, რომელშიც მონაწოლეობა მიიღეს ტურისტული ინდუსტრიის მსოფლიო ლიდერებმა. ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, კონფერენციისადმი დაინტერესება მაინც დიდი იყო. მასში მონაწილეობდა 30 ქვეყნის 550 წარმომადგენელი. (მათგან 300 „გამყიდველმა“ და 200 „მყიდველმა“).

საგანმანათლებლო კონფერენციაზე განიხილებოდა პილიგრიმობის საკითხი. აღინიშნა ისიც, რომ დღესდღეობით რელიგიური ტურიზმი გაცილებით მეტია, ვიდრე მომლოცველობა, რადგან ის უკვე მოიცავს ექსკურსიებს, კრუიზებს, დასვენებას, სამეცნიერო შეხვედრებს და სხვ.

რელიგიური მოგზაურობები უმსხვილესი საერთაშორისო ტურისტული გამოფენების ყურადღების ცენტრშია მოქცეული. 2010 წლის მილანის ბაზრობის პროგრამაში ჩართული იქნა 30 საერთაშორისო ტურისტული ბირჟა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებს რელიგიურ ტურიზმთან დაკავშირებლი მრავალი ორგანიზაცია. საფრანგეთში 10000 რელიგიური ძეგლი შეტანილია დაცული ისტორიული ძეგლების ნუსხაში, რომლიც ხელმისაწვდომია მნახველთათვის. ტურიზმის განვითარების მიზნით, მჭიდროდ თანამშრომლობენ ტურისტული სააგენტოები.

მსოფლიო ტირისტულ გამოფენაზე, რომელიც ყოველწლიურად იმართება ლონდონში, 2009 წელს გამოქვეყნებული იქნა მოხსენება რელიგიური ტურიზმის პრობლემებისა და მუსულმანურ ქვეყნებში მისი ხელშეწყობის შესახებ. მოხსენებაში აღინიშნა, რომ განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ახლო აღმოსავლეთის რეგიონი, რომელსაც რელიგიური ტურიზმის განვითარებისთვის დიდი პოტენციალი გააჩნია. მუსულმანური ღირსშესანიშნაობების მონახულება რელიგიური ტურიზმის ერთ-ერთი ფორმაა, ეს ნებადართულია მუსულმანური სამართლის მიერ.

5.3 მსოფლიოს რელიგიური ტურისტული მარშრუტები


რელიგიური ტურიზმის მარშრუტები მოგზაურებს არჩევანის საშუალებას აძლევს. მათგან მრავალი მარშრუტი დაკავშირებულია ადამიანთა გარკვეული ჯგუფის ისტორიასთან ან ერთ ცალკეულ ისტორიულ პერიოდთან. მაგალითად, საფრანგეთში ეს არის მოგზაურობა რომანული ხელოვნების ნაკეთებზე ან ელზასში ებრაულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული გზა. ევროპელ ტურისტებში დიდი მოთხოვნით სარგებლობენ ის მარშრუტები, რომლებიც კონკრეტული წმინდანის ცხოვრებასთანაა დაკავშირებული. ხშირად ასეთი მარშრუტები მხატვრულ-ისტორიულ მემკვიდრეობასთან და გარემოსთან გაცნობას გულისხმობს. (აგროტურიზმი, ღვინისა და გასტრონომიული პროდუქციის დეგუსტაცია მათი წარმოების ადგილზე). სიწმინდეების მონახულების შემდეგ, ბულგარეთში, საბერძნეთსა თუ კვიპროსში ტურისტებს საშუალება ეძლევათ ზღვის სანაპიროზე განაგრძონ დასვენება.

კულტურული მემკვიდრეობების მარშრუტების ორგანიზების იდეა წარმოიშვა ევროსაბჭოში. ჩანაფიქრის აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ დროსა და სივრცეში მოგზაურობისას მოეხდინათ ევროპოლი კულტურის ერთიანობის დემონსტრირება. მარშრუტის ოფიციალური ლოზუნგი იყო: „ჩვენთვისვე აღმოვაჩინოთ ჩვენი კონტინენტი!“. ამგვარი მარშრუტები ახდენენ ევროპული ქვეყნების კულტურული მრავალფეროვნების წარმოჩენას და ხელს უწყობენ კულტურათაშორის დიალოგს.

ძირითად ტურისტულ მარშრუტებად შერჩეული იქნა სამი მიმართულება, რომელიც შუა საუკუნეების პილიგრიმებს შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა: სანტიაგო-დე-კომპოსტელა, რომი და იერუსალიმი. ეს ცენტრები ერთმანეთს იმ სხვადასხვა გზით უკავშირდებოდნენ, რომელთა სინამდვილესაც ადასტურებენ მრავალრიცხოვანი ფაქტები. ევროპის ნებისმიერი წერტილიდან ყველა გზა


ამ სამი ცენტრის მიმართულებით მიდიოდა. მართალია გზები არ გამოირჩეოდნენ უნიკალურობით, მაგრამ ისინი აკმაყოფილებდნენ პილიგრიმების მოთხოვნებს და უზრუნველყოფდა მათ გადაადგილებას.

ევროპაში ორი ახალი ტურისტული მარშრუტის აღდგენა-განვითარების მაგალითია მომლოცველთა ისტორიული გზა: წმინდა იაკობის გზა ესპანეთის სანტიაგო-დე კომპოსტელასკენ და ვია ფრანჩიჯენა. ამ მარშრუტებით გადაადგილდებოდნენ არა მარტო პილიგრიმები, არამედ ეს გზები გამოიყენებოდა სამხედრო და ინტენსიური სავაჭრო დანიშნულებით. ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნით, ევროპის საბჭომ ვია ფრანჩიჯენასა და სანტიაგო-დე-კომპოსტელას გზები კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა.



წმინდა იაკობის გზა – ასეთია სანტიაგო-დე-კომპოსტელასკენ მიმავალი გზის სახელწოდება. ისტორიული ძეგლია თავად გზა, რომელიც IX საუკუნის შემდეგ ანუ რაც ნავარიის მეფე სანჩო უფროსმა და ალფონს VI ლიონელმა დაადგინეს „მომლოცველთა ფრანგული გზად" – არ შეცვლილა. წმინდა იაკობის გზის გაყოლებაზე კულტურულ-ისტორიული წერტილების აღორძინებამ კიდევ უფრო გაზარდა გზის რელიგიური მნიშვნელობა. გზაზე დამაგრებულია სპეციალური მაჩვენებლები, რომელზეც მომლიცველთა სიმბოლო – ნიჟარის ფორმის მზეა განფენილი სხივებით გამოსახული. გზის გასწვრივ ქალაქებსა და სოფლებში მრავლადაა შეომონახული შუასაუკუნეების ხელოვნების ძეგლები. დღესდრეობით ამგვარი მოგზაურობისთვის აუცილებელი არ არის მორწმუნე იყო, ამიტომაც არის, რომ წმინდა იაკობის გზით მილიონობით ტურისტი მოგზაურობს. გზის სიგრძე 800 კილომეტრია და ის პირინეის უღელტეხილებზე გადის.

იმისთვის რათა მიიღო წმინდა იაკობის გზის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატი ლათინურ ენაზე, აუცილებელია დარეგისტრირდე ამ გზაზე მდებარე რომელიმე ეკლესიაში და ფეხით სულ მცირე 100 კილომეტრი გაიარო. ცხენით ან ვირით გადაადგილების შემთხვევაში 150 კმ. ველოსიპედისტებისთვის კი 300 კმ-ია განსაზღვრული. მოგზაურობის თითოეულ მონაწილეს შეუძლია მიიღოს პილიგრიმის პასპორტი, სადაც ბეჭდითაა დადასტურებული ეკლესია – მონასტრების მონახულების ფაქტი.



1987 წლის ოქტომბერში წმინდა იაკობის გზა შეტანილი იქნა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში და გამოცხადებულია კულტურული მემკვიდრეობის მთავარ ევროპულ გზად.

მომლოცველთა უძველესი გზა „ვია ფრანჩიჯელა“ პირველად III საუკუნეშია მოხსენიებული. მას მგზავრი კენტერბერიიდან არრასის, რეიმსის, ლოზანისა და ევროპის სხვა ლამაზი ადგილების გავლით რომში მიჰყავს, თუმცა წმ. იაკობის გზასთან შედარებით არცთუ პოპულარულია.

VIII-XII საუკუნეებში ეს გზა იყო რომისა და ჩრდილოეთის ზღვის დამაკავშირებელი მთავარი არტერია. IX საუკუნეში მიიღო მისი ამჟამინდელი სახელწოდება ვია ფრანჩიჯელა, რაც ფრანკების სამეფოდან მომავალ გზას ნიშნავს. რომისკენ და შემდეგ წმინდა მიწისკენ მიმავალი ამ გზით გადაადგილდებოდნენ მეფეები, ვაჭრები, სასულიერო პირები და მომლოცველები. ვია ფრანჩიჯელა არ არის მხოლოდ ერთი გზა, არამედ ეს არის გზათა სისტემა თავისი მრავალი ალტერნათივით. ამას ამტკიცებს კენტერბერიის ეპისკოპოს სიგერიკის დღიური. 1994 წელს ფრანჩიჯელა ევროსაბჭომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად აღიარა.

ევროპის მსგავსად სამხრეთ კორეის კათოლიკური ეკლესია, ასევე ბუდიზმისა და ვონ-ბუდიზმის მიმდევრები ვანჯაუ-გუნის მაზრის, ქალაქ ჩონჩუის და ქალაქ იქსანის მმართველობებთან ერთად გეგმავს თავისი სამომლოცველო მარშრუტის ორგანიზებას, რომელიც ტურისტეს ადგილობრივ კულტურულ ძეგლებთან და სიწმინდეებთან დააკავშირებს. მარშრუტის სიგრძე 180 კმ. იქნება და ის გაივლის ჩონჩხოს კათოლიკურ სალოცავთან. გზის ძირითადი ნაწილი ტყის ბილიკებით უნდა დაიფაროს, მისი მთლიანად გავლა კი 7 დღეშია იქნება შესაძლებელი.

მარშრუტის გაყოლებაზე შეიქმნება დასასვენებელი ადგილები. ამ მიზნით გამოიყენებენ უკვე არსებულ კათოლიკურ თავშესფრებსა და ბუდისტურ მონასტრებს. მონასტრის კარები ღია იქნება როგორც მორწმუნეებისთვის, ისე მათთვის, ვინც რელიგიური მიზნებით მოგზაურობს. მომლოცველები გაეცნობიან ადგილობრივ ღირსშესანიშნაობებს.

ეგვიპტეში არის ოთხი რელიგიური მარშრუტი. პირველია ისლამური, რაც გულისხმობს ძველი მეჩეთებისა და სხვა ისლამური ძეგლების მონახულებას. მეორე მარშრუტია წმინდა ოჯახის გზა, მესამე – ებრაელთა გამოსვლის, მეოთხე კი არასტრუქტურიზებული რელიგიური ტურებია და თავად ტურისტების მოთხოვნა განაპირობებს. ამგვარ ტურებში შედის პირამიდებისა და ფარაონთა ნასახლარების მონახულება. მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლებია დაცული კაიროს მუზეუმში. რელიგიური ტურებისას ყოველთვის იგულისხმება სინას მთის მონახულება.

5.4 თემატური რელიგიურ-შემეცნებითი ცენტრების შექმნა

ბოლო წლებში რელიგიური ტურისტების მოსაზიდად მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იქმნება რელიგიური პარკები, თეატრები და სხვა სპეციალიზირებული ცენტრები და ობიექტები თავისი მრავალფეროვანი პროგრამებით.

ბოლო შვიდი წლის განმავლობაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში მრავალი ისეთი რელიგიური ღირსშესანიშნაობა შეიქმნა, რომელსაც ყოველწლიურად მილიონობით მნახველი ჰყავს. 2001 წელს ფლორიდას შტატში გაიხსნა ბიბლიური პარკი „წმინდა მიწის მოვლენები“. პარკის ტერიტორია 111 ათ.კვადრატული მეტრის ფართობზეა გადაჭიმული და იქ განთავსებულია ბიბლიური იერუსალიმის, ასევე მაცხოვრის საფლავის ტაძრის სრული მოდელი. აქვე ხდება ქრისტეს ჯვარცმის თეატრალიზებული რეკონსტრუქცია. 2006 წელს პარკი განთავისუფლდა ყოველგვარი გადასახადისგან, რადგან ის რელიგიურ მუზეუმად სცნეს. პარკის მფლობელმა კომპანიამ „Trinity broadcasting network“-მა გახსნა კიდევ ერთი პარკი – „სამების მუსიკალური ქალაქი“, სადაც ასევე ბიბლიური სცენებია მოდელირებული.

მსგავს ღირსშესანიშნაობას მიეკუთვნება 2007 წელს გახსნილი ევანგელისტურ-ბაპტისტური ბიბლიოთეკა და მუზეუმი. ასევე გაიხსნა „ბიბლიური ინტერაქტიული სწავლების ცენტრი“ და „ოჯახისადმი ყურადღების ცენტრი“. თითოეულ ამგვარ ობიექტს ყოველწლიურად 250000 მნახველი სტუმრობს. განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ქრისტიანული თეატრი „სანახაობა და ხმოვანება“, რომელიც „ქრისტიანულ ბროდვეიდ“ იწოდება.

2009 წელს თავისი 10 წლის იუბილე აღნიშნა ბუენოს-აირესის თემატურმა კომპლექსმა „წმინდა მიწამ“, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ გააჩნია და რომელიც რელიგიური განათლების საკითხებითაა დაკავებული. ქალაქის ცენტრიდან 15 წუთის სავალზე, ყველაზე ფართო მდინარე ლა-პლატას ნაპირთან 7.5 ჰექტარზეა გადაჭიმული რელიგიური პარკი, რომლის სტუმრებსაც შეუძლიათ მრავალიცხოვანი ექსპოზიციების მეშვეობით თვალი მიადევნოს ქრისტეს ცხოვრებას დაბადებიდან ჯვარცმამდე და

აღდგომამდე. პარკის თანამშრომლები გამოწყობილები არიან ძველი დროის აღმოსავლურ ტანსაცმელში. სიძველის ატმოსფეროს ქმნის ადამიანისა და ცხოველის 400 ფიგურა. აქვეა თიხის და ქვის სახლები. მთავარი ბიბლიური პერსონაჟების ფიგურები მოძრაობენ სპეციალური მექანიზმების მეშვეობით.

„წმინდა მიწაზე" მოქმედებს კათოლიკური ეკლესია, მეჩეთი დ სინაგოგა. ცალკეული პავილიონები მიძღვნილია მაჰათმა განდისა და დედა ტერეზას, ასევე რომის პაპის იოანე პავლე მეორისადმი.

ერცელ დარბაზებში მიმდინარეობს რელიგიური შინაარსის შემეცნებითი ფილმების ჩვენება. ხოლო პარკის საესტრადო სცენაზე წარმოდგენილია მაღალხარისხიანი მუსიკალური შოუ. პარკს სულ 3.5 მილიონი არგენტინელი და უცხოელი მნახველი ჰყავდა.

ისლამური ცივილიზაციისადმი მიძღვნილი თემატური პარკი 2008 წელს გაიხსნა მალაიზიაში. ექსპონანტების სახით პარკში წარმოდგენილია დედამიწის სხვადასხვა კუთხეში მდებარე 12 მეჩეთის მაკეტი. მათ შორისაა ცნობილი ესპანეთის ალგამბრა და ინდოეთის ტაჯ-მაჰალი. პარკი მხოლოდ მუსულმანებისთვისაა განკუთვნილი.

რელიგიური ხელოვნების პირველი მუზეუმი შეიქმნა პერუს ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ლამბაეკეს დეპარტამენტში. აქ არის უძველესი სიკანური (წინ უსწრებდა ინკების ცივილიზაციას) კულტურის მუზეუმი.

რელიგიური ტურიზმის განვითარების მაგალითად შეიძლება გამოდგეს კორეა, სადაც ამოქმედებულია ბუდიზმის შესწავლისა და პოპულარიზების პროგრამა „ტაძრადყოფნა". პროგრამა მნახველებს საშუალებას აძლევს იხილონ ბუდისტი ბერების ცხოვრება და მოღვაწეობა. ამასანავე გაეცნონ უძველეს ბუდისტურ არტეფაქტებს.

მონასტრებთან არსებული სასტუმროები ტურისტებს 30-40 დოლარად სთავაზობს ღამის გასათევს, მაშინ, როცა სამ ვარსკვლავიანი ტიპი სასტუმრო ღღიურად არანაკლებ 100-130 დოლარი ღირს.

კორეის მთავრობა აქტიურად უჭერს მხარს პროგრამას და აფინანსებს მას სპეციალური ფონდიდან. მთლიანად პროგრამის დაფინანსებისთვის 216 მილიონი დოლარია გათვალისწინებული.

პროგრამა „ტაძრადყოფნა" ეფექტურ ზეგავლენას ახდენს კორეის ტურისტული სეგმენტის განვითარებაზე, ამაღლებს მიმზიდველობის ხარისხს და ხელს უწყობს ტურისტული ნაკადების დივერსიფიკაციას. მორწმუნეებს საშუალება ეძლევათ შეებულება გამოიყენონ რელიგიური ცოდნის გასაღრმავებლად.

5.5 რელიგიური კრუიზები

ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები რელიგიური მოგზაურებისთვის, ბოლო ოცი წლის მანძილზე რელიგიური კრუიზები შედარებით უცნობი სეგმენტიდან სასურველ არჩევნად გადაიქცა. რელიგიურ ტურისტებს შორის ყველაზე პოპულარული კარიბის ზღვის კრუიზია. მას პოპულარობით თანმიმდევრობით მიჰყვებიან კრუიზები ალასკის, ხმელთაშუა ზღვის, ევროპის და ამერიკის მდინარეების მიმართულებით. რელიგიური ორგანიზაციების და სხვადასხვა კონფენსიების წარმომადგენლები მხრიდან სულ უფრო მზარდია გემების ქირაობის პრაქტიკა რელიგიური კრუიზების მოსაწყობად. გამოკითხვა ცხადყოფს, რომ რელიგიურ კრუიზებში მონაწილეთა 75% პირველად მიემგზავრება ამგვარ ტურში.

ქრისტიანული კრუიზები, რომელიც 3-8 დღე გრძელდება, დასვენების ყველაზე ეკონომიური ფორმაა და მისი ღირებულება 399 აშშ $-დან იწყება. კრუიზისას ტარდება სასწავლო სემინარები, უსმენენ მქადაგებლებს, ეწყობა გასართობი ღონისძიებები და ისმენენ ქრისტიანულ მუსიკას, რაც ერთიორად ამაღლებს სულიერებას.

რელიგიურ კრუიზებს ცნობილი ტურისტული კომპანიები აწყობენ. მათ შორისაა Princess Cruises-ი, რომელსაც მოგზაურები წმინდა მიწის მიმართულებით გადაჰყავს. Royal Caribbean-ი ტუროპერატორებს უზრუნველყობს თავისი გემებით, რათა ქრისტიანი ტურისტები სპეციალური მარშრუტით ბაგამის კუნძულებისკენ გაამგზავროს. ტურში მონაწილეობდნენ ცნობილი ქრისტიანი პოპ-ვარსკვლავები (მეთიუ ბესტი და სხვ.). Holand America Line რელიგიურ კრუიზებს ალასკის მიმართულებით, ქრისტიანი ნატურალისტების მონაწილეობით აწყობს.

კრუიზები, როგორც რელიგიური მოგზაურობის ფორმა, სხვა ქვეყნებშიც სწრაფად გავრცელდა. 2010 წლის თებერვალში ბრაზილიაში მოეწყო პირველი რელიგიური კრუიზი. ევანგელისტებით სავსე გემი (1800 მგზავრი) გაემგზავრა კრუიზში (სახელწოდებით „დიადი მესა"). ასეთი საკრუიზო გემები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით და ყველანაირ კომფორტს სთავაზობენ მგზავრებს. ერთ მგზავრზე კრუიზის ღირებულება 953 ევროს შეადგენდა.

5.6 რელიგიური ტურიზმის საერთაშორისო მახასიათებლები

რელიგიური ტურიზმის ბაზრის განხილვისას შეიძლება დავასკვნათ, რომ მთელს მსოფლიოში მიმდინარეობს რელიგიურ-კულტურული მოგზაურობების აქტიური განვითარება. მსოფლიო რელიგიური ტურიზმის დამახასიათებელი ნიშნებია:

1. არ არსებობს გამოკვეთილი (მყარი) მიჯნა პილიგრიმობას, მისიონერობას და რელიგიურ ტურიზმს შორის. ამიტომაც, ზოგიერთ ქვეყანაში ითვალისწინებენ რა განუყოფელ კავშირს კულტურულ-შემეცნებით მოგზაურობასა და რელიგიური მიზნებით მოგზაურობას შორის, რელიგიური ტურიზმის კატეგორიას მიაკუთვნებენ რელიგიური ადამიანების მოგზაურობის ყველა სახეს.
2. რელიგიური მგზავრობების ორგანიზებას, სპეციალიზირებული ტურისტული კომპანიების პარალელურად სხვადასხვა ფონდები, ასოციაციები, საზოგადოებრივი და რელიგიური გაერთიანებებიც ასრულებენ.
3. რელიგიურ ადამიანთა გამგზავრების ორგანიზებისას გამოიყენება ტურიზმის სხვა სახეობის ელემენტებიც: კრუიზები, რაიმე მოვლენასთან დაკავშირებული (აღდგომა, შობა, მფარველ წმინდანთა დღესასწაულები და სხვ.) ტურები. ხშირია რელიგიური ტურიზმის და სხვა ტურისტული სახეობების გაერთიანების შემთხვევები, რაც კიდევ უფრო ეფექტურს ხდის მას.
4. მრავალი სპეციალიზირებული ორგანიზაციის კომერციული საქმიანობა, რელიგიური ორგანიზაციების მიმართ მოიცავს მორწმუნეთა სამომლოცველო და მისიონერული გამგზავრების შეთავაზევას.
5. რელიგიური ტურიზმის პროპაგანდირებისა და წინ წაწევისათვის ეწყობა გამოფენები, ფესტივალი, კონგრესები, ასევე ხელს უწყობენ სხვადასხვა რელიგიური კონფესიების ადამიანთა გაერთიანებას. შესაბამისი კანონებისა და ნორმატიული აქტების მიღებით, სახელმწიფო ხელს უწყობს რელიგიური ტურიზმის განვითარებას.

რელიგიურ ტურიზმში მონაწილეობენ სხვადასხვა სოციალური ჯგუფების და კონფესიების წარმომადგენლები, რომლებიც ეცნობიან არა მხოლოდ რელიგიურ, არამედ მოსანახულებელი ტერიტორიის ისტორიულ, კულტურულ და მხატვრულ მემკვიდრეობას. ნებაყოფლობით მონაწილეობენ დანგრეული კულტურული ძეგლების აღდგენაში, რითაც კიდევ უფრო იღრმავებენ შესაბამის ცოდნას. რელიგიური ტურიზმი ქმნის ტერიტორიის მყარი განვითარების წინაპირობას, რაც რელიგიურ-კულტურული მოგზაურობების განსავითარებლად ახალ შესაძლებლობებს იძლევა.

კითხვები გამეორებისთვის:

1. რამდენ მილიარდ დოლარადაა შეფასებული რელიგიური ტურიზმის მსოფლიო ბაზარი?
2. რა ღონისძიებები ტარდება რელიგიური ტურიზმის პოპულარიზაციისთვის?
3. რელიგიური ტურიზმის რომელი მარშრუტებია თქვენთვის ცნობილი?
4. ჩამოთვალეთ რელიგიური ტურიზმის მახასიათებლები.

თავი 6. რელიგიური ტურიზმის სამართლებლივი ასპექტები

6.1 რელიგიური ტურიზმი და მსოფლიო ტურისტული ორგანიზაცია

მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის (UNWTO) ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელსაც პირდაპირი შეხება აქვს რელიგიურ ტურიზმთან, გახლავთ ტურიზმის გლობალური ეთიკური კოდექსი. ის ერთხმად იქნა მოწონებული და დამტკიცებული სანტიაგოში გამართული მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ.

ტურიზმის გლობალური ეთიკური კოდექსი ტურიზმის საპასუხისმგებლო და მდგრადი განვითარების ორიენტირების სრულ კომპლექს ადგენს და ასახავს XX საუკუნის ბოლოს მსოფლიოში მომხდარ ცვლილებებს.

კოდექსში ხაზგასმულია, რომ ტურიზმის განვითარება უნდა ხდებოდეს რეგიონებისა და ქვეყნების ადგილობრივ ტრადიციებთან ჰარმონიში. ტურიზმი ხელს უნდა უწყობდეს ზოგადსაკაცობრიო ეთიკური ღირებულებების გავრცელებას, ტოლერანტობას და განსხვავებული რელიგიური კონფესიებისადმი პატივისცემას, ქვეყნებს სშორის მეგობრული ურთიერთობების გაღრმავებას.

ტურისტული პოლიტიკა უნდა გატარდეს იმგვარად, რომ წაადგეგს ადამიანების ცხოვრებისეული დონის ამაღლებას. ტურიზმმა ხელი უნდა შეუწყოს ადამიანების ინდივიდუალურ და კოლექტიურ სრულყოფას, მათ თვითგანათლებას და სულიერ ამაღლებას. ამ მხრივ, განსაკუთრებული მისია აკისრია რელიგიურ ტურიზმს.

ტურიზმის რეგულირების სახელმწიფო ბერკეტებია: ნორმატიული აქტები, წამახალისებელი ინსტრუმენტები, ფინანსური სტიმული, ეკონომიკის სტაბილურობა, ფიზიკური გარემოს შექმნა, საზოგადოების განწყობის ფორმირება [110:5].

ტურისტული პოლიტიკა და საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს მხატვრული, არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად – მათი მომავალი თაობებისთვის გადაცემის მიზნით. ამისთვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექცეოდეს ისტორიული და რელიგიური ძეგლების დაცვას. საჭიროა ეკლესიებისა და მუზეუმების კარი ფართოდ გაღოს მრავალათასიანი მნახველებისთვის. ადამიანებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს კულტურული ძეგლების მონახულება ისე, რომ ამით ზიანი არ მიადგეს საკულტო ნაგებობებს.

ესპანეთის ქალაქ კორდობაში, 2007 წლის 29-31 ოქტომბერს გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე „ტურიზმი, რელიგია და კულტურათა შორის დიალოგი" [153], ტურიზმის საერთაშორისო ორგანიზაციის (UNWTO) მიერ წამოყენებული იქნა შემდეგი ძირითადი ამოცანები:

ა. ერთის მხრივ შესწავლილი იყოს კავშირი რელიგიასა და ტურიზმს შორის – უპირველესად მომლოცველობასა და მორწმუნეთა მასობრივ შეკრებებს შორის, რათა გაძლიერდეს ტურიზმის პოტენციალი და გაიოლდეს დიალოგი სხვადასხვა ცივილიზაციებს შორის. აქვე აღინიშნა, რომ რელიგიურ ტურიზმს შეუძლია იყოს საზოგადოებისა და მთლიანად კაცობრიობის დაცვის მძლავრი იარაღი.

ბ. მეორეს მხრივ, შეკრების ორგანიზატორები ცდილობდნენ მთავრობების, რელიგიური ხელისუფლების და ტუროპერატორების ყურადღების მიქცევას რელიგიური და სულიერი ღირებულებების ხშირი და წარმატებული ორგანიზებისთვის.

რელიგიური ტურიზმი ვითარდება არა მხოლოდ განვითარებულ, არამედ განვითარებად ქვეყნებშიც, იმისდა მიხედვით თუ რამდენად შესწევთ ეკონომიკური შესაძლებლობები საშუალო და მდიდარ კლასს მოგზაურობისთვის. XXI საუკუნე ხასიათდება ღირებულებების ძიებით და ამდენად, რელიგიური და სულიერი ტურიზმი სხვადასხვა აღმსარებლობის და შეხედულებების ადამიანებს დაახლოვების საშუალებას აძლევს.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ რელიგიური ტურიზმი სულ უფრო ინტერნაციონალურ ხასიათს იძენს და ნაციონალური ტურიზმიდან გადაიზარდა ტურიზმში, რომელშიც სხვადასხვა ეროვნების ადამიანები მონაწილეობენ. რელიგიური ტურიზმის შესამჩნევად განვითარებამ, ბოლო 30 წლის განმავლობაში მომლოცველობას ძველი დიდება დაუბრუნა. მან, თავის მხრივ მილიონობით ადამიანი დააკავშირა ერთმანეთთან. მომლოცველობა და მორწმუნეთა მასობრივი თავყრილობები ხელს უწყობს და ამტკიცებს ხალხთაშორის მშვიდობას და თავად ტურიზმსაც ეხმარება იქცეს „სოლიდარობის ტურიზმად".

მიუხედავად ამჟამად არსებული ტენდენციისა, რელიგიური ტურიზმი მრავალ დაბრკოლებას აწყდება,

მათ შორისაა გადაადგილების შეზღუდვა და ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები, რაც გულისხმობს რელიგიურ შეკრებებში მათი მონაწილეობის შეზღუდვას, პასპორტებისა და ვიზების გაცემის ლიმიტირებას, მეორეს მხრივ კი კანონი ტურისტებსაც ავალდებულებს პატივი სცენ და მოუფრთხილდნენ კულტურულ მემკვიდრეობას.

გამომსვლელები აღნიშნავდნენ, რომ რელიგიურ ტურიზმში ეკუმენიზმი სულ უფრო მზარდია, თუმცა ხელს უწყობს სხვა რელიგიებისა და კულტურების შესწავლას და ურთიერთგაგების შემთხვევაში აყალიბებს ცივილიზაციების ალიანსს – „სულიერი ტურიზმის ფარგლებში".

ტურიზმი მოგზაურებს აცნობს ადამიანების ცხოვრების წესსა და მათ რელიგიას, მსოფლმხედველობას, აახლოვებს მათ და ამიტომაც აუცილებელია ბარიერების მოხსნა მის გასავითარებლად.

მოხსენებაში გაანალიზებული იქნა ამ ტიპის ტურიზმის სამი ძირითადი ფორმა:

ა. მომლოცველობა ტურისტული აქტივობის ცენტრებში;

ბ. მასობრივი რელიგიური და სულიერი თავშეყრები;

გ. მარშრუტები და გზები, რომელსაც სამომლოცველო ცენტრებისკენ, წმინდა ადგილებისკენ მიჰყავს მორწმუნეები;

აღინიშნა, რომ მომლოცველობა არის რელიგიური ტურიზმის ყველაზე გავრცელებული ფორმა. ზოგიერთ რელიგიაში მომლოცველობა სულიერი პრაქტიკის განუყოფელი ნაწილია. ამიტომაცაა, რომ მომლოცველობა ყოველწლიურ რეკორდებს სხნის და მასში მონაწილეთა რიცხვი კიდევ იზრდება. გარდა ამისა, სამომლოცველო პროგრამებში ჩართულია შემეცნებითი და გასართობი ელემენტებიც.

კონფერენციის მონაწილეები იმსჯელეს იმაზე, რომ რელიგიური დღესასწაულები ახასიათებს ყველა აღმსარებლობას და ტრადიციას, შესაბამისად რელიგიურ შეკრებებს შეუძლიათ სხვადასხვა სარწმუნოების მილიონობით ადამიანის მიზიდვა და მათ უფრო საზეიმო ხასიათი აქვს, ვიდრე რელიგიური. ტურიზმი მაინც დაკავშირებულია სიძნელეებთან და რისკებთან (ეპიდემია, ტერაქტი და სხვა). მსოფლიოში ყველაზე მასობრივ რელიგიურ შეკრებად ითვლება ინდუისტური „კუმბახა მელა".

მომლოცველობის გზები და რელიგიური მარშრუტები თანდათან ტურისტულ პროდუქტად იქცნენ, რასაც დიდძალი შემოსავლები მოაქვს მიმდებარედ (ადგილობრივი) მცხოვრები მოსახლეობისთვის. მომლოცველობა საჭიროებს გარკვეულ სულიერ და ფიზიკურ მომზადებას.

აღინიშნა, რომ მსგავსი სამომლოცველო მარშრუტებიდან ყველაზე ცნობილია წმინდა იაკობის გზა (წმინდა იაკობის საფლავთან, სანტიაგო-დე-კომპოსტელა). ევროსაბჭოს მიერ შემუშავებული იქნა სპეციალური პროგრამა „მომლოცველის გზა".

2007 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული იქნა „აბრაამის გზის„ მარშრუტის პროექტი.

რელიგიური ტურიზმის მყარი გავითარების პერსპექტივა გულისხმობს სხვადასხვა ელემენტების გათვალისწინებას:

1. მასშტაბურ რელიგიურ შეკრებებთან დაკავშირებული ადამიანთა ნაკადების მოცულობის შეფასება და მართვა;
2. რელიგიური და კულტურული ძეგლების შეანრჩუნება და მათი მნიშვნელობის გაზრდა;
3. ბუნებრივი გარემოს დაცვა იმ ადგილებში, სადაც იმართება მნიშვნელოვანი რელიგიური ღონისძიებები;
4. მომლოცველობის გზები და მარშრუტები;
5. ადამიანების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ჰიგიენის დაცვა;
6. ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების და კომუნიკაციების ეფექტურად გამოყენება;
7. ტურიზმთან დაკავშირებული ახალი პროდუქტებისა და მომსახურების რეკლამა და მარკეტინგი.

გლობალიზაციამ გამოიწვია რელიგიური ტურიზმის კომერციალიზაცია და იგი კომერციულ პროდუქტად აქცია. თუ უწინ მომლოცველები განთავისუფლებულები იყვნენ გადასახადისგან, სამგზავრო ბეგარისგან და მათ არ სჭირდებოდათ ხარკის გაღება, „უფლის სახლში შესასვლელად", ამჟამად იგი საბაზრო მოთხოვნებზეა გადაწყობილი. რელიგიურ ტურიზმს დიდი დემოგრაფიული ბაზა გააჩნია და ტურისტული სექტორი სულ უფრო მზარდია.

აღინიშნა ისიც, რომ რელიგიური ტურიზმი მიზანსწრაფულად იზრდება კომერციული კუთხით და ახალ-ახალი სამუშაო პრობლემების გადაჭრას საჭიროებს. უმთავრესად ეს ეხება კულტურულ მემკვიდრეობას.

კონფერენციაზე წამოჭრა საკითხი თუ რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს რელიგიური ტურიზმი „მდგრადად“? რელიგიური ტურიზმი მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლება „მდგრადად“ თუ ის ხელს უწყობს ადგილობრივი განვითარების ციკლს, რაც მოიცავს ეკონომიკას, გარემოს, სოციალურ, კულტურულ და ეთიკურ ასპექტებს, თუ ის იცავს ადგილობრივ კულტურულ და ბუნებრივ ღირებულებებს.მან უარყოფითი გავლენა არ უნდა მოახდინოს ბუნებაზე და ძალზედ მომჭირნედ უნდა ისარგებლოს განახლებადი ენერგიით – დაბინძურების თავიდან ასარიდებლად.

საერთაშორისო ტურისტულმა ორგანიზაციამ განსაზღვრა მთელი რიგი ამოცანებისა, რომლის შესრულებაზეც დამოკიდებულია მდგრადი ტურიზმი:

1) ეკონომიკურად განხორციელებადობა;
2) ადგილობრივი განვითარება;
3) დასაქმების მაღალი ხარისხი;
4) სოციალური სამართლიანობა;
5) ტურისტების დაკმაყოფილება;
6) ადგილობრივი კონტროლი;
7) ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობა;
8) კულტურის სიმდიდრე;
9) ფიზიკური მთლიანობა;
10) ადგილობრივი რესურსების შემოსაელიანობა;
11) გარემოს სისუფთავე;

ამ საკითხების მოგვარება სიძნელეს წარმოადგენს, როცა საქმე მილიონობით ადამიანის მომსახურებას ეხება.

რელიგიურ ტურიზმში ჩართულია ყველა ასაკისა და ფენის ადამიანი. გლობალიზაციის შედეგად, ტურისტული მარშრუტები იძენენ საერთაშორისო ხასიათს. ხდება მისი ინტერნაციონალიზაცია. ცალკეული რელიგიურ ობიექტებს ამჟამად გაცილებით მეტი უცხოელი სტუმრებს, ვიდრე ადგილობრივი მოსახლე. რელიგიური ტურიზმის შესაძლებლობები გამუდმებით ზრდის მის კომერციულ მნიშველობას.

რელიგიური ტურიზმის განვითარების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა უსაფრთხოების საკითხებს. ნორმად ითვლება მომლოცველისთვის დახმარების გაწევა. ავადმყოფებისა და ინვალიდებისთვის გათვალისწინებულია შეღავათები. მოქმედებს დაზღვევის სისტემა. დიდი ყურადღება ეთმობა კვების ჰიგიენს ნორმების დაცვას, რათა თავიდან აირიდონ ეპიდემიის საფრთხე. განსაკუთრებული მზრუნველობით იღწვიან იმისთვის, რათა რელიგიური ობიექტები ტურისტულად მიმზიდველი გახადონ.

რელიგიური ტურიზმის მარკეტინგული სტრუქტურები მიმართავენ სტრატეგიას რელიგიური მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად და სამართავად. ტურისტული საქმიანობა ხორციელდება ტურიზმის გლობალური ეთიკური კოდექსის დაცვით.

დასკვნები და რეკომენდაციები

ა. ტურიზმს ნამდვილად შეუძლია ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი რელიგიებს, კულტურებსა და ცივილიზაციებს შორის დიალოგში.

ბ. აუცილებელია რელიგიური ტურიზმის და ტურიზმის სხვა ფორმების განვითარება.

გ. რელიგიური ტურიზმის პროგრამა თავისუფალი უნდა იყოს სტერეოტიპებისგან, რასიზმისგან, ქსენოფობიისგან, ექსტემისტული ნაციონალიზმისგან და ტერორისგან. რელიგიური ტურიზმის ვებგვერდები არ უნდა შეიცავდეს ტურიზმის გლობალური ეთიკური ნორმებისგან გადახვევის ფაქტებს.

დ. რელიგიური ტურიზმი მოითხოვს რეგულარული კვლევების ჩატარებას მისი მასშტაბების და ფორმების დასადგენად. სტრატეგიული მონაცემები, რომელიც ეხება რელიგიურ ტურიზმს, საჯაროდ უნდა იქნას განხულული.

6.2 რელიგიური ტურიზმის საკანონმდებლო რეგულირება საქართველოსა საზღვარგარეთის ქვეყნებში

ისეთი ქვეყნების კანონმდებლობაშიც კი, სადაც რელიგია სახელმწიფოსგან გამოყოფილია, შესაძლოა შემოღებული იქნას რელიგიური ორგანიზაციების რეგულირებისა და ადამიანის უფლებათა ნაწილობრივ შეზღუდვის ნორმები, რომელიც ითვალისწინებს ისტორიულ და რელიგიურ ტრადიციებს. ვატიკანში მიღებულია კანონი, რომელიც ქალს უკრძალავს სახელმწიფო სამსახურში მუშაობას.

2002 წელს საბერძნეთში, ევროპარლამენტის მოთხოვნის მიუხედავად, სახელმწიფო-სამართლებლივი აქტით დამტკიცებულია საუკუნეების განმავლობაში მიღებული ნორმა, რათა არ დაიშვას ქალი ათონის ტერიტორიაზე.

მრავალ სახელმწიფოში რელიგიური ტურიზმი განაკუთრებული საკანონმდებლო აქტებით რეგულირდება. საუდის არაბეთში „რელიგიური ტურიზმი" სამეფოს ეკონომიკის სამინისტროს მკაცრ კონტროლს ექვემდებარება. დღემდე ქვეყანაში შესასვლელი ვიზები მხოლოდ დიპლომატების, ბიზნესმენებისთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის გაიცემა. ვიზები ეძლევათ ასევე მომლოცელებს. ვიზები არ გაიცემა იმ პირებზე, რომლებსაც პასპორტში აღენიშნებათ რაიმე ცნობა (შტამპი და სხვ.), რომელიც ადასტურებს მათ ყოფნას ისრაელის ტერიტორიაზე. ვიზიტორებისთვის მოქმედებს გარკვეული სახის შეზღუდვები: ტურისტები ვალდებულები არიან იმოგზაურონ ჯგუფ-ჯგუფად და ისიც ადგილობრივი ტურისტული ორგანიზაციების ზედამხედველობით.

2006-2010 წლებში ბელორუსის რესპუბლიკამ დაამტკიცა ტურიზმის განვითარების ეროვნული პროგრამა, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება რელიგიური ტურიზმია. რელიგიური ტურიზმის პროგრამის თანახმად, რესპუბლიკა ბელორუსის საზღვრებსგარეთ რელიგიური სიწმინდეების მონახულება და თაყვანისცემა იყოფა ორ ნაწილად: 1. მართმადიდებლებისთვის და იუდეველებისთვის წმინდა მიწა. კათოლიკებისთვის მაცხოვრის საფლავი; 2. მუსულმანებითვის – მექა და მედინა.

შიდა რელიგიური ტურიზმის განსავითარებლად აქტიურად მიმდინარეობს ძველი სალოცავების რესტავრაცია.

2006 წელს იტალიის ქალაქ პემონტში მიღებული იქნა რელიგიური ტურიზმის ხელშემწყობი კანონი. კანონი ითვალისწინებს შეღავათებს და ფინანსურ დახმარებას იმ საწარმოებისთვის რომლთა საქმიანობაც გულისხმობს:

1. კულტურული, მხატვრული და რელიგიური მემკვიდრეობის აღდგენას.
2. სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების მიერ მოგზაურთა დაბალ ფასებში მიღება-განთავსებას;
3. სიწმინდეების პოპულარიზაციისთვის გაწეულ საქმიანობას;
4. რელიგიური ტურიზმის ნაკადების კონსოლიდაციას, რომლის პროგრამაშიც ჩართული იქნება პემონტი.
5. რელიგიური ტურიზმისთვის სპეციალისტების მომზადებას.

ტურიზმი საქართველოში ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგია. წლების მანძილზე არაერთი მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა მისი განვითარებისათვის. ამჟამად მიმდინარე მრავალი სახელმწიფო პროგრამაც მიზნად ისახავს ტურიზმის ხელშეწყობას. თუმცა მათი ეფექტურობის მიღწევას ხელს უშლის საქართველოს, მათ შორის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, კანონმდებლობა, რომელიც საკმაოდ მოძველებულია [62:2].

საქართველოში ტურიზმის სფეროს შემდეგი კანონები არეგულირებს:

1. საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ";
2. საქართველოს კანონი „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ";
3. ტურიზმის ქარტია.

საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ" არეგულირებს ტურიზმისა და საკურორტო საქმიანობის სფეროში არსებულ ურთიერთობებს. მოცემული კანონის შესაბამისად საქართველოს ტურისტული და საკურორტო რესურსები ეროვნული სიმდიდრეა და მას სახელმწიფო იცავს. ქვეყნის პოლიტიკას ტურიზმისა და კურორტების დარგში განსაზღვრავს პარლამენტი, ხოლო პრეზიდენტი უზრუნველყოფს ერთიანი პოლიტიკის გატარებას და ამტკიცებს სანიტარიული დაცვის ზონებს. უნდა ითქვას, რომ კანონის რიგი დებულებები ვერ პასუხობს მიმდინარე გამოწვევებს.

საქართველოს კანონი „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ" განსაზღვრავს საქართველოს კურორტისა და საკურორტო ადგილებში საწარმოთა განთავსების, სამეწარმეო საქმიანობის, ბუნებრივი სამკურნალო რესურსებით სარგებლობისა და მოსახლეობის განსახლების აუცილებელ პირობებს.

აღნიშნული კანონის მიზანია ბუნებრივი სამკურნალო რესურსების თვისებების შენარჩუნება და მათი დაბინძურების, გაფუჭებისა და გამოფიტვისგან დაცვის მიზნით სანიტარიული დაცვის ზონების დადგენა. მოცემული კანონის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე გამოიყოფა სანიტარიული დაცვის სამი ზონა, კერძოდ მკაცრი, შეზღუდული რეჟიმისა და სამეთვალყურეო ზონა.

ტურიზმის ქარტია მოწონებულ იქნა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის მიერ (WTO) 1985 წელს. საქართველო WTO-ს წევრია 1993 წლიდან, ქარტია კი აღიარებულ იქნა საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 25 იანვრის დადგენილებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველომ საკუთარ თავზე აიღო რიგი ვალდებულებები, რომელიც აუცილებელია შესრულდეს ქარტიის მონაწილე ყველა ქვეყნის მიერ [48:3-6].

საქართველოში ტურიზმის საკანონმდებლო რეგულირებაში უამრავი პრობლემა შეინიშნება, რომ ალარაფერი ვთქვათ რელიგიურ ტურიზმის საკანონმდებლო ბაზაზე, რომელზეც არაფერია საერთოდ ნათქვამი ტურიზმის მარეგულირებელ დოკუმენტებში.

სახელმწიფოსა და რეგიონის კანონმდებლობაში აუცილებელია ცვლილებების შეტანა, რადგან ისინი ვერ უწყობენ დარგში მიმდინარე პროგრესს ფეხს. კანონმდებლობა სფეროსათვის მნიშვნელოვან ტერმინებსაც კი არ იცნობს და იმგვარად განსაზღვრავს დარგის მართვის ორგანოებს, რომ მათი ფუნქციები და უფლებამოსილებები ბოლომდე მაინც არაა ჩამოყალიბებული, რაც არაერთ პრობლემას წარმოშობს. კანონმდებლობა ასევე არ იცნობს ხარისხის და უსაფრთხოების რეგულირებებს, რის გამოც არა მხოლოდ დაბალი ხარისხის მომსახურებას იღებს ქვეყანაში შემოსული თუ შიდა ტურისტი, არამედ მომხმარებელთა უფლებების სათანადო დაცვაც კი ვერ ხერხდება. საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზმა წარმოაჩინა, რომ სამართლებრივი რეგულაციების ნაწილი საქართველოში ტურიზმის წახალისებისათვის საკმარისად არ გამოიყენება, როგორიცა საგადასახადო რეგულირებები, მაშინ, როდესაც მათი გამოყენებით დარგის განვითარების საკმაოდ ფართო შესაძლებლობები არსებობს [62:2].

ტურიზმის განვითრების სახელმწიფო პროგრამები არსებობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, რომლებიც თვლიან ტურიზმს ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ ძირითად დარგად, აგრეთვე საკმაოდ მნიშვნელოვანია შემოსავლები, რომლებსაც იღებს სახელმწიფო ტურისტული საქმიანობის გადასახადის სახით. მაგალითად, აშშ-ში ტურიზმიდან გადასახადები საშუალოდ შეადგენს 130 მილიარდ დოლარს წელიწადში, იაპონიაში – 70-ს, გერმანიაში – 57-ს და ა.შ. [114:470].

საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის ანალიზმა ცხადჰყო, რომ ტურიზმის შესახებ კანონმდებლობა მოძველებულია და ვერ ეწევა დარგის მოთხოვნილებებს. აუცილებელია, საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ და აჭარის არ კანონი „ტურიზმის რეგულირების შესახებ“ განახლდეს, აისახოს მასში მნიშვნელოვანი ტერმინები, როგორიცაა სხვადასხვა ტურისტული სახეობის განმარტება (სოფლად ტურიზმი, ეკოტურიზმი, საქმიანი ტურიზმი და სხვა), ტურისტული მომსახურებების განმარტება და ა.შ. [62:27].

აუცილებელია კანონში „ტურიზმისა და კურორტების შესახებ» მოხდეს ასახვა და განმარტება რელიგიური ტურიზმისა და მომლოცველობისა.

„საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025“-ში აღნიშნულია, რომ „მისი მიზანია ისეთი გზამკვლევის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს ტურიზმის მდგრად განვითარებას, მიღებული შემოსავლების გაზრდასა და დარგის მნიშვნელობის ამაღლებას. საქართველოს მთავრობის ამოცანაა შემუშავდეს და განხორციელდეს გეგმა, რომელიც მდიდარ ბუნებრივ და კულტურულ რესურსებს მსოფლიო დონის ტურისტულ პროდუქტად და უნიკალური შთაბეჭდილებების მიღების შესაძლებლობად აქცევს. ხსენებული მოიზიდავს უფრო მაღალგადახდისუნარიან ტურისტებს ევროკავშირის ქვეყნებიდან, ჩრდილოეთ ამერიკიდან, ახლო აღმოსავლეთიდან და აზიიდან“ [49:3] ყოველივე ეს კი წარმოუდგენელ მიზნად მიგვაჩნია საქართველოში რელიგიური ტურიზმის განვითარების გარეშე. რელიგიური ტურიზმის განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ მომზადებული 93 გვერდიანი პილიგრიმული კატალოგი „მართლმადიდებელი მომლოცველები საქართველოში“, რომელიც 2016 წელს გამოიცა და რომელზეც მუშაობა რამდენიმე წლის განმავლობაში მიმდინარეობდა რელიგიურ ტურიზმს საქართველოში ნამდვილად ვერ განავითარებს თუ სხვა ქმედითი ღონისძიებები არ იქნა მიღებული.

რაც შეეხება განვითარებულ ქვეყნებს, აღნიშნულ ქვეყნებში, თავის დროზე სახელმწიფო ჩაერია ტურისტული სისტემის დაბვეწაში თუ გარკვეული რეგულაციების ფორმირებაში, რომელმაც საგრძნობლად გაუმჯობესა ტურიზმის ინდუსტრიის დონე და დღეს ეს ქვეყნები ტურიზმით, როგორც ეკონომიკის ერთერთი დარგით საკმაო შემოსავალს ღებულობს. ამგვარად მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ჩარევა ტურიზმის სფეროში, ეს იქნება გარკვეული სახის რეგულაციები თუ საკანონმდებლო ბაზა [91:543-571].

6.3 მომლოცველობის რეგულირება – ისტორიული ხედვა

ისტორიულად მომლოცველობა რეგულირდება სხვადასხვა ასპექტით, უპირატესად რაოდენობრივი კუთხით. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნიდან ქვეყანაში სეირნობა, ალბათ უფრო საინტერესოა, ვიდრე მიწის ხვნა, ხორბლის თესვა ან შვილების გაჩენა და მათი გაზრდა, მაგრამ თუ ყველა მიატოვებს თავის საქმეს და მოსალოცად ივლიან, მაშინ ვინღა იშრომებს მათ ნაცვლად? ეკლესია დასაბამიდან ზღუდავდა მომლოცველობას კურთხევის მიღების აუცილებელი ხასიათით, რომელიც ყველას არ ეძლეოდა. რიგითი მომლოცველისთვის საკმაოდ რთული იყო თავად განესაზღვრა თუ როდის და სად წასულიყო, რა გზით და ვისთვის ეცა თაყვანი.

მეტწილად ეს საკითხები კურთხევის მიღებისას ირკვეოდა, რომელიც მომლოცველს გამგზავების წინ მოძღვრისგან უნდა მიეღო. მომლოცველობის ტრადიციებით დადგენილი მეორე ინსტიტუტი იყო მომლოცველობის სხვა ადამიანზე გადაბარება, როგორც ინდივიდის, ისე თემის მიერ. მოსალოცად გამგზავრება გარკვეულ მატერიალურ ხარჯებთან იყო დაკავშირებული და ხშირად სწორედ თემი აგროვებდა თანხას მომლოცველისთვის. მომლოცველს ანდობდნენ საჩუქრებსაც, რომელიც მას წმინდა მიწიდან უნდა ჩამოეტანა. ერთხანობას პროფესიადაც კი იქცა დავალებებით მომლოცველობა.

მოგზაურობისას მომლოცველებისთვის ადგენდნენ სახელმძღვანელო კოდექსებს. ერთ-ერთი მათგანია კალიკსტინის კოდექსი, რომელიც გამოირჩევა თავისი უნიკალურობით და თანმიმდევრობით. ის მომლოცველის ნამდვილი სახელმძღვანელოა წმინდა იაკობ კომპოსტელის გზის გასავლელად.

პირველ წიგნში შეტანილია ქადაგებები, საგალობლები, ფსალმუნები და საღვთისმეტყველო ტექსტები. მეორე წიგნში აღწერილია წმინდა იაკობის ყველა სასწაული. მესამე წიგნი ეძღვნება მის მიერ გავლილ სამომლოცველო გზას კომპოსტელისკენ. მეოთხე წიგნი მოგვითხრობს წმინდა იაკობის როლზე ქრისტიანების მავრებთან ომში გამარჯვებაში. კოდექსის ნაწილი დაწერილია ფრანგი მღვდლის აიმერიკ პიკაუდის მიერ 1130-1140 წლების შუალედში.

კითხვები გამეორებისთვის:

1. რა იცით ტურიზმის გლობალური ეთიკის კოდექსის შესახებ?
2. რომელი ელემენტების გათვალისწინებას გულისხმობს რელიგიური ტურიზმის მყარი განვითარების პერსპექტივა? ჩამოთვალეთ ისინი.
3. რომელია მდგრადი ტურიზმის განვითარების ფაქტორები?
4. რას გულისხმობს რელიგიური ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი კანონი?
5. რომელია რელიგიური ტურიზმის განვითარების ასპექტი?

თავი 7. რელიგიური ტურიზმი და კულტურა

7.1 რელიგია და კულტურული მემკვიდრეობა

საქართველოს უნიკალური კულტურა, ხელოვნება, თვითმყოფადი და ავთენტური მემკვიდრეობა ქვეყნის საინტერესო ბარათია. ის უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების განვითარებაში. კულტურასთან ბავშვობიდან ზიარება ამდიდრებს და ახალისებს ადამიანების ცხოვრებას, აღვივებს შემოქმედებით უნარებს, წარმოსახვას, შთაგონებასა და ნიჭს კულტურას უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვს ადამიანების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაში, რეგიონების განახლებაში, ტურიზმის განვითარებასა და ჩვენი ცხოვრების სხვა მნიშვნელოვან სფეროებში. ცივილიზებულ სამყაროში, კულტურა საზოგადოების ტრადიციული ღირებულებების დაცვისა და მისი დემოკრატიზაციის საუკეთესო ინსტრუმენტია. ევროპისა და აზიის გასაყარზე მდებარე ქვეყნისთვის, კულტურათაშორისი კომუნიკაცია ეროვნული იდენტობის განვითარების მნიშვნელოვან რესურსს წარმოადგენს. ის ხელს უწყობს ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის დიალოგის, ნდობისა და კავშირების გამყარებას, ტოლერანტობისა და ურთიერთგაგების დამკვიდრებას. მძლავრ კულტურის სექტორს, რომელშიც შენარჩუნებული და დაცულია კულტურული მემკვიდრეობა, განვითარებულია ხელოვნება და შემოქმედება, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის მდგრად განვითარებაში. ძლიერი შემოქმედებითი ინდუსტრიები ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კატალიზატორია. შემოქმედებითობის კულტივირება ხელს უწყობს თვითნაბადი და უნიკალური კულტურის თანამედროვე და კონკურენტუნარიან სფეროდ ტრანსფორმაციას. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისა თუ შემოქმედებითი პოტენციალის მსოფლიო აღიარება, ქართული შემოქმედებითი ინდუსტრიების საერთაშორისო ბრენდირება უზრუნველყოფს ქვეყნის რეგიონულ კულტურულ ცენტრად ჩამოყალიბებას და ქვეყნის მსოფლიო კულტურულ რუკაზე წარმატებით დამკვიდრებას [36:3].

ევროპის საბჭოს კონვენციაში საზოგადოებისათვის კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის შესახებ ე. წ. „ფაროს კონვენციაში“ მოცემულია შემდეგი განმარტება: „კულტურული მემკვიდრეობა არის წარსულის დანატოვარი რესურსების ერთობლიობა,რომლებიც ადამიანებს, მათი კუთვნილების მიუხედავად, მიაჩნიათ თავიანთი მუდმივად ცვალებადი ფასეულობების, რწმენის, ცოდნისა და ტრადიციების ასახვად და გამოხატულებად. იგი მოიცავს გარემოს ყველა ასპექტს, რომელიც ადამიანებსა და სივრცეს შორისურთიერთქმედების შედეგად წარმოიშვა ისტორიული განვითარების პროცესში“. („ფაროს კონცეფცია“, მუხლი 2)

1972 წელს იუნესკოს მიერ მიღებული კონვენციით კულტურული მემკვიდრეობაში იგულისხმება:

• ძეგლები: არქიტექტურის ძეგლები, მონუმენტური ქანდაკებისა და ფერწერის ნიმუშები, არქეოლოგიური ხასიათის ელემენტები, ან სტრუქტურები, წარწერები, მღვიმეები და იმ ჯგუფთა ელემენტები, რომლებსაც გააჩნიათ ისტორიის, ხელოვნებისა და მეცნიერების თვალსაზრისით განსაკუთრებით უნივერსალური ღირებულება;

• ანსამბლები: ცალკეული, ან გაერთიანებული საამშენებლო ჯგუფები, არქიტექტურა, ერთიანობა, ან კავშირი ლანდშაფტან, რომლებსაც გააჩნიათ ისტორიის, ხელოვნებისა და მეცნიერების თვალსაზრისით განსაკუთრებით უნივერსალური ღირებულება;

• ღირშესანიშნავი ადგილები: ადამიანის ხელით შექმნილი, ან ერთობლივად ბუნებისა და ადამიანის ნამოქმედარი, აგრეთვე არქეოლოგიური ზონები, რომლებსაც გააჩნიათ ისტორიის, ესთეტიკის, ეთნოლოგიის, ან ანთროპოლოგიის თვალსაზრისით განსაკუთრებით უნივერსალური ღირებულება [66:34-35].

კულტურული მემკვიდრეობის განმარტებანი, როლი და ფუნქციები კარგად არის განხილული უამრავ ქარტიას, რეკომენდაციასა თუ კონვენციაში, რაც ქრონოლოგიურად წლების მიხედვით წარმოგვიდგინა ჯ. ჯოკილეტომ ნაშრომში „კულტურული მემკვიდრეობის განსაზღვრებები“ [96].

ნარას ავთენტურობის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ კულტურებისა და მემკვიდრეობის მრავალფეროვნება წარმოადგენს კაცობრიობის სულიერი და ინტელექტუალური სიმდიდრის შეუცვლელ წყაროს [99].

კულტურული მემკვიდრეობა ის ფასეულობაა, რომელიც წარსულთან გვაკავშირებს, აწმყოსთვის მყარ საყრდენს გვაძლევს და მომავლისკენ გზას გვიკვალავს. საქართველომ ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში შემოინახა კვალი.

მღელვარე ისტორიის მიუხედავად, ქვეყანა ახერხებდა არამცთუ არ ჩამორჩენოდა საერთო რიტმს, არამედ თავისი წვლილი შეეტანა კაცობრიობის განვითარებაში. დარგობრივ მრავალფეროვნებას ერთვის

საუკუნეების მანძილზე საქართველოს მიწაზე საკუთარი ტრადიციებისა და კულტურული საგანძურის მქონე ეთნიკური ჯგუფების განუწყვეტელი ურთიერთქმედება, ბრძოლებითა და განსაცდელით დატვირთული წარსული, გეოგრაფიული მრავალგვარობა, ბუნებრივი სიმდიდრე. „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“, – შოთა რუსთაველის მიერ ასე დახატული სამყაროს მრავალფეროვნება თითქოს გაცხადდა საქართველოს ბუნებრივ და კულტურულ მემკვიდრეობაში.

კულტურული მემკვიდრეობა – ისტორიულად ჩამოყალიბებული კულტურული გარემო – ქვეყნის სახესაც განსაზღვრავს და თითოეულ ჩვენგანს იმ განსაკუთრებულ მუხტს სძენს, რომელიც მხოლოდ თაობიდან თაობაზე გადაცემული ღირებულებების უფაქიზეს ერთობლიობას შეიძლება გააჩნდეს. ეს ის სიმდიდრეა, რომელიც წინაპრებისგან გვერგო, რომლის მემკვიდრენიც ყველანი ვართ, მაგრამ რომლის მნიშვნელობას ხშირად ვერ ვაცნობიერებთ და, შესაბამისად, მას ჯეროვნად ვერ ვუფრთხილდებით.

თუმცა ეს მემკვიდრეობა, შეუცნობლად მაინც, ყველას გვაღელვებს და გვესათუთება, თუნდაც ბოლომდე არ გვესმოდეს მისი ნამდვილი რაობა და მნიშვნელობა. ეს არის ის საფუძველი, რაც გვამოძრავებს, წინსვლისკენ გვიბიძგებს, ჩვენს იდენტობას განსაზღვრავს და საკუთარ თავში რწმენას გვაძლევს. ეს არის გენეტიკური გამოცდილების, ცოდნისა და კეთილდღეობის წყარო.

საქართველოს მემკვიდრეობას გამოარჩევს ერის შემოქმედებითი გენი და მისი უწყვეტობა; ინტელექტუალური, სამეცნიერო, საწარმოო ცოდნა და ნიჭი; ჯერ კიდევ შეუსწავლელი პრეისტორიული იდენტობა, მიწათმოქმედების უძველესი კულტურა; გაქრობის პირას მყოფი ტრადიციული საცხოვრისი; საამაყო საბრძოლო წარსული: ბრწყინვალე გამარჯვებები და ტრაგიკული დამარცხებები; თვით დამპყრობელთა კულტურის შეთვისებისა და გადახარშვის უნარი, ერთგვარი შემგუებლობაც კი, ერთობ უხერხული, როგორც თავდაცვისა და გადარჩენის საშუალება;

დაბოლოს, ქართველთა ეროვნული და სულიერი იდენტობის განმსაზღვრელი, რელიგიურ სიწმინდესთან გაიგივებული ქართული ენა – ყოველივე ეს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის განუმეორებლობის საწინდარია.

მემკვიდრეობა არ არის მხოლოდ წარმატებული ხანის ანარეკლი იმისათვის, რომ შევიმეცნოთ რანი ვართ, უნდა გავიხსენოთ ჩვენი ქვეყნის ურთულესი, მეტწილად საამაყო, მაგრამ ხანდახან არასახარბიელო ისტორიული განვითარებაც. ამ განვითარების ანარეკლადაც კულტურული მემკვიდრეობა გვევლინება, როგორც ამოუწურავი ინფორმაციის შემცველი ცოდნისა და გამოცდილების წყარო, რომელსაც გაშიფრვა, გაცხადება და მომავალი თაობისთვის გადაცემა სჭირდება.

ყველა ამ ფაქტორის ერთობლიობა განაპირობებს საქართველოს მატერიალური და არამატერიალური კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის დარგობრივ, რეგიონულ, გეოგრაფიულ, ტიპოლოგიურ, ეთნიკურ და შემოქმედებით მრავალფეროვნებასა და განუმეორებლობას.

კულტურული მემკვიდრეობა ამოუწურავი რესურსია საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის; ამ უძვირფასესი რესურსის გამოვლენა, დაცვა, ინტერპრეტაცია და გამოყენება ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური წინსვლის აუცილებელი პირობაა [61:5-6].

ადამიანის და კულტურის შესახებ უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ქადაგებაში საუბრობს.

ადამიანი და კულტურა

დღევანდელი ჩემი საუბარი ქადაგება არ იქნება, მე მინდა უბრალოდ ვისაუბროთ და ისეთ საკითხს შევეხოთ, რომელიც ყოველი ჩვენგანისათვის საინტერესოა, კერძოდ, ადამიანი და კულტურა. რა არის კულტურა, რა კავშირი აქვს ჩვენთან, რომელია მისი სახეები, – აი, ის კითხვები, რომელთა პასუხებზეც მინდა ერთად ვიფიქროთ. ამ პრობლემას ხშირად სვამენ ფილოსოფოსები, მაგრამ მის სხვადასხვაგვარ განმარტებას იძლევიან, არსებობს კულტურა მატერიალური და არსებობს კულტურა სულიერი, რას გულისხმობს ერთი და რას – მეორე? მატერიალურ კულტურას ეკუთვნის ის, რასაც ადამიანის გონება, ინტელექტი ქმნის, მაგალითად ხატებს, ტაძრებსა და სხვა საინტერესო არქიტექტურულ ნაგებობებს მატერიალურ კულტურას უწოდებენ, მაგრამ არსებობს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი სულიერი კულტურა, რომელშიც რწმენა, რელიგია, ენის გამოყენება და დაცვა, ადამიანის სულიერი მდგომარეობა და მისი ზნე-ჩვეულებანი შედის.

ზოგიერთი თანამედროვე ფილოსოფოსის განმარტებით, კულტურა ძალის განვითარებაა, მაგრამ არ შეიძლება ძალა კულტურა იყოს. როცა რომელიმე ადამიანს ან ერს ძალა აქვს, ეს კიდევ არ მეტყველებს იმაზე, რომ ეს ადამიანი ან ერი კულტურულია, მოგეხსენებათ, მონღოლებმა ნახევარი

მსოფლიო დაიპყრეს. მაგრამ კულტურულად ყველაზე დაბლა იდგნენ. ამიტომაც ვერ შეინარჩუნეს ის, რაც დაიპყრეს.

როცა ადამიანის კულტურაზე ვლაპარაკობთ, ძირითადად ამ დროს მისი შინაგანი სამყაროს მდგომარეობა უნდა ვიგულისხმოთ. არ კმარა, რომ ადამიანი განსწავლული იყოს, შეიძლება იგი სულაც უსწავლელი იყოს, მაგრამ კულტურულად განსწავლულზე მაღლა იდგეს, ამ შინაგან კულტურას მას მისი სიწმინდე, და ზნეობრივი სისპეტაკე ანიჭებს. მოიგონეთ თქვენი მშობლები, ბებია-ბაბუები, წინაპრები, შეადარეთ თქვენ თავს და მიხვდებით, რამდენად მაღლა იდგნენ ისინი ჩვენთან შედარებით. ცოდნის მიღება, ყელსახვევის გაკეთება და ფაქიზად ჩაცმა-დახურვა კულტურაზე ნაკლებად მეტყველებს, არც ისაა კულტურის მაჩვენებელი, როცა ადამიანი უცხოებთან ურთიერთობისას, ან სტუმრად ყოფნისას ზრდილობიანად იქცევა. ჭეშმარიტად კულტურული ადამიანი ყველგან კულტურულია და უპირველეს ყოვლისა, თავის სულსა და პიროვნებაში.

დღეს თითქმის ყველა ცოდნის მიღებას ცდილობს, მაგრამ თუ ადამიანი ამავე დროს სულიერადაც არ აღიზარდა, შეძენილი ცოდნის წყალობით, საზოგადოებისათვის უფრო მავნებელი აღმოჩნდება ვიდრე უსწავლელი კაცი. როცა ბოროტი ცოდნას იძენს, ბოროტების სამსახურს უკეთ ახერხებს და უბოროტესი ხდება.

მთავარია ადამიანი სულიერად იყოს აღზრდილი, დანარჩენი – ცოდნა, ზრდილობა, ქცევის ნორმები, მას თავისთავად მიეცემა, ყოველივე ეს ისეთივე გარეგნული შესამოსელია სულისა, როგორც მატერიალური სამოსელი სხეულისა. ისინი ისევე ვერ შეცვლიან სულს, როგორც ტანსაცმელი – სხეულს.

ყოველი ადამიანი კულტურის არა მხოლოდ მომხმარებელი, არამედ შემქმნელიც უნდა იყოს. ალბათ შემეკითხებით: ჩვეულებრივი ადამიანი, რომელიც არც პოეტია, არც მხატვარია და არც მუსიკოსი, როგორ შექმნის კულტურას, მაგრამ რა შექმნა წმიდა ნინომ, მას არც არაფერი დაუწერია და არც არაფერი დაუხატავს, მაგრამ მთელ ქართველ ერს სახე უცვალა, სულითა და ხორცით შეცვალა იგი. რა შექმნა შიო მღვიმელმა იმით, რომ მღვიმეში ჩავიდა! უპირველეს ყოვლისა, თვითონ იცვალა ფერი, სულიერად ამაღლდა და მისი ლოცვით მთელი საქართველო აამაღლა. ე.ი. კულტურის ამაღლებაში უდიდესი ძალა რწმენასა და ლოცვას ჰქონია. ამიტომ, როცა ჩვენში ჭეშმარიტი რწმენა განმტკიცდება და გაძლიერდება, ჩვენი კულტურაც – მატერიალურიცა და სულიერიც ამაღლდება.

ღმერთმა ინებოს სრულიად საქართველოს სულიერი ამაღლება!

ღმერთმა დალოცოს ჩვენი ერი!

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

1982 წ. [84]; [184].

IV ს-ის 30-იან წლებში, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ, საქართველოში იწყება ქრისტიანული ხელოვნების აყვავება. ქრისტიანული რწმენა მსჭვალავს შუა საუკუნეების მთელ ქართულ კულტურას. გარკვეული თვალსაზრისით, იგი გაიგივდა ეროვნულ თვითშეგნებასთან, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბიზანტიის იმპერიის დაცემის შედეგად საქართველო აგრესიულად განწყობილი მუსლიმური სახელმწიფოების გარემოცვაში მოექცა. შუა საუკუნეების მანძილზე საქართველოში ათასობით ეკლესია, კათედრალი თუ მონასტერი აშენდა. მათი ხუროთმოძღვრება, იზიარებს რა მართლმადიდებლური ტაძრისათვის აუცილებელ სტრუქტურულ სქემას, მხატვრული თვალსაზრისით მკაფიო ეროვნული თავისებურებებით ხასიათდება, რაც გამოვლინდა ნაგებობათა მასალის ხასიათში, პროპორციებში, დეკორის განლაგების პრინციპში, შიდა სივრცის გააზრების თავისებურებაში და მრავალ სხვა ნიშანში. საეკლესიო ნაგებობებთან ერთად შენდებოდა ქალაქები, ციხე-სიმაგრეები, სასახლეები, ქარვასლები და სხვა. შუა საუკუნეების ქართული ხურომოძღვრების აღმავლობის ხანებში – VI-VII და X-XII საუკუნეებში შექმნილი ნაწარმოებები მსოფლიო არქიტექტურის საგანძურს განეკუთვნება. შუა საკუკუნეების ქართული ხუროთმოძღვება მდიდარია როგორც თემატურად, ასევე – ტიპოლოგიურად. უმთავრესი სფერო არქიტექტურული შემოქმედებისა, ცხადია, იყო საეკლესიო მშენებლობა, რომელიც უკვე IVს-დან ვითარდება.

საქართველოს ყოველ რეგიონს მისთვის დამახასიათებელი მხატვრული „მეტყველება" ახასიათებს. ერთიანი ქართული ხუროთმოძღვების ფარგლებში, გამოჰყოფენ ტაო-კლარჯულ, აფხაზურ, კახურ, იმერულ, ქართლურ, სამცხე-ჯავახურ ხუროთმოძღვრების თავისებურებებს...

საყოველთაოდ აღიარებულია ქართული შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრების დამოუკიდებელი, თვითმყოფადი მხატვრული სახე, საგრძნობლად განსხვავებული მეზობელი თუ აღმოსავლეთ საქრისტიანოს სხვა ქვეყნებისაგან . ქართველთა ეროვნული თვითშეგნება ყოველთვის მჭიდროდ იყო

დაკავშირებული კულტურულ მემკვიდრეობასთან. კავშირი წარსულსა და აწმყოს შორის დღესაც ძლიერია საქართველოში. ძველი კულტურა თანამედროვე აზროვნებისა და თვითშეგნების განუყოფელი ნაწილია და არ აღიქმება მხოლოდ როგორც შორეული წარსულის მოგონება [24:2-3-7].

თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკურმა ღირებულებებმა, მემკვიდრეობის ობიექტზე როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი გავლენა შეიძლება მოახდინოს, გააჩნია ღირებულების ტიპს და იმას, თუ ზოგად შეფასებაში მას რა ადგილს მივუჩენთ. შესაბამისად, სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება იმ ღირებულებების მკაფიო განსაზღვრას, რომლის გამოც უნდა იქნეს შეტანილი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში ესა თუ ის მემკვიდრეობის ობიექტი [66].

მემკვიდრეობის ძეგლები შეიძლება დავყოთ კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობად, მაგრამ ზოგი ძეგლი აერთიანებს ორივეს და განეკუთვნება ახალ კატეგორიას – „შერეული მემკვიდრეობა“ [41:73].

კულტურულ ტურიზმს ერთი მიზანი აქვს: „გააცნოს ტურისტს იმ ქვეყნის ეროვნული კულტურა და მისი მახასიათებლები, რომელშიც იგი იმყოფება“ – კოიშირა მაცურა – იუნესკოს გენერალური მდივანი [34:32].

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის განმარტებით კულტურული ტურიზმი – არის ადამიანთა მოგზაურობა, რაც განპირობებულია კულტურული მოტივაციებით, როგორიცაა სასწავლო და სამეცნიერო ტურები, ხელოვნებასთან ზიარება, ფესტივალებზე და სხვა კულტურულ ღონისძიებებზე დასწრება, ძეგლებისა და ღირშესანიშნაობების მონახულება, კულტურული ტრადიციების, ფოლკლორის, ხელოვნების გაცნობა, მომლოცველობა და ა.შ. საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 7 თებერვლის №49 დადგენილებაში, „საქართველოს ტურიზმისა და კურორტების განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ პირველად იქნა საქართველოში ოფიციალურ დონეზე გამოყენებული ტერმინი „კულტურული ტურიზმი“.

კულტურული ტურიზმის მნიშვნელობა ხასიათდება რამდენიმე კომპონენტით, გარდა ეკონომიკური და სოციალური სარგებლისა იგი ახდენს ქვეყნის ტურისტულ იდენტიფიცირებას, ხელს უწყობს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას, ადამიანებს შორის ჰარმონიისა და ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას.

კულტურული მემკვიდრეობის, ტურიზმში გამოყენების პრობლემა საქართველოში მეტად აქტუალურია, რადგან იგი გულისხმობს ერთი მხრივ, ჩვენს ქვეყანაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-პოპულარიზაციას, მეორე მხრივ, კი მისი საუკეთესო ნიმუშების ტურისტულ პროდუქტში ფართოდ ჩართვასა და ამ საფუძველზე კულტურული ტურიზმის განვითარებას. ორივე ძალზე დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის ამოცანაა.

2011 წელს აღინიშნა მსოფლიო ტურიზმის დღე „ტურიზმი – აკავშირებს კულტურებს“.

საქართველო დღემდე ვერ ახერხებს, დაძლიოს მემკვიდრეობისა და ეკონომიკის ერთმანეთთან შეუთავსებლობის კომპლექსი [60:51] და „...სრულად გამოიყენოს კულტურული მემკვიდრეობის ეკონომიკური პოტენციალი, ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრისას გაითვალისწინოს კულტურული მემკვიდრეობის სპეციფიკური ხასიათი და ინტერესები და უზრუნველყოს, რომ აღნიშნულმა პოლიტიკამ პატივი სცეს კულტურული მემკვიდრეობის მთლიანობას მისი ღირებულებების შელახვის გარეშე“. (ფაროს კონცეფცია, 2005)

თვითმყოფადი ეროვნული კულტურის გარეშე ვერ შეიქმნება საკაცობრიო საუნჯე და პირიქით, საკაცობრიო ღირებულებების გაუთვალისწინებლად ეროვნული ცნობიერება იქნება შეზღუდული და უნაყოფო.

ამ სულისკვეთებისადმი ერთგულებით ჩვენს თანამედროვეთა შორის გამოირჩევა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის საღვთისმეტყველო და შემოქმედებითი მოღვაწეობა. მისი უწმინდესობის აზრით, საქართველოს ეროვნული იდეა გულისხმობს სამი უდიდესი ღირებულების ერთიანობას. ეს ღირებულებებია – ღმერთი, სამშობლო და ადამიანი [141].

7.2 იუნესკო (UNESCO) და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა

UNESCO (გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია) დაარსდა 1945 წლის 16 ნოემბერს. UNESCO-ს შტაბ-ბინა მდებარეობს ქ. პარიზში (საფრანგეთი), ასევე ორგანიზაციის თემატური ოფისები და წარმომადგენლობები აქვს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. ამჟამად UNESCO-ს ჰყავს 195 წევრი და 9 ასოცირებული ქვეყანა (2013 წ.).

UNESCO-ს ძირითადი მიზანია მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების დამკვიდრება ქვეყნებს შორის განათლების, სოციალური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, კულტურისა და კომუნიკაციის სფეროებში თანამშრომლობის გზით; ხელსაყრელი პირობების შექმნა ცივილიზაციათა, კულტურათა და ხალხთა შორის დიალოგისათვის, რომელიც დაფუძნებული იქნება ზოგადი ფასეულობების პატივისცემაზე, რისი მიღწევასაც ორგანიზაცია ცდილობს შემდეგით:

- ყველა ბავშვისთვის ხარისხიანი განათლების, როგორც ფუნდამენტური უფლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რაც ადამიანის განვითარების აუცილებელი პირობაა;
- მემკვიდრეობისა და კულტურული მრავალფეროვნების დაცვის გზით, კულტურათაშორისი ურთიერთგაგების მიღწევა. UNESCO-მ შექმნა მსოფლიო მემკვიდრეობის ცნება რათა დაიცვას მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლები;
- ერებსა და საზოგადოებებს შორის კავშირების გამყარების მიზნით, სამეცნიერო თანამშრომლობა ისეთ საკითხებში, როგორებიცაა ცუნამის გამაფრთხილებელი სისტემების შექმნა და შეთანხმებები სასაზღვრო წყლების მართვის თაობაზე;
- თვითგამოხატვის უფლების როგორც დემოკრატიის, განვითარებისა და ადამიანური ღირსების უმთავრესი პირობის დაცვა [171].

1992 წლის 7 ოქტომბერს, საქართველო გახდა UNESCO-ს სრულუფლებიანი წევრი. ამავე წელს შეიქმნა იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისია და სამდივნო, რომელიც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ბაზაზე ფუნქციონირებს. კომისიას ევალება UNESCO-სა და საქართველოს შორის თანამშრომლობის კოორდინაცია.

კომისიის შემადგენლობაში არიან იუნესკოს კომპეტენციის სფეროების მიხედვით საქართველოს სახელმწიფო უწყებებისა თუ ორგანოების, ასოციაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და დამოუკიდებელი ექსპერტები. კომისიის პრეზიდენტი არის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

სამდივნო ეროვნული კომისიისა და UNESCO-ს ძირითადი დამაკავშირებელი ორგანოა. მისი ძირითადი ფუნქციაა სისტემატიური მონაწილეობა მიიღოს როგორც იუნესკოს, ასევე ეროვნული კომისიის მიერ ინიცირებულ სხვადასხვა საკითხების მოგვარებაში და კოორდინირება გაუწიოს იუნესკოს პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელებას.

1995 წელს, თბილისში UNESCO-ს გენერალური დირექტორის ვიზიტის დროს, ხელი მოეწერა საქართველოსა და UNESCO-ს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმს.

მრავალწლიანი თანამშრომლობის მანძილზე, საქართველოში UNESCO-ს დაფინანსებით განხორციელდა არაერთი პროექტი, საქართველომ მონაწილეობა მიიღო და დღემდე მონაწილეობს ორგანიზაციის არჩევით ორგანოებში და ითვალისწინებს UNESCO-ს რეკომენდაციებს. UNESCO-ში გაწევრიანების დღიდან საქართველო შეუერთდა ორგანიზაციის 12 კონვენციას:

1. კონვენცია კულტურული ღირებულებათა უკანონო შემოტანის, გატანისა და საკუთრების უფლების გადაცემის აკრძალვისა და აღკვეთის ღონისძიებათა შესახებ. UNESCO, ქ. პარიზი, 1970 წლის 14 ნოემბერი.

საქართველოსთვის ძალაშია 1993 წლის 4 თებერვლიდან.

2. კონვენცია პუბლიკაციების საერთშორისო გაცვლის შესახებ. UNESCO, ქ. პარიზი, 1958 წლის 3 დეკემბერი.

საქართველოსთვის ძალაშია 1993 წლის 4 ნოემბრიდან.

3. კონვენცია ოფიციალური პუბლიკაციებისა და სამთავრობო საბუთების სახელმწიფოებს შორის გაცვლის შესახებ. UNESCO, ქ. პარიზი, 1958 წლის 3 დეკემბერი.

საქართველოსთვის ძალაშია 1993 წლის 4 ნოემბრიდან.

4. კონვენცია განათლებაში დისკრიმინაციის წინააღმდეგ. UNESCO, ქ. პარიზი, 1960 წლის 14 დეკემბერი

საქართველოსთვის ძალაშია 1993 წლის 4 თებერვლიდან.

5. კონვენცია მსოფლიო კულტურულ და ბუნებრივ ღირებულებათა დაცვის შესახებ. UNESCO, ქ. პარიზი, 1972 წლის 16 ნოემბერი

საქართველოსთვის ძალაშია 1993 წლის 4 თებერვლიდან.

6. კონვენცია ევროპის რეგიონში უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებული კვალიფიკაციის ცნობის შესახებ. ქ. ლისაბონი, 1997 წლის 11 აპრილი

საქართველოსთვის ძალაშია 1999 წლის 1 დეკემბრიდან.

7. კონვენცია სწავლების დიპლომებისა და ხარისხების აღიარების შესახებ, რომელიც შეეხება

უმაღლეს განათლებას ევროპის რეგიონის ქვეყნებისათვის. UNESCO, ქ. პარიზი, 1979 წლის 21 დეკემბერი.

საქართველოსთვის ძალაშია 1992 წლის 4 დეკემბრიდან.

8. კონვენცია შემსრულებლების ფონოგრამების დამამზადებლებისა და მაუწყებლობის ორგანიზაციების უფლებათა დაცვის შესახებ. ქ. რომი, 1961 წლის 26 ოქტომბერი.

საქართველოსთვის ძალაშია 2004 წლის 14 აგვისტოდან.

9. კონვენცია შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ. ქ. ჰააგა, 1954 წლის 14 მაისი.

საქართველოსთვის ძალაშია 1992 წლის 4 დეკემბრიდან.

10. კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ. პარიზი, UNESCO, 17 ოქტომბერი, 2003 წელი.

საქართველოსათვის ძალაშია 2008 წლის 18 ივნისიდან.

11. კონვენცია კულტურული თვითგამოხატვის მრავალფეროვნების დაცვისა და ხელშეწყობის შესახებ. პარიზი, UNESCO, 20 ოქტომბერი, 2005.

საქართველოსათვის ძალაშია 2008 წლის 1 ოქტომბრიდან.

12. კონვენცია სპორტში დოპინგის წინააღმდეგ. UNESCO, პარიზი, 2005 წლის 19 ოქტომბერი.

საქართველოსთვის ძალაშია 2010 წლის 1 თებერვლიდან.

მსოფლიო კულტურულ და ბუნებრივ ღირებულებათა დაცვის შესახებ 1972 წლის კონვენციის ფარგლებში შეიქმნა UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სია. სიაში დღეისათვის წარმოდგენილია 1073 ძეგლი, მათ შორისაა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის 3 ძეგლი.

კულტურა UNESCO-ს მანდატის ყველაზე პოპულარული სფეროა და ორგანიზაციის მხრიდანაც კულტურა პრიორიტეტულ პროგრამად არის მიჩნეული.

UNESCO-ს საქმიანობა კულტურის სფეროში ეყრდნობა იმ რწმენას, რომ ძლიერი კულტურული კომპონენტის გარეშე, განვითარება ვერ იქნება მდგრადი.

UNESCO-ს ძირითადი კულტურის კონვენციები წარმოადგენენ საერთაშორისო თანამშრომლობისთვის უნიკალურ გლობალურ პლატფორმას და ქმნიან ყოვლისმომცველ კულტურულ მმართველობის სისტემას, რომელიც ეყრდნობა ადამიანის უფლებებს და უნივერსალურ ფასეულობებს.

UNESCO-ს კონვენციების მიზანია არქეოლოგიური ძეგლების, წყალქვეშა მემკვიდრეობის, მუზეუმის კოლექციების, არამატერიალური მემკვიდრეობის და სხვა ფორმების მემკვიდრეობის სახით წარმოდგენილი მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ასევე ინოვაციისა და შემოქმედების მხარდაჭერა კულტურის სხვადასხვა დარგებში.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის 3 ძეგლი, შევიდა UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში:

1. მცხეთის ისტორიული ძეგლები. სიაში შეტანილია 1994 წელს.

2. გელათის სამონასტრო კომპლექსი. სიაში შეტანილია 1994 წელს.


3. ზემო სვანეთი. სიაში 1996 წლიდან.

და 3 ელემენტი – ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი, ქართული მრავალხმიანობა და ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა – არის წარმოდგენილი UNESCO-ს არამატერიალური მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში.

საქართველო ასევე აქტიურად მონაწილეობს UNESCO-ს საქმიანობაში შეიარაღებული კონფლიქტების დროს კულტურული ფასეულობების დაცვის სფეროში და ამ საკითხზე მომუშავე UNESCO-ს კომიტეტის წევრი იყო 2013-2017 წლებში [171].

1956 წლიდან UNESCOს აქტიურად მონაწილეობს წევრ ქვეყნებში ღირშესანიშნავი ისტორიული მოვლენებისა თუ გამორჩენილი პირების იუბილეების აღნიშვნაში, რაც თავის მხრივ ამ მოვლენებს მსოფლიო მნიშვნელობას ანიჭებს. ახალი ნომინაციები იუნესკოს წარედგინება ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, ხოლო მათი საბოლოო დამტკიცება ხდება UNESCO-ს გენერალური კონფერენციის მიერ.

იუნესკოს მიერ აღინიშნა გელათის მონასტრის არქიტექტურული კომპლექსის 900 წელი (2006); ჯვრის მონასტრის 1.500 წელი (2007); სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრის აღშენებლობის დაწყების 1000 წელი (2010); „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდური გამოცემის 300 წლისთავი (2012); ნიკო ფიროსმანის დაბადებიდან 150 წლისთავი (2012); ექვთიმე თაყაიშვილის დაბადებიდან 150 წლისთავი (2013); აკაკი წერეთლის გარდაცვალების 100 წლისთავი (2015);ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 200 წლისთავი (2017); ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლისთავი“ (2018) და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები.



კითხვები გამეორებისთვის:

1. რა კავშირია რელიგიურ ტურიზმსა და კულტურას შორის?
2. რა იგულისხმება კულტურულ მემკვიდრეობაში 1972 წელს მიღებულია „იუნესკოს“ კონცეფციის თანახმად?
3. რომელ საუკუნეში გამოცხადდა საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად? გაიხსენეთ ისტორია.
4. რა იცით „იუნესკოს“ შესახებ?
5. რომელი ქართული ისტორიული ძეგლებია შეტანილი „იუნესკოს“ კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში?

თავი 8. რელიგიური ტურიზმი სხვადასხვა რეგლიგიებში (ქრისტიანობა, ისლამი, ბუდიზმი, იუდაიზმი)

8.1.1 რელიგიური ტურიზმი ქრისტიანობაში

ქრისტიანობაში არსებობს მომლოცველობის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია – პილიგრიმების ან ტურისტების მიერ რელიგიური ობიექტების მონახულება. ანალოგიური ტრადიციები არსებობენ სხვა რელიგიებშიც. საქმე ის არის, რომ მსოფლიოში ქრისტიანობას ყველაზე მრავალრიცხოვანი მიმდევარი ჰყავს და ითვლის დაახლოებით 2 მილიარდ ადამიანს (დედამიწის თითქმის ყველა მესამე მცხოვრები – ქრისტიანია).

ქრისტიანობა მოიცავს ხუთ ძირითად მიმართულებას: მართლმადიდებლობა, კათოლიციზმი, პროტესტანტიზმი, მონოფიზიტურობა და ნესტორიანობა; ასევე მრავალრიცხოვან რელიგიური მიმართულებს, მოძრაობას და დენომინაციას. სხვადასხვა ქრისტიანული მიმართულებების წარმომადგენლებსაც გააჩნიათ საკუთარი წმინდა ადგილები და სწორედ იქ აღასრულებენ რელიგიურ მომლოცველობას შესაბამისი ეკლესიის ანდა ორგანიზაციის ადეპტები. ტურისტები, რომლებიც მოგზაურობენ საექკურსიო მიზნით, შეიძლება მიეკუთვნებოდნენ ქრისტიანობის ერთ მიმართულებას და მოინახულონ სხვა მიმართულების რელიგიური ობიექტები.

ქრისტიანული მომლოცველობის სპეციფიკას მრავალ ასპექტში განსაზღვრავს მორწმუნეთა რელიგიური აზროვნების თავისებურებები, რომლებიც თავის მხრივ მჭიდროდ არის დაკავშირებული რელიგიური მოძღვრების ხასიათთან და ქრისტიანობის საკულტო პრაქტიკასთან.

მომლოცველობის მოტივი შეიძლება იყოს გარკვეულ ტაძარში დასვენებული (მონასტერში) სასწაულმოქმედი ხატის წინაშე ლოცვის სურვილი. ასევე ძლიერი სულიერი ასპექტია შეხვედრა ცნობილ რელიგიურ მოღვაწესთან (მღვდელთან, ბერთან, წინამძღვართან) ან ტაძრის, მონასტრის მშენებლობისას საქველმოქმედო სამუშაოების შესრულება, დალაგება, შესაწირის გაღება, მრევლთან ურთიერთობის დაამყარება. ასევე შესაძლებელია განკურნების სურვილი, წინასწარ აღთქმული შეპირება, რომელიმე საქმეში წარმატების მოპოვების შემთხვევაში, თავისი და ახლობლების გამოჯანმრთელება და ა.შ.

ქრისტიანობის სხვადასხვა მიმართულებებში და ასევე ერთიდაიგივე მიმართულებების ეკლესიებშიც (მაგალითად ქართულ და ბერძნულ მართლმადიდებლურ ეკლესიებში), ასევე მორწმუნეთა საცხოვრებელი ტერიტორიის სხვადასხვა ადგილებშიც მომლოცველობის თავისებურებები და ექსკურსიული მოგზაურობები შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან. ამ მოგზაურობების ხასიათზე, მათ ინტენსივობაზე გავლენას ახდენს ამა თუ იმ ქვეყნის (ქვეყნების – საერთაშორისო ტურიზმის შემთხვევაში) ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარება, მოქალაქეთა მატერიალური კეთილდღეობის დონე, მათი სოციალური და პროფესიული მდგომარეობა (შესაძლოა ისინი მიეკუთვნებოდნენ რელიგიურ უმცირესობებს). რელიგიური ტურისტების მოგზაურობის თავისებურებებზე პირდაპირ ან ირიბ გავლენას ახდენს ქვეყნის და ხალხის ისტორია, ის თუ როგორ ეწყობოდა რელიგიურ ორგანიზაციებს (ეკლესიებს) შორის, ქვეყნებს შორის, სხვადასხვა რელიგიების წარმომადგენლებს შორის ურთიერთობა. ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, სამოგზაურო ადგილების ამინდის და კლიმატის ხასიათი.

მსოფლიო რელიგიებში, ქრისტიანობა, რომელიც მდიდარია სულიერი და კულტურული მემკვიდრეობით, წარმოშობის მიხედვით მეორეა ბუდიზმის შემდეგ. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არის განლაგებული მრავალრიცხოვანი ქრისტიანული სიწმინდეები და ძეგლები, ობიექტები: ტაძრები, მონასტრები, ეკლესიები, სამლოცველოები, ბაზილიკები, წმინდა წყაროები და ა.შ. რომლებიც იზიდავს მომლოცველებს და ექსკურსანტებს. ქრისტიანული კულტურული ფასეულობები წარმოდგენილია მსოფლიოს მრავალი ქალაქის მუზეუმებში. ვიდრე ვისაუბრებთ უშუალოდ ქრისტიანულ რელიგიურ ტურიზმზე, აუცილებელია ქრისტიანული რელიგიური სწავლების და მისი ძირითადი მიმართულებების ცოდნა, ასევე ქრისტიანების საკულტო პრაქტიკის თავისებურებებისა და დღესასწაულების ცოდნა.

აუცილებელია სიფრთხილის გამოჩენა ქრისტიანობის სხვადასხვა მიმართულებების წმინდა ადგლების განხილვისას. მომლოცველებმა, სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლებმა, შეიძლება ერთიდაიმავე ტერიტორიაზე და ტაძარში აღავლინონ ლოცვა, მონაწილეობა მიიღონ ღვთისმსახურებაში (მაგალითად ქრისტეს აღდგომის წმინდა ტაძარი იერუსალიმში) ანდა ერთიდაიგივე წმინდა ადგილს სცემდნენ თაყვანს, როგორც კათოლიკეები, ასევე მართლმადიდებლები. მართლმადიდებლები და

კათოლიკეები ეთაყვანებიან საერთო წმინდანებს, წამებულებს, რომლებიც კანონიზირებულები იქნენ 1054 წლამდე – ეკლესიათა განხეთქილებამდე... მაგალითად წმ. სოფიოს, წმ. ვერას, წმ. ნიკოლოზს. ამ შემთხვევაში ისინი მოინახულებენ ერთიდაიმავე ადგილებს, სადაც განისვენებენ წმინდათა ნეშტები, ხოლო მსახურებას ატარებენ საკუთარ ტაძრებში. ზოგიერთი ადგილი ხშირად ითვლება წმინდად მხოლოდ კათოლიკეებისათვის, ზოგი მხოლოდ მართლმადიდებლებისათვის.

8.1.2 წარმოშობის ისტორია და ქრისტიანული მოძღვრების საფუძვლები

ქრისტიანობა მჭიდროდ უკავშირდება უფალი იესო ქრისტეს ცხოვრებასა და სამქადაგებლო მოღვაწეობას. იესო ქრისტეს დაბადება ქალწულ მარიამისთვის ნაწინასწარმეტყველი იყო მთავარანგელოზ გაბრიელის მიერ. ბეთლემში ქალწულმა მარიამა შვა ყრმა იესო ქრისტე.

მეფე ჰეროდისაგან ბავშვის გადასარჩენად მარიამი და მისი მეუღლე იოსები გარბიან ერთად ეგვიპტეში. ეგვიპტიდან დაბრუნების შემდეგ, როდესაც იესო მოზრდილი ადამიანი გახდა, დაიწყო მუშაობა ქვისმთლელად და დურგლად. ამ დროისათვის იოსები გარდაიცვალა და იესო დედას საკუთარი შრომით არჩენდა.

30 წლის ასაკში ქრისტე მონათლა იოანე ნათლისმცემლმა. სამი წლის მანძილზე იგი ქადაგებდა პალესტინაში, აცნობდა საკუთარი სწავლების პრინციპებს თავის მოწაფეებს – მოციქულებს. იერუსალიმში იესოს ულალატა ერთმა მათგანმა – იუდამ 30 ვერცხლის სანაცვლოდ. ქრისტე ჯვარცმული იქნა, მაგრამ სამი დღის შემდეგ აღსდგა და თავის მოწაფეებს გამოეცხადა.

ქრისტიანობა შეიცავს ადამიანის ცოდვილობის და გადარჩენის იდეას. ყველა ადამიანი ცოდვილია და აქვს გადარჩენის შესაძლებლობა, ამიტომაც ისინი თანასწორნი არიან ღმერთის წინაშე მათი ეროვნებისა, კლასობრივი, რასობრივი წარმოშობისა და სიმდიდრის მიუხედავად.

ქრისტიანობის საკულტო სიწმინდეებში უმთავრესი ადგილი უკავია ჯვრის თაყვანისცემას. ჯვარზე გაკრული ქრისტეს გამოსახულება წარმოიშვა VIII-IX საუკუნეებში. წიგნი „ღვთის კანონი“ ამბობს, რომ ძე ღვთისამ (ქრისტემ) თავისი ჯვრით (ტანჯვითა და სიკვდილით ხალხის ცოდვებისთვის) დაამარცხა როგორც ცოდვები, ასევე თვით სიკვდილიც. იგი აღსდგა მკვდრეთით და ცხოველმყოფელი ჯვარი აქცია ცოდვებზე და სიკვდილზე გამარჯვების სიმბოლოდ.

ქრისტიანობა, საკუთარი არსებობის პირველ საუკუნეებში, განიცდიდა დევნას რომის იმპერიის მიერ, თუმცა ამან ქრისტიანები საკუთარ რწმენაში გააძლიერა. იმ პერიოდში მოღვაწეობდნენ ეკლესიის ისეთი მსახურები, როგორებიც იყვნენ გრიგოლ ღვთისმეტყველი, ვასილი დიდი, იოანე ოქროპირი, ათანასე ალექსანდრიელი და სხვა. ჩვენი წელთაღრიცხვის IV საუკუნის დასაწყისში, იმპერატორი კონსტანტინეს მმართველობისას, ქრისტიანობა რომის იმპერიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.

ჩვ. წ. აღ. III საუკუნიდან ქრისტიანობა ნელ-ნელა დაიყო დასავლურ და აღმოსავლურ მიმართულებად. აღმოსავლური ქრისტიანობა ჩამოყალიბდა ბიზანტიაში. დასავლურ ქრისტიანობაში კი, რომის იმპერიის დაშლის შემდეგ – მკვეთრად გაიზარდა რომის პაპის ავტორიტეტი.

შიდა ქრისტიანული დავები და ურთიერთწინააღმდეგობები წყდებოდა მსოფლიო კრებებზე. ჩვენი წელთაღრიცხვის 325-787 წლებში ჩატარდა შვიდი მსოფლიო კრება (ნიკეის კრება 325წ., კონსტანტინოპოლის 381წ., ეფესოს 431წ, ქალკედონის 451წ., კონსტანტინოპოლის 553წ., კონსტანტინოპოლის 680-681წწ., ნიკეის 787წ.). კრებებზე განიხილებოდა არიანელობის, მონოფიზიტების, მონოთელიტების, ანტიტრინიტარების და სხვათა ერესები, მიმდინარეობდა მწვავე კამათი სამი ძირითადი ქრისტიანული დოგმის განმარტების შესახებ: ღმერთის სამპიროვნობასთან (სამებასთან), იესო ქრისტეს განკაცებასთან და მისი მსხვერპლით – ცოდვების გამოსყიდვასთან დაკავშირებით. VI საუკუნის შუა წლებში მეხუთე მსოფლიო კრებამ გადაწყვიტა ქრისტე გამოსახულიყო არა ანგელოზის, არამედ ადამიანური სახით.

საუკუნეების განმავლობაში, დასავლურ და აღმოსავლურ ქრისტიანობას შორის ურთიერთწინააღმდეგობა კიდევ უფრო გაღრმავდა. 1054 წელს კონსტანტინოპოლის პატრიარქმა და რომის პაპმა ერთმანეთი დაწყევლეს. მოხდა საეკლესიო განხეთქილება – დიდი სქიზმა და ეკლესიათა საბოლოო გამიჯვნა. მხოლოდ 1965 წელს რომის პაპმა პავლე VI-მ და კონსტანტინოპოლის პატრიარქმა აფინაგორმა, მოხსნეს ურთიერთანათემა ორივე ეკლესიაში.

ქრისტიანების წმინდა წერილია ბიბლია, რომელიც შედგება ძველი აღთქმისა და ახალი აღთქმისაგან. ძველი აღთქმა მოგვითხრობს წინაისტორიულ ხანაზე, რომელიც წინ უძღვოდა ქვეყანაზე იესო ქრისტეს მოვლინებას. ძველ აღთქმაში დიდად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ხუთწიგნეულს, რომლის

ავტორადაც მიიჩნევენ წინასწარმეტყველ მოსეს. ძველი აღთქმა შედგება 50 წიგნისაგან, რომელთაგანაც მართლმადიდებლები გამოყოფენ 39 კანონიკურს და 11-ს არაკანონიკურ წიგნს. პროტესტანტები არ აღიარებენ არაკანონიკურ წიგნებს. ახალ აღთქმაში – „საღვთო წიგნების" კრებულში, რომელშიც გადმოცემულია იესო ქრისტეს მოძღვრება – შესულია 27. პირველი ნაწილია „ოთხთავი", ანუ 4 სახარება (მათეს, მარკოზის, ლუკას და იოანეს.) (4), „საქმე მოციქულთა" (1), „კათოლიკე ეპისტოლენი" (7), „ეპისტოლენი წმინდისა მოციქულისა პავლესნი" (14) და „გამოცხადება იოანესი", ანუ „აპოკალიფსისი" (1). სხვა მრავალი ნაწარმოები – ნიკოდიმოს, ეგვიპტელების, ებრაელების, თომას სახარებები, საქმენი წმინდა მოციქული პავლესი, პეტრეს გამოცხადება (აპოკალიფსისი) და სხვები, არ შევიდნენ ახალ აღთქმაში.

ახალი აღთქმის წიგნები გამოჩნდა მაცხოვრის – იესო ქრისტეს გამომსყიდველი მსახურების შემდეგ. ისინი გადმოსცემენ იესო ქრისტეს და მისი მოციქულების სწავლებას. მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა გადმოცემებია წმინდანთა ცხოვრება, ეკლესიის მამათა შრომები, ლეტურგიული და ღვთისმსახურების ტრადიციები, შვიდ საეკლესიო კრებათა გადაწყვეტილებები და ქმედებები, ეკლესიის კანონიკური სამართალი, იკონოგრაფიული (ხატწერის) პრინციპები, მუსიკალური და არქიტექტურული ტრადიციები.

ქრისტიანების აბსოლუტური უმრავლესობა აღიარებს ორ არსებით დოგმატს: წმინდა სამებას (სამპიროვანი ღმერთი: მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმინდა) და იესო ქრისტეს ორი ბუნებას – ღვთაებრივს და ადამიანურს.

პირველ დოქტრინას არ აღიარებენ ანტიტრინიტარები (მონარქიანები), მეორეს – მონოფიზიტები და ნესტორიანები. მრავალი ქრისტიანისთვის მისაღებია სხვა დოგმატებიც, რომელსაც შეიცავს ნიკეა-კონსტანტინოპოლის სარწმუნოების და მოციქულთა რწმენის სიმბოლოებში: მათ სწამთ ქრისტეს ხორცშესხმა (განკაცება), მსხვერპლშეწირვა ჯვარცმაზე, აღდგომა და ზეცად ამაღლება, ასევე მეორედ მოსვლა, შემდგომ მიცვალებულთა აღდგომა და მარადიული ცხოვრება. (იზიარებენ ზოგადქრისტიანულ წარმოდგენას ღმერთზე, იესო ქრისტესა და სულიწმინდაზე, აღიარებენ სამებას და ნიკეა-კონსტანტინოპოლის აღსარებას, სწამთ სულის უკვდავების, იესოს მეორედ მოსვლის, საბოლოო განკითხვის და ცათა სასუფევლის)..

ქრისტიანობაში საიდუმლონი შვიდია:

1. ნათლისღება;
2. მირონცხება;
3. ზიარება;
4. სინანული, ანუ აღსარება;
5. ზეთისცხება;
6. მღვდლობა;
7. ქორწინება.

პირველი საიდუმლო ქრისტიანის ცხოვრებაში **ნათლობაა**. მხოლოდ ნათლობის შემდეგ ვითვლებით ჩვენ ქრისტიანებად. ამიტომ ნათლობა რაც შეიძლება ადრე უნდა შესრულდეს, ჩვეულებისამებრ ჩვილ ბავშვებზე. ამ საიდუმლოს შესრულებისას მონათლულის ნათლიები ბავშვით ხელში, ანთებული სანთლებით დგებიან წყლით სავსე ჭურჭლის წინ, რომელსაც ემბაზი ეწოდება. ისინი აღიარებენ თავიანთ რწმენას და აღუთქვამენ ღმერთს მისი მცნებების აღსრულებას. მღვდელი აკურთხებს წყალს და სამჯერ ჩააყურყუმალავებს ჩვილს, თან ამბობს: „ინათლება მონა ღვთისა (სახელი) სახელითა მამისათა, ამინ და ძისათა, ამინ და სულისა წმიდისათა, ამინ".

ნათლიები ეკლესიის წინაშე პასუხისმგებელნი არიან მოსანათლის რწმენისათვის, მონათვლის შემდეგ კი, იღებენ მას მფარველობის, პასუხიმგებლობის ქვეშ და განამტკიცებენ რწმენაში.

ნათლობით მიღებული ახალი ცხოვრება გულისხმობს წმინდად ცხოვრებას. საჭიროა სულიერი ძალების შეძენა, მათ კი ყოველი ქრისტიანი იღებს **მირონცხებით**. ეს საიდუმლო სრულდება ნათლობისას. მღვდელი მონათლულს სცხებს მირონს შუბლზე, თვალებზე, ყურებზე, პირზე, ნესტოებზე, მკერდზე, ხელებსა და ფეხებზე. ღვთის სული სახლდება ახალმონათლულის სულსა და სხეულში, განწმენდს მას და აძლევს ახალი ცხოვრებისათვის საჭირო სულიერ ძალებს. ნათლობისა და მირონცხების შემდეგ მღვდელი სამჯერ შემოატარებს მონათლულს ემბაზის გარშემო და ახალი წევრი სამუდამოს შეუერთდება ეკლესიას.

სხეული კვდება, თუ დიდხანს არ მიიღო საკვები, ასევეა სულიც, თუ ის დაშორდება ქრისტიანულ ცხოვრებას და არ მიიღებს სულიერ საკვებს. სულიერად ჩვენ ვიკვებებით **ზიარების** მიღებით. ეს

საიდუმლო სრულდება ლიტურგიაზე. ნაკურთხი პურითა და ღვინით ჩვენ ვიღებთ იესო ქრისტეს ხორცსა და სისხლს. ზიარებისას მღვდელი ამბობს: „ეზიარება მონა ანუ მხევალი ღვთისა (სახელი)“. ზიარებით ჩვენ ვუერთდებით თვით ქრისტეს. მღვდელს გამოაქვს ბარძიმი, მორწმუნენი პირჯვარს იწერენ და იმორებენ ზიარების წინა ლოცვებს. შემდეგ ფრთხილად მიუახლოვდებიან ბარძიმს და ემთხვევიან, მიიღებენ თბილ ღვინოს (სარღვნელს) და სეფისკვერის ნატეხს. ზიარებამდე არ შეიძლება ჭამა და რაიმეს დალევა. ბოლოს მორწმუნენი კითხულობენ ზიარების შემდეგ სამადლობელ ლოცვებს.

იმისათვის, რომ ღირსეულად ვეზიაროთ, საჭიროა წრფელი სურვილი, რათა აღარ შევცოდოთ და სინანული იმ ცოდვებზე, რომლებიც უკვე ჩავიდინეთ. როგორ მოვინანიოთ ეს ცოდვები? ამისათვის დადგენილია **სინანულის საიდუმლო ანუ აღსარება.** აღსარებისათვის უნდა მოვემზადოთ. ვეცადოთ, გავიხსენოთ ყველაფერი, რითაც შევცოდეთ ღმერთის წინაშე, ახლობლებისა და ჩვენი თავის მიმართ.

ჩვენ უნდა ვთხოვოთ შენდობა ყველას, ვინც გავანაწყენეთ. მღვდელი კითხულობს განსაკუთრებულ ლოცვებს, რომლებსაც „მონანიების კანონი“ ეწოდება. მღვდელი ხდება ჩვენი აღსარების მოწმე, ღვთის წინაშე ვალიარებთ ჩვენს ცოდვებს და მღვდელთან ერთად შევთხოვთ შენდობას.

აღსარების დროს ვისმენთ მღვდლის დარიგებას. მერე დავიჩოქებთ, მღვდელი თავზე ეპიტრაქილს გაგვაფარებს და კითხულობს ლოცვებს, რომლის მეშვეობითაც მოგვეტევება ცოდვები. სული წმიდის მადლით ეს ცოდვები ქრება ჩვენი სულიდან. ყველა ქრისტიანი ზიარების წინ უნდა მივიდეს აღსარებაზე. მაშინაც, როცა სინდისი გვაწუხებს რაიმე ცოდვის გამო. ბავშვებმა აუცილებლად უნდა მოინანიონ ცუდი საქციელი ზიარების წინ.

სინანულის საიდუმლოსთან ახლოს დგას **ზეთისცხების** საიდუმლო. ის სრულდება ძირითადად ავადმყოფებზე და წელიწადში ერთხელ ყველა ადამიანზე. ღვთის სულის უხილავი მადლით მოგვეტევება ცოდვები და განვიკურნებით სულიერი და ხორციელი ტკივილისაგან. ზეთისცხების საიდუმლოს შესრულების წესი ასეთია: თავდაპირველად იკურთხება ზეთი, შემდეგ ნაკურთხ ზეთს წაუსვამენ ავადმყოფს და ყველა დამსწრეს. ზეთისცხებამდე იკითხება ნაწყვეტები მოციქულთა წერილებიდან, მღვდელი კითხულობს განსაკუთრებულ ლოცვას და ნაწყვეტებს სახარებიდან. ეს მღვდელთმსახურება სრულდება რამდენიმე მღვდლის მონაწილეობით.

საიდუმლოებები: ნათლობა, მირონცხება, ზიარება, სინანული და ზეთისცხება ყველა ქრისტიანის ცხოვრების ნაწილია. ამათ გარდა დაწესებულია კიდევ ორი საიდუმლო, რომლითაც იკურთხებიან განსაკუთრებული ცხოვრების გზის არჩევისას. **მღვდლობის** საიდუმლო სრულდება იმ ადამიანზე, რომელი მღვდელმსახური ხდება და იღებს განსაკუთრებულ მადლს. ღვთისმსახურთათვის არსებობს იერარქია ანუ დაწინაურებული ხარისხი. ყველაზე მაღალი ხარისხის საფეხურზე დგას ეპისკოპოსი, რომელიც სახარების მემკვიდრედ გვევლინება. ეპისკოპოსები მართავენ ეკლესიას და შეუძლიათ ყველა საიდუმლოს შესრულება. ეპისკოპოსი შეიძლება იყოს: ეპისკოპოსი, არქიეპისკოპოსი, მიტროპოლიტი და პატრიარქი. მეორე საფეხური არის მღვდელი, რომელიც ყველა საიდუმლოს ასრულებს, გარდა მღვდლის კურთხევისა. ბოლო ხარისხია – დიაკონი. მას საიდუმლოებების შესრულება არ შეუძლია, იგი ეხმარება მღვდელს.

მღვდლობის საიდუმლოს შესრულებისას, ეპისკოპოსი ლიტურგიის დროს მომავალ მღვდელს განსაკუთრებულ ლოცვებს უკითხავს. მღვდელს საჭირო სამოსით შემოსავენ. მღვდელმსახურები თავიანთ სიცოცხლეს ღვთის მსახურებას უძღვნიან. მათ დიდი მადლი გადმოეცათ თვით უფალ იესო ქრისტესაგან და ჩვენ განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით უნდა მოვეპყრათ მათ.

მეშვიდე საიდუმლო არის **ქორწინება**. უფალი აკურთხებს ქალსა და მამაკაცს, როცა ისინი ქრისტიანულ ოჯახს ქმნიან. ეს საიდუმლო ასე სრულდება: საქმრო და საცოლე ბეჭდებს ცვლიან და დაქორწინების სურვილს გამოთქვამენ. მღვდელი სამჯერ აკურთხებს და სამჯერ შემოატარებს მათ ანალოღიის ირგვლივ. საქმრო და საცოლე დგანან ანთებული სანთლებით ხელში და მათ თავზე გვირგვინები უჭირავთ მეჯვარეებს. ქრისტიანული ქორწინება წმინდაა, ამიტომ გაყრა არ არის დაშვებული, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა, როცა დაირღვევა ცოლ-ქმრული ერთგულება [172].

საიდუმლოთა აღსრულების დროს მორწმუნე მისტიკურად იღებს ღვთაებრივ მადლს. შვიდივე საიდუმლოს აღიარებენ მართლმადიდებლები და კათოლიკეები, თუმცა მათ მიერ საიდუმლოების შესრულებისას არის განსხვავებები.

პროტესტანტობაში საიდუმლო ითვლება უბრალოდ რიტუალად. უნდა აღინიშნოს, რომ მრავალმა პროტესტანტულმა ორგანიზაციამ შეინარჩუნა მხოლოდ ნათლობა და ევქარისტია. ხოლო ისეთმა ქრისტიანულმა კონფესიებმა როგორებიც არიან, მაგალითად კვაკერები, უარყოფენ არა მარტო

საიდუმლოებებს, არამედ ყველა სხვა ქრისტიანულ რიტუალებსაც.

სხვადასხვა მიმართულების ქრისტიანების ღვთისმსახურების პრაქტიკაც საკმაოდ განსხვავებულია. ერთის მხრივ ტარდება სადღესასწაულო ლიტურგია მართლმადიდებლობაში და მესა კათოლიციზმში, მეორეს მხრივ – პროტესტანტიზმში ღვთისმსახურების ჩატარების უბრალოება (ანგლიკანური ეკლესია იკავებს შუალედურ მდგომარეობას).

სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიების ეკლესიების ორგანიზაციებში აღინიშნება დიდი სხვადასხვაობა – მკაცრი ცენტრალიზაციიდან (რომაულ-კათოლიკური ეკლესია, პროტესტანტული დენომინაციები ხსნის არმია და მეშვიდე დღის ადვენტისტები) ცალკეული ეკლესიური თემების ფაქტიურად მთლიან დამოუკიდებლობამდე (ქრისტეს ეკლესიები, კონგრეგაციონალური ეკლესიები და ა.შ.).

თუ შევადარებთ ერთმანეთს ქრისტიანობის ხუთივე მიმართულებას, მაშინ რომაულ–კათოლიკური ეკლესია და აღმოსავლური ნესტორიანული ეკლესია (თითოეული ცალ-ცალკე) ერთიანია რწმენის (რელიგიის) და ორგანიზაციის საკითხებში. რაც შეეხება რიტუალებს, აქ კათოლიკეებს გააჩნიათ ზოგიერთი სხვაობა. მართლმადიდებლები და მონოფიზიტები (თითოეული ცალ-ცალკე) წარმოადგენს გარკვეულ ერთობლიობას დოქტრინებთან დაკავშირებით. ორგანიზაციულობასთან დაკავშირებით იგი იყოფა ადგილობრივ ეკლესიებად. ამასთან, თუ მართლმადიდებლურ ეკლესიებში რიტუალების შესრულებისას განსხვავება მინიმალურია, ოთხ მონოფიზიტურ ეკლესიაში კი იგი არსებობს. პროტენტასტობა არ წარმოადგენს ერთ მთლიანს არც დოქტრინალურ, არც კულტობრივ და არც ორგანიზაციულ ურთიერთობებში. იგი იყოფა მრავალ სხვადასხვა მიმართულებად, რომლებიც, თავის მხრივ კიდევ იყოფა გარკვეულ დენომინაციებად და ეკლესიებად.

8.1.3 მართლმადიდებელი ქრისტიანები: მიმდევრები, ტერიტორია და ტურისტული ინფრასტრუქტურა

ხალხი და ქვეყნები მართლმადიდებელი მოსახლეობით. მართლმადიდებელი ქრისტიანები დომინირებენ საქართველოში, რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში შეადგენენ უმრავლესობას მოლდავეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, სერბიაში, ჩერნოგორიაში, საბერძნეთში, და კვიპროსზე. არსებობენ თემები და ეპარქიებიც კი დსთ-სა და ევროპაში. მართლმადიდებელი ქრისტიანები არიან ასვე კანადაში და აშშ-ში.

ქრისტიანი მოსახლეობის რაოდენობა ქვეყნების მიხედვით (პროცენტული მაჩვენებლით)



ევროპულ ქვეყნებში მართლმადიდებელი მოსახლეობის რიცხოვნობა დაახლოებით შემდეგია: უკრაინა

– 30 მილიონი, რუმინეთი – 20 მილიონი, საბერძნეთი – 9,5 მილიონი, სერბია და ჩერნოგორია – 7 მილიონი, ბულგარეთი – 6 მილიონი, ბელორუსია – 5 მილიონი, მოლდაველთი – 3 მილიონი, ბოსნია და ჰერცეგოვინა – 1.2 მილიონი, მაკედონია – 1,2 მილიონი, გერმანია – 550 ათასი, პოლონეთი – 700 ათასი, ხორვატია – 700 ათასი, ალბანეთი – 350 ათასი, დიდი ბრიტანეთი – 400 ათასი, ესტონეთი – 300 ათასი, საფრანგეთი – 260 ათასი, ლატვია – 400 ათასი, ლიტვა – 150 ათასი, შვეცია – 75 ათასი, ავსტრია – 70 ათასი, შვეიცარია – 70 ათასი, ფინეთი – 56 ათასი, ბელგია – 53 ათასი, იტალია – 36 ათასი, სლოვაკეთი – 34 ათასი, უნგრეთი – 30 ათასი, ჩეხეთი – 75 ათასი ადამიანი. სხვა დასავლეთევროპულ ქვეყნებში მართლმადიდებლობას „ინარჩუნებენ" მართლმადიდებლური ქვეყნებიდან ჩასულები.

ასევე ამერიკაშიც ცხოვრობენ მართლმადიდებლები: აშშ-ში – 7 მილიონამდე, კანადაში – 700 ათასზე მეტი, ბრაზილიაში – 150 ათასზე მეტი, არგენტინაში – დაახლოებით 200 ათასი, ჩილეში – 20 ათასი. ვენესუელაში – 20 ათასი.

ამ ქვეყანებში მართლმადიდებლობას აღიარებენ ძირითადად ევროპიდან ჩასული სხვადასხვა ეთნიკური კუთვნილების მემკვიდრეები. ბრაზილიაში, არგენტინაში, კანადაში და აშშ-ში არიან მართლმადიდებელი არაბებიც.

მართლმადიდებლები ცხოვრობენ (დაახლოებითი მაჩვენებლები): საქართველოში – 3,6 მილიონი, ყაზახეთში – 4 მილიონზე მეტი, უზბეკეთში – 900 ათასამდე, ტაჯიკეთში – დაახლოებით 200 ათასი, თურქმენეთში – 150 ათასზე მეტი, აზერბაიჯანში – 100 ათასი. მართლმადიდებლები ასევე ცხოვრობენ ახლოაღმასავლურ აზიურ ქვეყნებში და აფრიკის ზოგიერთ სახელმწიფოში. აქედან პირველი შეიძლება დასახელდეს კვიპროსი – 500 ათასი ადამიანი, სირია – 300 ათასზე მეტი, ლიბანი – 240 ათასამდე, იორდანია – 84 ათასი, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში – 500 ათასზე მეტი, ისრაელში – 50 ათასამდე. კვიპროსში მართლმადიდებლები არიან ბერძნები, ხოლო დანარჩენ ქვეყნებში – არაბების ნაწილი, რომლებიც მიეკუთვნებიან ძირძველ მოსახლეობას (არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში ჩასულები).

აფრიკის კონტინენტზე მართლმადიდებლების საკმაოდ დიდი ჯგუფები ცხოვრობენ კენიაში – 700 ათასზე მეტი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში – 120 ათასი, ეგვიპტეში – 15 ათასი, უგანდაში – 20 ათასზე მეტი, ტანზანიაში – 10 ათასზე მეტი, ზიმბაბვეში – 10 ათასი. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ზიმბაბვეში, ეგვიპტეში მართლმადიდებლობას წარმოადგენენ ძირითადად ბერძნები (ეგვიპტეში ასევე ცხვრობენ მონოფიზიტი – კოპტები), კენიაში – კიკუიუ და ლუხიას ხალხების ნაწილი. ავსტრალიაში მართლმადიდებელია 480 ათასი ადამიანი – ისინი არიან ძირითადად ბერძნები და სერბები, რუსები, მაკედონიელები, უკრაინელების ნაწილი.

მსოფლიოში 3 მილიონზე მეტი სტაროვერია აღრიცხული. სტაროვერების უმეტესობა (2 მილიონზე მეტი) ცხოვრობს რუსეთში. ისინი ასევე ცხოვრობენ უკრაინაში, ბელორუსიაში, ლიტვაში, ლატვიაში, მოლდავეთში, ყაზახეთში, პოლონეთში, რუმინეთში, აშშ-ში, კანადაში, ბრაზილიაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში და სხვა ქვეყნებში.

ამრიგად, მართლმადიდებლები შეადგენენ უმრავლესობას ევროპისა და აზიის გარკვეულ ტერიტორიებზე.

8.1.4 მართლმადიდებლური ქრიატიანული მომლოცველობა

ლუკას სახარებიდან ცნობილია, რომ თვითონ უფალი და მისი უწმინდესი დედა „დადიოდნენ იერუსალიმში პასექის დღესასწაულზე". შესაძლოა, რომ ჯერ კიდევ პირველ ათწლეულებში და ქრისტიანობის საუკუნეებში მორწმუნეები მიემგზავრებოდნენ იმ ადგილებში, რომლებიც დაკავშირებული იყო იესო ქრისტეს სახელთან. IV საუკუნეში წმინდა ელენე, კოსტანტინე დიდის დედა, გაემგზავრა მოსალოცად წმინდა მიწაზე, სადაც აღმართა ჯვარი. დაიწყო ტრადიციული მომლოცველობა. შუა საუკუნეებში, ევროპის ქვეყნებში გამოიკვეთა ორი სახის მომლოცველობა: დიდი მომლოცველობა – წმინდა მიწის და რომის მოსანახულებლად (ჯვაროსნული ლაშქრობები) და მცირე მომლოცველობა – ადგილობრივი სიწმინდეების მოსანახულებლად. ეკლესიამ აგზავნიდა მორწმუნეებს მომლოცველებად ჩადენილი დანაშაულისთვის დასჯის მიზნით და ეპიტიმიის (სხვადასხვა სახის საეკლესიო დისციპლინარული ხასიათის სასჯელი) აღსრულებისთვის. XIII საუკუნიდან საერო სასამართლოები მომლოცველებად აგზავნიდა მკვლელებს.

საბჭოთა წლებში, რელიგიური მოტივით დევნა აისახა მომლოცველობაზეც. ჩვენს დღევანდელობაში

კი, როდესაც ხდება რელიგიის აღორძინება, მომლოცველთა რაოდენობა, რომლებიც მიემგზავრებიან წმინდა მიწაზე, ათონის მთასა თუ სხვადასხვა მართმადიდებლურ ქვეყნებში მდებარე წმინდა ადგილებში ნელნელა მატულობს.

მართლმადიდებლური მომლოცველობის მნიშვნელობა და შედეგები

მომლოცველები მიემგზავრებიან წმინდა ადგილებზე, რათა თაყვანი სცენ წმინდა ნაწილებს და სასწაულმოქმედ ხატებს, მიიღონ დახმარება, განიკურნონ, ეძებონ ღმერთთან კავშირი, მიუახლოვდნენ ღმერთს სულიერად, მიიღონ მადლის ძალა. ამრიგად მომლოცველობა არის გზა სიწმინდეებისაკენ. მომლოცველები ცდილობენ მოინახულონ:

– ტაძარები;
– მონასტრები;
– წმინდა ნაწილები, წმინდანთა საფლავები, მათი ნივთები;
– წმინდა წყაროები.

ლოცვის გამოცდილება ყალიბდება მონახულებული ადგილების ზემოქმედების შედეგით..

მომლოცველობის როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანია მას რამდენიმე როლი აკისრია:

1. სასულიერო-საგანმანათლებლო როლი. მოგზაურობის დროს მომლოცველები იღებენ ინფორმაციას წმინდა ადგილის ისტორიის შესახებ, რომლებსაც ისინი ნახულობენ, ასევე მათი როლის შესახებ – საქართველოს სულიერ ცხოვრებასთან მიმართებაში. მომლოცველები ეცნობიან ღვთისმსახურების ჩატარების თავისებურებებს, წმინდანთა მემკვიდრეობას, ბერ-მონაზვნებს. მნახველებს ეძლევათ შესაძლებლობა შევიდნენ ურთიერთობაში მონასტრის ბინადრებთან, იპოვონ საკუთარი სულიერი მამები.

2. საერთო-საგანმანათლებლო როლი. მონასტრები ითვლებოდა და ითვლება არა მარტო სულიერი, არამედ კულტურულ და ისტორიულ ცენტრებად. ზოგიერთ მათგანში განთავსებულია მუზეუმი. როგორც მომლოცველები, ასევე ექსკურსანტები ეცნობიან გამომგონებლურ და არქიტექტურულ ფორმებს, მონაზონთა ცხოვრებასა და ყოფას, ეკლესიის მსახურებას სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში.

3. მისიონერული როლი. მოგზაურობა წმინდა ადგილებზე ხელს უწყობს იმ ადამიანთა ეკლესიურობისკენ შემობრუნებას, რომლებიც იყვნენ მანამდე არარელიგიურები.

4. საქველმოქმედო როლი. მომლოცველობის ხელშეწყობის სამსახურისთვი ხდება ცნობილი მონასტრების საჭიროების შესახებ. ეს ინფორმაცია მიეწოდება მომლოცველებს. მომლოცველებს მიაქვთ მონასტერში ნივთები, პროდუქტი, უკეთებენ ფულად შესაწირს. ასეთი დახმარება ხშირად საკმაოდ დროულია, განსაკუთრებულად დამწყები მოსაგრისათვის.

ძნელად მოსაძიებელია სტატისტიკური მონაცემები საქართველოში მომლოცველთა რიცხოვნობის შესახებ და მით უფრო მათი ასაკობრივი მაჩვენებლები. ჩვენი მონაცემებით, ასეთ მოგზაურობაში მიემგზავრებიან უფრო მეტად ქალები, ვიდრე მამაკაცები. მომლოცველთა საშუალი ასაკი 40-50 წელია. მოგზაურობაში მონაწილეობენ ახალგაზრდებიც, მათი პროცენტული წილი მცირეა, თუმცა მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები ზრდადი ტენდეციით ხასიათდება.

მართლმადიდებლური მომლოცველობის თავისებურებები და წესები

მომლოცველთა წინაშე შეიძლება დადგეს საკითხი – სად გავემგზავრო?

რწმენითა და გულწრფელი სიყვარულით აღვლენილ ლოცვებს ოჯახური ბედნიერებისათვის ყოველი წმინდანი ისმენს, განსაკუთრებით კი წმინდა ნიკოლოზს ევედრებიან, როგორც მსწრაფლშემწესა და საკვირველთმოქმედს, წმინდა ნიკოლოზს ასევე ოჯახური კეთილდღეობისთვის ევედრებიან, სპირიდონ ტრიუმფუნტელის წინაშე – კი მატერიალური სიდუხჭირის ჟამს აღავლენენ ლოცვებს. წმინდა პანტელეიმონს მაშინაც კი, როცა ჯანმრთელი ვართ,უნდა შევთხოვოთ: „წმინდაო დიდმოწამეო და მკურნალო პანტელეიმონ, განკურნე სულიერი და ხორციელი სნეულებანი ჩვენნი!“.

მორწმუნემ წმინდა სერაფიმ საროველს მუცლის ღრუს დაავადებებიდან განკურნება და ფსიქიკურ ვნებებთან დაკავშირებით უნდა შესთხოვოს. ალექსანდრე სვირელს აღუვლინოს ლოცვა დამბლასთან დაკავშირებით, ნეტარ ქსენიას – სამსახურის დაკარგვისას და ოჯახური უსიამოვნებებისას. წმინდა სერგეი რადონეჟელი, ამბროსი ოპტინელი, წმინდა იოანე კრონშტადტელი და წმინდა მიტროფანე

კორონეკელი – მკურნალები არიან, მათი მეშვეობით შეიძლება უბედურებების და სიროულეების თაკიდან აცილება.წმინდა ეკატერინეს შესთხოვენ ჯანმრთელობას და გონების გახსნას. წმინდა ბარბარე ბავშვების შემწე. მფარველია. ჩვენი ცხოვრების გზაზე ყოველგვარ მწუხარებასა და ავადმყოფობაში, ჭირსა და ლხინში, ყველგან და ყოველთვის უნდა კილოცოთ ყოვლადწმინდა სამების, უფლისა და მაცხოვრის, ჩვენი იესო ქრისტეს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის და იმ წმინდანების მიმართ, რომლებმაც თაკიანთი წმინდა ცხოვრებით, ქრისტესთვის მოღვაწეობითა და მოწამეობით მოიპოვეს ცათა სასუფეველი და წმინდანებად შეირაცხნენ. მათ მიიღეს სხვადასხვა ნიჭი სულიწმინდისგან, რათა შემწე გვეყონ განსაცდელში მყოფთ, განკურნონ ჩვენი სნეულებანი. ცნობილია ათორმეტი უცერცხლო მკურნალი, მათ შორისაა დიდმოწამე პანტელეიმონ მკურნალი, წმინდა მოწამე დეომიდე, წმინდა დამიანე და კოზმა და სხვანი. მათ უნდა ეევედროთ, რადგან ისინი უფლის მეგობრები არიან. მათ ლოცვას ისმენს ღმერთი.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ლიტურგიაში კეთის ანუ პროსკომიდიის დროს ავადმყოფის მოხსენიებას. ასევე მნიშვნელოვანია სნეულთათვის ჯანმრთელობის პარაკლისი. ამ დროს უფალს ვთხოვთ ავადმყოფის გამოჯანმრთელებას, იკითხება სამოციქულო, სახარება, სრულდება ზეთის ცხება.

მოგეხსენებათ, წმინდა ზიარების მიღების შემდეგ მორწმუნეები ერთმანეთს ეუბნებით: „საკურნებლად სულისა და ხორცისა“. ეს სიტყვები თავისთავად მოწმობს იმას, რომ კურნების საუკეთესო საშუალება უფლის სისხლისა და ხორცის მიღებაა. წმინდა ზიარების დროს უფალი მთლიანად შემოდის ჩვენში და არა მარტო სულს, არამედ ხორცსაც კურნავს. ამის მაგალითები უამრავია. ღმერთმა შექმნა ადამიანი სულიერადაც და ხორციელადაც და მასვე ძალუძს მისი განკურნება. უფალია სნეულთა მკურნალი. [159].

მთავარია როგორი გულით ვილოცებთ და ღმერთს მივეახლოვებით.

მომლოცველობის დრო და გამგზავრება შეიძლება გადაწყდეს:

1) სულიერი მამის (მოძღვრის) კურთხევით;

2) დამოუკიდებლად – ბევრ მომლოცველს უყვარს წავიდეს მოსალოცად მონასტრებში, ეკლესიურ დღესასწაულებზე. მომლოცველები ცდილობენ, რომ წმინდა ადგილების მონახულება დაემთხვეს სასწაულმოქმედი ხატების ან სხვადასხვა საკვირველმოქმედი წმინდანების ხსენების დღეს.

მოსალოცად შესაძლებელია გამგზავრება:

1) დამოუკიდებლად;

2) მომლოცველობის სამსახურის დახმარებით.

მგზავრობისათვის წინასწარი სამზადისს შეიძლება:

1) მომლოცველმა დადოს აღთქმა, იმარხულოს;

2) უბრალოდ მოემზადოს წმინდა ადგილებთან შესახვედრად, ყოველივე წინასწარი მომზადების გარეშე. მონასტრების მონახულებისას საჭიროა იყოს თავშეკავებული. არ შეიძლება მონასტრის კელიებში სიარული, მონასტერში მყოფებთან საუბარი (მომლოცველებთან ურთიერთობაში შეიძლება შევიდეს მხოლოდ მღვდელმონაზვნები). წმინდა ადგილების მონახულებისას საჭიროა შესაბამისი თავშეკავებული ჩაცმულობა. მომლოცველობის პერიოდში სასურველია ჩაბარდეს აღსარება და მოხდეს განწმენდა. განწმენდის შემდეგ გართობის შემთხვევაში, მომლოცველობითი მოგზაურობა არავითარ შედეგს არ იძლევა.

საჭიროა იმის ცოდნა, როგორ შეიძლება მღვდელთან მიმართვა. მომლოცველები (რომლებიც ესწრებიან წირვას), მამაოსთან შესვედრისას იღებენ კურთხევას, მასთან შესვედრისას საჭიროა მარჯვენა ხელის ამობრუნებული მტევანი მოთავსდეს მარცხენაზე ზევიდან, იგი აკურთხებს მომლოცველს და შემდეგ საჭიროა ხელზე ამბორი – მოწიწების და თაყვანისცემის ნიშნად. ამის შემდეგ ემშვიდობებიან მღვდელს. მღვდელს მიმართავენ „მამაო“-თი, რომლის შემდეგაც უმატებენ მის სახელს, მაგალითად მამა გიორგი.

წმინდა ლუსკუმასთან ან სანაწილესთან (რაშიც ჩასვენებულია სიწმინდეები) ხდება მიახლოება მოწიწებით. როდესაც წმინდა ნაწილებს უახლოვდებიან, ქედს იხრიან (შეიძლება ორჯერაც), შემდეგ ეხებიან სანაწილეს და ისევ იხრიან ქედს. ქედის მოხრა შეიძლება განხორციელდეს წელის სარტყლის დონეზე, ან მიწის დონეზე. ეს უკანასკნელი გულისხმობს ადამიანის მუხლზე დაცემას და თავით მიწასთან შეხებას. ქალებს არ უნდა ჰქონდეთ სახეზე კოსმეტიკა, უნდა ეხუროთ თავსაბურავი და აუცილებლად ეცვათ კაბა, ხოლო მამაკაცებს აუცილებლად უნდა ეცვათ შარვალი (და არა ე. წ. „შორტიკი“) და დახურული ფეხსაცმელი.აკრძალულია მობილური ტელეფონით საუბარი.


სანაწილეს ან ლუსკუმას წინაშე ლოცვისას შეიძლება: 1) კანონიკური ლოცვის წაკითხვა; 2)

მიმართოს წმინდანის ნეშტს ან მის ნაწილებს ლოცვითი ფორმით საკუთარი სიტყვებით. მთავარია – ლოცვა უნდა განხორციელდეს იმის მთლიანი რწმენით, რომ რასაც შესთხოვთ – აუცილებლად მიიღებთ.

8.1.5 საზღვარგარეთის ქვეყნების მართლმადიდებლური ქრისტიანული ცენტრები, მონასტრები, ტაძრები

საბერძნეთი


ათონის წმინდა მთა მდებარეობს ქალკედონის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ შვერილზე, აიონ–ოროსის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში. ეს ადგილი ითვლება წმინდა მარიამის წილხვედრად და აქ საუკუნეების განმავრობაში არსებობდნენ მართლმადიდებლური მონასტრები. ათონის მთაზე მდებარეობს მხოლოდ მამათა მონასტრები და მისი მონახულება შეუძლიათ მხოლოდ მამაკაც მომლოცველებს. წმინდა მთაზე ქალის შესვლა მკაცრად იკრძალება.




აქ უმეტეს წილად ბერძნული მონასტრები და სკიტებია (სკიტი – დიდ მონასტერს დაქვემდებარებული პატარა ზომის მონასტერი, რომელსაც თავისი წინამძღვარი ჰყავს და შედარებით მკაცრი ტიპიკონი გააჩნია, თუმცა, ამავდროულად, შესაძლებელია სკიტის არსებობა დიდი მონასტრის გარეშეც). ასევე მდებარეობს რუსული, ბულგარული, სერბული მონასტრები და სკიტები. ათონის წმინდა მთაზე, ამჟამად 20 მონასტერი, 12 სკიტი, ბერთა მრავალი სავანე და განდეგილთა განმარტოებების სენაკებია. ათონზე უმაღლესი ეკლესიური ძალაუფლება ეკუთვნის კოსტანტინოპოლის პარტიარქს და იმყოფება მისი იურისდიქციის ქვეშ. ეს არის *ავტონომიური, მონაზვნური რესპუბლიკა* – საბერძნეთის შემადგენლობაში, სადაც ყოველ მონასტერს გააჩნია საკუთარი ტიპიკონი. სახელმწიფო ენა არის ბერძნული. *ათონის დედაქალაქია კარიესი.* კარიესში მდებარეობს აღმასრულებელი ხელისუფლება – პროტატი, სადაც ხორციელდება უმაღლეს თვითმმართველობა და სასამართლო, ჰყავს გუბერნატორი (აღმასრულებელი ხელისუფლებას წარმოადგენს მორიგეობით არჩეული საბჭოს 4 წევრი და კრების თავმჯდომარე – პროტოსი).

უმთავრესად ითვლება ხუთი მონასტერი: წმინდა ათანასეს ლავრა, ვატოპედი, ივერიონი, ხილანდარი და წმინდა დიონისიატის.

ათონის წმინდა მთის მონასტრები



წმინდა ათანასეს ლავრა (დიდი ლავრა) 5 (18) ივლისი — ღირსი ათანასე ათონელი წმ.ათანასეს ტაძარი ათონის მთაზე ყველაზე დიდია. ლავრა მოიცავს 17 ტაძარს თავის ტერიტორიაზე და 19 მის გარეთ (იხ. ტექსტში 17/19), 24 კელიას, სკიტებს – იოანე ნათლისმცემლის, წმინდა ანას, კავსოკალივია, კატუნაკია, კარაულია და სხვა. მღვიმეები – ღირსი პეტრე ათონელის, ათანასეს, ნილოსის. არის უამრავი წმინდა ნაწილი. ბიბლიოთეკა – 2116 ხელნაწერი, 20000 ნაბეჭდი წიგნი და 100 უცხოენოვანი მანუსკრიპტი. ლავრის ტერიტორიაზე არის 50 მოსაგრე ბერი, მის გარეთ კი 300.



ვატოპედი 25 მარტი (7 აპრილი) – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის მთავარი ტაძარი. ტაძრები 12/19. 24 კელია. ათონის უძველესი სამრეკლო. მრავალი შესანიშნავი სამოსი და ჭურჭელი, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატები: ყოველთა დედუფალი, მირონმდინარე, ქტიტორი და სხვა. სკიტები – წმინდა დიმიტრის და ანდრია პირველწოდებულის, რომელიც მდებარეობს კარიესთან ახლოს. ბიბლიოთეკა – 2000 ხელნაწერი, 25 გრაგნილი, საბუთები და 35 000-ზე მეტი ნაბეჭდი წიგნი. 50 ბერი.




ივერიონის მონასტერი 15 (28) აგვისტო – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინება.მთავარი ტაძარი – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის. 37 კელია, ტაძარი 16/10, სკიტი – იოანე ნათლისმცემლის. 150-ი წმინდანის ნაწილი, წმინდა ჭურჭელი, სამოსი და ნაქარგები, სახარება – რუსეთის იმპერატორის – პეტრე დიდის მიერ შეწირული და სხვ. ბიბლიოთეკა — 2000 ხელნაწერი, 15 ლიტურგიკული გრაგნილი, 20 000-ზე მეტი წიგნი, 30-მდე ბერი. ივერონის მონასტერზე შემდეგ თავებში დაწვრილებით ვისაუბრებთ.


ხილანდარი (სერბეთი) 21 ნოემბერი (4 დეკემბერი) – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება ღვთისმშობლის ხატები: სამხელა, აკაფისტური და სხვა. ეკლის გვირგვინის ნაწილები, წინასწარმეტყველი ესაიას გადახერხილი სახის ნაწილი, წმ ბარბარეს და ეკატერინეს ნაწილები და მრავალი სხვა. ბიბლიოთეკა – 700-მდე სლავური წიგნი და 100 ბერძნული ხელნაწერი, 25 სლავური და 27 ბერძნული პერგამენტი, 6600 ბეჭდური გამოცემა. სავანეში და მის გარეთ 60 სერბი ბერი.



წმ. დიონისიატის მონასტერი ანუ „ნეა პეტრა“ (ახალი კლდე) 24 ივნისი (7 ივლისი) – იოანე წინამორბედის შობა ტაძარი – იოანე წინამორბედის შობის სახელობის. ყველაზე უძველესი, მართლმადიდებლურ სამყაროში – გამოსახულება აპოკალიფსის თემაზე, მოოქრული კანკელი. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი– დაუჯდომელი. ტაძარი 8/6. მრავალი წმინდა ნაწილი,რომელთა შორის აღსანიშნავია იოანე ნათლისმცემლის მკლავი და წმინდა ნიფონტეს ნაწილები. მოჩუქურთმებული ჯვარცმა,რომელიც დამზადებულია X საუკუნეში სპილოს ძვლისგან. წმინდა ჭურჭელი, სამოსი. ბიბლიოთეკა – 1100 ხელნაწერი და 15 000 წიგნი. XX საუკუნეში მონასტრიდან გამოვიდა ბევრი ცნობილი ღვტისმეტყველი და მოსაგრე. 50 ბერი.




ყუთლუმუშის 6 (19) აგვისტო – უფლის ფერიცვალების სახელობის მონასტერი. ტაძარი 7/7. 18 კელია. პანტელეიმონ დიდმოწამის სახელობის სკიტი. წმინდანთა ნაწილები, წმინდა სამოსი, ხატები, ხისგან გამოკვეთილი კანკელი. ბიბლიოთეკა – 662 ხელნაწერი, 3500-მდე ნაბეჭდი წიგნი. 20 ბერი.







პანტოკრატორი 6 (19) აგვისტო – უფლის ფერიცვალების სახელობის ტაძარი. წინასწარმეტყველი ილიას სკიტი. 5 კელია კარიესის რეგიონში. 38 კალივა (მცირე სამონაზვნო საცხოვრებელი) სიწმინდეებიდან – დიდმოწამე თეოდორე სტრატილატოსის წმინდა ნაწილები, ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილები, წმ. მერკურის ფარის ნაწილი, XIV საუკუნის ხატები., ღვთისმშობლის ხატი გერონტისა (მონასტრის მფარველი). ათონის ყველაზე ძველი კანკელი, საშემოსავლო სახლები საბერძნეთში, მცირე აზიასა და ელახეთში. 350 ხელნაწერი კოდექსი და 3500 ნაბეჭდი წიგნი. 15 ბერი.



ქსეროპოტამი 9 (22) მარტი – ორმოცი სებასტიელი მოწამის სახელობის მონასტერი და 7 ეკლესია. 4 კელია. პატიოსანი ცხოველმყოფელი ჯვრის მსოფლიოში ყველაზე დიდი ნაწილი, რომელსაც ატყვია ერთი ლურსმნის ნახვრეტი. 60ბერი, კელიოტების ჩათვლით.



ზოგრაფი (ბულგარეთი) 23 აპრილი (6 მაისი) – დიდმოწამე გიორგი ეკლესია 9/8. დიდმოწამე გიორგის ხელთუქმნელი გამოსახულება, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის დაუჯდომელი ხატი 126 ბერძნული და 388 სლავური ხელნაწერი, 10000-მდე ნაბეჭდი წიგნი. 10 ბულგარელი ბერი.

დოქიარი 8 (21) ნოემბერი – მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის. (სტავროპეგიალური ტაძარი) XVI საუკუნის ტაძარი კრეტული სკოლის ფრესკებით. ეკლესია 12/4. ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი, წმინდანთა ნაწილები, წმინდა ჭურჭელი და სამოსი. 545 ხელნაწერი, რომელთა შორის 62 დაწერილია პერგამენტზე, და 5000-ზე მეტი ნაბეჭდი წიგნი.


კარაკალის მონასტერი 9 ივნისი (12 ივლისი) — წმინდა მოციქულთა თავთა პეტრე და პაველეს სახელობის. ეკლესია 5/2. სამოსი და ლეტურგიული ჭურჭელი, ბართლომე მოციქულის თაყი, ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი. 279 ხელნაწერი, 2500 ნაბეჭდი წიგნი. 30 ბერი.


ფილოთეოსის მონასტერი 25 მარტი (7 აპრილი) — ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სახელობის. ეკლესია 6/3. იოანე ოქროპირის მაკურთხეველი მარჯვენა, ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი, წმინდანთა ნაწილები, სამოსი, წმინდა ჭურჭელი 250 ხელნაწერი, 2 ლეტურგიული ეტრატი, 2500 წიგნი (აქედან 500 რუსულ და ბულგარულ ენებზე,). 60 ბერი.

სიმონოპეტრას მონასტერი 25 დეკემბერი (7 იანვარი) ქრისტეშობა საკმაოდ პატარაა — ეკლესია 4/8. მარია მაგდალინელის უხრწნელი მარჯვენა, ძვირფასი ხატები, შესამოსლები, ვერცხლის ნაკეთობები ბერძნული და რომაული წარმომაელობის დოკუმენტები, ბიზანტიური წარმოშობის ბეჭდური წიგნები. 50 ბერი.

წმიდა პავლეს მონასტერი. სავანე ათონის მთის დასავლეთ ნაწილში, ნავსადგურთან ახლოს მდებარეობს. მონასტრის აღმშენებლად, გადმოცემით, X საუკუნის მოღვაწე ღირსი პაველე ქსიროპოტამელი მიიჩნევა.

უფლის მირქმის სახელობის ტაძარი 1839-1844 წლებში ხელახლა აშენდა და მთლიანად მარმარილოთი მოპირკეთდა. ტაძრის კანკელი ათონის ხეზე კვეთის კლასიკური ნიმუშია. შემორჩენილ ნაგებობათაგან უძველესია XVI საუკუნის თავდაცვითი კოშკი. სავანეში 12 სალოცავია. ბიბლიოთეკაში ხუთასამდე ხელნაწერი და თორმეტი ათასზე მეტი ძველი ნაბეჭდი წიგნი ინახება. ხელნაწერთაგან 174 სლავურია.










სტავრონიკიტას მონასტერი. იგი წმინდა მთაზე ყველაზე პატარაა. იგი ნახევარკუნძულის აღმოსავლეთით, ივერიის მონასტერსა და პანტოკრატორის სავანეს შორის მდებარეობს.ამჟამად მას ათონის სავანის იერარქიაში მე-15 ადგილი უჭირავს. ტაძარი, რომლის მშენებლობა დამთავრდა 1546 წელს, ნაკურთხია წმინდა ნიკოლოზის სახელზე. მონასტრის ერთ-ერთი სიწმინდეა XIII-XIV საუკუნეების წმინდა ნიკოლოზის ხატი, ბიბლიოთეკაში დაცულია 171 ხელნაწერი და უამრავი ნაბეჭდი წიგნი. განსაკუთრებით ღირებულია XII საუკუნის პერგამენტზე ოქროთი ნაწერი ფსალმუნი. მონასტერს აქვს ოთხი ტაძარი საკუთარ ტერიტორიაზე და ორიც – მის გარეთ. ამჟამად მონასტერში 30 ბერი ცხოვრობს.



ქსენოფონტეს მონასტერი დგას ზღვის ნაპირას, ციცაბოზე, დოქიარისა და წმინდა პანტელეიმონის მონასტრებს შორის. ის X საუკუნეში დაუარსებია ღირს ქსენოფონტეს. აქ აგებულია წმინდა დიმიტრის სახელობის ეკლესია.

სამონასტრო ბიბლიოთეკა განლაგებულია უსაფრთხო შენობაში. მასში დაცულია 600 ხელნაწერი, მათ შორის 8 პერგამენტია. აქ ინახება 2 ლიტურგიკული (პერგამენტული) გრაგნილი, აგრეთვე 7000-ზე მეტი ნაბეჭდი წიგნი. დღეს ქსენოფონტეს მონასტერს მე-16 ადგილი უჭირავს ათონის სამონასტრო იერარქიაში და ცხოვრობს.



საერთო საცხოვრებლის ტიპისაა. მონასტერში 60 ბერი




წმინდა გრიგორიატის მონასტერი მდებარეობს ნახევარკუნძულის სანაპიროზე. აქ მოხვედრა შეიძლება მხოლოდ გემით დაფნიდან. სავანე XIV საუკუნეში დააარსა გრიგოლ განდეგილმა.

1851 წელს აშენდა წმინდა გიორგის ეკლესია, 1851 წელს – წმინდა ნიკოლოზისა. მონასტერში დაცულია 279 ხელნაწერი, მათ შორის 11 პერგამენტია. გარდა ამისა, ინახება დაახლოებით 6000-მდე ნაბეჭდი წიგნი. მონასტრის სიწმინდეებიდან აღსანიშნავია ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი, წმინდანთა ნაწილები, წმინდა ჭურჭელი და სამოსი. გრიგორიატს აქვს 7 ტაძარი თავის ტერიტორიაზე და 6 –

ტერიტორიის გარეთ. მონასტრის დაქვემდებარებაშია სამი კაფიზმა და ექვსი კელია. კელია – პატარა უდაბნოა, აქ არის 1-2 ბერის საცხოვებელი და პატარა ტაძარი. კელიის მცხოვრებნი თვითონ ირჩენენ თავს. კაფიზმა, კელიისგან განსხვავებით, მონასტრის სრულ უზრუნველყოფაზეა.

ათონის მონასტრების იერარქიაში 1574 წლიდან მონასტერი მე-17 ადგილზეა.



წმინდა პანტელეიმონის სახელობის მონასტერი ზღვის ნაპირას, ქსენოფონტეს სავანესა და დაფნის ნავსადგურს შორის მდებარეობს. ის სხვაგვარადაც არის ცნობილი – როგორც წმინდა პანტელეიმონის რუსული მონასტერი ათონზე, კალიმაქსების კინოვია ანდა რუსიკი.

მონასტერს აქვს მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც ცალკე ორსართულიან შენობაშია განთავსებული. იქ დაცულია დაახლოებით 1320 ბერძნული და 600 სლავური ხელნაწერი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მინიატურებით მდიდრულად მორთული სახარება და გრიგოლ ღვთისმეტყველის 16 ქადაგება. ამათ გარდა, ბიბლიოთეკაში არის 20000-ზე მეტი ნაბეჭდი ბერძნული, სლავური და რუსული წიგნი.

ამჟამად პანტელეიმონის მონასტერს XIX ადგილი უკავია ათონის მთის სავანეთა იერარქიაში. საძმო ორმოცდაათზე მეტ ბერს ითვლის. თითქმის ყველა რუსეთიდანა არის ჩასული.



წმინდა კონსტამონიტის მონასტერი თვალწარმტაც ადგილას – ტყეში, ზღვიდან ნახევარი საათის სავალზე – მდებარეობს. ტრადიცია მის დამაარსებლად კონსტანტინე დიდს ან მის ერთ-ერთ ვაჟს მიიჩნევს, მაგრამ ზოგიერთი მეცნიერი ვარაუდობს, რომ სავანის დაფუძნება განდეგილ კონსტამონიტის სახელს უკავშირდება.

კონსტამონიტს საკუთრივ თავის ტერიტორიაზე ხუთი ეკლესია აქვს, ხოლო გარეთ – ოთხი. სავანეში დაცულია წმინდა სტეფანეს VIII საუკუნის სასწაულმოქმედი ხატი და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ორი სასწაულმოქმედი ხატი. გარდა ამისა, მონასტერში ინახება უფლის ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილები და ბიზანტიური გარდამოხსნა, სამოსი და ლიტურგიკული ჭურჭელი. კონსტამონიტის ბიბლიოთეკაში 110 ხელნაწერი და 5000-მდე ნაბეჭდი წიგნია.



მონასტერს XX ადგილი უკავია ათონის მთის მონასტერთა იერარქიაში. დღეს იქ 30 ბერი ცხოვრობს.

წმინდა ესთიგმენის მონასტერი დგას ათონის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ხილანდარის მონასტრის ახლოს. მონასტერს საძირკველი ზღვაში აქვს. მის გარშემო სხვადასხვა პერიოდის ნანგრევებია – რომაელთა ბატონობის დროიდან დაწყებული, პირველ განდეგილთა ეპოქით დამთავრებული.

ტაძარი უფლის ამაღლების სახელზეა

ნაკურთხი. ამის გარდა, მის ტერიტორიაზე არის 7 ეკლესია-მონასტერი, 7 – მის გარეთ. მონასტერში არის მრავალი წმინდა ნაწილი. ბიბლიოთეკაში დაცულია 372 ხელნაწერი და 8000 ნაბეჭდი წიგნი.

ესთიგმენს მე-18 ადგილი უკავია ათონის მონასტრების იერარქიაში, მაგრამ მისი წარმომადგენელი არ მონაწილეობს წმინდა კინოტის სხდომებში.

დაფნი კარიესის, ათონის სამონასტრო რესპუბლიკის დედაქალაქის, ნავსადგურია და მისგან რვა კილომეტრზე მდებარეობს. პორტი ნახევარკუნძულის დასავლეთ სანაპიროზეა გაშენებული. მომლოცველები იქ პატარა გემებით მიემგზავრებიან ურანოპოლიდან (მგზავრობას 1,5-2 საათი სჭირდება), ხოლო შემდეგ მიხვეულ-მოხვეული გზით კარიესისკენ მიემართებიან (მგზავრობა ოცდათხუთმეტიოდე წუთს გასტანს).



დაფნის პორტს, რომელიც სიმონოპეტრას და ქსეროპოტამის მონასტრებს ექვემდებარება, აქვს ნავმისადგომი, საბაჟო, სააგენტოები, სასტუმროები, კავშირგაბმულობა.

ერთ-ერთი ვარაუდით, ნავსადგურს სახელი ამ მხარეში დაფნის ხეების სიმრავლის გამო დაერქვა, მითოლოგიური ვერსიის თანახმად კი დაფნი არკადიელი მდინარის ღმერთის ქალიშვილი იყო, რომელიც მასზე შეყვარებულ აპოლონს ამ ქალაქის სანახებში დაემალა.

მომლოცველები საბერძნეთში ნახულობენ არა მარტო წმინდა მთას. კუნძულ ევბეაზე (ევია) ისინი თაყვანს სცემენ – იოანეს წმინდა ნაწილებს. აქვე, როვიესში განისვენებს მხცოვანი დავით ევიელის წმინდა ნაწილები. ნახევარკუნძული პელოპონესის ჩრდილოეთით მომლოცველები ნახულობენ მეგა სპილეოს მონასტერს, რომელშიც ინახება ღვთის მორჩილთა წმინდა ნაწილები. ქალაქ პატრში განისვენებენ წმ. ანდრია პირველწოდებულის წმინდა ნაწილები. კუნძულ კორფუზე მდებარეობს წმინდა სპირიდონეს ეკლესია (აგიოს სპირიდონუს) და მეტროპოლიის ეკლესია წმინდანთა ნაწილებით. ქალაქ კალამბაკის (ცენტრალური საბერძნეთი) თავზე აღმართულ ციცაბო კლდეებზე მდებარეობს მეტეორის სამონასტრო კომპლექსი (ღრუბლებში ჩამოკიდებული). მომლოცველებსა და ეკსკურსანტებს აქვთ შესაძლებლობა ეწვიონ ხატწერის სახელოსნოებს. მეტეორის მონასტრებია: წმ. ვარლაამის, წმ. სტეფანეს, წმ. ნიკოლოზის და რუსანუ (წმინდა ბარბარეს). ლავადიაში მდებარეობს ოგიოს ლუკას მონასტერი. ეგეოსის ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთით, კუნძული პატმოსი მართლმადიდებელი მომლოცველებისთვის მნიშვნელოვანია იმით, რომ აქ მოხდა წმ. მოციქული იოანე ოქროპირის გამოცხადება.

საბერძნეთის მრავალი კუნძული წარმოადგენს მომლოცველთა მიზიდულობის ობიექტს. კუნძულ ეგინაზე (ათონთან ახლოს) მდებარეობს წმინდა სამების მონასტერი წმ. ნექტარი ეგინელის წმინდა ნაწილებით, კუნძულ ანდროსზე – წმ. მარინეს მონასტერი და წმ. მარინეს და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატები, კუნძულ ტინოსზე – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხარების სასწაულმოქმედი ხატი. მომლოცველებისათვის ასევე მიმზიდველია ათენი და სალონიკი.

კვიპროსი

კვიპროსს გააჩნია უმდიდრესი ქრისტიანული ისტორია. ამ კუნძულზე არსებობს მართლმადიდებლობის მრავალი წმინდა ადგილი, სადაც მიემგზავრებიან მომლოცველები, მათ შორის საქართველოდანაც.

კვიპროსზე მომლოცველობამ შეიძლება მოინახულონ: ეკლესია-მონასტერები, რომლებშიც ინახება ქრისტიანული სიწმინდეები: უფლის ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილი, ქრისტეს თოკის ნაგლეჯები (კვანძები, რომლითაც ჰქონდა ხელები შეკრული), წმინდა ლაზარეს წმინდა ნაწილები, მოციქულ ფილიპეს თავი, სასწაულმოქმედი ხატები. მომლოცველები ნახულობენ წმ. მოციქული პავლეს წამების სვეტს, წმ. სოლომონის ეკლესიის კატაკომბებს, ლაზარეს ეკლესიას და მის აკლდამას წმინდა ნაწილებით.

მომოცველებს წინადადება ეძლევათ ესტუმრონ ბიზანტიური ეპოქის მონასტრებს – კიქსურსის (კიქოსი), ნეოფიტი განდეგილის (კიქოსი), ტროოდიტისის (კიქოსი), წმ. ნიკოლოზის („კატების" – კვებავენ კატებს) (ლიმასოლი), უწმინდესი ჯვრის (კიქოსი). უძველეს ქალაქ თომასოსში მდებარეობს სტავროვუნის მონასტერი. ამ მონასტრის ტერიტორიის მონახულება შეუძლიათ მხოლოდ მამაკაცებს.

სერბეთი, ჩერნოგორია

სერბეთი წარმოადგენს უძველესი მართლმადიდებლური ტრადიციების ქვეყანას. ქვეყნის ტერიტორიაზე განთავსებულია მრავალი ტაძარი, ეკლესია-მონასტერი, რომელიც მეტად საინტერესოა მომლოცველების და ექსკურსანტებისათვის. სოპოჩანის მონასტერს გააჩნია როგორც ძველი, დანგრეული შენობის ნაწილი, ასევე მოქმედი წმ. სამების სახელობის ეკლესია, რომელიც დამშვენებულია XIII საუკუნის ფრესკებით. მონასტერი რავანიცა მდებარეობს ძალიან ლამაზ ადგილზე. აქ ისე, როგორც სოპოჩანაში, ერთმანეთს ებჯინებიან შენობათა ნაშთები – ციხე-სიმაგრის კედლები და მოქმედი მართლადიდებელი ეკლესია.

კურშუმლიში (სამხრეთ სერბეთი) მდებარეობს ნიკოლოზ სასწაულმოქმედის სახელობის ეკლესია (XII ს.), რასაში, რომელიც მდებარობს ქალაქ ნოვი პაზართან (ჩრდილო სერბია) – წმ. პეტრეს ეკლესია (IX-X სს.), მდინარე მალვაზე (რუმინეთის საზღვრის სიახლოვეს) – მონასტერი გორნიაკი, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანის ეკლესიასთან ერთად. სერბეთის ტერიტორიაზე სხვა კულტობრივ ნაგებობებად გვევლინება სტუდენიცას მონასტერი ყოვლადმინდა ღვთისმშობლის ეკლესიით (XII ს. ფრესკები XIII ს.), ჟიცა ამაღლების ეკლესიით (XIII ს.), გრადაცი ხარების ეკლესიით (XIII ს.), მორაჩა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიით (ფრესკები XIII – XVI სს.), არილე წმ. ახილის ეკლესიით (XIII ს., ფრესკები XIII ს.), დეჩანი ამაღლების ეკლესიით (XIV ს., ფრესკები XIV ს.), სუსიოვაცი ფერიცვალების ეკლესიით – რავანიცასთან ახლოს, რესავა წმ. სამების ეკლესიით (XV ს.) და სხვ. ექსკურსანტებისათვის და მომლოცველებისათვის ასევე საინტერესოა პსაჩსი წმ. ნიკოლოზ საკვირველმოქმედის ეკლესია, ხარების ეკლესია – დობრუნში, მიქაელ მთავარანგელოზის – ლესკოვოში, წმ. სტეფანესი – კრუშევცაში, იოაკიმესი და ანას სამეფო ეკლესია სტრუდენიცასი და მრავალი სხვა.

გასათვალისწინებელია, რომ მთელი რიგი კულტობრივი ნაგებობები დაზიანდა ნატოს აგრესიის გამო, იუგოსლავიის წინააღმდეგ, 1990 წლის გაზაფხულზე. ზოგიერთი ნაგებობა მდებარობს კოსოვოში, რომელიც სერბ მართლმადიდებელ მოსახლეობას იძულებული იყო მიეტოვებინა. კოსოვოს ტერიტორიაზე დარჩა გამოჩენილი ეკლესიები: წმინდა მოციქულების, წმ. დემეტრეს, ოდიგიტრიის (გზის მაჩვენებელი) ღვთისმშობლის (XII-XIII სს.), პეჩში (ავტონომიური მხარის ჩრდილო-დასავლეთი), ლევიშკის ღვთისმშობლის (XII ს.) (კოსოვოს სამხრეთით). სერბიაში, მთიანი ადროვაცში 2001 წელს ფაქტიურად ახლიდან დაიწყო მომლოცველობის ცენტრმა ფუნქციონირება.

ბულგარეთი

ბულგარეთი – ქვეყანა ძველი მართლმადიდებლური ტრადიციებით. ბულგარეთმა, საბერძნეთისა და სერბეთის მსგავსად მოახერხა შეენარჩუნებინა მართლმადიდებლობა ოსმალეთის სახელმწიფოს მმართველობის პერიოდში. ქვეყნის ტერიტორიაზე მდებარეობს ცნობილი მართლმადიდებლური მონასტრები. დედაქალაქ სოფიაში აღმართულია წმ. სოფიოს ტაძარი, ალექსანდრე ნევსკის ტაძარი, ეს უკანასკნელი აშენდა წინა საუკუნის დასაწყისში – თურქთა მმართველობისაგან ქვეყნის განთავისუფლების ნიშნად. ბოიანში, რომელიც მდებარეობს სოფიის გარეუბანში, მთა ვიტოშის ძირში, მდებარეობს წმ. პანტელეიმონის სახელობის ეკლესია, რომელიც საინტერესოა იმით, რომ აქ შენახულია XI-XII სს-ის და 1259 წლის წარწერები, რომელიც ითვლება შუასაუკუნეების ბულგარულ და მსოფლიო ხელოვნების შედევრად. ცნობილი მონასტრებია რილის (X ს.), ფერიცვალების (XIV ს.), ბოჩკოვოს (XI ს.) იგივე პეტრიწონის მონასტერი, მონასტერი 1083 წელს დაუარსებია გრიგოლ

ბაკურიანის ძეს, იგი ტაოელი ერისმთავარის შვილი იყო ბაგრატოვანთა გვარიდან. 2006 წლის 26 აგვისტოს ბულგარეთში ქართველების მიერ XI საუკუნეში დაარსებული პეტრიწონის (ბოჩკოვოს) მონასტრიდან მთავარეპისკოპოსმა გერასიმემ (შარაშენიძე) და მთავარეპისკოპოსმა ნოკოლოზმა (მეთოდიევ-სევსტიანოვი) თანმხლებ სასულიერო და საერო პირებთან ერთად ამ მონასტერში დაცული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ქართული ხატის ასლი ჩამოაბრძანეს.მონასტერი ქართველებს ეკუთვნოდა, სადაც მხოლოდ ერთ ბერძენს ჰქონდა მოღვაწეობის უფლება, რომელსაც უნდა ეწარმოებინა მიმოწერა მონასტერსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის. ღვთისმსახურება მხოლოდ ქართულ ენაზე უნდა აღსრულებულიყო. გრიგოლის გარდაცვალების შემდეგ მონასტერი ბიზანტიის დედოფლის მარიამის (დავით აღმაშენებლის მამიდა) ხელში გადაეცა. აქ საკმაოდ დიდხანს მკვიდრობდნენ ქართველები. ამჟამად ჩვენი იურისდიქცია იქ არ ვრცელდება, მაგრამ ბულგარელები არც იმას უარყოფენ, რომ მონასტერი ქართველების მიერაა დაარსებული და ქართველებს ემსახურებოდა. პეტრიწონის მონასტერზე შემდგომ თავებში უფრო ვრცლად გვექნება საუბარი.

მართლმადიდებლური სიწმინდეები დასავლეთ ევროპის ქვეყნებში

დასავლეთი ევროპის ზოგიერთ ადგილას კათოლიკეების და მართლმადიდებლების სიწმინდეები ემთხვევა ერთმანეთს. მრავალი სიწმინდეს ერთნაირად მიაგებს თაყვანს ქრისტიანობის ორივე მიმართულების წარმომადგენლები, რადგან ცხოვრობდნენ იმ პერიოდში, ვიდრე მოხდებოდა ეკლესიათა დაყოფა 1054 წელს.

იტალია. ქალაქ ბარში დასვენებულია წმ. ნიკოლოზ საკვირველთმოქმედის წმინდა ნაწილები – ერთ-ერთი ყველაზე თაყვანსაცემი წმინდანისა საქართველოში. ამალფეაში – წმ. მოციქულ ანდრიას წმინდა ნაწილები. რომში, სადაც მომლოცველებმა შეუძლიათ მოილოცონ და მონახულონ: წმ. პეტრე და პავლე მოციქულთა ტაძრები, სანტა მარია მაჯორეს სახ. ეკლესია, სლავების განმანათლებელის – წმ. კირილეს წმინდა ნაწილები.

საფრანგეთი. მართლმადიდებელი მომლოცველები სტუმრობენ პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს, წმ. სევერინის ტაძარს, თაყვანს სცემენ წმ. მარია მაგდალინელის, წმ. ჟენევიევის მოციქულთასწორს, წმ. ელენეს წმინდა ნაწილებს. მიემართებიან სენ-დენიში სადაც განისვენებს წმ. დიონისე. ქალაქ ტურში, სადაც დაარსდა დასავლეთ ევროპის პირველი ქრისტიანული მონასტრები, მომლოცველები ეთაყვანებიან წმ. მატრინე ტურელის წმინდა ნაწილებს. ნახულობენ პატრიარქ თეოფანეს განსასვენებელს.

ესტონეთი და ლატვია. ესტონეთში ცნობილ მართლმადიდებლურ ცენტრად ითვლება პიხტიცკის მიძინების დედათა მონასტერი (სტავროპიგული – ყველაზე მინიჭებულ სტატუსზე მაღალია) ლატვიაში, რიგიდან 40 კილომეტრში, ელგავაში აშენებულია სერგიევის წმინდა სამების ლავრა.

ქრისტიანული სიწმინდეები წმინდა მიწაზე

წმინდა მიწაზე მომლოცველი-ქრისტიანების მიზიდვის ცენტრებად ითვლება იერუსალიმი, ბეთლემი, ნაზარეთი, ვიფანია. ბეთლემი მდებარეობს იერუსალიმიდან რამოდენიმე კილომეტრში სამხრეთისაკენ, ვიფანია – აღმოსავლეთისკენაა. ნაზარეთი მდებარეობს 100 კილომეტრით იერუსალიმიდან ჩრდილოეთით, ცნობილ გალილეის ზღვასთან ახლოს, როდესაც წმინდა მიწაზე ჩადიან მოსალოცად, პირველ რიგში მიემართებიან ბეთლემში, ქრისტეშობის ტაძარში. ტაძრის კედელში მდებარეობს მარმარილოს ნიშა, რომელზეც დგას ბაგა, რომელშიაც გადმოცემის თანახმად იწვა ახალშობილი ქრისტე. ვიფანიაში ტუსრისტების მისაზიდად, გადახსნილია სახლის ფუნდამენტი და გადახდილია ლაზარეს საფლავის ფილა, რომელიც იესო ქრისტემ აღადგინა მკვთრეთით. ლაზარეს თაყვანს სცემენ როგორც ქრისტიანები, ასევე მუსლიმები. ნაზარეთში მომლოცველობა გამოიხატება იმ ადგილების მონახულებით, სადაც კაცობრიობის მომავალი გადამრჩენი იზრდებოდა, სადაც მომავალში დაიმორჩილა გალილეის ზღვის წყლები და იპოვა მოსწავლეები მეთევზეთა შორის. მაგრამ, რასაკვირველია, მომლოცველთა და ექსკურსანტთა მიზიდვის მთავარ ცენტრად ითვლება იერუსალიმი. იერუსალიმში მდებარეობს უდიდესი მნიშვნელობის მთელი რიგი მომლოცველთათვის მნიშვნელოვანი ობიექტები. გეთსემანიის ბაღი იყო მოწმე იესო ქრისტეს სულიერი ტანჯვისა, როდესაც იგი ლოცულობდა და ევედრებოდა მამას (უფალს), რათა მას აეცილებინა ცდუნების თასი. აქვე შეიპყრეს იესო. გეთსემანიის ბაღში დგას 8 ძველი (ზეთისხილის) ზეითუნის ხე, რომლებიც, როგორც ამბობენ, უკვე იზრდებოდნენ იესოს დროს. აქვე არის უფლის ცდუნების ბაზილიკა, რომლის შიგნითაცაა უფლის ცდუნების მთა

(კარანტალი). გადმოცემის თანახმად, სწორედ აქ ლოცულობდა ქრისტე. მომლოცველები ემთხვევიან მიწას ამ მთის ძირში. იერუსალიმში მდებარეობს სიონის დების რომაულ – კათოლიკური მონასტერი. ამ მონასტერში ინახება ქვის პლატფორმა, რომელზედაც იდგა თვითონ მაცხოვარი. ექსკურსანტები ინტერესით ათვალიერებენ ამ კირქვისა და გრანიტის ფილებს. ფილები დასკდნენ დროის განმავლობაში, შეერილებითა და ნაპრალებით, ეტლების ბორბალთა ნაკვალევით.

მწუხარების გზა (გოლგოთის გზა, ვია დოლორისა). როგორც კარგად ცნობილია, იესო საკუთარი ჯვარით სამსჯავროდან გოლგოთისკენ მიემართებოდა, სადაც ჯვარზე უნდა გაეკრათ. მწუხარების გზაზე (კათოლიკურად – ჯვარცმის გზაზე), რომელზედაც გადაადგილდება ათასობით მომლოცველი – 14 გაჩერებაა (ეკლის გვირგვინდადგმული მაცხოვარი, ჯვრზე გაკვრის ადგილამდე 14-ჯერ გაჩერდა).

მომოცველები, ყოველ პარასკევს მიემართებიან ამ გზაზე, მაგრამ გამსაკუთრებით შთამბეჭდავია ცერემონია ვნების პარაკევს – აღდგომის წინ. მომლოცველები გროვდებიან წმ. ანას ეკლესიის წინ და იწყებენ სვლას. ერთ-ერთ მომლოცველს მიაქვს უბრალო ხის ჯვარი. მწუხარების გზაზე შემდეგი შესვენებებია:

1. იესოს მიესაჯა სიკდილი.
2. იესო იღებს თავის ჯვარს.
3. მაცხოვარი ეცემა პირველად.
4. იესოს ხვდება თავისი დედა.
5. სიმონ კორინეიელი ეხმარება ქრისტეს ჯვრის ზიდვაში.
6. ვერონიკა უწმენს თავსაბურავით სახეს.
7. იესო ეცემა მეორეჯერ.
8. მაცხოვარი უქადაგებს იერუსალიმელ ქალებს.
9. იესო ეცემა მესამეჯერ.
10. ქრისტეს ხდიან ტანსაცმელს.
11. ჯვარზე მილურსმვა.
12. იესო ქრისტე გარდაიცვლება ჯვარზე.
13. მაცხოვრის სხეულს ხსნიან ჯვრიდან.
14. ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს სხეულს ასვენებენ სამარხში.

თოთხმეტივე გაჩერებაზე, მომლოცველებიც ჩერდებიან ლოცვის აღსავლენად. რომის იმპერიაში შემავალი იუდეის პროვინციის მეხუთე პრეფექტმა პილატე პონტოელმა პრეტორიუმში გაასამართლა ქრისტე.

ჯვარცმის გზის ბოლოში აღმართულია უნიკალური უფლის საფლავის ტაძარი, რომელიც დგას იმ ადგილას, სადაც მოხდა იესო ქრისტეს წამება, ჯვარცმა, სიკვდილი და აღდგომა. უფლის საფლავის ტაძარი მოიცავს ორმოცამდე სხვადასხვა შენობა-ნაგებობას. ტაძარში მდებარეობს გოლგოთის მთა, უფლის საფლავის ქვაბული. ტაძრის სხვადასხვა ნაწილებს (კაპელებს, საზღვრებს, თაღებს...) ფლობენ სხვადასხვა ქრისტიან-ული კონფესიების და ეკლესიების წარმომადგენლები: მართლმადიდებლები, კათოლიკეები, კოპტები, სირიელები, ეთიოპიელები, სომხები. ტაძარი იშლებოდა, ხდებოდა აღდგენა და გადაკეთება. უფლის საფლავის ტაძარის დღევანდელი სახით მოიცავს სამ ძირითად ნაგებობას: გოლგოთის ტაძარი, უფლის საფლავის სალოცავი (კუვუკლია) და აღდგომის ტაძარი.

ტაძარში შესვლისას, მომლოცველების და ექსკურსანტების ხედვის არეში ექცევა „მირონცხების ქვა“. ამ ადგილზე, ქრისტეს გარდმოხსნილი ცხედარი იყო დასვენებული დასაფლავების წინ, რომელსაც იოსებმა და ნიკოდიმ წაუსვეს ნელსაცხებლები. ქვის უკან მდებარეობს აღდგომის ეკლესიის კედელი – შიდა ტაძარი ქრისტეს საფლავის ტაძრის შემადგენლობაში. ქვის მარჯვნივ არის შესასვლელი გოლგოთაზე. მარცხნივ განლაგებულია ტაძრის ცენტრალური ნაწილის როტონდა. როტონდის ცენტრში აშენებულია უფლის საფლავის სამლოცველო – ყველა სიწმინდეზე დიდი სიწმინდე ტაძარში. სწორედ ამ ადგილას დამარხეს იესო, ვიდრე აღდგებოდა. სამლოცველო ზევიდან ფარავს ქვაბულს, სადაც იყო საფლავი. უფლის საფლავის მარმარილოს საფარებელი ლიტურგიების ჩატარების დროს მოიხმარება სამკვეთლოდ. სამლოცველოში დგას მაღალი მარმარილოს ვაზა, ვაზის თავზე კიდია 15 ლამპარი – 5 მართლმადიდებლების, 5 კათოლიკების, 4 მონოფიზიტების და 1 კოპტების. გოლგოთაზე – მეორე სიწმინდეზე – გოლგოთა ადის 18 საფეხურიანი ციცაბო კიბე პირდაპირ ტაძრიდან. გოლგოთაზე მდებარობს მართლმადიდებლური ეკლესია და კათოლიკური კაპელა, რომლებიც ერთმანეთისაგან მხოლოდ ღია თაღითაა გამოყოფილი.

უფლის საფლავის ტაძარში არის მიშენებული სომხური კაპელა, რომელიც წმ. კონსტანტინეს

და ელენეს სახელობისაა. სამოსის გაყოფის სამლოცველო – ადგილი, სადაც რომაელი მებრძოლები წილისყრით ინაწილებდნენ ჯვარცმული ქრისტეს ტანსაცმელს, იოსებ არიმათიელის სამარხი, რომელიც ეკუთვნის ეთიოპიის ეკლესიას. ჯვრის მოპოვების და ეკლის გვირგვინის კაპელები, ადამის საკურთხეველი. მილურსმვის და ჯვარზე გაკვრის სამლოცველოები და სხვ. ტაძრის მინაშენების ნაწილი ეკუთვნის ფრანცისკანულ მონასტერს.

უფლის საფლავის ტაძარში თავს იყრიან ყველა ქრისტიანული კონფენსიის მომლოცველები. აქ ყოველდღიურად ტარდება კათოლიკების, მართლმადიდებლების, მონოფიზიტების და კოპტების ღვთისმსახურება. უკანასკნელ წლებში წმინდა მიწა იქცა არაბულ-ისრაელური მწვავე კომფლიქტების არენად. იერუსალიმში და სხვა ადგილებში რეგულარულად ხდება ტერაქტები, და შეიარაღებული შეტაკებები. ბეთლემში, ქრისტეს შობის ეკლესიაში 2002 წელის გაზაფხულზე იმალებოდნენ პალესტინელი მებრძოლები, რის გამოც, შენობამ განიცადა ზიანი.

წმინდა ადგილები თანამედროვე ეგვიპტის ტერიტორიაზე

ეგვიპტეში მოსახლეობის უმეტესი ნაწილი აღიარებს ისლამს. აქ ცხოვრობენ კოპტებიც. სინას ნახევარკუნძული მნიშვნელოვანია მართლმადიდებელი ქრისტიანებისათვის. ეს იყო ერთ-ერთი იმ ადგილთაგანი, სადაც აშენდა პირველი ქრისტიანული მონასტები. სინას უმთავრესი რელიგიური ცენტრი არის წმ. დიდმოწამე ეკატერინეს მონასტერი (სინას ნახევარკუნძულის 230 კმ. სიღრმეში – შარმ ელ შეიხიდან), სადაც განისვენებს მისი წმინდა ნაწილები. ეს მონასტერი ფასეულია იმ ურთიერთობებშიც, რომ იგი დარჩა მართლმადიდებელთა ხელში არაბების, ჯვაროსნების და თურქების თავდასხმების პერიოდშიც (განსხვავებულად, მაგალითად კონსტანტინოპოლში წმ. სოფიოს ტაძრისაგან). მონასტერი არის არა მარტო მომლოცველების მიზიდვის ცენტრი, არამედ სწავლულებისაც – აქ არის შენარჩუნებული ქრისტიანული განათლების ტრადიციები, დიდ ბიბლიოთეკაში – ბიბლიის უძველესი ხელნაწერები, უძველესი ხატები. წმ. ეკატერინეს მონასტერი იყო ქრისტიანული აღმოსავლეთის რელიგიური და მისიონერული ცენტრი.

ფარამის ველზე, მდებარეობს ბერძნული დედათა მონასტერი. მომლოცველები, რომლებიც მიდიან სინას მთაზე, აკეთებენ ღამის მსვლელობებს მისი მწვერვალისაკენ, სადაც ხვდებიან განთიადს. აქ მდებარეობს ყოველადწმინდა სამების ტაძარი (სადაც მომლოცველები ესწრებიან ლიტურგიას), წინასწარმეტყველების ელისესა და ილიას ტაძრები, ილია წინასწარმეტყველის გამოქვაბული და ჭა. მთის მწერვალიდან ქვევით დასაშვები გზა ძალიან რთულია – მოიცავს 3750 საფეხურს. ლეჯის ველზე მდებარეობს სინას ორმოცი მოწამის მონასტერი. სინაზე, მომლოცველები ასევე ნახულობენ წმ. ეკატერინეს მთას (კურთხევით), ღირსი იოანე კლემაქსის გამოქვაბულს, იოანე ნათელმცემლის ტაძარს, გალაქტიონისა და ეპისტიმიის სკიტებს.

მომლოცველებმა და ექსკურსანტებმა შეიძლება დაათვალიერონ ის ადგილები, რომელიც ინახულა წმინდა ოჯახმა ეგვიპტეში მოგზაურობის დროს. ერთ-ერთი მათგანი ასიუტია, სადაც დგას ალ-მუხარაკის მონასტერი და წმ. მარიამის ეკლესია. მონასტრის ტერიტორიაზე, რომელიც აშენდა მთა კასკამის დასავლეთ ძირში, მდებარეობს ქვაბული, რომელშიც წმინდა ოჯახმა იცხოვრა 6 თვე და 10 დღე.

ქრისტიანების წმინდა ადგილები თურქეთში, სირიასა და ლიბანში

თურქეთში, მომლოცველები და ექსკურსანტები ჩადიან ქალაქ პათარში, სადაც დაახლოებით 260 წელს დაიბადა ნიკოლოზ საკვირველმოქმედი. ქალაქ მირონში (თანამედროვე – დემრე) ნიკოლოზ საკვირველმოქმედმა გაატარა მეთელი თავისი ცხოვრებისეული ღვთისმსახურების წლები. ანტალიაში, ისტორიულ მუზეუმში ინახება წმ. ნიკოლოზის წმინდა ნაწილები, რომლებიც დარჩა მირონში მას მერე, რაც სხვა ნაწილები გადატანილი იქნა ბარში. სტამბულში, მრავალი ადრინდელი ბიზანტიური მართლმადიდებლური ტაძარი არის ქცეული მუზეუმად. მათ შორის არის წმ. სამების ტაძარი.

დამასკოში, წმ. ზაქარიას ყოფილ ბაზილიკაში (ომაიანების მეჩეთში), არის იოანე ნათლისმცემლის საფლავი. ღირსი სიმეონ მესვეტის მონასტერში კალატ სიმანის (სიმეონის ციხე-სიმაგრე) ტაძარში დგას სვეტი, რომლზედაც სვიმეონმა გაატარა 37 წელი. კანისა უმ ზუნარის (ღვთისმშობლის სარტყლები) ეკლესიაში ინახება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სარტყელი.

ლიბანში არის მრავალი ქრისტიანული სიწმინდე. ქალაქ ტირში, იმ ადგილას, სადაც იყო გაჩერებული მოციქული პავლე, აშენებულია ტაძარი, „დეირ ელ-ბალამანდის“ (ან უბრალოდ ბალამანდი).

8.2 რელიგიური ტურიზმი ისლამში

რელიგიურ ტურიზმს მუსულმანთა შორის გამოკვეთილი სამომლოცველო ხასიათი აქვს შეძენილი. თითოეული მუსულმანისთვის სავალდებულოა სიცოცხლეში ერთხელ მაინც გაემართოს მოსალოცად (ჰაჯი) წმინდა ქალაქ მექასა და მედინში. ამიტომაც არის მუსულმან მომლოცველთა განსაკუთრებული საჭარბე სწორედ ჰაჯისას, რომელიც წელიწადში ერთხელ იმართება კალენდარული რიცხვის მონაცვლეობით. მექასა და მედინაში შესვლა მხოლოდ მუსულმანებისთვისაა ნებადართული და ქალაქის კარი დაკეტილია სხვა აღმსარებლობის ადამიანებისთვის, რომლებსაც ტურისტული მიზნებით სურთ მათი მონახულება.

ისლამის აღმოცენების ისტორია და თეოლოგიური საფუძვლები

არსებული სამი კონფესიიდან ისლამი ყველაზე ახალგაზრდა რელიგიაა. ისლამის სუნიტური შტო (ამ მიმართულებას აღიარებს მუსულმანთა უმრავლესობა) არ ცნობს წმინდანთა კულტს, რადგან ღმერთის უზენაესობის და ერთიანობის პრინციპი არაფერმა არ უნდა დაარღვიოს და მორწმუნეთა ყურადღება მხოლოდ ალაჰის თაყვანისცემისკენაა მიმართული. ამიტომაც კრძალავს ისლამი ღმერთის, ადამიანის და ცხოველის გამოხატვას. შესაბამისად, ისლამში არც ხატწერა არსებობს.

წმინდანთა კულტის, სასწაულმოქმედი ხატებისა და მონასტრების არარსებობა განაპირობებს იმას, რომ ისლამში, ქრისტიანობასთან შედარებით გაცილებით ნაკლები წმინდა ადგილია, რომელიც ესოდენ იზიდავთ ტურისტებს.

ისლამი დასავლეთ არაბეთში ჩაისახა ბედუინ არაბთა შორის. სიტყვა ისლამი ითარგმნება როგორც ღვთისადმი მორჩილება.

ჩვ.წ.აღ-ით დაახლოებით 750 წელს მექაში დაიბადა ისლამის დამაარსებელი წინასწარმეტყველი მუჰამედი. 610 წელს ჰირას მთის მღვიმეში მას გამოეცხადა მთავარანგელოზი ჯიბრაილი (გაბრიელი), რომელმაც უჩვენა უფლის სიტყვა. მუჰამედმა (სიტყვასიტყვით მადიდებელი) წერა არ იცოდა, ამიტომაც უფლის (ალაჰის) სიტყვას ის ზეპირად ავრცელებდა, როგორც „უფლისი ლექსს.“ გამოცხადების ეს ღამე ცნობილია „დიდების ღამის“ სახელით. მუჰამედის ქადაგებებს მექის მოსახლეობის დაიდი ნაწილი უკმაყოფილებით შეხვდა, ამიტომაც 622 წელს მუჰამედმა აღასრულა ჰიჯრა – წინასწარმეტყველი მექიდან მედინაში გადასახლა. ამ დღიდან იწყება მუსულმანთა კალენდრის ათვლა. 629 წელს მუჰამედმა აღასრულა თავისი პირველი და უკანასკნელი მოლოცვა მექაში, სადაც მან ქააბას სალოცავში დაამხო გვაროვნული კერპები. წინასწარმეტყველი მუჰამედი გარდაიცვალა 632 წლის 8 ივლისს, 63 წლის ასაკში.

ისლამის დოგმები

1. ალაჰის რწმენა (ღმერთის რწმენა). ისლამში ღმერთი ერთია, უზენაესი, მარადიული, შემბრალებელი და გულმოწყალე.

2. წმინდა წიგნისადმი რწმენა. უზენაესმა ადამიანებს თავის გამოცხადება გამოუგზავნა: თორა – მოსეს, სახარება იესოს, ყურანი კი მუჰამედის მეშვეობით.

3. ანგელოზების, ეშმაკისა და ჯინების რწმენა. ანგელოზები სინათლისგან შეიქმნენ და ისინი ღვთის დამხმარეებად გვევლინებიან. ჯინები ცეცხლისგან წარმოიშვნენ. ისინი დედამიწაზე ადამიანის გაჩენამდე ცხოვრობდნენ. ეშმაკი (შაითანი, იბლისი) დაცემული ანგელოზია, რომელიც ადამიანებისადმი მტრულად განწყობილ ძალას წინამძღოლობს.

4. რწმენა წინასწარმეტყველისადმი. მუჰამედის მოვლინებამდე 124 ათასი წინასწარმეტყველი არსებობდა. ყურანში ჩაწერილია 26 წინასწარმეტყველება. მუჰამედი ალაჰის უკანასკნელი წარგზავნილი და მისი ბეჭედია.

5. სამოთხისა და ჯოჯოხეთის რწმენა.

6. ბედისწერის რწმენა (ალ-კადრი). ალაჰი ყოვლისმცოდნეა. ყოველივეს, რაც ხდება – აზრი აქვს და მისი ნების გამოვლინებაა.

7. სიკვდილისშემდგომი სიცოცხლის (აჰირა) და სულის უკვდავების (რუჰი) რწმენა. ისლამის

რწმენის სიმბოლო ასე ჟღერს: „არ არსებობს ღმერთი გარდა ალაჰისა და მუჰამედი მისი წინასწარმეტყველია“.

ისლამი ხუთ მცნებაზეა დაფუძნებული:

1. დამოწმება – „შაჰადა“. ისლამის არსი უფლისადმი მორჩილება და იმის აღიარებაა, რომ მუჰამედი მისი წარმოგზავნილია.

2. ლოცვა – „სალათ“. გამოხატავს ღვთისადმი თაყვანისცემას, მოწიწებას და მადლიერებას. ლოცვა სრულდება ღღეში ხუთჯერ (ნამაზი). მზის ამოსვლისას, შუადღეს, სადილის შემდეგ, დაისისას და ღამით.

3. მოწყალება – „ზაკიატი“. ეს არის ერთგვარი ბეგარა გაჭირვებული მუსულმანების მიმართ. წელიწადში ერთჯერ მუსულმანები თავისი კაპიტალის 2.5%-ს მოწყალების სახით წირავენ გაჭირვებულებს.

4. მარხვა – „საუმი“. მუსულმანები რამადანის მთელი თვის მანძილზე მარხულობენ.

5. მომლოცველობა – „ჰაჯი“. სულ მცირე ცხოვრებაში ერთხელ, მუსულმანი მექასა და მედინაში უნდა გაემგზავროს სალოცავად.

ისლამში არ არსებობს ქრისტიანობისთვის დამახასიათებელი საიდუმლოებები. იმისთვის, რომ გახდე მუსულმანი საკმარისია საპატივისაცემო პირების თანდასწრებით წარმოთქვა მუსულმანური რწმენის სიმბოლო (ლოცვა). ისლამში არ არის სამღვდელოების ინსტიტური და შესაბამისად არ არსებობს დაპირისპირება საერო და სასულიერო პირებს შორის. ლოცვის დროს მორწმუნე პირსახით მექის მხარესაა მიქცეული. მექის მიმართულებას უჩვენებს მეჩეთის კედელზე გამოსახული ნიშანი მიჰრაბი.

მუსულმანური დღესასწაულები

ისლამში ორი ყველაზე დიდი დღესასწაულია: იდ ალ-ფითრი (ურაზა-ბაირამი) – ესაა რამადანის შემდგომი ზეიმი და იდ ალ-აჰდა (ყურბან-ბაირამი) – მომლოცველობისას გაღებული მსხვერპლშეწირვა.

სუნიზმი და შიიზმი

ისლამში ორი ძირითადი მიმართულებაა – შიიზმი და სუნიზმი. მათ შორის სხვაობა სულიერი ძალაუფლების მემკვიდრეობის საკითხს უკავშირდება. სუნიზმი ყურანსა და სუნას ეყრდნობა (მუჰამედის სიტყვა, საქმიანობა და მოღვაწეობა) და აღიარებს ხალიფას (მუჰამედის მემკვიდრის) არჩევის პრინციპს. შიიზმი ეფუძნება ყურანსა და ხადისებს (გადმოცემებს), რომელიც ალის და მის მემკვიდრეებს ეკუთვნით. ალი მეოთხე ხალიფა – მუჰამედის ქალიშვილის – ფატიმას ქმარი იყო. შიიზმი აღიარებს 12 იმამს – ალის პირდაპირ მემკვიდრეებს. ამ მიმართულების მიდევრებს სწამთ, განკითხვის დღეს სამყაროს მოევლინება იდუმალი იმამი მაჰდი, რომელიც თანასწორობას და სამართლიანობას დაამკვიდრებს.

ისლამში ასევე არსებობს მისტიკური მიმართულება სუფიზმის სახით. ის მთლიანად ემოციონალურ და ინტუიციურ რელიგიურ გამოცდილებას ეყრდნობა და სრულად უძღვნის თავს ღმერთის შეცნობას.

ისლამის გავრცელების არეალი

მსოფლიოში ისლამის 1,5-1,7 მილიარდ მიმდევარს ითვლიან, რაც მსოფლიო მოსახლეობის 22% შეადგენს (დაახლოებითი მაჩვენებლები).

აზია. ინდონეზიაში 200 მილიონი მუსულმანი ცხოვრობს. ბანგლადეშში 132 მილიონი. ინდოეთში 135 მილიონი, ირანში 64 მილიონი, თურქეთში 70 მილიონი, ჩინეთში 20 მილიონი, ერაყში 26 მილიონი, ავღანეთში 31 მილიონი, საუდის არაბეთში 25 მილიონი, იემენში 22 მილიონი მუსულმანია.

აფრიკა: ეგვიპტეში 72 მილიონ მუსულმანს ითვლიან, ალჟირში 32 მილიონს, მაროკოში 33 მილიონს, სუდანში 27 მილიონს, ეთიოპიაში 25, მილიონს, ტუნისში 10 მილიონს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში დაახლოებით 3,5 მილიონი მუსულმანი ცხოვრობს.

ისლამის რელიგიური ობიექტები

ისლამში მომლოცველობად მიჩნეულია საუდის არაბეთში მდებარე ორი წმინდა ქალაქების – მექასა და მედინას მონახულება.

ამგვარი მომლოცველობა ორ კატეგორიად იყოფა:

1) ჰაჯი (დიდი მომლოცველობა);

2) უმრა (მცირე მომლოცველობა).

მექასა და მედინას წელიწადში 2 მილიონზე მეტი მომლოცველი სტუმრობს. აქ მდებარეობს მსოფლიოში ყველაზე დიდი მეჩეთი ჰარამ ბეით-ულაჰი. მეჩეთის შიგნით არის წმინდა ქააბა. სახელწოდება „ქააბა“ ნაგებობის ფორმიდან წარმოსდგება, რომელიც კუბს წააგავს. სინამდვილეში სწორკუთხაა, ზომით 10-12 მეტრი, სიმაღლე კი 15 მეტრია. ქააბა ნაგებია ადგილობრივი რუხი ქვისგან. რომელიც მარმარილოს 25 სმ. სიმაღლის ფუნდამენტზეა დაშენებული. მის ოთხივე კუთხეს თავისი სახელი აქვს: წითელი, სირიის, იემენის და შავი. მომლოცველები მათ შეხებას და ამბორს ცდილობენ. გარედან ქააბას სალოცავი დაფარულია შავი გადასაფარებლით (კისეი), რომელიც ყოველწლიურად ეგვიპტეში მზადდება. მომლოცველების ჩამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე, შავ გადასაფარებელს ცვლიან თეთრი გარსაკრით. სამომლოცველო თვის დასრულებისას მას კვლავ შავი გადასაფარებლით მოსავენ, ძველს კი ნაწილებად კუწავენ და მომლოცველებზე ყიდიან, როგორც რელიქვიას.

მექაში მომლოცველობას უთავსებენ მედინაში მომლოცველობას. მექასა და მედინას შორის მანძილი 300 კმ-ია მეჩეთი მექაში შედარებით პატარაა. მასში დაკრძალულია წინასწამეტყველი მუჰამედი. მომლოცველები მედინაში ჯაბალ ალ-ტაურის იმ მთას სტუმრობენ, რომლის მღვიმეშიც წინასწარმეტყველ მუჰამედს პირველი ხილვა ჰქონდა და სადაც ის იმალებოდა დევნილობისას.

მექასა და მედინას სამომლოცველო ცენტრების გარდა, მუსულმანი მომლოცველები მსოფლიოს სხვადასხვა ადგილზე სხვადასხვა რელიგიურ ობიექტებს სტუმრობენ. იერუსალიმში მდებარეობს მუსულმანთა ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდე – ხალიფა ომარის მეჩეთი. ის მორიას მთაზე, სოლომონის ტაძრის ადგილზეა აგებული.

მუსულმანთა სხვა მნიშვნელოვანი ცენტრებია:

სტამბულში – ცისფერი მეჩეთი (ყოფილი სოფიის ტაძარი);

დამასკოში – ომეიადების მეჩეთი;

ბაღდადში – ოქროს მეჩეთი;

კაიროში – იბნ-ტულანის და სულტან ჰასანის მეჩეთი;

დელიში – კუტბ-მინარის მინარეთი და ქუვაათ ულ-ისლამის მეჩეთი.

ჰაჯი მექაში

მექაში მომლოცველობა ითვლება ჰაჯად თუ ის დასრულდება იდ ალ-ადხის (ყურბან-ბაირამი) დღესასწაულისას და მორწმუნე მუსულმანი აღასრულებს 10 დღის განმავლობაში ყველა აუცილებელ რიტუალს. მომლოცველობას, რომელიც შედარებც ხანმოკლეა და სხვა დღეს სრულდება უმრა ეწოდება.

ჰაჯის დროს მუსულმანმა უნდა შეასრულოს ოთხი აუცილებელი პირობა:

1. შეიმოსოს თეთრი სამოსელით (იჰრამი);
2. გარსშემოუაროს ქააბას (ტაფარი);
3. წარსდგეს არაფატის ხეობაში (ვუკუფი);
4. არაფატის ხეობიდან დაბრუნებულმა, კვლავ გარსშემოუაროს ქააბას.

მექაში შესვლისას მორწმუნე ნებაყოფლობით კისრულობს განსაკუთრებულ შეზღუდვას (იჰრამი). იჰრამის აზრი განწმენდაში, თანასწორობასა, საერთოსწრაფულობასა და თვითშეწირულობაშია. ყველა მომლოცველი, განურჩელად წარმომავლობის და შეძლებისა ერთნაირ ტანსაცმელს იცვამს, რათა ღვთის წინაშე თანასწორნი წარსდგნენ; მამაკაცებს არ ხურავთ ქუდები. ქალები არ უნდა მალავდნენ თავიანთ სახეს – ნდობის და სიწმინდის სიმბოლოდ. დაუშვებელია კამათი და აყალ-მაყალი. ჰაჯის დროს იკრძალება ნიშნობა და ქორწილი.

ჰაჯი იწყება იმ წუთიდან, როცა მუსულმანი შეიმოსება (იჰრამი).

ჰაჯის პროგრამა

1. ზულ-ხიჯის თვის შვიდ რიცხვში ქააბას მეჩეთში აღეგლინება ქადაგება. მომლოცველები ქააბას შვიდგზის უვლიან გარს საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით. იმავე დღის საღამოს ან მეორე დღის დილას, მომლოცველები მოანახულებენ მექას. შვიდგზის სრულდება რიტუალური სირბილი საფასა და მავრას ქედებს შორის. სტუმრობენ ზამ-ზამის წმინდა წყაროს, თუ მომლოცველობა ამით სრულდება, მას უმრად თვლიან.

2. მერვე დღეს მომლოცველთა პროცესია სრულად განიბანება და მიემართება მირას ხეობისკენ, რომელიც ქააბადან 10 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს. შემდეგ მიემართებიან არაფატის მთისკენ (24 კილომეტი მექიდან).

3. მეცხრე დღეს იწყება უფლის წინაშე წარდგენა მოწყალების მთაზე.

4. მეათე დღეს მომლოცველები მიდიან მინას ხეობაში, სადაც წინასწარ შერჩეულ სვეტს, რომელიც ეშმაკის სიმბოლოდ მიიჩნევა, ესვრიან შვიდ კენჭს. ამ რიტუალს ეწოდება "ეშმაკის ქვებით ჩაქოლვა". შემდეგ ეწყობა ცხოველების (ცხვარი, აქლემი, თხა) მსხვერპლშეწირვა. ხორცი ურიგდებათ ღატაკებს. ბოლოს, მომლოცველები თავს იპარსავენ და იჭრიან ფრჩხილებს (მარხავენ მიწაში). მექაში დაბრუნებული მომლოცველები კვლავ გარსუვლიან ქააბას. რის შემდეგაც ჰაჯი დასრულებულად ითვლება.

8.3 რელიგიური ტურიზმი ბუდიზმში

ბუდიზმი მსოფლიოს უძველესი სამი რელიგიიდან ერთ-ერთია. ბუდისტური სამყარო მოიცავს სამხრეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ აზიის მრავალ ქვეყანას, ასევე რუსეთის რამდენიმე რეგიონს. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მრავალი ბუდისტური ტაძარი მოქმედებს. ზოგიერთი მეცნიერის შეფასებით, მსოფლიოში ბუდიზმის დაახლოებით 325 მილიონი მიმდევარია. მათ რიცხვში არ შედიან ის ადამიანები, რომლებიც ბუდიზმთან ერთად სხვა კონფენსიასაც აღიარებენ. სხვა სტატისტიკური გამთვლით, ბუდისტების რიცხვი 500 მილიონსაც აღწევს. აზიაში ცხოვრობს 320 მილიონი ბუდისტი. ამერიკაში დაახლოებით 1,5 მილიონი. ევროპაში – 1.6 მილიონი, აფრიკაში – 38 ათასამდე, იაპონიაში – 72 მილიონი, ტაილანდში – 52 მილიონი, მიანმში – 37 მილიონი, ვიეტნამში – 35 მილიონი, ჩინეთში – 34 მილიონი, შრი-ლანკაში – 12 მილიონი, კამბოჯაში – 7 მილიონი, ნეპალში – 1.3 მილიონი, ინდოეთში – 82 მილიონი, ლაოსში – 2,4 მილიონი, მალაიზიაში კი 3 მილიონი ბუდისტია.

ბუდიზმის აღმოცენება და რელიგიური მოძღვრება

მეფე შუდოხანს შეეძინა ვაჟიშვილი სიდხარტხა გაუტამა. წინასწარმეტყველების თანახმად ის დიდი სულიერი მოძღვარი უნდა გამხდარიყო. 29 წლის ასაკში პრინცი სასახლიდან შორს აღმოჩნდა და იხილა:

1. სიბერე;
2. ავადმყოფობა;
3. სიკვდილი.

პრინცი გაკვირვებული დარჩა, როცა აღოამაჩინა, რომ რეალური ცხოვრება სხვაგვარი იხილა ვიდრე წარმოედგინა. ეტლით სეირნობისას მან ყურადღება მოხუც ადამინს მიაქცია, მსახურმა აუხსნა, რომ მოხუცი მოხეტიალე განდეგილი იყო, რომელიც სრულყოფს თავის სულს, რათა დაბადებათა მწკრივისგან განთავისუფლდეს. ნანახით შეძრწუნებულმა სიდხარტხამ სასახლე დატოვა, ის ექვსი წლის განმავლობაში მოგზაურობდა და საკუთარ თავს ტანჯავდა ასკეტური ცხოვრებით, ურთიერთობადა მრავალ სულიერ მოძღვართან. მას სურდა იმის გაგება, შესაძლებელი იყო თუ არა ტანჯვის გარეშე ცხოვრება. ერთხელ, როცა ის იჯდა ხის ძირში, შინაგანად გასხივოსნდდა. ამ ხეს ჰქვია ბოდხის ხე. ამის შემდეგ პრინცი სიდხარტხა გაუტამა იქცა ბუდად ანუ გამოღვიძებად. იმ უზარმაზარმა თანაგრძნობამ, რასაც ბუდა განიცდიდა ყველა ცოცხალის მიმართ, მას უბიძგა მსახურებისთვის მიეძღვნა თავი.

თავისი პირველი ქადაგებისას ბუდამ ოთხი კეთილშობილური ჭეშმარიტება ჩამოაყალიბა.

1) „ტანჯვის შესახებ" – „დაბადება არის ტანჯვა, სიბერე არის ტანჯვა, ავადმყოფობა არის ტანჯვა, სიკვდილი არის ტანჯვა, სურვილი არის ტანჯვა".

2) „ტანჯვის მიზეზთა შესახებ" – ტანჯვის მიზეზია წყურვილი, საიდანაც მომდინარეობს დაბადებათა მწკრივი, გრძნობებით და განცხრომის სურვილებით".

3) „ტანჯვის შეწყვეტის შესახებ" – ესაა წყურვილისგან განთავისუფლება და ვნებების სრულად აღმოფხვრა, რაც მხოლოდ მათზე უარის თქმით მიიღწევა".

4) „ტანჯვის შეწყვეტის გზების შესახებ" – ესაა კეთილშობილური გზა, რომელიც შეხედულებათა, აზროვნების, მეტყველების, მოქმედების, ცხოვრების საშუალებათა, მეხსიერების და მობილიზების სწორად რეალიზაციაში მდგომარეობს.

ბუდიზმის მთავარი მიზანია ნირვანა (განსხივოსნება). ნირვანას მიღწევისთანავე წყდება კარმის კანონის მოქმედება და მორწმუნე რეინკარნაციის ბორბლისგან თავისუფლდება.

ბუდა 80 წლის ასაკში გარდაიცვალა. სიკვდილის წინ მან განაცხადა: რასაც მე ვქადაგებ, არის სეჯდასთან და ტანჯვასთან ბრძოლა.

ბუდას გარდაცვალების შემდეგ სამი თავყრილობა გაიმართა. პირველი შეკრებისას ბუდას მოსწაულეები ზეპირად გადასცემდნენ მასწავლებლის მოძღვრებას, რომელიც მხოლოდ პირველ საუკუნეში ჩაიწერეს.

ბუდისტურ კანონებს ტრიპიტაკანი (სიბრძნის სამი ფესვი) ჰქვია.

1. ვინაია-პიტაკა – ტექსტი ბერების დისციპლინისა და სწორი აღზრდის შესახებ;
2. სუტრა-პიტაკა – ბუდას ქადაგებების ტექსტი;
3. აბჰიდხარმა-პიტაკა – კანონის სისტემატიური გადმოცემა; არსებობს სამი მავნე მიდრეკილება: ენება, ზიზღი და უვიცობა. მას უპიროსპირდება „სამი საგანძური“: ბუდა – დრაჰმა (მოვალეობა, კანონი-სანგჰა (სამონასტრო თემი).

ბუდიზმი და ინდუიზმი რეინკარნაციის კონცეფციას ეფუძნება. ამგვარი შეხედულების თანახმად კეთილ ქმედებებს დადებით კარმამდე მივყავართ, ცუდს – უარყოფითთან; მხოლოდ ნირვანას მიღწევის შემთხვევაში თავისუფლდება მორწმუნე რეინკარნაციის ბორბლისგან.

ბუდიზმში არსებობს ექვსი სამყაროს კონცეფცია:

1) ღმერთების სამყარო (დევების);
2) დემონების სამყარო (ასურები);
3) ადამინთა სამყარო;
4) ცხოველთა სამყარო;
5) მშიერ სულთა სამყარო;
6) ჯოჯოხეთის სამყარო;

ყველა მათგანი ერთად სანსარის (ტანჯვის) ბორბალს შეადგენს. ადამიანები სხვადასხვა სამყაროში გარდაისახებიან და მხოლოდ ნირვანა ანთავისუფლებს მათ ამისგან.

თანამედროვე ბუდიზმში სამი მიმართულებაა გამოკვეთილი:

1. ხინაიანა (მცირე ბორბალი, ვიწრო გზა, ბილიკი) – ესაა ნირვანას მიღწევის ვიწრო გზა, მას მხოლოდ ბერები გაივლიან;
2. მახაიანა (დიდი ბორბალი, ფართე გზა) – ამ გზით ხსნის მოიპოვება შეუძლიათ ბერებსაც და საერო პირებსაც;
3. ვაჯრაიანა (ალმასის ბორბალი, ალმასის გზა, დაუმარცხებელი ბორბალი);

ბუდისტური დღესასწაულები და ცერემონიები

არსებობს ბუდისტური დღესასწაულებისა და ცერემონიების წარმართვი ოთხი ძირითადი ტრადიცია: ტიბეტური, ჩინურ-იაპონური, თხერავადი და დასავლეთ ბუდისტური თემის. ლასარის დღესასწაული – ახალი წელს, მშიერი სულების ზეიმი კი ივლის-აგვისტოში იმართება.

მომლოცველობის ისტორია და თავისებურებები ბუდიზმში

ბუდისტური მომლოცველობის ისტორია და ტრადიცია თავად ბუდას მოღვაწეობის ეპოქას უკავშირდება. ტრიპიტაკის კანონის მიხედვით, ბუდამ თავის მოსწავლეებს დაუბარა მოინახულონ ის ადგილები, სადაც ის დაიბადა (ლუმბინი, ნეპალი), განსჯისონდდა (ბოდხგაია, ბიხარის შტატი, ინდოეთი), სადაც პირველად იქადაგა (სარნატხი, ქალაქ ვარაკასის მახლობლად, უტარ-პრადეშის შტატი, ინდოეთი).

V, VI, VII საუკუნეებში ჩინელი ბუდისტი ბერები ინდოეთში მომლოცველობდნენ. ისინი ორი გზით სარგებლობდნენ: პირველი ჩრდილოეთის გზით, დიდი აბრეშუმის გზის, აფღანეთის და პაკისტანის გავლით. მეორე გზა, სამხრეთ ჩინეთის ზღვით, ბენგალიის ყურის გადალახვით მიემართებოდა.

ინდოეთსა და ნეპალში ბუდიზმის წმინდა ადგილების კლასიფიკაცია

ბუდისტური ადგილები ინდოეთსა და ნეპალში ხუთ კატეგორიად იყოფა:

1. ბუდას ცხოვრების მთავარ ეტაპებთან დაკავშირებული ადგილები;
2. წმინდა ადგილები, რომელსაც სტუმრობდა ბუდა ან სადაც მან ცხოვრების ნაწილი განვლო;
3. წმინდა ადგილები, რომელიც ბუდიზმის გამოჩენილ წმინდანებს უკავშირდებათ;
4. წმინდა ადგილები, რომელიც უკაშირდება ბუდიზმს, როგორც რელიგიას, ისტორიას და კულტურას;
5. წმინდა ადგილები, სადაც დღესაც გრძელდება ბუდისტური ცხოვრება.

ბუდიზმის სამომლოცველო ცენტრები ინდოეთსა და ნეპალში

ესაა სამომოცველო ადგილები, რომელიც ბუდას ცხოვრების ცალკეულ ეტაპებს უკავშირდება. არსებობს ბუდას თაყვანისცემის რვა ცენტრი, მათგან ოთხი მორწმუნეებისთვის მთავარია.

1. ლუმბინი (ნეპალი) – ჩვენს წელთა აღრიცხვამდე 543 წ. დაიბადა გაუტამა. აქვეა იმ სასახლის ნანგრევები, რომელშიც ის 29 წელი ცხოვრობდა. ლუმბინში 20 ბუდისტური მონასტერია;
2. ბოდხგაია (ინდოეთი) – მდებარეობს ინდუისტი მომლოცველების ცენტრის გაიასგან 12 კილომეტრის დაშორებით. სწორედ აქ გასხივოსნდდა ბუდა;
3. სარნათხი (ინდოეთი) – ადგილი სადაც ბუდამ პირველად იქადაგა;
4. კუშინაგარა (ინდოეთი) – ადგილი სადაც ბუდას სული სხეულს გაეყარა;
5. რაჯგარი (ბიხირის შტატი, ინდოეთი) – აქ ბუდამ იქადაგა სწავლება სიცარიელის შესახებ;
6. ვაიშალი (ბიხარის შტათი, ინდოეთი) – იწინასწარმეტყველა თავისი ამქვეყნიური სიკვდილის მოახლოება;
7. ავკანტის და ელორის ტაძარი მახარაშტრას შტატი, სადაც 29 ბუდისტური ტაძარი მდებარეობს.

ბუდიზმის სამომლოცველო ცენტრები ტიბეტში

ტიბეტის მთავარი სამომლოცველო ცენტრი მისი დედაქალაქი ლხასაა. სწორედ ლხასაში მდებარეობს პოტალას სასახლე – დალაი-ლამას ძველი რეზიდენცია. ტიბეტის მნიშვნელოვანი სამომლოცველო ადგილია კაილაშის მთა და მანასაროვარის ტბა.

ბუდიზმის სხვა სამომლოცველო ცენტრები

ბუდიზმის ცენტრი იაპონიაში

იაპონიის ერთ-ერთი საპატივსაცემო ადგილია ქალაქი ნარა – იაპონიის ძველი დედაქალაქი. მას ყოველწლიურად 3 მილიონი ადამიანი სტუმრობს. აქ მრავალი ბუდისტური, სინტოისტური ტაძარი და კუმირენია. მათგან ყველაზე ცნობილი ტოდაიძის ბუდისტური ტაძარია.

8.4 რელიგიური ტურიზმი იუდაიზმში

იუდაიზმი ანუ, ძველი ქართულით, ჰურიაობა ებრაელთა ნაციონალური კონფესიაა. ითვლება, რომ მას დასრულებული სახე რაბინმა მოსე მაიმონიდმა ჩვ. წ. XII ს-ში მისცა. თუმცა შემდეგაც განიცადა ცვლილება.

ძველი აღთქმა საერთო პირველწყაროა როგორც ქრისტიანთა, ისე იუდეველთათვის, მაგრამ მის დედააზრს თითოეული სხვადასხვანაირად აცნობიერებს. ეს პირველ რიგში გამოსყიდვის დოგმატის მიმართ ითქმის. იუდაიზმში არეკლილია ებრაელთა ეროვნული თვალსაზრისები და ინტერესები.

მისთვის უცხოა „რჩეული ერის“ სიმბოლური გაგება; ამ ცნების განვრცობა და გაღრმავება უნივერსალურობამდე, ე. ი. ეროვნული ზღუდეების მსხვრევა და „რჩეული ერის“ ქვეშ ყოველი ნათელღებული და მირონცხებული პიროვნების მოაზრება.

ძვ. წ. 929 წელს, მეფე სოლომონის შემდეგ, ისრაელის ერთიანი სამეფო დაიშალა. წარმოიშვა ორი სახელმწიფო: ისრაელი და იუდეა. უკანასკნელი, ძირითადად, იუდას ტომს აერთიანებდა, სადაც დავითის შტოდან უნდა დაბადებულიყო ეროვნული გმირი, მხსნელი, მესია (ცხებული). ამდენად, ებრაელები, დამპყრობთაგან დევნილნი და შეურაცხებულნი, მესიისაგან ელოდნენ და ელიან ეროვნულ ხსნას – ერთიან, ძლიერი სამეფოს აღდგენას. მხსნელი კი (გავიხსენოთ წინასწარმეტყველება და აღთქმა) მართლაც იუდას ტომიდან უნდა გამოსულიყო. ამიტომ ეწოდა ებრაელთა რელიგიას იუდაიზმი.

533 წელს, ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ, ებრაელებმა იერუსალიმში იაჰვეს სადიდებლად სოლომონის ტაძარი აღადგინეს, დააწესეს დღესასწაული ხანუკა („სატფურება“, „განახლება“) და ჩამოაყალიბეს ახალი რელიგიური თემი. წინამძღვრებმა ამ თემში არ შეიყვანეს ისინი, ვინც ტყვეობაში არ იყვნენ ნამყოფი და პალესტინაში დარჩნენ. შეიძლება ითქვას, რომ ამ თემის წიაღში მიიღო იუდაიზმმა, როგორც რელიგიურმა სისტემამ, ჩამოყალიბებული სახე. ახალი რელიგიური თემის გარეთ დარჩენილმა ებრაელებმა სამარიტელთა სექტა შექმნეს, რომელიც დღესაც არსებობს.

ამის შემდეგ ებრაულ საზოგადოებაში კონფლიქტი კიდევ უფრო გაღრმავდა. იგი გადაიზარდა რელიგიურ ანტაგონიზმში. ეროვნული სხეული დაიყო და დაქუცმაცდა. იუდაიზმის შიგნით (ძვ. წ. II ს-ში) ფარისეველთა და სადუკეველთა რელიგიურ – პოლიტიკური პარტიები წარმოიქმნა, რომლებმაც

თორის (ხუთწიგნეულის) მცნებების ახლებური გააზრება სცადეს. ფარისეველთა და სადუკეველთა არსებითი ნიშანი იყო რჯულის კანონების ზედმიწევნითი, პედანტური დაცვა, ყურადღების გადატანა სარწმუნოების გარეგან მხარეზე.

ძველი წელთაღრიცხვის დასასრულსა და ახალ ერაში რამდენიმე სექტა ჩამოყალიბდა, მათ შორის -ნაზარეველთა სექტა, რომელიც მკვდარი ზღვის სანაპიროებზე მოქმედებდა. მას ესეელთა თემსაც უწოდებდნენ, სადაც, სავარაუდებელია, აღიზარდა იოანე ნათლისმცემელი. ამ სექტის წევრები არ ჭამდნენ მცენარეულ საკვებს. გავიხსენოთ, რომ იოანე ნათლისმცემელიც მხოლოდ ველურ თაფლსა და კალიებს (მკალს) ჭამდა. მათ მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დარჩათ, რომელთა ფასი თანამედროვე მეცნიერებისათვის განუზომელია.

1947 წლის გაზაფხული ჩვენი საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არქეოლოგიური აღმოჩენით აღინიშნა. მკვდარი ზღვის აუზში, იორდანეს უდაბნოში, იერუსალიმის აღმოსავლეთით, ყუმრანში, ერთი ბედუინი, როდესაც დაკარგული თხის საძებრად დაეხეტებოდა, წააწყდა უძველეს სამალავს. იგი მოთავსებული იყო მღვიმეში, რომელიც რამდენიმე დარბაზს შეიცავს. დარბაზები სავსე იყო სხვადასხვა დანიშნულების საგნებით – საყოფაცხოვრებო და საკანცელარიო ნივთებით, რომელთაგან თვალს ხვდებოდა ეტრატის გრაგნილთა სიმრავლე. ბედუინი მიხვდა, რომ ბედმა გაუღიმა და ეს ამბავი მეზობლებს ახარა. გაირკვა, რომ იმ რაიონის მკვიდრნი კლდის ნაპრალებში თურმე ადრეც პოულობდნენ ხელნაწერებს, რომელთაც ფეხსაცმელში ჩასაფენად ხმარობდნენ. ახლა კი იგრძნეს, რომ მათი მეშვეობით შესაძლებელია გამდიდრება და აღმოჩენის თაობაზე ადგილობრივ სასულიერო პირებს აცნობეს. საქმეში მალე მეცნიერები და სახელმწიფოთა მეთაურებიც ჩაერიენ. დაიწყო მანუსკრიპტთა შესყიდვა კოლოსალურ ფასებში – დოლარებზე, რამაც ბედუინთა ენთუზიაზმი გააცხოველა და პირველს სხვა არანაკლებ საყურადღებო აღმოჩენები მოჰყვა. 10 წელიწადს გრძელდებოდა გათხრები. გამოვლინდა 10.000 ფრაგმენტი 400-მდე ნაწარმოებისა. მათ მეცნიერულ შესწავლაში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს საუკეთესო სპეციალისტებმა. ისინი მივიდნენ დასკვნამდე: აღნიშნული დასახლების პატრონი იყო ხალხი, რომელიც ისტორიაში ცნობილია ესეელთა (ესეველთა) სახელით. სავარაუდებელია, რომ მათი ცენტრი იყო ყუმრანში. ისინი იქ სახლობდნენ ძველი წელთაღრიცხვის 150 წლიდან ახალი ერის 70 წლამდე. სექტა სიმკაცრით გამოირჩეოდა. ამას ადასტურებს მათი ბიბლიოთეკა და იქ აღმოჩენილი „თემის წესდება“. ესაა საკმაოდ ვრცელი ტექსტი, რომელიც ეხება სექტის ორგანიზაციას და მისი წევრების უფლება – მოვალეობას, მათ რელიგიურ რიტუალებს და შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსს. ეს დოკუმენტი ადასტურებს ჩვ. წ. I ს-ის ებრაელი მწერლების იოსებ ფლავიუსისა და ფილონ ალექსანდრიელის უწყებებს ამ „უცნაური ხალხის“ ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებებზე. ფილონი ამბობს, რომ ესეელნი მიეკუთვნებიან ებრაელ ერს; ისინი არიან ოთხასზე მეტი; ცხოვრობენ სოფლებში და ერიდებიან ქალაქებს; დასაქმებულნი არიან ხელოსნობის იმ დარგებით, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ომთან. მათ არ ჰყავთ მონები და არ გააჩნიათ საკუთარი სახლები. სამაგიეროდ აქვთ საერთო საწყობები და სალაროები, აქვთ საერთო ტანსაცმელი, საერთო საკვები... ისინი იცავენ მამა პაპათა კანონებს. ამ კანონებს მათ გამუდმებით უქადაგებენ. მათი ცხოვრების წესებს სამი ძირითადი საფუძველი განაპირობებს: ღვთის სიყვარული, სათნოების სიყვარული და ქველმოქმედება.

განსხვავებით თავიანთი წინაპრებისაგან, ღვთისმსახურებისას „ცხოველებს კი არ სწირავენ ღმერთს, არამედ განიწმენდენ სულს“... ზოგიერთი ცნობის თანახმად, ესეელნი (ანუ იგივე ნაზორეველნი) უბიწოდ ცხოვრებას ეწეოდნენ: არ ჰქონდათ ოჯახები. საბოლოოდ გარკვეული არაა, თუ რა იყო სექტის ასე სწრაფად გადაშენების მიზეზი. ცხადია ერთი: ამ განშტოებამ ქრისტიანულ მოძღვრებასა და ეკლესიას გარკვეულწილად ნიადაგი შეუმზადა, რაზეც მიგვანიშნებს იოანე წინამორბედის ქადაგება: „განმზადენით გზანი უფლისანი და წრფელ – ჰყვენით ალაგნი მისნი“ (მათე 3:3).

ჩვ. წ. VIII ს-ში ერაყში, სირიასა და პალესტინაში წარმოიშვა ყარაიმთა სექტა, რომელიც უარყოფდა ოფიციალური იუდაიზმის მრავალ დებულებას. მათ შორის მესიის მოვლინებისა და მკვდართა აღდგომის დოგმატებს. ამდენად, ეს მიმდინარეობა თითქმის მთლიანად მოსწყდა და ჩამოშორდა იუდაისტურ რელიგიას, რადგან უარყო ამ რელიგიისათვის მთავარი და სპეციფიკური – მესიის რწმენა.

იუდაიზმის ისტორიაში თვალსაჩინო როლი შეასრულა კაბალამ. ესაა წიგნი, რომელსაც საფუძვლად დაედო რელიგიური ზეპირგადმოცემები. ამაზე მიანიშნებს თვით ტერმინი – კაბალა (ებრ. კაბ. „გადმოცემა“). ეს წიგნი თარიღდება XIII-XIV სს-ით. მას ახასიათებს მისტიციზმი და ზოგიერთი თეოლოგიური საკითხების თავისებური ინტერპრეტაცია. მის მიმდევრებს სწამთ სულების გარდასახვის შესაძლებლობა (მეტემფსიქოზი), რის გამოც, როგორც ამბობენ, კაბალისტური მისტიკა იქცა ჯადოქრობისა და მაგიის იარაღად.

კაბალის ზეგავლენით XVIII ს-ში პოლონეთსა და რუსეთში, შემდეგ კი დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში აღმოცენდა იუდაიზმის ახალი მიმდინარეობა – ხასიდიზმი (ებრ. ღვთისმოსავი). მისი ძირითადი მიზანი იყო და არის იუდეური ღვთისმსახურების რეფორმა, რიტუალების რიცხვის შემცირება. სამაგიეროდ – ყურადღების გადატანა თითოეული პიროვნების როლსა და ადგილზე სამყაროში, სულიერსა და ზნეობრივ სრულყოფაზე. ხასიდიზმის მამათმთავრად ითვლება მოხეტიალე მკურნალი ისრაელ ბენ ელიეზერი ანუ ბეშტი (1700-1760). იგი არ უარყოფდა წიგნიერ სიბრძნეს, ებრაელთა ათასწლოვან ტრადიციებს და რელიგიურ რიტუალებს, მაგრამ ამბობდა, რომ ხასიდის ღვაწლი უფრო აღმატებულია, ვიდრე თალმუდის წესების გულმოდგინედ შესრულება, რადგან პირველი ეფუძნება შინაგან რწმენას და სინდისს, მეორე – კანონს; პირველს წარმართავს სიყვარული, მეორეს – შიში და მოვალეობა. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ ხასიდთა მოძღვრების ზოგიერთი დეტალი ეხმიანება იმ ჭეშმარიტებებს, რომლებიც ქრისტიანობის, როგორც უნივერსალური რელიგიის საფუძველშია ჩადებული. ეს არცაა გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ ტერტულიანეს სიტყვებს, რომ ადამიანის სული დაბადებით ქრისტიანია. მართლაც, ხასიდების რელიგიური ინტუიცია გასაოცარი გამჭრიახობით ჩასწვდა ღვთის ინკარნაციის (განსხეულების) დოგმატის სიღრმეს. ამას ცხადყოფს „ხასიდური სწავლანი“, რომელიც ქართულ ენაზე თარგმნა და კომენტარები დაურთო ზურაბ კიკნაძემ (ჟურნ. „რელიგია“, 1992, 6). იქ ვკითხულობთ: თუ გვინდა ვიხსნათ ლაფში ჩავარდნილი ადამიანი, საკმარისი არ არის ხელის გაწვდენა. მხსნელი თავადაც უნდა ჩავიდეს ორმოში, ლაფში; მხსნელმა თავის თავზე უნდა იტვირთოს ის სიბინძურე, რომელიც დაგროვდა ადამს აქეთ ამ წუთისოფელში... ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველებისათვის ამ შეგონების აზრი გამჭვირვალეა.

იუდაიზმის პირველწყარო, თორასა და ძველი აღთქმის სხვა წიგნებთან ერთად, არის თალმუდი. „თალმუდი“ ებრაული სიტყვაა და ნიშნავს „შესწავლას“. თალმუდი აერთიანებს იუდაისტურ ღვთისმეტყველებას, საღვთისმსახურო პრაქტიკას და სამართალს. თალმუდი, ფაქტობრივად ძველი აღთქმის ეგზეგეზა ანუ თარგმანებაა ფართო და მრავალმხრივი პროფილით. თალმუდი თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა. შემდეგ კი დაიწყეს მისი ჩაწერა, რასაც სათავე ფარისეველებმა და სადუკეველებმა დაუდეს. მისი სრულყოფის პროცესი 7-8 საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა და დასრულებული სახე V ს.-ში მიიღო. ასე შეიქმნა ვეებერთელა კრებული, რომელიც იყოფა 6 განყოფილებად და 63 ტრაქტატად. მხოლოდ მასზე დაყრდნობითაა შესაძლებელი იუდაისტური რელიგიოუს არსში გარკვევა.

იუდაიზმი მონოთეისტური რელიგიაა; აღიარებს ერთადერთ ღმერთს, – სამყაროს შემოქმედს, რომელსაც მრავალი ეპითეტით ვუხმობთ: იაჰვე (დამახინჯებული ფორმაა „იეღოვა“), ადონაი, ელი, საბაოთ და სხვა . იუდაიზმის თანახმად, ღმერთი არის არა მხოლოდ ერთი, არამედ – ერთსახოვანიც. ებრაელთათვის მიუღებელია ერთარსება – სამების რწმენა. მათ დაუშვებლად მიაჩნიათ აგრეთვე ღვთის განკაცების საიდუმლო.

იუდაისტური მოძღვრების ძირითადი დოგმატები რაბინმა მოსე მაიმონიდმა რეზიუმეს სახით წარმოადგინა (ქრისტიანული „რწმენის სიმბოლოს“ მსგავსად). მას ეწოდება „რწმენის 13 სიმბოლო“.


ესენია: 1. არსებობს ღმერთი, რომელმაც შექმნა სამყარო; 2. ის ერთია; 3. ის უსხეულოა; 4. ის მარადიულია; 5. უნდა ვილოცოთ მხოლოდ მასზე; 6. ღვთიური გამოცხადებანი ჭეშმარიტებაა; 7. მოსე ყველაზე დიდი წინასწარმეტყველია; 8. თორა, ე. ი. ბიბლიის პირველი ხუთი წიგნი, ღმერთმა უკარნახა მოსეს; 9. მოსეს კანონის შეცვლა სხვა კანონით არ შეიძლება; 10. ღვთიური განგება მართავს სამყაროს; 11. არსებობს კეთილისათვის ჯილდო და ბოროტისათვის სასჯელი; 12. ისრაელში მოვა მესია; 13. მკვდრეთით აღდგომა ჭეშმარიტებაა.

როგორც ვხედავთ, აქაა რწმენა, რომ მესია ანუ ცხებული (ე. ი. ქრისტე) მოვა ისრაელში. ეს აზრი ორმხრივადაა საყურადღებო. პირველი – იგი მიანიშნებს იუდაიზმის ნაციონალურ ხასიათზე: მესია იხსნის მხოლოდ და მხოლოდ ებრაელთა მოდგმას; მეორე – მესია თითქოს ჯერ არ მოსულა: „რჩეული ერი“ მას ელოდება დღეს და ყოველ დღე. სწამს, რომ იგი იქნება დავით – იესეს ძის შთამომავალი, „იესეს ყლორტი“ – ბენ იშაი. „რატომ არ მოდის ბენ იშაი?“ – სწუხდა ესპანეთის გალუთში (გადასახლებასა და ლტოლვილებაში) მყოფი ებრაელი პოეტი XI საუკუნისა. თუმცა, ქრისტიანთა რწმენით, „ბენ იშაი“ დიდი ხნის მოსული, ჯვარცმული და მკვდრეთით აღმდგარი იყო.

იუდეველების ანუ , ძველი ქართულით, ჰურიების (ებრაელების) საერთო რიცხვი ბოლო მონაცემების მიხედვით 20 მილიონს აღემატება. მათგან ყველაზე მეტი ისრაელსა და აშშ-ში ცხოვრობს, თუმცა ებრაელებს დიასპორები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში აქვთ.

ებრაელები საქართველოში. საქართველოს არაქართული მოსახლეობიდან ებრაელები ყველაზე ადრე არიან მოსული. „არც ერთს ერს არგამოუვლია იმდენი სატანჯველი და წამება, რამდენიც ებრაელთა ერს თავს გადაჰდენია. ამ ოდესმე დიდებულს და სახელგანთქმულს ერს ბედმა ხელიდან გამოსხლიტა სამშობლო და თვითმყოფელობა და განაბნია იგი მთელს დედამიწის ზურგზე, ჩაათესლა უცხო ქვეყნებში, სადაც ებრაელებს მოელოდა ყოველგვარი ტანჯვა და წვალება“. წერდა ილია ჭავჭავაძე „ებრაელთა საკითხზე“.

ებრაელი 26 საუკუნის წინ მოვიდნენ საქართველოში და გაიზიარეს ქართველი ხალხის ისტორიული ბედი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ებრაელები განდევნილ იქნენ თავიანთი ისტორიული სამშობლოს უდიდესი ნაწილიდან და განსახლდნენ სხვადასხვა ქვეყნებში, სადაც ცხოვრობდნენ განადგურებისა და ასიმილაციის მუდმივი შიშით, მაგრამ ასეთ საფრთხეს არასდროს ჰქონია ადგილი საქართველოში. ანტიკური დროიდან ამ ქვეყანაში ეს ორი ხალხი ცხოვრობდა და დღემდე ცხოვრობს ურთიერთპატივისცემით, ერთიანი გაგებით.



ებრაელების უდიდესი ნაკადი მცხეთაში ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორ II მიერ იუდეას განადგურების შემდეგ დასახლდა, ისინი მცხეთიდან გადავიდნენ საქართველოს სხვადასხვა მხარეში.

მრავალ ეთნიკურ მოსახლეობაში ერთ ერთი უძველესი ებრაელები არიან. თბილისში ისინი ქალაქის დაარსების ხანიდან ცხოვრობენ. ებრაელთა დასახლებები ძირითადად ქვემო კალაში იყო თავმოყრილი ამ უბანში მათ არა ერთი სინაგოგა ჰქონდათ.

საქართველოში მცხოვრები ებრაელები დღესაც ზედმიწევნით ასრულებენ საკუთარ ტრადიციებს. ყოველ პარასკევს საღამოს სინაგოგაში შაბათის მოსვლას ზეიმობენ. შაბათი ებრაელების უწმინდესი დღეა ამ დღეს არ შეიძლება არანაირი საქმის კეთება, ებრაელები ამბობენ, რომ საქართველო, როგორც ისრაელი ღვთისგან დალოცვილი მიწაა ამაყობენ იმით, რომ ისინი ამ ორი ქვეყნის შვილები არიან დღესდღეობით საქართველოში ებრაელთა რაოდენობა არ აღემატება 4 000 ადამიანს. თბილისის გარდა პატარა ებრაული თემებია ქუთაისში, გორში, ბათუმში, სურამში, ქარელში, ახალციხეში. ებრაული თემი აგრძელებს თავის არსერობას: ეწყობა ზაფხულის ბანაკები ახალგაზრდობისთვის, მუშაობენ ებრაული სკოლები.

ებრაული დღესასწაულები და ზეიმები ერთ ან რამდენიმე დღეს გრძლდება. ებრაელები აღნიშნავენ საერო და რელიგიურ დღესასწაულებს, რომლებიც დაკავშირებულია ებრაელი ხალხის ისტორიასთან და რწმენასთან. თავისი შინაარსის მიხედვით დღესასწაულებს სხვადასხვა სახელს უწოდებენ: იომ ტოვ (ებრ. იონტიფ) არის „კარგი დღე“; ხაგ „ფესტივალი“; თა'ანით „მარხვა“.

ებრაული დღესასწაულების უმრავლესობა დასაბამს იღებს ბიბლიიდან, რაბინთა სწავლებიდან და ისრაელის თანამედროვე ისტორიიდან.

რელიგიური დღესასწაულების თარიღი გარდამავალია და ყოველწლიურად იცვლება.

როშ ჰაშანა – იწყება პირველი დღის მწუხრზე და გრძელდება მესამე დღის მწუხრამდე ებრაული კალენდარის.

იომ-ქიფური (მარხვა);

სუქოთი (შვიდეულის პირველი დღე);

შემინი აცერეთი;

სიმხათ თორა;


ჰანუქა (პირველი დღე, გრძელდება რვა დღე);

ტუ ბიშვატი;

პურიმი;

ფესახი (შვიდეულის პირველი დღე. ისრაელის გარეთ ეს დღესასწაული გრძელდება რვა დღე);
იომ ჰაშოა;
იომ ჰააცმაუთი;
ლაგ ბაომერი
შავუოთი (ისრაელის გარეთ ეს დღესასწაული 2 დღეს გრძელედება);
თიშაა ბეავი.

იუდაიზმში მომლოცველობა არ არის აუცილებელი. ებრაელების თაყვანისცემის ადგილები მრავლადაა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ყველაზე გამორჩეულია ისრაელის წმინდა მიწა. იუდაიზმში მომლოცველობა არ არის დაკავშირებული რაიმე კონკრეტულ დეტალებთან. დღესასწაულებზე ებრაელები ცდილობენ არ დატოვონ თავისი საცხოვრებელი სახლი და მოლოცვებს მხოლოდ მაშინ ახორციელებენ, როდესაც არ არის მარხვა და რომელიმე დღესაწაული.





კითხვები გამეორებისთვის:

1. ჩამოთვალეთ ქრისტიანობის ხუთი ძირითადი მიმართულება.
2. რა იცით ქრისტიანული საიდუმლოების შესახებ?
3. როგორია მართლმადიდებლური მომლოცველობის მნიშვნელობა?
4. რა იცით საზღვარგარეთის მართლმადიდებლური ცენტრების შესახებ? ჩამოთვალეთ რამდენიმე მათგანი.
5. რა იცით მართლმადიდებლური სიწმინდეების შესახებ დასავლეთ ევროპაში?
6. გაიხსენეთ რამდენიმე ეპიზოდი ქართველი და ებრაელი ხალხის ურთიერთობის ისტორიიდან.

ნაწილი მეორე

თავი 9. რელიგიური ტურიზმის მართლმადიდებლური საფუძვლები საქართველოში

9.1 საქართველო – ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი რელიგიურ იერარქიაში თვით უმაღლესი დასის ანგელოზებზე მაღლა დგას, როგორც მისდამი მიძღვნილ ერთ-ერთ საგალობელშია, „უპატიოსნესი ქერუბიმთა და აღმატებით უზესთაესი სერაფიმთა“.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ყველას შემწე და მეოხია, მაგრამ საქართველოსა და ქართველებს იგი განსაკუთრებით მფარველობს. ეს იმიტომ, რომ, საღვთო გადმოცემის თანახმად, ივერია ღვთისმშობლის წილხვედრია [142].

უძველესი ქართული წერილობითი წყაროებისა და საეკლესიო ტრადიციის თანახმად, რასაც აგრეთვე მხარს უჭერს მათთან შედარებით გვიანი ხანის უცხოური დოკუმენტური მასალა, საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ღვთისმშობლის წილხვდომობის შესახებ მეტად საინტერესოა „ქართლის ცხოვრებაში“ შესული ლეონტი მროველისეული თხრობა. მოკლედ და ლაკონურად გადმოგვცემს მარიამ ღვთისმშობლის მიერ ივერიის წილხვდომობის ფაქტს „ქართლის ცხოვრების“ ლეონტი მროველისეული ვერსია, რომლის თანახმად, მაცხოვარის ამაღლებიდან მეათე დღეს, როცა მოციქულებმა წილი იყარეს, თუ ვის სად უნდა ექადაგა ქრისტეს მოძღვრება, საქართველო ღვთისმშობელს ხვდა წილად. აქვე დავძენთ, რომ ერთ-ერთი საეკლესიო გადმოცემის მიხედვით, ღვთისმშობელს ივერია სამგზის წილის ყრით ერგო. გამომგზავრებამდე, ლეონტი მროველის გადმოცემით, მარიამ ღვთისმშობელს უფალი გამოეცხადა, რომელმაც განუცხადა: „დედაო ჩემო, არა უგულებელ ვყო ერი იგი საზეპურო უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთს. ხოლო შენ წარავლინე პირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენდა ხუედრებულსა, და თანა-წარატანე ხატი შენი ვითარცა პირსა შენსა დადებითა გამოისახოს. და შენ წილ ხატი იგი შენი მკვიდრობდეს მცუელად მათდა უკუნისამდე ჟამთა“. მარიამ ღვთისმშობელი უფლის ბრძანებისამებრ მოიქცა. დედა ღვთისამ უფლის ნება აუწყა ანდრია მოციქულს, რომ იგი უნდა წასულიყო „...ქუეყანასა, ჩემდა წილხდომილსა, რათა მე ვიყო გამგებელი ცხოვრებისა მათისა, ხელი აღუპყრა და შევეწიოთ მათ, და არავინ მტერთაგან მძლე ექმნას მათ“. საქართველოში გამომგზავრებამდე, ხელთუქმნელი ხატის გადაცემის შემდეგ, ღვთისმშობელმა ანდრია პირველწოდებულს განუცხადა: „მადლი და შეწევნა ჩემგან შობილისა უფლისა თანაშემწე გეყავ შენ, სადაცა ხვიდოდე, და მეცა თანაშემწე ვარ ქადაგებისა მაგას, და დიდად შევეწიო მონაწილესა მას ჩემდა ხუედრებულსა“.

ღვთისმშობლის მიერ ივერიის წილხვდომობის საკითხს ქართულ წყაროებთან შედარებით უფრო ვრცლად და განსხვავებული ფორმით წარმოგვიდგენს სტეფანე ათონელი, რომელსაც მთლიანი სახით გთავაზობთ: „შემდგომ ამაღლების უფლისა ჩუენისა იესოს ქრისტესსა, ყოველნი მოწაფენი ბრძანებისამებრ მისისა იერუსალიმით განუშორებით იყვნეს შეკრებილ სინაის მთასა ზედა დედისა უფლისა მარიამისთან და მოელოდნენ აღთქმულსა მათდა ნუგეშის–მცემელსა. ოდესცა უკუე მათ განიგდეს წილი, თუ ვის რომელი მხარე შეხვედების ქადაგებად სახარებისა, ყოვლადწმინდა ქალწულმან ჰრქუა მათ: „მეცა თქუენთანა მნებავს აღებად წილისა, რათა ვსცნა, რომელსაც მხარესა განმიწესებს მე ღმერთი: „მირეს რა სიტყუა დედისა ღუთისა, მათ კეთილ-მოწიწებით ჰყარეს წილი და მას შეხვდა ქუეყანა ივერიისა, რომელიცა აწ არს საქართველო. ყოვლად წმინდ ამან განიხარა წილ-ხდომისა მისთვის და შემდგომ სულის წმიდის მიღებისა, რომელიცა მსგავსად ცეცხლისა მათ მიეფინათ, ისურვა წასვლა მხარესა ივერიისა.

გარნა ანგელოსმან ღუთისამან ჰრქუა მას: „ნუ განეშორები იერუსალიმით, მხარე, სადაცა წარსვლა გსურის შენ, განათლდების უკანასკნელთა დღეთა და მეუფება შენი დამტკიცდების მუნ. შემდგომ რაოდენისამე ჟამისა მზრუნველობათა შენთა მიგელის სხუა ქუეყანა, რომელსაცა თვით ღმერთი მიგიყვანს შენ“. აჰა რასთვის დაშთა ყოვლად წმინდა გრძელს ჟამსა იერუსალიმსა შინა – დასძენს სტეფანე ათონელი. აგრეთვე ჩვენთვის ძვირფას ცნობებს შეიცავს ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს სვინაქსარული ცხოვრების ორი რედაქცია, რომელთაგან ერთი XI საუკუნით თარიღდება, მეორე კი – XIV საუკუნით. ღვთისმშობლის წილხვდომობის ანარეკლი აშკარად შეინიშნება IX საუკუნეში მოღვაწე ღირსი მამის ილარიონ ქართველისადმი († 875) მიძღვნილი ცხოვრების სხვადასხვა რედაქციებში. ღვთისმშობლის წილხვდომობის საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია XII საუკუნის საქართველოს ცნობილი

კათოლიკოს-პატრიარქის ნიკოლოზ გულაბერიძის (1150-1177) თხზულებაში: „საკითხავი სუეტისა ცხოველისა, უფლისა კუართისა და კათოლიკე ეკლესიისა“. მართალია, X-XIV საუკუნის ქართული წერილობითი წყაროებით უტყუარად დასტურდება, რომ საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. ქართული წერილობითი წყაროების გარდა, ივერიის ღვთისმშობლის წილხვდომობის საკითხი დაფიქსირებულია უცხოურ წერილობით დოკუმენტურ მასალებში. ამ მხრივ, აღსანიშნავია ბერძნული და რუსული წერილობითი წყაროები. ბერძნული დოკუმენტური მასალის ავტორად მიჩნეულია სტეფანე ათონელი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სტეფანე ათონელის თხზულებაში მარიამ ღვთისმშობლის მიერ საქართველოს წილხვდომობის საკითხი ათონის წმინდა მიწაზე არსებულ ივირონის მონასტერში მოღვაწე ქართველი მამების გადმოცემის საფუძველზე უნდა შესულიყო.

მკვლევართა მიერ მიჩნეულია, რომ „XVI საუკუნიდან მოყოლებული ლიტერატურულ ნიადაგზე რუსეთსა და საქართველოში საბოლოოდ მტკიცდება რწმენა, რომ მარიამი და მისი „ხატი მფარველია“ არა მარტო მისი „წილხდომილი ივერიისა“, არამედ „მოსკოვისა და ჩრდილოეთის მის ქვეყნისა“.

ღვთისმშობლის წილხვდომობა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას სხვა ეკლესიებთან შედარებით რაიმე პრივილეგიას ან უპირატესობას არ ანიჭებს. უფრო მეტიც, საუკუნეების განმავლობაში ქართველ ხალხს კარგად ჰქონდა გათავისებული ეს მოვალეობა და რწმენაში გაძლიერებითა და მისადმი თავგანწირვით ცდილობდა, გაემართლებინა მარიამ ღვთისმშობლის მფარველობა. ქართული წერილობითი წყაროებიდან უამრავი მაგალითის მოტანა შეიძლება იმის დასტურად, რომ უმწეო მდგომარეობაში მყოფი ქართველი ხალხი არაერთხელ იხსნა მარიამ ღვთისმშობლის მფარველობამ. ღვთისმშობლის წილხვდომობისა და მფარველობის გამო დედა ღვთისამ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში. მის სახელზე ჩვენში უძველესი დროიდან შენდებოდა მრავალი ეკლესია-მონასტერი. საქართველოს ეკლესიის ძვირფას სიწმინდედ ითვლება ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატებიც. ქართულ სინამდვილეში უძველესი დროიდან შეიქმნა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი უამრავი საგალობელი. ქართველმა ხალხმა სიცოცხლის ხედ მიჩნეული ვაზი ღვთისმშობლის სიმბოლოდ აქცია. მარიამ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი უძველესი ქართული საგალობლებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს XII საუკუნეში მოღვაწე მეფე დემეტრე I-ის (1125-1156) მიერ შექმნილი საგალობელი „შენ ხარ ვენახი“ [7:127-131]. ეგზეგეტები, ბიბლიის განმმარტებლები, გვიხსნიან, რომ ზეციური ეკლესია მონაწილეობს ღვთის განგებულებაში მსოფლიოს ხალხებზე – ყოველ ქვეყანას, ხალხს და ტომს მიეცა მფარველი ანგელოზი, და ანგელოზების სიმბოლური ბრძოლა არის მათი ლოცვა მსოფლიოს ხალხებისათვის. საქართველოს მფარველი ანგელოზი თვით ზეციერი დედოფალია. ეს უდიდესი წყალობაა, მაგრამ მიწიერ სიბრტყეზე ეს არის საღმრთო მოწოდება ღვაწლისა და თავდადებისაკენ“ [1:5-7].

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა ილია მეორე ბრძანებს: „ყოველადწმინდა ღვთისმშობელი საქართველოს განსაკუთრებით მფარველობს და ჩვენ ამას ჩვენი წარსულიდან ვხედავთ. ზოგიერთი ფიქრობს, რომ მომავალში მთელ მსოფლიოს განსაცდელი მოელის, მაგრამ ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი საქართველოს თავის კალთას გადააფარებს და ჩვენს ქვეყანას ვერავინ ვერაფერს დააკლებს. საქართველო გაბრწყინდება და არა მარტო გაბრწყინდება, არამედ მჭადაგებელი იქნება ჭეშმარიტი სარწმუნოების, სიკეთისა და სიყვარულისა“.

9.2 ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართი და მის სახელთან დაკავშირებული სხვა სიწმინდეები საქართველოში

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კუთვნილებას წარმოადგენს მარიამ ღვთისმშობლის სახელთან დაკავშირებული სიწმინდეები, რომელთა დიდმა ნაწილმა ჩვენამდე სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ მოაღწია. ამ სიწმინდეთა შორის აღსანიშნავია ღვთისმშობლის კვართი, ღვთისმშობლის სარტყელი და სხვა.

მარიამ ღვთისმშობლის სახელთან დაკავშირებულ სიწმინდეთა შორის, რომელთაც ჩვენამდე ნივთიერი სახით მიაღწიეს, აღსანიშნავია კვართი. ამჟამად იგი დაცულია სამეგრელოს მთავრების – დადიანისეული სასახლის ბაზაზე დაარსებულ ზუგდიდის მუზეუმში. ადრე იგი სხვა სიწმინდეებთან ერთად ხობის მიძინების ტაძრის კუთვნილებას წარმოადგენდა.

ხობის მიძინების მონასტრის სიწმინდეთა და მათ შორის, ღვთისმშობლის კვართის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის XVII საუკუნის მეორე ნახევარში სამეგრელოში მოღვაწე კათოლიკე

მისიონერი იოზეფ მარია ძამპი. იოზეფ მარია ძამპის აზრით, საქართველოში წმინდა რელიქვიები სხვადასხვა გზით ხვდებოდა. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „ეს რელიქვიები მათ მიიღეს აგრეთვე ამავე ქალაქის (კონსტანტინოპოლის — ე. ბ.) სასულიერ პირთაგან, რომლებიც ცდილობდნენ, ეს ხალხი ღვთისმოსაობაში განემტკიცებინათ. და ბოლოს, რელიქვიები მიიღეს იმ წმინდა მამათაგან, რომელნიც თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ მაჰმადიანთა ტირანიისაგან თავის დასაღწევად სამეგრელოში გადმოიხვეწნენ და გაიფანტნენ მეზობელ ქვეყნებში“.

ღვთისმშობლის კვართი



ხობის მიძინების ტაძარში დაცული ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართი გამოირჩეოდა თავისი სასწაულმოქმედებით და კურნებით. ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, 1855 წელს სამეგრელოში შემოჭრილ ოსმალებს ომერ ფაშას მეთაურობით ხობის მონასტრის მიდამოები საომარ ასპარეზად გაუხდიათ. შეშინებული მოსახლეობა და სასულიერო პირები მთებში გახიზნულან. მხოლოდ ერთადერთი ბერი, პეტრე ჟორდანია დარაჯობდა მონასტერს, ოსმალებს მონასტერი რომ არ დაეწვათ. მომხვდურებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, მონასტერი იარაღის საწყობად გადაექციათ, მაგრამ მათ ერთ საღამოს სასწაული იხილეს: მონასტერს ნათელი ჰფარავდა. მომხდარი სასწაული გახიზნული მოსახლეობის და სასულიერო პირების ლოცვით განცხადდა. შეშინებულმა თურქებმა მომხდარი თავიანთ სარდლობას აცნობეს და გადაწყვიტეს, აღნიშნული მონასტერი დაეტოვებინათ [80:17].

ისტორიკოსმა გ. კალანდიამ, უცხოურ წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, საგანგებოდ შეისწავლა ღვთისმშობლის კვართის ისტორია. კვლევის შედეგები საინტერესო აღმოჩნდა. მისი დასკვნით, ბიზანტიის იმპერიის დამხობამდე ღვთისმშობლის კვართი კონსტანტინოპოლის კუთვნილებას წარმოადგენდა [31:198-204].

ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი მასალა აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ ღვთისმშობლის კვართი საქართველოში ბიზანტიის იმპერიის დამხობის შემდეგ უნდა შემოსულენებულიყო, მაგრამ თუ როდის და ვის მიერ იქნა იგი სამეგრელოში შემოტანილი, ამის შესახებ წყაროები უტყუარ ცნობებს არ იძლევიან. მხოლოდ ის ვიცით, რომ XVII საუკუნეში აღნიშნული სიწმინდე

ხობის მიძინების ტაძრის კუთვნილება გახდა. გადმოცემის მიხედვით, ეს ის კვართია, რომელიც ღვთისმშობელს შობის ღამეს ემოსა.

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სარტყელი წერილობითი წყაროებითა და ქართული საეკლესიო ტრადიციით საქართველოში მარიამ ღვთისმშობლის სახელთან დაკავშირებული სხვა სიწმინდეებიც ინახებოდა. მათ შორის აღსანიშნავია ღვთისმშობლის სარტყელი და მისი სახელობის ვლაქერნის ხატი.

წყაროების სიმწირის მიუხედავად ღვთისმშობლის სარტყლისა და ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის ისტორიის შესწავლისადმი ინტერესი ყოველთვის არსებობდა. აღნიშნულ სიწმინდეთა ისტორიის გარკვევას თავის დროზე შეეცადა ა. მურავიოვი, ფრანგი ჟან მურიე, ი. მეუნარგია.

უკანასკნელ პერიოდში ამ საკითხს საინტერესო გამოკვლევა მიუძღვნა პროფ. ნ. ხაზარაძემ და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. კალანდიამ. პლატონ იოსელიანის ვერსიის მიხედვით, ღვთისმშობლის სარტყელი ვლაქერნის ხატთან და ძელი ჭეშმარიტის ნაწილებთან ერთად საქართველოში VII საუკუნეში მოუსვენებია ჰერაკლე კეისარს. აღნიშნული სიწმინდეები ჰერაკლე კეისარს (610-641) ქართველებისათვის საჩუქრად გადაუცია ირანელთა წინააღმდეგ საღმრთო ომში აქტიური მონაწილეობის გამო. პ. იოსელიანის გადმოცემით, ძელი ჭეშმარიტის ორი ნაწილი ამკობდა ალავერდისა და ნიქოზის ტაძრებს, ხოლო ღვთისმშობლის სარტყელი ვლაქერნის ამავე სახელწოდების ხატთან ერთად სამეგრელოში იყო დასვენებული [79:28-29].

ღვთისმშობლის სარტყლისა და ვლაქერნის ხატის ისტორიის შესწავლას დიდი ამაგი დასდო

საქართველოს მათლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხულმა ამბროსი ხელაიამ, 1920 წელს დაწერილ გამოუქვეყნებელ შრომაში – „ბედიის ტაძარი“ [63:112].

წყაროთმცოდნეობითი ბაზითა და გამოყენებული ლიტერატურის მრავალფეროვნებით, ამბროსი ხელაიას დასახელებული ნაშრომი იმდროინდელი ისტორიოგრაფიის მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ამბროსი ხელაია დაწვრილებით გადმოგვცემს ღვთისმშობლის სარტყლის შესახებ არსებულ საეკლესიო გადმოცემას. ამ გადმოცემის მიხედვით, ღვთისმშობლის მიძინების შემდეგ მისი სარტყელი თომა მოციქულის კუთვნილება გამხდარა. ნიკიფორე კალისტას მონათხრობით, თომა მოციქულის შემდეგ სარტყელი, როგორც დიდი სიწმინდე, მორწმუნეებს მემკვიდრეობით გადაეცემოდათ [30:131]. მთავარეპისკოპოს სერგის გადმოცემით, იმპერატორ არკადის (395-408) დროს ღვთისმშობლის სარტყელი იერუსალიმიდან კონსტანტინოპოლში გადაასვენეს. ხოლო იმპერატორმა თეოდოსიმ (408-430) ოქროს კიდობანში ჩასვენებული სამეფო ბეჭდით დალუქული აღნიშნული სიწმინდე მოათავსა არკადი იმპერატორის ქალიშვილის პულხერიას მიერ კონსტანტინოპოლის

ჩრდილო განაპირა მხარეში, ვლაქერნად წოდებულ ადგილზე აშენებულ

ხალკოპრატიის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში. შემდგომში აღნიშნულ ტაძარს ადგილობრივი ტოპონიმიკის მიხედვით ვლაქერნის სახელი ეწოდა. დიდი არეულობის დროს, VI საუკუნეში, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ვლაქერნის ტაძრის სიწმინდეები, მათ შორის ღვთისმშობლის სარტყელი. გადამალეს კაპადოკიის ქალაქ ზილაში, საიდანაც VII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში იმპერატორ იუსტინიანეს (685-694) ისევ კონსტანტინოპოლში დაუბრუნებია [63:112]. ნიკიფორე ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა.

ვლაქერნის ტაძარში დაცული ღვთისმშობლის სარტყელი, მომხდარი სასწაულების გამო, მორწმუნეთა ყურადღების ცენტრში მოექცა.

ქართველ მორწმუნეთა შორის ღვთისმშობლის სარტყელი და ამავე სახელწოდების ხატი დიდ სათაყვანებელ სიწმინდედ ითვლებოდა. სამეგრელოს გარდა, ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის ასლები ამშვენებდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ეკლესია-მონასტრებს.

XIX საუკუნის ბოლოს მცხეთაში, სვეტიცხოველის საკათედრო ტაძრის კანკელის მარჯვენა მხარეს დასვენებულ ხატში სხვა წმინდა ნაწილებთან ერთად ჩასვენებული ყოფილა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის თმა [83:№36]. წყაროებით დასტურდება, რომ XX საუკუნის დასაწყისში თბილისის ანჩისხატის ტაძარში დაბრძანებული ღვთისმშობლის ხატის სანაწილეში ჩასვენებული იყო ღვთისმშობლის თმა. ამჟამად, სიწმინდეების ბედი უცნობია და ისინი დაკარგულად ითვლება [7:131-169].

9.3 მაცხოვრის სახელთან დაკავშირებული სიწმინდეები საქართველოში

ქართული საეკლესიო ტრადიციის და უძველესი ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კუთვნილებას წარმოადგენს ახალი აღთქმის უდიდესი სიწმინდე – უფლის კვართი. ქართული წერილობითი წყაროების სხვადასხვა რედაქციები საქართველოში უფლის კვართის შემოსვენების ისტორიას ერთმანეთისაგან ოდნავ განსხვავებული ვერსიით წარმოგვიჩენენ. ამ წყაროებიდან მნიშვნელოვანია ქართველთა განმანათლებლის, წმინდა ნინოსადმი მიძღვნილი თხზულება „მოქცევა ქართლისა“, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება – „ქრონიკისა“ და „წმინდა ნინოს ცხოვრებისაგან“. ორივე ტექსტში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ცნობებს უფლის კვართის შესახებ. აღნიშნული თხზულების ხელნაწერმა ოთხი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი რედაქციის სახით მოაღწია ჩვენამდე, რომლებიც სხვადასხვა საუკუნით თარიღდებიან: შატბერდული და ორი სინური ხელნაწერი X საუკუნისაა, ჭელიშური – XII საუკუნის.

მართალია, ქართველთა განმანათლებლისადმი მიძღვნილი ჩვენამდე მოღწეული ხელნაწერი ტექსტები სხვადასხვა საუკუნით თარიღდება, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში ჩატარებულმა ტექსტოლოგიურმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ „მოქცევა ქართლისა“ დაწერილი უნდა იყოს არა IX საუკუნეში, როგორც დღემდე იყო მიჩნეული, არამედ წმინდა ნინოს მოღვაწეობის ახლო ხანებში, კერძოდ, IV საუკუნეში.

უფლის კვართის მცხეთაში ჩამოტანის შესახებ ვრცელი ვერსია მოცემულია XI საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე მემატიანის ლეონტი მროველის თხზულებაში, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ შემადგენელი ნაწილია.

ქართული წერილობითი წყაროების გარდა, უფლის კვართმა თავისებური ასახვა ჰპოვა ჰაგიოგრაფიულ (მაგალითად, X საუკუნის ქართველი ჰაგიოგრაფის – გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანცთელის

ცხოვრებაში") და ლიტურგიკულ ძეგლებში, ჰერალდიკურ მასალებში და ქართულ ქრისტიანულ ხელოვნებაში. ქართულ წერილობით წყაროებთან ერთად ზოგიერთი უცხოური წერილობითი დოკუმენტი მცირე, მაგრამ საინტერესო ცნობებს გვაწვდის საქართველოში უფლის კვართისა და სხვა სიწმინდეების არსებობის შესახებ. ამ მხრივ მნიშვნელოვანია XVII საუკუნის 30-50-იან წლებში საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერების: დონ ქრისტოფორო დე კასტელის, არქანჯელო ლამბერტის, ძამპის და სხვათა ცნობები. ისინი, როგორც ჩანს, ადგილობრივ მოსახლეობაში შეკრებილი გადმოცემების საფუძველზე, რომის პაპისადმი გაგზავნილ მოხსენებებში თუ თავიანთ ნაშრომებში, ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ საქართველოში ინახებოდა ქრისტიანული სამყაროს უდიდესი სიწმინდე – უფლის კვართი.

უცხოური წერილობითი წყაროებიდან უფლის კვართის შესახებ ყურადღებას იმსახურებს სირიულ-სომხური წყაროები, რომლის შესწავლას და გამოქვეყნებას დიდი ამაგი დასდო ნიკო მარმა. საქართველოში უფლის კვართის არსებობის შესახებ საინტერესო მასალებია დაცული XVI-XVII საუკუნის რუსულ წყაროებში. უძველესი რუსული წყარო, რომელშიც საუბარია მცხეთაში კვართის დაფლვის შესახებ, თარიღდება 1512 წლით. ქართულ წერილობით წყაროებში საქართველოში უფლის კვართის შემოსვლისა და მისი დაფლვის შესახებ არსებული ცნობები ძირითადად IV საუკუნის პირველ მეოთხედში მცხეთაში მოღვაწე ქართველი ებრაელების ანუ „ჰურიათი ქართველთა", შემდგომ კი „ჰურია ყოფილ" ქრისტიანთა მონათხრობის საფუძველზეა შექმნილი. აღნიშნულ ფაქტს თითქმის ყველა ქართული წყარო ხაზგასმით იმეორებს.

IV საუკუნეში, მცხეთაში მოღვაწე ქართველმა ებრაელებმა, პირველი საუკუნის 30-იან წლებში უფლის კვართის საქართველოში შემობრძანების შესახებ არსებული დეტალები იცოდნენ თავიანთი წინაპრებისაგან ნაანდერძევი წერილობითი წყაროებით და ზეპირი გადმოცემებით.

ამის შესახებ „ქართლის ცხოვრების" ლეონტი მროველისეულ მონათხრობში ხაზგასმითაა აღნიშნული: „მე, აბიათარ, მოგითხრობ თქუენ თხრობასა მას,რომელი მეუწყა და ყურითა ჩემითა ვისმინე მამისა და დედისა ჩემისაგან და რომელი წიგნთაგანცა უწყო". იმავეს იმეორებს „მოქცევა ქართლისაში" აბიათარის შვილი სიდონია.

IV საუკუნის პირველ მეოთხედში ელიოზ მცხეთელის შთამომაელებმა, მღვდელმა აბიათარმა და მისმა ქალიშვილმა სიდონიამ გაამჟღავნეს კვართის მცხეთაში მოსვენების ისტორია, მაგრამ მისი ზუსტი ადგილსამყოფელი არ მიუთითეს. ამით მათ არ დაარღვიეს ღვთის მცნება, რომ ჯერ მისი განცხადების დრო არ დამდგარა.

სიდონია ამის შესახებ გარკვევით ამბობს: „და არს ადგილი იგი, რომელი ღმერთმა იცის, და იცის დედამან ჩემმან ნინომ და არა იტყ ს, რამეთუ არა ჯერ არს სიტყუად აწ". წმინდა სიდონია ამ სიტყვებით გამოხატავს უფლის ნებას, რომ უფლის კვართის გამოჩინება, ელიას ხალენთან ერთად, მეორედ მოსვლის დროს უნდა მოხდეს. მანამდე კი იგი უხილავი უნდა დარჩენილიყო ჩვეულებრივ მოკვდავთათვის. ქართველი ებრაელები სიდონიასთან ერთად ღვთის ამ ნებას ერთგულად ასრულებდნენ.

IV საუკუნის პირველ მეოთხედში ელიოზ მცხეთელის შთამომავლების მიერ მცხეთაში უფლის კვართის დაფლვის აღიარებამ სამეფო კარისა და ხალხის ქრისტიანობაზე მოქცევის პროცესი დააჩქარა. ამრიგად, მაცხოვრის კვართმა განაპირობა არა მარტო წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლა, არამედ კვართის მცხეთაში დაფლვამ ფაქტიურად განსაზღვრა ქართლის ქრისტიანობაზე მოქცევა, რამაც საბოლოო ჯამში განაპირობა ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადება.

მცხეთაში IV საუკუნის პირველ ნახევარში უფლის კვართის საფუძველზე აშენდა პირველი ქრისტიანული ტაძარი – სვეტიცხოველი, რომლის სახელწოდება უფლის კვართსა და მასთან დაკავშირებულ სასწაულებს უკავშირდება.

მართალია, ქართული და ზოგიერთი უცხოური წყაროს მიხედვით მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში დაფლულია ქრისტიანობის უდიდესი სიწმინდე – მაცხოვრის კვართი, მაგრამ ამისდამიუხედავად უფლის კვართის კუთვნილებაზე დღესდღეობით პრეტენზიას აცხადებს მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, კერძოდ: საფრანგეთი, გერმანია, იტალია, რუსეთი და სხვ. უკანასკნელი მონაცემებით, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში არსებობს 20-ზე მეტი სამოსელი, რომელიც უფლის კვართის სახელს უკავშირდება, ხოლო ქრისტიანული სამყაროს სამოც ეკლესიას, ძირითადად კათოლიკურ ეკლესიებს,მიაჩნიათ, რომ მათთან ინახება მაცხოვრის კვართის ნაწილები.

სავსებით სწორადაა მიჩნეული, რომ „კვართის მესიანისტური იდეა ქართველ ხალხს საუკუნეების განმავლობაში სულიერად ასაზრდოებდა. მართებულად შენიშნავს საქაროველოს კათოლიკოს-პატრიარქი

ილია II, რომ მაცხოვრის კვართი არა მარტო ეკლესიის ერთიანობის სიმბოლოა, არამედ იგი „სიმბოლოა ადამიანის სულიერი განახლებისა. იგი ოდითგანვე აგრეთვე საქართველოს სულიერი ძლიერების, სიმტკიცისა და ჭეშმარიტი რწმენის სიმბოლოც იყო. ასე განიცდება იგი დღემდე: „სუეტისა ცხოველისა და კუართისა დიდებულებანი და საკვირველებანი განუყოფელ და ერთ არიან". უფრო მეტიც. გარკვეული სიმბოლური დატვირთვით მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში უფლის კვართთან ერთად დაფლული „სიდონია მცველია იმ კარიბჭისა, რომელიც მხოლოდ ღირსეულთათვის აღებს წმინდა ეკლესიის სივრცეს".

ქართული საისტორიო ტრადიცია მიიჩნევს, რომ მაცხოვრის კვართი მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძარში დაფარულია და მისი გამოჩინების ჟამი მეორედ მოსვლის დროს დადგება. ამ მიზეზის გამო იმ ადგილის ხელშეუხებლობა, სადაც ის სიწმინდეა დაცული, ყოველთვის წარმოადგენდა ქრისტიანობისათვის თავდადებული ერის უმთავრეს სულიერ მისიას.სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში უფლის კვართის დაფლულობამ განაპირობა ისიც, რომ ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში და სხვადასხვა სიგელ-გუჯრებში აღნიშნული ტაძარი კათოლიკე ეკლესიის სახელით იწოდება.

როგორც მაცხოვრის კვართი არის სიმბოლო ეკლესიური ერთიანობისა, ასევე მის საფუძველზე აშენებული სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი სიმბოლოა ქართველი ერის ერთიანობისა და ამიტომაც, ვისაც ქვეყნისათვის ზიანის მიყენება სურდა, პირველ რიგში სვეტიცხოველს ანგრევდა და ქართველი კაცის ცნობიერებაში კვართის იდეის გაქრობას ცდილობდა [7:27-95].

9.3.1 მაცხოვრის სახელთან დაკავშირებული სხვა სიწმინდეები საქართველოში


უფლის კვართის გარდა, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უძველესი დროიდან ფლობდა სხვადასხვა დროს შემოსვენებულ მაცხოვრის სახელთან დაკავშირებულ სიწმინდეებს, რომელთა უდიდესმა ნაწილმა ჩვენამდე ჟამთა სიავის გამო ვერ მოაღწია. მათ შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული როგორც ქართულ, ისე უცხოურ წერილობით წყაროებში. ამ უკანასკნელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია XVI-XVIII საუკუნეებში საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერთა თუ ევროპელ მოგზაურთა ცნობები. აგრეთვე ფასეულია, ამავე პერიოდში საქართველოში დიპლომატიური მისიით მყოფი რუსი ელჩების და მათ ელჩობაში მყოფი სასულიერო პირთა ჩანაწერები.

თუ როდის და რა ვითარებაში იქნა საქართველოში შემოსვენებული უფლის სახელთან დაკავშირებული სიწმინდეების უდიდესი ნაწილი, ჩვენთვის უცნობია, რადგან მათ შესახებ წერილობითი წყაროები არავითარ ცნობებს არ გვაწვდიან. ისინი მხოლოდ აფიქსირებენ მათ საქართველოში არსებობას. მხოლოდ ზოგიერთი მათგანის შესახებ წყაროებში გვაქვს მწირი, მაგრამ საინტერესო ცნობები დაცული, თუ როდის, როგორ და ვის მიერ იქნა შემოსვენებული ისინი ჩვენში.

ამ მხრივ, საყურადღებოა ძელი ჭეშმარიტის, ფერხთა ფიცრის და ქრისტეს სამსჭვალის საქართველოში შემოსვენების ისტორია. უფლის სხვა სიწმინდეები, როგორც ქართულ ისე უცხოურ წერილობით წყაროებში, მხოლოდ ჩამონათვლის სახითაა წარმოდგენილი.

წერილობითი წყაროების გადმოცემით, მაცხოვრის სახელთან დაკავშირებული წმინდა ნაწილები საქართველოში IV საუკუნის 20-იანი წლებიდან

ჩნდება, რაც მჭიდროდ უკავშირდება ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებას. IV საუკუნის პირველ ნახევარში მოციქულთასწორის, წმინდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევა და მირიან მეფის გაქრიატიანება დაემთხვა იერუსალიმში წმინდა კონსტანტინე დიდისა და დედამისის, ელენე დედოფლის მიერ გოლგოთაზე ქრისტეს წამების ადგილის მიკვლევას და იმ ადგილზე მოძიებული ძელი ცხოვრებისა და სხვა წმინდა ნაწილების აღმოჩენას. აღნიშნული აღმოჩენის შესახებ, როგორც ირკვევა, ქართლის სამეფო კარი ინფორმირებული იყო. ამას გვაფიქრებინებს ქართულ წერილობით წყაროებში დაცული ცნობები. „ქართლის ცხოვრების" ერთ-ერთი ავტორი, ლეონტი მროველი გადმოგვცემს, რომ წმ. ნინოს ქადაგებისა და მის მიერ აღსრულებული სასწაულების შემდეგ ქართლის მეფე მირიანმა ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინესთან დესპანები მიავლინა და ნათლისღებისათვის სასულიერო პირების გამოგზავნა ითხოვა. ქართლის მეფის მოქცევით გახარებულმა კონსტანტინე იმპერატორმა მცხეთაში „წარმოგზავნა მღვდელი ჭეშმარიტი იოანე", რომელიც ქართლში მთავარეპისკოპოსად დაადგინეს. მას თან ახლდა „მღუდელნი ორნი და დიაკონნი სამნი" [69:115].



ქრისტეს სამსჭვალი

საბერძნეთიდან ჩამოსულ სასულიერო პირთა მიერ ქართლის მოსახლეობის მოქცევის შემდეგ, როგორც ლეონტი მროველი მოგვითხრობს: „წარავლინა მირიან მეფემ ეპისკოპოსი იოანე და მის თანა წარჩინებული ერთი წინაშე კონსტანტინე მეფისა, და ითხოვა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა, რომელი მას ოდენ გამოუჩინა ღმრთისმოყუარესა ელენე დედოფალსა“. ბიზანტიის სამეფო კარზე ასეთი დავალებით მისულ იოანე ეპისკოპოსს იმპერატორმა კონსტანტინე დიდმა „სიხარულით მოანიჭა ნაწილი ძელი ცხოვრებისა, და ფიცარნი იგი, რომელთა ზედა ფერხნი დამსჭვალულ იყვნეს უფლისანი დასამსჭუალნი ხელთანი“.

ქართლის სამეფო კარის წარგზავნილებს სიწმინდეებთან ერთად კონსტანტინე იმპერატორმა თან გამოაყოლა სასულიერო პირები და კირითხურონი ეკლესიების აშენებისათვის. როგორც მოტანილი მასალიდან ჩანს, კონსტანტინე იმპერატორს დიდი გულუხვობა გამოუჩენია და ახლადმოქცეული ქართლის მეფე მირიანისათვის იოანე მთავარეპისკოპოსის ხელით გამოუგზავნია ძელი ცხოვრების ნაწილები, ორი სამსჭვალი, რომლითაც ქრისტეს ხელები დაუჭედეს და ფიცარი, რომელზეც უფლის ფეხები დალურსმეს. ბიზანტიიდან გამომგზავრებისას კონსტანტინე დიდს, ეპისკოპოს იოანესა და მისი თანმხლები პირებისათვის უთხოვია, რომ, როცა ისინი პირველად შეადგამდნენ ფეხს ქართლის საზღვარზე, აეშენებინათ ტაძარი. იოანე ეპისკოპოსმა პირნათლად შეასრულა ბიზანტიის იმპერატორის თხოვნა. ღოგორც ლეონტი მროველი გადმოგვცემს, ბიზანტიის იმპერატორისაგან წამოსულმა ქართლის სამეფოს წარმოგზავნილებმა „ვითარ მოიწიეს ადგილსა, რომელსაც ჰქან ერუშეთი, და დაუტევა ხურონი საქმედ ეკლესიისა“, სადაც მან დაასვენა „სამსჭუალნი უფლისანი და წამოვიდა“. ხოლო მანგლისში მისვლისას მას დაუწყია ეკლესიის შენება, სადაც იოანე ეპისკოპოსმა „დაუტევნა ფიცარნი იგი უფლისანი“ [69:117-118].

ქართლის სამეფოში მოსვენებული სიწმინდეთა ადგილსამყოფლის შესახებ ლეონტი მროველისეული ვერსიისაგან განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს „მოქცევა ქართლისა“ და XII საუკუნით დათარიღებული არსენ ბერის „წმინდა ნინოს ცხოვრება“. ამ წყაროთა ცნობით, ერუშეთში იოანე მთავარეპისკოპოსმა დატოვა ფეხთა ფიცარი მაცხოვრისა, ხოლო „სამსჭვალნი ხელთანი“ მანგლისში. მოქცევა ქართლისა“ [76:323].

სამწუხაროდ, უფლის სახელთან დაკავშირებულ, ჩვენ მიერ გამოკვლეულ სიწმინდეთა უდიდეს ნაწილს ჩვენამდე არ მოუღწევია. ჟამთა სიავისა თუ ბოლშევიკთა ათეისტური რეჟიმის გამო საეკლესიო სიწმინდეთა დიდი ნაწილი ფიზიკურად გაანადგურეს [7:95-126].

9.4 წმინდა მოციქულთა მოღვაწეობა საქართველოში

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სამოციქულო ეკლესიაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენში, პირველ საუკუნეში ქრისტეს მოძღვრება იქადაგეს მაცხოვრის მოციქულებმა — ანდრია პირველწოდებულმა, სიმონ კანანელმა და მატათამ. აღნიშნული საეკლესიო გადმოცემის უტყუარობას ადასტურებს როგორც ქართული, აგრეთვე უცხოური წერილობითი წყაროები, რომლებიც საინტერესო ცნობებს გვაწვდიან საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობის შესახებ. ამ დოკუმენტური მასალებიდან უცხოური წერილობითი წყაროები ადრინდელი პერიოდისაა, ხოლო ქართული შედარებით გვიანი ხანით თარიღდება [7:170].

წმიდა ანდრიასა და სხვა მოციქულების ქადაგება საქართველოში „პირველწოდებული ანდრია, ძმაი თაჳისა მოციქულთაისა პეტრესი, ვიდრე ჩვენდამდეცა მოიწია და ქადაგა საცხორებელი

ქადაგებაი სახარებისი ყოველსა ქუეყანასა საქართველოისასა", – წერდა დავით აღმაშენებლის დროს მოწვეული რუის-ურბნისის საეკლესიო კრება, ყველაზე ავტორიტეტული კრება ქართული ეკლესიის ისტორიაში.

ამ კრების თანახმად, სამწყსო წმიდა ანდრია მოციქულისა იყო არა რომელიმე კუთხე, არამედ მთლიანი საქართველო – „ყოველი ქუეყანა საქართველოისა".

გიორგი მცირე საქართველოს უწოდებს ანდრია მოციქულისა და სიმონ კანანელის სამწყსოს. „ესრეთ ყოველი აღმოსავლი განანათლა და ნაწილი იგი ანდრეა მოციქულისა და სიმონ კანანელისა კუალად განმტკიცა, რამეთუ ანდრეა მოციქულმან მოვლო ქვეყანა ჩუენი, ხოლო სიმონ კანანელმან სრულიად დაიმკვდრა, რამეთუ ნიკოფსს არიან ნაწილნი მისნი წმიდანი".

დეკანოზი მ. კელენჯერიძე წერს: „ქრისტეს სჯულის პირველ მქადაგებლებად საქართველოში ქრისტეს მოციქულები ითვლებიან: ანდრია, სვიმონ კანანელი, მატათე და კაპადოკიაშიც პეტრე".

მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე, ღვთისმეტყველთა თანახმად, ამაღლდა 30 წლის 18 მაისს, ხუთშაბათს. ამაღლების წინ მან აკურთხა მოციქულები, რათა მათ მთელ მსოფლიოში ექადაგნათ. მეათე დღეს, სულიწმიდის მოფენის შემდეგ, მოციქულებმა იწყეს გამგზავრება მთელ მსოფლიოში. ანდრია კი გამოემართა საქართველოში, სადაც ამ დროს მეფობდა ადერკი (გ. მელიქიშვილის თანახმად, დაახლოებით 35 წლის ჩათვლით). მაშასადამე, ანდრია მოციქული საქართველოში მოსულა 30-35 წლებში, ამავე დროს მას მოუქცევია სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს მცხოვრებნი – მეგრელები და კლარჯნი, რითაც მეფე ადერკის მრისხანება გამოუწვევია. ანდრია მოციქული ამ პირველი მოგზაურობის გარდა სხვა დროსაც ჩამოსულა საქართველოში, ახლა უკვე სხვა მოციქულებთან ერთად. ამ დროს მეფე ადერკი ცოცხალი აღარ ყოფილა. მაშასადამე, ანდრია მოციქულის საქართველოში პირველი მოგზაურობა შეიძლება 30-35 წლებით დათარიღდეს.

როგორც „ქართლის ცხოვრების" – ტექსტიდან ჩანს, საფიქრებელია, რომ პირველი მოგზაურობის დროს ანდრიამ მხოლოდ სამხრეთი საქართველო მოიარა, რომლის მცხოვრებლებსაც მემატიანე თითქოსდა „მეგრელებს" უწოდებს, ხოლო მათ ერისთავს – კლარჯეთის ერისთავს. ასეთი რამ უცნაურად არ მოგვეჩვენება, თუ გავიხსენებთ, რომ ტაო-კლარჯეთს I საუკუნისთვის ნ. მარი „მეგრულ-ლაზური ტომებით" დასახლებულ ქვეყნად მიიჩნევდა. თუ ეს ასეა, მაშინ წმიდა ანდრიას საქართველოში მიმოსვლის ტექსტი ძველად დაწერილი აღმოჩნდება.

საქართველოში მესამე მოგზაურობის დროს ანდრია მოციქულს თან ჩამოუყვანია სხვა მოციქულები – სიმონ კანანელი და მოციქული მატათია. ამის შესახებ წერს ეპიფანე კონსტანტინოპოლელი (VIII ს.), რომელიც იყენებდა ძველ წყაროებს. ეპიფანე კონსტანტინოპოლელის თანახმად, მოციქული სიმონ კანანელი დაკრძალულია ნიკოფსიაში, რაც ეთანხმება „ქართლის ცხოვრებასა" და ძველ ქართულ ტრადიციას.

ეპიფანე კვიპრელის (IV ს.) თანახმად კი, საქართველოში მეორე მოციქულიცაა დაკრძალული – მოციქული მატათა ანუ მატათია, რომელიც მოციქულად არჩეულ იქნა ნაცვლად გამცემელ იუდა ისკარიოტელისა. „მატათიამ იქადაგა სახარება მეორე ეთიოპიაში (კოლხეთში), სადაც არის აფსარის ციხე-სიმაგრე და ჰვისის ნავსადგური. იქვე გარდაიცვალა და დამარხულია დღემდე".

ძველი ისტორიკოსები ზღვის სანაპიროზე ასახელებენ პუნქტებს, სადაც უქადაგნიათ მოციქულებს – კერძოდ, ფაზისს, სებასტოპოლისს და აფსარს. ამ ქალაქებში შემდგომ რომაული გარნიზონები ჩამდგარან – „რომაულ ციხე-სიმაგრედ გადაიქცა აგრეთვე ქალაქი ფაზისი, ფლავიუს არიანეს 131 წლის საინსპექციო მოგზაურობის დროს რომაული გარნიზონები იდგნენ დიოსკურიაში, ფაზისსა და აფსარში, რომელიც მდ. ჭოროხის შესართავთან, დღევანდელ გონიოს ადგილზე იმყოფებოდა.

„კვიპრელი ეპისკოპოსის ეპიფანეს სიტყვით, მან იცოდა გადმოცემიდან, რომ ნეტარმა მოციქულმა ანდრიამ იქადაგა დიდ სებასტოპოლისში, სადაც არის აფსარის ციხე-სიმაგრე და ჰვისის ნავსადგური და მდინარე ფასისი, სადაც მოსახლეობდნენ იბერიელნი, სუსანელნი, ფუსტელნი და ალანნი".

მაშასადამე, IV საუკუნის ავტორი ეპიფანე კვიპრელი წერს, რომ დიდი სებასტოპოლისი, მდინარე ფაზისის ხეობა და აფსარის ტერიტორია დასახლებულია იბერებით, ანუ ქართველებით.

ეპიფანეს ცნობით, ანდრია მოციქული პირველი მოგზაურობის დროს „მივიდა ტრაპეზუნტში, ლაზიკის ქალაქში (ეფთვიმე მთაწმიდელის ქართული ვერსიით: „მიიწია ქალაქად ტრაპეზუნტად, რომელი იგი შენ არს სოფელსა მეგრელთასა"), აქედან ის წავიდა იბერიაში. მას შემდეგ, რაც მან ზღვისპირის მცხოვრებნი მრავალნი განანათლნა, ის ჩავიდა იერუსალიმში". მეორე მოგზაურობის დროს, ჰაგიოგრაფის ცნობით, ანდრია ისევ „მოიწია ქალაქსა ტრაპეზუნტს". მესამე მოგზაურობის დროს – გადმოგვცემს ჰაგიოგრაფი, – ანდრია და მისნი თანამოღვაწენი მატათა და სიმონ კანანელი მოწაფეებითურთ ჩავიდნენ იბერიაში და ფასისში".

მოციქულების მიმოსვლასთან დაკავშირებით ხშირად გვხვდება სამი პუნქტი – ტრაპეზუნტი, აფსარი და ნაფსაის ნავსადგური.

პ. ინგოროყვა წერს: „დასაზღვრული სამი პუნქტი დასავლეთ საქართველოსი, – ტრაპეზუნტი – სამხრეთ მხარიდან, აფსარი – შუა მხარიდან და ნაფსაის ნავთსადგური (ნიკოფსია) ჩრდილოეთი მხარიდან – ნიშანდობლივ ამორჩეული აქვს იოანე საბანის ძეს, კერძოდ, იმის გამო, რომ სწორედ ამ პუნქტებთან იყო დაკავშირებული გადმოცემები ქრისტიანობის გავრცელების შესახებ დასავლეთ საქართველოში თვით მოციქულთა მიერ. სამხრეთით მდებარე ტრაპეზუნტი არის ის პუნქტი, სადაც გადმოცემით, იქადაგა ანდრია მოციქულმა და საიდანაც იგი შემოვიდა საქართველოში, შუა მხარეში მდებარე აფსარი არის ის პუნქტი, სადაც გადმოცემით, დასაფლავებული იყო ანდრიას თანამოღვაწე მოციქული მატათა, ჩრდილოეთ მხარეში მდებარე ნაფსაის ნავსადგური (ნიკოფსია) არის პუნქტი, სადაც გადმოცემით დასაფლავებული იყო ანდრიას მეორე თანამოღვაწე, მოციქული სიმონ კანანელი“.

უნდა დავასკვნათ, რომ ქართველთა შორის ქრისტიანობა მოციქულებმა გაავრცელეს. როგორც უკვე ითქვა, საქართველოში რამდენიმე მოციქულმა იქადაგა. ორი მოციქული საქართველოშივე განისვენებს, კერძოდ, სიმონ კანანელი და მატათა. ქართული ეკლესია დაამყარა წმ. მოციქულმა ანდრიამ, რადგანაც მან ხელი დაასხა საქართველოს პირველ ეპისკოპოსს აწყურში და დაუარსა მას საეპისკოპოსო კათედრა, რომელშიც მღვდლები და დიაკვნები ჰყავდა.

ქართული ეკლესიის მღვდელმთავრები დიდი ჩამოლოცვის, პურის კურთხევისა ან სხვა ლოცვის დროს ვალდებულნი იყვნენ და არიან მოიხსენიონ ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი, ბართლომე და თადეოზი. ტექსტის ნაწილი ასეთი სახისაა: „ წმიდათა დიდებულთა და ყოვლადქებულთა მოციქულთა ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელისათა, თადეოზისა და ბართლომესითა“ ეს იმას ნიშნავს, რომ საუკუნეთა მანძილზე ქართული ოფიციალური ეკლესია აღიარებდა, რომ საქართველოს განმანათლებლები არიან ლოცვის დროს მოხსენიებული ეს მოციქულები [162].

9.5 ქართველთა განმანათლებლის და მოციქულთასწორის წმინდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში

კათოლიკოს-პატრიარქის ქადაგება ნინოობის დღესასწაულზე (01.06.2017)



ჩვენს ისტორიაში და საერთოდ კაცობრიობის ისტორიაში ხშირი შემთხვევაა, როცა გამოჩნდება ისეთი მნიშვნელოვანი პიროვნება, რომლის გავლენაც არის მთელი საუკუნეების მანძილზე და მანამდეც სანამ იარსებებს ეს დედამიწა. აი ასეთი პიროვნება ბრძანდება წმინდა ნინო, რომელიც ჩამოვიდა კაბადოკიიდან საქართველოში და შესცვალა ჩვენი ერი, შესცვალა კულტურა, სარწმუნოება და დაგვაყენა ჭეშმარიტ გზაზე.

თქვენ წარმოიდგინეთ, წმინდა ნინო რომ არ ყოფილიყო, რა იქნებოდა საქართველო. ან იქნებოდა ქრისტიანობა საქართველოში? წმინდა ნინომ თავისი ღვაწლით, თავისი ლოცვითა და სასწაულებით; გაკურნა ნანა დედოფალი, მირიან მეფეს კი დაუბრუნა მხედველობა, როცა მან მიმართა წმინდა ნინოს ღმერთს. წმ. ნინომ აღასრულა სხვა მრავალი სასწაული, რაც მეტყველებს იმაზე, რომ იგი არის განსაკუთრებული პიროვნება საქართველოსთვის და ჩვენ ყოველდღე უნდა ვადიდოთ წმინდა ნინო და უფალი, რომელმაც მისცა ეს ძალა წმინდა ნინოს [176].

წმიდა ნინო – ქართველთა განმანათლებელი და მოციქულთა სწორი [9]

საქართველოში ქრისტიანობა პირველივე საუკუნეებიდან გავრცელდა, ხოლო IV საუკუნის პირველ მეოთხედში წმ. ნინოს მოღვაწეობის შედეგად სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა. აღნიშნული ღვაწლის გამო წმ. ნინო ქართველთა განმანათლებლად და მოციქულთა სწორად არის მიჩნეული.

გასარკვევია ერთი საკითხი, თუკი საქართველოში ქრისტიანობა მოციქულებმა გაავრცელეს, რატომ გახდა აუცილებელი წმინდა ნინოს შემოსვლა? ეს კითხვა უძველეს დროშიც აწუხებდათ. ჯერ კიდევ, უფრემ მცირეს გარკვეული შეუსაბამობა შეუნიშნავს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. იგი შეეცადა აეხსნა, თუ რით იყო გამოწვეული ასეთი შეუსაბამობა. მისი აზრით, მოციქულების შემდეგ ხალხმა

დაივიწყა ქრისტეს მოძღვრება და ისევ წარმართობისაკენ მიიქცა, ქვეყანა „მრავალჟამ დაიპყრნა ღუარძლმან მტკერპეთამან". ეფრემ მცირეს განმარტებით, ასეთ ფაქტს ადგილი თვით საბერძნეთშიც ჰქონია. „ვიდრე ჟამთამდე მეორედ პაულედ ზეცით წოდებულისა დიდისა კონსტანტინესთა". სწორედ წმინდა კონსტანტინე იმპერატორის ხელშეწყობით იმპერიის მასშტაბით ქრისტიანობას გასაქანი მიეცა. უფალმა – ეფრემ მცირეს აღნიშნით – „არცა ჩუენ მცირენი დაგჴტევნა უღუაწად, არამედ ესრეთ განაგო კუალად აღმოწოდებაჲ ჩუენი" და ჩვენთან ხელახლა საქადაგებლად გამოგზავნა წმინდა ნინო.

ჩვენი მხრივ კი დავძენთ, რომ მოციქულთა მოღვაწეობის შემდგომ, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, ქრისტიანობა კვლავ ერცელდებოდა მოგზაურთა თუ სხვათა მეშვეობით. IV საუკუნემდე, როგორც დასავლეთ ისე აღმოსავლეთ საქართველოში არსებობდა ე. წ. ქრისტიანული თემები, რაზეც მეტყველებს არქეოლოგიური მონაცემები და წერილობითი წყაროები. ახალი წელთაღრიცხვით I-III საუკუნეებში საქართველოში არსებული ქრისტიანული თემები სამეფო ხელისუფლებისაგან. მართალია, დევნას არ განიცდიდა, მაგრამ ისინი ფარული სახით არსებობდნენ. სახელმწიფო ხელისუფალნი და მათი ქვეშევრდომნი ისევ წარმართ კერპებს აღმერთებდნენ, თუმცა, როგორც წყაროებით ირკვევა, ქრისტიანული თემები გარკვეულ გავლენას ახდენდნენ წარმართულ მოსახლეობაზე და თვით სამეფო ხელისუფლებაზეც. ამ მხრივ, საინტერესო ცნობებია დაცული დაახლოებით III საუკუნის შუა ხანებში მოღვაწე ქართლის მეფე რევ მართლის შესახებ. „ქართლის ცხოვრების" მიხედვით: „ესე რევ მეფე დაღაცათუ იყო წარმართი, არამედ იყო მოწყალე და შემწე ყოველთა ჭირვეულთა: რამეთუ სმენილ იყო მისდა მცირედ რამე სახარება უფლისა იესო ქრისტესი, და აქუნდა რამე სიყუარული ქრისტესი". მოტანილი ციტატიდან აშკარად ჩანს, თუ რა გავლენას ახდენდნენ მცხეთაში არსებული ქრისტიანული თემები წარმართ მოსახლეობაზე. ამ ფაქტით უნდა აიხსნას ისიც, რომ მეფე რევ მართალმა აკრძალა არმაზის კერპისათვის ჩვილ ბავშვთა შეწირვა. მეფის ამ გადაწყვეტილებას წარ მართი მოსახლეობა კმაყოფილებით შეხვედრია. როგორც ჩანს, სახარებისეულმა ქადაგებამ წარმართი მოსახლეობა ახალი სარწმუნოების მისაღებად მოამზადა. თვით წარმართი მეფის, რევის ზეწოდება „მართალი" ქრისტიანულია და იგი ჭეშმარიტების მაძიებელს ნიშნავს.

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად, წმინდა ნინოს დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მისი ქართლში შემოსვლის დროს ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა. მისი ქადაგების შედეგად სამეფო კარის წევრებთან ერთად მთელი ერი მოექცა ახალ სარწმუნეობაზე. ამის გამო ითვლება იგი ქართველთა განმანათლებლად და მოციქულთასწორად.

ყურადღება უნდა მიექცეს ერთ მნიშვნელოვან ფაქტსაც. წმინდა ნინოს დროს ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარება განაპირობა წინა აზიაში იმ დროს შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ. კერძოდ, იმ ფაქტორმა, რომ ნისიბინის საზავო ხელშეკრულებით (298 წ.) საქართველო და სომხეთი რომის იმპერიის ქვეშევრდომები გახდნენ. IV საუკუნის დასაწყისში კონსტანტინე იმპერატორმა იმპერიის მასშტაბით ქრისტიანობა შეიწყნარა, შემდგომ კი სახელმწიფო სარწმუნოებად გამოაცხადა. ამ ფაქტორმა გავლენა მოახდინა აღმოსავლეთ რომის იმპერიისადმი დაქვემდებარებულ საქართველოზე, სადაც აგრეთვე ამავე პერიოდში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა. იმის აღნიშვნაც აუცილებელია, რომ წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლის დროს მთელი ერი მზად იყო ქრისტიანობის მისაღებად. რომ არა მოციქულთა ღვაწლი, წმინდა ნინოს გაუჭირდებოდა ქართველი ხალხის გაქრისტიანება.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ფაქტზეც, რომ ქართველთა განმანათლებელი ქალია. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს ერთადერთი შემთხვევაა მსოფლიოს ქრისტიანული ქვეყნების ისტორიაში. ამ ფაქტის შესახებ ცნობილი ქართველოლოგი ბერნარდ უტიე აღნიშნავს: „ნამდვილად შეუდარებელი არის საქართველო იმიტომ, რომ თქვენი დედა სარწმუნოებაში, თქვენი განმანათლებელი, თქვენი მოციქული – ქალია, წმინდა ნინო; რამდენადაც ვიცი, ეს მსოფლიოს ისტორიაში მხოლოდ ერთხელ მოხდა და ისიც თქვენთან, ქართველებთან". აღნიშნულ ფაქტს ჯერ კიდევ XII საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე კათოლიკოს-პატრიარქმა ნიკოლოზ გულაბერიძემ (1150-1177) მიაქცია ყურადღება. იგი ცდილობს, გასცეს პასუხი კითხვას: „...ხოლო პირველად ესე საძიებელი არს, თუ რა სთვის უკუე დედაჲკაცი აჩინა და წარმოავლინა ღმერთმან ჩუენდა მიმართ". ნიკოლოზ გულაბერიძემდე, როგორც მკვლევარი კორნელი კეკელიძე აღნიშნავს, არავის მოსვლია აზრად, პასუხი გაეცა კითხვაზე: „რატომ აირჩია ღმერთმა ქალი ამ მიზნის განსახორციელებლად და არა მამაკაცი"? თავის დროზე თავად ნიკოლოზ გულაბერიძემ გასცა პასუხი დასმულ კითხვას. ნიკოლოზ გულაბერიძის მიხედვით,

ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც განაპირობა წმინდა ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, იყო საქართველოს ღვთისმშობლის წილხვედრობა. ღვთისმშობელს თავად სურდა ამ ქვეყნის მოქცევა, მაგრამ მაცხოვარმა მის მაგივრად საქართველოს მოსაქცევად მოციქულთასწორი წმინდა ნინო მოავლინა. თავისთავად „საქართველოს განმანათლებლად მოსული ღირსი დედა მალე თავად შეირაცხა „ქართლის მაცხოვრად“, „დედად ქართველთა თემისაჲ“.

ქართველთა განმანათლებელი წმინდა ნინოსადმი მიძღვნილი წერილობითი წყაროები მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. მათი მრავალმხრივობა იმითაა განპირობებული, რომ ქართული წერილობითი წყაროების გარდა, მის შესახებ ცნობები დაცულია ადრეული ხანის უცხოურ წერილობით წყაროებში. თავის მხრივ, ქართული წყაროების მრავალფეროვნება იმაში გამოიხატება, რომ ჩვენამდე მოაღწია ქართველი განმანათლებლისადმი მიძღვნილმა ჰაგიოგრაფიული თხზულების რამდენიმე რედაქციამ, რომელიც სხვადასხვა საუკუნით თარიღდება.

უძველესი ქართული საისტორიო წყარო, რომელმაც ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს ცხოვრება შემოგვინახა, ცნობილია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ სახელით. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ორი ნაწილისაგან შედგება: პირველია „ქრონიკა“, რომელშიც ქრონიკების სახით მოთხრობილია ქართლის ისტორია ძველი წელთაღრიცხვით IV საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვით IX საუკუნემდე. აღნიშნულ ქრონიკაში ნინოს მოღვაწეობას მცირე ადგილი აქვს დათმობილი, რის გამოც, მას „წმინდა ნინოს ცხოვრების“ მცირე რედაქციას უწოდებენ. „მოქცევაჲს“ მეორე ნაწილში გადმოცემულია „ნინოს ცხოვრება“ უფრო სრული სახით. ამიტომ, იგი ვრცელი რედაქციის სახელითაა ცნობილი. „წმინდა ნინოს ცხოვრების“ მოკლე და ვრცელი რედაქციები ერთმანეთისაგან მცირედ განსხვავდებიან.10 „მოქცევაჲ ქართლისაჲმ“ ჩვენამდე ოთხი ხელნაწერის სახით მოაღწია. აქედან შატბერდული (იგი სამხრეთ საქართველოში არსებულ შატბერდის მონასტერში გადაიწერა) და ორი სინური (სინას მთაზე გადაწერილი) რედაქცია X საკუნისაა, ხოლო ჭელიშური (იგი ჭელიშის მონასტრის კუთვნილება იყო) XIV საუკუნით თარიღდება. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ზემოთ აღნიშნული ხელნაწერები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ რედაქციებს წარმოადგენს.

როგორც ვხედავთ, ქართველთა განმანათლებელისადმი მიძღვნილი თხზულების უძველესი ხელნაწერი X საუკუნით თარიღდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ წმინდა ნინოსადმი მიძღვნილი თხზულება ამ დროს დაიწერა, იგი ადრე უნდა შექმნილიყო. კარგა ხნის მანძილზე ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული იყო მოსაზრება, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ IX საუკუნეში შექმნილი ძეგლია. დღესაც მეცნიერთა დიდი ნაწილი ამ მოსაზრებას იზიარებს. თავიანთი შეხედულების დასამტკიცებლად მათ მოაქვთ ის ფაქტი, რომ „მოქცევაჲს“ ქრონიკაში თხრობა IX საუკუნით მთავრდება და აქედან გამომდინარე წმ. ნინოს ცხოვრებასაც ამ საუკუნით ათარიღებენ. უკანასკნელ პერიოდში ჩატარებულმა ტექსტოლოგიურმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ დაწერილია არა IX საუკუნეში, როგორც აქამდე მიაჩნდათ, არამედ წმინდა ნინოს მოღვაწეობის დროს, რაც, ჩვენი აზრით, რეალობასთან ახლოს დგას. თუმცა, როგორც მკვლევრები მიუთითებენ, ავთენტურ ტექსტს ჩვენამდე არ მოუღწევია, რადგან „წმინდა ნინოს ცხოვრებას მნიშვნელოვანი ცვლილება განუცდია. ტექსტოლოგიური კვლევით „მოქცევაჲში“ გამოიკვეთა ძველი შრეებიც“.

„მოქცევაჲ ქართლისაჲს“ გარდა „წმინდა ნინოს ცხოვრებამ“ ჩვენამდე რამდენიმე რედაქციით მოაღწია. მათ შორის აღსანიშნავია XI საუკუნის მეორე ნახევრით დათარიღებული ისტორიკოს ლეონტი მროველის რედაქცია, რომელიც „ქართლის ცხოვრებაშია“ მოთავსებული. იგი დაწერილია „მოქცევაჲს“ საფუძველზე. აგრეთვე მნიშვნელოვანია XII-XIII საუკუნით დათარიღებული „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ორი რედაქცია, რომელთაგან ერთი არსენ ბერისეულია, მეორე კი მის პერიფრაზს წარმოადგენს.14 ორივე რედაქცია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და ლეონტი მროველის ვერსიებს ეყრდნობა. ყურადსაღებია აგრეთვე „წმინდა ნინოს ცხოვრების“ სვინაქსარული ცხოვრების ოთხი რედაქცია. წმ. ნინოს სამისიონერო მოღვაწეობას ეხება XII საუკუნის მეორე ნახევრის კათოლიკოს-პატრიარქის ნიკოლოზ გულაბერიძის (1150-1177) ნაშრომი „საკითხავი სუეტის-ცხოველისანი, კუართისა საუფლოჲსა და კათოლიკე ეკლესიისაჲ“. როგორც ტექსტოლოგებმა დაადგინეს, XIII საუკუნეში არსენ ბერისეული მეტაფრასული „ცხოვრების“ საგრძნობი შემოკლების საფუძველზე უცნობ ავტორს შეუდგენია ნინოს ცხოვრება, რომელიც თავისი მოცულობის გამო სვინაქსარულ ცხოვრებათა რიცხვს განეკუთვნება. მნიშვნელოვანია აგრეთვე წმ. ნინოს სვინაქსარული ცხოვრების ოთხი რედაქცია. XI საუკუნეში, ლიტურგიკული დანიშნულების მიზნით, შექმნილა წმინდა ნინოს ცხოვრების ყველაზე ადრინდელი სვინაქსარული რედაქცია. თავის მხრივ, აღნიშნული სვინაქსარული რედაქცია საფუძლად დასდებია XIV საუკუნეში შექმნილ მეორე სვინაქსარულ რედაქციას. რაც

შეეხება ნინოს ცხოვრების დანარჩენ სვინაქსარულ რედაქციებს, ისინი შედარებით გვიანი ხანით, კერძოდ კი XVII-XVIII საუკუნეებით თარიღდებიან და ამდენად ახალს, მნიშვნელოვანს არაფერს შეიცავენ. ასეთია წმ. ნინო განმანათლებლისადმი მიძღვნილი ქართული საისტორიო წყაროების ზოგადი დახასიათება. ჩვენი აზრით, აღნიშნული წყაროებიდან თავისი სიძველისა და შემადგენლობის მიხედვით, უპირატესობა მაინც შატბერდის კრებულში მოთავსებულ წმ. ნინოს ცხოვრებას ენიჭება.

გარდა ქართული წყაროებისა, საქართველოში წმ. ნინოს მოღვაწეობის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის უძველესი ხანის უცხოური წერილობითი წყაროები. ამ მხრივ, აღსანიშნავია IV საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ცნობილი საეკლესიო მამის გელასი კესარიელის († 395 წ.) „საეკლესიო ისტორია". მართალია, გელასი კესარიელის აღნიშნულ შრომას ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ უკვე დადასტურებულია, რომ მისი „საეკლესიო ისტორია" სრული სახით შემონახულია V საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე გელასი კვიზიკელის მეშვეობით. ჩვენს საკვლევ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა რომაელი ისტორიკოსის რუფინუსის († 410 წ.) „საეკლესიო ისტორია", რომლის შედგენა მას დაუწყია 402 წელს. აგრეთვე, ყურადსაღებია თეოდორიტე კვირელის (393-457), სოკრატე სქოლასტიკოსის (380-440) და იერემია სოზომენეს (IV საუკუნის ბოლო, V საუკუნის პირველი ნახევარი) შრომები.

როგორც ვხედავთ, საკმაო რაოდენობის ბერძნულ-რომაული წყაროები გვაწვდიან ცნობებს ქართლის გაქრისტიანების შესახებ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ბერძენ-რომაელ ავტორებთან მოცემული ცნობები ერთმანეთისაგან თითქმის არ განსხვავდება და უმეტესობა წინამორბედის მონათხრობის თარგმანს წარმოადგენს. უკანასკნელ დრომდე რუფინუსის „საეკლესიო ისტორია" გელასი კესარიელის ისტორიის თარგმანად მიაჩნდათ, მაგრამ ამ ორი გადმოცემის შედარებით გაირკვა, რომ მიუხედავად ბევრი მსგავსებისა, დასახელებულ ისტორიკოსთა მონათხრობი ისეთ განსხვავებებს შეიცავს, რომელნიც უარყოფენ იმ აზრს, რომ თითქოს იგი ერთი და იმავე ავტორის ნააზრევს წარმოადგენს. ზემოჩამოთვლილი უცხოური წერილობითი წყაროების მონათხრობი, როგორც ტექსტიდან ირკვევა, ეყრდნობა გელასი კესარიელის მიხედვით „ფრიად სარწმუნო ბაკურს, კაცს ფრიად ღვთისმოშიშს, მეფის შთამომავალს და იბერთა შორის სახელოვანს, რომელიც გახდა რომაელთა სატრაპი." როგორც მოტანილი ციტატიდან ირკვევა, გელასი კესარიელს ქართლის გაქრისტიანების შესახებ ამბები ჩაუწერია ქართველი მეფისწულის ბაკურისაგან, რომელიც მის დროს აღმოსავლეთ რომის იმპერიის დომესტიკოსი ყოფილა და იგი პირადად იცნობდა ქართველ მეფისწულს. იმავეს, ოდნავ განსხვავებული ფორმით, იმეორებს რუფინუსი. იგი აღნიშნავს, რომ ეს ყველაფერი „ჩვენ გვიამბო ფრიად სარწმუნო კაცმა ბაკურმა თვით ამ ხალხის (იბერიელების – ე. ბ.) მეფემ, რომელიც ჩვენში იყო დომესტიკოსი... როდესაც ჩვენთან ერთად ცხოვრობდა. სრულის ერთსულვნებით იერუსალიმში." მოტანილი ვრცელი ციტატით დგინდება, რომ რუფინუსმა, როცა ბაკურისაგან მიიღო ცნობები (402 წელი) ქართლის გაქრისტიანების შესახებ, ეს უკანასკნელი უკვე იბერიის მეფედაა მოხსენიებული, ხოლო გელასი კესარიელთან კი ბაკური ჯერ კიდევ მეფისწულადაა დასახელებული. როგორც ჩანს, ორივეს აღნიშნული მონათხრობი ერთიდაიმავე პირისაგან ჩაუწერიათ – სხვადასხვა დროს. გელასი კესარიელი და რუფინუსი (ერთხანს იგი იერუსალიმში მოღვაწეობდა) ახლოს იცნობდნენ ქართველ მეფისწულს და სავსებით შესაძლებელია, რომ ორივეს, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ჩაეწერათ ქართველი მეფისწულის მონათხრობი. ყოველივე აღნიშნული გამორიცხავს იმ ფაქტს, რომ რუფინუსის „საეკლესიო ისტორია" გელასი კესარიელის ისტორიის თარგმანია. რაც შეეხება სოკრატე სქოლასტიკოსის, იერემია სოზომენეს, გელასი კვიზიკელის ცნობებს, ზოგი რუფინუსის მასალით სარგებლობს, ზოგი კი გელასი კესარიელით.

მცირე განსხვავების მიუხედავად, ბერძნული წყაროები ერთნაირი სახით გადმოგვცემენ იბერიის გაქრისტიანებას, რომლის „მიზეზი გახდა ერთი დედაკაცი, რომელიც მათთან იყო ტყვედ". მათ მონათხრობში დიდი ყურადღება ექცევა წმინდა ნინოს ღვთისმოსაობას, „კურნების ნიჭს", თუ როგორ კურნავს იგი – სრულიად უანგაროდ – ავადმყოფ ბავშვს, შემდეგ კი მოურჩენელი სენით დაავადებულ დედოფალს. დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე მეფის ნადირობის დროს მომხდარი სასწაულის აღწერას, შემდგომ კი მთელი ერის მოქცევასა და „ტყვე ქალის" ლოცვის შედეგად ეკლესიის შენების დროს ჰაერში დაკიდებული სვეტი თუ როგორ დაეშვა კვარცხლბეკზე და სხვა. ერთი სიტყვით, შინაარსობრივი თვალსაზრისით, ნინოს ცხოვრების ბერძნული ვერსია თითქმის ქართული ვერსიის იდენტურია, რაც საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ბაკურმა მათ (გელასი კესარიელი და რუფინუსი) მართალია, უამბო ქართლის გაქრისტიანების ამბები, მაგრამ, როგორც ჩანს, ქართველი მეფისწულის ცნობები ზეპირ მონათხრობს არ ემყარება. ბაკური უეჭველია, სარგებლობდა იმ დროისათვის ქართულ ენაზე არსებული წმინდა ნინოს ცხოვრებით. ბერძნული წყაროები საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ IV საუკუნეში უკვე არსებობდა „ნინოს ცხოვრების" ქართული ვერსია. სხვანაირად წარმოუდგენელია, წმინდა ნინოს მოღვაწეობიდან 80 წლის შემდეგ მისი ცხოვრების შესახებ უცხოური ვერსიები

იქმნებოდეს და ამ დროს არ არსებობდეს მისი ცხოვრების ქართული ვერსია. გამოდის, რომ IX საუკუნეში უცხოური წყაროების გაცნობით ქართველობას საჭიროდ მიუჩნევია, აღეწერა წმ. ნინოს ცხოვრება. საქართველოში ყველა წმინდანის სახელზე იქმნებოდა მათი „ცხოვრება“, წარმოუდგენელია, რომ ქართველთა განმანათლებლის შესახებ მისი მო ღვაწეობის ეპოქაში არ დაწერილიყო ასეთი „ცხოვრება“.

ბერძნული წყაროების გარდა წმ. ნინოს საქართველოში მოღვაწეობის შესახებ ფრაგმენტული, მაგრამ საინტერესო ცნობებია დაცული არაბულ, სირიულ და კოპტურ ძეგლებში. აღნიშნული წყაროების მნიშვნელობა ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე შეუსწავლელია. მის შესახებ პირველად 1910 წელს მკვლევარმა მ. თამარაშვილმა მიუთითა. ამ უკანასკნელის მიხედვით, ჩვენამდე მოღწეული მცირე კოპტური წყარო წმინდა ნინოს შესახებ არაბულ სვინაქსარშია დაცული, რომლის შემდგენელიც, მ. თამარაშვილის აზრით, „ქართლის მოქცევის თანამედროვე უნდა იყოს“.

ქართლის გაქრისტიანების შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული სომხურ წყაროებში. ამ მხრივ, პირველ რიგში ყურადღებას იმსახურებს V საუკუნის სომეხი ისტორიკოსის მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიის“ პირველი წიგნის 86-ე თავი, სადაც მოთხრობილია ნუნეს (წმინდა ნინოს იგი ამ სახელით მოიხსენიებს) მიერ ქართლის გაქრისტიანება. მის ამ ცნობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგან შემდგომი ხანის სომეხი ისტორიკოსები, მოსე კალანკატუელი, აგათანგელოსის ისტორიის არაბული ვერსიის ავტორი და სხვები საერთოდ არ ახსენებენ წმ. ნინოს და ქართველთა განმანათლებლად ისინი მიიჩნევდნენ სომეხ განმანათლებელ გრიგოლს. თუმცა, მოვსეს ხორენაცი გარკვეულ უზუსტობას უშვებს. მართალია, იგი აღიარებს, რომ საქართველოში ქრისტიანობა წმ. ნუნემ (ნინომ – ე. ბ.) იქადაგა, მაგრამ, მისი აზრით, იგი იყო გრიგოლ განმანათლებლის მისიის წევრი და მისი მითითებით მოქმედებდა ქართლში. რაც სინამდვილეს არ შეესაბამება, რადგან სომეხ ისტორიკოსთან დაფიქსირებული აღნიშნული ცნობა სხვა წყაროებით არ დასტურდება.

წმინდა ნინოს ცხოვრებამ თავისებური ასახვა ჰპოვა რუსულ მწერლობაში, რომელშიც იგი სამი ვერსიითაა წარმოდგენილი. რუსულ წყაროებში წმინდა ნინოს შესახებ ცნობები XVI-XVII საუკუნეებს განეკუთვნება. პირველ რიგში, აღსანიშნავია 1512 წლით დათარიღებული მატიანისეული ვერსია; მეორე – 1641 წლის 27 ოქტომბრის პროლოგ-სვინაქსარის „საკითხავი“ და მესამე – სტეფანე ათონელის „Рай мысленный“ – 1659 წელს ბეჭდური სახით გამოცემული. ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ბერძნული წყაროების მსგავსად, რუსული წყაროებიც ქართველთა განმანათლებლის სახელს არ იცნობს და მას „ტყვე ქალად“ მოიხსენიებს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ „წმინდა ნინოს ცხოვრების“ რუსული ვერსია ბერძნულიდან უნდა მომდინარეობდეს. ამის დასტურია ისიც, რომ რუსული ვერსია შინაარსობრივად დიდ მსგავსებას იჩენს ბერძნულთან.

წმინდა ნინოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების მიმოხილვიდან აშკარად ჩანს, რომ მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართველთა განმანათლებლის ცხოვრების შესასწავლად.

სანამ უშუალოდ ქართულ წყაროებზე დაყრდნობით საქართველოში წმ. ნინოს მოღვაწეობის ზოგიერთ ასპექტზე გავამახვილებთ ყურადღებას, აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია, გარკვეული მოსაზრება გამოვთქვათ ქართველთა განმანათლებლის სახელთან დაკავშირებით. ქართულ წერილობით წყაროებში იგი ნინოს სახელით იხსენიება. წმ. ნინოს სახელთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, სახელი „ნინო“ მიღებულია ლათინური სიტყვა „ნონა“–საგან, რაც მონაზონს ნიშნავს. ზოგ მკვლევარს მიაჩნია, რომ „ნინა-ნონას“ სახელი მომდინარეობს წარმართული რელიგიური ონომასტიკიდან. ბერძნული წყაროები ქართველთა განმანათლებლის სახელს არ იცნობს და მას „ტყვე ქალის“ სახელით მოიხსენიებს, არსაიდან ჩანს, რატომ იხსენებენ ბერძენი ავტორები ქართველთა განმანათლებელს ტყვე ქალად. უცხოელი წყაროების მსგავსად, ქართულ წყაროებში „ტყვე-ქალის“ სახელით წმინდა ნინო ხშირად იწოდება. ამ ზედწოდებით ნინო თავის თავს მოიხსენიებს. ბუნებრივია, რომ „ტყვე-ქალის“ ცნებაში უეჭველია, იგულისხმება ქრისტიანული ტყვეობა, ღვთისადმი მორჩილება. თუმცა აღნიშნული მოსაზრების გარდა ამ საკითხზე სხვა შეხედულებაც არსებობს.

კოპტურ წყაროებში წმ. ნინო „თეოგნოსტას“ სახელითაა ცნობილი, რაც ქართულად „ღვთის მცოდნეს“ ნიშნავს. როგორც ჩანს, კოპტური სვინაქსარის შემდგენელისათვის უცნობი იყო წმ. ნინოს სახელი და მან „ტყვე-ქალის“ ნაცვლად „ღვთის მცოდნე“ – ზოგადი სიტყვა გამოიყენა. სომხური წყარო, კერძოდ კი V საუკუნის ისტორიკოსი მოვსეს ხორენაცი მას „ნუნეს“ სახელით იცნობს. გვიანი ხანის, კერძოდ კი XIX საუკუნის რუსულ წყაროებში წმინდა ნინო „ნინად“ იწოდება. ხოლო XIX საუკუნის ფრანგული წყარო მას „სენ-კრეტიენის“ ანუ „წმინდა ქრისტიანი ქალის“ სახელით მოიხსენიებს.

საქართველოში წმ. ნინოს მოღვაწეობის ზოგად სურათს XI საუკუნით დათარიღებული ხელნაწერის, შატბერდის კრებულში შესული „წმ. ნინოს ცხოვრების“ მიხედვით წარმოვადგენთ, რადგან იგი სხვა შემორჩენილ ხელნაწერთა შორის ერთ-ერთი უძველესია. მეტად საინტერესოა შატბერდის კრებულში შესული „წმინდა ნინოს ცხოვრების“ შედგენილობა. თხზულება იწყება წმ. ნინოს მოახლოებული აღსასრულის აღწერით. კახეთში, „დაბასა ბოდს“ მყოფი დასნეულებული წმინდა ნინო სიკვდილის პირას იყო მისული, როცა მას ქართლის სამეფო კარის წარმომადგენლები ეწვივნენ. მირიან მეფის რძლის სალომე უჯარმელისა და ვინმე პეროჟარი სივნიელის დაჟინებული მოთხოვნით წმ. ნინოს მონათხრობი სწორედ მათ ჩაიწერეს და შემდგომ ეს ჩანაწერი დაედო საფუძვლად „წმინდა ნინოს ცხოვრებას“. თუმცა ტექსტში პეროჟარი სივნიელის სახელი შემდგომ საერთოდ არ ფიგურირებს. მასში მხოლოდ სალომე უჯარმელის მონათხრობია ჩართული. რაც ჩვენი აზრით, იმით უნდა იყოს განპირობებული, რომ ორივეს ჩანაწერი ერთი და იმავე შინაარსისა იყო, უპირატესობა სალომე უჯარმელის ჩანაწერს მიენიჭა, რადგან იგი სამეფო კარის წარმომადგენელი იყო. „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ სალომე უჯარმელის გარდა ჩართულია იმ დროს მცხეთაში მოღვაწე ებრაელი მღვდლის აბიათარისა და მისი შვილის, სიდონიას, მღვდელ იაკობის და თვით მირიან მეფის მონათხრობი და სხვ.

ქართული წყაროების მიხედვით, წმ. ნინო კაპადოკიის ქალაქ კოლასტადან იყო. მამამისი – ზაბილონი რომის იმპერატორის ერთ-ერთი მხედართმთავარი გახდა, დედა – სუსანა იერუსალიმის პატრიარქის ოუბენალის და იყო. დაქორწინებამდე ზაბილონი რომის სამხედრო სამსახურში საკმაოდ დაწინაურებულა. ზაბილონს თავი გამოუჩენია ბრანჯთა აჯანყების ჩახშობაში. ბრანჯები, რეინის ოლქში მცხოვრები საფრანგეთის ძველი მოსახლეობა იყო. დამარცხებული და დატყვევებული ბრანჯები რომის იმპერატორის გადაწყვეტილებით, სიკვდილით უნდა დაესაჯათ. სიკვდილმისჯილ ბრანჯებს უთხოვიათ ქრისტიანობაზე მოქცევა. ზაბილონმა აღნიშნული თხოვნა მათ შეუსრულა, შემდეგ კი იმპერატორთან შუამდგომლობით ისინი სიკვდილით დასჯისაგან გაათავისუფლა. ბრანჯების თხოვნით ზაბილონი მათ სამშობლოში გაემართა და იქ ათი საერისთავო გააქრისტიანა. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, წმ. ნინოს ცხოვრებაში აღწერილ ზაბილონის სამისიონერო საქმიანობას რეალური ისტორიული საფუძველი უდევს. ბრანჯთა ქვეყნიდან დაბრუნებული ზაბილონი ტოვებს თავის თანამდებობას და იერუსალიმში მკვიდრდება, სადაც იგი უახლოვდება იერუსალიმის პატრიარქს იუბენალს, რომლის დას – სუსანას ცოლად ირთავს. როგორც ჩანს, „ზაბილონის იერუსალიმში წასვლა მისი სარწმუნოებრივი მისწრაფებებით იყო განპირობებული.“ ზაბილონსა და სუსანას მალე შეეძინათ ქალიშვილი ნინო, რომელიც პატარაობიდანვე ქრისტეს მცნებას ეზიარა. როცა ნინო თორმეტი წლის შეიქნა, მისმა მშო ბლებმა მთელი ქონება ღარიბ-ღატაკებს დაურიგეს, ზაბილონი იერუსალიმის პატრიარქის კურთხევით ბერად აღიკვეცა, ხოლო ნინოს დედას სუსანას იმავე პატრიარქმა ტაძარში მიუჩინა ადგილი, გლახაკთა და უძლურთა მომვლელად. 1996 წლის 10(23) დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინებით ქართ ველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს მშობლები ზაბილონი და სუსანა შერაცხულ იქნენ წმინდანებად: ზაბილონი – ღირსი მამა ზაბულონის, სუსანა – ღირსი სოსანას სახელით და მათი ხსენების დღედ დაწესდა 20 აპრილი (2 მაისი). მშობლების გარეშე დარჩენილი წმ. ნინო ორი წლის მანძილზე იზრდებოდა სომეხ დვინელ ქალთან სარა მიამფორთან (სხვა წყაროს ცნობით ნიამფორი). ქრისტიანობის ღრმად მცოდნე სარა მიამფორთან ყოფნის დროს წმინდა ნინო კიდევ უფრო განისწავლა ქრისტეს მოძღვრებაში. მასთან ყოფნის დროს გაიგო მან, რომ ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ დარჩენილი უფლის კვართი წილად ხვდა „ჩრდილოსა მას ქუეყანასა“ მდებარე მცხეთის მკვიდრთ. წმ. ნინო ეუდრებოდა ღეთისმშობელს, მისთვის ძალა და შესაძლებლობა მიეცა, რომ ენახა ქვეყანა, სადაც უფლის კვართი განისვენებდა. სარა მიამფორთან ყოფნის დროს ეფესოდან მოვიდა ვინმე დედაკაცი, რომელმაც განაცხადა, რომ ელენე დედოფალს „დიდი წადიერებაჲ აქუს ჰრომთა ქრისტეს მიმართ შჯულისათჳს და ნათლისღებისა“. იერუსალიმის პატრიარქის კურთხევით წმინდა ნინო ელენე დედოფალს ეწვია, სადაც მან გაიცნო ქრისტეს მოყვარე რიფსიმე, მისი დედამძუძე გაიანე და მათი ორმოცდაათი სულიერი და, „წარვიდეს ესენი ყოველნი მონასტერსა თჳისსა და იყო მათ თანა წმინდა ნინო ორ წელ“. რომის კეისრის დევნის გამო, წმინდა ნინო, რიფსიმეს, გაიანესა და ორმოცდაათ სულიერ დასთან ერთად სომხეთის ქვეყანაში გადაიხვეწა. დევნილები სომხეთის წარმართი მეფის თრდატის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს. ნინო კი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. ეკალ-ბარდებში დამალულმა წმინდანმა იხილა „ზეცით სამოსლის მსგავსად ჩამომავალი დიაკონი ოლარით“, რომელმაც წმინდა ნინოს აცნობა: „ვიდოდე აღმოსავლეთით, სადა იგი არს სამკალი ფრიად და მუშაკი ყოვლადვე, არ არიან“. გამოცხადების შემდეგ წმ. ნინო გაემართა აღმოსავლეთით და „მოაწია მთათა

ჯავახეთისათა", სადაც მან ორი დღე დაჰყო. სწორედ აქ, ფარავნის ტბასთან მწყემსებისაგან წმინდა ნინომ შეიტყო, თუ სად მდებარეობდა მისთვის საოცნებო ქალაქი მცხეთა, სადაც უფლის კვართი იყო დაფლული. ტბა ფარავანთან ძილის დროს წმ. ნინოს გამოეცხადა კაცი, რომელსაც თმა წელამდე ეყარა და მას გადასცა „წიგნი დაბეჭდული". გამოცხადების შემდეგ წმინდა ნინომ წაიკითხა წიგნი, რომელიც იწყებოდა სახარებისეული სიტყვებით: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათლსცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა და აჰა ესერა მე თქვენთანა ვარ, ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა". ამ სიტყვებით გამხნევებული წმინდა ნინო მცხეთისაკენ გაემართა, წამოჰყვა მდინარე მტკვარს და სავარაუდოდ, გამოიარა ახალქალაქი, ხერთვისი, ასპინძა, ახლციხე. მოგზაურობის დროს მან ბევრი შიში და შიმშილი დაითმინა, ბოლოს კი მოაღწია ურბნისს, სადაც მან აქ მცხოვრებ ებრაელებთან ერთი თვე დაჰყო.

ურბნისში ყოფნისას ნინომ დაინახა, რომ საზეიმოდ გამოწყობილი მრავალი ადამიანი მცხეთისაკენ მიემართებოდა, ისიც გაჰყვა მოზეიმე ხალხს. მან მცხეთაში უამრავი ადამიანი იხილა, რომლებიც ქართლის მეფე-დედოფალთან ერთად მაღალ მთაზე აღმართული არმაზის კერპის დღესასწაულს ზეიმობდნენ. მრავალრიცხოვანი ხალხის უგნურებით წმინდა ნინო დიდად შეწუხებული იყო. მან განიზრახა, რომ უფლის ნებით მოესპო წარმართული კერპები, რომ ხალხს ჭეშმარიტი რწმენა შეეცნო. ლოცვა-ვედრების დამთავრებისთანავე ამოვარდა „დასავლეთით ქარნი და ჰაერნი. და ხმა სცეს ქუხილისა ხმითა საზარელითა და გამოჩნდეს ღრუბელნი მოსწრაფედ ნიშნით საშინელითა". წმ. ნინომ ღვთის შეწევნით დაამსხვრია მცხეთის კერპები. მეფე, მისი ოჯახი და ხალხი შიშმა შეიპყრო. ამიერიდან, ღვთის ძალით, როგორც წყარო გადმოგვცემს, „ქება-დიდება ქრისტესი არღარა ფარულად ითქმოდა ქართლსა შინა, რამეთუ მადლისა ღმრთისასა ეწყო მიფენად აღმოსავლეთს".

მცხეთაში ჩასული წმინდა ნინო დამკვიდრდა დღევანდელი სამთაროს ტაძრის მახლობლად, მაყვლოვანში. იგი თავისი თმებით შეკრული ვაზის ჯვრით რამდენიმე წლის განმავლობაში მხურვალედ ქადაგებდა ქრისტიანობას. პირველად იგი დაუახლოვდა მცხეთელ ებრაელთა მღვდელს აბიათარს და მის ქალიშვილს სიდონიას. მათგან შეიტყო მცხეთაში უფლის კვართის ჩამოსვენების ისტორია, მაგრამ მათ არ მიუთითეს კვართის განსასვენებელი ადგილი. ებრაელი აბიათარი, მისი ქალიშვილი სიდონია და მცხეთაში მცხოვრები 50 ებრაელი წმ. ნინოს გავლენით ქრისტიანად მოექცნენ, რის გამოც ისინი მცხეთელმა ებრაელებმა თავიანთი თემისგან მოკვეთეს.

მცხეთაში მყოფი წმინდა ნინო, რომელიც მთელ დროს ლოცვა-ვედრებაში ატარებდა, ხშირად სტუმრობდა ხოლმე მეფის ბაღს, სადაც გადმოცემით უფლის კვართი იყო დაფლული. მალე წმ. ნინოს მოქცეულთა რიცხვი გაიზარდა. მან სახელი გაითქვა უიმედო ავადმყოფთა კურნებით. იგი ხალხს შთააგონებდა, რომ განკურნების ძალა მოდიოდა არა მისგან, არამედ უფლისგან. ამიტომ იგი განკურნების მსურველებს ახალი სარწმუნოების მიღებისაკენ მოუწოდებდა. ამგვარი შთაგონებით წმ. ნინომ მოარჩინა უკურნებელი სენით დაავადებული მეფე მირიანის მეუღლე, დედოფალი ნანა, რომელიც შემდეგ ქრისტიანად მოექცა. მეფე მირიანმა კი ქრისტიანობა მას შემდეგ აღიარა, როცა მცხეთის მიდამოებში ნადირობის დროს თხოთის მთაზე სასწაული იხილა. მოულოდნელად ჩამობნელდა, მაგრამ ყველაფერი განიფანტა მას შემდეგ, როცა მირიან მეფემ წმინდა ნინოს ღმერთს სთხოვა დახმარება. ამის შემდეგ მან იწამა ქრისტე და მცხეთაში დაბრუნებულმა ხალხს გაქრისტიანებისაკენ მოუწოდა. მირიან მეფის ხელშეწყობით წმ. ნინომ მოაქცია ქართლის მთიანეთი.

ქართლის სამეფო კარის დახმარებით დაიწყეს პირველი ეკლესიების მშენებლობა კვართის განსასვენებელ ადგილზე და იმ ადგილზეც, მაყლოვანში, სადაც წმ. ნინო იყო დავანებული. ქართლის მოქცევა შეატყობინეს ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინეს. ბიზანტიიდან მოწვე ულმა სასულიერო პირებმა მდინარე მტკვარზე მონათეს ქართლის მოსახლეობა. კონსტანტინე იმპერატორის დახმარებით დაადგინეს მთავარეპისკოპოსნი და მღვდელნი. კონსტანტინე იმპერატორი შემდგომშიც არ აკლებდა ზრუნვას ახლადმოქცეულ ქართლის სამეფოს. ერთ-ერთი ქართული წყაროს მიხედვით, საქართველოში ხალხის მოსაქცევად თითქოს ანტიოქიის პატრიარქი ესტატე ჩამოსულა. კონსტანტინე იმპერატორმა ქართლის პირველ ქრისტიან მეფეს გამოუგზავნა ქრისტეს სახელთან დაკავშირებული სიწმინდეები „ძელი ცხოვრებისა და ფიცარნი" და „სამსჭვალნი ფერხთანი". კონსტანტინე იმპერატორის წარმოგზავნილების მიერ მანგლისსა და ერუშეთში აშენდა პირველი ქრისტიანული ტაძრები და ეკლესიები, სადაც ზემოაღნიშნული სიწმინდეები დაასვენეს. ქართლის მოქცევის შემდეგ დასნეულებული წმინდა ნინო მიიცვალა „დაბასა ბოდისასა".

როგორც ზემოთ განხილული ქართული წყაროებიდან ჩანს, საქართველოში წმ. ნინოს ღვაწლით ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა. საეკლესიო ტრადიციით, ეს მოხდა 326 წელს,

რაც აგრეთვე უკანასკნელ პერიოდში გამოქვეყნებული ნაშრომებითაც დასტურდება. ამავე პერიოდში დასავლეთ საქართველოშიც ქრისტიანობამ სახელმწიფო სტატუსი მიიღო.

როგორც მოტანილი წერილობითი წყაროებიდან ჩანს, საქართველოში ქრისტიანობის გამარჯვება წმინდა ნინოს სახელს უკავშირდება. ქრისტიანობის მიღებით კი ძირფესვიანად შეიცვალა საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობაც. „ქართველებისათვის ქრისტეს ჯვარი გადაიქცა, ერთი მხრივ, ქართველი ერის სიძლიერისა და დამოუკიდებლობის სიმბოლოდ, ხოლო, მეორე მხრივ, ქართველთა ხელში ანტიქრისტიანული სამყაროს რისხვად".

ასეთი დიდი დამსახურების გამო, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წმინდა ნინოს ქართველთა განმანათლებლად და მოციქულთა სწორად მიიჩნევს. ქართული წყაროები მას „ქართლისა მაცხოვრად" და „დედად ქართველთა თემისაჲს" უწოდებს. საქართველოს ეკლესია ქართველთა განმანათლებლის დღეს წელიწადში ორჯერ აღნიშნავს: პირველ იენისს, მისი საქართველოში შემოსვლისა, ხოლო ოცდაშვიდ იანვარს – წმინდა ნინოს მიცვალებისა. წმინდა ნინოსადმი პატივისცემა წარმოჩინებულია მისდამი მიძღვნილ უძველესი ხანის ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში. იგი არაერთი თანამედროვე თუ წარსულში მოღვაწე ქართველი პოეტის შთაგონების წყაროდ იქცა. 1869 წელს სამხედრო მღვდელმა იროდიონ ელიოზის ძემ თბილისში გამოაქვეყნა პოეტურად გალექსილი წმინდა ნინოს ვრცელი ცხოვრება.

წმინდა ნინომ, როგორც ქართველმა განმანათლებელმა და მოციქულთასწორმა, გარკვეული ასახვა ჰპოვა რომაულ-კათოლიკურ მარტიროლოგიაში, მისი ხსენების დღედ 15 დეკემბერია მიჩნეული და იგი „სენ-კრეტიენის" – „წმინდა ქრისტიანი ქალის" სახელითაა ცნობილი. მის შესახებ რომაულ-კათოლიკურ მარტიროლოგიაში აღნიშნულია, რომ „იბერიაში, შავი ზღვის მიღმა, დაცულია ხსენება ქრისტიანი მსახურის წმიდისა (დედაკაცისა), რომელმაც კონსტანტინეს დროს მოაქცია ეს ხალხი ქრისტეს რწმენაზე, თავისი სასწაულებით". აღნიშნულთან დაკავშირებით ფრიბურგის (შეიცარია) უნივერსიტეტის პროფესორი პრინც მაკს დე ზაკსი აღნიშნავდა: „არ ვიცი, ასე იყო თუ არა შუა საუკუნეთა მა რტიროლოგიაში. შესაძლოა, რომ იგი (წმინდა ნინო-ნინა) ჩასწერეს როგორც „კრეტიენ", რადგან დასავლელი ისტორიკოსები არასდროს იხსენიებენ მის სახელს, რომელიც ეგონათ იყო უცნობი. იგი წოდებულია მსახურად მისი თავმდაბალი ცხოვრების გამო, რომელსაც იგი ეწეოდა იბერიაში ყოფნის დასაწყისში".

კათოლიკურ სამყაროში წმ. ნინოს სახელზე დაფუძნებული დაწესებულებებიც არსებობს. ჯერ კიდევ 1807 წელს, საფრანგეთის ქალაქ მეტცში ეპისკოპოსმა ჟოფერმა ქალბატონ ლე მეჟანესთან ერთად დააარსა ქალთა რელიგიური კონგრეგაცია. ეს კონგრეგაცია ამჟამადაც მოქმედებს და მას თავისი ფილიალები აქვს მსოფლ იოს სხვადასხვა კუთხეში. კონგრეგაციის დაქვე მდ ებარე ბაშია სკოლები და სამედიცინო დაწესებულებები. ეპისკოპოსმა ჟოფერმა ქალთა რელიგიურ კონგრეგაციას რომაული მარტიროლოგიის მიხედვით „სენ კრეტიენის" სახელი უწოდა. თუმცა, მან XIX საუკუნის დასაწყისში არ იცოდა „სენ-კრეტიენის" სახელის უკან თუ რომელი წმინდანი ქალი იგულისხმებოდა, ხოლო XIX საუკუნის ბოლოს, როდესაც გაირკვა, რომ „სენ-კრეტიენი" ქართველთა განმანათლებელი იყო, კონგრეგაციას „წმინდა ნინოს" სახელი დაერქვა. 1898 წლიდან ამ კონგრეგაციას მუდმივი კავშირი ჰქონდა კონსტანტინოპოლში არსებულ ქართულ კათოლიკურ ტაძართან და მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერთან. კონგრეგაციას აქვს წმინდა ნინოს ხატი, რომელსაც ამშვენებს წარწერა: „ო, წმინდა ნინო, რომელმან იესო ქრისტეს სწავლისადმი თქვენი სათაყვანებელი ერთგულებით, დაიმსახურეთ ზედმეტი სახელი კრეტიენისა, ილოცეთ ჩვენთვის მეოხებით თქვენისა მიგვაღებინეთ მადლი. რომ შეგვეძლოს ერთგულებასა თქვენსა მივბაძოთ, რათა სული იესო ქრისტესი უფრო და უფრო შემოვიდეს ჩვენში, გამოჩნდეს ჩვენს მოღვაწეობაში და ღირსი გაგვხადოს განვაგრძოთ თქვენი მოციქულობა, იყავნ ეგრე". დღესაც აღნიშნულ კონგრეგაციაში მონაზვნები დღეში სამჯერ აღავლენენ ლოცვას იმ ქვეყნის მიმართ, სადაც წმინდა ნინომ ქრისტიანობა იქადაგა.


კათოლიკური სამყაროს ინტერესი წმინდა ნინოს მიმა რთ იმითაც გამოიხატა, რომ საგანგებო ნაშრომები დაიწერა მის შესახებ. 1874 წელს ლიონში (საფრანგეთი) ფრანგული ენაზე გამოქვეყნდა კათოლიკე მღვდლის ოგუსტ დარას ორმოცდახუთგვერდიანი ნაშრომი. ფრანგულმა სამყარომ აღნიშნული თხზულების გარდა XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საქართველოში მოღვაწე დე ბაის ნაშრომებითაც ახლოს გაიცნო წმინდა ნინოს ცხოვრება და მისი ღვაწლი. აგრეთვე აღსანიშნავია, 1888 წელს პარიზში მღვდელ კოლონ დე პლანსის „წმინდანთა ქრონიკაში" შესული „წმინდა ნინოს ცხოვრება".

საფრანგეთის გარდა, ინგლისურმა სამყარომაც გარკვეული დაინტერესება გამოიჩინა წმინდა

ნინოს მიმართ. 1900 წელს ოქსფორდში საქართველოს დიდმა გულშემატკივარმა და-ძმა ოლივერ და მარჯორი უორდროპებმა ინგლისურ ენაზე გამოაქვეყნეს „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ერთ-ერთი ვერსია. აღნიშნული თარგმანის შესახებ იმავე წელს ნიკო მარმა რუსულ ენაზე დაბეჭდა საინტერესო რეცენზია. აღსანიშნავია, რომ ოლივერ უორდროპმა წმ. ნინოს პატივისცემით თავის ქალიშვილს სახელად ნინო დაარქვა.

წმ. ნინოს სახემ თავისებური ასახვა ჰპოვა ქართულ ქრი სტიანულ ხელოვნებაში. მის სახელზე იგებოდა ქრისტიანული ტაძრები. მისი სახელობის უძველესი ფრესკული თუ ჭედური ხატები ამშვენებდა სხვადასხვა ეკლესია-მონასტრებს.

წმინდა ნინოს განსასვენებელი ბოდბეში



და, ბოლოს, უფალი მიუძღვა მისთვის განმზადებულ ადგილზე – კახეთის დაბა „ბოდისში“, სადაც დაასრულა მოციქულებრივი მოღვაწეობა. აქ მისი ქადაგებით მოინათლა დედოფალი სუჯი, მისი მთავრები, მხედრები და მონა-მხევალნი.

სრულყო რა ქადაგება ჭეშმარიტებისა, ღვაწლით დამაშვრალ დედა ნინოს სულიწმიდისგან ეუწყა, რომ ამა სოფელს დატოვებდა. მან მირიანთან წერილი გაატანა დედოფალ სუჯის, რომელშიც ლოცავს მეფესა და ერს და ატყობინებს, რომ ქრისტეს სახარება ყველამ შეიწყნარა, შემუსრეს კერპები და წმიდა სამების სახელით მოინათლნენ. მეფეს მოუწოდა, რომ მტკიცედ დაეცვა სარწმუნოება და წმიდა ნათლისღების ბეჭედი. შემდეგ ითხოვს, რომ მასთან იოანე ეპისკოპოსი გააგზავნოს – რათა წარმგზავნოს და საუკუნო საგზალი მომცესო.

სუჯი მხლებლებით წავიდა მცხეთაში და მთელი გზა ფეხშიშველმა გაიარა. როდესაც სვეტიცხოვლის პირისპირ მიიწივნენ, ვერვინ გაბედა უზომოდ ადიდებულ არაგვში შესვლა. დედოფალმა ილოცა, პირჯვარი გამოისახა და სახედრით შევიდა მდინარეში. მდინარე შუაზე გაიპო და დედოფალი უვნებლად გავიდა ნაპირზე.

მირიანმა ცრემლებით დაალტო წმიდა ნინოს წერილი. მეფე-დედოფალი უამრავი ხალხით წავიდა ბოდბეში. იქ ჩასულთ მოიკითხეს წმიდანი და მისგან კურთხევა აიღეს. ეპისკოპოსმა იოანემ წირვა აღასრულა და წმიდა ნინო ქრისტეს განმაცხოველებელ სისხლსა და ხორცს აზიარა, რომელიც წაიღო საუკუნო საგზლად და უფალს შეჰვედრა სული. „ტალანტთა სიმრავლით წარმოუდგა წმიდა სამებას და პატიოსან ძღვნად სულიწმიდით შობილი ერი მიართვა“.


მთელი ერი შეიკრიბა მისი წმიდა სხეულის თაყვანისსაცემად. მირიანმა ძლივს დააცხრო ხალხი, რომელიც ერთმანეთს თელავდა, მის ღვაწლითშემოსილ გვამს რომ შეხებოდა.

მეფემ მთავარეპისკოპოსსა და მთავრებთან ერთად წმიდა ნინოს სვეტიცხოველში დაკრძალვა გადაწყვიტა, მაგრამ ორასმა კაცმა ადგილიდანაც ვერ დაძრა მისი სარეცელი. მირიანმა გულისხმაჰყო, რომ სწორედ ეს იყო მის განსასვენებლად ღვთისგან მოსწავებული ადგილი და დიდი პატივითა და დიდებით იქვე დაკრძალა. ოცდაათი დღე წმიდა ნინოს საფლავთან დარჩნენ და ერის დაობლებას იგლოვდა მეფე და ერი.

წმიდანის საფლავზე მეფემ მშვენიერი ტაძარი ააგო და საეპისკოპოსოდ განაჩინა. სიკვდილის სარეცელზე მყოფმა მირიანმა დედოფალს ანდერძი დაუტოვა: „შენ, ნანა, თუ დაგცალდება, ჩემი სიკვდილის შემდეგ სამეფო განძი ორად გაყავი და ერთი ნაწილი წმიდა ნინოს საფლავს შეწირე, რათა ჟამთა სიგრძემ და ცვალებამ არ შეარყიოს ეს ადგილი და უკუნისამდე შეუძვრელად იყოს... ასევე ვევედრები მთავარეპისკოპოსს, განადიდოს ეს ადგილი, რადგანაც პატივის ღირსია“.

წმიდა ნინოს საფლავთან ურიცხვი სასწაულები აღესრულებოდა და დღესაც სულიერად დაკნინებულსა და დაუძლურებულ ერს მანვე უნდა აღმოუცენოს ცხოველი წყარო კურნებისა და შემუსროს ურწმუნოების კერპები.

წმიდა ნინოს ხსენებას საქართველოს ეკლესია წელიწადში ორჯერ დღესასწაულობს: 1(19) ივნისს აღინიშნება მისი საქართველოში შემოსვლა, ხოლო 27(14) იანვარს – გარდაცვალება.



ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი მცხეთა ქართლოსის ძემ, მცხეთოსმა, დაარსა. მან იგი მტკვრისა და არაგვის შესაკრებელთან გააშენა. ის ქვეყნის ყველა ქალაქზე უპირატესი შეიქმნა „და უწოდეს დედაქალაქად.“ სწორედ მცხეთიდან იღებს დასაბამს ქართლის სამეფო, მოგვიანებით კი აქედან იწყება ერის გაქრისტიანებაც.

ძვ. წ. აღ. 586 წელს ქართლის დედაქალაქს შეაფარა თავი ნაბუქოდონოსორის მიერ დევნილმა ებრაელთა ერთ-ერთმა ჯგუფმა. სწორედ მათ ჩამოიტანეს მცხეთაში ძველი აღთქმის დიდი წინასწარმეტყველის, წმ. ელიას ხალენი. ამ მოვლენამ ექვსი საუკუნით ადრე ერთგვარად მოამზადა ქართველი ერი მაცხოვრის კვართის მისაღებად. ძველი და ახალი აღთქმის ეს ორი უდიდესი სიწმინდე, – წმ. ელია წინასწარმეტყველის ხალენი და უფლის კვართი, სვეტიცხოვლის ტაძრის სივრცეშია დაფლული. მათ სიმბოლურად ქართულ მიწაზე ძველი და ახალი აღთქმა გაერთიანეს, რომელზეც საქართველოს ეკლესია დაფუძნდა [178].

ელიოზ მცხეთელის მიერ კვართის გამოსყიდვა

მაცხოვრის განკაცების შემდეგ მცხეთის ისტორიაში სრულიად ახალი ერა დაიწყო. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, იერუსალიმში მიიწვიეს დედამიწის სხვადასხვა მხარეში მცხოვრები ებრაელები უფლის ჯვარცმაში მონაწილეობის მისაღებად. მათ შორის, მცხეთელი ებრაელებიც. მცხეთიდან წასულ ებრაელთა შორის იყვნენ ელიოზ მცხეთელი, ლონგინოზ კარსნელი, მისაელი და თალენავი.



მათ ელიოზი წინამძღვრობდა, რომლის დედა ძველი აღთქმის სჯულის კარგი მცოდნე და დამცველი იყო. ელიოზის დედამ წინასწარ განჭვრიტა, რომ მაცხოვარი იყო ჭეშმარიტი მესია და შვილს სთხოვა, არ მიეღო მონაწილეობა იერუსალიმელ ებრაელთა ბოროტ განზრახვაში.

ჯვარცმისას მაცხოვრის უკანასკნელი კვართი მცხეთელ ებრაელებს – ელიოზ მცხეთელს და ლონგინოზ კარსნელს ერგოთ, რადგან მათ სხვა ებრაელებთან ერთად მართლაც არ მიიღეს ამ დიდ ბოროტებაში მონაწილეობა. როდესაც ელიოზის დედას სულიერად ესმა ხმა იერუსალიმში მაცხოვრის ჯვარზე მიმსჭვალვისა, გმინვა აღმოხდა და დიდი ტკივილით შეძრწუნებულმა სული განუტევა. უფლის ტანჯვის და სიკვდილის თანამოწამე გახდა ელიოზის და, ქალწული სიდონიაც, მან მცხეთაში შემოსულ ძმას უფლის კვართი გამოართვა, გულში მაგრად ჩაიკრა და იქვე

აღესრულა. ამ დროს ქართლში მეფე ადერკი მეფობდა. კვართის სიმშვენიერით დაბრმავებულმა მეფემ მისი მისაკუთრება მოინდომა, მაგრამ იგი წმ. ქალწულს ხელიდან ვერ გამოგლიჯეს. წმ. სიდონია კვართთან ერთად დაფლეს.

წმინდა სიდონია

მის საფლავზე კი სასწაულებრივად მშვენიერი კვიპაროსის ხე ამოიზარდა. მალე კვართის ისტორია და წმ. სიდონიას საფლავი დავიწყებას მიეცა. „ქართლის ცხოვრება“ ამ ფაქტს იერუსალიმში გოლგოთაზე აღმართული სამი ჯვრის დაფარვის ამბავს ადარებს. ღვთის განგებით, ამ უდიდესი სიწმინდის ადგილმდებარეობა მანამდე დაიფარა, სანამ ქართველი ერი სულიერად არ გამოფხიზლდა და ღირსი არ გახდა მისი მიღებისა.



როგორც ცნობილია, ქრისტიანობა საქართველოში ჯერ კიდევ I საუკუნეში უფლის მოციქულებმა იქადაგეს. არქეოლოგიური გათხრების შედეგად, მცხეთასა და ურბნისში ახ. წ. II-III საუკუნეებში ქრისტიანული თემების არსებობა დასტურდება, თუმცა ქართველი ერის გაქრისტიანება მხოლოდ IV ს-ში, მოციქულთა სწორმა ქალწულმა ნინომ შეძლო. IV საუკუნიდან ქართველების

IV ს-ში მცხეთა ქართველი ერის სულიერ ემბაზად იქცა, ამ ქალაქიდან იწყო გავრცელება ქრისტიანობამ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში და იგი ქართველთათვის მეორე იერუსალიმია. ყველაზე დიდი საფუძველი მისი მეორე იერუსალიმად გააზრებისა არის თავად უფლის კვართი, რომელიც გადმოცემის თანახმად, უფლის მეორედ მოსვლამდე სწორედ აქ იქნება დაფლული. ამ დიდმა სიწმინდემ გახადა მცხეთა იერუსალიმის სულიერ ღირსებათა მემკვიდრე.


იერუსალიმიდან შემოდის მცხეთაში მოციქულთა სწორი წმ. ნინოც.

იერუსალიმში მყოფმა ქალწულმა სარა ნიაფორისაგან შეიტყო უფლის წმ. კვართის ისტორია. ნიშანდობლივია, რომ იმ დროს, როცა ქართლში დავიწყებას მიეცა ამ უდიდესი სიწმინდის ამბავი, იერუსალიმში ჯერ კიდევ ახსოვთ მისი ადგილ-სამყოფელი. მცხეთაში შემოსული წმ. ნინო ეძებს წმ. კვართის ადგილ-მდებარეობას. იგი ამ ხნის განმავლობაში მრავალ სასწაულს აღასრულებს, მისი ლოცვით მეფის უშვილო მებაღეს შვილი შეეძინება. მაყვლოვანში დამკვიდრებული ქალწული მარხულობს, გულმხურვალედ ლოცულობს, მღვიძარებს, ჰმადლობს უფალს და ევედრება შეწევნას. მან ასეთ მწირობაში გაატარა ექვსი წელი. ამ ხნის მანძილზე მას დაემოწაფნენ თავად აბიათარ მღვდელი და მისი ასული სიდონია. მათგან შეიტყო წმ. ქალწულმა, რომ წმ. კვართი სამეფო ბაღში იყო დაკრძალული. იმ ადგილას, სადაც წმ. სიდონია იყო წმ. კვართთან ერთად დაკრძალული, ამოზრდილიყო ლიბანის ხე, რომელიც აოცებდა მნახველთ არა მარტო თავისი მშვენიერებით, არამედ სასწაულმოქმედების უნარითაც. დაჭრილი ცხოველები და ფრინველები ამ ხესთან მიდიოდნენ და მისი ნაყოფის მიღებით იკურნებოდნენ. ამ პერიოდში ნანა დეოფალი ავად გახდა. სამეფო კარის ექიმები უძლურნი აღმოჩდნენ და ვერ განკურნეს იგი; დასასმარებლად წმ. ნინოს მიმართეს, მაგრამ წმ. ქალწულმა არ ინება დედოფალთან მისვლა. სნეული მას მაყვლოვანში მიჰგვარეს. წმინდანმა მოუწოდა დედოფალ ნანას ელიარებინა უფალი იესო ქრისტე და გულმხურვალედ ელოცა. ლოცვით და ვაზის ჯვარზე შეხებით დედოფალი განიკურნა. ამის შემდეგ ის მოციქულთა სწორის მოწაფე შეიქმნა. დედოფალი ნანა ევედრებოდა მეფე მირიანს ქრისტეს სჯული ეღიარებინა, მაგრამ უშედეგოდ. ეშმაკის შთაგონებით მირიანმა განიზრახა, წმ. ნინო და მისი მიმდევრები დაესაჯა, თუმცა მოხდა სასწაული: თხოთის მთაზე სანადიროდ წასულ მეფეს მზე დაუბნელდა. მან საშველად კერპებს უხმო,

მაგრამ ამაოდ. ბოლოს მან ნინოს ღმერთს მიმართა და ბნელი სასწაულებრივად გაიფანტა. მეფეს არამარტო ფიზიკური, არამედ სულიერი თვალიც აეხილა. სწორედ მაშინ მოხდა მირიანის სულიერი ფერისცვალება და ქრისტეს რჯულზე მოქცევა.

მოგვიანებით ამ ადგილას წმ. გიორგის სახელობის ეკლესია აშენდა, რომელიც დღეს წმ. ნინოს სახელს ატარებს. იგი VII-VIII საუკუნით თარიღდება. როგორც ირკვევა, თავდაპირველი ეკლესია ჯვარგუმბათოვანი იყო. IX-X საუკუნეებში კი დარბაზულ ეკლესიად გადაუკეთებიათ.

წმ. ნინოს ტაძარი თხოთის მთაზე




სარკმლის თავსართი ჯვრები გამოსახულებით. თხოთის წმ. ნინოს ეკლესია მცხეთაში დაბრუნებული მირიანი წმ. ნინოს წინაშე წარდგა და სთხოვა, ელოცა მისთვის. პავლე მოციქულის მსგავსად, საღვთო შურით აღვსილმა მეფემ ქართველი ერის გაქრისტიანება გადაწყვიტა. მან ამ მიზნით წერილი გაუგზავნა იმპერატორ კონსტანტინეს და დედოფალ ელენეს და მღვდლების გამოგზავნა სთხოვა. სამეფო ოჯახის მოქცევის შემდეგ დაიწყო დიდი საეკლესიო აღმშენებლობა მცხეთაში.

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ქართლის დედაქალაქი მცხეთა მეორე იერუსალიმადა წოდებული. ამას მრავალი მიზეზი განაპირობებს. მან არამარტო იმემკვიდრა ძველი და ახალი აღთქმის სიმბოლოები: ელიას ხალენი და მაცხოვრის კვართი, არამედ აქ პირველად შემოვიდა იერუსალიმური ღვთისმსახურებაც. ამაზე მოწმობს იერუსალიმური ლიტურგიკული წიგნების უძველესი ქართული რედაქციები. ჩვენამდე მოღწეული იერუსალიმური ლექციონარის, იადგარის თუ მრავალთავის თარგმანები V-VI სს-ით თარიღდება. მათი ბერძნული ორიგინალები კი დღეს დაკარგულად ითვლება.

მირიან მეფის მოქცევის შემდეგ წმ. ნინოს მითითებით სამეფო ბაღში პირველი ტაძრის აშენება გადაწყდა; საისტორიო წყაროებში ეს ტაძარი ქვემო ეკლესიად იწოდება. სვეტიცხოველი ახალმოქცეული ერის ქრისტიანობაზე მოქცევის სიმბოლო შეიქმნა. ტაძრის აშენებისთვის სამეფო ბაღში ლიბანის ხე მოიჭრა, რომლისგანაც ეკლესიის ასაგებად შვიდი სვეტი შეამზადეს. ერთ-ერთი მათგანი ადგილიდან ვერ დაძრეს. წმ. ნინომ მის წინაშე გულმხურვალედ ილოცა. წმინდანის ლოცვის შემდეგ ეს სვეტი ანგელოზმა ზეცაში აიტაცა და იგი ტაძარში მისთვის გამზადებულ ადგილას სასწაულებრივად დაემსჭვალა. მატიანეებმა ამ ადგილს „წმინდა წმიდათაჲ“ უწოდეს. შემთხვევითი არ უნდა იყოს ამგვარი სახელწოდება. გავიხსენოთ, რომ ძველი აღქმის ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდე სოლომონის ტაძარი შვიდ სვეტს ეყრდნობა და მასაც „წმიდა წმიდათაჲ“ ეწოდება. როგორც ცნობილია, იქ სჯულის კიდობანი იდგა და ის იყო უფლის გამოცხადების ადგილი. ამგვარი სახელდება სვეტიცხოველმაც იმის გამო მიიღო, რომ მცხეთის ქვემო ეკლესიაში უფლის კვართი იყო დავანებული. ეს ტაძარი „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით „დიდ სიონადაც“ იწოდება. ამ ფაქტმაც განაპირობა მცხეთის მეორე იერუსალიმად გააზრება.

სასწაულებრივად ამაღლებული ნათლის სვეტისგან მირონმა იწყო დენა. მისი მადლით, მრავალი სასწაული აღსრულა. მლოცველთა დიდი რაოდენობის გამო მეფე მირიანმა იგი ხის პერანგით შემოზღუდა. მოგვიანებით კი, რეც მეფემ მას ქვითკირი შემოავლო. IV საუკუნის 60-იან წლებში, რევის ძემ, მირდატმა, ქვითკირით შემოზღუდული სვეტი შეაკეთა და ზედ ამავე სვეტისგან დამზადებული ჯვარი აღმართა. ამ დროიდან დაიწყეს ცხოველი სვეტიდან ჯვრების დამზადება, რომელიც მთელ ქართლში იქნა დაბრძანებული. დედნისმიერი მადლი ჯვრებზეც გარდამოვიდა და მათაც მრავალი სასწაული აღასრულეს. ქვითკირით შემოზღუდული დარჩენილი სვეტის ნაწილიდან მირონი დიოდა. მოგვიანებით, V საუკუნეში, ვახტანგ გორგასალმა ეკლესია განაახლა და ქვითკირის სვეტიც აღადგინა. ცხოველმყოფელი სვეტიდან საუკუნეების განმავლობაში მირონი უწყვეტად გარდამოედინებოდა. სამწუხაროდ, ძნელბედობის ჟამს, კერძოდ, შაჰ თამაზის შემოსევევისას მტერმა სვეტიცხოველი საჯინიბოდ გადააქცია. სწორედ ამ დროიდან შეწყვიტა მირონმა დენა ცხოველმყოფელი სვეტიდან.



გადმოცემის თანახმად, ახალმოქცეულ ერს, მეფე მირიანს და წმ. ნინოს იმპერატორმა კონსტანტინემ სიწმინდეები გაუგზავნა, რომელთა შორის იყო უფლის ფერხთა ფიცარი, სამსჭვალი, ოქროთი და ვერცხლით შეჭედილი ძელი ცხოვრებისა, მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატები. მოგვიანებით, მეფე მირიანმა მაყვლოვანის ადგილას კონსტანტინე იმპერატორის მიერ წარმოგზავნილი კირითხუროების დახმარებით ეკლესია ააგო, რომელსაც ზემო ეკლესია ეწოდა. წმ. ნინომ მოღვაწეობა არაგვს გაღმა სვეტიცხოვლის მოპირდაპირე მხარეს არსებულ მთაზე, განაგრძო. სადაც დღეს ჯვრის მონასტერია, წმ. ნინოს ლოცვით მაკურნებელი წყარო აღმოცენდა. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, ამ ადგილას გამორჩეულად ლამაზი ხე იზრდებოდა. მთავარეპისკოპოსის ლოცვა-კურთხევით, ამ ხისგან ჯვრების დამზადება გადაწყდა. ხე 25 მარტს, პარასკევ დღეს, მოკვეთეს. 37 დღის განმავლობაში ხის ფურცლები სასწაულებრივად არ დამჭკნარა. პირველ მაისს კი მისგან სამი ჯვარი გააკეთეს და შვიდ მაისს აღმართეს. როგორც ეკლესიის ისტორიიდან ირკვევა, სწორედ ამ დროს, პირველი მაისიდან შვიდ მაისამდე აღმართეს დედოფალ ელენეს მიერ იერუსალიმში აღმოჩენილი ჯვარი. შვიდ მაისს მართლმადიდებელი ეკლესია 351 წელს გოლგოთაზე ცხოველმყოფელი ჯვრის მიერ აღსრულებულ სასწაულს იხსენებს.

მეფე მირიანი უფალს შეევედრა, ეუწყებინა თუ სად დაებრძანებინათ ჯვრები. უფლის მიერ წარმოგზავნილი ანგელოზის მინიშნებით, ერთი მათგანი თავად წმ. ნინოს ლოცვით აღმოცენებული წყაროს სიახლოვეს უნდა აღემართათ. მეორე დღეს მცხეთა საოცარმა ნათელმა მოიცვა. ცაში გამოჩნდა ვარსკვლავებით მოოჭვილი ჯვარი, რომელიც ცისკრის დადგომამდე სვეტიცხოველს თავს ადგა. ერთი ვარსკვლავი დასავლეთით წავიდა, მეორე – აღმოსავლეთით, მესამე კი თავად სვეტიცხოველის მოპირდაპირე ბორცვზე აღიმართა. ერთი ვარსკვლავი თხოთის მთაზე შეჩერდა, ხოლო მეორე – უჯარმაში. ამით უფალმა მიუთითა ის ადგილი, სადაც ჯვრების დაბრძანება ნებავდა. ამასთანავე სამი ჯვრის აღმართვით მოინიშნა ქრისტიანობის საკრალური ადგილები იბერიაში.

რაც შეეხება მცხეთის ჯვარს, ამ ადგილს გოლგოთა ეწოდა. შემთხვევითი არ არის, რომ ჯვრის ეკლესია არაგვს გაღმა აიგო. იგი ქართველთა გოლგოთაა და, ამასთანავე, ქრისტიანობის ტრიუმფის ნიშანი.

მცხეთის ჯვრის ტაძარი
586-605 წწ.

წმ. ნინოს წინამძღვრობით ხალხი ლოცვით მიეახლა ამ წმინდა ადგილს. იმ დღეს უამრავი ადამიანი განიკურნა. ჯვრის წინაშე მთელმა ერმა მუხლი მოიდრიკა. მთელი ქალაქი საშინელმა გრგვინვამ მოიცვა. მეფემ ამ ადგილის გასამშვენებლად მდიდრული შენაწირი გაიღო. ეკლესიამ კი ამ დღის აღსანიშნავად ზატიკის კვირა დღე დააწესა.



წმ. ნინოს ხატი შიომღვიმიდან XVII ს. (საქართველოს ეროვნული მუზეუმი)



მარტვილიის (სულთმოფენობის) შემდეგ, ოთხშაბათ დღეს, მცხეთის ჯვარს ნათლის სვეტი დაადგა, რომელსაც გვირგვინის სახით თორმეტი ვარსკლავი ანათებდა, ზეციდან კი ანგელოზები გამოჩნდნენ. ის ადგილი საოცარმა სულნელმა მოიცვა. ამ ორი მოვლენის დამაგვირგვინებლად მცხეთაში ჯვარი აღიმართა, ზეცაში გამოჩინებული გოლგოთის ჯვარი თანაშეემსჭვალა მას და ეს ადგილი სულიერად გარდაქმნა. მცხეთა იქცა მეორე იერუსალიმად. თავად მცხეთის ჯვრის პოსტამენტზე არსებული წარწერა გვაუწყებს: „აღიმართა ესე ჯვარი მცველად ყოვლისა სოფლისა.“ ისევე როგორც გოლგოთის წმ. ჯვარი, მცხეთის ჯვარიც ქალაქის შუაგულშია აღმართული. ეს ორი სხვადასხვა ადგილას აღმართული ჯვარი სულიერად ერთი მთლიანობაა. როგორც ირკვევა, იერუსალიმის გოლგოთის ჯვრის მსგავსად VI საუკუნის დასასრულამდე ჯვარი ღია ცის ქვეშ იყო აღმართული. 545-586 წლებში ქართლის ერისთავმა გუარამმა ჯვრის გვერდით პატარა ეკლესია ააშენა – ე. წ ჯვრის მცირე ტაძარი. ის იმ ადგილას დგას, სადაც სამარხია მოწყობილი. აქ აღმოჩენილი ფერადი კენჭები მოწმობს, რომ იგი მოზაიკით იყო შემკული. მამის დაწყებული საქმე ღირსეულად განაგრძო სტეფანოზ პირველმა. მან 586-605 წლებში მეორე დიდი ტაძარი ააგო. სწორედ მის ინტერიერში მოექცა მირიანის აღმართული ჯვარი. ტაძრის ცენტრში შემონახულია ხის ჯვრის დაბალი ოქტაგონალური კვარცხლბეკი.

ჯვრის კვარცხლბეკი მცხეთის ჯვრის ინტერიერი



რაც შეეხება ჯვარს, იგი 1920-იან წლებში განადგურდა. 1997 წელს მის ადგილას ახალი ჯვარი აღმართეს.

რაც შეეხება წმ. ნინოს წყაროს ადგილ-სამყოფელს, მოგვიანებით აქ პატარა დარბაზული ტიპის სამლოცველო აიგო. იგი ჯვრის ტაძრის სამხრეთით, მთის კალთის შუა ნაწილში, მდებარეობს. ეს შენობა 2002 წელს აღადგინეს.

როგორც ირკვევა, წმ. ნინოს სახელს უკავშირდება ჯვრის დღესასწაული, რომელიც ყოველწლიურად ქვემო ეკლესიიდან მცხეთის ჯვარზე ლოცვითი მსვლელობით სრულდებოდა. ეს დღესასწაული უკვე ჩანს V საუკუნით დათარიღებული იერუსალიმური ლექციონარის ქართულ თარგმანში. ასევე, X საუკუნით დათარიღებულ იოანე ზოსიმეს კალენდარში. ამ დღესასწაულს აღვსების ზატიკის ზატიკი ეწოდებოდა და აღდგომიდან მესამე კვირა დღეს აღინიშნებოდა. საუკუნეების განმავლობაში ლოცვითი მსვლელობა აღესრულებოდა, გასული საუკუნეში აგებული სამხედრო ბაზა, შვიდი ათეული წლის განმავლობაში ერთგვარ ზღუდედ იქცა მის აღსასრულებლად. მხოლოდ 2007 წელს მოხერხდა უძველესი ტრადიციის აღდგენა. მცხეთის ჯვრისკენ მსვლელობა დღემდე აღინიშნება.

XIV-XV საუკუნეების ლათინი პილიგრიმების მიხედვით, სახალხო მსვლელობა ქართველთა

გოლგოთასთან, მცხეთის ჯვრის დღესასწაულთან იყო დაკავშირებული. იერუსალიმურ ტრადიციაში კი იგი იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერს უკავშირდებოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამეფო ბაღის შემდეგ წმ. ნინომ მოღვაწეობა მაყვლოვანში განაგრძო. იგი აქ ლოცულობდა და მისი მოწაფეების რაოდენობაც დღითი დღე იზრდებოდა. ამ ადგილას ეკლესიის აშენება სვეტიცხოვლის ტაძრის აგების შემდეგ გადაწყდა. თავდაპირველად ისიც ხისგან აიგო. როგორც ირკვევა, ის მომცრო ზომისა იყო. ადგილმდებარეობის გამო იგი ზემო ეკლესიად იწოდა.



მაყვლოვანი — წმ. ნინოს ეკლესია ადრე ქრისტიანული ხანა


ამ ადგილის საკრალიზაცია თავად წმ. ნინოს უკავშირდება, რომელმაც მაყვლოვანში დააბრძანა საკუთარი თმით შეკრული, ყოლადწმინდა ღვთისმშობლის ნაბოძები ვაზის ჯვარი. ეს ჯვარი წმ. ნინოს სახელს ატარებს და დღეს თბილისში, სიონის ყოლადწმინდა ღვთისმშობლის საკათედრო ტაძარში ინახება.



წმ. ნინოს ჯვარი. სიონის საკათედრო ტაძარი

მაყვლოვანი მოსე წინასწარმეტყველის სახელს და ბიბლიურ წმინდა ადგილს უკავშირდება. იგი, ამასთანავე, იერუსალიმის სიონის მთის ძველაღთქმისეულ ტაძართანაა დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, ქვემო ეკლესია კვართის საუფლოა, ზემო კი ძველაღთქმისეული მაყვლოვანის. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, წმ. ნინოს მითითებით ორი ეკლესია იგება: ქვემო და ზემო. ამასთანავე, ამ წმინდანის სახელს უკავშირდება მცხეთაში იერუსალიმის წმ. ადგილების მონიშვნაც.

V საუკუნიდან ქართლის უძველეს დედაქალაქში კვლავ გრძელდება წმ. ადგილების მონიშვნა. ესენია: ანტიოქია, გეთსამანია, ბეთლემი, ბეთანია, თაბორი.



მცხეთის ანტიოქია VI ს.

მცხეთის ანტიოქია წმ. სტეფანე პირველმოწამის სახელზეა აგებული. არქიტექტურული ტიპის მიხედვით იგი არა უგვიანეს VI საუკუნისაა. ტაძარმა დღემდე თავდაპირველი სახით არ მოაღწია. იგი რამდენიმე გზის გადაკეთდა.

რაც შეეხება გეთსამანიის ტაძარს, ისიც ერთ-ერთი უძველესი ნაგებობაა მცხეთაში. იგი სვეტიცხოვლის დასავლეთით, ფერდობზე დგას. მას მოგვთა ეკლესიასაც უწოდებენ. როგორ ირკვევა, იგი სინაგოგის ნაშთზე V საუკუნეში ააგეს. მისი ტოპონიმი პალესტინური

წარმომავლობისაა და მაცხოვრის ლოცვის და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის საფლავის ადგილს უკავშირდება. ძეგლი მრავალგზის გადაკეთდა.

გეთსამანია. მცხეთა



ასე რომ, IV-V საუკუნეებში, ქართლის სამეფოს დედაქალაქი, მცხეთა იქცა ახალ იერუსალიმად, რაც აქ წმ. ადგილების მონიშვნით დასტურდება.

როგორც აღვნიშნეთ, მირიანის მიერ აგებული თავდაპირველი ეკლესია ძელისა იყო. იგი სამეფო ბაღში მდებარეობდა. ადრე ამ ადგილას ებრაელთა სასაფლაო იყო და და წმ. სიდონიაც კვართთან ერთად აქ იყო დაკრძალული. არქეოლოგიური გათხრების შედეგად დადასტურდა, რომ გვიანელინისტურ-რომაული ხანის სასაფლაოს ადგილას მოგვიანებით სამეფო ბაღი აშენდა. გადმოცემის მიხედვით, პირველი ქრისტიანული ტაძარი ქართლში ანტიოქიის პატრიარქმა ევსტატემ აკურთხა. მირიანი მიერ აგებულმა ეკლესიამ საუკუნეზე ნაკლებ ხანს იარსება. ისტორიულ წყაროებში ქვემო ეკლესიად წოდებული ტაძარი 420 წელს დაინგრა. V საუკუნეში მის ადგილას წმ. მეფე ვახტანგ გორგასლის მიერ აგებული ქვითკირის ბაზილიკური ტიპის ეკლესია საუკუნეთა განმავლობაში დაზიანდა. ახალი ტაძრის სივრცეში მოექცა ძველი ნატაძრალის ნაწილები და თვით ცხოველმყოფელი სვეტი. ვახტანგის მიერ აგებული სამნავიანი ბაზილიკა საკმაოდ დიდი ზომის ყოფილა. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ტაძარს წითელი იაგუნდისგან დამზადებული კანკელი ამშვენებდა, რომელიც მოგვიანებით სვანეთში, სეტის ეკლესიაში, გადაიტანეს. „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ერთ-ერთი გვიანდელი რედაქციის ავტორის, არსენ ბერის მიხედვით, სვეტიცხოვლის ტაძარი თავდაპირველად მაცხოვრის სახელზე ააგეს. ვახტანგ გორგასლის დროს კი იგი ათორმეტი მოციქულის სახელზე იკურთხა. 920 წელს სვეტიცხოველი არაბებმა გადაწვეს. ტაძარი მალევე აღადგინეს. რაც შეეხება დღევანდელ ტაძარს, იგი XI საუკუნეში აშენდა.

სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი XI ს.



ამ საქმის სულისჩამდგმელი კი მაშინდელი კათოლიკოს-პატრიარქი მელქისედეკ I (1010-1033 წწ.) იყო. სვეტიცხოველსადმი გაცემული სიგელის მიხედვით, ის საგანგებოდ ჩავიდა ბიზანტიის მაშინდელ იმპერატორთან ბასილი II-თან (976-1025 წწ.) და ტაძრის ასაშენებლად შესაწირი ითხოვა. იმპერატორმა მდიდრული შესაწირი გაიღო, რომლითაც არა მარტო ახალი ტაძარი აიგო, არამედ იგი ყოველგვარი სამკაულითაც შეიმკო. აღმოსავლეთ ფასადზე არსებული წარწერა კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკს ტაძრის ქტიტორად იხსენიებს.

მკვლევართა თანახმად, დღევანდელი სახით მოღწეული სვეტიცხოვლის ტაძარი 1010-1029 წლებში აიგო. ის თავისი ზომებით და მასშტაბით საქართველოში ერთ-ერთი უდიდესია. სვეტიცხოვლის აგება ემთხვევა ქართული ხუროთმოძღვრების მოწინაფების პერიოდს. იგი ჩახაზული ჯვრის ტიპისაა. მისი საკურთხეველი ძალზე თავისებურადაა

მოწყობილი. მის ბემასა და აღმოსავლეთი აფსიდს გასდევს ჩვიდმეტი ნიშა, რომელიც მღვდელმთავართა დასაჯდომად გამოიყენებოდა. მათგან ყველაზე დიდი ნიშა, რომელიც შუა ადგილასაა მოთავსებული, თავად კათალიკოსის დასაჯდომელია. საკურთხევლის ორივე მხარეს აფსიდიანი ეგვტერებია; აქედან ჩრდილოეთით მდებარე წმ. ნიკოლოზის სახელობისაა, სამხრეთით კი – წმ. ელია წინასწარმეტყველის. აქვე არის წმ. ნინოს ლოცვით აღმოცენებული ჭის წყალი, რომელიც ელია წინასწარმეტყველის სახელზეა ნაკურთხი.

მტრის შემოსევებმა იავარქნა სვეტიცხოვლის თავდაპირველი სახე. თემურ ლენგის შემოსევის დროს ჩაიქცა გუმბათი და ტაძრის დასავლეთი ნაწილი მნიშვნელოვნად დაზიანდა. იგი 1413-1440 წლებში მეფე ალექსანდრე I-ის დროს აღადგინეს.


სვეტიცხოველი, ინტერიერი, ხედი აღმოსავლეთისკენ



ტაძრის გუმბათის ყელში თექვსმეტი სარკმელია გაჭრილი. იგი მომწვანო ფერის ფილებითაა მოპირკეთებული და განსხვავდება ტაძრის პერანგის ძირითადი მოყვითალო-ქვიშისფერი ტონალობისგან. 1656 წელს გუმბათი კვლავ ჩაიქცა. იგი ხელმეორედ აღადგინეს როსტომ მეფემ და დედოფალმა მარიამმა, რის შესახებაც გუმბათის ყელზე არსებული წარწერა გვაუწყებს. როგორც ირკვევა, სვეტიცხოველის საკათედრო ტაძარს სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან სხვადასხვა პერიოდის სტოები ჰქონდა, რომლებიც 1837 წელს მოუშალეს. დღეს ადგილზე მხოლოდ მათი საფუძვლებიღა იკითხება. ასევე, ირკვევა, რომ XI საუკუნეში სვეტიცხოველის ტაძარს გალავანი ერტყა. სამხრეთი შესასვლელის თავზე არსებული წარწერის თანახმად, იგი 1789 წელს აღუდგენია ერეკლე II-ს. გალავნის ჩრდილოეთ და სამხრეთ კუთხეებში ცილინდრული კოშკებია ჩასმული. მას დასავლეთ ნაწილში 1029 წელს აგებული ორსართულიანი კარიბჭე ამკობს. საუკუნეთა განმავლობაში სვეტიცხოველს არ მოჰკლებია ზრუნვა მეფეთა, დიდებულთა თუ კათალიკოსთა მხრიდან. ტაძრის ეზოში, კერძოდ, სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში, კათალიკოსმა ანტონ II-მ 1788-1811 წლებში სასახლე ააგო, რომელიც XIX-XX საუკუნეში მრავალგზის გადააკეთეს. არქეოლოგიური გათხრების შედეგად, გალავნის გარეთ, კერძოდ, სამხრეთ კედელთან და კედლის ქვეშ აღმოჩნდა XI საუკუნის დიდი სასახლის ნაშთები. როგორც ჩანს, იგი არაერთგზის იქნა აღდგენილი.

ტაძრის ინტერიერი ნაწილობრივაა მოხატული. საკურთხევლის კონქში შემორჩა XI საუკუნის ფერწერა, რაც შეეხება XVII საუკუნით დათარიღებულ ფენას, იგი არაერთგვაროვანია. როგორც თანმხლები წარწერის მიხედვით ირკვევა, ცხოველმყოფელი სვეტი მხატვარ გრიგოლ გულჯავარაშვილს 1678-1688 წლებში მოუხატავს. დამკვეთი კი თავად კათალიკოსი ნიკოლოზ VIII ამილახვარი ყოფილა. მოხატულობის პროგრამა ქართლის მოქცევის სიუჟეტებს ასახავს. ფერწერულ ფენა ამკობს სამხრეთ-დასავლეთი ბურჯის პირსაც, სადაც დედოფალი მარიამი უფლისწულ ოტიასთან ერთადაა წარმოდგენილი. ამავე ბურჯის ჩრდილოეთ პირზე კი მეფე ალექსანდრე I დიდის მეფედ კურთხევის სიუჟეტია მოცემული. ამავე პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს დასავლეთი მკლავის ჩრდილოეთი კედლის მოხატულობა, სადაც სახარებისეული სცენებია წარმოდგენილი. სვეტიცხოველის ტაძრის მოხატულობის პროგრამაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სამხრეთი კედლის აღმოსავლეთი მონაკვეთის ფერწერა, რომელიც 148-ე და 150-ე ფსალმუნების ილუსტრაციაა. ნიშანდობლივია ისიც, რომ აღნიშნულ სიუჟეტს ანალოგი არ გააჩნია.

სვეტიცხოველი. სამხრეთი კედლის მოხატულობა, XVII საუკუნის II ნახევარი. ფსალმუნის 148-150 ილუსტრაცია.



რაც შეეხება საკათალიკოსო საყდრის ჩრდილოეთი პირის ფერწერას, იგი ძველი აღთქმის სიუჟეტებს ასახავს. ეს ფენა კათალიკოს იოანე დიასამიძის (1688-1691 წწ.) დაკვეთითაა შესრულებული.


როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, საუკუნეების განმავლობაში სვეტიცხოვლის ტაძარი მრავალჯერ გადაკეთდა. თავდაპირველად, მისი დასავლეთი მკლავი გვერდითი ნაწილებს სამი ბურჯით გამოეყოფოდა. აღდგენის შემდეგ მხოლოდ ორი წყვილი სხვადასხვა ზომის ბურჯი აღდგა. მოგვიანებით, 1678-1688 წლებში, სამხრეთი თაღის ქვეშ კათალიკოსმა ნიკოლოზ VIII-მ (ამილახვარმა) მასზე მართკუთხა კოშკისებური ნაგებობა აღმართა. სწორედ ეს ადგილი აღნიშნავს დღეს ცხოველმყოფელი სვეტის და მის ქვეშ დავანებული კვართის ადგილ-სამყოფელს. XV საუკუნეში სვეტიცხოვლის ტაძრის ინტერიერში, კერძოდ, სამხრეთი კედლის ორ შვერილს შორის ჩაშენდა მცირე ზომის გუმბათიანი ნაგებობა. იგი წარმოადგენს იერუსალიმის მაცხოვრის აღდგომის ტაძრის მცირე მოდელს. სვეტიცხოვლის ტაძრის სამხრეთ-დასავლეთი გუმბათქვეშა ბურჯი 1688-1691 წლებში აღადგინა კათალიკოს იოანე VII-მ. რაც შეეხება დღევანდელ კანკელს, იგი 1972 წელს დაიდგა. დასავლეთით არსებული პატრინიკეც სახეცვლილია. ტაძარში შესვლა სამი მხრიდან შეიძლება. მთავარი შესასვლელი დასავლეთიდანაა, სადაც მოგვიანო ხანაში აგებული კარიბჭით შევდივართ. როგორც ირკვევა, იგი 1813 წელს ეგზარხოსმა ვარლამ ერისთავმა განაახლდა.

ტაძრის ფასადები მდიდრულადაა მორთული, სადაც სხვადასხვა პერიოდის რელიეფებია ჩართული. მათგან ყველაზე უძველესი ხარის ჰორელიეფური თავების გამოსახულება ვახტანგ გორგასლის დროინდელია.

მიუხედავად სვეტიცხოვლის ტაძრის ფასადების მრავალგზის გადაკეთებისა, თაღებით გაფორმებული ფასადები მაინც ინარჩუნებს მწყობრ ხასიათს.

სვეტიცხოველი. რელიეფები სამხრეთ ფასადზე

საუკუნეთა განმავლობაში სვეტიცხოვლის ტაძარში არაერთი ღირსეული მამულიშვილი მოღვაწეობდა. განუსაზღვრელია თითოეული მათგანის როლი საკათალიკოსო საყდრის გამშვენების საქმეში. მათ შორისაა XVII საუკუნის საეკლესიო მოღვაწე ნიკოლოზ მაღალაძე. მას 1678-1700 წლებში სვეტიცხოვლის წინამღვრის თანამდებობა ეკავა. იგი ისტორიულ საბუთებში ქადაგად, არქიმანდრიტად და ქადაგ-არქიმანდრიტად იწოდება. როგორც ირკვევა, სვეტიცხოვლის წიგნთსაცავს, რომელიც იმ დროისთვის 7000 ერთეულს მოიცავდა, მან მრავალი წიგნი შეჰმატა. მათი ნაწილი დღეს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება. ნიკოლოზის კალამს ეკუთვნის შიო მღვიმელის „შესხმა“ და დავით გარეჯის უდაბნოში ლეკთან მოწყვეტილი ხუთი ბერის „მარტვილობა“.



სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი საუკუნეების განმავლობაში არაერთი სამეფო და სასულიერო პირის საძვალედ იქცა. თავისი საკრალურობიდან გამომდინარე, მეფემ მირიანმა თავი არ მიიჩნია ღირსად, აქ დაკრძალულიყო. მოგვიანებით, მისმა შთამომაყლებმა: მეფე რევმა და ბაკურმა სწორედ ამ წმინდა ადგილას ჰპოვეს სამუდამო განსასვენებელი.

აქ დაკრძალულნი არიან მეფეები – რევი, ბაკური, ვახტანგ გორგასალი, დავით VI, გიორგი VIII, ლუარსაბ I, ერეკლე II, გიორგი XII, დედოფალი მარიამი (როსტომ ხანის მეუღლე), ანა (ერეკლე II-ის მეუღლე), კათალიკოსები: მელქისედეკ I, დომენტი I, ბესარიონ I, ანტონ I და სხვ.

წყაროების თანახმად, წმინდა ქალაქი მცხეთა, მეორე იერუსალიმი, არის ქართველი ერის ემბაზი, სადაც ნათლისღების მადლით, ჩვენი ერი ქრისტეში იშვა და ახალ საზეპურო ერად ჩამოყალიბდა.

ისტორიული წყაროების მიხედვით, სულიერი კავშირი საქრისტიანოს ცენტრ იერუსალიმსა და საქართველოს შორის ადრიდანვე დამყარდა. აქ, V-VI საუკუნეებში, საბა განწმენდელის ლავრაში, ქართველმა მამებმა მძლავრი მწიგნობრული კერა ჩამოაყალიბეს. თავად მირონიც საუკუნეების მანძილზე საქართველოში იერუსალიმიდან მოჰქონდათ, მოგვიანებით კი, VIII-IX სს-ში, წმ. გრიგოლის ხანძთელის მოწაფის – ეფრემ მაწყვერელის ძალისხმევით და აღმოსავლეთის პატრიარქების გადაწყვეტილებით, სწორედ მცხეთაში, მეორე იერუსალიმში, მიიღეს ქართველებმა უფლება წმ. მირონის კურთხევისა. ამ ფაქტმა საქართველოს წმიდათაწმიდა ქალაქს, მცხეთას, როგორც ქართველთა იერუსალიმს, მეტი ღირსება მიჰმადლა. მცხეთა იქცა იმ ადგილად, რომელმაც უნდა უწინამძღვროს ქართველ ერს ზეციური იერუსალიმისკენ სავალ გზაზე.

კვართი, როგორც უწმიდესი რელიქვია, ამთლიანებს ყველა იმ ქრისტიანულ სიწმიდეს, რასაც საქართველოს ეკლესია ფლობდა და ფლობს (საუფლო ჯვრის ნაწილი, ფიცრები, რომლებზეც დაალურსმეს მაცხოვრის ფერხნი, ლურსმნები, რითაც მაცხოვრის ხელნი მიაჭედეს ჯვარს, ვაზის ჯვარი და აურაცხელი სხვა). მცხეთაში დაფლულობა კვართისა მცხეთას გარდაქმნის სულიერ ქალაქად, მეორე იერუსალიმად.

გარკვეულია, რომ ისტორიული რეალიები, კერძოდ ტოპონიმიკის მონაცემები ქალაქ მცხეთას უმჭიდროესად უკავშირებს იერუსალიმს, როგორც აღნიშნავს კორნელი კეკელიძე.

„ძველმა ქართულმა ეკლესიამ, რომელიც თავის საწყისს წმიდა მიწიდან იღებს, იესო ქრისტეს მიწიერი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენები ტოპოგრაფიული თვალსაზრისითაც იერუსალიმის დედა ეკლესიიდან მცხეთასა და მის შემოგარენს, მის ყველა მთავარ ადგილს დააკავშირა.

მცხეთის გოლგოთის მთაზე აღმართული ჯვარი ერთარსია იერუსალიმის გოლგოთაზე აღმართული საუფლო ჯვრისა.

წარმოდგენილი შესატყვისობანი გვაფიქრებინებს, რომ საკუთრივ კვართის სამარხი მაცხოვრის საფლავის აღმნიშვნელი უნდა იყოს. ამგვარი დაკავშირება უზენაეს სრულყოფას ანიჭებს მცხეთის იერუსალიმურ სახეს [81:27-28].

უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II
ქადაგება სვეტიცხოვლობას
სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარი, 14 ოქტომბერი, 2009 წ.

„ახალი ტრაქტატით გამოვხატავთ ჩვენს ერთობას“

თქვენო უნეტარესობავ, მთავარეპისკოპოსო ვაშინგტონისა, მიტროპოლიტო ამერიკისა და სრულიად კანადისა, მეუფე იონა, ყოვლადსამღვდელონო მიტროპოლიტნო, მთავარეპისკოპოსნო და ეპისკოპოსნო,

ჩვენო სულიერო შვილებო!

ჩვენთან არს ღმერთი!

დღეს ჩვენი დიდი ეროვნული და საეკლესიო დღესასწაულია, რომელსაც დიდი ზეიმით აღვნიშნავთ. დღეს ვფიქრობთ ჩვენს წარსულზე, მის აწმყოსა და მომავალზე.

დარწმუნებულნი ვართ, რომ მადლი ღვთისა, რომელიც იცავდა საქართველოს ხილული და უხილავი მტრებისაგან, შინაური და უცხო ავადმოსურნეებისაგან, კვლავაც დაიცავს მას.

ამის დამადასტურებელი ნიშანი მრავალია საქართველოში. ქრისტეს შობამდე ჯერ კიდევ 6 საუკუნით ადრე საქართველოში ებრაელებმა წმინდა ელია წინასწარმეტყველის ხალენი ჩამოაბრძანეს. საქართველო გახდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვედრი. საქართველოში ჩამოიტანეს კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ქრისტიანობა გახდა სახელმწიფო რელიგია ჯერ კიდევ IV საუკუნეში, V საუკუნეში კი ეკლესიამ უკვე ავტოკეფალია მოიპოვა. მადლობა უფალს ამ დიდ წყალობათათვის.

ჩვენ ვიმყოფებით იმ წმინდა ადგილზე, სადაც დაკრძალულია კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ხალენი წმინდა ელია წინასწარმეტყველისა. საუკუნეთა მანძილზე ყოველ მეფეს, პატრიარქსა და ქართველს მოუდრეკია მუხლი ამ წმინდა ტაძარში. ეს ის ტაძარია, სადაც ისტორიულად ხდებოდა მეფეთა კურთხევა და დღემდე აკურთხებენ კათოლიკოს-პატრიარქსა და მღვდელმთავრებს. ეს არის წმინდათაწმინდა ადგილი. ეს არის გული საქართველოსი.

მინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნო, თუ რამდენად ძვირფასია ჩვენთვის ჩვენი სამშობლო.

ჩვენს წინაპრებს უთქვამთ: „როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა“. ჩვენ ვიცავთ ჩვენს ენას, ჩვენს მიწა-წყალს, ჩვენს კულტურას და ეს განსაკუთრებით საჭიროა დღეს, როცა მსოფლიოში არის გლობალიზაციის პროცესი. გლობალიზაცია – ეს ჩვეულებრივი პროცესია და ამას ვერავინ შეაჩერებს.

ჩვენ ვართ სისხლი და ხორცი დავით აღმაშენებლისა და თამარისა, ჩვენ ვართ სისხლი და ხორცი რუსთაველისა და ჩვენთა დიდთა წინაპართა. უნდა ვიცოდეთ, რამ გადაგვარჩინა.

ჩვენ გადაგვარჩინა ერთობამ, ერთსულოვნებამ. ჩვენ გვიცავდა და გვიცავს ჩვენი სარწმუნოება და ჩვენი კულტურა. ჩვენი სულიერი და ინტელექტუალური ფასეულობანი. დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ უნდა გამოვხატოთ ჩვენი ერთობა, რომ ვართ ერთი სისხლი და ხორცი, ვართ ივერნი – ქართველნი და ჩვენ მუდამ ერთად ვიქნებით. 200 წლის წინ მეფე ერეკლე II-ის ინიციატივით დაწერეს „ივერიელთა ერთობის ტრაქტატი“, რომელსაც ხელი მოაწერეს თვით მეფემ, თავადებმა და მთელმა მოსახლეობამ.

დღეს ვიწყებთ ხელმოწერას ახალი ტრაქტატის ფურცლებზე, რითაც გამოვხატავთ ჩვენს ერთობას, ერთსულოვნებას, იმას, რომ ჩვენ ვართ ერთი სისხლი და ხორცი და მუდამ დავიცავთ ჩვენს მიწა-წყალს და საყვარელ სამშობლოს.

ამ ისტორიულ დღეს ჩვენს წირვა-ლოცვაში მონაწილეობა მიიღო ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა, მთავარეპისკოპოსმა ვაშინგტონისა, სრულიად ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტმა, უნეტარესმა იონამ. მინდა ვთქვა, რომ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასა და ამერიკის მართლმადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიას შორის არის ჭეშმარიტად ძმური და მეგობრული ურთიერთობები. ჩვენი წმინდა სინოდის, სამღვდელოების, მრევლისა და პირადად ჩემი სახელით, გულითადად მივესალმები უნეტარეს იონას და მინდა გამოვთქვა ჩემი სურვილი, რომ ჩვენი ურთიერთობა უნდა განმტკიცდეს, ავიდეს ახალ სიმაღლეზე, როგორც ამას ჩვენი სარწმუნოება ითხოვს. ღმერთმა დალოცოს ჩვენი პატივცემული სტუმარი და მისი თანმხლები პირები. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება საქართველოში, ამინ!

დიდად მოხარული ვართ, რომ ჩვენთან იმყოფება ამერიკის ეკლესიის მეთაური. ღმერთმა დალოცოს, გაახაროს, გააძლიეროს ამერიკის ეკლესია და მისი საჭეთმპყრობელი.

გაგაცნობთ ივერიელთა ერთობის ტექსტს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მსგავსად „ივერიელთა ერთობის ტრაქტატისა“ (1790 წ.) შეიქმნა ღვთისმშობლის წილხვედრი სრულიად საქართველოს და ყოველთა ივერიელთა ერთობის ახალი ტრაქტატი (2009-2010 წწ.)

დიდება და მადლობა ღმერთს ყველაფრისათვის!

ვინაიდან ივერიის ყოველნი მკვიდრნი, მცხოვრებნი აფხაზეთს, აჭარას, გურიას, თუშეთს, იმერეთს, კახეთს, ლაზეთს, მესხეთს,მთიულეთს, ოდიშს, რაჭა-ლეჩხუმს, სვანეთს, ფშავ-ხევსურეთს, ქართლს, ხევსა და ჰერეთს და ჩვენი სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ მყოფნი თანამოძმენი ვართ შთამომავალნი ერთი წინაპრისა, საუკუნეთა წინ ერთ ერად ჩამოყალიბებულნი, მრავალფეროვნებით გამორჩეული ერთი ენისა და კულტურის მჭონენი, ნათესაობითა და მოყვრობით შესისხლხორცებულნი და ასევე ამ ქვეყნის გულშემატკივარი ყოველნი შვილნი მისნი და თანამდგომნი

საქვეყნოდ ვაცხადებთ:

კვლავაც განვამტკიცებთ ჩვენს საუკუნო ერთობას და ყოვლადძლიერი ღმერთის სახელით აღვუთქვამთ საქართველოს ერთგულებას, ერთმანეთს კი – მტკიცე თანადგომასა და სიყვარულს, გამოხატულს ჩვენსა აზრსა და ქმედებაში, რათა თითოეულმა ჩვენგანმა, გმირი წინაპრების მსგავსად, დავიცვათ ჩვენი მიწა-წყალი და ტრადიციები, ჩვენი თავისუფლება და ღირსება [179].

კითხვები გამეორებისთვის:

1. რა იცით საქართველოს ღვთისმშობლის წილხვედრობის შესახებ?
2. მაცხოვრის სახელთან დაკავშირებული რომელი სიწმინდეებია საქართველოში?
3. ვინ იყო ქართველთა განმანათლებელი? გაიხსენეთ მცირე ისტორია.
4. სად არის დაკრძალული წმინდა ნინო?

თავი 10. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია, პატრიარქები და ეპარქიები

10.1 საქართველოს ეკლესის მოკლე ისტორია

ეკლესიის წარმოშობა. „ეკლესია“ ბერძნული სიტყვაა და „კრებულს“ ნიშნავს (ვკრებ, ვიწვევ). მისი არსიც ეს არის – მოუხმოს ხალხს და შეკრიბოს ისინი თავის წიაღში. ... ეს ხალხი მრევლად, ან ეკლესიურ ადამიანებად იწოდება. ისინი ეკლესიაში, ღვთის სახლში, საღმრთო მსახურებაზე შემოკრებილნი ერთ სულად, ერთ ორგანიზმად, ქრისტეს სხეულად იქცევიან [144].

ქრისტიანული რელიგიის მრწამსმა, რომელიც ჯერ ნიკეის (325 წ.) და მერე კონსტანტინოპოლის (381 წ.) მსოფლიო კრებაზე იქნა მიღებული, ამგვარად ჩამოაყალიბა ქრისტიანული ეკლესიის ოთხი ნიშანი: **„მწამს ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“.**

ერთი. ქრისტემ შექმნა მხოლოდ ერთი ეკლესია, ეკლესია, რაზედაც ლაპარაკობს მრწამსი. როგორც ერთია ღმერთი, როგორც ერთია ძე ღვთისა ქრისტე, როგორც ერთია ქრისტეს სხეული, ასევე ერთია ეკლესია.

წმიდა. რაკი ეკლესია ქრისტეს დაფუძნებულია და ის არის მისი სხეული, იგი წმიდაა. ის წუთისოფელშია, მაგრამ განრიდებულია მისგან. წუთისოფლის სიბილწე არ ბღალავს მას. წმიდა არ ნიშნავს, რომ ყველა წევრი ეკლესიისა წმიდაა. წმიდა ნიშნავს, რომ ცოდვილნი, რომელთა მოწოდებისთვის მოვიდა ქრისტე, სიწმიდის გზაზე არიან, ეკლესიაში ეზიარებიან სიწმიდეს.

კათოლიკე. ერთი მნიშვნელობით ეს არის „მთლიანი“, „მრთელი“. ეკლესია შეიქმნა და არსებობს როგორც მთლიანი, დაუნაწევრებელი, ისევე როგორც ქრისტეს სხეულია მთლიანი. ყველა ცალკეული ეკლესია მთლიანად, არა ფრაგმენტულად, არა დანაწილებულად მოიცავს ერთს. მეორე მნიშვნელობით, კათოლიკე ნიშნავს საყოველთაოს, უნივერსალურს. ეკლესია აერთებს ყველა ქრისტიანს, მთელ მსოფლიოში გაფანტულთ, ყველას – ცოცხალსა და განსვენებულს, წმიდასა და ცოდვილს, განურჩევლად ეთნიკურენობრივი, კულტურული, სოციალური კუთვნილებისა. არსებობს ქრისტეს ერთი ეკლესია თავის უნივერსალურ მთლიანობაში, ყველა მოდგმისათვის – ყველასათვის ერთნაირად განტეხილ-დათხეული ქრისტეს ხორცი და სისხლი, მაგრამ მაინც მთლიანი ხორცით და სისხლით. „უკვე აღარ არსებობს არც იუდეველი და არც ბერძენი... თქვენ ყველანი ერთნი ხართ ქრისტე იესოში“ (გალ. 3:28).

სამოციქულო. სამოციქულო ნიშნავს, რომ ეკლესია დაარსებულია მოციქულთა მიერ და ინახავს მოციქულთა მოძღვრებას, რომელიც მათ უშუალოდ ქრისტესგან მიიღეს. ქრისტეს სიცოცხლეში თორმეტი მოციქული უკანასკნელ სერობაზე უკვე შეადგენდა ეკლესიას თავისი ევქარისტიის საიდუმლოთი (ქრისტეს ხორცისა და სისხლის ზიარებით), მაგრამ ეკლესიის დაარსების დღედ ითვლება აღდგომიდან ორმოცდამეათე დღე, როცა მოციქულთა კრებულზე გადმოვიდა სულიწმიდის მადლი და სხვადასხვა ქვეყნიდან იერუსალიმში შეკრებილ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ებრაელებს ყველას საკუთარ ენაზე ექადაგა სახარება (საქმე, 2:111). [165]; [46:440].

ეკლესია მთელ დედამიწაზე მცხოვრებ ქრისტიანთა ერთობაა, რომელიც განიხილება, როგორც სულიერი სხეული, რომლის თავიც ქრისტეა და ერთი სულით სულდგმულობს: „ერთი სხეული და ერთი სული, ერთი უფალი, ერთი რწმენა, ერთი ნათლობა, ერთი ღმერთი და მამა ყოველთა“ (ეფეს. 4. 4-6), ამიტომაც ეკლესიის განყოფა და ნაწილებად დაშლა არ შეიძლება.

სხვადასხვა ადგილობრივი ეკლესიების არსებობა, როგორიცაა კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, იერუსალიმის, საქართველოსა და სხვებისა, არ არღვევს ეკლესიის ერთობას, რადგანაც ისინი ერთი სხეულის – ქრისტეს საყოველთაო ეკლესიის წევრები არიან. [50:3]

კათოლიკე ეკლესიად მართლაღსაარებასა სახელისა მისისასა უწოდა მაცხოვარმან, ოდეს იგი ნეტარებაჲ მისცა ნეტარსა მოციქულსა პეტრეს და თქუა: „ამას კლდესა ზედა, ესე იგი არს მართლაღსაარებასა, აღვაშენო ეკლესიაჲ ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდიან მას“ (მათე 16,18) **(ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ აღმსარებელისა მართლისა სარწმუნოებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა მაქსიმესი“).**

საქართველო უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა. I ს-ში ქრისტიანობა აქ იქადაგეს მოციქულებმა, რის გამოც საქართველოს ეკლესია სამოციქულო ეკლესიად ითვლება. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ქრისტიანული სამყაროს განუყოფელი ნაწილია. იგი ერთ-ერთი უხუცესი ეკლესიაა მსოფლიო

ეკლესიებს შორის. საქართველოს სამოციქულო ეკლესიას უძველესი პერიოდიდან მე-6 ადგილი უკავია მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის [8:5].

ეკლესიის ისტორიკოსთა განმარტებით ქრისტიანული ეკლესიის ისტორია საღმრთისმეტყველო მეცნიერებათა ჯგუფში შედის, თუმცა, მეორე მხრივ, იგი საერო მეცნიერებაცაა, რადგანაც კაცობრიობის ისტორიის შესწავლას ემსახურება. საქართველოს ეკლესიის ისტორიაც ასევე ქართველი ერის ისტორიის შემადგენელი ნაწილია. საქართველოს ეკლესია წარსულში მუდამ წარმმართველი ძალა იყო ქართველი ერის სულიერი ცხოვრებისა. წმიდა ილია მართლის (ჭავჭავაძე) თქმით: „საქართველოს ეკლესია ყოველთვის თავდადებით პატრონობდა ჩვენს ერს და არასდროს დიდებას ერისას დავიწყებას არ აძლევდა" (ი. ჭავჭავაძე, ტ. II, გვ. 180).

ქართულ ეკლესიას სამართლიანად უწოდებენ „საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას" მაგრამ, ამასთანავე, მას უძველესი დროიდან „საქართველოს სამოციქულო ეკლესიაც" ეწოდებოდა, ვინაიდან იგი ქრისტეს მოციქულებმა დააფუძნეს. საქართველოს ეკლესიის ჩამოყალიბება (I-IV სს.)

უფლის ამაღლების შემდეგ სულიწმიდის მოფენისას მოციქულებს მიეცათ იმ ხალხთა ენების ცოდნა, რომელთა ქვეყნებშიც უნდა ექადაგათ მათ. წმ. ანდრია პირველწოდებულს მიეცა ქართული ენის ცოდნა.

ამაღლების შემდეგ მოციქულებმა წილი ყარეს, თუ ვის რომელ ქვეყანაში უნდა ექადაგა. „ქართლის ცხოვრება" გადმოგვცემს, რომ საქართველო წილად ხვდა ღმრთისმშობელს, მაგრამ მისი ძის, ჩვენი უფლის ნებით, ღმრთისმშობელმა თავის ნაცვლად საქართველოში წმ. მოციქული ანდრია პირველწოდებული მოავლინა, რომელსაც თავისი ხელთუქმნელი ხატი გამოატანა [54:3].

წმიდა ანდრია მოციქულმა არა მარტო გააქრისტიანა ქართველები, არამედ პირველი საეპისკოპოსოც დაარსა ქალაქ აწყურში, დაუნიშნა ეპისკოპოსი და დატოვა რამდენიმე მღვდელი და დიაკონი, ფაქტიურად ეს იყო შექმნა ქართული ეკლესიისა თავისი იერარქიით.

ანდრია მოციქულს საქართველოში სამჯერ უმოგზაურია. პირველი მოგზაურობის დროს იგი ხელთუქმნელ ხატთან ერთად მეგრელთა ქვეყნიდან, ტრაპიზონიდან „შესულა ქვეყანასა ქართლისასა", რომელიც დიდ აჭარის სახელითაა ცნობილი. აქ მას აუშენებია ეკლესია, დაუდგენია სასულიერო პირები და ხელთუქმნელი ხატის ასლიც აქვე დაუსვენებია. დღეს ამ ადგილს ადგილობრივი მოსახლეობა „თარანგელად" (მთავარანგელოზად) მოიხსენიებს. აქედან ანდრია გაემართა ქართლის შუაგულისაკენ, გადავლო მთა, რომელსაც რკინის ჯვარი ეწოდა, სადაც მას რკინის ჯვარი აღუმართავს. შემდეგ მოციქულ ანდრიას აწყურში პირველი საეპისკოპოსო დაუარსებია და ხელთუქმნელი ხატიც იქ დაუსვენებია. აღნიშნული ხატი აწყურის ღვთისმშობლის სახელითაა ცნობილი. მეორე და მესამე მოგზაურობის დროს ანდრიამ სიმონ კანანელთან და მატათა მოციქულთან ერთად მოაქცია დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთი და მთიანი ნაწილი. ანდრია მოციქული შემდგომ უკან დაბრუნდა, ხოლო სიმონ კანანელმა და მატათა მოციქულმა სამუდამო განსასვენებელი საქართველოში ჰპოვეს. სიმონ კანანელის საფლავი ამჟამად დაცულია ახალ ათონში (აფხაზეთი), ხოლო, საეკლესიო ტრადიციით, მატათა მოციქული განისვენებს გონიოში (ბათუმი). მოციქულთა მიმოსვლამ გარკვეული კვალი დატოვა ადგილობრივ ტოპონიმიკაში. შემორჩენილია მათი წმინდა ნაწილები. თბილისის სიონის ტაძარში ასვენია თომა მოციქულის თავის ქალა. საქართველოს ეკლესია-მონასტრებში აგრეთვე დავანებულია ანდრია პირველწოდებულის, პეტრეს, პავლეს, მათეს და სხვა მოციქულთა წმინდა ნაწილები [8:7].

არა მარტო 12 მოციქულთაგან, არამედ 70 მოციქულთაგანაც ყოფილან საქართველოში და უქადაგიათ აქ. მაგალითად, ქართლის ჭრონიკების თანახმად, ასეთი ყოფილა ხრისო, რომელსაც ალბანეთში (იმ დროს იბერიის ნაწილი იყო) მოუნათლავს 19 კაცი.

ამრიგად, 12 მოციქულთაგან ექვსს უქადაგია საქართველოში, კერძოდ: ანდრია პირველწოდებულს, სვიმონ კანანელს, მატათას, ბართლომეს, თომას და თადეოზს. ამათგან ორის საფლავი ახლაც საქართველოშია: სვიმონ კანანელისა – ახალ ათონში და მატათასი – ბათუმთან ახლოს, გონიოს ციხე-სიმაგრეში.

ხოლო სამოცდაათთაგან საქართველოში უქადაგია ხრისოს.

მოციქულთა მიერ დაარსებული ეკლესია, სადაც არ უნდა ყოფილიყო ის, ავტოკეფალური იყო. ამიტომაც საქართველოს ეკლესიაც დაარსებისთანავე თავისთავადია.

საქართველოს ეკლესიის ისტორია იყოფა სამ პერიოდად: I პერიოდი მოიცავს დროს წმიდა მოციქულებიდან რუის-ურბნისის კრებამდე, II პერიოდი – რუის-ურბნისის კრებიდან ავტოკეფალიის გაუქმებამდე, ხოლო III პერიოდი – XIX-XX სს-ებს.

საქართველოს ეკლესიის დაფუძნება

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის 2002 წლის 22 ოქტომბერს დადებული კონსტიტუციურ შეთანხმების თანახმად საქართველოს ეკლესია წარმოადგენს სამოციქულო საყდარს და მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის განუყოფელ ნაწილს.

ქრისტიანობა (მათლმადიდებლობა, ევროპის ერთ-ერთი ტრადიციული აღმსარებლობა), საქართველოში ისტორიულად სახელმწიფო რელიგია იყო, რომელმაც ჩამოაყალიბა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა, ეროვნული მსოფლმხედველობა და ფასეულობები; ამჟამადაც, საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია;

საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი ქვეყნის ისტორიაში და მისი დამოუკიდებლობა სახელმწიფოსაგან.

„საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას“ უძველესი დროიდან „საქართველოს სამოციქულო ეკლესიაც“ ეწოდება, ვინაიდან იგი ქრისტეს მოციქულებმა დააფუძნეს.

საქართველოს ეკლესიაში დამკვიდრებული ტრადიციული გადმოცემით, ჩვენში უქადაგნია მოციქულთა სიმრავლეს – წმ. ანდრია პირველწოდებულს, სიმონ კანანელს, მატათას, ბართლომეს, თომასა და თადეოზს. ქართული და უცხოური წყაროებიც მიუთითებენ მოციქულების საქართველოში მოღვაწეობას. ძველი ქართული საეკლესიო წყაროების – „მოქცევაი ქართლისაის“ (VII-IX სს.) და „ქართლის ცხოვრების“ (VIII-XI სს.) ცნობებით, წმიდა მოციქულების ეპოქაში თანამედროვე საქართველოს ტერიტორიას მოიცავდა სახელმწიფო – „ქართლის სამეფო“, რომელსაც უცხოელები იბერიას უწოდებდნენ, ის იყო მემკვიდრე დიდი ისტორიული კოლხიდისა. იერუსალიმიდან პირველ საუკუნეში საქართველოში ჩამოსვენებულ ქრისტეს კვართს იბერიის მეფე ადერკი ხელით შეეხო, რითაც საღმრთო მადლი მიუღია მას და მის შთამომავლობას, ამიტომაც საქართველოს სამეფო გერბის ცენტრში გამოსახული იყო ქრისტეს კვართი.

წმ. მოციქულთა ეპოქაში, I საუკუნის 30-იანი წლებიდან II საუკუნის 60-იანი წლების ჩათვლით, იბერია ძლიერი სახელმწიფო იყო, რომელიც კავკასიის მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავდა. რომაელი ისტორიკოსები – ტაციტუსი, დიონ კასიუსი და სხვები აღწერენ იბერიის ცხოვრებას (ტაციტუსის ცნობით I ს. 30-იანი წლებიდან იბერია მეგობრობდა რომთან და თავისი ძლიერი ჯარით ებრძოდა პართიის სახელმწიფოს, რათა არმენია გაეთავისუფლებინა პართიელთაგან. გათავისუფლების შემდეგ არმენიაში გამეფდა იბერთა მეფის მითრიდატეს ძე, შემდეგშიც იბერიის სამეფო სახლის წევრები მართავდნენ არმენიას, მათ შორის ტაციტუსი გამოყოფს იბერიის მეფის ფარსმანის ვაჟს რადამისტს. ტაციტუსის ცნობითვე არმენიასთან ერთად იმჟამად „იბერიამ შეიერთა ალბანია და უხმო სარმატებს“ (Cornelius Tacitus, Annales, VI,33-36, IX,9, XII,15-50). მეორე ისტორიკოსის დიონ კასიუსის ცნობით II ს. პირველ ნახევარში „იბერიის მეფე ფარასმანესი როცა მეუღლესთან ერთად რომში ჩამობრძანდა ადრიანემ (რომის იმპერატორმა) გააფართოვა მისი სამფლობელოები“ (დიონ კასიუსი, რომის ისტორია, XIX, 15). შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე განფენილ იმჟამინდელ ვრცელ იბერიაში გამავალი საერთაშორისო სავაჭრო გზები რომის იმპერიას სპარსეთთან და სკვითიასთან აკავშირებდა, ამ მიზეზის გამო, სპარსეთ-ინდოეთსა თუ, ჩრდილოეთით, სკვითია – სარმატიაში საქადაგებლად მიმავალი წმიდა მოციქულები გზას ვერ აუქცევდნენ იბერიას.

ძველი ქართული საეკლესიო წყაროებისა და რუის-ურბნისის კრების განსაზღვრებით, ჩამოყალიბების დროიდან საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შედიოდა სრულიად საქართველოს ისტორიული მიწა-წყალი და მთელი ქართველი ერი (მცხოვრები როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში), ამიტომაც ნაბრძანებია რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერაში – „წმიდა მოციქულმა ანდრიამ იქადაგა ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა“.

არქეოლოგების მიერ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში გამოკვლეულია II-III საუკუნეთა ქრისტიანული სამარხები, ქრისტიანული წესით დაკრძალული მოზრდილები და ბავშვები შესაბამისი ქრისტიანული ატრიბუტებით (არტეფაქტებით). მასალიდან ჩანს, რომ ქრისტიანობას იღებდნენ ბავშვებიც კი, რომელთა მოსანათლად სამღვდელოება იყო საჭირო. ამით დასტურდება „ქართლის ცხოვრების“ ცნობა, რომ ანდრია მოციქულმა, იმჟამინდელ საეკლესიო ცენტრში, აწყურში, ქრისტიანებს დაუდგინა სამღვდელოება ეპისკოპოსთან ერთად, ანუ საფუძველი დაუდო საქართველოს წმიდა ეკლესიას, რომელსაც, ამ წყაროს ცნობით, თავისი იერარქიული მმართველობა გააჩნდა უკვე მოციქულების ეპოქიდანვე.

მე-11 საუკუნეში ანტიოქიის საპატრიარქო კარზე წმიდა გიორგი მთაწმინდელის მტკიცებით რადგანაც მოციქულების მიერ დაარსებული ეკლესიები პირველ საუკუნეებში თავისთავადები (ავტოკეფალურები) იყვნენ, მსგავსადვე, მოციქულის მიერ დაარსებული საქართველოს ანუ ივერიის ეკლესიაც თავისთავადი იყო.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრების წმიდა მამათა განმარტებით, საქართველოში არსებული ქრისტიანული თემები მე-2, მე-3 საუკუნეებში წარმართი მეფეების მხრიდან განიცდიდნენ დიდ დევნას, ამიტომაც IV საუკუნეში წარმოიქმნა საჭიროება სამეფო ოჯახისა და მთელი ერის მოქცევისა.

ჩვენში ქრისტიანული ეკლესია და მრევლი (ქრისტიანული თემები) უწყვეტად არსებობდა I ს-დან IV ს-მდე. სწორედ ამ პერიოდში შეიქმნა ის ნოყიერი ნიადაგი, რამაც განაპირობა საქართველოში წმიდა ნინოს მისიის წარმატებით დაგვირგვინება.

IV ს-ში საქართველოში იქადაგა მოციქულთასწორმა წმიდა ნინომ, უფლისმიერი დავალებით მას უნდა გაექრისტიანებინა იბერიის სამეფო ოჯახი და უფლის შეწევნით მან ეს მოახერხა.

სამეფო ოჯახთან ერთად ქრისტიანობა მიიღო მთელმა ქართველმა ერმა, ამიტომაც წერს რუის-ურბნისის კრება, რომ წმიდა ნინოს მიერ გაქრისტიანდა „ყოველი სავსება ყოველთა ქართველთა ნათესავისა“, ისევე როგორც იქამდე 300 წლით ადრე წმიდა ანდრიამ იქადაგა „ყოველსა ქვეყანასა საქართველოისასა“ (დიდი სჯულისკანონი, 1974, გვ. 545-546).

ქადაგებათა შემდგომ IV-VII სს-ში საქართველოს ყოველ ნაწილში ჩამოყალიბდა ათეულობით ეპარქია და საეპისკოპოსო. მათი რიცხვი გასაკუთრებით გაიზარდა VIII-X სს-ში, ამის გამო, წარმოიქმნა საჭიროება, რათა საქართველოს ეკლესიაში ეპარქიათა მართვის გაადვილებისათვის ჩამოყალიბულიყო რამდენიმე საეკლესიო ადმინისტრაციული ოლქი, მსგავსნი ბიზანტიური სამიტროპოლიტო ოლქებისა. ამ მიზნით, ქართული ეკლესიის წიაღში ჩამოყალიბდა დასავლეთ საქართველოს მომცველი საეკლესიო–ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც „ქვემო ივერიის“ ანუ აფხაზეთის საკათალიკოსო ეწოდებოდა. მის მმართველს „უმრწემესი კათალიკოსის“ ტიტული მეინიჭა, რადგანაც „უხუცესი კათალიკოსი“ მცხეთის პირველიერარქს ერქვა.

ძველ საქართველოში საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეულის დაარსების უფლება ეკუთვნოდა მეფეს, ამიტომაც აფხაზეთის საკათალიკოსოს დაარსებას ესაჭიროებოდა დასტური სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან და მართლაც, საქართველოს მეფე ბაგრატ ბაგრატიონმა (IX ს.) გასცა ამის დასტური.

ამიტომაც წერს მემატიანე შემდეგს: „ამან ბაგრატ განაწესა კათალიკოზი აფხაზეთს ქრისტეს აქეთ 830 წელს“ (ქართლის ცხოვრება, 1955, I, გვ. 255).

აფხაზეთის საკათალიკოსო აღმოცენდა ქართველ მეფეთა და პირველიერარქთა ნებით და ის შემდგომში ყოველთვის ერთ-ერთ ადმინისტრაციულ-საეკლესიო ოლქს წარმოადგენდა ზოგადქართული ეკლესიისა.

აფხაზეთის საკათალიკოსო, ისტორიულად ქართული ეკლესიის ერთ ნაწილს წარმოადგენდა, რომლის მეორე ნაწილი იყო ქართლის საკათალიკოსო.

ასევე, შემდგომ საუკუნეებში, ჩრდილო კავკასიაში ქრისტიანობის გავრცელების კვალდაკვალ, ჩამოყალიბდა ხუნძეთის (დაღესტნის) სამიტროპოლიტო ოლქი, რომელსაც ქართული ეკლესიის იურისდიქციაში შემავალი კათალიკოსი მართავდა, ამის თქმის უფლებას იძლევა ის, რომ სინას მთის ქართულმა ხელნაწერებმა შემოინახეს „ხუნძელი კათალიკოსის ოქროპირის“ სახელი, ამასთანავე ცნობილია, რომ კავკასიის ამ რეგიონში რამდენიმე საეპისკოპოსო მოქმედებდა (ანწუხისა, წახურისა, ჭარ–ფიფინეთისა და სხვა), არქეოლოგების მიერ დადასტურებულია ამ რეგიონში მრავალი ქრისტიანული ეკლესიის ნაშთი ქართული წარწერებით. სხვა ქრისტიანულ ნაშთებთან ერთად აღმოჩენილია IX–X სს. სეფისკვერის ქვის საბეჭდავიც კი ასევე ქართული წარწერებით.

სამხრეთ საქართველოსა და ჩრდილო სომხეთში მცხოვრები მრევლისათვის ასევე დაარსებული იქნა საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში შემავალი საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული – „სომხითის სამიტროპოლიტოს“ სახელწოდებით, ანისის, ვალაშკერტის, ყარსის, დადაშენის და სხვა ქართული საეპისკოპოსოებით.

საქართველოს საპატრიარქოში შემავალი რამდენიმე საკათალიკოსო (ქართლისა, აფხაზეთისა, ხუნძეთისა) და მრავალათეული საეპისკოპოსო ქმნიდა ერთიან ქართულ ეკლესიას.

ზოგად ქართული ეკლესიის მთლიანობა მიიღწეოდა საერთო საეკლესიო სამართლით, საერთო სჯულისკანონით, საერთო ქართული საღვთისმსახურო ენით, საერთო ტრადიციებითა და საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის საერთო მეთაურობით.

აღნიშნულ საკათალიკოსოთა ზემდგომი საეკლესიო ინსტიტუტი იყო საერთო სჯულისკანონის და საეკლესიო სამართლის შემმუშავებელი საქართველოს საეკლესიო კრებები. სრულიად საქართველოს პატრიარქის მოვალეობა იყო უზრუნველეყო სრულიად საქართველოს ეკლესიაში (ე. ი. ქართლისა და აფხაზეთის საკათალიკოსოებში და სხვა საეკლესიო-ადმინისტრაციულ ერთეულებში) საერთო სჯულისკანონის დაცვა.

აფხაზეთისა და ქართლის კათალიკოსთა მონაწილეობით საეკლესიო კრებების მიერ გამოცემულ კანონებს მთელს საქართველოში (ცხადია აფხაზეთშიც) სავალდებულოდ აღსასრულებელი ძალა ენიჭებოდა (მათ შორის სამოქალაქო სამართლის სფეროშიც). მაგალითად, XVI ს-ის საეკლესიო სამართლის ძეგლში, რომელსაც „სამართალი კათალიკოსთა“ ეწოდება, ნათქვამია: „ქ. სახელითა და ღვთისათა: მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოისა კათალიკოზმან-პატრიარქმან მალაქია, მე ქრისტეს მიერ კურთხეულმან აფხაზეთის კათალიკოზმან მამათმთავარმან ევდემონ, დავსხედით და შევკრიბენით ყოველნი ებისკოპოზნი აფხაზეთისანი დავიდევით სჯულისკანონი და ჩვენცა იმისგან გამოვიღევით და სჯულისკანონიცა ასრე ბრძანებს“ (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, 1963, გვ. 393-397). აფხაზეთის საკათალიკოსოს ამ საეკლესიო კრებამ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მეთაურობით გამოსცა კანონები, რომლებიც სავალდებულოდ აღსასრულებელი იყო მთელი საქართველოს ტერიტორიაზე, თუმცა ის აფხაზეთში იქნა მიღებული და ისინი აფხაზეთის საკათლიკოსოს ეპისკოპოსებმა დაამტკიცეს (ესენი იყვნენ ქუთათელი, გენათელი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქველი, დრანდელი, ცაგერელი, ხონელი, ნიკორწმიდელი, ცაიშელი), მაგრამ, ისინი, ამ კრებაზე, ერთიან საქართველოს ეკლესიას წარმოადგენდნენ.

„ქართლის ცხოვრების“ ჩანართის ცნობით, საქართველოს ეკლესიის მეთაურის საპატრიარქო ღირსება უცვნია VI მსოფლიო საეკლესიო კრებას. ძნელია ითქვას რამდენად შეესაბამება რეალობას ეს ცნობა, მაგრამ ის გვაძლევს ინფორმაციას საქართველოს ეკლესიის წიაღში დამკვიდრებული აზრის შესახებ რომ, საპატრიარქო ღირსება საქართველოს ეკლესიის მეთაურს VII საუკუნიდან გააჩნდა. ეს წყარო წერს:

„ქრისტეს აქეთ ქ-ნკ იქმნა კრება მეექვსე [680-681] კოსტანტინოპოლის შინა. ამის კრებისა მიერ ბრძანეს ესრეთ წმიდისა ეკლესიისა საქართველოსათვის, რომელ არს წმიდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატივითა (ვითარცა) წმიდანი სამოციქულო კათოლიკე ეკლესიანი, საპატრიარქონი.

და იყოს კათალიკოსი ქართლისა სწორი პატრიარქთა თანა, და აკურთხევდეს, მწყსიდეს და განაგებდეს სიმართლით მთავარეპისკოპოსთა, მიტროპოლიტთა და ეპისკოპოსთა, და სამწყსოსა თვისსა ქართლსა გამოღმა-გაღმა კახეთსა, შაქსა, შირვანსა და მიდგმით – წამოვლით მთისა ადგილისათა, სუანეთსა და ჩერქეზის საზღვრამდის, სრულიად ოვსეთსა და ყოველსა ზემო-ქართლსა სამცხე–საათაბაგოსა“ (ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 231, 232).

ასევე ამ ცნობას, იმეორებს ძველი საეკლესიო წყარო – „მარტვილური ხელნაწერი“. ის ასახელებს თავის ბერძნულ წყაროს – „კონსტანტინოპოლურ ტაქტიკონს“.

ყველგან ამის დასტურად შავი ზღვიდან არაქსამდე ჩვენ ამჟამადაც გვხვდება დიდებული ეკლესია მონასტრების ნაშთები, ქართული წარწერებით, მათ შეეხება უამრავი წყარო.

საქართველოს ეკლესიაში წირვა – ლოცვის (ლიტურგიკის) ენა იყო და არის ძველი ქართული ენა, ქართული ეკლესიის მამებმა შექმნეს უმდიდრესი ლიტერატურა მე-4 – მე-5 საუკუნეებიდან დღემდე – მონასტრებსა და საეკლესიო დაწესებულებებში საქართველოსა და უცხოეთში (იერუსალიმში, ანტიოქიაში, საბერძნეთში (ათონის წმიდა მთაზე), ბულგარეთსა, არაბეთში (სინას მთაზე) და სხვაგან), ქართული საეკლესიო კულტურის უდიდესი კერა – ტაო-კლარჯეთი ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა.

ერთიანი საქართველოს დაშლის შემდეგ ქართული ეკლესია დიდად იღწოდა ქვეყნის გაერთიანებისა და დამშვიდებისათვის, შეიძლება ითქვას, რომ ამ ურთულეს პერიოდში მხოლოდ საქართველოს ეკლესია აერთიანებდა დაშლილ-დანაწევრებულ ქვეყანას და მის ხალხს.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს სამეფო კარზე წარმოიშვა იდეა თანამორწმუნე რუსეთის დიდი მართლმადიდებლური სახელმწიფოს მხარდაჭერით აღედგინათ საქართველოს სახელმწიფოს ძლიერება, გაეძლიერებინათ ეკლესია, სარწმუნოება, დაებრუნებინათ დაკარგული პროვინციები – ჭარ-ბელაქანი და სამცხე-საათაბაგო, გაეძლიერებინათ ქვეყნის თავდაცვა, რუსეთის ხელისუფლებამ გეორგიევსკში ხელშეკრულებაც კი დადო ქართველთა სამეფო კართან 1783 წელს (ე.წ. გეორგიევსკის ტრაქტატი) ამ პირობათა დასაცავად, მაგრამ გაძლიერების ნაცვლად რუსეთის იმპერიამ საერთოდ გააუქმა ქართული სახელმწიფოებრიობა და ასევე, უკანონოდ საქართველოს

ეკლესიის ავტოკეფალიაც. საუკუნოვანი ბრძოლის შედეგად, რუსეთის საიმპერატორო ტახტის მოშლის შემდეგ 1917 წელს ქართველმა ხალხმა აღადგინა თავისი ეკლესიის ავტოკეფალია. 1918 წელს კი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. 1990 წელს ეს ფაქტი (ეკლესიის ავტოკეფალია) აღიარა კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქომ.

საქართველოს ეკლესიის მეთაური, კათალიკოს პატრიარქის ტიტულით, ინიშნებოდა და ინიშნება არა უცხოეთიდან, არამედ მას ადგილზევე ირჩევდნენ ქართველი ეპისკოპოსები გაფართოებულ საეკლესიო კრებაზე. საქართველოში სხვადასხვა საუკუნეში 80-მდე ეპარქია და საეპისკოპოსო კათედრა იყო. [50]; [173].

10.2 საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელნი

ქართლის (მცხეთის) ეპისკოპოსები და კათოლიკოსები

† იოანე I – ქართლის პირველი ეპისკოპოსი. დაახ. IV ს-ის 20-60-იანი წლები.
† იაკობი – დაახ. IV ს-ის 60-70-იანი წლები.
† იობი – დაახ. IV ს-ის 70-90-იანი წლები.
† ელია – დაახ. IV ს-ის 90-იანი წლებიდან V ს-ის დასაწყისამდე.
† სვიმონ I – დაახ. V ს-ის დასაწყისი – 20-იანი წლები.
† მოსე – დაახ. V ს-ის 20-იანი წლებიდაახ. V ს-ის 20-იანი წლები.
† იონა – დაახ. V ს-ის 20-იანი წლები.
† იერემია – დაახ. V ს-ის 20-იანი წლების ბოლო.
† გრიგოლ I – დაახ. V ს-ის 20-30-იანი წლები.
† ბასილ I – დაახ. V ს-ის 30-იანი წლები.
† მობიდანი – დაახ. V ს-ის 30-იანი წლების ბოლო.
† იოველ I – დაახ. V ს-ის 40-იანი წლები (ვახტანგ გორგასლის მეფობის დასაწყისი).
† გლონოქორ – დაახ. V ს-ის 40-იანი წლები (მეფე მირდატის დრო).
† მიქაელ I – V ს-ის 50-იანი წლებიდან 60-იანი წლების ბოლომდე.
† პეტრე I – ქართლის პირველი კათოლიკოსი. დაახ. V ს-ის 60-იანი წლებიდან.
† სამოელ I – VI ს-ის დასაწყისი.
† გაბრიელ I – დაახ. 505-507 წწ.
† თავფაჩაგ (თავფეჩაღ) I – დაახ. VI ს-ის 10-იანი წლები.
† ჩიმაგა (ჩერმაგ) I – დაახ. VI ს-ის 10-იანი წლების მეორე ნახევრიდან 20-იან წლებამდე.
† საბა (დასაბია) I – დაახ. VI ს-ის 20-30-იან წლები.
† ევლალე (ევლათი, ევლავიოს) I – VI ს-ის 30-იან წლები.
† მაკარი – დაახ. VI ს-ის 30-იანი წლების ბოლო.
† სამოელ II – დაახ. VI ს-ის 40-60-იანი წლები.
† სვიმონ II (სვიმონ-პეტრე) – დაახ. VI ს-ის 60-70-იანი წლები.
† სამოელ III – დაახ. 575-582 წწ.
† სამოელ IV – დაახ. VI ს-ის 80-90-იანი წლები.
† ბართლომე – VI ს-ის 90-იანი წლების ბოლო.
† კირიონ (კირონ) I – დაახ. 599-614/16 წწ.
† იოანე II – დაახ. VII ს-ის 20-იანი წლების ბოლო.
† ბაბილა – დაახ. VII ს-ის 30-იანი წლების დასაწყისი.
† თაბორი – დაახ. VII ს-ის 30-იანი წლები.
† სამოელ V – დაახ. VII ს-ის 30-იანი წლების ბოლო – 40-იანი წლების დასაწყისი.
† ევნონ – დაახ. VII ს-ის 40-იანი წლები.
† თავფაჩაგ II – დაახ. VII ს-ის 50-60-იანი წლები.
† ევლალე II – დაახ. 664-668 წწ.
† იოველ II – დაახ. 668-670 წწ.
† სამოელ VI – დაახ. 670-677 წწ.

† გიორგი I – დაახ. 677-678 წწ.
† კჳრიონ II – დაახ. 678-683 წწ.
† იზიდ-ბოზიდი – დაახ. 683-685 წწ.
† თეოდორე I – დაახ. 685-689 წწ.
† პეტრე II – დაახ. 689-720 წწ.
† მამაჲ – დაახ. 720-744 წწ.
† იოანე III – VIII ს-ის 40-60-იანი წლები.
† გრიგოლ II – დაახ. 760-767 წწ.
† კლემენტოსი – VIII ს-ის 70-იანი წლები.
† სარმეანე – VIII ს-ის 70-იანი წლები.
† თალალე – VIII ს-ის 70-იანი წლების ბოლო.
† მიქელ II – დაახ. 774-780 წწ.
† სარმეანე – VIII ს-ის 70-იანი წლები.
† თალალე – VIII ს-ის 70-იანი წლების ბოლო.
† მიქელ II – დაახ. 774-780 წწ.
† სამოელ VII – დაახ. 780-784 წწ.
† კირილე I – დაახ. 781-802 წწ.
† გრიგოლ III – დაახ. 802-814 წწ.
† სამოელ VIII – დაახ. 814-826 წწ.
† გიორგი II – დაახ. 826-838 წწ.
† გაბრიელ II – დაახ. IX ს-ის 30-50-იანი წწ.
† ილარიონი – დაახ. IX ს-ის 50-იანი წლების ბოლო.
† არსენ I დიდი (საფარელი) – დაახ. 860-887 წწ.
† ევსუქი – დაახ. 887-914 წწ.
† ბასილ II – დაახ. 914-930 წწ.
† მიქელ III – დაახ. 930-947 წწ.
† დავით I – დაახ. 947-955 წწ.
† არსენ II – დაახ. 955-980 წწ.

ერთიანი საქართველოს კათოლიკოსები და კათოლიკოს-პატრიარქები

† იოანე IV (ოქროპირი) – დაახ. 980-1001 წწ.
† სჳმონ III – დაახ. 1001-1010 წწ.
† მელქისედეკ I – დაახ. 1010-1033 წწ.
† იოანე V (ოქროპირი) – დაახ. 1033-1049 წწ.
† ექვთიმე I – 1049-1955 წწ.
† ევსტათი – ზეობის წლები უცნობია
† გიორგი III (ტაოელი) – XI ს-ის 50-60-იანი წლები (მეფე ბაგრატ IV-ის დროს).
† გაბრიელ III (საფარელი) – დაახ. 1065-1080 წწ. (ბაგრატ IV-ის და გიორგი II-ის ხანა).
† დიმიტრი – დაახ. 1080-1090 წწ.
† ბასილ III – დაახ. 1090-1100 წწ. (მეფე დავით აღმაშენებლის თანამედროვე).
† იოანე VI – XII ს-ის პირველი მეოთხედი (მეფე დავით აღმაშენებლის თანამედროვე).
† სჳმონ IV (გულაბერისძე) – XII ს-ის მეორე მეოთხედი.
† საბა II – დაახ. XII ს-ის 40-50-იანი წლები (მეფე დემეტრე I-ის თანამედროვე).
† ნიკოლოზ I (გულაბერისძე) – დაახ. XII ს-ის 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან.
† მიქელ IV – 1178-1187 წწ.
† თეოდორე II – დაახ. 1188-1204/1205 წწ. (თამარ მეფის თანამედროვე).
† ბასილ IV – დაახ. 1204/1205 წ.
† იოანე VII – დაახ. 1205/1206-1210 წწ. (თამარ მეფის თანამედროვე).
† ეპიფანე (ეტიფანე) – დაახ. 1210-1220 წწ. (თამარ მეფისა და გიორგი IV-ის თანამედროვე)
† ექვთიმე II – 1220-1222 წწ.
† არსენ III – XIII ს-ის 20-30-იანი წლები.

† გიორგი IV – XIII ს-ის 30-იანი წლები.
† ნიკოლოზ II – XIII ს-ის 30-იანი წლები.
† მიქელ V – XIII ს-ის 40-იანი წლების დასაწყისი.
† არსენ IV (ბულმაისიმისძე) – 1241/42-1249/50 წწ.
† ნიკოლოზ III – დაახ. 1250-1282 წლებში.
† აბრაჰამ I – დაახ. 1282-1310 წწ.
† ექვთიმე (ეფთჳმე) III – დაახ. 1310-იანი წლებიდან 30-იანი წლების მეორე ნახევრამდე.
† ბასილი V – XIV ს-ის 30-60-იან წლებში.
† დოროთეოზ I – XIV ს-ის 60-იანი წლები.
† შიო I – 1356-1364 წწ.
† ნიკოლოზ IV – დაახ. XIV ს-ის 70-იანი წლები
† გიორგი V – დაახ. XIV ს-ის 80-90-იანი წლები (ბაგრატ მეფისა და გიორგი VII-ის თანამედროვე).
† ელიოზი (გობირახისძე) – XIV ს-ის 90-იანი წლების ბოლოდან 1419 წლამდე.
† მიქელ VI – 1419-1426 წწ.
† დავით II (მეფე ალექსანდრე I-ის ძე) – 1425/26-1428 წწ.
† თეოდორე III – დაახ. 1429-1435 წწ.
† დავით III – დაახ. 1435/36-1438/39 წწ.
† შიო II – დაახ. 1439-1443/47 წწ.
† დავით IV (ჭავჭავაძე) – 1443/47-1459 წწ.
† მარკოზი – 1460-1466 წწ. (მეფე გიორგი VIII დროს).
† დავით V – 1466-1479 წწ.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ

† ნიკოლოზ V – დაახ. 1479-1488 წწ.
† ევაგრე – დაახ. 1488–1492; 1500-1503 წწ.
† აბრაამ II აბალაკი – 1492-1497 წწ.
† ეფრემ I – 1497-1503 წწ.
† დოროთეოზ II – 1503-1505; 1511-1516 წწ.
† იოანე VIII – 1505–1509 წწ.
† დიონოსი (დიონისე) – დაახ. 1510-1511 წწ.
† ბასილ VI – 1517-1528; 1529-1531 წწ.
† მელქისედეკ II (ბაგრატიონი) – დაახ. 1528–1529; 1540-1545; 1548-1552 წწ.
† მალაქია – 1532-1534 წწ.
† გერმანე – დაახ. 1535-1546 წწ.
† ნიკოლოზ VI – დაახ. 1542-1547 წწ.
† სვიმეონ V – 1547-1548 წწ.
† ზებედე I – 1552-1556 წწ.
† დომენტი I – 1556-1560 წწ.
† ნიკოლოზ VII (ბარათაშვილი) – 1561-1584 წწ.
† ნიკოლოზ VIII (ბაგრატიონი) – 1584-1589 წწ.
† დოროთეოზ III – დაახ. 1589-1595 წწ.
† დომენტი II – დაახ. 1595-1610 წწ.
† ზებედე II – 1610-1611 წწ.
† იოანე IX (ავალიშვილი) – 1612-1616 წწ.
† ქრისტეფორე I – 1616-1622 წწ.
† ზაქარია (ჯორჯაძე) – 1623-1632 წწ.
† ევდემოზ I (დიასამიძე) – 1632-1642 წწ.
† ქრისტეფორე II (ურდუბეგისძე-ამილახვარი) – 1642-1660 წწ.
† დომენტი III – 1660-1675 წწ.
† ნიკოლოზ IX (იოთამის ძე ამილახვარი) – 1678-1688; 1692-1695 წწ. (გიორგი XI-ის თანამედროვე)

† იოანე X (დიასამიძე) – 1688-1692; 1695-1700 წწ.
† ევდემოზ II (დიასამიძე) – 1700-1705 წწ.
† დომენტი IV (დამიანე ლევანის ძე ბაგრატიონი) – 1705-1741 წწ.
† ბესარიონ (ბარათაშვილი-ორბელიშვილი) – 1724-1737 წწ.
† კირილე II – 1737-1739 წწ.
† ნიკოლოზ X (ხერხეულიძე) – 1741-1744 წწ.
† ანტონ I (ბაგრატიონი) – 1744-1755; 1764-1788 წწ.
† იოსები (ჯანდიერი) – 1755-1764 წწ.
† ანტონ II (ბაგრატიონი) – 1788-1811 წწ.

აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოსები და კათოლიკოს-პატრიარქები

† სვიმეონი – სავარაუდოდ, XI ს-ის ბოლო ან XII ს-ის დასაწყისი.
† ნიკოლოზი – XIII ს-ის ბოლო.
† დანიელი – XIV ს-ის მეორე ნახევარი.
† არსენი – 1390 წ.
† იოაკიმე (იოვაკიმე) – დაახ. XV ს-ის 70-იანი წლები.
† სტეფანე – 1490-1516 წწ
†. მალაქია I (აბაშიძე) – 1519-XVI ს-ის 40-იანი წლები.
† ევდემონ I (ჩხეტიძე) – 1557-1578 წწ.
† ეფთვიმე (ექვთიმე) I (საყვარელიძე) – 1578-1616 წწ.
† მალაქია II (გურიელი) – 1616-1639 წწ.
† გრიგოლ I – 1639 წ.
† მაქსიმე I (მაჭუტაძე) – 1639-1657 წლები.
† ზაქარია (ქვარიანი) – 1657-1660 წწ.
† სვიმონი (ჩხეტიძე) – 1660-1666 წწ.
† ევდემონ II (საყვარელიძე) – 1666-1669 წწ.
† ეფთვიმე (ექვთიმე) II (საყვარელიძე) – 1669-1673 წწ.
† დავითი (ნემსაძე) – 1673-1696 წწ.
† გრიგოლ II (ლორთქიფანიძე) – 1696-1742 წწ.
† ბესარიონი (ერისთავი) – 1742-1769 წწ.
† გერმანე (წულუკიძე) – XVIII ს-ის შუა წლები.
† იოსები (ბაგრატიონი) – 1769-1776 წწ.
† მაქსიმე II (აბაშიძე) – 1776-1795 წწ.
† დოსითეოსი (წერეთელი) – 1795-1814 წწ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები ავტოკეფალიის აღდგენიდან (1917 წ.)

† კირიონ II (საძაგლიშვილი) – 1917 წლის 17 სექტემბრიდან – 27 მაისამდე.
† ლეონიდე (ოქროპირიძე) – 1919-1921 წწ.
† ამბროსი (ხელაია) – 1921-1927 წწ.
† ქრისტეფორე III (ციცქიშვილი) – 1927-1932 წწ.
† კალისტრატე (ცინცაძე) – 1932-1952 წწ.
† მელქისედეკ III (ფხალაძე) – 1952-1960 წწ.
† ეფრემ II (სიდამონიძე) – 1960-1972 წწ.
† დავით VI (დევდარიანი) – 1972-1977 წწ.
† ილია II (შიოლაშვილი) – 1977 წლიდან.
[177].

10.3 საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიები

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამწყსო ტერიტორიის საეპარქიო დანაწილება და მართვა წმიდა წერილსა და მსოფლიო საეკლესიო პრაქტიკის უძველეს ტრადიციას ეფუძნება. ეკლესიის მამათა თხზულებებში, მსოფლიო და ადგილობრივ კრებათა განჩინებებში მკაფიოდ არის განსაზღვრული ეპარქიის ჩამოყალიბების ისტორიული და სამართლებრივი საფუძვლები, ეპისკოპოსის უფლება-მოვალეობები, მისი არჩევა-დადგინების სულიერ-ზნეობრივი, ფიზიკურ-სოციალური და სხვა კრიტერიუმები.

მსოფლიო საეკლესიო ტრადიციის შესაბამისად, საქართველოში ადრიდანვე არსებობდა ეპისკოპოსის ინსტიტუტი. მოციქულთა მიერ დაფუძნებულ პირველ ქრისტიანულ თემს, რომელიც მცირერიცხოვნებით გამოირჩეოდა, თავისი ეპისკოპოსი ჰყავდა. მოციქულთა მიერ საქართველოში დაარსებულ ეკლესიებსაც ჰყავდათ ეპისკოპოსები, რომელთა შესახებაც ისტორიულ წყაროებშია გაბნეული ცნობები. წმიდა ნინოს მიერ მოქცეული ქართლის პირველი ეპისკოპოსი საბერძნეთიდან მოწვეული იოანე იყო, რომელმაც საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ აკურთხა მცხეთაში აშენებული ეკლესია, წუნდასა და მანგლისში საფუძველი დაუდო ახალ ეკლესიათა მშენებლობას, მდინარე მტკვარში საყოველთაო ნათლობა აღასრულა და სხვა. მან თავისი სამღვდელმთავრო მსახურებით მცხეთის პირველი საეპისკოპოსო დააფუძნა. საქართველოში იგი მთავარეპისკოპოსის წოდებით იხსენიება. მთავარეპისკოპოსს, შესაბამისად თავის დაქვემდებარებაში მყოფი ეპისკოპოსებიც ჰყავდა. საქართველოს ეკლესიის ეპარქიებად დაყოფის ისტორიისათვის თვალის მიდევნება შესაძლებელია წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის დროს 12 ახალი საეპისკოპოსო კათედრის – ახიზის, ერუშეთის, წუნდის, მანგლისის, ბოლნისის, რუსთავის, ნინოწმინდის, ჭერემის, ჩელეთის, ხორნაბუჯის, აგარაკის, მცხეთის, მოგვიანებით ნიქოზის – დაფუძნების შემდეგ.

მეფე ვახტანგის მიერ დაარსებული საეპისკოპოსოების განლაგება ემთხვეოდა იმ დროის ქართლის საერო-ადმინისტრაციულ დაყოფას: თითოეულ საერისთავოში ერთი საეპისკოპოსო მაინც არსებობდა. დიდ საერისთავოებში კი რამდენიმე ეპისკოპოსის სამწყსო იყო განთავსებული. საეპისკოპოსო ზოგჯერ მხოლოდ ერთი ქალაქით შემოიფარგლებოდა ხოლმე.

V ს. II ნახევარში ჩამოყალიბებული საეპისკოპოსოების რიცხვი 506 წლის დვინის საეკლესიო კრებაზე უკვე გაორმაგებულია. ამის შემდეგ საქართველოს საეპისკოპოსოების გამრავლება, მათი ორგანიზაციული, იერარქიული წყობილების სრულყოფა, ეკონომიკური მდგომარეობა, იურისდიქცია და საზღვრები დაკავშირებული იყო ქვეყნის სამოქალაქო-პოლიტიკურ ცხოვრებასთან.

XI ს. დასაწყისიდან პოლიტიკურად გაერთიანებული საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი „კათოლიკოს-პატრიარქის“ წოდებით მოიხსენიება. იმჟამად ერთიან საეკლესიო ორგანიზმად შეკავშირებულ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოთა ეპარქიების რიცხვი ხუთ ათეულსაც აღემატებოდა.

საქართველოში ადრიდანვე ეპარქიების საეპისკოპოსო კათედრები ზოგჯერ უკვე არსებულ დაწინაურებულ ეკლესიაში, ან მონასტერში ფუძნდებოდა (მცხეთის მთავარეპისკოპოსის – სამთავროში, ბოდბის წმინდა ნინოს საფლავის ეკლესიაზე, წუნდის, მანლისის, მოგვიანებით შემოქმედის, ხონის, გელათის, ნიკორწმუნდის და სხვა) ან საგანგებოდ აგებდნენ მათთვის ეკლესიებს (ბოლნისში, ნიქოზში, ბეღიაში, ჭყონდიდში, ქუთაისში და სხვა). ზოგიერთი ეპარქიის სამწყსო-ტერიტორია ძალზე განვრცობილი იყო და ქვეყნის პოლიტიკურ საზღვრებსაც სცილდებოდა, მაგ. ნიქოზელი მღვდელმთავრის სამწყსოში შედიოდნენ ჩრდილო კავკასიაში მოსახლე ხალხები: დვალები, ოსები და სხვა.

XIII-XVIII სს-ში საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკური მდგომარეობა და ამის კვალად, ეპარქიათა რაოდენობა დამოკიდებული იყო ქვეყნის შიდა ფაქტორებსა და საგარეო ვითარებაზე. მონღოლების, ირან-ოსმალეთის, ჩრდილო კავკასიელთა აგრესიამ და ქვეყნის პოლიტიკურმა დაქუცმაცებულობამ ეკლესიის დასუსტება და ეპარქიათა დაცარიელება გამოიწვია. ამ პერიოდში სამხრეთ საქართველოსა და ჰერეთის საქართველოდან განშორებამ, ჩრდილო კავკასიელი ტომების მასიურმა მოზღვავებამ, ადგილობრივი მოსახლეობის გამოდევნა და ათობით მართლმადიდებლური ეპარქიის გაუქმება გამოიწვია.

საქართველოს სამეფოებად და სამთავროებად დაყოფის შემდეგ სეპარატისტული მიდრეკილების დანერგვას ზოგჯერ ეკლესიაშიც ცდილობდნენ, მაგრამ ქვეყნის მთლიანობის და საეკლესიო განუყოფლობის მძლავრი ტენდენცია უზრუნველყოფდა საქართველოს საეკლესიო ერთიანობას. ქართველ მღვდელმთავართა დაუცხრომელი მამულიშვილური ღვაწლი ქვეყნის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ერთობას უყრიდა საფუძველს, მაგ. დოსითეოზ ქუთათელის და ექვთიმე გაენათელის სწრაფვა დასავლეთ

და აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანებისთვის და მათი აქტიური მონაწილეობით „ივერიელთა ერთობის ტრაქტატის“ შექმნა ყველა ქართველის სანუკვარი მიზნისკენ წინგადადგმული ნაბიჯი იყო.

ტრადიციულად, საქართველოს ეკლესიის უმაღლესი იერარქია სარწმუნოებრივი სიწმინდის, ეროვნული სიმტკიცის და ზნეობრივი სისპეტაკის დამცველს წარმოადგენდა (აღმსარებელი და მოწამეობრივად აღსრულებული მღვდელმთავრები ყოველთვის მრავლად ჰყოლია საქართველოს. ბოლო პერიოდის მოღვაწეთაგან გამოირჩევიან წმინდა მღვდელმთავრები: გაბრიელ ქიქოძე, ალექსანდრე ოქროპირიძე, კირიონ საძაგლიშვილი, ამბროსი ხელაია, ნაზარ ლეჟავა და სხვა).

საქართველოს ეკლესიის ისტორია გარკვეულწილად ქართველ მღვდელმთავართა მოღვაწეობის ასახვასაც გულისხმობს და ზუსტად ესადაგება ცნობილ გამოთქმას ეკლესიისა და ეპისკოპოსის ერთიანობის შესახებ: „ეპისკოპოსი-ეკლესიაშია, ეკლესია კი – ეპისკოპოსში“ ასევე „ეკლესიის სახე ეპისკოპოსია“ (ეგნატე ღმერთშემოსილი).

XIX საუკუნის დასაწყისში, 1811 წელს, რუსეთის მიერ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის ძალადობრივი გაუქმებით სამ ათეულამდე ქართული ეპარქია დაიხურა, კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ რუსეთში გაასახლეს და მთლიანად შეცვალეს ადგილობრივი ეკლესიის ტრადიციული მართვა-გამგეობა. აღმოსავლეთ საქართველოში 13 ეპარქიის ნაცვლად დარჩა ორი, დასავლეთ საქართველოში 12 ეპარქიიდან ჯერ – სამი, შემდეგ კი – ერთი ეპარქია.

საქართველოს ეკლესიის მმართველად ეგზარქოსი დაადგინეს, რომელიც რუსეთის უწმიდესი სინოდის წევრადაც ითვლებოდა.

საქართველოში სულ 19 რუსი ეროვნების ეგზარქოსი მოღვაწეობდა. ეგზარქოსები, როგორც წესი, რუსეთის ინტერესების გამტარებლები იყვნენ.

ქართველ მამულიშვილთა (საეკლესიო და საერო მოღვაწეთა) საუკუნოვანმა დაუღალავმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო და 1917 წლის მარტში, ღვთის წყალობით, აღდგა საქართველოს წმიდა სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია.

თავდაპირველად განახლდა 13 ეპარქია, მალე მას ორიც დაემატა. აღდგენილი ეპარქიები იყო: მცხეთის, თბილისის (1920 წლის 20 ივლისს მეორე საეკლესიო კრებამ დაადგინა მცხეთისა და თბილისის ეპარქიების გაერთიანება, რის შემდეგაც სამღვდელმთავროს მცხეთა-თბილისის ეპარქია, ხოლო მწყემსმთავარს მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ეწოდა.), აგარაკ-წალკის, ალავერდის, აწყურის, ბათუმ-შემოქმედის, ბოდბის, მანგლისის, მარგვეთის, ნიკორწმინდის, ურბნისის, ქუთაის-გაენათის, ცაგერის, ცხუმ-აფხაზეთის, წილკნის, ჭყონდიდის.

XX საუკუნის 20-იან წლებში ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებული ათეისტური საბჭოური რეპრესიების და წითელი ტერორის გამო, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ტრადიციული საეპარქიო მართვა – გამგეობა ათწლეულების განმავლობაში პრაქტიკულად შეჩერდა.

XX საუკუნის 70-იანი წლებიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია II-ის დაუღალავი მოღვაწეობის შედეგად საქართველოს ეკლესია იბრუნებს თავის ძველ მნიშვნელობასა და ფუნქციას.

ღვთის შეწევნითა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ძალისხმევით დაიწყო გაუქმებულ ეპარქიათა თანდათანობითი აღდგენა. მის მიერ ნაკურთხი მღვდელმთავრები განაგებენ მანამდე ნომინალურად არსებულ სამღვდელმთავროებს. თანმიმდევრულად მიმდინარეობს საუკუნეთა განმავლობაში მივიწყებული ქრისტიანული ხელოვნების და ხელსაქმის, საღვთისმსახურო და სასულიერო – საგანმანათლებლო კერების, საღვთისმეტყველო მეცნიერებებისა და მთარგმნელობითი ტრადიციის აღდგენა და სხვა. ათწლეულობით გამოკეტილ ეკლესია-მონასტრებში, ღვთის მადლით, დღეისათვის კვლავ აღესრულება ღვთისმსახურება, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სულიერ საზრდოს მოკლებული მრევლი ტრადიციულ საეკლესიო წიაღს უბრუნდება.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოს წმიდა სამოციქულო ეკლესიისა და მის იურისდიქციაში არსებული სამწყსო ტერიტორიის და მრევლის მართვა ხორციელდება საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების შესაბამისად (დებულება მიღებულია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებული ადგილობრივი კრების მიერ, რომელიც 1995 წლის 18-19 სექტემბერს მცხეთის საპატრიარქო ტაძარში გაიმართა).

დებულების თანახმად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამწყსო იყოფა ეპარქიებად.

„ეპარქია“ წარმოადგენს საქართველოს ეკლესიის იმ ნაწილს, რომელსაც კანონიკურად მართავს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და წმინდა სინოდის მიერ დადგენილი მღვდელმთავარი.

ეპარქიები, თავის მხრივ, შედგება ოლქებში (სამთავარხუცესოებში) გაერთიანებული სამრევლოებისაგან და სამღვდელმთავართა ტერიტორიაზე განლაგებული მონასტრებისაგან.

სამთავარხუცესოს ხელმძღვანელობა მინდობილი აქვს ეპისკოპოსის მიერ დანიშნულ მთავარხუცესს.

სამრევლოები კი ეპარქიის ტერიტორიაზე არსებულ ტაძრებთან გაერთიანებული მრევლია, რომელიც სამღვდელო და მორწმუნე მართლმადიდებელ ქრისტიანთაგან შედგება. მისი ხელმძღვანელობა ეპარქიის მღვდელმთავრის მიერ დადგენილ წინამძღვარს (მღვდელს) ევალება.

მონასტერთა საქმიანობა კი ხორციელდება სპეციალური სამონასტრო ტიბიკონის შესაბამისად. მისი მართვა მღვდელმთავრის მიერ დადგენილ შაჲი სამღვდელოების შესაბამის წარმომადგენელს, წინამძღვარს (მღვდელ-მონაზონი, იღუმენი, არქიმანდრიტი) აქვს მინდობილი.

ეპარქიათა მმართველი მღვდელმთავრები, იმავდროულად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის წევრებიც არიან.

1977 წლის 25 დეკემბრიდან საქართველოს უძველეს ავტოკეფალურ ეკლესიას მწყემსმთავრობს უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II შიოლაშვილი. მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის ილია II-ის მწყემსმთავრული მოღვაწეობის დაწყებისას საქართველოს ეკლესია უმძიმეს მდგომარეობაში იყო. 15 ეპარქიიდან მხოლოდ ოთხს – მცხეთა-თბილისის, წილკნის, ბათუმ-შემოქმედისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიებს ჰყავდა მღვდელმთავრები. 1977 წელს მათ რიცხვს ალავერდისა და ბოდბის ეპარქიები მიემატა. სამღვდელმთავრო კათედრათა უმრავლესობა მღვდელმთავრებისთვის ფაქტიურად დაკეტილი იყო და ეპისკოპოსს თავის სამწყსო ეპარქიაში ჩასვლის უფლება არ ჰქონდა. ეპისკოპოსები თბილისში მოქმედ რამდენიმე ეკლესიაზე იყვნენ მიმაგრებულნი. მანგლელი მღვდელმთავარი დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში აღასრულებდა მსახურებას, ბოდბელი – თბილისის სამებაში, ალა–ვერდელი – თელავის ღვთაების ეკლესიაში და სხვ. იმ პერიოდში საქართველოს ეკლესიათა უდიდესი ნაწილი ღვთისმსახურებისათვის გაუქმებულად ითვლებოდა. მთლიანად საქართველოში კი სულ რამოდენიმე მოქმედი ტაძარი იყო. უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ის დაუღალავი მოღვაწეობის შედეგად დაიწყო ეპარქიებისთვის მღვდელმთავრების გამორჩევა და კურთხევა. 70-80-იან წლების მიჯნაზე სვეტიცხოველის საპატრიარქო ტაძარში აღესრულა კურთხევა ცხუმ-აფხაზეთის, ჭყონდიდის, ქუთაის-გაენათის, ბათუმ-შემოქმედის, ბოდბის, ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის, ნიკორწმინდის, მარგვეთის ეპისკოპოსებისა.

XX საუკუნის ბოლოს, 1995 წლის 5 აპრილს, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის განჩინებით, საქართველოს ტერიტორიის ახალი საეპარქიო ადმინისტრირებით ეპარქიათა რიცხვი 27-მდე გაიზარდა, ზოგიერთ ეპარქიას სახელი შეეცვალა:

მცხეთა-თბილისის.
ალავერდის.
ახალციხის.
ბათუმისა და სხალთის.
ბოდბის.
ბოლნისისა და დმანისის.
ბორჯომისა და ახალქალაქის.
ვანისა და ბაღდათის.
ზუგდიდისა და ცაიშის.
მანგლისისა და წალკის.
მარგვეთის.
ნეკრესის.
ნიკორწმინდის.
ნიქოზისა და ცხინვალის.
რუსთავის.
საგარეჯოსა და გურჯაანის. (დებულების მიხედვით 17)
სამთავისისა და გორის. (დებულების მიხედვით 16)
ურბნისისა და რუისის.

ფოთის.
ქუთაის-გაენათის.
შემოქმედის.
ცაგერისა და სვანეთის.
ცხუმ-აფხაზეთის.
წილკნის.
ჭიათურის.
ჭყონდიდის.
ხონის.

2002 წლის 17 ოქტომბერს ჩატარებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის კრების გადაწყვეტილებით, მოხდა ეპარქიათა საზღვრების გადახედვა, მათ რიცხვს კიდევ ოთხი ახალი სამღვდელმთავრო დაემატა, მათ შორის დასავლეთ ევროპის ეპარქიაც. აღნიშნული ფაქტი გამოწვეული იყო XX საუკუნის მიწურულს საქართველოში განვითარებული რთული პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესებით. რის გამოც სამშობლოდან ათასობით მოქალაქე უცხოეთში გადაიხვეწა. დროთა განმავლობაში მათი შვილები და შვილიშვილები გაუცხოებულნი აღმოჩნდნენ ქართული კულტურული გარემოსგან. ჩვენი ქვეყნის ამ უმძიმესი მდგომარეობის გამო საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდმა ისტორიული მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილება მიიღო – უცხოეთში საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ეპარქიების დაფუძნების შესახებ. საქართველოს საპატრიარქოს დასავლეთ ევროპის ეპარქიის იურისდიქცია გავრცელდა ევროპის სახელმწიფოებზე: – ავსტრია, ბელგია, დანია, საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ჰოლანდია, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, პორტუგალია, ესპანეთსა და შვეიცარიაზე. ამით გაერთიანდა აღნიშნულ სახელმწიფოებში დროებით ან მუდმივ საცხოვრებლად ემიგრირებული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლი და ამ ქვეყნებში მცხოვრები ის უცხოელები, ვინც თავს მიიჩნევს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წევრად.

ამგვარად, 2002 წლის 17 ოქტომბერს წმიდა სინოდის კრების გადაწყვეტილებით, ეპარქიათა რაოდენობა ოცდათერთმეტი გახდა და დაზუსტდა მათი სახელწოდებები:

მცხეთა-თბილისის.
ალავერდის.
ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის.
ახალქალაქის და კუმურდოს.
ბათუმისა და სხალთის.
ბოდბის.
ბოლნისისა და დმანისის.
ბორჯომისა და ბაკურიანის.
ვანისა და ბაღდათის.
ზუგდიდისა და ცაიშის.
მანგლისისა და წალკის.
მარგვეთისა და უბისის.
მესტიისა და ზემო სვანეთის.
ნეკრესისა და ჰერეთის.
ნიკორწმინდის.
ნიქოზისა და ცხინვალის.
რუსთავისა და მარნეულის.
საგარეჯოსა და გურჯაანის.
სამთავისისა და გორის.
სტეფანწმინდისა და ზევის.
ურბნისისა და რუისის.
ფოთისა და სენაკის.
ქუთაის-გაენათის.
შემოქმედის.
ცაგერისა და ლენტეხის.
ცხუმ-აფხაზეთის.

წილკნისა და დუშეთის.
ჭიათურისა და საჩხერის.
ჭყონდიდის.
ხონისა და სამტრედიის.
დასავლეთ ევროპის.

მოგვიანებით, დასავლეთ ევროპის ეპარქიას ცალკე სამღვდელმთავროდ გამოეყო დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის ეპარქია. ეპარქიის იურისდიქცია გავრცელდა დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოსა და ჩრდილოეთ ირლანდიაზე. ამავდროულად, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის ეპარქიის მმართველი მღვდელმთავარი არის წევრი დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის მართლმადიდებელ ეპისკოპოსთა ასამბლეისა, რომელიც ფუნქციონირებს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ხელმძღვანელობით. ეპარქიის მრევლად ქართველების გარდა ითვლება მართლმადიდებლური წესით მონათლული თურქები, იტალიელები, ინგლისელები, აფრიკული რასის წარმომადგენლები და ირანელები.

2003 წლის 18 აგვისტოს ურბნისის საკათედრო ტაძარში გამართულ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სადღესასწაულო კრებაზე, რომელიც წმიდა დიდი მეფის, დავით აღმაშენებლის მოწვევით ჩატარებულ რუის-ურბნისის საეკლესიო კრების 900 წლისთავს მიეძღვნა, წმიდა სინოდის წევრმა მღვდელმთავრებმა ჩვენი ქვეყნისა და დედაეკლესიისათვის საჭირო სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხთან ერთად განიხილეს ცვლილებები და შესწორებები საქართველოს ტერიტორიის ხელახალი საეპარქიო გადანაწილების და ზოგიერთი ეპარქიის სახელწოდების შეცვლის შესახებ.

დიდი საეკლესიო კრების დადგენილებით, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქიათა რიცხვი 31-დან 35-მდე გაიზარდა და დაემატა:

წილკნისა და დუშეთის ეპარქიის საფუძველზე ჩამოყალიბდა ორი ეპარქია:
წილკან-დუშეთის ეპარქია.
თიანეთ-ფშავ-ხევსურეთის ეპარქია.
ფოთის, სენაკის და ჭყონდიდის ეპარქიათა საფუძველზე ჩამოყალიბდა სამი ეპარქია:
ჭყონდიდის ეპარქია.
ფოთი-ხობის ეპარქია.
სენაკი-ჩხოროწყუს ეპარქია.
საგარეჯოსა და გურჯაანის ეპარქიის საფუძველზე ჩამოყალიბდა ორი ეპარქია:
გურჯაანი-ველისციხის ეპარქია.
საგარეჯო-ნინოწმინდის ეპარქია.
ბოლნისისა და დმანისის ეპარქიის საფუძველზე ჩამოყალიბდა ორი ეპარქია:
ბოლნისის ეპარქია.
დმანისის ეპარქია.

2006 წლის 21 დეკემბერს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის განჩინებით სამღვდელმთავროთა რაოდენობამ 37-ს მიაღწია.

ბათუმისა და სხალთის ეპარქიის საფუძველზე ჩამოყალიბდა ორი ეპარქია:
ბათუმისა და ქობულეთის ეპარქია.
სხალთის ეპარქია.
ქუთაის-გაენათის და მარგვეთ-უბისის ეპარქიათა საფუძველზე ჩამოყალიბდა სამი ეპარქია:
ქუთაის-გაენათის ეპარქია.
მარგვეთ-უბისის ეპარქია.
ტყიბულ-თერჯოლის ეპარქია.

2007 წლის დეკემბერში ბათუმისა და ქობულეთის ეპარქიას შეეცვალა სახელწოდება და მას ბათუმისა და ლაზეთის ეპარქია ეწოდა.

2008 წლის 27 ივნისს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის განჩინებით, მცხეთა-თბილისის ეპარქიის საფუძველზე და გვერდით ჩამოყალიბდა ცურტავის ეპარქია და საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში არსებულმა სამღვდელმთავროთა რიცხვმა 38-ს მიაღწია:

ხონის ეპარქია (ქალაქი ხონი, ქალაქი სამტრედია).
მაღალყოვლადუსამღვდელოესი მთავარეპისკოპოსი საბა (გიგიბერია).
კათედრა ხონში.
რეზიდენცია ხონსა და სამტრედიაში.
ჭიათურისა და საჩხერის ეპარქია (ქალაქი ჭიათურა, ქალაქი საჩხერე).

მაღალყოვლადუსამღვდელოესი ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი).კათედრა ჭიათურაში. რეზიდენცია ჭიათურასა და საჩხერეში.

ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია (ქალაქი სოხუმი, ქალაქი ოჩამჩირე, ქალაქი გუდაუთა, ქალაქი გალი, ქალაქი გაგრა, ქალაქი გულრიფში) მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი). კათედრა სოხუმსა და ახალ ათონში. რეზიდენცია სოხუმში, გუდაუთასა და გაგრაში.

ცაგერისა და ლენტეხის ეპარქია (ქალაქი ცაგერი, ქალაქი ლენტეხი). ყოვლადუსამღვდელოესი ეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი). კათედრა ცაგერში.

რეზიდენცია ცაგერსა და ლენტეხში.

ქუთაის-გაენათის ეპარქია (ქალაქი ქუთაისი, ქალაქი ტყიბული, ქალაქი წყალტუბო).

მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტი კალისტრატე (მარგალიტაშვილი).

კათედრა და რეზიდენცია ქუთაისსა და გელათში.

ფოთისა და ხობის ეპარქია (ქალაქი ფოთი, ქალაქი ხობი).

მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი).

კათედრა ფოთში. რეზიდენცია ფოთსა და ხობში.

ტყიბულისა და თერჯოლის ეპარქია (ქალაქი ტყიბული, ქალაქი თერჯოლა).

მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტი გიორგი (შალამბერიძე).

კათედრა და რეზიდენცია თერჯოლაში.

სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქია (ქალაქი ყაზბეგი). ყოვლადუსამღვდელოესი ეპისკოპოსი იეგუდიელი (ტაბატაძე).

კათედრა და რეზიდენცია ყაზბეგში.

სამთავისისა და გორის ეპარქია (ქალაქი გორი, ქალაქი კასპი). მაღალყოვლადუსამღვდელოესი მთავარეპისკოპოსი ანდრია (გვაზავა).

კათედრა და რეზიდენცია სამთავისში, გორსა და კასპში.

რუსთავისა და მარნეულის ეპარქია (ქალაქი რუსთავი, ქალაქი მარნეული)

მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტი ათანასე (ჩახვაშვილი).

კათედრა რუსთავში. რეზიდენცია რუსთავსა და მარნეულში.

ნიკორწმინდის ეპარქია (ქალაქი ამბროლაური, ქალაქი ონი).

მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტი ელისე (ჯოხაძე).

კათედრა ნიკორწმინდაში.რეზიდენცია ამბროლაურსა და ონში.

მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქია (ქალაქი მესტია).

ყოვლადუსამღვდელოესი ეპისკოპოსი ილარიონი (ქიტიაშვილი).

კათედრა და რეზიდენცია მესტიაში.

მანგლისისა და წალკის ეპარქია (ქალაქი თეთრიწყარო, ქალაქი წალკა).

მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე).

კათედრა და რეზიდენცია მანგლისსა და წალკაში.

ვანისა და ბაღდათის ეპარქია (ქალაქი ვანი, ქალაქი ბაღდათი).

მაღალყოვლადუსამღვდელოესი მთავარეპისკოპოსი ანტონი (ბულუხია).

კათედრა ბაღდათში. რეზიდენცია ვანსა და ბაღდათში.

დმანისის ეპარქია (ქალაქი დმანისი).

ყოვლადუსამღვდელოესი ეპისკოპოსი ზენონი (იარაჯული).

კათედრა და რეზიდენცია დმანისში.

ბოლნისის ეპარქია (ქალაქი ბოლნისი).

ყოვლადუსამღვდელოესი ეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკლიძე).

კათედრა და რეზიდენცია ბოლნისში.

ბათუმისა და ქობულეთის ეპარქია (ქალაქი ბათუმი, ქალაქი ქობულეთი).

მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი).

კათედრა ბათუმში.

რეზიდენცია ბათუმსა და ქობულეთში.

ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქია (ქალაქი ახალქალაქი, ნინოწმინდის რაიონი).

მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტი ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი).

კათედრა ახალქალაქსა და კუმურდოში.

რეზიდენცია ახალქალაქსა და ნინოწმინდაში.

მცხეთა-თბილისის ეპარქია (ქალაქი თბილისი, ქალაქი მცხეთა (სოფლების წილკნის, მუხრანისა და საგურამოს გარდა).

უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი ილია II (ღუდუშაური-შიოლაშვილი).

კათედრა და რეზიდენცია მცხეთაში, თბილისსა და ბიჭვინთაში.

ალავერდის ეპარქია (ქალაქი თელავი, ქალაქი ახმეტა).

მაღალყოვლადუსამღვდელოესი ამბა ალავერდელი მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე).

კათედრა ალავერდში. რეზიდენცია ალავერდსა და თელავში.

ახალციხის, ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის ეპარქია (ქალაქი ახალციხე, ასპინძის და ადიგენის რაიონები, ტაო-კლარჯეთი და ლაზეთი).

მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე).

კათედრა და რეზიდენცია ახალციხესა და საფარაში.

ბოდბის ეპარქია (ქალაქი სიღნაღი, ქალაქი დედოფლისწყარო).

მაღალყოვლადუსამღვდელოესი მთავარეპისკოპოსი დავითი (ტიკარიძე).

კათედრა ბოდბეში. რეზიდენცია ბოდბეში, სიღნაღსა და დედოფლისწყაროში.

ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქია (ქალაქი ბორჯომი).

მაღალყოვლადუსამღვდელოესი მთავარეპისკოპოსი სერაფიმე (ჯოჯუა).

კათედრა და რეზიდენცია ბორჯომში.

გურჯაანისა და ველისციხის ეპარქია (ქალაქი გურჯაანი).

ყოვლადუსამღვდელოესი ეპისკოპოსი ექვთიმე (ლეჟავა).

კათედრა და რეზიდენცია გურჯაანში.

ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია (ქალაქი ზუგდიდი, ქალაქი წალენჯიხა).

მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე).

კათედრა ზუგდიდსა და ცაიშში.

რეზიდენცია ზუგდიდსა და წალენჯიხაში.

მარგვეთისა და უბისის ეპარქია (ქალაქი ზესტაფონი, ქალაქი ხარაგაული).

მაღალყოვლადუსამღვდელოესი მთავარეპისკოპოსი ვახტანგი (ახვლედიანი).

კათედრა ზესტაფონში.

რეზიდენცია ზესტაფონსა და ხარაგაულში.

ნეკრესისა და ჰერეთის ეპარქია (ქალაქი ყვარელი, ქალაქი ლაგოდეხი, საინგილო).

მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტი სერგი (ჩეკურიშვილი).

კათედრა ნეკრესსა და ყვარელში.

რეზიდენცია ყვარელში, ლაგოდეხსა და კახში.

ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქია (ქალაქი ცხინვალი, ახალგორის, ჯავისა და ზნაურის რაიონები).

მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტი ისაია (ჭანტურია).

კათედრა და რეზიდენცია ნიქოზში, ცხინვალში, ახალგორში, ჯავაში.

საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპარქია (ქალაქი საგარეჯო).

ყოვლადუსამღვდელოესი ეპისკოპოსი ლუკა (ლომიძე).

კათედრა და რეზიდენცია საგარეჯოსა და ნინოწმინდაში.

სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქია (ქალაქი სენაკი, ქალაქი ჩხოროწყუ).

ყოვლადუსამღვდელოესი ეპისკოპოსი შიო (მუჯირი).

კათედრა სენაკში. რეზიდენცია სენაკსა და ჩხოროწყუში.

სხალთის ეპარქია (ქალაქი ქედა, ქალაქი შუახევი, ქალაქი ხულო).

ყოვლადუსამღვდელოესი ეპისკოპოსი სპირიდონი (აბულაძე).

კათედრა სხალთაში. რეზიდენცია ხულოში.

ურბნისისა და რუისის ეპარქია (ქალაქი ხაშური, ქალაქი ქარელი).

მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტი იობი (აქიაშვილი).

კათედრა ურბნისში, რუისში და ხაშურში. რეზიდენცია ხაშურსა და სურამში.

ფშავ-ხევსურეთისა და თიანეთის ეპარქია (ქალაქი თიანეთი).

მაღალყოვლადუსამღვდელოესი მთავარეპისკოპოსი თადეოზი (იორამაშვილი).

კათედრა საგურამოსა და თიანეთში. რეზიდენცია საგურამოში.

შემოქმედის ეპარქია (ქალაქი ოზურგეთი, ქალაქი ლანჩხუთი, ქალაქი ჩოხატაური).
მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტი იოსები (კიკვაძე).
კათედრა შემოქმედსა და ოზურგეთში.
რეზიდენცია ოზურგეთში, ლანჩხუთსა და ჩოხატაურში.
ცურტავის ეპარქია.
ყოვლადუსამღვდელოესი ეპისკოპოსი იოანე (გამრეკელი).
კათედრა და რეზიდენცია გარდაბანში.
წილკნისა და დუშეთის ეპარქია (ქალაქი დუშეთი).
მაღალყოვლადუსამღვდელოესი მთავარეპისკოპოსი ზოსიმე (შიოშვილი).
კათედრა წილკანში. რეზიდენცია წილკანსა და დუშეთში.
ჭყონდიდის ეპარქია (ქალაქი აბაშა, ქალაქი მარტვილი).
მაღალყოვლადუსამღვდელოესი მთავარეპისკოპოსი პეტრე (ცაავა).
კათედრა მარტვილში. რეზიდენცია აბაშასა და მარტვილში.
დასავლეთ ევროპის ეპარქია.
მაღალყოვლადუსამღვდელოესი მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია).

2009 წლის 3 მაისს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის განჩინებით:

ბოდბის ეპარქიას გამოეყო დედოფლისწყაროს რაიონი, რომელიც მიუერთდა ისტორიული ჰერეთის ეპარქიას და მას ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქია ეწოდა. ეპარქიის იურისდიქციის ქვეშ ორი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული მხარეები, საქართველოში – ჭიზიჭი, აზერბაიჯანში – ისტორიული ჰერეთი შევიდა.

დაარსდა ამერიკისა და კანადის სამრევლოების მმართველობა. მოგვიანებით, მის საფუძველზე ორი ეპარქია ჩამოყალიბდა:

ა) ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის ეპარქია.

ბ) სამხრეთ ამერიკის ეპარქია.

2010 წლისთვის საქართველოს ეკლესიის იურისდიქციაში საქართველოს ტერიტორიაზე და მის საზღვრებს მიღმა 42 ეპარქია არსებობდა.

2013 წლის 11 ოქტომბერს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის კრებაზე ეპარქიათა საზღვრების რეორგანიზაციის საფუძველზე ჩამოყალიბდა ახალი სამღვდელმთავროები და სამ მღვდელმთავარს განესაზღვრა ახალი სამღვდელმთავრო სტატუსი – ტიტულოვანი ეპისკოპოსი:

სამთავისისა და გორის ეპარქიის საფუძველზე ჩამოყალიბდა:

ა) გორისა და ატენის ეპარქია.

ბ) სამთავისისა და კასპის ეპარქია.

მანგლისისა და წალკის ეპარქიის საფუძველზე ჩამოყალიბდა:

ა) მანგლისისა და თეთრიწყაროს ეპარქია.

ბ) აგარაკ-წალკის ეპარქია.

მცხეთა-თბილისის ეპარქიის საფუძველზე ჩამოყალიბდა:

ა) მცხეთა-თბილისის ეპარქია.

ბ) მარტყოფისა და გარდაბნის ეპარქია.

ურბნისისა და რუისის ეპარქიის საფუძველზე ჩამოყალიბდა:

ა) რუისისა და ურბნისის ეპარქია.

ბ) სურამისა და ხაშურის ეპარქია.

რუსთავისა და მარნეულის ეპარქიის საფუძველზე ჩამოყალიბდა:

ა) რუსთავის ეპარქია.

ბ) მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქია.

2014 წლის 3 ივნისს საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის განჩინებით: დასავლეთ ევროპის ეპარქიის მრავალრიცხოვანი სამრევლოების საფუძველზე სამი ეპარქია შეიქმნა. დასავლეთ ევროპის ეპარქიას გამოეყო ავსტრიის, გერმანიისა და ბენილუქსის ქვეყნები და ჩამოყალიბდა:

დასავლეთ ევროპის ეპარქია, რომლის შემადგენლობაში დარჩა – საფრანგეთი, შვეიცარია, მალტა, ესპანეთი, პორტუგალია, იტალია.

გერმანიისა და ავსტრიის ეპარქია.
ბელგიისა და ჰოლანდიის ეპარქია.
ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიას გამოეყო ჰერეთის სამრევლოები და შეიქმნა ორი ეპარქია:
ხორნაბუჯის ეპარქია.
კახისა და ქურმუხის ეპარქია (მოგვიანებით მას ჰერეთის ეპარქია ეწოდა).
პ.ს. ამჟამად ეპარქია ისევ გაერთიანებულია და მას ეპისკოპოსი დიმიტრი (კაპანაძე) მართავს.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის უშუალო კურთხევითა და ხელდასხმით ყველა ეპარქიას თავისი მმართველი მღვდელმთავარი განაგებს.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის 2015 წლის 25 მაისის კრების განჩინებით საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში არსებული ეპარქიების, რომელთა რაოდენობამ 50-ს მიაღწია, საზღვრები და სახელწოდებები უცვლელი დარჩა, ხოლო ეპარქიათა მმართველ მღვდელმთავრებად დადგინდა:

- მცხეთა-თბილისის ეპარქია (ქალაქი თბილისი თავისი რაიონებით, ქალაქი მცხეთა (მცხეთის რაიონის სოფლების წილკნის, მუხრანისა და საგურამოს გარდა), გარდაბნის რაიონი და ბიჭვინთა) – სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II (ღუდუშაური-შიოლაშვილი). კათედრა და რეზიდენცია მცხეთაში, თბილისსა და ბიჭვინთაში.
- ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია (ქალაქი სოხუმი, ქალაქი ოჩამჩირე, ქალაქი გუდაუთა, ქალაქი გალი, ქალაქი გაგრა, სოხუმის გალის გულრიფშის, ოჩამჩირის, გაგრისა და გუდაუთის რაიონები).
- უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II (ღუდუშაური-შიოლაშვილი). კათედრა სოხუმსა და ახალ ათონში. რეზიდენცია სოხუმში, გუდაუთასა და გაგრაში.
- ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქია (ქალაქი ახალქალაქი, ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონები) – მიტროპოლიტი ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი).

კათედრა ახალქალაქსა და კუმურდოში. რეზიდენცია ახალქალაქსა და ნინოწმინდაში.

- აგარაკ-წალკის ეპარქია (ქალაქი წალკა და წალკის რაიონი) – ეპისკოპოსი იოანე (შომახია). კათედრა და რეზიდენცია წალკაში.
- ალავერდის ეპარქია (ქალაქი თელავი, ქალაქი ახმეტა, თელავისა და ახმეტის რაიონები) – მიტროპოლიტი დავითი (მახარაძე). კათედრა ალავერდში. რეზიდენცია ალავერდსა და თელავში.
- ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქია (ქალაქი ახალციხე, ახალციხის, ასპინძისა და ადიგენის რაიონები, ტაო-კლარჯეთი) – მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე). კათედრა და რეზიდენცია ახალციხესა და საფარაში.
- ბელგიისა და ჰოლანდიის ეპარქია – ეპისკოპოსი დოსითე (ბოგვერაძე).
- სამხრეთ ამერიკის ეპარქია – მიტროპოლიტი ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი).
- ავსტრალიის ეპარქია – მიტროპოლიტი შიო (მუჯირი).
- ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქია (ქალაქი დედოფლისწყარო, დედოფლისწყაროს რაიონი) – ეპისკოპოსი დიმიტრი (კაპანაძე). კათედრა და რეზიდენცია დედოფლისწყაროში.
- ჭყონდიდის ეპარქია (ქალაქი აბაშა, ქალაქი მარტვილი, აბაშისა და მარტვილის რაიონები) – მიტროპოლიტი პეტრე (ცაავა). კათედრა მარტვილში. რეზიდენცია მარტვილსა და აბაშაში.
- წილკნისა და დუშეთის ეპარქია (ქალაქი დუშეთი, დუშეთის რაიონი) – მიტროპოლიტი ზოსიმე (შიოლაშვილი). კათედრა წილკანში, რეზიდენცია წილკანსა და დუშეთში.
- შემოქმედის ეპარქია (ქალაქი ოზურგეთი, ქალაქი ლანჩხუთი, ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩოხატაურის რაიონები) – მიტროპოლიტი იოსები (კიკვაძე). კათედრა შემოქმედსა და ოზურგეთში, რეზიდენცია ოზურგეთში, ლანჩხუთსა და ჩოხატაურში.
- ფოთისა და ხობის ეპარქია (ქალაქი ქარელი და ქარელის რაიონი) – მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი). კათედრა ფოთში. რეზიდენცია ფოთსა და ხობში.
- ტყიბულისა და თერჯოლის ეპარქია (ქალაქი ტყიბული, ტყიბულისა და თერჯოლის რაიონები) – მიტროპოლიტი გიორგი (შალამბერიძე). კათედრა თერჯოლაში, რეზიდენცია თერჯოლასა და ტყიბულში.

- სურამისა და ხაშურის ეპარქია (ქალაქი ხაშური და ხაშურის რაიონი) – ეპისკოპოსი სვიმეონი (ცაკაშვილი). კათედრა და რეზიდენცია სურამსა და ხაშურში.
- სენაკისა და ჩხოროწყუს ეპარქია (ქალაქი სენაკი, ქალაქი ჩხოროწყუ, სენაკისა და ჩხოროწყუს რაიონები) – მიტროპოლიტი შიო (მუჯირი). კათედრა და რეზიდენცია სენაკსა და ჩხოროწყუში.
- რუსთავის ეპარქია (ქალაქი რუსთავი) – მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი). კათედრა და რეზიდენცია რუსთავში.
- ნინოწმინდისა და საგარეჯოს ეპარქია (ქალაქი საგარეჯო და საგარეჯოს რაიონი) – მთავარეპისკოპოსი ლუკა (ლომიძე). კათედრა და რეზიდენცია ნინოწმინდასა და საგარეჯოში.
- ნეკრესის ეპარქია (ქალაქი ყვარელი, ქალქი ლაგოდეხი, ყვარლისა და ლაგოდეხის რაიონები, საინგილო) – მიტროპოლიტი სერგი (ჩეკურიშვილი). კათედრა ნეკრესსა და ყვარელში. რეზიდენცია ყვარელში, ლაგოდეხსა და კახში.
- მარგვეთისა და უბისის ეპარქია (ქალაქი ზესტაფონი და ზესტაფონისა და ხარაგაულის რაიონები) – ეპისკოპოსი მელქისედეკი (ხაჩიძე). კათედრა ზესტაფონში, რეზიდენცია ზესტაფონსა და ხარაგაულში.
- თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპარქია (ქალაქი თიანეთი და თიანეთის რაიონი) – ეპისკოპოსი მიქაელი (გაბრიჭიძე). კათედრა და რეზიდენცია თიანეთში.
- ვანისა და ბაღდათის ეპარქია (ქალაქი ვანი, ვანისა და ბაღდათის რაიონი) – მიტროპოლიტი ანტონი (ბულუხია). კათედრა ბაღდათში. რეზიდენცია ვანსა და ბაღდადში.
- გურჯაანისა და ველისციხის ეპარქია (ქალაქი გურჯაანი და გურჯაანის რაიონი) – მთავარეპისკოპოსი ექვთიმე (ლეჟავა). კათედრა და რეზიდენცია გურჯაანში.
- გარდაბნისა და მარტყოფის ეპარქია (ქალაქი გარდაბანი და გარდაბნის რაიონი) – ეპისკოპოსი გრიგოლი (კაცია). კათედრა და რეზიდენცია გარდაბანსა და მარტყოფში.
- ბოლნისის ეპარქია (ქალაქი ბოლნისი, ბოლნისის რაიონი) – მთავარეპისკოპოსი ეფრემი (გამრეკელიძე). კათედრა და რეზიდენცია ბოლნისში.
- ბათუმისა და ლაზეთის ეპარქია (ქალაქი ბათუმი, ქალაქი ქობულეთი, ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონები, ლაზეთი) – მიტროპოლიტი დიმიტრი (შიოლაშვილი). კათედრა ბათუმში. რეზიდენცია ბათუმსა და ქობულეთში.
- ბოდბის ეპარქია (ქალაქი სიღნაღი, სიღნაღის რაიონი) – ეპისკოპოსი იაკობი (იაკობიშვილი). კათედრა ბოდბეში. რეზიდენცია ბოდბეში, სიღნაღსა და დედოფლისწყაროში.
- ბორჯომისა და ბაკურიანის ეპარქია (ქალაქი ბორჯომი და ბორჯომის რაიონი) – მიტროპოლიტი სერაფიმე ჯოჯუა

პ.ს. ამჟამად ეპარქიას მართავს მიტროპილიტი ანდრია (გვაზავა). კათედრა და რეზიდენცია ბორჯომში.

- გორისა და ატენის ეპარქია (ქალაქი გორი და გორის რაიონი) – მიტროპოლიტი ანდრია (გვაზავა). კათედრა და რეზიდენცია გორში.
- დმანისისა და აგარაკ-ტაშირის ეპარქია (ქალაქი დმანისი და დმანისის რაინი) – მთავარეპისკოპოსი ზენონი (იარაჯული).კათედრა და რეზიდენცია დმანისში.
- ზუგდიდისა და ცაიშის ეპარქია (ქალაქი ზუგდიდი, ქალაქი წალენჯიხა, ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონები) – მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე). კათედრა ზუგდიდსა და ცაიშში. რეზიდენცია ზუგდიდსა და წალენჯიხაში.
- მანგლისისა და თეთრიწყაროს ეპარქია (ქალაქი თეთრიწყარო და თეთრიწყაროს რაიონი) – მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე). კათედრა და რეზიდენცია მანგლისში.
- მარნეულისა და ბუჯაბის ეპარქია (ქალაქი მარნეული და მარნეულის რაიონი) – ეპისკოპოსი გიორგი (ჯამდელიანი). კათედრა და რეზიდენცია მარნეულში.
- მესტიისა და ზემო სვანეთის ეპარქია (ქალაქი მესტია და მესტიის რაიონი) – მიტროპოლიტი ილარიონი (ქიტიაშვილი). კათედრა და რეზიდენცია მესტიაში.
- ნიკორწმინდის ეპარქია (ქალაქი ამბროლაური, ქალაქი ონი, ონისა და ამბროლაურის რაიონები) – ეპისკოპოსი ვახტანგი (ლიპარტელიანი).კათედრა ნიკორწმინდაში. რეზიდენცია ამბროლაურსა და ონში.
- ნიქოზისა და ცხინვალის ეპარქია (ქალაქი ცხინვალი, ცხინვალის, ახალგორის, ჯავისა და ზნაურის რაიონები) – მიტროპოლიტი ისაია (ჭანტურია).

კათედრა და რეზიდენცია ნიქოზში, ცხინვალში, ჯავასა და ახალგორში.

- სამთაწისისა და კასპის ეპარქია (ქალაქი კასპი და კასპის რაიონი) – ეპისკოპოსი დამიანე (ხუფენია). კათედრა და რეზიდენცია სამთაწისსა და კასპში.
- სტეფანწმინდისა და ხევის ეპარქია (ქალაქი ყაზბეგი და ყაზბეგის რაიონი) – მთავარეპისკოპოსი იეგუდიელი (ტაბატაძე). კათედრა და რეზიდენცია ყაზბეგში.
- სხალთის ეპარქია (ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონები) – მთავარ-ეპისკოპოსი სპირიდონი (აბულაძე). კათედრა და რეზიდენცია სხალთაში.
- ურბნისისა და რუისის ეპარქია (ქალაქი ქარელი და ქარელის რაიონი) – მიტროპოლიტი იობი (აქიაშვილი). კათედრა ურბნისსა და რუისში, რეზიდენცია ქარელში.
- ქუთაის-გაენათის ეპარქია (ქალაქი ქუთაისი, წყალტუბოს რაიონი) – მიტროპოლიტი კალისტრატე (მარგალიტაშვილი). კათედრა და რეზიდენცია ქუთაისსა და გელათში.
- ცაგერისა და ლენტეხის ეპარქია (ქალაქი ცაგერი, ცაგერისა და ლენტეხის რაიონები) – მთავარეპისკოპოსი სტეფანე (კალაიჯიშვილი). კათედრა ცაგერში. რეზიდენცია ცაგერსა და ლენტეხში.
- ჭიათურისა და საჩხერის ეპარქია (ჭიათურისა და საჩხერის რაიონები) – მიტროპოლიტი დანიელი (დათუაშვილი). კათედრა ჭიათურაში, რეზიდენცია ჭიათურასა და საჩხერეში.
- ხონისა და სამტრედიის ეპარქია (ქალაქი სამტრედია, ქალაქი ხონი, სამტრედიისა და ხონის რაიონები) – მიტროპოლიტი საბა (გიგიბერია). კათედრა ხონში. რეზიდენცია ხონსა და სამტრედიაში.
- დასავლეთ ევროპის ეპარქია (საფრანგეთი, შვეიცარია, მალტა, ესპანეთი, პორტუგალია, იტალია) – მიტროპოლიტი აბრაამი (გარმელია)
- დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის ეპარქია – მთავარეპისკოპოსი ზენონი (იარაჯული).
- ავსტრიისა და გერმანიის ეპარქია – ეპისკოპოსი ლაზარე (სამადბეგიშვილი).
- ჩრდილოეთ ამერიკის ეპარქია (აშშ., კანადა) – ეპისკოპოსი საბა (ინწკირველი) [170].

კითხვები გამეორებისთვის:

1. რატომ ეწოდა მცხეთას მეორე იერუსალიმი?
2. რა იცით წმინდა სიდონიას შესახებ?
3. რომელ საუკუნეში აიგო სვეტიცხოველის ტაძარი?
4. რა იცით „ივერიელთა ერთობის“ ტრაქტატის შესახებ?
5. რა შეთანხმება დაიდო საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიას შორის 2002 წელს?
6. რამდენ ეპარქიად იყოფა საქართველოს სამოციქულო ეკლესია?

თავი 11. მრავალეთნიკური და მრავალკულტურული საქართველო

11.1 რელიგიური სიტუაცია საქართველოში 1990 წლის შემდეგ

უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში საქართველო ნაირგვარი რელიგიური ორგანიზაციების (სექტების) დაინტერესების სფეროში მოექცა. ასეთი პროცესი კომუნისტური ბატონობის პერიოდში ეთნიკურ-კონფესიური მრავალფეროვნების შეგნებული იგნორირებისა და სახელმწიფოს პოლიტიკაში ათეიზმის დამკვიდრების ლოგიკური შედეგია. დღესდღეობით უცნობია საქართველოში მოქმედ რელიგიურ ორგანიზაციათა ზუსტი რაოდენობა, მოქმედების არეალი, გავლენის სფეროები, საქმიანობის ფორმები; გაურკვეველია მათი უფლებამოვალეობანი და კავშირი სახელმწიფოსთან. საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე (აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის რეგიონების ჩათვლით) გავრცელებულია რელიგიური ორგანიზაცია „იეღოვას მოწმეები". ეს ორგანიზაცია ცალკეულ რეგიონებში 1987-88 წლებში გამოჩნდა და, უკვე დღეისათვის, საქართველოს ყველა რეგიონი მოიცვა.

მათი იდეოლოგია ძირითადად მიმართულია სახელმწიფო ინსტიტუტების უარყოფისაკენ: არ მონაწილეობენ ხელისუფლების ორგანოთა არჩევნებში, თავს არიდებენ სავალდებულო სამხედრო სამსახურს. სახელმწიფო ინსტიტუტებთან ერთად „იეღოვას მოწმეები" უარყოფენ აგრეთვე ეკლესიას და მის ინსტიტუტებსაც. გაერთიანება მკაცრი სუბორდინაციით გამოირჩევა და ხელმძღვანელ პირთა შესახებ ინფორმაციები კონფიდენციალურია. მიმდევართა ასაკის მხრივ ყველაზე ახალგაზრდული შემადგენლობის რელიგიური გაერთიანებაა საქართველოში.

უკვე დიდი ხანია მოღვაწეობს საქართველოში პროტესტანტული გაერთიანება – „ბაპტისტები". დღესდღეობით მათ გურჯაანში, ბოლნისში, წყალტუბოში გააჩნიათ საკუთარი სამლოცველო სახლები. აქტიურად მოღვაწე რელიგიურ გაერთიანებათა შორის არიან „ორმოცდაათიანელები". ასევე შეიმჩნევა „ჭეშმარიტ ქრისტიანთა საზოგადოების", „სუბოტნიკების"„ევანგელისტების" გავრცელება. ოფიციალურ მართლმადიდებლობასთან აქტიურად დაპირის-პირებულ მიმდინარეობას (და არა სექტას) წარმოადგენენ ე. წ. „სტაროობრიადცები" ანუ „სტაროვერები". ამ უკანასკნელთა საქმიანობა განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოშია შესამჩნევი. ამჟამად „სტაროვერთა" გაერთიანების ცენტრია ფოთში, მალთაყვისა და გრიგოლეთის ზონაში, სადაც ტრადიციულად მათი მიმდევრების დასახლება იყო.

საქართველოში ოფიციალურად თუ არაოფიციალურად ფუნქციონირებენ „კრიშნაიტების", „მუნისტების", „ბაჰაისტებისა და სხვა, ე.წ. ახალი რელიგიების ორგანიზებული ჯგუფები და მისიონერები. სექტების გავრცელების არეალს თუ რეგიონების მიხედვით გადავხედავთ, შემდეგ სურათს მივიღებთ:

ა) კახეთი. განსაკურთებული აქტიურობითა და მრავალრიცხოვნობით გამოირჩევა „იეღოვას მოწმეები". გავრცელება მოახერხეს თითქმის მთელ რეგიონში. განსაკუთრებით მოიკიდეს ფეხი გურჯაანში. ერთ-ერთი მძლავრი დასაყრდენი გახდა ქ. თელავი. აქ მათი რაოდენობა 1000-მდე მიმდევარს ითვლის. ასეთივე მდგომარეობაა ლაგოდეხში. ახმეტის რაიონი მიმდევართა სიმრავლით არ გამოირჩევა, მაგრამ ისინი აქ 1996 წელს გამოჩნდნენ და დღეს მძლავრ საგიტაციო-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევიან. დაინტერესებულ მოქალაქეებს ბიბლიას ასწავლიან და უკითხავენ იეღოველთა ოფიციალური ორგანოს – ჟურნალ „საგუშაგო კოშკს". 1996 წ. 7-10 სექტემბერს დაბა წნორში ჩატარდა „იეღოვას მოწმეთა" საოლქო კონგრესი, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა დაახლოებით 800-მდე მორწმუნე, მათ შორის 200 ადგილობრივი მკვიდრი. მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე დელეგაციებმა სანკტ-პეტერბურგიდან და კიევიდან. სამკაციანი ჯგუფი ჩამოვიდა აზერბაიჯანის ბელაქანის რაიონიდან. კახეთის დანარჩენ რაიონებში „იეღოვას მოწმეთა" გაერთიანების საქმიანობა მეტ-ნაკლები აქტიურობით გამოირჩევა.პროტესტანტული გაერთიანება „ბაპტისტები" პირველად სიღნაღში გამოჩნდნენ (1945 წ.). ყველაზე აქტიურად ისინი გურჯაანის რაიონში მოქმედებენ, სადაც 90-იანი წლების დასაწყისში ააგეს საკუთარი სამლოცველო სახლი. აქედან გადავიდნენ ყვარელში. ყველაზე მრავალრიცხოვანი მიმდევრები მათ ლაგოდეხში ჰყავთ. „ბაპტისტები"კახეთის ექვს რაიონში მოქმედებენ.რელიგიურ გაერთიანებათა შორის აქტიურობით გამოირჩევა „ორმოცდაათიანელები", დღესდღეობით ისინი კახეთის 5 რაიონში მოქმედებენ. 1988 წლიდან მათ ფეხი მოიკიდეს ლაგოდეხის რაიონში, ოსებით დასახლებულ სოფლებში. 90-იანი წლებიდან ისინი კახეთის სხვა რაიონებშიც მოქმედებენ. 1991 წლიდან გაერთიანებამ ფუნქციონირება დაიწყო ახმეტის რაიონში. ამჟამად მათ კახეთში 7 მოქმედი ჯგუფი ჰყავთ.რაც შეეხება სხვა გაერთიანებებს, კახეთში ისინი დიდი აქტიურობით არ გამოირჩევიან.ლაგოდეხში „ჭეშმარიტ ქრისტიანთა საზოგადოებას" დაახლოებით 70-მდე მიმდევარი ჰყავს. ლაგოდეხისა და სიღნაღის რაიონებში 1865 წლიდან მოქმედებენ „მოლოკნები", მათი მრევლი მცირერიცხოვანია და, ძირითადად,

აერთიანებენ რუსეთიდან გადმოსახლებულ „მოლოკანთა“ შთამომავლებს.ბოლო დროს ყვარლის რაიონის სოფელ მთისძირსა და სანაყარდოში მცხოვრებ კათოლიკე მესხების შთამომავლებთან სააგიტაციოდ ჩადიან კათოლიკე პადრები.

ბ) გურია. გურიის რეგიონში განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევიან „იეღოვას მოწმეები“ და „ორმოცდაათიანელები“. „იეღოვას მოწმეთა“ გაერთიანება პირველად ჩოხატაურის რაიონში გამოჩნდა 1990-92 წლებში, შემდეგ კი ლანჩხუთში – 1993 წელს. გურიის რეგიონში უკვე რამდენიმე ათეული წელია არსებობენ „ბაპტისტები“ და „სტაროვერები“. „სტაროვერების“ რიგების შევსება, ძირითადად, რეგიონში მცხოვრები რუსი ეროვნების ადამიანთა ხარჯზე ხდებოდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „სტაროვერთა“ უმრავლესობა გასულია გურიის რეგიონიდან. თანდათან იზრდება „იეღოვას მოწმეებისა“ და „ორმოცდაათიანელთა“ მიმდევრების რიცხვი.

გ) ქვემო ქართლი. დღესდღეობით წალკის რაიონში არ მოქმედებს არც ერთი რელიგიური ორგანიზაცია. რაც შეეხება ქვემო ქართლის დანარჩენ ადმინისტრაციულ რაიონებს, ყველაზე მეტად გავრცელებულია „იეღოვას მოწმეები“, რომლებიც თითქმის ერთდროულად გამოჩნდნენ 1989-90 წლებში ბოლნისის, დმანისისა და გარდაბნის რაიონებში, ხოლო 1992 წელს – თეთრიწყაროს რაიონშიც. ისინი სისტემატურ ქადაგებას ეწევიან მარნეულის რაიონშიც, სადაც, გაითვალისწინეს რა ადგილობრივი მოსახლეობის ეთნიკური მრავალფეროვნება, ჩამოყალიბებული აქვთ ქართული, რუსული და აზერბაიჯანულენოვანი ჯგუფები. ამ ჯგუფებში გაერთიანებულია 150-მდე კაცი. ქვემო ქართლში ცალკე შეიძლება გამოიყოს სოფლები, სადაც „იეღოვას მოწმეების“ გავლენა საგრძნობია. კერძოდ, ბოლნისის რაიონის სოფლები: რატევანი, რაჭისუბანი, ტანძია, ბალიჭი; დაბები – კაზრეთი და თამარისი; თეთრიწყაროს რაიონში – სოფლები: ფარცხისი, მარაბდა და ივანოვკა.

ქვემო ქართლის რეგიონში „ბაპტისტების“ დასაყრდენ პუნქტად ითვლება დმანისის რაიონის სოფელი განთიადი. ქ. ბოლნისში მათ საკუთარი სამლოცველო სახლი გააჩნიათ. 1995 წლიდან თეთრიწყაროს რაიონში გამოჩნდნენ კრიშნაიტები. მათი ცენტრია სოფელი ასურეთი. ცალკე უნდა აღინიშნოს ამ რეგიონში მუსლიმური რელიგიის გავრცელების საკითხი. ქვემო ქართლში კომპაქტურად სახლობს აზერბაიჯანელი და აჭარიდან ჩამოსახლებული მოსახლეობა. მაჰმადიანობის მიმდევართა საქმიანობა მკვეთრად გააქტიურდა. მარნეულის სოფლებში – კიზილაჯალო, ალგეთი, დამია, გეურარხი, სადახლო, ბაიდარი, ქვემო სარალი – მოქმედებს მეჩეთები. მუსლიმური ტრადიციული რელიგიის ქადაგების გააქტიურებას თავისი დადებითი მხარეები გააჩნია. კერძოდ, ასეთ სიტუაციაში ნაკლებად საშიშია ისეთი მუსლიმური სექტის გავრცელება, როგორიცაა „ვაჰაბიტები“.

დ) შიდა ქართლი. შიდა ქართლის რეგიონში რელიგიური გაერთიანებების საქმიანობის დასაყრდენს ქ. გორი წარმოადგენს, სადაც ყველა რელიგიური გაერთიანების ცენტრი არსებობს. ყველაზე მეტად გავრცელებულია „იეღოვას მოწმეები“, რომლებიც შიდა ქართლის ყველა ადმინისტრაციულ რაიონში მოქმედებენ. „ორმოცდაათიანელებსა“ და „ბაპტისტებს“ ვხვდებით სამ რაიონში – გორი, კასპი, ქარელი. „სტაროვერები“ მოქმედებენ გორში.

ე) სამეგრელო და ზემო სვანეთი-სამეგრელოს მოსახლეობაში საკმაო მხარდაჭერა პოვა „იეღოვას მოწმეებმა“. სამეგრელო, კახეთის შემდეგ, მეორე რეგიონია „იეღოვას მოწმეთა“ მიმდევრების რაოდენობითა და გავრცელების მასშტაბურობით. ამ ორგანიზაციამ სამეგრელოსა და ზემო სვანეთში 1988-89 წლებში დაიწყო საქმიანობა. სწორედ ამ პერიოდიდან გამოჩნდნენ იეღოველები სენაკში, ზუგდიდსა და მესტიაში, ხოლო ჩხოროწყუს რაიონში 80-იანი წლების დასაწყისიდან შეიმჩნეოდნენ. 1995 წლიდან „იეღოვას მოწმეებმა“ სამეგრელოს რეგიონის ყველა რაიონში მოიკიდეს ფეხი.

„ბაპტისტები“ მოქმედებენ ზუგდიდსა და ფოთში, ხოლო „ორმოცდაათიანელებისა“ და „სტაროვერების გავრცელების არეალი ამ რეგიონში ფოთით შემოიფარგლება. საქართველოს საზღვაო ჭიშკარი – ფოთი ცალკეული რელიგიური გაერთიანებების საქმიანობისათვის ხელსაყრელ ადგილად იქცა, რადგან სწორედ აქედან შემოდის მათთვის განკუთვნილი ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი და შემდეგ მთელ დასავლეთ საქართველოში ვრცელდება. ფოთში მოქმედებს და იქვე აქვს ცენტრი სამეგრელოს რეგიონში მოღვაწე ყველა რელიგიურ გაერთიანებას.

ვ) რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთირაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში რელიგიური გაერთიანებების ნაკლები აქტიურობა შეინიშნება. ამ მხარეში, ძირითადად, „იეღოვას მოწმეები“ და „ბაპტისტები“ შეინიშნებიან. „იეღოვას მოწმეები“ პირველად 1991 წელს ონში გამოჩნდნენ, 1992 წლიდან – ამბროლაურში. ამავე პერიოდიდან (1992-93 წწ.) მათი აქტიური საქმიანობა შეინიშნება ცაგერსა და ლენტეხში. ამ რეგიონებისათვის დამახასიათებელია ის, რომ არატრადიციული რელიგიების მიმდევრები ძირითადად საშუალო ასაკის (30-50 წელი) ქალბატონები არიან.რაც შეეხებათ „ბაპტისტებს“, ისინი მხოლოდ ცაგერის რაიონში მოქმედებენ.

ზ) მცხეთა-მთიანეთიამ რეგიონში რელიგიური გაერთიანებების აქტიურობით გამოირჩევა დუშეთისა და თიანეთის რაიონები. აქ, ისევე როგორც სხვა რეგიონებში, განსაკუთრებით გავრცელებულია „იეღოვას მოწმეები". დუშეთის რაიონში მათმა რიცხვმა 600-ს გადააჭარბა. ისინი, ასევე, შეინიშნებიან თიანეთში, ყაზბეგსა და მცხეთაში. „ბაპტისტები" მხოლოდ თიანეთსა და მცხეთაში არიან, „ორმოცდაათიანელები" – დუშეთში. თიანეთსა და მცხეთაში მოქმედებენ ისეთი მცირედგავრცელებული რელიგიური ორგანიზაციებიც, როგორიცაა „კრიშნაიტები" და „ბაჰაის მიმდევრები".

თ) იმერეთი. იმერეთში არსებული ვითარება მეტ-ნაკლებად წააგავს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შექმნილ ვითარებას. რეგიონში უკვე დიდი ხანია მოღვაწეობენ „ბაპტისტები" და „ორმოცდაათიანელები", თუმცა, ისინი დიდი აქტიურობით არ გამოირჩევიან. რაც შეეხება „იეღოვას მოწმეებს", პირველად 1987-88 წლებში სამტრედიაში გამოჩდნენ, 1988 წლიდან – ტყიბულსა და ჭიათურაში. დღესდღეობით ისინი იმერეთის თორმეტივე რაიონში მოქმედებენ. ცენტრი გააჩნიათ ქ. ქუთაისში, სადაც ხდება მთელი რეგიონის საქმიანობის კოორდინირება.

საკმაოდ აქტიურობენ „ორმოცდაათიანელები", ზესტაფონში მათ საკუთარი სამლოცველო გააჩნიათ. აქ მათი მიმდევრების რაოდენობა 600 კაცამდე აღწევს და უმრავლესობა ახალგაზრდები არიან. მათი გავრცელების არეალია წყალტუბო, ასევე, სამტრედია, ჭიათურა. იმავე რაიონებში ვხვდებით „ბაპტისტებსაც".

იმერეთის რეგიონის ორ რაიონში – ტყიბულსა და ზესტაფონში მოქმედებს „ჭეშმარიტ ქრისტიანთა" საზოგადოება, საჩხერეში გავრცელდა „კრიშნაიტები" და „ღვთაებრივი ახალი სიტყვა".

ი) აჭარა. ტრადიციული რელიგიების გვერდით აჭარაში რამდენიმე სხვა რელიგია და სექტა გამოჩნდა, კერძოდ: „იეღოვას მოწმეები", „ბაჰაისტები", „კრიშნაიტები", „ბაპტისტები", „ევანგელისტები", „ორმოცდაათიანელები". აქვე ფუნქციონირებს საქართველოსათვის არატრადიციული მართლმადიდებელი მიმდინარეობა – „სტაროვერობა". „ბაჰაისტებსა" და „კრიშნაიტებს" აქტიური მომხრეები არ გამოუჩნდათ, მაგრამ მათი დამკვიდრების მცდელობა დღესაც დიდია.

საინტერესოა, რომ „იეღოვას მოწმეთა" და „ორმოცდაათი-ანელთა" რიგები ძირითადად ივსებოდა იმ ქართველი და სომეხი ეროვნების მოქალაქეების ხარჯზე, რომლებსაც საზღვარგარეთ (აშშ, კანადა, ავსტრალია და ისრაელი) ემიგრირების სურვილი ჰქონდათ. სექტაში გაერთიანება მათ წევრებს საშუალებას აძლევდა შესაბამის ქვეყანაში, თავიანთი თანამოაზრეების დახმარებით, მიეღოთ ქვეყნის მოქალაქეობა და მოეგვარებინათ სოციალურეკონომიკური პირობები. საინტერესოა ისიც, რომ ბათუმის ტერიტორიაზე არც ერთ დასახელებულ რელიგიურ ორგანიზაციას ოფიციალური, მუდმივი წარმომადგენლობა არ გააჩნია [151].

1989 წლის აღწერის მონაცემებით, საქართველოში 90-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობდა. საქართველოს მოსახლეობის საერთო რაოდენობა იყო 5,4 მილიონი ადამიანი. ეთნიკური უმცირესობა შეადგენდა მთელი მოსახლეობის 29,87%. ყველაზე დიდი იყო სომხური სათვისტომო (437 ათასი ადამიანი, 8,1%); რუსული (341 ათასი, 6,3%); აზერბაიჯანული (307,6 ათასი, 5,7%), ოსური (164,1 ათასი, 3,5%), ბერძნული (100,3 ათასი, 1,8%) [128:7-11].


11. 2 საქართველოში რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების თანამედროვე მდგომარეობა

საქართველოს ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობა ცვალებადი მოცემულობაა და ისტორიულ და პოლიტიკურ ფაქტორებთან არის დაკავშირებული. 1989 წლიდან დღემდე საქართველოს ეთნიკურ-რელიგიური კომპოზიცია მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის... ეთნიკურ ქართველთა და ეთნიკურ უმცირესობათა რაოდენობის ცვლილების ტენდენცია აქტიურად გრძელდება 1991 წლიდან. ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესება, ასევე, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად გამოწვეული ცვლილებები, ახალ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ რელსებზე გადასვლა იყო ის ხელშემწყობი ფაქტორები, რამაც გაზარდა გარე მიგრაციის მაჩვენებელი... [78:.19-22].

2002 წლისათვის მოსახლეობის საერთო რაოდენობა 4,6 მილიონ ადამიანამდე შემცირდა (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე – 4,3 მილიონამდე). როგორც ვხედავთ, 13 წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობა 1/5-ით შემცირდა. ქართველების რიცხვი საქართველოში 1989 წელს 3,7 მილიონს უდრიდა — 83,8%), ბოლო აღწერამდე კი (2002 წ.) 3,3%-ით შემცირდა, ანუ საქართველოს მოსახლეობის კლება ძირითადად სხვა ეროვნებების ხარჯზე მოხდა. ამიტომ სატიტულო ერის წილი საერთო მაჩვენებელში 70,1%-დან 83,8%-მდე გაიზარდა. ეთნიკური უმცირესობების პროცენტული

რაოდენობაც 15.9%-მდე შემცირდა. მათ შორის სომხები შეადგენენ 220 ათასს (5,5%), რუსები 85 ათასს (2,1%). აზერბაიჯანელები 200 ათასს (5,0%), ოსები 38 ათასს (0,9%), ბერძნები 21 ათასს (0,5%). 2004 წლის ივლისისათვის საქართველოს მოსახლეობა შეადგენდა 4.693.892 ადამიანს, აქედან ქართველები – 70.1%, სომხები – 8,1%, რუსები – 6,3%, აზერბაიჯანელები – 5,7%, ოსები – 3%, აფხაზები – 1,8%, სხვები – 5%. განსხვავებულია ქართველების ხვედრითი წილი საქართველოს სხვადასხვა მხარეში. დასავლეთ საქართველოს პროვინციებში ქართველთა ხვედრითი წილი ძალიან მაღალია, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში. სამცხეში აღნიშნული მაჩვენებელი 73%-ია, ქვემო ქართლში – 44%, ჯავახეთში კი – მხოლოდ 3%. 2002 წლის მონაცემებით, საქართველოს იურისდიქციაში მყოფი 59 რაიონიდან ქართველები უმრავლესობას შეადგენდნენ 53-ში. ახლაქალაქსა და ნინოწმინდის რაიონებში, აგრეთვე წალკაში (ბერძნების ემიგრაციის შემდეგ) დიდი უმრავლესობა სომხებია, ხოლო მარნეულის, ბოლნისისა და დმანისის რაიონებში — აზერბაიჯანელები. ცხინვალისა და აფხაზეთის ცნობილი მოვლენების შემდეგ საქართველოში 286 ათასი იძულებით გადაადგილებული პირია. გარდა ამისა, საქართველოდან 100 ათასამდე ლტოლვილი საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობს. ქართველებს არა აქვთ მრავალრიცხოვანი და ძლიერი დიასპორები საზღვარგარეთ. 1989 წელს სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში ცხოვრობდა 194 ათასი ქართველი. მოკავშირე რესპუბლიკებიდან ყველაზე მეტი ქართველი ცხოვრობდა რუსეთში (130 ათასი), უკრაინაში (23 ათასი), აზერბაიჯანში (14 ათასი, აქედან 12 ათასი საინგილოში, თუმცა ამ მაჩვენებელში იგულისხმება მხოლოდ ქრისტიანი ინგილოები, – მუსლიმი ინგილოები, რომელთა რაოდენობა გაცილებით მეტია, აზერბაიჯანელებად იწერებიან). თურქეთსა და ირანში მცხოვრებ ქართველთა რაოდენობის დადგენა შეუძლებელია, რადგან იქ მოსახლეობის აღწერა ეროვნების დაფიქსირებას არ ითვალისწინებს. ვარაუდობენ, რომ თურქეთში მცხოვრებ ქართველთა რაოდენობა (ლაზებთან ერთად) 500 ათასი უნდა იყოს (იგულისხმება ისინი, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ ენა და თავს თურქებად არ თვლიან). ფერეიდნელი ქართველების საერთო რაოდენობა 225 ათასი უნდა იყოს. ევროპასა და ამერიკაში მცხოვრებ ქართველთა რაოდენობა 1990-იან წლებამდე 5-6 ათას კაცს არ აღემატებოდა. 90-იან წლებში ქვეყანა, სავარაუდოდ, 350-400 ათასმა ქართველმა დატოვა.


საქართველოში მოსახლეობის კონფესიური სტრუქტურა პირველად 2002 წელს დადგინდა [51]. აღწერის თანახმად, მოსახლეობის 88,6% ქრისტიანული აღმსარებლობისაა, 9,9% მაჰმადიანია, 0,1% – იუდეველი, სხვები 0,8% შეადგენენ, 0,6% არც ერთ აღმსარებლობას არ მიაკუთვნებს თავს. საქართველო ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა, რომლის მოსახლეობის ძირითადი აღმსარებლობა ისტორიულად მართლმადიდებლობაა. დღეისათვის საქართველოში მცხოვრებ ქრისტიანთა ძირითადი ნაწილი – 83,9% მართლმადიდებელია. მათი საერთო წილი



წყარო: რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო http://religion.geo.gov.ge/statmaps/#

მოსახლეობაში შეადგენს 83,8%. ქართველი მართლმადიდებლები მოსახლეობის 65% შეადგენენ, მუსლიმები – 11%, რუსი მართლმადიდებლები – 10%, სომეხი გრიგორიანელები – 8%, სხვები – 6%. 2002 წლის მონაცემებით, მორწმუნე ქართველების 94% მართლმადიდებელია, 3,8 % – მუსლიმი,

0,3% – კათოლიკე. სხვა აღმსარებლობათა მიმდევრების რაოდენობის შესახებ მონაცემები არ არის. 28 ათასი კაცი არ აღიარებს არც ერთ რელიგიას. საქართველოში მცხოვრები სხვა ეროვნებებიდან ქრისტიანობას აღიარებენ რუსები (ძირითადად – მართლმადიდებლობას, ნაწილი სექტანტებია – მალაკნები, დუხობორები,




წყარო: რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო http://religion.geo.gov.ge/statmaps/#

სტაროვერები), სომხები (ძირითადად მონოფიზიტი-გრიგორიზნელები, მცირე ნაწილი – კათოლიკები), ბერძნები (მართლმადიდებლები), აისორები (ნესტორიანელები და კათოლიკები), პოლონელები (კათოლიკები), გერმანელები (პროტესტანტი-ლუთერანები). აზერბაიჯანელები მუსლიმი შიიტები არიან (მცირე ნაწილი – სუნიტი) [45:6-10].

2014 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ 3 713 804 კაცი შეადგინა, რაც წინა, 2002 წლის აღწერის შედეგთან (4 371 535 კაცი) შედარებით 15 პროცენტით (657 731 კაცი) ნაკლებია. 2014 წლის აღწერის შედეგების მიხედვით ქალაქის მოსახლეობამ შეადგინა 2 122 623 კაცი, ხოლო სოფლის მოსახლეობამ – 1 591 181 კაცი.

მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა 1897-2014 წლების აღწერების მიხედვით



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები

შემცირება უფრო მეტად სოფლის მოსახლეობამ განიცადა: სასოფლო დასახლებებში მოსახლეობის კლებამ 23,7 პროცენტი, ხოლო ქალაქის მოსახლეობის კლებამ 7,1 პროცენტი შეადგინა. შედეგად, წინა აღწერებთან შედარებით, მნიშვნელოვნად შეიცვალა ქალაქ/სოფლის სტრუქტურაც: ქალაქის მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში 4,9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 57,2 პროცენტს გაუტოლდა.

ეროვნული შემადგენლობა.

მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგების საფუძველზე საქართველოს მოსახლეობის 86,8 პროცენტს ქართველები შეადგენენ, 6,3 პროცენტს – აზერბაიჯანელები, ხოლო 4,5 პროცენტს – სომეხი ეროვნების მოსახლეობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნაში მცხოვრები რაოდენობრივად პირველიყველაზე მრავალრიცხოვანი 10 ეროვნება წარმოადგენს მთლიანი მოსახლეობის 99,6 პროცენტს.

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის განაწილება 10 ყველაზე მრავალრიცხოვანი ეროვნების მიხედვით

ეროვნებები	სული (ათასობით კაცი)	პროცენტულიგანაწილება
სულმოსახლეობა	**3 713,8**	**100,0**
ქართველი	3 224,6	86,8
აზერბაიჯანელი	233,0	6,3
სომეხი	168,1	4,5
რუსი	26,5	0,7
ოსი	14,4	0,4
იეზიდი	12,2	0,3
უკრაინელი	6,0	0,2
ქისტი	5,7	0,2
ბერძენი	5,5	0,1
ასირიელი	2,4	0,1
სხვა	14,3	0,4
უარიპასუხზე	0,6	0,0
ეროვნება მითითებული არ არის	0,5	0,0

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები.

აღმსარებლობა.

მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგად მოპოვებულ იქნა ინფორმაცია მოსახლეობის აღმსარებლობის შესახებ. საქართველოს მოსახლეობის 83,4 პროცენტს მართლმადიდებლები შეადგენენ, მუსლიმური სარწმუნოების მატარებელია მოსახლეობის 10,7 პროცენტი, ხოლო სომხური-სამოციქულო აღმსარებლობის მიმდევარია 2,9 პროცენტი.

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის განაწილება აღმსარებლობის მიხედვით

აღმსარებლობა	სულ (ათასი კაცი)	პროცენტული განაწილება
სულმოსახლეობა	3713,8	100,0
მართლმადიდებელი	3097,6	83,4
მუსლიმური	398,7	10,7
ეროვნულ-სამოციქულო	109,0	2,9
კათოლიკური	19,2	0,5
ებრაიზმის მიმდ.	12,4	0,3
იუნიტური	8,6	0,2
პროტესტანტული	2,5	0,1
იუდეური	1,4	0,0
სხვა	1,4	0,0
არცერთი	19,1	0,5
უცნობი	9,6	0,3
არ არის მითითებული	34,3	0,9

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები.

იმ შეხედულების დასადასტურებლად, რომ საქართველო ტოლერანტული ქვეყანაა, ხშირად მოჰყავთ დავით აღმაშენებლის მაგალითი, რომლის მიხედვით, ის მეჩეთშიც ლოცულობდა და ქრისტიანულ სალოცავშიც. გარდა ამისა, ქართველთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ტოლერანტობის მაგალითია ასევე თბილისში სხვადასხვა რელიგიის სარიტუალო ნაგებობების გვერდიგვერდ თანაარსებობა. ამ შეხედულებებს ლიტერატურასა თუ მუსიკაში სხვადასხვა დროს არაერთი ნაწარმოები მიუძღვნეს მწერლებმა, პოეტებმა და მუსიკოსებმა, იქმნებოდა ხალხური ლექსებიც.

ამრიგად, საქართველო თავისი ეთნიკური მრავალფეროვნებით ისეთ რთულ რეგიონშიც კი გამოირჩევა, როგორიც კავკასიაა. განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების თანაცხოვრებისა და ერთიან კულტურულ-პოლიტიკურ ორგანიზმში

ინტეგრაციის მექანიზმები ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში იქმნებოდა და იხვეწებოდა, სახელმწიფოს განვითარების დღევანდელ ეტაპზე კი მათ პრაქტიკული დანიშნულებაც შეიძინეს [25:23].

კითხვები გამეორებისთვის:

1. რა გსმენიათ რელიგიური ტოლერანტობის შესახებ?
2. რომელი ქრისტიანული მიმდინარეობებია კიდევ საქართველოში?
3. მიგაჩნიათ თუ არა დაცულად საქართველოში რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების უფლებები?

თავი 12. საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურის და რელიგიის ძეგლები

12.1 ათონის ივერთა მონასტერი

სამონასტრო ცხოვრებას საფუძველი IV-V საუკუნეებში ჩაეყარა, თუმცა მისი წინასახეები პირველ საუკუნეში უნდა ვეძიოთ. ის ისეთივე ძველთაძველია, როგორც დედა ეკლესია. მონასტერი ყოველთვის იყო ქრისტიანული სარწმუნოების მტკიცე ბურჯი. ამ უდიდეს მადლს არც ქართული ეკლესია მოკლებია. მოღვაწეობის ეს ფორმა საქართველოში სათავეს V ს-ში იღებს, ხოლო VI ს-ში ქვეყნის შიგნით და გარეთ არსებულ ქართულ სამონასტრო კერებში ცხოვრება დუღს და არნახულ სიმაღლეზე ადის (მ. თამარაშვილი).

როგორც ცნობილია, ქართველებს ქრისტიანული ეპოქის ადრეული ხანიდანვე ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ ახლო აღმოსავლეთთან. ეგვიპტის, პალესტინისა და სირიის უდაბნოები ქართველ მოღვაწეთა საიმედო თავშესაფრად იქცა. ჩვენმა წინაპრებმა ამ ქვეყნების სავანეებს უკვე IV-V საუკუნეებში მიაშურეს.


ეგვიპტეში უკვე IV საუკუნეში მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი მოაზროვნე ევაგრე პონტოელი, ხოლო V საუკუნეში ეგვიპტის ერთ-ერთ უდაბნოში ქაროული ბაზილიკაც აშენდა.

კიდევ უფრო მრავლად ჩანან ქართველები პალესტინაში (იერუსალიმსა და მის ახლოს არსებულ სავანეებში), სინას მთასა და შავ მთაზე (სირიაში).

თუ ადრე ქართველები ახლო აღმოსავლეთისკენ ისწრაფოდნენ და ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ, IX საუკუნიდან მათ გეზი დასავლეთისაკენ აიღეს და თანდათან დაიწყეს ბიზანტიის სამონასტრო კოლონიზაცია, რაც პირდაპირი შედეგი იყო საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის გაძლიერებისა. დროთა განმავლობაში ქართველ მოღვაწეთა დასახლებამ ბიზანტიაში ფართო ხასიათი მიიღო და ქართულ-ბიზანტიური სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის გაცხოველების შედეგად სულ უფრო შესამჩნევი გახდა.

IX-X საუკუნეებში ბიზანტიური კულტურა სულიერი აღმავლობის გზას დაადგა, განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია ბიზანტიურმა ლიტერატურამ. ყოველივე ამას ხედავდნენ, ამჩნევდნენ და აფასებდნენ ქართველი მოღვაწეები. ბიზანტია, როგორც ქრისტიანობის ბურჯი და მწიგნობრობის ცენტრი, ანდამატივით იზიდავდა მათ, ქართველმა მწიგნობარმა მამებმა მიზნად დაისახეს ბიზანტიური კულტურის საფუძვლიანი გაცნობა, გულდასმითი შესწავლა, შემოქმედებითი ათვისება და ამ სულიერი მონაპოვრის ქართულ სინამდვილეში გადმონერგვა; მათ საჭიროდ მიიჩნიეს ბიზანტიის კულტურულ-საგანმანათლებლო კერებში (თუ მათ ახლოს) დასახლება, რათა იქიდან კარგად ედეენებინათ თვალი ბიზანტიელთა შემოქმედებითი მუშაობისათვის. ამ მიზნით, IX–XI საუკუნეებში ბიზანტიის სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში: ოლიმპზე, ათონზე, პეტრიწონში და სხვა. საფუძველი ჩაეყარა ქართული კულტურის ცენტრებს, ზოგან ჩამოყალიბდა ქართული ლიტერატურული სკოლები, რომლებიც თავისებურად შეუდგნენ ამ ქვეყნის კულტურის ათვისებას.

ათონის ივერთა მონასტერი. ქართული კულტურის სახელგანთქმულ ცენტრს, ათონის ივერთა მონასტერს (ანუ, როგორც მას ბიზანტიელები უწოდებდნენ – „ივირონს“) საფუძველი X საუკუნის მეორე ნახევარში ჩაეყარა. მისი დაარსება დაკავშირებულია ტაოელი წარჩინებული დიდაზნაურის – იოანეს (ერისკაცობაში ვარაზვაჩე), მისი შვილის – ექვთიმესა და თორნიკეს სახელებთან. ამ დიდი მამების სულიერი მემკვიდრის, გიორგი მთაწმიდელის მოღვაწეობის დროს, XI საუკუნეში, ივირონის მონასტერმა თავისი აყვავების უმაღლეს საფეხურს მიაღწია და გადაიქცა ლავრად, ეს იყო მსხვილი სამეცნიერო-სასწავლო ცენტრი, რომელიც ცნობილია, აგრეთვე, ათონის აკადემიის სახელით. აქ თავი მოიყარეს ქართველთა საუკეთესო კულტურულმა ძალებმა, რომელთაც თავიანთი თანამემამულეები აზიარეს



დასავლეთის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობას. აქ ითარგმნა და გადაიწერა მომეტებული ნაწილი იმ ლიტერატურული განძეულობისა, რომლითაც სამართლიანად ამაყობს ჩვენი ძველი მწერლობის ისტორია. აქ, ათონზე, შეიქმნა და ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო, საგრამატიკო და საკალიგრაფიო სკოლა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს წარსულში. ერთი სიტყვით, არც ერთ სამონასტრო დაწესებულებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში, როგორიც ათონის ივერიის მონასტერს" (კ. კეკელიძე).

ათონის მთაზე პირველი ქრისტიანული სავანეების დაარსების შემდეგ მალევე ჩნდება სხვა ხალხთა სათვისტომოები, რომელთა გვერდით ქართველებმაც დიდეს ბინა. მათ ჯერ ბერძენთა მონასტერს შეაფარეს თავი, ხოლო შემდეგ ქართული სავანეც დააარსეს (მართალია, ქართველები X საუკუნის შუა წლებში, – 50-იან, განსაკუთრებით 60-იან წლებში – ჩანან ათონის მთაზე – ათოს სავანეში, კლიმენტის მონასტერში, ათანასეს ლავრაში, მაგრამ მათ ცალკე არსებული მონასტერი ჯერ კიდევ არ ჰქონდათ.

გამოჩენილი ქართველი მოღვაწე იოანე, თავის ვაჟთან, ექვთიმესთან და რამდენიმე მოწაფესთან ერთად ათონის მთას 965 წელს ეწვია. მამებმა თავდაპირველად ათანასე ათონელის (920-1000) ლავრას მიაშურეს, მის სიახლოვეს დაისადგურეს. მალე მათ შეუერთდა ცნობილი სარდალი თორნიკე.

ათონელ ქართველთა საქმიანობა გახმაურდა. მემატიანის უწყებით, „განითქვა ჰამბავი მათი" და თანამემამულეებმა მათ სამყოფს მიაშურეს. მოწესეთა მომრავლების გამო იოანემ და მისმა ახლობლებმა ათანასეს ლავრაში დარჩენა შეუძლებლად მიიჩნიეს. ამ მიზნით, „ლავრისაგან განშორებულად, უდაბნოსა მშვენიერსა წმიდისა იოანე მახარებელისა ეკლესია აღაშენეს და სენაკები, და მუნ იყოფოდეს მრავალ ჟამ".

წმ. იოანე, ექვთიმე და თორნიკე მთაწმიდელები

ჰაგიოგრაფის უწყების თანახმად, ყოველი სათნოებებით შემკულმა იოანემ, რომელსაც სამეფო კარზე დიდი პატივი ეპყრა, უარი თქვა ამქვეყნიურ სიამეზე. მან ოთხთა ეკლესიაში შემონაზვნების შემდეგ ოლიმპოს მთას შეაფარა თავი. მოგვიანებით, მეფე დავით კურაპალატმა (961-1001წწ.) ბერძენ იმპერატორ რომანოზს მძევლად გაუგზავნა ექვთიმე, იოანეს ვაჟი, რამდენიმე სხვა კეთილშობილ ყმაწვილთან ერთად. როდესაც ეს ამბავი იოანემ შეიტყო, კონსტანტინეპოლში ჩავიდა და იმპერატორს შეევედრა, შვილი დაებრუნებინა. იმპერატორს სმენოდა ამ ბერის ღირსების შესახებ და მას მცირეწლოვანი ექვთიმე გადასცა. ბედნიერი იოანე შვილთან ერთად ოლიმპოზე დაბრუნდა; ორიენ სათნოებებით აღსავსე სამონასტრო ცხოვრებას შეუდგა. მიუხედავად მათი სურვილისა, სახელი სწრაფად გაუვარდათ. ზედმეტ ყურადღებას რომ გაქცეოდნენ, ბერებმა ოლიმპო დატოვეს და თავი ათონის მთას, კერძოდ, სიწმიდით ცნობილი ათანასე დიდის პალავრას შეაფარეს. ისინი ათანასესთან ორ წელზე მეტ ხანს დარჩნენ.

ამავე პერიოდში საქართველოს მეფის, დავით კურაპალატის, ერთ-ერთმა ყველაზე სახელოვანმა სარდალმა თორნიკე ერისთავმა ზურგი აქცია საერო ცხოვრებას და მონასტრის კედლებს მიაშურა. თორნიკეს უკვე გაგონილი ჰქონდა იოანეს და ექვთიმეს სამონასტრო ცხოვრების ამბავი, აღარ დააყოვნა და მათ ათონის მთაზე შეუერთდა. ათონზე მათი მოღვაწეობა საქართველოდან ბევრ თანამემამულეს იზიდავდა. მათ გადაწყვიტეს, იოანეს და ექვთიმეს გზას შესდგომოდნენ. მორწმუნეთა ასეთი მოზღუავების გამო, იოანე, ექვთიმე და თორნიკე ათანასე დიდს შეუთანხმდნენ და იქვე ახლოს ააშენეს წმ. იოანე მახარებლის სახელობის ეკლესია და სენაკები, სადაც გაორკეცეს სიბეჯითე და მორწმუნეობა, მაგრამ თორნიკე მალე იძულებული გახდა, დროებით დაეთმო საეკლესიო ცხოვრება" (მოსკოვის სინოდის (საპატრიარქოს) ბიბლიოთეკის ბერძნული ხელნაწერი №346 გვ. 11-12).

979 წელს ბიზანტიის იმპერატორს აუჯანყდა მისი სარდალი ბარდა სკლიაროსი. საიმპერატორო კარმა დახმარებისათვის ქართველთა მეფეს – დავით დიდს (კურაპალატს) – მიმართა. მეფემ ბერძენთა დასახმარებლად 12.000 ცხენოსანი ლაშქარი გაგზავნა, რომელსაც სათავეში ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ ჩაუდგა იოანე-თორნიკე ყოფილი, მან გაამართლა მეფის იმედი – ბარდა სკლიაროსი დამარცხდა. მადლიერმა იმპერატორმა დავით კურაპალატს დიდი მიწა-წყალი უბოძა. ასევე, დაუჯილდოვა თორნიკე ერისთავი, რომელმაც თავისი ქონების უდიდესი ნაწილი იოანე ბერს გადასცა. თვითონ კი კვლავ სამონასტრო ცხოვრებას დაუბრუნდა.

ათონზე მოღვაწე ქართველმა მამებმა ახალი ქართული საეანის დაარსება განიზრახეს (მათ უკვე ჰქონდათ საამისო მატერიალური შესაძლებლობა), მალე (980 წ.) ქართული მონასტრის მშენებლობა დაიწყეს და 983 წელს განასრულეს კიდეც. ასე დაარსდა ათონის ივერთა (ქართველთა) მონასტერი, ივირონი.

ათონზე დღესაც დიდი პატივით იხსენებენ იოანე-თორნიკეს. ამაზე მოწმობს არაერთი დოკუმენტური

მასალა, რომელიც დღემდე შემოგვრჩა. ივირონის ერთ-ერთი საოცარი რელიკვიაა მისი ჯაჭვის პერანგი. იგი ინახება მონასტრის მუზეუმში, საგანგებო შუშის კარადაში, თორნიკეს თანამედროვის – იოანე ციმისკის სიმპერატორო სამოსელის გვერდით.

წმიდა მამებმა: იოანემ, გაბრიელმა და ექვთიმემ ახალი მონასტერი და ეკლესია ღვთისმშობლის სახელზე ააგეს. ეს ამბავი იმ პერიოდსა და მოვლენას დაემთხვა, როცა ზღვამ ხატმებრძოლობას გადარჩენილი მარიამ ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი გამორიყა. ხატმა ახლოს არავინ მიიკარა, გარდა ქართველი წმიდა ბერისა – გაბრიელისა. სწორედ ამ ხატისა და ღვთიმშობლის სახელზე აშენდა ათონის ქართველთა (ივირონის) მონასტერი. წმ. მამებმა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარში დაბრძანეს, მაგრამ ხატი სასწაულებრივად გარეთ, ტაძრის შესასვლელთან აღმოჩნდა, რის გამოც იწოდება **პორტაიტისად, – კარიბჭის ხატად.**



წმიდა მამებმა არაფერი დაიშურეს მონასტრის დასამთავრებლად. მონასტრის შემოსავლის უზრუნველსაყოფად მათ ბიზანტიის იმპერატორ ბასილი II-ს სოფლები და მიწები სთხოვეს. მადლიერმა იმპერატორმა გაწეული სამსახურითვის ეს თხოვნაც შეუსრულა. არც ქართველი მეფეები აკლებდნენ შემდგომში მონასტერს მოწყალებასა და შეწირულობას.

მამა იოანეს მმართველობის დროს ათონის მონასტერი ძლიერ განვითარდა. მისი პირველი წინამძღვრის გარდაცვალებამ დიდი გლოვა გამოიწვია. საქართველოს ეკლესიამ მამა იოანე წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ 12 ივლისი დაწესა.

წინამძღვრობის ტვირთი იკისრა მამა იოანეს ვაჟმა, ექვთიმემ, იგი ცნობილი იყო არა მხოლოდ ასკეტური ცხოვრებით, არამედ საეკლესიო წიგნების თარგმნით, რითაც მან ქართული ეკლესია განამდიდრა.

ექვთიმე ბავშვობიდანვე გაიწაფა ბერძნულ ენაში და თავისი მამის, იოანეს ძალისხმევით დაიწყო წიგნების თარგმნა. ამ სამუშაოს 14 წლის მანძილზე 300 სასულიერო პირის ზრუნვასთან ერთად ერთგულად ეწეოდა (1005 წ-დან 1019 წ-მდე). ბოლოს უარი თქვა წინამძღვრობაზე და თავისი ადგილი მამა გიორგის დაუთმო.

ამაოდ არ ჩაიარა წმ.ექვთიმეს ძალისხმევამ – იგი ქართველებმა განმანათლებლად აღიარეს. ექვთიმეს ბიოგრაფი ათონის მთის ხელნაწერში მის მირ თარგმნილ 30-ზე მეტ წიგნს ჩამოთვლის. იგი 1028 წელს, 65 წლისა გარდაიცვალა. იგი ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ 13 მაისი დაადგინა.

წმ. ექვთიმე ათონელს გარს ეხვია თანამოღვაწეთა დასი (იოანე გრძელისძე, არსენი ნინოწმიდელი, იოანე ხახულელი, ზაქარია მირდატისძე და სხვა.), რომელმაც გარკვეული წვლილი შეიტანა ქართული წიგნადი ფონდის გამდიდრებასა და ათონის ლიტერატურული სკოლის განვითარების საქმეში.

ათონის ქართველთა მონასტერი არა მხოლოდ იოანესა და ექვთიმეს სიცოცხლეში გამოირჩეოდა, არამედ მომდევნო პერიოდშიც კარგა ხანს წარმოადგენდა ქართული კულტურის მძლავრ კერას, იქ გაჩაღებულ ლიტერატურულ საქმიანობაში მონაწილეობდა ქართველ მოღვაწეთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი (გრიგოლ მთაწმიდელი, სტეფანე ხახულელი, მიქაელი და სხვა.).

წმ. ექვთიმე ათონელს მალე გამოუჩნდა ღირსეული მიმდევარი და სულიერი მემკვიდრე – წმ. გიორგი მთაწმიდელი. მან იმდენად დიდი სამსახური გაუწია ქართველ ერსა და საქართველოს ეკლესიას, რომ მისი ბიოგრაფია ცალკე განხილვას იმსახურებს.

წმ. გორგი მთაწმიდელი დაიბადა დაახლოებით 1009 წელს, თრიალეთში, სამცხის მკვიდრთა – იაკობისა და მარიამის ოჯახში. 25 წლის გიორგი 1039 წელს სქემით შეიმოსა თავისი მოძღვრის – დიდი ილარიონ თუალელის ხელით. მან საიდუმლოდ დატოვა მონასტერი და სამოღვაწეოდ შავ მთას მიაშურა.

წმ. გიორგი მთაწმიდელი შავ მთაზე გიორგი დაყუდებულს დაემოწაფა. მან 3 წელი განმარტოებით გაატარა რომანწმიდის მონასტერში და დაახლოებით 1044 წელს იერუსალიმს ეწვია. იქიდან დაბრუნებული მოძღვარმა დაარწმუნა, ათონის მთაზე წასულიყო და წმ. ექვთიმეს დაწყებული მწიგნობრული საქმიანობა გაეგრძელებინა. ის მალე (1051 წ.) ათონის მონასტრის წინამძღვარი გახდა.

წმ. გიორგის თაოსნობით, წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიიდან გადმოასვენეს წმ. ექვთიმეს ნეშტი და მთავარ ტაძარში, წმ. იოანეს გვერდით, დაბრძანეს. აქვე დაასვენა მან ნინოწმიდის ეპისკოპოსის – ნეტარი არსენისა და ბერი იოანე გრძელისძის წმ. ნაწილები, რომელიც თავდაპირველად სოხასტერის მონასტერში იყო დაბრძანებული.

მისი თხოვნით ბიზანტიის იმპერატორმა, კონსტანტინე მონომახმა, ათონის მონასტერი შეაკეთა. გიორგი მთაწმიდელს სამონასტრო ცხოვრების მართვა ხელს უშლიდა მეცნიერულ მუშაობაში, ამიტომ სავანის წინამძღვრობიდან გადადგომა არჩია. ყველა ხელნაწერი ათონში დატოვა და შავ მთას დაუბრუნდა, სადაც კვლავ საეკლესიო წიგნების თარგმნას მიჰყო ხელი. მის მიერ თარგმნილი წიგნების მნიშვნელობა იმდენად დიდი იყო, რომ მათ შეძენას ყველა მონასტერი ცდილობდა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბაგრატ IV-ის მოწვევით გიორგი მთაწმიდელი საქართველოში ჩავიდა, სადაც 5 წელი გაატარა. მისივე თხოვნით წმინდანმა საეკლესიო რეფორმა ჩაატარა. იგი ცდილობდა, საზოგადოების ყველა ფენაში სიკეთე დაეთესა და მადლი მოეფინა. როცა წმინდანმა სამშობლო დატოვა, თან 80 ობოლი ყმაწვილი წაიყვანა, რათა მათთვის სათანადო განათლება მიეცა და ამასთან, ათონზე საძმო გაემრავლებინა.

წმ. პეტრე და პავლე მოციქულების დღესასწაულის წინა დღეს, ოთხშაბათს, როდესაც წმ. გიორგიმ სიკვდილის მოახლოება იგრძნო, იმპერატორის ნახვა ითხოვა. იმპერატორი ვაჟიშვილთან ერთად თავად ეწვია წმინდანს ფილოპატროს ველზე და თვითონ იკისრა ზრუნვა იმ 80 ყრმაზე, რომლებიც გიორგის საქართველოდან ივირონში მიჰყავდა. მეორე დღეს გიორგიმ სული უფალს მიაბარა (1066 წელი). წმ. გიორგის ცხედარი ათონის მთაზე წაასვენეს. მონასტრის წინამძღვრის – გიორგი ოლთისელის ბრძანებით, ეკლესიაში წმ. ექვთიმეს საფლავის მახლობლად დაკრძალეს.

წმ. გიორგი მთაწმიდელის ხსენების დღეა 27 ივნისი. მისი დამსახურება ქართული ეკლესიის წინაშე განუზომლად დიდია. მისი მრავალრიცხოვანი თარგმანით შეიმკო და გამდიდრდა თითქმის ყველა ქართული მონასტერი. გიორგი მთაწმიდელმა, წმ. ექვთიმეს შემდეგ, შეასწორა და განაახლა საღმრთო წერილის ძველი თარგმანები, რომლებიც დროთა განმავლობაში მრავალრიცხოვანი გადამწერების მიერ დამანხინჯებული და შერყვნილი იყო.

მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა ათონის ქართველთა მონასტერში გრძელდებოდა წმ.გიორგი ათონელის შემდეგაც. განსაკუთრებით, თეოდორესა და გიორგი ოლთისარის დროს. სწორედ მაშინ მოღვაწეობდა იქ მოზრდილი ჯგუფი (ევსტრატი დეკანოზი, ზოსიმე მონაზონი, კვირიკე დიაკონი, სვიმეონ თავშიშველი, იაკობ დეკანოზი, მიქაელ დაღალისონელი და ა.შ.), რომელმაც შესამჩნევი წვლილი შეიტანა ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიაში.

კვლავ დავუბრუნდეთ ათონის მონასტრის ცხოვრებასა და შემდგომ ბედს.

ჯერ კიდევ წმ. ექვთიმე ათონელის მომდევნო წინამძღვრის – გიორგის (1019-1029წწ.) დროს ივირონში ქართველთა შევიწროვება-შემცირება და ბერძენთა მომრავლება დაიწყო. მართალია, წმ. გიორგიმ ერთგვარად დაამუხრუჭა ბერძენთა მოძალება და ხელი შეუშალა მათ მტაცებლური განზრახვის შესრულებაში, მაგრამ მალე ბიზანტიელებმა დრო იხელთეს და ქართველებისთვის მონასტრის წართმევა მოიწადინეს. ამას ერთვოდა გარეშე მტრების ხშირი თავდასხმაც, რამაც შესამჩნევად დაასუსტა ქართველთა სავანე.

1285 წელს ათონის ქართული მონასტერი დაარბიეს ლათინმა ბარბაროსებმა. ქართველები გაიქცნენ და თან წაიღეს მონასტრის სიწმინდე – ღვთისმშობლის ხატი.

1295 წელს ქართველები კვლავ დაბრუნდნენ მონასტერში. 1500 წლამდე ათონის ქართული მონასტერი მრავალჯერ დაარბიეს და გაძარცვეს. 1304 წელს იქაური მონასტრები იავარყვეს თურქებმა, 1306 წელს ათონი გაძარცვეს ესპანელებმა, 1308 წელს კი არაბებმა უმოწყალოდ გაძარცვეს ქართული სავანე და მთავარი ტაძრის დანგრევაც კი განიზრახეს, მაგრამ მარმარილოს სვეტები ადგილიდან ვერ დაძრეს და გუმბათიანი ნაგებობის ჩამოქცევა ვერ მოახერხეს.

XVI ს-ში თურქების გაუმაძღრობის გამო, მონასტერი დიდ ვალებში ჩავარდა. ქართველმა ბერებმა 1529 წელს კახეთის მეფეს მიართვეს ათონის მონასტრის კლიტე, მონასტრის ხატი და დახმარება სთხოვეს. სამეფო კარმა ქართველ ბერებს 12000 მანეთი მისცა. ქართველებმა 10 წლის განმავლობაში თურქების ვალი გადაიხადეს.


XVI საუკუნის დასასრულიდან ათონის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო: რუსეთის საერო თუ სასულიერო ხელისუფლება მეტ ყურადღებას უთმობს ათონის სავანეებს. ამ დროისათვის რუსეთის ხელისუფალთ ჩამოუყალიბდათ აზრი, რომ ისინი იყვნენ ბერძნების მემკვიდრენი და მათ ევალებოდათ აღმოსავლეთში ქრისტიანობის დაცვა-მფარველობა. სწორედ ამის გამო დაეხმარნენ რუსთა მეფეები ივირონს 1584-1586 წწ-ს და დაიცვეს მისი ინტერესები.

1647 წელს მუხრან-ბატონის დახმარებით, ათონის ივერთა მონასტრის შეკეთება დამთავრდა. ამ დროისთვის მონასტრის შემადგენლობაში 16 ეკლესია შედიოდა.

როგორც ვიცით, იოანე და თორნიკე ათონელებმა ეს მონასტერი იმ განზრახვით ააგეს, რომ მხოლოდ ქართველთა ნავსაყუდელი ყოფილიყო. ქართველები ცდილობდნენ, მონასტერში არ შეეშვათ ბერძენი და სხვა ერის ბერები. ქართველთა მონასტრის ტიპიკონის მიხედვით, იქ შეიძლება მხოლოდ ერთი ბერძენი ბერი ყოფილიყო, ისიც მწერლად. სამწუხაროდ, ათონელი ბერძნები მუდამ ცდილობდნენ, ხელში ჩაეგდოთ ეს მდიდარი სავანე.

XVII-XVIII სს-ში ათონი ქართველებისგან ისე დაცარიელდა, რომ ტაძარში ბერძენ ბერებსაც იღებდნენ. ასე გრძელდებოდა 1801 წლამდე.

1820 წელს თურქებმა ათონი დაარბიეს. ბერძნები წმინდა მთიდან გაიქცნენ. სავანეში მხოლოდ ქართველები დარჩნენ. აქ მოღვაწე ქართველი მამები – ილარიონი ყანჩაველი და ბენედიქტე (ბესარიონ ქიტიშვილი) პირისპირ შეხვდნენ მტერს. ისინი მოელაპარაკნენ თურქთა ჯარის სარდალს – ლაბუედ-ფაშას (წარმოშობით ქართველს) და ამ გზით იხსნეს ძარცვისაგან არა მარტო ივირონი, არამედ სხვა მრავალი მონასტერი. 1830 წელს თურქებმა ათონი დატოვეს, ბერძნები უკან დაბრუნდნენ, მათ ქართველ ბერებს ათონის მონასტრის წინამძღვრობა აუკრძალეს და თვითონ დაეუფლნენ მონასტერს.



1835 წლამდე ქართველებს კარის ეკლესია ეჭირათ, ხოლო, როცა ისიც წაართვეს, მაშინ ათონის ივერთა სავანის ახლომდებარე ელია წინასწარმეტყველის სენაკში გადასახლდნენ. აქ ისინი ივერთა სავანიდან მცირეოდენ შემოსავალს იღებდნენ. ასე გაგრძელდა 1861 წლამდე. შემდგომში ქართველ ბერთა მდგომარეობა უფრო გაუარესდა. 1866 წელს ბერძნებმა აკრძალეს ქართველების ათონში შეშვება. მათ ყურად არ იღეს არც იმპერატორის და არც საელჩოს რჩევა, გაანადგურეს ქართველთა მოღვაწეობის შემცველი დოკუმენტური მასალები და აქტები, ქართული წარწერები კი ბერძნულით შეცვალეს.

ამ მდგომარეობაში მყოფ ქართველებს დაებადათ აზრი – ათონზე ახალი სავანე დაეარსებინათ, სადაც თავს დროებით შეაფარებდნენ. 1869 წელს ათონში 12 თანამემამულესთან ერთად ჩავიდა აზნაური ბენედიქტე ბარკალაია. მან ბერძნებთან მოლაპარაკების შემდეგ 3000 მანეთად შეიძინა წმ. თორნიკე და იოანე ათონელების მიერ დაფუძნებული სავანის მცირე ნაკვეთი. ქართველებს ბერძნები შეპპირდნენ, რომ სავანის ასაშენებლად შეღავათიან ფასებში მისცემდნენ მასალას, მაგრამ, სამწუხაროდ, ბერძნებმა უარი თქვეს კირის გამოწვასა და აგურის დამზადებაზე. ქართველებს მათ ნაცვლად ბენედიქტეს პანტელეიმონის მონასტრის მოძღვარი მამა იერონიმე დაეხმარა. მან უბრძანა თავის მნეს, მღვდელ-მონაზონ პავლეს, რომ მასალა შეეძინა და ქართველებისთვის გადაეცა, მაგრამ გუმბათზე მომუშავე ბერძნები განგებ არ ამთავრებდნენ შენობას. მათ რუსეთიდან ჩამოტანილი ზარიც კი წაართვეს ქართველებს. მიუხედავად ასეთი დიდი წინააღმდეგობისა, ქართველებმა მაინც დაამთავრეს შენობა, რომელსაც ივერიის იოანე ღვთისმეტყველის სავანე უწოდეს, ამ სავანეში 40 კაცი მოღვაწეობდა. ბერძნებმა წინადადება მისცეს ქართველებს, რომ იქ მხოლოდ 3 ქართველი დარჩენილიყო. ქართველები ამ დათმობაზე არ წავიდნენ, მაშინ ბერძნებმა აჩეხეს ვენახი, გაანადგურეს ხილისა და ზეთისხილის ბაღები, დაანგრიეს წყაროები და, ვინ იცის, რით დამთავრდებოდა ეს დაპირისპირება, რომ ქართველ ბერებს ყოველივე ეს არ შეეტყობინებინათ რუსეთის იმპერატორისთვის. ამ უკანასკნელმა ბენედიქტეს თხოვნა ყურად იღო და ვალების დასაფარად სავანეს 15 000 მანეთი შესწირა; ამასთან, აღუთქვა, რომ ყოველწლიურად 3000 მანეთს გამოყოფდა ბერძენ-ქართველთა უთანხმოების მოგვარებამდე.

ტაძარი შეწირულობას საქართველოდანაც იღებდა. იმერეთის, გურიისა და სამეგრელოს მესვეურნი ათონელ ბერძენ ბერებს სწერდნენ, რომ ქართველთა უფლებები მშვიდობიანი გზით აღედგინათ. ამ საქმეში ქუთაისისა და თბილისის აზნაურობაც მონაწილეობდა. 1879 წელს 22 მაისს მათ

დაადგინეს, ეშუამდგომლათ მთავრობასთან, დაებრუნებინათ ქართველებისთვის ათონის ივერიის ლავრა. სამწუხაროდ, რუსეთის იმპერიის საელჩო ათონელ ქართველებს არ დაეხმარა, მხოლოდ რუსეთის კონსულმა მაკედონიაში – იაკობსონმა 1884 წელს ყურად იღო ქართველთა გასაჭირი და პირადად ჩარია ბერძნებისა და ქართველების უთანხმოებაში. ბენედიქტეს თხზვნით, რუსეთის საელჩომ მისწერა იაკობსონს, რომ თუ ბერძნები მონასტრიდან განდევნიდნენ ქართველ ბერებს, მათ ჩამოართმევდნენ იმ მამულებს, რომლებიც რუსეთში იყო და რომლის შემოსავალიც ათონს ეკუთვნოდა.

ბერძნებმა მაინც უარი თქვეს ქართველებთან შერიგებაზე. კონსულმა გადაწყვიტა, ბერძნებისთვის ჩამოერთმიათ ივერიის მონასტრის ქონება კავკასიაშიც და რუსეთშიც. შეშინებულმა ბერძენმა ბერებმა იაკობსონს სთხოვეს – შეედგინა ქართველებთან შეთანხმების პირობები. თუმცა, ბერძენმა ბერებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ ეს საქმე გაჭიანურებულიყო. მათ პასუხი არ გასცეს არც საკონსულოს და არც ქართველ ბერებს.

ბერძნები არ უარყოფდნენ, რომ ათონის ივერთა მონასტერი ქართველებს ეკუთვნოდა, მაგრამ რადგანაც მის აშენებაში ქართველ მეფეებთან ერთად ბიზანტიის იმპერატორებიც მონაწილეობდნენ (რა თქმა უნდა, შეწირულობით), მიაჩნდათ, რომ ათონზე თანაბარი უფლება ჰქონდათ. ამასთან, მიაჩნდათ, რომ ვინაიდან ისინი რაოდენობრივად მეტნი იყვნენ, მონასტერი მათ ეკუთვნოდათ.

დავა დიდხანს გაგრძელდა. ზოგიერთი რუსი მოხელე თუ სასულიერო პირი ბერძნებსაც კი უჭერდა მხარს. მეფის მთავრობამ ვერ უზრუნველყო ათონში ქართველთა უფლებების აღდგენა და ივერთა მონასტერს საბოლოოდ ბერძნები დაეპატრონენ.

ათონის ივერთა მონასტრის არქიტექტურული მიმოხილვა

მტერთაგან დაცვის საჭიროებამ საუკუნეთა მანძილზე ივერთა მონასტერი გარეგნულად ციხე-სიმაგრეს დაამსგავსა (მას სხვადასხვა დროს თავს დაესხნენ არაბები, ლათინები, თურქები, კატალონიელები). პირველი, რასაც ხედავთ ივირონთან მიახლოებისას, არის ნავთსაყუდელთან აზიდული საგუშაგო კოშკის და სათოფურებიანი ნაგებობის ნანგრევები. აქედან ივირონის კომპლექსამდე სულ ასიოდე მეტრია. მონასტერი, არსებითად, მდებარეობს ზღვის ნაპირას (და არა მთაზე, როგორც ხშირად წარმოუდგენიათ). მთაზე, ხეობის სიღრმეში, მოჩანს სხვა ნაგებობების ნანგრევები. ეს არის ივირონის კუთვნილი იოანე მახარებლის მონასტერი, იგი აშენებული იქ, სადაც, გადმოცემის თანახმად, თავიანთი სავანე დაარსეს პირველმა ქართველმა ათონელებმა. იქვე, იოანე მახარებლის მონასტერში, ჰპოვეს თავშესაფარი ივერთა მონასტრიდან გამოძევებულმა უკანასკნელმა ქართველმა ათონელებმაც.

ქართული მონასტრის შენობები ფერითაც გამოირჩევა. ჭარბობს ისფერი, მარწყვისფერი და ლურჯი. ყველა მონასტერს აქვს მაღალი სამრეკლო, საიდანაც ზარის ხმა იშვიათად ისმის. მის მაგივრობას ასრულებს ქსილომანდრონი – ეს არის გრძელი დაფა, რომელზეც ბერი ხის ჩაქუჩით არტყამს (დროს ივერთა ლავრაში ითვლიან არა დაღამებიდან, როგორც დანარჩენ 19 მონასტერში, არამედ მზის ამოსვლიდან ე. წ. ქალდეური წესით).

ივირონის ციტადელი ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ოთკუთხედი გალავანი მის კედლებში მოთავსებული ოთახებითა და სენაკებით, გარედან გადმოკიდებული, ვაზის ფოთლებით დაჩრდილული აივნებით. გალავნის შიგნით, მწვანე ბალახით დაფარულ ფართო ეზოში განლაგებულია მთავარი ნაგებობანი, მათ შორის მონასტრის ფუძემდებელთა დროინდელი ღვთისმშობლის მიძინებისა და იოანე ნათლისმცემლის ტაძრები, XVI საუკუნეში ქაიხოსრო და მზეჭაბუკ ათაბაგების მიერ ღვთისმშობლის ცნობილი ხატისათვის აგებული პატარა ეკლესია.

მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი გარდაქმნებისა, პროფესიული არქიტექტურული ანალიზის შედეგად უთუოდ შესაძლოა ნაგებობათა პირვანდელი გეგმის, ადრინდელი ფენებისა და დეტალების გამოვლენა. ასეთი ელემენტები უთუოდ მოჩანს ორივე ტაძრის მოზაიკაში, კედლების ჩუქურთმებიან ფილებში, მარმარილოს სვეტთა ორნამენტებში.

ივერთა მონასტრის ტერიტორიაზე განსაკუთრებით შთამბეჭდავია, რა თქმა უნდა, ის, რაც დაკავშირებულია დიდი ათონელების სახელთან, რაც გვახსენებს იოანეს, ექვთიმესა და გიორგის ცხოვრებათა ამა თუ იმ პასაჟებს. მაგალითად, გალავნის სამხრეთ კედელზე აზიდული მაღალი კოშკი. ამგვარი გოდოლი ანუ პირღო, რომელიც მოიპოვება ათონის ყველა მონასტერში, წარმოადგენდა თავდაცვით ნაგებობას, ალყა შემორტყმულთა უკანასკნელ თავშესაფარს, შემდგომ მათი უმეტესობა გამოიყენეს სამონასტრო წიგნსაცავებად. ივირონში კოშკს აღარ აქვს ძველი დანიშნულება, იგი დღევანდელი ათონელებისათვის, უბრალოდ, ძველი ნაგებობის ნაშთია. ჩვენს წარმოდგენაში კი კოშკის ნანგრევები აცოცხლებენ სურათებს „იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებიდან“. ეს არის ექვთიმე ათონელის კოშკი, მისი საცხოვრისი, ჩვენი ისტორიის წმიდათაწმიდა ადგილი, სადაც სინათლის შუქით

განათებული ღამეების სიმყუდროვეში იქმნებოდა შორეული სამშობლოს ზრდისა და ამაღლებისათვის საჭირო ლიტერატურა. ამ ადგილს უკავშირდება „ცხოვრებაში“ აღწერილი ექვთიმეს მოკვლის ცდის დრამატული ეპიზოდი, როდესაც თავის სენაკისკენ მიმავალ წმინდანს გოლღის კიბეზე აჰყვება ფეხდაფეხ დადევნებული „ვანცოფებული მონაზონი“, რომელმაც „შეამზადა მახვილი და ენება მოკვლაჲ მისი“ კოშკს, შემდგომში, რა თქმა უნდა, გამაგრებულსა და რამდენადმე სახეცვლილს, შენარჩუნებული აქვს ძირითადი კონტურები, მისი მაღალი, სენაკისკენ აღმავალი კიბით, სარკმლებითა და აივნებით.

კოშკის სიმაღლიდან იშლება ვრცელი და წარმტაცი პანორამა – ერთი მხრივ, ზღვის ნაპირი, მეორე მხრივ, ამწვანებული მთების რიგი უკან აზიდული ათონის მწვერვალით, მთებსა და სანაპიროს შორის, ვაკესა და ფერდობებზე გაშლილი ვენახებითა და ზეთისხილის პლანტაციებით. ეს ივირონის მეურნეობაა, ივირონის ღვინო დღესაც საუკეთესოდ ითვლება მთელ ათონზე.

ქტიტორთა სამარხი, აკლდამა, მოთავსებულია ცენტრალური ტაძრის შიგნით, დასავლეთ კედელში. ფირფიტა გაბზარული და ჩამოტეხილია, სამარხი – ცარიელი. ადგილობრივი ტრადიციის მიხედვით, რომელიც დადასტურებულია ათონელთა ცხოვრების ახალბერძნულ ვერსიაშიც, მათი ცხედრები გაიტაცეს ევროპელებმა ჯვაროსნული ლაშქრობების, ლათინთა ბატონობის ეპოქაში. ამ ფაქტის დამადასტურებელი სხვა უფრო დამაჯერებელი საბუთი ჯერჯერობით არ არსებობს.

საკითხავია ისიც, რას გულისხმობდა ტიმოთე გაბაშვილი, როდესაც XVIII საუკუნეში იოანეს, ექვთიმეს და გიორგის სამარხი „ლუსკუმის“ მდებარეობის ადგილად ტაძრის ეზოს მიუთითებდა? როგორც ცნობილია, წმ.ექვთიმე და შემდგომ წმ. იოანეც უკვე XI საუკუნეში ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში გადმოასვენეს. აქვე იყო დაკრძალული წმ. გიორგი მთაწმიდელიც.

ქართული ტრადიციის პარალელურად, არსებობს ბერძნული ტრადიცია, რომლის თანახმადაც, დიდი ტაძრის აღმშენებელი არის არა გიორგი მთაწმიდელი (1044-1056), არამედ გიორგი ვარაზვაჩე (1019-1029) – მონასტრის მესამე წინამძღვარი (წმ. იოანესა და ექვთიმეს შემდეგ), რომელსაც ბრალად დასდეს იმპერატორის საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობა და გადაასახლეს კუნძულ მონოვატას.

ათონის ივერთა მონასტრის ბიბლიოთეკა.

სამეცნიერო-კულტურული საქმიანობა ათონზე, სამწუხაროდ, კარგა ხანია შეწყდა. დღეისათვის მონასტრების დანიშნულებაა მართლმადიდებლური სარწმუნოების დაცვა-შენახვა.

ჯერ კიდევ 1880 წელს ბ. ბარკალაიას უნახავს, რომ ქართულ ხელნაწერებს ბერძენი ბერები ბოთლების საცობებად ხმარობდნენ და კონსტანტინეპოლის ბაზარზე ყიდდნენ. დღეს ათონზე ქართულ ხელნაწერთა განყოფილებაში ბლეიკისა და დუმელინის ორი კატალოგია. ყველა ხელნაწერს თავისი ნომერი აქვს. ისინი ყდაში ჩასმულია და მათი უმრავლესობა პერგამენტზეა გადაწერილი. აქვეა 987 წლის ოშკის ბიბლიის უძველესი ხელნაწერი. ლ. მენაბდის ცნობით, 1849 წელს პლატონ იოსელიანს იგი ათონიდან თბილისში ჩამოუტანია და ორ ცალად გადაუწერია: ერთი სამეგრელოს მთავრის, დავით დადიანისთვის უბოძებია, მეორე – თბილისის სიონის ტაძრისთვის. შემდეგ ეს ბიბლია ისევ ათონზე დაუბრუნებიათ.

ათონზეა 913 წლის ოპიზის სახარება. აქვეა ტაო-კლარჯეთის ქართული მონასტრებიდან წაღებული ქართული ხელნაწერებიც.

ივერთა მონასტრის ბოლო სართულზე ნაბეჭდი წიგნების განყოფილებაა, დერეფანში კი – თალფაქები (ვიტრინები) ქართული ხელნაწერებით.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ხელნაწერთა შორის არის წმ. ექვთიმე და გიორგი ათონელების ავტოგრაფები: ექვთიმეს ხელით შესრულებული მისი თარგმანებისა და თხზულების შემცველი 132-ფურცლიანი ხელნაწერი (№79); 10 ხელნაწერი, რომელთაგან 8 მთლიანად წარმოადგენს გიორგი მთაწმიდელის ავტოგრაფს, ხოლო ორი – ნაწილობრივ.

პროფესორი იასე ციცაძე 1962 წლის 10 იანვარს გაზეთ „კომუნისტში“ წერდა, რომ XVII ს-ის 50-იან წლებში რუსეთის პატრიარქს, ნიკონს, მოუსურვებია, შეედარებინა ქრისტიანული საეკლესიო ლიტერატურა ბერძნულ დედნებთან და სტამბურ გამოცემებთან. ამ მიზნით, მან ათონში მიავლინა არსენ სუხანოვი, რომელსაც უნდა მოეძია და შეეძინა საჭირო წიგნები და ხელნაწერები. არსენ სუხანოვმა 498-მდე დასახელების ხელნაწერი წიგნი შეიძინა. ამათგან 156 დასახელება ათონის ივერთა მონასტრიდანაა. ცხადია, ეს ფაქტი ამ მონასტრის ბიბლიოთეკის სიმდიდრეზე მიუთითებს. ათონის ივერთა მონასტრის ბიბლიოთეკის ნაწილი მოსკოვის ბიბლიოთეკებსა და მუზეუმებში ინახება და მკვლევარს ელოდება.

ათონის ქართველთა მონასტრის წიგნადი ფონდი უაღრესად მრავალფეროვანია. ის მოიცავს,

თეოლოგიის გარდა, პოეზიას, დრამატურგიას, ისტორიას, ფილოსოფიას, ფილოსოფიის ისტორიას, მათემატიკას. აქ ვეცნობით დიონისე არეოპაგელის თხზულებებს, სტრაბონის გეოგრაფიას (17 წიგნად, XV ს. ხელნაწერი), ფილოსოფიური, რიტორიკული, გრამატიკული, მათემატიკური შინაარსის სტატიების კრებულს (XIII ს. ხელნაწერი), ბერძენი ფილოსოფოსების ბიოგრაფიულ კრებულს (XVI ს-ის ხელნაწერი), საბერძნეთის გეოგრაფიას (XVI ს-ის ხელნაწერი), ჰომეროსის „ოდისეას" შენიშვნებითურთ (XIII ს-ის ხელნაწერი), სოფოკლეს ტრაგედიებს („აიაქსი", „ელექტრა" და „მეფე ოიდიპოსი") თვით სოფოკლეს ბიოგრაფიით (XIV ს-ის ხელნაწერი), ესქილეს ტრაგედიას მიჯაჭვულ პრომეთეზე (XII ს-ის ხელნაწერი), არისტოტელეს შრომებს ლოგიკასა და ფიზიკაზე შენიშვნებითურთ (XVII ს-ის ხელნაწერი), ეზოპეს იგავებსა და სხვა მრავალს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ათონის ქართველი მოღვაწეების ინტერესების სფერო მრავალფეროვანი ყოფილა [175].

12.2 ქართული რელიგიული ბეგლები ტაო-კლარჯეთში

კლარჯეთი. მხარე ისტორიულ სამხრეთ საქართველოში. მოიცავდა მდინარე ჭოროხის ქვემო დინების აუზს, არსიანის ქედიდან შავ ზღვამდე (ახლანდელი თურქეთის ტერიტორია). კლარჯეთში შედიოდა მურღულის, ეგრის, არტანუჯის, ნიგალის და სხვა ხევები (საკუთრივ კლარჯეთიც თავდაპირველად ერთ-ერთი ხევი იყო). სახელწოდება „კლარჯეთი" მოდის დაბა კლარჯეთიდან. კლარჯეთის უძველესი ცენტრია ციხე თუხარისი. კლარჯეთს განაგებდა ქართლის მეფის ერისთავი, რომლის რეზიდენცია V საუკუნის II ნახევრიდან არტანუჯის ციხე უნდა ყოფილიყო. მეფე ვახტანგ გორგასალმა აქ ფართო კულტურულ-აღმშენებლობითი საქმიანობა წამოიწყო: ააშენა ეკლესია-მონასტრები, დააარსა ახალი საეპისკოპოსო (ცენტრი ახიზაში). კლარჯეთი ამავე დროს გახდა ირანის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმი. VI საუკუნეში აქ დამკვიდრდა ბაგრატიონთა დინასტია. IX საუკუნის დასაწყისში მეფე აშოტ I დიდმა არაბთა ლაშქრობებით და ეპიდემიებით გაპარტახებული მხარე აღადგინდა და დაასახლა. დაიწყო ფართო სამონასტრო მშენებლობა გრიგოლ ხანძთელის თაოსნობით. XI-XIII საუკუნეებში კლარჯეთში გაიშალა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. იგი განთქმული იყო ეკლესია-მონასტრებით, რომელთაც კლარჯეთის თორმეტ უდაბნოს უწოდებდნენ. XVI საუკუნეში კლარჯეთი, საქართველოს სხვა ტერიტორიულ ნაწილებთან ერთად, ოსმალეთმა მიიტაცა. მას მერე ეს ტერიტორია დედასაქართველოს რამდენჯერმე დაუბრუნდა მცირე ხნით. ბოლოს სხვა ქართულ ტერიტორიებთან ერთად კლარჯეთი საქართველოს XX საუკუნის დასაწყისში შემოუერთდა (1918-1921წწ.), მაგრამ 1921 წელს ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსირების შემდეგ ქვეყანამ უდიდესი ტერიტორიები დაკარგა ოთხივე მიმართულებით, მათ შორის კლარჯეთიც. აღსანიშნავია, რომ კლარჯეთში ბოლო საუკუნეებში ხელოვნურად და ძალდატანებით განხორციელებული თურქიზაციის მიუხედავად (ქართული ენის, ქრისტიანობის, ქართული წეს-ჩვეულებების აკრძალვა და ქართული მოსახლეობის თურქეთის სხვადასხვა რეგიონში გადასახლება, კლარჯეთში კი თურქულენოვანი მოსახლეობის გადმოსახლება), ადგილობრივი ქართველები (სხვადასხვა მონაცემებით, ორ მილიონზე მეტი) მაინც ინარჩუნებენ ქართულ ენასა და ადათებს, ბევრი მათგანი ფარული ქრისტიანია; საუბრობენ ქართული ენის იმერხეულ კილოზე. ბევრია თურქიზმები. კლარჯეთის მთიან, მიუწვდომელ ადგილებში მცხოვრები ქართველები ძველი ქართული გარეგნული იერსახით გამოირჩევიან: საშუალოზე მაღალი აღნაგობით, ქერა თმითა და ღია ფერის (ცისფერი, მწვანე, თაფლისფერი) თვალებით.


ტაო. ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე, ისტორიული მესხეთის ნაწილი. იგი მდებარეობს მდინარე ჭოროხის შუა დინების აუზში. პირველად მოიხსენიება ძვ.წ. 1112 წელს ასურულ წყაროებში „დაიაენის" სახელწოდებით. ურარტული წყაროები „დიაუხის" სახელით იცნობენ. ამ მხარეში ცხოვრობდნენ ქართველური ტომები: ტაოხები, ხალიბები, სკვითინები.

ძვ. წ. I ათასწლეულში ტაო შედიოდა კოლხეთის სამეფოში, IV-III სს-ში იბერიის ორგანული ნაწილი იყო, II ს-ში სომხეთი დაეუფლა. ახ.წ. I-II სს-ში ტაო კვლავ ქართლის სამეფოს შემადგენლობაშია, IV-VII ს.ს-ში მამიკონიანთა ფეოდალური საგვარეულოს სამფლობელო იყო. VIII ს-ში ტაო პოლიტიკურად ქართლის სამეფოს შეუერთდა, აქ გაიშალა ფართო სამონასტრო მშენებლობა, დასაბამი მიეცა ბაგრატიონთა სამეფო დინასტიას.


XII-XIII ს.ს-ში ტაო საქართველოს სანაპირო საერისთაო იყო, XIII ს-ის II ნახევრიდან სამცხე-საათაბაგოშია, XIV ს-დან – კვლავ ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში. XVI ს-ის 50-იან წლებში სამცხე-საათაბაგოს სხვა ტერიტორიებთან ერთად ოსმალეთმა შეიერთა.

ტაო-კლარჯეთი და ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში

საქართველოში აგებული პირველი ქრისტიანული ეკლესია მდებარეობს არტაანის მხარეში, ერუშეთში, რომელიც პირველი ქართველი ქრისტიანი მეფის, მირიანისა და ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინე დიდის სახელებს უკავშირდება; ეკლესია, რომელიც კონსტანტინე დიდმა, მირიანის თხოვნით, ბერძენ ხუროებს ააშენებინა და თან გამოატანა განძი და მაცხოვრის „სამსჭვალნი ხელთანი": „და ვითარ მოიწივნეს ადგილსა, რომელსა ჰქვიან ერუშეთი და დაუტევნა ხურონი საქმედ ეკლესიისა, დაუტევნა განძი და სამსჭვალნი უფლისანი და წარმოვიდა" (ლეონტი მროველი, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა"). იმავე ცნობით, ამ ფაქტს დიდი სიხარულით შეხვდა ქართველთა განმანათლებელი წმიდა ნინო [161].



მონასტრებს შორის დღესდღეისობით შემორჩენილია რამდენიმე ტაძარი და ათეულობით ქართული ძეგლი, რომლებიც მძიმე მდგომარეობაშია და შველას ელიან.



ბანა

ბანა იმიერ ტაოში, ოლთისის ვილაიეთში, ჭოროხის ხეობაში, მდ. ბანას (თურქულად ფანაკი) მარჯვენა ნაპირას, ოლთისიდან 55,11 კმ-ზე და არტაანიდან 131,93 კმ-ზე, სოფელ ფენეკის დასავლეთით 2 კმ-ზე მდებარეობს. VII საუკუნის შუა წლებში აქ ააშენეს დიდი ტაძარი. „ქართველთა სამეფოს" დამაარსებლის ადარნასე II-ის დროს (881/888-923) დაარსდა ბანას საეპისკოპოსო, ხოლო ტაძარი გადაკეთდა. XI საუკუნის ისტორიკოსი სუმბატ დავითის ძე გვამცნობს, რომ ტაძარი აუგია დავით I კურაპალატის (ტაო-ჯავახეთის მთავარი 876-881 წ.) ვაჟს – ადარნესე II-ს, კვირიკე ბანელის ხელით, რომელიც ბანას პირველი ეპისკოპოსი გამხდარა და გარდაცვალების შემდეგ იქვე დაუკრძალავთ. მაგრამ ტაძრის სტილისტიკური ანალიზით ირკვევა, რომ ტაძარი არაუგვიანეს VII საუკუნეში უნდა აშენებულიყო, რადგან მას ტეტრაკონქის ფორმა აქვს,

რომელიც VII საუკუნის შემდეგ აღარ გვხვდება. ამდენად აღარანაირ ტაძრის ხელახლა აღმშენებელი უნდა იყოს. ბანა ქართველ მეფეთა საზაფხულო სამყოფი და აგრეთვე მეფეთა განსასვენებელიც იყო.

X-XI საუკუნეებში ბანაში მოღვაწე ზაქარია ბანელის თაოსნობით ბევრი ძვირფასი ხელნაწერი შეიქმნა. ბანის ტაძარი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების თვალსაჩინო ძეგლია. დიდი ზომის მაღალ ტეტრაკონქს გარს ეკვრის თითქმის 40 მეტრი დიამეტრის მრავალწახნაგა გარსშემოსავლელი. შუაში აღმართულია ცილინდრული გუმბათის ყელი. ტეტრაკონქის მკლავებს შორის განლაგებულია გუმბათქვეშა ბურჯები – პილონები, სადაც სამ იარუსად მოწყობილი სადგომებია (პატრონიკენი), ხოლო ოთხივე აფსიდის ქვემოთა ნაწილი, ჩვეულებრივი მთლიანი კედლის ნაცვლად, გამჭოლი თაღებით გარსშემოსავლელისაკენ იხსნება. შენობის მთელი სიმაღლე 30 მ-ს აღემატება. ტაძრის ხუროთმოძღვრული დეტალები და მორთულობა ტექნიკური ოსტატობითა და მაღალმხატვრულობით გამოირჩევა. აფსიდებისა და პატრონიკეთა მალებში მოთავსებული მრგვალი სვეტები შემკულია ვოლუტებიანი სვეტისთავებით, ფასადის მთელ პერიმეტს მისდევს დეკორატიული თაღები, თაღებს ზემოთ კი მცენარეული ჩუქურთმებია. ბანელი ეპისკოპოსის ძალაუფლება ვრცელდებოდა ფანასკერტზე, ტაოზე, ოლთისზე და მათ მომიჯნავე ტერიტორიებზე.

ბანა ტაოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი იყო. ბანაში დამზადებული წიგნებიდან ჩვენამდე მოაღწია საბაწმინდის ტიბიკონმა, გადაწერილმა მეფის ასულ ქეთევანისათვის 1511 წელს.

ბანას დიდ ისტორიულ მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ აქ დაიწერა ჯვარი საქართველოს მეფე ბაგრატ IV-მ (1027-1072 წ.) ბიზანტიის იმპერატორის რომანოზ არგირის დისწულ – ელენეზე. ეს ჯვრისწერა ასახულია ოშკის სამხრეთ მკლავის ფრესკაზე, სადაც ბანას გამოსახულება დღემდე შემორჩენილია. აქვე, XV საუკუნეში დაკრძალეს საქართველოს მეფე ვახტანგი (1442-1446) და მისი მეუღლე სითი-ხათუნი.


XVI საუკუნიდან ტაოში თურქ-ოსმალნი დამკვიდრდნენ, ჭოროხის ხეობასა და მეზობელ ტერიტორიაზე ქრისტიანობის შენარჩუნება საკმაოდ გაძნელდა. ბანამ როგორც კულტურულ-პოლიტიკურმა ცენტრმა დაკარგა თავისი ძველი მნიშვნელობა. მის მიდამოებში ქრისტიანობის მდგომარეობას XVI-XVII საუკუნეებში ერთი ოთხთავის ხელნაწერებიდან შემონახული ცნობა ასახავს, საიდანაც ირკვევა რომ ტაოში ქრისტიანული ტაძრების მშენებლობა სასტიკად იყო აკრძალული და ამ საქმის ინიციატორები მკაცრად ისჯებოდნენ.

ბანა ტაოს დედაქალაქი იყო და მას, როგორც უდიდეს პოლიტიკურ ცენტრს, მტერი არასოდეს მოკლებია. „დიდი თურქობის“ დროიდან მოყოლებული ბანას ტაძარი მტრის ხელში აღმოჩნდა. გიორგი III (1156-1184) ცდილობდა მის განთავისუფლებას. მემატიანეს ცნობით, გიორგიმ „უბრძანა ტაოელთა, კლარჯთა და შავშთა მორბეველი ოლთისისა და ბანისა“. ბანაში ქართველთა ლაშქრის მოსვლას XII საუკუნის 60-იან წლებში ქონდა ადგილი, მაგრამ ამით ბანას განთავისუფლება ვერ მოხერხდა. ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანეს ცნობით ბანას განთავისუფლება მხოლოდ თამარის დროს მომხდარა.

ოსმალეთის იმპერიამ ყირიმის ომის (1853-1856 წ.) ბანას ტაძარი ციხე-სიმაგრედ გადააკეთა. 1877-78 წლებში, რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდში ტაძარი ძლიერ დაზიანდა (გუმბათი ჩამოიქცა), რასაც ნელ-ნელა მისი კედლების ნგრევა მოჰყვა. 1902 წლისთვის ტაძარი სრულიად დაინგრა [189]; [190].

ხანძთა

ხანძთის მონასტერი ისტორიულ კლარჯეთში, ართვინის ვილაიეთში, ართვინიდან 40 კმ-ში, სოფელ პორტაში მდებარეობს. იგი დააარსა სასულიერო მოღვაწემ გრიგოლ ხანძთელმა. VIII საუკუნის დასასრულს აქ ააგეს ხის ეკლესია. შემდგომ ხანაში ადგილობრივი ფეოდალის გაბრიელ დაფანჩულის მატერიალური დახმარებით დაიწყო ქვის ტაძრის მშენებლობა (ხუროთმოძღვარი – ამონა). კლარჯეთის ერისთავთ-ერისთავმა აშოტ კუხმა (896-918 წ.) მშენებლობას დიდი მატერიალური სახსრები გამოუყო. მშენებლობა დაასრულა მისმა ძმისწულმა და მემკვიდრე ერისთავთ-ერისთავმა გურგენ IV-მ (918-941 წლ). ხანძთა თავიდანვე მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა გახდა. მის ლიტერატურულ ტრადიციებზე აღიზარდნენ ქართლის კათალიკოსი არსენ I (არსენ დიდი, 860-887 წლ), ეფრემ მაწყვერელი (IX ს.), მაკარი ლეთეთელი. აქ მოღვაწეობდნენ მწერლები და კალიგრაფები გიორგი მერჩულე, მოსე ხანძთელი (XI ს.), სტეფანე (XII-XIII სს.) ხანძთის წინამძღვარი თევდორე და მისი ძმა იოანე, საბა იშხნელი, თევდორე ნეძველი და ქრისტეფორე კვირიკეწმინდელი, ეფრემ მაწყვერელი, არსენ საბაწმინდელი, ილარიონ იერუსალიმელი და სხვა. ოსმალეთის იმპერიის მიერ კლარჯეთის დაპყრობის შემდეგ (XVI ს.) ხანძთა დაიცალა და დავიწყებას მიეცა. მონასტერი მკვლევართათვის ხელახლა ცნობილი გახდა მხოლოდ 1889 წელს.



ხანძთის მონასტერი დაახლოებით 782 წელს დააარსა გრიგოლ ხანძთელმა იქ სადაც მარტოდმყოფი ბერი ხუედიოსი ცხოვრობდა. ეს ხისგან ნაგები ტაძარი იყო. ხანძთამ კლარჯეთის ისტორიაში განსაკუთრებული როლი შეასრულა. ის მთელი მხარის სამონასტრო კოლონიზაციის საყრდენი ბაზა იყო. გრიგოლთან ერთად ხანძთის მონასტრის პირველ ბერებს შორის იყვნენ საბა, შემდგომში (826 წლიდან) იშხნის ეპისკოპოსი, თეოდორე, რომელმაც დაახლოებით 840 წლისათვის ნეძვის მონასტერი დააარსა და ქრისტეფორე, კვირიკეწმინდის მონასტრის დამაარსებელი. ხანძთაში აღიზარდნენ და მოღვაწეობდნენ არსენ I კათალიკოსი (820-877) და ეპისკოპოსი ეფრემ მაწყვერელი (815-825). ხანძთაში მოღვაწეობდა ასევე მაკარი ლეთელი, რომელიც შემდეგ საბაწმინდაში დამკვიდრდა და მონაწილეობა მიიღო 864 წლის სინური მრავალთავის გადაწერაში. 951 წელს აქაური ბერის, გიორგი მერჩულეს მიერ დაიწერა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“. ცნობილია ასევე XI–XIII საუკუნეების მოღვაწეებიც ხანძთაში, მათ შორის მოსე ხუცესი და სტეფანე დიაკონი.

მონასტერი XVI საუკუნემდე განაგრძობდა სიცოცხლეს და შესაბამისად განახლებას. მთავარი ეკლესია – მთავარმოწამის გიორგის სახელზე აგებული გუმბათიანი ტაძარია, ძირითად ფორმებში ის დღემდე შემოინახა, თუმცა ძლიერ დაზიანებულია. მთავარი ეკლესია აგებულია სპეციალური სუბსტრუქციით შექმნილი ტერასის აღმოსავლეთ ნაწილში; მოჩანს შორიდანვე. მიუხედავად იმისა, რომ ძლიერაა დაზიანებული, ძირითად ფორმებში იგი დღემდეა შემონახული. საფასადო წყობის მნიშვნელოვანი ნაწილი განადგურებულია. ოთხივე მკლავის კამარა თავისივე საბჯენ თაღებთან ერთად, ასევე კონქის ზედა ნაწილი და ზოგ ადგილას კედლების ზედა ნაწილებიც ჩანგრეულია. გუმბათი ბოლო დრომდე იდგა; 2007 წლის დეკემბერში ჩამოინგრა მისი სფერო, ხოლო გუმბათის ყელი დღემდე დგას. დავით ხოშტარია 2005 წელს აღნიშნავდა, რომ გუმბათის ორი საყრდენი ბურჯი აშკარად შეგნებულად იყო მოშლილი შენობის დანგრევის მიზნით – ჩრდილოეთის ბურჯი მთლიანად იყო მონგრეული, ხოლო სამხრეთისა თითქმის მთლიანად. მიუხედავად ამისა, თითქმის ჰაერში გამოკიდებული გუმბათი 2010 წლამდე მაინც ინარჩუნებდა მდგრადობას, ვიდრე საბოლოოდ არ ჩამოინგრა.

დაახლოებით 782 წლისათვის, მონასტრის დაარსებისას აგებული ხანძთის პირველი ეკლესია, გიორგი მერჩულეს ცნობით „ძელისა“ ანუ ხისა იყო, ისევე როგორც საცხოვრებელი სენაკები და სატრაპეზო. 820-იან წლებში ხანძთის მონასტერში ქვის ეკლესია აიგო. მშენებლობის ქტიტორი აშოტ კურაპალატის (786-826) აზნაური გაბრიელ დაფანჩული იყო. სამაგიეროდ ხანძთა დაფანჩულთა საგვარეულო საძვალე უნდა გამხდარიყო, ხოლო დაფანჩულთა ოჯახის ხსენება ლოცვის დროს სამუდამო ვალდებულებად იქცა. ხანძთის მთავარი ეკლესიის, რიგით მესამე მშენებლობა 910-იან წლებში დაიწყო. მისი ქტიტორი იყო აშოტ კუხი. იგი გარდაიცვალა 918 წელს და ეკლესიის მშენებლობის დასრულება სიცოცხლეში ვერ მოასწრო. შენობა დაასრულა გურგენ ერისთავთ-ერისთავმა. მესამე (მთავარი) ეკლესია დღესაც დგას ხანძთაში. მთავარი ეკლესიის მშენებლობას ხშირად შეცდომით უკავშირებენ გრიგოლ ხანძთელს, სინამდვილეში კი გრიგოლი მონასტერში შედარებით ადრე მოღვაწეობდა [189]; [190]

იშხანი

იშხნის მონასტერი ისტორიულ ამიერ ტაოში, ოლთისის ვილაიეთში, ოლთისისწყლის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ იშხანში მდებარეობს. იშხანი ძველი საქართველოს ერთ-ერთი დიდი სამონასტრო და საეპისკოპოსო ცენტრი იყო. მისი ეპისკოპოსის სამწყსოში შედიოდა სპერი, თორთომი და ბაიბურთი ვიდრე ტრაპიზონამდე. თავდაპირველი ტაძარი (ბანის ტიპის წრიულ გარსშემოსავლელში მოქცეული ტეტრაკონქი) VII საუკუნის 40-იან წლებამდე იშხანში ეპისკოპოს-ქალკედონიკის ნერსეს (სომეხი,



ტაოში სომხები მრავლად ცხოვრობდნენ, რადგან რამდენიმე საუკუნის მანძილზე ტაო „ტაიქის“ სახელით ძველი სომხეთის სამეფოს შეამდგენლობაში შედიოდა) მიერ იყო აშენებული ტაძარი. 642 წელს ნერსე სასომხეთის კათალიკოსად იკურთხა, სახელით ნერსესი, სადაც ასეთივე ტიპის ტაძარი ააგო – ზვარტნოცი ვაღარშაფატში.

არაბების შემოსევის დროს დანგრეული და მიტოვებული ეკლესია IX საუკუნის I ათეულ წლებში გრიგოლ ხანძთელის დეიდაშვილმა და მოწაფემ საბა იშხნელმა განაახლა. საბამ ტაძარი ააგო ძველი ეკლესიის ნანგრევებზე, რომლიდანაც გადარჩენილი საკურთხევლის ნახევრადწრიული აბსიდი სვეტებზე დაყრდნობილი თაღების მწკრივით ნერსეს პატივსაცემად და სახსოვრად საბას მთლიანად მოუქცევია ახალ შენობაში. საბა გახდა იშხანის პირველი ქართველი ეპისკოპოსი, ამ ტაძრის ეპისკოპოსებს იშხნელებს ეძახდნენ. X საუკუნეში იგი კვლავ საფუძვლიანად აღადგინეს, მაგრამ საბოლოო სახე ტაძარმა 1032 წ. ბაგრატ IV-ის მეფობის დროს, ხუროთმოძღვარ ივანე მორჩაისძის ხელში მიიღო. საეპისკოპოსო კათედრამ იშხანში XVII საუკუნის მეორე ნახევრამდე იარსება.


ახლანდელი ტაძარი თვალსაჩინოდ წარგძელებული ჯვაროვან-გუმბათოვანი ნაგებობაა, რომლის ჯვარისებრი მოხაზულობა თითქმის მთლიანად იხატება გარედანაც მიწის დონეზე. დასავლეთის, სამხრეთის და ჩრდილოეთის მკლავები სწორკუთხაა. საკურთხევლის აფსიდას ორივე მხარეს მცირე აფსიდებით დასრულებული სადიაკვნე და სამკვეთლოა. დასავლეთის მკლავი წარმოადგენს სწორკუთხა დარბაზს, რომლის გრძივი კედლები პლასტიკურადაა დანაწევრებული კედლის სვეტებით. ჩრდილოეთით მას გრძელი, უაფსიდო სადგომი ეკვრის. გუმბათი ეყრდნობა 4 თავისუფლად მდგომ ბოძს, რომელთაც ძლიერ პროფილირებული და ჩუქურთმებით შემკული ბაზისები და სვეტისთავები აქვს. მრგვალი გუმბათის ყელი შიგნიდან და გარედან წერილი ლილვებითა და გრეხილებზე დაყრდნობილი თაღებითაა შემკული.

ტაძარში უამრავი წარწერებია, რომლებშიც მრავალი ქართველი მეფე-მთავარია მოხსენიებული. 2011 წ. ქართულმა ექსპედიციამ გამოავლინა მანამდე უცნობი ასომთავრული წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია ვინმე „თრდატის ძე“, შესაძლოა ტაძრის ერთ-ერთი ხუროთმოძღვარი.

XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან XVIII საუკუნის ბოლომდე აქ მეჩეთი ფუნქციონირებდა. ამ პერიოდიდან, მოხდა იშხნის დიდი ნაწილის დანგრევა. 1791 წელს იშხნიდან რამდენიმე კილომეტრში მდინარე თორთუმის ხეობაში კლდეზვავი ჩამოიშალა ძლიერი მიწისძრის შემდეგ, რის შედეგადაც წარმოიქმნა ტბა და ჩანჩქერი. ესეც ერთი ფაქტორი, რამაც ამ ტაძრის დაზიანება და რღვევა გამოიწვია. ჩვენამდე მოაღწია დანგრეული სახით, აღსანიშნავია, რომ მთელ ტაო-კლარჯეთში გამორჩეულია, მათ შორის სახურავით, მოჭიქული კრამიტით, ასეთი მასიური სახურავი აქვს ოშკსაც, დიდი ფრაგმენტი შემორჩენილია ხახულზეც. გუმბათი ყველაზე კარგადაა გამორჩეული, გუმბათის ყელში ფრესკებია შემორჩენილი. პირვანდელი სახით, მასიურად კარგად, მხოლოდ ამ ტაძარში იკითხება. საქართველოსა და თურქეთის მთავრობების შეთანხმების თანახმად, იშხნისა და ოშკის რესტავრაცია დაიწყო თურქული მხარის მიერ, თუმცა დარღვევებით მიმდინარეობს. საბოლოოდ იგი ტურისტული ობიექტი იქნება.

იშხნის ტაძარი ორნამენტის მრავალფეროვნებით, სიმდიდრითა და თავისი უმნიშვნელოვანესი ძეგლია. ტაძრის შიგნით ძველი, XI საუკუნის I ნახევრის, მხატვრობის ფრაგმენტებია. დიდი ეკლესიის გვერდით ჩუქურთმებით შემკული პატარა სამლოცველოა (1066). ჩვენამდე მოღწეული ზოგიერთი ნუსხის მინაწერი მოგვითხრობს იშხნელ მოღვაწეთა მწიგნობრულ საქმიანობაზე. ილარიონ იშხნელის (X–XI საუკუნეები) დაკვეთით არის გადაწერილი ასკეტურ თხზულებათა კრებული და მესტიის სახარება (1033 წ.) ამბერკი იშხნელის (XVI ს.) დავალებათა და დახმარებით განუახლებიათ 1233 წლით დათარიღებული ხელნაწერი [189]; [190].

ოშკი



ოშკი ისტორიულ იმერ ტაოში, ოლთისის ვილაიეთში, თორთუმისწყლის მარცხენა ნაპირზე (მდინარიდან 5 კმ-ის მოშორებით), მაღალი მთის ფერდობზე, სოფელ ოშკი, მდებარეობს. მთელი მონასტერი აშენებულია გეგმაში აყირავებული სამკუთხა ფორმის გრძელ ფერდობზე, რომელიც ხევებითაა შემოზღუდული. ოთხ დიდ კათედრალთაგან პირველი (სვეტიცხოველი, ბაგრატი, ალავერდი). ტაძარი ერთიანდება სამონასტრო კომპლექსში, შემორჩენილი სემინარია-სატრაპეზოთი და მცირე ეკლესიებით.

ტაძრის სამხრეთ კედლის წარწერიდან ჩანს, კომპლექსი 963-973 წლებში ააგეს ადარნასე III კურაპალატის (945-961) შვილებმა – ბაგრატ ერისთავთ-ერისთავმა (961966) და დავით მაგისტროსმა (იგივე დავით III დიდი კურაპალატი 966-1001). ტაძარი 1036 წელს მოხატულა ჯოჯიკ პატრიკოზის ხარჯით, თუმცა ფრესკების ძალიან მცირედია შემორჩენილი და ისიც შებღალული. მშენებლობას ხელმძღვანელობდა გრიგოლ ოშკელი, ხოლო ხუროთმოძღვარი – უცნობი ერისკაცი, რომელმაც საკუთარი რელიეფური გამოსახულება აღმოსაყლეთ ფასადის თაებანდის ქვეშ მოათავსა. რელიეფის ქვა დაზიანებულია, შემორჩა მხოლოდ ქვედა ნაწილი – მუხლებს ზევით. ტაძარი იშხნისგან განსხვავებით თავიდანვე თლილი ქვებით ააგეს.

თურქების მიერ ტაოკლარჯეთის მიტაცების შემდეგ ოშკი მკვლევართაგან პირველმა ვენეციელმა სომეხმა სწავლულმა ნ. სარგისიანმა მოინახულა 1843-1853 წლებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ექვთიმე თაყაიშვილის სამი უმნიშვნელოვანესი ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში (1917წ.), რომლის დროსაც მთლიანად იქნა აღწერილი და აზომილი ოშკის მონასტერი.

ოშკი ძველი ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო კერა იყო ტაოში. ჩვენამდე მოღწეულია ოშკის მონასტერში შექმნილი ხელნაწერები, მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ოშკის ბიბლია (978 წ.), რომელიც ამჟამად ათონის მთაზეა დაცული. ოშკში მოღვაწეობდნენ მწიგნობრები და მღვდელმთავრები: გრიგოლ ოშკელი (X ს.), სტეფანოზ დეკანოზი (X ს.), იოანე ჩირაი (X ს.), ოშკის ბიბლიის გადამწერი – მიქაელ ვარაზ ვაჩეს ძე, სტეფანე მწერალი, გიორგი გელასის ძე, გაბრიელ ოშკელი (XI ს.) და სხვა.

ოშკის იოანე ნათლისმცემლის საკათედრო ტაძარი აგებულია საგანგებოდ ამოყვანილ სუბსტრუქციაზე, რომელშიც სამარხებია მოწყობილი სავარაუდოდ საერო პირთათვის. იგი სამხრეთით, ტაძრის გარეთ დასავლეთის მკლავის გასწვრივ, გრძელდება ასევე მიწისქვეშა საძვალეში, ეს უკანასკნელი კი ალბათ საეკლესიო პირთათვის იყო განკუთვნილი.

ოშკის ტაძრის გეგმა იმეორებს იშხნის ტაძრის გეგმას, მაგრამ უფრო დიდი მასშტაბით და ამასთან უფრო გართულებულია. მისი სიგრძე აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ 38,5 მეტრია (დასავლეთ ეკედერის გამოკლებით); სიგანე შუა ნაწილში =36 მ, ხოლო სიმაღლე =40 მ. [169]. ოშკის გეგმა, მსგავსად იშხნისა, ჯვრისებრი მოხაზულობისაა. ოშკს – ჯვარგუმბათოვან ნაგებობას – სამი მთავარი შესასვლელი აქვს. ისინი განლაგებულია ღერძებზე – დასავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან. გარდა ამისა არის კიდევ ორი შესასვლელი. ერთი ჩრდილოეთის სათავსის დასავლეთითაა და აქვს მარტო ადგილობრივი მნიშვნელობა. მეორე შესასვლელი განლაგებულია სამხრეთის გალერეის ცენტრში.

ტაძარი ბოლოვდება მუზარადისებერი გუმბათით, სიმაღლით 6.86 მ. გუმბათის ყელის სიმაღლე 6.4 მეტრს უდრის, ხოლო რადიუსი 5.66 მეტრს (კედლების ჩათვლით). ქუდი ამჟამად მოტეხილი აქვს, ზედა ნაწილი კი დაზიანებული. გუმბათი გადახურულია წითლად და ყვითლად მოჭიქული კრამიტით, დანარჩენი ტაძრის სახურავიც კრამიტის იყო, მხოლოდ მოუჭიქავი.

როგორც ყველა დიდ მონასტერს ოშკსაც აქვს ორი მცირე ეკლესია. ერთი მათგანი მდებარეობს ფერდობზე, მთავარი ტაძრის სამხრეთ-დასავლეთით. იგი წარმოადგენს პატარა დარბაზულ ეკლესიას, სიგრძით 5.11 მ და სიგანით 3.43 მ. ეკლესია მოპირკეთებულია რუხი, თლილი ქვით. მისი ზეძირკველი

ორი საფეხურისგან შედგება. დასავლეთი კედელი სარკმლამდე ღორღით არის დაფარული. ერთადერთი კარი სამხრეთიდან აქვს, სარკმელი კი – სამი: აღმოსავლეთით, დასავლეთით და სამხრეთით. ნახევარწრიულ საკურთხეველში ორი უბეა. საკურთხევლის კამარა კრონშტეინებზეა დაბჯენილი. ნავის კამარა გოდრულია, სახურავი – ქვის. ეკლესიის კედლები შიგნით შელესილია, თუმცა მოუხატავია.

მეორე პატარა ეკლესიას ასეთივე გეგმა აქვს, ისიც ფერდობზე დგას, ტაძრის სამხრეთით. ჩრდილოეთით მას გვიანდელი ეკვდერი ადგას, ნახევარ ნავის სახით. ამჟამად ეკლესიას სამეურნეო დანიშნულებით იყენებენ. ინტერიერში ეკლესიის ზომებია: 6.11 მ X 3.1 მ, კედლის სისქე – 0.74 მ. ეს ბაზილიკა გაცილებით დაზიანებულია, პირველთან შედარებით. თლილი ქვის პერანგი შემოცლილი აქვს მთლიანად, სახურავი მოხდილი, თუმცა თაღები მთელია. აქაც, საკურთხეველში ერთი სარკმელი და ორი უბეა. დასავლეთის კედელი ჩამონგრეულია. საკურთხევლის სართავი კამარები დაკიდულია. ეკლესიას კარი სამხრეთით აქვს, ხოლო დასავლეთით ეკვდერში გასასვლელი.

ოშკის ტაძრის კედლები საკმაოდ იყო დაფარული ასომთავრული წარწერებით, თუმცა ბევრი მათგანი განადგურდა დროთა მანძილზე. ფრესკაზე წარწერები წითელი საღებავითაა გამოყვანილი. ქვაზე გამოჭრილი წარწერა კი მხოლოდ სამია. პირველი დიდი, 12-პწკარიანი წარწერა მოთავსებულია სამხრეთ, კარის ტიმპანზე. წარწერის ბოლო, მე-12 პწკარი თითქმის მთლიანად დაზიანებულია.

ტაძრის აგების დროს მეცნიერები ადგენენ წარწერაში მოხსენიებული პირების მიხედვით. ესენი არიან ადარნასე III კურაპალატი და მისი ორი შვილი, ბაგრატ ერისთავთერისთავი და დავით მაგისტროსი.

მეორე წარწერა აღმოსავლეთი აფსიდის სარკმლის თაღზეა, ქვაზე ზერელედ ამოჭრილი უსწორმასწორო ასოებით, რომელიც შემდეგნაირად იკითხება:

„ქრისტე, ძეო ღმრთისაო, ადიდენ მეფენი ჩუენნი, მონანი შენნი, ბაგრატ და დავით, ორსავე ცხოვრებასა, წმიდაო ნათლის მცემელო, მეოხ და მფარველ ეყავ აზნაურნი და მსახურნი, დაიცვენ მამაჲ მიქელ და მამაჲ იოვანე და გრიგოლ ყოლისა ბოროტისაგან“.

მესამე წარწერა ასევე ზედაპირულია, მოთავსებულია მარჯვენა აფსიდის ლაევარდანზე და შემდეგნაირად იკითხება:

„ქ. მეფესა ჩუენსა ბაგრატ ერისთავთა ერისთავსა“.

სამწუხაროდ ოშკის ტაძარს ერთხანს იყენებდნენ ნაწილს მეჩეთად, ნაწილსაც ბოსლად, ფარეხად და თივის საწყობად, შიგნიდან შესაბამისი გადატიხვრით. 2013 წლიდან თურქეთის მხარემ დაიწყო მისი აღდგენის პროცესი, რომელიც დარღვევებით მიმდინარეობს [189]; [190].

შატბერდი



შატბერდის მონასტერი მდებარეობს ისტორიულ კლარჯეთში, ართვინის ვილაიეთში, არტანუჯის სამხრეთით 18 კმ-ზე, მაღალმთიან სოფელ ოქუმუშლართან (ძველი ბოსელთა). „დიდებულ ლავრად“ წოდებული ტაძარი აშენდა უშუალოდ გრიგოლ ხანძთელის მიერ. შატბერდის მონასტერი კლარჯეთის მთავრის ბაგრატ I კურაპალატის (830-876) შემწეობით აიგო 836 წელს. იგი საქართველოს სინად წოდებულ კლარჯეთის „თორმეტ უდაბნოთა შორის“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია.

შატბერდის ტაძარი ბერთას ხეობაშია. როცა აშოტ კურაპალატმა გრიგოლ ხანძთელისგან ხანძთის ქება მოისმინა „შეწირა ადგილნი კეთილნი და შატბერდისა ადგილი აგარაკად ხანძთისა. და რაჟამს მივიდა ნეტარი მამაი გრიგოლ შატბერდს, მაშინ ცრემლითა მისითა მდინარითა ირწყვებოდა ადგილი იგი“, – მოგვითხრობს გიორგი მერჩულე.

გრიგოლს თავდაპირველად მცირე ეკლესია და სენაკები აუშენებია. ბაგრატის ძეებს და ერისთავებს ბევრი რამ შეუწირავთ. შატბერდი საგანმანათლებლო კერად იქცა. აქ გადაიწერა სახარება და შატბერდის კრებული, რომელიც იმ დროს სასწავლო წიგნად ითვლებოდა, რადგან შეიცავდა საღვთისმეტყველო, საბუნებისმეტყველო, ფილოსოფიურ თხზულებებს.

აშოტის შემდეგ, კურაპალოტობა მისმა ძემ – ბაგრატმა მიიღო. გრიგოლს მისთვის უთხოვია შატბერდში – ხანძთისთვის შეწირულ აგარაკზე მონასტრის აშენება. ის დათანხმდა და „მისცა ყოველივე სახმარი საშენებლად“, ე.ი. შატბერდის ღვთისმშობლის მონასტერი პირველად ბაგრატ პირველის მეფობის დროს, 836 წელს აშენდა.

აქ შუა საუკუნეებში მოღვაწეობდნენ სოფრონ შატბერდელი, იოანე ბერაი, დავით ჯიბისძე, გრიგოლ ვაჩეძორელი, სტეფანე შატბერდელი იოანე ზოსიმე, მიქაელ მოდრეკილი, გიორგი მთაწმინდელი; აქ დაიწერა „შატბერდის კრებული“, გადაიწერა ადიშის (897 წ.), ჯრუჭის (936 წ. გაბრიელ შატბერდელი), პარხლის (973 წ. იოანე ბერაი) ოთხთავები; მიქაელ მოდრეკილის იადგარი (978-988 წწ.) და ბევრი ფასდაუდებელი ხელნაწერი რომლებსაც მრავალი სამეცნიერო პუბლიკაცია მიეძღვნა. შემონახულთაგან უძველესია ისტორიული თხზულება „მოქცევაი ქართლისაი“ IX ს. აკად. ნიკო მარის სიტყვით შატბერდმა ნიადაგი მოამზადა საქართველოს დასავლეთთან, ბიზანტიასთან დასაახლოებლად და ამავე დროს ინარჩუნებდა და აღორძინებდა ძველ კავშირებს ქართული აზრისას სომხურთან და საერთოდ აღმოსავლურთან.

XI საუკუნიდან საქართველოს სამხრეთ დასავლეთ მხარეებში – ტაო-კლარჯეთსა და კოლა-არტაანში ჟამთა სიავის გამო რელიგიურ-კულტურული ცხოვრება კნინდება. XVI საუკუნიდან კი ეს მხარეები ოსმალეთის შემადგენლობაში მოექცა და აქაურ მონასტრებში ცხოვრებაც ჩაკვდა. XIX საუკუნეში ქართული და სომხური ისტორიული პროვინციები რუსეთის იმპერიამ შეიერთა და ამდროიდან ქაიწყო 300 წლის მანძილზე მივიწყებული ქართული მონასტრების ხელახლა აღმოჩენა და შესწავლა.

დღეს შატბერდის ტაძარი პრაქტიკულად განადგურებულია და მისი ნაფლეთებიღაა შემორჩენილი [189]; [190].

ხახული



ხახულის მონასტერი ისტორიულ სამხრეთ საქართველოში, იმიერ-ტაოში, ოლთისის ვილაიეთში, მდინარე თორთუმისწყლის შენაკად ხახულისწყლის მარცხენა ნაპირზე, სოფელ ხახულში მდებარეობს. ტაძარში ამჟამად მოქმედებს ჯამე.

„ქართლის ცხოვრების“ ცნობით მონასტერი დააარსა დავით III კურაპალატმა X საუკუნის II ნახევარში. თანდათან ხახულის მონიჯნავე მიწებზე ჩამოყალიბდა ხახულის თემი – ეკონომიკურად დაწინაურებული რეგიონი (უფრო გვიანდელი ხანის ოსმალურ დოკუმენტებში ხახულის თემი „ხახოს ხეობად“, ზოგჯერ კი „იშხანის“ სახელით იხსენიება. აქ 100-მდე სოფელი და 30-მდე დამოუკიდებელი წვრილი აზნაური ითვლებოდა). ხახულში შეიქმნა მძლავრი ლიტერატურული კერა. აქ მოღვაწეობდნენ მწიგნობრები და კალიგრაფები: იოანე ხახულელი (X-XI სს.), დავით თბილელი (XI ს.) და სხვა. ყრმობის ჟამს ხახულში მიიღო სწავლა-განათლება გიორგი მთაწმინდელმა ხახულის მონასტრის მდიდარი ბიბლიოთეკიდან ჩვენამდე მხოლოდ უმცირესმა ნაწილმა მოაღწია. XVI საუკუნეში ხახული ქართლის კათოლიკოსის საგამგებლოში შედიოდა. XVI საუკუნეშივე ოსმალეთის მიერ სამხრეთ საქართველოს ტერიტორიების დაპყრობის შემდეგ, ხახული მოსწყდა ქართულ სახელმწიფოებრივ და კულტურულ ცხოვრებას. მოგვიანებით აქაურმა მუსლიმანმა ქართველებმა ტაძარი ჯამედ გადააკეთეს და კარგადაც უვლიდნენ, რის გამოც ტაძარი დღეს კარგ მდგომარეობაშია.

ხახულის მონასტრის ღვთისმშობლის სახელობის დიდი გუმბათოვანი ეკლესია, გეგმით ჯვრისებრი, წაგრძელებული ნაგებობაა, გუმბათი აფსიდის კუთხეებსა და 2 თავისუფლად მდგომ ბოძს ეყრდნობა. დასავლეთის მკლავი ბოძების ორი წყვილით სიგრძეზე სამ „ნავად“ იყოფა. აღმოსავლეთის მკლავი დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რომლის ორივე მხარეს ასევე მცირე აფსიდებით დაბოლოებული თითო სათავსოა. ტაძარი მდიდრულადაა მორთული ჩუქურთმებით. გუმბათის ყელი შემკულია გრეხილი შეწყვილებული ლილვებით და მათზე დაყრდნობილი თაღებით, სარკმელთა სათაურებიც მოჩუქურთმებულია. განსაკუთრებით გამორჩევა სამხრეთ შეწყვილებული სარკმლის კომპოზიცია. სარკმლის თავზე ორი ფერის ქვით გამოყვანილი რადიალურად გაშლილი სხივებია, ხოლო მათ ფონზე შეწყვილებული სარკმლის თაღებსშუა ჩასმულია არწივის ჰორელიეფური გამოსახულება. მთელი კომპოზიცია დაგვირგვინებულია ფართოდ გაშლილი დეკორატიული თაღით, რომლის ზედაპირი დაფარულია ჩუქურთმით. ტაძარი უხვად არის შემკული ჩუქურთმებით (დასავლეთი მკლავის წნულიანი სვეტისთავები და სხვა). შემორჩენილია ფერწერის ფრაგმენტები. ხახულის მონასტრის საგანძურში იყო ქართული ოქრომჭედლობის ღირსშესანიშნავი ნაწარმოები – XII საუკუნის ღვთისმშობლის კარედი ხატი, რომელიც შემდეგში ხახულის ხატის სახელით გახდა ცნობილი (დაცულია საქართველოს მუზეუმში). ტაძრის ირგვლივ, გალავნის შიგნით, რამდენიმე მცირე სამლოცველოა, რომელთაგან ერთი X საუკუნის დასასრულს განეკუთვნება [189]; [190].

ტბეთი



ტბეთის მონასტრის საერისთავო ეკლესია. ფოტო აფეთქებამდე

ტბეთის ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი სამხრეთ საქართველოში მდინარე იმერხევის მარჯვენა ნაპირზე, დღევანდელი ქალაქ შავშათიდან 15 კმ-ში, სოფელ ტბეთის (თურქული სახელწოდება ჯევიზლი, ნიშნავს „კაკლიანს“) შუაგულში მდებარეობს. მონასტრის მთავარი ტაძარი წარმოადგენდა შავშეთის საერისთავოს მთავარ ჯვარგუმბათოვან ეკლესიას. პირველი ტაძარი აქ 914 წელს ერისთავთ-ერისთავ აშოტ კუხის მიერ აიგო. მანვე დანიშნა ტბეთის პირველი ეპისკოპოსი სტეფანე მტბევარი. XI საუკუნეში ეპისკოპოსმა საბა მტბევარმა ააგო ციხესიმაგრე და დაიცვა მხარე ბიზანტიის აგრესიისაგან.

მას შემდეგ სამეფო ხელისუფლებამ მტბევარ ეპისკოპოსს საერო ხელისუფლებაც – შავშეთის ერისთავობაც უბოძა. ისტორიულ წყაროებში ნახსენები აშოტ კუხის მიერ აგებული პირველი ტაძარი ან მისი მშენებლობის რაიმე კვალი დღეს აღმოჩენილი არაა. უძველესი ტაძრის ფენა, რომელიც ტბეთის ტაძრის ნანგრევებშია გამოვლენილი, X საუკუნის II ნახევრით დათარიღებულ რვამკლავიან ტაძარს ეკუთვნის. ვარაუდობენ, რომ აშოტ კუხის ტაძარი მალევე დაინგრა და მის ნაცვლად აიგო ახალი, რვამკლავიანი ეკლესია, ან შესაძლოა ძველი ტაძრის ნაწილობრივი რეკონსტრუქციაც მომხდარიყო. მალევე, X საუკუნის ბოლოს ტბეთში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სამშენებლო სამუშაოები ჩატარდა – რვამკლავიანი ტაძრის ადგილას მესამე, ახალი, გუმბათიანი ეკლესია აღიმართა. დღეს უცნობია, ამ მშენებლობას წინ ძველი ტაძრის ნგრევა ან დაზიანება უსწრებდა თუ ახალი ტაძრის აგებისას ძველის გადაკეთება მოხდა სივრცის გაფართოების მიზნით. მიუხედავად მნიშვნელოვანი დაზიანებებისა და შემდგომი არაერთი გადაკეთებისა, ძირითადი ფორმებით იგი დღემდეა შემონახული. ტბეთის მონასტრის მთავარი ტაძრის მომდევნო რეკონსტრუქცია (ე. წ. მეოთხე მშენებლობა), რომელიც მიზნად ტაძრის მოცულობის გაზრდასა და ფასადების უფრო მდიდრულად მორთვას ისახავდა, XI საუკუნის II ნახევარში განხორციელდა. ტბეთის ტაძარში მორიგი სამშენებლო სამუშაოები, რომლის დროსაც აღადგინეს გუმბათი, XIV საუკუნეში განხორციელდა. აღდგა გუმბათის ყელი, საკუთრივ გუმბათი და მისი სახურავი გარედან, ხოლო X-XI საუკუნეების გუმბათქვეშა კონსტრუქცია და ყელისძირა სარტყელი უცვლელი დარჩა. ტბეთის გუმბათი დღეს აღარ არსებობს.

ტბეთის მონასტერი შუა საუკუნეების საქართველოს მნიშვნელოვან კულტურულ, სამწერლობო კერას წარმოადგენდა. შეიქმნა არაერთი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები აქ მოღვაწე ბერების მიერ. ტბეთის

მონასტერი რამდენიმე სამონასტრო ნაგებობას მოიცავდა, რომელთაგან დღეისათვის მხოლოდ მთავარი ტაძრის ნანგრევებია შემორჩენილი. ტბეთის მთავარ ტაძარში გამოიყოფა რამდენიმე ქრონოლოგიური ფენა მშენებლობისა. მონასტერი XVII საუკუნის II ნახევრამდე მოქმედებდა, შემდეგ ადგილობრივმა მოსახლეობამ ტაძარში მუსულმანური სალოცავი ჯამე გახსნა, რომელიც 1880-იან წლებამდე მოქმედებდა. თურქებმა შენობა ფაქტობრივად უცვლელი დატოვეს, თუმცა ფრესკები და მოხატულობა დაზიანდა; 1860-იან წლებში ტაძარში მოაგროვეს თივა და ცეცხლი დაანთეს, რათა ისინი ქრისტიანულ გამოსახულებებს არ ეცდუნებინათ. 1889 წელს სოფლელებმა ახალი ჯამე ააგეს, რომლის ფასადებიც თითქმის მთლიანად ტბეთის ტაძრიდან ჩამოცვენილი ქვებითაა ამოყვანილი. XX საუკუნის პირველ ნახევარში ჯამემ ფუნქციონირება შეწყვიტა. 1961 წელს მონასტრის კარგად შემორჩენილი მთავარი ტაძარი ადგილობრივმა მოსახლეობამ ააფეთქა [189]; [190].

პარხალი



ტბეთი ძველ საეპისკოპოსო ცენტრს წარმოადგენდა. ტბეთის ეპარქიაში შედიოდა შავშეთი და აჭარის ნაწილი. ტაძარი ისტორიული წყაროების ცნობით ერისთავთ-ერისთავმა აშოტ კუხმა (908-918; გურგენ I კურაპალატის ძე) ააგო. აქ გაშლილი იყო მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. აქ შეიქმნა სტეფანე მტბევარის ჰაგიოგრაფიული თხზულება „წამება წმიდისა მოწამისა გობრონისი“ (914-918 წლ), იოანე მტბევარის ჰიმნოგრაფიული ნაწარმოებები (X საუკ). აქ მოღვაწეობდნენ მწიგნობრები დავით ტბელი, არქიპოსი, აკვილა მტბევარი, იოანე ფუკარალის ძე (ორივე XI საუკუნეში), აბუსერიძე ტბელი და სხვა. მონასტერს ჰქონდა თავისი სკრიპტორიუმი. ასევე მონასტერში იყო წიგნთსაცავიც; XII საუკუნის ერთი ოთხთავის ანდერძის მიხედვით, „საყდარსა ტბეთისასა აქუნდა ბუელი წიგნნი მრავალნი“. ტბეთის ხელნაწერებიდან უმნიშვნელოვანესია ტბეთის სახარება (995 წ. დღეს იგი სანქ-პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაში ინახება.) და „ტბეთის სულთა მატიანე“ (XII–XVII სს.), რომლის ტექსტი შავშეთისა და აჭარის ისტორიული გეოგრაფიისა და საგვარეულოთა შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს. XII საუკუნის ერთ-ერთი ოთხთავის ანდერძი იძლევა ცნობას, რომ ტბეთში მრავალი ძველი წიგნი ინახებოდა.

პარხალის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს ისტორიულ პარხალში, ართვინის ვილაიეთში, დაბა ოუსუფელის ჩრდილო–დასავლეთისთ 27 კმ-ზე მდებარე სოფელ პარხალთან, მდ. ჭოროხის მარცხენა შენაკადის პარხლისწყლის ხეობაში, ლაზისტანის ანუ პონტოს მთების აღმოსავლეთ კალთაზე. ამჟამად ტაძარში მოქმედებს მეჩეთი.

პარხალის ეკლესია ააგო დავით III კურაპალატმა (დაახლ. 973 წელს). ამ პერიოდში შატბერდის მონასტერში მოღვაწე იოანე ბერაიმ გადაწერა და პარხალს შესწირა სახარება, რომელიც ლიტერატურაში პარხლის ოთხთავის სახელითაა ცნობილი. პარხლის მოღვაწეთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია გაბრიელ პატარაი (X-XI სს.), პარხლის ოთხთავისა და პარხლის მრავალთავის გადამწერი. პარხალში გადაიწერა „შუშანიკის წამება“-ს, უძველესი ნუსხა (X სს).

პარხალის ეკლესიის გეგმის გარე კონტურის აბრისი ოთხკუთხედია (28,4X18,3 მ.). მოგვიანებით ტაძრის თავდაპირველ გეგმას მიუერთეს სამხრეთის პორტიკი და დასავლეთის ეკვდერი. მათ შეცვალეს ტაძრის გარე ხედი, მაგრამ ეს რადიკალურად არ მომხდარა. პარხლის მონასტრის ეკლესია გეგმითა და პროპორციებით უახლოვდება ოთხთა ეკლესიას და მასთან ერთად გვიანდელი ქართული ბაზილიკების მნიშვნელოვან ნიმუშს წარმოადგენს.

ტაძარი წარმოადგენს სამნავიან ბაზილიკას, რომლის სიგრძე ერთნახევარჯერ აღემატება სიგანეს. შესასვლელები აქვს დასავლეთიდან, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან, მათი ზომები თითქმის ერთნაირია. ბაზილიკის შუა ნავი მაღალი და მკვეთრად გამოყოფილია. ფასადთა ჩუქურთმები აქ უკვე

გარკვეულ როლს თამაშობს. ძეგლს ამკობს სარკმელთა სათაურები, გრეხილით მორთული ჯვრები, ცხოველთა რელიეფური გამოსახულებანი. პარხლის ეკლესიის განსაკუთრებული თავისებურებაა შუა ნავის სიგრძივი კედელი, რომელიც დანაწევრებულია დეკორატიული თაღებითა და შეწყვილებული ლილვებით, დამატებით შემკულია საღებავით შესრულებული გამოსახულებებით – მარაოსებრი სათაურებით სარკმლის ზემოთ, ჯვრებით, დისკოებითა და სხვა. ამავე კედელზეა უამრავი წარწერა, რომელშიც მოხსენიებულნი არიან ის პირნი, ვინც იღვაწა ძეგლის შესამკობად. ოსმალთა მიერ (XVI ს.) დაპყრობის შემდეგ ბაზილიკა მეჩეთად გადააკეთეს [189]; [190].

ბერთა



ბერთის მონასტერი მდებარეობს ისტორიულ კლარჯეთში, ართვინის ვილაიეთში. მონასტერი დაარსდა VIII-IX საუკუნეებში, გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის დროს. აქ შემორჩენილი მონუმენტური ნაგებობის ნაშთი სავარაუდოს ხდის, რომ ბერთაში სასწავლებელი არსებობდა. ცნობილია ბერთის ორი ოთხთავი. ერთი (X ს.) დაცულია აშშ-ში, ქ. ნიუტონში, მეორე (XII ს.), რომელიც ბეშქენ ოპიზარს ოქროჭედურ ყდაში ჩაუსვამს, – თბილისში. ბერთაში მოღვაწეობდა ცნობილი ქართველი მწიგნობარი ზეკეპე ბერთელი (X ს.). კლარჯეთის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა ბერთის მონასტერი გაძარცვეს და მეჩეთად გადააკეთეს.

ბერთაში გადაწერილი ხელნაწერი წიგნებიდან ჩვენამდე მოაღწია ბერთის I-მა სახარებამ, რომელიც გადაწერილია 988 წლამდე, არტანუჯის ერისთავთ-ერისთავ სუმბატ II-ის დროს, გაბრიელისა და მისი თანამეცხედრის მიერ: მე, გლახაკი გაბრიელ და მეუღლე ჩემი ღირს ვიქმენით დაწერად წმიდისა ამის სახარებისა ლავრასა შინა დიდსა ბერთას, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობლისასა, სალოცველად მეუფეთა ჩუენთა სუმბატ ერისთავთა ერისთავისათჳს და შვილთა მათთჳს დაჳითისათჳს და ბაგრატისათჳს. გარდა ამისა, ბერთის საკუთრებას წარმოადგენდა ბერთის II სახარება, რომელიც გადაწერილია XII საუკუნეში, დაუდგენელ ადგილას, დაუდგენელი პირის მიერ. XIV-XVI საუკუნეებში ხელნაწერი ბერთაში ინახებოდა. ამაზე მიუთითებს სახარების ფურცლებზე შესრულებული აღნიშნული პერიოდის მინაწერი საბუთები, რომლებიც ბერთის მონასტრისათვის ან ბერთის მონასტრის მიერაა გაცემული.



ენირაბათი (ახალდაბა)

ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი ენირაბათი მდებარეობს თურქეთში, ისტორიული კლარჯეთის ტერიტორიაზე, ართვინის ვილაიეთში, არტანუჯის რაიონში, მდინარე არტანუჯისწყლის ხეობაში, სოფელ ახალდაბის (Bulanik) ჩრდილო-დასავლეთით.

ეკლესია მდებარეობს არტანუჯის სამხრეთით 18 კილომეტრით შორს, მდინარე არტანუჯისწყლის მარჯვენა ნაპირას, სწორი ბაქნის სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს, ციცაბო ერთკილომეტრიანი ბილიკის ბოლოს. სოფელი ახალდაბა (Bulanik) მდებარეობს მდინარე არტანუჯისწყლის მარჯვენა ფერდობზე. ეკლესია დგას სოფლის ცენტრიდან ორიოდე კილომეტრით დაცილებული განაპირა ჩრდილო-დასავლეთ უბანში, რომელსაც ჩამლიქი ეწოდება. თურქული სიტყვა ენირაბათი ქართულად ახალ რაბათს ნიშნავს. XIX საუკუნეში ჩამოსახლებული სომხები

ამ ადგილს ნორაშენს უწოდებდნენ რაც ქართულად ახალ ადგილს შეესაბამება და თ. ჟორდანიას მოსაზრებით ისტორიულ წყაროებში მიკვლეულ ტოპონიმ ახალდაბას შეესატყვისება. ეს დასახლება არტანუჯის მიდამოებში ყოფილა: სინოდ. კანტორის გუჯრებში იპოვება სიგელი 349, რომელიც XV ს-ის პირია ძველი გუჯარისა 1392 წელს დაწერილი ალექსანდრე მეფის სახელით [იმერთა მეფე ალექსანდრე]. ესაა მცხეთის საეკლესიო მამულების სია, სადაც წერია: „...არტანუჯის ციხე და მისი შესავალი; იქვე სოფელი ციხისძირი; ახალდაბა; ბოცო-ჯვარი და აგარა“. ვარაუდობენ, რომ ეს ახალდაბაა ენირაბათი და იქ მდებარე ეკლესიაც ახალდაბის ეკლესიაა. პირველ მსოფლიო ომამდე ენირაბათში გრიგორიანელი სომხები ცხოვრობდნენ და ეკლესიაც მათ ეკავათ. ისინი უვლიდნენ შენობას და ნაწილობრივ აღადგინეს კიდეც – როგორც ნ. მარი გვამცნობს, მის მოგზაურობამდე 40-ოდე წლით ადრე, 1860 წლებში. შეკეთებამ, რომელიც ყველაზე მეტად დასავლეთის მკლავს შეეხო, დაამახინჯა შენობა, მაგრამ იხსნა სწრაფი ნგრევისგან. ამჟამად ის, სხვა ეკლესიებთან შედარებით, უკეთეს მდგომარეობაშია, მაგრამ დაზიანებას ვერ გადაურჩა.

ეკლესია ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა. ტაძარი საკმაოდ კარგადაა შემორჩენილი, თუმცა არ აქვს არც ერთი წარწერა. ამასთან ტაძარი არ ჰგავს რეგიონის არცერთ ქართულ ტაძარს, თუმცა მაინც გამორცხულია, რომ ქართული არ იყოს.

დღეისათვის სამონასტრო კომპლექსისგან შემორჩენილია მხოლოდ მთავარი ეკლესიის ნანგრევები (სიგრძე 28 მ.), სატრაპეზოს და სენაკების ნაშთები, თუმცა მონასტრის მასშტაბურობა მაინც აღიქმება.

მოსაპირკეთებელი ქვების დიდი ნაწილი ჩამოცვენილია. ჩუქურთმები – დაზიანებული. გუმბათიდან წვიმა ჩამოდის, საკურთხევლის ქვედა ნაწილი მორღვეულია და საქონლის სტუმრობისგან მას მხოლოდ ხის ტოტები იცავს. ყველასგან მიტოვებული ტაძარი ნაკელით არის სავსე.

ეკლესიას არ გააჩნია წარწერები, რომლებიც რაიმეს გვამცნობდა მისი აგების ან მომდევნო ხანის ისტორიის შესახებ. სტილისტური ნიშნებით იგი X საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება.

ენირაბათის ეკლესიის კედლები გარედან მოპირკეთებულია თბილი მოყვითალო ქვიშაქვის საშუალო ზომის სუფთად თლილი ფილებით. გარე პერანგი ყველგან თავდაპირველი არ არის – დასავლეთის მკლავზე ის აღდგენილია 1869-იანი წლების შეკეთების დროს. აღდგენისას აქ ძველ, ჩამოცვენილ ქვებთან ერთად ახლებიც იხმარეს. ახალი ქვები უფრო პატარა ზომის, უარესად დამუშავებული, ღია მოთეთრო ფერისაა. შიგნით კარგად თლილი კვადრებით გამოყვანილია კონსტრუქციული ელემენტები – კონქი, კამარები, გუმბათქვეშა კონსტრუქცია, თაღები, პილასტრები, აფსიდის მხრები, ღიობთა წირთხლები. დანარჩენი ნაწილები მოპირკეთებულია უხეშად და, როგორც ჩანს, თავიდანვე განკუთვნილი იყო შესალესად. ბათქაშის მოზრდილი ფრაგმენტები ალაგ-ალაგ ახლაც შერჩა კედლებს. იყო მოხატულობაც, მაგრამ მისგან თითქმის არაფერი არ არის შემორჩენილი.

კიდევ ერთი თავისებური ღიობი არის დასავლეთის მკლავის დასავლეთ კედელში, სარკმლის სამხრეთით. ეს არის 150 სმ. სიმაღლის კარი, გარეთ მართკუთხა, შიგნით თაღოვანი, დასავლეთის ფასადზე მას ჰქონდა დიდი მართკუთხა არქიტრავი, რომელიც დღეს აღარ არსებობს, მაგრამ ბუდის მიხედვით იკითხება მისი მოხაზულობა. ზღურბლი ეკლესიის იატაკიდან დაახლოებით 4,8 მ-ის სიმაღლეზე მოდის. ამ კარის დანიშნულებას ხსნის დასავლეთის მკლავის მოწყობის თავისებურება. მის კედლებში კარის ზღურბლის დონეზე 150 სმ-ოდე ქვემოთ ჩადგმულია 32-35 სმ სიგანისა და 20-25 სმ სიმაღლის ოთხი კრონშტეინი. სავარაუდოდ ამ კრონშტეინებზე დაფუძნებული იყო ხის კოჭოვანი კონსტრუქცია, რომელიც პატრონიკეს ფუნქციას ასრულებდა. მაღლა, როგორც ჩანს ადიოდნენ გარედან, მიდგმული ხისავე კიბით და ზემოთ ნახსენები კარიდან ხვდებოდნენ პატრონიკეში.

ტაძარი მიეკუთვნება ნახევარდათავისუფალი ჯვრის ტიპს. აღმოსავლეთ მკლავი არის აფსიდალური, დანარჩენი მკლავები – ოთხკუთხა. საკურთხეველს აფსიდის გარდა, მცირე ბემა აქვს. აფსიდის ცენტრში დიდი სარკმელია. საკურთხევლის გვერდით განლაგებულია სადიაკვნე და სამკვეთლო. ამ სათავსებს ერთი ზომა აქვთ, მათი კვადრატული ნაწილები გადახურულია კამარებით, მათი აფსიდები კი კონქებით. ყოველი მათგანი ნათდება მცირე სარკმელებით აღმოსავლეთიდან სადიაკვნე და სამკვეთლო ჯვრის გვერდითა მკლავებს უერთებიან გაჭრილი კარებით. ჯვრის მკლავები გადახურულია ისრული კამარებით. გვერდითა მკლავები მოკლეა, დასავლეთის მკლავის სიგრძე თითქმის სამჯერ აღემატება დანარჩენი მკლავების სიგრძეს. მას ორი შესასვლელი აქვს: ერთი დასავლეთის მკლავის დასავლეთ კედლის ცენტრში, მეორე ამავე მკლავის სამხრეთ კედელში, ორივე შესასვლელი ამჟამად ფორმადაკარგულია. ინტერიერი კარგად ნათდება. თითო სარკმელი არის საკურთხევლის აფსიდში, ჩრდილოეთისა და დასავლეთის მკლავებში, ორი გვერდი-გვერდ, თხელი სახსრით გაყოფილი – სამხრეთის მკლავში,

ოთხი – გუმბათის ყელში. ყველა სარკმელი ფართოა და მაღალი. პასტოფორიუმებს აფსიდებში გაჭრილი თითო უფრო მომცრო სარკმელი ანათებს.

გუმბათის ყელი თორმეტწახნაგაა, მაგრამ პილასტრების გამო კუთხეები არ აღიქმება და გუმბათის ყელი მრგვალი ჩანს. თორმეტიდან რვა არე ყრუ კედელს წარმოადგენს, ოთხში – ქვეყნის მხარეების მიხედვით – ოთხი მაღალი სარკმელია.

ეკლესიის ფასადები თლილი ქვის პერანგის და განვითარებული დეკორის გამო მდიდრულად გამოიყურება. სამხრეთ ფასადს განსაკუთრებით მდიდრული იერი აქვს. ამ შთაბეჭდილებას სარკმლების დეკორი განსაზღვრავს.

გუმბათის ნახევარსფეროს გარედან ფარავს დაბალი ნახევარკონუსური სახურავი. ეკლესიის სუბსტრუქციაში, დაახლოებით მისი დასავლეთის მკლავის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან, მოწყობილია სათავსი შესასვლელით დასავლეთის მხრიდან. სავარაუდოდ ის მონასტრის საძვალეს წარმოადგენდა.

ენირაბათის ტაძარი თურქეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის დაყოფით აზალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქიის დაქვემდებარებაშია [189].

ოპიზა



ოპიზა – VIII საუკუნის ქართული მონასტერი, ისტორიულ შავშეთში, ართვინის ვილაიეთში, შავშეთ-იმერხევისწყლის (ბერთა) ხეობაში, სოფელ ბაგჩილარში მდებარეობს. ოპიზა უძველესი მონასტერთაგანია. იგი ერთ-ერთი პირველი აღადგინეს არაბთა შემოსევის შემდეგ, ჯერ კიდევ VIII საუკუნეში. ოპიზა მნიშვნელოვანი მწიგნობრული კერა იყო. აქ შეიქმნა მრავალი ხელნაწერი, მათ შორის 913 წლის ცნობილი სახარება და 1093 წლის პარაკლიტონი. ოპიზაში სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ და შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდნენ გამოჩენილი ქართველი საეკლესიო მოღვაწენი და მწიგნობრები: გრიგოლ ხანძთელი, მიქელ პარეხელი, სერაპიონ ზარზმელი, გიორგი მაწყვერელი (IX–X სს.), ათანასე ოპიზელი (XI ს.), იოანე ოპიზელი (XIII ს.), ილარიონ ოპიზარი (XIII ს.); ოქრომჭედლები ბეშქენ და ბექა ოპიზრები (XII საუკუნის II ნახ) და სხვანი.

ოპიზის იოანე ნთლისმცემლის მონასტერი თავდაპირველად ვახტანგ გორგასალმა ააშენა V ს-ში. 737 წელს იგი მურვან ყრუმ დააქცია შავშეთ-კლარჯეთის დალაშქრისას. 750-760-იან წლებში მონასტერი აღადგინეს. მას სათავეში გრიგოლ ხანცთელის მოწაფე გიორგი ამბა ჩაუდგა. დაახლ. 813-826 წლებში ოპიზის დიდი ეკლესია ააგო აშოტ I კურაპალატმა, რაზეც სამხრეთ ფასადზე არსებული ფრესკა მოგვითხრობს. ცოტა ხანში აშოტის შვილმა გუარამ მამფალმა (გარდ. 882 წ.) უფრო დიდი ეკლესია ააგო და მამულებიც შესწირა, რა დამსახურებისთვისაც ოპიზაში იქნა დაკრძალული. სწორედ გუარამ მამფალის ეკლესიის ნანგრევებია დღეს შემორჩენილი.


მონასტრის მთავარი ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესია აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით უჩვეულოდ წაგრძელებული ნაგებობაა. გუმბათი კედლის შერილებს ეყრდნობა. საკუთხეველის ორივე მხარეს სადიაკვნეა. დასავლეთის მკლავი მთლიან, დაუნაწევრებელ, გრძელ დარბაზს წარმოადგენს. შიგნით კედლები და გუმბათი შემოსილია თლილი ქვის კვადრებით. დასავლეთის მკლავის გრძივი კედლები საკმაოდ პკასტიკურადაა დანაწევრებული სამსაფეხურიანი კედლის სვეტებითა და თაღებით.

შემდგომი მშენებლობები ტაძრის ირგვლივ აწარმოა ტაო-კლარჯეთის მეფე აშოტ II-მ (937-954) ეკლესია შეაკეთა და სატრაპეზო მიუმატა. XVI საუკუნეში ოსმალთა მიერ კლარჯეთ-შავშეთის დაპყრობის შემდეგ ოპიზა დაცარიელდა. XIX-XX საუკუნეებში ტაძარს ნელნელა ჩამოექცა ოთხივე მკლავების გადახურვა, თუმცა მთავარი გუმბათი მაინც მყარად იდგა, ვიდრე 1965 წელს სოფლის გზის გაყვანისას თურქებმა ეკლესია არ ააფეთქეს, რასაც გუმბათისა და საკურთხეველის ნაწილის სრულად განადგურება მოჰყვა. ამჟამად ეკლესიისგან დარჩენილია სამხრეთის მკლავი, დასავლეთის

მკლავის ჩრდილოეთ კედელი და დასავლეთის კედლის ნაწილი, ჩრდილოეთის მკლავის კედლების მეტი ნაწილი.

ყურადღებას იპყრობს X საუკუნის I ნახევარში აღდგენილი გუმბათის ყელი. მას 12 წახნაგი. შენობის ფასადებიც, ისევე როგორც ინტერიერი, შემოსილია თლილი ქვით. ოპოზაში შემორჩენილია აგრეთვე მნიშვნელოვანი სამონასტრო შენობების ნაშთებიც. ერთი მათგანი, დიდი სამნავიანი შენობა, როგორც ჩანს, სატრაპეზო იყო. 1888 წელს იქაურობა არქიტექტურის აკადემიკოსმა ა. პავლინოვმა ინახულა. უკვე მაშინ ეკლესიაცა და სხვა შენობებიც მიტოვებული და დაზიანებული იყო. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცულია რელიეფი ოპიზიდან აშოტ კურაპალატის პორტრეტით (IX ს.) [189].

ოთხთა



მონასტრის მთავარი ნაგებობა არის სამნავიანი ბაზილიკა. მისი გარეთა სიგრძეა 28.46 მეტრი, სიგანე 18.60 მეტრი. ეკლესიის სიმაღლე 22.07 მეტრია. ეკლესიას აქვს სამი შესასვლელი, ჩრდილოეთით, სამხრეთითა და დასავლეთით. შესასვლელების სიმაღლე 3.74 მეტრია, ხოლო სიგანე 1.87 მეტრს შეადგენს. გარედან ეკლესია მოპირკეთებულია სუფთად გათლილი ტუფის ქვებით, რომლებიც სწორ რიგებათაა დალაგებული და რომელთა შორის არ არის დატოვებული ნაპრალი. ტლანქად ნათალი ტუფი აგურთან და რიყის ქვებთან ერთად ასევე გამოყენებულია შიდა წყობისთვის. ეკლესიის პილასტრები სუფთად თლილი ქვებისგან შედგება, ხოლო გულში გუხვდება ტუფის ერთგვაროვანი ხსნარი აგურის ნატეხებითა და ხრეშის მინარევებით.

ოთხთა ეკლესია ოლთისის ვილაიეთში, ისტორიულ პარხალში, მდინარე ჭოროხის მარცხენა ნაპირზე, დაბა იუსუფელის დასავლეთით 12 კმ-ზე, სოფელ დორთ ქილისადან (სოფ. ოთხთა) 5 კილომეტრის მანძილზე მდებარეობს. ეკლესია აგებულია 1.350 მეტრის სიმაღლეზე მდებარე სამკუთხა ბაქანზე. მონასტერი შედგება ოთხი ნაგებობისგან – უზარმაზარი ბაზილიკა, რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთით განლაგებულია ორსართულიანი სამარხი ეკვტერი, სატრაპეზო დასავლეთით, ორნავიანი დარბაზი ჩრდილო-დასავლეთით, სადაც იყო განთავსებული სემინარია და სკრიპტორიუმი. მდინარე ჭოროხის მეორე მხარეზე, მონასტრის დასავლეთით 150 მეტრის მანძილზე მდებარეობს სამლოცველოსა და ორსართულიანი კამაროვანი ნაგებობის ნაშთები. ეს ნაშთები მეცნიერთა მოსაზრებით ბერთა კრებულის სამყოფელი იყო.

ოთხთა ნაგებია აგურითა და ქვაყორით, შემოსილია მორუხო-მოყავისფრო თლილი ქვით. ინტერიერი მოხატული იყო. ბაზილიკის გვერდით მონასტრის სატრაპეზო და დიდი სამნავიანი შენობაა (როგორც ფიქრობენ, სემინარია). აქვეა მცირე ზომის სამლოცველო, რომლის ქვეშაც სამარხია მოთავსებული.

ეკლესიის საძირკველი ორსაფეხურიანია და ნაგებია 0.19 მეტრის სიგანისა და სიმაღლის მქონე თლილი ქვებისგან. კარის სიგანე 1.87 მეტრი, ხოლო სიმაღლე 3.75 მეტრია.

საკურთხეველში შემორჩენილია ფრესკები. საკურთხევლის საკრმელში არსებულ ფრესკაზე სავარაუდოდ წმინდა ელენე ან წმინდა ეკატერინე არის გამოსახული.

ტაძარში მის მშენებლობასთან დაკავშირებული წარწერები არ არის. ერთადერთ კარგად შემონახულ ასომთაერულ წარწერაში მოხსენიებულია დავით III კურაპალატი. სავარაუდოდ მან ააგო მონასტერი და აქვე ადრე არსებული სემინარია.

პარხის სამონასტრო კომპლექსი დაახლოებით 150 მეტრის სიგრძის ჰორიზონტალურ შვერილზეა განლაგებული, რომელიც ნაწილობრივ კლდეშია გამოკვეთილი და ხეობიდან 80 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. კლდის ზედა ნაწილი მონასტერს ზემოდან აქვს გადმოფარებული და მას მიუვალს ხდის.

სამაგიეროდ მონასტერი ოთხთა ეკლესია ნახსენებია გიორგი მთაწმინდელის (XI ს.) თხზულებაში „ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩვენისა იოანესი და ეფთიმესი და უწყებაი ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაი“. ვინაიდან ივერიის მონასტერი ათონზე დაარსებულია 980-983 წლებში, იოანე კი რამოდენიმე წლით ადრე იმყოფებოდა ოთხთა ეკლესიაში, უკვე არსებულ მონასტერში, მაშასადამე მონასტერი იყო აშენებული არაუგვიანეს X საუკუნის 70-იანი წლებისა. ეს მტკიცდება კიდევ იმ გარემოებით, რომ ოთხთა ეკლესია ძალიან უახლოვდება თავისი არქიტექტურული გადაწყვეტით პარხალს, რომელიც X საუკუნის 60-70 წლებს ეკუთვნის.

სამწუხაროდ დღეს ბაზილიკა მეტად მძიმე მდგომარეობაშია. ივი მცენარეებს დაუფარავს, საკურთხეველი საკმაოდ ღრმად არის მიწაში ჩაფლული და წლების განმავლობაში წყალს დიდი რაოდენობით მიწა შეუტანია ბაზილიკაში.

საკურთხეველთან მიწა გადათხრილია. თურქეთში არსებობს გადმოცემები, რომ ქართულ ტაძრებში დიდი სიმდიდრეა ჩამარხული, ამიტომ აქაურები დღესაც ცდილობენ განძის მიგნებას [189]; [190].

პარეხი



პარეხის მონასტერი ართვინის ვილაიეთში ისტორიულ კლარჯეთში, მდინარე კარჩხალის (დუგანალა) ხეობის კლდოვან მასივში, მდ. იმერხევის ჩრდ 15 კმ-ზე, ბერთას მონასტრიდან 8 კმ-ზე, სოფელ პარეხის აღმოსავლეთით 2 კმ-ზე მდებარეობს. IX-X საუკუნეებში პარეხი გარკვეულ როლს ასრულებდა საეკლესიო-სამონასტრო და კულტურულ-ლიტერატურულ ცხოვრებაში. პარეხელ მოღვაწეებს დაუწერიათ ამ სავანის დამაარსებლის „მიქელ პარეხელის ცხოვრება“, რომლითაც ბასილი ზარზმელს (X ს.) უსარგებლია „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ წერისას. ცნობილია აგრეთვე მწიგნობარი ილარიონ პარეხელი (IX-X ს-ში), რომელსაც პატივით იხსენიებს გიორგი მერჩულე (X ს.). პარეხის სამონასტრო ანსამბლიდან შემორჩენილია ორი მთავარი ტაძრისა და სხვა ნაგებობათა ნანგრევები.

მონასტერს ერთადერთი მისადგომი აქვს დასავლეთიდან, რომლის კარიბჭეც დღეისათვის მთლიანად ჩაქცეულია. კარიბჭიდან იწყება ეიწრო და გრძელი ბილიკი, რომლის სიგანე 1,5-დან 5 მეტრამდე მერყეობს, ხოლო სიგრძე 150 მეტრს შეადგენს. ბილიკი პარეხის მონასტერში მოღვაწე განდეგილი ბერების საცხოვრებლებისა და აქ არსებული სხვა სამონასტრო ნაგებობებისაკენ მიემართება.

მონასტრის წარწერებში ქტიტორად ტაო-კლარჯეთის მეფე სუმბატ I (954-958) არის დასახელებული, (მისი გამოსახულება შემორჩენილია ეკლესიის გუმბათის ჩრდილო-აღმოსავლეთ წახნაგზე შესაბამისი წარწერით „ქრისტე, ადიდენ მეფე ჩუენი სუმბატ“, სამხრეთი მკლავის სარკმლის თავზე კი გაშლილია ორსტრიქონიანი ლამაზი ასომთავრული წარწერა: „ქრისტე, ადიდე მეფე ჩუენი სუმბატ მზეგრძელობით“. სუმბატის ფიგურა ამჟამად დაზიანებულია, ვინაიდან მას სროლაში ვარჯიშისას სამიზნედ იყენებდნენ. მოტეხილია თავის ზედა ნაწილი და სახის ნაკვთები. სახის შემორჩენილ ქვედა ნაწილზე მკაფიოდ განირჩევა წვერი) თუმცა სავარაუდოდ მონასტრის შენება მის უმცროს ძმას კლარჯეთის ერისთავთ-ერისთავ ბაგრატ მაგისტროსს (937-945) უნდა დაეწყო.

კლდოვან მასივში სიგრძეზე გაშენებული სამონასტრო კომპლექსის შუაში, სატრაპეზოსთან ახლოს, ჩამოედინება პატარა ჩანჩქერი, რომელთანაც პატარა ცისტერნაცაა მოწყობილი. გალავანში შემოსასვლელი ჭიშკრიდან ჩრდილო-დასავლეთით ორი წყლის წისქვილია, უფრო დასავლეთით კი მინდვრები და ხეხილის ბაღები მდებარეობს. გარშემო მთები დაფარულია მრავალფეროვანი მცენარეებით.

პარეხის სამონასტრო კომპლექსიდან დღეისათვის რამდენიმე ნაგებობაა შემორჩენილი, თუმცა ყველა მათგანი მეტ-ნაკლებად დანგრეულია. მათ შორისაა სენაკებიდან, საკუჭნაოები და სატრაპეზო. ყველაზე

მნიშვნელოვანი დღეისათვის შემორჩენილ ნაგებობებს შორის არის ორი, დაახლოებით პარალელურად მდგარი ეკლესია, რომლებიც ბილიკის სამხრეთითაა განლაგებული. ეკლესიები აგებულია სპეციალურად აგებულ სუბსტრაქციაზე, კლდოვან შვერილზე.

ზედა ეკლესია აგებულია გამავალი ბილიკის დონეზე დაახლ 840-850-იან წლებში. იგი წარმოადგენს მართკუთხა წაგრძელებულ დარბაზს ზომებით 11,15X4,75 მ. საშენ მასალად გამოყენებულია ადგილზე მოპოვებული უხეშად დამუშავებული ქვა და კირი. შემოსასვლელი დასავლეთის მხრიდან აქვს, ხოლო სამხრეთი მხარე მთლიანად ჩამონგრეულია. ქვედა ეკლესია 6 მეტრის ქვემოთ საგანგებოდ ამოყვანილ სუბსტრაქციაზეა აგებული IX-X საუკუნეების მიჯნაზე. იგი სამნავიანი ბაზილიკის ტიპისაა. საშენი მასალა იგივეა, თუმცა ქვები უკეთ დამუშავებულია. შესასვლელი მასაც მხოლოდ დასავლეთიდან აქვს.

მონასტერი ოსმალთა დაპყრობებამდე იყო მოქმედი, შემდეგ კი დაცარიელდა.

დოლისყანა



დოლისყანას ეკლესია ართვინის ვილაიეთში, ისტორიულ კლარჯეთში, მდინარეების არტანუჯწყლისა და იმერხევის შესართავთან, მაღალი მთის ფერდობზე, სოფელ ჰამამლიში (დოლისყანა) მდებარეობს. მონასტრის კომპლექსიდან მხოლოდ მთავარი ტაძრის ჯვრული ნაწილია შემორჩენილი (რადგან იქ XVII საუკუნიდან ბოლო დრომდე ჯამე ანუ მეჩეთი მდებარეობდა), დანაერჩენი ნაგებობები კი XVI-XVIII საუკუნეებში განადგურდა. 1970-1978-იან წლებში ტაძარს სოფლის იმდროინდელი იმამი ილქერ დემირი უვლიდა. მისი ინიციატივით შეკეთდა სახურავი და დანგრეული სამხრეთ-აღმოსავლეთ სათავსოსგან დარჩენილი აღმოსავლეთ კუთხე, რამაც ეკლესია შემდგომი ნგრევისგან იხსნა. 1999 წელს ტაძარში მოქმედი ჯამე გააუქმეს.


ტაძრის მრავალფეროვანი მხატვრობა XI-XIII საუკუნეებისაა, ხოლო წარწერების უმრავლესობა XIV-XV საუკუნეებს მიეკუთვნება. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს რომ ეკლესია მთავარანგელოზთა სახელობისა იყო, ნაწილი კი თვლის რომ იგი წმინდა სტეფანეს სახელზე აიგო.

დოლისყანის ეკლესია ჯვარ-გუმბათოვანი ნაგებობაა ოთხივე კუთხეში დამატებითი სათავსოებით. შენობის გეგმა წაგრძელებული მართკუთხედის ფორმისაა. დასავლეთის მკლავში, რომელიც განივ მკლავებთან შედარებით დაახლოებით 3,5-ჯერ გრძელია, ჩაშენებულია პატრონიკე, რომელიც მთლიანად იყო გახსნილი ძირითადი სივრცისკენ. წინა კედლის კამარამდე ამოშენების შემდეგ პატრონიკე ცალკე დახურულ სათავსოდ იქცა და მისი დასავლეთი ნაწილი დასავლეთის მკლავს მოსწყდა.

ეკლესიას მთავარი შესასვლელი დასავლეთი მკლავის სამხრეთ კედელზე აქვს. კარამდე მისვლა შესაძლებელია სამხრეთ-დასავლეთი კუთხის სათავსოს გავლით, რომლის წინა კედელიც სრულადაა დანგრეული. ტაძრის მეორე შესასვლელი სავარაუდოდ დასავლეთ მკლავის დასავლეთი კედლიდან უნდა ყოფილიყო, თუმცა დღეს ეს ადგილი მიწითა და ნაყარი ქვებითაა საესე.

დოლისყანა შერეული მასალითაა ნაგები. კედლების შიდა და გარე წყობას შეადგენს საშუალო ზომის უხეშად დამუშავებული ქვები. ქვებს შორის დარჩენილი ღრეჭოები კენჭებითა და კირითაა ამოვსებული. სუფთად გათლილი ქვიშაქვის კვადრატის ფორმის ფილებითაა მოპირკეთებული გუმბათის ყელის მთელი გარეთა მხარე. დოლისყანის ეკლესიას კრამიტის სახურავი ჰქონდა. დღესდღეობით კრამიტი, ძირითადად, ჩამოცვენილია, თუმცა ბევრი ჯერ კიდევაა დარჩენილი. კრამირტები მოუჭიქავია და ორი სახისაა: ბრტყელი და ღარისებრი ფორმის. ბრტყელი კრამიტები ერთმანეთს გვერდიგვერდ ეწყობა [189].

ზეგანი (ზაქი)



ზეგანის ეკლესია მდებარეობს თურქეთში, არტაანის პროვინციაში, ჩილდირის (ჩრდილი) (Çıldır) რაიონში, ისტორიულ ერუშეთში, ისტორიულ სოფელ ზეგანი (დირსეკაია) (Dirsekkaya) ჩრდილოეთით 5 კმ-ში.

არდაჰანის ვილაიეთის ჩრდილოეთი მხარე, ისტორიულად ერუშეთის მხარეა, სადაც ქრისტიანობის კერის გაჩენა, მცხეთასა და მანგლისთან ერთად, პირველი ქრისტიანი მეფის, მირიანისა და ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე დიდის (324-337 წ.) სახელებსა და მოღვაწეობას უკავშირდება; ეპარქია აქ საქართველოში პირველი საეპისკოპოსოების ნუსხაში გვხვდება. ერუშეთის ეპარქია ძლიერი იყო არა მხოლოდ ისტორიითა და რელიქვიებით, არამედ ეპისკოპოსებითაც, რომელთა მოღვაწეობა დაკავშირებულია როგორც ქართველთა სამეფოს მმართველ წრეებთან და ისინი ქართული სახელმწიფოებრივი ცნობიერებისა და პოლიტიკის წარმართვაში მონაწილეობდნენ. ამიტომაც ძნელი წარმოსადგენი არ არის, რომ სწორედ იმ ხანაში, როდესაც ქართული სახელმწიფოებრიობა ნელ–ნელა ძლიერდებოდა და საეკლესიო აღმშენებლობის ხანა დადგა, ერუშეთის ეპარქიაში არაერთი მნიშვნელოვანი ეკლესია და ციხესიმაგრე აშენდა. მათ შორის, ალბათ, სიდიდითა და სილამაზით უპირველესი სწორედ ზეგანი, იგივე ზაქი. თავად ზეგანის (ზაქის) ეკლესიის შესახებ ცნობები ისტორიულ წყაროებში დაცული არ არის. ერთადერთ მინიშნებად შეიძლება მივიღოთ ვახუშტი ბატონიშვილის ცნობა, რომელიც ერუშეთის ეპარქიის მთავარ ეკლესიას აღწერს როგორც „გუნბათიანი, დიდ-შვენიერი, დაურღეველი, არამედ ცალიერი“. სავარაუდოა, რომ ერუშეთის საეპისკოპოსო ტაძრის აღწერილობა ზეგანის ეკლესიას მიეკუთვნება. სოფელ ზაქის შესახებ, რომელიც არცერთ რუკაზე არ ჩანს დატანილი, ცნობები „გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარ“-სა და „ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარში“ არის დაცული. სამეცნიერო ლიტერატურაში ზეგანი, ზაქი ექ. თაყაიშვილის 1907 წლის ექსპედიციის მონაცემებით შემოდის, რომელიც 1909 წელს გამოიცა მოსკოვში კრებულის – XII ტომში. ძეგლი აზომილ იქნა არქიტექტორ ს. კლდიაშვილის მიერ, ფოტოები ეკუთვნის ა. მამუჩაშვილს. აღწერა და რეკონსტრუქცია ეფუძნება ახალ ანაზომებს, ექ. თაყაიშვილის 1907 წლის ექსპედიციის მასალებს, რომელთა ნაწილი გამოქვეყნდა, ხოლო გამოუქვეყნებელი კი კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ ექ. თაყაიშვილის არქივში არის (გრაფიკული მასალა შესრულებულია არქ. ნ. ბაგრატიონის მიერ). ტაძარი XX-ის II ნახ-ში ააფეთქეს და მისი მდგომარეობა სავალალოა. გადარჩენილია მხოლოდ სამხრეთი მკლავი და დასავლეთი



ზეგანი დღეს

მკლავის ცალკეული კედლები. ნანგრევებს შორის ყრია ჩრდილოეთი მკლავისა და გუმბათის ყელის ერთიანი ფრაგმენტები, ორნამენტული ფრიზებისა და სარკმლის თაღსართის ქვები.

ზეგანის ტაძრის გაბარიტული ზომებია: 20X13.50 მ; სამხრეთი აფსიდის – 3.65X2.80 მ; კონქის სიმაღლეა 2.19 მ; დასავლეთი მკლავის სიგრძე 16.60 მ; კედლის სისქე 1.30 მ; გუმბათის ყელის სისქე 0.75 მ; შენობის გარე და შიდა პერანგი, კონსტრუქციული დეტალები მთლიანად კარგად გათლილი რუხი წითელი ქვის, სწორ რიგებად ჩალაგებული კვადრებითაა გამოყვანილი, კედლის სისქე ამოვსებულია ფლეთილი და რიყის ქვებით დუღაბზე.

სტილისტური და ბუროთმოძღვრული თავისებურებების მიხედვით მკვლევარები ზეგანის ტაძარს X საუკუნის მეორე ნახევრით ათარიღებენ.

ზეგანი (ზაქის) ეკლესია თურქეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის დაყოფით სამცხე-ჯავახეთის და ტაო-კლარჯეთის ეპარქიის დაქვემდებარებაშია.

წყაროსთავი

წყაროსთავის ტაძარი მდებარეობს თურქეთში, ართვინის პროვინციაში, ართვინის რაიონში, ისტორიულ მხარე კლარჯეთში, სოფელ წყაროსთავთან (ქაროსთავ) (Karostav), მდინარე კარჩხალის ხეობაში, მისი მარცხენა შენაკადი ნაკადულის პირას. ნამონასტრალის შორიახლოს ახლა რამდენიმე საცხოვრებელი სახლი დგას. ეგ არის იმერხევის გაღმა მდებარე სოფელ ჭედილის საზაფხულო სადგომი (იაილა), რის გამოც თვით ამ პუნქტსაც ზოგჯერ ჭედილს (თურქულად „ჩიდილ“) ეძახიან. შემორჩენილია სახელწოდება წყაროსთავიც. თურქები ოდნავ ამახინჯებენ მას და ამბობენ „საროთავს“ ან „ქაროთავს“ (კაროსტავ).



წყაროსთავი კლარჯეთის ერთ-ერთი უმშვენიერესი და უძველესი მონასტერთაგანია. ის არ უნდა აურიოთ ამავე სახელწოდების სხვა ეკლესიაში, რომელიც დასავლეთ ჯავახეთში მდებარეობს და ამჟამად ასევე თურქეთის ფარგლებშია მოქცეული.

მონასტერი დაარსა ილარიონმა, რომელიც შემდგომ „კათალიკოს იქმნა მცხეთას“. წერილობითი ცნობები მოწმობს, რომ სავანე სულიერი ცხოვრების მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. XI საუკუნის განმავლობაში აქ მოღვაწეობდნენ ღვთისმეტყველი ექვთიმე გრძელი, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დამაარსებელი გიორგი-პრობორე, ეგნატე ხუცესმონაზონი. წყაროსთავიდან მომდინარეობს XII-XIII საუკუნეთა რამდენიმე ხელნაწერი, მათ შორის წყაროსთავის ცნობილი სახარება (1195 წ.) ბექა ოპიზარის მიერ მოჭედილი ყდით და ანჩის (იგივე წალკის) სახარება (1193-1207 წლებს შორის), რომელსაც ამავე ოსტატის ნახელავი ჭედური ყდა დაკარგული აქვს.

სამეცნიერო ლიტერატურაში წყაროსთავი ცნობილი გახდა ნ. მარის წყალობით. 1904 წელს, როდესაც მკლევარმა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ტექსტის პირველ გამოცემასთან დაკავშირებით საგანგებოდ დაიარა შავშეთ-კლარჯეთი, იგი ეწვია წყაროსთავსაც. მისი მოგზაურობის დღიური შეიცავს სამონასტრო ნაგებობების დაწვრილებით აღწერას და ორ ფოტოსურათს. მასალა განსაკუთრებით ძვირფასია, ვინაიდან მასში დაფიქსირებულია მონასტრის მთავარი შენობების – დიდი ეკლესიისა და სატრაპეზოს მოგვიანებით განადგურებული ნაწილები. მათი არქიტექტურული სახის წარმოდგენა მხოლოდ ნ. მარის მონაცემების დახმარებით არის შესაძლებელი.

მონასტრის ბირთვი განლაგებულია დამრეც ფერდობზე. ზედა ნაწილში დგას მთავარი ეკლესია, მის სამხრეთით, რამდენიმე მეტრის მოშორებით – მცირე დარბაზული სამლოცველო, სამხრეთ-დასავლეთით – დიდი სატრაპეზო, რომლის სუბსტრუქციაშიც ოთახებია მოწყობილი; ჩრდილო-დასავლეთიდან სატრაპეზოს ორი მართკუთხა სათავსი ერთვის. ამ ძირითად ბირთვს ზღუდე ერტყმის. მის ირგვლივ ვრცელ ტერიტორიაზე გაფანტულია სხვადასხვა დანიშნულების შენობები.

წყაროსთავის მთავარი ეკლესიისაგან დარჩენილია მკლავის კედლები, ნაწილობრივ დასავლეთის მკლავის ჩრდილოეთი კედელი და საკურთხევლის მიმდებარე ჩრდილოეთის სათავსი, რომელმაც დიდწილად გადახურვაც შეინარჩუნა – მთელია მისი აფსიდის კონქი და კამარის შუა და ჩრდილოეთი ნაწილები. სხვაგან კამარები ყველგან ჩაქცეულია. შენობის ნაშთები დაფარულია ნაყარი ქვებითა და მიწით რომლებიც ალაგ-ალაგ 2-3 მეტრის სიმაღლის ბორცვებს ჰქმნის.

შენობის გეგმას საფუძვლად უდევს ჯვარი არათანაბარი სიგრძის მკლავებით. განივი მკლავები მოკლეა, ხოლო დასავლეთისა – მკვეთრად წაგრძელებული. მის გრძივ კედლებზე ერთი წყვილი პილასტრია, რომელსაც კამარის საბჯენი თაღი ეყრდნობოდა (თაღიც და კამარაც უკვე დიდი ხანია ჩაქცეულია). მკლავების გასაკვეთაზე იდგა გუმბათი. ამ ძირითადი ჯვრული სტრუქტურის მკლავებს შორის არეებს ავსებდა უფრო დაბალი სათავსები, შესაბამისად დაფერდებული თითოკალთიანი სახურავებით. ჩრდილო-დასავლეთ მკლავებსშორისი კუთხე ორსართულიანი იყო. ზედა სართული წარმოადგენდა ძალიან ვიწრო და გრძელ სათავსს, როგორც ჩანს მთლიანად გამოცალკევებულს ძირითადი სივრცისაგან. ქვედა შედგებოდა ორი მონაკვეთისაგან, რომლებიც თითო დაბალი თაღით იხსნებოდა დასავლეთის მკლავისაკენ. ნ. მარი ამ სათავსებს განიხილავს როგორც ღრმა ნიშებს და აღნიშნავს, რომ მათ კამაროვანი გადახურვა აქვთ. ეს „ნიშები“ ერთმანეთსაც უკავშირდება მცირე კარით. ახლა აქ თითქმის ყველაფერი ჩანგრეულია, მაგრამ დარჩენილი მცირე ფრაგმენტების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ კამარა მთლიანად დულაბისა იყო.

ეკლესიის შემორჩენილი ნაშთების და ნ. მარის ცნობების მიხედვით როგორც შიდა, ისე გარე წყობას შეადგენს დიდრონი უხეშად დამუშავებული ქვები, რომლებიც ღრმად სხედან კედელში. კედლის გული ამოყვანილია წვრილი და საშუალო ზომის ნატეხი ქვით დულაბზე. ინტერიერის წყობა შემოინახა სამკვეთლოსა და ჩრდილოეთის მკლავში. მასალა შერეულია – მორუხო-მოყვითალო ქვიშაქვა და ადგილობრივი კლდოვანი ჯიშის ქვა, ბლოკები მართკუთხაა, მკაფიოდ გამოყვანილი წიბოებით. კედლები შიგნით ბათქშით იყო დაფარული.

ქვაზე შემკულობა შემოინახა მხოლოდ სამკვეთლოს სარკმელმა. აღმოსავლეთ ფასადზე მას აგვირგვინებს მორუხო ქვიშაქვის მართკუთხა (73X53 სმ.) ფილა. სარკმლის თაღი მთლიანად ამ ქვაშია გამოყვანილი. მის ზემოთ სარკმელს აქვს სადა თავსართი ბრტყელი წარბით და მოკლე გადანაკეცებით. მათ ებმის მართკუთხა ჩარჩო, რომელიც ფილის მთელ პერიმეტრს შემოწერს. თავსართიცა და ჩარჩოც ურელიეფოა, კედლის სიბრტყიდან არ ამოდის, მხოლოდ ორი ღარის კონტურით მოიხაზება.

წყაროსთავის მონასტრის მთავარი ეკლესია საკმაოდ თავისებური ნაგებობაა. მისი არქიტექტურული კომპოზიცია ენათესავება ე.წ. „გუმბათიანი დარბაზის“ ტიპს. სხვა თავისებურებათაგან უნდა აღინიშნოს შენობის მოცულობიდან მკვეთრად გამოშვერილი დიდი სათავსი საკურთხევლის ჩრდილოეთით. თავისებურებების გათვალისწინებით წყაროსთავის ეკლესია IX ს-ით უნდა დათარიღდეს. სავარაუდოდ ის არის მონასტრის თავდაპირველი ეკლესია, აშენებული თვით ილარიონის მიერ სავანის დაარსებისას, 830-40-იან წლებში.

ეკლესიის დასავლეთით დგას სატრაპეზო. „სიხალვათით, სამუშაოს შესრულების სისუფთავით, არქიტექტურული მორთულობის ზომიერებით, წყობის გულმოდგინეობითა და ქვის ნათელი ფერით მშვენიერ შთაბეჭდილებას ახდენს“ – წერდა ნ. მარი სატრაპეზოს ინტერიერის შესახებ. შენობა აღმართულია ზედ ხეობის პირას, ძლიერ დამრეც ფერდობზე. მის მოსასწორებლად აუშენებიათ უზარმაზარი სუბსტრუქცია (მისი წინა კედლის სიმაღლე 9 მეტრს აჭარბებს), რომელშიც დამხმარე სათავსები მოუწყვიათ ორ იარუსად. ქვედა იარუსი ახლა შეუღწეველია – მის არსებობაზე მიგვანიშნებს ოთხი სარკმელი ხეობის მხარეს, მეორე იარუსს შეადგენს 8,0X3,4 მ-ის ზომის კამაროვანი სათავსი, რომელსაც ერთი სარკმელი ანათებს.

თვით სატრაპეზო დიდი მართკუთხა ნაგებობაა. მისი გეგმა კვადრატს უახლოვდება (შიდა ზომა 15,05X13,90 მ). გადახურვა, სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კედლები თითქმის მთლიანად განადგურებულია. ჩრდილო-აღმოსავლეთ კედლისგან, დაახლოებით ნახევარია შემორჩენილი, ამ კედელზე შემორჩა ორი წაკვეთილი შეკიდული პილასტრი, რომლებიც საშუალებას იძლევა სატრაპეზოს შიდა არქიტექტურულ დანაწევრებაზე. მისი სივრცე ოთხი წყვილი თაღით დანაწევრებული იყო სამ ნავად.

თაღები მრგვალ სვეტებს ეყრდნობოდა. ერთი სვეტის ფრაგმენტი ახლა იქვე გდია, მისი დიამეტრიც 61 სმ-ია. ცენტრში სვეტს აქვს 8 სმ-ის დიამეტრის ხვრელი. ასეთ ხვრელებში ჩასმული იყო ლითონის სპეციალური სამაგრები სვეტების შემადგენელი ცილინდრული ქვების გადაბმის სიმტკიცის უზრუნველსაყოფად. მთავარი შესასვლი, რომლისგანაც ახლა მხოლოდ კვალია, განირჩევა საძირკვლის დონეზე. სამხრეთ-აღმოსავლეთიდან იყო. სარკმლები მოწყობილია ხეობის მხარეს, სამხრეთ-დასავლეთის კედელში. სულ იყო რვა სარკმელი – ქვემოთ შუაში ერთი დიდი, მის აქეთ-იქით ორი მომცრო, ერთი შედარებით მოზრდილი ზემოთ შუაში, ორი მომცრო აქეთ-იქით და კიდევ ორი სულ პატარა (ერთი მრგვალი, მეორე გვირგვინისებრი ფორმის) მათ შორის.

სატრაპეზოს ჰქონდა ორკალთიანი სახურავი, სამხრეთ-დასავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ ფასადებზე ფრონტონებით.


ჩრდილო-დასავლეთიდან სატრაპეზოს ეკვრის ორი მართკუთხა სათავსი. მათი გადახურვაც მთლიანად ჩანგრეულია, ოთახები ერთმანეთს თაღოვანი გასასვლელით უკავშირდებოდა. გარდა ამისა სატრაპეზოს მომიჯნავე სათავსს აქვს თითო კარი სატრაპეზოსა და ხეობის მხარეს. სავარაუდოა, რომ სატრაპეზო ეკლესიაზე გვიან უნდა იყოს აგებული, კერძოდ, X საუკუნეში.

მონასტრის დასავლეთით, რამდენიმა ასეული მეტრის დაშორებით, კლდოვან კონცხებზე სამი პატარა დარბაზული ეკლესია დგას. ამათგან ზედა და შუა (მას სამხრეთიდან მინაშენიც აქვს) ძლიერ დაზიანებულია, გადარჩა მხოლოდ მათი აღმოსავლეთი ნაწილები. ქვედა შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია, თუმცა კამარა მასაც ჩანგრეული აქვს. ამ სამლოცველოების სამშენებლო ტექნიკა დიდი ეკლესიისას ჰგავს. სავარაუდოა, რომ ესენიც IX საუკუნისა არიან.

აღსანიშნავია, რომ მონასტრის მიდამოებში ნ. მარმა ნახა არქიტექტურულად გაფორმებული ძველი წყარო, ქვის კედლებითა და კამარით, საწნახელი და სხვა ნაგებობები.

წყაროსთავის ტაძარი თურქეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის დაყოფით სამცხე-ჯავახეთის და ტაო-კლარჯეთის ეპარქიის დაქვემდებარებაშია.

ესბეკი



ესბეკის ხუროთმოძღვრული კომპლექსი მდებარეობს ისტორიულ ტაოში, ართვინის ვილაიეთში, მდინარე ოლთისის მარცხენა სანაპიროზე. თავის დროზე ესბეკი იყო სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პატარა დასახლებული ადგილი გამაგრებული ციხითა და გალავნით. ცენტრალური სამანქანო გზა მიემართება იშხნისაკენ, მდინარე ოლთისის ხეობაში.

ესბეკის არქიტექტურული კომპლექსი დიდ მოვაკებულ ტერიტორიაზეა გაშლილი და ორ ქრონოლოგიურ ფენას შეიცავს. კომპლექსის შემადგენლობაში შედის: სამნავიანი ბაზილიკა, სამარხი-სამლოცველო, საერო შენობათა ნაშთები, XV-XVI საუკუნეების აგურით ნაგები დარბაზული ეკლესია და მთაზე მდებარე საგუშაგო და ციხე-კოშკი. კომპლექსის ყველაზე ადრეული IX-X ს-ის ბაზილიკაა, ხოლო ყველაზე გვიანდელი XVI ს-ის აგურით ნაშენი ეკლესია. კომპლექსი ქვის მასიური გალავნითაა შემოზღუდული, რომლისგან დღეს უმნიშვნელო ფრაგმენტებია შემორჩენილი. გალავნის კედლის სიმაღლე ზოგ ადგილას 3-4 მეტრს აღწევს. მოშორებით დგას მცირე ზომის დარბაზული ეკლესია.

არქიტექტურული თვალსაზრისით ესბეკი ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრულ ნაგებობათა ადრეული პერიოდის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია. ესბეკის მთავარ ნაგებობას – სამნავიან ბაზილიკას, ანალოგიური ტიპის ეკლესიებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია საერთო არქიტექტურულ-კომპოზიციური გადაწყვეტის რიგი თავისებურებების გამო: სიგრძივი ღერძის მიმართულებით განთავსებული თაღების განიერი მალები, პასტოფორიუმების სპეციფიური გადაწყვეტა, დასავლეთ, სამხრეთ და ჩრდილოეთ ფასადებზე სარკმლების უგულებელყოფა. არქიტექტურულ ტიპთა

და გამოყენებული საამშენებლო საშუალებებით შეიძლება იგი მივაკუთვნოთ IX საუკუნის დასასრულს ან X საუკუნის დასაწყისს. ზემოხსენებულ დარბაზული ეკლესიაც დანაწევრებულ პატარა სივრცით IX-X საუკუნეების მიჯნით უნდა დავათარიღოთ. მან ჩვენამდე სამწუხაროდ საგრძნობლად დაზიანებული სახით მოაღწია – შენობის კედლების ზედა ნაწილები საერთოდ ჩანგრეულია და, ბუნებრივია, აღარც მისი გადამხურავი კამარა არსებობს.

ბაზილიკის ინტერიერი მთლიანად ყოფილა შელესილი და დაფარული კედლის მხატვრობით. ამ უკანასკნელისგან შემორჩა საკმაოდ დაზიანებული და ჩამორეცხილი უმნიშვნელო ფრაგმენტები. საკურთევლის აფსიდაში ძლივს განირჩევა „ზიარების“ კომპოზიცია, რომელიც აფსიდის დიდი სარკმლის ორივე მხარესაა წარმოდგენილი. მაცხოვრის და მოციქულთან სახეების რბილის დამუშავება, შუქ-ჰაეროვანი მოდელირების გამოყენება XI საუკუნის კედლის მხატვრობის ტრადიციებს შეესაბამება. ხოლო მათი სამოსის ხაზობრივი და მოუხეშავი ფორმები აშკარად ხელმეორედ მოხატვის შედეგი უნდა იყოს. ესბეკის ბაზილიკა თავის დროზე გადახურული იყო მოჭიქული ლორფინებით. დღეს მას, გადახურვა აღარ გააჩნია. ამრიგად, აქ გამოყენებული საამშენებლო ხერხებითა და არქიტექტურული ტიპით, აგრეთვე იმ ნიშნებით, რომლებიც ტაო-კლარჯეთის რეგიონში VIII-IX საუკუნეებში აგებულ ეკლესიებსაც (განსაკუთრებით პარეხთას ქვედა ბაზილიკა) ახასიათებთ, ესბეკის სამნავიანი ბაზილიკა შეიძლება მივაკუთვნოთ IX საუკუნის დასასრულს ან X საუკუნის დასაწყისს.

ესბეკის ბაზილიკის სამხრეთ – დასავლეთით, რამდენიმე მეტრის დაშორებით, დგას კარგად დამუშავებული ნაცრისფერი ქვიშაქვის მოზრდილი კვადრებით ნაგები პატარა ცალნავიანი ეკლესია. ერთადერთი კარი გაჭრილია ჩრდილოეთის კედელში, რაც იშვიათობას წარმოადგენს ქართულ არქიტექტურაში და იგი განსაკუთრებული გარემოებებით, ჩვენს შემთხვევაში კი ეკლესიის ადგილმდებარეობით არის განპირობებული. სამლოცველოს ინტერიერი წარმოდგენილია ერთიანი დაუნაწევრებელი პატარა სივრცის სახით.

ესბეკის დარბაზული ეკლესიის შიდა სივრცე საკმარისად ნათდება აღმოსავლეთისა და დასავლეთის კარიდან შემოსული შუქით. სამლოცველო თავდაპირველად ცილინდრული კამარით იყო დასრულებული, რომლისგან დღეს არაფერი შემორჩა. ეკლესია ამჟამად ხის ძელებითაა გადახურული.

ესბეკის ხუროთმოძღვრული ანსამბლი ტაო-კლარჯეთის არქიტექტურულ ნაგებობათა მშენებლობის ადრეული პერიოდის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია.

ესბეკის კომპლექსის შესახებ ცნობები სამეცნიერო ლიტერატურაში ძალზე მწირია. მისი მთავარი ნაგებობის აზომვითი სამუშაო განხორციელდა მხოლოდ 1995 წლის ივნის–ივლისში გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისორიის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ მოწყობილი სამეცნიერო ექსპედიციის დროს. უფრო ადრე, 1983 წელს, ესბეკი ინახულა ამერიკაში მოღვაწე ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა, ხელოვნების ისტორისკოსმა პროფესორმა ვახტანგ ჯობაძემ. მაგრამ მან, სხვადასხვა მიზეზების გამო, ვერ მოახერხა სრულად მოეხილა და დაეფიქსირებინა განადგურების გზაზე მყოფი ესბეკის არქიტექტურული ნაშთები. მეცნიერს წარმოდგენილი აქვს მხოლოდ რამდენიმე ფოტოსურათი მთავარი ეკლესიისა და მისი მოკლე აღწერა.

არტანუჯი

არტანუჯის ციხე მდებარეობს თურქეთში, ართვინის პროვინციაში, ისტორიულ მხარე კლარჯეთში, არტანუჯის (Ardanuç) რაიონში, ბაბა არტანუჯში (Ardanuç).



არტანუჯი კლარჯეთის უძველესი ქალაქია. როგორც დასახლებული პუნქტი, ის უკვე ქრისტიანობამდელ ხანაში არსებობდა. კლავდიოს პტოლემაიოსი (ახ.წ. II საუკუნის შუახანი) იხსენიებს იბერიის ქალაქ არტანისას (Artanissa), რაც ძველი არტანუჯი უნდა იყოს. V საუკუნის ბოლოს თუხარისიდან აქ გადმოვიდა ადგილობრივ ერისთავთა რეზიდენცია. ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ გორგასალმა „იხილა კლდე შუა კლარჯეთსა, რომელსა სოფელსა ერქუა არტანუჯი და მოუწოდა არტავაზს, ძუძუმტესა მისსა, და

დაადგინა იგი ერისთავად; და უბრძანა, რათა ააგოს ციხე არტანუჯისა... ხოლო არტავაზ აღაშენა ციხე არტანუჯისა“.

VIII საუკუნეში ციხე, როგორც ჩანს მიტოვებული იყო. 810-იან წლებში ის აღადგინა აშოტ I კურაპალატმა. სუბატ დავითის ძის მიხედვით, „აშოტ კურაპალატმან პოვა კლარჯეთის ტყეთა შინა კლდე ერთი, რომელ პირველ ვახტანგ გორგასალს ციხედ აღეშენა, სახელით არტანუჯი; და აოხრებულ იყო ბალდადელისა მით ყრუობითგან. იგი განაახლა აშოტ და აღაშენა ეგრეთვე ციხედ, და წინა-კერძო მისსა ჭუეშეთ აღაშენა ქალაქი. და აღაშენა ციხესა მას შინა ეკლესია წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი, და შექმნა მას შინა საფლავი თვისი, და დაემკვიდრა ციხესა მას შინა ცხორებად“. ციხის აღდგენას აშოტ კურაპალატის მიერ ადასტურებს გიორგი მერჩულეც. ამის შემდეგ არტანუჯი იქცა აშოტის მემკვიდრეთა სატახტო ქალაქად და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ცენტრად. ამ გარემოებისა და მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო ქალაქი სწრაფად დაწინაურდა. კონსტანტინე პორფიროგენეტის აღწერით, ის მსხვილი სავაჭრო ცენტრი ჩანდა.

IX საუკუნის ბოლოდან არტანუჯი დაუმკვიდრდა აშოტ I-ის უფროსი ძის აღარანასეს შთამომავლებს, რომლებიც „არტანუჯელებად“ მოიხსენიებიან. პირველი, ვინც ეს წოდება მიიღო, იყო ადარნასეს ძე სუმბატ მამფალი (+889წ.). მის შემდეგ არტანუჯს ფლობდნენ მისი ძე, ბაგრატ მამფალი (889-909წწ.) და ბაგრატ მამფალის ძეგურგენი (909-923წწ.). გურგენს გარდაცვალებისას ძე არ ჰყოლია (მისი ძე, ისიც სახელად გურგენი, მამის სიკვდილის შემდეგ დაიბადა) და არტანუჯი მისი ძმის – აშოტის (კონსტანტინე პორფიროგენეტის მიერ კისკასად წოდებულის) ხელში გადავიდა. ამავე დროს კლარჯეთის მთავარი ციხე-ქალაქის დაუფლებას ესწრაფვოდა მისი სიძე (ქალიშვილის ქმარი) – ენერგიული და დაუნდობელი გურგენ ერისთვთ-ერისთავი. მისი შიშით აშოტმა, რომელიც, ეტყობა, მებრძოლი სულით არ გამოირჩეოდა, არტანუჯი ერთხან ბიზანტიის იმპერატორსაც კი გადასცა და ციხეში ბერძენი მხედართმთავრის კონსტანტი პატრიკიოსის სამასკაციანი გარნიზონი შეუშვა. ამას ბაგრატიონთა მხრიდან მძაფრი პროტესტი მოჰყვა და იმპერატორმა გართულებების თავიდან ასარიდებლად რაზმი ციხიდან გაიყვანა. არტანუჯი ისევ აშოტ კისკასს დაუბრუნეს, მაგრამ გურგენმა მალევე წაართვა ის სიმამრს და თავად დაისაკუთრა. 941 წელს გურენი უძეოდ გარდაიცვალა და არტანუჯი დარჩა მის ცოლს, რომელიც ამასთანავე აშოტ კისკასის ასული და კანონიერი მემკვიდრე იყო. მაგრამ ბაგრატიონებმა დაუშვებლად მიიჩნიეს ქალის მიერ ციხის ფლობა, ძალით ჩამოართვეს მას არტანუჯი და აშოტ კისკასისბიძაშვილს, სუმბატ ერისთავთ-ერისთავს (+998წ.) გადასცეს. სუმბატისაგან ციხე მემკვიდრეობით მიიღო მისმა ძემ ბაგრატმა, რომელმაც მამის გარდაცვალების მერე სულ ორმოცი დღე იცოცხლა, და შემდეგ – ბაგრატის ძემ სუმბატმა. 1010 წელს მეფე ბაგრატ III-მ სუმბატ არტანუჯელი ძმასთან ერთად ფანასკერტში დარბაზობაზე მიიწვია და ციხეში გამოამწყვდია. სუმბატის მემკვიდრე კონსტანტინოპოლში გაიქცა, დარჩენილმა კლარჯმა ბაგრტიონებმა პატიმრობაში გალიეს სული. არტანუჯი მეფის საკუთრება გახდა.

ამის შემდეგ არტანუჯმა ნაწილობრივ დაკარგა უწინდელი პოლიტიკური როლი, თუმცა დარჩა მნიშვნელოვან ქალაქად. ის ხშირად იხსენიება XI საუკუნის მოვლენების ამსახველ ქართულ მატიანეებში. 1080 წელს, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, ქალაქი გადაწვეს თურქ-სელჯუკებმა. XIII საუკუნიდან არტანუჯი ათაბაგთა გამგებლობაში იყო. 1553 წელს ათაბაგ ქაიხოსრო II-ს არტანუჯი ერზრუმის მმართველმა ისქანდერ ფაშამ წაართვა.

შუა საუკუნეების ბოლომდე ქალაქის მოსახლეობა, როგორც ჩანს, დიდწილად ქარული იყო. XVII-XVIII საუკუნეებში არტანუჯელი ქართველები ძირითადად გამაჰმადიანდნენ, ნაწილმა კათოლიკობა მიიღო. ამავე ხანებიდან იწყება აქ კათოლიკე სომხების ჩამოსახლება. XIX საუკუნის შუა ხანებში ისინი, სომხურენოვანი რიტის კათოლიკე ქართველებთან ერთად (სტატისტიკა მათ არ ანსხვავებდა), არტანუჯში უკვე აშკარა უმრავლესობას შეადგენდნენ.

XVIII საუკუნეში ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „არს არტანუჯი ქალაქი მცირე და ციხე მაგარი“.

1878 წელს, სან-სტეფანის ზავით, რუსეთმა შეიერთა ოსმალეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი, მათ შორის ტაო-კლარჯეთი.

1918-21 წლებში, ტაო-კლარჯეთი საქართველოს საზღვრებში რჩებოდა. 1921 წელს, საბჭოთა ანექსიის შემდეგ, ყარსის ხელშეკრულების საფუძველზე, სსრკ-მ თურქეთს გადასცა ყოფილი ბათუმის ოლქის სამხრეთ ნაწილი ართვინისა და არდაგანის ოლქები. არტანუჯი თურქეთში მოექცა.

არტანუჯი ახლა ართვინის ოლქს ექვემდებარება, აერთიანებს 50 სოფელს, 50 ათასამდე მოსახლით. დაბა არტანუჯში 6 ათასამდე კაცი ცხოვრობს.

„არტანუჯი და ართვინი განლაგებულნი არიან ისეთ ციცაბო ფერდობებზე, რომ გიკვირს, ნუთუ ასეთ ადგილას შეიძლებოდა ქალაქების განვითარება“, – წერდა 1879 წელს დიმიტრი ბაქრაძე, რომელმაც არტანუჯის ციხე მოინახულა [189]; [190]; [193].

12.3 ჰერეთი

ისტორიული ჰერეთის ერთი ნაწილი უძველესი დროიდანვე ქართველური ტომებით იყო დასახლებული. ახ.წ. აღ-ით I-II საუკუნეებიდან ჰერეთი მტკიცედ იყო გაერთიანებული ქართლის (იბერიის) სახელმწიფოში. III-IV სს-ში ჰერეთი და ჰერები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქართლის (იბერიის) სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ მხარეში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა IV საუკუნის პირველ ნახევარში მეფე მირიანის დროს ქრისტიანობის გავრცელებას. საისტორიო წყაროებში დაცული ცნობებიდან ირკვევა, რომ ნინოს მისიონერული მოღვაწეობის ობიექტთა შორის ერთ-ერთი ძირითადი ჰერეთის ქვეყანა ყოფილა. ჰერეთის ტერიტორიაზე ქრისტიანობის გავრცელების ფაქტი თავის მხრივ დაკავშირებული იყო ქართველი ხალხის კონსოლიდაციასთან. შუა საუკუნეებში რელიგიური ნიშანი, ე. ი. ამა თუ იმ საეკლესიო ორგანიზაციისადმი დაქვემდებარება ერთ-ერთი გადამწყვეტი იყო. მისი მიხედვით განისაზღვრებოდა ინდივიდისა, თუ კოლექტივის შესაბამის ეთნიკურ ჯგუფში მონაწილეობა. ჰერეთის გაქრისტიანების საკითხის შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს ვიმსჯელოთ არა მარტო მათ პოლიტიკურ-კულტურულ ორიენტაციაზე, არამედ ეთნიკურ თვითშეგნებაზეც. ქრისტიანული კულტურის დამნერგავი მთავარი ცენტრი ჰერეთისათვის იყო ქართლი. აქედან მიდიოდნენ მისიონერები, აქედან წარმოებდა ქრისტიანობის პროპაგანდა და სხვა ხელშემწყობი ღონისძიებანი. V საუკუნეში ვახტანგ გორგასლის ეპოქაში ჰერეთი ქართლის სამეფოს ერთ-ერთი საერისთაო იყო. მის სახელთან არის დაკავშირებული ჰერეთში ქალაქების, ეკლესიების, საეპისკოპოსო კათედრების (ბოდბე, ხორნაბუჯი, ბახალათი, ანუ ბახთალო, გიში და სხვა. აგება-დაარსება, და საერთოდ მრავალი დიდი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და კულტურული ღონისძიებების გატარება. ქართულ საისტორიო წყაროებში დაცული ცნობების მიხედვით ვახტანგ გორგასლის დროს, ჰერეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, წუქეთში (თანამედროვე კახის რაიონი) იჯდა მთავარი, რომლის სამფლობელოც წუქეთის გარდა მოიცავდა ხუნძეთს (კავკასიონის მთავარი ქედის გადაღმა მცხოვრები თანამედროვე იმიერკავკასიელი ტომების: ხუნძების, ავარების, წახურების ტერიტორია). ჰერეთი, ვახტანგ გორგასლის ეპოქაში გატარებული სახელმწიფოებრივი რეფორმების პერიოდში, ქართლის სახელმწიფოს უშუალო და ორგანული შემადგენელი ნაწილი იყო. ჰერეთის საეპისკოპოსოები ქართლის კათალიკოსის იურისდიქციას ექვემდებარებოდნენ. ძირითადი ენა იყო ქართული. პოლიტიკურადა ჰერეთი ქართლის შემადგენლობაში შედიოდა. კიდევ უფრო ნიშანდობლივია ცნობები VIII საუკუნის ქართველთა მეფის არჩილის მოღვაწეობის შესახებ. იგი აშენებს ციხე-ქალაქებს (მათ შორის ნუხპატს), ეკლესია-მონასტრებს: კასრი, ყუმის სამ ეკლესიიანი ბაზილიკა, ლექეთის მრგვალი ტაძარი. აწყობს ქვეყანას ადმინისტრაციულად. VIII-IX საუკუნეში წარმოიშვა ქარტული ფეოდალური სამეფო-სამთავროები, რომელთა შორის ერთ-ერთი ჰერეთი იყო. XI საუკუნის ოციან წლებში, კახეთის მეფის კვირიკე III დიდის (1009-1037) დროს დასრულდა ჰერეთ-კახეთის პოლიტიკური შერწყმის პროცესი და წარმოიქმნა ე. წ. „რანთა და კახთა“ სამეფო. თუმცა იგი ისტორიულ წყაროებში კლავაც იხსენიება XV საუკუნის დასასრულამდე. კვირიკე III დიდს მიეწერება „რანთა და კახთა“ სამეფოს ადმინისტრაციული მოწყობა, კერძოდ, მთელი სამეფო დაყოფილ იქნა შვიდ საერისთაოდ (სამი კახეთში და ოთხი ჰერეთში). ჰერეთის საერისთაოებს წარმოადგენდნენ: ხორნაბუჯის, ვეკინის, მაჭის და შტორის. თანამედროვე საინგილოს ტერიტორია ექვემდებარებოდა მაჭის ერისთავს. მემატიანის გადმოცემით, კვირიკე III მაჭის ერისთავს მისცა: „მაჭის წყლის (თანამედროვე მაზიმ-ჩაი) ქვეით და ალაზნის აღმოსავლეთი შაკიხითურთ და ხუნძახითურთ. XII საუკუნის პირველ მეოთხედში, დავით აღმაშენებლის (1089-1125) ხანაში, ჰერეთის ქვეყანა საბოლოოდ ჩამოყალიბდა გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ ფარგლებში. ამიერიდან ვიდრე XV საუკუნემდე ჰერეთი ერთიანი საქართველოს განუყოფელი ნაწილი იყო. იგი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. წერილობით წყაროებში დაცული ცნობების გარდა, ყოველივე ამის ცოცხალი და უტყუარი მოწმეა ისტორიული ჰერეთის ტერიტორიაზე დღემდე შემონახული ტიპიური ქართული ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლები. ქართული ტოპონიმიკა და ქართული ეპიგრაფიკის პრწყინვალე ნიმუშები. XV საუკუნეში ერთიანი ქარტული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ ისტორიული ჰერეთის ტერიტორია კახეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა.

1604 წელს შაჰ-აბას I-მა, კახეთის მეფე ალექსანდრეს (1574-1605) მისი სამეფოს აღმოსავლეთი ნაწილი კაკი გამოსთხოვა და ელისუს სასულთნო ჩამოაყალიბა. სულთნობა გამაჰმადიანებულ ქართველ თავადს ალიბეგ ვახვახიშვილს უბოძა. ამ ტერიტორიის სანაცვლოდ ეერაგმა შაჰმა კახეთის მეფეს სპარსეთში სოფლები მისცა და ჯამაგირი დაუნიშნა. ამით მან კახეთის სამეფოს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პუნქტი წაართვა, რამაც ქართულ სახელმწიფობრიობას საფუძველი შეურყია. XVII საუკუნეში ამ მხარის მთის ძირა სოფლებში მასობრივად ჩამოსახლდნენ დაღესტნის მთიელები. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში აქ საბოლოოდ ჩამოყალიბდა ავარიელი (ჭარის, ბელაქნის, კატეხის, თალას, მუხახის, ჯინიხის) და წახურელი (წახურის, ელისუს, სუვაგილის და ყარადულაკის) ლეკების, ე.წ. თავისუფალი (უბატონო) თემები, რომელთაც ოსმალეთ-ირანის მხარდაჭერით კახეთის სამეფოს ძირძველი ჩრდილო-აღმოსავლეთი მიწა-წყალი დაიპყრეს, ხოლო ადგილობრივი მკვიდრი ქართველი მოსახლეობა დაიმორჩილეს, დააყმევეს და იძულებით გაამაჰმადიანეს. თითოეული ეს თემი თავის მხრივ იყოფოდა გაბატონებულ ლეკთა თავისუფალ სოფლებად და დამორჩილებული ინგილოებისა და მუღალების სოფლებად, რომლებიც იხდიდნენ გადასახადს ამ ე. წ. მფლობელი ტემების სასარგებლოდ. ეს სოფლები წყაროებში იწოდებიან საქეშქელო სოფლებად. (ქეშქელი ერქვა იმ გადასახადს, რომელსაც ინგილოები და მუღალები ლეკთა სასარგებლოდ იხდიდნენ. დამორჩილებულ და დაბეგრილ ქართველ გლეხს ეწოდა „ინგილო“. ტერმინი ინგილოს სხვადასხვა განმარტება არსებობს: ზოგი მეცნიერის აზრით, იგი ახლად მოქცეულს ნიშნავს, ზოგი მოსაზრების თანახმად, იგი მომდინარეობს კახის რაიონის სოფელ ჰენგიანის სახელწოდებიდან. „ენგილა“ სპარსულლად ამოძირკულის, ამოგდებულის შესატყვისია. ამ მოსაზრებებს შორის უდავო ჭეშმარიტება მხოლოდ ის არის, რომ ინგილო ეთნიკური ტერმინი არ არის, ამ ტერმინის გამოყენება ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის მიმართ XVIII საუკუნის ბოლოდან იწყება. როგორც ცნობილია, XIX საუკუნეში მეფის რუსეთმა რამდენჯერმე მოახდინა ზაქათლის ოლქის „საინგილო“ კამერალური აღწერა (1859 წ., 1871წ., 1886წ.). ამ აღწერების მასალების მიხედვით, ყოველი ინგილოური სოფლის გასწვრივ, სპეციალურ გრაფაში გარკვევით არის აღნიშნული: ეროვნება – ქართველი. 1830 წელს მეფის რუსეთმა ჰერეთის ერთი ნაწილი, ჭარ-ბელაქანი დაიმორჩილა. იმავე წელს ელისუს სასულთნო ყმადნაფიცობისა და ხარკის გადახდის პირობით, რუსეთის იმპერიას დაექვემდებარა. 1839 წელს ჰერეთი დაიყო ხუთ სამაღალოდ: ჭარის, თალის, ენისელი, ბელაქნისა და მთის. ელისუს სასულთნო, რომელიც ცალკე პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა, მეექვსე სამაღალო იყო. 1840 წელს ამირკავკასიაში ჩატარებული რეფორმების დროს საინგილოს დასავლეთი ნაწილი ჭარ-ბელაქანი ბელაქნის მაზრის სახით საქართველო – იმერეთის გუბერნიის შემადგენლობაში შევიდა, რომელიც სამ-ჭარის თალის და ენისელის უბნებად დაყვეს. წარის უბანში ჭარისა და ბელაქნის სამაღალოები შევიდა, თალის უბანს თალისა და მთის სამაღალოები მიაკუთვნეს. ენისელის უბანმა ენისელის, მუღალის, ჩაბანელის და ბაზრის საზოგადოებები მოიცვა. საინგილოს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს – ელისუს სასულთნოს, ეს ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა არ შეხებია. 1842 წელს ჭარ-ბელაქანში გაუქმდა სამოქალაქო მმართველობა და ეს მხარე მთლიანად სამხედრო მმართველობას დაემორჩილა. ბელაქნის მაზრა კვლავ ჭარ-ბელაქნის ოკრუგად გადაკეთდა. 1844 წელს ელისულ სასულთნო გააუქმეს და იგი ჭარ-ბელაქნის სამხედრო-სამოქალაქო ოკრუგს შეუერთეს. ამ ორი ადმინისტრაციული ერთეულის გაერთიანების შედეგად შეიქმნა ჭარ-ბელაქნის ოლქი. 1859 წელს ჭარ–ბელაქნის სამხედრო ოლქს კვლავ ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოკრუგი უწოდეს. 1860 წელს ჭარ-ბელაქნის ოკრუგი ზაქათლის ოკრუგად გადაკეთდა. 1883 წელს, როდესაც სამხედრო სახალხო მმართველობა გაუქმდა, ზაქათლის ოკრუგი უშუალოდ კავკასიის მეფისნაცვალს დაექვემდებარა. 1909 წელს ზაქათლის ოკრუგის თბილისის გუბერნიისადმი გადმოცემის საკითხი დაისვა. XIX ს-ის დასასრულს და XX ს-ის დასაწყისში ზაქათლის ოკრუგი გეოგრაფიული, ეკონომიკური, ადმინისტრაციული და ისტორიული თვალსაზრისთ თბილისის შემადგენელ ნაწილად განიხილებოდა, მაგრამ მისი გადმოცემის საკითხი ბოლომდე გაურკვეველი დარჩა. 1921 წელს საბჭოთა რუსთმა ჰერეთის ტერიტორიის ნაწილი აზერბაიჯანს გადასცა. დღეს ჰერეთის ტერიტორია მოიცავს ბელაქნის, ზაქათლისა და კახის რაიონებს.

საქართველოს საეპარქიო ნაწილებიდან ესაზღვრება ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ნეკრესის ეპარქია, ჩრდილო-დასავლეთიდან ბოდბის ეპარქია.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში აღნიშნული ტერიტორია შედიოდა ბოდბის ეპარქიაში. 2009 წლის 30 აპრილის წმინდა სინოდის სხდომის განჩინებით (მე-6 პუნქტი), ჰერეთის მხარე გამოეყო ნეკრესისა და ჰერეთის ეპარქიას და ჰერეთისთვის დაინიშნა ტიტულოვანი ეპისკოპოსი ადგილსამყოფელით ქ. თბილისში.თავიდან ეპარქიას ერქვა დედოფლისწყაროსა და ჰერეთის ეპარქია, ხოლო 2010 წლის

21 დეკემბრის სინოდის სხდომის მიხედვით ეპარქიას დაუბრუნდა თავისი ისტორიული სახელი და ეწოდა ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქია. დღესდღეობით, ეპარქია მოიცავს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტსა და ისტორიული ჰერეთის ტერიტორიას.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის 2015 წლის 12 იანვრის №ბრძანებს შესაბამისად ეპარქიის მმართველად დაინიშნა ეპისკოპოსი დიმიტრი (კაპანაძე).

საკათედრო ტაძარები მდებარეობს ქ. დედოფლისწყაროში და კახში, ხოლო საეპისკოპოსო რეზიდენცია ხორნაბუჯში.

ეპარქიაში მოქმედებს სამი მამათა მონასტერი, 20 ტაძარი.

ამჟამად მიმდინარეობს ორი დედათა მონასტრისა (სოფ.სამრეკლო და სოფ. მირზაანი) და სამი ტაძრის მშენებლობა (სოფ.გამარჯვება, სოფ.ზემო ქედი და სოფ არხილოსკალო).

ჰერეთის (საინგილოს) ტაძრები

ჰერეთის ტაძრების უმეტესი ნაწილი ნანგრევების სახითაა მოღწეული. მათ შესახებ არ არსებობს არაერთარი ეპიგრაფიკული ხასიათის მასალა; არც ლიტერატურულ წყაროებშია ზუსტი ცნობები დაცული გარეშე მტერთა განუწყვეტელი შემოსევების გამო. მათი ნგრევა-აოხრება დაახლოებით ოთხი საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა. ყველა ძეგლი რამდენჯერმე ყოფილა დანგრეული და აღდგენილი ამ დანგრევა-აღდგენაში, ცხადია, ძნელია თარიღისა და ადრინდელი სახის აღდგენა, მაგრამ მიუხედავად ამისა ამ ძეგლების ყოველი ფრაგმენტი თუ რელიეფიანი ცალკეული ქვაც კი, ქართული ხელოვნებისა და არქიტექტურის ენაზე მეტყველებს.

არაა შემონახული არც სამშენებლო წარწერები და არც საიმედო წყაროები. ერთადერთ სარწმუნო მასალას წარმოადგენს არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული ინვენტარი და გამოვლენილი მასალის ხუროთმოძღვრული ანალიზი.

ეს ძეგლები ძირითადად დაუთარიღებელია. დაუთრიღებელია „მადლის ეკლესია“, ან „ნურქილისა“ (ბელაქნის რაიონი). იგი მცირე ბაზილიკური ტიპის ნაგებობაა, მერე მიშენებული სამრეკლოს ჩათვლით; სოფ. ბახთალას ღვთისმშობლის ეკლესია (ზაქათალის რაიონი); წმიდა გიორგის – ქურმუხის ტაძარი (კახის რაიონი); პატარა ალავერდის ტაძარი – კახისთავში; „გიშის ტაძარი“ – გუმბათოვანი მცირე ეკლესია სოფ გიშში (ნუხის რაიონი) და სხვა [191].

მუშაბაშის მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესია



XVII-XIX საუკუნეების მანძილზე ჰერეთის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების გამო ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა გაღატაკებისა და განადგურების პირამდე იყო მისული. ყოველივე ამან გზა გადაუღობა ხალხური შემოქმედების მძლავრ ნაკადს და საერთოდაც კულტურის ყველა დარგი შეაფერხა. თითქმის არაფერი შექმნილა ახალი ხალხურ ხუროთმოძღვრებაში, რომელიც თანდათანობით დაქვეითდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ქვემოთ განხილული ძეგლები ძველი ქართული ხუროთმოძღვრული ფორმებისა და კონსტრუქციული სტრუქტურის შორეული ნიმუშების გამეორებაა, რომლებიც ეროვნულმა შინაგანმა ენერგიამ ინერციით საუკუნეების გრიგალში გამოატარა და დღემდე შემოუნახა ქართული მატერიალური კულტურის ისტორიას.

ჰერეთის ქრისტიანული ძეგლები, ზემოხსენებულ ქარცეცხლიან ეპოქებში შეუმუსრავთ, დროთა მსვლელობაში ქრისტიანობის აღდგენასთან ერთად ზოგიერთი მათგანი განუახლებათ კიდეც, მაგრამ მცირე მოცულობის საყდარ-ეკლესიების უმეტეს ნაწილს ქრისტიანი ქართული მოსახლეობის მოსპობის შემდეგ არ ღირსებია განახლება. ეს მცირე ეკლესია-ტაძრები საუკუნეთა სიღრმეში ისე ჩაძირულან, რომ დღეს მათი ნაშთების მოკვლევაც კი ძნელდება. იმდროინდელ ნანგრევებად ქცეული ძეგლებიდან

ზოგიერთი მაინც იძებნება – ფიფინეთის, მუხახის, კატეხის წყლისა და გიშის წყლის ხეობათა მიდამოებში.

ჰერეთის ძეგლებიდან აღსანიშნავია ქრისტიანული არქიტექტურის ისეთი ნაგებობები, როგორიცაა: ლექართის, ყუმის, ქურმუხის, გიშის, პატარა ალავერდის, კასრის, მადლის, ძეგამის ანუ ბახთალის, ძელიცხოველისა და კიდევ ზოგიერთი სხვა ტაძრები და საყდარ-ეკლესიები.

ლექართის წმ. ნინოს სახელობის სამონასტრო კომპლექსი



ქ. კახიდან ჩრდილოდასავლეთით თოშეტი კილომეტრის დაშორებით მდებარეობს უძველესი ქართული სოფელი – ლექართი, „ანუ უწოდებენ ლეკები ლექეთ“.

გეოგრაფიული სახელი „ლექართი“ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ავტორის მიერ სხვადასხვანაირადაა მოხსენიებული. ქართულ ლიტერატურაში დამკვიდრებულია ლექართი ანუ ლექეთი (მ.ჯანაშვილი, ზ.ედილი, ა. ჩხენკელი, მ. დუმბაძე და სხვ.).

სახელწოდება „ლექართი“ ქართული წარმოშობისაა. ამ სიტყვის ფუძეა ქართული სატომო სახელი „ქართ“. აქედან წარმოსდგება გეოგრაფიული სახელი – საქართველო. ადგილი, სადაც ქართველები ცხოვრობენ, ქართველებით დასახლებული ქვეყანა, სადაც „სა“ არის წინსართი, რომლის სინონიმია მეგრულად „ლე“ (ლესა). ლექართი (ლექართი) ქართველებით დასახლებული ადგილია, ისე როგორც ეს სამეგრელოს ზოგიერთი სოფლის სახელწოდებაშია მოცემული: ლეძაძამე, ლესიჭინე, ლეხაინდრე, ლებარდე და ა.შ. ლექართიც ამგვარი წარმოშობის სახელწოდება უნდა იყოს. წინსართი „ლე“ და სატომო სახელი „ქართი“ ერთ კომპოზიტში გვაძლევს „ლექართს“, რომელსაც გეოგრაფიული სახელის მნიშვნელობა ჰქონია მინიჭებული.

საინტერესოა ვიცოდეთ, რა სახელით იხსენიებოდა აღნიშნული სოფელი და მისივე სახელწოდების ძეგლი ადრინდელ ისტორიულ წერილობით წყაროებში. ამ თვალსაზრისით ფრიად მნიშვნელოვანი ცნობაა დაცული ზემოხსენებული „ოთხთავის“ ე. წ. „ანდერძში“, რომელიც დაწერილი ყოფილა 1310 წელს, ქურმუხის მთავარეპისკოპოსის, კირილე დონაურის განკარგულებით. ზემოხსენებულ წერილობით ძეგლში დასახელებულია ძველი ჰერეთის ქრისტიანული ქართული სოფლების სახელებთან ერთად მათი საყდრები და ტაძრები – დაახლოებით ოცზე მეტი. ეს ტაძრები მოუხილავს საქართველოს პატრიარქს ექვთიმეს, ქრისტიანული სარწმუნოების მდგომარეობის შესამოწმებლად ამის თაობაზე „ანდერძში“ ვკითხულობთ რომ „სანატრელმან მან პატრიარქმან ჩუენმან ექვთიმე, მოვლო საყდარნი“ და ა.შ. სულ ჩამოთვლილია ოცზე მეტი დასახელების სოფელი, მათ შორის ლექართი: „ლექართის“ მოხსენიება ძველ ქართულ სოფელთა შორის ამ დასახლებული ადგილის სიძველეს მოწმობს. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ დაღესტნის ლეკები ამ სოფელს „გურჯების“ სოფელს უწოდებენ, მიუხედავად იმისა, რომ დღეს აქ მხოლოდ ჩამოსახლებული ლეკები მოსახლეობენ.

სოფელ ლექართიდან (ჩრდილოაღმოსავლეთით), სამი კილომეტრის დაშორებით, კავკასიონის მთის ძირას, სამხრეთ დამრეც კალთებს შორის, ერთ-ერთ შედარებით დავაკებულ ადგილზე მდებარეობს ლექართის მონასტერი.

ამ ადგილებს დღევანდელი იქაური მუსლიმანური მოსახლეობა (ლეკები) „ქილისალარს“ ეძახის, რაც მათ ენაზე ეკლესიებს ნიშნავს.

ლექართის მონასტრის არქიტექტურული კომპლექსი ჯერჯერობით კარგად არ არის შესწავლილი, ნანგრევების მიხედვით ვარაუდობენ, რომ სხვადასხვა სახის სამონასტრო დანიშნულების ნაგებობათა შორის ათამდე თუ თორმეტამდე ეკლესია უნდა იყოს, რომელთა დათვალიერებას აძნელებს ბარდ-ეკლებში ჩახვეული ტყე-ჯაგნარის მჭიდრო საფარველი. „მეოცე საუკუნის დამდეგამდე შემოუნახავთ ამ ეკლესიებს ძველი ბრწყინვალების ნიშნები „ჩუქურთმები, წარწერები, მხატვრობა“ რომლებიც დღეს უკვე არ შეიმჩნევიან“.

ლექართის მონასტრის ანსამბლი ძველად გალავნით ყოფილა შემოზღუდული, რომლის ფრაგმენტები და ნანგრევების ნაშთები დღემდე კიდევ არსებობს. ლექართის ნაგებობა თავისი სამონასტრო ცხოვრებით გელათის ანსამბლს მოგვაგონებს იგი შუა საუკუნეებში, შეიძლება ითქვას, აღმოსავლეთ კახეთის სწავლა-განათლების უმნიშვნელოვანეს კერას წარმოადგენდა. მონასტრის კომპლექსი მდებარეობის გამო ორ ჯგუფად იყოფა. მათ ადგილობრივი მოსახლეობა „ქვემო და ზემო ეკლესიებს“ უწოდებს.


ზემო ეკლესიების ნანგრევთა დათვალიერებისას ყურადღებას იქცევს „ერთი დიდი ტაძარი, რომელიც ყველაზე უძველეს და უკეთეს შენობად უნდა ჩაითვალოს. აგებულია ცუდად ნათალი კლდის ქვით; კარგად ნათალი ოთხკუთხა ქვით მხოლოდ კარები და ფანჯრებია ამოყვანილი. თვით ეკლესია ჯვარედინი გეგმითაა აგებული და ადამიანს აკვირვებს თავისი სიმაღლითა და სიდიდით“.

მეორე ტაძარი კი, რომელიც „ქვემო ეკლესიების“ ჯგუფს ეკუთვნის, წმიდა ნინოს სახელზე ყოფილა აგებული; ეს ცნობა მოცემულია 1310 წლის წერილობით ძეგლში (ზემოხსენებული „ოთხთავის“ ანდერძში), სადაც ლექართის ტაძარი მოხსენებულია, როგორც „წმიდისა მოციქულთა სწორისა ნინონსი“.

ლექართის წმიდა ნინოს ტაძარი უძველეს ძეგლთა იმ მცირერიცხოვან კატეგორიას ეკუთვნის, რომლებმაც თავიანთი უნიკალურობით სხვადასხვა დარგის მკვლევართა და მოგზაურთა ყურადღება დიდი ხანია მიიქციეს.

ლექართის წმიდა ნინოს ტაძრის შესახებ პირველი ცნობები სამეცნიერო ლიტერატურაში ალ.ხახანაშვილმა გამოაქვეყნა. მან პირველად ეს ძეგლი მოიხილა 1892-1895 წლებში და ხაზგასმით აქვს აღნიშნული, რომ „ლექართის ეკლესიის გუმბათი“ ჩამონგრეულია და მხოლოდ კედლებია დარჩენილი [191].

ყუმის ბაზილიკა



სოფელ ლექართის ჩრდილო-აღმოსავლეთით დაახლოებით რვა კილომეტრის დაშორებით მდებარეობს ძველი ქართული სოფელი ყუმი (კახის რ-ნი), სადაც უმეტესად ჯანაშვილები ცხოვრობდნენ, მაგრამ შაჰ-აბასის შემოსევის შემდეგ მათი „ხსენებაც ამოვარდნილა“; ამჟამად აქ წახურიდან ჩამოსახლებული ლეკები არიან.

ყუმი ტყის ხეობის ერთ-ერთი ტიპიური სოფელია, ძველად აქ ქართულ მოსახლეობას სამი საყდარი ჰქონია, რომელთა ნანგრევებმა ჩვენ დრომდე მოაღწია. ერთ-ერთი მათგანი, ყველაზე დიდი ე.წ. „ყუმის ბაზილიკა“, შედარებით კარგად დაცული, სოფლის ცენტრშია. იგი მდებარეობს მთის პატარა მდინარე ყუმის წყლის მარცხენა ნაპირზე. დანარჩენი ორი მცირე ზომის ტაძრებს წარმოადგენს, რომელთა ნანგრევების ნაშთები სადღეისოდ არავითარ ინტერესს არ იწვევს.

ყუმის საყდარი საქართველოს პატრიარქის, ექვთიმეს ისტორიულ მოგზაურობაში იხსენიება. აქ ნათქვამია, რომ ყუმის საყდარი „ღვთისმშობლის“ სახელზე ყოფილა აგებული.

ინგილოები ყუმის საყდარს, „ყუმის დედა ღვთისას“ ეძახიან, ისტორიული ჰერეთის მკვლევარი დ.ჯანაშვილი ყუმის საყდარს „მარიამ დედა ღვთისას“ ეკლესიის სახელით იხსენიებს.

სოფელ ყუმის ღვთისმშობლის ტაძრის შესახებ პირველი ცნობები სამეცნიერო ლიტერატურაში ა.ხახანაშვილმა გამოაქვეყნა 1895 წ.

ყუმის დედა ღვთისას ტაძარი სამნავიან ბაზილიკას წარმოადგენს და გეგმის კომპოზიციითა და ხუროთმოძღვრულ-სივრცითი ფორმით ბოლნისისა და ვაზისუბნის ტაძრებს ენათესავება; შეიძლება ითქვას რომ გეგმა ტაძრისა ზემოხსენებული ძეგლების გეგმის კომპოზიციის განმეორებას წარმოადგენს.

ყუმის ტაძარი, VIVII სს. ქართული მონუმენტური არქიტექტურის ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლია.

ქურმუხის წმ. გიორგის სახელობის ტაძარი

ქურმუხის წმიდა გიორგის ტაძარი მდებარეობს რაიონული ცენტრის (ყახის) სამხრეთ-აღმოსავლეთით, მისგან ორი კილომეტრის დაშორებით, ქურმუხის ხეობაში.



ტაძრისკენ მიმავალი მგზავრი ჯერ ქურმუხის ხევისაკენ მიმავალ გზას უნდა გაჰყვეს, რომელიც პირდაპირ მიადგება მდ. ქურმუხზე გადებულ ლითონის ხიდს. გზა მდ. ქურმუხის მარცხენა ნაპირზე მთის კალთებზე მიემართება. რამდენიმე წუთიც და მგზავრის წინაშე მოულოდნელად გადაიშლება დიდებული სანახაობა ბრწყინვალე ძეგლისა.

ტაძრის ადგილი შესანიშნავადაა შერჩეული. ნაგებობის მოცულობა დიდი გემოვნებითაა შეხამებული ლანდშაფტთან.

ტაძარი ნაგებობისა და პეიზაჟის ურთიერთშერწყმის განუმეორებელ ნიმუშს წარმოადგენს იგი ამაყად გადმოჰყურებს მთელს არემარეს.

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ქურმუხის ტაძარი მრავალჯერ ყოფილა აოხრებული და დანგრეული მტრების მიერ, მაგრამ ქართველ ხალხს ასევე მრავალჯერვე აღუდგენია იგი.

ქურმუხის ტაძარი დანგრეული ყოფილა ჯერ კიდევ 1884 წლამდე. როგორც ირკვევა, უკანასკნელად იგი XIX ს-ის ბოლოს აღუდგენიათ. ამის თაობაზე ისტორიამ საინტერესო ცნობები შემოგვინახა: „ახლანდელი ეკლესია აღდგენილია 1894 წელს. მასალა და ნახევარი ფული ხალხმა მისცა ასაშენებლად, ნახევარი ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ. მშვენიერი გუმბათოვანი ეკლესიაა. ხალხი დღესასწაულობს მის დღეობას 10 ნოემბერს“.

აღსანიშნავია, რომ ქურმუხის წმიდა გიორგის ეკლესიას თაყვანს სცემდა არა მარტო ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველობა, არამედ არაქართველი მუსლიმანური მოსახლეობაც. ისინი ამ ადგილს წმიდათაწმიდად მიიჩნევდნენ. ასეა დღესაც.

1968 წლის 10 აპრილს ღამით, ძეგლის მშვენება – კონუსური ფორმის მაღალი გუმბათი სამწუხაროდ, მთლიანად ჩამოინგრა.

გუმბათის აღდგენაზე ზრუნვას ინგილოები იმთავითვე შეუდგნენ. როგორც ირკვევა, ისინი ჯერ თავიანთი სახსრებით აპირებდნენ მის აღდგენას, მაგრამ შემდეგ აზერბაიჯანის ძეგლთა დაცვის მესვეურებმა „აღადგინეს“.

„აღდგენილი“ გუმბათი იმდენად დაბალია რომ შორიდან იგი სრულიად არ იკითხება (არც ჰგავს პირვანდელს), რის გამოც ტაძარი ამჟამად შორიდან თავმორღვეულად (უგუმბათოდ), დასახიჩრებულად გამოიყურება.

იგი აგებულია ე. წ. – კარგარაკის მთის ტყით დაფარულ კლდოვან თხემზე. აქედან ალაზნის ქურმუხის ბარაქიანი ველ-მინდვრებისა და დაბურული ტყის მასივების თვალწარმტაცი სანახაობა იშლება.

აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი მაჰმადიანი და ქრისტიანი ქართველების გადმოცემით, ეს ტაძარი წმიდა გიორგის სახელობის ძველი საყდრის ადგილზეა აგებული და სახელიც აქედან აქვს შემორჩენილი. როგორც ჩანს, ამ ხალხური გადმოცემის ძირი შორეული წარსულიდან მომდინარეობს.

წმიდა გიორგის ძველი საყდარი აგებული ყოფილა უზარმაზარი სიდიდის ერთ მთლიან ლოდზე.

ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ ზ.ედილს დაუთვალიერებია აღნიშნული ძველი საყდრის ნაშთები; როგორც ირკვევა, მაშინ კარგად ჩანდა ძველი ნაგებობის კონტურის კვალი ამაზე მეტყველებს მის მიერ მოცემული ცნობები. ზ.ედილი წერს, ძველი საყდრის სამხრეთის და კედლის ნანგრევები

დღესაც მოჩანსო. ამჟამადაც გამოირჩევა დუღაბში ჩაკირული რამდენიმე დიდი ზომის ქვა, რომელთაც ხალხური გადმოცემა რომ არ არსებობდეს, რა თქმა უნდა, ყურადღებას არავინ მიაქცევდა.

ქურმუხის ტაძრის ხუროთმოძღვრების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში ხელშესახები მასალა არ მოიპოვება. ჯერჯერობით არც ერთ მკვლევარს არ უცდია ამ შესანიშნავი ძეგლის შესწავლა.

ქართულ მატიანეში იგი ცნობილია, როგორც მამათა მონასტერი. XIII საუკუნის დასასრულსა და XIV საუკუნის დამდეგს ქურმუხის მონასტერს ჰყოლია საქართველოს კათოლიკოსს დაქვემდებარებული მთავარეპისკოპოსი, რომლის განმგებლობაში შედიოდა, აგრეთვე, მთიულეთისა და დაღესტნის (წახურის) ეკლესიები.

ქურმუხის ტაძრის გარშემო ტყით დაფარულ ტერასებზე სამონასტრო ცხოვრებისათვის დამახასიათებელ შენობათა ნანგრევების ნაშთები შეინიშნება, მაგრამ ტყეს და ჯაგნარს ისე დაუფარავს ქვები, რომ მისგან გასუფთავების გარეშე ცხადია, რაიმეს თქმა მათ შესახებ შეუძლებელია.

ქურმუხის წმიდა გიორგის ტაძარი შეიძლება XIII ს. დასასრულით და XIV ს. პირველი ნახევრით დათარიღდეს.

ქრისტიანობის გავრცელებამდე საქართველოში გაბატონებული იყო წარმართული სარწმუნოება. ცხადია, ამ სარწმუნოებას ექნებოდა თავისი სამლოცველო ნაგებობები ან კიდევ, ამ რელიგიის მქადაგებელთა, „წმიდა ტახტები“.


როგორც ირკვევა, ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების ხანაში წარმართული დანიშნულების სამლოცველოები, „კერპები“ და „წმიდა ტახტები“ რეკონსტრუქციას განიცდიდნენ, ან მათ ნანგრევებზე ქრისტიანული სამლოცველოები შენდებოდა.

შატბერდის ხელნაწერებში მოხსენიებულია, რომ საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების ხანაში ანგრევდნენ წარმართულ საღვთო შენობებსა და მათ კერპებს; მოთხრობილია აგრეთვე, მათ ნაცვლად ეკლესიათა „აღშენების“ შესახებ („და დალეწეს საკერპონი და აღაშენეს ეკლესიანი“).

ქრისტიანულმა სარწმუნოებამ ზემოხსენებული ტერმინის „წმიდა ტახტის“ ნაცვლად ახალი სახელწოდება შემოიტანა ე.წ. „საყდარი“. ამრიგად, „ტახტი“ და „საყდარი“ ერთმანეთის სინონიმებად იხმარებოდა. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „საყდარი“ არის „ტახტი“, რომელიც შემდეგ საკრებულო ადგილსაც ეწოდებოდა და ამიტომ „საყდარი“ ეწოდა იმ ნაგებობასაც რომელსაც დღევანდელი გაგებით ეკლესიის, ან ტაძრის სახელით ვიცნობთ. ამრიგად, ტერმინი „საყდარი“ შემდეგ „ეკლესიამ“ შეცვალა, რომელიც საბას განმარტებით „შესაკრებელს“ წარმოადგენს.

ბელაქნის რაიონის ჩრდილოეთით ტყით დაფარულ მაღალი მთის კალთებზე დღემდე შემორჩენილია უძველეს ნაგებობათა გაურკვეველი ნაშთები.

XVII ს. დასაწყისამდე საქართველოში კულტურის ყველა დარგი ინტენსიურად ვითარდებოდა, მაგრამ შაჰ-აბასის შემოსევებმა იგი ძალზე შეაფერხა. მან გაანადგურა ხუროთმოძღვრული და სხვა ძეგლების უმეტესი ნაწილი. ამით უნდა აიხსნას ის გარემოებაც, რომ მცირე მოცულობის ეკლესია-საყდრების ნანგრევთა ნაშთები და მათი კვალი საქართველოს არც ერთ მხარეში ისე უხვად არ იძებნება, როგორც ჰერეთის ტერიტორიაზე. ეს განსაკუთრებათ შეინიშნება მთის ზონის ტყით დაბურულ ადგილებში, რაც ამ ადგლების მჭიდრო დასახლებაზე მეტყველებს. ამ უბნებში თითქმის „ყოველ ნაბიჯზე“ შეიძლება წააწყდეს კაცი ეკლესიებისა და უძველეს ნამოსახლარ ადგილთა ნაშთებს.



მონუმენტურ არქიტექტურას, ცხადია, წინ უსწრებს მცირე მოცულობითი ფორმები, რისი ნათელი მაგალითიცაა ჰერეთის პატარ-პატარა ეკლესიებით მოფენილი ტერიტორია [191].

ქოთოქლოს სამების ეკლესია

თითოეულ ეკლესიას საკუთარი სახელწოდება ჰქონია, მაგრამ ამჟამად მათი დადგენა ფრიად ძნელი საქმეა. თითქმის შეუძლებელია ხსენებული ეკლესიების მიკვლევა და მათი მთელი სისრულით აღრიცხვაც, რადგან უმეტესი ნაწილი ფიზიკურად განადგურებულია,

ნაწილი კი ისეა საუკუნეების მანძილზე ჯაგნარითა და ტყით დაფარული, რომ გასუფთავების გარეშე მათი ფიქსირება ვერ ხერხდება.

მაგრამ ისეთი ბედნიერი გამონაკლისებიც გვხვდება, როდესაც ზოგიერთი ეკლესიის სახელი არა თუ მოხსენიებულია წერილობით წყაროებში, არამედ ადგილმდებარეობაც კია მითითებული. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ლ.ამაღალაშვილის „ოთხთავის“ წარწერა (1310 წ.), რომელშიაც მოცემულია მცირე მოცულობის ეკლესიათა სახელწოდებანი, როგორიცაა კასრი სამებისა... ზარი წმიდისა მთავარმოწამისა გიორგისი, ვარდიანი – წმიდისა ჰაბოჲსი, განუხი არჩილისი, გიშ-ნუხი ღვთისმშობლისა, ვარდთაშენი ელიასი და სხვ.

ასევე დიდმნიშვნელოვანია XIX საუკუნის დასასრულს დ.ჯანაშვილის მიერ შესწავლილი მცირე მოცულობის ეკლესიების სახელწოდებანი. როგორც ჩანს, იმხანად ზოგიერთი ეკლესიის სახელწოდება მივიწყებული და დაკარგული ჯერ კიდევ არ ყოფილა.

დავიმოწმებთ რამდენიმე ცნობას, რომლებიც წარმოდგენას გვაძლევენ XIX ს. მიწურულში მცირე მოცულობის ეკლესიების მდგომარეობაზე. ამ პერიოდისათვის ცნობილი იყო შემდეგი სახელწოდების ეკლესია-საყდრები: მაღლის ეკლესია (ნურქილისა) დანგრეულია... სოფ. ვარდიანის ეკლესია... ყოველივე აოხრებულია, თვით ეკლესიაც სრულიად დანგრეულია... სოფ. ნამარნევის დასავლეთით არის პატარა ეკლესია – ნამარნევიდან ერთი კილომეტრის მანძილზე არის მშვენიერი ეკლესია, მთლად აგურით ნაშენი, დახურულია. მას დარბზის ეკლესია ეწოდება. ბელაქნის ახლოს არის ჭანდრის საყდარი – ლეკები უწოდებენ შიმშატ ქილისას. სოფ. ბაზართან (ბახთალა) არის ღვთისმშობლის ეკლესია – დანგრეული. მისი ნანგრევებისაგან ლეკებს სახლი აუგიათ... სოფ. ზარნის თავში ერთ ალაგას, ერთად არის სამი ეკლესია, აქ მრავალი სენაკია დარღვეული. ჩანს, მონასტერი ყოფილა.. სოფ. გიულუგი შესანიშნავი ეკლესიებით, მის პირდაპირ მთაზე მშვენიერს მოვაკებულ ალაგას აგებული ყოფილა დიდი, მშვენიერი ეკლესია თამარ მეფის სახელზე... სოფ. კახ ინგილოში წმიდა ბარბარეს საყდარი სრულიად მოსპობილია. ლურჯი ეკლესია (დანგრეულია), პატარა ალავერდის ეკლესია სოფ. კაკის ბოლოს.. და სხვ.

ზოგიერთი ამ ძეგლთაგანი ახლა სრულიად აღგვილია პირისაგან მიწისა, მაგრამ მათი ნანგრევები წმიდა ადგილებადაა მიჩნეული და შენარჩუნებული აქვს ის სახელი, რაც ამა თუ იმ ეკლესიას ჰქონდა. ამის მაგალითს წარმოადგენს წმიდა ბარბარეს ნასაყდრალი სოფ. კახინგილოში, სადაც აღარაა ნაგებობა. მხოლოდ საძირკვლის ქვები ყრია. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ძეგლის ნანგრევებია შემორჩენილი, მაგრამ მისი სახელი წერილობით წყაროებსა და ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში აღარ დარჩენილა.

მცირე მოცულობის ეკლესიები, როგორც პატარა ნაგებობები, მტერთა ურდოებისთვის ადვილად დასანგრევი და ასაოხრებელი იყო; ამიტომაც ისინი პირველი მსხვერპლნი ხდებოდნენ; მრავალგზის დანგრეული და აღდგენილი ასეთი მცირე ფორმის სალოცავები, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დღესაც საკმაოდ ბევრი შეიძლება მოიძებნოს ჰერეთის ტერიტორიაზე.

ტყით მდიდარ ადგილებში ეკლესიების უმეტესი ნაწილი პირველ ხანებში ხისგან უნდა ყოფილიყო აგებული, რადგანაც ხე აქ ადვილად დასამუშავებელ და ყველაზე ხელმისაწვდომ ადგილობრივ საშენ მასალად ითვლება. უძველეს ხის ეკლესიასა თუ ეკვდერს ჩვენს დრომდე არ მოუღწევია.

ქვეყნის აღორძინებისთანავე ცეცხლისაგან განადგურებულ ხის ეკლესიებს ტრადიციულად იმავე ნახანძრალ ადგილზე აგებდნენ ხოლმე. ხის ეკლესიები თანდათან ქვისგან ნაგებმა ეკლესიებმა შეცვალეს. წესისამებრ, მათ ძველი სახელი რჩებოდათ

გავეცნოთ ამ ტიპიურ, მცირე ფორმის ქრისტიანულ ძეგლებს, რომელთა ნაშთები ჯერჯერობით კვლავ არსებობენ ჰერეთის მიწაზე [191].

ძელი-ცხოველი

მდ. მაწიმის წყლის ხეობაში სოფ. მაწიმის ქვემოთ, მდინარის მარცხენა ნაპირთან დაბურულ ტყეში დგას ერთი პატარა ქვითკირის ეკლესია, „სიპი“ ქვებისაგან აგებული. ადგილობრივი მოსახლეობა მას ძელი-ცხოველს უწოდებს.

ეს სახელწოდება ძელი-ცხოველი უძველესი დროიდან მომდინარეობს (IV-V სს.) იგი ისეთივე ეტიმოლოგიისა და შინაარსისა უნდა იყოს, როგორც „სვეტიცხოველი“. სვეტსა და ძელს აქ ერთნაირი მნიშვნელობა აქვთ მინიჭებული, ხოლო ტერმინი „ძელის ეკლესია“ შედრებთ გვიანი უნდა იყოს.

აღნიშნული ქვის ეკლესიის სახელწოდება ძელი-ცხოველი, ანუ ძელის ეკლესია, ეჭვს გარეშეა, მის ადგილზე ხისგან აგებულ ადრინდელ ეკლესიის არსებობაზე მეტყველებს. ზეპირი გადმოცემებიდანაც


ირკვევა, რომ ძველად დღევანდელი ქვის ეკლესიის ადგილზე ხისგან აგებული ეკლესია მდგარა, რომელიც, ალბათ, მტრის შემოსევის დროს დამწვარა.

ადგილობრივ მცხოვრებთა გადმოცემით, ძელი-ცხოველის შემოგარენში 50-70 სმ. სიღრმიდან მიწის თხრისას ყველგან ნახშარი და ნაცარი ამოდიოდა, რაც ნახანძრალი ადგილის არსებობაზე მიუთითებს.

ძელი-ცხოველის ეკლესიის ზუსტი თარიღის დადგენა მეტად გაძნელებულია, ვინაიდან თვით ძეგლზე ეპიგრაფიკის არავითარი ნიშანი არ მოიპოვება და არც მისი თავგადასავლის ისტორიას შემოუნახავს რაიმე ხელმოსაკიდი საბუთი. ასეთი ტიპის მცირე მოცულობის ეკლესიები საქართველოში გავრცელებული იყო ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარების დროიდან, ვიდრე XIX ს. მეორე ნახევრამდე.

სამშენებლო ტექნიკის მიხედვით ძელი-ცხოველის ეკლესიის თარიღად შეიძლება ვივარაუდოთ XIV-XV სს.

ხალხური გადმოცემით, უკანასკნელად ძელიცხოველი აღდგენილ და განახლებულ იქნა ინგილოების მეორედ გაქრისტიანების პერიოდში, რაც XIX ს. პირველი ნახევრის მიწურულს ემთხვევა [191].



კასრის საყდარი, მისი ნანგრევები მდებარეობს კახში, მის დასავლეთით, საყარაულოს მთის თხემზე; გარშემო ტყე აკრავს, მას კასრის საყდრის მთის სახელითაც იცნობენ. ეს სახელი ეკლესიამ (და ადგილმა) მიიღო დღემდე შემორჩენილი „საყდრის ქვევრისაგან", ანუ „საყდრის კასრისაგან". ამ ქვევრში ინახებოდა კახის მოსახლეობისაგან შემოწირული საზედაშო ღვინო. „დღეს ეს ქვევრი უპატრონოდ არის მიტოვებული და ნახევრად ქვებით ამოვსებული" (ზ. ედილი, საინგილო, 1947, გვ. 161).

საყდრის სამხრეთ აღმოსავლეთთ დაფერდებულ ადგილას, დღესაც კარგად მოჩანს მიწისქვეშა ჩასასვლელი ქვის კიბის რამდენიმე საფეხური, რომელიც დიდი ხანია ჩაქცეულა და ჩახერგილა ღორღითა და დიდი ქვებით.

XIX ს. მიწურულში იგი მოიხსენია ჰერეთის პირველმა ქართველმა მკვლევარმა ალ. ხახანაშვილმა. მისი გადმოცემიდან ირკვევა რომ მიწისქვეშა ჩასასვლელი ზემოდან თაღით ყოფილა გადახურული.

კასრის საყდარი მოხსენიებულია ისტორიულ წყაროებში; ლ. ა. მაღალაშვილის ცნობილი სახარებისთვის მიწერილ „ანდერძში", ირკვევა, რომ კასრის საყდარი წმიდა სამების სახელზე ყოვილა აგებული – „კასრი სამების".


კასრის სამების საყდრის აშენების შესახებ ცნობა მოიპოვება ქართულ მატიანეში. იგი აგებული ყოფილა საქართველოს მეფე არჩილის მიერ (VIII ს.). ჯუანშერის თხზულებაში ვკითხულობთ, რომ არჩილ მეფე „დაჯდა წუქეთს და აღაშენა კასრი და ხევსა ლაკაუსტისასა აღაშენა ციხე". კასრის სამების საყდარი მრავალგზის აოხრებული და აღდგენილი ძეგლია. უკანასკნელად იგი 1912 წ. საკუთარი სახსრებით აღუდგენია მღვდელ მიხეილ ყულოშვილს.

ალ.ხახანაშვილის გადმოცემით, კასრის სამების საყდარი აშენებულთ თეთრი თლილი ქვისაგან, ხოლო ზ.ედილს აღნიშნული აქვს, რომ იგი აშენებულია კლდის ნამტვრევი ქვებისაგან. როგორც ჩანს,

თლილი ქვის პერანგი, რომელსაც ალ. ხახანაშვილი შეესწრო, ზ.ედილის დროს (დაახლ. ნახევარი საუკუნის შემდეგ) აღარ ყოფილა დარჩენილი..

კასრის საყდრის უკანასკნელ განმაახლებელს (მ. ყულოშვილი), იგი ადგილობრივი „ტინის“ ქვებისაგან აღუდგენია. აღდგენიდან 10 წლის შემდეგ აღნიშნული ძეგლი საბოლოოდ დაარბიეს მუსავატელებმა. მისგან დღეს მხოლოდ ნანგრევებიღაა შემორჩენილი. ზ.ედილის ცნობა სწორედ ამ ნანგრევებში დარჩენილ „კლდის ნამტვრევ ქვაზე“ მიუთითებს [191].

ვაჩნაძიანთ მაღლის ეკლესია (ნურქალისა)



მდებარეობს ბელაქნის მახლობლად ლაგოდეხ-კახის მაგისტრალური გზის მარჯვენა მხარეზე, დაახლოებით 5 კილომეტრის დაშორებით. ადგილობრივი მცხოვრებნი მას „ნურ-ქილისას“ ეძახიან. აღნიშნული ძეგლი 1518-1574 წლამდე კარგად ყოფილა შენახული. ამას ადასტურებს ლევან მეფის მეუღლის – თინათინის მიერ შუამთის მონასტრისათვის გაცემული გუჯარი.

სამწუხაროდ, ეს ნახევრად დანგრეული ეკლესია დიდ ველზე უპატრონოდ დგას და ახლო-მახლო სოფლებიდან მორეკილი ნახირისა და მწყემსების სადგომად ქცეულა.

გეგმის კომპოზიცია და საშენი მასალა, რომლითაც იგია აგებული, აშკარად მიუთითებს მშენებლობის ორ პერიოდზე: პირველ პერიოდში აგებული უნდა იყოს თვით ეკლესია, მეორეში – სამრეკლო, წრიული მოხაზულობის აბსიდიანი ბაზილიკური ეკლესია აგებულია დიდი ზომის რიყის ქვებისაგან კირის ხსნარით. შემდგომში ეკლესიის კარიბჭის დასავლეთ კედელზე მიუშენებიათ აგურის სამრეკლო.

მაღლის ეკლესიას გალეკებული ქართველები ახლაც თაყვანს სცემენ. მათი გულშემატკივრობით ეს ძეგლი დღემდე არსებობს. ამ ეკლესიას ძირითადად გალაჯოვები პატრონობენ. ეს გალეკებული ქართველები რევაზ ვაჩნაძის შთამომავალნი არიან. როგორც ხალხური ზეპირი გადმოცემებიდან ირკვევა, სწორედ ამის გამო ეწოდება ამ მცირე ფორმის ქრისტიანულ ძეგლს ვაჩნაძიანთ მაღლის ეკლესია.

საყურადღებოა, რომ მაღლის ეკლესიის მსგავსი ძეგლების არსებობა დამოწმებულია აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა მხარეებში. სახელდობრ, ისტორიული ტაოს მიწა-წყალზე. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს იშხნის ტაძრის გვერდით მდებარე 1006 წელს აგებული ე. წ. „მცირე ეკლესია“.

მშენებლობის მეორე პერიოდს ეკუთვნის დასავლეთით მიშენებული სამრეკლო, რომელიც თანამედროვე კახეთის ტერიტორიაზე გავრცელებული ქართული ხუროთმოძღვრების გვიანი პერიოდის დამახასიათებელი ტიპიური სამრეკლოების განმეორებას წარმოადგენს. სამრეკლოს პირველი სართულის გეგმის კვადრატული მოხაზულობა და მეორე სართულის გეგმის რვაწახნაგოვანი ტიპიური ფანჩატურებისებრი გადაწყვეტა თავისი სიერცობრივი ფორმითა და კონსტრუქციული აგებულებით XII-XIII. უნდა მივაკუთვნოთ, ხოლო მაღლის ეკლესიის მშენებლობის პირველი პერიოდი XI-XII სს. მიჯნას არ უნდა სცილდებოდეს.

პატარა ალავერდი

მდებარეობს კახში. ქართულ წყაროებში მოხსენიებულია კაკის სახელწოდებით, ძველ დროში კახი გვარებად ყოფილა დასახლებული. ეს ტრადიცია დღესაცაა შენარჩუნებული. ყოველ გვარს, ან რამდენიმეს ერთად თავისი საყდარი ჰქონია.

ძველ დროში კახში თორმეტი ეკლესია ყოფილა, რომელთა ნანაგრევები ან ნასაყდრალი ადგილები დღესაც დაცულია. თორმეტი ეკლესიიდან დღემდე შემორჩენილია მხოლოდ სამი – წმ. გიორგის საყდარი „შუაგულ სოფელში“ (კახ-ინგილოში), კასრის საყდარი საყარაულოს მთზე, რომლის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი და „პატარა ალავერდის“ საყდარი კახის ბოლოში, თოფახში.



პატარა ალავერდის საყდარი ხალხური გადმოცემით, „შიდა კახეთის დიდი ალავერდის ძმაა“. ყოველი წლის 14 სექტემბერს (ძველი სტილით), ისე როგორც კახეთში, აქაც იმართება იგივე „დიდი ალავერდობა“, ე. წ. „ალავერდის ხატობა“ ანალოგიური წეს-ჩვეულებით.


პატარა ალავერდის გუმბათიანი ტაძარი აგებულია „ძველი უგუმბათო ბაზილიკური ეკლესიის ადგილზე XIX ს. მიწურულში“. ეს იყო უკანასკნელი ტაძარი ჰერეთის ტერიტორიაზე, რომელიც აღდგენილ იქნა ხალხის მიერ საკუთარი სახსრებით (1888წ.).

ჰერეთში ყველაზე კარგად ეს „პატარა ალავერდია“ დღემდე შემონახული, მაგრამ ამჟამად გუმბათის დაზიანების გამო ძეგლი სავალალო მდგომარეობაშია [191].

გიშის საყდარი

მდებარეობს მდ. გიშის წყლის ხეობაში — სოფ. გიშში, რომელიც ისტორიულ ქ. ნუხიდან (შაქიდან) 4 კილომეტრითაა დაშორებული.

სოფელი გიში მთის ტიპიური სოფელია, იგი გაშენებულია დიდ მაღლობზე. ხოლო საყდარი სოფელ გიშის აღმოსავლეთით ყველაზე ამაღლებულ ადგილზე მდებარეობს. იქიდან იშლება მდინარე გიშისწყლის ხეობის თვალწარმტაცი ბუნების დიადი სანახაობა.



საყდარს გარშემო ქვის დიდი გალავანი ჰქონია შემოვლებული, ნანგრევთა ნაშთები დღესაც საკმაოდაა შემორჩენილი. საყდრისა და გალავნის შემოგარენში სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობათა ნაშთები შეინიშნება.

ქართული საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, რომ გიშის საყდარი ღვთისმშობლის სახელზე ყოფილა აგებული. აღნიშნულ ცნობას ვიმოწმებთ ლ.მაღალაშვილის ზემოხსენებული „ოთხთავის“ მინაწერიდან, სადაც ვკითხულობთ: „პატრიარქმან ჩუენმან ექუთიმე მოიხილა... და მოვლო გიშ-ნუხს ღვთისმშობლისა...“ საყდარნი და სხვანი.

გიში მოხსენიებულია, აგრეთვე დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიერ, რომელიც გადმოგვცემს რომ 1117 წელს დავით აღმაშენებელმა „დაიპყრნა გრიგოლისძენი... და აიღო ციხე გიში“.


ასევე მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის სოფელ გიშისა და მისი საყდრის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი: „გიში არს მთის ძირს, რომელი იყო საერისთაო წუქეთისა და ეკლესია დიდი, გუმბათიანი, და იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ელისენისა, წუქეთისა და შაკიხისა...“ როგორც ჩანს, გიშის ღვთისმშობლის საყდარი ვახუშტის მოხსენიებული აქვს გუმბათოვან დიდ ეკლესიად.

გიშის საყდრის მთელი ნაგებობა და კარვისებური რვაწახნაგოვანი პირამიდული ფორმის გუმბათი დღემდე კარგადაა შემონახული. როგორც ირკვევა, გიშის საყდრის გუმბათი და ზოგიერთი სხვა ელემენტი უკანასკნელად აღდგენილ და გადაკეთებულ იქნა XIX ს. პირველ ნახევარში.

გიშის ღვთისმშობლის ეკლესიის დათარიღება, რა თქმა უნდა, ძნელდება, იმის გამო, რომ ძეგლი რამდენჯერმეა დანგრეული, აღდგენილი და გადაკეთებული. გ. ჩუბინაშვილის აზრით, შესაძლებელია გარჩევა იმ ძლიერ დანგრეული უძველესი ეკლესიის ნაშთების, რომელიც XI ს. აუშენებიათ. გ.ჩუბინაშვილი იქვე შენიშავს, რომ ეს პატარა ეკლესია თავისი უტყვი არქიტექტურით არ შეიძლება მივიღოთ ეპისკოპოსთა იმ კათედრად, რომელიც არსებობდა ჯერ კიდევ VI საუკუნეში, სახელდობრ, „გიშელთა" კათედრად; ასევე მისი აზრით, ეკლესიის შესასვლელი (კარიბჭე) გადაკეთებულია XIX საუკუნის შუა წლებში.

აღნიშნული ნაგებობის დასათარაღებლად უნდა გავითვალისწინოთ ის ისტორიული პროცესები, რომლის მეოხებითაც ძეგლი პერიოდულად განიცდიდა ნგრევასა და აღდგენას. ძეგლის აგებისა და ნგრევა-განახლების პირველ პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს VI-XI სს. ხოლო მეორე პერიოდს ვაკუთვნებთ XVII ს-დან ვიდრე XIX ს. მეორე ნახევრამდე.

ბახთალას ღვთისმშობლის ტაძარი



ზეგამის ღვთისმშობლის ეკლესია მდებარეობს სოფ. ბახთალაში, ყოფილი უძველესი ქალაქის ზეგამის იგივე ბაზრის ნაქალაქარის ტერიტორიაზე (ზაქათალის რაიონი), რაიონული ცენტრიდან სამხრეთით 20-22 კილომეტრის დაშორებით, მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირზე, „იქ, სადაც გაშენებული იყო ქალაქი ბაზარი", იგივე ზეგამი – ჰერეთის უძველესი სავაჭრო ცენტრი.

ადგილობრივი მოსახლეობა ამ ეკლესიას ხშირად ფალდახლოს ტაძარსაც უწოდებდა – „ლეკები ამ ეკლესიას ფერიყალას ეძახიან, რაც თამარის ციხეს ნიშნავს".

სოფ. ბახთალას ღვთისმშობლის ეკლესია მაღალგუმბათოვან, მცირე მოცულობის ეკლესიების ჯგუფს ეკუთვნის. აგებულია კარგად გამომწვარი ქართული აგურისაგან. კახეთის ამ სახის ხუროთმოძღვრული ძეგლებისათვის დამახასიათებელ ყაიდაზე ეკლესიის კედლები მდიდრულად ყოფილა მოხატული, მაგრამ დრომ და ხელყოფამ კედლის მხატვრობა გაანადგურა. საშინლადაა დასახიჩრებული ფრესკები – „თვალები დანის წვერით აქვთ ამოჩიჩქნილი, მაგრამ მაინც ჩანს მირქმა ქრისტესი, მიძინება ღვთისმშობლისა".

ნინოწმიდის ეკლესია



მდებარეობს სოფ. ალიბეგლოს (კახის რაიონი) სამხრეთ-აღმოსავლეთით, სოფლის ბოლოში, ე. წ. ძველ კალოს უბანში. იგი მრავალჯერ ყოფილა დანგრეული და აღდგენილი.

ხალხის მეხსიერებას შემორჩა საინტერესო ცნობა, რომ ნინოწმიდა უკანასკნელად განუახლებია სოფელს თავისი სახსრებით, ჰერეთში ქრისტიანობის მეორედ აღდგენის პერიოდში (1850-55 წწ.).

ალიბეგლოს წმ. ნინოს სახელობის ეკლესია

ნინოწმიდის გუმბათი, სამრეკლო და ორქანობიანი კრამიტის სახურავი შეკეთებულია 1930-32 წწ. მაშინ, როდესაც იგი პირველად გამოყენებულ იქნა საწყობად. სამეურნეო დანიშნულების მინიჭებამ ეს პატარა ეკლესია დანგრევისაგან იხსნა, იგი დღემდე კარგადაა შემონახული.

სოფლის ამ უბანში ეკლესიის ახლოს მოსახლეობენ ყიფიშვალები, რომლებსაც ძველ დროიდანვე მინდობილი ჰქონდათ ნინოწმიდის პატრონობა.

ყიფიშვილების წინაპრებს შიშიანობის დროს დაუალებული ჰქონდათ ეკლესიის განძეულობის გახიზვნა (გადამალვა). ეს ტრადიცია ელიზბარ ყიფიშვილის სახლობას ჩვენს დრომდე გაუგრძელებია; ერთ კიდობანში ჩალაგებული ნინოწმიდის საეკლესიო ნივთები დღესაც ინახება მის ოჯახში – საცხოვრებელი სახლის აყაროში. მათ შორის ყურადღებას იპყრობს შემდეგი ნივთები: თავმომრგვალებული ხის ჩარჩოში ჩასმული წმიდა ნინოს ორი ხატი (ხეზე 37 ხ 50); წმიდა ნინოს გამოსახულება შესრულებული ზეთის ფერებში, წმიდა გიორგის ხატი, რომელიც ჭედურ ნახელავს წარმოადგენს, დაზიანებული სახარება, ვერცხლის გრძელტარიანი საზედაშო კოვზი, ორი ვერცხლის ჯვარი და სხვ. ასეთია არასრული სია ნინოწმიდის საეკლესიო ნივთებისა, რომლებიც მოწიწებისა და თაყვანისცემის ტრადიციას შემოუნახავს ჩვენს დრომდე.

მტერთა შემოსევის დროს, განსაკუთრებით შაჰ-აბასის თავდასხმების ხანაში, ტაძარ-საყდრებიდან საეკლესიო განძეულობის გახიზვნის ტრადიციამ მოსახლეობასა და ცალკეულ ოჯახებში, არალეგალური ქრისტიანული სამლოცველოების, ანუ წმიდა ადგილების მოწყობამ ჰერეთის ტერიტორიაზე ქართული მოსახლეობის ნაწილი იხსნა ეროვნული გადაგვარებისაგან. ქრისტიანობამ ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა.

ერთ-ერთი ასეთი არალეგალური საოჯახო სამლოცველოს არსებობის შესახებ ცნობა პირველად გამოაქვეყნა ალ.ხახანაშვილმა. ეს სამლოცველო სოფ. კახ-ინგილოში (კაკში) ყოფილა გამართული ხუციშვილების ოჯახში, სადაც სხვა საეკლესიო ნივთებს შორის ინახება მეფე ვახტანგ VI-ის მიერ 1709 წ. თბლისში დასტამბული სახარება.

ვინ იცის, კიდევ რამდენი საინტერესო განძია ჰერეთის ტაძრებიდან გამოტანილი და გადამალული (გახიზნული), რომელთა გამოჩენას უნდა მოველოდეთ ტყით დაფარულ ნასახლარ ადგილებსა და გამოქვაბულებში, ან კიდევ ე. წ. „წმიდა ადგილებში“.

კახის წმიდა გიორგის ეკლესია

მდებარეობს სოფ. კახ-ინგილოს ცენტრში, პატარა მდ. კაკისწყლის მარცხენა ნაპირიდან 20-30 მეტრის დაშორებით. იგი კაკის წმიდა გიორგის სახელითაა ცნობილი.



ხალხური წყაროებიდან ირკვევა, რომ ახლანდელი ეკლესია აგებულია წმიდა გიორგის ძველი საყდრის ადგილზე. ამ ეკლესიის გალავნის შიგნით – ეზოში დაახლობით 40-50 წლის წინათაც კი ეყარა წარწერებიანი დიდი ქვები; ხანდაზმული ინგილოები ირწმუნებიან, თურმე, ეს ქვები ძველი საყდრის ნანგრევებიდან გადარჩენილი ქვები იყოო. მათივე გადმოცემით, ამ ქვებს ქრისტიანი მოსახლეობა თაყვანს სცემდა. დღესასწაულების დროს მათზე „წმიდა სანთელს“ ანთებდნენ და იქვე „თეთრსაც“ სწირავდნენ. ხსენებული ქვები ახლა არსად არ იძებნება, არავინ იცის, რა ბედი ეწია მათ და სად გაქრნენ ისინი.

დღევანდელი ეკლესია (ძველი საყდრის ადგილზე) აგებულია, დაახლოებით XVIII ს. პირველ ნახევარში. იგი უკანასკნელად XIX ს. მიწურულში განაახლა ივან-ბაბა ბულულაშვილმა.

წმიდა გიორგის საყდარი ქვის მაღალი გალავნით ყოფილა შემოზღუდული, რომლის ნაშთები დღესაც კარგად შეინიშნება. ჩვენს დრომდე მოაღწია, აგრეთვე, აღნიშნული საყდრის კომპლექსში შემავალმა უძველეს ნაგებობათა ზოგიერთმა ნაშთმა.

ძველი ნეგებობებიდან ყურადღებას იქცევს განცალკევებული სამსართულიანი სამრეკლო, რომელიც რამდენადმე გადაკეთებული და აღდგენილი სახით დღემდეა შემონახული. სამრეკლოს კოშკი აგებულია მდ. ქურმუხის ხევის რიყის დიდი ქვებისაგან კირის ხსნარით, სადაც კამარებისა და გუმბათის სვეტების წყობაში გამოყენებულია, აგრეთვე, კვადრატული მოყვანილობის (22 ხ 22 სმ) აგური.

სამრეკლოს აღმოსავლეთ ფასადზე აგურისა და ქვის წყობის ჩაღრმავებით (ჩაჭრით) გამოსახულია საკმაოდ დიდი ზომის ჯვარი, რომელსაც თითქმის მთელი სართული აქვს დათმობილი [191].

12.4 ლორე


XI საუკუნეში სომხეთმა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა დაკარგა და მხარეებად დაიშალა. აღმოსავლეთ სომხეთი ქართველთა სამეფოს იურისდიქციის ქვეშ მოექცა და მას ქართველ მეფეთა მოხელეები მართავდნენ.

თამარის ეპოქაში აღმოსავლეთ სომხეთის გამგებლობა საქართველოს სამეფო კარს ჩაბარებული ჰქონდა რწმენით გასომხებული ქურთებისთვის – მხარგრძელებისთვის. საერთოდ, მხარგრძელების ძველი გვარეულობა უცნობია და ისტორიაში ისინი ქართული – მხარგრძელების სახელებითაა ცნობილი. როგორც მიღებულია, გვარი არ ითარგმნება, მაგრამ მიუხედავად ამისა, სომხურმა ისტორიოგრაფიამ ხელოვნურად თარგმნა მხარგრძელთა გვარი და უწოდა – ერკაიაბაზუკ. მათ ჩააბარა თამარ მეფემ სომხეთი. ამ ისტორიულ ფაქტს განსხვავებული შეფასება მისცა აკადემიკოსმა

სურენ ერემიანმა და შეეცადა დაესაბუთებინა, თითქოს XII-XIII საუკუნეებში აღმოსავლეთ სომხეთს ჰქონდა სრული სუვერენიტეტი და მისი გამგებელი მხარგრძელები საქართველოს სამეფოსგან დამოუკიდებელ საშინაო და საგარეო პოლიტიკას წარმართავდნენ, რაც ისტორიული წყაროებით არ დასტურდება. ზაქარია და ივანე მხარგრძელები იყვნენ ქართველი მეფის მიერ ამ რეგიონში დანიშნული მოხელეები, რომელთა უფლება-მოვალეობანი ქართული კანონმდებლობით განისაზღვრებოდა.

აქედან გამომდინარე, ქართველ მეფეს შეეძლო ნებისმიერ დროს თავისი შეხედულებისამებრ გადაეწყვიტა მხარგრძელთა ამ პოსტზე ყოფნა-არყოფნის საკითხი. მოკლედ, ასეთია ისტორიული სინამდვილე იმ დროის აღმოსავლეთ სომხეთში. ამ მხარეს ქართულად გოგარენე, სომხურად – გუგარქ ეწოდებოდა და მოიცავდა უძველეს ქართულ ტერიტორიას – ქვემო ქართლს. ამ მიწის პირველი ბინადარი იყო ქართველი ტომი – გუგარები. ქართველი ბოლშევიკების უგერგილობის, უფრო სწორად მათი ანტიეროვნულობის გამო, ამჟამად ეს ძირძველი ქართული ტერიტორია სომხეთის რესპუბლიკის საზღვრებშია მოქცეული.

ახტალის ტაძარი



ახტალის ტაძარი მდინარე დებედის შუაწელთან მდებარეობს. ახტალა სომხურად პღნძაჰანქია, რაც სპილენძის მადანს ნიშნავს. ეს სახელწოდება მოწმობს, რომ ამ მხარეში სპილენძი მუშავდებოდა.

ძველი სომხური ისტორიოგრაფიის მიხედვით, ზაქარია მხარგრძელის ძმამ, ივანე ათაბაგმა მიიღო ქართული, დიოფიზიტური სარწმუნოება და პღნძაჰანქში ააშენა ქართული ქალკედონური მონასტერი (XIII ს.). ამავე მონასტერშია დაკრძალული თავად ივანე ათაბაგი. ტაძარი ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია, რომელმაც დღემდე მოაღწია. იგი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა მინაშენებითა და კარიბჭეებით. ტაძრის ფასადი უხვადაა შემკული. მორთულობის სისტემა დამახასიათებელია XIII საუკუნის დასაწყისისა და შუა წლებისთვის. მხატვრობა რამდენიმე ქრონოლოგიურ ფენას შეიცავს. უძველესი ფენა XIII საუკუნის პირველი ნახევრისაა.

ახტალის მონასტრის საფლავების ქართული წარწერები შედარებით სრულად აღნუსხა და გააანალიზა პ. მურ.ჯიანმა. ლეონ მელიქსეთ-ბეგმა კი ლორე-ტაშირის ქართული ეპიგრაფიკული მასალა ორ კატეგორიად დაყო: სამშენებლო-მემორიალურ და ფრესკულ მხატვრობად. მეცნიერულად

გამართლებულია მისივე მოსაზრება: „რამდენადაც ამ საუკუნეებში (XII-XIII) ქართველებად მიჩნეულნი იყვნენ არა მხოლოდ თვით ქართველები, არამედ ქალკედონი, ე. ი. დიოფიზიტური (ორბუნებიანი) სომეხნი, ამიტომ იგივე ქართული წარწერები სომხური სათანადო ლიტერატურული წყაროების უქონლობის (ანდა სიმცირის) გამო ერთადერთი დამადასტურებელი ფაქტია სომხური ქალკედონიზმის არსებობისა საერთოდ და დასახელებულ საუკუნეებში სომხეთში“.


აღსანიშნავია, რომ ანისის ქართული ეკლესიის შემდეგ ახტალის მონასტერი ყველაზე მნიშვნელოვანი ქალკედონური ცენტრი იყო [192]; [194].

თეკარეული

ძველი სახელია თაიო-ჩარუხი. სოფელ მელრაძორის ახლოს არის ეკლესია, რომელსაც ეწოდება გიურჯიქილისა – ქართველთა ეკლესია. სომხურ წყაროებში ეწოდება აგრეთვე – პლნძაანქს.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი წერს, რომ ამ ეკლესიის „ქართული წარწერები იმის საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ ზაქარიასა და ავაგის დროს კიდევ არაერთი ქალკედონური ეკლესია აშენდა სომხეთში“. მასვე მიაჩნია ეს ქართული მონასტერი XII-XIII საუკუნეების ძეგლად.

ჰუჯაბი



ამ ტაძრის ქართულობის შესახებ არაერთი მეცნიერული ნაშრომი თუ წერილია გამოქვეყნებული. დავინტერესდი, იყო თუ არა ეს ტოპონიმი და შესაბამისად, ტაძარი შეტანილი „სომხეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ტოპონიმთა ლექსიკონში“, რომელიც ამ ათი წლის წინ გამოვიდა ხუთ ტომად ერევანში, სომხურ ენაზე.

ჰუჯაბის შესახებ წერია: „ხუჯაბ-სომხეთის გუგარქის ქვეყანაში, ტაშირის გავარი ამავე სახელის მქონე სოფლის ახლოსაა. ეს ტაძარი აშენებულია XII საუკუნეში. მდებარეობს სომხეთში, კალინინის რაიონის სოფელ პრივოლნოში. ტაძარი აშენებულია ბერძნული არქიტექტურის სტილით. ბუნებრივია, დარჩა ბერძნული ხუროთმოძღვრების ნიშად“.

ჯერ ერთი, ეს „ბერძნული სტილის“ ტაძარი ვინ ააშენა, აღნიშნული არ არის, მეორე – სომხებმა ააშენესო, ვერ თქვეს, მაგრამ ქართველთა ნაამაგარი რომ არის, შეგნებულად დამალეს. კიდევ უფრო სამწუხარო არის ის, რომ ჰუჯაბის დაპატრონების მიზნით, სომხეთის სახელმწიფო საზღვარი 400 მეტრით არის გადმოწეული, რათა ეს სამონასტრო კომპლექსი სომხეთის საზღვრებში მოხვედრილიყო. სინამდვილეში ჰუჯაბი ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლია – სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს ძირძველ ქართულ მიწაზე (ქვემო ქართლი), მარნეულის რაიონში, სოფელ ახქერფის მახლობლად.

საეკლესიო ნაგებობათაგან აღსანიშნავია XIII საუკუნის პირველი ნახევრის ტაძარი. პროპორციებით, დეკორული მორთულობითა და სტილისტური ნიშნებით მიეკუთვნება XII-XIII საუკუნეების მიჯნისა და XIII საუკუნის პირველი ნახევრის ხუროთმოძღვრულ ძეგლთა ჯგუფს (ბეთანია, ქვათახევი, ფიტარეთი, წულრულაშენი, ახტალა). გუმბათის ყელი უხვადაა მოჩუქურთმებული. გარედან შემოსილია ოქროსფერი და ღვინისფერი ქვით. შიგნით მოხატულია. შემორჩენილია ქართული ასომთავრული წარწერების ფრაგმენტები.

ჰნევანქ


ამ ეკლესიას ქართულად **ძელი ჭეშმარიტისა** ეწოდება. ამ სახელწოდებას ორნაირი მნიშვნელობა აქვს. 1. ჰუნე ვანქ – ბერძენთა მონასტერი. 2. ჰუნე ვანქ – ძველი მონასტერი, ქალკედონიანთა საკანის მნიშვნელობით. ვახუშტი ამ მონასტრის შესახებ წერს: „კეალად დასაცილით ამის არს მონასტერი ძელი ჭეშმარიტისა – მშვენიერი, ამ ბერდუკის მდინარესა ზედა, უპყრავთ სომეხთვე“. პროფესორმა კ. ღაფადარიანმა სიტყვა ძელი ძველთან მსგავსების გამო ძველად აღიარა, რაც სომეხმა მეცნიერებმაც არ გაიზიარეს. ეს ცნობა პ. მურადიანმა სათუოდ მიიჩნია და აღნიშნა – ვახუშტი თავის „საქართველოს

გეოგრაფიულ აღწერაში", როცა რომელიმე ეკლესიას, მონასტერს თუ ციხესიმაგრეს აღწერს, გარდა საისტორიო წყაროებისა, ეყრდნობა ხალხის ისტორიულ მეხსიერებას.



გიორგი ჩუბინაშვილს ეს ძეგლი VIII-IX საუკუნეებით აქვს დათარიღებული. ამ ძეგლის დეტალურად განხილვისას ლეონ მელიქსეთ-ბეგი მართებულად დაასკვნის: „ყოველ ეჭვის გარეშეა, რომ ეს ძეგლი თავდაპირველად სომეხ ანტიქალკედონიანთა კერა ყოფილა, შემდეგ კი XII საუკუნიდან ქალკედონიანთა ხელში გადასულა, რის აღმნიშვნელნი არიან XII-XIII სს-ის ქართული ასომთავრული წარწერები მის გარე კედლებზე".

ქობერი



სახელწოდება მიღებულია სომხური ქობარიდან. ფუძე არის ქართული – ქვაბ, რომელსაც ერთვის სომხური აირქვაბი. ე.ი. ქვაბთაქვაბი. როგორც ლეონ მელიქსეთ-ბეგი შენიშნავს, ქვაბთაქვაბი გამართლებულია ამ მონასტრის მდებარეობით. იგი ქვაბში, მღვიმის სიღრმეში მოთავსებული მონასტრის შთაბეჭდილებას ახდენს. ქობის ქართულობა რატომღაც საეჭვოდ მიიჩნია პ. მურადიანმა და სომხურ სიტყვიერებას დაუკავშირა. ეს სიტყვა გამოყენებულია აღარწინის წარწერაშიც. ნიკო მარი ქვაბქობს ქართულიდან სომხურში შესულ სიტყვად მიიჩნევს. მისი აზრით, ეს სესხება მომხდარა სომხური ქალკედონური წრეების მეშვეობით.


სომეხ მეცნიერთაგან ე. ლალიანი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც აღნიშნა, ქობაირში სომხურის გარდა არის ქართული ასომთავრული წარწერები „ქართულ-მესროპიანული ასოებითო". აქ კი სამწუხაროა ის, რომ ე. ლალიანმა გაიმეორა სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული ყალბი მოსაზრება მესროპ მაშტოცის მიერ ქართული ანბანის შექმნის შესახებ. სარგის ჯალალიანცსა და გ. აღაიანს კი ქობაირის ქართული წარწერები ბერძნული ეგონათ და მონასტერს ბერძნულს უწოდებდნენ.

ქობერის ქართული და სომხური ეპიგრაფიკის მეცნიერული შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე ლეონ მელიქსეთ-ბეგმა გამოიტანა მართებული დასკვნა: ქობერის ქართული წარწერები გვხვდება მთელ რიგ შენობებზე (დიდი ეკლესია, ეგვტერი, სამრეკლო-სამარხი), სომხური გვხვდება მხოლოდ და მხოლოდ პატარა ეკლესიაზე. ეს უთუოდ იმის მაჩვენებელია, რომ მონასტერს განუცდია გარდატეხა XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე იმ მხრივ, რომ წინათ ის ყოფილა სომეხთა ანტიქალკედონისტთა სავანე, ხოლო შემდგომ გადაქცეულა სომეხ-ქართველ ქალკედონისტთა სავანედ, რასაც სხვათა შორის, ქართული წარწერების გარდა, ამტკიცებს მთავარი ეკლესიის საკურთხევლის აგებულება ქალკედონისტური რიტუალის მოთხოვნილებისამებრ და აგრეთვე იმავე ეკლესიისა და ეგვტერის კედლის მხატვრობა ქართული ასომთავრული წარწერებითურთ [192].

ოსკეპარი

ვახუშტის რუკის მიხედვით მდებარეობს აღსტაფის ხეობაში, აგებულია XII–XIII საუკუნეებში. ფრესკებზე არის ქართული წარწერებიც.

შაჰნაზირი



ასე ჰქვია სოფელს ლორე-ტაშირში, რომელიც მდებარეობს ყარაღაჯის მთის ჩრდილოეთით და ლორეს ველის დასავლეთით. ვახტანგ VI-ის „დასტურლამალში“ და ვახუშტის რუკაზე კი აბოცის მიდამოშია აღნიშნული. შაჰნაზირში დაცული ერთი ქართული წარწერის საფუძველზე, რომელშიც ნახსენებია „აბოზი“ ანუ, „აბოცი“, ლეონ მელიქსეთ-ბეგი ფიქრობს, რომ ეს სახელწოდება გადმოტანილი უნდა იყოს ყაიყულის აბოციდან აქაური მოსახლეობის ლორე-ტაშირში გადმოსახლების დროს. მეცნიერი არ გამორიცხავს იმასაც, რომ შეიძლება მათ მიერ იყოს აბოციდან გადმოტანილი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები ლორე-ტაშირში. შაჰნაზირსა და მის მიდამოებში დაცულია რამდენიმე ქართული ასომთავრული წარწერა, აგრეთვე – ქანდაკება-ჩუქურთმა ქვაზე, რომლებიც სომეხ კათოლიკებს ჩაუტანებიათ ეკლესიების კედლებში.

ე. წ. ქვემო ეკლესიაში, სამხრეთ შესავლის კარის მარჯვნივ, სარკმელქვეშ არის ცხრასტრიქონიანი ქართული წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია ამ ეკლესიის აღმშენებლები – ოთხი ძმა ბნელაის–ძენი. წარწერას ლეონ მელიქსეთ-ბეგი ათარიღებს 1135 წლით.

პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ პ. მურადიანმა სათუოდ მიიჩნია ბნელაის-ძეთა ქართველობა. ეს დაახლოებით იგივეა, როგორც პროფესორმა მარუთიანმა იშხნის ცნობილი ქართული წარწერის (1032) სომხურ თარგმანში ტაძრის ქართველი ხუროთმოძღვარი იოანე მორჩაიძე გადააქცია სომეხ მორაისცეანად.

ვფიქრობთ, მურადიანს ამგვარი პარალელების საფუძველი არ ჰქონდა, რადგან იქვეა ასეთი სხვა ქართული წარწერა: „ქრისტე შეიწყალე ბნელაი მირიან“.

შაჰნაზირის ახლოს ჯუჯექენდაში, გორაკზე ერთნავიან, ნახევრად დანგრეულ ეკლესიაში ლეონ მელიქსეთ-ბეგმა ნახა ნუსხა-ხუცურით შესრულებული ექვსსტრიქონიანი წარწერა – „სახელითა ღმრთისაითა ესე ჩუენ გორაკელთა, ფიჩოსანთა, დავწერეთ: ვინ უწინა მოკუდეს, ი დღე ჟამი უწირონ ყოველთა“.

ლეონ მელიქსეთ-ბეგი ამ ქართული წარწერის კონკრეტულ თარიღს არ იძლევა. პ. მურადიანს კი იგი მიაჩნია XII-XIV საუკუნეების ნიმუშად. თუ გავიხსენებთ, რომ მეფე ალექსანდრე დიდმა (1390-1442) ლორე სვეტიცხოველს შესწირა, ქალკედონური ეკლესიების მშენებლობა და ქართული ეპიგრაფიკა ბუნებრივ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ ლორე-ტაშირში – ამ უძველეს ქართულ მხარეში. აღნიშნულ წარწერაში საინტერესოა ის ფაქტი, რომ მასში ნახსენები სახელი „ფიჩოსანთა“ კიდევ ერთხელ ადასტურებს – „ქართველ ან საერთოდ ქალკედონელთა ფიჩოსანთა არსებობას, ე.ი. ქართლის (მცხეთის) საკათალიკოსოს დაქვემდებარებულ სამონასტრო აღმშენებლობას ლორე-ტაშირის ამ განაპირა მხარეში“ – აღნიშნავს ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

ქართული ეკლესიის ახლოს 1910 წელს ანისში, გათხრების დროს ნიკო მარმა იპოვა საქართველოს კათალიკოსის, ეპიფანეს ოცსტრიქონიანი ქართული წარწერა. ამ წარწერაში ქართველი კათალიკოსი მიმართავს ანისში მცხოვრებ ქართველებს. რაც შეეხება ამ ქართულ ეკლესიას, აკად. ი. ორბელის აღწერით – იგი არის ბაზილიკური ტიპის მომცრო ზომის საკულტო ნაგებობა. მის სამხრეთის კედელზეა 1329 წლის ქართული წარწერა.

ნიკო მარმა ანისში ნახა აგრეთვე მდიდარი სომხის, ქალკედონიტ ტიგრან ჰონენცის მიერ „ნახევრად ქართული, ნახევრად სომხური, ერთი სიტყვით ქალკედონურ-მართლმადიდებლური გრიგოლ განმანათლებლის სახელობის ეკლესია, რომელიც გადაუკეთებია ტიგრან ჰონენცს 1215 წელს“.


ქართული ეკლესია-მონასტრების, ქართული ეპიგრაფიკის არსებობა ლორე-ტაშირში ფაქტობრივად ადასტურებს, რომ XII-XIII საუკუნეებში ამ მხარეში ქართულ სამოციქულო ეკლესიას თავისი იურიდიული უფლებამოსილება ჰქონდა და შესაბამისად აღასრულებდა მართლმადიდებლურ ღვთისმსახურებას. მის მრევლს შეადგენდნენ როგორც ქართველი, ისე სომეხი ქალკედონიტები. ეს

უკანასკნელნი კი ქართველებად განიხილებოდნენ. ამდენად, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმინდა სინოდის გადაწყვეტილება აგარაკ-ტაშირის ქართული ეპარქიის აღდგენის შესახებ იურიდიულად და ისტორიულად დროული და გამართლებულია.

შესაბამისად, საქართველოს საპატრიარქო უფლებამოსილია, მოითხოვოს სომხეთში არსებული ქართული ეკლესია-მონასტრების გადმოცემა. მართალია, ქართული მრევლი უკვე აღარ არის იქ, მაგრამ ამ სავანეებში შეუძლიათ იღვაწონ ქართველმა ბერ-მონაზვნებმა.

12.5 ქართველთა სავანეები წმიდა მიწაზე

...პირველ ქართველ პილიგრიმად და იერუსალიმის ქართული კოლონიის დამფუძნებლად ქართველი უფლისწული, ბიზანტიაში კარგად ცნობილი საეკლესიო პირი და ფილოსოფოსი, მაიუმის ეპისკოპოსი პეტრე იბერი (412-491) ითვლება. მის მიერ დაფუძნებული პირველი ქართული (ლაზთა) მონასტრის ნანგრევები, უძველესი ქართული წარწერებითურთ, იტალიელი არქეოლოგის ვირჯილიო კორბოს მიერ არის აღმოჩენილი ბეთლემის უდაბნოში. წარწერებში მოხსენიებული არიან, როგორც პეტრე იბერი, ასევე მისი წინაპრებიც, რაც საქართველოში ქრისტიანობის ადრეულ გავრცელებაზე მიუთითებს. ხოლო „ლაზთა მონასტერი“ პეტრე იბერის აღმზრდელის, იოანე ლაზის, პატივსაცემად ეწოდა. პეტრემ ააგო ქართული მონასტერი იერუსალიმშიც, სიონის მთაზე, რომელიც მოგვიანებით იმპერატორ იუსტინიანეს განუახლებია. V საუკუნიდან XVIII საუკუნემდე ქართული კოლონია ერთ-ერთი უძლიერესი იყო იერუსალიმში. ქართველები პალესტინაში 19 მონასტერსა და ეკლესიას ფლობდნენ. ქართული კულტურის, სულიერებისა და მწერლობის უმნიშვნელოვანესი და ამავე დროს, უძველესი საზღვარგარეთული ცენტრი, სადაც VIII-X საუკუნეებში ქართველი ბერები ინტენსიურ საგანმანათლებლო მოღვაწეობას ეწეოდნენ, იყო საბას ლავრა, სადაც მოღვაწეობდნენ ცნობილი ქართველი მწიგნობრები: მარტვილი მონაზონი, სეითი, მაკარ ლეთეთელი, ამონა, ბასილი საბაწმინდელი, არსენი, იოანე ზოსიმე (რომელიც არის გადაწერი მნიშვნელოვანი ქართული ძეგლისა – „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“), სვიმეონ მგალობელი, მიქაელ ჩიხუარელი და სხვები. აქ უნდა იყოს შესრულებული IX საუკუნეში ქართული ოთხთავის საბაწმინდური რედაქცია, რომელიც იხსენიება წმ.გიორგი მთაწმინდლის ცნობილ ანდერძში.



საბას ლავრა, ანუ „საბაწმინდას“ ლავრა, იერუსალიმიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლოებით, 13-15 კილომეტრზე მდებარეობს. მონასტრის დამაარსებელი წმ.საბა განწმენდილი (439-532) წარმოშობით (ისევე, როგორც წმინდა ნინო) კაბადოკიიდან იყო და ქართველებთან მისი ახლო ურთიერთობა გასაკვირი არ უნდა იყოს. ალექსანდრე ხახანაშვილის ცნობით, ბევრ კაბადოკიელს ქართული ენაც კი ესმოდა.

კირილე სკვითოპოლელის ცნობით, როდესაც საბაწმინდის ლავრას ერეტიკოს ორიგენეს მომხრეები დაესხნენ თავს, ბესნი (ასე უწოდებდნენ იერუსალიმში ქართველებს, კერძოდ ლაზებს) იორდანედან მოვიდნენ მონასტრის დასახმარებლად. ერეტიკოსებისგან შევიწროებულმა მართლმადიდებელმა მამებმა დიდი ლავრის ქსენადოქს შეაფარეს თავი. ჰაგიოგრაფი მოგვითხრობს: „მიუიდეს მბრძოლნი იგი დიდითა გულისწყრომითა და უნდა, რაითამცა მამანი წარწყმიდნეს. და ვითარცა ქსენადოქისა კარნი დაიშულნი პოვნეს, სარკუმელნი ქვითა დალეწნეს და შინა მყოფთა მათ ქვითა ესროდეს. და ვითარცა დიდად შეაურვეს მამათა, ერთმან ვინმე, თეოდულოს სახელით, ბესი მონაზონი, შეწყრუდობილთა მათგანი, ამან პოვა ნიჩაბი და აღიღო იგი და ქსენადოქით გამოვიდა. ხოლო მბრძოლნი იგი იყვნეს ვითარ სამას ოდენ, და ამან მარტომან ყოველნი განაბნიენა. ხოლო უხეთქნა არავის, ხოლო ამას უხეთქნეს მათ ქვითა, და დაეცა. და შემდგომად მცირედთა დღეთა აღესრულა“. („მამათა ცხოვრებანი“, თბ., 1975, გვ. 121) წმ. საბა

განწმენდილის ანდერძიდან ჩანს, რომ ქართველებს ლავრაში თავისი ეკლესია ჰქონიათ და ღვთისმსახურებას ქართულ ენაზე აღავლენდნენ. არაბთა ბატონობის დროს მონასტერი არაერთხელ დაარბიეს, მაგრამ მასში სამონასტრო ცხოვრება არ შეწყვეტილა. აქ უაღრესად ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ ქართველები. საბაწმიდის სახელგანთქმულ ლავრაში IX საუკუნეში რამდენიმე წლის განმავლობაში მოსაგრეობდა წმ.ილარიონ ქართველი, XI საუკუნეში კი – წმ. გიორგი – პროხორე, ჯვრის მონასტრის აღმაშენებელი. მონასტერში ქართველთა ნაკადი არც მოგვიანებით შეწყვეტილა: 1567 წელს



აქ იმყოფებოდა ფ.შაქარაშვილი, XVIII – საუკუნის 80-იან წლებში – ი.გედევანიშვილი, 1820 წელს – გ. ავალიშვილი, 1899 წელს – პ. კონჭოშვილი, 1883 წელს – ა. ცაგარელი. შოთა რუსთაველის 800 წლის საიუბილეო დღესასწაულის მზადებისას საბაწმინდას ეწვია ქართველ მოღვაწეთა ჯგუფი ი.რურუას, რეჟისორ გ. პატარაიას და ოპერატორ გ.ძელქაძის შემადგენლობით, რაც ადასტურებს, რომ კომუნისტური რეჟიმის დროსაც კი ქართველების ინტერესი წმინდა მიწისადმი არ განელებულა. ამის ბრწყინვალე მაგალითია არა მარტო სახელოვანი ქართველი მეცნიერების საქმიანობა, არამედ იაბაშიძის შემოქმედებაც, მისი „პალესტინური დღიურები“. X-XI საუკუნეებში ბევრი ქართველი მწიგნობარი ბერი მოღვაწეობდა პალავრაში – ხარიტონის ლავრაში, რომელიც ასევე იერუსალიმთან ახლოს მდებარეობს. ესენი არიან: იოანე საფარელი, პავლე პალავრელი, თეოდორე პალავრელი, გრიგოლ ხარიტონწმიდელი, სტეფანე პალავრელი და სხვ. ქართველი დედები მოღვაწეობდნენ იერუსალიმის დედათა მონასტერში, რომელსაც დერტავი ერქვა. წმინდა მიწაზე განსაკუთრებული ადგილი ქართველების საქმიანობაში და, საერთოდ, საქართველოს ისტორიაში, ჯვრის მონასტერს უკავია.

აღსანიშნავია, რომ ჯვრის მონასტრის აღორძინება და მისი ქართული სამონასტრო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების უდიდეს კერად გადაქცევა დაკავშირებულია საქართველოს „ოქროს ხანასთან“, დავითისა და თამარის ეპოქასთან (XI-XIII სს). საქართველო ახლო აღმოსავლეთის ძლიერ სახელმწიფოდ იქცა და ქართულმა კულტურამ განვითარების მანამდე არნახულ დონეს მიაღწია. ალექსი ტოლსტოის თქმით, „საქართველომ შექმნა რენესანსის ყველა წინაპირობა და შექმნა ჯოტოს დონის ხელოვნების ნიმუშები ორი საუკუნით ჯოტოზე ადრე“. იმავეს ამტკიცებდა დიდი რუსი მეცნიერი ალექსი ლოსევი. შეიქმნა გელათისა და იყალთოს აკადემიები, რომლებიც საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური აზროვნების აღიარებულ კერებად იქცა. გელათის აკადემია იწოდა „მეორე იერუსალიმად“ და „სხვად ათინად“, რადგან შუა საუკუნეების ეს უმნიშვნელოვანესი საღვთისმეტყველო სკოლა თავის წიაღში ამთლიანებდა რწმენასა და მეცნიერებას, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჭეშმარიტ რწმენას და ჭეშმარიტ ცოდნას. ამავე ეპოქაში, რომელსაც „ოქროს ხანა“ ეწოდა, შეიქმნა შოთა რუსთაველის გენიალური ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ქართული მრავალსაუკუნოვანი პოეზიის მწვერვალია. მასში ნათლად იკვეთება მისი ავტორის, შოთა რუსთაველის, უდიდესი საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური განსწავლულობა.


ბაგრატ IV კურაპალატის დროს, 1030-1060 წლებში, ჯვრის მონასტერი აღადგინა წმინდა მამამ, პროხორე ქართველმა (გიორგი შავთელმა), რომელიც იყო დიდი ქართველი განმანათლებელი და ექვთიმე ათონელის მოწაფე. მასთან ერთად მოღვაწეობდნენ იოანე დვალი, მიქაელ დვალი, იოანე შავი და სხვანი. მონასტერში დიდი მთარგმნელობითი მუშაობის პარალელურად იქმნებოდა ორიგინალური ნაწარმოებები, დაიწერა რამოდენიმე ჰაგიოგრაფიული თხზულება და შედგა ჰიმნოგრაფიული კრებულები. ამავე პერიოდს უკავშირდება უდიდესი წიგნსაცავის შექმნაც. იერუსალიმთანაა დაკავშირებული წმიდა მოწამეების, ლუკა იერუსალიმელის და ნიკოლოზ დვალის, მოღვაწეობაც. ჯვაროსნების დროს თითქმის ყველა მართლმადიდებლური მონასტერი კათოლიკების ხელში გადავიდა, თუმცა ჯვრის მონასტერი ქართველებს დარჩათ. არსებობს მოსაზრება, რომ შოთა რუსთაველის ფრესკა XII-XIII საუკუნეების მიჯნაზეა შესრულებული.



მას მიეწერება ჯვრის მონასტრის აღდგენა და მოხატვა. ამგვარი დიდი ღვაწლის გამო მონასტერში მისი აღაპიც დაუწესებიათ. გადმოცემით, ბერად აღკვეცილი გენიალური პოეტი ამავე მონასტერშია დაკრძალული. ერთ-ერთი გავრცელებული მოსაზრების მიხედვით, თამარის საფლავიც აქ უნდა იყოს. ასეთი ვერსიის საფუძველს იძლევა ერთი საინტერესო წერილი, რომელიც გასული საუკუნის დასაწყისში აღმოუჩენიათ საფრანგეთის არქივებში. აი, რას წერს კათოლიკე მთავარეპისკოპოსს ჯვაროსანი რაინდი დებუა იერუსალიმიდან: „ჯერ ყურმოკვრით შევიტყვე, ხოლო შემდეგ სარწმუნო ელჩების მეშვეობით დანამდვილებით შევამოწმე, რომ იბერიელი ქრისტიანების, რომელნიც გეორგიანებად (ქართველებად) იწოდებიან, დიდძალმა ცხენოსანმა და ქვეითმა ჯარმა, ღვთის შემწეობით აღფრთოვანებულმა და ძალზედ კარგად შეიარაღებულმა, გამოილაშქრა ურწმუნო წარმართების წინააღმდეგ, სწრაფად დაჰკრა მათ და უკვეაილო სამასი ციხე და ცხრა დიდი ქალაქი, რომელთაგანაც ძლიერნი დაიპყრო, ხოლო სუსტნი ნაცარტუტად აქცია. ზემოაღნიშნული ჯარი მოეშურება, რათა გაათავისუფლოს იერუსალიმის წმინდა მიწა-წყალი და დაიპყროს წარმართთა მთელი სამყარო. მათი წარჩინებული მეფე 16 წლის ჭაბუკია. იგი ალექსანდრე მაკედონელს ჰგავს ვაჟკაცობით და სათნოებით, მაგრამ არა სარწმუნოებით. ამ ჭაბუკს თან მოაქვს ძვლები თავისი დედისა, უძლიერესი მეფის თამარისა, რომელსაც თავის დროზე იერუსალიმს წამოსვლის აღთქმა დაუდვია და უთხოვია შვილისათვის, თუ აღთქმის ასრულება არ დამცალდეს, ჩემი ძვლები ქრისტეს საფლავზე წაიღეო. შვილს არ დავიწყებია დედის თხოვნა და გადაუწყვეტია, წმინდა ქალაქში გადმოიტანოს დედის ნეშტი, მიუხედავად იმისა, მოისურვებენ ამას წარმართნი თუ არა“. ლაშა-გიორგის (1213-1222) ეს ლაშქრობა სხვა მასალებით ჯერჯერობით არ დასტურდება, მაგრამ სავსებით მართებულად ასახავს დავით აღმაშენებლის მიერ გაძლიერებულ საქართველოს როლს მთელ ახლო აღმოსავლეთში. შემთხვევითი არ არის, რომ მემატიანე დავით აღმაშენებელს უწოდებს მესიის მახვილს და ქრისტიანობის დამცველს. 1244 წელს ჯვაროსნებმა საბოლოოდ დაკარგეს იერუსალიმი. სანამ საქართველო ძლიერი იყო, იგი ქრისტიანობის დამცველად გვევლინებოდა ახლო აღმოსავლეთში. იმ ეპოქაში მცხოვრები ერთ-ერთი კათოლიკე ეპისკოპოსის, ვიტრიუსის, ცნობით, „ცხოვრობს აღმოსავლეთში ქრისტიანი ხალხი – ომის მოყვარული და ბრძოლაში გამოცდილი. მას ჰყავს უამრავი მებრძოლი, მეტად დაშინებული ჰყავს სარკინოზნი და თავდასხმების დროს დიდ ზარალს აყენებს სპარსელებს, მიდიელებსა და ასურელებს, რომელთა სიახლოვესაც ცხოვრობს, ვინაიდან გარშემორტყმულია ურჯულოებით, მათ ეწოდებათ ქართველები. როდესაც ისინი მიდიან ქრისტეს საფლავის თავყანისსაცემად, წმინდა ქალაქში შედიან გაშლილი დროშებით, ბაჟის გადახდის გარეშე, რაც შეეხება სარკინოზებს, ისინი ვერ ბედავენ მათს შეწუხებას, რათა უკან დაბრუნებისას ქართველებმა ჯავრი არ იყაროონ მათ მეზობლად მცხოვრებ სარკინოზებზე. ქართველები ძალიან აღშფოთებულნი არიან და ემუქრებიან კორადინუსს, დამასკოს პრინცს, იმის გამო, რომ მან განიზრახა იმათი სურვილის გარეშე იერუსალიმის კედლის დანგრევა. მაშინ, როდესაც ლათინნი დამიეტას იღებდნენ“. (მ.თამარაშვილი „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“, თბ., 1995, გვ. 474.) საქართველოს დასუსტებასთან ერთად სუსტდებოდა მისი პოზიციებიც წმინდა მიწაზე. 1273 წელს, მამლუქი სულთნების დროს, ჯვრის მონასტერი მეჩეთად გადაკეთდა და ქართველი ბერები მონასტრიდან გააძევეს. მონასტრის წინამძღვარი, „ჯვრის მამა“, წმ.ლუკა იერუსალიმელი, აწამეს და თავი მოჰკვეთეს. აღშფოთებულმა ქართველებმა, მონღოლთა ლაშქარში ყოფნისას, როდესაც მონღოლები ეგვიპტელ სულთანს ეომებოდნენ, ბრძოლით სცადეს მონასტრის დაბრუნება, მაგრამ უშედეგოდ. მხოლოდ დიპლომატიური მოლაპარაკებების გზით მოახერხა მეფე დავით VIII-მ მონასტრის დაბრუნება და აღდგენა. ამიტომაც მოიხსენიება ის მონასტრის აღაპში მის აღმშენებლად. 1314 წელს დამასკოში ეწამა ჯვრის მონასტრის ბერი, წმ. ნიკოლოზ დვალი. ძველი დიდება კიდევ დიდი ხნის მანძილზე მოჰყვებოდათ ქართველებს წმინდა მიწაზე. სულთანმა არა მარტო დაუბრუნა ქართველებს ჯვრის მონასტერი, არამედ ჯვაროსნების გაძევების შემდეგ მხოლოდ მათ მისცა


უფლება დაეცვათ უფლის საფლავი. ამაზე დიდი პატივი ერს არ ღირსებია. ათწლეულების მანძილზე მხოლოდ ქართველი ბერები რჩებოდნენ ღამე უფლის საფლავის ტაძარში, მხოლოდ ქართველები აღავლენდნენ წირვა-ლოცვას უფლის საფლავზე, მათ ეპყრათ უფლის საფლავის სამლოცველოს გასაღები და ეკუთვნოდათ გოლგოთა. როდესაც ქრისტიანობის უდიდეს სიწმინდეს, მაცხოვრის საფლავს, უახლოვდებით და, მითუმეტეს, როდესაც წმინდა ცეცხლის გარდამოსვლას ვესწრებით, უნდა გვახსოვდეს, რომ უფლის წყალობით ამ წმინდა ადგილს ჩვენი წინაპრები ფლობდნენ და იცავდნენ.

400 წელს იერუსალიმი და ჯვრის მონასტერი თემურ ლენგს აუოხრებია. 1454 წელს ბიზანტიის დაცემით ქრისტიანთა და მათ შორის – ქართველთა მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. თუმცა დროდადრო ქართველების გავლენა იზრდებოდა. 1525 წელს აღდგა ქართველთა უფლება გოლგოთაზე, ბეთლემსა და ჯვრის მონასტერზე, ასევე ყველა ის პრივილეგია, რაც ქართველებს გააჩნდათ იერუსალიმში. ამ დროს ჯვრის მონასტერში მოღვაწეობდა ვინმე ჩოლოყაშვილი, რომელმაც ლათინებისა და სომხების მიერ მიტაცებული საკუთრების დაბრუნებასთან ერთად მონასტერში საგანმანათლებლო საქმიანობაც აღადგინა. უდიდესი წვლილი შეიტანა ჯვრის მონასტრისა და ქართველთა კოლონიის საქმიანობაში „ჯვრის მამამ", ანუ მონასტრის წინამძღვარმა, ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმაც. მაგრამ, საბოლოოდ, ქართველებმა ვერ გაუძლეს გაჭირვებასა და იმ დიდ გადასახადებს, რომლებიც თურქებმა ქრისტიანებისთვის დააწესეს. მაღალი გადასახადების გამო, იერუსალიმის ბერძენმა პატრიარქებმაც კი პატრიარქის რეზიდენცია კონსტანტინოპოლში გადაიტანეს და კონსტანტინოპოლის პატრიარქს შეეკედლნენ. სომხებს იერუსალიმში თავიანთი დიასპორა ჰქონდათ, მათ შორის იყვნენ ვაჭრები, ხელოსნები, შეძლებული ხალხი. ისინი სომხურ-მონოფიზიტურ ეკლესიას ეხმარებოდნენ და ამიტომ გადასახადების გადახდა შეძლეს.





ლათინებსა და ბერძენ მართლმადიდებლებს როგორც მათი ადგილობრივი მრევლი, ასევე რომი და კონსტანტინოპოლის ეპარქია ეხმარებოდა. ქართველ ბერებს მხოლოდ სამშობლოდან დახმარების იმედი ჰქონდათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველთვის ვერ ხერხდებოდა დახმარების გაწევა ქართველი ბერებისთვის. ამიტომ იერუსალიმელი ქართველები თანდათან იძულებულნი გახდნენ, მონასტრებისა და ეკლესიების ქონება დაეგირავებინათ.




ეს ქონება საუკუნეების მანძილზე მთლიანად ბერძნების, სომხებისა და ლათინების ხელში გადაიდა. რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს მიერთებას, ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას შედეგად მოჰყვა იერუსალიმთან კავშირის გაწყვეტა და წმინდა მიწაზე არსებული ქართული სავანეების საბოლოოდ დაკარგვა. უფლის წყალობით, დღეს ამ კავშირების თანდათანობითი აღდგენა ხდება [195]; [196].

12.6 სინაის მთა წმინდა ეკატერინეს მონასტერი

სინის მთა (სინას ან სინაის მთა) ქართველთა უშორესი სამოღვაწეო პუნქტია ახლო აღმოსავლეთში. იგი აღმართულია ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში, იქვეა სხვა მთებიც ეპისტიმიისი, ზერბალისა, ეკატერინესი და სხვა.

სინისა და ეპისტიმიის მთებს შუა პლატოზე, უფრო ზუსტად სინის მთის კალთაზე 1528 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს ეკატერინეს მონასტერი, რომელმაც მრავალი მოღვაწე მიიზიდა. მიუხედავად იმისა, რომ სინის მთის ბუნება ერთობ მკაცრია ბევრი ქრისტიანი იქაურობას აფარებდა თავს და არ უფრთხოდა არც ბუნების კლიმატურ სისასტიკეს და არც არაბი ბედუინების ძალადობას, ამის ახსნა ადვილია, ბიბლიური გადმოცემით სინის მთა წმინდა ადგილი იყო, იქ თითქოს ღმერთი გამოეცხადა ებრაელთა წინამძღვარს მოსე წიასწარმეტყველს.

ახ. წ. ა.-ის მე-2 საუკუნის დასაწყისში, როცა ნაბათეას სამეფო დაიპყრეს რომაელებმა. რეგიონი დაცარიელდა და სინას უდაბური ტერიტორია ქრისტიანი ბერებისთვის საინტერესო გახდა, რადგან ეძებდნენ ამქვეყნიური სამყაროსგან მოწყვეტილ საცხოვრებელს. ახ. წ. ა.-ის მე-4 საუკუნის პირველ ნახევარში დედოფალმა ელენემ, კონსტანტინეს დედამ, ბრძანა სალოცავის აშენება იქ, სადაც გადმოცემით მოსემ ცეცხლოვანი მაყვლის ბუჩქი დაინახა. ეკლესია, რომელიც ღვთისმშობელ მარიამს ეძღვნებოდა, ეხლა მონასტრის უწმინდეს ნაწილად ითვლება.



ახ. წ. ა.-ის მე-4 საუკუნის მეორე ნახევარში რომაელთა დაცემის გამო უკანონობა დამყარდა რეგიონში და მონასტრის ბერებმა დახმარებისთვის ბიზანტიის იმპერატორს მიმართა. ახ. წ. ა.-ის მ-6 საუკუნისას ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანე I-ის ბრძანებით კედელი აშენდა სალოცავის გარშემო. ამასთან ერთად, იუსტინიანე I-ის ბრძანებით აშენდა ფერისცვალების ეკლესია, რომელიც ახ. წ. ა.-ის 560 წელს დამთავრდა. იუსტინიანემ, დედოფალი ელენესავით, გადაწყვიტა ნაგებობა მიეძღვნა ღვთისმშობელი მარიამისთვის.

თავდაპირველად მონასტერი ღვთისმშობელი მარიამის სახელობის იყო, მონასტერი შემდგომ წმინდა ეკატერინეს სახელობის გახდა.

გადმოცემის თანახმად წმინდა ეკატერინე აწამეს ახ. წ. ა.-ის 307 წელს რომის იმპერატორის მაქსიმინეს ბრძანებით. ის ცემეს და ბორბალზე გააკვრეს, რადგან უარი განაცხადა ქრისტიანობის

უარყოფაზე. იგი წამებას გადაურჩა და შემდგომ იმპერატორის ბრძანებით თავი მოჰკვეთეს. მისმა სხეულმა, ანგელოზთა დახმარებით, სასწაულებრივად გადაინაცვლა სინას მთაზე. ჩვ. წ. ა.-ის მე-10 საუკუნეში მისი თავი და ხელები მიიტანეს მონასტერში შესანახად, სადაც ის ძვირფასი რელიქვია გახდა. სხვა წყაროების მიხედვით წმინდანის სხეული ბერებმა აღმოაჩინეს და მონასტერში მიიტანეს. ამის შემდგომ წმინდა ეკატერინეს სახელობის მონასტერი პილიგრიმთა სალოცავი ცენტრი გახდა.

ქართველი მოწესეები კვლი სინის მთაზე VI საუკუნიდან ჩანან. ქართული კოლონია კი მოგვიანებით, IX საუკუნიდან ჩამოყალიბდა, როცა არაბთა თავდასხმებით შეწუხებულმა ჩვენმა წინაპრებმა ნაწილობრივ დატოვეს პალესტინის სავანეები საბაწმინდა, პალავრა და შორეულ მხარეს შედარებით საიმედო თავშესაფარს მიაშურეს და სინის მთაზე დამკვიდრდნენ, რომელიც „ვითარცა შორეული პუნქტი არაბთა ძალმომრეობას იმდენად არ განიცდიდა“.

ქართველებმა სინის მთის მონასტრის ტერიტორიაზე საკუთარი ტაძრები ააგეს და დაუცხრომელ მოღვაწეობას შეუდგნენ. ერთ-ერთი ქართული ტაძრის აგება დავით აღმაშენებლის სახელს უკავშირდება, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ არსებული ქართული სავანეების აღმშენებლობაში. სინის მთაზე ტაძრების მშენებლობას საქართველოსთვის არა მარტო სარწმუნოებრივი, არამედ დიდი პოლიტიკური და კულტურული მნიშვნელობაც ჰქონდა. სინის მთაზე მოღვაწე ქართველი ბერები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული სამშობლოსთან. სინის მონასტერს ჰქონდა მეტოქი თბილისში და მამულები ქართლში.


სინის მონასტერში ქართველ მამებს საკუთარი უმდიდრესი და მრავალფეროვანი წიგნთსაცავი ჰქონდათ თავისი კატალოგით, ანუ წიგნებისა და ხელნაწერების ნუსხით. წიგნთსაცავში საგანგებო ოთახი იყო გამოყოფილი სამკითხველო დარბაზისათვის. იქ მსურველს შეეძლო ესარგებლა წიგნებით, მაგრამ მათი გატანა აკრძალული იყო. სინის მთის ქართული წიგნთსაცავი მხოლოდ ადგილზე შექმნილი და გადაწერილი წიგნებით არ მდიდრდებოდა, მას გამუდმებით ემატებოდა წიგნები პალესტინის ქართული კერებიდან: იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან, გეთსიმანიიდან, გოლგოთიდან, პალავრიდან, საბაწმიდიდან და ა.შ. სინის მთის ქართულ ხელნაწერთა დიდი ნაწილი დღესაც ადგილზეა, ნაწილი კი ინახება თბილისში, პეტერბურგში, პრაღაში, ნიუ-იორკში, პარიზში და სხვა კერძო კოლექციებში [199].

სინის მთაზე მოღვაწეობდნენ არა მარტო კალიგრაფიისა თუ ხელნაწერთა დამზადების მცოდნე ქართველი მამები, არამედ ისტორიკოს-თეოლოგებიც. უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ჰიმნოგრაფიის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს იოანე მინჩხს. მოგვიანებით საბაწმიდის ლავრიდან სინის მთაზე გადავიდა და იქ სასულიერო-ლიტერატურული მოღვაწეობა განაგრძო იოანე ზოსიმემ. სინის მთაზე იღვწოდნენ მიქაელ ფანასკერტელი, იოანე კუმურდოელი, იოანე სინელი, მიქაელ კათამონელი, კვირიკე მიძნაძორელი, ეზრა ქობულიანისძე და სხვ.

სინის მთის ქართველ მამებს კავშირი ჰქონდათ არაბულ-ქრისტიანულ სამყაროსთან. იქაურ ხელნაწერებში შემონახულია არაბული დამწერლობის კვალი. როგორც ჩანს, არაბულ სამყაროში მოხვედრილმა ქართველებმა შეისწავლეს არაბული ენა. ჩვენამდე მოღწეულია არაბული ანბანი ქართველთათვის, თითოეული არაბული ასო განმარტებულია, ახსნილია ქართული შესატყვისით.

ქართველი მოღვაწენი სინას მთაზე XV საუკუნიდან აღარ ჩანან. მაჰმადიანთა მომძლავრების, საქართველოში პოლიტიკურ-ეკუნომიკური დაუძლურების გამო სამშობლოდან დახმარებამ იკლო, ქართული კოლონია დასუსტდა, მამებმა სხვა სამწიგნობრო სკოლებს მიაშურეს, საბოლოოდ კი სინას მთზე ქართული სათვისტომო საერთოდ გაქრა. მიუხედავად ამისა მომდევნო საუკუნეებში რამდენიმე ქართველი მოღვაწე მაინც ჩანს წმინდა მთაზე [197]; [198]; [199].

სინას მთის ხელნაწერები



ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კოლექცია ინახება სინას მთაზე, წმინდა ეკატერინეს სახელობის მონასტრის წიგნთსაცავში.

სინას მთაზე ერთ-ერთი ძველი მწიგნობარი, ბასილ მჩხრეკელი სიამაყის გრძნობით აღნიშნავდა: „მონასტერნი სავსენია წიგნითა და არა სადა უწყი ნაკლულევანი“. სინას მთაზე ამჟამად 100-ზე მეტი ქართული ხელნაწერი ინახება. მათ შორის ყველაზე ადრინდელია „სინური მრავალთავი“ (864 წ.).

სინას მთაზე დაცულია ქართული ენისა და ქართული კულტურის ისტორიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი ძეგლები: ოთხთავის ხელნაწერები, ლექციონარი, აგიოგრაფიული კრებული, ეფრემ ასურის ქადაგებანი, საგალობელთა შემცველი ხელნაწერები, პარაკლიტონები და სხვ.

აღსანიშნავია, რომ აქ დაცული ხელნაწერების უმეტესი ნაწილი X საუკუნით თარიღდება, რაც თავისთავად მიუთითებს მათ მნიშვნელობაზე. ამჟამად აქ ინახება იერუსალიმის ჯვრის მონასტერში, გეთსამანიაში, კაპპათაში, გოლგოთაზე, კალიპოსში, საბაწმიდის ლავრასა და ქართველთა სხვა მწიგნობრულ ცენტრებში თარგმნილი და გადაწერილი თხზულებანი, აგრეთვე ის ხელნაწერები, რომლებიც ქართული კულტურის დიდი მოღვაწის იოანე ზოსიმეს მიერ არის გადაწერილი ან ნარედაქციევი.

მართალია აქ რამდენჯერმე მოეწყო სამეცნიერო ექსპედიცია, მაგრამ, ქართული კულტურის ამ უდიდესი და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კერის, სინის მთის, ქართველ მამათა მემკვიდრეობა მრავალ მიზეზთა გამო დღესდღეისობით სათანადოდ არ არის შესწავლილი [199].

12.7 აგიაპანტი

ქართული მონასტერი ბიზანტიაში, ქ. კონსტანტინოპოლში (ახლანდელი სტამბოლი). ქართველები **„ყოველთა მონასტერს“** უწოდებდნენ. XI საუკუნის II მეოთხედში ბიზანტიის ხელისუფლებამ ქართველ ეპისკოპოსს ზაქარიაბანელს უბოძა. 1030 ამ მონასტერშია გადაწერილი ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი მაქსიმე აღმსარებლისა და გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებანი.

12.8 ღალიას მონასტერი

ღალიას ღვთისმშობლის (პანაგია ხრისოიალიოტისა) მონასტერი მდებარეობს კვიპროსის რესპუბლიკის პაფოსის ეპარქიაში, კუნძულის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში, ხრისოხუს ყურის სანაპიროდან აღმოსავლეთით 9 კმ მანძილზე, მთაში, სოფელ იალიას (გიალია) ზემოთ 5 კმ-ში ტყიან გორაკზე.

კვიპროსი უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა. ჯერ კიდევ I საუკუნეში აქ ქრისტიანობა იქადაგეს მოციქულებმა ბარნაბამ და პავლემ. ბარნაბა მოციქულის წმინდა საფლავი დღეს კვიპროსში მდებარეობს, მაგრამ, სამწუხაროდ, თურქების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზეა მოქცეული. აქ განისვენებენ მოციქული ბარნაბა და ოთხი დღის მკვდრეთით აღდგომილი ლაზარე, რომელის საფლავიც კვიპროსის ერთ-ერთ დიდ ქალაქში – ლარნაკაში გახლავთ.

თავისებური მდებარეობის გამო სამი კონტინენტის – ევროპის, აფრიკისა და აზიის მიჯნაზე კვიპროსს საუკუნეთა მანძილზე ჰქონდა მრავალმხრივი, მრავალფეროვანი კონტაქტები სხვადასხვა ქვეყანასთან და ხალხთან. იმ ხალხთა შორის, რომელთაც ჰქონდათ კვიპროსთან კავშირი, ყოფილან ქართველებიც.

ეს კავშირი განსაკუთრებით თვალსაჩინოა X-XII საუკუნეებში, როდესაც მძლავრი პოლიტიკური და კულტურული აღმავლობის გზაზე დამდგარი საქართველო აქტიურ საგარეო პოლიტიკას დაადგა. ქვეყნის გარეთ აშენდა მრავალი ეკლესია-მონასტერი, რომლებიც ქართულ კულტურულ ცენტრებს წარმოადგენდნენ. იერუსალიმში, სინას მთაზე, ათონსა და პეტრიწონში იქმნებოდა ქართული ორიგინალური თხზულებანი, ითარგმნებოდა ქართულიდან ბერძნულად და ბერძნულიდან ქართულად. ამ პერიოდს ეკუთვნის ქართველი მემატიანის ცნობა, რომლის მიხედვით დავით აღმაშენებლმა „ლაერანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თვისთა ოდენ სამეფოთა, არამედ საბერძნეთისაცა, მთაწმიდისა და ბირღალეთისანი, მერმეცა ასურეთისა და კვიპრისა... აღავსნა კეთილითა“.

ამავე პერიოდში უნდა ვივარაუდოთ, კვიპროსზე საგანგებო ქართული საყდრის დაფუძნება, რომელიც „ღალიას“ (ან „ჟალიას“) სახელით არის ცნობილი.

ღალიას ქართული მონასტრის დაარსება X-XII საუკუნეებში უნდა ვივარაუდოთ. კვიპრეს ქართული „სანახები“ და მათ მიერ თამარ მეფის მზრუნველობა მოხსენიებულია ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებაში; ხოლო მეორე ისტორიული თხზულების, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“-ს ავტორი გვაუწყებს თამარის მიერ ღალიის „კვალად შემკობას“ და მონასტრის ადგილ-მამულის გაფართოებას. რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, თამარს კვიპროსული მონასტრისათვის შეუბენია „მეტოქი“, ესე იგი, მცირე მონასტერი და მამული, თავისებური ფილიალი კონსტანტინოპოლში; შეუქმნია, ამგვარად, საქართველო-

კვიპროსის დამაკავშირებელი თავისებური ეკონომიკურ-ადმინისტრაციული რგოლი. აღნიშნული აქციები, არსებითად, იმ აქტიური და მიზანდასახული პოლიტიკის გამოვლენაა, რომელიც ამოცანად ისახავდა გარკვეული პოლიტიკური და იდეოლოგიური ფორპოსტების შექმნას, პოზიციის ადგილის პოვნას იმ რთულ ისტორიულ პროცესებში, რომლებსაც ახლო აღმოსავლეთში იწვევდა ჯვაროსნულ ლაშქრობათა ტალღა.



ღალიაში შესრულებული XI-XII საუკუნეების ხელნაწერის არსებობა ადასტურებს, რომ იგი ჩამოყალიბდა, აგრეთვე, როგორც კულტურულ-მწიგნობრული კერა. ადგილობრივი, კვიპროსული ცნობებით მათი წლიური შემოსავალი შეადგენდა 300 ოქროს დუკატს, რომელიც უტოლდებოდა კვიპროსის ყველაზე დიდი – ეგრეთწოდებული კიკოს მონასტრის შემოსავალს.

ქართულ ცნობებს ღალიას მონასტრის შესახებ ადასტურებს ვატიკანში დაცული ერთი დოკუმენტი – №1298, დათარიღებული 1306 წლით. მასში მოხსენებულია კვიპროსის სამი მონასტერი, რომელთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო მონასტერი იაალ, ანუ იაილ, მდებარე კირსოფონის (კრისოკჰუ) სრუტის ჩრდილო-აღმოსავლეთ ქალაქებს იაილიასა და ფინეკლის შორის და რომელიც სწორედ ქართულ მონასტერს წარმოადგენდა.

არქეოლოგიურმა გათხრებმაც ცხადჰყო, რომ ღალიას მონასტერში მისი არსებობის დასასრულამდე ქართველი ბერ-მონაზვნები მოღვაწეობდნენ. ამის დასტურია ღალიის მონასტრის ნანგრევებში აღმოჩენილი XVI საუკუნის მოჭიქული ჯამი, რომლის ძირზე ამოკვეთილია ქართული წარწერა: „შემწიე". პოლიტიკურმა სიტუაციამ აიძულა ქართველი ბერები მონასტერი მიეტოვებინათ. მე-16 საუკუნეში კი ღალია გაიძარცვა და ნანგრევებად იქცა [200].

არქეოლოგიური გათხრები ღალიას მონასტერში

საქართველოსა და კვიპროსის მთავრობებს შორის მიღწეული შეთანხმების შედეგად, კვიპროსის რესპუბლიკის სიძველეთა განყოფილების მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით საქართველოს კულტურის სამინისტრომ 2006 წლის 5 სექტემბერს კვიპროსზე მოაწყო მისი პირველი დელეგაცია, რომლის მიზანი იყო იალიას ქართულ მონასტერში არქეოლოგიური გათხრების ჩატარება.



გათხრებს ხელმძღვანელობდნენ საქართველოს კულტურის სამინისტროს მხრიდან არქეოლოგი, პროფესორი იულონ გაგოშიძე, ხოლო სიძველეთა განყოფილების მხრიდან არქეოლოგი გეორგიოს ფილოთეო.

ოთხი კვირის განმავლობაში დელეგაციამ განახორციელა ფართო მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოები. იალიის მონასტრის ფართი ნანგრევების მიხედვით განისაზღვრა 500 მ^2, დაზუსტებულ იქნა მისი საზღვრები და სამშენებლო ფაზები, ასევე ზუსტად განისაზღვრა მისი ქრონოლოგია.

2001 წლის ივნისში კვიპროსის მთავარეპისკოპოსის, უნეტარესი ქრიზოსტომოსის ოფიციალური მიწვევით, კვიპროსს ეწვია უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი



ილია II. ეს იყო მართლაც ისტორიული ვიზიტი, რადგან 2000 წლის მანძილზე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კვიპროსის წმიდა მიწაზე პირველად იმოგზაურა. კვიპროსის მთავარეპისკოპოსმა ქრიზოსტომომსმა მას მოციქულ ბარნაბას ოქროს ორდენი გადასცა [200].

12.9 შავი მთა

ასკეტურ-სამონასტრო ცხოვრების ერთ-ერთი ადრეული კერა ჩრდ. სირია იყო. სირიის მეუდაბნოეთა შორის განსაკუთრებით გაითქვა სახელი და არაერთი მოწესე შემოიკრიბა სვიმეონ მესვეტემ. სირიულმა ქრისტიანულმა სკოლებმა და განსაკუთრებით კი ნისიბინის სკოლამ დიდი გავლენა იქონია ადრეული ქრისტიანული აზროვნების განვითარებაზე. ქართველმა ასკეტებმა ამ სივრცეს VI საუკუნეშიე მიმართეს, როდესაც სირიულ ბერმონაზვნობას სათავეში ანტიოქიის მახლობლად შავ ანუ საკვირველმოქმედ მთაზე დამკვიდრებული სვ იმეონ მესვეტე უმცროსი ჩაუდგა. ამას ხელს უწყობდა თვით კრებული, ანტონ მარტყოფელი, XVIII ს.ქართული ეკლესიის უფლებრივი დამოკიდებულება ანტიოქიის საპატრიარქოზე. **VI ს-ში ანტიოქიიდან საქართველოში ჩამოვიდა 13 ასურელი მამაც** [201].

სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოულწევია ბევრ საბუთს ქართველთა VI-X საუკუნეებში შავ მთაზე მოღვაწეობის შესახებ. ამ საკითხებზე მსჯელობა შეგვიძლია მხოლოდ ვარაუდების სახით, რომელთა არსებობასაც განაპირობებს ქართულ ხელნაწერ წიგნებში დაცული სირიული ტრადიციის ამსახველი თხზულებები.

სირია-ანტიოქიაში ქართველთა მოღვაწეობის შესახებ დღეს თამამად შეგვიძლია ვისაუბროთ მხოლოდ XI-XIII საუკუნეების ხელნაწერების საფუძველზე. ქართულ ხელნაწერ ტრადიციაში დაცულია ანტიოქიური წარმომავლობის 15 ხელნაწერი წიგნი, რომელთაგან 8 საქართველოში ინახება, 2 – იერუსალიმურ, 1 – ათონურ, 1 – სინურ კოლექციებში, 1 – სანკტ-პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის წიგნსაცავში, 1 – მოსკოვის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის შჩუკინის კოლექციასა და 1 – ვატიკანის ბიბლიოთეკაში.

XI საუკუნის 60-იან წლებში შავი მთის სავანეებში მოღვაწეობდა 60-მდე ქართველი მოწესე. მათ შორის იყვნენ: გიორგი ათონელი, გიორგი მცირე, გიორგი შეყენებული, ეფრემ მცირე, ანტონ ტბელი, საბა სულაისძე თუხარელი, ეფრემ დიდი ოშკელი, იოვანე ჯიბისძე, იოვანე დვალი და სხვანი.

ქართველები სასულიერო პირები ჩანან შავი მთის 8 მონასტერში: სვიმეონწმინდა, რომანწმინდა, კალიპოსი, კასტანა, ეზრას მონასტერი, ლერწმისხევი, თუალთა მონასტერი, ბარლაამწმინდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მონასტერთა არსებობა ბიზანტინისტებისათვის ცნობილი გახდა მხოლოდ ქართული ხელნაწერი წიგნების ანდერძ-მინაწერების წყალობით.

საყოველთაოდ გავრცელებული თვალსაზრისით, ქართველები ანტიოქიაში მიიყვანა ათონის მთაზე ბერძნებთან გაჩაღებულმა დაუსრულებელმა დავამ და პოლემიკამ. მაგრამ, ვფიქრობთ, ეს მხოლოდ ასე არ უნდა ყოფილიყო. ქართველი საეკლესიო მოღვაწეები უნდა მიეზიდა თვით ანტიოქიის თეოლოგიურ–სამწიგნობრო სკოლას. ყოველ შემთხვევაში, აქ გადაწერილი ქართული ხელნაწერი წიგნები გვაძლევს ამგვარი ალავარდის ოთხთავი, 1054 წ.ვარაუდის დაშვების საშუალებას. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ეფრემ მცირის თეოლოგიური კომენტარებით შედგენილი ხელნაწერი წიგნები: გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებები, ფსალმუნთა განმარტება, ფსევდო დიონისე არეოპაგელის შრომები. ქართველ მოღვაწეებს საკმაოდ მყარი პოზიცია ეკავათ ანტიოქიის ცენტრებში, რამაც ერთგვარად გააღიზიანა და აუმხედრა სვიმეონწმიდის ბერძენი ბერ-მონაზვნები. მათ ანტიოქიის პატრიარქთანაც კი იჩივლეს და ქართული ეკლესიის ავტოკეფალურობის წინააღმდეგაც გაილაშქრეს. გიორგი ათონელმა, წარდგა რა ანტიოქიის პატრიარქის წინაშე, გააქარწყლა ბერძენთა საჩივრის საფუძვლიანობა და ანტიოქიის პატრიარქის მიერ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის სრული აღიარებაც მოიპოვა.

ქართველებმა ანტიოქია XIII საუკუნის II ნახევარში დატოვეს. ამ პერიოდიდან მოყოლებული რეგიონს მწვავე ვითარება შეექმნა. იგი ხელთ იგდეს თურქ-სელჩუკებმა, ჯვაროსნებმა, ოსმალებმა. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ანტიოქიის მართლმადიდებლურმა ეკლესიამ და მისმა საპატრიარქომ ბრძოლებისლერწმისხევში გადაწერილი ოთხთავი, XII-XIII სს. ჟამს საკუთარი ავტოკეფალურობისა და ისტორიული მნიშვნელობის ერთ-ერთ არგუმენტად ქართულ ეკლესიასთან უძველესი ურთიერთობებიც მოიტანა. XV და XVII სს-ში ანტიოქიის პატრიარქებმა – მიქაელმა და მაკარიმ იმოგზაურეს საქართველოში. მაკარიმ შრომაც კი მიუძღვნა ქართული ეკლესიის მდგომარეობას. შრომაში მან საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება ქართული ეკლესიის და ანტიოქიის საპატრიარქოს ურთიერთობებზე V-VII სს-ში.

ანტიოქიაში გადაწერილი ხელნაწერი წიგნები გამოირჩევა როგორც თეოლოგიურ-ფილოსოფიური კომენტარებით, ასევე მხატვრული შემკულობითა და კალიგრაფიით. რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ეს წიგნები ასახავენ სირიული და ბერძნული ქრისტიანული ტრადიციების სინთეზს [201].

12.10 ქართველთა სავანე ბულგარეთში

პეტრიწონის ანუ ბაჩკოვოს სავანე მთელ ბულგარეთში სიდიდით მეორე ადგილზეა რილის მონასტრის შემდეგ. იგი აშენებულია სოფელ ბაჩკოვოში (წინათ ეს სახელი ერქვა სოფელ პეტრიწონის ერთ-ერთ საყანე ადგილს (რაც ბერძნულად „კლდეს“ ნიშნავს („პეტრა“). აქედანაა მონასტრის პირვანდელი სრული დასახელებაც: „მონასტირიონ ტო ივერიკონ პეტრიწონ“), ის მდებარეობს ასენოგრადის რაიონში, ქ. პლოვდივიდან 28 კილომეტრის დაშორებით, როდოპის ხეობის მდინარე ასენიცას (ჩეპელარსკას) მარჯვენა მხარეს.



პეტრიწონის სავანის დამაარსებელი და აღმშენებელია ბიზანტიის კეისრის – ალექსი კომნენოსის კარზე გაძლიერებული თავადი, დასავლეთის ჯარების მთავარსარდალი, მე-11 საუკუნის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, ტაოელი გრიგოლ ბაკურიანისძე. მან სავანის ასაშენებლად სპეციალურად შეარჩია თავისი კუთვნილი სოფელი პეტრიწონი, რომელიც ბუნების მრავალი სიკეთით იყო უხვად შემკული. გრიგოლმა თავის ძმასთან, აბასთან ერთად, 1083 წელს ბულგარეთში (მაშინ იგი ბიზანტიის შემადგენლობაში შედიოდა) ააშენა პეტრიწონის სავანე, ხოლო 1084 წელს სავანეს შეუდგინა ტიპიკონი (წესდება) [202].

გრიგოლის მამა, ერისთავთერისთავი ბაკურიანი, ბაგრატიონთა დიდებულ გვარს ეკუთვნოდა. მას და მის ძმას, ხვასროვანს, ტაოში დიდი მამულები ჰქონდათ და პატივითა და დიდებით იყვნენ მოსილნი. ბაკურიანს ჰყავდა რამდენიმე ასული და ორი ვაჟი – გრიგოლი და აბასი. გროგოლს მამა (ბაკურინი ა.პ.) ადრე გარდაეცვალა, დედამ მთელი ქონება თავის ქალიშვილებს დაუტოვა მზითევში, გრიგოლს და აბასს კი არაფერი მისცა. მათ დიდი გაჭირვება ნახეს ცხოვრების გზაზე, სანამ ქონებას შეიძენდნენ. ძმებმა ქონება და პატივი ხმლით მოიპოვეს. განსაკუთრებით დაწინაურდა უფროსი ძმა გრიგოლი, გულადი მეომარი და შორსმჭვრეტელი სარდალი. გრიგოლი და აბასი განათლებული, ხელოვნებისა და ფილოსოფიის მოყვარული კაცები ყოფილან. 1083 წელს აბასი გარდაიცვალა და თავისი ადგილ-მამული ანდერძით ძმას დაუტოვა.

კეთილსინდისიერი სამსახურისთვის იმპერატორ ალექსი კომნენოსს გრიგოლი დასავლეთის დიდ დომესტნიკად, ე.ი. იმპერატორის ჯარების მხედართმთავრად დაუნიშნავს ევროპაში. გრიგოლს მიანიჭეს სევასტოსის („პატიოსანი“) წოდება. იმდროინდელ საბერძნეთში ეს წოდება კეისაროსის შემდეგ ყველაზე მაღალი ტიტული იყო. იმპერიაში ორი დომესტნიკი იყო: აღმოსავლეთის და დასავლეთის.

ერთ-ერთი მათგანი (დასაყლეთის) გრიგოლ ბაკურიანისძე გახლდათ. იმპერატორისგან საჩუქრად გრიგოლს ბევრგან ჰქონდა მიღებული ადგილ-მამულები. კერძოდ, ანისის მხარეში, ტაოს მხარეში, არმენიაკთა თემში, ფილიპოპოლში, ახრიდონში, სოფელ სიკონში, ხარპეტიკონში და ვოლერონში.

1086 წელს ბიზანტიას პაჭანიკები შემოესივნენ. გრიგოლ ბაკურიანისძეს მოადგილედ ჰყავდა მამაცი ნიკოლოზ ვრანა. როდესაც ბიზანტიელები მიუახლოვდნენ ციხე-სიმაგრე ბელიატოვოს, სადაც პაჭანიკები იყვნენ დაბანაკებულნი, გრიგოლ ბაკურიანისძემ, სტრატეგიულად არახელსაყრელი პირობების გამო, თავი შეიკავა იერიშისგან. პაჭანიკებს კარგად გაემაგრებინათ ბელიატოვოს მისასვლელები და ასეთ პირობებში პირდაპირ იერიშით ციხე-სიმაგრის აღება და გამარჯვება საეჭვო იყო. მაგრამ ნიკოლოზ ვრანის დაჟინებული მოთხოვნით დაიწყო ბრძოლა და ამ ბრძოლაში ბიზანტიელები დამარცხდნენ. გმირულად დაიღუპნენ ნიკოლოზ ვრანა და გრიგოლ ბაკურიანისძეც. როდესაც ეს სამწუხარო ამბავი შეიტყო ალექსი კომნენოსმა, მან მწარედ დაიტირა გრიგოლ ბაკურიანისძე, რადგან იმპერატორს განსაკუთრებით უყვარდა იგი.

გრიგოლის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე (1083წ.) ბიზანტიაში სიმშვიდემ დაისადგურა. გრიგოლმა გადაწყვიტა თავისი სიმდიდრე და უფლებები გამოეყენებინა და სამშობლოდან მოშორებულ კაცს სულის ხსნისათვის ეზრუნა. მან თავის მამულში, სოფელ პეტრიწონში, საუკეთესო სამონასტრო ადგილი ამოარჩია და ქართველთა მონასტერი დააარსა. გრიგოლმა მონასტერს მრავალი ციხე და სოფელი შესწირა, კერძოდ, ფილიპოპოლის თემში მდებარე ციხე, ბაჩკოვოს, დობროსტანის, ბურსეოსის, ლელკუვას და ავროვას აგარაკები თავისი მამულებით. სოფელი სტენიმახი ორი ციხით და აგარაკებით. პეტრიწონის მონასტერს უბოძა, ასევე, სოფლები მრავალი კომლი გლეხით, საძოვრები, სათევზაო ტბა, წისქვილი, სასნეულო-საავადმყოფო, სამი სასტუმრო (სტენიმახის, მარმარის და პრილონგის) საეკლესიო წიგნები, ხატები, საეკლესიო ნივთები, ჯვრები პატიოსანი ნაწილებითურთ, სახარებები. გრიგოლმა თავის დაარსებულ ქართველთა მონასტერს შეუდგინა ტიპიკონი, ანუ წესდება, რომელიც 36 მუხლისგან შედგება. მასში მითითებულია, თუ როგორ უნდა იცხოვრონ მონასტერში.

გრიგოლ ბაკურიანისძის ძალისხმევითა და ალექსი იმპერატორის შემწეობით პეტრიწონის სავანეს სტავროპეგიულობის ხარისხი ებოძა, რაც მას განსაკუთრებულ პრივილეგიებს ანიჭებდა და ქართველ ბერების უფლებებს განამტკიცებდა. მონასტერი თავისუფლდებოდა ყოველგვარი გადასახადებისაგან – „სამეუფოსა და საპატრიარქოსა, სამიტროპოლიტოსა და საებისკოპოსოსა და სამამასახლისოსა ყოველსა“. გრიგოლის ნათესავებსაც აეკრძალათ მონასტრის საქმეებში ჩარევა და მისი ქონებიდან რაიმე ნაწილის მოთხოვნა.

ტიპიკონი გრიგოლმა შეადგინა ორ ენაზე – ქართულად და ბერძნულად. ქართულად იმიტომ, რომ ქართველთა მონასტერში ქართველ ბერებს წელიწადში რამდენჯერმე ხმამაღლა წაეკითხათ და მოცემული განაწესის მიხედვით ემოქმედათ. ბერძნული კი სახელმწიფო ენა იყო და იურიდიული ძალაც ბერძნულ ტექსტს ენიჭებოდა. ბერძნული ორ ცალად დაწერეს: ერთი ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინეპოლში შესანახად და მეორე – მონასტრისთვის. გრიგოლმა თავისი მონასტრისათვის ნიმუშად კონსტანტინეპოლის წმ. პავანის ტიპიკონი აიღო. მან თავისი ხელწერით დაამტკიცა პეტრიწონის მონასტრის წესდება. ბერძნულ ცალებზე გრიგოლმა ხელი მოაწერინა აგრეთვე, იერუსალიმის პატრიარქს ეფტვიმეს, რომელიც თესალონიკიდან იერუსალიმს მიმავალი ესტუმრა მას ფილიპოპოლში.

პეტრიწონის სავანე იმ დროს ააგეს, როდესაც ბიზანტიის ქართულ მონასტრებში, განსაკუთრებით ათონის მთაზე, ქართველთა სამონასტრო მეურნეობის დაუფლების მიზნით, ბერძნები მეტისმეტად ავიწროვებდნენ ქართველებს. ეს კარგად იცოდა გრიგოლმა და თავის მიერ აშენებული მონასტერი მხოლოდ ქართველებს განუკუთვნა. მან ტიპიკონში საგანგებოდ მიუთითა, რომ მონასტერში არასდროს შეეშვათ ბერძენი ბერად. მონასტერში შეიძლებოდა მხოლოდ ერთი ბერძენი ყოფილიყო და ისიც ბერძნულ ენაზე სამონასტრო საქმეების მომწესრიგებელი.

წესდების ოცდამესამე თავში გრიგოლ ბაკურიანისძე სასტიკად კრძალავს პეტრიწონის მონასტერში ბერძნების მიღებას: „მე ვურჩევ ყველას ამ მონასტერში მყოფს და უმტკიცესი დადგენილებით ვაწესებ, რომ არასოდეს ამ ჩემს მონასტერში ბერძენი ხუცესი ან მონაზონი არ იქნეს დამტკიცებული, გარდა ერთი მდივნისა, რომელმაც იცის წერა და რომელიც ხანდახან მთავრებთან გააგზავნის წერილს წინამძღვრისგან და მათთან გაგზავნილს მისგან უკან დაიბრუნებს და მონასტრის საქმეებს წარმართავს“. წესდების ამავე მუხლის ძალით იკრძალება დედაკაცის შესვლა მონასტერში, გარდა ეკლესიის დღესასწაულისა და მაშინაც ის წირვის შემდეგ სწრაფად უკან უნდა წასულიყო. გრიგოლმა აკრძალა მონასტერში ცოლიანი კაცის ცხოვრება, ასევე, მონასტრის მახლობლად დედათა მონასტრის აგება.

პეტრიწონის წესდების თანახმად, ბერებს ტრაპეზი საერთო ჰქონდათ, საჭმელ-სასმელი ყველასთვის

ერთნაირი იყო, გარდა ავადმყოფებისა და მოხუცებისა. სავანის წინამძღვრად ირჩევდნენ ყველაზე გონიერს. ახალი წინამძღვარი ძველის დასაფლავების მესამე დღეს ღამისთევით იხდიდა პანაშვიდს, ხოლო მეოთხე დღეს საღვთო საიდუმლოს შესრულების შემდეგ მას ძმები ეამბორებოდნენ და უხვ ტრაპეზს უშლიდნენ.

პეტრიწონის სავანის პირველ წინამძღვრად გრიგოლ ბაკურიანისძის ძემ დაამტკიცა გრიგოლ მონაზონი (ვანელი). პეტრიწონის წესდების თანახმად, სავანეში ორმოცდათერთმეტი მონაზონი უნდა ყოფილიყო. ამასთან, ერთი წინამძღვარი, ორი იკონომოსი (სამეურნეო საქმეების უფროსი), ერთი მონაზონი – ზედამხედველი – დეკანოზი, ექვსი მღვდელი, ორი დიაკონი, მნათე, ღვინისმწდე, მეტრაპეზე, მესტუმრე, მოხუცთა და სნეულთა მომვლელი, მეპურე, მზარეული, მეკარე და დანარჩენი მგალობელი ბერები. ერთიც ბერძენი მწერალი მთავრობასთან მიმოწერისთვის.

მე-17 საუკუნეში პეტრიწონის სავანე კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა, რაც ხელს უწყობდა პეტრიწონში ბერძნების ბატონობას. სამწუხაროდ, ბერძნებმა მთლიანად დაისაკუთრეს პეტრიწონი. გამართლდა გრიგოლ ბაკურიანისძის შიში. მონასტერი შეაკეთეს, ახალმა ხელმძღვანელობამ მონასტერს სახელიც შეუცვალა და ბაჩკოვოს მონასტერი უწოდა, რადგან სოფელ პეტრიწონს უკვე ბაჩკოვოს ეძახდნენ. პეტრიწონის ტიპიკონი დარჩა, როგორც ისტორიის ამსახველი დოკუმენტი. მასში დროდადრო საპატიო სტუმრები ჩანაწერებს აკეთებდნენ. მაგალითად, ტიპიკონის ქართული ტექსტის ბოლოს 1669 წლის 15 ოქტომბერს იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოსს ხელი მოუწერია ქართულად – „იერუსალიმონ დოსითეოს“. იმავე გვერდზე არის იერუსალიმის პატრიარქის – ხრისანთეს ჩანაწერი 1720 წ. 7 აპრილის თარიღით. აქვეა ახალციხელი მღვდლის – იოანე მარკოზაშვილის ჩანაწერიც ნუსხური ხელით 1702 წ. აგვისტოს. ტიპიკონი, რომელიც ამჟამად სოფიის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება, წარმოადგენს ასლს. იგი 1702 წ. გადაუწერია ახალციხელ ქართველ ბერს, იოანე მარკოზაშილს. 1720 წელს ხრისანთე პატრიარქს პეტრიწონის სავანის ტიპიკონის ასლი განუმზადეს ბერძნულ ენაზე. ამ ტექსტში ბევრი შეცდომაა, თუმცა ორიოდე ადგილი „შესწორებულია“. კერძოდ, გრიგოლ ბაკურიანისძის ანდერძში, სადაც ეწერა, წესდება შედგენილია ქართულად და ბერძნულად და ხელმოწერილია ჩემ მიერო, ჩაუმატებიათ, თითქოს წესდება სომხურადაც დაიწერა და მას ხელი გრიგოლმა სომხურად მოაწერაო. ამ „შესწორებამ“ შემდგომში დიდი გაუგებრობა გამოიწვია. ამის საფუძველზე აკად. ნ. მარმა ააგო მცდარი თეორია, თითქოსდა გრიგოლ ბაკურიანი სომეხი ქალკედონიტი იყო.

პეტრიწონის ტიპიკონით დაინტერესდა ბერძენი მკვლევარი გიორგი მუსეოსი, რომელმაც 1782 წ. შესრულებული თარგმანის ტექსტი შეისწავლა და გამოსცა 1888 წ. აქედან იწყება ტიპიკონის მეცნიერული კვლევის ისტორია. შემდეგ ტიპიკონით დაინტერესდა ფრანგი მეცნიერი ლუი პტი. მან 1904 წ. გამოაქვეყნა რუს ბიზანტიონისტთა ორგანოში. მე-19 საუკ. ბოლოს, სანამ მონასტრის ქონებას წიგნებსა და ხელნაწერებს სოფიის სინოდალურ ბიბლიოთეკას გადასცემდნენ, ბერძნებმა მოასწრეს ზოგიერთი ნივთის და, პირველ რიგში, მონასტრის ტიპიკონის დამალვა, რადგან იგი მათ წინააღმდეგ ღაღადებდა: მონასტერში ერთის მეტი ბერძენი არ იყოსო. ამიტომ იგი წაიღეს კორაისის სახ. ბიბლიოთეკაში კუნძულ ქიოსზე. კორაისის ბიბლიოთეკის კატალოგში ჩვენი ქართულ–ბერძნული ხელნაწერი ჩაწერეს, როგორც სომხურ-ბერძნული ხელნაწერი. მეცნიერებს, რა თქმა უნდა, გაუჭირდათ მისი მიგნება.

სოფიის უნივერსიტეტის პროფ. ვსევოლოდ ნიკოლაევმა ქიოსზე დაცული ხელნაწერების შესახებ ორი გამოკვლევა გამოაქვეყნა. სიაში 26 ხელნაწერი იყო და 26-ე ხელნაწერის შესახებ ეწერა: „ხელნაწერი წიგნი უცნობ ენაზე ახალი დროისა ნაწერი სომხურს ჰგავს, მაგრამ სომხური არ არის“. ტიპიკონის ბერძნული ტექსტი გამოსცა აკადემიკოსმა სიმონ ყაუხჩიშვილმა 1963 წ. მას ქართული თარგმანი, გამოკვლევა და სათანადო შენიშვნები დაურთო. 1971 წ. აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ გამოსცა ტიპიკონის ქართული რედაქცია, მას დაურთო რუსული თარგმანი და ვრცელი გამოკვლევები ქართულ და რუსულ ენებზე და ბრწყინვალე სამეცნიერო აპარატურა.

ა. შანიძემ ყოველმხრივი ფილოლოგიური ანალიზის გზით გაარკვია გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ პეტრიწონის მონასტრისთვის შედგენილი ტიპიკონის ქართული და ბერძნული ტექსტების ურთიერთობა, დაადგინა, რომ გარკვეული ცვლილებები შეუტანიათ გვიანდელ ბერძნულ ხელნაწერში, ქართული ტექსტი კი პირვანდელი სახით არის დაცული. საფუძველი გამოეცალა მარის თეორიას, რომელსაც ზოგი სხვა მკვლევარიც იმეორებდა, თითქოს გრიგოლ ბაკურიანისძე ტაოელი სომეხი იყო, მაგრამ დიოფიზიტური სარწმუნოებისა. როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, გრიგოლის ქართველობა არაერთგზის არის ხაზგასმული ტიპიკონის ტექსტში. მას თავი მოაქვს, რომ „ქართველნი ვართ ნათესავით მხნენი

და მხედრობით აღზრდილი და მარადის ჭირვეულსა ცხოვრებასა ჩვეულნი". როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია ნათესავით, ე. ი. ტომით, ეროვნებით ქართველობაზე და არა სარწმუნოებაზე. ამრიგად, საბოლოოდ გაიფანტა ბურუსი გრიგოლ ბაკურიანისძის პიროვნების გარშემო და ეს დიდი ქართველი მოღვაწე და დიდი პატრიოტი უფრო ნათელი სახით წარმოდგა ჩვენ წინაშე.

1892 წელს კონსტანტინეპოლის პატრიარქმა მონასტრის იღუმენად დანიშნა არქიმანდრიტი მაკარი, რომელმაც სამონასტრო მიწები გაყიდა. ვარაუდობენ, რომ სწორედ ამ დროს დაიკარგა მონასტრიდან ბერძნულ-ქართული ტიპიკონი, რომელიც მოგვიანებით კუნძულ ქიოსზე, კორაისის ბიბლიოთეკაში, აღმოჩნდა. 1894 წელს მონასტრის ძმობამ თხოვნით მიმართა ბულგარეთის მართლმადიდებელ ეკლესიას, რათა მონასტერითავის გამგებლობაში მიეღო. 1895 წელს კონსტანტინეპოლის პატრიარქის, ანტიმოზ VII-ისგან მოვიდა შეტყობინება, რომ, მართალია, მრავალი წლის მანძილზე პეტრიწონის მონასტერი, როგორც სტავროპეგია, ექვემდებარებოდა უშუალოდ კონსტანტინეპოლის პატრიარქს, ისტორიული სინამდვილე მოითხოვდა, რომ იგი გადასულიყო ბულგარეთის საეგზარქოსოს იურისდიქციაში, როგორც სტავროპეგიული.

პეტრიწონის სამონასტრო კომპლექსში გრიგოლ ბაკურიანისძემ სამი ეკლესია განათავსა: ერთი დიდი ტაძარი – ღვთისმშობლის სახელზე და ორი მომცრო – იოანე ნათლისმცემლისა და წმ. გიორგის სახელზე. წარსულში მონასტერს არაერთი განსაცდელი შეემხთვა დამპყრობთაგან. XV საუკუნის გამანადგურებელი ხანძრის შემდეგ მთელი სამონასტრო კომპლექსიდან მხოლოდ წმ. მთავარანგელოზთა ეკლესია გადარჩა, რომელიც, სავარაუდოდ, მისი ქტიტორის – გრიგოლ ბაკურიანისძის გარდაცვალების შემდეგ იყო აგებული. ხალხის მოწადინებით და ბერების მიერ ერში შეგროვილი შემოწირულობით XVI-XVIII საუკუნეებში კლავ აღდგა გრიგოლ ბაკურიანისძის დროს დაარსებული მონასტერი.

დღეისათვის პეტრიწონის სამონასტრო კომპლექსი ასე გამოიყურება: მონასტერი საცხოვრებელი ნაგებობებით არის შემოსაზღვრული და გაყოფილია ორად – მის ჩრდილოეთ ეზოში აღმართულია ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა (XVIII ს.) და წმ. მთავარანგელოზთა (XII ს.) ეკლესიები, სამხრეთ ეზოში კი – წმ. ნიკოლოზის ეკლესია (1834-36 წწ.). საცხოვრებელ ნაგებობებში, რომლებიც გალავნის მაგივრობასაც წევენ, მოთავსებულია ბერებისა და მონასტრის სხვა მკვიდრთა სენაკები, ოთახები მომლოცველებისა და სტუმრებისათვის.

პეტრიწონის საძვალე

პეტრიწონის სავანე აერთიანებს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, წმ. მთავარანგელოზის და წმ. ნიკოლოზის ტაძრებს. ამათ გარდა ცალკე (მონასტრიდან 200 ნაბიჯის დაცილებით) მთის ფერდობზე დგას ორსართულიანი (სამარხო) საძვალე – აკლდამა, რომელშიც გრიგოლმა გადმოასვენა თავისი ძმის – აბასის ნეშტი. გრიგოლის ნეშტიც ამავე საძვალეში დაკრძალეს თავისი ძმის გვერდით. მონასტრის ყველაზე ძველი ნაგებობაა საძვალე, რომელიც ერთადერთია, რაც სრული სახით შემორჩა გრიგოლ ბაკურიანისძის დროიდან. სამაროვანი – სიგრძით 21 და სიგანით 7 მეტრი, ერთნავიანი, ორსართულიანი შენობაა, რომლის ქვედა სართულზე საძვალეა, ხოლო ზემო სართული წარმოადგენს ეკლესიას. აკაკი შანიძის ვარაუდით, ეს ბაკურიანისძის დროინდელი წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაა. საძვალე შიგნით სამი განყოფილებისაგან შედგება: კარიბჭე, შუა ნაწილი და საკურთხეველი. კარიბჭეს წინათ ოთხი შესასვლელი ჰქონდა. რესტავრაციის შემდეგ სამი ამოუშენებიათ და ერთი დაუტოვებიათ. საძვალე მოხატულია ქართველი ხატმწერის – იოანე ივეროპულოსის მიერ. არსებობს მოსაზრება, რომ იგი თვით გრიგოლ ბაკურიანისძეს ჩამოუყვანია საქართველოდან.

პეტრიწონის სავანე ორსართულიანია, ის მაღალი გალავნითაა გარშემორტყმული და მთლიანად მწვანეში ჩაფლული, გარედან ნამდვილად ციხე-სიმაგრეს ჰგავს. გრიგოლს ტაძრის მოსახატად და ასაშენებლად 50 ქართველი მოუწვევია. სავანეს დღემდე შემორჩენია გრიგოლის დროინდელი რკინის ფილამესრიანი კარიბჭე, რომელიც დღემდე აკვირვებს მნახველს. საძვალეს ქვედა სართულის მარცხენა მხარეს, პირველ ნიშში, შემორჩენილია მონასტრის არქიტექტორების – გრიგოლ და აბას ბაკურიანისძეთა უძველესი ფრესკა, რომელზედაც ძმები წარმოდგენილნი არიან, როგორც მონასტრის დამაარსებელ-აღმშენებლები, მონასტრის მინიატურული მოდელით ხელში.

წმ. მთავარანგელოზთა ტაძარი

არსებობს საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ წმ. მთავარანგელოზთა ეკლესია მონასტრის დამაარსებლის (გრიგოლ ბაკურიანისძის ა. შ.) გარდაცვალების შემდეგ არის აგებული, იმპერატორ ალექსი I კომნენოსის მეფობის პერიოდში. ტაძარი 1846 წელს მოხატა იოანე მოსხმა. იგი ამჟამად დაზიანებულია, მაგრამ რაც მოღწეულია, გარკვეულწილად მიუთითებს ძველ ქართულ სატაძრო არქიტექტურასთან კავშირზე. ტაძრის გარეთა საფასადო ქვის წყობაში ქართული ტაძრებისათვის დამახასიათებელი ყრუ ნიშებია გამოყენებული.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარი

ჩრდილოეთით, ეზოს შუაგულში, ბაკურიანისძისეული ეკლესიის ნაფუძარზე დგას ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი. XV საუკუნეში დანგრეული ძველი ეკლესიის ადგილზე 1604 წელს აშენდა ამ პერიოდისათვის თითქმის ერთადერთი დიდი ტაძარი ბულგარეთში (XVI საუკუნის ბოლომდე ბულგარელებს დამპყრობთაგან თავიანთ მიწაზე აკრძალული ჰქონდათ ტაძრების მშენებლობა). ტაძარში უხვად იღვრება სინათლე გუმბათის თაღში ამოჭრილი 12 სარკმლიდან. დასავლეთის კარზე განთავსებული წარწერა მიუთითებს, რომ ძველი მოხატულობა 1850 წელს განუახლებია ბერძენ ხატმწერ იოანე მოსხს. ეკლესიის აშენების თარიღი აღნიშნულია წარწერაში, რომელიც გვაუწყებს, რომ იგი აგებულია „იღუმენი პართენის დროს 7112 (1604) წელს". ტაძრის მთავარი სიწმიდეა ღვთისმშობლის საკვირველმოქმედი ქართული ხატი.

წმ. ნიკოლოზის ეკლესია

სამხრეთის ეზოში ალმართულია 1834-1836 წლებში აგებული წმიდა ნიკოლოზის გუმბათოვანი ეკლესია, რომელიც მოხატულია ხატმწერ ზაქარია ზოგრაფის მიერ. ფრესკების დიდი ნაწილი ეთმობა წმ. ნიკოლოზის ცხოვრებას და უდიდეს საეკლესიო ღღესასწაულებს.

პეტრიწონის სავანიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს წმ. ნიკოლოზის ტაძარი, რომელშიც მოთავსებული იყო სასულიერო სემინარია; აქ ყრმები სწავლობდნენ ქართულ ენაზე და ემზადებოდნენ მღვდლის ხარისხისათვის, რომ პეტრიწონშიევე დარჩენილიყვნენ მღვდელმსახურებად. სამეცნიერო აკადემია პეტრიწონის სავანეში მოეწყო მას შემდეგ, რაც მის პირველ რექტორად დაინიშნა გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი იოანე, რომელსაც სოფლის სახელი („პეტრიჩი") პეტრიწი ანუ პეტრიწონელი ეწოდა.

იოანე სწავლობდა მანგანის აკადემიაში, რომელიც იმ დროისათვის ელინური კულტურის ცენტრს წარმოადგენდა. იგი იყო დიდი ფილოსოფოსების – მიქაელ ფსელოსისა და იოანე იტალოსის მოწაფე. კონსტანტინეპოლში იოანემ თავის მასწავლებლებთან ერთად ოფიციალური კონსერვატიული წრეების მიერ დევნა–შევიწროვება განიცადა. იგი კონსტანტინეპოლიდან გააძევეს, ამიტომ ის ბულგარეთში, პეტრიწონის მონასტერში დამკვიდრდა და ოცი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მსოფლიოში განთქმულ პეტრიწონის კულტურის კერას. ეს წლები იოანესთვის სამწერლო-სამეცნიერო მოღვაწეობის საუკეთესო ხანა იყო. იოანე პეტრიწს შექმნილი აქვს როგორც ორიგინალური შრომები, ისე თარგმანები ფილოსოფიაში, ისტორიაში, ჰიმნოგრაფიასა და მეცნიერების სხვა დარგებში.

მონასტერში გახსნილი სემინარია მოსამზადებელი საფეხური იყო აკადემიაში სამეცნიერო მუშაობის გასაგრძელებლად და ღვთისმსახურების შესასწავლად. პეტრიწის სემინარიაში ასწავლიდნენ გრამატიკას, რიტორიკას, დიალექტიკას, მუსიკას, ხატვას, ფილოსოფიას, საამკინძაო საქმეს (წიგნის აკინძვა, აწყობა) და სხვა.

სემინარიის დამთავრების შემდეგ ვინც მღვდლად ვერ ეკურთხებოდა, ერისკაცად რჩებოდა სამოქალაქო დაწესებულებასა ან სკოლებში კულტურულ–საგანმანათლებლო მუშაობის საწარმოებლად. სემინარიაეე ამზადებდა კადრებს პეტრიწონის აკადემიაში სამეცნიერო მუშაობისთვის. მათი საკულეე და სასწავლო ობიექტები იყო ფილოსოფია, ისტორია, გრამატიკა, ასტრონომია, ბიბლიოგრაფია, აგიოგრაფია, პიიტიკა და სხვა.

1106 წ. მეფე დავით აღმაშენებელმა (1089-1125) გელათში შექმნა სალიტერატურო ცენტრი, გელათის აკადემია, სადაც სხვა ფილოსოფოსებთან ერთად უცხოეთიდან იოანე პეტრიწიც მოიწვია და გელათის აკადემიის რექტორად დანიშნა. იოანე პეტრიწს გელათში უთარგმნია „იოსიპოსის წიგნი პურიისა". პეტრიწის თარგმანი შეიცავს ამ თხზულების მხოლოდ 15 წიგნს. 5 წიგნის თარგმანი კი დაკარგულია.

იოანე პეტრიწს ქართული გრამატიკის შედგენასაც მიაწერენ. ანტონ კათალიკოსი, მარი ბროსე და ალ. ცაგარელი მას გრამატიკოსად მოიხსენიებენ. ეს აზრი, ალბათ, იმას ემყარება, რომ იოანე პეტრიწს თავისი ორიგინალურ თხზულებაში („განმარტება") ვრცელი გრამატიკული მსჯელობა აქვს დართული.


ეკლესიის მდიდარი განძეულობიდან ყურადღებას იქცევს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის უძველესი სასწაულმოქმედი ხატი, რომელიც მონასტრის შუა, საპატიო ადგილზეა მოთავსებული. იგი 1311 წელს ქართული დამახასიათებელი აჟურჭედით მოუჭედავთ ტაოელ ძმებს – ათანასესა და ოქროპირს. მონასტერში დაცული გადმოცემით, ეს ხატი ლუკა მახარებლის მიერ არის დაწერილი და იგი საქართველოდან ჩამოაბრძანეს. ხატის ღღესასწაულს აღნიშნავენ ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათს. რაც შეეხება ხატის პეტრიწონში მობრძანების თარიღს, მას გრიგოლ ბაკურიანისძის მოღვაწეობის

პერიოდსაც უკავშირებენ და XIV საუკუნესაც. პირველის სასარგებლოდ იხსენებენ აპოკრიფულ გადმოცემებს, რომლის თანახმადაც, იმ დროს, როდესაც გრიგოლი კარში მსახურობდა, ეს ხატი ერთხანს იქაურ ეკლესიაში ყოფილა დასვენებული. გარდა ამისა, წესდება-ტიპიკონში გრიგოლი მონასტერს ამ უდიდესი სიწმიდის მიხედვით მოიხსენიებს: „ მონასტრისა ჩემისა ქართველთა ღვთისმშობელისა პეტრიწონისადა“. მეორე ვერსიის სასარგებლოდ მეტყველებს თვით ხატის ქართულად დამამშვენებელთა – ძმების, ათანასის და ოქროპირის, მოღვაწეობის ხანა.

პეტრიწონის სავანეს ჰქონდა საკუთარი ბიბლიოთეკა, საიდანაც დიდძალი ლიტერატურა გაიტანეს. მისი ხელნაწერებიდან მხოლოდ თითო-ოროლა არის აღწერილი. სავანეს აქვს, ასევე, მუზეუმი, სადაც ინახება საჩუქრები. გრიგოლ ბაკურიანისძის ტიპიკონის მიხედვით აქ დღესაც ინახება ჯვარი ვერცხლისა, სასარდლო, წითელთვლებიანი, ფერიცვალების დიდი მინანქრიანი ხატი, რამდენიმე ათეული ხის ხატი, ვერცხლის ბარძიმ-ფეშხუმები, საცეცხლურები, ძვირფასი თვლებით შემკული ბერძნული სახარება და სხვა მრავალი საეკლესიო ნივთი.

„ქართლის ცხოვრების“ უწყებით, მეფე დავით აღმაშენებელი უხვად სწყალობდა უცხოეთში არსებულ ქართული სულიერ კერებს, მათ შორის, პეტრიწონის ქართულ მონასტერს. პეტრიწონის სავანე დაარსებიდან მე-15 საუკუნემდე ქართველთა ხელში იყო, შემდეგ კი ამ სავანეში ქართველთა კვალი იკარგება [202].

12.11 ანთიმის მონასტერი ბუქარესტში



ბუქარესტში, ანთიმოზ ივერიელის ქუჩაზე (№ 29) მოთავსებულია ლამაზი არქიტექტურულად გაფორმებული ტაძარი, რომელიც ანთიმოზ ივერიელის სახელს ატარებს. იგი აშენებულია 1715 წელს ანთიმოზ ივერიელის ხარჯით და ბევრი რამ ამ შენობისა, როგორც მაგალითად კარები, კედლის მოზაიკა, ხეზე კვეთილობა თაღებზე გაკეთებულია ანთიმოზის ხელით. მასვე ეკუთვნის ნაწილობრივ კედლის მხატვრობაც. დღეს ამ ტაძარში ჩვეულებრივ მიმდინარეობს ღვთის მსახურება, წირვა – ლოცვა.

ტაძრის გვერდით შენობაში კი გახსნილია ანთიმოზ ივერიელის მუზეუმი, რომელშიაც თავმოყრილია ფოტოდოკუმენტები, ხელნაწერები, წიგნები, ილუსტრაციები – ამსახველი ანთიმოზის ბობოქარი ცხოვრებისა და შემოქმედებისა. წმიდა ანთიმოზ ივერიელი თავისი დროისათვის ერთ-ერთი უგანათლებულესი ადამიანი იყო, ფლობდა მრავალ უცხო ენას: ბერძნულს, რუმინულს, ძველ სლავურს, არაბულს, თურქულს, გათვითცნობიერებული იყო თეოლოგიაში, ლიტერატურასა და ბუნებისმეტყველებაში. იგი დაჯილდოებული იყო საოცარი ნიჭით, ბრწყინვალედ ფლობდა ხელოვნების ყველა დარგს, განსაკუთრებით მხატვრობას, გრავირებას, მოჩუქურთმებას, ქსილოგრაფიას. ცნობილი იყო, როგორც შესანიშნავი კალიგრაფი, დახელოვნებული ხეზე მჭრელი და ნიჭიერი მოქანდაკე. ის იყო რეფორმატორი სალიტერატურო რუმინული ენისა, ბრწყინვალე მწერალი და აღიარებული ორატორი.


ანთიმოზ ივერიელმა სიცოცხლე შესწირა მეორე სამშობლოდ ქცეულ ვლახეთის გათავისუფლებას



თურქთა და ფანარიოტთა უღლისაგან. ცნობები ამ საოცარი ადამიანის სიყრმისა და სიჭაბუკის შესახებ მწირადაა შემონახული. ცნობილია, რომ ის იყო სამცხე-საათაბაგოს მკვიდრი. მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ჭაბუკი არჩილ მეფეს ახლდა რუსეთში და დიდად ეხმარებოდა ქართული სტამბის ჩამოყალიბებაში. საქართველოში დაბრუნებული ანთიმოზი კავკასიელმა მთიელებმა შეიპყრეს და მონად გაყიდეს. ტყვეობიდან ის გამოისყიდა იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა. საპატრიარქოში ყოფნის პერიოდი ანთიმოზმა თავისი განათლებისა და ოსტატობის სრულყოფისათვის გამოიყენა. უკვე სახელგანთქმული მხატვარი, გრავიორი და კალიგრაფი დაახლოებით 1690 წელს ვლახეთის მეფის, კონსტანტინე ბრინკოვიანუს მიწვევით ვლახეთში წავიდა. ანთიმოზი ვლახეთში ჩასვლისთანავე სათავეში ჩაუდგა სასტამბო საქმეს. ბეჭდვითმა საქმიანობამ მთელს ქვეყანაში არნახული გაქანება ჰპოვა და უმაღლეს დონეს მიაღწია. ყოველივე ამის სულისჩამდგმელი, ორგანიზატორი და ამაგდარი იყო საქართველოდან გადახვეწილი ქართველი ოსტატი, რომელიც ყველგან და ყველაფერში ხაზს უსვამდა თავის ქართულ წარმომავლობას და აღნიშნავდა, რომ „ძირით ქართველი“ იყო. ანთიმოზ იევრიელმა შეძლო გადაექცია ვლახეთი მართლმადიდებლობის ცენტრად, რომელიც მთელ ქრისტიანულ აღმოსავლეთს წიგნებით კვებავდა.

1694 წელს ანთიმოზი დანიშნეს სნაგოვოს მონასტრის წინამძღვრად. მან აქ საფუძველი ჩაუყარა ახალ სტამბას. 1696 წელს სნაგოვოს სტამბაში დაიბეჭდა „ღვთისმსახურების წესი 21 მაისს, დღესა წმიდანთა განდიდებისა“. მას ხელს აწერს იპოდიაკონი მიხაილი, შემდგომში ცნობილი პირველი ქართული სტამბის გამმართავი მიხეილ იშტვანოვიჩი.

1705 წელს ანთიმოზს, „რჩეულს ვლახეთის რჩეულ წინამძღვართა შორის“, ხელი დაასხეს რიმნიკის ეპისკოპოსად, ხოლო 1708 წელს უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტად. ანთიმოზის მიტროპოლიტად დადგინება მთელი ქვეყნისთვის უდიდესი ბედნიერება იყო. ამ ფაქტთან დაკავშირებით ერთ-ერთი მონასტრის წინამძღვარი წერდა: „მოვიდა დიდი ადამიანი ვლახეთის მიწაზე, მოიტანა სინათლე ღვთაებრივმა ანთიმმა, უნგრო-ვლახეთის იერარქმა, შვილმან ბრძენ ივერთა მოდგმისა. ღმერთმა იგი დააჯილდოვა სიბრძნის უშრეტი წყაროთი, რათა მას მოემოქმედებინა კეთილი საქმენი და თავისი სტამბით მოეტანა სარგებლობა ხალხისთვის ამქვეყნად“.



წმიდა ანთიმოზის უშუალო ხელმძღვანელობით ვლახეთში 20-ზე მეტი ეკლესია-მონასტერი აიგო, მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ყოველთა წმიდათა“ მონასტერი ქალაქ ბუქარესტის ცენტრში. ტაძრის მთავარი შესასვლელის მუხის კარი და ქვაზე ამოტვიფრული ქართული ორნამენტები თვით ანთიმოზ იევრიელმა შეასრულა. მიტროპოლიტმა ტიპიკონიც შეუდგინა ყოველთა

წმიდათა მონასტერს. ანთიმოზი გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდა მონასტრის დამოუკიდებლობის საკითხს, სახელდობრ, მან ყოველთა წმიდათა მონასტერი ბერძნული ეკლესიისგან დამოუკიდებლად გამოაცხადა.


მიტროპოლიტად დადგინების დღიდან წმიდა ანთიმოზმა დაუცხრომელი ბრძოლა დაიწყო ვლახი ხალხის განთავისუფლებისათვის უცხოელ დამპყრობთა ჩაგვრისაგან. პირველსავე დღეს მრევლის წინაშე წარმდგარმა ანთიმოზმა თქვა: „მართლმადიდებლობა თქვენ შეინარჩუნეთ წმიდად და შეუბღალავად, მიუხედავად იმისა, რომ გარშემორტყმულნი, შებოჭილნი ხართ უცხო ხალხთა ძალმომრეობით და განიცდით აურაცხელ გასაჭირსა და უბედურებას, რაც ყოველთვის გამომდინარეობს იმათგან, ვინც თვითნებურად ბატონობს ამ მიწა-წყალზე. თუმცა მე ვიყავი ულირსი და უმცროსი სხვათა შორის, ვითარცა დავითი იყო უმცროსი თავის ძმებს შორის, ღმერთმა არ შეხედა ჩემს სიღარიბეს და უცხოელობას. დაე, თქვენთან ერთად მე თავს გადამხდეს ყოველგვარი გასაჭირი, რასაც გვარგუნებს ჩვენ დრო და ჟამი“.

მისი სიტყვები წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. 1714 წელს თურქებმა სიკვდილით დასაჯეს ვლახეთის მთავარი კონსტანტინე ბრინოკოვიანუ, ხოლო 1716 წელს – უკანასკნელი ვლახელი მთავარი სტეფანე კანტაკუზენი და სამეფო ტახტზე აიყვანეს ფანარიოტი ნიკოლო მავრიკორდატი, რომლის მთელი საქმიანობა მიმართული იყო თურქეთის ინტერესების დასაცავად ვლახეთში.

ამ მძიმე დღეებში ანთიმოზ ივერიელმა თავის გარშემო შემოიკრიბა ვლახელ ბოიართა ჯგუფი, რომლის მიზანი იყო გაეხთავისუფლებინა ვლახეთი როგორც თურქთა, ასევე ფანარიოტთა ბატონობისაგან. კონკრეტული ღონისძიებებიც დაისახა, მაგრამ ნიკოლო მავროკორდატიმ ანთიმოზს უბრძანა, ნებაყოფილობით უარი ეთქვა მიტროპოლიტობაზე. ანთიმოზმა კატეგორიული უარი შეუთვალა. მაშინ მავროკორდატიმ დახმარებისათვის კონსტანტინეპოლის პატრიარქ იერემიას მიმართა. ეპისკოპოსთა კრებამ, რომელსაც არც ერთი რუმინელი სასულიერო პირი არ ესწრებოდა, „შეთქმული და რევოლუციისკენ წამქეზებელი მეამბოხე“ ანთიმოზი შეაჩვენა, განკვეთა ეკლესიიდან და გამოაცხადა ყოველივე სამღვდელო „ღირსებაახდილად“, მაგრამ ნიკოლო მავროკორდატისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა ანთიმოზ ივერიელის უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტობიდან გადაყენება, ამიტომ გადაწყვიტა, მოეშორებინა ვლახეთიდან. მან მიაღწია იმას, რომ წმიდა ანთიმოზი საბოლოოდ გააძევეს სინას მთაზე, წმიდა ეკატერინეს მონასტერში. რუმინელი ხალხის ერთგული და მოსიყვარულე მიტროპოლიტი შუაღამისას გაიყვანეს ქალაქიდან, რადგან მოსახლეობის მღელვარების შეეშინდათ, მაგრამ სინას მთამდე ანთიმოზ ივერიელს არ მიუღწევია. გალიპოლიის მახლობლად, ადრიანოპოლზე გამავალი მდინარის, დულჩიას ნაპირზე თურქმა ჯარისკაცებმა ასო-ასო აკუწეს ანთიმოზ ივერიელი და მისი წმიდა ნაწილები მდინარეში გადაყარეს.

ასე დამთავრდა სიცოცხლე კიდევ ერთი ქართველი წმიდანისა, რომელმაც მთელი თავისი დაუშრეტელი ცოდნა, ნიჭი, ენერგია ვლახი ხალხის სულიერი გაძლიერებისა და ეროვნული კულტურის აღორძინების საქმეს მოახმარა [205].

რუმინეთში 25 წლიანი მოღვაწეობისას ანთიმოზ ივერიელმა დააარსა 4 სტამბა და დაბეჭდა 64 წიგნი. მისი უშუალო ხელშეწყობით სტამბა დაარსდა ალეპოშიც (სირია).



განუზომელია ანთიმოზ ივერიელის ღვაწლი ქართული სტამბის დაარსებაშიც. სამშობლოს მონატრებულმა ანთიმოზმა მართლაც რომ თავი გადასდო ამ საქმისათვის. მან ვახტანგ VI-ს სტამბის გამართვისათვის საჭირო ყველანაირი ტექნიკა და მასალა გაუგზავნა. აახლა ასოთამწყობი მიხაილ იშტვანოვიჩი, შეიქმნა და ჩამოისხა პირველი ქართული შრიფტი და მალე პირველი წიგნიც დაიბეჭდა. ეს იყო „სახარება“. სულ ამ სტამბაში 1709-1722 წლებში 19 დასახელების წიგნი დაიბეჭდა, მათ

შორის იყო „ვეფხისტყაოსანი“ ვახტანგ VI-ის რედაქციითა და კომენტარებით. ბოლო წიგნი, რომელიც აქ დაიბეჭდა, „ჟამნი“ გახლდათ. 1722 წელს სტამბამ არსებობა შეწყვიტა. წიგნების ბეჭდვისა და გამოცემის ხარისხი ისეთივე იყო, როგორც იმ პერიოდის ევროპულ სტამბებში დაბეჭდილი წიგნებისა. ამ სტამბაში დაოსტატდნენ შემდეგში ცნობილი მოღვაწეები: ნ. ორბელიანი (ნ. თბილელი) – სულხან-საბა ორბელიანის ძმა, გერმანე მღვდელმონაზონი, კვიპრიანე სამთაველი და სხვ.

1992 წელს რუმინეთის ეკლესიამ ანთიმოზ ივერიელი წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ 14 (27) სექტემბერი, წმიდანის გარდაცვალების დღე დააწესა. საქართველოს ეკლესია მის ხსენებას 13 (26) ივნისს აღნიშნავს.

რუმინეთში საზეიმოდ აღინიშნა წმინდა ანთიმოზ ივერიელის გარდაცვალებიდან 300 წლისთავი. ღონისძიებებში, სხვა მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებთან ერთად, საქართველოს ეკლესიის დელეგაციაც მონაწილეობდა შემდეგი შემადგენლობით: რუსთველი მიტროპოლიტი იოანე (გამრეკელი), ბოლნელი მთავარეპისკოპოსი ეფრემი(გამრეკლიძე) და დეკანოზი მიქაელი (ფოფხაძე).

წაკითხულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მისასალმებელი სიტყვა [203]; [204].

12.12 ქართული ეკლესია-მონასტრები რუსეთში (ჩრდილოეთ კავკასიაში)

ალბი-ერდი – IX-XVI საუკუნეების ქართული ეკლესია რუსეთის ფედერაციაში. მდებარეობს ჩრდილო-კავკასიის ფედერალურ ოლქში, ინგუშეთის რესპუბლიკაში, ჯეირახის რაიონში, მდინარე ასას მარცხენა ნაპირას, მცირე ზომის თარგმის ქვაბულში.





ჩვენამდე ეკლესიის ნანგრევებმაღა მოაღწია. გეგმით წაგრძელებული სწორკუთხა ერთნავიანი ნაგებობა ყოფილა. ღრმა, ნალისებრი მოხაზულობის აფსიდი კედლის სიბრტყეშია მოქცეული. აღმოსავლეთით და დასავლეთით მინაშენები ჰქონია: ნაგებია ფიქლითა და კირის ხსნარით. ინტერიერი შელესილია. შესასვლელი სამხრეთიდა და დასავლეთიდან აქვს. სამხრეთ კედლის სარკმელთაგან შემორჩენილია ერთი – შუა სარკმელი, რომელიც ნალისებრი მოხაზულობის სათურითაა დაგვირგვნებული. სამხრეთ კედლის ფასადზე ამოყვანილია ორი მასიური პილასტრი, მათ ზედა ნაწილში გამომწვარი ქართული აგურით გამოყვანილი თაღის საყრდენი ქუსლებია, რომლებიც, როგორც სჩანს, ამ მხარეს არსებული მინაშენის ცილინდრული კამარის თაღების საყრდენები იყო. ეკლესიის ინტერიერში შემორჩენილია მხატვრობის მკრთალი კვალი, გამოირჩევა შარავანდის მოხაზულობა და ფიგურების დეტალები. ნახატი შესრულებულია ლურჯი და მოყავისფრო საღებავებით. [26:93-94]; [68].

დათუნას ეკლესია. ტაძარი მდებარეობს ჰატან-ბულებ-კხოლის ხეობაში, უსახელო პატარა მდინარის ნაპირზე (ხეობიდან გამოსვლისას იქცე ავარიის ყოისუში ჩაედინება), შამილის რაიონის სოფელ დათუნას რაიონში.ეკლესია აშენებულია ქართველი მისიონერების მიერ, დაახლოებით X საუკუნის დასასრულსა და XI საუკუნის დასაწყისში. XIII საუკუნეში მიტოვებულ იქნა, თუმცა XIX საუკუნის გარკვეული მონაკვეთი ის ისევ ფუნქციონირებდა. კავკასიის ომის პერიოდში (1817-1864 წწ.) ეკლესია იმამ შამილის მხარეს გადასულ რუს ჯარისკაცებს გადაეცათ ღვთისმსახურებისთვის.

აშენებულია ქართული უგუმბათო, დარბაზის ტიპის ეკლესიების მსგავსად. აგებულია მოოქრომოყვითალო ქვიშაქვის ბლოკებისგან. ეკლესიის სიგრძე 9,1 მ, სიგანე 6,7 მ, სიმაღლე 8 მ. სახურავი დაფარულია ფილებისგან. ეკლესიას აქვს სამი შესასვლელი დასავლეთიდან, აღმოსავლეთიდან და ცენტრალური ჩრდილოეთიდან (გამოდის ფლატესთან, დანიშნულება უცნობია). ფანჯრები – ღრეჩოსებრი. ნაგებობის ერთერთ მხარეს ორმაგი კედლებია, რომლებშიც კელიებია განთავსებული (რაც შეიძლება მონასტრულ ცხოვრებაზე მოწმობდეს). XX საუკუნის 20-იან წლებში კედლებზე ჯერ კიდევ შეიმჩნეოდა ფრესკები.

2009 წელს კავკასიის ფონდმა გადაწყვიტა აღედგინა დათუნას ეკლესია დაღესტნის კულტურის სამინისტროსთან თანამშრომლობით, აქტიური აღდგენითი სამუშაოები 2010 წლის შუა პერიოდში დაიწყო [42:41-45].





სენტის ტაძარი – მდებარეობს სოფელ სენტაში მდინარე თებერდის სანაპიროზე შემაღლებულ ადგილას. მისი აგების დაახლოებითი თარიღია X საუკუნე. სახელწოდება ქართულ სვეტს, სვეტიცხოველს უნდა უკავშირდებოდეს.

ტაძრის არქიტექტურული აღწერა პირველად მოგვცა გერმანელმა მეცნიერმა ჯოზეფ ბერნარდცმა 1829 წელს. გეგმით ტაძარი წარმოადგენს თანაბარმკლავიან ჯვარს სამი ეკვდერით. შენობის სიგრძე და სიგანე 8 მეტრია. ნაგებია ქვიშაქვით კარგად თლილი ბლოკებით და კირხსნარით.

ტაძარი გამორჩეულია თავისი ფრესკებით. შესრულებულია თეთრი, წითელი და მუქი ყავისფერი საღებავებით. ცენტრალური ფიგურა არის ღვთისმშობელი, რომელსაც ხელები ზეცისკენ აქვს აპყრობილი. საკურთხევლის სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებზე გამოსახულია წმინდანთა ორი ჯგუფი, თითოეულზე ოთხი ფიგურაა [127].



ტბობა-ერდი, თხაბა-ერდის ეკლესია (ინგუშ.: ТхьобIа-Ерды) – შუა საუკუნეების ქართული ტაძარი ინგუშეთში, ჯეირახ-ასინის მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე. ნასოფლარ საირახიდან 200-300 მეტრის დაშორებით.

ძეგლი პირველად აღწერა რუსეთის არმიის კვარტერმეისტერმა შტედერმა 1871 წელს. ნანგრევები მოიცავს ოთხ ძირითად სამშენებლო ფენას, რომელთაგან პირველი მე-

9-0, ხოლო უკანასკნელი მე-15-16 საუკუნეებს განეკუთვნება. ტყობაერდი ერთ-ერთია იმ ტაძართაგან რომელიც ქართველმა მისიონერებმა ააგეს ვაინახურ ტომებში ქრისტიანობის გასამტკიცებლად. იგი თავდაპირველად სამეკლესიიანი ბაზილიკა იყო, ტიპური შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურისთვის. გვიანდელ დეტალებში შეინიშნება აგრეთვე ადგილობრივი ხუროთმოძღვრული ტრადიციის კვალიც. შემორჩენილია რელიეფური გამოსახულებების, ორნამენტების და ქართული ასომთავრული წარწერების ფრაგმენტები.

ტაძარი შეტანილია რუსეთის ფედერალური მნიშვნელობის ძეგლთა ნუსხაში, თუმცა ჩეჩნეთის მეორე ომის დროიდან მახლობლად განლაგებული რუსეთის სამხედრო პოლიგონი და სამხედროთა უდიერი მოპყრობა ადგილობრივი სიძველეებისადმი დიდ საფრთხეს უქმნის ტყობა-ერდის, რის წინააღმდეგაც არაერთხელ გამოსულან ინგუში პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, თუმცა უშედეგოდ [86]; [68].

შოანას წმინდა გიორგის ეკლესია – მართლმადიდებლური ტაძარი ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე, მდინარე ყუბანის მარჯვენა ნაპირას, ყარაჩაევსკიდან შვიდი კილომეტრის დაშორებით, მთა შოანაზე. მისი აგების დაახლოებითი თარიღია X საუკუნე. ეკლესია აგებულია მთის ფერდობზე საიდანაც კარგად ჩანს მთელი ხეობა.



ტაძრის არქიტექტურული აღწერა პირველად მოგვცა გერმანელმა მეცნიერმა ჯოზეფ ბერნარდცმა 1829 წელს. ტაძარი წარმოადგენს ჯვარგუმბათოვან ნაგებობას, მისი სიმაღლე არის 12 მეტრი [75].

გარდა ამ ტაძრებისა ჩრდილოეთ კავკასიაში არის სხვა ქართული ტაძრებიც, რომლებიც სამწუხაროდ ან დანგრეულია ან დანგრევის პირასაა, მათზე მწირი ინფორმაცია არსებობს მხოლოდ.

კითხვები გამეორებისთვის:

1. რა იცით ათონის ივერთა მონასტრის შესახებ?
2. გაიხსენეთ სამხრეთ საქართველოს რომელი ისტორიული რელიგიური ძეგლების შესახებ გსმენიათ?
3. ვინ იყო ოპიზის იოანე ნათლისმცემლის მონასტრის ამშენებელი მეფე?
4. სად მდებარეობს აბტალის ტაძარი?
5. რა იცით წმინდა მთაზე ქართული სავანეების შესახებ?
6. ვინ იყო ბოჩკოვოს ქართული სავანის დამაარსებელი?

თავი 13. რელიგიური ტურიზმის გავლენა რეგიონების განვითარებაზე

13.1 რეგიონებში საკრალური ადგილების კვლევის მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპები

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში მიმდინარეობს რელიგიური ცხოვრების გააქტიურების პროცესი, რაც რელიგიური თემების ზრდაში, ახალი რელიგიური მიმდინარეობების წარმოქმნასა და საკრალური ობიექტების მშენებლობაში ვლინდება. ამგვარი პროცესების შედეგად, მრავალ რეგიონში მოხდა კონფესიებს შორის თანაფარდობის ცვლილება. ამიტომაც არის, რომ საკრალური სივრცეების გამოკვლევა სხვადასხვა საზოგადოებათმცოდნეობითი მეცნიერებების საზრუნავია. გეოგრაფიულ მეცნიერებაში კი სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა რელიგიების გეოგრაფიის (საკრალური გეოგრაფია) კვლევას, რომელიც რელიგიების გავრცელების არეალს და მათ ტერიტორიულ განფენილობას შეისწავლის.

ყოველ მეცნიერებას საკუთარი კვლევის მეთოდი გააჩნია. გამონაკლისი არც რელიგიების გეოგრაფიაა. თავისი ფუნქციონირების მცირე დროში ცნობილი გეოგრაფების მიერ აღმოჩენილია რელიგიური სფეროს მეთოდური კვლევის სრული სპექტრი.

XXI საუკუნეში მიმდინარეობს საკრალური გეოგრაფიის აღორძინება. რელიგიური მიმდინარეობების წარმოშობის ისტორიის და დღევანდელი მდგომარეობის, ასევე რელიგიური ინსტიტუტებისა და მათი ფუნქციონირების საკითხებს იკვლევენ სხვადასხვა ქვეყნის ამ დარგის წამყვანი მეცნიერები.

საქართველოს თანამედროვე სოციალ-ეკონომიკური განვითარების ტრანფორმაცის პირობებში, რეგიონალური კვლევები სულ უფრო აქტუალური ხდება. საკრალური სივრცეების გამოკვლევა კი გარკვეულ პრინციპებზეა დაფუძნებული. საკრალური სივრცეების კვლევის ძირითად პრინციპებს შეიძლება მივაკუთნოთ: თანმიმდევრულობა, ოპტიმიზაცია, სისტემურობა, ადგილი საითაც მიისწრაფვის ტურისტი (დესტინაცია) და სარწმუნოობა.

საკრალური სივრცეების გამოკვლევის ერთ-ერთი საკვანძო პრინციპი, **ოპტიმიზაციის** პრინციპია, რომელიც კვლევის ობიექტის დროით და სივრცულ პარამეტრებს საზღვრავს. ეს საშუალებას იძლევა, გამოკვლეული იქნას საკულტო ნაგებობების დინამიკა საკრალური სივრცის ფარგლებში არა მხოლოდ ტოპონიმიურად (სივრცულ), არამედ დროშიც.

სისტემურობის პრინციპი განაპირობებს გამოკვლევის თანმიმდევრულობას და შესაბამისი მეთოდების შერჩევას: კარტოგრაფიულ ანალიზსს, საველე მხარეთმცოდნეობით კვლევებს, საკუთრივ კარტოგრაფირების მეთოდს და ამისთვის საჭიროა კვლევის ობიექტების, როგორც რელიგიურ-სამომლოცველო გარემოს შემადგენელ ნაწილის კლასიფიცირება შემდეგი კრიტერიუმებით: **კომპონენტური, ტერიტორიული, ფუნქციური და მმართველობითი** ხასიათი.

კომპონენტურ კრიტერიუმს შეიძლება მივაკუთვნოთ საკულტო ნაგებობების არქიტექტურულ-კონსტრუქციული სახესხვაობა: სამონასტრო კომპლექსები, ტაძრები, სამრევლო ეკლესიები, საეკლესიო სვეტები, სამრეკლოები და სამლოცველო (საჟამო). თავის მხრივ ისინი იყოფაინ მიწისზედა და მიწისქვეშა, ტიპიურ და არატიპიურ საკულტო ნაგებობებად. **ტერიტორიული** კრიტერიუმი ასახულია საკულტო ობიექტების ადილმდებარეობის გეოსივრცულ განფენილობაში, გეოგრაფიულ-ტოპონიმური ნიშნით. **ფუნქციონალობის არსი** საკულტო ნაგებობების უშუალოდ რელიგიუ-საკულტო ან სამუზეუმო-საგამოფენო დანიშნულებაში მდგომარეობს. **მმართველობითი** მიდგომის დანიშნულებაა ყურადღება მიაქციოს საკრალური ობიექტის შესაბამისობას გარკვეულ რელიგიასთან, კონფესიასთან და წეს-ჩვეულებებთან.

თვალსაჩინოების პრინციპი (ვიზუალიზაცია) ითვალისწინებს საკრალური სივრცის გამოკვლევის პრაქტიკული შედეგების წარმოდგენას აღქმისთვის ხელმისაწვდომი ფორმით (ინტერნეტ-რუქები, ციფრული ატლასები, სანავიგაციო ჯპს-რუქები). რიგითი მომხმარებლისთვისაა ატლასები, რუკები, კედლის რუქები და მათი ელექტრონული ვარიანტები, ხოლო სპეციალისტების და მეცნიერებისთვის გათავალისწინებულია ელექტრონული რუქები, გეოსაინფორმაციო სისტემები და საექსპერტო ჯპს-ები.

სარწმუნოობის პრინციპი განსაზღვრავს მიღებული შედეგების ხარისხს. პრინციპის რეალიზაცია ხდება სარწმუნო მასალების მეცნიერულად დამუშავების საფუძველზე.

თანმიმდევრულობის პრინციპი საკრალური სივრცეების კვლევის ერთ-ერთი პრინციპია, რომელიც კვლევის პროცესის ეტაპობრივობას და შესაბამისი მეთოდების გამოყენებას განსაზღვრავს. ტრადიციულად გამოყოფენ ოთხ ეტაპს: **მოსამზადებელს, ანალიტიკურს, სინთეზურს, შემოწმებელს.** კვლევის

სისტემატიზაციისთვის და დეტალიზაციისთვის ყველა ეტაპი შედგება რამდენიმე სტადიისგან, რაც დასმული ამოცანის უფრო სრულყოფილად გადაწყვეტის საშუალებას იძლევა [133:349].

აღსანიშნავია, რომ საკრალური სივრცეების კვლევისას ტრადიციულ მიდგომებად ითვლება **ისტორიული, სინერგეტიკული, სისტემური და გეოგრაფიული** მიდგომები.

საკრალურ გეოგრაფიაში არსებობს **ეტიმოლოგიური** კვლევების მოთხოვნილება. მაგალითად სიტყვა საკრალური წარმოსდგება ლათინიური სიტყვა საცრუმ – რაც წმინდა საგანს ან წმინდა მოქმედებას აღნიშნავს. გარკვეულწილად საკრალური ასოცირდება ასვე „სიწმინდესთან“. დღევანდელი აზრით, ის უფრო რელიგიურთან დაკავშირებულს აღნიშნავს.

გამოყოფილია კვლევის ოთხი ეტაპი:

- **თეორიული** (კვლევის კონცეფციის ფორმირება);
- **შეფასებითი** (გეორელიგიური ვითარების ანალიზი);
- **ანალიტიკური** (გეორელიგიური სისტემების გამოკვლევა და საკრალური სივრცეების შესწავლა);
- **კონსტრუქციული** (ტერიტორიის რელიგიურ-გეოგრაფიული დარაიონება).

კვლევის **თეორიულ** ეტაპზე ძირეული ფილოსოფიური და ზოგადმეცნიერული მეთოდები გამოიყენება. მეცნიერული გამოცდილების შესწავლა, ჩამოყალიბების ეტაპების განსაზღვრა და კვლევის ობიექტის განვითარება კი ამოცანის გადაჭრის ეტაპამდე აღმოცენება.

კვლევის მნიშვნელოვანი ეტაპია **სტრუქტურალიზაცია,** რაც ნებისმიერი სირთულის კვლევის ობიექტის ან ყველა დონის პროცესის შემეცნების საშუალებაა. ასევე მიზანშეწონილია გამოვიყენოთ რაოდენობრივ-ხარისხობრივი მეთოდები. მას მიეკუთვნებიან ინფომეტრია, ბიბლიომეტრია.

ინდუქციური მეთოდის გამოყენებისას, ცალკეულ ფაქტებზე დაკვირვებით ზოგადი წესებისა და კანონების დადგენას ახდენენ. **დედუქციური** მეთოდის მეშვეობით კი ზოგადი კანონებიდან ცალკეული ფაქტები გამოყვანა ხდება.

საკრალური ლანდშაფტების შესწავლისას მიზანშეწონილია ვაწარმოოთ **ლანდშაფტმცოდნეობითი** გამოკვლევები [129:30-36].

შედარებითი მეთოდი ახდენს სხვადასხვა მეთოდების გაერთიანებას, რომლის საფუძველზეც შედარების ლოგიკური მეთოდის გამოყენებით კვლევის ობიექტების მსგავსი და განსხვავებული მხარეების გამოვლინება ხდება.

ისტორიული მეთოდი გულისხმობს შედარების ლოგიკური ოპერაციების გამოყენებას.

კარტოგრაფიული მეთოდი არის სივრცულ-დროითი შედარებითი მიდგომის საფუძველი.

გამოთვლითი მეთოდი რელიგიური კონფენსიების მიხედვით სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებაზეა გათვლილი და მისი საფუძველი მათემატიკური მოდელების და ფორმულების გამოყენებაა. გამოკვლევისას გამოიყენება ისეთი მაჩვენებლები როგორიცაა:

- კულტურული ნაგებობებისა და რელიგიური ორგანიზაციების გავლენის რადიუსი;
- რელიგიური სფეროს კონცენტრაციის დონე;
- რელიგიური თემებისა და საკულტო ნაგებობების ლოკალიზაციის ინდექსი;
- რელიგიური თემების სივრცული გავლენის მაჩვენებლები;
- რელიგიური თემების ტერიტორიული დიფერენცირების მაჩვენებელი;
- რელიგიურ-გეოგრაფიული ცენტრის სივრცული გავლენის პოტენციალის მაჩვენებელი.

გავლენის საშუალო რადიუსი შეიძლება გამოვთვალოთ ფორმულით:

$$Rs = \sqrt{S / NI}$$

სადაც, **Rs**-ს არის რელიგიური ობიექტების გავლენის საშუალო რადიუსი, კილომეტრებში; **S** – ტერიტორიის საერთო ფართობი კმ^2; **N** – მოცემული სახის ობიექტების რაოდენობა; **I** – სუბიექტის ინდექსი.

ტერიტორიული ლოკალიზაციის მეთოდი საშუალებას იძლევა, მოსახლეობის განსახლების არეალები ობიექტების მიზიდულობის მიხედვით იქნას გამოკვლეული. მას გამოითვლიან ფორმულით:

$$Ll = H_0 / G_0$$

სადაც, **Ll** – არის რელიგიური თემების ტერიტორიული ლოკალიზაციის ინდექსი, H_0 – რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობის წილი %, G_0 -რელიგიური თემების წილი რეგიონში %-ში. ნაკლები ინდექსი მიუთითებს რელიგიური ობიექტების დასახლებული ტერიტორიებისკენ მიზიდულობაზე, მეტი კი დაუსახლებელი ტერიტორიებისკენ მიზიდულობაზე [131:62].

რელიგიური თემების სივრცული გავლენის მაჩვენებელი გამოითვლება ფორმულით:

$$Pv = N/P_0$$

sadac. Pv – რელიგიური თემების სივრცული გავლენის მაჩვენებელია, N – გამოსაკვლევი ტერიტორიის დასახლებული პუნქტების რაოდენობის; P_0 – გამოსაკვლევ ტერიტორიაზე რელიგიური ორგანიზაციების რაოდენობაა [131].

მეცნიერები გამოყოფენ რელიგიური სფეროს კვლევის ექვს ეტაპს. აღნიშნული მეთოდიკას საფუძვლად უდევს **თანმიმდევრულობის** მეთოდი, რაც განსაზღვრავს კვლევის პროცესის ეტაპობრიობას. მთლიანობაში რელიგიური სფეროს საზოგადოებრივ-გეოგრაფიულ კვლევას შემდეგი თანმიმდევრობით წარმართაება: **თემის არჩევა; მიზნისა და ამოცანების დასახვა; კვლევის დაგეგმარება; ფაქტიური მასალების მოძიება; მასალების პირველადი დამუშავება; კვლევის შედეგების ანალიტიკურ-სინთეტიკური დამუშავება; პრობლემის გამოყოფა; პროგნოზირება და პრაქტიკული რეკომენდაციების დამუშავება; ნაშრომის ლიტერატურული და გრაფიკული გაფორმება.**

რელიგიური ტურიზმისთვის განკუთვნილი საკრალური ნაგებობების შეფასებისთვის მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოვიყენოთ მეთოდი, რომელიც საკრალური ობიექტების შეფასების 23 კრიტერიუმს იყენებს და ყოველი მათგანის სისტემური შეფასების მაქსიმალური ნიშნი 69 ბალია, მინიმალური – 23 [117:260-272].

ამგვარად, რელიგიური საქმინაობის და საკრალური სივრცის კვლევის მთავარი ეტაპებია: **თეორიული, შეფასებითი, ანალიტიკური და კონსტრუქციული და** ამგვარი ეტაპებისგან თითოეულს ახასიათებს საკუთარი მეთდების კონკრეტული შერჩევა.

მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების განვითარებით და გაღრმავებით. განსაკუთრებით ეს ეხება ახალ მეცნიერებებს და საკრალური გეოგრაფია გამონაკლისს არ წარმოადგენს.

13.2 რელიგიური ტურიზმი საქართველოს რეგიონებში

საქართველოს თვითგამორკვევა რეგიონულ ურთიერთობათა სისტემაში, მისი ეკონომიკური პოტენციალის გამოვლენა და განვითარება, მრავალი ფაქტორის გათვალისწინებას მოითხოვს.

ჩვენი ღრმა რწმენით, საქართველოს სრულფასოვანი ინტეგრირება რეგიონულ ეკონომიკაში და ამით ქვეყნის პოტენციალის ზრდა და შეუქცევადი განვითარება, დიდწილად დამოკიდებულია სრულფასოვან და მაღალი ხარისხის ტურისტული ინდუსტრიის განვითარებაზე [13:41-48].

დღეს, მსოფლიოს ინტეგრაციული განვითარებას საფუძვლად, ყველა ქვეყნების საერთაშორისო ეკონომიკური და კულტურული ურთიერთქმედება უძევს. სამწუხაროდ, საქართველოს თავისი კულტურული პოტენციალი, საუკეთესო ბუნებრივი პირობები, ძალზედ უმნიშვნელოდ აქვს გამოყენებული ტურისტული ინდუსტრიის განსავითარებლად და ამის ერთ-ერთ მთავარი მიზეზი, ჩვენი აზრით ქვეყნის შიდა კონფლიქტები და რეგიონული პოლიტიკური დაძაბულობა გახლდათ, რამაც კვანძის ტრაგიკულად გაჭრამდე მიგვიყვანა.

მიუხედავად და სწორედ შექმნილი მდგომარეობის გამო, დღეს სახელმწიფო პოლიტიკის რანგშია ასაყვანი, რეგიონული ტურისტული ურთიერთობების განვითარება, რაშიც მნიშვნელოვანი როლი ტურიზმის ერთ-ერთ სახეობას რელიგიურ ტურიზმს უნდა მიენიჭოს.

ზოგადად, ტურისტული პოტენციალი შეიცავს ორ ძირითად მიმართულებას – პირობებს და რესურსებს. რელიგიური ტურიზმის მიმართ ჩვენ შეიძლება ვთქვათ, რომ პირობები – ეს შესაძლებლობები და წანამძღვრებია ამ სახეობის ტურიზმის კეთილსასურველად გასავითარებლად. შეიძლება ჩამოვთვალოთ შემდეგი პირობები – ბუნება, ისტორია, მოსახლეობა, კულტურა, ეკონომიკა, პოლიტიკა.

რელიგიური ტურიზმი, იკავებს რა საკუთარ ნიშას ტურისტული წინადადებების სპექტრში, მჭიდროდ და განუყრელადაა დაკავშირებული, ტურიზმის სხვა სახეობებთან. საქართველოში ეკლესია-მონასტრები ყველა რეგიონშია განთავსებული, რელიგიური ტურიზმის განვითარება კი რეგიონების ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს.

ვინაიდან რელიგიური ობიექტების დიდი ნაწილი საქართველოს რეგიონებში მდებარებს, რელიგიური ტურიზმის განვითარება რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში დაკავშირებულია რეგიონში ინფრასტრუქტურის განვითარებასთან (მომსახურების, ეკონომიკის, ტრანსპორტის, ინფრასტრუქტურის სფეროში). ტურიზმის წარმატება პირდაპირ აისახება სოფლად უძრავი ქონების ღირებულებაზე (მიწის

ნაკეთების, შენობა-ნაგებობების ფასი), რაც მოსახლეობის კაპიტალიზაციას ზრდის, ფართოვდება საკების წარმოება და გადამუშავება, სოფლის მცხოვრებთა ცოდნისა და კვალიფიკაციის დონე, რეგიონებში და სოფლებში ტურისტული ნაკადების მომსახურება. რეგიონებში ტურიზმის განვითარება იწვევს:

1. სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარების სტიმულირება;
2. დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა, ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა;
3. მოსახლეობის ეკოლოგიური და სოციალურ-კულტურული თვითშეგნების ამაღლება;
4. სიღარიბის დაძლევა;
5. ხალხური რეწვის განვითარება;
6. ძველი ტრადიციებისა და ეროვნული მემკვიდრეობის შენარჩუნება;
7. სოფლის ესთეტიკის გაუმჯობესება და ინტეგრაცია;
8. სეზონური მიგრაციის შემცირება;
9. ადგილობრივი მეურნეობის განვითარება.

პარალელურად სოფელი ტურისტს სთავაზობს:

1. აქტიურ დასვენებას;
2. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების მიწოდება;
3. რეკრეაცია (სულიერი და ფიზიკური ძალების აღდგენა);
4. ახალი ცოდნისა და გამოცდილების შეძენა;
5. მრავალფეროვანი ტურისტული მომსახურება;
6. ბუნებასთან სიახლოვე;
7. ტრადიციული, კულტურული მემკვიდრეობის გაზიარება [2:357-366].

რელიგიური ტურიზმი დღევანდელ ეტაპზე, სახელმწიფოს მიერ პროტექციონისტულ პოლიტიკას მოითხოვს.

ინვესტიციების მოზიდვის რეალური გასაღები – ამა თუ იმ რეგიონის პოლიტიკური კლიმატის თავისებურებებშია, კერძოდ, ჯანსაღ მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში, საკუთრების მკაფიოდ ჩამოყალიბებულ უფლებებში და ეფექტიანად ფუნქციონირებად ფინანსურ და საბანკო სექტორებში. რეგიონულმა ინტეგრაციამ შეიძლება ხელი შეუწყოს ინვესტიციების მოცულობის ზრდას, თუ იგი არსებითად ამაღლებს პოლიტიკისადმი ნდობას და აფართოებს ბაზრებს, მაგრამ ეს პროცესი შეთანწყობილ უნდა იქნეს ადეკვატურ ზოგადპოლიტიკურ კურსთან [3:129].

კვლავ მსოფლიო სტატისტიკას თუ დავუბრუნდებით, მსოფლიო ტურიზმმა ბოლო 30 წლის განმავლობაში მიაღწია განსაკუთრებულ წარმატებებს – საერთაშორისო ტურისტების რაოდენობა გაიზარდა დაახლოებით 4-ჯერ, ხოლო სავალუტო შემოსავლები კი თითქმის 25-ჯერ.

ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) პროგნოზით 2020 წლისთვის, მსოფლიო ეკონომიკაში ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა (მომსახურების მთლიანი წარმოება) უნდა შეადგინოს 3,9 ტრილიონი დოლარი, რაც მსოფლიო შიდა პროდუქციის 10,9%-ის ექვივალენტური იქნება. მსოფლიოს უმეტეს ქვეყნებში მოგზაურობისა და ტურიზმის ინდუსტრია განაპირობებს დიდი რაოდენობით სამუშაო ადგილების შექმნას. ეს ნიშნავს დაახლოებით 130 მილიონი ადამიანის დაკმაყოფილებას სამუშაო ადგილით. ტურიზმი ხასიათდება მაღალი მულტიპლიკატორული ეფექტით, რაც გულისხმობს იმას, რომ უშუალოდ ტურიზმში შექმნილი ერთი სამუშაო ადგილი, მომიჯნავე დარგებში ქმნის სამ ახალ სამუშაო ადგილს, როგორიცაა: ტრანსპორტი, მომსახურება, ვაჭრობა და სხვა. ტურიზმის შემოსავლების ერთი ერთეულით ზრდა, მომიჯნავე დარგებში შემოსავლების ორი ერთეულით ზრდას იწვევს.

ტურიზმს ერთი უნიკალური თვისებაც აქვს, რომელიც არც ერთ სხვა დარგს არ გააჩნია – მას შეუძლია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონების ეკონომიკური განვითარების დონის გამოთანაბრება. ტურიზმის განვითარება გარკვეულწილად სტიმულატორის (კატალიზატორის) როლს ასრულებს ქვეყანაში უამრავი სხვა დარგის განვითარებისათვის. ის კავშირშია მრავალ მომიჯნავე და არამომიჯნავე დარგების განვითარებასთან [23:79].

საქართველოში რელიგიურ ტურიზმს თავისებურ მომხიბვლელობას მატებს ის ფაქტიც, რომ ქვეყანაში სხვადასხვა რელიგიური კონფესიების არაერთი სალოცავია, საქართველოშია 12 ათასზე მეტი ისტორიული და არქიტექტურული ძეგლია.

ტურისტული რესურსების არსებობა და თავისებურება მნიშვნელოვანია რეგიონში ტურისტული ინდუსტრიის განვითარებისათვის, ხოლო რეგიონული ტურიზმი დიდ ეკონომიკურ და სოციალურ

გავლენას ახდენს თვითონ რეგიონის განვითარების ყველა ეტაპზე. სხვადასხვა სახის ტურისტული რესურსები შეიძლება ითქვას თვითონ განკარნახობს რეგიონის განვითარების პროფილს, ისევე როგორც საშთო ტურიზმის მიმართულება თოვლიანი რეგიონისთვის, ეკო-ტურიზმი მაღალმთიან რეგიონებში, და რეგიონები, რომელსაც აღნიშნული რესურსების გარდა გააჩნია ასევე ზღვა და ზღვის სანაპირო. აღნიშნული რესურსების რეალიზებისა და განვითარების საწყის ეტაპებზე უკვე შეიმჩნევა რეგიონში ტურისტების ნაკადის ზრდისა და ზოგადად რეგიონის განვითარების ახალი მიმართულებები [104:74].

ძირითადი პრობლემები, რომლებიც საქართველოს მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების წინაშე დგას, ბევრად არ განსხვავდება საერთაშორისო ფორუმებზე (რიო – 1992; ტულუზა – 1996; იოჰანესბურგი – 2002) ჩამოყალიბებული მთიანი რეგიონების ზოგადი პრობლემებისაგან. ისინი შემდეგი სახით შეგვიძლია წარმოვადგინოთ: – მთიანი რეგიონების საერთო პრობლემა – მუდმივად მზარდი მიგრაცია. მიზეზების ანალიზიც საკმაოდ იდენტურ სურათს გვაძლევს:

1. ტრადიციული შრომის სიმძიმე და დაბალი შემოსავლიანობა;
2. სამუშაოს არარსებობა – უმუშევრობა;
3. ბარის რეგიონებში შრომის ანაზღაურების უკეთესი პირობები;
4. საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების სფეროს განუვითარებლობა.

გასათვალისწინებელია ის მიზეზებიც, რომლებიც ზღუდავს განვითარების შესაძლებლობებს:

1. ბუნების დეგრადაცია, დანაგვიანება;
2. მესაქონლეობისა და მიწათმოქმედების კრიზისი;
3. ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობა.

საინტერესოა პრობლემათა წარმოშობის მოტივებიც:

1. რეგიონული პრობლემების მიმართ პოლიტიკური და ადმინისტრაციული ორგანოების ნაკლები ყურადღება;
2. მთიანი რეგიონების სასოფლო-სამეურნეო მუშაკების, საზოგადოებრივი პოლიტიკის არაადაპტირებულობა;
3. ფინანსური შესაძლებლობების განაწილების უთანაბრობა;
4. შიდა კავშირების სისუსტე.

გაეროს ისტორიული სამიტის (რიო-დე-ჟანეირო 1992 წელი) შემდეგ განვლილ პერიოდში საერთაშორისო ორგანიზაციები და ექსპერტები ამგვარ რეკომენდაციებს უწევენ ნაციონალურ მთავრობებს მთიანეთის მდგრადი განვითარების საკითხებში:

1. მთიანეთის აღიარება ნაციონალური განვითარების მნიშვნელოვან და სპეციფიკურ კომპონენტებად;
2. მთიანეთის მდგრადი განვითარების გათვალისწინება პოლიტიკურ „დღის წესრიგში“;
3. კომპენსაციის სისტემის დანერგვა მთიანეთის მხრიდან ბარის ზონისათვის მიწოდებული რესურსებისა და მომსახურებისათვის;
4. მთიანეთის ეკონომიკური ცხოვრების დივერსიფიკაციის ხელშეწყობა;
5. სოციალური, საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურის განვითარება;
6. სექტორული პოლიტიკის ადაპტირება მთიანეთის სპეციფიკურ ინტერესებთან;
7. ადგილობრივი პოტენციალის გამოყენება ინოვაციების შემოსატანად;
8. ცვლილებები ადგილობრივ კულტურაში თავისებურებების დაკარგვის გარეშე;
9. მთიანეთის ეკოსისტემის კონსერვაცია;
10. მთიანეთის მდგრადი განვითარების ინსტიტუციონალიზაცია;
11. განსახლების სისტემებისა და რაიონული დაგეგმარების პროექტების წინმსწრები შემუშავება;

ამასთან, ყველა ქვეყანამ უნდა შეიმუშაოს თავისი საკუთარი პოლიტიკა მთიანეთთან დაკავშირებით [4:210-217].

2015 წელს ნაწილობრივ ამოქმედდა საქართველოს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“, ხოლო კანონის სრულად ძალაში შევიდა 2017 წელს. ამ კანონის მიზანია საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის სტიმულირებისათვის შეღავათების განსაზღვრა, რომლებიც უზრუნველყოფს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირთა კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ამაღლებას, დასაქმების ხელშეწყობას, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას [58]. უნდა ითქვას, რომ კანონი დახვეწას კვლავ საჭიროებს.

საქართველოში მაღალმთიანი რეგიონებისთვის ტურიზმის სექტორში დაწესებული შეღავათები:

- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჰ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკური პირის მიერ მაღალმთიანი დასახლების საწარმოს სტატუსის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობით სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში (სტატუსის მინიჭების კალენდარული წლის ჩათვლით) მიღებული შემოსავალი;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირის მიერ ამავე მაღალმთიან დასახლებაში საქმიანობით კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული 6000 ლარამდე დასაბეგრი შემოსავალი, გარდა საბიუჯეტო ორგანიზაციიდან ხელფასის სახით მიღებული შემოსავლისა;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 99-ე მუხლის პირველი ნაწილის „ღ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება მაღალმთიანი დასახლების საწარმოს მიერ ამავე მაღალმთიან დასახლებაში საქმიანობიდან მიღებული მოგების განაწილება და ამავე საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯები/განხორციელებული განაცემები (რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ – „დ“ ქვეპუნქტებით, შესაბამისი სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში (სტატუსის მინიჭების კალენდარული წლის ჩათვლით);
- საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „ქ“ და „ჰ“ ქვეპუნქტების შესაბამისად, ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირის საკუთრებაში არსებული, ამავე მაღალმთიანი დასახლების ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთი; ასევე მაღალმთიანი დასახლების საწარმოს საკუთრებაში არსებული, ამავე მაღალმთიანი დასახლების ტერიტორიაზე მდებარე ქონება – შესაბამისი სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში (სტატუსის მინიჭების კალენდარული წლის ჩათვლით) [54:43].

ტურიზმის ეფექტურობა განისაზღვრება ისეთი ფუნქციებით როგორიცაა:

1. მოსახლეობის დასაქმების ფუნქცია;
2. ადგილობრივი რესურსების გამოყენების ფუნქცია;
3. წარმოების, ვაჭრობის, მშენებლობის ტრანსპორტისა და ა.შ. განვითარების ფუნქცია;
4. ქვეყნის ფინანსური შემოსავლების გაფართოების ფუნქცია.

რეგიონებში ტურიზმის განვითარების თანამედროვე მდგომარეობას ანალიზისა და მისი სამომავლო განვითარების პროგნოზირებისათვის საჭიროა შეიქმნას ტურიზმის სტატისტიკის თანამედროვე სისტემა, რომელიც ახალი მაჩვენებლების დანერგვით, სტატისტიკური გამოკვლევების შინაარსისა და მათი ჩატარების ფორმების გათანამედროვეობით ხელს შეუწყობს საქართველოს რეგიონებში ტურიზმის განვითარებას.

ტურიზმი – რეგიონებისათვის გაგებული უნდა იყოს, როგორც ეკონომიკური წინსვლისათვის ხელშემწყობი ფაქტორი და არა, როგორც შემოსავლის ერთადერთი წყარო. ასეთ შემთხვევაში ეკონომიკის სხვა სექტორებსაც მიეცემა განვითარების შესაძლებლობა [5:290-300].

საქართველოს რეგიონებში არსებული ეკლესია მონასტრები (არასრული ნუსხა)

სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი. ამ რეგიონში ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები ქმნიან ხელსაყრელ პირობებს რელიგიური ტურიზმის განვითარებისათვის. მარტვილის რაიონის ხელოვნების უნიკალური ძეგლებია ჭუქითის ეკლესია ქვაითში (XIII ს.), თამაკონის ეკლესია (XIII ს.), ნოღის ციხე (XVI ს.), დგომის ციხე-სიმაგრე (XVII ს.), აბედათის ციხექალაქი (XVI ს.) და ა.შ. სენაკში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიმრავლე საშუალებას იძლევა გააქტიურდეს კულტურული ტურიზმი. ეს ძეგლებია შხეფის ციხე, ეკის, მისარიონის, ფოცხოს მთავარანგელოზის, მენჯის მთავარანგელოზის, ძველი სენაკის მაცხოვრის შობის ეკლესიები და თეკლათის დედათა მონასტერი. სენაკის ყველაზე დიდი ატრაქცია – ციხე-გოჯი. ეს დიდი ისტორიის მქონე ნაქალაქარი მრავალმხრივი ტურისტული ობიექტია: აქ ერთადაა თავმოყრილი შუა საუკუნეების არქიტექტურა და ანტიკური პერიოდის კულტურა. ციხე-გოჯს მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგიური ძეგლია და მის გათხრებში უცხოელი სპეციალისტებიც მონაწილეობენ. ხობში არსებული საინტერესო და

მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლები საშუალებს იძლევა აქ კულტურული და რელიგიური ტურიზმის განვითარებისთვის – ხობის მონასტერი, ხეთის მთავარანგელოზთა ეკლესია, წმ. სოფიოს ეკლესია, ჯვეგეთის წმ. გიორგის კომპლექსი, ზემო ბიის მთავარანგელოზთა ეკლესია, ხეთის ციხე, ძველი ხიბულის ჯიმხა, ზენის ჯიხა და სხვ. აბაშის რაიონში რამდენიმე ცნობილი ისტორიული ძეგლია, მათ შორის გამორჩეულია – სეფიეთის მთავარანგელოზისა და ტყვირის მაცხოვრის ეკლესია. ზუგდიდის რაიონში შესაძლებელია სასოფლო და კულტურული ტურების მოწყობა. მაცხოვრისკარი, ბოტანიკური ბაღი, დადიანების მუზეუმი, რუხის ციხე და აქ არსებული, ანაკლიის ციხე, ჭაქვინჯის ციხე, ჩიჟისკარის ციხე (კორცხელი), ნალიმაკოკი, ცაიგის ეკლესია, კორცხელის დედათა მონასტერი, ცაიშის წარმართული პანთეონი, ერგეტის დიხაგუძებები. რელიგიური ტურიზმი ჩხოროწყუს რაიონში წარმოდგენილია შემდეგი ძეგლებით: IV-V საუკუნის ხომაკირდეს ჯი-ხების კომპლექსი, IX-XI საუკუნის ოცინდალეს წმინდა გიორგის ეკლესია სოფ. თაიაში IX-X საუკუნის ლეახალეს წმინდა გიორგის ეკლესია სოფ. ახუთში.

მესტია ქართული ხუროთმოძღვრებისა და ეთნოგრაფიის ერთ-ერთი ღირშესანიშნავი ძეგლია. აქ კარგადაა შემონახული შუა საუკუნეების საერო, საკულტო და თავდაცვითი ნაგებობები. საკულტო ნაგებობათაგან აღსანიშნავია: მაცხოვრის (მაცხვარიშ) ქვით ნაგები ორსართულიანი ეკლესია (XIII-XIV სს.), რომლის კედლებსაც მაღალოსტატურად მოხატული ფრესკები ამკობს; ღვთისმშობლის (ლამარია) ეკლესია (განვითარებული შუა საუკუნეები) მოხატულობითა და წარწერეით; სეტის მთავარანგელოზთა (თარნგზელ) და ფუსტის ეკლესიები. შემონახულია აგრეთვე სვანური სახლ-სიმაგრეები – გალავნით შემოზღუდული ერთიანი კომპლექსი, რომელშიც შედის კოშკი, მასზე მიდგმული სახოვრებელი (მაჩუბი) და სამეურნეო დანიშნულების სხვა შენობები.

მესტია მდიდარია მატერიალური კულტურის ძეგლებით. მათგან აღსანიშნავია სვიმონ მესვეტის ხატი (XI ს., მაცხოვრის ეკლესია), საკურთხევლის წინა ჯვარი და მაცხოვრის ხატი (მთავარანგელოზთა ეკლესია). მესტიის სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია ქართული ჭედური ხელოვნების მრავალი ღირსშესანიშნავი ნიმუში, ძველი ქარ-თული ენისა და მწერლობის უძველესი ძეგლები (ადიშის ოთხთავი, 897, და სხვა).

რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთის რეგიონი. მხარეში 164-მდე ისტორიული და კულტურული ძეგლია, მათ შორის აღსა-ნიშნავია ნიკორწმინდის ეკლესია (1010-1014 წწ.), სადაც შემონახულია XVII საუკუნის ფრესკები, ბარაკონის ტაძარი, ღვთისმშობლის ტაძარი აგებულია 1753 წელს, იგი ძველი ქართული გუმბათოვანი ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უკანასკნელი მნიშვნელოვანი ძეგლია რაჭაში. აღსანიშნავია აგ-რეთვე ხონჭიორი, მრავალძალის ეკლესია XI საუკუნის ქარ-თული ხუროთმოძღვრების ძეგლია,, ჯოისის წმ. გიორგის სა-ხელობის VII-VIII საუკუნის ეკლესია, სორის ფეოდალური ხანის ეკლესია. პატარა ონი, ღები, კვირიკეწმინდა, ლაილაში, ჩაჟაშის კომპლექსი, მინდა-ციხე, კვარაციხე, ციხეთა კომპლექსი – „დახვდი“, „დაჰკარი“ და „არ გაუშვა“, ონის საუკუნოვანი სინაგოგა, VII საუკუნის ცნობილი საეკლესიო მოღვაწის და თეოლოგის წმინდა მაქსიმე აღმსარებლის საფლავი, ცაგერის მონასტერი (VII ს.) და ა.შ.

გურიის რეგიონი. გურია საქართველოს ყველაზე პატარა ადმინისტრაციული ერთეულია. მხარის ტერიტორიაზე მდებარეობს ბუნების და 60-ზე მეტი ისტორიულ-არქიტექტურული და საეკლესიო ძეგლი, მათ შორის უმნიშვნელოვანესია: სამონასტრო კომპლექსი, ციხეები, ნაქალაქარები, მუზეუმები და სხვა. ესენია: შემოქმედის სამონასტრო კომპლექსი, (შუა საუკუნეები), ბუკისციხე, ასკანის ციხე (უძველესი სამშენებლო ფენა IV ს.), ჯიხეთის მონასტერი (XIX ს.) უდაბნოს მონასტერი (VI ს.) ლიხაურის ეკლესია (XII ს.), უახლესი XIX ს.) აჭის ეკლესია (XIII-XIV სს.), ერკეთის ეკლესია (IX ს.) ვაშნარის ნაქალაქარი (V-VIII სს.). გურიელების სასახლე, აცანისა და ჯიქეთის მონასტრები, გორაბერეჟოულის ციხე-გალავანი და ეკლესია, გურიის უდაბნოს სამონასტრო კომპლექსი შუაგანახლებაში და სხვა.

იმერეთის რეგიონი. მდიდარია არქიტექტურული ძეგლებით, ისტორიული მნიშვნელობის მქონე ნაგებობებით. რეგიონში 250-ზე მეტი ისტორიული ძეგლია. მათ შორის, აღსანიშნავია ტაძრები, ეკლესია-მონასტრები. ბაგრატის ტაძარი. ბაგრა-ტის ტაძრის მშენებლობა დასრულ და 1003 წელს. ტაძარს უკავია განსაკუთრებული ადგილი საქართველოს ისტორიაში. ბაგრატის ტაძარი უნიკალურია არქიტექტურული თვალსაზრისით.ბაგრატის ტაძარი ყოველთვის ითვლებოდა ერის ერთიანობის სიმბოლოდ. 1995 წელს ბაგრატის ტაძარი და გელათის სამონასტრო კომპლექსი აყვანილ იქნა იუნესკოს მიერ აღრიცხვაზე, როგორც უნიკალური მსოფლიო მნიშვნელობის მქონე მემკვიდრეობა.

გელათის სამონასტრო კომპლექსი. გელათის სამონასტრო კომპლექსი ითვლება უმთავრეს

სამონასტრო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად როგორც იმერეთში, ისე მთელ საქართველოში. სამონასტრო კომპლექსი დაარსებული იყო საქართველოს მეფე დავით აღმაშენებლის მიერ 1106 წ. გელათის სამონასტრო კომპლექსი ითვლება ქართული არქიტექტურის მნიშვნელოვან ძეგლად. გელათის სამონასტრო კომპლექსი იყო ქართველი მეფეების განსასვენებელი. აქ განისვენებს გაერთიანებული საქართველოსა და იმერეთის მეფეების ნეშტები.

მოწამეთას მონასტერი. მოწამეთას მონასტერი დიდებულად არის აღმართული მდ. წყალწითელას სანაპირო ნაწილზე. მონასტერი აიგო მე-8 საუკუნის პირველ ნახევარში, არგვეთის მთავრების ძმები კონსტატინესა და დავითის სახელების უკვდავსაყოფად, რომლებიც დაიღუპნენ არაბების წინააღმდეგ ბრძოლის დროს. ქართულმა ეკლესიამ ძმები აღიარა წმინდანებად, და დღეს მათი ცხედარი განისვენებს მონასტრის ეკლესიაში. ყოველი წლის 15 ოქტომბერს აღინიშნება მათი ხსენების დღე.

უბისის მონასტერი. უბისის მონასტერი შეიქმნა მე-9 საუკუნეში და დაკავშირებულია გამოჩენილი ქართველი სასულიერო მოღვაწის გრიგოლ ხანძთელის სახელთან. კომპლექსის ძირითად ნაგებობად ითვლება წმინდა ეკლესია (IX ს.), ოთხსართულიანი კოშკი, სამრეკლო და სხვ. უბისის მონასტერი აგრძელებს ქართული მონუმენტური მხატვრობის საუკეთესო ტრადიციას.

კაცხის ტაძარი. კაცხის ტაძარი აშენდა XIს. ტაძართან ერთად ოდესღაც ფუნქციონირებდა მონასტერი, რომელიც XVIII–XIX საუკუნეებში წარმოადგენ და თავადი აბაშიძეების საგვარეულო საკუთრებას. კაცხის ტაძარი ითვლება მნიშვნელოვან არქიტექტურულ ძეგლად.

აღსანიშნავია აგრეთვე საჩხერის რაიონი სადაც 117 კულტურის ძეგლია – ჯრუჭის მონასტერი, მოდინახეს ციხე, ქორე-თის, საკანის, ეხვევის, სპეთის, ითხვისის ეკლესიები. გარდა ამისა, ამ რაიონში საკმაოდ ბევრი არქეოლოგიური ძეგლი მდებარეობს – საირხის, თოდაძეების ციხის, მოდინახეს ფერდობის სამარხები, სადაც პირველყოფილი ადამიანების სადგომები და სხვა არქეოლოგიური ნაშთებია აღმოჩენილი. თერჯოლის რაიონში 20-მდე ისტორიული და ბუნების ძეგლია, მათგან გამოირჩევა ჩხარისმთავარანგელოზის., ოქონის ღვთისმშობლის, გოდოგნის ეკლესიები, VII-X სს.-ით დათა-რიღებული ციხე-სიმაგრეები. სამტრედიის რაიონის კულტურულ ძეგლებს მიეკუთვნება ოფეთის, მთავარანგელოზის (XI ს.), საკავაზოს ღვთისმშობლის ეკლესიები, თამარ მეფის ციხე-სიმაგრე სოფ. ტოლებში.

კახეთის რეგიონი. მდიდარია ისტორიული ძეგლებით. არაერთი ეკლესია მონასტერი თუ ციხე-სიმაგრე იპყრობს ტურისტებისა და ექსკურსანტების ყურადღებას. აქ განთავსებულია საქართველოში არსებული ხუროთმოძღვრული ძეგლების 2/3, მათ შორისაა: ძველი შუამთის (V-VII სს.) და ახალი შუამ-თის (XVI ს.) მონასტრები, იყალთოს სამონასტრო კომპლექსი (XI-XII სს.), ბაბტრიონის ციხე-გალავანი (XII ს.), ალავერდის ანსამბლი (XI ს.), მატნის ცხრაკარის მონასტერი (V ს.), გრემის მთავარანგელოზის ტაძარი (1565 წ.), ნეკრესის სამონასტრო ანსამბლი (IV-IX სს.), დავით გარეჯის სამონასტრო გამოქვაბულთა კომპლექსი (VI ს.), უჯარმის ციხე-ქალაქი (VI ს.), ბოდბის გამოქვაბულთა კომპლექსი (XI-XIII სს.), წმ. ნონოს სამონასტრო კომპლექსი, ხირსის მონასტერი, თამარის ციხე (შუა საუკუნეები), ხორნაბუჯის ციხე (ადრეული შუა საუკუნეები) და სხვა. კახეთის რეგიონში რელიგიურ, და მათ შორის, მომლოცველობით ტურიზმს, კარგი პოტენციალი აქვს, აქაური ტაძრები და სალოცავები ინახავენ და აღადგენენ ძველ რელიგიურ ტრადიციებს; დღემდე შემორჩენილია მრავალი რელიგიური დღესასწაული. ეს კი მნიშვნელოვანი ფაქტორია მომლოცველთა და უბრალოდ, რელიგიური ტურიზმით დაინ-ტერესებულ ტურისტთა მოსაზიდად.

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი. გამოირჩევა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებით.

ახალგორი: ბერციხშის, ალავერდის და კორას კომპლექსები (VI-VII სს.), ქარჩხის ციხე (XVII სს.), ქსნის არმაზის წმ. გიორგის ეკლესია, ღვთისმშობლის სამნავიანი ბაზილიკა, სამება (V-VI სს.), ხოფა – სამონასტრო ანსამბლი და ა.შ.

მცხეთა: მცხეთის აკლდამა, ჯვრის ეკლესია (V ს.), ანტიოქია (VII-VIII სს.), სვეტიცხოველი (XI ს.), არმაზის ღვთისმშობლის ეკლესია (XII ს.), არმაზის ციხე (VIII-XV სს), ბებრის ციხე და ა.შ.

დუშეთი: მჭადიჯვრის ეკლესია (XVII-XVIII სს.), ანანურის ხუროთმოძღვრული ანსამბლი (გვიანდელი ხანა), ლომისის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია (VIII-IX სს.), ქოროღლის კომპლექსი (X-XII სს.), ციხე-სოფელი შატილი და ციხე-სოფელი – მუცო.

ყაზბეგი: სნოს ციხე (XVI-XVII სს.), არშის ციხე (IX სს.), სიონის ეკლესია (IX-X სს.), გერგეთის ყველაწმინდა სამების ტაძარი (XIV ს.), თრუსოს ხეობა და ა. შ.

თიანეთი: ბოჭორმის ციხე-სიმაგრე (X ს.), არჩილის სამონასტრო კომპლექსი (739-745 წწ.), მთავარანგელოზის ეკლესია სოფ. ალტოში (IV ს.) და ა.შ.

ქვემო ქართლი. რეგიონი კულტურულ-ისტორიული ადგილების სიმრავლით გამოირჩევა, სადაც 900-ზე მეტი ისტორიული ძეგლია, რომელთაგან რამდენიმე მსოფლიო საგანძურთა ნუსხაშია შეტანილი. აღსანიშნავია ბოლნისის სიონის V საუკუნის ტაძარი, მონასტერზე არსებული წარწერა კი ქართული ეპიგრაფიკის უძველესი ნიმუშია. ბოლნისი ტურიზმისთვის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი პოტენციალის მქონე რაიონია. ბოლნისი რელიგიური ტურიზმისთვის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი პოტენციალის მქონე რაიონია. აქ არის ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები და მონასტრები (ბოლნისის სიონი, წულრულაშენი, ქვეშის ციხე, ორსაყდრები და სხვ.)

თეთრი წყაროს ტერიტორია უნიკალური ბუნებრივ-კლიმატური ზონაა, სადაც 250-მდე ისტორიული ძეგლი მდებარეობს. აქაა სამშვილდის ციხე – ერთ-ერთი პირველი ქართული ძეგლი, რომელიც ლეგენდის მიხედვით, თვით ქართლოსის ბრძანებით ააგებს. ამას გარდა, მრავლადაა მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე და მონასტერი: მანგლისი, ფიტარეთი და სხვ. რაიონს გარკვეული ისტორიულ-არქიტექტურული პოტენციალიც აქვს. პირველ რიგში აღსანიშნავია – მარტყოფ-ნორიოს ეკლესიები, ციხე-სიმაგრეები, საგვარეულო კოშკები, აგერთვე შავნაბადას სამონასტრო კომპლექსი სოფ. თელეთში. აქ მდებარეობს უნიკალური ისტორიული ძეგლები, კლდეკარის მუზეუმნაკრძალი, ოლიანგის ეკლესია, ბეშთაშენის ეკლესია, რამდენიმე ციკლოპური ტიპის ციხე-სიმაგრე.

მარნეულის ტურისტული მახასიათებლებით საუკეთესო ადგილად მიჩნეულია შულავერის ხეობა. აქ თავმოყრილია ისეთი ისტორიული ძეგლები, როგორიცაა: XXI სს. ოფრეთის ციხე-სიმაგრე, X-XII სს. წოფის ციხე-სიმაგრე, ხოჟორნიას ეკლესია, წერაქვის XIII ს. ღვთისმშობლის ეკლესია.

სამცხე ჯავახეთის რეგიონი. რეგიონში მდებარეობს ბუნების, არქიტექტურისა და კულტურის მრავალი ძეგლი, მათ შორის უმნიშვნელოვანესია: ვარძიის სამონასტრო კომპლექსი (XII-XIII სს.), თმოგვის ციხე, ხერთვისის ციხე, ზარზმის მონასტერი (VIII-IX სს.), ზარზმის მონასტერი (XI ს.), საფარის სამონასტრო კომპლექსი (XII-XIV სს.), ხერთვისის ციხის კომპლექსი (X-XI სს.), ვანის ქვაბები (განვით. შუა საუკ.), თმოგვის ციხე-ნაქალაქარი (X-XI სს.); აზავეთის ეკლესია (VII ს.); ბუზავეთის ეკლესია (VI ს.) და სხვა.

ახალციხის რაიონი მდიდარია კულტურული და სამკურნალო ტურიზმის პოტენციალით. ქალაქთან ახლოს მდებარეობს ცნობილი და დიდი ისტორიული მნიშვნელობის ძეგლი – საფარის მონასტერი. ასევე ახლოსაა აწყურის დიდებული ტაძრის ნანგრევები და ციხე (სადაც აღდგენითი სამუშაოები დღეს უკვე მიმდინარეობს), წრიოხის ციხე. ადიგენის რაიონი: ზარზმა, ჭულევი, აბასთუმანი, ოქროს ციხე, ზანავის ციხე, ბენარა. ბორჯომის რაიონი გამორჩეულია თავისი ბუნებით და არანაკლებ მნიშვნელოვანი კულტურის ძეგლებით. ბორჯო-მის ხეობაში 200-ზე მეტი ისტორიული ძეგლია აღრიცხული. მათ შორის განსაკუთრებით საინტერესოა ტაძრისის, ნედვის, კვირიკეთის, ტიმოთესუბნის, ქვაბისხევის, ლიკანის, ჩითახევის („მწვანე") მონასტრები, აგრეთვე სლესის, პეტრეს, გოგიას, ახალდაბის ციხეები, თორის პლატოს ნასოფლარები და სხვ. ასპინძის რაიონის უმთავრესი ტურისტული ღირებულება მის კულტურულ მემკვიდრეობაშია: ახალციხიდან ასპინძის გზაზე გვხვდება სოფ. რუსთავი, სადაც გადმოცემის თანახმად, დაბადებულა შოთა რუსთაველი; მდ. მტკვრისა და მდ. ფარავნის შესაყარზე დგას ლეგენდარული ციხე-ქალაქი ხერთვისი, V საუკუნის რელიგიური ცენტრი – წუნდა და მითიური წუნდის ტბა, აუღებელის სახელით ცნობილი თმოგვის ციხე-ქალაქი, ვანის ქვაბები – გამოქვაბული მონასტერი, სახელგანთქმული ქალაქი-გამოქვაბული ვარძია. ე. წ. ჯავახური არქიტექტურა განთქმულია თავისი მაღალმხატვრული ორნამენტებითა და ტაძრების ფერადი ქვებით გაფორმების ტრადიციით. ამ თვალსაზრისით, ყველაზე დიდებული სანახავია კუმურდოს ტაძარი, ბარალეთის ეკლესია, ვარდისციხე, სამსარის გამოქვაბულთა კომპლექსი, იხტილა, განძანი, ფოკა, საღამოს ეკლესიები და სხვ.

შიდა ქართლი. რეგიონი ერთ-ერთი ყველაზე მდიდარია ისტორიული ძეგლებით – კულტურული და მომლოცველობითი ტურიზმის მოყვარულთათვის. კულტურული ღირსშესანიშნაობებიდან გამოიყოფა: (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და სხვა). ესენია: წრომის ტაძარი, ატენის სიონი (VII ს.), გორის ციხე, ბულბულის ციხე, სამთავისის ტაძარი (XI ს. უფლისციხის უნიკალური ქალაქ-მუზეუმი, ყინწვისის სამონასტრო კომპლექსი უნიკალური ფრესკებით (XII-XIII სს.), სამწევრისის ციხე-დარბაზის კომპლექსი, რუისის ღვთისმშობლის ხუროთმოძღვრული კომპლექსი. I სურამის ციხე-სიმაგრე, ქვიშხეთის ციხე, ურბნისი, სიონის ტაძარი, მეტეხის ღვთისმშობლის ტაძარი, ქვათახევი, ერთაწმინდა, გორიჯვარი, წინარეხი, ბიეთის მონასტერი, წვერის წმ. გიორგის ეკლესია, რკონი, ძამის ციხე და არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც მრავლად გვხვდება რეგიონის მასშტაბით. მარტო ქარე-ლის რაიონში მდებარეობს საქართველოს ისტორიისთვის ისეთი მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლები, როგორებიცაა: დედოფლის მინდორი და ნაცარგორა, ციხიაგორა კასპის რაიონში და სხვ.

ბევრ განვითარებად და ნაკლებად განვითარებულ ქვეყანაში, ტურიზმი წარმოადგენს შემოსავლის ძირითად წყაროს. აღსანიშნავია, რომ ტურიზმით მიღებული შემოსავლებით ყველაზე მეტ სარგებელს რეგიონის მოსახლეობა იღებს, მათ შორის, ამ სფეროდან სარგებელს სოციალურად დაუცველებიც იღებენ.ეს საშუალებები ამ უკანასკნელთათვის ადგილობრივ დონეზე თვითდასაქმების, ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურებების რეალიზაციის გაზრდით ჩნდება.

რეგიონებში ტურიზმი უფრო სწრაფად განვითარდება თუ ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად მასში ჩაერთვება რეგიონული ტურიზმის მართვის ორგანიზაცია, ე. წ. DMO (Destination Management Organization). ეს უკანასკნელ წარმოადგენს საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას, რომელმაც ჯერჯერობით საქართველოში ფეხი ვერ მოიკიდა. DMO-ს ეფექტიანობას მისი ლოკაციური და სპეციალიზებული მიდგომა განაპირობებს, რაც მას ეხმარება უკეთ დაგეგმოს ადგილობრივი ტურისტული რესურსების გამოყენება და სოციალური პარტნიორების ეფექტიანი მობილიზება [82]; [169].

13.3 რელიგიური ტურიზმი განვითარების პერსპექტივები აფხაზეთში

დღევანდელ დღეს, ტურიზმი ერთ-ერთ მთავარ როლს თამაშობს მსოფლიო ეკონომიკაში. თანამედროვე პირობებში, ტურიზმი გახდა მსოფლიოში ეკონომიკური განვითარების მძლავრი საშუალება. იგი ძირეულ გავლენას ახდენს სახელმწიფოთა შორის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ კავშირებზე. ტურიზმი უდიდესი ინდუსტრიაა, რომელიც, სწორი გააზრებული მენეჯმენტისა და რაც მთავარია ქვეყანაში სტაბილური პოლიტიკური მდგომარეობის პირობებში, დიდი შემოსავლების მომტანია. თუმცა, თავიდანვე უნდა ითქვას, რომ მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ განვითარებულა ტურიზმის ინდუსტრია მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კომუნიკაციური სისტემებისა და სხვა დარგების განვითარებისგან დამოუკიდებლად და მით უმეტეს, მათზე უფრო ადრე. ასევე შეიძლება ითქვას, რომ:

- ტურიზმის დამოუკიდებელი განვითარება ეკონომიკურად ნაკლებად მომგებიანია, რადგან ვერ უზრუნველყოფს ტურისტული პროდუქტის სათანადო დივერსიფიკაციას, აქვეითებს მის კონკურენტუნარიანობას და ვერ პასუხობს მსოფლიო ტენდენციებს;
- გაერთიანებული ძალისხმევით უფრო ადვილია იმ საფრთხეების დაძლევა, რომელთა წინაშეც შეიძლება აღმოჩნდეს ტურისტული ბაზარი, ტურისტული რესურსები და მთლიანად გარემო;
- ტურისტული ინდუსტრიის შეთანხმებული განვითარება ხელს შეუწყობს მთელი რეგიონის ეკონომიკის მომიჯნავე დარგების (ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის და სხვ.) დაბალანსებულ განვითარებას, ასევე ბუნების ტრანსსასაზღვრო დაცვას.

ტურისტთა ნაკადი მსოფლიოს ყველა რეგიონში გაიზარდა, თუმცა ტურისტთათვის ყველაზე პოპულარულ რეგიონად კვლავ ევროპა რჩება, რომელსაც 2016 წელს 615 მილიონი ტურისტი ეწვია. ეს ციფრერი თვალნათელი მაგალითია, იმისა რომ, მსოფლიოში ნაკლებია თავზებელაღებულ, თავგადასავ-ლების მაძიებელ ტურისტთა რიცხვი და ისინი იმ ქვეყნებისკენ მიილტვიან, სადაც ძირითადი პარამეტრები — ქვეყანაში სტაბილურობა, უსაფრთხოება, სანიტარული პირობები, დასვენების ღირებულება, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება, კომფორტაბელური ოტელები, საკადრო პო-ტენციალი, უმაღლეს დონეზეა განვითარებული.

ამ მხრივ კი, „დამოუკიდებელი“ აფხაზეთისთვის, რომელიც მოწყვეტილია, ცივილიზებული სამყაროსგან და რაც მთავარია, ამ ეტაპზე, პოტენციურად ტურისტთა ყველაზე დიდი ბაზისგან – სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებისგან სრულ კოლაფსად შეიძლება იქცეს. საბჭოთა ტურისტული ბრენდი აფხაზეთი, რომელიც, სლავური წარმოშობის არცთუ ისე მდიდარ დამსვენებელთა შორის, ასე თუ ისე კიდევ მუშაობს, ჩრდილო კავკასიის განვითარებისა და ზოგადად რუსეთში ცხოვრების დონის ამაღლების პირობებში, შეიძლება სამუ-დამოდ დასამარდეს. წარსულს ჩაბარდა ეპოქა, როდესაც ჯერ რუსეთის იმპერია, შემდეგ კი საბჭოთა სახელმწიფო, უზარმაზარ ძალისხმევას და თანხებს ხარჯავდა, მისი ერთ-ერთი მხარის განსავითარებლად.

აფხაზეთში ტურისტული ნაკადი შემცირებულია, რუს ტუ-რისტთა გულისაცრუების მთავარი მიზეზი, ფასების ზრდა და შემოთავაზებულ სერვისთან შედარებით მისი შეუსაბამობაა და ასევევ კრიმინალის მაღალი დონე [95:79-85].

აფხაზეთის სტატისტიკურ კრებულებში მოწოდებულ ინფორმაციებსა თუ ე.წ საკურორტო-სარეკლამო სტატიებში, როგორც წესი ვერაფერს ამოიკითხავთ, სასტუმროებისა და სხვა დასასვენებელი

ობიექტების, აბსოლუტური უმრავლე-სობის მორალურ და ფიზიკურ ცვეთაზე, კვალიფიციური პროფესიული კადრების არარსებობაზე და მით უმეტეს ინჟინრული, სატრანსპორტო და სოციალური ინფრასტრუქტურის არასათანადო განვითარებაზე ტურიზმისა და დასვენების ადგილებში.

ტურიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა განსაზღვრავს ქვეყნის მონაწილეობის შესაძლებლობებს საერთაშორისო ტურისტულ შრომის განაწილებაში. ყველა ქვეყანას, რომელიც ილტვის გახდეს ტურისტული, უნდა გააჩნდეს შესაბამისი ინფრასტრუქტურა, განავითაროს საერთა-შორისო და შიდა კომუნიკაციები, სატრანსპორტო საშუალებათა ერთობლიობა, გააფართოვოს საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი, ააშენოს მომსახურების მრავალი ობიექტი და ა. შ. ყველა ეს მისი ტურისტული სპეციალიზაციის აუცილებელი პირობაა.

და ბოლოს, ტურიზმის განვითარების საფუძველის საბოლოო მიზანია ქვეყანაში ჩამოსულ ტურისტს შესთავაზო და აყიდინო არა მარტო მასპინძელი ქვეყნის მომსახურება, არამედ – სწორედ ამ ქვეყანაში წარმოებული პროდუქცია. რეალობის ადეკვატურ აღქმასთან ერთად საჭიროა მეტი გამბედაობა და მარტივი ჭეშმარიტების გაცხადება – აფხაზეთის განვითარებაზე ფიქრიც კი შეუძლებელია, საქართველოსთან და შემდგომ დანარჩენ ცივილურ სამყაროსთან საზღვრების გახსნის გარეშე [15:90-99].

აფხაზეთში ტურიზმის სფეროს განვითარების ძირითად შემაფერხებელ ფაქტორებად შეიძლება დასახელდეს:

- ტურიზმის დამოკიდებულება ქვეყნის ეკონომიკის მდგომარეობაზე;
- გართობის ინდუსტრია არასაკმარისადაა განვითარებული;
- ეკონომიკის ტურისტული სექტორის საქმიანობას სეზონური ხასიათი აქვს, რაც აძლიერებს აღწარმოების პროცესის ციკლურობას;
- ტურიზმი ყველაზე მეტად განიცდის პოლიტიკური არასტაბილურობის გავლენას, რაც ამ დარგის განვითარებას ძალზე სარისკოს ხდის;
- ტურისტული და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა;
- საერთაშორისო იზოლაცია.

ზოგადად, რასაკვირველია თუკი აფხაზეთის ტურისტულ პოტენციალზე ვისაუბრებთ და აქ წარმოდგენილ საკურორტო-რეკრეაციულ და ტურისტულ-რეკრეაციულ რესურსებს თუკი შევაფარდებთ მის მცირე ფართობს, იგი შეიძლება მსოფლიოს უმდიდრეს და უნიკალურ მხარედ ჩაითვალოს. აქ ყველაფერია: ბუნებრივ-კლიმატური პირობები, მდიდარი ლანდშაფტი, შავიზღვისპირა სანაპირო ზოლი, ბუნებრივი და ისტორიული ღირსშესანიშნაობები, სამკურნალო და მინერალური წყლები, მარადიული თოვლითა და მყინვარებით დაფარული მთები და ყოველივე ამასთან გამაჯანსაღებელი კურორტების დიდი რიცხვი. საქართველოსთან ჯანსაღი პოლიტიკური ურთიერთობების დამყარებისთანავე, აფხაზეთს მიეცემა შანსი ამ რესურსების გამოყენებისა, აფხაზეთს საქართველოსთან ერთად გააჩნია რეალური პოტენციალი გახდეს მაღალგანვითარებული ტურიზმისა და რეკრეაციული მეურნეობის ქვეყანა [19:123].

აფხაზეთში არის უამრავი საკურორტო ზონა და ადგილი, რომლებიც დასვენებისა და მკურნალობის იდეალურ ადგილებს წარმოადგენდნენ და ტურისტული პოტენციალი კვლავაც გააჩნიათ. მათგან უპირველესად შეიძლება დასახელდეს ბიჭვინთა, მიუსერა (მისრა), ეშერა, განთიადი (ცანდრიფში), ლესელიძე (გეჩრიფში), ოქროს ნაპირი და მრავალი სხვა, სადაც ტერიტორიის ბუნებრივ-რეკრეაციული პოტენციალმა, საბჭოთა ხელისუფლების დროს, ხელი შეუწყო მათ საკურორტო-გამაჯანსაღებელ ზონებად ქცევას.

ეკოტურიზმი. ეკოლოგიური ტურიზმი (ეკოტურიზმი) საკმაო ძალას იკრებს მსოფლიოს ტურიზმისა და სტუმართმოყვარეობის ინდუსტრიაში. მსოფლო ტურისტული ორგანიზაციის ექსპერტთა პროგნოზებით, 21-ე საუკუნეში მისი ზრდის ტემპები კვლავ მაღალი იქნება, ხოლო მიღებული შემოსავლები დიდ წვლილს შეიტანენ მრავალი ქვეყნის, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაში. ეს ჩამორჩენილ, განსაკუთრებით მთიან რეგიონებს, სოციალ-ეკონომიკური ზრდის სტიმულირების საშუალებას მისცემს. ამ სახეობის ტურიზმის ორგანიზაციის თავისებურებას წარმოადგენს, მოგზაურობის ორგანიზებისას ბუნებრივ გარემოზე მინიმალური ზემოქმედების უზრუნველყოფა, ეკოლოგიური სასტუმროების ქსელის შექმნა, ტურისტების უზრუნველყოფა ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტებით და ა.შ. ეკოტურიზმი მოიცავს ეკოლოგიურად სუფთა ბუნებრივი ტერიტორიების მონახულებას (ნაკრძალების, აღკვეთილების, ეროვნული პარკების, ბოტანიკური ბაღების). ეკოტურიზმის ჩარჩოებში შეიძლება გამოიყოს ეკოშემეცნებითი ტურები, ტურები ეკოსისტემებში, ფოტონადირობა.

აფხაზეთის ბუნება, მისი ჯერჯერობით გარკვეულ დონემდე შენარ-ჩუნებული ეკოსისტემები, უნიკალურ შესაძლებლობას იძლევა ეკოტურიზმის განვითარებისათვის. სწორედ ეკოტურიზმი გვევლინება ყველაზე აქტიურ ლობისტად დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ქსელების შექმნაში განვითარებულ ქვეყნებში. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ არაერ-თი მაგალითი ისეთი ქვეყნებიდან, როგორიცაა აშშ, გერმანია, შვეიცარია, ესპანეთი და სხვ. პოსტინდუსტრიული ქვეყნეის მეურნეობის ტერიტორიული სტრუქტურის სრულფასოვანი ელემენტი ხდება განსაკუთრებით დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ქსელი. ეკოტურიზმის პოზიტიური გავლენა ვრცელდება ცენტრის ქვეყნების ფარგლებს მიღმაც. გეოგრაფების შეფასებით, აფრიკის ქვეყნებში ეკოლოგიური მდგომარეობა უკეთესია, ვიდრე აზიაში, რადგან აქ შექმნილია ნაციონალური პარკები, რომლებშიც ფაუნის ეგზოტიკური სახეები ემსახურება უცხოელი ტურისტების მოზიდვის საქმეს [19:123].

ეროვნული პარკი – ბუნებრივი დაცული ტერიტორიების ერთადერთი სახეობაა, რომელიც თავისთავში აერთიანებს ბუნების დაცვისა და რეკრეაციულ ფუნქციებს. აფხაზეთში მათ მთელი ტერიტორიის 10-12% უჭირავთ, რაც რასაკვირველია საკმაოდ მცირე ფართობია, თუკი რასაკვირველია აფხაზეთის დღევანდელ ხელისუფლებს, საკუთარი ქვეყნის ბუნების დაცვა და ეკოლოგიური ტურიზმის მექად გადაქცევა სურთ (მაგალითისთვის, აშშ-ში ტერიტორიის 40% მოცულია დაცვის სხვადასხვა ფორმებით, ესპანეთში კი რეკრეაციულ ზონებს ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით მესამედი უჭირავთ) [20:155-165].

ეკოტურიზმის ეკონომიკური როლი განპირობებულია მისი ერთ-ერთი ძირითადი პრინციპით, რომლის შესაბამისად, შემოსავლების ძირითადი ნაწილი კვებავს ადგილობრივ ეკონომიკას, მიემართება ადგილობრივ ბიუჯეტებში, გამოიყენება ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებისათვის.

განსაზოგადებლად, შეიძლება გამოიყოს ეკოტურიზმის შემდეგი პოზიტიური ეკონომიკური და მასთან ერთად სოციალური ფუნქციები:

- ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ადგილობრივი მოსახლეობისათვის;
- ბუნებათსარგებლობის ტრადიციული ფორმების სტიმულირება;
- ეკოლოგიურად სუფთა კვების პროდუქტების წარმოება;
- ინვესტიციების ზრდა როგორც ინფრასტრუქტურასა და სერვისში, ისე ბუნების დაცვაში;
- ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდა;
- ხელობების განვითარება;
- სპეციალური განათლების განვითარება, რომელიც მიმართული იქნება ტურისტული პროფესიების შეძენაზე;
- ადგილობრივი თვითმართველობის განვითარება;
- განვითარების გეგმების ფორმირება „შიგნიდან“ ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით.

აფხაზური მხარის გონიერების პირობებში, ეკოტურიზმი შეიძლება ძალზედ ქმედით ინსტრუმენტად იქცეს მდგრადი განვითარებისა და ეკონომიკური ზრდისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, ტერიტორიის ბუნებრივ-რეკრეაციული პოტენციალი, ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს ტურიზმის განვითარებისათვის, რაც აფხაზეთს უპირობოდ გააჩნია, ასევე კლავ უნდა გავმეორდეთ და აღვნიშნოთ რომ, რაც არ უნდა აღმფრთოვანებელი და თვალწარმტაცი იყოს, გარშემომყოფი ლანდშაფტები, სერვისი უნდა შეესაბამებოდეს 21-ე საუკუნის ყველაზე მოთხოვ-ნად სტანდარტებს. დასავლური სტანდარტებით, დასათვალიერებლად (სანახავად) საინტერესო ობიექტების არჩევანი განისაზღვრება არა მხოლოდ და არა იმდენად მისი უნიკალურობით, რამდენადაც ტურისტული მომსახურების სრულყოფილი სისტემის არსებობით. მის გარეშე თუნდაც ყველაზე გამორჩეული ბუნებრივი ობიექტი – ცარიელი ადგილია თანამედროვე ტურისტული ბიზნესისათვის. მაგალითად ლათინურ ამერიკაში ჩასულ ტურისტთა 50%-ს მიზნად აქვს ბუნებრივი რეზერვატების დათვალიერება. მრავალი ეროვნული პარკის, ნაკრძალის ხელმძღვანელი ეკოლოგიურ ექსკურსიებს ნამდვილ შოუდ აქცევს ხოლმე. ძალიან ხშირად ბუნებ-რივი ობიექტების ჩვენება განსაკუთრებით მღვიმეებში, თანმხლებია მუსიკასთან, ფერად განათებასთან, ადგილობრივი მოსახლეობის ფოლკლორის ჩვენებასთან. პარალელს აფხაზეთთან თუ გავავლებთ, რომელიც ბუნებამ კარსტული მღვიმეების სიუხვითაც დააჯილდოვა, ვნახავთ, რომ დღესდღეობით ტურისტულ ინდუსტრიაში მხოლოდ ახალი ათონის მღვიმეებია ჩართული, თუმცა მისი შიდა ინფრასტრუქტურა იმდენად მოძველებულია, რომ „გაქვავებული“ საბჭოთა კავშირის ასოციაცია გაგიჩნდებათ. ახალი ინვესტიციების და თანამედროვე მენეჯმენტის არარსებობა, უნიკალური ბუნებრივი ობიექტის მიმართაც კი ტურისტთა ნაკადს ამცირებს,

ამის გამო ტურისტებისათვის აფხაზეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ობიექტზე – ახალი ათონის მღვიმეზე ტურისტთა ნაკადი სულ უფრო და უფრო მცირდება. საუბარიც არ ღირს კავკასიის ერთ-ერთ ულამაზეს და უდიდეს აბრსკილის მღვიმეზე, რომელიც ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოტაფში მდებარეობს. დღესდღეობით მღვიმის გარშემო არანაირი ტურისტული ინფრასტრუქტურა არ არსებობს. თავად ძეგლიც გაპარტეხების პირასაა [19:123].

აგროტურიზმი. ახალგაზრდული ტურიზმი. ზოგადად უნდა ითქვას, რომ აგროტურიზმს (სოფლის ტურიზმს, ფერმერულ ტურიზმს) უდიდესი პოტენციალი გააჩნია. ევროპაში იგი თანდათან უკვე იწყებს, ტურისტების გადაბირებას საკურორტო ტურიზმის სფეროებიდან, იზიდავს რა მათ შედარებით დაბალი ფასებითა და დასვენების ორგანიზაციის ფართო შესაძლებლობებით. ევროკავშირის სტატისტიკური მონაცემების თანახმად მოსახლეობის 30% სწორედ ასეთ დასვენებას აძლევს უპირატესობას.

ევროპაში ცნობილია მაგალითები, როდესაც სოფლის ტურიზმის განვითარების ინიცირება მოახდინეს ტურიზმის სხვა გვერდითმა სახეობებმა. მაგალითად ირლანდიაში სოფლის ტურიზმის განვითარება ინტენსიურად მიმდინარეობდა პირველყოფილი დროის ძეგლების – დოლმენების, კრომლეხების სხვა მეგალითური ძეგლების განლაგების რაიონებში. სოფლის ტურიზმის აღმავლობა ნორვეგიის სანაპირო ზო-ნებში დაკავშირებულია ტურისტების ფიორდების ნახვის დაინტერესებით. სოფლის ტურიზმის განვითარებას ხელს უწყობს თავად მისი სახესხვაობებიც – გასტრონომიული ტურიზმი, ღვინის ტურიზმი, ლუდის ტურიზმი და სხვ. სოფლად ტურიზმის განვითარება ამცირებს უმუშევრობას და ზრდის ადგილობრივი პროდუქტის გასაღების შესაძლებლობას. დღეს, როდესაც სოფლად ცხოვრების პირობები რთულია და ადგილობრივ მცხოვრებთა ფინანსური შემოსავლები მცირეა, პროდუქტის გასაღები ბაზრების მოპოვება და პროდუქტის პირველადი ღირებულების გაზრდა მომსახურების დამატებით, სიღარიბის დაძლევის პრიორიტეტული მიმართულებაა. ...შავიზღვისპირეთში მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა და დამსვენებელთა რაოდენობისა და ტურისტების რაოდენობის მატება განაპირობებს სურსათზე მოთხოვნილების შემდგომ გადიდებას, რომლის ნაწილი (რძე, ბოსტნეული, ხორცი, ხილი და ა.შ.) ადგილზევე უნდა იწარმოებდეს.

დამატებითი ღირებულების წარმოქმნის პროცესი შეიძლება მოიცავდეს ასევე სხვა მომსახურებასაც (ტრანსპორტი, ღა-მის გათევა, ტრადიციული ხელსაქმე და ა.შ.) ტურისტულ მომსახურებასთან ერთად ეს ქმნის ე. წ. პირდაპირი პროდუქტის დამატებითი ღირებულების ჯაჭვს, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ადგილობრივი მოსახლეობის პირდაპირ შემოსავალს.

ტურისტს სოფლად შემოაქვს და გასცემს თავის დანაზოგს შემოსავლის წყაროს უქმნის არა მხოლოდ მასპინძელს, ვინც აქირავებს სახლს, საკვებსა და პროდუქტებს ყიდის, არამედ ყველა იმ ადგილობრივ მცხოვრებს, ვინც არაპირდაპირ ჩართულია ტურისტულ მომსახურებაში.

ტურიზმის განვითარება სოფლად დაკავშირებულია რეგიონში ინფრასტრუქტურის განვითარებასთან (მომსახურების, ეკონომიკის, ტრანსპორტის, ინფრასტრუქტურის სფეროში). ტურიზმის წარმატება პირდაპირ აისახება სოფლად უძრავი ქონების ღირებულებაზე (მიწის ნაკვეთების, შენობა-ნაგებობების ფასი), რაც მოსახლეობის კაპიტალიზაციას ზრდის, ფართოვდება საკვების წარმოება და გადამუშავება, სოფლის მცხოვრებთა ცოდნისა და კვალიფიკაციის დონე, რეგიონებში და სოფლებში ტურისტული ნაკადების მომსახურება.

სოფელი, ტურისტული ერთეულის გარდა, არის ადგილი სადაც შემონახულია ძველი სამეურნეო ტრადიცია, ადგილობრივი სამზარეულო, ხელსაქმე, საეკლესიო დღესასწაულები, სახალხო დღეობები, ქორწილები, ეთნოგრაფიული სახლები, რეგიონული მუზეუმები და სტუმართმოყვარე მასპინძელი. ეს ყველაფერი, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი დამსვენებლებისათვის წარმოადგენს მთავარ მიმზიდველობას და რეკრეაციულ რესურსს.

ბევრ ქვეყანაში სოფლის ტურიზმმა სოფლებს თვითმყოფადობა შეუნარჩუნა. ტურიზმის განვითარების მიზნით მუშავდება სპეციალური პროგრამები, რომლებითაც ხორციელდება სასოფლო სახლების რესტავრაცია და ნაციონალურ სტილში გაფორმება, თანამედროვე კომფორტის და სიმყუდროვის შენარჩუნებით. ტურისტებს საშუალება ეძლევათ გაეცნონ ადგილობრივ კულტურას, ტრადიციებს, ფოლკლორს, დაისვენონ მთიან სოფლებში, იარონ ზღვის ნაპირზე. პროგრამის განხორციელებას მოჰყვება სოფლებში სამუშაო ადგილების შექმნა, სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება.

დღევანდელ პირობებში, როდესაც აფხაზეთის ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი სოფლიდან მიგრაციის შეჩერება და ხალხის ადგილზე დასაქმება უნდა იყოს, მსგავსი პროექტების განხორციელებას თავადაც უნდა უწყობდნენ ხელს. საჭიროა ამა თუ იმ სოფლის ტურისტული პოტენციალის შესწავლა და გარკვეული ინვესტიციების განხორციელება კომუნიკაციების

მოსაწესრიგებლად. ასევე მიზანშეწონილი იქნება, საკუთრივ სოფლის მცხოვრებთათვის გრძელვადიანი კრედიტების გაცემა, საკუთარი სახლისა და მეურნეობის სათანადო დონეზე მოსაწყობად, კერძო სასტუმროების ასაშენებლად. აქ ორი პრობლემა დგება – ერთი ფინანსური, ანუ აფხაზური მხარის მიერ საკუთარი შესაძლებლობებით მსგავსი პროექტების განხორციელების შეუძლებლობა და მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი – აფხაზეთის საერთაშორისო იზოლაციის პირობებში, ვინ შეიძლება იყოს დაინტერესებული ან ვინ შეძლებს აფხაზეთის სოფლებში დასვენებას. (თუნდაც იმ სტატისტიკის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთში რუსეთიდან ჩამოსული არცთუ მრავალრიცხოვანი და არცთუ მდიდარი კონტიგენტი, უფრო ზღვის პირას დასვენებას, ან „თვითშემოქმედებით“ ტურიზმს ირჩევს) პასუხი ერთია – მხოლოდ (უპირველესად) საქართველოს მოსახლეობა, ამიტომ აფხაზეთის პოლიტიკური მომავლის გადაწყვეტამდე, ხელი უნდა შეეწყოს კომუნიკაციების აღდგენას ქართულ და აფხაზურ მოსახლეობას შორის, რომელიც რა თქმა, არ უნდა იყოს დროის მცირე მონაკვეთზე გათვლილი პიარი. უპირველესად, დაახლოების ხელშეწყობის პროგრამებიდან ერთ-ერთი, ქართული მხარის მიერ მოზიდული საერთაშორისო ინვესტიციებით, აფხაზეთის გლეხობისათვის ტურისტული ინ-ფრასტრუქტურის მოწყობა უნდა იყოს (ლტოლვილთა უსაფრთხო დაბრუნების პარალელურად). საპილოტე პროგრამა შეიძლება განხორციელდეს გალისა და ოჩამჩირის შერეულ ქართულ-აფხაზურ სოფლებში, სადაც ამასთან ქრისტიანული კულტურის ძეგლები, ისტორიული თუ ბუნებრივი ღირსშესანიშნაობანი არსებობს. აქცენტი პირველ ეტაპზე უნდა გაკეთდეს ახალგაზრდულ ტურიზმზე, რადგან მათ ომის ქარ-ცეცხლი უშუალოდ არ შეხებიათ. აქაც, საქართველოს საპატრიარქოს უშუალო ჩართულობით განსახორციელებელი ეს პროექტიც ორმხრივი ნდობის პირობებში, იმედია დაიწყება და წარმატებულიც აღმოჩნდება [19:123].

დღესდღეობით ტურიზმის ინდუსტრია იმდენად მძლავრადაა განვითარებული, რომ ტურიზმი უკვე ცალკეულ მიმართულებებად, დარგებად არის დაყოფილი იმის და მიხედვით თუ რომელი ტურისტული მიმართულება უფრო მეტად მიესადაგება ამა თუ იმ ქვეყანას, საიდან შეიძლება მიღებული იქნეს მაქსიმალური შემოსავალი.

რელიგიური ტურიზმი. რელიგიურ ტურიზმს შეიძლება უძვე-ლესი ეწოდოს – მისი ფესვები უხსოვარ დროში მიდის. ადამიანები ყოველთვის ცდილობდნენ გამორჩეული საკულტო ცენტრების მონახულებას და შორეულ ეპოქებშიც კი, პილიგრიმები ამ მიზნით ათასობით კილომეტრის დაფარვასაც არ ერიდებოდნენ.

აფხაზეთში არ არის მსოფლიო მნიშვნელობის რელიგიური ცენტრები, შესაბამისად უშუალოდ მომლოცველთა ნაკადი მრავალრიცხოვანი ვერ იქნება, თუმცა, რელიგიურ ტურიზმს საექსკურსიო-შემეცნებითი კუთხით, ადგილობრივი მრავალრიცხოვანი ტაძრებისა და სალოცავების გათვალისწინებით, გარკვეულ პირობებში საკმაო პოტენციალი გააჩნია.

რელიგიური ტურიზმის ინდუსტრია, მთელი ტურისტული ინდუსტრიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. მასში შეიძ-ლება გამოიყოს შემდეგი სეგმენტები:

1. განთავსების დაწესებულებები – განთავსების სპეციალი-ზებულ საშუალებათა ერთობლიობა (სასტუმროები, კემპინ-გები, საერთო საცხოვრებლები, სამონასტრო კელიები);
2. კვების დაწესებულებები – საზკვების სპეციალიზებულ დაწესებულებათა ერთობლიობა;
3. სატრანსპორტო საშუალებები და ინფრასტრუქტურა;
4. საჩვენებელი რელიგიური ობიექტები – საკულტო ნაგებო-ბები (მონასტრები, ტაძრები, სამლოცველოები, და ა.შ);
5. თაყვანისცემის ბუნებრივი ობიექტები (წმინდა წყაროები, ტევრები, მდინარეები და ა.შ).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველ სამ პუნქტში ჩამოთვლილი, რელიგიური ტურიზმის (საერთოდ ტურიზმის) ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის საჭირო თანამედროვე დაწესებულებები, აფხაზეთში შეიძლება ითქვას არ არსებობს. თუკი პოტენციალზე და პერსპექტივებზე ვისაუბრებთ, აფხაზეთში რელიგიური ტურიზმს გასაქანი, შეიძლება მხოლოდ დანარჩენ საქართველოსთან საზღვრების გახსნის შემდეგ მიეცეს, რადგან წარმოუდგენელიც კია, ოდესმე ამ მიმართულებით, ქართველთა ინტერესი საერთო ისტორიის ძეგლთა მიმართ, სხვა ქვეყნების მოსახლეობის ინტერესმა გადაწონოს.

დღეისათვის აფხაზეთის ტერიტორიაზე ქრისტიანული ხუროთმოძღვრების დაახლოებით 80 ნაგებობაა აღრიცხული. ისინი საქართველოსთან კულტურულ-ისტორიული ერთობის სიმბოლოებს წარმოადგენენ.

გუდაუთის რაიონში რელიგიური ტურიზმის განვითარებისათვის, აქ არსებული მრავალრიცხოვანი ძეგლების არსებობის გათვალისწინებით, დიდი შესაძლებლობები არსებობს. ტურისტებისათვის



უპირველესად დიდი ინტერესის გამომხატველი აუცილებლად იქნება (და ყოველთვის იყო), სოხუმიდან 22 კმ-ში მდებარე უნიკალური კურორტი ახალი ათონი. ახალ ათონში კონცენტრირებულია დიდი რაოდენობის ღირსშესანიშნაობები ისტორიული და წმინდა ადგილები.

წმ. პანტელეიმონის ტაძარი. ტაძარი 1875 წელს ივერიის მთაზე, საბერძნეთიდან ათონის წმინდა მთაზე მდებარე, ივერთა მონასტრიდან წამოსულმა რუსმა ბერებმა დაარსეს. სამონასტრო მოღვაწეობა განსაკუთრებით გააქტიურდა 1879 წლის 8 დეკემბერს იმპერატორ ალექსანდრე მეორის მიერ „ახალათონის მონასტრის წესდების„ დამტკიცების შემდეგ.

წესდება მისიონერებს ფართო უფლებებს აძლევდა არა მარტო მისიონერულ არამედ სამეურნეო საქმიანობაშიც. რთული რელიეფის და აქედან გამომდინარე მძიმედ შესასრულებელი სამუშაოების მიუხედავად, მთლიანად სამონასტრო კომპლექსის დასრულება საკმაოდ მოკლე ვადებში მოხერხდა. დასავლეთ კორპუსის ცენტრში აღმართულია 50 მეტრიანი სამრეკლო საათით, რომელიც მონასტერს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ აჩუქა, რომელმაც 1886 წელს მოინახულა ტაძარი. მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან ახალი ათონი კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე რუსეთის იმპერიის უმსხვილესი რელიგიური ცენტრი გახდა.

სამონასტრო კომპლექსის ცენტრში აღმართული წმ. პანტელეიმონის ტაძარი, ახალბიზანტიურ სტილში აგებული ხუთგუმბათოვანი ტაძარია, ცენტრალური გუმბათის სიმაღლე 40 მეტრია. ტაძრის სიგრძე 53,3 მეტრია, სიგანე 33,7. ტაძარში ერთდროულად შეიძლება დაჰყოს 3000 ადამიანმა. სამონასტრო კომპლექსი აფხაზეთის ერთ-ერთ მთავარ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს, თუმცა რელიგიური ცხოვრების კუთხით ტაძრის გარშემო არცთუ სასიამოვნო ვითარებაა შექმნილი, მღვდელმსახურთა შორის ადგილი აქვს დაპირისპირებას.

ახალი ათონის მონასტრებს შორის აუცილებლად უნდა აღინიშნოს X საუკუნეში სიმონ კანანელის დაკრძალვის ადგილას აგებული დიდებული ტაძარი, ასევე სალოცავი-მღვიმე მდინარე ფსირცხასთან



მდებარე ქვაბულში, სადაც გადმოცემით სიმონ კანანელი დასახლდა და დაიწყო ქრისტეს სიტყვის ქა-დაგება.


სოფელ ლიხნში მდებარეობს, X საუკუნეში **ნაგები ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი.** იგი ჯვარ-გუმბათოვანი, სამაფსიდიანი ნაგებობაა. შენობა გამოირჩევა ფორმების სიმკაცრით და ამავდროს პროპორციების სისუფთავითა და ჰარმონიით, რაც ხუროთმოძღვართა დიდ ოსტატობაზე მეტყველებს.

ლიხნის ტაძრის კედლებზე გამოსახულია წმინდანთა მრავალრიცხოვანი ფრესკული გამოსახულებები, რომელთა დიდ ნაწილს ახლაც გამოსახულების განმარტებითი წარ-წერები. დაახლოებით 17-მდე წარწერა შესრულებულია ასომთავრული ანბანით.

გუდაუთის რაიონში მდებარე სხვა ქრისტიანული კულტურის ძეგლებიდან, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნენ ტურისტულ მარშრუტთა სიაში შეყვანილი, უნდა აღინიშნოს სოფელ ანუხვის XI საუკუნის ეკლესია, რომლის წარწერებიც შესრულებულია ქართული ასომთავრული ანბანით. ასევე, სოფელ პრომორსკოესთან ახლოს, მდინარე წკუარას ხეობაში მდებარე VIII-IX საუკუნის ტაძარი.

ამ ტაძარში აღმოჩენილი იყო დასავლეთ საქართველოში ყველაზე უძველესი ასომთავრული წარწერების ნიმუშები. დღეისათვის ამ უნიკალური ტაძარის ნაშთებიც კი მიუხედავია; ამავე ეპოქის ხუროთმოძღვრე-ბის ნიმუშია მიუსერას ტაძარი; ცალკე აღნიშვნის ღირსია სოფელ ბზიფში მდებარე IX-X საუკუნის კომპლექსი, რომელშიც შედის ციხე და ტაძარი, იგი გალავნითაა შემოზღუდული. მიუხედავად იმისა რომ ტაძარს გუმბათი აღარ შემორჩა მნახველებზე მაინც დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ქმნის.

დრანდა



გულრიფშის რაიონის სოფელ დრანდაში მდებარეობს ღვთისმშობლის ტაძარი, რომლის ფორმები ბიზანტიური არქიტექტურული სტილითაა შექმნილი. ტაძარი 1737 წელს თურქებმა გადაწვეს. ღვთისმსახურება თითქმის საუკუნენახევრის შემდეგ – 1871 წელს იქნა აღდგენილი.

სოხუმის რაიონის ტურისტული მარშრუტები გვერდს ვერ აუვლის აქ მდებარე ძველ რელიგიურ ცენტრებსა და ბრწყინვალე არქიტექტორული სტილით ნაგებ ქრისტიანული კულტურის ძეგლებს.

კომანის მონასტერი. კომანი აფხაზეთის ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია. იგი სოხუმიდან 12 კილომეტრში მდებარეობს. აქ აღმართულია XI-XII საუკუნეების ცნობილი მონასტერი. აქ აწამეს წმინდა მოწამე ვასილისკო. აქ მიაბარა სული უფალს გადასახლებაში მყოფმა კონსტანტინეპოლის დიდმა მღვდელმთავარმა წმინდა იოანე ოქროპირმა. ტაძარში ინახება ქვის სარკოფაგი რომელშიც იგი პირველად იყო დამარხული, 30 წლის შემდეგ იგი გადასვენებულ იქნა კონსტანტინეპოლში.



აქ მიუვალ მთებში მესამედ გადამალეს პატიოსანი თავი იოანე ნათლისმცემლისა. კომანი წმინდა ადგილია. ყოველთვის დიდი იყო მომლოცველთა ნაკადი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში კომანის ტაძარი, ბუნებრივია, არ მოშენდებდა, მაგრამ მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ტაძარი აღადგინა, კეთილმოაწყო და აქ დედათა მონასტერი დაარსა აფხაზმა მამულიშვილმა ოური ანუამ, რომელიც ტაძრის წინამძღვართან მამა ანდრია ყურაშვილთან ერთად დახვრიტეს 1993 წლის სამარი მოქმედებების დროს.

ოჩამჩირის რაიონში გარდა დიდებული მოქვის ტაძრისა, აღსანიშნავია ილორის ეკლესია. ოჩამჩირიდან სამიოდე კილომეტრში მდებარეობს სოფელი ილორი, სადაც აღმართულია ილორის წმინდა გიორგის ეკლესია, რომელიც იყო დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საეკლესიო ცენტრი. მასში არასდროს წყდებოდა მომლოცველთა ნაკადები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან. დღესდღეობით XI საუკუნეში აგებული ტაძარი „რეკონსტრუქტურებული" – იგი თეთრადაა შეღებილი როგორც შიგნიდან ისე გარედან, დაკარგული აქვს პირვანდელი სახე. ქართული ლაპიდარული წარწერები აღარ იკითხება.

ისტორიული წყაროების თანახმად ბედიის სამონასტრო კომპლექსი, დაარსებულია X საუკუნის ბოლოს გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III ბაგრატიონის მიერ. ბაგრატ III მისივე ანდერძით ბედიის მონასტერშია დაკრძალული.

ტაძარზე და საეკლესიო ნივთებზე შემორჩენილია ქართულ ასომთავრულზე შესრულებული წარწერები.

დავით აღმაშენებელმა საქართველოს და ქართული ეკლესიის ერთიანობის სიმბოლოდ ბედიის არქიეპისკოპოს სვიმეონს მიანიჭა ბედიელ-ალავერდელის წოდება.



ბედია, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია, ბედიის მონასტერს კვლავ აქცევს ქართველთა და აფხაზთა ერთიანობის სიმბოლოდ.

გალის რაიონი. ისტორიული სამურზაყანო, რომელიც ისტორიის მანძილზე ხშირად წარმოადგენდა ოდიში-სადადიანოს შემადგენელ ნაწილს, საკმაოდ მდიდარია ქრისტიანული კულტურის ძეგლებით, რომლებიც შეიძლება შეტანილ იქნას ტურისტულ მარშრუტთა სიაში.

სოფელი გუდავა და გუდავის ეკლესია. სოფელი გუდავა უძველესი დროიდანვე წარმოადგენდა მნიშვნელოვან საეკლესიო ცენტრს. მკვლევართა ვარაუდით, ბერძნულ და ბიზანტიურ წყაროებში მოხსენიებული ციხესიმაგრე ზიგანისი დღევანდელი გუდავა უნდა იყოს. VI-X საუკუნეებში ლაზიკის ოთხი საეპისკოპოსო კათედრიდან ერთ-ერთი სწორედ გუდავაში იყო. აფხაზთა და ქართველთა მეფემ ბაგრატ III მე-10 ს. გააუქმა გუდავის საეპისკოპოსო, როგორც ბერძნული საეკლესიო პოლიტიკის საყრდენი საქართველოში და ბედიის საეპისკოპოსო დაარსა.

დღეისათვის გუდავის ტერიტორიაზე მხოლოდ ბაპტისტერიუმია არქეოლოგიურად დადასტურებული, რომლის მიდამოებშიც გამოვლენილია მდიდარი არქეოლოგიური მასალა. არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ბაპტისტერიუმი შესაძლოა IV-V საუკუნეებით დათარიღდეს.

წარჩის ეკლესია. გალიდან 17 კმ მანძილზე, მდინარეების ოქუმისა და წარჩეს ხეობებში მდებარეობს სოფელი წარჩე. იგი ჯერ კიდევ ფლავიუს არიანეს ყავს მოხსენიებული რო-გორც ქალაქი „ტარშენ“. მხარეთმცოდნე ნ.შონიას გადმოცემით წარჩეში 23 ისტორიული ძეგლია, მათ შორის XIII-XIV საუკუნის ხუროთმოძღვრული კომპლექსი „მაფაშ ოხუამე“ – მეფის ეკლესია. კომპლექსში შედის ორი ეკლესია, გალავანი და კარიბჭის ნაშთი. წარჩეს ეკლესიები XVII საუკუნეში განუახლებია სამეგრელოს მთავარს ლევან II დადიანს.




საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ოკუპირებული გალის რაიონის სოფლების, ჩხორთოლის, ოქუმის, ღუმურიშის, წარჩეს, ნათლისღების და ჭუბურხინჯის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიებს, ასევე წარჩეს ციხეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა. აფხაზეთის ტერიტორიაზე უკვე 107 ძეგლს აქვს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი. კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მინიჭებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ძეგლებისთვის, საქართველო აცხადებს მზაობას ამ ძეგლების

ზრუნვაზე. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ეს არის მხოლოდ ქართველთა კუთვნილებაა, ჩვენ ვამბობთ, რომ ეს ქართველთა და აფხაზთა საერთო კუთვნილებაა.

რელიგიური ტურისტებისათვის ეგზოტიკური თვალსაზრისით შეიძლება მიმზიდველი იყოს აფხაზთა წარმართული სალოცავების დათვალიერება და „წმინდა ადგილებში“ ტრადიციული რიტუალებისათვის თვალყურის მიდევნება.

აფხაზეთის სპეციფიკიდან გამომდინარე აქ შეიძლება ფართო გავრცელება ჰპოვოს ეთნიკურმა ტურიზმმა. ეთნიკური ტურიზმი მიზნად ისახავს დაბადების ადგილის, ოჯახის ძველი ან წინაპართა საცხოვრებელი ადგილის მონახულებას. ტურიზმის ეს სახეობა ნოსტალგიურის სახელს ატარებს (ნოსტალგიე ტოურ). ამ სახეობის ტურიზმს პრიორიტეტული მნიშვნელობა აქვთ იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც სხვა ქვეყნებში დიდი დიასპორები ჰყავთ. XIX საუკუნის მეორე ნახევარში აფხაზთა ტრაგედიის „მუჰაჯირობის„ შემდეგ, აფხაზებს საკმაოდ დიდი დიასპორა გაუჩნდათ თურქეთსა და ზო-გიერთ სხვა ახლო აღმოსავლეთის ქვეყანაში. ასევე, საჭიროა და მიგვაჩნია, რომ აფხაზეთის ხელისუფლებამ ცივილური იერის, გახსნილობის და გადაწყვეტილებებში დამოუკიდებლობის წარმოსაჩენად, უპირველესად ქართველ ლტოლვილებს, მათ საბოლოო დაბრუნებამდე, საქართველოს საპატრიარქოსთან თანამშრომლობითა და უშუალო მონაწილეობით, საეკლესიო დღესასწაულებისას, წინაპართა საფლავების და დაბადების ადგილების მონახულების საშუალება ოფიციალურად უნდა მისცეს [20:155-165].

ჩვენ ვეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ერთ ტერიტორიაზე ქართული და აფხაზური ნაციონალური პროექტების თანაარსე-ბობა და მისი განხორციელება შესაძლებელია, ეს ჩვენი დიდი სურვილია. ის რომ, ასეთი თანაარსებობა რეალური და საკმაოდ შესაძლებელია, ამას ისტორიაც გვასწავლის მე-8 – მე-9 საუკუნის აფხაზთა (დასავლეთ საქართველოს) სამეფო, ქართველებსაც და აფხაზებსაც, საკუთარი ისტორიის საამაყო ნაწილად მიგვაჩნია, ისევე როგორც მე-11 – მე-13 საუკუნეების უკვე ერთიანი საქართველოს სამეფო, აფხაზთა და ქართველთა სამეფო. 21-ე საუკუნეში კვლავ ისეთი ერთიანი ქვეყნის შექმნას უნდა შევეცადოთ, რომლითაც ორივე ერი ვიამაყებთ. გლობალიზაციის ეპოქაში, საერთო საამაყო წარსულის მქონე ერების მიერ საზღვრების ჩაკეტვა და ერთმანეთის დასუსტების ლოდინი „სამუდამოდ ჩასაყლაპად“ ან „სამუდამოდ გასაქცევად“ სრული ანაქრონიზმია. ამასთან თანამედროვე მსოფლიოში გლობალიზაციასთან ერთად აქტიური რეგიონალიზაციის პროცესები მიმდინარეობს, რეგიონები სულ უფრო და უფრო მეტ ეკონომიკურ თავისუფლებას და ამ ეკონომიკური თავისუფლების შენარჩუნების პო-ლიტიკურ ბერკეტებს იღებენ, რასაც საერთო ჯამში კეთილდღეობა და ერთა მეტი ურთიერთგაგება მოაქვს. იმედია, საერთო წარსულის, ტრადიციების გათვალისწინება და თანამედროვე ტენდენციების ნათლად გაცნობიერება, პრობლემების გადაწყვეტაში ხელს უსათუოდ შეგვიწყობს [19:123].



13.4 აჭარის ტურისტული ბრენდის ფორმირების ასპექტები

(რელიგიის ფაქტორი აჭარის ტურისტული ბრენდის ფორმირების პროცესში)

მრავალი ქვეყნის მთავრობა ტურიზმს განიხილავს როგორც საკუთარი პოლიტიკის მნიშვნელოვან ასპექტს ეკონომიკური განვითარების კონტექსტით. საქართველოს ინტეგრირება რეგიონულ ეკონომიკაში და ამით ქვეყნის პოტენციალის ზრდა და შეუქცევადი განვითარება, დიდწილად დამოკიდებულია სრულფასოვანი და მაღალი ხარისხის ტურისტული ინდუსტრიის განვითარებაზე. საქართველოში უკანასკნელი წლების მანძილზე მართლაც ბევრი რამ კეთდება ტურიზმის განსავითარებლად, ცენტრალური თუ ადგილობრივი მმართველობის ორგანოები ბევრს მუშაობენ, ახორციელებენ მრავალ საინტერესო პროექტს, არის შედეგებიც. თუმცა, ისიც იგრძნობა და ეს ყველასათვის ნათელია, რომ ქვეყანას გაცილებით მეტი რესურსი გააჩნია ტურიზმის განსავითარებლად. სტატისტიკა, ერთის მხრივ, ტურისტების მატებას გვამცნობს, მეორე მხრივ კი, ტურისტების აბსოლუტური უმრავლესობა, ჩვენი მეზობელი ქვეყნებიდანაა, რომლებსაც უბრალოდ შეუძლებელია არ სმენოდეთ საქართველოზე.

ქვეყანას მეტი პოპულარიზაცია ჭირდება, რაც ერთჯერადი რეკლამებით ვერ მიიღწევა. მძლავრი პიარი, მიზანმიმართული რეკლამა კი, პირველ ეტაპზე ქვეყნისათვის და მისი რეგიონებისათვის ისეთი სარეკლამო სახის შექმნას საჭიროებს, რომელიც თავიდანვე დადებით ემოციებს წარმოშობს პოტენციურ ტურისტებში [17:83].

რეგიონის ბრენდის შექმნა ხელს უწყობს მის გასვლას მსოფლიო არენაზე, ხდება პროპაგანდა და წარმოჩენა რეგიონული თავისებურების და კულტურული ტრადიციების.

რეგიონის კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება მისი „ბრენდირებულობის„ ხარისხით. რეგიონის ბრენდი წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის უაქტიურეს კატეგორიას. ბრენდი ორიენტირებულია ძირითადად გარე სუბიექტების მიმართ და უნდა შეესაბამებოდეს ტერიტორიის განვითარების სტრატეგიულ ამოცანებს და ხელს უწყობდეს მის მიმართ, როგორც პოტენციურ ინვესტორთა ასევე ტურისტების ინტერესის გაჩენას. გარე ეფექტის გარდა, შეიძლება ვიმსჯელოთ ბრენდის შიდა გავლენებზეც, რომელიც მიმართულია ცივილიზებული ურთიერთობების განვითარებაზე რეგიონში მცხოვრებთა შორის [16:40-44].

ტერიტორიის ბრენდინგი გვაძლევს დიდ შესაძლებლობებს, თუკი მას სწორად მივუდგებით. პრაქტიკულად, ყოველ ადგილს აქვს ისტორიული წანამძღვრები ტერიტორიული იდენტობის აქცენტირებისათვის, საჭიროა მხოლოდ ვიცოდეთ ისტორია მის გამოსაყენებლად და მეთოდოლოგია მის განსავითარებლად.

რეგიონის ბრენდინგი განუყოფელია მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლების პროცესებისგან, რამეთუ ბრენდი თავისი ბუნებით კონკურენტული უპირატესობის დემონსტრაციაა და შესაბამისად, მეტი ღირებულების. ტერიტორია, რომელსაც შესწევს გარედან რესურსების მოზიდვის, გადამუშავების და გაცემის უნარი, უფრო მეტად ეფექტურია მისი ცხოველმოქმედება.

ტერიტორიის წარსადგენად (ჩვენ შემთხვევაში რეგიონის) უპირველესად საჭიროა, თანამედროვე ინსტრუმენტების და ტექნოლოგიების გამოყენებით, შეიქმნას რეგიონის ძლიერი ბრენდი, მის გარეშე უკვე შეუძლებელია კონკურენტული ბრძოლის წარმოდგენა შიდა და გარე ინვესტიციებისათვის, ტურისტული ნაკადებისათვის და ა.შ.

რეგიონის ბრენდი უნდა ასახავდეს ტერიტორიის მოსახლეობის მენტალობისა და ტრადიციების საუკეთესო მახასიათებლებს, უნდა შეასრულოს იდეოლოგიური ფუნქცია, რომელიც გააერთიანებს რეგიონის მოსახლეობას საერთო ამოცანების შესასრულებლად.

ბრენდი ბუნებრივი გზით არ იქმნება, ის წარმოადგენს საზოგადოებრივი რეფლექსიის და პროექტირების ხელოვნურად ორგანიზებულ პროდუქტს. ბრენდის ხელოვნურობა გულისხმობს დამკვეთის, მასზე მომუშავე კვალიფიციური ჯგუფის, ფინანსური და ინფორმაციული რესურსების არსებობას, კარგად ფორმირებულ ტექნიკურ დავალებებს, ბრენდის შექმნის და განვითარების პროგრამას, ბრენდის ეფექტურობის მონიტორინგს.

რეგიონის ბრენდის დამუშავებისას, ასევე აუცილებელია, რეგიონის ბრენდის განვითარების და მხარდაჭერის სტრატეგიის და მექანიზმების თავიდანვე პროექტირება. ასეთი სტრატეგიის შემუშავება საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო გასავლების, ინფორმაციულ, სოციოკულტურულ, სპორტულ და სხვა პროექტებზე ოპტიმიზირების საშუალებას იძლევა.

თანამედროვე მსოფლიოში, სულ უფრო და უფრო მეტი ქვეყანა, რეგიონი და ქალაქი, თანმიმდევრულად მუშაობს საკუთარი ტერიტორიის და საკუთარი ბრენდის სრულყოფილ ფორმირებაზე, რაც ადგილის ტურისტულ მიმზიდველობას განაპირობებს [17:84]. ეს ტენდენცია განპირობებულია იმით, რომ ბოლო დროს ტურიზმი მსოფლიო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგი გახდა, რომელიც ხელს უწყობს რეგიონის კეთილდღეობის ამაღლებას.

აღვნიშნავთ, რომ ტურიზმი მრავალპროფილური ინდუსტრიაა, რომელიც მოიცავს სასტუმრო მეურნეობას, ტრანსპორტს, საზოგადოებრივი კვების სექტორს და დამატებითი მომსახურების სექტორს. ტურიზმი ახალი სამუშაო ადგილების შექმნის წყარო ხდება. ამის მიუხედავად, ტურიზმის სფეროში დიდმა კონკურენციამ, ახალი მიდგომების და მეთოდების შექმნა გამოიწვია. ერთ-ერთი უფრო ეფექტური მეთოდი, რეგიონის, როგორც ტურისტული ტერიტორიის ბრენდინგი გახდა.

ტურისტული ტერიტორიის ბრენდინგის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს მისი ძლიერი მხარეების გამოყოფა, პოზიციონირება და გაძლიერება, რომლებიც ძირითადად შემთხვევებში თავსდება ტურისტული ბრენდის ფორმირების საფუძველში. რეგიონის, როგორც ტურისტული ტერიტორიის, ბრენდი გამოხატავს რეგიონის ძირითად ღირებულებებს, მის მიზნებსა და მისიას ტურიზმში.

აჭარა საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი და უძველესი ისტორიული კუთხეა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროზე. აჭარის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი მთებსა და ღრმა ხეობებს უჭირავს, ზღვისპირა ფართობი კი ქობულეთისა და კახაბრის ვაკე-დაბლობებს. მესხეთის, შავშეთისა და არსიანის ქედებს შორის განლაგებულია აჭარის ქვაბული. ზღვისპირა ვაკე-დაბლობზე ჭარბი ნოტიო სუბტროპიკული ჰავაა, იცის ცივი ზამთარი და ცხელი ზაფხული. მაღალმთიანეთში ნოტიო ჰავაა, ზამთარი ზომიერად ცივი, ზაფხული თბილი. აჭარა გამოირჩევა ხელსაყრელი, თბილი ჰავით. ბუნებრივ გარემოში გვხვდება ცხოველთა მრავალფეროვანი სამყარო, მრავალსაუკუნოვანი არქეოლოგიური, ისტორიული და არქიტექტურული ძეგლები.

შუა საუკუნეებში აჭარის ხეობა ქართული მატერიალისტური კულტურის ერთ-ერთი ცენტრი იყო. ზემო აჭარაში მრავლადაა ნატაძრალები, ნასაყდრალები, თაღოვანი ხიდები და ციხეები, რომლებიც ძირითადად X-XI საუკუნეებში, ანუ ქართული რენესანსის პერიოდშია აგებული.

აჭარა საუკუნეების განმავლობაში კოლხეთის (ძვ. დასავლეთ საქართველო) მძლავრი სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, რომელშიც ძირითადად სახლობდა ძველი ქართველური მოდგმის ორი ტომი: ჭანები (ლაზები) და მეგრელები (ეგრისელები). ბერძნულ წყაროებში კოლხეთი მოიხსენიება ძველი წელთაღრიცხვის მერვე საუკუნიდან. კოლხეთის სამეფოს ეკონომიკის უმთავრეს საფუძველს წარმოადგენდა განვითარებული სოფლის მეურნეობა, ხელოსნობა, რკინისა და ოქროს წარმოება, ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობა ბერძნულ სამყაროსთან.

სახელწოდება აჭარა VII ს-დან გვხვდება და სავარაუდოდ უკავშირდება გეოგრაფიულ სახელებს – აჭი, საჭანო. ჯერ კიდევ „ფარნავაზის ცხოვრებაში“ (I ძვ. წ.) აჭარა მოხსენიებულია მხარედ, რომელიც ზღვამდე აღწევდა და თავისი განუმეორებელი ბუნებით დამპყრობლებს იზიდავდა. ისტორიულ წყაროებში მოიხსენიება „აჭარის ქვეყნად“. იგი იყოფოდა ორ ძირითად ნაწილად – ზემო აჭარად და ქვემო აჭარად. ცენტრალურ ნაწილს შუახევი ერქვა. აჭარა მესხეთის ნაწილს შეადგენდა. უძველესი დროიდან აჭარა სხვადასხვა რეგიონის შემადგენლობაში შედიოდა. თავდაპირველად იგი ტაო-კლარჯეთის, მესხეთის, შემდეგ სამცხე საათაბაგოს, მოგვიანებით კი გურიის ნაწილს წარმოადგენდა. აჭარა საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების პირველი კერა იყო. სწორედ აჭარიდან შემოვიდა ანდრია პირველწოდებული ქრისტიანობის საქადაგებლად. ისტორიკოსებისა და არქეოლოგების ვარაუდით აჭარაში, გონიოს ციხის ტერიტორიაზე აღმოჩნდა ასევე ქრისტეს ერთ-ერთი მოციქულის მატათას საფლავიც. ქრისტიანობის გავრცელებას აჭარაში ძალიან ბევრი ისტორიული ფაქტი, ლეგენდა და ტოპონიმი უკავშირდება. თითქმის ყველა გეოგრაფიული სახელწოდება აჭარის ტერიტორიაზე ადგილობრივ ქრისტიანთა სამშობლოსათვის ბრძოლასა და მართლმადიდებელი სარწმუნოებისთვის თავდადებას უკავშირდება.


1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ აჭარის ტერიტორია რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოექცა ბათუმის ოლქის სახელით. 1918-20 წლებში ოკუპირებული იყო ჯერ თურქების, შემდეგ ინგლისელების მიერ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, 1921 წელს დაარსდა აჭარის ავტონომიური რესუბლიკა საქართველოს შემადგენლობაში. 1990 წლის ბოლოდან ეწოდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა.

აჭარა ძირითადად აგრარული რეგიონია, სადაც მისდევენ სუბტროპიკული კულტურების, ჩაისა და ციტრუსების მოყვანას. სტრატეგიული დარგებია: ტურიზმი, სოფლის მეურნეობა და ნაკთობის

მრეწველობა. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნიდან ნავთობი გადის საზღვაო ტრანსპორტით სხვადასხვა ქვეყნებში. ასევე ბათუმი წარმოადგენს საქართველოს გაზსადენის ბოლო პუნქტს. ჯერ კიდევ გასულ საუკუნეებში, მას შემდეგ, რაც ე. წ. თამარის დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე ძმები ნობელების ინიციატივით ნავთობის საწარმო გაიხსნა, ბათუმის, როგორც საპორტო ქალაქის მნიშვნელობა გაიზარდა.

ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობს არაერთი ისტორიულ-გეოგრაფიული ღირსშესანიშნაობა.

გონიოს ციხე (II ს.)
პეტრა ქაჯეთის ციხე (VI ს.)
ვერნევის დარბაზული ეკლესია (XI ს.)
თხილვალის დარბაზული ეკლესია (შუა საუკ.)
სხალთის დარბაზული ეკლესია (XIII ს.)
ხულოს ციხე (შუა საუკ.)
შუახევის ციხე (შუა საუკ.)



აჭარის ტერიტორია მოფენილია ტაძრებით, თანაც მათ შორის საკმაო დაშორებებიცაა და მოგზაურს ულამაზეს ბუნებაში უხდება სიარული, დასვენება და ანკარა წყაროების წყლის მირთმევა. ეს დამატებით ეფექტს აძლევს რელიგიური ტურიზმის მოყვარულთა მოგზაურობას. ამ მხარის ძირითადი ქრისტიანული ძეგლებია: ქაქუთის მთავარანგელ-ლოზი, წმ. გიორგის ეკლესია (თეთროსანი), ცხრაფონას ამაღლებისა და ჯიხანჯურის საყდარი, ხინოს სამონასტრო კომპლექსი, და სხვ.

რელიგიური ტურიზმის მნიშვნელობაზე, როგორც ისტორიულ – კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისა ნათელ მაგალითს წარმოადგენს **რელიგიის მუზეუმი აჭარაში** (ბათუმთან ახლოს), რომელიც უნიკალურია მთელს რეგიონში. რელიგიის მუზეუმი 2004 წლის 17 სექტემბრიდან ფუნქციონირებს და გამორჩეულია თავისი იდეით, შინაარსითა და ორიგინალობით. მუზეუმში წარმოდგენილია ქ. ბათუმის მულტირელიგიური მდგომარეობა. ამ ფონზე იგი ერთნაირად საინტერესოა სხვადასხვა რელიგიის მიმდევართათვის.

საგამოფენო დარბაზში ერთმანეთის გვერდითაა განლაგებული მართლმადიდებლური, კათოლიკური, გრიგორიანული, იუდაიზმის და ისლამური რელიგიებისათვის დამახასიათებელი ექსპონატები. აქ შეგიძლიათ ნახოთ: ხატები, მათ შორის ბარელიეფური; ქანდაკებები; ტაძართა მაკეტები; ფოტო-დოკუმენტები და სხვა მასალა, რომლებიც ნათლად გადმოსცემს, როგორც ძველი, ასევე, თანამედროვე ბათუმის საინტერესო და მრავალფეროვან სულიერ ცხოვრებას. განსაკუთრებით საყურადღებოა ნიჟარაზე შესრულებული აღდგომის სცენა, დათვის ტყავზე გამოსახული წმინდა ნინო, აქვეა იესოს ჯვარცმა, კათოლიკური ქანდაკებები, რომელთა შორის აღსანიშნავია შობის სცენა. მუზეუმის ფონდი შედგება 346 ექსპონატისაგან [182].

გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი.

მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორია მოიცავს გონიო-აფსაროსის ციხისა და მიმდებარე ტერიტორიას. აღნიშნულ ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებულია ელინისტური ხანის მასალა. საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობები, კერამიკის, ბრინჯაოს, ვერცხლის, ოქროს ნივთები, იუსტინიანე I-ის სპილენძის მონეტები და სხვა. მასალის ნაწილი ექსპონირებულია საგამოფენო დარბაზში. განსაკუთრებით აღსანიშნავია გონიოს განძი, რომელიც ძირითადად შედგება უნიკალური საიუველირო ნაკეთობებისაგან და ამჟამად დაცულია აჭარის სახელმწიფო მუზეუმში.

გონიო-აფსაროსის ციხე (საერთო ფართობი 4,75 ჰა.) მდებარეობს მდ. ჭოროხის (ძველი

აფსაროსი-აკამფსისი-ჰარპასოსი) მარცხენა სანაპიროზე. ამ რეგიონში აღმოცენდა კოლხური ბრინჯაოს კულტურა და პირველი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანებები: დაიაენი და კულხა (ძვ. წ. XIII-VIII სს.). რომაულ-ბიზანტიური წერილობითი წყაროების თანახმად, დაახლოებით ამ პერიოდს განეკუთვნება აფსაროსის როგორც დასახლებული პუნქტის წარმოქმნა. სტეფანე ბიზანტიელის, არტემიდორე ეფესელის, არიანეს, პროკოფი კესარიელის და სხვათა ცნობებით აფსაროსის სახელწოდება უკავშირდება არგონავტების აია კოლხეთში ლაშქრობას, მათ მიერ აიეტის ვაჟის აფსირტეს მოკვლას და აქვე დაკრძალვას.



გონიოს ციხე საინტერესოა იმითაც, რომ, როგორც წმიდა ეპიფანე კვიპრელი (IV) გადმოგვცემს მატათა მოციქულმა სახარება იქადაგა მეორე ეთიოპიაში (კოლხეთში), იქვე გარდაიცვალა და დღემდე ბათუმის მახლობლად ასარის (გონიოს) ციხე-სიმაგრეშია დაკრძალული, (დაახ. +63), 9 (22) აგვისტო), ამიტომ წმ. მოციქული მატათა გამოსახულია საქართველოს ეკლესიის დიდების ხატზე წმ. ანდრია პირველწოდებულთან ერთად.

არქეოლოგიური მონაცემებით პირველი სამოსახლოები გონიოში ძვ. წ. VIII-VII საუკუნეებში ჩნდება. ინტენსიური ცხოვრება გრძელდება ძვ. წ. V-I საუკუნეებშიც. ციხე ახ. წ. I საუკუნეში რომაელებმა ააგეს. აფსაროსის საფორტიფიკაციო ნაგებობას პირველად ახ. წ. 77 წ. დათარიღებულ ნაშრომში გაიუს პლინიუს სეკუნდუსი მოიხსენიებს.

I-III საუკუნეებში აფსაროსი რომის აღმოსავლეთი საზღვრის სტრატეგიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრია. აქ იდგა ხუთი დამხმარე კოჰორტა (1200-1500 კაცი). პროკოფი კესარიელის (ახ. წ. VI ს.) თანახმად აფსაროსში ამფითეატრი და ჰიპოდრომი ფუნქციონირებდა.

გონიოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია I-III საუკუნეების შენობა-ნაგებობათა (აბანოები, ჯაზარმები, პრეტორიუმი, სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები, წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემები, წყლის ცისტერნები, ჭები და ა.შ.) ნაშთები მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალით.

ახ. წ. IV საუკუნეში რომაელები ტოვებენ აფსაროსის ციხეს. VI საუკუნის 40-იანი წლებიდან აქ ბიზანტიელები დგანან. XVI საუკუნის შუა ხანიდან 1878 წლამდე კი გონიოს ციხეში ოსმალთა გარნიზონია [143].

აქ მუზეუმ-ნაკრძალის დაფუძნდა 1994 წელს. აქ ტარდება საგანმანათლებლო პროგრამები: „საუბრები არქეოლოგიაზე", „მოხალისე გიდები", „რა განძი გვქონია". გამოცემები: სამეცნიერო შრომების კრებული „გონიო-აფსაროსი" მუზეუმ-ნაკრძალის ფართობი: 4,75 ჰა, მუდმივი ექსპოზიცია: 130 კვ. მ. მუზეუმის შენობის სტატუსი: კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლი.

ასევე აღსანიშნავია ბუნებისა და კულტურის ძეგლები: შუა საუკუნეების თაღოვანი ხიდები (მახუნცეთი, დანდალო, კობალაური, კოკოლეთი, მესხიქედი, ფურტიო, ცხენკანი), ბათუმის ბოტანიკური ბაღი.

აჭარის რეგიონი, რაღა თქმა უნდა, პირველ რიგში ზღვით, უნიკალური ეკოგარემოთი და ადგილობრივი ტრადიციებით არის გამორჩეული. თუმცა ტურისტულ ბაზარზე უმკაცრესი კონკურენცია მოითხოვს, ყოველივე ერთ მთლიან პოზიტიურ სახედ შეიფუთოს, სადაც უმთავრესი აჭარის მცხოვრებთა განსხვავებული კონფესიურობა და ამავე დროს მშვიდობიანი გარემო იქნება. ყოველივეს განსაკუთრებულ აქტუალობა შესძინა რელიგიური ექსტრემიზმის გაღვივებამ არა მარტო ისლამურ ქვეყნებში, არამედ შუაგულ ევროპაში, სადაც რელიგიური დაპირისპირება ხშირად სისხლიან ფორმებსაც იღებს.

ტერორიზმი სერიოზული გამოწვევაა საერთაშორისო ტურიზმისთვის. მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში განხორციელებულმა ტერორისტულმა აქტებმა გააჩინეს შიში, რომ აღარ არსებობს აბსოლუტურად უსაფრთხო ადგილი დედამიწაზე, სადაც შეიძლება დასვენება. სწორედ ტერორიზმის

გაზრდილმა მასშტაბმა გამოიწვია დასავლეთ ევროპაში ტურისტების რაოდენობის კლება. გერმანიაში საერთაშორისო ტურიზმი მხოლოდ 2%-ით გაიზარდა საქმიანი და პროფესიული მიზნით ჩამსვლელთა ხარჯზე. მსოფლიოს ნომერ პირველ ტურისტულ ქვეყანაში – საფრანგეთში უცხოელი ტურისტების 4%-იანი კლება დაფიქსირდა პარიზისა და ნიცის საზარელი ტერორისტული აქტების გამო. ტურისტების რაოდენობა შემცირდა ბელგიაში 13%-ით ბრიუსელის ტერორისტული აქტის უარყოფითი ზეგავლენის შედეგად. კაიროსა და სხვა ქალაქებში გახშირებული ტერორისტული აქტების შემდეგ ტურისტების რაოდენობამ ეგვიპტეში 42%-ით იკლო. მასობრივმა არეულობებმა და ტერორისტულმა აქტებმა სტამბულისა და თურქეთის სხვა ქალაქების უსაფრთხო იმიჯის აღქმა მთლიანად შეცვალა, რაც სასტუმროების დატვირთვის მაჩვენებელზე აისახა [154].

პოლიტოლოგთა შორის არის მოსაზრება, რომ კონფლიქტები რელიგიურ ნიადაგზე, შესაძლოა ნებისმიერ ადგილზე აღმოცენდეს, ამავე დროს გახდეს ინსტრუმენტი ცალკეული ქვეყნების მიერ გეოპოლიტიკური ამოცანების გადასაწყვეტად.

ამიტომაც მნიშვნელოვანია, დღესვე დაიწყოს, აჭარის სახის წარმოჩენა, არა მხოლოდ როგორც უნიკალური გეო-კლიმატური პირობებით გამორჩეული ადგილის, არამედ როგორც სხვადასხვა კონფესიათა მშვიდობის და ურთიერთპატივსაცემი კერის. ადგილისა სადაც მტრობისა და შუღლის ენა (hate speech), უცხოა.

ტურიზმი შეიძლება განვითარდეს მხოლოდ მშვიდობიან პირობებში. არა თუ ომი, ინფორმაციაც კი გარკვეულ სამოქალაქო უთანხმოებაზე, აფერხებს ტურიზმის განვითარებას. ტურისტის შიში საკუთარ უსაფრთხოებაზე, სერიოზული შემაფერხებელი ფაქტორია მოგზაურობის არჩევისას, იგი დარწმუნებული უნდა იყოს თავის უსაფრთხოებაში მოგზაურობის დროს. რეგიონი კი, რომელიც მხოლოდ იწყებს მსოფლიო მასშტაბით პოზიციონირებას, მასზე გასული ნებისმიერი ნეგატიური სიუჟეტი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, შესაძლოა ძალზე მძიმედ აისახოს მის ტურისტულ პერსპექტივაზე, ამიტომაც აჭარა უნდა წარმოჩინდეს, როგორც სხვადასხვა კონფესიებს შორის მშვიდობის და ურთიერთსიყვარულის კერად.

რელიგიური ტურიზმი გულისხმობს იმ ადგილების მონახულებას, სადაც ტურისტებს შეუძლიათ ნახონ რელიგიური ობიექტები, საკულტო ძეგლები. ტურისტებს აგრეთვე იზიდავთ რელიგიური დღესასწაულების ხილვა. მიუხედავათ იმისა, რომ აჭარას რელიგიური ტურზმის განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უცხოელ ვიზიტორთა კვლევისას ჩანს, რომელსაც აჭარის ა. რ. ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი ყოველკვარტალურად ატარებს, რელიგია და მომლოცველობა 2016 წლის კვლევებში, წლების მიხედვით 2,3 %-დან 9 %-მდე მერყეობს.

რელიგიური ტურიზმის განვითარების ისტორიის და თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს მნიშვნელოვანი დასკვნა გავაკეთოდ. იმის შესახებ, რომ სახელმწიფო, საზოგადოებრივი, კომერციული და რელიგიური ორგანიზაციების ერთობლივი და გეგმაზომიერი მუშაობის შედეგად, რელიგიური ტურიზმი ხელს შეუწყობს საზოგადოების სხვადასხვა ფენის ადამიანებს და სხვადასხვა ტრადიციული კონფესიების წარმომადგენლებს შორის ურთიერთგაგებას.

იგივე შეიძლება ითქვას კონკრეტულად აჭარაზეც. ისტორიულ ძეგლებსა და მის ირგვლივ ინფრასტრუქტურის განვითარებაზე რომ არაფერი ვთქვათ, აჭარაზე ანდრია პირველწოდებულის ნაკვალევი გადის, აქ არის მოციქულ მატათას საფლავი, რაც ნაკლებადაა მიწოდებული უცხოელ აუდიტორიაზე აჭარის რეკლამირების დროს.

ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელებას ამ კუთხეში ხელს უწყობდა მისი აქტიური კულტურულ–ეკონომიკური ურთიერთობა ახლო აღმოსავლეთთან. აჭარაში იმთავითვე ფართოდ გაიშალა საეკლესიო მშენებლობა, რომელთა ნაშთები დღემდეა შემორჩენილი. პირველი ტაძარი დღევანდელი ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ დიდაჭარაში მთავარანგელოზის სახელზე აიგო, რომლის ერთ-ერთ ქვაზე წერია: „აქ ქრისტეს პირველმა მოციქულებმა ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა და მატათამ ააგეს პირველი ქრისტიანული ტაძარი საქართველოში“.


ისლამი – სიდიდით და მნიშვნელობით მეორე რელიგიაა თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოში 398 677 მუსლიმი მოქალაქეა. რაც შეეხება აჭარის რეგიონს [მოსახლეობის რაოდენობა – 333 953], აქ 182 041 მართლმადიდებელი ცხოვრობს, ხოლო მუსლიმი მოსახლეობის რაოდენობა 132 852 აღწევს. ბათუმში მცხოვრები 152 839 მოქალაქიდან მართლმადიდებელია – 105 004, მუსლიმი – 38 762, სომხური-სამოციქულო ეკლესია – 916, კათოლიკე – 102, იუდეური – 55, სხვა რელიგიის აღმსარებელი – 251, არც ერთი რელიგიის მიმდევარი – 3961. 2014 წლის მოსახლეობის


საყოველთაო აღწერის დროს ბათუმში, უარი უთქვამს რელიგიური აღმსარებლობის კუთხით პასუხის გაცემაზე 1 508 ადამიანს, საერთოდ არ მიუთითა – 2 280-მა [145].


დღეს აჭარაში სრულიად ჰარმონიულად თანაარსებობენ ისლამისა და მართლმადიდებლობის მიმდევრები, ქრისტიანული და მაჰმადიანური სალოცავები. უფრო მეტიც, ისეთ პატარა ქალაქში, როგორიცაა ბათუმი, შესაძლებელია თითქმის ყველა დიდი რელიგიის საკულტო ძეგლების ხილვა. აქ ოდითგანვე მშვიდობით თანაცხოვრობდნენ ებრაული, კათოლიკური, სომხური, მართლმადიდებლური და მაჰმადიანური რელიგიის წარმომადგენლები. სწორედ ეს, მშვიდობიანი თანაარსებობა უნდა იქცეს აჭარის სახედ მთელ მსოფლიოში, რაც საუკეთესო მარკეტინგული სვლა იქნება აჭარის წარმოსაჩენად.

ვიმეორებთ, განსხვავებით განვითარებული და სტაბილური დემოკრატიის ქვეყნებისგან, საქართველოს და კერძოდ აჭარას, უფრო გამოკვეთილად სჭირდება დადებითი იმპულსების გაგზავნა, რის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად, რელიგიურ ტურიზმზე აქცენტების გაკეთება, მისით პოზიციონირება გვესახება. შედეგად, ასეთ ქვეყანას, მის რეგიონებს, სადაც უძველესი საკულტო ძეგლები, უამრავი რელიგიური ტაძარი და რაც მთავარია, კონფესიათა შორის სრული ჰარმონია სუფევს, მუდამ მრავალი სტუმარი ეყოლება [16:40-44].










13.5 თბილისსა და საქართველოს რეგიონებში არსებული მსოფლიო და ეროვნული მნიშვნელობის კულტურის ძეგლები

საქართველოს უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრში 2012 წლის მდგომარეობით ირიცხება 6 803 ძეგლი, საიდანაც 484 ეროვნული მნიშვნელობის ძეგლია. საქართველოდან მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში 3 ობიექტი ირიცხება. საქართველოში 2012 წლიდან მიმდინარეობს არამატერიალური მემკვიდრეობის აღნუსხვა [47:10].

საქართველოში გასული საუკუნის 90-იან წლებში გამეფებული უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში დასუსტებულმა ინსტიტუციურმა სისტემამ და უძრაობაში მყოფმა აკადემიურმა ინფრასტრუქტურამ ვერ შეძლო მემკვიდრეობის დაცვის სისტემაზე აესახა საერთაშორისო კონსერვაციის დარგში განვითარებული მოვლენები. საქართველოში არსებული მემკვიდრეობის დაცვის სისტემა ვერ ასახავს ქვეყნის უნიკალური მემკვიდრეობის მრავალფეროვანებას და ძლიერ ჩამორჩება განვითარებულ საერთაშორისო პრაქტიკას. საყურადღებოა, რომ აღნუსხული მემკვიდრეობის რიცხვი მცირეა, 6 803 ძეგლი. მაგალითისთვის, სლოვენიაში [152] 30 000 ობიექტია რეგისტრირებული, ესტონეთში [47], ნორვეგიაში 6 000 მარტო არქეოლოგიური ძეგლია, ხოლო ჰოლანდიაში – 80 400 უძრავი ძეგლი, საიდანაც 60 000 ეროვნული, 400 რეგიონული და 40 000 მუნიციპალურია [90].

თბილისის წმინდა სამების საკათედრო ტაძარი, შემოკლებით სამება – მთავარი მართლმადიდებლური ქრისტიანული ტაძარი საქართველოში; მდებარეობს თბილისში, ელიას გორაზე, ავლაბარი. აშენდა 1995-2004 წლებში არქიტექტორ არჩილ მინდიაშვილის პროექტით.



ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის 1500 წლისთავისა და ქრისტეს დაბადების 2000 წლის აღსანიშნავად ახალი საკათედრო ტაძრის აგების იდეა 1989 წელს გაჩნდა, პერიოდი, როდესაც საბჭოთა საქართველოში ეროვნული მოძრაობა მძლავრობდა. 1989 წლის მაისში, საქართველოს პატრიარქისა და თბილისის მთავრობის ხელმძღვანელობით გამოცხადდა კონკურსი „წმინდა სამების საკათედრო ტაძრის" პროექტზე. პირველ ეტაპზე ასამდე პროექტი შემოვიდა, თუმცა გამარჯვებული ვერ გამოვლინდა. საბოლოოდ არქიტექტორი არჩილ მინდიაშვილის პროექტი შეირჩა. შემდგომმა სოციალურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა პროექტის განხორციელება ექვსი წლით დააყოვნა და საძირკველი ტაძრისთვის მხოლოდ 1995 წლის 23 ნოემბერს ჩაიყარა. ტაძრის მშენებლობა ძირითადად კერძო შემოწირულობებით დაფინანსდა.

მესამე ათასწლეულის პირველი ქრისტეშობა ქართველმა ერმა სწორედ წმიდა სამების მშენებარე ტაძარში აღნიშნა. 2003 წლის 6 დეკემბერს სამების ტაძარზე 7,5 მეტრის სიმაღლის მოოქროვილი ჯვარი დაიდგა, რომელიც 2 ტონას იწონის. ჯვარი უჟანგავი ლითონისა და ბრინჯაოს მასალითაა დამზადებული, არქიტექტორ არჩილ მინდიაშვილის ესკიზებით. ის თითქმის ერთი წელი მზადდებოდა. ჯერ ქარხანა „მიონში“ იყო, შემდეგ მშენებლობის უფროსი, ბატონი თამარ არველაძე დეკანოზ ტარიელ სიკინჭელაშვილთან ერთად იყო მოსკოვში იქაური გამოცდილების გასაზიარებლად, რათა ჯვარს ამ სახით ერთი საუკუნე მაინც გაეძლო. ბევრი მეთოდი და ახალი ტექნოლოგია მოისინჯა. ჯვარი დაიფარა სპილენძის ფირფიტებით, შემდეგ – ვერცხლით და ბოლოს მოოქროვდა. იგი უჟანგავი ლითონით დამზადდა. ამიტომ საუკუნეებს გაუძლებს [183].

ტაძარი 2004 წლის 23 ნოემბერს, გიორგობის დღეს, უწმინდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ აკურთხა.

ტიპოლოგიურად წმინდა სამების ტაძარი ჯვრულ მოხაზულობაში ჩასმული ტრიკონქია. რვა ბურჯზე დაყრდნობილი გუმბათით. ტაძარში მოხვედრა შესაძლებელია სამი მხრიდან – დასავლეთ, სამხრეთ და ჩრდილოეთ მკლავებში დატანებული პორტალებიდან. ამათგან, მთავარი კარიბჭე დასავლეთ მკლავშია, რომელსაც გარედან ვრცელი გალერეა აკრავს. ტრიკონქის მკლავები გუმბათქვეშა სივრცესთან ერთად კათედრალის ერთიანი მთავარი მოცულობას წარმოადგენს, რომელსაც მოხდენილად აგვირგვინებს მასიური გუმბათი. გუმბათის გარე რადიუსი 9.50 მეტრია. გუმბათის ყელს გარშემოსავლელი ბაქანი შემოუყვება. წმიდა სამების საკათედრო ტაძრის დასავლეთ ფასადზე სამი, სამნავიანი შვერილია, რომელთა პროპორციები მასიურს ქმნის ტაძრის საერთო მოცულობას.

წმ. სამების საკათედრო ტაძრის სამხრეთ და ჩრდილოეთ ფასადი ასევე საკმაოდ რთული კონსტრუქციითაა გადაწყვეტილი. ტაძრის ფასადის მორთულობის მხრივ, აღმოსავლეთ ნაწილი ყველაზე მდიდრულადაა გადაწყვეტილი. აღმოსავლეთ შუა შვერილზე თითქოსდა მიდგმულია მრავალწახნაგა აფსიდი, რომელზეც მასიური ჩუქურთმადამშვენებული ჯვარია გამოსახული. ოთხივე ფასადი მრავალფეროვანი ჩუქურთმის მწკრივითა და თაღებითაა შემკული.

იგი ძირითადად ორი ნაწილისაგან შედგება – მიწისზედა და მიწისქვეშა ნაწილებისაგან. საერთო სიმაღლე ნულოვანი ნიშნულიდან ჯვრის ჩათვლით 86.10 მეტრია (უშუალოდ ჯვარი 7,5 მეტრი სიმაღლისაა). ლავრის მიწისქვეშა ნაწილში ორი სართული მდებარეობს. ტაძრის ფუნდამენტი – 14,07 მეტრის სიღრმეზეა, ქვედა სართულის იატაკი – 13,07 მეტრზეა. (ამას ემატება 1 მეტრიანი ფუნდამენტი). წმ. სამების ტაძრის საერთო სიმაღლე, ამ მონაცემებით, 100,17 მეტრია (86.10+14.07). წმ. სამების ტაძრის სიგრძე 70,450 მეტრი, სიგანე კი 64,68 მეტრია [77:20]; [71:30].

სამების ტაძარი შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო არქიტექტურის ტრადიციების დაცვითაა აგებული. ამასთანავე არქიტექტურულ-მხატვრული გადაწყვეტით იგი უნიკალური ნაგებობაცაა. ტაძარი ორი – მიწისზედა და მიქისქვეშა ნაწილისგან შედგება და აერთიანებს ცხრა ეკლესიას – მთავარანგელოზთა, იოანე ნათლისმცემელის, წმ. ნინოს, წმ. ანდრია პირველწოდებულის, ხარების, წმ. გიორგის, წმ. ნიკოლოზის და წმ. მოციქულთა ეკლესიებს. ქვედა იარუსში არის საეკლესიო მუზეუმის სივრცეც.

სამების ტაძარი შთამბეჭდავია გარედანაც და შიგნიდანაც თავისი უზარმაზარი, საზეიმო შიდა სივრცით. ეკლესია უხვადაა მორთული ქვაზე კვეთილობით, მხატვრობით, ხატებით, მათ შორისაა კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიერ დაწერილი წმ. სამების ხატიც.

ტაძრის ირგვლივ უზარმაზარი სივრცე იშლება. ეზოში დაგს სამრეკლო, წმ. ელიას ეკლესია, მამათა მონასტრისა და სხვა ნაგებობები [147].

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების სახელობის (სიონის) საკათედრო ტაძარი. მტკვრის მარჯვენა დაბალ ნაპირზე სიონის საკათედრო ტაძრის მშენებლობა VI საუკუნეში ქართლის ერისმთავრის გუარამ კურაპალატის დროს დაიწყო და VII საუკუნის 20-იან წლებში ადარნასეს ერისმთავრობისას დასრულდა. ტაძარი საქართველოს მტრებს ბევრჯერ დაურბევიათ, ამიტომ იგი რამდენიმე სამშენებლო ფენისაგან შედგება. 1226 წელს ხვარაზმის შაჰმა ჯალალ-ედ-დინმა თბილისი აიღო. მისი ბრძანებით სიონის გუმბათს თავი მოხადეს და იქ მისი ტახტი დადგეს. ამ ტახტზე მჯდარი ადევნებდა იგი თვალს იმ ქართველებს, რომელთაც არ შეურაცხყვეს სიონის ტაძრიდან გამოტანილი და მეტეხის ხიდზე დასვენებული მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატები. იმ დღეს ასი ათასზე მეტი ქართველი ეწამა ქრისტესთვის.

XIV საუკუნის ბოლოს თემურ-ლენგმა დაარბია სიონის ტაძრის შენობა, რომელიც XV საუკუნეში განაახლეს.



1522 წელს შაჰ-ისმაილმა სიონის ღვთისმშობლის ძვირფასი თვლებით შემკული ხატი გაძარცვა და შემდეგ მტკვარს მისცა. კახეთის მეფემ ლეონ მეორემ ხატი იპოვა, შეამკო და კვლავ სიონში დააბრძანა. შემდეგ იყო შაჰ-თამაზისა და შაჰ-აბასის შემოსევები.

1675 წელს ეპისკოპოსმა ელისე საგინაშვილმა სიონს სამხრეთის მხრიდან მცირე სამლოცველო მიაშენა და ტაძარს ახალი გუმბათი დაადგა. 1710 წელს ვახტანგ VI ტაძრის გარეთა კედლები და გუმბათის დოლურა ბოლნისის ტუფის ქვით მოაპირკეთა. ამ მოვლენას გვაუწყებს ჩრდილოეთის ფასადის წარწერა.

1724 წელს კახეთის მაჰმადიანმა მეფემ ალი-ყული-ხანმა გაიტაცა სიონის ღვთისმშობლის ხატი. შემდეგ სიონი ლეკებმა გაძარცვეს. 1726 წელს თურქეთის სულთანმა თბილისის მმართველს ისაყ-ფაშა ახალციხის რაიონის მეჩეთად გადაკეთება უბრძანა.

თბილისის მიტროპოლიტ დომენტი ორბელიანისა და სასულიერო პირთა თხოვნით თავადმა გივი ამილახვარმა თავისი გავლენა გამოიყენა და დიდძალი ძღვენის ფასად ფაშისაგან ტაძრის ხელუხლებლობის პირობა მიიღო. მადლიერი სამღვდელოება 1795 წლამდე ყოველწლიურად, თომას კვირიაკეს შაბათს წირვას აღავლენდა გივი ამილახვრისა და მისი შთამომავლობის სახელზე. 1899 წელს ეს კეთილი ტრადიცია კვლავ აღადგინეს.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მმართველმა თავადმა ციციანოვმა სიონის ტაძარს „რემონტი" ჩაუტარა, 1803 წელს ეკლესია მოიხატა. XIX საუკუნის 50-იან წლებში თავადმა გრიგოლ გაგარინმა სიონი ახლიდან მოხატა.

1867 წლის 17 დეკემბერს საქართველოს ეგზარქოსმა ეკვთიმ განახლებული სიონის ტაძარი აკურთხა და საღვთო ლიტურგია აღასრულა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის აღსაყდრების შემდეგ ინტენსიურად წარიმართა სიონის ტაძრის სარესტავრაციო სამუშაოები (პროექტის ავტორი: არქიტექტორ-რესტავრატორი ტარიელ კიპაროიძე).

არქიტექტურა: სიონის ტაძარი თავისი გეგმით განვითარებული შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის ნიმუშია. იგი ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობაა აღმოსავლეთით გამოშვერილი წახნაგოვანი აფსიდებით. გუმბათი ყელითურთ დასავლეთის ორ თავისუფლად მდგომ ჯვარისებური კვეთის სვეტსა და საკურთხევლის კედლებს ეყრდნობა. ტ.კიპაროიძემ შეადგინა ტაძრის სამხრეთისა და ჩრდილოეთის კარიბჭეთა პროექტი (აღსანიშნავია, რომ ჩრდილოეთის კარიბჭის ნაკვალევი აღმოაჩინეს სარესტავრაციო სამუშაოების წარმოების დროს). 1983 წელს დასრულდა მშენებლობა. სამხრეთ მინაშენში მოეწყო წმიდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია, ხოლო ჩრდილოეთ მინაშენში – ვახტანგ გორგასლის სახელობისა. კანკელის ავტორი ასევე ტ. კიპაროიძეა. გუმბათზე დაიდგა ახალი ჯვარი.

სამრეკლო: სიონის საკათედრო ტაძარს ორი სამრეკლო აქვს. გალავნის შიგნით, ტაძრის ჩრდილოეთით მდებარე სამრეკლო 1725 წლით თარიღდება. მისი ზემო ნაწილი აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს დაინგრა და აღდგენილია უკანასკნელ წლებში ტარიელ კიპაროიძის ხელმძღვანელობით.

ტაძრის დასავლეთით, ქუჩის მეორე მხარეს აღმართული სამიარუსიანი, შპილით დაგვირგვინებული სამრეკლო აგებულია 1812 წელს, პეტერბურგიდან გამოგზავნილი პროექტის მიხედვით და თბილისში რუსული კლასიციზმის პირველ ნიმუშს წარმოადგენს.

ხატები და სიწმინდეები: თბილისის სიონის საკათედრო ტაძარში ინახება ჯვარი ვაზისა, რომელიც ქართველთა განმანათლებელს, წმიდა ნინოს იერუსალიმში ღვთისმშობელმა გადასცა. ცენტრალური ტაძრის კანკელის სამხრეთით, კედელში წმიდა თომა მოციქულის თაყვის ქალა ასვენია. ტაძარში ინახება წმიდა დავით გარეჯელის მიერ იერუსალიმიდან ჩამოტანილი სასწაულმოქმედი მადლის ქვა. სიონის საკათედრო ტაძარში საქართველოს სახელოვანი შვილები, მეფეები და კათოლიკოს-პატრიარქები განისვენებენ. სწორედ აქაა დასაფლავებული წმიდა მღვდელმთავარი იოანე მანგლელი, კათოლიკოს-პატრიარქი წმიდა ამბროსი (ხელაია).

სიონის ხატებიდან ყურადღების ღირსია მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, იერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის და სიონის ღვთისმშობლის, წმიდა ბარბარეს, წმიდა ნინოს, წმიდა გიორგის, წმიდა ნიკოლოზის, „საქართველოს ეკლესიის დიდების", წმიდა სერაფიმე საროველის ხატები [72].

თბილისში არსებული რელიგიური ნაგებობანი

ძეგლი	აშენების თარიღი	მისამართი
ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების სახ. სიონის საკათედრო ტაძარი	VI	კრწანისი, სიონის ქ. 4
ანჩისხატის, ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი	VI	კრწანისი, შავთელის ქ 7
მეტეხის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია	VI	ისანი-ავლაბარი, მეტეხის კლდე
ჯვარის მამა	VI	კრწანისი, იერუსალიმის ქ 8
მთაწმინდის მამადავითის სახელობის ეკლესია	VI	მთაწმინდა, მამადავითის მთა
წმინდა დოდოს (ჯოჯოს) სახელობის საყდარი	VI	ისანი, მეტეხის კლდე
ქვაშვეთის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია წმ. მარინეს სახელობის ეკლესია	VII	მთაწმინდა, რუსთაველისა და ჯორჯაძის ქუჩის გადაკვეთაზე
ბეთლემის (ფეთხაინის) მაცხოვრის შობის სახელობის ეკლესია	VII	მთაწმინდა, ბეთლემის ქუჩა
წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესია	VIII	სამგორი (ზმკ), ქინძმარაულის შესახვევი, სასაფლაოს ტერიტორია
წმ. მარინეს სახელობის ეკლესია	VIII	ავლაბარი, რუისის ქუჩა
ნარიყალას წმ. ნიკოლოზის ტაძარი	XII	კრწანისი, ნარიყალა
ყოველთა წმინდათა სახელობის ეკლესია	1400 წ.	ისანი-ავლაბარი, ე. ახვლედიანის აღმართი 8
წმ.ანდრია პირველწოდებულის ტაძარი, ლურჯი მონასტერი	1155 წ.	მთაწმინდა, ბეთლემის ქ 7
წმინდა პეტრე მოციქულის სახელობის ეკლესია	XVII	გლდანი, ავჭალა
წმ. გიორგის სახელობის კარის ეკლესია	1710 წ.	კრწანისი, ერეკლეს მოედანი ქ 1

წმ. ბეთლების მაცხოვრის შობის სახელობის (ქვემო) ეკლესია	1717 წ.	მთაწმინდა, ბეთლემის ქ 3
იოანე ნათლისმცემლის შობის სახელობის მონასტერი	1742 წ.	გლდანი-ავჭალა, ბიჭვინთის ქ 20
ფერისცვალების სახელობის დედათა მონასტერი	1776 წ.	ისანი-ავლაბარი, ფრისცვალების ქ 7
ყოვლადწმინდა სამების სახელობის ეკლესია	1790 წ.	მთაწმინდა, გრ. აბაშიძის ქ. 6
აბოს საყმნე	XIX	კრწანისი, მეტეხის კლდე
წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია	1812 წ.	ჩუღურეთი, ხეთაგუროვის ქ. 5
წმ. მარინეს სახელობის ეკლესია	1812 წ.	ისანი, ავლაბარი, დუშეთის ქ. 12
წმ. ნინოს სახელობის ეკლესია	1825 წ.	ჩუღურეთი, ჩხეიძის ქ. 32
წმ. მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძარი	1840 წ.	ჩუღურეთი, ჩხეიძის ქ. 47
წმ. ნინოს სახელობის ეკლესია წმ. მირიანისა და ნინოს (ნინას) სახელობის ეკლესია	1846 წ.	მთაწმინდა, ჩიტაძის ქ. 8
წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია	1854 წ.	კრწანისი, ორთაჭალა, გრიმაშვილის ქ. 3
წმ. ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესია	1864 წ.	ჩუღურეთი, ჯავახიშვილის ქ. 69
წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესია	1873 წ.	ისანი, ბ. ხმელნიცკის ქ. 6
მოციქულთა თავთა წმ. პეტრესა და პავლეს სახ. ეკლესია	1882 წ.	ისანი, ავლაბარი, პეტრე-პავლეს სასაფლაო
დიდუბის ღვთისმშობლის შობის სახელობის ეკლესია	1884 წ.	დიდუბე, წერეთლის გამზ. 44
წმ. ნინოს სახელობის ეკლესია	1894 წ.	ჩუღურეთის, კუკიის სასაფლაო ნორიოს აღ 36
ივერიის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი	1899 წ.	ნაძალადევი, ე. მანჯგალაძის ქ. 1
წმ. ქეთევანის სახელობის ეკლესია	1899 წ.	გლდანი, ავჭალა, ჩიქვანაიას ქ. 27
წმ. მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია	1899 წ.	ჩუღურეთი, უზნაძის ქ. 117
წმ. პანტელეიმონის სახელობის ეკლესია	1899 წ.	მთაწმინდა, ვერის სასაფლაო
წმინდა ნინოს სახელობის ეკლესია	1899 წ.	მთაწმინდა, ჩიტაძის ქუჩა
წმ. იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესია	1901 წ.	მთაწმინდა, ვერა, ლ. ქიაჩელის ქ. 21
წმ. მიხეილ ტვერელის სახელობის ეკლესია	1905 წ.	მთაწმინდა, ს. ზალდასტანიშვილის ქ. 36
წმ. ღვთისმშობლის მიძინების სახ. ეკლესია - კათოლიკური ეკლესია		კრწანისი, გ. აბესაძის ქუჩა
წმ. პეტრე-პავლეს სახ. კათოლიკური ეკლესია		ჩუღურეთი, ჯავახიშვილის ქუჩა
ლუთერანული-შერიგების ეკლესია	1897 წ.	ჩუღურეთი, ჩიტაიას ქუჩა
სინაგოგა	1913 წ.	ლესელიძის ქუჩა
სუნიტების მეჩეთი	1895 წ.	კრწანისი, ბოტანიკური ბაღის ქუჩა
ათეშგა-ცეცხლთაყვანისმცემელთა ტაძარი	XI	კრწანისი, გომის ქუჩა
სურბ გეორგის სახელობის კათედრალური ეკლესია	1251 წ.	კრწანისი, სამღებროს ქუჩა
ეჩმიაძინელების სურბ გეორგის სახელობის ეკლესია	1805 წ.	ისანი, ავლაბრის მოედანი

ქართული ძეგლები მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში:

- ზემო სვანეთი
- მცხეთის ისტორიული ძეგლები
- გელათის მონასტერი

ზემო სვანეთი



უშგული ზემო სვანეთის განაპირა მხარეა, რომელშიც რამდენიმე სოფელია გაერთიანებული. იგი კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ კალთებზე, მდინარე წანერის ხეობაში (მდ.ენგურის მარჯვენა შენაკადი), ზღვის დონიდან 1600 2200 მეტრზე მდებარეობს. ამ მაჩვენებლით იგი ერთ-ერთი ყველაზე მაღლა მდებარე დასახლებული ადგილია ევროპაში.

უშგული ქვაბულისებურ, კარგად დაცულ ხეობაში მდებარეობს. მისი მიდამოების რელიეფში გამოხატულია როგორც მდინარისპირა ჭალები და ტერასები, ისე დამრეცი და ციცაბო ფერდობები. ნალექების საშუალო რაოდენობა 1200 მმ-ს აღწევს, რაც ძალზე კომფორტულია არსებულ გეოგრაფიულ პირობებში. ჩრდილოეთ ექსპოზიციის ფერდობებზე დომინირებს სოჭნარ-წიფლნარი ტყეები, ხოლო სამხრეთისაზე მეორადი და სუბალპური მდელოები.

უშგულის მიდამოებში რამდენიმე ტიპის ლანდშაფტია წარმოდგენილი, რაც ბუნებრივი პირობების კარგად გამოხატულ სიმაღლებრივ სარტყლურობას ექვემდებარება. განსაკუთრებით ეფექტურია შერეული ტყის ლანდშაფტი, რომლის ქვედა იარუსში მარადმწვანე კოლხური ქვეტყეა განვითარებული. მას ჯერ მაღალი მთის ტყის, შემდგომ კი სუბალპური და ალპური მდელოს, სუბნივალური და ნივალური ლანდშაფტები ცვლის.

უშგულში შემორჩენილია XII საუკუნის ციხესიმაგრის ფრაგმენტები, რამდენიმე ეკლესია, სამ ათეულზე მეტი უძველესი ციხე-სახლი და საკულტო ნაგებობა. ციხე-სახლების გარკვეული ნაწილი უძველესი, IX-X საუკუნეების ძეგლია. უშგული იუნესკოს მიერ მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსით არის დაცული.

სვანური კოშკი სვანეთში გავრცელებული თავდაცვითი ნაგებობაა, რომელიც შედგება 4-6 სართულისგან და გადახურულია ორფერდა სახურავით. სვანურ კოშკს აშენებდნენ რიყის ქვითა და ლოდებით. მთლიანად კოშკის სიმაღლე 20-25 მეტრია. კოშკს შესასვლელი ძირითადად მეორე სართულზე აქვს. სართულები ერთმანეთს უკავშირდება ინტერიერში განლაგებული მოძრავი ხის კიბით. კოშკის ბოლო სართულზე მოწყობილია საბრძოლო ბაქანი, სათოფურებით. სვანური კოშკი დაკავშირებულია საცხოვრებელ ნაგებობასთან (მურყვამი) ან ცალკე დგას.

სვანური ციხე-სახლი კოშკისგან განსხვავებით უფრო დაბალი და მასიურია, შედგება 3 სართულისგან. I სართული ადამიანთა საცხოვრებლად და საქონლის სადგომად გამოიყენება. II სართული სამეურნეო დანიშნულებისაა. III სართული ბანია და თავდაცვითი დანიშნულება აქვს (მაგ: ჩაჟაშის კოშკი).

1996 წელს განსაკუთრებული, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის შეფასების IV და V კრიტერიუმების საფუძველზე მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა ზემო სვანეთში მდებარე სოფელ ჩაჟაშს(მესტიის მუნიციპალიტეტი,უშგულის თემი), როგორც გამორჩეული ლანდშაფტისა და კარგად შემონახული თავდაცვითი კოშკებისა თუ საეკლესიო ნაგებობების მჭონე ადგილს.

გელათის მონასტერი

გელათის მონასტერი ქართული ხუროთმოძღვრული ანსამბლი, შუა საუკუნეების საქართველოს კულტურის უმნიშვნელოვანესი ცენტრი; აგებულია ქ. ქუთაისის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით 11 კმ-ზე, მდინარე წყალწითელის ხეობაში. დაარსებულია 1106 წელს დავით აღმაშენებლის თაოსნობით.




შემოზღუდულია გალავნით. ანსამბლში შედის სხვადასხვა დროინდელი (ძირითადად XII-XIII სს.) შენობები. ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ცენტრალურ – გუმბათოვან მთავარ ტაძარს ორ ბოძსა და საკურთხეველის კედლებზე დაყრდნობილი გუმბათი აქვს, აღმოსავლეთ მხარეს კი – სამი წახნაგოვანი შეერილი აფსიდი. ეკლესიისათვის სხვადასხვა დროს მიუშენებიათ: დასავლეთ მხარეს – სტოა, სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან კი ეკვდერები. ტაძრის ფართობი 35X36 მ, სიმაღლე 34 მ-მდე. გარედან ტაძარი მოპირკეთებულია დამუშავებულია რთული რიტმის დეკორატიული თაღედებით და ჩუქურთმებს. ფართო და უხვად განათებული შიგა სივრცე საზეიმო შთაბეჭდილებას ტოვებს. კედელ – კამარები ერთიანად დაფარულია სხვადასხვა დროის მხატვრობით. მთავარი ტაძრის კონქში დაცულია ცნობილი გელათის მოზაიკა, დასავლეთ სტოაში – XII საუკუნის ფრესკები, რომლებზეც გამოსახულია საეკლესიო კრება, ხოლო სამხრეთ ეკვდერში – დავით ნარინის ორი, XIII საუკუნეში შესრულებული პორტრეტი. მოხატულობა არაერთხელ განუახლებიათ. განსაკუთრებით საყურადღებოა ისტორიულ პირთა პორტრეტები (XVI ს.): ჩრდილოეთ კედელზე გამოსახული არიან იმერეთის სამეფო ოჯახის წევრები. აქვეა დავით აღმაშენებლის ფრესკული გამოსახულება, რომელიც, როგორც ჩანს, ადრინდელ მხატვრობას მიეკუთვნება, მაგრამ XVI საუკუნეში აღუდგენიათ ძველი ნახატის მიხედვით. მთავარი ტაძრის აღმოსავლეთით, XII საუკუნის წმ.გიორგის სახელობის ეკლესიაა. გეგმითა და ფორმებით იგი მთავარ ტაძარს იმეორებს, მაგრამ უფრო მცირე ზომისაა. შიგნიდან კედლები დაფარულია XVI საუკუნის მოხატულობით. მთავარი ტაძრიდან 9 მ-ზე აღმართულია XIII–XIV საუკუნეების წმ.ნიკოლოზის სახელობის ორსართულიანი ეკლესია. გეგმით სწორკუთხა ქვედა სართული ოთხივე მხარეს თაღებითაა გახსნილი, ხოლო მეორე სართული ჯვარისებრი მოხაზულობის პატარა ეკლესიაა. მთავარი ტაძრის ჩრდილო – დასავლეთით XIII საუკუნის სამრეკლოა, რომლის ქვედა ნაწილი – თაღებით გახსნილი ქვის ფანჩატური – წყაროზეა დაშენებული. მის თავზე პატარა სათავსია, ხოლო სულ ზემოთ – სამრეკლო. გელათის ანსამბლში შედის აგრეთვე აკადემია, რომელმაც ჩვენამდე ნანგრევების სახით მოაღწია. გეგმით სწორკუთხა შენობას (ფართობი დაახლოებით 300 მ) აღმოსავლეთით სამი შესასვლელი ჰქონია. მოგვიანებით შუა შესასვლელისათვის მდიდრულად მორთული კარიბჭე მიუშენებიათ. კედლების გასწვრივ ქვის დასაჯდომები იყო გაყოლებული. შენობას დიდი სარკმლები ანათებდა, კედლები მოხატული ჰქონდა. გელათის მონასტრის გალავნის სამხრეთით, მთავარ შესასვლელში, დავით აღმაშენებლის საფლავია. გელათის მონასტერი სამეფო სახლის საკუთრება და საძვალე იყო, ტერიტორიულად ახლოს მდებარეობდა სამეფოს პოლიტიკურ ცენტრთან – ქუთაისთან, აქ არის დასაფლავებული სრულიად საქართველოს თითქმის ყველა მეფე: დავით IV აღმაშენებელი, დემეტრე I, გიორგი III, თამარი (თამარის ისტორიკოსების ცნობით) და სხვა იმერეთის მეფეები: ბაგრატ III, გიორგი II, გიორგი III, გიორგი VI, ალექსანდრე V, სოლომონ I და სხვა. გელათის მონასტერი ერთ-ერთი მდიდარი ფეოდალური სენიორია იყო. მის მფლობელობაში ითვლებოდა ერცელი მიწა-წყალი. მეურნეობაში წამყვანი დარგი იყო მიწათმოქმედება, განვითარებული მეცენახეობა, ღვინის, თაფლისა და სანთლის სასაქონლო – საბაზრო წარმოება მონასტერს დიდ ფულად შემოსავალს აძლევდა. XII-XV საუკუნეებში გელათის მონასტერს მინიჭებული ჰქონდა სრული ავტონომია, აღიარებდა მხოლოდ მეფის უმაღლეს უფლებას. საქართველოს კათოლიკოს – პატრიარქსაც კი არ ჰქონდა არავითარი სახელისუფლო ძალა (გარდა მღვდლების კურთხევისა). გელათის მონასტერში მეფეს ჰყავდა თავისი პირადი წარმომადგენელი. მონასტრის უფროსი მონაზვნები და მოძღვართმოძღვარი სამეფო დარბაზის წევრებად ითვლებოდნენ. XIII საუკუნის II ნახევარსა – XV საუკუნეში ქვეყნის პოლიტიკური – ეკონომიური დაკნინების გამო

(მონღოლების, თემურლენგის შემოსევები, გამწვაებული შინაფეოდალური საადგილმამულო ბრძოლები) გელათის მონასტრის ეკონომიური და კულტურული ცხოვრება შეფერხდა. მისი ძველი მდგომარეობა ნაწილობრივ აღადგინა გიორგი ბრწყინვალემ. საქართველოს პოლიტიკური დაშლის (XV საუკუნის II ნახ.) შემდეგ გელათის მონასტერი დასავლეთ საქართველოს მეფეების ხელში გადავიდა. 1510 წლის 23 ნოემბერს იგი გადაწვა იმერეთში შემოჭრილმა ოსმალთა ჯარმა. იმერეთის მეფეებმა ბაგრატ III-მ და გიორგი II-მ გელათის მონასტერში დიდი მასშტაბის სამეურნეო და სამშენებლო სამუშაოები ჩაატარეს – კაპიტალურად შეაკეთეს და მოხატეს ტაძრები, განაახლეს გაუქმებული და მიტოვებული ეკლესია – ეკვდერები, შესწირეს მონასტერს ახალი მამულები. ბაგრატ III-ს თანამედროვენი გელათის „მეორედ აღმშენებელს“ უწოდებდნენ. მას მხარში ედგნენ გელათის ეპისკოპოსი მელქისედეკ საყვარელიძე და დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ევდემონ ჩხეტიძე. XVI საუკუნის 20-იან წლებში ბაგრატ III-მ გელათის მონასტერში საეპისკოპოსო კათედრა დააარსა, რამაც გარკვეულად აამაღლა მონასტრის პოლიტიკურ – მორალური და ეკონომიური მდგომარეობა. XVI საუკუნის II ნახევარში დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის რეზიდენცია ბიჭვინთიდან გელათში გადმოიტანეს. XVIII საუკუნიდან გელათის მონასტერში დიდი მასშტაბის აღდგენითი სამუშაოები გასწიეს გიორგი VI-მ, ალექსანდრე V-მ, სოლომონ I-მა, სოლომონ II-მ და გელათის ეპისკოპოსებმა. XVIII საუკუნის დამლევს მონასტერი ფლობდა 42 სოფელს. იმერეთის სამეფოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების (1810) შემდეგ გელათის მონასტერი საეკლესიო სენიორიიდან სახელმწიფო დაწესებულებად – შტატის მონასტრად იქცა. ჯერ კიდევ XII საუკუნეში, დავით აღმაშენებლის თაოსნობით, გელათის მონასტერში დიდი შემოქმედებითი საქმიანობა გაჩაღდა. სხვადასხვა დროს აქ მოღვაწეობდნენ არსენ იყალთოელი, იოანე პეტრიწი, არსენ ბულმაისიმისძე, პეტრე გელათელი, ევდემონ ჩხეტიძე (1557-1578), ექვთიმე საყვარელიძე (1578-1616), გედეონ ლორთქიფანიძე (XVII ს.), ანტონ I, ზაქარია გაბაშვილი და სხვა. გელათის მონასტერში ინახებოდა მდიდრულად მორთული და მინიატიურებით შემკული ქართული ხელნაწერები, რომელთა დიდი ფონდი აქ ძველთაგანვე არსებობდა, აგრეთვე ქართული ჭედური ხელოვნების ბევრი შესანიშნავი ნიმუში (მაგ.ხახულის ღვთისმშობლის ხატი). გელათის მონასტრის ზღუდის გარეთ დაახლოებით 150 მ-ზე, მის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით, შემორჩენილია სოხასტერის მონასტრის (საყუდებულ ბერთა სამყოფელი) ნანგრევები – ეკლესიების, კოშკის ტიპის საცხოვრებელი სახლებისა და სხვა ნაშთები. მონასტრის სამხრეთ-დასავლეთით მაღალ კონცხზე წმ. საბას სახელობის დარბაზული ეკლესიის (X-XI სს.) ნანგრევებია. მის მახლობლად, გზის გაღმა, წმ. ილიას სახელობის ეკლესიაა. მოშორებით, მდინარე წყალწითელის ხეობაში, ე.წ. „დავითის კონცხზე“, მტრის თავდასხმისაგან მონასტრის დამცველი დიდი მრგვალი კოშკის ნანგრევები. 1923 წელს გელათის მონასტერი დახურეს. ამჟამად იგი ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ – ეთნოგრაფიული მუზეუმის ფილიალია.


ბაგრატის კათედრალი და გელათის მონასტერი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში აღირიცხა 1994 წელს, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 18-ე სესიაზე, განსაკუთრებული, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის შეფასების IV კრიტერიუმის საფუძველზე.

ბაგრატის კათედრალი და გელათის მონასტერი 2010 წელს შეიცა საფრთხის ქვეშ მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში. 2017 წელს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 41 სესიაზე კომიტეტმა გელათის სამონასტრო კომპლექსი ამ სიიდან ამოიღეს, ბაგრატის ტაძარი კი, იმავე სესიის გადაწყვეტილებით, 2017 წელს ორგანიზაციის მფარველობიდან გაიცა, ჩატარებული რეკონსტრუქციის გამო.




მცხეთის ისტორიული ძეგლები

მცხეთის ისტორიული ძეგლები (ჯვრის მონასტერი, სვეტიცხოველის კათედრალი, სამთავროს მონასტერი), მსოფლიო მემკვირეობის ძეგლთა სიაში აღირიცხა 1994 წელს, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 18-ე სესიაზე, განსაკუთრებული, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის შეფასების IV და III კრიტერიუმების საფუძველზე.



2007 წელს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში წევრობის კანდიდატად საცდელი სია წარუდგინა. ჯერჯერობით, ნომინაციად არც ერთი არ არის მომზადებული. სიაში 15 ისტორიული და ბუნებრივი ძეგლი შედის:

1. ალავერდი 2. ანანურის ციხე 3. კოლხეთის ეკოსისტემა 4. დავით-გარეჯი 5. დმანისი 6. გრები 7. კვეტარა 8. მთა-თუშეთი 9. ნიკორწმინდა 10. სამთავისი 11. შატილი 12. ძველი თბილისი 13. უფლისციხე 14. ვანი 15. ვარძია-ხერთვისის ციხე.



ალავერდის მამათა მონასტერი და საეპისკოპოსო ტაძარი მდებარეობს ქ. თელავიდან 20 კმ-ზე, ახმეტის რაიონის სოფ. ალავერდთან. ალავერდის მონასტერი VI ს-ში დააარსა ასურეთიდან ქართლში მოსულმა წმინდა მამამ იოსებ ალავერდელმა (მისი საფლავი ტაძრის უმთავრეს სიწმინდეს წარმოადგენს). ამჟამინდელი საკათედრო ტაძარი წმ. გიორგის ეკლესიის ადგილზე XI ს-ის დასაწყისში აიგო რანთა და კახთა მეფის კვირიკე III-ის (1010-1037 წწ.) ბრძანებით და საეპისკოპოსო ცენტრად იქცა. მამათა მონასტრის წინამძღვარი ამავე დროს ალავერდის მთავარეპისკოპოსიც იყო და ამბა ალავერდელის (ანუ პირველეპისკოპოსის) ტიტულს ატარებდა. XVI ს-დან ამბა ალავერდელი კახეთის მთავარი საეკლესიო პირია და მიტროპოლიტის ხარისხშია აყვანილი. „ალავერდი" არაბული წარმოშობის სიტყვაა და „ღვთისგან ნაბოძებს" ნიშნავს. ეს ცნება ნაყოფიერებასა და მოსავალთან იყო დაკავშირებული, ამიტომ იმ ქვეყნებში, სადაც უმთავრესად მიწათმოქმედებას მისდევდნენ, ეს სახელი დღესაც ჰქვია რამდენიმე დასახლებულ ადგილს.

ალავერდის ტაძარი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლებს შორის ყველაზე მაღალი ნაგებობაა (51 მ.). იგი ჯვრის ტიპის ტრიკონქია. შესასვლელი სამი მხრიდან აქვს. ტაძრის ინტერიერის დიდი სივრცე (42 მ. / 26 მ.) განათებულია გუმბათის ყელში არსებული 16 სარკმლიდან შემოსული სინათლით. ალავერდი შედარებით სადად არის გაფორმებული ჩუქურთმებითა და ორნამენტებით, რაც კახეთის საეკლესიო ძეგლებს ზოგადად ახასიათებს. ტაძარი ნაგებია რიყის ქვით, ტაძრის პერანგი კი შირიმის ქვით არის მოპირკეთებული. ალავერდის ტაძარი გადახურულია ცისფრად მოჭიქული კრამიტით. ტაძრის კედლებზე მრავლად არის წარწერა.

მონასტერი შემოსაზღვრულია გალავნით (XVII ს.), რომლის შიგნით მდებარეობს სამსართულიანი პალატი ეპისკოპოსის რეზიდენცია; აგურის სასახლე (1615 წ. აგებული კახეთის მმართველის ფეიქარხანის მიერ), აბანო, მარანი, ბერების სენაკები.

ალავერდი მრავალჯერ დაზიანებულა მტრის შემოსევებისა და მიწისძვრების შედეგად. XVII ს-ის შუახანებში სპარსელებმა ტაძარი ციხესიმაგრედაც კი გადააქცეს. მისი მასშტაბური რესტავრაცია განახორციელეს კახეთის მეფეებმა ალექსანდრე I-მა (1476-1511) და ერეკლე II-მ (1744-1798). აღადგინეს გუმბათის ყელი და აგურით ააშენეს ჩამონგრეული კედლები. ალავერდი კახეთის მეფეთა (XI ს, XV-XVIII სს.) საძვალეს წარმოადგენდა.


XIX ს-ში რუსეთის ეკლესიის სინოდის ბრძანებით ალავერდი სხვა ქართული ტაძრების მსგავსად კირით შეათეთრეს. მხოლოდ 1966 წელს ჩატარებული რესტავრაციის შედეგად გამომჟღავნდა როგორც ტაძრის დაარსების (XI ს.), ასევე შედარებით გვიანდელი (XV-XVII სს.) პერიოდის მდიდარი ფრესკული მხატვრობა.

ალავერდის მონასტერი ქართული მწიგნობრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. აქ გადაწერილია ერთ-ერთი ძველი ქართული ხელნაწერი ალავერდის სახარება (1054 წ), რომელიც ამჟამად ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება.

27 სექტემბერს, ჯვართამაღლების დღესასწაულზე აღინიშნება ალავერდის ტაძრის დღეობა – ალავერდობა. ეს უძველესი ტრადიცია მოსავლის აღება-დაბინავებასთანაა დაკავშირებული და ტაძრის დამაარსებლის, იოსებ ალავერდელის სახელზე იმართება. ალავერდობაზე ღამის თევით მოდიან მლოცველები სხვადასხვა კუთხიდან. ძველად დღესასწაული სამი კვირა გრძელდებოდა.

2007 წლის 24 ოქტომბრიდან ალავერდის მონასტერი შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში.

ანანური – ანანურის კომპლექსი მდებარეობს საქართველოში, მცხეთა-მთიანეთის მხარეში, დუშეთის მუნიციპალიტეტში, ისტორიულ მხარე მთიულეთში, დუშეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, 23 კმ-ში, ჟინვალის წყალსაცავის დასაწყისში.



ანანურის ხუროთმოძღვრული ანსამბლი საქართველოს გვიანფეოდალური ხანის ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლია. ეს ტერიტორია (სოფელი) უძველესი დროიდან ყოფილა დასახლებული. თუმცა, ადრეული ნაგებობების კვალი არ შემორჩენილა. არაგვის საერისთავოს შექმნის შემდეგ იგი ამ საერისთავოში შედიოდა. აქ იყო არაგვის ერისთავთა მთავარი ციხე. მისი სტრატეგიული მნიშვნელობა საქართველოში ცენტრალური ხელისუფლების შესუსტების შემდეგ (XVII-XVIII სს.) კიდევ უფრო გაიზარდა. იგი არაგვის ერისთავთა რეზიდენციას წარმოადგენდა. ამ პერიოდს განეკუთვნება ანანურის ციხის გამაგრება და აღდგენაც.

1743 წელს კახეთის მეფე თეიმურაზ II-მ გააუქმა არაგვის საერისთავო და ანანურის ციხე მეფის ხელისუფლებას დაუქვემდებარა. XVIII საუკუნის II ნახევარში ანანური ქალაქად იქცა, 1803-1821 წლებში ანანურის მაზრის ცენტრი იყო. ანანურის ანსამბლში თავმოყრილია საერო, სამხედრო და საკულტო ნაგებობანი. ანსამბლი შედგება ციტადელისა და ქვედა ციხისაგან. თავდაპირველად აქ მდგარა ამჟამად ციტადელის ცენტრში მოქცეული ხუთსართულიანი კოშკი (XIV-XV სს.). ციტადელის აღმოსავლეთით დგას მცირე ზომის ერთნავიანი ეკლესია (XVI-XVII სს.), რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი „მკურნალს" ეძახიან. დაახლოებით XVII საუკუნის შუა ხანას ეკუთვნის მცირე გუმბათიანი ტაძარი (ღვთაება). XVII საუკუნის I ნახევარში აშენდა ზედა ციხე, რომლის გალავნის კედლებში ჩატანებულია 4 მრგვალი კოშკი. ანანურის ანსამბლის უმთავრესი არქიტექტურული ნაგებობაა დიდი გუმბათიანი ტაძარი. სამხრეთ კედლის წარწერიდან ჩანს, რომ ტაძარი 1689 წელში, არაგვის ერისთავის მდივანბეგ ბარძიმის ბრძანებით, სარქარ ქაიხოსრო ბაღსარაშვილს აუგია. XVII საუკუნეში აგებული დიდი ეკლესიის აღმოსავლეთით აღმართული სამრეკლოც. ანანურის ქვედა ციხე XVIII საუკუნის დასაწყისშია აგებული. 2007 წლის 24 ოქტომბრიდან ანანურის ციხე შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში.

კლდეში ნაკვეთი დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 60-70 კმ-ში, გარე კახეთში მდებარეობს. გადაჭიმულია გარეჯის მთის ნახევრად უდაბურ კალთებზე 25 კილომეტრის მანძილზე და 22 მცირე მონასტერ-კომპლექსს მოიცავს, მათგან 3 სადაო (აზერბაიჯანის საზღვარზე) მონაკვეთზეა მოქცეული. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიციით, დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის საზღვრით გაყოფა დაუშვებელია.



დავითგარეჯის მონასტერი დავით გარეჯელმა VI საუკუნეში დაარსა, რომელიც საქართველოში ქრისტიანობის გასავრცელებლად ჩამოსული „ათცამეტი ასურელი მამის“ დასს ეკუთვნოდა. ის თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად მოვიდა გარეჯის უდაბნოში და დასახლდა პატარა, ბუნებრივ მღვიმეში. ასე ჩაეყარა საფუძველი მონასტერს, რომელსაც დავითის ლავრა ეწოდება. მის დროსვე შეიქმნა ორი სხვა მონასტერიც, რომლებიც საერთო კომპლექსში შედის – ე. წ. დოდოს რქა და ნათლისმცემელი.


XII საუკუნის დასაწყისში დავით აღმაშენებელმა დავითგარეჯის მონასტრები სამეფო საკუთრებად აქცია, ხელს უწყობდა მათ დაწინაურებას. მონასტრები გათავისუფლებული იყო სახელმწიფო გადასახადებისაგან. 1265 მონღოლთა ლაშქარმა ბერქა-ყაენის სარდლობით დაარბია და მოაოხრა დავითგარეჯა და მისი მიდამოები.

დავით გარეჯი გიორგი V ბრწყინვალის მეფობაში, XIV საუკუნის I ნახევარში დავითგარეჯა მძლავრ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრად იქცა. ამავე საუკუნის ბოლოს თემურლენგის მრავალგზის ლაშქრობების დროს, დავით გარეჯში სამონასტრო ცხოვრება მოიშალა. 1616-1617 სპარსელთა ლაშქარმა დაარბია, მონასტრები გაუქმდა. შაჰ-აბასის ურდოებმა აღდგომა ღამეს 6000 ბერი ამოწყვიტეს და მონასტერი გაძარცვეს.

XVII საუკუნის ბოლოს მეფე თეიმურაზი და შემდეგ არჩილ მეფე ცდილობდნენ დავითგარეჯში სამონასტრო ცხოვრების აღდგენას. ეს მხოლოდ 1690 წელს მოხერხდა, როცა მონასტრის წინამძღვრად ღირსი ონოფრე გარეჯელი დაინიშნა.

XVIII საუკუნის ხშირი თავდასხმების შედეგად, გარეჯის მონასტრის განვითარება თანდათან შესუსტდა, ხოლო XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იგი გაუკაცრიელდა, მხოლოდ ნათლისმცემლის მონასტერში შემორჩა რამდენიმე ბერი.

დავითგარეჯის მონასტერს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს შუა საუკუნეთა ქართული კულტურის ისტორიაში. აქ დიდი მშენებლობა წარმოებდა, ფრესკები იხატებოდა. ინტენსიური სამწიგნობრო მოღვაწეობა იყო გაშლილი. დავითგარეჯაში მრავალი ასეული გამოქვაბული სენაკი, ეკლესია, სამლოცველო და სატრაპეზოა. ბევრი მათგანის კედლებმა შემოგვინახა მნიშვნელოვანი ძველი ფრესკები, ისტორიული პირების – მათ შორის თამარ მეფისა და ლაშას პორტრეტებით. უდაბნოს მთავარ ეკლესიაში გამოსახულია სცენები დავით გარეჯელის ცხოვრებიდან. ასევე, საინტერესოა უდაბნოს მონასტრის ამაღლების ეკლესიის აფსიდის მოხატულობაც, რომელიც გამოირჩევა მეტყველი სახეებით და დინამიკურობით. აქტიური მშენებლობა მიმდინარეობს XVI-XVIII საუკუნეებში: ამ ხანას მიეკუთვნება ზოგი საფორტიფიკაციო ნაგებობა, საცხოვრებელი კოშკები და გამოქვაბული ოთახებიც.



გრემი – სოფელი ყვარლის რაიონში, ალაზნის ვაკეზე, მდინარე ინწობის (ალაზნის მარცხენა შენაკადი) მარჯვენა ნაპირას. ზღვის დონიდან 480 მეტრი, ყვარლიდან 16 კილომეტრი, თელავიდან 19 კმ.

ვარაუდობენ, რომ გრემის ტერიტორიაზე მოსახლეობა გვიანდელ ბრინჯაოს ხანაში უნდა გაჩენილიყო. გრემი ფეოდალური ხანის კახეთის ერთ – ერთი სავაჭრო – ეკონომიკური და კულტურული ცენტრი იყო. 1466 წელს კახეთის სამეფო დედაქალაქი გახდა. აქ XV საუკუნიდან ამრავალებდნენ ხელნაწერებს. გრემში ლიტერატურულ – კულტურულ მოღვაწეობას ეწეოდნენ დავით მეფე, ქეთევან დედოფალი, თეიმურაზ I და სხვ. გრემთან გადიოდა მნიშვნელოვანი საქარავნო გზები.

1614-16 წლებში აბას I-ის ლაშქრობის შედეგად გრემი გაპარტახდა. მის დაცემაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აგრეთვე დაღ. ფეოდალთა გამუდმებულმა თავდასხმებმა. არქიტექტურულ ძეგლთაგან გამოირჩევა ქალაქის აღმოსავლეთით ციტადელში, მაღალ გორაკზე აღმართული გრემის მთავარანგელოზთა ჯვაროვან-გუმბათოვანი ტაძარი. ააგო კახთა მეფე ლევანმა 1565 წელს. მოხატვა დაუმთავრებიათ 1577 წელს. გეგმით სწორკუთხა შენობა ნაშენია აგურით, აქა – იქ რიყის ქვაც გამოუყენებიატ. შესასვლელი დასაელეთ, სამხრეთ და ჩრდილოეთიდან აქვს. შიგა სივრცეს საკურთხევ;ის კუთხეებსა და ორ სვეტზე დაყრდნობილი გუმბათი აგვირგვინებს. ფასადები დაყოფილია სამ-სამ თაღოვან მონაკვეთად. ასეთივე შეისრული თაღები ამშვენებს რვასარკმლიან გუმბათის ყელსაც. ინტერიერში დასაელეთ კედელზე მოთავსებულია ამშენებლის პორტრეტი ეკლესიის მოდელით ხელში. ტაძრის სათოფურეებიანი გალავანი ამავე დროს სიმაგრეც იყო. იგი ერეკლე II-ს შეუკეთებია. ტაძრის აგებამდე გორაკზე კოშკურა შენობა მდგარა, რომლის მესამე სართულზე შემდგომ სამრეკლო დაუშენებიათ. ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა 1939-1949 (ხელმძღვანელი ა.მამულაშვილი) და 1963-1967 (ხელმძღვანელი პ. ზაქარაია). ქალაქს ეკავა დაახლოებით 50 ჰა. შედგებოდა 3 მთავარი ნაწილისაგან:

1. მთავარანგელოზთა კომპლექსი, რომელშიც შედიოდა მთაყარანგელოზთა ეკლესია, 3-სართულიანი სასახლე, სამრეკლო და სამეურნეო ნაგებობანი (საწნახლიანი მარანი, ლითონის მცირე ზომის ნივთების დასამზადებელი ჭურა). ქალაქის ამ ნაწილს შეეძლო დამოუკიდებლად ეცხოვრა. შემოზღუდული იყო კოშკებიანი გალავნით. ჰქონდა ქვით ნაგები საიდუმლო გასასვლელი მდინარე ინწობისაკენ.

2. სამეფო რეზიდენცია, რომელშიც განლაგებული იყო სამეფო სასახლეები, შადრევნიანი შენობა, რვაკუთხა კოშკი, აგურით ნაგები აბანო და სხვა.

3. სავაჭრო უბანი, რომლის ცენტრში მდებარეობდა გეგმით სწორკუთხა დახურული ბაზარი (ქულბაქები) და სასტუმრო (ქარვასლა).

ბაზარი ოთხივე მხრიდან შემოფარგლული იყო ქვით ნაგები კამაროვანი დუქნების რიგით, შუაში მცირე ეზო ჰქონდა. ყოველი დუქანი (ფართობი დაახლოებით 10 მ.) შედგებოდა ერთი ოთახისა და ეზოსკენ გახსნილი აივნისაგან (ალბათ საქონლის გამოსაფენად). ზოგ დუქანს სარდაფიც ჰქონდა. ოთხივე რიგში 30 დუქანი აღმოჩნდა. დუქნები სხვადასხვა საქმიანობისათვის იყო გამიზნული. ქულბაქებს აღმოსავლეთიდან ეკვროდა მოგრძო სწორკუთხა ფორმის (სიგრძე 80 მ.) სასტუმრო, რომელშიც კორიდორის ორივე მხარეს განლაგებული იყო 16-16 პატარა სათავსი. ამავე უბანში გაითხარა აბანო, რომელიც გრემში ჩამოსული უცხოელებისათვის ყოფილა განკუთვნილი. აბანოს მილებში შემორჩენილი დიდი რაოდენობის ნალექის მიხედვით სავარაუდოა, რომ აბანოს იყენებდნენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში. გრემი წყლით მარაგდებოდა XVI საუკუნეში მდინარე ლოპოტიდან გამოყვანილი არხის საშუალებით. ნაქალაქარი დასერილია სასმელი წყლის კერამიკული მილების ქსელით. კომუნალური დანიშნულების წყალი პატარა არხებით შემოდიოდა, ხოლო დიდი არხით ქალაქის მიდამოები ირწყვებოდა. ქალაქის დასავლეთ ნაწილში იყო გალავანშემორტყმული აგურის ეკლესია ე. წ. „თარსა გალავანი“ (აგებულია XVI საუკუნეში). გათხრებით მოპოვებულ მასალაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იმპორტულ (სპარსულ, ჩინურ) კერამიკას.

2007 წლის 24 ოქტომბრიდან გრემის სამეფო სასახლე და ეკლესია შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში



კვეტერა – ისტორიული ციხე-ქალაქი კახეთში, მდინარე ილტოს ნაპირზე, ახმეტა-თიანეთის დამაკავშირებელ მაგისტრალზე (ახმეტის რაიონი). კახეთის სამთავროს (შემდეგ სამეფოს) ერთ-ერთი ცენტრი. წყაროებში პირველად XI საუკუნის შუაწლებიდან იხსენიება, თუმცა ვახუშტის (XVIII ს.) მიხედვით, ჯერ კიდევ VIII საუკუნეში უნდა არსებულიყო. ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიება ადასტურებს ამ ვერსიას. კვეტერის გრანდიოზული ნანგრევები მაღალ მთაზეა, გარს არტყია რიყისა და ნატეხი ქვით ნაგები მძლავრი გალავანი,

რომლის კედლებში დატანებულია კონტრფორსები, მრგვალი და ოთხკუთხა კოშკები. ციხესიმაგრის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, ყველაზე მაღალ ადგილზე, აკროპოლისია, რომელშიც სასახლე და ეკლესიაა განლაგებული. გეგმით ჯვარისებრი ეკლესია X საუკუნის I ნახევარს მიეკუთვნება. ყოველ მკლავი დასრულებულია აფსიდით. აფსიდებს შორის მოთავსებულია ნიშები. ცენტრალურ კვადრატზე აღმართულია მრგვალ ყელზე დაყრდნობილი გუმბათი. შრომით ნაგები შენობა, როგორც ჩანს, მეფის კარის ეკლესიად იყო გათვალისწინებული. ხუროთმოძღვარს ყოველგვარი მორთულობისა და ჩუქურთმების გარეშე შეუქმნია კომპოზიციურად მოხიბლავი ნაწარმოები.



ნიკორწმინდა — ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი, გუმბათოვანი ტაძარი. მდებარეობს ამავე სახელწოდების სოფელში. დასავლეთის შესასვლელის წარწერის მიხედვით იგი აუგიათ საქართველოს მეფის ბაგრატ III-ის დროს 1010-1014 წლებში. ტაძარი გარედან მოკლემკლავებიანი სწორკუთხა ჯვრის ფორმისაა, შიგნიდან კი ხუთაფსიდიანია, დასავლეთით მოკლე სწორკუთხა მკლავი აქვს. აფსიდის შვერილებზე, რომელთაც ნახევარსვეტის ფორმა აქვთ, აღმართულია გუმბათის ყელი. ექვსწახნაგად ან გუმბათის წრეზე გადასვლა ხდება აფრების მეშვეობით. საკურთხევლის აფსიდის ბემისა და დასავლეთის მკლავის გამო შინაგანი სივრცე შესამჩნევად არის დაგრძელებული, მთავარი ღერძის გასწვრივ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ინტერიერში შემონახულია XVII საუკუნის ფრესკები, გვიანდელი ხანის ქართული კედლის მხატვრობის დამახასიათებელი ნიმუშები. ეკლესიის ფასადები შემოსილია კარგად გათლილი ქვითა და დამუშავებულია უწყვეტი თაღედით. ასეთივე თაღედით არის დამუშავებული 12-სარკმლიანი გუმბათის ყელიც. ტაძარი უხვად არის შემკული მდიდრული ჩუქურთმებით, დიდი ადგილი უჭირავს აგრეთვე სიუჟეტურ მრავალფიგურიან რელიეფებს, მრავალფიგურიან სცენებს („ფერისცვალება“, „მეორედ მოსვლა“, „ჯვრის ამაღლება“), წმინდანების ფიგურებს, რეალურ და ფანტასტიკურ ცხოველებს, გამოსახულებებს, რომლებიც ერთი მთლიანი, წინასწარ გააზრებული პროგრამის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენენ. სარკმლებს ირგვლივ შემოუყვება ჩუქურთმიანი არშიები. სამხრეთისა და დასავლეთის კარიბჭეები მოგვიანებითაა მიშენებული, მაგრამ ისინიც XI საუკუნის I ნახევარს განეკუთვნება. 1634 შენობა განუახლებია იმერეთის მეფეს ბაგრატ III-ს. ტაძრის ეზოში აღმართული სამსართულიანი სამრეკლო XIX საუკუნის II ნახევარშია აშენებული.


2007 წლის 24 ოქტომბრიდან ნიკორწმინდის მონასტერი შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში. 2012 წელს სარეაბილიტაციო სამუშაოებისას ჭვარტლით დაფარულ კარიბჭეებში აღმოჩნდა XVI საუკუნის მანამდე უცნობი ფრესკები: ტაძრის ქტიტორთა, ადგილობრივ ფეოდალთა და მთავარანგელოზ მიქაელის გამოსახულებები. ერთ-ერთი ფრესკული წარწერა იხსენიებს ტაძრის მომხატველს, ვინმე ჯავახაძეს. ქტიტორთა გამოსახულებებთან მოხსენიებულია ორი გვარი, ჯავახაძეები და წულუკიძეები.

სამთავისი, ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლია. იგი დგას კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ სამთავისში, მდინარე ლეხურის მარცხენა ნაპირზე.

გადმოცემის მიხედვით, სამთავისის ტაძარი თბილისის სიონის, წილკნის, ერთაწმინდისა და მეტეხის ტაძრებთან ერთად აუგია ვახტანგ გორგასალს. „კალმასობაში“ ნათქვამია: „ვახტანგ გორგასალან, მეფემ საქართველოსმან აღაშენა ოთხი ეკლესიანი: წილკნის, სამთავისის, მეტეხის გაღმა მხარისა და რუისისა და ოღეს გაშინჯეს ეს ეკლესიები, მაშინ ხუროთმოძღვრებით და აღმშენებლობით ოფრო აქეს სამთავისი. და უწოდა ესრეთ სამთავ ეკლესიათა, ესე სამთავისი ომჯობესიაო და მუნიდგან ეწოდება სამთავისი“.

ქართლ-იმერეთის სინოდის კანტორის საქმეების მიხედვით სამთავისის ძველი ეკლესიის აშენების თარიღია 472 წელი. იმდროინდელი ნაგებობებიდან აღარაფერია შემორჩენილი. X-XI საუკუნეებში სამთავისში აშენდა შედარებით მცირე ზომის ტაძარი. ამ ტაძრის შესახებ წერილობით წყაროებში

მნიშვნელოვანი ცნობა არ არის შემონახული. იგი მხოლოდ გვიანდელი ხანის სიგელ-გუჯრებშია გაკვრით ნახსენები. სამთავისის ტაძრის აგების ზუსტ თარიღსა და ამშენებლის ვინაობას გვაუწყებს დასავლეთის კარის ზემოთ, აყვავებული ჯვრის რელიეფური გამოსახულების თავზე ამოკვეთილი სამსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა.



ამ წარწერებით ირკვევა, რომ სამთაისის ტაძარი აუგია სამთავნელ ეპისკოპოსს ილარიონ ვაჩეს ძე ყანჩაელს 1030 წელს. მასვე 1050 წელს აუშენებია კათედრალისათვის განკუთვნილი მარანი და საწნახელი. გარდა XI საუკუნის წარწერებისა, სამთავისის ტაძრის ფასადებზე შემორჩენილია შედარებით გვიანდელი ხანის ეპიგრაფიკული ძეგლები, რომლებიც მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდიან ტაძრის ისტორიაზე. დასავლეთის ფასადზე, კარს ზემოთ შეიდსტრიქონიანი ასომთავრული წარწერაა, რომლის თანახმად საქართველოს მეფის გიორგი III-ის მეფობის დროს იოანე სამთავნელს ტაძრისთვის მიუდგამს კარიბჭე. მემატიანის ცნობით, XII საუკუნის II ნახევრიდან XIII საუკუნის დასაწყისამდე სამთავისი ჯერ ქართლის კათალიკოს მიქაელს ეკავა, ხოლო შემდეგ მწიგნობართუხუცესის ანტონ ეპისკოპოსის სამფლობელო იყო. XIV საუკუნის I ნახევრიდან, გიორგი ბრწყინვალის მეფობის დროს, სამთავისი ზევდგენიძე-ამილახვრებს ებოძათ. XV საუკუნეში ძეგლი ძლიერ დაზიანდა: ჩამოინგრა გუმბათი, დასავლეთის კარი, თაღები, გუმბათქვეშა პილონი და მთლიანად ფასადები. XV საუკუნის ბოლოსა და XVI საუკუნის დასაწყისში ადგილობრივი ფეოდალების, ამილახვრების აღზევების შემდეგ შესაძლებელი გახდა ტაძრის „მეორედ“ აშენება-განახლება.

ძეგლი გამოირჩევა პროპორციათა ჰარმონიულობით, ვირტუოზულად შესრულებული მორთულობით. მას ახასიათებს ზოგი თავისებურება, რომელიც საფუძვლად დაედო ქართულ ხუროთმოძღვრების შემდგომ განვითარებას. აღმოსავლეთის ფასადის დამუშავება, რომელსაც კლავინდებურად ხუთთაღოვანი სისტემა უდევს საფუძვლად, ქმნის რთულ დეკორატიულ კომპოზიციას. საკურთხევლის მთავარი სარკმლის თავზე გაჩნდა უზარმაზარი მოჩუქურთმებული ჯვარი, სარკმლის ქვეშ კუთხით დაყენებული, ჩუქურთმით შეკვეთული ორი კვადრატი. სამთავისის აღმოსავლეთის ფასადის დეკორატიულ დამუშავების გავლენას დიდხანს განიცდიდა ქართული ხუროთმოძღვრება. მან განსაკუთრებით იჩინა თავი XII საუკუნის II ნახევარში.

სამთავისის ტაძარი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა და გეგმით აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ ოდნავ წაგრძელებულ სწორკუთხედში ჩაწერილ ჯვარს წარმოადგენს (25X18 მ; სიმაღლე 37 მ). ტაძარი მოპირკეთებულია სუფთად გათლილი მოყვითალო და მონაცისფრო-მომწვანო კვადრებით. ტაძარს ორი შესასვლელი აქვს დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან (სამხრეთის შესასვლელი XIX საუკუნის შეკეთებისას ამოუშენებიათ). ჯვრის მკლავების გადაკვეთაზე, ნაგებობის ცენტრალურ ნაწილში აღმართულია ოთხი ცალკე მდგომი ბურჯი. ისინი ქმნიან ტაძრის შიდა სივრცის მაორგანიზებელ გუმბათქვეშა კვადრატს, რომლის ოთხივე მხარეს განლაგებულია ტაძრის მკლავები. ტაძრის შინაგანი

სივრცე ერთ მთლიანობაში აღიქმება. ჩრდილოეთ-დასავლეთის გუმბათქვეშა ოთხწახნაგოვანი პილონი დანარჩენ სამ რვაწახნაგოვან პილონთან შედარებით არაპროპორციული, მოღრეცილი და ბევრად მსხვილია. გუმბათქვეშა ბურჯი ნახევარწრიული თაღებითაა შეკრული. თაღების ქუსლების შესაყართან წარმოქმნილ სამკუთხედებში ამოყვანილია აფრები, რომელთა საშუალებით კვადრატი წრეზე გადადის. ამ კონსტრუქციაზე დამყარებულია გუმბათის საკმაოდ მაღალი ყელი, რომელიც 13 წახნაგისაგან შედგება. ტაძრის აღმოსავლეთის მკლავი ბოლოვდება ნახევარწრიული აფსიდით. აფსიდში სამი სარკმელია. ორი სარკმელი დასავლეთის მკლავში, თითო – სამხრეთისა და ჩრდილოეთის მკლავებში. გუმბათში შვიდი სარკმელია. ნახევარწრიული აფსიდითაა დასრულებული სამკვეთლო და სადიაკვნე. ისინი დასავლეთით გასასვლელებით უკავშირდებიან ტაძრის შიდა სივრცეს. სამკვეთლოს და სადიაკვნეს მცირე ზომის ორ-ორი სარკმელი აქვთ.

სამთავისის ტაძარი ხუთი კომპლექსისაგან შედგება: 1 – გალავანი, 2 – სამრეკლო, 3 – დიდი ტაძარი, 4 – ეპისკოპოსის პალატი, და 5 – მცირე ეკლესია.



შატილი. ქ. დუშეთიდან 115 კმ-ში, ზღვის დონიდან 1000 მ, პირიქითა ხევსურეთში მდებარეობს სოფელი შატილი. კლდეზე შეფენილი ხევსურული კოშკები ციხესიმაგრე-საცხოვრებელი იყო, რომელიც არა მარტო სოფელს იცავდა მტრისგან, არამედ სრულიად საქართველოს ჩრდილოეთ კედელს წარმოადგენდა და იცავდა ქვეყანას მომთაბარე ტომების შემოსევის შემთხვევაში. ციხე-სახლები ერთმანეთზეა მიწყობილი და ამგვარად ქმნის ერთიან თავდაცვით კედელს. შენობები ტერასულად არის განლაგებული. სახლებს ბრტყელი გადახურვა აქვს. სახლებს შორის მთელ სოფელზე გადის ქვის კიბე. სოფელი შატილი რამდენიმე უბნისგან შედგება (ანატორი, ქაჩი, შუასოფელი, ზენუბანი), რომლებიც ერთმანეთს უკავშირდება ვიწრო გასასვლელებით. სოფლის დასაწყისში ცალკე დგას „საფიხვნო – ერთსართულიანი შენობა, სადაც სოფლის მამაკაცები იკრიბებოდნენ სხვადასხვა საკითხის გადასაწყვეტად და სათათბიროდ.

შატილი ქართული სამშენებლო ხელოვნების ერთ-ერთი ბრწყინვალე, უნიკალური ძეგლია. კლდეზე შეფენილი სოფელი ერთდროულად საცხოვრებელიც იყო და ციხესიმაგრეც, იგი საუკუნეთა მანძილზე დარაჯობდა საქართველოს ჩრდილოეთ გადმოსასვლელებს (ამჟამად აღდგენილია). სოფლის კიდეებს მიუყვება ერთმანეთთან მიჯნით ნაგები ციხე-სახლების რიგი და იქმნება ერთიანი, მიუვალი დამცველი კედელი, რომელიც საიმედოდ კეტავს სოფელს. გარე სამყაროსთან შატილს არღუნის ხეობაში გამავალი ერთადერთი ვიწრო გზა აკავშირებს. შატილის განაშენიანება ტერასულია, შენობათა ძირითადი ტიპია ბრტყელსახურავიანი სახლი და კოშკური საცხოვრებელი. სოფელს შენობებს შორის მთელ სიმაღლეზე აუდის ვიწრო ქვის კიბე, აქა-იქ შემორჩენილია ძველებისაგან შეკრული ფიცარნაგები – გადასასვლელები, რომელთა მეშვეობით მტრის შემოსევის შემთხვევაში შესაძლებელი იყო მთელი სოფლის შემორბენა ქუჩაში გამოუსვლელად.

ძველი თბილისი. ტფილისი ერთ-ერთი უძველესი ქალაქია მსოფლიოში. იგი არსებობდა, როგორც იბერიის დედაქალაქი და ასეა მოხსენებული ძველ ქართულ და უცხოურ ლიტერატურაში.

თბილისი სამი ქალაქისგან შედგებოდა – ტფილისი, კალა და ისნი. ქალაქს მდინარე მტკვარი ორ ნაწილად ჰყოფს.

მატიანეთა აღწერით, V საუკუნის II ნახევარში დასახლება მდინარე მტკვრის ორივე ნაპირზე არსებობდა.

ქალაქი „კალა“ იყო ციხე-გალავნით მოზღუდული და მდინარის მარჯვენა სანაპიროს მოიცავდა.

კალას ციხე-სიმაგრის ზედა მოედანი მოიცავდა სამეფო რეზიდენციას, სასახლეებს, ეკლესიებს, საღვთისმეტყველო სკოლებს, აბანოებს, ობსერვატორიას.

სამხრეთ ფერდობზე სამეფო სასახლეთა ბაღი არსებობდა. ჩრდილოეთის ფერდობი სამონასტრო კომპლექსებს ეკავა, რომელნიც ცისის ეკლესიებად მოიხსენიება.


ჩრდილოეთის ფერდობებზე გადმოედინებოდა წავკისის მდინარის ჩანჩქერები და მდინარე მტკვრამდე ნაოსნობისთვის სათანადო პირობები იყო.

ქართლ-კახეთის სამეფოს დედაქალაქი და მისი მნიშვნელობა თბილისის წარსულისათვის ფრიად დიდია.

ლეონტი მროველი ქრისტიანულ წელთაღრიცხვამდე ტფილის ქალაქს დასახლებულად მიიჩნევდა. „ქართლის მოქცევის“ ცნობითაც, წმ. მეფე ვახტანგ გორგასლამდეც ტფილისი ქალაქი ყოფილა, ხოლო ბაკურ მეფის შემდეგ წმიდა ქალაქ მცხეთის ადგილი სრულად დაიკავა.



ცნობილია, რომ V საუკუნეში ქალაქის ცენტრად ითვლებოდა ე. წ. კლდისუბანი, ციხის (გორგასლის) მოედნის ზემოთა ნაწილი ქვემო ბეთლემამდე, მუხრანთუბანის მიმდებარე გარემო, მეფის მოედანი, მოგვიანებით, XIX ს-სთვის ქალაქის ცენტრმა სოლოლაკში გადაინაცვლა.



ქალაქის ცენტრისა და მოედნის არქიტექტურული იერსახის ჩამოყალიბება დაკავშირებულია ქალაქისათვის მეტად მნიშვნელოვან გზაჯვარედინზე მისი განლაგებით.

მოედანი ქალაქისთვის სასიცოცხლო სივრცეა, რომელშიც ყოველი მიმართულებით იკრიბება და ვრცელდება სატრანსპორტო მოძრაობანი.

მოედნის სივრცის არქიტექტურულ გადაწყვეტას უდიდესი მნიშვნელობა ექცეოდა ყველა განვითარებულ ქვეყანაში.

თბილისი ყოველთვის გამოირ-ჩეოდა საქალაქო წეს-ჩვეულებებით, საქალაქო იურისდიქციით, ზნეობრივი, ესთეტიკური, მორალისა და ტრადიციების თავისებურებით.

ქალაქი, კულტურულ-გონებრივი დონის მხრივ, ყოველთვის უნდა ინარჩუნებდეს განათლებისა და კულტურის სფეროებით სივრცის დაგეგმარებით განუმეორებელ იერსახეს.



ძველი თბილისი – ქალაქ თბილისის ისტორიული ნაწილია, იგი დაახლოებით მოიცავს იმ უბნებსა და დასახლებებს, რასაც 1936 წლამდე „ტფილისი“ ეწოდებოდა. ძველი თბილისი მოიცავს შემდეგ უბნებს: აბანოთუბანი-ხარფუხი (ანუ ტფილისი, შემდგომ სეიდაბადი),

კალა, ისან-ავლაბარი, სოლოლაკი, მთაწმინდა, გერე, ორთაჭალა, ჩუღურეთი, დიდუბე, ნაძალადევი. ძველ თბილისშია თავმოყრილი თბილისის ღირსშესანიშნაობების უმეტესობა და შესაბამისად, ტურისტული მიზიდულობის მთავარი ცენტრია. ძველი თბილისი 2007 წლიდან იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა სიის კანდიდატია.

უფლისციხე. უფლისციხის შესახებ ცნობები წერილობით წყაროებში პირველად VII საუკუნიდან გვხვდება. საყურადღებოა ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა: „აშურიანს ზეით არს უფლისციხე, კვერნაკის გამოკიდებულის კლდის გორასა ზედა, მტკურის კიდესა, რომელიც აღაშენა პირველად უფლოს, ძემან ქართლოსისამან და იყო ქალაქი ჩინგისამდე, აწ არს შემუსვრილი. არამედ შენობა უცხო კლდისგან გამოკვეთილი; პალატნი დიდ-დიდნი, ქანდაკებულნი კლდისგანვე; გვირაბი ჩახვრეტილ-ჩაკაფული მტკურამდე. დიდი. დასავლით აქუს ქარაფი მაღალი, დამ ას შინა კუეთილნი ქუაბნი მრავალ-დიდნი, არამედ აწ შეუალ არს. აქა გამოსული იხილვების სპა-ლაშქარნი შუბოსან-მშვილდოსანნი, ცხენოსანნი, გალაშქრებულნი, ნიშენენ მისნობად და უწოდებენ უფლისციხეს“.

უფლისციხისა და მისი გარეუბნების მეურნეობაზე გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს არქეოლოგიურ გათხრებით გამოვლენილი აგრარული კულტების სალოცავი, კლდეში ნაკვეთი საწნახლები, ვაზის სასხლავი დანები, რკინის სახნისი, კვერები, რიტუალური დანიშნულების ნივთები, ოქროს, ვერცხლის, რკინის, ძვლის. ქვის, თიხის სამკაულები, ქანდაკებები და სხვა ხელოსნური ნაწარმის სიმრავლე, მრავალფეროვნება და სინატიფე უფლისციხეს უძველესი დროის ხელოსნური წარმოების მნიშვნელოვან ცენტრად წარმოადგენს.

ძვ. წ. II და I ათასწლეულების მიჯნაზე უფლისციხეს მიდამოების არსებული გამოქვაბულები ერთ-ერთ ძლიერ თემს გამოუყენებია საცხოვრებლად, გაუმართვს და სამოსახლოც სათანადოდ გაუმაგრებია.

ადრინდელ რკინის ხანაში (ძვ. წ. X-VI სს) უფლისციხე შიდა ქართლის გაბატონებული თემის საცხოვრისი და სატომო გაერთიანების ბელადის (უფლის) ციხეა. როგორც ჩანს, სწორედ ამ დროს შეერქვა მას უფლისციხე („უფლის“, „ბელადის“ ციხე-ქალაქი).



უფლისციხის თემს თანდათან დაუმორჩილებია ირგვლივ მდებარე დაბების მოსახლეობა. ძვ. წ. VI-V სს. უფლისციხე შიდა ქართლის ერთ-ერთი უძლიერესი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრი და დიდხანს სამეფო ქალაქიც იყო.

ძვ. წ. II-I სს. უფლისციხე ტიპიური ელინისტური ქალაქია, თავისი ციტადელით, ქალაქთა და სასოფლო-სამეურნეო გარეუბნით, მეურნეობით, სოციალური იერით, აღებ-მიცემობით, ხელოსნური წარმოებით და ა.შ. იგი საკმაოდ დიდი რეგიონის სამეურნეო ცხოვრების ცენტრია და ფართოდაა ჩაბმული საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ახ. წ. I-III სს. კვლავაც მნიშვნელოვანი საქალაქო და სამხედრო-სტრატეგიული ცენტრია, ამავე დროს წარმართული საკულტო ადგილიც.

საქართველოში ქრიატიანული რელიგიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ (IV ს. 30-იან წლებში) უფლისციხეში საქალაქო ცხოვრება დაქვეითდა, მაგრამ ფეოდალურ ხანაში იგი მაინც დარჩა უძლიერეს ციხე-სიმაგრედ. VIII საუკუნიდან უფლისციხე ქართლის ქალაქებს შორის პირველობდა და საქართველოს არაბებისგან გათავისუფლებისა და გაერთიანებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი უმთავრესი ფორპოსტი იყო.

IX-X საუკუნეებში ციხე-ქალაქი ხელიდან ხელში გადადიოდა. აქ გაბატონებისათვის ერთმანეთს ებრძოდნენ ქართველი ბაგრატიონები, კახეთის მთავრები და სომხეთის მეფეები. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების შემდეგ უფლისციხემ თანდათან დაკარგა მნიშვნელობა. მონღოლთა შემოსევების (XII ს.) პერიოდში იგი ძლიერ დაზიანდა. XV საუკუნეში კი უფლისციხე

საბოლოოდ დაეცა, ხოლო გვიანდელ ფეოდალურ ხანაში საბოლოოდ დაიცალა მოსახლეობისაგან. შემდეგ უფლისციხეს თავს აფარებდა მტრისაგან აწიოკებული ახლო სოფლების მოსახლეობა.

ვანი – ქალაქი საქართველოში, იმერეთის მხარეში, ვანის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი. მისი მთავარი ღირსშესანიშნაობაა ანტიკური ნაქალაქარი, რომელიც 2007 წლის 24 ოქტომბრიდან შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში.

სახელწოდება „ვანი" აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის განმარტებით, ძველ ქართულად ნიშნავდა „სახლს", „სადგურს", „დაბას", „საცხოვრებელს".

ანტიკურ ხანაში აქ მდებარეობდა ძველი კოლხეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი, რომელმაც აყვავებას მიაღწია ძვ. წ. III-I სს-ში. ვანში ქალაქური ტიპის დასახლება განვითარდა იმ უძველეს დასახლებათა საფუძველზე, რომელთა ნაშთები ახლა მრავლადაა ფიქსირებული ვანსა და მის ირგვლივ მდებარე ტერიტორიაზე (კეჭინარა, ციხესულორი, გორა, ბაგინეთი, ინაშაური, სულორი, ბულუხი, ბულნარი, ბზვანი), აგრეთვე მის აღმოსავლეთითაც (ფერსათი, ზეკარი, ბაღდათი). ვანის ნაქალაქარზე მოპოვებული, ჯერჯერობით უძველესი არქეოლოგიური მასალა ძვ. წ. VIII-VI საუკუნეებით თარიღდება და კერამიკული ფრაგმენტებითაა წარმოდგენილი.


ძველი ანტიკური ხანის ვანის ნაქალაქარი განლაგებულია ქ. ვანის მიმდებარედ არებულ ბორცვზე და მოიცავს დაახლოებით 8,5 ჰექტარ ფართობს. აღნიშნულ გორაკს ირგვლივ გაბატონებული მდგომარეობა უკავია. აქედან კარგად მოჩანს რიონის დაბლობი, ქალაქი ქუთაისი და კავკასიონის მთები. აქედან შეიძლებოდა მარჯვედ ედევნებინათ თვალყური ვანზე გამავალი დიდი სავაჭრო გზისათვისაც, რომელიც ინდოეთიდან მიემართებოდა კასპიის ზღვამდე, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის ქვეყნებზე გავლით აღწევდა შავ ზღვამდე. აქ არა მარტო სატრანსპორტო გზები იყო, არამედ ისეთიც, როგორიც სამხრეთ საქართველოდან, კერძოდ კი მესხეთიდან გურიისაკენ მიემართებოდა.

ვანის ქალაქობის პერიოდში 2 უმთავრესი ეტაპი გამოიყოფა:

– ძვ. წ. VI-IV სს. და

– ძვ. წ. III საუკუნის დასწყისი – ძვ. წ. I საუკუნის შუა წლები.

პირველი ეტაპი წარმოდგენილია ხის საკულტო და საცხოვრებელი ნაგებობებით, კლდოვან დედაქანში ამოკვეთილი სამსხვერპლოებით, მრავალფეროვანი კერამიკული მასალის შემცველი კულტურული ფენებით და მდიდრული სამარხებით (ჭედური გამოსახულებებით მორთული დიადემები, ცვარათი შემკული ნაირსახოვანი საყურეები და სასაფეთქლეები, ცხოველთა სკულპტურულგამოსახულებიანი სამაჯურები, თასი, ჰერალდიკური გამოსახულებანი, ყელსაბამები და სხვა), აგრეთვე ვერცხლის სამკაული, ბრინჯაოსა და თიხის ჭურჭელი. სამარხებსა და კულტურულ ფენებში ნაპოვნი იმპორტული თიხისა (შავფიგურიანი, წითელფიგურიანი, შაულაქიანი) და ლითონის ჭურჭელი (პატერა, ოინოხოია, კილიკები, არიბალოსი) მოწმობს ცხოველ სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობას ბერძნულ სამყაროსთან. იმ დროს (ძვ. წ. VI-IV სს.) ვანი წარმოადგენდა კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის (სკეპტუხიის) ცენტრს და მმართველი ზედაფენის რეზიდენციას.



ძვ. წ. III საუკუნიდან იწყება ახალი ეტაპი ვანის ძველი ქალაქის ისტორიაში. იგი ხდება დიდი სატაძრო ცენტრი. ამ პერიოდს განეკუთვნება გათხრების შედეგად აღმოჩენილი ძვ. წ. III საუკუნის გალავნის კედელი, კარიბჭის ხუროთ-მოძღვრული კომპლექსი, კონტრფორსებიანი ნაგებობა, მრგვალი ტაძარი, შვიდსაფეხურიანი საკურთხეველი და სხვა

საკულტო და საზოგადოებრივი შენობები, რომელთა გათხრისას ნაპოვნი მონუმენტური ლომის თავის ქანდაკებანი. საკურთევლები, ქალ-ღვთაების ჰორელიეფური გამოსახულებებით შემკული სვეტის თავი, ტერაკოტული და ბრინჯაოს მცირე ზომის ქანდაკებანი და ნიღბები, აგრეთვე ადგილობრივი და ბერძნული კერამიკა. ძველი ქალაქი განადგურდა ძვ. წ. I საუკუნის შუა წლებში.

ვანს, როგორც უდიდესი არქეოლოგიური აღმოჩენების პოტენციურ წყაროს ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მიაქციეს ყურადღება. 1847-1848 წლებში საქართველოსა და კავკასიაში მოგზაურობდა ფრანგი ქართველოლოგი აკადემიკოსი მარი ბროსე. ქუთაისში ყოფნისას საპატიო სტუმრისათვის მიურთმევიათ მამაკაცის თავის ქანდაკება, რომელიც „საჩინოს“ ერთ-ერთ საფლავში ყოფილა ნაპოვნი (სამწუხაროდ ქანდაკების ადგილმდებარეობა ამჟამად უცნობია). მარი ბროსეს აღწერით ქანდაკება იყო – „მამაკაცის ბიუსტი მხრების დასაწყისამდე, თმიანი და წვერიანი, არწივისებრი დიდი ცხვირითა და სარდონიკული სიცილით“. ხოლო 1876 წელს ქართული გაზეთი „დროება“ წერდა: „აქ ისე წვიმა არ მოვა, რომ არ ჩამოიტანოს გორიდან ნიაღვარმა ხან ოქროები, ხან ოქროს ძეწკვები, ხან ბეჭდები, ხან რა და ხან რა ნივთეულობა დიდი სიმდიდრე უნდა იყოს ამ გორაზე“ სწორედ ამ სტატიის შემდეგ დაინტერესდა ექვთიმე თაყაიშვილი ყანით და 1896 წელს დაიწყო პირველი არქეოლოგიური გათხრები ქალაქის ტერიტორიაზე, რომელმაც სისტემატიური ხასიათი 1947 წლიდან მიიღო.

ვარძია. ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსი 2007 წლიდან იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის



წინასწარ ნუსხაშია შეტანილი. ძეგლის სტუქტურისა და მასალის გათვალისწინებით საუკუნეების განმავლობაში ვარძია ბუნებრივი ზემოქმედების შედეგად რთულ ფიზიკურ მდგომარეობაშია. ქვაში ნაკვეთი უნიკალური ძეგლის სიცოცხლის გახანგრძლივების მიზნით, კომპლექსის კვლევა და საკონსერვაციო სამუშაოები რამდენიმე წელია უწყვეტად მიმდინარეობს.

ვარძია მდებარეობს თბილისიდან სამას კილომეტრზე, საქართველოს უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთით, ისტორიულ მესხეთში, ასპინძის რაიონში. გამოქვაბული მონასტერი გამოკვეთილია XII საუკუნის მეორე ნახევარში. ნახევარ კილომეტრზე გადაჭიმული ცამეტსართულიანი ანსამბლი განლაგებულია ზღვის დონიდან 1 300 მეტრის სიმაღლეზე. კომპლექსის საერთო ფართობი 40 000 კვ. მ. შეადგენს.

ვარძიის წმიდათა-წმიდა სახელი უცვლელად აცოცხლებს პირველ ქართველ ქალ – მეფეთა-მეფის თამარის სახეს, რომელთანაცაა დაკავშირებული ამ მონასტრის მშენებლობა ფეოდალური საქართველოს „ოქროს ხანაში“.

არაჩვეულებრივია ვარძიის ბუნებრივი გარემო. უძველესი დროიდან დასახლებული მხარე მდებარეობდა იმ მთავარ გზაზე, საქართველოს რომ უკავშირებდა წინა აზიას.

გამოქვაბულთა მშენებლობა საქართველოში ვითარდებოდა მრავალი საუკუნის განმავლობაში, ვიდრე შეიქმნებოდა ვარძია.

ვარძიის წარსული თქმულებებში გადაიზარდა. თხრობა ხშირად მოკლე და მარტივია, მაგრამ მუდამ შთამბეჭდავი.

ხალხური თქმულებით, რომელიც სავარაუდოდ მხოლოდ ლექსიკურ მსგავსებას ემყარება, სახელწოდება „ვარძია“ შემდეგ ლეგენდას ემყარება. ერთხელ, როცა თამარი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, ბიძასთან ერთად დაუმთავრებელი სამონასტრო კომპლექსის გამოქვაბულში თამაშობდა. გარკვეულ მომენტში ბიძამ ბავშვი თვალთახედვიდან დაკარგა ქვაბულის ლაბირინთებში და მას ძებნა დაუწყო. მცირეწლოვანი თამარი ბიძას ასე გამოეხმაურა: „აქა ვარ ძია!“. მეფე გიორგი III-ის ბრძანებით კომპლექსს სახელი ამ გამოხმაურების საფუძველზე დაერქვა.

ადგილის შერჩევა განპირობებული იყო კლდის საუკეთესო სამშენებლო თვისებებით, ხელსაყრელი ადგილმდებარეობით, საყოფაცხოვრებო, სამხედრო თვალსაზრისით და, აგრეთვე, აქ სასმელი წყლის არსებობით.

მშენებლობის პირველი ეტაპია გიორგი III (1156-1184) მეფობის წლები, ჩანაფიქრი და მშენებლობის გეგმის შემუშავება მის სახელთანაა დაკავშირებული. ვარძია იმავე დროსაა გამოკვეთილი პირველი საცხოვრებელი სახლები წყაროს მახლობლად.

მშენებლობის მეორე ეტაპი თავსდება გიორგი III სიკვდილისა და თამარ მეფის ქორწინებას შორის (1184-1186). თამარ მეფის მითითებით თავდაპირველი გეგმა ნაწილობრივ შეიცვალა. წყაროსთან, უკვე იქ არსებულ გამოქვაბულთა ადგილზე, შეიქმნა მონასტრის ცენტრი – კლდეში გამოკვეთილი ღვთისმშობლის მიძინების დიდი დარბაზული ტაძარი, მოხატული ქართლის ერისთავის რატი სურამელის ინიციატივითა და სახსრებით. ეს გამოირკვა ქტიტორთა პორტრეტულ გამოსახულებებთან არსებული წარწერების წაკითხვის შედეგად.

ვარძია, როგორც მონასტერი, ცნობილია ტაძრის კურთხევის მომენტიდან და მისი პოპულარობა განუხრელად იზრდება.

მშენებლობის მესამე ეტაპი მოიცავს წლებს ტაძრის მოხატვას და ბასიანის ბრძოლას შორის (1186-1208). მთავრდება ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის გარშემო მონაზონთა კლდის სახლების, თაღდაცვითი სამალავის და რთულ საირიგაციო ნაგებობათა – წყალსადენის გვირაბისა და სარწყავი არხის – გამოკვეთა.

1203 წ. მონასტერმა სრული ბრწყინვალებით მიიღო საქართველოს ყველა კუთხიდან შეკრებილი მრავალრიცხოვანი ლაშქარი. აქვე მობრძანდა თამარ მეფე. ვარძიიდან საომრად გასულმა ქართველებმა სძლიეს მუსლიმანთა კოალიციის ოთხასათასიანი ლაშქარი ბასიანის ბრძოლაში.

მემატიანეს ცნობით ვარძიის სახელს და „გამმარჯვებელ", „სასწაულთმოქმედ" ვარძიის ღვთისმშობელს უკავშირდება ყველა ძლევამოსილი ომები, რომელთაც იმ ეპოქაში აწარმოებდა საქართველო მაჰმადიანთა ექსპანსიის წინააღმდეგ. ფრესკა ვარძიაში" XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე, ვარძია მნიშვნელოვანი პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური ცენტრია, რომელიც დიდ გავლენას ახდენდა საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში.

მესხეთი 1578 წელს თურქეთის ბატონობაში მოექცა. თურქეთის წყობილების შემოღების შემდეგ ეკლესია და სამღვდელოება იდევნება, მონასტრები ცარიელდება, მონაზვნები თავშესაფარს იმერეთსა და ქართლში ეძებენ.

ვარძიის გაუკაცრიელებული გამოქვაბულები ინგრევა. დიდებულმა საუკუნემ არსებობა შეწყვიტა.

გამოქვაბულთა ცამეტსართულიანი ანსამბლი გადაჭიმულია აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ, სახლები კი გამოკვეთილია კლდის სიღრმეში სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ.

მთლიანად ანსამბლი ისტორიულად ჩამოყალიბებული ორი ნაწილისაგან შედგება: ვარძია და უფრო ადრეული ხანის X-XII საუკუნეების კლდის სოფელი – ანანაური. ამ ორივე ტერიტორიას აკავშირებს აქ უფრო გვიან აგებული ვარძიის მონასტრის სამრეკლო. ვარძიის თანამედროვე დასახლებაში ოგულისხმება ორივე ეს ნაწილი.

ვარძიის მონასტრის სამრეკლოს მახლობლად ყურადღებას იპყრობს მარტივი საერო კლდის სახლი ბოსლით, ოდნავ ქვემოთ კი გამოქვაბულთა დიდი კომპლექსი. ზემო ტერასაზე მდებარეობს ამ ანსამბლისათვის ტიპური რთული სამონასტრო ქვაბული დარბაზული ეკლესიით, რომელსაც „ლიტანიის ეკლესია" ეწოდება.

ვარძიაში არსებობდა ოროთახიანი, სამოთახიანი და ოთხოთახიანი კლდის სახლები, მათ შორის ორსართულიანებიც.



ანსამბლის დასავლეთით, ცამეტსართულიან ნაწილში მეტად საინტერესოა IX სართულზე სატრაპეზო პურის საცხობით. IV სართულზე მოთავსებულია საყურადღებო კონსტრუქციის ლითონის დამამუშავებელი სახელოსნო. III-IV სართულებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მრავალოთახიანი სახლები ინდივიდუალური ეკლესიებით, მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ორსართულიანი სახლი.

ანსამბლის აღმოსავლეთის რკა-სართულიან ნაწილში სრულიად ან ნაწილობრივ შერჩენილია სამოცდაცხრამეტი კლდის სახლი. აქ სათავსოთა საერთო რიცხვი ორასორმოცდაორს შეადგენს. ამ ნაწილში საინტერესოა ცამეტქვევრიანი მარანი და ეგრეთ წოდებული „სალხინო“ – სადგომი ლხინისათვის. ანსამბლის მშვენებაა დამუშავებით გამორჩეული კლდის სახლები, ესენია: ეგრეთწოდებული „სადარბაზო“ – მონასტრის საკრებულო ეკლესიით, თამარ მეფის ოთახი და მონაზონთა სენაკები. ამ სენაკებს შორის შემორჩა გასასვლელი – ურთიერთდამაკავშირებელი ამ საცხოვრებელი ოთახებისა. აქვეა მონასტრის მთავარი შესასვლელი – კლდეში გამოკვეთილი გრძელი, ციცაბო, ზევითკენ ამავალი გვირაბი ფართე კამარით და საფეხურებით.

ვარძიის კომპლექსში 15 ეკლესიაა. მათგან მთავარია ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, რომელიც ანსამბლის შუაგულში მდებარეობს. ეკლესიის კამარა, საკურთხეველი და იატაკი გამოკვეთილია კლდეში, ხოლო სამხრეთის, ჩრდილოეთის და ნაწილობრივ დასავლეთის კედლები ამოყვანილია ქვიტკირით. კლდის სიღრმეში, ტაძრის მახლობლად, მოწყობილია აუზი წყაროს წყლისათვის, რომელიც ნაკურთხ წყლად ითვლებოდა. თამარის ფრესკა ვარძიაში“ ეკლესიის გვერდით კლდეში გამოკვეთილია სამარხები. ჩრდილოეთით აგებულია აგურის აკლდამა, ფასადზე შემორჩენილი მოჭიქული შორენკეცების ნაშთებით. კლდის სირღმეში გამართულია ფარული გვირაბები და სახიზარი ქვაბები. ტაძარი მოხატულია უნიკალური ფრესკებით. იგი მოხატა მხატვარმა გიორგიმ, მხატვართა ჯგუფმა ქართლის ერისთავის რატი სურამელის თაოსნობითა და სახსრებით. ბიბლიურ თემაზე შექმნილ სცენათა გარდა, აქ გვხვდება გიორგი III-ის, თამარ მეფისა და რატი სურამელის პორტრეტები.

თურქების მიერ სამცხეში 1595 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით, ვარძია დაუსახლებელია. ვარძიაში მონასტრის გაუქმებამ, შემდგომ მისი, როგორც ისტორიული ძეგლის, განადგურება გამოიწვია. რუსეთ-თურქეთის 1828-29 წლების ომის შემდეგ, მესხეთის ნაწილი ვარძიითურთ, კვლავ საქართველოს შემოუერთდა, მაგრამ ვარძია ისევ უყურადღებოდ რჩებოდა.

1954 წელს ბერძენმა მღვდელმა გიორგი პოპონდუპოლომ დაიწყო ტაძრის გაწმენდა, ტაძარში მოსასვლელი გზა შეკეთა, ხის უბრალო კანკელი გააკეთა და ვარძია 1857 წელს ხელახლა აკურთხეს, დაუდგინეს მოძღვარი ორი მორჩილით.

საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ვარძიის სამონასტრო კომპლექსში წირვა-ლოცვა კვლავ შეწყდა. იქ. ჯერ ტურისტული ბაზა, 1938 წელს კი – მუზეუმი დაარსდა.

1989 წლიდან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმიდესისა და უნეტარესის ილია II ლოცვა-კურთხევით ვარძიის კედლებში კვლავ გაისმის „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“.

დღეს ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქიის დაქვემდებარებაშია.

ვარძიის კომპლექსი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ექვემდებარება.

ვარძიას დღემდე მრავალი მნახველი ჰყავს, არა მარტო საქართველოდან, არამედ – სხვა ქვეყნებიდანაც.

ხერთვისი. ხერთვისის ციხე არის შუა საუკუნეების ციხესიმაგრე სამხრეთ საქართველოში. მდებარეობს ჯავახეთში, სოფელ ხერთვისში, მდინარე ფარავნისა და მტკვრის შესართავთან, მაღალ კლდოვან მთაზე (ახლანდელი ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორია). ხერთვისი მოქმედი სიმაგრე იყო ფეოდალური ხანის მთელ მანძილზე.



მემატიანე ლეონტი მროველის ცნობით, რომელიც ზეპირ ტრადიციას უნდა ემყარებოდეს, ალექსანდრე მაკედონელს ძვ. წ. IV საუკუნის 20-იან წლებში, აღმოსავლეთში ლაშქრობის დროს, საქართველოს სხვა ციხე-ქალაქებთან ერთად ხერთვისიც უნახავს. ხერთვისი მნიშვნელოვან მაგისტრალზე მდებარეობდა, ექვემდებარებოდა ფარავნის და მტკვრის მიმდებარე რეგიონის დასახლებული პუნქტები. XVI საუკუნეში ხერთვისის ფეოდალური მფლობელები მონაცვლეობით იყვნენ ქამქამისძენი, ხერთვისარნი, ამატაკიანნი

ან შალიკაშვილნი. სამხრეთ საქართველოში ოსმალთა ექსპანსიის დროს, 1578, არფაქსად იოთამის ძემ ჯავახეთის სხვა ციხესიმაგრეებთან ერთად ოსმალებს ხერთვისიც ჩააბარა. შემდგომში იგი ოსმალეთის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრი იყო. XVIII საუკუნის 70-იან წლებში მეფე ერეკლე II-მ აიღო. რუსეთ-ოსმალეთის ომის (1828-1829) დროს, 1828 რუსეთის ჯარებმა გაათავისუფლეს.

ხერთვისი ბევრჯერ გადაუკეთებიათ, შეიმჩნევა ადრინდელი შუა საუკუნეების სამშენებლო ფენა. ციხე შედგება ციტადელისა და გალავნისაგან. ციტადელი მთის ვიწრო, კლდოვან ქიმზეა აღმართული, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან მიუდგომელია. წყლით მარაგდებოდა ჩრდილო–დასავლეთით გაყვანილი გვირაბის საშუალებით.

ტურიზმი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური სიმტკიცის ერთ-ერთ საფუძვლად სამართლიანადაა აღიარებული. ამ სფეროში მძაფრია კონკურენცია, განსაკუთრებით შავი ზღვის აუზის ქვეყნებში. ამიტომაც ამ სეგმენტში მომუშავე ბიზნესი წარმატებული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი მასშტაბურად შეისწავლის კულტურის დეტერმინანტებს, მათ შორის მომხმარებელი ქვეყნის სოციალურ სტრუქტურას, ენას, რელიგიას, განათლებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ საფუძვლებს [38:37].

კითხვები გამეორებისთვის:

1. ჩამოთვალეთ რეგიონებში საკრალური ადგილების კვლევის მეთოდოლოგიის ძირითადი პრინციპები.
2. რა იცით საქართველოში შიდარელიგიური ტურიზმის შესახებ?
3. ძირითადად რა სახის პრობლემების წინაშე დგანან მთიანი რეგიონები? როგორია თქვენი ხედვა ამ საკითხთან დაკავშირებით?
4. დაასახელეთ თქვენთვის ცნობილი რელიგიური ძეგლი და თუ მოგილოცავთ უშუალოდ?
5. რა უნდა გაკეთდეს საქართველოში შიდასამომლოცველო ტურიზმის წასახალისებლად?


თავი 14. რელიგიური ტურიზმის უნიკალური შესაძლებლობები საქართველოში

14.1 წმინდა ადგილები და მაკურნებელი წყაროები, როგორც რელიგიური ტურიზმის მიმზიდველობის ადგილი

საქართველოს ეკლესია – მონასტრებში მრავალი მაკურნებელი წყაროა, რომელთა მოსალოცად და კურნების მისაღებად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოდიან ქრისტიანები და ასევე სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები. საქართველოში ასევე უამრავი წმინდა ადგილია, რომელთა მოლოცვა განსაკუთრებით შეეწევათ მომლოცველებს. მათი სიმრავლის გამო ყველას ვერ ჩამოვთვლით, მხოლოდ რამდენიმე მათგანზე შევაჩერებთ ყურადღებას.

წალკის რაიონში მდებარეობს სოფელი ოლიანკა, სადაც უხსოვარი დროიდან მოსჩქეფს მაკურნებელი წყარო, რომელსაც ნაკურთხი წლის თვისებები აქვს. სოფლის მკვიდრმა წყაროს წმინდა სოფიას წყარო შეარქვეს და ზედ ტაძარი გამართეს. წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი წყალზეა აგებული, აქვე არის სასწაულმოქმედი წყარო, სადაც მკურნალი კალმახები ცხოვრობენ [156].

ოლიანკა ბერძნებით დასახლებული სოფელი იყო. მას შემდეგ, რაც სოფელი დაცარიელდა მონასტერს



ოლიანკაში დარჩენილი ერთადერთი ბერძენი პატრონობდა, მოგვიანებით ოლიანკა მასაც დაუტოვებია, თუმცა მანამდე საქართველოს კათალიკოს პატრიარქისთვის მონასტერში წინამძღვრის გამოგზავნა უთხოვიათ. მამათა მონასტერში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე ტარდება. ბერები იყვნენ პირველი ქართველები, რომლებიც ოლიანკაში დასახლდნენ. მოგვიანებით სოფელს სახელწოდება შეუცვალეს. 2010 წლიდან სოფელი ბერთად მოიხსენიება.


სამი მღვდელმთავრის მამათა მონასტერს არაერთი სასწაული უკავშირდება. ამ მონასტრის ტერიტორიაზე პატარა ეკლესიაა აუზით, სადაც 150 წლის წინ საკურთხეველთან კალმახების ოჯახმა დაიბუდა. ამბობენ, რომ კალმახებს სასწაულმოქმედი ძალა აქვთ, თუ მომლოცველის სტუმრობისას გამოცურავენ და შებების უფლებას მისცემენ, ისინი განიკურნებიან.

უფროს მამრ კალმახს ვასკა ჰქვია, მდედრს ვასილისა მათ შვილს კი კეისარი, უფროსი კალმახი ორი წლით ადრე გრძნობს სიკვდილის მოახლოებას, სწორედ ამ დროს ის ყველაზე უმცროს მამრ კალმახს არჩევს, შეყავს საკურთხეველში და ორი წლის განმავლობაში ასწავლის ოჯახის წინამძღოლობას. ეს კალმახები სხვა კალმახებთან შედარებით მხოლოდ 19 წელს ცოცხლობენ, ისინი დიდ ენერგიას გასცემენ. ყველანაირ დაავადებას თავისთან იტოვებენ. ძველი ტრადიციის თანახმად გარდაცვლილ კალმახს სუდარაში ახვევენ და ეკლესიის ეზოში მარხავენ.

არავინ იცის სასწაულმოქმედება კალმახს უკავშირდება თუ წყალს, თუმცა უცნაურია, რომ თევზი რომელიც დინების საწინააღმდეგოდ ცურავს მომლოცველს შებების საშუალებას აძლევს, ეს ყოველთვის არ ხდება. წინამძღვარი ამ ფაქტს ქრისტესთან სიმბოლური კავშირით ხსნის. ყველაზე დიდი სასწაული აქ ის მომხდარა, რომ ბევრი ადამიანი აქ მოსული რწმენაში მოვიდა. კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც აქ ხდება წითელ პარასკევს მაცხოვრის ჯვარცმის დღეს, ხშირად მომხდარა, რომ კალმახი იკლავს თავს, ეს მხოლოდდამხოლოდ წითელ პარასკევს ხდება. კალმახები ეკლესიის საძირკველთან მთებში ბინადრობენ, არავინ იცის ზუსტად რამდენი არიან. ამბობენ რამდენიც კვდება იმდენი ჩნდებაო. ფაქტია რომ მათი რაოდენობა არ იკლებს.

ქართლ-კახეთში ცნობილი იყო სამი წმინდა ადგილი, რომლებიც იმ ჩვილბავშვიან დედებს მფარველობდა, რძე რომ არ ჰქონდათ. ერთი თბილისის ახლოს, უძოს მთაზე მდებარე ეკლესია გახლდათ, მეორე – წყარო მცხეთის ჯვრისაკენ მიმავალ გზაზე, მესამე კი – კახთუბნის მონასტერი [167].

ეს მონასტერი ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა. VIII-IX საუკუნეებში აგებული ტაძარი XVII საუკუნეში აღუდგენიათ. კახთუბნის ხევს, მონასტრის სახელის გავლენით, ყოვლადწმიდის ხევსაც ეძახიან. კახთუბნის მონასტრის ტაძარი წარმოადგენს ორგუმბათიან ბაზილიკას და მსოფლიოში ანალოგი არ მოეპოვება. საინტერესოა, რომ სხვა ორგუმბათოვანი ტაძრებიც — მსოფლიო არქიტექტურის იშვიათი ნიმუშები — დაახლოებით ამავე პერიოდით თარიღდება, თუმცა ასეთი ტოლფასი გუმბათები სხვაგან არსად გვხვდება.





მცხეთაში, ჯვრის მონასტრის ქვემოთ, ფერდობზე, წყარო მოედინება. **„ძუძუს წყაროს“** ეძახიან და იგი წმინდა ნინოს ლოცვითაა აღმოცენებული. აქვე პატარა საყდარია, რომელიც რამდენიმე წლის წინ აღადგინეს მორწმუნეებმა. აქ მოსალოცად დღესაც მოდიან არა მარტო რძეგამშრალი მეძუძური დედები, არამედ უშვილონიც იგი ასევე კურნავს მრავალ დაავადებას და სნეულებას. წყაროს განსაკუთრებული გემო აქვს. გადმოცემის თანახმად, წმინდა ნინო ამ მთის ფერდობზე ღამეებს ლოცვაში ათევდა და მისი ლოცვით კლდის ძირას სასწაულმოქმედი წყარო აღმოცენებულა, რომელსაც კურნების ძალა აქვს.

წმიდა ნინოს სახელობის სამონასტრო კომპლექსი და საეპისკოპოსო ცენტრი, კახეთის მხარეში, ქ.სიღნაღის მახლობლადაა აგებული. მონასტერთან მოედინება ორი წყარო, ერთ-ერთ მათგანს **„წმინდა ნინოს წყაროს“** უწოდებენ.



გადმოცემის მიხედვით, ის წმიდა ნინოს ლოცვით აღმოცენებულა. ამბობენ, რომ მას ნაკურთხი წყლის ძალა აქვს. ამ წყალში განბანვის შემდეგ უამრავი სულიერად და ფიზიკურად დაავრდომილი ადამიანი განკურნებულა. წყაროსთან აშენებულია წმიდა ნინოს მშობლების — წმიდათა ზაბულონისა და სოსანას სახელობის მცირე ეკლესია. ბოდბის ტაძარი დღეს ერო-ერთი ყველაზე აქტიური, მოქმედი დედათა მონასტერია.



თბილისის გარეუბანში, ავჭალაში მდებარე **იოანე ნათლისმცემლის სახელობის დედათა მონასტერიში,** სადაც წმ. იოანეს სასწაულ მოქმედი წყარო მდებარეობას. ცნობილი არ არის საიდან იღებს სათავეს წყარო, თუმცა ფაქტია, რომ ის ზაფხულში ცივი, ზამთარში თბილი მოედინება. რწმენით მიახლებული მლოცველები კი იკურნებიან დაავადებებისგან.

გურიაში, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჭყონაგორის შორიახლოს, მთაგორიან, დაუსახლებელ ადგილზე გაშენებულია **სამება-ჯვისუეთის ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების დედათა მონასტერი.** წყალს რომელიც აქ მოედინება სამკურნალო თვისებები აქვს. მას „იორდანიის წყალსაც“ უწოდებენ. აქ განბანის შემდეგ ბევრი უშვილო წყვილი ნათლისმცემლის მეოხებით განიკურნა ბერწობისაგან [138].



ანჩისხატსა და კეცის ხატთან, ხახულისა და აწყურის ღვთისმშობლის ხატებთან მიახლებისას საბიერი უფალი მიანიჭებდა ივერიელებს კურნებას.

განსაკუთრებული რწმენით ევედრებოდნენ ჩვენი წინაპრები წმინდა შიო მღვიმელს და წმინდა დავით გარეჯელს და ისინიც არ უცრუებდნენ სასოებას. მათ მიერ დაარსებული მონასტრების დღევანდელი მკვიდრნი გვამცნობენ წმინდანთა მიერ მოხდენილ მრავალ ახალ სასწაულს.

წმინდა გიორგის მიერ მოხდენილი სასწაულნი ხომ მართლაც უთვალავია. დალოცვილი მთავარმოწამე გახლდათ ქართველთა მძიმე ცხოვრების ჯვრის მტვირთველი.

ქსნისა და არაგვის ხეობებიდან აუყვებოდნენ ხოლმე აღმართს უშვილონი. ლომისის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრისკენ მიმავალ მლოცველებს თან მიჰქონდათ ხოლმე აკვნები და ვერცხლის თასები, რომელთაც სალოცავს სწირავდნენ. დაიდებდნენ კისერზე უმძიმეს ჯაჭვს და შესთხოვდნენ მთავარმოწამეს: შენს მეხვეწართა, შენს მლოცველთა, წულგაჭირვებულებს, წული გაგვიჩინეო. ამ თასებს შორის ერეკლე მეფის რძლის ქეთევან მუხრან-ბატონის ამგვარწარწერიანი თასიც ერია: მოეც მეფე ირაკლის ძეს ბატონიშვილს ვახტანგს შვილიერებაო...

შვილიერებას მთიულეთში შესთხოვდნენ კიდევ წიფორის წმინდა გიორგის და ზეგარდის წმინდა გიორგის სალოცავებს. მლეთიდან შვიდ კილომეტრში მდებარეობდა ღუდის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სალოცავი, „ქვა წულად მქცეველი“. ეს ხატი შვილიერების (ანუ მთიულურად – წულიანობის) მომტანია. ხალხური თქმულებით, ღუდის ხატობაზე ერთ მლოცველ დედაკაცს კალთაში ბავშვივით გრძელი ქვა გამოუსვევია, მზარეულთან მისულა და ზედმეტი კერძი უთხოვია. ქვა, განგებით, მართლაც წულად (ანუ ბავშვად) ქცეულა. ლომისობის წინა ორშაბათს, ხატის დღეობას, ღვთისმსახურნი ღუდის ეკლესიის კედლებიდან მიწას ჩამოფხეკდნენ, უშვილო ქალს თავზე გადააყრიდნენ, ნაწილს კი წყალში გახსნიდნენ და ქალს ასმევდნენ.

მოხევეები ახალშეძენილ ვაჟს ან ახალ პატარძალს პირველად ბეთლემის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ნიშთან ალოცებდნენ ხოლმე. ხევში ოჯახის მფარველად წმინდა შიო ითვლებოდა და მას შესთხოვდნენ ბედნიერებას. ყოველ სოფელში ნიში იყო ან საყდარი კვირიასი (ანუ უფლისა). ამ ხატის დღესასწაული კვირაცხოველობას მოდიოდა და იგი იყო მფარველი იმ სოფლებისა.

ფშავში, პატარძალს შვილი დროზე თუ არ გაუჩნდებოდა, პირველად ქმრის გვარის სალოცავში ალოცებდნენ, შემდეგ კი ქალი მამის სალოცავში მიდიოდა საწირავ-სანთლით (ასე იყო მთელ საქართველოში). თუ ეს ლოცვაც არ გაჭრიდა, გაუდგებოდნენ გზას ხევსურეთისკენ, ხახმატის ჯვრისკენ, რომელიც ქალების მფარველად ითვლებოდა. მას რჯულიან-ურჯულოთა სალოცავსაც ეძახდნენ, რადგან მისგან წყალობას ისევე, როგორც ანატორის ჯვრისგან, თვით მაჰმადიანი ქისტებიც გამოითხოვდნენ.

ფშავში თერთმეტი საეკლესიო ხატი იყო, მაგრამ მთავარი სალოცავი მაინც ლაშარის ჯვარი და თამარის ხატი გახლდათ. წმინდა თამარი ქალების მფარველად მიაჩნდათ ფშაველებს. ქალები წამლის სახსრად ხატს ერთ ცხვარს სწირავდნენ და ასე მიმართავდნენ: „შენამც იდიდები, დიდებულო თამარ ნეფეო, ღელის აქიმ-დედოფალო ჩიქილა-ზინზილიანო, მკურნალად წამალთა გამამწერელო“.

ხევსურთა იმედი და მთავარი სალოცავი გუდანის ჯვარი გახლავთ, ხოლო ხახმატის ჯვარი დიაცთა მფარველია [164].

თუშეთში, ჭონთიოდან 4 კმ-ში, მდებარეობს არდოტიდან (არხოტიდან) გადმოტანილი თხურსიეხის ღვთისმშობლის ხატი. სულთმოფენობისას ანუ „სანებავის“ (წმინდა სამების) დღეს, აქ უამრავი მლოცველი მიდიოდა საკლავ-საწირით და ღვთისმშობელს ოჯახის გამრავლებას სთხოვდა: „ღვთისმშობელო არდოტისაო, შენ ჩაგვიგდე ხვაიდ ბარაქა, გვიმატ ფურსა და ფურის ხბოსა, კაცსა კაცრეულობასა... დაგვიწერე მზეწველასა ჯვარიო“.

თუშეთში, შენაქოს მახლობლად, აგვერთის ნასოფლარია. აქ იყო სალოცავი კურეხის ჯვარი. მას შესთხოვდნენ თუშები ვაჟიანობას. ხატობა დღეს აქედან უძეო მამაკაცს გაიტაცებდნენ ხოლმე ყმაწვილები და დაბლა მდებარე სალოცავამდე ჩაათრევდნენ, სადაც დეკანოზი დაამწყალობებდა.

კახეთში განსაკუთრებით ლოცულობდნენ ალავერდის წმინდა გიორგის. აწყურის თეთრი გიორგის სალოცავში, ისევე როგორც ლომისაში, იყო დიდი მძიმე ჯაჭვი, რომელსაც ქედზე იდებდნენ მლოცველნი.

ჰერეთში უშვილოთა შემწე ქურმუხის წმინდა გიორგი გახლდათ, რომლის მოსალოცად ახლაც კი დადიან სხვა რჯულისანი.

რაჭაში, სოფელ ღების სამხრეთით, რიონის გაღმა გორაკზე, დანგრეული ტაძრის ადგილას რაჭველებს სამსართულიანი კოშკი აუგიათ და მას დედა ღვთისას ეძახდნენ. აქ ძირითადად ქალები ამოდიოდნენ ხოლმე აღდგომის მესამე კვირას. უშვილონი შვილს სთხოვდნენ, ორსულნი – მშვიდობიანად მოლოგინებას, ხოლო უძეონი – ვაჟის გაჩენას.

სამცხეში უშვილონი ვარძიის ღვთისმშობელს ევედრებოდნენ, ორსული კი შვილის შერჩენას სთხოვდა. იქ ადრე ორი პატარა ვერცხლის აკვანი მდგარა. ასე სწამდათ: ორსულის ხელის შეხებისას თუ აკვანი თავისთავად დაირწეოდა, ქალს შვილი შერჩებოდა, თუ აკვანი დარწევისას გადაბრუნდებოდა – არ შერჩებოდა. ჯავახეთში, ვისაც შვილი არა რჩებოდა, დაივლიდა 7 კომლს, შეაგროვებდა სააკვნე ფიცარს, გაამართვინებდა აკვანს და მასში ჩააწვენდა ახალშობილს. სოფელ ბარალეთის ახლოს, ნასოფლარ სირგვში ამაღლების ჯვრის სალოცავია. აქ ამაღლებისას მოდიოდნენ ჯავახნი და ევედრებოდნენ ღმერთს კაცისა და საქონლის გამრავლებას.

ქართველთა შემწე და უშვილოთათვის შვილის გამომთხოველი იყო ქართლში ატოცის წმინდა გიორგი, გერის წმინდა გიორგი, თბილისში ქაშვეთის წმინდა გიორგი...

ერთაწმინდაში წმინდა ესტატეს ევედრებოდნენ, რკონში – ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, ხოლო ლეხურის ხეობაში – წმინდა თადეოზს (ცამეტ ასურ მამაოგანს). 1740 წლამდე წმინდა თადეოზის წმინდა ნაწილები, ვითარცა წმინდა შიოს ნაწილნი, მისი ხსენების დღეს, თავისით ამოიწეოდნენ ხოლმე და სასწაულს ახდენდნენ. ქვაბთახევის მონასტერში იქ მოწყვეტილ დედათა მოსახსენიებლად ფეხშიშველნი შედიოდნენ და ასე ევედრებოდნენ უფალს.

სამეგრელოში, თუ პატარძალი უშვილო გამოდგებოდა, თავისი გვარის ხატში – „ჯინჯხატში“ ალოცებდნენ. თუ ეს არ უშველიდა, წაჩხურის მთავარანგელოზის ტაძარში „მოსკე წაჩხურის“ ხატთან ილოცებდნენ. ამ ხატს ვაჟების მომცემს უწოდებდნენ. ეს სალოცავი მდებარეობს მარტყოფის რაიონის სოფელ წაჩხურში, მაღლობზეა და ძნელად მისასვლელია... აქ მოდიოდნენ უშვილონი თუ უძეონი მთელი სამეგრელოდან, აფხაზეთიდან და თვით სათათრეთიდანაც კი. წაჩხურის ხატობა ნაადღგომევის პირველ ხუთშაბათს იმართებოდა (ცააშხა დღეს). მლოცველთ მოჰქონდათ თავისი სიგრძის სანთელი, ვერცხლის ძაფი, სანთელ-საკმეველი და მთავარანგელოზს შესთხოვდნენ შველას. როცა შვილი შეეძინებოდათ, მეორე წელსვე სამადლობელოდ აახლებდნენ საკლავს. წაჩხურის ხატს და ილორის წმინდა გიორგის ხატს პატარა ვერცხლის აკვნებს სწირავდნენ და ღვთისგან კურნებას იღებდნენ. წალენჯიხის რაიონში იყო სალოცავი, რომელსაც „ალერტ ხარჩილს“ უწოდებდნენ [155].

ქვათახევის სამონასტრო კომპლექსი



კასპის რაიონში, ერთ-ერთ ულამაზეს ადგილას, მდინარე კავთურას ხეობაში, ქვათახევის უძველესი სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს. მას ქვაბთახევსაც უწოდებენ. ამ სახელების წარმოშობის ვერსიები ასეთია – რადგან მონასტერი კლდოვან ქანებშია აგებული, ქვათახევი უწოდეს. ქვაბთახევი კი გამოქვაბულების არსებობას, უძველეს ბერმონაზვნურ ცხოვრებას უკავშირდება. ზოგი ისტორიული წყარო მის აღმშენებლად დავით აღმაშენებელს ასახელებს, ზოგი კი – თამარ მეფეს.

ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, ტაძრის საძირკველში ღვთისმშობლის სამოსლის მცირე ნაწილია ჩატანებული. ტაძარი ღვთისმშობლის მიძინების სახელობისაა. იქ უძველესი დროიდან ღვთისმშობლის მიძინების სასწაულმოქმედი ხატი იყო კანკელზე დაბრძანებული.

ხატი ქართველთა ლაშქარს უძღოდა ხოლმე წინ. მის წინაშე დაუჯდომელი საგალობელის კითხვა ყოფილა დაწესებული. ამ ხატს განსაკუთრებით უშვილო მშობლები ევედრებოდნენ. პლატონ იოსელიანის აღწერით, იგი კაკლის ხის ფიცარზე იყო შესრულებული. ხატი მე-17 საუკუნეში არჩილ მეფეს რუსეთში წაუღია, საიდანაც 1751 წელს დაუბრუნებიათ ქვათახევის მონასტერში. შემდეგ კი თბილისში, ფერისცვალების ტაძარში გადაუტანიათ. დღეს ამ ხატის ასავალ-დასავალი უცნობია. ქვათახევი ქართლის უმთავრეს მონასტრად ითვლებოდა და დიდებულთა მფარველობის ქვეშ იყო.

თემურ-ლენგმა ქვათახევის მონასტერს მიაგნო და დაარბია. ტაძარში ჩაკეტილი ყოფილან მონაზვნები, მღვდლები, მოსახლეობა. მტერს კარი შეუმტვრევია და იქ შეკრებილთათვის ქრისტეს უარყოფა მოუთხოვია. პასუხად უარი რომ მიუღიათ, მონასტრის მთელი სიმდიდრე გამოუზიდავთ, ხალხი კი ტაძარში გამოუკეტავთ და იქაურობა ცეცხლისთვის მიუციათ. ცეცხლის ალში გახვეული ტაძრიდან განწირულ ქრისტიანთა გალობა ისმოდა...

ქვათახევის წმინდა მოწამენი – ასე მოიხსენიებს დღეს ჩვენი ეკლესია ამ ადამიანებს. მრავალმოწამეთა ხატიც დაიწერა და მათ წინ დღეს ლოცვა აღევლინება. ტაძრის იატაკზე საუკუნეების განმავლობაში მოწამეთა დამწვარი სხეულების კვალი იყო აღბეჭდილი. ზოგი მათ სახესაც ხედავდა. იატაკი დღემდე ხელუხლებელი დარჩა და იქ ახლაც შეიმჩნევა ცეცხლის კვალი. იატაკი იმდენად წმინდად მიიჩნეოდა, რომ ქალს იქ ფეხი კარგახანს აღარ დაუდგამს. რამდენიმე კილომეტრის მოშორებით ნიში აუგიათ და ქალები იქიდან ევედრებოდნენ ყოველადწმინდა ღვთისმშობელს. ამ წესს 1796 წლამდე უცვლელად იცავდნენ. 1821 წლიდან კი ტაძარში ფეხშიშველნი ან საგანგებო ფეხსაცმლით შედიოდნენ. ამ წესს ტაძარში შესვლისას მაჰმადიანებიც ემორჩილებოდნენ. ტაძარში ახლაც შეხვდებით ფეხშიშველა მომლოცველებს. ქვათახევის მონასტერში ჯვარი დაუწერია წმინდა მოწამე ლუარსაბ მეორეს გიორგი სააკაძის დაზე.

ქვათახევში დაცულ სიწმინდეთაგან განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო მოოქროვილი ვერცხლის თხელი ფენით დაფარული ხის სინი, რომელზეც, გადმოცემის მიხედვით, საიდუმლო სერობისას ტრაპეზი დამზადებულა. სინი მე-19 საუკუნემდე საქართველოს ეკლესიაში ინახებოდა და მის შესასწავლად სპეციალური კვლევები ჩატარდა. პლატონ იოსელიანი მის შესახებ წერდა: „ჯერ კიდევ ჩანს ანგელოზის ფრთა და მოციქულთა სახეები, მაგრამ დღეისათვის დარჩენილია მხოლოდ პეტრე მოციქულის სახე. წარწერა ქართულია, მაშასადამე, სამკაული საქართველოშია გაკეთებული, დაფარულია თხელი ოქროვერცხლიანი ჩარჩოთი, მოციქულების ამოზნექილი სახეებით. ფიცარი იმდენად ძველია, რომ ხელის შეხებით იფხვნება. ჩარჩო კი ამოვარდნილა. ეს სინი მთელი არ არის, ნახევარია. ეტყობა, ოვალური ფორმისა იყო. გადმოცემით, იგი საბერძნეთიდან, ბერძენთა მეფის ასულის, ელენეს მიერ არის მოტანილი“. ელენე მეფე ბაგრატ კურაპალატის მეუღლე იყო.

ქვათახევის მონასტერთან არსებულა სამედავითნო სკოლაც, სადაც თავის დროზე განათლება მიუღია


წილკნელ ეპისკოპოს ტარასის. მისი ნათლული გახლავთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე.

მართალია, ქვათახევის სიწმინდეების უმეტესი ნაწილი დღეს იქ აღარ ინახება, მაგრამ ტაძარში დაცულია იოანე ნათლისმცემლის წმინდა ნაწილი. წლების წინ დაწერილი ღვთისმშობლის მიძინების ხატი კი, რომელიც ადრე ტაძრის კანკელზე შესრულებული ხატის ასლია, დღესაც სასწაულმოქმედად ითვლება და მას განსაკუთრებით უშვილო წყვილები ევედრებიან.

მონასტერთან რამდენიმე მთის წყარო ჩამოედინება. ხალხში გავრცელებული რწმენით, ამ წყლებს მაკურნებელი ძალა აქვს. „უქარქაშო ხმლებში“ მწერალ ლევან სანიკიძესაც აქვს ნახსენები ამ წყაროების ძალა. მონასტრის ბერები კი, რომლებიც საოცარი თავმდაბლობით გამოირჩევიან, ამბობენ, რომ წყარო კი – არა, უფალია მკურნალი და ვინც იქ რწმენით მიდის, ყველას სწყალობს. „ბევრს უთქვამს, ქვათახევის ღვთისმშობლისთვის რაც მითხოვია, ამსრულებიაო“

ქვათახევში მონასტრული ცხოვრება 2002 წლიდან აღდგა. ხელახლა აშენდა სატრაპეზო, ბერების საცხოვრებელი სენაკები. იქ ახლა ოთხი ბერი ცხოვრობს. ისინი ამბობენ, რომ ქვათახევი დედა ღვთისმშობლის მეშვეობით კვლავ იბრუნებს ძველ დიდებას და და მასზე აღსრულდება საუკუნეების წინათ თქმული წინასწარმეტყველება – „გამდიდრდებიან უდაბნონი წამებულნი და სიხარულით შეიმოსებიან მთანი შენნი“ [185].

დირბის „მიდგომილი ღვთისმშობელი“



ქარელის რაიონის სოფელ დირბში X საუკუნეში აგებული დირბის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი მდებარეობს. აქვე მროველ – ურბნელი მიტროპოლიტი იობის (აქიაშვილი) ლოცვა – კურთხევით 2001 წლის პირველ მაისს დედათა მონასტერი დაარსდა. ტაძარი განსაკუთრებული ისტორიული მნიშვნელობისაა. წყაროებზე დაყრდნობით, დირბის მონასტერი XVI საუკუნიდან იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მეტოქი იყო, ანუ ის თავისი მამულებით ჯვრის მონასტერს ექვემდებარებოდა და მას ჯვრის მონასტრის არქიმანდრიტი განაგებდა. XXI საუკუნის დასაწყისისთვის კი ამ ფასდაუდებელ საუნჯეს თითქმის სრულიად მიწით დაფარულსა და განადგურებულს ვხედავთ.

დირბის ტაძრის მოხატულობა ამ პერიოდში ფართოდ გავრცელებულ პალეოლოგოსთა მხატვრულ სტილს მიეკუთვნება. ეს სტილი XIII საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა ბიზანტიის სულიერი კულტურის ცენტრებში – კონსტანტინოპოლსა და თესალონიკში და სწრაფად გავრცელდა ბიზანტიური კულტურის არეალის მართლმადიდებლურ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც. მხატვრობის ძირითადი ნაწილი ღვთისმშობლის ცხოვრების ამსახველ ციკლს ეთმობა, მათ შორის არის უნიკალური ფრესკა „იოსების ყვედრება“, სადაც ფაქიზი ოსტატობითაა გამოსახული განსაკუთრებული დედობრივი სითბოთი სავსე „მიდგომილი (ორსული) ღვთისმშობელი“.

დირბის „მიდგომილ ღვთისმშობელს“, რომლის მსგავსი გამოსახულებაც ძალზედ იშვიათია მართლმადიდებლურ სამყაროში, მრავალი სასწაული უკავშირდება.

დირბის მიდგომილი ღვთისმშობელი წყაროა მრავალი სასწაულისა, რომელიც მასთან თხოვნით მისული რწმენით აღსავსე ადამიანებისათვის ოდითგანვე აღსრულდებოდა, ღვთისმშობლის მოწყალების ნაკადული დღემდე გადმოსჩქეფს და სასწაულები გრძელდება

დირბის ღვთისმშობელი, უპირველეს ყოვლისა, უშვილოთა და ორსულთა შემწეა და სწორედ ამიტომ მასთან გულმხურვალე ევედრებით უწყვეტად მოედინება შვილიერების მოსურნე წყვილთა ნაკადი. მათგან უმეტესობა, გარკვეული პერიოდის შემდეგ, კვლავ ბრუნდება მასთან – ნაცვლად ტკივილისა უკვე მადლიერებით აღსავსე თვალებით.



მონასტერმა 2010 წელს გამოსცა დირბის ღვთისმშობლის პარაკლისი, რომლიც აქვეა შედგენილი. უშვილო წყვილთა შემწეობისათვის მონასტერში იქსოვება სარტყელი უშვილოთათვის. სარტყელს, რა თქმა უნდა, სიმბოლური დატვირთვა აქვს და უკავშირდება უშვილოთა და ფეხმძიმეთა შემწე დირბის ღვთისმშობელს. იგი წყვილებს მის მეტ სასოებასა და რწმენას შთაუნერგავს. ტაძრის მოლოცვისა და სარტყელის გამოყენების შემდეგ არაერთი უშვილო გამხდარა დირბის ღვთისმშობლის შეწევნისა და წყალობის ღირსი."

მონასტერში დირბის ღვთისმშობლის მეოხებით აღსრულებული სასწაულების მოძიება-შეგროვება ხდება. მორწმუნენი, საკუთარი ხელით წერენ დირბის ღვთისმშობლისადმი ვედრების შემდეგ მათ თავს აღსრულებული სასწაულების – შვილიერების, კურნებებისა და სხვათა შესახებ. ეს საქმიანობა დირბის დედა ღვთისმშობლის კიდევ მეტად განდიდებას ემსახურება.

დირბის ღვთისმშობლის წყალობით ქვეყანას მრავალი პატარა მოევლინა და გამოჯანმრთელდა. ვინც დირბის მიდგომილ ღვთისმშობელს რწმენით ევედრება, დედაღვთისა თავისი დედობრივი შეწევნით შეეწევა [139].

წაჩხურუს მთავარანგელოზის სახელობის ტაძარი მარტვილში.
„როცა გულით შესხოვ უფალს, უთუოდ შეისმენს შენს ვედრებას".

მარტვილის მუნიციპალიტეტის ულამაზეს სოფელ სალხინოს წაჩხურუს მთავარანგელოზის სახელობის ტაძარში განსაკუთრებული ხალხმრავლობა აღდგომის მეოთხე დღეს – ხუთშაბათს არის. უამრავი მორწმუნე, უშვილო ცოლ-ქმარი, ჯვარდასაწერი ქალ-ვაჟი ევედრება ხელის მომართვას უფალს. ამ დღეს ყოველთვის წვიმს და იქაურობა ნისლით იბურება. უამინდობის მიუხედავად, წელსაც მომლოცველთა ნაკადი არ წყდებოდა – ღამის სამი საათიდან აღმართს მომლოცველთა გრძელი რიგი მიუყვებოდა. უშვილო წყვილებს ხელში ლამაზად მორთული აკვნები ეჭირათ, ფეხშიშველებსაც ნახავდით – ყველა თავის აღთქმას აღასრულებდა.



ადმოცემის თანახმად, სამეგრელოდან სვანეთს მიმავალ ანდრია პირველწოდებულს ამ ადგილას ქვის ჯვარი აღუმართავს, ტაძარი კი მოგვიანებით, მე-7 საუკუნეში აუგიათ. ჩვენამდე განახლებულმა, მე-18 საუკუნის დარბაზულმა ეკლესიამ მოაღწია.


„მოსკე წაჩხური" – ეს ხატი სწრაფლშემსმენელია და გულით ნათხოვნს აღასრულებს".

კომუნისტების დროს იქ წირვა არ ტარდებოდა, თუმცა ტაძრის ძალა ცნობილი იყო.

უამრავი სიწმინდე გაგვაჩნია – თავად ჩვენი ქვეყანაც ხომ უდიდესი სიწმინდეა, ღვთისაგან ბოძებული და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომილი. არც სასწაულმოქმედი ხატების სიმცირეს ვუჩივით [140].

სარკის წმინდა გიორგი

ეკლესია, რომელშიც ეს ხატია დაბრძანებული, ქარელის რაიონში მდებარეობს. ეკლესიასაც და ხატსაც თავისი საოცარი ლეგენდის შარავანდედი ჰმოსავს: გადმოცემით, ქარელის რაიონის სოფელ საღოლაშენთან მდებარე ადგილს „დასასრულს" უწოდებდნენ, რაც წმინდა, ხელშეუხებელს ადგილს



ნიშნავდა – ამ ადგილს არც ხნავდნენ, არც თესავდნენ. ხელშეუხებლობის ნიშნად კი მდელოს ხნულის შემოვლებით სარყავდნენ.

სარკის წმინდა გიორგი განსაკუთრებით უშვილოთა შემწეა, ჩვილთა მფარველი. ძველ დროში მომხდარ სასწაულებს თუ ლეგენდის საბურველი ჰბურავს, არც ჩვენს დროში მომხდარი სასწაულების სიმცირეს უჩივის – დღესაც ნახავთ უამრავ წყვილს, რომელთაც ამ ხატის მოლოცვის შემდეგ შეეძინათ შვილი. მადლიერების ნიშნად ეს ოჯახები ეკლესიას აკვნებს სწირავდნენ და წლების წინაც ეკლესიის გარშემო, თურმე, უამრავი აკვანი იდგა. ყოფილა შემთხვევა, რომ ურმით მის კარამდე მიყვანილი დავრდომილი თავისი ფეხით შესულა მონასტრის ეზოში [186].

14.2 რელიგიური ტურიზმი და თანამედროვე ტექნოლოგიები

თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT/ICTS) [108] გამოყენება და განვითარება ნებისმიერი ქვეყნისა და საზოგადოების წარმატებული განვითარებისა და ნათელი პერსპექტივის აუცილებელი წინა პირობა და კატალიზატორია. ის არსებითად ცვლის ყველა საზოგადოებრივ ურთიერთობას, იქმნება ახალი, ინფორმაციული საზოგადოება. ICT-ის გარეშე წარმოუდგენელია კაცობრიობის, ცხოვრების ნებისმიერი სფეროს პროგრესი, მსოფლიოს უსაფრთხოება, ეფექტიანი საერთაშორისო ურთიერთობები, განათლების სისტემა, სოციალურ-ეკონომიკური წინსვლა, სამოქალაქო საზოგადოების განვითარება, სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა, ადამიანის უფლებების დაცვა, სიღარიბესთან, კორუფციასთან, ტერორიზმსა და სხვა ანომალიებთან წარმატებული ბრძოლა და ა.შ. [56].

თანამედროვე ტურიზმი კომპიუტერული ტექნიკისა და ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვის საფუძველზე გადაიქცა საერთაშორისო ინფორმაციული ტექნოლოგიების და პროცესების სფეროდ. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) განვითარებამ,ფუნდამენტურად შეცვალა ტურიზმის ინდუსტრია [150].

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებამ შექმნა საერთაშორისო ტურიზმის განვითარების შესაძლებლობა [73:25]. გ-ს ამგვარი ტექნოლოგიების გამოყენებნება ტურიზმში პირველად საქართველოში დაინერგა „ტურიზმის გეოინფორმაციული ცენტრი – TravelGIS“-ის მიერ, რომელიც დაარსებულია 2011 წელს პროფესორ კონსტანტინე აბულაძის და პროფესორ სერგო ცირამუას მიერ. TravelGIS იკვლევს ტურისტულ რესურსებს, აპროექტებს ახალ ტურისტულ მარშრუტებს და ქმნის ცენტრალიზებულ გეომონაცემთა ბაზას, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისთვის [188].

თანამედროვე ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები სულ უფრო ფართოდ გამოიყენება საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგის – ტურიზმის განვითარებაში. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, ტურისტული სააგენტოები და ტუროპერატორები ინფორმირებისა და რეკლამირების ტრადიციულ საშუალებებთან (პრესა, რადიო, ტელევიზია) ერთად, სულ უფრო ფართოდ იყენებენ ინტერნეტის საშუალებებს, მათ შორის სოციალურ ქსელებსაც. თუმცა თავისი ფორმით და შინაარსით ინტერნეტში განთავსებული ტურისტული ინფორმაცია არ განსხვავდება სხვა ტრადიციული ბეჭდური და მედია საშუალებებისაგან. ისინი ტექსტურ და ვიზუალურ ინფორმაციას ასახავენ ისეთივე სახით, როგორი სახითაც არიან ისინი განთავსებული ქაღალდის ბუკლეტებსა და გზამკვლევებზე. თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები, კერძოდ კი გეოინფორმაციული სისტემები (გის) იძლევიან საშუალებას სრულიად ახლებურად წარმოვაჩინოთ ტურისტული პოტენციალი, რესურსი და პროდუქტი. ციფრულ ინტერაქტიულ გის რუკაზე შესაძლებელია განთავსდეს ტურისტული მარშრუტები და ინფრასტრუქტურის ობიექტები ტექსტური და ვიზუალური (ფოტო-ვიდეო) ინფორმაციით.

ასეთი ტურისტული გის-ის ინტეგრირება ტურისტულ ვებ პორტალში არა მარტო ხელმისაწვდომს გახდის აღნიშნულ ინფორმაციას მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, არამედ ყველა მსურველს მისცემს საშუალებას ვირტუალურად იმოგზაუროს ინტერაქტიულ გის-რუკაზე, განსაზღვროს ტურისტული მარშრუტი, დაათვალიეროს ამ მარშრუტზე არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტები, ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლები, გააკეთოს მარშრუტის შეკვეთა ან სასტუმროს დაჯავშნა ონლაინ რეჟიმში.

საქართველოში ამჟამად:

• არ არის შექმნილი ვირტუალური ტურიზმის გეოინფორმაციული სისტემა, რომელიც სრულად წარმოაჩენდა საქართველოს ტურისტულ რესურსს;

• საქართველოს ტურისტული ობიექტები თითქმის არ არის განთავსებული მსოფლიოს ელექტრონულ გის-რუკებზე;

• არ წარმოებს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ შექმნილი

ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტების გის-ის ოპერატიულად განახლება.

• ცალკეული ტურისტული ობიექტები ფრაგმენტულადაა განთავსებული გეოინფორმაციულ რუკებზე, რომლებიც ასახულია სხვადასხვა არატურისტულ

ვებ-გვერდებზე (www.reestri.gov.ge, www.signagi.com.ge, www.poticity.ge, www.mygeorgia.ge), რაც პრაქტიკულად გამოუყენებელს ხდის მათ ტურისტებისათვის;

• საქართველოს გის რუკებზე საერთოდ არ არის დატანილი მთავარი ტურისტული პროდუქტი – ტურისტული მარშრუტები.

დასმული პრობლემების გადაჭრის გზას წარმოადგენს ტურიზმის გის შექმნა და მისი ინტეგრაცია ვებ და მობილურ ტექნოლოგიებში. გის წარმოადგენს სივრცითი გეოგრაფიული ობიექტებისა და ამ ობიექტებთან დაკავშირებულ მონაცემთა ბაზების ერთობლიობას [187].

გრაფიკული ნაწილი წარმოადგენს სხვადასხვა მასშტაბის რასტრულ (სატელიტურ) ანვექტორულ ციფრულ რუკას რეალურ გეოგრაფიულ კოორდინატთა სისტემაში. გის-ში ინფორმაცია ორგანიზებულია თემატური ფენების (შრეების) მიხედვით, რომელთაგან თითოეული შეიცავს რომელიმე ერთი კონკრეტული თემის მონაცემებს. მაგალითად, თუ ჩვენ გვაინტერესებს შევისწავლოთ რაიმე ტერიტორიის ტურისტული ინფრასტრუქტურა, შესაძლებელია ერთი ფენა შეიცავდეს მონაცემებს ადმინისტრაციული საზღვრების შესახებ, მეორე – გზებისა და ბილიკების შესახებ, მესამე – სასტუმროების შესახებ, მეოთხე – ისტორიული ძეგლების შესახებ, მეხუთე – ბუნების ძეგლების შესახებ და ა.შ. გის-ის გამოყენებით შესაძლებელია როგორც ცალკეული ფენების გამოტანა ეკრანზე და მისი შემცველი ინფორმაციის (ტექსტური, ფოტო, ვიდეო) ნახვა, ასევე რამოდენიმე ფენის ერთად ჩვენება, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან ტურისტულ რუკას. ასევე შესაძლებელია სხვადასხვა ფენებიდან საჭირო ინფორმაციის ამორჩევა და გამოტანა ეკრანზე ახალი ცხრილის სახით. გარდა ამისა, შესაძლებელია სხვადასხვა სიტუაციის მოდელირება, შესაბამისი გამოსახულების ან ცხრილის მიღება და ანალიზი. გის-ის რუკები ინტერაქტიულია, რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ დროს შესაძლებელია მონაცემების შეტანა და განახლება, რაც ავტომატურად აისახება რუკაზე. ამგვარად გის-ი პასუხობს კითხვებს: რა ობიექტებია განლაგებული მოცემულ ტერიტორიაზე? სად მდებარეობს კონკრეტული ობიექტი? სად შეიძლება ობიექტის განთავსება? რა ინფორმაციას ვფლობთ მოცემული ობიექტის შესახებ? და სხვ.

გის-ის აღნიშნული შესაძლებლობები თვალნათლივ გვიჩვენებს ტურიზმში მისი გამოყენების არა მარტო მიზანშეწონილობას, არამედ აუცილებლობასაც. თანამედროვე პირობებში წარმოუდგენელია ტურისტულ მარშრუტზე საუბარი, თუ ისინი არ არის დატანილი გეოინფორმაციულ რუკაზე, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სივრცითი ანალიზის ჩატარება, მანძილების გაზომვა, ამ მარშრუტზე არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების მონიშვნა, მათი გეოგრაფიული კოორდინატების დაზუსტება და სხვა.


განვითარებულ ქვეყნებში ფართოდ ინერგება გის ტექნოლოგიები ტურისტულ ინდუსტრიაში. მაგალითად, სასტუმროების ელექტრონულ კატალოგებში უკვე აუცილებელი გახდა მათი ადგილმდებარეობის გეოგრაფიული კოორდინატების (X,Y) მითითება და მათი გამოსახვა ციფრულ რუკებზე.

გის-ი გვაძლევს ციფრულ რუკაზე საჭირო ობიექტების მოძიების, შერჩევის, მონაცემთა დახარისხების, ფილტრაციის საშუალებას. მაგალითად, საჭირო რეგიონში სასტუმროს მოძიება მისაღებ ფასად, ტურისტული მარშრუტის შერჩევა მანძილის, ხანგრძლივობის ან სირთულის მიხედვით, ისტორიული ან ბუნების ძეგლის ზუსტი ადგილმდებარეობის განსაზღვრა და ა.შ.

ამოცანების რეალიზაციის პროცესში შესაძლებელია წარმოიშვას გის და ვებ სერვერებს შორის მონაცემთა გაცვლის სიჩქარის პრობლემა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ტურისტულ ვებ პორტალში ინტეგრირებულ გის რუკაზე ნავიგაციის – ვირტუალურად გადაადგილებისა და ამორჩეულ ობიექტზე არსებული ატრიბუტული მონაცემების გამოტანის მაქსიმალური სისწრაფე. აღნიშნული პრობლემის გადაჭრა შესაძლებელი იქნება ინფორმაციული ტექნოლოგიების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით. ნებისმიერი სხვა ტექნიკური პრობლემის გადაჭრა შესაძლებელი იქნება პროგრამული უზრუნველყოფის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.


საკვლევი ტურისტული რესურსები:
1. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები
1.1. ტაძრები, ეკლესია-მონასტრები, სალოცავები
1.2. ციხესიმაგრეები და ციხეკოშკები
1.3. ხიდები
1.4. ისტორიული შენობები
2. არქეოლოგიური ძეგლები
2.1. ნაქალაქარები
2.2. გორასამარხები
2.3. მენჰირები, ქვაჯვრები, ქვაკაცები
2.4. უძველესი ნაგებობები
3. ბუნების ძეგლები 3.1. კარსტული მღვიმეები
3.2. სვეტები
3.3. ჩანჩქერები
3.4. კანიონები
3.5. ტბები
4. არქიტექტურული ძეგლები
5. ქალაქის არქიტექტურული ძეგლები
6. სოფლის არქიტექტურული ძეგლები
7. მონუმენტური ძეგლები
8. ლანდშაფტი, პანორამა, ხედი
9. კემპინგების მოსაწყობი ადგილები
10. საპიკნიკე ადგილები
11. სამონადირეო მეურნეობები
12. სათევზაო მეურნეობები
13. რეკრეაციული ზონები, პარკები
14. ღამისგასათევი ობიექტები
15. კაბების ობიექტები
16. სანახაობები (ფესტივალები)

WEBGIS დაWindows Phone ხისტების სტრუქტურა



ტურიზმის გის-ში ინფორმაცია ორგანიზებულია თემატური ფენების (შრეების) მიხედვით, რომელთაგან თითოეული შეიცავს რომელიმე ერთი კონკრეტული თემის მონაცემებს. მაგალითად, თუ გვაინტერესებს ტერიტორიის ტურისტული ინფრა-სტრუქტურა, შესაძლებელია ერთი ფენა შეიცავდეს მონაცემებს ადმინისტრაციული საზღვრების შესახებ, მეორე – გზებისა და ბილიკების, მესამე – სასტუმროების, მეოთხე – ისტორიული ძეგლების, მეხუთე – ბუნების ძეგლების შესახებ და ა.შ. გის-

ის გამოყენებით შესაძლებელია როგორც ცალკეული ფენების გამოტანა ეკრანზე და მისი შემცველი ტექსტური, ფოტო, ვიდეო ინფორმაციის ნახვა, ასევე რამოდენიმე ფენის ერთად ჩვენება, რომლებიც ერთობლიობაში ქმნიან ტურისტულ რუკას. ასევე შესაძლებელია სხვადასხვა ფენებიდან საჭირო ინფორმაციის ამორჩევა და გამოტანა ეკრანზე ახალი ცხრილის სახით. გარდა ამისა, შესაძლებელია სხვადასხვა სიტუაციის მოდელირება, შესაბამისი გამოსახულების ან ცხრილის მიღება და ანალიზი. გის-ის რუკები ინტერაქტიულია. რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ დროს შესაძლებელია მონაცემების შეტანა და განახლება, რაც ავტომატურად აისახება რუკაზე. ამგვარად გის-ი პასუხობს კითხვებს: რა ობიექტებია განლაგებული მოცემულ ტერიტორიაზე? სად მდებარეობს კონკრეტული ობიექტი? სად შეიძლება ობიექტის განთავსება? რა ინფორმაციას ვფლობთ მოცემული ობიექტის შესახებ და სხვ.



შემუშავებულია გის და ვებ ტექნოლოგიების ინტეგრირების ახალი მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს დიდი ტევადობის ტექსტური და გრაფიკულ-ვიზუალური ატრიბუტული ინფორმაციის პირობებში ვებ-პორტალში ინტეგრირებულ გის-რუკაზე ნავიგაციის მაქსიმალურ სიჩქარეს.

პირველად შეიქმნა საქართველოს ტურისტული ვებ-პორტალი ვირტუალური მოგზაურობის შესაძლებლობით, რომელზეც დატანილი იქნება საპილოტე რეგიონების – საქართველოს მთიანეთის ტურისტული მარშრუტები. დამუშავდა Windows Phone სენსორულ ეკრანიან მოწყობილობებში ტურისტული მარშრუტის ჩაწერის შესაძლებლობა.

პროექტის დასრულების შედეგად შეიქმნა საქართველოს ტურისტული მრავალენოვანი საინფორმაციო–საძიებო ვებ პორტალი მასში ინტეგრირებული ტურისტული ინტერაქტიული გის რუკით, რომლის გამოყენებით:

• მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში დაინტერესებული პირი შეძლებს მის მიერ არჩეული მარშრუტის ვირტუალურად გავლას და ამ მარშრუტზე არსებული ტურისტული ობიექტების (სასტუმროების, კვების ობიექტების, ისტორიული და ბუნების ძეგლების, მუზეუმების, მარშრუტის სავალი გზის მდგომარეობის, სპბანაკე ადგილებისა და სხვ.)

შესახებ ტექსტური და ფოტო-ვიდეო ინფორმაციის მიღებას;

• ტურისტული კომპანიები, ტუროპერატორები და ტურაგენტები შეძლებენ ახალი მარშრუტების დაპროექტებას და ტურისტული პროდუქტის რეკლამირებას;

• ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია გის-ის გამოყენებით სრულყოფს დარგის მართვის სისტემას;

• Windows Phone სენსორულ ეკრანიანი მოწყობილობებში (სმარტფონებში, პლანშეტებში) ტურისტული მარშრუტის ჩაწერის შესაძლებლობით გამოირიცხება მარშრუტიდან გადაცდენის შემთხვევები, რაც ხელს შეუწყობს ტურისტთა უსაფრთხოებას;


• უმაღლეს სასწავლებლებში ტურიზმის სწავლება დაეფუძნება თანამედროვე გის ტექნოლოგიებს;

• მნიშვნელოვნად გაიზრდება ინტერაქტიულ გის რუკაზე განთავსებული მცირე ტურისტული საწარმოების ცნობადობა, რაც ხელს შეუწყობს მათ განვითარებას. „ტურიზმის გეოინფორმაციული

ცენტრი – TravelGIS" იკვლევს ტურისტულ რესურსებს, აპროექტებს ახალ ტურისტულ მარშრუტებს და ქმნის ცენტრალიზებულ გეომონაცემთა ბაზას, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი მსურველისთვის.

შემუშავებულია ტურისტული მარშრუტების მობილური აპლიკაცია TravelGIS და ვებ-პორტალი www.travelgis.ge, რომელიც განუყოფელი ატრიბუტია მოგზაურობის მოყვარულთათვის. თქვენთვის საინტერესო ტურის არჩევის შემდეგ, ინტერაქტიულ რუკაზე ვირტუალურად გაივლით მარშრუტს და გაეცნობით მასზე არსებული ობიექტების გეოგრაფიულ, ფოტო და ტექსტურ ინფორმაციას. ინფორმაცია შეეხება ისეთ დეტალებს, როგორიცაა გზების მდგომარეობა, გზად მოსანახულებელი კულტურული მემკვიდრეობა, ბუნების ძეგლები, მუზეუმები, საკემპინგე/საპიკნიკე ადგილები, ღამისგასათევი, კვების ობიექტები, სანახაობები და სხვ.

TravelGIS-ის ძირითადი მიზნები და ამოცანები:



• ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით;

• ტურიზმის გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემის (გის) შექმნა;

• ტურისტული მარშრუტების დაპროექტება და მათი ასახვა ინტერაქტიულ გის-რუკაზე;

• ტურიზმის განვითარების სტრატეგიისა და კონცეფციის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

• ტურიზმის სასწავლო კურსებისა და საგანმანათლებლო პროგრამების დამუშავება.

ტურისტული მარშრუტების მობილური აპლიკაცია TravelGIS შექმნილია ანდროიდ პლატფორმის მობილურებისათვის, პლანშეტებისთვის და iOS აიფონებისთვის, აიპადებისთვის. უფასო აპლიკაცია TravelGIS განთავსებულია Google Play-ze და App Store-ზე. აპლიკაცია წარმოადგენს ტურისტული მარშრუტების საინფორმაციო-საძიებო სამენოვან (ქართულ, ინგლისურ, რუსულ) ელექტრონულ გზამკვლევს, რომელშიც საშუალება გეძლევათ აირჩიოთ ტური ქვეყნის, რეგიონის. ტურის სახეობის, ხანგრძლივობის, ტურისტული ორგანიზაციისა და სხვა კრიტერიუმების მიხედვით, წინასწარ გაეცნოთ კულტურულ მემკვიდრეობას, ბუნების ძეგლებს, ღამისგასათევ, საკემპინგე, საპიკნიკე ადგილებს და ა. შ. უშუალოდ მოგზაურობის პროცესში GPS ფუნქციონალის საშუალებით თქვენ შეგეძლებათ გააკონტროლოთ თქვენი ადგილმდებარეობა მარშრუტზე და ამით თავიდან აიცილოთ მარშრუტიდან გადაცდომის საფრთხე. პროექტი განხორციელდა საკუთარი სახსრებით.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში (სდასუ), თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში „გორგასალი" ტურიზმის გეოინფორმაციული ცენტრის ინიციატივით დაიწყო საქართველოში შექმნილი ინოვაციური პროდუქტის – მობილური აპლიკაციის TravelGIS გამოყენება ტურიზმის პრაქტიკული სწავლების პროცესში. სტუდენტთა მიერ შემუშავებული საუკეთესო ტურები განთავსდება TravelGIS მობილურ აპლიკაციაში, რომელსაც ამჟამად მსოფლიოს 70-მდე ქვეყანაში იყენებენ, როგორც ყველაზე საიმედო „ელექტრონულ მეგზურს" მათთვის, ვისაც სურს, ვირტუალურად და შემდგომ რეალურად იმოგზაუროს საქართველოს ტურისტულ მარშრუტებზე [187].

რეგიონებში რელიგიური ტურიზმის განვითარების პროგრამის დამუშავებისას გეოინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით, გათვალისწინებული უნდა იყოს:

- რეგიონში არსებული ეკლესია-მონასტრების აღრიცხვა და გამოკვლევა;
- რეგიონის ბუნების და კულტურული ძეგლების და სხვა ტურისტული ობიექტების გამოკვლევა;
- ახალი რელიგიური ტურისტული მარშრუტების დაპროექტება ტურიზმის გეოინფორმაციული სისტემების გამოყენებით;
- რეგიონის მთელ ტერიტორიაზე ტურიზმის უსაფრთხოების უწყვეტი მონიტორინგის სისტემის შექმნა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;
- რელიგიური ტურისტული მარშრუტების შერჩევის პროცესის ოპტიმიზაცია;
- რელიგიური ტურიზმის შესახებ საინფორმაციო მასალების გამოცემა;
- ტრეინინგების, სემინარების, გამოფენების, კონკურსების და კონფერენციების მოწყობა;
- მონაწილეობა ტურიზმის სამართლებრივი ბაზის შექმნაში.

რეგიონებში ტურიზმზე ორიენტირებული გეოინფორმაციული სისტემის შექმნა საშუალებას იძლევა გაკეთდეს სივრცითი მოთხოვნები და ჩატარდეს ანალიზი იმისათვის, რომ გამოვლინდეს ამა თუ იმ ტურისტული ღონისძიების ჩატარებისათვის ყველაზე უფრო მისაღები ადგილი, გამოვლინდეს კავშირი სხვადასხვა მახასიათებელ პარამეტრებს შორის.

14.3 რელიგიური ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები საქართველოში


14.3.1 პილიგრიმული ტურისტული მარშრუტები საქართველოში

წმინდა ნინოს გზა. წმინდა ნინოს გზა კაპადოკიიდან მცხეთამდე ხანგრძლივი და ძნელი იყო. ქართული წყაროების მიხედვით ნინოს ცხოვრება მისივე მონათხრობიდან ჩაწერეს სალომე უჯარმელმა და პეროჟავრა სივნიელმა, რაც საფუძვლად დაედო „წმინდა ნინოს ცხოვრებას“, საიდანაც ვიგებთ, რომ რომის კეისრის დევნის გამო, წმინდა ნინო, რიფსიმეს, გაიანესა და ორმოცდაათ სულიერ დასთან ერთად სომხეთის ქვეყანაში გადაიხვეწა. დევნილები სომხეთის წარმართი მეფის თრდატის ბრძანებით სიკვდილით დასაჯეს. ნინო კი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს ღვთაებრივი გამოცხადებით ფარავნის ტბას მიუახლოვდა და ჯავახეთის მთებით საქართველოში შემოვიდა, სადაც ორი დღე დაჰყო. სწორედ აქ, მწყემსებისაგან შეიტყო წმინდა ნინომ, თუ სად მდებარეობდა მისთვის საოცნებო ქალაქი მცხეთა, სადაც უფლის კვართი იყო დაფლული. ტბა ფარავანთან ძილის დროს მას გამოეცხადა კაცი, რომელმაც გადასცა „წიგნი დაბეჭდული“ და უთხრა: „ეს წერილი წარმართთა მეფეს მიართვი, რადგანაც აქ ამისთვის მოიყვანე“. წერილის თავში რომაულად იესოს სახელი ეწერა და, როგორც მოსეს ქვის ფიცრებზე, ათი სიტყვა იყო დაწერილი. წიგნი იწყებოდა სახარებისეული სიტყვებით: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათლსცემდით მათ სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა და აჰა ესერა მე თქვენთანა ვარ, ყოველთა დღეთა და ვიდრე აღსასრულამდე სოფლისა“. ამ სიტყვებით გამხნევებული წმინდა ნინო მცხეთისაკენ გაემართა, წამოჰყვა მდინარე მტკვარს და სავარაუდოდ, გამოიარა ახალქალაქი, ხერთვისი, ასპინძა, ახლციხე. მოგზაურობის დროს მან ბევრი შიში და შიმშილი დაითმინა, ბოლოს კი მოაღწია ურბნისს. სადაც მან აქ მცხოვრებ ებრაელებთან ერთი თვე დაჰყო.



ქართული წყაროებში წმინდა ნინო „ქართლისა მაცხოვრად“ და „დედად ქართველთა თემისაჲსად“ იწოდება.

წმინდა ნინოს გზის ძირითადი მარშრუტი ასეთია:



ჯავახეთი: ფარავნის ტბა, ფოკის წმინდა ნინოს სახელობის მონასტერი – შიდა ქართლი: ურბნისი – მცხეთა: ბეთლემის მღვიმე – მცხეთა: სამთავროს დედათა მონასტერი – მცხეთა: სვეტიცხოველის ტაძარი – მცხეთა: ჯვრის მონასტერი – კახეთი: ნინოწმინდა – კახეთი: ბოდბე.

14.3.2. წმინდა ასურელი მამების ნაკვალევზე

VI საუკუნის შუა წლებში საქართველოში ჩამოდიან ასურელი მამები, იწყებენ აქტიურ მოღვაწეობას და საქართველოშივე აღესრულებიან VI საუკუნის ბოლოსა და VII საუკუნის დასაწყისში. თუ შევადარებთ ერთმანეთს იმ მდგომარეობას, რომელშიც იმყოფებოდა ქართული ეკლესია ასურელი მამების ჩამოსვლის დროს, იმ მდგომარეობასთან, რომელშიც იმყოფებოდა მათი მოღვაწეობის დასასრულს, დავრწმუნდებით, რომ ისინი ებრძოდნენ მონოფიზიტურ მიმდინარეობას და გაიმარჯვეს მასზე. მართლაც, VI საუკუნის 30-40-იან წლებში, როგორც მეცნიერები ამბობენ, ჩვენში მძვინვარებდა მონოფიზიტობა, ამავე საუკუნის 70-90-იან წლებში და VII საუკუნის დასაწყისში საქართველო სრულიად ქალკედონიტური მიმართულებისაა, რაც ასურელი მამების ღვაწლის შედეგია, პოლიტიკურ მიზეზებთან ერთად.

ასურელი მამები საქართველოში ჩამოვიდნენ ფარსმან მეფის და კათალიკოს ევლავის დროს. წმიდათა ცხოვრება წერს, რომ ღირსი მამა იოანე ზედაზნელი და მისი თორმეტი მოწაფე „სიხარულით იქნენ მიღებული ქართველი ხალხის, ფარსმან მეფისა (542-557) და ქართლის კათალიკოს მთავარეპისკოპოსის ევლავის (533-544) მიერ. მატიანე გვაუწყებს, რომ წმიდა კაპადოკიელმა მამებმა ქართულ ენაზე მიმართეს დამხვდურთ „იოანე ზედაზნელი აღესრულა დაახლოებით 557-60 წლებს შორის, ქართლის კათალიკოს მაკარის (553-559) დროს“.

ღირსი იოანე ზედაზნელი და მისი თორმეტი მოწაფე: აბიბოს ნეკრესელი, ანტონ მარტყოფელი, დავით გარეჯელი, ზენონ იყალთოელი, თადეოზ სტეფანწმიდელი, იესე წილკნელი, იოსებ ალავერდელი, ისიდორე სამთავნელი, მიქაელ ულუმბოელი, პიროს ბრეთელი, სტეფანე ხირსელი და შიო მღვიმელი იყვნენ ასურელი მოღვაწეები, რომლებმაც საქართველოში სამონასტრო ცხოვრება აღორძინეს და დაამკვიდრეს (VI); 7 (20) მაისი.



ღირსმა იოანე ზედაზნელმა სასულიერო განათლება ანტიოქიაში მიიღო. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ დატოვა მაცდური წუთისოფელი, მონაზვნად აღიკვეცა და უდაბნოში წავიდა სამოღვაწეოდ. მისი სიმდაბლე, მარხვა და მღვიძარება, ცრემლი და ვედრება სათნოყო უფალს და ერთგულ მსახურს მიჰმადლა სენთა კურნებისა და ეშმაკთა განსხმის ნიჭი. ღირსმა იოანემ სახელი გაითქვა წმიდა ცხოვრებითა და სასწაულებით. მის სანახავად უამრავი ხალხი მიდიოდა, ამიტომ წმიდა მამამ საჭიროდ ჩათვალა მოშორებოდა იქაურობას, წაიყვანა ზოგიერთი მოწაფე, აირჩია ერთი მივარდნილი ადგილი, ააშენა სენაკები და დაიწყო მოღვაწეობა.

ერთხელ ღირს იოანეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და უბრძანა, მოწაფეთა შორის თორმეტი ბერი აერჩია და მათთან ერთად საქართველოში წასულიყო, რათა ქრისტეს სჯული განემტკიცებინა. წმიდა იოანემ ღვთისმშობლის ბრძანება თავის მოწაფეებს გამოუცხადა. ხანგრძლივი მარხვისა და ლოცვის შემდეგ ღვთის მინიშნებით მოწაფეთაგან თორმეტი გამოარჩია: შიო, დავითი, ანტონი, ისე, იოსები, თადეოზი, სტეფანე, ისიდორე, მიქაელი, პიროსი, ზენონი და აბიბოსი. უდაბნოში დარჩენილებს თავის ნაცვლად მოძღვრად ბერი ექვთიმე დაუტოვა, თვითონ კი ძმებთან ერთად საქართველოში წამოვიდა.

საქართველოს მეფეს და კათოლიკოსს ანგელოზისგან ეუწყათ შუამდინარეთს აღმობრწყინებულ წმიდა მამათა საქართველოში მობრძანების შესახებ. მცხეთას მოახლოებულ მამებს წინ მიეგებნენ მეფე ფარსმანი და კათოლიკოსი ეულავიოსი კრებულითურთ.

ეულავიოს კათოლიკოსის კურთხევით წმიდა იოანე მოწაფეებთან ერთად ზედაზნის მთაზე დასახლდა, სადაც ადრე ზადენის კერპი იდგა. მოღვაწეები უბადრუკ სენაკებში ცხოვრობდნენ და მხოლოდ მცენარეულით იკვებებოდნენ.

ხალხმა გაიგო წმიდა იოანეს სასწაულები. ბევრს აღეძრა მონაზვნური ცხოვრების წრფელი სურვილი, ბევრმა დატოვა სოფლის ამაო, შფოთიანი ცხოვრება და ზედაზენს დაემკვიდრა სამოღვაწეოდ. ამგვარად, ზედაზნის მთა განდეგილთა სამყოფელი გახდა.

ერთ ღამეს წმიდა იოანეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა და უბრძანა, თავისი მოწაფეები სხვადასხვა მხარეს გაეგზავნა საქადაგებლად. მეორე დღეს მან შეკრიბა ისინი, უამბო, რაც იხილა და უთხრა: „სარგებლისათვის ამის ქუეყანისა წარმოგუავლინნა უფალმან ღმერთმან ჩუენმან იესუ ქრიტემან, რამეთუ ახალ ნერგ არიან კაცნი ესე ამის სოფლისანი, ამისათჳსცა ჯერ არს, რაჲთა წარხჳდეთ კაცად-კაცადი და განამტკიცებდეთ ძმათა, რომელთა აღუარებიეს ქრისტე, უფალი ჩუენი“.

მოწაფეების გასტუმრების შემდეგ წმიდა იოანე ზედაზენზე დარჩა, დატოვა თავისთან ილია დიაკონი (ხს. 4 იანვარს) და ჩვეულ მოღვაწეობას შეუდგა. მოძღვარმა და მოწაფემ მრავალი წინააღმდეგობა და

განსაცდელი დაითმინეს. ზედაზენი უწყლო ადგილი იყო. ილია დიაკონი ყოველდღე შორი მანძილიდან ეზიდებოდა წყალს. მოწაფის ფიცხელი შრომის შემხედვარე წმიდა იოანემ უფალს წყაროს აღმოცენება სთხოვა. სახიერმა უფალმა ისმინა ვედრება წმიდისა ბერისა და მთის მწვერვალზე მაკურნებელი წყარო აღმოცენდა.

წმიდა იოანეს ლოცვით აღმოცენებულ წყაროს დათვი შეეწირა. წმიდა იოანეს ლოცვით მხეცი მოთვინიერდა. ამის შემდეგ ზედაზნის ტყის ბინადარი ნადირები კაცთაგან არავის აწყენდნენ. ღირსი იოანეს ლოცვით, დიდი ხნის დავარდნილი სნეული და დამუნჯებული ადამიანი განიკურნა. წმიდა იოანე თავისთან იბარებდა მოწაფეებს, ხანაც თვითონ მიაკითხავდა ხოლმე და ამოწმებდა, თუ სულიერების რა საზომს იყვნენ მიღწეულნი.

ხანგრძლივი მოღვაწეობის შემდეგ წმიდა იოანეს უფლისაგან გამოეცხადა აღსასრულის მოახლოება. ღირსმა მამამ იხმო თავისი მოწაფეები, დაარიგა, აკურთხა და ანდერძად დაიბარა, დაესაფლავებინათ იმ მღვიმეში, სადაც მოღვაწეობდა.

მოძღვრის განშორებით დამწუხრებულმა მოწაფეებმა ზედაზნის ძირას მდებარე მონასტერში წაასვენეს მოძღვარი. მოულოდნელად მიწა იძრა და არ დაწყნარებულა მანამ, სანამ არ გაიხსენეს წმიდა მამის ანდერძი და არ გულისხმაჰყვეს, რომ ეს მიწისძვრა ზეციური ნიშანი იყო. წმიდა იოანეს მოწაფენი მღვდლებისა და დიაკვნების თანხლებით მოძღვრის საფლავთან მივიდნენ, პატივით აღმოიყვანეს წმიდა ნაწილები და ანდერძისამებრ დაასაფლავეს. წმიდა ნაწილთა აღმოყვანების ჟამს მრავალი სნეული და ეშმაკეული განიკურნა.

X საუკუნეში, კათოლიკოს კლიმენტის (908-923) დროს, მღვიმის სამხრეთით წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია აშენდა. წმიდა იოანე ზედაზნელის საფლავი არის ტაძრის სამკვეთლოსთან.

წმიდა მღვდელმოწამე აბიბოსი მეფე ფარსმან VI-ის და ევლავიოს კათოლიკოსის თხოვნით ნეკრესის ეპისკოპოსად იქნა დადგენილი. იმ დროს აღმოსავლეთ საქართველოში სპარსელი მოგვები თავისუფლად აერცელებდნენ თავიანთ ცრუსწავლებას და მძლეურობით მრავალს გარდადრეკდნენ ჭეშმარიტებისაგან. ერთხელ ცეცხლთაყვანისმცემელთა მზაკვრობის სამხილებლად წმიდა მღვდელმთავარმა აბიბოსმა წყალი დაასხა სამსხვერპლოზე დანთებულ ცეცხლს და ჩააქრო. განრისხებულმა სპარსელებმა წმიდა აბიბოსი შეიპყრეს და სასტიკად გვემეს, შემდეგ კი ქვებით ჩაქოლეს. მარზპანის ბრძანებით წმიდანის გვამი ღია ცის ქვეშ დააგდეს მხეცთა საჭიჭნად, მაგრამ წმიდა მოწამის გვამს არ შეხებია არც მხეცი და არც ფრინველი.

ღამით რეზში მცხოვრების ქრისტიანები მივიდნენ და დიდი პატივით დაასაფლავეს წმიდა მღვდელმთავრის ცხედარი სამთავისის მონასტერში. მოგვიანებით ქართლის ერისმთავარმა სტეფანოზმა წმიდა აბიბოსის უხრწნელი ნაწილები სამთავისიდან მცხეთის სამთავროს მონასტერში გადაასვენა და წმიდა ტრაპეზის ქვეშ დაფლა.

წმიდა ანტონ მარტყოფელი მუდამ თან ატარებდა მაცხოვრის ხელთუქმნელ ხატს, რომელიც ედესიდან ჩამოასვენა. განმარტოების მოყვარულმა წმიდა მამამ მადლმოსილი ლოცვითა და სასწაულებით მრავალი ქრისტიანი მიიზიდა. წმიდა ანტონმა თანამოსაგრეებისთვის მონასტერი ააშენა, ხოლო თვითონ ჯერ ალაზნის გაღმა წავიდა, შემდგომ კი აკრიანის მთას შეაფარა თავი. მარტომყოფელ ბერს, რომელიც ბალახებითა და ხის ქერქით იკვებებოდა, უფალმა საზრდოს მისაცემად ირმები გაუგზავნა. წმიდა ანტონმა მთის მწვერვალზე ააშენა სვეტი, დაყუდა და იქ მოღვაწეობდა თერამეტი წელი. ღირს მამას უფლისაგან წინასწარ ეუწყა ხორცთაგან განსვლის დღე. გარდაცვალების დროს მამა ანტონი მაცხოვრის ხატის წინ იყო დაჩოქილი და ლოცულობდა. ღირსი ანტონის გვამი მოწაფეებმა სვეტიდან ჩამოასვენეს და მის მიერ დაარსებულ მონასტერში დაკრძალეს, ღვთისმშობლის ხატის წინ.

წმიდა დავით გარეჯელი საქართველოს ახალ დედაქალაქში, თბილისში დაემკვიდრა სამოღვაწეოდ. ქალაქის განაპირას აღმართულ მთაზე დაყუდებულმა ბერმა თავისი საკვირველი ქადაგებითა და წმიდა ცხოვრებით მრავალი ადამიანი მიიზიდა და ბევრი ცეცხლთაყვანისმცემელი მოაქცია. განრისხებულმა მოგვებმა ფეხმძიმე როსკიპი დედაკაცი მოისყიდეს და მამა დავითს მასთან მრუშობა დასწამეს. წმიდანმა კვერთხი შეახო დედაკაცის მუცელს და წარმოთქვა: „შენ, ჩვილო, გიბრძანებ სახელითა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა, რათა გვაუწყო ჩვენ, ვარ თუ არა მე მამა შენი“. ჩვილმა დედის მუცლიდან უპასუხა წმიდანს და სხვაზე მიანიშნა. განრისხებულმა ხალხმა დედაკაცი ქვებით ჩაქოლა. შეძრწუნებულმა დავითმა, რომელმაც გამძვინვარებული ბრბო ვერ შეაჩერა, მდინარე მტკვარზე გაფინა მოსასხამი, თავის მოწაფესთან, წმიდა ლუკიანესთან ერთად ზედ შედგა და, მიუხედავად თბილისელების მხურვალე ვედრებისა, ქალაქი დატოვა.

მამა დავითი და ლუკიანე გარეჯის უდაბნოში დასახლდნენ. მოსაგრეებს უფალმა სასწაულებრივ საზრდელი გაუჩინა. მათთან ყოველდღე, გარდა ოთხშაბათისა და პარასკევისა, ირმები მიდიოდნენ, ლუკიანე წველიდა, მამა დავითი რძეს ჯვარს გადასახავდა და იგი ყველად იქცეოდა. გარეჯელ მამათა სასწაულები მთელმა ქვეყანამ გაიგო და მალე იქ „დაემკვიდრნეს სიმრავლენი მამაკაცთანი, უდაბნოებითსა ცხოვრებასა შემატკბობელნი“.

ნინოწმიდიდან ღირს დავითთან მივიდა სათნოებით შემკული ბერი დოდო (ხს. ამაღლების შემდგომ ოთხშაბათს), რომელმაც მოძღვრის ბრძანებით კლდის რქაზე ააშენა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი.

რამდენიმე ხნის შემდეგ ღირსი დავითი იერუსალიმის მოსალოცად წავიდა. ბერმა თავისი ულირსების გამო წმიდა ქალაქში შესვლა არ ინება, კარიბჭესთან დიდხანს და მხურვალედ ილოცა, შემდეგ იმ ადგილიდან აიღო სამი ქვა და სიწმიდეებად წამოიღო საქართველოში. იმ ღამეს იერუსალიმის პატრიარქს, ელიას, უფლის ანგელოზი გამოეცხადა და აუწყა, რომ საქართველოდან მოსულ მამა დავითს თავისი სარწმუნოებით იერუსალიმის მთელი მადლი მიჰქონდა. პატრიარქის გაგზავნილმა კაცებმა ორი ქვა გამოართვეს მამა დავითს, მესამე კი წმიდა ბერმა საქართველოში ჩამოიტანა.

ხანგრძლივი და ღვთივსათნო ცხოვრების შემდეგ აღსრულებული მამა დავითი იქვე, გარეჯის სავანეში დაკრძალეს.

წმიდა ისე წილკნელი მამა იოანეს რჩევით ევლავიოს კათოლიკოსმა წილკნის ეპისკოპოსად აკურთხა. ღირსმა მამამ „ფრიადი ურწმუნონი სწავლითა მოაქცივნა, მოძღურება და ქადაგება განფინა სამწყსოსა თვისსა“. ერთხელ ღირსმა იოანემ გადაწყვიტა, სათნოებაში და სულიერებაში გამოეცადა თავისი მოწაფეები. წმიდა ისე მდინარე ქსნის ნაპირას ჩავიდა, ჯვარი გადასახა მდინარეს, შემდეგ კვერთხი შეახო და თქვა: „სახელითა უფლისათა გიბრძანებ, ჩემ მიერ კსინეით ვიდოდე და შემომიდეგ, ვიდრეცა ვიდოდე“. მდინარეს წყლის ნაკადი გამოეყო და ღირსი ისეს კვერთხს შეუდგა. ღირსმა მამამ წილკნის საყდრამდე მოიყვანა წყალი. ამ სასწაულმა მრავალი ხალხი მოაქცია ქრისტეს სჯულზე.

წმიდა ისემ უფლისაგან წინასწარ შეიტყო ხორცთაგან განსვლის დღე, ეზიარა წმიდა საიდუმლოს და ლოცვით შეჰვედრა სული უფალს. წმიდა მამა იქვე, წილკნის ღვთისმშობლის ტაძარში დაკრძალეს.

წმიდა იოსებ ალავერდელი განუშორებლად ატარებდა მაცხოვრის ცხოველმყოფელი ჯვრის ხისგან გაკეთებულ ჯვარს. წმიდა იოანე ზედაზნელის კურთხევით იგი კახეთის სხვადასხვა ადგილას ქადაგებდა, ბოლოს ალავერდის უდაბნო აირჩია და იქ დაიწყო მოღვაწეობა. ერთხელ სრულიად მარტო მყოფი ბერი შეხვდა მონადირე დიდებულს, რომელსაც ღვთის სიტყვა უქადაგა. მამა იოსების მადლიანი სწავლებით გახარებულმა დიდებულმა საფუძველი დაუდო ალავერდის მონასტერს. ხალხმა გაიგო მოღვაწე ბერის ამბავი და იწყო სიარული, რათა ეხილა საკვირველი მამა და მოესმინა მისი სწავლება. ბევრი იქვე დარჩა. დროთა განმავლობაში მეუდაბნოეთა რიცხვი გაიზარდა და დიდი კრებული შეადგინა.

დიდი ხნის მოღვაწეობითა და შრომით მოუძლურებულმა აბბა იოსებმა მოწაფეებს წინამძღვარი დაუდგინა და ღვთივ მიისვენა. იგი დაკრძალეს მის მიერ აშენებულ ალავერდის ტაძარში. აბბა იოსების საფლავზე მრავალი სასწაული აღესრულება.

წმიდა შიო მღვიმელი სარკინეთის კლდეთა შორის მდებარე მღვიმეში მოღვაწეობდა. უდაბურ ადგილას მოღვაწე ბერი თვით ყოველადწმიდა ღვთისმშობელმა აკურთხა. ეს ნახა სარკინეთის მთაზე სანადიროდ მყოფმა ციხედიდის მთავარმა ევაგრემ (ხს. 4 თებერვალს), მოინახულა საკვირველი ბერი და დაემოწაფა მას. მალე იქაურობა მეუდაბნოე მამებმა აავსო. წმიდა შიომ სარკინეთში სავანე დააარსა და ორი ათას ბერს მოუყარა თავი. წმიდა შიომ აღთქმა დადო, რომ დარჩენილ სიცოცხლეს მღვიმეში გაატარებდა. მღვიმე თავისსავე მონასტერში გათხარა და შიგ ჩავიდა. ღირსი შიო თხუთმეტი წელი მოღვაწეობდა მღვიმეში.

წმიდა ოხიდორე სამთავნელი მოძღვრის კურთხევით დიდხანს ქადაგებდა ქართლში. შემდეგ რეხულას აღმოსავლეთით დააარსა მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის სახელობის სამთავისის მონასტერი, ღირსი მამა მოწაფეებმა მის მიერ დაარსებულ მონასტერში დაკრძალეს.

წმიდა თაღეოზ სტეფანწმიდელი თავდაპირველად მცხეთაში მოღვაწეობდა. მან ზედაზნის ძირას ააშენა მონასტერი. წმიდანი ქადაგებდა ქართლში, სადაც მრავალი ეკლესია ააშენა, მათ შორის წმიდა პირველმოწამე სტეფანეს სახელობის ტაძარი ურბნისში. შემდეგ დაეყუდა წლევის მთის მღვიმეში (კასპთან). აღესრულა და დაკრძალულია იქვე.

წმიდა სტეფანე ხირსელი თანამოსაგრეებთან ერთად ქადაგებდა კახეთში. დაკრძალულია წმიდა სტეფანე პირველმოწამის სახელობის ტაძარში, სამკვეთლოსთან.

წმიდა ზენონ იყალთოელი ქადაგებდა კახეთის მთიანეთში, შემდეგ იყალთოში დააარსა მონასტერი და იქ მოღვაწეობდა სიკვდილამდე. დაკრძალულია მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატის სახელობის ტაძარში.

წმიდა პიროს ბრეთელმა, „ღვთაებრივმან ხატმან სინანულისამან“, მდინარე ჯვარისწყლის მარცხენა სანაპიროზე, ბრეთში დააარსა სავანე. მისი წმიდა ნაწილები ამ მონასტერშია დაკარძალული.

წმიდა მიქაელ ულუმბოელი ქადაგებდა ზემო ქართლსა და ოსეთში. ულუმბოს ახლოს დააარსა დიდი სავანე. იქვე განისვენებს მისი სასწაულთმოქმედი წმიდა ნაწილები.

წმიდა ასურელ მამათა დაარსებულ ლავრებსა და სავანეებში იწვრთნებოდნენ ქართველთა შვილები გონებით და ზნეობით, ამ უდაბნოებიდან ეფინებოდა ქართველობას მადლი და კურთხევა. ეს სავანეები და მათი დამაარსებელი წმიდა მამები გახდნენ ქართველთა მფარველნი და მათი დამცველნი უსჯულოებისა და ბიწიერებისაგან.

სარწმუნოების განმტკიცება ყოფილა ასურელი მამების უმთავრესი დამსახურება.

ნათქვამია, გარეჯში სამჯერ წასულა იერუსალიმის მოლოცვის ტოლფასიაო. წარმოიდგინეთ, თქვენ 13 ასურელი მამის საფლავი მოილოცეთ და რისი ტოლფასი იქნება, ეს მადლი, თავად განსაზღვრეთ.

14.3.3 საერთაშორისო პილიგრიმული ტურისტული მარშრუტების მნიშვნელობა საქართველოსთვის

გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში ნებისმიერი ქვეყნის წარმატებული განვითარება შეუძლებელია მსოფლიო ბაზართან ურთიერთობის გარეშე და ქვეყნის შიგა ეკონომიკური და საფინანსო პოლიტიკის გლობალურ და რეგიონულ ლიდერებთან კოორდინაციის გარეშე.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების განვითარების ისტორიული გამოცდილების მრავალფეროვნება ადასტურებს, რომ შეუძლებელია ნებისმიერი სახელმწიფოს მდგრადი განვითარება მსოფლიოს სამეურნეო კავშირებში მისი აქტიური ჩარევის გარეშე. შრომის საერთაშორისო დანაწილების თანამედროვე დონემ ფაქტობრივად არ დატოვა მსოფლიო რუკაზე ქვეყნები, რომელთა ეკონომიკური ცხოვრება იზოლირებულია მსოფლიო სამეურნეო პროცესისაგან და მოქცეულია ვიწრო, ეროვნულ ფარგლებში.

თანამედროვე ეკონომიკა ითვლის 50-ზე მეტ დარგს, რომელიც ტურიზმთან არის დაკავშირებული, ასე, რომ სინერგია უზარმაზარია. მრავალი ქვეყნის მთავრობა ტურიზმს განიხილავს როგორც საკუთარი პოლიტიკის მნიშვნელოვან ასპექტს ეკონომიკური განვითარების კონტექსტით. რასაც საქართველოს ინტერირება რეგიონულ ეკონომიკაში და ამით ქვეყნის პოტენციალის ზრდა და შეუქცევადი განვითარება, დიდწილად დამოკიდებულია სრულფასოვანი და მაღალი ხარისხის ტურისტული ინდუსტრიის განვითარებაზე [22:44-48].

საქართველოს ობიექტურ სტრატეგიულ მიზნად უნდა მივიჩნიოთ მისი მონაწილეობა საერთაშორისო ურთიერთობების გლობალიზაციისა და პერსონიფიცირების პროცესში. საქართველო უნდა იყოს მსოფლიო ეკონომიკური პროცესების ცენტრში. საქართველოს სრულფასოვანი ინტეგრირება რეგიონულ ეკონომიკაში და ამით ქვეყნის პოტენციალის ზრდა და შეუქცევადი განვითარება, დიდწილად დამოკიდებულია სრულფასოვანი და მაღალი ხარისხის ტურისტული ინდუსტრიის განვითარებაზე [21:41-48].

განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის სტრუქტურაში დომინირებს მომსახურების სფერო. აღვნიშნავთ, რომ მოთხოვნილება მომსახურება ატარებს არა მარტო ეკონომიკურ ხასიათს, არამედ – სოციალურსაც, რომელიც აისახება მატერიალურ და არამატერიალურ სფეროში, კულტურაში და ეკონომიკაში.

მომსახურებათა სფეროს ერთ-ერთ მიმართულება ტურისტული ბიზნესია, ის XXI საუკუნის ყველაზე მასობრივ ფენომენს წარმოადგენს, რომელმაც მოიცვა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო და შეცვალა გარემომცველი სამყარო. ჩვენი აზრით, საქართველოს მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის ერთერთ ფაქტორს წარმოადგენს სრულყოფილი და მაღალხარისხიანი სტუმართმასპინძლობის ინდუსტრიის განვითარება – ტურისტული ინდუსტრია, ტურისტული ბიზნესი, კულტურული და რელიგიური ტურიზმი, რადგან საქართველო გამორჩეულია მსოფლიოში უნიკალური ტურისტული პოტენციალით და მრავალფეროვნებით.

ტურიზმი ისევე, როგორც ადამიანის ყველა სხვა საქმიანობა მიმართულია მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაკენ და აგრეთვე ადამიანის სულიერი და კულტურული განვითარებისაკენ. ეს ისეთი საქმინაობაა, სადაც ადამიანი იღებს ადამიანებთან ურთიერთობის გამოცდილებას. ყველა სახის ტურიზმს,

იმასაც კი რომელსაც არ გააჩნია რაიმე სპეციფიკური მიმართულება და თავისებურება, შეუძლია დიდი როლი ითამაშოს საზოგადოების განვითარებაში და ურთიერთობების დამყარებაში სხვა და სხვა ეროვნების, რელიგიის და კულტურის წარმომადგენლებს შორის.

მრავალი საუკუნის განმავლობაში რელიგიური წარმოდგენები განსაზღვრავდნენ საზოგადოებრივ ცნობიერებას, ადამიანთა და ხალხთა სოციალურ ორგანიზებას. რელიგია ადამიანებს აერთიანებდა უფრო მყარად, ვიდრე რასობრივი, ეროვნული, ტერიტორიალური და ოჯახური კავშირებიც კი.

ამჟამად თემა „ტურიზმი და რელიგია“ მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს. მსოფლიოში უფრო და უფრო მეტ განვითარებას იღებენ შემეცნებითი, მათ შორის რელიგიური ტურიზმის სხვადასხვა სახეობები. ისტორიის სხვადასხვა პერიოდებში, სხვადასხვა კონფესიის მორწმუნეთა პილიგრიმულ მარშრუტებში შედიოდა საბერძნეთი, ეგვიპტე, საუდის არაბეთი, ისრაელი, პალესტინა, საქართველო, იორდანია, იტალია, ინდოეთი, ტიბეტი და სხვ.

ძლიერია მომლოცველობის ტრადიცია მართლმადიდებლურ ქრისტიანულ რელიგიაში. ქრისტიანობაში მომლოცველობა მკვიდრდება, როგორც საკულტო მოქმედების ერთ ერთი სახე მე-4 საუკუნიდან. საექსკურსიო და სამომლოცველო მოგზაურობები ქრისტიანების ცხოვრებაში დიდ ადგილს იკავებს. ეს იმით არის განპირობებული რომ ქრისტიანულ რელიგიაში დიდი ხანია არსებობს მომლოცველობის ტრადიცია, აგრეთვე პოპულარულია მომლოცველების მიერ რელიგიური ობიექტების სტუმრობა [14: 59-64].

რელიგიური ტურიზმის განვითარების ისტორიის და თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი საშუალებას გვაძლევს მნიშვნელოვანი დასკვნა გავაკეთოდ, ის მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფო, საზოგადოებრივი, კომერციული და რელიგიური ორგანიზაციების ერთობლივი და გეგმაზომიერი მუშაობის შედეგად, შეიძლება მივაღწიოთ იმას, რომ რელიგიური ტურიზმი ხელს შეუწყობს საზოგადოების სხვადა სხვა ფენის ადამიანებს და სხვადასხვა ტრადიციული კონფესიების წარმომადგენლებს, ქვეყნის სხვადასვა კუთხეებს, სხვადასხვა ქვეყნებს შორის ურთიერთგაგებას, ურთიერთპატივისცემას.

ეს ერთი მხრივ, ამასთან გასათვალისწინებელია, რომ დღევანდელ დღეს ტრადიციული ღირებულებების, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და მათი მომავალი თაობებისთვის გადაცემა, ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანაა, რომელიც ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია გადაწყდეს ტურიზმის, უპირველესად კი რელიგიური ტურიზმის განვითარების გარეშე.

მართლმადიდებლური ქვეყნებიდან ამ მხრივ საბერძნეთი, რუსეთი, რუმინეთი და ბულგარეთი გამოირჩევა, რომელთა ხელისუფლება უდიდეს ძალისხმევას ხარჯავს ამ მიმართულების ტურიზმის გასავითარებლად. რელიგიურ ტურიზმს ეკონომიკური სარგებელი მოაქვს ადგილობრივი მოსახლეობისათვის, სახელმწიფო სტრუქტურებისათვის, ტურისტული ორგანიზაციებისათვის, რელიგიური დაწესებულებებისა და კერძო მეწარმეებისათვის [14: 59-64].

„... სტატისტიკური მონაცემები სრულად ვერ ასახავს საქართველოში რელიგიური ტურიზმის განვითარების რეალურ სურათს, რადგან არა გვაქვს წარმოდგენილი იგივე საქმიანობით დაკავებული ტურისტული კომპანიებიდან მოწოდებული სტატისტიკა (ტურისტთა რაოდენობის შესახებ რეალური ინფორმაციის მიღება კერძო ტურისტული კომპანიებიდან თითქმის შეუძლებელია)“.

ოფიციალური ციფრების არარსებობა იმით აიხსნება, რომ რელიგიური ტურიზმი როგორც ასეთი, არ კვალიფიცირდება, მაგრამ კულტურულ-შემეცნებითი ტურიზმის გრაფაში ხვდება. მკვლევარები და ექსპერტები თვლიან და ჩვენც მათ ვეთანხმებით, რომ ქვეყანაში ტურიზმის აღრიცხვის სტრატეგიულ გეგმაში ჩართული უნდა იყოს კიდევ ერთი კატეგორია – რელიგიური ტურიზმი.

საქართველოში 12 000-მდე ისტორიული და არქიტექტურული ძეგლია და ჩვენი ქვეყნის რესურსები ამ მხრივ ძალზე დიდია. მატულობს უცხოელთა დაინტერესება ჩვენი ქვეყნის რელიგიური რესურსებით, საქართველოს უნიკალური კულტურულ-ისტორიული ერთიანობა რომელმაც შეითავსა თავის თავში კულტურული ღირებულებები: არქიტექტურის ძეგლები, ხალხური კულტურა, ტრადიციები, მუსიკალური და სამხატვრო ხელოვნება, ისტორიულ – ეთნიკური და ბუნებრივი გარემო, ქმნის რელიგიური ტურიზმის განვითარების დიდ პოტენციალს, მაგრამ სამწუხაროდ ამ პოტანციალის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია გამოყენებული.


გლობალიზაციის პირობებში ისტორიულ-კულტურული და ტრადიციული ფასეულობების შენარჩუნება და მათი გადაცემა მომავალი თაობებისათვის პრიორიტეტული ამოცანა ხდება, რომელიც ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია ზოგადად ტურიზმის და განსაკუთრებით კი რელიგიური ტურიზმის განვითარების გარეშე.

საქართველოს უნიკალური კულტურულ-ისტორიული ერთიანობა რომელმაც შეითავსა თავის

თავში კულტურული ღირებულებები: არქიტექტურის ძეგლები, ხალხური კულტურა, ტრადიციები, მუსიკალური და სამხატვრო ხელოვნება, ისტორიულ – ეთნიკური და ბუნებრივი გარემო, ქმნის რელიგიური ტურიზმის განვითარების დიდ პოტენციალს, მაგრამ სამწუხაროდ ამ პოტანციალის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია გამოყენებული.

2017 წლის არსებული სტატისტიკური ინფორმაციით საქართველომ ტურიზმიდან შემოსავლების სახით 2.7 მილიარდი აშშ დოლარი მიიღო. ამავე წელს საქართველოს 7,554,936 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, იანვარი – დეკემბრის თვის მაჩვენებლებით იმ უცხოელი მოგზაურების ანუ ტურისტების რიცხვმა, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს საქართველოში, 3,478,932 შეადგინა.

საქართველოში მოგზაურობის მიზნები



წყარო: საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტო. 2010 წლის ცხრა თვის მონაცემები


როგორც სტატისტიკიდან ჩანს, 2010 წლის ცხრა თვის მონაცემებით რელიგიური-პილიგრიმული ტურიზმს საქართველოში მოგზაურობის ძირითად მიზნად საერთაშორისო ტურისტთა მხოლოდ 1%-ი ასახელებს.

ეს მაჩვენებელი დიდად არც 2017 წელს შეცვლილა და იგი მხოლოდ საერთაშორისო მოგზაურთა დაახლოვებით 2%-ს შეადგენს.

არადა, რელიგიური ტურიზმი არის ერთ-ერთი აქტიურად განვითარებადი ტურისტული მიმართულება მთელს მსოფლიოში და საქართველოშიც დიდი პოტენციალი გააჩნია. რელიგიური ტურიზმისადმი გაზრდილი ინტერესი გარდაქმნის მას მნიშვნელოვან ფაქტორად, რომელიც უზრუნველყოფს სოციალურ სტაბილურობას და საერთაშორისო დიალოგს.

დაახლოებით 90% ისტორიულ-ულტურული ობიექტებისა მთელს მსოფლიოში წარმოადგენს ტურისტულ ინტერესს და მათ პირდაპირი კავშირი აქვთ რელიგიასთან. ამიტომ აუცილებელია რელიგიური ტურიზმის როლის გაგება საზოგადოების ცხოვრებაში, უნდა გამოვლინდეს მისი პოტენციალი, უნდა იყოს მიღებული ზომები მისი განვითარების და ოპტიმიზაციისა, რათა გარკვეული იყოს მისი როლი მომავალში.

ახლა ბევრს საუბრობენ, რომ შეინიშნება ადამიანის ინტერესების აქტიური გამოვლინება, კერძოთ საქართველოს მოქალაქეებისა თავისი ისტორიული ფესვებისადმი, რელიგიისადმი, თაყვანისცემის ობიექტებისადმი წმინდა ადგილებისადმი, რელიგიური ცენტრებისადმი, ისტორიულ-რელიგიური ძეგლებისადმი. თუმცა ამას არ მოწმობს სტატისტიკა, სადაც შიდა მოგზაურობებს შორის რელიგიურ ტურიზმი მხოლოდ 1.7%-ია.




წყარო: შიდა მოგზაურობა საქართველოში-საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. აპრილი – დეკემბერი 2016.

მეორეს მხრივ არის ობიექტური მიზეზებიც, როგორიცაა ქვეყნის სიმცირე, ჯერ კიდევ პატარა მოცულობის ეკონომიკა, ქრისტიანული სამყაროს შეიძლება ითქვას პერიფერიაზე ყოფნა ვერ უზრუნველყოფს საქართველოს მძლავრად შეღწევას და დამკვიდრებას მსოფლიო ტურისტულ, მათ შორის რელიგიური ტურიზმის ბაზარზე. ქვეყანას მეტი პოპულარიზაცია ჭირდება, ამისათვის საჭიროა, საქართველოდან დაიწყოს და დაინერგოს ახალი საერთაშორისო ტურისტული მარშრუტები, რომლებიც შესაძლოა მომავალში მრავალ ქვეყანას გადაწვდეს და არა მარტო ქვეყნის წარმოჩენას და შემოსაელების მატებას, არამედ დიდწილად რეგიონულ სტაბილურობასაც შეუწყოს ხელი.

ჩვენი აზრით, ამ მხრივ დიდი როლი შეიძლება შეასრულოს **„წმ. ანდრია პირველწოდებულის გზამ“.**

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია სამოციქულო ეკლესიაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენში, პირველ საუკუნეში ქრისტეს მოძღვრება საქართველოში იქადაგეს მაცხოვრის მოციქულებმა. – ანდრია პირველ-წოდებულმა, სიმონ კანანელმა, მატათამ, ბართლომემ. საეკლესიო გადმოცემის უტყუარობას ადასტურებს როგორც ქართული, აგრეთვე უცხოური წერილობითი წყაროები, რომლებიც საინტერესო ცნობებს გვაწვდიან საქართველოში მოციქულთა მოღვაწეობის შესახებ.

2001 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიასთან დააფუძნა ფონდი „ქრისტიანული კულტურის საერთაშორისო ცენტრი“, რომელის ბაზაზეც შეიქმნა სამეცნიერო ექსპედიცია – „წმ. ანდრია პირველწოდებულის გზის მკვლევი ექსპედიცია“. ეს სამეცნიერო ექსპედიცია შეისწავლიდა წმ. ანდრია პირველწოდებულის მიერ განვლილ გზას საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. ექსპედიციების შედეგების ანალიზმა ცხადყო, რომ წმ. ანდრია პირველწოდებულის საქართველოში მოგზაურობის შესახებ არსებულ უცხოურ და ქართულ წყაროებში მოხსენიებული გადმოცემები, მარშრუტები და ტოპონიმიკა და ექსპედიციის მიერ განვლილი მარშრუტები, ამ გზებზე არსებული თუ მოძიებული პუნქტების ძველი თუ თანამედროვე დასახელებები ხშირად ერთმანეთს ემთხვევა [57:4-7].



ანდრია პირველწოდებულის მიმოსვლა-ქადაგებათა შესახებ უძველესი გადმოცემები II საუკუნიდან ჩნდება. ამის შემდგომ, სხვადასხვა რედაქციებში ეს გადმოცემები დამატებითი ცნობებით ივსებიან, ფართოვდება მოციქულთა მოღვაწეობის გეოგრაფიული არე.

ადრეულ ბერძნულ-ლათინურ ტექსტებში დაცული, უძველესი ტრადიციის მიხედვით, ანდრიასა და მის თანაშემწე მოციქულთა მიერ ქრისტიანობაზე მოსაქცევ ქვეყნებად დასახელებულია შავი ზღვის სამხრეთი სანაპირო და სკვითები. ანდრია პირველწოდებული ქადაგებდა „ქუეყნითი ქუეყნად, და ქალაქითი ქალაქად, და სოფლითი

სოფლად“; შავი ზღვის სამხრეთიდან ჩრდილოეთში მიმავალი გზები, ბუნებრივად საქართველოზე გადიოდნენ; ამიტომაც მომდევნო რედაქციებში, ამ გზათა შემცველი მხარეები დაკონკრეტდა საქართველოს დასავლეთსა და სამხრეთში.


ზემოთქმულს ხელს უწყობდა ისიც, რომ ძველ უცხოურ წყაროებს ზოგჯერ ერევათ ერთმანეთში ქართველთა და სკვითების ტერიტორია, ან ქართველები სკვითების მეზობლად გამოჰყავთ. შესაძლოა ამას ერთგვარად მხარს უბამდა სკვითიების ტომის მოხსენიება ქსენოფონტთან, მდ. ჭოროხის დასავლეთით, რომლის სახელწოდება მეგრულ-ჭანური „შკვითით“ (შვიდი) იხსნება.

სკვითების მიყოლებით ჩნდება აბაზგია და დიდი სებასტოპოლისი, აფსართა ციხესიმაგრე, ისოს ნაცსადგური და მდინარე ფაზისი, სადაც ცხოვრობდნენ, იბერები, სუსები, ფუსტები და ალანები. ეს ცნობები ეპიფანე კვიპრელისაგან (310-403 წწ.) აულია და გამოუყენებია „წმინდა ანდრიას ცხოვრებაში“ ეპიფანე მონაზონს (+780). მანვე შექმნა კონცეფცია ანდრია მოციქულის სამი მოგზაურის შესახებ, რაც საფუძვლად დაედო ყველა მომდევნო გამოცემას.

ეპიფანე მონაზვნის ნაწარმოები შემდგომში გადაამუშავა ნიკიტა დავით პაფლაგონელმა (IX-X სს.), ხოლო ექვთიმე მთაწმინდელმა (XI ს.) შექმნა „მოსახსენებელი მიმოსვლათათვის და ქადაგებათა ყოვლად ქებულისა და დიდებულისა მოციქულისა ანდრიასი“. ეს უნდა იყოს ერთერთი ბერძნული რედაქციის ქართული თარგმანი, რომელიც როგორც ირკვევა, ექვთიმე მთაწმინდელს უთარგმნია 1011 წ. შეიძლება ვიფიქროთ, იმავე ბერძნული ტექსტის პარალელური რუსული თარგმანია გადმოცემული უკანასკნელ მოსკოვურ გამოცემაში (А. Ю. Виноградов, 2004).

ექვთიმესეული თარგმანის მიხედვით, პირველი მოგზაურობის დროს პეტრე, ანდრია, მატათა და გაიოზ ჩადიან ანტიოქიაში; ამის შემდგომ ანდრია „მიიწია ტრაპეზუნდად, რომელი იგი არს სოფელსა მეგრელთასა, სადა იგი დაყო ჟამი მცირედი... განვიდა მიერ და შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, ვინაიცა – იგი დაყო ჟამი ფრიადი და მრავალნი განანათლნა სიტყჳთა მოძღურებითა მისისაჲთა“. აშემდეგ პართიის გავლით, მოციქული იერუსალიმში მისულა.

პარალელური ბერძნული ტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ ავტორი „ლაზიკეს“ „მეგრელთა სოფლად“ თარგმნის, ხოლო „იბერიას“ კი უწოდებს „ქუეყანასა ქართლისასა“. გარდა იმისა, რომ ეს XI საუკუნის განათლებული ქართველის შეხედულებას ასახავს თავის სამშობლოზე, ფაქტობრივად ასე იყო I საუკუნეში: იბერია ამ დროს შავ ზღვაზე გადიოდა.



მეორე მოგზაურობისას ანდრია და იოვანე, მიდიან ქალაქ ეფესოს; ანდრიას აქ ეჩვენა იესო ქრისტე, რომელმაც უბრძანა წასვლა ბითვინიაში და გუთეთის ქვეყანაში. მიუხედავად ბერძნული ტექსტისადმი თითქმის სიტყვასიტყვით მიდევნებისა, ექვთიმე სკვითიას თარგმნის „ქუეყანად გუთეთისა“. აქ უნდა ასახულიყო ცოდნა იმისა, რომ სკვითებს შემდგომში გუთები შეენაცვლნენ.

ნიკეის შემდგომ ანდრია მოციქულს მოუნახულებია ქალკედონი, სინოპი, სადაც მას თითი მოაჭამეს და ქალაქი ზალიქოჲ. ამის შემდეგ ანდრია მოციქული „მიიწია ტრაპეზუნდად, ქალაქსა მას სამეგრელოჲსასა, მიერ წარვიდა და მივიდა ნეოკესარიას“, მერე სამოსატსა და იერუსალიმს. ამჯერადაც „ლაზიკა“ თარგმნილია როგორც „სამეგრელო“. მესამე სამოციქულო მოგზაურობაში ანდრია პირველწოდებულს ახლდნენ სიმონ კანანელი, მატათა და თადეოზი. ამ მოგზაურობის მნიშვნელობის გამო, შეიძლება ის უფრო დაწვრილებით განვიხილოთ.

მოციქულები ჩადიან ქალაქ ედესაში, სადაც თადეოზი რჩება იქაურ მთავარ ავგაროზთან; ანდრია, სიმონ და მატათა „მოიწინეს ქუეყანად ქართლისა და ციდრე მდინარედმედ ჭოროხისა“. ბერძნულ ტექსტში გვაქვს „იბერია“ და „ფაზისი“, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ბერძნული წყაროები რიონის გარდა ფაზისს უწოდებდნენ ჭოროხსაც. ექვთიმესეული თარგმანის მიხედვით, „მერმე შთავიდეს სოსანელთა სოფელსა (ასე ეწოდებოდა ქვეყანას) ხოლო დიდი ანდრია, სÂიმონითურთ შევიდეს ქუეყანასა ოვსეთისასა და მიიწიეს ქალაქად, რომელსა ეწოდების ფოსტაფორ“. ეპიფანე კონსტანტინოპოლელი მონაზვნის მონათხრობი ამ ადგილას ოდნავ ვრცელია, თან არსებითი; ანდრია, სიმონი და მათე ჩადიან იბერიასა და ფაზისში (აქ სახელს „მდინარე“ არ ახლავს), „ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ სუსანიაში. ამ ტომის მამაკაცებს მბრძანებლობდნენ ქალები. ადვილად დამყოლია ქალის ბუნება და ისინიც მალე დამორჩილდნენ (მოციქულთა მოძღვრებას). მათე მოწაფეებითურთ დარჩა იმ ქვეყნებში... ხოლო სიმონი და ანდრია ავიდნენ ალანიაში და ქალაქ ფუსტაში“. ამასვე იმეორებს ბერძნულ-რუსული ბოლო გამოცემა. საბინინისეული რედაქციის მიხედვით კი, სოსანელთა მთავარი ვინმე დედაკაცია, რომელმაც ირწმუნა მოციქულთა ქადაგება. მატათა დარჩა იქ, ანდრია და სიმონყ კი, ოსთა ქვეყანაში, ქალაქ ფოსტაფორს მოვიდნენ.

სუსანია-სოსანელთა და სუსებს სვანეთში ვარაუდობდა ს. ყაუხჩიშვილი. ჰ. ინგოროყვა კი, მას სანია-სანიგების მხარედ მიიჩნევდა, ჭოროხისა და აფსარის რაიონში. მატათას ამ მხარეში დარჩენის შესახებ ზემომოტანილ ცნობებს, ავტორი ამატებდა სოფრონის (IV ს.) ვერსიას: „მატათამ... იქადაგა სახარება მეორე ეთიოპიაში, სადაც არის აფსარის ციხესიმაგრე და ჰუსის ნავსადგური... იქვე გარდაიცვალა და დამარხულია დღემდე“. აფსარი გონიოდაა მიჩნეული.

ქართულ რედაქციებში ბერძნული ტექსტის ალანია და ქალაქი ფუსტა თარგმნილია ოსეთად და ქალაქ ფოსტაფორად. შესაძლოა აქ ბერძნული „ფუსტან პოლინ“-ის დამახინჯებასთან გვქონდეს საქმე, რას ზოგ ქართულ რედაქციაში „ბოსფორ“-ადაც კი აისახა.


ამ პუნქტს ს. ყაუხჩიშვილი მისიმიელთა მხარეში, თუ მის მეზობლად ვარაუდობდა 20. სარწმუნო უნდა იყოს მოსაზრება დ. მუსხელიშვილისა, რომ ამტყელის ხეობაში დადასტურებული სახელი აფუსტა, ძველი ფუსტაა.

ექვთიმესეული თარგმანის მიხედვით, ფოსტაფორიდან მოციქულები „შევიდნენ ქუეყანასა აფხაზეთისასა და სევასტიად ქალაქად მივიდეს... მუნ დაუტევა ნეტარმა ანდრია სჳმონ კანანელი... და თავად ჯიქეთისა ქუეყანასა წარვიდა“.

პარალელურ ბერძნულ ტექსტშია „აბასგია“ და „დიდი სებასტოპოლი“, ასევეა ეს ეპიფანე კონსტანტინოპოლელთან, სადაც დამატებით ჩანს, რომ ანდრიამ დამოძღვრა „გორსინები დიდი სებასტოპოლისში“. ექვთიმეს ტექსტიდან ვიტყობთ, რომ ანდრია შემდგომ მისულა „ბოსფორ ქალაქად“, რომელიც ექვსინის ზღვის კიდესაა, მეოტიის ტბასთან. იქვე ყოფილა „ლუსკუმაჲ, რომელსაზედა სწერია სახელი სÂმონ მოშურნისაÂ. ხოლო სჳმონ კანანელისა საფლავი არს ნიკოფსე ქალაქსა შორის აფხაზეთისა და ჯიქეთისა“. ბერძნულ ტექსტში სიმონ კანანელის საფლავი მოხსენიებულია „ზიკხების ნიკოფსე“-ში.

ასეთია „ანდრიას მიმოსვლის“ ექვთიმესეული თარგმანის საქართველოსთან დაკავშირებული მომენტები. ამას გარდა, არის კიდევ ერთი რედაქცია ამ ნაწარმოებისა, რომელიც მეცნიერ კაცთა კომისიას (XVIII ს.) ჩანართის სახით შეუტანია „ქართლის ცხოვრებაში“. ის უფრო ვრცელი და დეტალურია, ვიდრე ექვთიმესეული ტექსტი და საყურადღებო განსხვავებებსაც შეიცავს.

ქართლის ცხოვრებისეული ტექსტის მიხედვით, ღმრთისმშობელმა თაყის წილხვდომილ საქართველოში, ანდრია პირველწოდებული გამოაგზავნა, ღმრთისმშობლის ხელთუქმნელი ხატით. ძველი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი, ადერკის მეფობის ჟამს, იხსენიებს წმინდა მოციქულებს.



იქ იკითხება: „მოვიდეს... ანდრია და სჳმონ კანანელი აფხაზეთს და ეგრისს. და მუნ აღესრულა წმინდა სჳმონ კანანელი ქალაქსა ნიკოფსისასა, საზღვარსა ბერძენთასა. ხოლო ანდრია მოაქციენა მეგრელნი და წარვიდა გზასა კლარჯეთისასა“. ამას მოსდევს ჩანართი, საიდანაც ჩანს, რომ ანდრია მოსულა ტრაპიზონში, მეგრელთა ქალაქში, იქიდან შესულა ქართლის ქვეყანაში, „რომელსა დიდაჭარა ეწოდების“. მისი ქადაგებით ხალხი მოქცეულა ქრისტეს სარწმუნოებაზე. იქ, სადაც მან ღმრთისმშობლის ხატი დაასვენა, აღმოაცენა წყარო, რომელიც „ვიდრე დღესაცა დაუწყუედელად აღმოსდის“. აქვე მოციქულს დაუდგენია მღვდლები, აუგიათ ეკლესია ღმრთისმშობლის სახელობისა.

ადგილობრივ მოსახლეობას აღარ უნდოდა მოციქულის გაშვება, მაგრამ რაკი სხვა გამოსავალი არ იყო, მისთვის უთხოვიათ ღმრთისმშობლის ხატის დატოვება. ანდრიას ამ ხატზე ფიცრის დადებით, შეუქმნია მეორე ხატი, რომელიც ეკლესიაში დაუსვენებიათ; ისიც „ვიდრე დღეს აქამომდე ჰგიეს“. ამ ჩანართის მიხედვით, დიდ-აჭარიდან ანდრია „წარმოემართა და გარდამოვლო მთა, რომელსა ეწოდების რკინის-ჯუარი, და თქმულ არს, ვითარმედ ჯუარი იგი თÂთ ნეტარისა ანდრიას მიერ აღმართებულ არს“. აქედან მოციქულს ჩაუვლია ოძრახის ხევი, მოსულა სამცხის საზღვრებში და შეჩერებულა სოფელ ზადენ-გორასთან. აქ მას უნახავს, თუ როგორ სწირავდნენ მსხვერპლს იქაურები ყრუ კერპებს. ღმრთისმშობლის ხატთან ლოცვის მეშვეობით, ეს კერპები დაემხვნენ და შეიმუსრნენ.

ამის შემდგომ ანდრია „წარმოემართა და მოიწია აწყვერს, რომელსა პირველად ეწოდებოდა სოსანგეთი, და პირისპირ საკრისი“. აქ იგი გაჩერებულა საკერპო ტაძრის სიახლოვეს, „რომელსა აწ ძველეკლესია ეწოდების“. მაშინ თურმე იქ კერპებს ემსახურებოდნენ. ჩანართის ტექსტის მიხედვით, იმ ადგილებში მაშინ მთავრობდა ქვირივი ქალი, ვინმე სამძივარი, რომელსაც ერთადერთი ძე მოჰკვდომოდა. ღამე ადგილობრივ მოსახლეებს დაუნახავთ დიდი ნათელი, ციხეში დასვენებული ღმრთისმშობლის ხატიდან რომ აშუქებდა. გაკვირვებულებს მოუკითხავთ იქ მყოფთა ვინაობა და ქვრივი მთავრისათვის მოუხვენებიათ: უცნობნი არიან, უცხო ღმერთს ქადაგებენ სიცოცხლის მომნიჭებლად, მკვდართა აღმდგენელად და პატივს სცემენ მშვენიერ ხატსო. ქვრივი ქალის თხოვნით ანდრია მოციქულმა მისი ძე მკვდრეთით აღადგინა, რის შემდეგაც დედა-შვილმა, მათი სახლეულით ნათელიღეს. ქვრივმა დედაკაცმა იხმო სამცხის მთავრები და საკრისის ველი გაიესო ხალხით. ქალაქის საკერპო ბომონში, არტემისა და აპოლონის კერპებს ეთაყვანებოდნენ. ყოვლადწმინდის ხატის მეშვეობით მოციქულმა ეს კერპები შემუსრა და მთელმა იქაურმა მოსახლეობამ ირწმუნა ქრისტე ღმერთი.

ამის შემდგომ ანდრიამ დაუდგინა მათ ეპისკოპოსი, მღვდლები, დიაკონნი, ხოლო ხალხის თხოვნაზე დაეტოვებინა მათთვის ხატი მან უპასუხა: „ვითარ იგი ყოვლად წმინდასა ღვთისმშობელსა წილ-ხუდა ქვეყანა ესე სამცხისა, და მის მიერ წარმოგზავნილ არს აქა ხატი იგი სასოდ და მცველად

წილხვდომილთათჳს და ჯერეთცა ეგრედ არს, რათა დაესვენოს აქა მკÂდრად უკუნისამდე ჟამთა“. ასე მიულიათ ეს ხატი აწყვერლებს „და დაასვენეს ყოვლად დიდებული ხატი ყოვლად წმიდისა აწყვერის ღვთისმშობლისა, მცირესა მას ეკუდერსა, რომელსა აწ ძველ-ეკოესიად სახელ-სდებენ“. აწყვერიდან ანდრია მოციქული სხვა ადგილებში წასულა საქადაგებლად.

აქ თავდება ძირითადი ჩანართი, რის შემდეგაც ძველი „ქართლის ცხოვრება“ აგრძელებს ჩანართის წინ დაწყებულ ამბავს ანდრიას მიერ მეგრელთა მოქცევასა და კლარჯეთს წასვლაზე. მეფე ადერკის მეგრელები უკანვე მოუქცევია, ხოლო კლარჯეთის ერისთავს – გასწყრომია მოციქულის მშვიდობით გაშვებისათვის.

შემდეგ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტში მეორე ჩანართია, საიდანაც ჩანს, რომ იერუსალიმში მარტჳლის დღესასწაულის აღსრულების მერე, ანდრია და სხვა მოციქულები მოსულან „ქუეყანასა ქართლისასა“. შემდეგ გაუვლიათ „ტაოს კერძი ქუეყანა, ვიდრე მდინარედ ჭოროხამდე“. ასე ქადაგებით მოსულან „სვანეთისა ქვეყანასა“. მაშინ იქაც ვინმე დედაკაცი მთავრობდა, რომელსაც შეუსმენია მოციქულთა ქადაგება. მატათა იქ დარჩენილა, ხოლო ანდრია და სიმონი შევიდნენ „ქვეყანასა ოვსეთისასა“, მივიდნენ ქალაქ ფოსტაფორში.

მათი მოქცევის შემდგომ, მოციქულები წასულან „ქუეყანასა აფხაზეთისასა და სევასტე ქალაქად მივიდეს, რომელსა ეწოდება ცხუმი“. აქ ანდრიას დაუტოვებია სიმონ კანანელი, თავად კი ჯიქეთის ქვეყანაში წასულა... „ხოლ სიმონ კანანელისა საფლავი არს ნიკოფს ქალაქსა, შორის აფხაზეთისა და ჯიქეთისა, რამეთუ მუნ აღესრულა წმინდა სÂმონ კანანელი. ხოლო კუალად განამტკიცნა წმინდამან ანდრია მეგრელნი და აფხაზნი და წარვიდა სკÂთედ“. ესაა „ანდრიას მიმოსვლის“ ვრცელი მოთხრობა დაცული „ქართლის ცხოვრებაში“, მაგრამ ესეც უნდა ითქვას: ანდრიას მიმოსვლის ტექსტები, სხვადასხვა ნუსხებში, ხშირად განსხვავდებიან ექვთიმესეული თარგმანისაგან.

„ქართლის ცხოვრების“ ვრცელ ჩანართში, ყველაზე მეტად, კონკრეტული პუნქტებია თავჩენილი. აქ პირველადაა დასახელებული დიდ-აჭარა, რკინის ჯვარი, ოძრახის ხევი, ზადენგორა, აწყვერი, საქრისი და, რაც მთავარია, აწყვერის ძველი სახელი სოსანგეთი. ბერძნული ტექსტების სუსები და სუსანია სოსანგეთის ფორმით პირველად ექვთიმესეულ ქართულ თარგმანში ჩნდება, მაგრამ ის აწყვერთან არაა კავშირში.

სუსანიაში ქალების მბრძანებლობა მამაკაცებზე პირველად ეპიფანე მონაზვნის ტექსტში ჩანს, რაც სახეს იცვლის საბინინისეულ რედაქციაში: იქ სოსანგელების მთავარი ვინმე დედაკაცია; „ქართლის ცხოვრების“ ჩანართში ეს მთავარი ქვრივი ქალია გვარად სამძივარი. რედაქციების უმრავლესობის მიხედვით, მატათა სუსანიაში რჩება როდესაც სუსანია სვანეთად გაიაზრეს, ქალი ამ ხალხის მთავარი და მატათაც სვანეთში აღმოჩნდნენ. მაგრამ მესამე და უძველესი ცნობა მატათას ქადაგებასა და დაკრძალვას აფსარ-გონიოში ვარაუდობს.

საინტერესოა, რომ სამცხის ძველსა და დიდ სოფელ უდეში ერთი ძველი ეკლესიის ნანგრევს და უბანს „შუშანქალას“ უწოდებენ. შესაძლოა ეს ფაქტი კავშირში იყოს სუსანია-სოსანგეთთან და მხარს უჭერდეს აწყვერის ძველ სახელწოდებას.

„ქართლის ცხოვრების“ ვრცელი ჩანართის მიხედვით, ტრაპიზონიდან ანდრია „შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების და იწყო ქადაგება სახარებისა“. მართლაც ლეონტი მროველის ცნობით ჯერ კიდევ ფარნავაზმა (ძვ. წ. III ს.) აჭარა და სამცხე ოძრხის საერისთავოდ ჩამოაყალიბა.

სოფ. დიდაჭარა ჭოროხის მარჯვენა შენაკადის – აჭარისწყლის ზემო წელზე მდებარეობს. ეს მოზრდილი სოფელი, ჩანს, ძველთაგანვე მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა; მის სახელწოდებაში ასახულა მთელი კუთხის სახელი. საინტერესოა, რომ იქაურები ზოგჯერ ცდილობენ სოფლის სახელწოდება „დედ(ა)აჭარა“-დ გაიაზრონ. ამავე პუნქტთანაა კავშირში ჰიდრონიმი აჭარისწყალი.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, გასაგები უნდა იყოს ანდრია მოციქულის არჩევანი. დიდაჭარის დღევანდელი მოსახლეობა გადმოცემით იმეორებს საყურადღებო ფაქტებს: ნაკაფისერზე მიუთითებენ ეკლესიის ნაშთებს (გათლილი ქვები იყოო), რომელსაც მთავარანგელო(ზი) ერქვაო. სოფლის დასით მყოფ ამ მაღალ ბორცვზე ახლა წმ. ანდრიას ნიშია; გადმოცემით ძველათვე იქ ქალები ადიოდნენ, სანთლებს ანთებდნენ და ლოცულობდნენ. ნიშის მახლობელ ფერდზე, გადმოცემით ყოფილა წყარო, ახლა დაშრალი. მოსახლეობა სხვაგანაც მიუთითებს წმინდა წყაროზე, რომლის მიკარება არ შეიძლება. სოფელში სხვაგანაც ყოფილა ეკლესია. ადგილ „ხუცურში“, გზის პირას ახსოვთ ნაეკლესიარის ქვითკირის ნაშთი. აქეა ძველი ქრისტიანული საფლავები. მახლობლადვე უპოვიათ ქვა ჯვრის გამოსახულებით. ნიშანდობლივია მათი ერთად არსებობის ფაქტი „ხუცურში“, რაც, ნათელია,

ხუცესს უკავშირდება. ასახელებენ „ეკლიყანასაც“ და თვლიან, რომ ეს იყო ეკლესიის ყანა. სოფლის შემოგარენის ტოპონიმიაში საინტერესოა: საციხური (ციხის ნაშთიაო), ქვაბისჯვარი (საციხურის მთაში), ელიაწმინდა, ნამონასტრევი (ნასოფლარი საციხურის თავზე), ჯვართნისა.

სოფლიდან კარგად ჩანს გოდერძის უღელტეხილით სამცხეს მიმავალი გზა. ყოვილა მეორე გზაც, რომელიც რკინისჯვრის მთაზე ადის, იქიდან კი სამცხისა და იმერეთისაკენ დაეშვება. ჩანართის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დიდ-აჭარიდან წამოსულ ანდრიას უნდა გაეცლო ირემაძეები. საციხური, აგარა, ღორჯომი, ცივწყაროს მთა, ქვაბისჯვარი, მამლის მთა. ამ გზაზე ეკლესიათა ნანგრევებია ძველ რუკებზეა აღნიშნული.

რკინისჯვრის აღმართვას ზეკარის უღელტეხილზე გადმოცემა ანდრია მოციქულს მიაწერს. მართლაც ანდრიას სასწაულებში ხშირად ჩანს რკინის კვერთხი, თავზე ჯვარგამოსახული. მოციქული მას არამარტო საყრდენად, არამედ უწმინდურთა გასანადგურებლადაც ხმარობდა. საქართველოში უღელტეხილებზე ქვაჯვართა დადგმა გავრცელებული მოვლენა იყო, რას ასახული ტოპონიმიაშიც (ჯვრის უღელტეხილი – ჯვართაყელი, ჯვარიანტონი იალნოს ქედზე, ჯვარილდი სვანეთში, ქვაჯვარას მთა და უღელტეხილი გუჯარეთში), მაგრამ რკინის ჯვრები ანდრია მოციქულზე არსებული გადმოცემებიდან შეიძლება მოდიოდეს. რკინის პალოს მთას ჭანეთისა და ტრაპიზონის საზღვრად ასახელებს ვახუშტი ბატონიშვილი; თურქებზე გამარჯვების ნიშნად, რკინის ჯვარი დაუდგამს პასკევიჩსაც იმერეთ-სამცხის ქედზე, ალბათ ზეკარის რკინისჯვრის მიბაძვით; ტრადიციის მიხედვით, ანდრია მოციქულს ჯვარი აღუმართავს იქ, სადაც ახლა გერგეტის სამების ტაძარი დგას. შესაძლოა ამის საფუძველი იყოს გადმოცემა ანდრიას გადასვლის შესახებ საქართველოდან ალანიაოსეთში (დარიალან-ოსთა კარი).

„გზა რკინის-ჯუარისა“ ძვენთაგანვე იყო ცნობილი და ქართულ წყაროებშიაც იხსენიება. XI ს-ში, მესხი აზნაურების მოწვევით ბაგრატ IV „წარმოემართა ლაშქრითა, გარდამოვლო გზა რკინის-ჯუარისა და შეკრბეს არყის ციხეს“; თამარ მეფის წინააღმდეგ აჯანყებულ გიორგი რუსს მიმხრობილმა დადიანმა და მისმა ლაშქარმა „გარდამოიარეს რკინის-ჯუარი და ჩავიდეს ციხის-ჯუარს და დაწუეს ქალაქი ოძრჩე“; ეს ციხისჯვარი რკინისჯვრის მახლობლად მყოფი ციხეა. აქაც უღელტეხილზე გამავალ გზასთან, ჩანს, ჯვარი მდგარა; XIII ს-ში, მონგოლთა წინააღმდეგ აჯანყების დროს, ცოტნე დადიანი თავისი ლაშქრით მოსულა „ადგილსა, რომელ არს რკინის-ჯუარი“.

„ქართლის ცხოვრების“ ვრცელი ჩანართის მიხედვით, რკინისჯვრიდან ანდრია მოციქულს ოძრახის ხევი ჩაუვლია და სოფ. ზადენ-გორასთან მისულა. აქ მას კერპები დაუმხია. სოფლის სახელიდანაც ნათლად ჩანს, რომ ეს ადგილი წარმართული ღვთაების თაყვანისცემის პუნქტია.

ზადენის კერპი ხომ მცხეთაშიც იდგა (ზედაზენი-ზედა ზადენი). მნიშვნელოვანი ისაა, რომ ტრადიცია აქ მატერიალურ დადასტურებას პოულობს: არქეოლოგიური ძიებით აღმოჩენილია საკულტო დანიშნულების, ბრინჯაოსნივნიბიანი ხარის პატარა ქანდაკება. ის ანტიკური ხანის ქართულ, წარმართულ სარიტუალო ცერემონიაში იხმარებოდა.

ეს პუნქტი მნიშვნელოვანი დარჩენილა შემდგომ ხანებშიაც – ჩანს, ნასოფლარი და სამარხები, გვირაბი, დარანი, წყარო. აქ იდგა ქვაჯვარიც, რომელიც ახლა აღარ ჩანს. შუა საუკუნეებში სოფელი გაზრდილა და XVI საუკუნის ბოლოს ზადენ და გორა სოფლებად გაყოფილა. ზადენ-გორიდან ანდრია აწყვერს მოსულა, სადაც სამცხის ერი ქრისტიანობაზე მოუქცევია. აწყვერი-სამცხის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადმინისტრაციული და რელიგიური ცენტრი, შემდგომაც ხშირად ჩანს ქართულ წყაროებში, როგორც აწყვერის ღმრთისმშობლის ხატის სამყოფელი.

საქართველოში ერაკლე კეისრის (VII ს.) შემოსვლასთან დაკავშირებით, ჯუანშერის ტექსტის 4 ნუსხაში გვხვდება ჩანართი: „მოვიდა პირველად ქართლს, სამცხეს, და ესმა სასწაულმოქმედება ხატისა მის, რომელი წმიდასა ღმრთისმშობელსა გამოესახა და მიეცა პირველწოდებულისა ანდრიასათჳს, და მას მოესვენა და დაესვენებინა მცირესა ეკუდერსა შინა აწყურს. მოვიდა კეისარი ერაკლე ხილვად და თაყვანისცემად ხატისა მის. მაშინ იწყო ერაკლე აწყურს დიდისა საჭირისა საჭირკუელისა ჩაგდებად და შენებად, ვიდრემდის მიერითგან განსრულდა მორწმუნეთა კაცთა მიერ, და მიერ შექმნეს საპისკოპოსოდ“. „ქართლის ცხოვრების“ ჩანართები, დაკავშირებული ანდრია პირველწოდებულის სამცხესა და აწყვერში მოღვაწეობასთან, ასევე ზემოხსენებული ჩანართი, გვაფიქრებინებს – შესაძლოა მათ ერთი ავტორი ჰყავდეთ. ესაა სამცხე-აჭარის ისტორიული გეოგრაფიის დეტალებში კარგად გარკვეული პიროვნება, ეგების მაწყვერელი ეპისკოპოსიც კი (ანდრია „წარმოემართა“, „მოიწია აწყვერს“). წერილობით ტრადიციას ერთგვარად გაუმყარა საფუძველი აწყვერის არქეოლოგიურმა კვლევამ. დადასტურდა ძველი ქალაქური დასახლება მის ტერიტორიაზე. ძველი წელთაღრიცხვის VI-V საუკუნეთა განათხარ მასალაში, საყურადღებოა ბერძნული მხატვრული კერამიკის ნიმუშები, III

საუკუნის სამარხში აღმოჩენილი საბეჭდავი ბეჭდები, მითრასა და ანაჰიტის კულტების სიმბოლოებით. ესენი მიჩნეულია მაღალი წრის წარმომავლგენელთა ინსიგნიებად. ეს მასალა აშკარად მეტყველებს უცხო ქვეყნებთან დამაკავშირებელ გზებზე და ეგების აწყვერის ძველ ხელისუფალზედაც.

აწყვერში აღმოჩენილი ბერძნული მხატვრული კერამიკა, მხარს უბამს ჩანართში ნახსენებ აპოლონისა და არტემიდეს კერპების არსებობას ძველ აწყვერში. ასევე მნიშვნელოვანია იქაურ ციხეში ძველი ფენების დადასტურებაც, რაც ეხმიანება ჩანართში ხატის პირველად იქ დასვენებას.

წმიდა მოციქულის სამცხეში მოღვაწეობის კიდევ ერთი ანარეკლია სოფელი ანდრიაწმინდა და მისი ეკლესია მდინარე ურავლისწყლის მარცხენა სანაპიროზე. ეს ეკლესია X საუკუნის დარბაზული შენობაა და წმიდა ანდრიას სახელს ატარებს. აქ დღეობას იხდიან დიდი მარხვის მეხუთე ხუთშაბათს (თებერვალი-მარტი-აპრილი), მისი შემოსვლის დღეს.

სოფელში გადმოცემაა, რომლის მიხედვითაც ზადენგორადან ანდრიამ ფოცხოვი გამოტოპა და ამ სოფელში მოვიდა. აქ სასწაულები მოახდინა: დაბადებით უსინათლო ქალს თვალი აუხილა; პიტალო კლდეს კვერთხი დაჰკრა და წყარო გამოედინა, რომელსაც დღესაც ანდრიას წყაროს უწოდებენ. აქედან ანდრია კვალთახევისა და ორფოლას გაყლით, აწყვერს მოსულა. ანდრიაწმინდაში მეორე ეკლესია წმ. გიორგის სახელობისაა; მახლობლადაა თევდორეს ეკლესიაც.

XVI საუკუნეში თურქების ბატონობის დროს, სოფ. ანდრიაწმიდა 40-კომლიანი დასახლება იყო, ქართული მოსახლეობით, რომელთა შორის ორი მღვდელი ჩანს. ეს სოფელი 1705-6 წლებში ვინმე ჰასან აბუბექრის ძეს ეკუთვნოდა და მისი გამოსაღები 31000 ახჩას შეადგენდა.

სამცხიდან ანდრია მოციქული დას. საქართველოს მთიანეთში ისევ ზეკარის გზით უნდა წასულიყო. I საუკუნის რომაელი გეოგრაფოსის – კასტორიუსის რუკაზე აღნიშნული არტაშატ-სებასტოპოლისის გზა სწორედ ასე მიემართებოდა ვარდციხის გავლით. ამ გზის I საუკუნეში არსებობის დამადასტურებელი ფაქტია არქეოლოგიური თხრით აღმოჩენილი პოლემონ II (პონტოსა და კილიკიის მეფე 38-64 წწ.) მონეტა. ამავე გზის მეორე ტოტზე არსებული ხანი ასევე საგზაო პუნქტი უნდა ყოფილიყო, რადგან ხანი, ხანაგა სპარსულიდაა შემოსული და გზაზე მოსასვენებ სახლს აღნიშნავს.შუა საუკუნეებშიაც მოქმედ ამ გზას წყაროებში ხშირად ვხვდებით (იხ. წინ). ვახუშტი ბატონიშვილი კი წერს: „გარდავალს აქედამ გზა კაკას ჰიდზედ ბაღდადს. ამ გზას, ეწოდებოდა მთით რკინის-ჯუარი“. ამავე გზასთანაა დაკავშირებული მთა სახელწოდებით ფუნდუკი, სალაშქრო ხევი, კაკასხიდი – ძველი ქვის ხიდის ნაშთით.

ზემოთ განხილული ჩანართების გარდა, განსხვავებები მოიპოვება „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა რედაქციებში. „ქართლის ქვეყანაში“ დასახელებულია ნიგალი, კლარჯეთი, არტაჰან-კოლა. ურბნული რედაქცია კი გვაუწყებს, რომ ანდრიამ და სიმონ კანანელმა პირველად განანათლეს ქართლი. „მერმე უკუნ იქცეს და განვლეს ჭორები და შევიდა სვანეთს... გარდავლო მთა და შთავიდა ოვსეთად ქალაქსა მას ოვსეთისასა ბოსფორას“. ზემოთხსენებული განსხვავებები, ცხადია მოითხოვს ხელნაწერთა ამ ადგილების კრიტიკულ სესწავლას. მანმადე კი ცხადია, რომ ანდრია მოციქულის შესახებ გადმოცემები საქართველოს ბევრ მხარეშია გავრცელებული. სოფ. ანდრიაწმიდა არის იმერხევშიც, ართვინის ვილაიეთში. სოფლის სახელი იქაც ანდრიას სახელობის ეკლესიიდან უნდა მოდიოდეს.

ანდრიას შესახებ გადმოცემები შემორჩენილია სამეგრელოშიც, რომლის მიხედვით, წმ. ანდრიამ გაანადგურა მუხასთან მდგომი კერპი კაპუნია და მის ნაცვლად ჯვარი აღმართა. მუხის ფიცრებისაგან კი მან ხალხს ეკლესია ააგებინა. წმიდა მოციქულის შესახებ არსებული წერილობითი ბერძნული ტექსტებიდან ჩანს, რომ ანდრია დაქცეული კერპებისა, თუ სინაგოგების ადგილას ეკლესიებს აშენებდა სხვაგანაც.

ჟ. შარდენისა და კრ. კასტელის მიხედვით, წმიდა ანდრია მოციქულის სახელობის ძველი ეკლესია ყოფილა ბიჭვინთაშიც. იქ ყოფილა ჯვრიანი სვეტი, რომლის წინაშეც ხალხი მუხლმოდრეკილი ლოცულობდა.

ხალხში შემორჩენილია რწმენა, რომ ძველ ანაკოფიაში ყოფილა ეკლესიის ნანგრევი წმიდა სიმონ კანანელის სახელობისა. 1840 წელს მას გუმბათი ჩაქცეული ჰქონია, მაგრამ შემორჩენილი ყოფილა ფრესკული მხატვრობის ნაშთი. ა. ნ. მურავიოვის აზრით, ეს უნდა ყოფილიყო ნიკოფსია.

ანდრია პირველწოდებულის მოღვაწეობას საქართველოში ხაზგასმით აღნიშნავენ გიორგი მთაწმინდელი, გიორგი მცირე, ეფრემ მცირე. გადმოცემამ კანონიზაცია მიიღო რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე და ალბეჭდილია ამ კრების ძეგლისწერაში: „...პირველწოდებული ანდრია, ძმაჲ თავისა მოციქულთაჲსა პეტრესი, ვიდრე ჩუენადმდეცა მოიწია და ქადაგა საცხოვრებელი ქადაგებაჲ სახარებისაჲ ყოველსა ქუეყანასა საქართველოჲსასა“.

წმიდა ანდრია პირველწოდებულმა, ჩვენი უფლისა და მაცხოვრის მოციქულმა, საქართველოში შემოსვლისას თან შემოიყვანა ხელთუქმნელი ხატი ღვთისმშობლისა. ანდრია მოციქულმა საქართველოში პირველად იმოგზაურა 30-35 წლებში, მეფე ადერკის დროს. აწყურის ხატის შესახებ შემდეგი ცნობაა დაცული: „შემდგომად ამაღლებისა უფლისა, რაჟამს წილ-იგდეს მოციქულთა, მაშინ ყოველადწმიდასა წილად ხვდა მოქცევად ქვეყანა საქართველოისა. და ჩვენებით ეჩვენა მას ძე მისი, უფალი ჩვენი, და რქვა: „ჰოი, დედაო ჩემო, არა უგულებელ ეყო ერი იგი საზეპურო უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის. ხოლო შენ წარავლინე პირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენდა ხვედრებულსა და თანაწარატანე ხატი შენი, ვითარცა პირსა შენსა დადებითა გამოიხატოს. და შენ წილ ხატი იგი მკვიდრობდეს მცველად მათდა უკუნისამდე ჟამთა“ მაშინ ყოველადწმიდამან მოითხოვა ფიცარი, დაიბანა პირი და დაიდვა პირსა ზედა თვისსა და გამოიხატა ხატი ესევითარი, რომელ წიაღთა თვისთა ეტვირთა განხორციელებული ჩვილი, ყოველად სახიერი სიტყვა ღვთისა, რომელ აწ ყოველთა მიერ სახილველ არს ხატი ყოველადწმიდისა აწყვერისა ღვთისმშობლისა. და მისცა იგი მოციქულსა ანდრიას და რქვა: „მადლი და შეწევნა ჩემგან შობილისა უფლისა თანაშემწე გეყავნ შენ, სადაცა ხვიდოდე და მეცა თანაშემწე ვარ ქადაგებისა მაგას და დიდად შეევწიო მონაწილესა მას ჩემდა ხვედრებულსა“.

ანდრია შემოდის საქართველოში, თავდაპირველად ტრაპიზონში, შემდეგ დიდ აჭარაში. აქ ღვთისა და ხატის შეწევნით „ყოველნიენი მოაქცივნა და მოიყვანა სარწმუნოებად“. „რამეთუ ადგილსა, რომელსა დაასვენა ხატი ყოველადწმიდისა ღვთისმშობლისა, აღმოცენდა წყარო ფრიად მშვენიერი, და დიდი, რომელი იგი ვიდრე დღესაცა დაუწყვედელად აღმოდის“. აქ მოინათლა ხალხი, დაუდგინა მღვდელნი და დიაკონნი, ააშენა ეკლესია ღვთისმშობლის სახელზე. ახალმოქცეულმა მორწმუნეებმა სთხოვეს ხატი ეკლესიაში დაესვენებინა მათ სასოდ და მცველად. ანდრიამ „შექმნა ფიცარი მსგავსი ზომისა და დასდვა ხატი მას ზედა. და მეყვსეულად გამოისახა სახე უცვალებელი ხატისა და მისცა იგი მათ. ხოლო მათ სიხარულით შეიწყნარეს და დაასვენეს ეკლესიასა შინა თვისსა პატივით, რომელი იგი ვიდრე დღეს აქამომდე ჰგიეს“.

ამის შემდეგ წმიდა მოციქული აწყურში ჩავიდა. ღამით მცხოვრებლებმა ციხიდან, სადაც ხატი ესვენა, იხილეს დიდი ნათელი. შემდგომ წმიდა მოციქულის ლოცვამ და წმიდა ხატმა მკვდრეთით აღადგინეს მიცვალებული. კერპთაყვანისმცემელმა მოსახლეობამ გამოცდის მიზნით წმიდა ხატი ღამით დაასვენა წარმართულ ტაძარში, სადაც არტემიდესა და აპოლონის ქანდაკებები იდგა, დილით ეს კერპები დამხობილი იხილეს, „ხოლო ხატი ყოველადწმიდისა ღვთისმშობლისა ბრწყინავდა, ვითარცა მზე, დიდებითა და პატივითა“.

„და ჰრწმენა ყოველთა უფალი ჩვენი იესო ქრისტე და სიხარულით ნათელ იღეს ყოველთა სახელითა მამისითა და ძისითა და სულისა წმიდისითა“. აქაურ მრევლს მოციქულმა „დაუდგინა ეპისკოპოსი, მღვდელნი და დიაკონნი“.

მოციქულმა წმიდა ხატი მრევლს დაუსვენა აწყურში. „დაასვენეს ყოველად დიდებული ხატი ყოველად წმიდისა აწყვერის ღვთისმშობლისა მცირესა მას ეკვდერსა, რომელსა აწ ძველ ეკლესიად სახელ-სდებენ“5.


აწყურში ეს წმიდა ხატი XV საუკუნემდე ესვენა. თვით „ქართლის ცხოვრების“ ზემოთ მოყვანილი ჩანართის დაწერის დროსაც ღვთისმშობლის დიდებული ხატი აწყურში ესვენა.

ბიზანტიური ხატმბრძოლობის დროს საქართველოში არათუ შემცირდა ხატთა თაყვანისცემა, პირიქით, გაძლიერდა. ამას, ალბათ, ბიზანტიიდან დევნის გამო გამოძევებული ხატთაყვანისმცემელი ბერების საქართველოში ჩამოსვლაც უწყობდა ხელს.

უფრო ადრე, ხატმბრძოლობის ერესის წარმოშობამდე, აწყურის ხატი დიდად სახელგანთქმული ყოფილა. VII ს-ის დასაწყისში საქართველოში შემოსული ბიზანტიის იმპერატორი ჰერაკლე კეისარი საგანგებოდ მისულა ამ ხატის თაყვანისსაცემად.

„ესმა სასწაულთმოქმედება ხატისა მის, რომელი ღვთისმშობელსა გამოესახა. მოვიდა კეისარი ერაკლე ხილვად და თაყვანისცემად ხატისა მის. მაშინ იწყო ერაკლე აწყურის დიდისა საყდრისა საძირკველისა ჩაგდებად და შენებად. ვიდრემდის მიერითგან განსრულდა მორწმუნეთა კაცთა მიერ და მიერ შექმნეს საეპისკოპოსოდ“. ღვთისმშობლის ხატისათვის აშენებული ტაძარი საეპისკოპოსო ეკლესიად უქცევიათ.

აწყურის სასწაულთმოქმედი ხატი უდიდესი სიწმიდე იყო საქართველოში. მას, ისევე როგორც ღვთისმშობლის სხვა ხატებს საქართველოში, უხვად ამკობდნენ ძვირფასი ქვებით, მინანქრით, თვალ–მარგალიტით, ხოლო ოქროს ხანაში, მასაც, ისევე როგორც სხვა ხატებს, მდიდარ შესაწირავს უძღვნიდნენ საქართველოს მეფენი.



1477 წელს ირანის მბრძანებელი უზუნ-ჰასანი საქართველოს შემოესია. ვენეციის რესპუბლიკის ელჩი ჯ. ბარბარო, რომელიც თან ახლდა მას, წერს: „საქართველოში შევიჭერით, რადგანაც მისი გაძარცვის სურვილი ჰქონდა მბრძანებელს. მივედით თბილისში დავეუფლეთ, შემდეგ წავედით უფრო ზევით – გორისაკენ ბატონი უზუნ-ჰასანი შეუთანხმდა საქართველოს მეფეს ბაგრატს და ყვარყვარეს, რომელიც ამ მეფეს ესაზღვრებოდა, რომ მისთვის მიეცათ 16000 დუკატი და თბილისის გარდა მთელ ქვეყანას დაუტოვებდა მათ. მეფე ბაგრატმა და ყვარყვარემ, უნდოდათ რა ამ ფულის გადახდა, გამოაგზავნეს ოთხი ბალახში ისევე ხარისხიანი როგორც ისინი, რომლებსაც ვენეციაში, სან მარკოს საკურთხეველზე უჩვენებენ“.

საქართველოს მეფეს ირანის მბრძანებლისათვის 4 ბალახშის ანუ ლალის ქვა გაუგზავნია, რომელიც 4000 დუკატად შეაფასეს, მაგრამ დამპყრობელმა ფულის გადახდა მოითხოვა.


ძველ დროს საქართველოსა და ქრისტიანულ მსოფლიოშიც ძვირფასი ქვებით ამკობდნენ ხატებსა და საეკლესიო სიწმიდეებს. ასეთივე თვლებით ყოფილა შემკობილი, ბარბაროს თქმით, იტალიაში წმიდა მარკოზის (სან მარკოს) ტაძრის საკურთხეველიც. ამ ძვირფასი თვლების მიღების შემდეგ, ჩანს, უზუნ-ჰასანი დაინტერესდა საქართველოში ძვირფასი თვლების ადგილსამყოფლით. სავარაუდოა, მას აუხსნეს, რომ აწყურის დიდებული სასწაულთმოქმედი ხატიც ასევე იყო შემკობილი. ამით უნდა აიხსნას აწყურის ხატის ბედიც. სამცხეში შეჭრილმა უზუნ-ჰასანმა აწყურის ხატი გაიტაცა და გაძარცვა, „აიყარა ყაენი და წარვიდა საყაენოსა და ტყვე ჰყვეს ხატი აწყვერისა ღვთისმშობელი და წარიყვანეს ქვეყანასა მათსა და იქმნა დიდი გლოვა და მწუხარება მოუთხრობელი სრულიად მესხეთსა ზედა“.

იმ ქვეყანაში, სადაც ხატი მიასვენეს „ქვეყანასა მას უცხოთესლთასა, ესევითარი რისხვა ღმრთისა მიავლინა: არც შობა დედაკაცმან, არცა პირუტყვმან, არცა ჰყო ხემან ნაყოფი, არცა მიწამან ალმოაცენა“.

და იქმნა დიდი გამოძიება მათ შორის უცხოსა ამისათვის საქმისა და იტყოდეს: „რაიმე არს ესე?“ უბრძენესთა კაცთა მის ქვეყანისათა ესრეთ თქვეს: „ოდეს იგი საქართველოსა ვილაშქრეთ, მაშინ ერთსა დიდსა საყდრიდამან ფიცარი ერთი, შემკობილი მრავლითა პატივითა, ვიხილეთ და წარმოვიღეთ. და მგზავრობასა მას ჩვენსა უცხო სასწაული ვიხილეთ მისგან, რამეთუ მწუხრსა ჩავასვენეთ უღრმესსა ადგილსა ბარგისასა და ვითარცა გათენდის, აღმოვიდეს სიღრმისაგან და მაღლად მჯდომარე იხილებოდის და ვითარცა მზე ბრწყინავდის. და საქმე ესე უეჭველად მისგან იქმნა ქვეყანასა ჩვენსა და თუ გნებავს განრინება ჭირისაგან მისგან, იგი მოვიძიოთ და ქვეყანასა მათსა განუტეოდ“. წმიდა ხატი „განგებითა საღმრთოთა მცირედთა ჟამთა სამცხეს მოიწია ადგილსა, რომელსა აწ ელავსი ეწოდების, და იქმნა დიდებული სასწაული, რამეთუ მყის განათლდა სრულიად სამცხე და განმბრწყინდა წესისამებრ პირველსა“.

მალე ეს წმიდა ხატი სამცხის მოსახლეობისათვის, ჩანს, სათემო ხატად ქცეულა, იმ თვალსაზრისით, რომ სამცხელებს ეს წმიდა ხატი ჩაუთვლიათ მხოლოდ და მხოლოდ განსაკუთრებულ მფარველად მესხებისა (არა საქართველოსი – ერთიანი ქართველი ერისა, ეს გამოწვეული იყო იმ ეპოქაში ეროვნული გრძნობის დაკნინებით). მაგალითად, თვით მემატიანე, აღმწერელი აღნიშნული ამბის, შემდგომ წერს: „და ესმა მეფესა, ვითარმედ მესხნი წარვიდეს, აღიმხედრა ლაშქრითა თვისითა და დევნა უყო, ვითარცა იგი ფარაო ისრაილთა და მოეწივნეს ადგილსა, რომელსაც არადეთი ეწოდების. ხოლო მესხნი მოუბრუნდეს სახელსა ზედა ყოვლადწმიდისა აწყვერისა ღვთისმშობლისასა და განეწყვნეს ურთიერთას მესხთა გაემარჯვა და ესევითარი ძლევა აღადგინეს მესხთა ქართველთა ზედა, რომლის მსგავსი არა სად სმენილ არს“.

ზემოთ აღნიშნული ამონაწერი კარგად ახასიათებს ერთიანი ქართველი ერის თემებად და ტომებად დაშლა-დანაკუწების სურათს.



აწყურის ტაძრის აშენებისას (VII საუკუნეში) სწორედ მესხეთის ტერიტორიაზე, ტაო-კლარჯეთში, აღორძინდა სახელმწიფო „ქართველთა სამეფოს“ სახელწოდებით. მაშინ ყოველ აქაურ მკვიდრს, როგორც წესი, ყოველი მატიანე თუ ქრონიკა „ქართველს“ უწოდებდა. აქაური სულიერი მამები (არა მარტო გიორგი და ექვთიმე მთაწმიდელები), არამედ ყოველნი – „ნათესავით ქართველად“ იწოდებოდნენ. ტერმინი „ნათესავით მესხი“ იმ დროს არც იხმარებოდა. მონღოლთა შემოსევის შემდგომ, მუსულმანურ-თათრულ ალყაში მოყოლილი საქართველოს ეკონომიკურ-სოციალური დაქვეითებისას, მხარე-კუთხეთა ერთიანი საქართველოსაგან განკერძოების შემდეგ, სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ქართველობას უჩნდება კუთხური, თემურ-ტომური პატრიოტიზმი. ამას აღნიშნული ამონაწერიც უჩვენებს. აქ სრულიად საქართველოს სამეფო ტახტზე მჯდომი ხელმწიფე ეგვიპტის ფარაონთანაა შედარებული, ხოლო მესხეთის მკვიდრნი კი ფარაონის მიერ დევნილ, უცხო, დაჩაგრულ ისრაელის ერთან. ასეთი შედარება კი უდიდესი ეროვნული დაცემის, სულიერი დაკნინებისა და ეროვნული გადაგვარების საბუთია, წინა დღე საქართველოს დამხობისა.

1486 წელს სამცხეს შეესია იაყუბ ყაენი „აღძრა ეშმაკმან მოძულემან კეთილისამან თათარნი ქრისტიანეთა ზედა, შეკრიბა სიმრავლე ურიცხვი თურქმანთა და მომართეს სამცხეს“.

აწყურის წმიდა და დიდებული ხატი ეკლესიიდან გადაასვენეს ციხესიმაგრის „საჭურჭლეში“. ციხე მტერს უბრძოლველად ჩააბარეს მაწყვერელმა ეპისკოპოსმა და ციხიონმა იმ პირობით, რომ მტერი არ დაარღვევდა აწყურის ტაძარს, მაგრამ პირობა გატეხეს: „ხოლო ხატი ყოვლადწმიდისა სასოა ჩვენისა. შემკობილი თვალთა მიერ პატიოსანთა, ცოდვათა ჩვენთათვის ტყვე ჰყვეს და მიჰგვარეს უსჯულოსა მას მთავარსა ბილწითა ხელითა თვისითა განძარცვა შემკობილობა ხატისა და შემდგომად ამისა ალაგზნეს ცეცხლი ფრიად დიდძალი და შიდა შთააგდეს. ხოლო ცეცხლი იგი დაშრტა და ხატსა ყოვლადვე არა შეეხო, არცა თუ ნაბრძოლი აჩინა, რომელი ესე მრავალთაგან და თვით თვალთაცა სახილველ იქმნა. ესრე-რა სასწაული იხილა ერთმან ვინმე ლაშქართა მათ შინა მყოფთაგანმან ქრისტიანემან და სჯულითა არამართლმადიდებელმან, აღიპყრა ხატი იგი, ყოვლადწმიდისა“.

ამ კაცმა ხატი თავის ქვეყანაში წაასვენა. „ეპყრა კაცსა მას ხატი იგი ყოვლადწმიდისა სასოსა ჩვენისა აწყურისა ღვთისმშობლისა დიდითა პატივითა, გამოეცხადა კაცსა მას და რქვა: „უკეთუ არა წარმიყვანო ქვეყანასა ჩემსა, დიდი ბოროტი მოვაწიო შენ ზედა“ და წარმოვიდა მსწრაფლ კაცი იგი და აუწყა ყოველივე პატრონსა ყვარყვარეს და მანუჩარს“.

ხატი დააბრუნეს აწყურში, „დაასვენეს საყდარსა თვისსა“. ტყვეობიდან მოსვლის შემდეგ, მემატიანის აზრით, წმიდა ხატმა იაკუბ ყაენს, რომელიც ხატს მახვილით შეეხო, და მის ოჯახს, საშინელი რისხვა მოაწია: მთელი მისი ნათესაობა და სახლობა ამოწყდა.

1546 წელს აწყურის წმიდა ხატი აწყურიდან ციხისჯვარში გადაუსვენებია იმერეთის მეფე ბაგრატ III-ს, ხოლო შემდეგ „ციხისჯვარიდან აწყურისა ღვთისმშობელი ტყვედ წაასვენეს იმერეთს“. ეს მოხდა 1553 წელს.

ის მოხვედრილა ბაგრატ III-ის ძის, გიორგი II-ის (იმერეთის მეფის), ხელში. ხატი მრავალგზის „განძარცვული“, მეფე გიორგიმ ახლად მოაჭედინა“. ახლად მოჭედილ ხატს გაუკეთეს წარწერა: „ქ. ჩვენ მეფეთა მეფემან პატრონმან გიორგი და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთა დედოფალმა თამარ და მეფეთა ჩვენთა პირმშოთა ალექსანდრე და მამიამა მოვაჭედინეთ ხატი ესე ყოვლად წმიდისა წარსამართებულად მეფობისა ჩვენისათვის და ცოდვათა ჩვენთა შესანდობელად, ამინ“, აქ მოხსენებული ყოფილა იმერეთის მეფე გიორგი II (1565-1583).

სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობა ძირითადად გამაჰმადიანდა – გათათრდა და დაეკარგა ქართველ ერს. წმიდა ხატი იქ იცავდა ქრისტიანობასა და ქართველობას. „1645 წელს მტრის შემოსევებისაგან


შეიწროებული აწყურის ღვთისმშობლის ეკლესიის გლეხები მასიურად აყრილან და ქართლისათვის შეუფარებიათ თავი. როსტომ მეფეს საგანგებო პირობები შეუქმნია და „ბრძანებით“ დაუცავს მათი ხელშეუხებლობა. როსტომ მეფე ამბობს: „ვინ იცის და სოფლის საქმე ასრე მოხდეს, რომ საათაბაგოსშვილოს ქრისტიანი მეპატრონე გაუჩნდეს და აწყურის ღვთისმშობლის ჯვარი და ხატი თავის სამკვიდროზედ მოასვენონ და მათი ყმა ასაყრელად მოინდომონ, ვერავინ დაუჭიროს, თუ არა და სხვას ხელი არ ჰქონდეს“. სამწუხაროდ, საათაბაგოს ქრისტიანი მეპატრონე აღარ გამოუჩნდა.

ცნობილია, რომ იტალიაში, ტურინის სუდარაზე გამოსახულია მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი, რაც დადასტურებულია ეკლესიის მიერ. ხელთუქმნელია აწყურის ხატიც – გამოხატული ფიცარზე ღვთისმშობლის სახეზე შეხების შედეგად. ის ამჟამად ხელოვნების მუზეუმშია დაცული.

იმ საუკუნეებში წმიდა ხატებმაც გაიზიარეს უბედურება ქართველი ხალხისა. მტერმა „შემუსრა ხელითა თვისითა სიონთა ღვთისმშობელი და განძარცვა მრავალფასის სამკაული, ქართველთა მეფეთაგან სასოებით შემკული უფასონი იგი თვალნი და მარგალიტნი თვით წარიღო და წმიდა იგი ფიცარი განაშიშვლა მძლავრმან უსჯულომან შაჰ-ისმაილ, და დასდვა თავსა ზედა განსავალსა მას ხიდისასა, რომელ არს ციხესა შინა ტფილისისასა და შეიპყრეს მრავალნი ქრისტიანენი და მიჰკრიბეს ხიდსა მას ზედა და მძლვრებით აიძულებდეს ფერხითა დათრგუნვად ხატსა მას წმიდისა დედოფლისა ჩვენისა და მრავალთა აღირჩიეს სიკვდილი და არა დათრგუნეს ხატი იგი და წარეკვეთნეს წმიდანი და ყოვლად ქებულნი თავნი მათნი“. ეს მოხდა დაახლოებით 1533 წელს. შაჰ-ისმაილმა თავისი სიბოროტის აღსრულების შემდეგ წმიდა ხატი მდინარეში გადააგდებინა. ის იპოვა ერთმა მწყემსმა მდინარის პირას, ტირიფის ხეზე წაღმა მისვენებული, შეატყობინა კახეთის მპყრობელს, ლევანს, რომელმაც მეორედ შეამკო სიონის წმიდა ხატი.

ასე აფრთხობდა მტერს მეტეხისა თუ ვარძიის ღვთისმშობლის ხატებიც, ყოველგვარი საეკლესიო სიწმიდენი, რამეთუ ისინი იცავდნენ ქართველ ერს ქრისტიანული სარწმუნოების ძალით.

„ქართლის ცხოვრების“ ვრცელი ჩანართის მიხედვით, ტრაპიზონიდან ანდრია „შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების და იწყო ქადაგება სახარებისა“ [70:39].




„მოვიდეს... ანდრია და სიმონ კანანელი აფხაზეთს და ეგრისს. და მუნ აღესრულა წმინდა სიმონ კანანელი ქალაქსა ნიკოფსისასა, საზღვარსა ბერძენთასა. ხოლო ანდრია მოაქცივნა მეგრელნი და წარვიდა გზასა კლარჯეთისასა“ [70:38].

აღსანიშნავია, ძველქართველ ისტორიკოსთა მიერ გადმოცემული ანდრია მოციქულის მარშრუტი – ტრაპიზონი, აფსარი (გონიო), დიდაჭარა, ოძრხე, აწყური, დასავლეთი საქართველო, ცხუმი (სებასტოპოლისი), ნიკოფსია... აღნიშნულ კუთხეთა გარდა ანდრიას უმოგზაურია ტაოში, ასევე სვანეთში, საიდანაც ის გადასულა „ოსეთში, იქედან კი აფხაზეთის გავლით დაბრუნებულა ცხუმში [5:113-114].

წმ. ანდრია პირველწოდებულის მიერ საქართველოში განვლილი გზის განსაზღვრა შესაძლებელია ძველი ქართული წყაროებისა და ძველი რუკების შეკრებით, წმ. ანდრიას შესახებ ყველაზე ადრეულ ცნობებს იძლევა ევსევი კესარიელი მეოთხე საუკუნის დასაწყისში. როგორც ცნობილია, უფლის ამაღლების შემდეგ დედა ღვთისმშობელსა და მოციქულებს წილად ხვდათ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში ქადაგება, სადაც უნდა ექადაგნათ ქრისტიანობა. ევსევი კესარიელის თანახმად, ანდრია გაემგზავრა სკვითიაში, რომელიც იმდროინდელი განსაზღვრებით მოიცავდა შავი ზღვის დასავლეთით, ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით მდებარე მიწებს. ანდრიას ასევე მოუვლია ანატოლიის ჩრდილოეთი, კავკასია, აზოვისპირეთი, ყირიმი, ბიზანტია, ელადა [27:214].


წმინდა ანდრიას გზა რომ, საერთაშორისო რელიგიური ტურისტულ მარშრუტად იქცეს, ამ მხრივ ჯერ საქართველოშია ჩასატარებელი მოსამზადებელი სამუშაოები, როგორც მარშრუტების დადგენის და მარკირების, ასევე ამ გზაზე ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მხრივ. ამ მხრივ დიდ იმედს იძლევა საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი ქვეყნის სივრცითი მოწყობის პრეზენტაცია, სადაც გაჟღერდა რომ „ხელი უნდა შეეწყოს მოსახლეობის დასაქმებას მშობლიურ რეგიონებში, ტურისტებს უნდა შეეძლოთ შეფერხების გარეშე ჩასვლა ყველა რეგიონში და საქართველოს ყველა რაიონი უნდა გადავაქციოთ ოთხსეზონიან საკურორტო მიმართულებად“.

მიუხედავათ იმისა რომ ქართულ ტურისტულ ბაზარზე გამოჩნდნენ ფირმები,რომლებიც საქმიანობენ რელიგიური ტურიზმის სფეროში, არსებული პოტენციალი რჩება ჯერ კიდევ აუთვისებელი. მიზეზები მრავალია, განუვითარებელი ინფრასტრუქტურა,ღირშესანიშნავი ადგილების შესახებ ინფორმაციის დეფიციტი, სუსტი კავშირები ადგილობრივ თვითმმართველობებს და ტურისტულ ფირმებს შორის, კვალიფიციური კადრების არარსებობა.




რელიგიური ტურიზმის განვითარებისათვის მსოფლიოს სხვა და სხვა ქვეყნებში,რელიგიური ორგანიზაციების და ასოციაციების მეშვეობით აგრეთვე ტურისტული ინდუსტრიის განვითარებით დაინტერესებული კომპანიების მიერ ეწყობა გამოფენები,კონგრესები და კონფერენციები. საჭიროა საქართველოშიც და მსოფლიო მასშტაბითაც ამ მხრივ მეტი აქტიურობა.

პილიგრიმული მარშრუტები მსოფლიოში მრავლადაა, ერთ-ერთი და ევროპაში ყველაზე ცნობილი პილიგრიმული მარშრუტია **„წმ. იაკობის გზას** – El Camino de Santiago“ [148]. 1980-იან წლებიდან მისი პოპულარობა განუწყვეტლივ მატულობს და პილიგრიმთა რიცხვი 2013 წლის მონაცემებით 200 000-ზე მეტს შეადგენდა. დღეს კი იგი პოპულარობით მხოლოდ იერუსალიმს და რომს ჩამოუვარდება.




პილიგრიმული მოგზაურობა „წმ. იაკობის გზა – El Camino de Santiago“ გახთა უნიკალური მოვლენა. მოგზაურთა უმეტესობისათვის ეს არის ყველაზე იაფი დასვენების საშუალება, კარგი საშუალებაა გაიცნო ქვეყანები, გამოცადო საკუთარი ფიზიკური მდგრადობა (ვინაიდან ფეხით მოგიწევთ გზის დიდი მონაკვეთის გავლა) და გაიცნო საინტერესო ადამიანები, მოილოცო გზად არსებული ეკლესია-მონასტრები. არსებობს ბევრი მარშრუტი რომლებსაც ამ ქალაქში მივყავართ.

მარშრუტების უმთავრესი ნაწილი გადის პირინეის უღელტეხილებიდან ჩრდილოეთ ესპანეთის ტერიტორიაზე. მოგზაურობის დაწყება შესაძლებელია ესპანეთიდან, საფრანგეთიდან, გერმა-ნიიდან, პორტუგალიიდან, დიდი ბრიტანეთიდან ან ნებისმიერი სხვა ქვეყნიდან. ყველაზე პოპულარულია – ფრანგული გზა (Camino Frances) რომლის მანძილი შეადგენს 800 კმ-ზე მეტს. იმისათვის რომ მიიღო სახელობითი სერტიფიკატი ლათინურ ენაზე წმინდა იაკობის გზის გავლის შესახებ – აუცილებელია დარეგისტრირდე გზად მყოფ ერთ-ერთ ეკლესიაში და ფეხით უნდა გაიარო მინიმუმ 100 კმ, იმ შემთხვევაში თუ მოგზაურობ ცხენით მინიმალური მანძილი შეადგენს 150 კმ-ს, ხოლო ველოსიპედისტებისათვის 300 კმ-ს. მოგზაურობის ყოველ მონაწილეს შეუძლია მიიღოს **პილიგრიმის პასპორტი** (Gradencial), სადაც იქნება დასმული სპეციალური ბეჭდები, რომლებიც გახდება ამ გზის დამადასტურებელი



საბუთი და ყველა სასტუმროში, თავშესაფარში, ეკლესიებში და მონასტრებში ისარგებლებთ გარკვეული შეღავათებით. ყველა ქალაქში და თითქმის ყველა სოფელში მთელი გზის განმავლობაში არის გახსნილი სპეციალური თავშესაფრები პილიგრიმებისათვის. უმეტესობა თავშესაფრებისა არის უფასო თუკი წარუდგენთ პილიგრიმის პასპორტს. არის აგრეთვე კერძო თავშესაფრები, რომლებშიც ღამის გათევა 8-12 ევრო ღირს. და აგრეთვე არის მუნიციპალური თავშესაფრები, სადაც ღამის გათევა 3-7 ევრო ღირს – ეს თანხა არის ეგრეთწოდებული შემოწირულობა. მსურველებს შეუძლიათ დაბინავდნენ სამ, ოთხ ვარსკვლავიან სასტუმროშიც [149].


წმინდა იაკობის გზა შეტანილ იქნა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში და გამოცხადებულ იქნა – „ევროპული მარშრუტის მთავარ კულტურულ მემკვიდრეობად" (Primany European Cultural Itinerary).



მეტად საინტერესო პილიგრიმული მარშრუტია „**აბრაამის გზა**" – „Abraham path". გზა მოიცავს მოგზაურობის მარშრუტს, რომლის გავლითაც რელიგიურმა პიროვნებამ აბრაამმა (იგივე იბრაჰიმმა) იმოგზაურა თურქეთში, სირიაში, იორდანიაში, ისრაელსა და პალესტინაში. დასასრულს ის უნდა ჩასულიყო ეგვიპტეში, ერაყსა და საუდის არაბეთში [137].

აბრაამის გზის მართვის სათაო ოფისებია ბოულდერში, კოლორადოსა და ჰარვარდში რამდენიმე რეგიონალურ და ქვეყნის შიდა ორგანიზაციებთან ერთად. შეიტანეს რიგ მოლაპარაკებათა და აბრაამის, როგორც გამაერთიანებელი ფიგურის ისტორია უკვე ზავის ინიციატივებში, განსაკუთრებით რელიგიურ კონტექსტში.

ამ გზის გავლით მოგზაური ახლო აღმოსავლეთის თავგადასავლის ნაწილი ხდება. ის უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და სულიერი, ასევე კულტურული შეგნების ამაღლებას, რომლის მაგალითები ტურისტების მიერ დაფიქსირებულია ვებ-გვერდებზე. აბრაამის გზის ინიციატივის თანამშრომლებმა გამოითვალეს, რომ ას მილიონზე მეტი ადამიანი მსოფლიოს მასშტაბით გაეცნო ამ გზას მედია-საშუალებების, მათ შორის საერთაშორისო ახალი ამბების, სატელევიზიო პროგრამებისა და ინტერნეტის მეშვეობით. გაერთიანებული ერების ცივილიზაციათა ალიანსის მონაცემებით, მოგზაურთა მზარდი რიცხვის გამო გზის 300 კმ-ზე მეტი გაიხსნა, აქ იყვნენ დაწყებული სტუდენტებიდან ისეთი პოლიტიკური ფიგურებით დამთავრებული, როგორებიცაა, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი ჯიმი კარტერი. გარდა ამისა, ჰარვარდის უნივერსიტეტთან პროექტის კავშირი აღძრავს მისი მართვის მიმართ ნდობას, რაც მოცემულია ინსტიტუციის ჩანაწერში პროექტის საზოგადოებრივი განვითარების შესახებ. გზის ძირითადი ნაწილი გაიხსნა 2009 წლის გაზაფხულისათვის, რომელიც შეადგენს 310 კმ-ს. [174].



3.000-მა პიროვნებამ იმოგზაურა იმავე წელს ამ გზაზე, რომელთაგან 500 შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც მომლოცველი. აბრაამის გზის ინიციატივამ დააფინანსა საგანმანათლებლო ტურები და საფეხმავლო ტურები, მაგალითად, უძველეს თურქულ ქალაქებს ჰარანსა და სანლიურფას შორის მოგზაურობა (40 კმ). მოგზაურებმა შესაძლოა აგრეთვე გაიარონ სირიის კულტურული ბილიკი დეირ მარ მუსადან დამასკომდე (80 კმ.) და იორდანიის მუნიციპალიტეტებს ალაიუნსა და ალჯუნს შორის (30 კმ). ასევე არის ნაწილი (60 კმ.) ბერშევადან არადამდე, ნეგევის უდაბნოში, ისრაელში, ისევე როგორც მონაკვეთი პალესტინაში, ნაბლუსიდან იერიქონამდე და ბეთელის მიმართულებით (70 კმ.). გრძელვადიან მიზანს აგრეთვე წარმოადგენს ის, რომ 5000 კმ-იანი გზა აგრეთვე ღია იქნება მოგზაურთათვის ეგვიპტეში, საუდის არაბეთში, ირანში, ერაყსა და ლიბანში.



ახლო აღმოსავლეთის მთავარმა ლიდერებმა, ნობელის პრემიის ლაურეატებმა და გაეროს მსოფლიო ტურიზმის დეპარტამენტმა დაამტკიცეს აბრაამის გზის ინიციატივა.



თუმცა, ეფექტიანი ორგანიზაციის შექმნასა და მნიშვნელოვანი რესურსების გაღებასთან ერთად, არსებობს ეჭვი გზის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ქვეყნის შიდა ორგანიზაციები თანამშრომლობენ დაინტერესებულ მხარეებთან, რათა დაამკვიდრონ მოგზაურთა უსაფრთხო მოგზაურობის რწმენა, ხაზს უსვამენ იმას, რომ მათ მოგზაურობას აქვს ეკონომიკის რეალური განვითარების პოტენციალი. დისტანციური საზოგადოებები იდეალურად განთავსებულია იმისათვის, რომ მოხდეს ამ გზით სარგებლობა, რაც განსაკუთრებით ფინანსური თვალსაზრისით სოფლისა და ტურისტულად ღარიბი მხარეებისთვის მეტად მნიშვნელოვანია [102:41]




მიუხედავათ მრავალი სიძნელეებისა ეს რელიგიური ტურისტული მარშრუტი მაინც აგრძელებს ფუნქციონირებას და ამ გზაზე ტურისტები ინტერესით მიემგზავრებიან.


მიგვაჩნია რომ, მსოფლიო გამოცდილების ქართულ სინამდვილესთან მორგების შემთხვევაში და დღეყანდელი რეალობების გათვალისწინებით სრულიად შესაძლებელია საქართველოში განხორციელდეს საერთაშორისო პოლიგრიმული მარშრუტი **„წმ. ანდრია პირველწოდებულის გზა“**, მითუმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ წმ. ანდრიამ რამდენჯერმე იმოგზაურა და საქართველოს გარდა ეს გზა სხვა სახელმწიფოებზეც გადის. ამჟამად კი მისი მცირე მონაკვეთი გამოიყენება პილიგრიმების მიერ და ისიც ნაკლები დატვირთვით. ახლა მოქმედებს ამ გზის მცირე მონაკვეთი ბორჯომ-ხარაგაულის

ეროვნული პარკში. მარშრუტის ხანგრძლივობა – 4 დღე; მარშრუტის სიგრძე – 49-54 კმ; საფეხმავლო და საცხენოსნო, რთული [158].

მთავარი ღირსშესანიშნაობები: ნიამორების ვოლიერი, შერეული ტყეები, ეროვნული პარკის უმაღლესი მწვერვალი – სამეცხვარიო, მთა რკინის ჯვარი, კოლხური სუბ-ტროპიკული ტყე.



ბილიკი იწყება აწყურის მცველთა საგუშაგოსთან (1000 მ. ზღვის დონიდან), ამარათის ტურისტთა, სამეცხვარიოს მცველთა და სახვლარის ტურისტთა თავშესაფრის გავლით სრულდება მარელისის მცველთა თავშესაფართან. (ან პირიქით). ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრიდან აწყურის მცველთა საგუშაგო 27 კმ-ში მდებარეობს. ბილიკის სიგრძე არის 54 კმ. აქ ერთმანეთს ენაცვლება წიწვოვანი ტყეები, ალპური, სუბალპური მდელოები და კოლხური ფართოფოთლოვანი ტყეები. ბილიკის პირველი მონაკვეთი მდინარის ხეობას მიუყვება და შემდეგ ვიწრო ბილიკით ადის მთების ფერდობებზე. დასაწყისიდან 3 საათი ლაშქრობის შემდეგ პირველი პანორამული ხედები გელით, დღის მეორე ნახევარი მთის ფერდობებს მიუყვება რომლებიდანაც შესანიშნავი მცირე კავკასიონის პანორამული ხედები იშლება.



ამარათის ტურისტულ თავშესაფარში ღამისთევის შემდეგ (1900 მ. ზღვის დონიდან) მეორე დღის ლაშქრობა სუბალპურ და ალპურ მდელოებს მიუყვება ეროვნული პარკის უმაღლესი მწვერვალი სამეცხვარიოსკენ (2642 მ.), სამეცხვარიოს მცველთა თავშესაფარში ღამისთევის შემდეგბილიკი ეშვება ეროვნული პარკის უმაღლესი მწვერვალიდან დაბლა, 19 კმ. მანძილის დაფარვის შემდეგ გზად თქვენ გაივლით მთა რკინის ჯვართან, რომელზეც ლეგენდის თანახმად ანდრია პირველწოდებულმა პირველ საუკუნეში რკინის ჯვარი აღმართა. მესამე დღის ლაშქრობა სრულდება სახვლარის ტურისტულ თავშესაფარში (1025 მ. ზღვის დონიდან), მეოთხე დღეს მარშრუტი მიუყვება მდინარის ხეობას და ყველაზე მარტივია.შესაძლებელია ერთი ღამისთევის დამატება ქვაზვინეების რეინჯერთა თავშესაფარში

ან კარვებში. თუმცა როგორც აღვნიშნეთ ეს გზა საკმაო ვრცელია და მოიცავს როგორც ევროპის მიმართულებას, ასევე ჩრდილოეთის და სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებებსაც.

ჩვენი აზრით, სწორად და ზუსტად შერჩეული და დაგეგმილი თანამედროვე პიარტექნოლოგიების და მარკეტინგის დახმარებით, საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით უდიდესი პოტენციალი გააჩნია საერთაშორისო პილიგრიმულ მარშრუტს – **„წმ. ანდრია პირველწოდებულის გზა“.**

14.3.4 რელიგიური ტურიზმის განვითარების პრობლემები და გადაწყვეტის გზები

რელიგიური ტურიზმის განვითარებისათვის სასურველი პირობების შესაქმნელად საჭიროა: ტურისტული მიმართულების განსავითარებლად მართვის მექანიზმის ფორმირება; რელიგიური ტურიზმის ნორმატიულ-სამართებლივი ბაზის ფორმირება აღნიშნული მიმართულების სტიმულირების მიზნით და ამ სფეროში ინვესტიციების მოზიდვა; ბიზნესის განვითარების სტიმულირება რელიგიური ტურიზმის სფეროში; ტურისტული მიმართულების განვითარებისათვის მატერიალური ბაზის სტიმულერება ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მიზიდვის გზით – კულტობრივი არქიტექტურის, როგორც რელიგიური ტურიზმის ობიექტების ტექნიკური მდგომარეობის შენარჩუნებასა და რეკონსტრუქციისათვის, განთავსებების ახალი საშუალებების შექმნა; ტურიზმის სფეროში, საქართველოს რეგიონებში ტურისტული ზონების განვითარებისათვის შეასაბამისი პირობების შექმნა; სოციალური და საზოგადოებრივი ცხოვრების ჰარმონიზაცია, საკუთარი ქვეყნის მიმართ ინტერესის გაღვივება, ისტორიულკულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებასა და გარემო პირობების დაცვასთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრა; ტურისტებისათვის საინფორმაციო სისტემის შექმნა და უზრუნველყოფა; აქტიური სარეკლამო-საინფორმაციო სამუშაოების ჩატარება, რომელიც მიმართული იქნება საქართველოს ტურისტული იმიჯისაკენ და სხვადასხვა კონფესიების რელიგიურ-კულტურული ფასეულობების მიმართ ინტერესთა ზრდისაკენ; რელიგიური ტურიზმის სფეროში კადრების განათლებისა და პროფესიული მზადებისათვის სრულფასოვანი სისტემის სრულყოფა.


რელიგიური ტურიზმის განვითარების ძირითად ხელისშემშლელ ფაქტორებად მიგვაჩნია:

- რელიგიური ტურიზმის განვითარების კომპლექსური პროგრამის არარსებობა;
- ტურისტული ინფრასტრუქტურის განუვითარებლობა;
- სასტუმრო კომპლექსების უკმარისობა;
- სარეკლამო-საინფორმაციო პროდუქციის არარსებობა;
- რელიგიური ტურიზმის წარმართვის სისტემის არარსებობა.


რელიგიური ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებლად მიგვაჩნია ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივ ორგანოების მხრიდან მჭიდრო კოორდინირება – კულტურულ დაწესებულებებს, ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციებს, ფიზიკური კულტურის და სპორტის, ტურისტულ კომპანიებს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს, საზოგადოებრივ გაერთიანებებს და რელიგიურ ორგანიზაციებს შორის. ეს კომპლექსური ამოცანაა და მის გადაწყვეტაში მონაწილეობა უნდა მიიღოს სახელმწიფომ, კერძო, საზოგადოებრივმა და რელიგიურმა ინსტიტუტებმა. მხოლოდ ერთობლივი თანამშრომლობით ექნება რელიგიურ ტურიზმს საფუძველი განვითარებისა და საფუძველი იმისა, რომ დადებითი გავლენა მოახდინოს კულტურულ და რელიგიულ დიალოგში, ადგილობრივი მოსახლეობისათვის სულიერი და ეკონომიკური განვითარების საქმეში.

რელიგიური ტურიზმის განვითარებისათვის საჭიროა სისტემური მიდგომა. სისტემური მიდგომა მიღებულია მეცნიერებაში ლუდვიგ ვონ ბერტალანფის პერიოდიდან, რომელმაც გამოაქვეყნა მანიფესტი საერთო სისტემის თეორიის შესახებ Bertalanffy, L. V. (1952), General System Theory. სისტემური მიდგომა არის მეთოდოლოგია კომპლექსური კვლევისა, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სხვადასხვა სამეცნიერო კვლევების მიმართულებით. სისტემური მიდგომა იყენებს განსხვავებულ პროცესს. სვაჯს სისტემას უფრო ფართო გარემოს კონტექსტში, რომლის ნაწილიც თავადაა და შეისწავლის მის როლს უფრო ფართო გაგებით. ნაწილები უკვე არ წარმოადგენენ ფოკუსირების წყაროს. ნაწილები არსებითად მნიშვნელოვანია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ურთიერთკავშირი ნაწილებს შორის, რადგანაც ისინი მუშაობენ ერთად, რათა შესრულებული იქნას მთლიანი სისტემის მიზანი. სისტემური მიდგომის ოპტიმალური თანადამოკიდებულების გასაგებად, ის საჭიროებს სისტემურ ფიქრს. რელიგიური ტურიზმი უფრო დიდი სისტემის ნაწილია – ტურიზმის სისტემის.

ტურიზმის სისტემის და სხვა ტურისტული ქვესისტემების ურთიერთდამოკიდებულება




რელიგიური ტურიზმის, როგორც მიზანზე ორიენტირებული სისტემის ზოგადი მოდელი




მოცემულ ნახაზზე განსაზღვრულია მიზანზე ორიენტირებული სისტემის საერთო მოდელი წყვილით (P.D) P – წარმოადგენს რელიგიური ტურიზმის სისტემის მართვის პროცესს, – წარმოადგენს მართვის ქვესისტემას. ციკლი P→Y→D→U→P წარმოადგენს საპასუხო ინფორმაციას, რომელიც ფუნქციონირებს მიზეზ შედეგობრივი პრინციპით, ამიტომაც ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ მას რეაქტიული კონტროლი. მცირე გადახრებით ასეთი კონტროლი დამაკმაყოფილებელია. გადაწყვეტილების მიღებისთვის რელიგიური ტურიზმის სისტემაში, გარემო ინფორმაცია აუცილებელია. ჯაჭვი X→D→U→P გვაწვდის წინმსწრებ ინფორმაციას, რომელიც წარმოადგენს გარემოს მდგომარეობის სამომავლო მოლოდინს. ის არის სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილი მიზანზე ორიენტირებული სისტემების.

(წრიული დიაგრამა) რელიგიური ტურიზმის განვითარება და პილიგრიმული ზონების მიმზიდველობა, ვიზიტორთა რაოდენობა, ინფრასტრუქტურა, და ინვესტიციები



მოცემული ნახაზი წარმოადგენს სისტემების დიაგრამას, რომელიც შეიძლება აეღწეროთ, შემდეგნაირად: რელიგიური ტურიზმის განვითარება (+) ზეგავლენას ახდენს იმავე მიმართულებით პილიგრიმული ზონების მიმზიდველობაზე (+), რომელიც ზეგავლენას ახდენს ვიზიტორთა რაოდენობაზე (+), ვიზიტორთა რაოდენობა ზეგავლენას ახდენს ინვესტიციების ზრდაზე ინფრასტრუქტურასა და კულტურულ განვითარებაში (+). სხვა მხრივ შეძლება ვთქვათ: მეტი ვიზიტორი (+) იწვევს გარემოს დაბინძურებას (–), რაც არის პილიგრიმული ზონების მიმზიდველობის დაცემის მიზეზი. ამავდროულად თავმოყრა (+) იწვევს შემოვლით გზებს, საგზაო საცობებს, უბედურ შემთხვევებს, მოგზაურობის გადაწყვეტილების მიღების სინანულს (–).



ნახაზი გვიჩვენებს რელიგიური ტურიზმის მოდელის სტრუქტურას. ამ მოდელიდან, ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ საჭირო დინამიკური გამოთვლები კომპიუტერული სიმულაციისთვის, რაც წარმოადგენს შესაძლო შედეგების პრეზენტაციას [107:20-25].

უნდა აღინიშნოს, რომ მომლოცველთა მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები და მართლმადიდებლური მოლოცვის სულიერი მოთხოვნილებები, როგორც წესი, კომერციული ორგანიზაციების მხრიდან იგნორირებულია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მართმადიდებლური მომლოცველობა ტურიზმისგან არსებითად იმით განსხვავდება, რომ მომლოცველთათვის მთავარი მართმადიდებლური სიწმინდეების თაყვანისცემაა და არა მხოლოდ ისტორიული ღირსშესანიშნაობების დათვალიერება ამა თუ იმ ტაძრებსა თუ მონასტრებში. მომლოცველები გააზრებულ მონაწილეობას იღებენ ღვთისმსახურებებში, ეზიარებიან ქრისტეს წმინდა საიდუმლოებებს, ლოცულობენ სასწაულმოქმედ ხატებთან და ეთაყვანებიან წმინდა ნაწილებს. სამომლოცველო მოგზაურობის ასეთი მაღალი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ტურისტულ ფირმებს არ შეუძლიათ. ჩვენი აზრით, სასურველი იქნებოდა,თუ ეპარქიებში შეიქმნება სამომლოცველო სამსახურები და ისინი ორგანიზებას გაუწევენ მართმადიდებელი მორწმუნეების მიერ ადგილობრივი და საზღვარგარეთ მდებარე სიწმინდეების მონახულებას, როგორც წესი, სამომლოცველო სამსახურები დაკავებულები არიან მომლოცველთა მიღებით. მათი უმთავრესი დანიშნულებაა მიიღონ და ყოველივე აუცილებლით უზრუნველყონ მომლოცველები და შესაძლებლობა მისცენ ეთაყვანონ მონასტრის სიწმინდეებს. არანაკლებ მნიშვნელოვანია მომლოცველებს გააცნონ მონასტრის ისტორია.

სამომლოცველო სამსახური არამც და არამც არ არის ტურისტული ფირმა, სადგან სამომლოცველო სამსახური შეიძლება იყოს მხოლოდ ეკლესიის ნაწილი. სამომლოცველო სამსახური ორ ნაწილად იყოფა: 1. ესაა სამომლოცველო მგზავრობების ორგანიზება და 2. სამსახური, რომელიც თავად იღებს მომლოცველებს, მათ შორის ტურისტებსაც.

ტურისტული ფირმების მთავარი მიზანი ფულის გამომუშავებაა, მაშინ როცა სამომლოცველო სამსახურის მთავარი მისწრაფება რელიგიური განათლების მიცემა და მორწმუნის რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაა. მათი ფუნქციები ერთმანეთისგან განსხვავებულია და ორივე სამსახურმა თავთავიანთი საქმე უნდა აკეთოს.

სამომლოცველო სამსახურის თანამშრომელი უნივერსალური განათლებით უნდა გამოირჩეოდეს. ის კარგად უნდა იყოს გათვითცნობიერებული მართმადიდებლურ წესებში. იცოდეს ისტორია და იყოს კარგი ფსიქოლოგი, რადგან ადამიანები, რომლებიც ეკლესიებში თავიანთი პრობლემებით მიდიან, მაგრამ არ იციან როგორ დაამყარონ კონტაქტი მოძღვართან, სწორედ მან უნდა დააკავშიროს ისინი ერთმანეთთან. მას შეიძლება ხშირად უწევდეს იმის მოსმენა, რასაც მოძღვარს აღსარებაზე ეუბნებიან. საქმის ამგვარი სირთულე მოითხოვს სამომლოცველო სამსახურის თანამშრომლების სპეციალურ განათლებას. ამისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ საკვალიფიკაციო კურსის გავლა, საჭიროა ამ მიმართულებით მომზადება გაიარონ იმ უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებიც მაღალი კლასის

სპეციალისტებს მოამზადებს, რათა სამომლოცველო სამსახურებმა სათანადო კონკურენცია გაუწიონ ტურისტულ ფირმებს.

1. ამდენად, საეპარქიო სამსახურებმა და საეკლესიო იერარქის წარმომადგენლებმა მიზანმიმართულად უნდა იმუშაონ მომლოცველობის აღორძინებისთვის.

2. საეპარქიო მმართველობის სამომლოცველო სამსახურებმა უნდა იზრუნონ იმისთვის, რათა მათთან მისულ მომლოცველებს გააჩნდეთ რეალური შესაძლებლობა ეთყვანონ ადგილობრივ სიწმინდეებს და ეზიარონ საჭირო ინფორმაციას.

3. ეპარქიული მმართველობის სამომლოცველო სამსახურებს მიეცეთ რეკომენდაცია დააწესონ სპეციალური ტარიფები სამომლოცველო მომსახურებისთვის. (მონასტრის გაცნობა, ტრაპეზზე, სამომლოცველო სასტუმროში დაბინავება და სხვა).

4. რელიგიური ტურიზმი, როგორც საერო ტურიზმის სახესხვაობა, მიზნად ისახავს მართმადიდებლობის ისტორიისა და ტრადიციების, არქიტექტურის რელიგიური ძეგლების და სხვ. გაცნობას.

5. ღვთისმსახურებაზე ტურისტული ჯგუფებისა და ინდივიდუალური ტურისტების დაშვების გადაწყვეტილებას იღებს მონასტრის წინამძღვარი.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მართმადიდებლური ეკლესიის იერარქიის მრავალი წარმომადგენელი მომხრეა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების და აქტიურად იყენებენ თანამედროვე მენეჯმენტის და მარკეტინგის სტრატეგიას.

ამჟამად, მართმადიდებლური მომლოცველობის ამოცანაა აღორძინოს სიწმინდეების თაყვანისცემის სამამულო ტრადიცია, საზოგადოებასა და ეკლესიას შორის იქცეს დამაკავშირებელ რგოლად. ამისთვის აუცილებელია საქართველოს მართმადიდებლური მომლოცველობის ათასწლოვანი ტრადიციების შესწავლა და სათანადოდ გააზრება, რათა გამოსადეგი იყოს თანამედროვე პირობებში.

რელიგიური ტურიზმის განხილვა უნდა მოხდეს, ძირითადი მიზეზშედეგობრივი კავშირების გამოყოფის, საკვანძო პრობლემების დაფიქსირების, ტურიზმის სახელმწიფო პოლიტიკის კრიტიკული ანალიზისა და ამ სფეროში განვითარებული ქვეყნების გამოცდილების საფუძველზე.

რელიგიური ტურიზმის განვითარებისათვის დაგეგმილი ღონისძიებების პრაქტიკული რეალიზაცია აამაღლებს საქართველოს საერთაშორისო ისტორიულ-კულტურულ სტატუსს და მოიზიდავს მეტ ინვესტიციებს და გაცილებით მეტ რელიგიური ტურიზმით დაინტერესებულ მოგზაურს.

კითხვები გამეორებისთვის:

1. როგორია რელიგიური ტურიზმის პოტენციალი საქართველოში?
2. რა იცით საქართველოს ეკლესია-მონასტრებში სამკურნალო წყლების არსებობის შესახებ? ჩამოთვალეთ რამდენიმე მათგანი.
3. რა გსმენიათ სასწაულმოქმედი ხატის შესახებ?
4. თქვენი აზრით, უწყობს თუ არა ტექნიკური პროგრესი ხელს რელიგიური ტურიზმის განვითარებას?
5. დაასახელეთ პილიგრიმული მასშტაბები საქართველოში?
6. როგორია საერთაშორისო პილიგრიმული ტურისტების მნიშვნელობა საქართველოსთვის?

საეკლესიო ტერმინთა მცირე განმარტებითი ლექსიკონი

— ა —

აგიოგრაფია (ჰაგიოგრაფია) — სასულიერო მწერლობის დარგი, ქრისტიან წმინდანთა ცხოვრება-მოღვაწეობის ან მათი მოწამეობრივი აღსასრულის აღწერა.

აგრაფები — მაცხოვრის გამონათქვამები, რომლებიც წმინდა ოთხთავში არ არის ჩაწერილი. „ბევრი სხვაც არის, რაც იესომ მოიმოქმედა, რომელიც დაწერილებით რომ დაწერილიყო, ეფიქრობ, რომ თვით ქვეყნიერებაც კი ვერ დაიტევდა დაწერილ წიგნებს“ (იოანე 21, 25).

„ადიდებდითსა“ — საეკლესიო საგალობელი, რომელსაც ღვთისმშობლის გალობა ეწოდება — „და სთქუა მარიამ: ადიდებს სული ჩემი უფალსა“ (ლუკა 1, 46).

ადონაი (ძვ. ებრ. უფალი ჩემი) — ღვთის ერთ-ერთი ბიბლიური სახელი.

ათორმეტი სახარება — სახარების თორმეტი მონაკვეთი, სადაც აღწერილია ქრისტეს ვნება (წამება), იკითხება ვნების კვირის დიდ ხუთშაბათს (საღამოს), და პარასკევს (ცისკრის ჟამს).

აიაზმა — ნაკურთხი წყალი, არის დიდი და მცირე. დიდი აიაზმა: — 1) ნათლისღების დღესასწაულზე ნაკურთხი წყალი, რომელსაც მორწმუნეები მთელი წლის განმავლობაში იყენებენ. 2) ნათლობის საიდუმლოს შესრულების დროს ნაკურთხი წყალი.

მცირე აიაზმა — პარაკლისების და სხვა მსახურებათა აღსრულების დროს ნაკურთხი წყალი.

აკათისტო (დაუჯდომელი) — სადიდებელი საგალობელი; ლოცვა, რომლის შესრულების დროს მღვდელმსახურები და მრევლი არ უნდა დასხდნენ, არამედ ფეხზე უნდა იდგნენ ან დაიჩოქონ.

„აკურთხევდითსა“ — საეკლესიო საგალობელი. (კანონის) მე-8 გალობის სახელწოდება, რომელიც აღებულია „სამთა ყრმათა დასაწყისი სიტყვების მიხედვით: „აკურთხევდით ყოველი საქმენი უფლისანი“ (დანიელი, წინასწარმეტყველება 57).

აკოლოთია — ლოცვათა კრებული, ზიარების წინ შესასრულებელი კანონი.

ალილო — ქართული საგალობელი. სრულდება შობის წინა ღამეს.

ალილუია (ძვ. ებრ. „ადიდეთ უფალი“) — დიდება ღვთისა ყველაფრისათვის, ღვთის სადიდებელი შეძახილი, სამგზის წარმოითქმის როგორც ყოვლად წმიდა სამების თითოეული პირისადმი მიმართული სადიდებელი.

ამაღლება უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი — დღესასწაული აღინიშნება აღდგომის მე-40 დღეს, როცა მკვდრეთით აღმდგარი იესო ქრისტე ხორცით ამაღლდა ზეცად და დაჯდა მარჯვენით მამისა (მარკ. 15, 14-19). ამაღლების დღესასწაული IV-V საუკუნეებში საყოველთაო გახდა ქრისტიანული ეკლესიისათვის: იხსენიება ეკლესიის მამებთან (გრიგოლ ნოსელი, იოანე ოქროპირი და სხვა).

ამბა — მონასტრის წინამძღვარი, „მამის“ შესატყვისი. საქართველოში მე-11 საუკუნიდან ალავერდის ეპისკოპოსის ზედწოდება იყო. ტრადიცია მომდინარეობს ალავერდის მონასტრის პირველი წინამძღვრის, ერთ-ერთი თორმეტთაგანი სირიელი მამის — იოსებისაგან, რომელიც ამბა ალავერდელად იწოდებოდა.

ამბიონი — განსაკუთრებული ამაღლებული ადგილი ეკლესიაში. აღსავლის კარის (კანკელის სამი კარიდან შუა კარი) წინ, სადაც იკითხება სახარება, ფსალმუნი, წარმოითქმის ქადაგება და ლოცვები.

ამინ — დამამტკიცებელი, დასკვნითი სიტყვა. წარმოთქვამენ ლოცვის, საგალობლის, ქადაგების ბოლოს, საზეიმო ფიცის ან აღთქმის დადების დროს.

ანათემა — ეკლესიისაგან განკვეთა, შეჩვენება. ქართულ ეკლესიაში ზოგჯერ იხმარებოდა „შერისხვა“.

ანალოგია (ანალოღია) — დახრილი, პატარა მაგიდა, ღვთისმსახურების დროს ხატისა და სახარების დასაბრძანებელი.

ანაფორა — 1) მღვდლის განიერი და გრძელი შესამოსი; 2) წირვის დროს დარჩენილი პური და ღვინო, რომელსაც გლახაკებს ურიგებენ.

ანგელოზთა გალობა — 1) გალობა, რომელსაც განუწყვეტლივ აღავლენენ ღვთის ტახტს გარშემორტყმულნი სერაფიმები „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ“; 2) გალობა, რომელიც ანგელოზებმა იგალობეს მაცხოვრის შობის ღამეს: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება (ლუკა 2, 14)“.

ანგელოზთა დასი — იხ. ანგელოზთანი.

ანგელოზი (ბერძ. მაცნე) — ღვთის ზეციური მსახური, რომელიც ფლობს ადამიანზე ბევრად აღმატებულ ცოდნას, სიწმინდეს, ძალას, არის სულიერი, უსხეულო არსება.

ანტიდორი — სეფისკვერის ნაწილი, რომლიდანაც ამოღებულია ტარიგი. იგი ურიგდება მლოცველებს ზიარების შემდეგ.

ანტიფონი — საეკლესიო გალობის ფორმა; ორი გუნდის მონაცვლეობით გალობა.

ანფოლოგიონი — წიგნი, რომელიც შეიცავს საეკლესიო დღესასწაულთა, ლოცვათა თანმიმდევრობას.

აპოლოგეტიკა — მოძღვრება, რომელიც ღვთის მიერ გამოცხადებულ ჭეშმარიტებას იცავს ფილოსოფოსთა და მოაზროვნეთა ცრუ სწავლებისაგან.

არტოკრასია — პურის კურთხევა.

არტოსი (ბერძნ. პური) — გაფუებული ცომისაგან დამზადებული პური, რომელიც იკურთხება აღდგომის დღეს განსაკუთრებული ლოცვით, მას ინახავენ კანკელის წინ, ანალოღიაზე ბრწყინვალე შვიდეულის განმავლობაში. პასექის შაბათს იმტვრევა და ურიგდება მორწმუნეებს, როგორც სიწმინდე.

არქიდიაკონი — მთავარ დიაკონის ბერული წოდება იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ბერია.

არქიელი — მღვდელმთავარი.

არქიეპისკოპოსი — მთავარეპისკოპოსი, მაღალი იერარქიის ტიტული, უმეტესად მთავარი ქალაქების ეპისკოპოსები.

არქიერატიკონი (ბერძ. სამღვდელმთავრო) — ლიტურგიის წესების სახელმძღვანელო წიგნი, რომელიც განკუთვნილია მღვდელმთავართათვის. არქიერატიკონი ანუ „სამღვდელმთავარო კონდაკი", სამღვდელო კონდაკისაგან განსხვავებით, შეიცავს ხელთდასმის („ქიროტონიის") წესებსაც.

არქიმანდრიტი (ბერძ. ზღუდის უფროსი, იგულისხმება მონასტრის ზღუდე, გალავანი) — მართლმადიდებელი ეკლესიის ბერთა უმაღლესი სასულიერო წოდება. რამდენიმე მონასტრის წინაძღვრის, ზედამხედველის ტიტული.

არწივი — იხ. სამღვდელმთავრო არწივი.

ასამაღლებელი — სამების სადიდებელი ლოცვათა ბოლო ნაწილი, რომელსაც საზეიმო კილოთი ხმამაღლა წარმოთქვამს მღვდელი.

ასკეტიზმი (ბერძ. ასკეტის — გმირობა, ვარჯიში) — განდეგილობა, ხორცის გვემა, ცხოვრების სიამეთა უარყოფა, მორწმუნის პირადი ცხოვრების ძირითადი კანონი.

აქსიოს (ბერძ. ღირსი) — ეპისკოპოსისა და მღვდლების, ზოგჯერ კი დიაკვნის ქიროტონიის დროს სამღვდელოთა და მრევლის შეძახილი, რომლითაც ისინი გამოხატავენ დასტურს, რომ საკურთხებელი პიროვნება გამოირჩევა თავისი წმინდა, შეურყვნელი ცხოვრებით და ღირსია ხელდასხმის.

ალაპი (ბერძ. სიყვარული, ქრისტიანთა ძმური ტრაპეზი) — რიტუალი, რომელიც ძველად მიცვალებულის მოსახსენიებლად ეწყობოდა. საქართველოში მას თან ახლდა წირვა და ზოგჯერ პანაშვიდი. სააღაპო ტრაპეზზე უნდა შეესვათ ღვინო მიცვალებულის ცოდვების შესანდობლად, ხოლო წირვისას მოეხსენებინათ მისი სახელი.

აღდგომა — ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი. უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული „ოდეს ყოველი ხარობს, რამეთუ აღსდგა ქრისტე". მოძრავია და აღინიშნება გაზაფხულის ბუნიობის შემდეგ საცსე მთვარის მომდევნო კვირა დღეს, ებრაული პასექის სწორს, მას წინ უსწრებს დიდმარხვა, რომელიც მორწმუნეებს აღდგომის შესახვედრად ამზადებს. აღდომის დღესასწაული გრძელდება ერთ კვირას (ბრწყინვალე შვიდეული) ახალ კვირამდე (კვირაცხოველობა). სააღდგომო კვერცხებს წითლად ღებავენ (წითელი ფერი ქრისტეს მიერ ადამიანთა კეთილდღეობისათვის დაღვრილი სისხლის მოსაგონია, კვერცხი კი მარადიული სიცოცხლის სიმბოლო), აღდგომის აღნიშვნის დღე დაადგინა ნიკეის საეკლესიო კრებამ (325 წ.) სააღდგომო საგალობლების უმეტესი ნაწილი იოანე დამასკელს ეკუთვნის.

„აღვიცხენითი", „აღვიცხენი" — მცირე ფორმის საეკლესიო საგალობელი, რომელსაც გალობენ ფსალმუნის გალობასთან ერთად, ცისკრის ღვთისმსახურებაზე. სახელწოდება აღებულია 89-ე ფსალმუნის მე-14 მუხლის დასაწყისი სიტყვის მიხედვით: „აღვიცხენით ჩუენ ცისკარსა, წყალობითა შენითა, უფალო".

აღსაგალთა გალობა — ცისკრის ლოცვის წინარე მუხლი რვა ხმისათვის, აღსავლები, ანტიფონი წირვის პირველი სამი საგალობელია.

აღსავლის კარი — ტაძრის კანკელის შუა კარები.

აღსარება — ერთ-ერთი შვიდ საიდუმლოთაგანი, რომლის დროსაც მორწმუნე უფლის წინაშე აღიარებს და ინანიებს თავის ცოდვებს, ხოლო მღვდელი უფლის სახელით შეუნდობს მას.

აღსაყდრება (ინტრონიზაცია) — პატრიარქის კურთხევის ცერემონია.

ახალი აღთქმა — სახღვთო წიგნების კრებული, ბიბლიის ნაწილი, რომელშიც წარმოდგენილია იესო ქრისტეს ცხოვრება და მოძღვრება. ახალი აღთქმის წიგნების (სულ 27) პირველი ნაწილია „ოთხთავი" ანუ ოთხი სახარება: მათესაგან, მარკოზისაგან, ლუკასაგან და იოანესაგან. მას მოსდევს „საქმე მოციქულთა", „კათოლიკე ეპისტოლენი" (სულ 7), „ეპისტოლენი წმიდისა მოციქულისა პავლესნი" (სულ 4) და „გამოცხადება იოანესი" ანუ „აპოკალიფსისი".

ახალი ისრაელი — მართლმადიდებელი ეკლესია.

— ბ —

ბაზილიკა — მოგრძო, ნავისებრი ფორმის ტაძარი, რომელიც სიმბოლურად აღნიშნავს ნავს ცხოვრების ზღვაში, რომლის მესაჭეც არის იესო ქრისტე და მისი საშუალებით შეგვიძლია გავცუროთ ზღვა და მივიდეთ სამშვიდობო ნავსადგურში, ე. ი. სასუფეველში.

ბაია — პალმის რტო.

ბაიობა — იხ. ბზობა.

ბაირალი — ეკლესიის წმიდა დროშა, რომელიც გამოიყენება დიდ საეკლესიო დღესასწაულებზე ჯვრით მსვლელობის დროს. ის აღნიშნავს მართლმადიდებლობის ამ ქვეყანაზე გამარჯვებას.

ბაპტისტერიუმი (ბერძ. ნათლობა) — განსაკუთრებული შენობა, ნათლობის საიდუმლოს ჩასატარებლად, სადაც მოწყობილია ემბაზი.

ბარტყულა (კუნკული) — მონაზვნის თავსაბურავი.

ბარძიმი — ძვირფასი ლითონისაგან (ოქრო, ვერცხლი) დამზადებული მაღალფეხიანი სასმისი, რომელშიც ღმრთისმსახურების დროს ღვინო გარდაიქმნება ქრისტეს სისხლად. ბარძიმიდან ხდება ზიარება.

ბასილი დიდის წირვა — საღვთო ლიტურგიას ძველ დროში სხვადასხვანაირად ასრულებდნენ. ის ხშირად მთელ ღამეს გრძელდებოდა, ამიტომ ქალაქ კესარიის მთავარეპისკოპოსმა, წმ. ბასილი დიდმა, შეადგინა საყოველთაო წირვის სახელმძღვანელო, შემდეგ იგი შეამოკლა წმინდა იოანე ოქროპირმა. დღეს ხმარებაშია უმეტესწილად იოანე ოქროპირის ლიტურგია. ბასილი დიდის წირვა წელიწადში 10-ჯერ სრულდება: დიდმარხვის 1-5 კვირებში, ქრისტეშობის ან მის წინა დღეს, ბასილი დიდის ხსენების დღეს, ნათლისღების ან მის წინა დღეს, დიდ ხუთშაბათს და დიდ შაბათს.

ბალდახი — მეწამული ფერის ოთხკუთხა ნაჭერი, იხმარება ზიარების შემდეგ ბაგეს მოსაწმენდად.

ბერ-მონაზვნობა (ბერძ. „მონახოს“ — კენტად მცხოვრები, განდეგილი) — წუთისოფლისაგან განდგომა, ცხოვრების გატარება საკუთარი ნების უარყოფაში, ლოცვაში, მარხვაში და მუდმივად ღმერთზე ფიქრში. ბერ-მონაზვნულ ცხოვრებას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ მე-3 საუკუნეში, რომელიც განვითარდა მე-4 საუკუნეში. მის ფუძემდებლად ითვლება წმ. ანტონი დიდი.

ბზობა (ბაიობა), ბზობის კვირა — ქრისტეს დიდებით შესვლა იერუსალიმში (უკანასკნელი კვირა აღდგომის წინ). ერთი ათორმეტი საუფლო დღესასწაულთაგანი. დამკვიდრებულია მე-4 საუკუნიდან. მისი შინაარსი დაფუძნებულია სახარებაზე, რომელშიც გადმოცემულია იესო ქრისტეს იერუსალიმში, პასექის დღესასწაულზე დასასწრებად შესვლა. მოსახლეობა იესოს ზეიმით შეეგება, ზოგი მის სახედარს ფეხქვეშ თავის სამოსს უგებდა, ზოგი — პალმის ტოტს — ბაიას უფენდა, თან ოსანას შესძახოდნენ.

ბისონი — 1) ძვირფასი, რბილი, თხელი ქსოვილი მეწამული მოყვითალო ფერის. 2) ამავე ქსოვილისაგან დამზადებული მდიდრული სამოსი. 3) ეპისკოპოსის შესამოსელი. სიმბოლურად აღნიშნავს იმ სამოსელს, რომლითაც იესო შემოსეს განსჯის დროს.

— გ —

გადმოცემა წმიდა — მაცხოვრისა და მოციქულების მიერ ზეპირად გადმოცემული სწავლება, რომლებიც მოგვიანებით იქნა ჩაწერილი. ის შეიცავს: 1) უძველესი ადგილობრივი ეკლესიების სარწმუნოების სიმბოლოს; 2) „მოციქულთა წესებს“, რომელიც მიიღო კანონიკურად მართლმადიდებელმა ეკლესიამ; 3) მსოფლიო და ადგილობრივ კრებათა დადგენილებებს, რომელთა ავტორიტეტი აღიარებულ იქნა VI მსოფლიო კრებაზე; 4) წმიდა მამათა მიერ ჩამოყალიბებულ სიმბოლოებს; 5) მსოფლიო და ადგილობრივი კრებების გადაწყვეტილებებს; 6) პირველ ლიტურგიებს, რომელთა წარმოშობა ეკუთვნით მოციქულებს; 7) პირველ წმინდანთა მარტვილობას, რომელიც შედგენილია თვითმხილველთა მიერ; და სხვა.

განბანვა — ნათლობისა და მირონცხების შემდეგ მირონის მოწმენდა წყლით. პირველ საუკუნეებში სრულდებოდა მირონცხების შემდეგ მე-8 დღეს. თანამედროვე პრაქტიკაში სრულდება იმავე დღეს.

განდეგილობა — ბერ-მონაზვნური ცხოვრების განსაკუთრებული წესი, განმარტოებით დაყუდება აღმატებული მარხვისა და ლოცვისათვის.

„განიცადე“ — გალობა, რომელიც სრულდება ღვთისმსახურთა ზიარების დროს და წარმოადგენს ჯამის წირვის ბოლო ნაწილს, სახელწოდება მოდის ფსალმუნისაგან: „განიცადეთ და იხილეთ, რამეთუ ტკბილ არს უფალი“.

განკვეთა — ერესის გამო ეკლესიიდან გაძევება.

განკითხვის დღე — ქვეყნის აღსასრული, ღვთის საშინელი სამსჯავრო, რომელზეც გადაწყდება ცოდვილთა და მართალთა საბოლოო ბედი. პირველნი ჯოჯოხეთის ცეცხლში ჩაიყრებიან, მეორენი კი — ნეტართა სასუფეველში მოხვდებიან.

„განმანათლებელი“ — ცისკრის ლოცვაზე მე-9 ძლიპირის გალობის შემდეგ წასაკითხი სამმუხლიანი ლოცვა.

განტევება — კურთხევით პატიება შეცოდებისა.

„განძლიერდასა“ – საგალობლის (კანონის) მე-3 გალობა, სახელწოდება აღებულია ბიბლიური ანას გალობის დასაწყისის მიხედვით: „განძლიერდა გული ჩემი უფლისა მიერ“ (1 მეფეთა 2, 1).

გაპატიოსნება – მიცვალებულისათვის ყველა საჭირო წესის აღსრულება, პატივის დადება, დასაკრძალავად მომზადება. შემოსვა, წესის აგება.

გარდამავალი დღესასწაულები – 13 საეკლესიო დღესასწაული, გამოითვლება არა რიცხვით, არამედ სხვა დიდი დღესასწაულების მიხედვით. მაგ. შიო მღვიმელის (ყველიერის ხუშთაბათი), გამოცხადება იერიის ღვთისმშობლის ხატისა (ბრწყინვალე სამშაბათს) და სხვა.

გარდაცვალება – სულის გამოსვლა სხეულიდან, რომლის შედეგად სხეული მიწისაგან შექმნილი „მიწად მიიქცევა“, ხოლო სული განაგრძობს არსებობას და წარსდგება ღვთის წინაშე.

გარდამოხსნა (მოხსნა, ჩამოღება) – 1) ქრისტეს ჩამოღება ჯვრიდან. 2) ქსოვილი, რომელზეც გამოსახულია მაცხოვრის ცხედარი. 3) მსახურება, რომელიც აღესრულება დიდ პარასკევს.

გერი – ასე ეწოდება მიბაძვით გალობებს, სტიქრონებს, რომელთაც უმთავრესად საკუთარი მელოდია აქვთ.

გვერდნი („გუერდი“) – ჰიმნოგრაფიული ტერმინი, რომელიც აღნიშნავს პლაგალურ ე.ი. დამატებით ხმას, ძირითადი ხმებისაგან განსხვავებით.

გვირგვინი – ქორწინების საიდუმლოში გვირგვინის თავზე დადგმა ნიშნავს მეუღლეების მიერ ენებებზე გამარჯვებას და მათ მიერ ქორწინებამდე კეთილსინდისიერად განვლილი ცხოვრებისათვის მინიჭებულ ჯილდოს (იხ. ქორწინება).

გინგალა – დიაკონის შესამოსელის ნაწილი. მხარზე გადასაკიდი გრძელი ვიწრო ბაფთი. სიმბოლურად ნიშნავს ანგელოზთა არანივთიერ ფრთას.

„გიხაროდენი“ – ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი საგალობელი. სახელწოდება მოდის გაბრიელ მთავარანგელოზის მიერ მარიამ ღვთისმშობლისადმი ხარების დროს წარმოთქმული მიმართვის დასაწყისი სიტყვებიდან: „გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ უფალი შენთანა“ (ლუკა 1, 28).

გულანი – საეკლესიო წიგნების კრებული, რომელშიც თავმოყრილია საღვთისმსახურო წიგნები: სახარება, საქმე მოციქულთა, მოციქულთა ეპისტოლენი, თორმეტივე თვის საგალობლები, მარხვანი, ზატიკი, საწინასწარმეტყველო, ფსალმუნნი, ჟამნი, სვინაქსი, ტიპიკონი, მოკლე ჰაგიოგრაფიული საკითხავები და სხვა. გულანი ორიგინალური ქართული კრებულია და არც ერთ სხვა ეკლესიას არ აქვს.

– დ –

დავითნი – დავით მეფის მიერ დაწერილი საგალობლების ანუ ფსალმუნების კრებული.

დაისის ლოცვა – მწუხრის ლოცვა.

დალოცვა – მღვდელმსახურისაგან ლოცვის მიღება.

დასდებელი – ლოცვების კრებული, ცალკეული ვრცელი ლოცვების ბოლოს ჩასართავი (მუხლებში), აგრეთვე ეწოდება ამა თუ იმ საეკლესიო დღესასწაულის წირვათა მთელ საგალობელ მასალას.

დასნი ანგელოზთანი – ანგელოზთა ციური კრებული. იყოფა სამ იერარქიულ საფეხურად, ხოლო თითოეული მათგანი იყოფა სამ დასად ანუ მხედრობად, უმაღლესი იერარქია – სერაფიმნი, ქერუბიმნი, საყდარნი. საშუალო იერარქია – უფლებანი, ძალნი, ხელმწიფებანი. დაბალი იერარქია – მთავრობანი, მთავარანგელოზნი, ანგელოზნი.

დაუცდომელი – იხ. აკათისტო.

დაფარნა – საგანგებოდ გამოჭრილი და შეკერილი გადასაფარებელი. დაფარნა სამია: ერთი დიდი და ორი პატარა – პატარებით იბურება ბარძიმი და ფეშხუმი ცალ–ცალკე, დიდით – ორივე ერთად. დაფარნა სიმბოლურად აღნიშნავს საბევრეს, რომელშიც ღვთისმშობელმა შეახვია ახალშობილი ქრისტე და სუდრებს, რომელშიც შეგრაგნეს მიცვალებული ქრისტე.

დაფლებული – ბერები, რომლებიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში იკეტებოდნენ გამოქვაბულებში ან კელიებში, თავს უძღვნიდნენ ღვთისადმი ლოცვას და ადამიანურ ვნებებთან ბრძოლას.

დეკანოზი – 1) საეკლესიო იერარქიაში – უფროსი მღვდელი. ტაძრის წინამძღვარი. დიდ ეკლესიებში დეკანოზს ზოგჯერ ცალკე სამმართველო – „სადეკანოზო“ ებარა. 2) ქართულ მონასტრებში – მღვდლებისა და მგალობლების უფროსი, მონასტრის წინამძღვრის შემდგომ მეორე პირი. მისი თანაშემწე მღვდელმსახურებაში. 3) აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ხატის მსახური, რომელიც სახატო რიტუალს ასრულებდა და ხატის ჯონებას განაგებდა (წარმართული გადმონაშთი).

დიაკონი – სამღვდელმსახურო იერარქიის ქვედა საფეხურის წევრი, მოძღვრის თანაშემწე, რომელიც მას ეხმარება ღვთისმსახურების წესების შესრულებაში.

დიდება – ღვთის საქებელი შეძახილი.

„დიდება მაღალთანი“ – საცისკრო ლოცვის საგალობელი, რომელიც იწყება სიტყვით „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.

დიდი აიაზმა — იხ. აიაზმა

დიდი ოთხშაბათი — იუდას მიერ მაცხოვრის გაცემის დღე.

დიდი სქემა — იხ. სქემა.

დიდი შაბათი — იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის დღე. ამ დღეს მაცხოვარი სხეულით იმყოფებოდა საფლავში, ხოლო სულით ჩაბრძანდა ჯოჯოხეთში, მართალთა სულების ამოსაყვანად. შაბათს შეიმუსრა ბჭენი ჯოჯოხეთისანი.

დიდი ხუთშაბათი — ქრისტეს უკანასკნელი სერობის (ვახშმის, სამხრობის) დღე, როდესაც მან მოწაფეებისადმი სუფრა გააწყო, რომელსაც 12 მოციქული შემოუსხდა. მოძღვარმა მათ ჯერ სათითაოდ დაბანა ფეხები, შემდეგ პური გაუტეხა. გაუწოდა მოციქულებს და უთხრა: „ეს არის ხორცი ჩემი თქვენთვის განტეხილი, მისატევებელად ცოდვათა“, შემდეგ ღვინო მიაწოდა: „ეს არის სისხლი ჩემი თქვენთვის და მრავალთათვის დათხეული, მისატევებელად ცოდვათა“. ასე აღესრულა პირველი ზიარება.

დიკასტერია — ოლქი იმ მიტროპოლიტისა, რომელიც, თვით პატრიარქს ექვემდებარება, მაგრამ თავის მხრივ განაგებს ზოგიერთ ეპარქიებს თავისი არქიეპისკოპოსებით, ეპისკოპოსებით და განსჯის მათ პატრიარქისგან მინიჭებული უფლებების მიხედვით.

დიკირი — ორსანთელა, გამოიყენება სამღვდელმთავრო მსახურების დროს, სიმბოლურად აღნიშნავს მაცხოვრის ორბუნებოვნებას.

დიოფიზიტობა — მართლმადიდებლობის ერთ-ერთი ძირითადი დოგმატი, რომელიც ცნობს ქრისტეში განსხვავებული და თანაბარი, შეურეველი და განუყოფელი ორი ბუნების ღვთაებრივისა და ადამიანურის არსებობას.

დიპტიხი — მოსახსენებელი წიგნი. გამოიყენება მოციქულთა დროიდან. ფართო გავრცელება ეკლესიებში ჰპოვა მე-4 საუკუნიდან. დიპტიხში მოხსენიება ითვლებოდა დიდ პატივად. მასში შედიოდნენ მხოლოდ წმინდა ცხოვრების წესით განსაკუთრებულად გამორჩეული ადამიანები. დიპტიხები იყოფა: 1) ნათლობის; 2) ცოცხალთა; 3) წმინდანთა ანუ მარტიტოლოგები; 4) მიცვალებულთა, რომელშიც პირველად შედის ეპისკოპოსთა, სამღვდელოთა და ბოლოს, ერისკაცთა სახელები. ეხლა არსებობს დიპტიხების ორი სახეობა საერო ანუ საეკლესიო და კერძო (მოსახსენებელი) (იხ. მოსახსენებელი). პირველი გამოიყენება მონასტრებსა და ეკლესიებში და მასში შედის ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიების მამათმთავართა სახელები. მეორე გამოიყენება ყოველ მართლმადიდებელ ოჯახში.

დოგმატიკური ღვთისმეტყველება — ქრისტიანული სარწმუნოების საფუძვლების სისტემური გადმოცემა. დოგმატური ღვთისმეტყველება ჩამოყალიბდა იუდაიზმისა და მწვალებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ქრისტიანული სარწმუნოების დაცვისა და განმტკიცების მიზნით.

— ე —

ეგზარქოსი (ბერძ. — „თავი უფროსი“) — 1) ძვ. ბერძენთა ქურუმთუფროსი; 2) ბიზანტიაში ბარბაროსთაგან წართმეული, ოლქის მმართველი; 3) ბიზანტიაში ეკლესიის ეპისკოპოსი (III ს-მდე); 4) მართლმადიდებლური ეგზარქატის თავი; 5) ეგზარქატი — მართლმადიდებელი ეკლესიის ოლქი, რამდენიმე ეპარქიის გამაერთიანებელი, რომლის უფროსი — ეგზარქოსი ემორჩილება პატრიარქს.

ეგზეგეტიკა — ღვთისმეტყველების დარგი, რომლის მიზანია საღმრთო წერილის — ბიბლიის ახსნა–განმარტება.

ეგზორკისტი — საეკლესიო ლოცვებით ეშმაკთა და ბოროტ სულთა განმდევნელი.

ეგუმენი (ეკუმენი) — რომელიმე წმინდანის სახელზე, ეკლესიაზე მიშენებული მცირე სამლოცველო.

ედემი (ნეტარება, სიტკბოება) — ღმერთის მიერ ადამიანისათვის შექმნილი წალკოტი — ედემის ბაღი, სადაც ადამიანი ყოველგვარ გასაჭირს, ავადმყოფობის და სიბერის გარეშე ცხოვრობდა სრულ ნეტარებაში.

ევანგელია — ხარება, კეთილი სასიხარულო ამბავი. ევანგელია შედგება ოთხი წიგნისაგან: მათეს, მარკოზის, ლუკას და იოანეს სახარებისაგან.

ეკლოგია (ბერძ. — დალოცვა) — სეფისკვერი, რომელიც ურიგდება მორწმუნეებს ეკლესიაში, წირვის დამთავრების შემდეგ.

ეუქარისტია (ბერძ. — მადლობა) — ზიარება, ქრისტიანული ეკლესიის ერთი შვიდ საიდუმლოთაგანი — მორწმუნის მიერ ქრისტეს სისხლისა და ხორცის მიღება. საგანგებო ღვთისმსახურების წირვის (იხ. ლიტურგია) დროს, პური და ღვინო ქრისტეს ხორცად და სისხლად იქცევა, რომლის მიღებით მორწმუნე ქრისტეს სიწმინდეს ეზიარება და ცოდვებისაგან იწმინდება.

ეკლესია — ღმერთის მიერ დადგენილი ადამიანთა საზოგადოება, რომელსაც აერთიანებს მართლმადიდებლური რწმენა. ეკლესიას განეკუთვნებიან არა მარტო ცოცხალი მართლმადიდებელი ქრისტიანები, არამედ გარდაცვლილებიც, რომლებიც ჭეშმარიტ რწმენაში და სიწმინდეში იყვნენ. მოციქული პავლე გვამცნობს: „თქვენ მიეახლეთ სიონის მთას და ცოცხალი ღვთის ქალაქს ზეციურ იერუსალიმს

და აურაცხელ ანგელოზების კრებულს და პირმშოთა ეკლესიას ცაში რომ არიან ჩაწერილნი, და ყველას განმკითხავ ღმერთს და განსრულებულ მართალთა სულებს, და ახალი აღთქმის შუამდგომელს იესოს, და საპკურებელ სისხლს, რომელიც აბელის სისხლზე უკეთ მეტყველებს (პავ. ებრ. 12, 22-24).

ეკლესიარქი — აღმოსავლეთის ეკლესიაში, განსაკუთრებული თანამდებობა, რომელსაც ევალება ეკლესიაში წესრიგის დაცვა.

ემანუელი (ჩვენთან არს ღმერთი) — იესო ქრისტეს წინასწარმეტყველური სახელი. „აჰა, მუცლად იღებს ქალწული, შობს ძეს და უწოდებს სახელად ემანუელს“ (მათე 1, 23) (ესაია 7, 14).

ემბაზი (ბერძ. — შესვლა) — ნათლისღებისათვის განკუთვნილი ქვის, ხის ან ლითონის ჭურჭელი. „ემბაზის“ შვილი ნიშნავს მონათლულს.

ენკრატისი — მოწესე დედა, მონაზონი.

ენქერი — გვერდზე ჩამოსაკიდი რომბისებური, სამღვდელმთავრო საკმაული, რომელიც სიმბოლურად ნიშნავს: ღვთის ძალის სიდიადეს და მაცდურზე, სიკვდილზე გამარჯვებას. ასევე ენქერი აღნიშნავს სულიერ მახვილს, რომელიც იარაღის მსგავსად მარჯვენა მხარეს დაიკიდება.

ეპარქია — საეკლესიო ტერიტორიული ერთეული, რომელსაც სათავეში უდგას ეპისკოპოსი.

ეპისკოპოსი (ბერძ. — მეთვალყურე, ზედამხედველი) — ღვთისმსახურთა უმაღლესი წოდება, საეკლესიო იერარქიის უმაღლესი წარმომადგენელი, მღვდლობის უმაღლესი ხარისხის მქონე, რომელსაც უფლება აქვს შეასრულოს შვიდივე საიდუმლო და აკურთხოს მირონი. მართავს ეპარქიას, სადაც მისი პრეროგატივაა საეკლესიო ურისდიქცია, ქრისტიანული დოგმატების სწავლება, დაქვემდებარებული სამღვდელოების ქიროტონია (ხელთდასხმა) და სხვ.

ეპიტიმია (ბერძ. — სასჯელი) — მორალურ-გამასწორებელი სასჯელი, რასაც სულიერი მამა დაადებს მორწმუნეს (ხანგრძლივი მარხვა, ლოცვა და სხვ.).

ეპიტრაქილი — იხ. ოლარი.

ეპიფანია (ბერძ. — „გამოცხადება“ ღვთისა) — ქრისტეს გამოცხადება, ნათლობა იორდანეს წყალში.

ერგასი — ძველ ქართულად 50-ს ნიშნავს. ქართული ლიტურგიკული ტრადიციით „ერგასი“ ეწოდება პერიოდს აღდგომიდან სულთ-მოფენობამდე. სახელწოდება ამ დღეების რაოდენობასთანაა დაკავშირებული. სულთმოფენობის დღესასწაული აღდგომიდან 50-ე დღეს აღინიშნება. იხ. ზატიკი.

ერგასის განზოგება (განახვერება) — დღესასწაული, ერგასის შუა პერიოდი, აღდგომიდან 25-ე დღე.

ერესი — მწვალებლობა, ეკლესიის დოგმების წინააღმდეგ მიმართული მოძღვრებანი.

ერესიარქი — მწვალებლური სწავლების დამმარსებელი.

ერეტიკოსი — მწვალებელი.

ერთდღიანი მარხვები — 1) ყოველი შვიდეულის ოთხშაბათი და პარასკევი (გარდა ხსნილისა); 2) ნათლისღების წინა დღე 5(18) იანვარი; 3) წმ. იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის დღე 29 აგვისტო (11 სექტემბერი); 4) ჯვართამაღლების დღე 14(27) სექტემბერი.

ესქატოლოგია (ბერძ. — უკანასკნელი მოძღვრება) — რელიგიური მოძღვრება ქვეყნის აღსასრულზე.

ექტენია — იხ. კვერექსი.

— ვ —

ვარდის წყალი — გამოიყენება ტრაპეზის კურთხევის დროს.

ვარსკვლავი — ორი ერთიმეორეზე გადაჯვარედინებული ლითონის მოღუნული ვიწრო, თხელი ფირფიტა, რომელსაც დგამენ ფეშხუმზე, იმ მიზნით, რომ დაფარნა არ შეეხოს ტარიგს. სიმბოლურად ნიშნავს ვარსკვლავს, რომელიც წინ უძღოდა აღმოსავლეთიდან მომავალ მოგვებს.

ვნება — 1) ცოდვა, რომელიც მავნე ჩვევად იქცა; 2) გულისწყრომა, გულისთქმა; 3) ხორციელი სნეულება, წყლული, ჭრილობა.

ვნების კვირა — აღდგომის წინა დიდმარხვის ბოლო კვირა.

— ზ —

ზარი — ხარების ქრისტიანული სიმბოლო ღვთისმსახურებაში. პირველად შემოღებულ იქნა მე—4 საუკუნეში, ნოლანის ეპისკოპოსის — პავლინის მიერ.

ზატიკი — 1) მსხვერპლი, „ვნება“ იესოსი, დღესასწაული პურისა, — ზატიკად ჩვენდა დაიკლა ქრისტე“ (1 კორინთ. 5, 7); 2) საეკლესიო წიგნი, რომელშიც მოთავსებულია აღდგომიდან სულთმოფენობამდე და ყოველთა წმინდანთა კვირამდე წარმოსათქმელი ლოცვები და საგალობლები; 3) პასექის დღესასწაული, იგივე ერგასი, ზატიკში იგულისხმება პერიოდი აღდგომიდან ყოველთა წმინდანთა კვირამდე. ამ პერიოდში უდიდესი საუფლო დღესასწაულებია: მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომა, ამაღლება და სულთმოფენობა, რის გამოც ამ პერიოდს საეკლესიო მსახურება განსაკუთრებული საზეიმო ხასიათით და ლიტურგიკული თავისებურებებით გამოირჩევა. იცვლება სხვადასხვა ლოცვები და მათი კითხვის წესები.

ზატიკი მცირე — საეკლესიო წიგნი, რომელშიც მოთავსებულია ბრწყინვალე შვიდეულში წარმოსათქმელი ლოცვები და საგალობლები.

ზედაშე — ყურძნის სუფთა წვენისაგან დამზადებული წითელი ღვინო. გამოიყენება ლიტურგიის დროს.

ზესკნელი — ზეცით, უმაღლესი კიდე, ანგელოზთა სამყოფელი.

ზიარება — იხ. წმ. ზიარება.

— თ —

თანამდები — მევალე.

თანანადებნი (მათე 6, 12) — ვანდებული.

თბე — გაფუებული ცომი.

თეოკრატია — სახელმწიფო წეს-წყობილება, სადაც, უმაღლესი ხელისუფლება ეკუთვნის უშუალოდ ღმერთს, ღმერთი განაგებს ასეთ სახელმწიფოს სასულიერო პირთა მეშვეობით.

თვენი — 1) საეკლესიო წიგნები, რომლებიც შეიცავს ლოცვებსა და საგალობლებს, თითოეული დღისათვის ცალკე; 2) წიგნი, რომელიც შეიცავს ეკლესიის კალენდარში ხსენებულ წმინდათა ცხოვრებას.

თვითავაჯნი — საგალობელი, რომელსაც საკუთარი მელოდია აქვს და არ არის დამოკიდებული ძლისპირზე.

— ი —

იადგარი — ძველ ქართულ მწერლობაში ჰიმნებისა და საგალობლების კრებული.

იაჰვე (ებრ. იეჰოვა) — ძვ. აღთქმით ღვთის გამომხატველი სიტყვა — „მე ვარ რომელი ვარ".

იბაკო — მცირე ფორმის საგალობლების სახეობა. იგალობება კვირა დღეებში, ცისკრად, 118-ე ფსალმუნის შემდეგ, სრულდება ფეხზე დგომით ე. ი. საზეიმოდ; იბაკო მოთავსებულია კანონის მესამე გალობის შემდეგ.

იერარქი (ბერძ. — ჰიეროს — წმინდა, არქე — საწყისი, საფუძველი ძალაუფლება) — ქრისტიანული სამღვდელოების უმაღლესი რანგი (პატრიარქი, მიტროპოლიტი, არქიეპისკოპოსი, ეპისკოპოსი. არქიელი).

იერარქია საეკლესიო (ბერძ. — სასულიერო ძალაუფლება) — ეკლესიის მსახურთა ხარისხობრივი კიბე ქვემოდან მაღლა. უწინარეს ყოვლისა არჩევენ „თეთრ" და „შავ" სამღვდელოებას. „თეთრს" ეკუთვნის სასულიერო პირი, რომელსაც ჰყავს ოჯახი. „შავს" — საბერო დასი. ორივეს საწყისი საფეხური დიაკვნობაა, შემდეგ მღვდლობა („თეთრისათვის") და მღვდელ-მონაზვნობა („შავისათვის"), შემდგომ მოდის შესაბამისად დეკანოზი და იღუმენი. „თეთრი" სამღვდელოებიდან ინიშნება პროტოპრესვიტერი (პატრიარქის ან მღვდელმთავრის ღვთისმსახურების მომწესრიგებელი). იღუმენთა შორის უმაღლესი წოდებაა არქიმანდრიტი. არქიმანდრიტებიდან ირჩევენ ეპისკოპოსს. ეპისკოპოსთა შორის არის სამი წოდება: ეპისკოპოსი, არქიეპისკოპოსი და მიტროპოლიტი. ეპისკოპოსთა ხარისხიდან ირჩევენ პატრიარქს. ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სათავეში დგას კათოლიკოს-პატრიარქი, რომელსაც წმ. სინოდი ირჩევს. მღვდელმთავრები განაგებენ ეპარქიებს, უმაღლესი ორგანოა საეკლესიო კრება. პატრიარქის მოადგილე ქორეპისკოპოსი განაგებს მშენებლობას, არის საგარეო საქმეთა განყოფილება და სხვა.

იერეი — მღვდელი.

იეროკირიქსი — ღვთის სიტყვის მქადაგებელი, საეკლესიო კათედრიდან.

იერომნიმონი — დავიწყებული სამღვდელო საქმის მომგონებელი.

იერუსალიმს დიდებით შესვლა უფლისა — იხ. ბზობა.

იკოსი — კონდაკთან საკითხავი გრძელი მუხლი (VI ლოცვა). დაუჯდომელის გრძელ მუხლებსაც იკოსს უწოდებენ.

ჰიპოსტასი (ბერძ. — პიროვნება, პირი) — სამების თითოეული პირი, ჰიპოსტასი.

ირმოლოგიონი — ღვთისმსახურების წიგნი, რომელშიც მოცემულია მოძრავი და უძრავი დღესასწაულების საგალობლები.

ირმოსი (ბერძ. — დაკავშირება) — ქართ. ძლისპირი — ყოველ კანონში პირველი მუხლის სახელწოდება, ის აკავშირებს ერთიმეორესთან მომდევნო ტროპარებს.

ისიხაზმი — XIV საუკუნის ბერძენი ბერების მიერ ათონის მთაზე ჩამოყალიბებული მისტიკური სწავლა-მოძღვრება, რომლის მიხედვითაც მარადიული შეუქმნელი ღვთიური ნათელის (რომელიც ღვთის ფერისცვალების დროს მოეცლინა თაბორზე) ხილვის მიღწევა შესაძლებელია განსაკუთრებული ასკეტური მოღვაწეობით.

იღუმენი — მართლმადიდებლური მონასტრის წინამძღვარი.

— კ —

კაბა — სამღვდელო შესამოსელი.

კათაკმეველი — მოუნათლავი, ქრისტიანული წესით მოსანათლად გამზადებული. ის ვინც ქრისტიანულ ეკლესიაში ემზადება ნათლობისათვის, სწავლობს სარწმუნოების საფუძვლებს და ეკლესიური ცხოვრების წესებს. კათაკმეველობაში დარჩენილი — მოუნათლავად დარჩენილი.

კათედრა — 1) ადგილი, საიდანაც ქადაგებენ; 2) ეპისკოპოსის (არქიელის) სავარძელი; 3) ეპისკოპოსის რეზიდენციის ტრადიციული ადგილი (ქალაქი, დაბა, მონასტერი).

კათოლიკე (ბერძ. — საყოველთაო) — ქრისტეს მართლმადიდებელი ეკლესია მსოფლიოსა საყოველთაო და კრებითი, იგი ყველა ადგილსა და ყველა დროის მორწმუნეებს მოიცავს.

კათოლიკოსი (ბერძ. — საყოველთაო, სრულიად) — საქართველოს ეკლესიაში პატრიარქი, წოდება უმაღლესი მღვდელმთავარი.

კანდელი (სანათი, ლამპარი) — ქრისტიანულ ეკლესიაში მსახურების ერთ-ერთი აუცილებელი ნივთი, ეკლესიის ჭერზე ჯაჭვით ჩამოკიდებული ლამპარი, რომელშიც ზეთი ანთია. ქორკანდელი — სასანთლეთა წრე, ერთ საკიდზე დაკიდებული რამდენიმე კანდელი. აღაპები უთითებენ, რომელი ხატის წინ უნდა დაინთოს კანდელი სააღაპე პირისათვის და რამდენი ზეთი უნდა დაისარჯოს.

კანკელი (იკონოსტასი) — მართლმადიდებელ ეკლესიაში ტიხარი, ზღუდე, რომელიც საკურთხეველს გამოყოფს ეკლესიის ძირითადი ნაწილისაგან. მას სამი კარი აქვს. შუა კარს აღსავლის, ანუ სამეფო კარი ჰქვია, აქედან შედიან საკურთხეველში მღვდელმსახურნი, ხოლო ჩრდილოეთისა და სამხრეთის კარიდან შედიან საეკლესიო მსახურნი და ერისკაცნი. ჩრდილოეთის კარიდან სრულდება დიდი და მცირე გამოსვლა წირვის დროს.

კანონი (ბერძ. — „ჯოხი", მითითება, წესი) — 1) ეკლესიის სწავლება — მოძღვრების ამსახველი წესი, ფორმა, რომელიც ეკლესიის კრებითი დადგენილებით არის მიღებული; 2) ღვთაებრივი შთაგონებით დაწერილი რელიგიური წიგნი; 3) საზეიმო გალობა, ცხრა გალობის ერთობლიობა, ყოველი შეიცავს ხუთ მუხლს, ეძღვნება ამა თუ იმ წმინდანს.

კანონიზაცია (ბერძ. — ვაკანონებ) — სარწმუნოებისათვის თავდადებულთა, მოწამეთა, ეკლესიის მოღვაწეთა, წმინდანად შერაცხვა.

კანონიკა — საეკლესიო სასულიერო მწერლობის დარგი, მოიცავს საეკლესიო იურიდიულ ლიტერატურას, რომელიც უმაღლესი საეკლესიო ორგანოების მიერ ნებადართულია იურიდიულ საკითხებში პრაქტიკული ხელმძღვანელობისათვის.

კარიბჭე (პორტიკი) — ეკლესიის დასავლეთის ან სამხრეთის მხრიდან წინ გამოწეული შენობის ნაწილი, რომელიც სახურავის საყრდენი კედლით ან სვეტებით და თაღებით არის შექმნილი და ღიაა ერთი ან სამი მხრიდან.

კარშიკი — მღვდლის შესამოსი, შესაკრავი ღილი, ბალთა.

კატასტასია (ბერძ. — მისვლა) — კანონის დასამთავრებელი, ბოლო მუხლი (ლექსი), რომელიც თავშიც იმეორება და ბოლოშიც („დასაფარებელი"). მისი შესრულების დროს ორივე მგალობელთა გუნდი ერთმანეთს უახლოვდება და დგება ამბიონთან.

კატაკომბები — რომის იმპერიაში, ქრისტიანთა დევნისას შექმნილი მიწისქვეშა სამარხები, სადაც მოწყობილი იყო მართალთა სალოცავი და მოსასვენებელი ოთახები, აგრეთვე, მათი სამალავები.

კატეხიზმო (ბერძ. — ზეპირი დარიგება, განცხადება) — ეკლესიაში ახალმოსულთა სასწავლად გამიზნული წიგნი. ქრისტეს მოძღვრების გადმოცემა კითხვა-პასუხის სახით.

კელია — ბერის საცხოვრებელი, სენაკი.

კერპი — წარმართული ღმერთების სკულპტურული გამოსახულება, მათ როგორც ღმერთებს მსხვერპლს სწირავდნენ, რასაც ქართული წყაროებით „ზორვა" ან „გება" ეწოდება.

კერძო ღვთისმსახურება — ღვთისმსახურება, რომელიც სრულდება რომელიმე კერძო პირისათვის, ცოცხალთათვის ან მიცვალებულთათვის. მაგ.: პანაშვიდი, პარაკლისი, სახლის კურთხევა და სხვა. შესაძლებელია შესრულდეს სახლში.

კვართი (სტიქარი) — მღვდელმსახურების დროს მედავითნის, დიაკვნის, მღვდლის და ეპისკოპოსის ჩასაცმელი. მიჩნეულია ქრისტეს სამოსელის სიმბოლურ გამოხატულებად.

კვართი საუფლო — ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიერ მოქსოვილი იესო ქრისტეს ზედა სამოსელი. გოლგოთაზე ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ მისი სამოსელი მცხეთელმა ებრაელებმა იერუსალიმიდან მცხეთაში ჩამოიტანეს. კვართი დამარხულია მიწაში სვეტის (სვეტიცხოვლის) ქვეშ და ის სვეტიცხოვლის უდიდეს სიწმინდეს წარმოადგენს.

კვეთა — იხ. პროსკომიდია.

კვეთებული — სპეციალური ლოცვა, კანონი სულიერად ავადმყოფთათვის.

კერექსი — გარკვეული თანმიმდევრობით დალაგებული მოკლე ლოცვების წყება, რომელსაც კითხულობს დიაკონი ან მღვდელი, ხოლო ლოცვების თითოეულ მუხლზე გუნდი პასუხობს: „უფალო შეგვიწყალენ“, ზოგიერთ შემთხვევაში „მოგვმადლენ უფალო“. სახეები: მცირე, დიდი, მრჩობლი, თხოვნითი, მიცვალებულის მოსახსენიებელი და სხვა.

კერთხი — ეძლევა მღვდელმთავარს ეპისკოპოსად კურთხევის დროს ლიტურგიის შემდეგ. იგი წარმოადგენს მამობრივი მზრუნველობის სიმბოლოს თავისი სამწყსოს მიმართ.

კიდამონი — მირონის სურნელი.

კლირი — მღვდელმსახურთა, ეკლესიის მსახურთა, სასულიეროთა მრევლის საერთო სახელი.

კოვზი — კოვზით აზიარებენ მორწმუნეებს, სიმბოლურად ნიშნავს ლერწამს, რომლითაც ჯვარცმულ მაცხოვარს მიაწოდეს ნაღველნარევ ძმარში დასველებული ღრუბელი.

კონდაკი (ბერძ. — მოკლე) — 1) სამღვდელმსახურო წიგნი, რომელსაც იყენებენ მღვდელმთავარი და დიაკონი. მასში მოთავსებულია მწუხრზე, ცისკარზე და წირვაზე სათქმელი ლოცვები; 2) ჯოხი, რომელზეც დახვეული იყო პერგამენტის გრაგნილები, სადაც აღწერილი იყო ქრისტიანული საგალობლები. შემდგომ ასევე ეწოდა თავად საგალობლებსაც, რომლებშიც მოცემულია საეკლესიო დღესასწაულის, რომელიმე წმინდანის ცხოვრების, ან ყველაზე უმნიშვნელოვანესი მოვლენის მოკლე აღწერა.

კორკოტი — მიცვალებულთა დაკრძალვისა და მოხსენიების დროს შესაწირი. კორკოტი მოხარშული ხორბალია თაფლით შეკაზმული. სიმბოლურად ხორბალი აღნიშნავს, რომ მიცვალებული ჭეშმარიტად აღსდგება, ხოლო თაფლი — ნეტარი ცხოვრების სიტკბოებას, რომელიც მოელის მართლებს აღდგომის შემდეგ.

კრავი — საღვთო კრავი, ტარიგი, იესო ქრისტეს სახელი, რომელიც მას უწოდა იოანე ნათლისმცემელმა (იოანე 1, 29) იმის აღსანიშნავად, რომ მან თავისი სისხლით ცოდვებისაგან იხსნა კაცობრიობა.

კრიალოსანი — ძაფზე ასხმული მძივი, რომელიც გამოიყენება ლოცვისას კანონის შესასრულებლად. სახელწოდება წარმოდგება ბერძ. „კირიე ელეისონიდან“ რაც ნიშნავს „უფალო შემიწყალეს“. მძივებით მლოცველი წარმოთქმული ლოცვების რაოდენობას განსაზღვრავს.

კტიტორი — იხ. ქტიტორი.

კუნკული — იხ. ბარტყულა.

კურთხევა (ბერძ. — ქიროტონია, ხელის ძალით მოქმედება) — 1) ეპისკოპოსის, მღვდლის ან დიაკვნის ამაღლება სამღვდლო ხარისხში ხელდასხმით; კურთხევის დროს უპირატესი ეპისკოპოსი ხელს დაადებს თავზე მას, ვინც უნდა აკურთხოს, ამით გადასცემს უფლის მადლს; 2) მღვდელმსახურის მიერ მორწმუნის დალოცვა რამე საქმეზე.

კურთხევანი — ღვთისმსახურების წიგნები. მასში მოთავსებულია საეკლესიო საიდუმლოებების და სხვა საეკლესიო წესების შესრულების დროს საჭირო ლოცვები.

„კურთხეულ არსა“ — საეკლესიო საგალობლის (კანონის) მე-7 გალობა, რომლის სახელწოდება აღებულია დანიელის წინასწარმეტყველების „სამთა ყრმათა გალობის“ დასაწყისი სიტყვიდან „კურთხეულ ხარ შენ, უფალო, ღმერთო მამათა ჩუენთაო“ (დანიელი 3, 26).

— ლ —

ლავრა — ბერთა დიდი მონასტერი.

ლახვარი — ხის ან ლითონის ტარზე წამოგებული ორპირიანი სამკუთხა დანა, რომლითაც კვეთენ (ჭრიან) საზიარებლად გამზადებულ სეფისკვერს. სიმბოლურად მოგვაგონებს იმ ლახვარს, რომლითაც უგმირეს ჯვარცმულ ქრისტეს.

ლიტანია, ლიტანიობა — დიდ საეკლესიო დღესასწაულებზე ეკლესიის გარშემო აღვლენილი საეძრებელი ლოცვა. რომელსაც გალობით უერთდებიან მორწმუნენი. მაგ: აღდგომა დღეს მსვლელობა სრულდება შუაღამისას, მღვდელმსახურნი ჯვრით, ხატებით და მორწმუნენი ანთებული სანთლებით, ლიტანიით გარს უვლიან ტაძარს.

ლიტურგია (ბერძ. — საერთო მსახურება) — 1) პურის ტეხვა, ევქარისტია, ზიარების წმინდა საიდუმლო, რომელიც შეიწირება მთელი ერისათვის, ცოცხალთა და მიცვალებულთა სახელებზე. ლიტურგია სამნაწილიანია: კვეთა, კათაკმეველთა და მართალთა. (საქმე მოციქულთა 3, 25); 2) წირვა (ჟამის წირვა), როდესაც სრულდება საიდუმლო ზიარება (ევქარისტია), უსისხლო მსხვერპლის შეწირვა. ტიპიკონის მიხედვით შედგება საკითხავებისა და საგალობლებისაგან. მისი საყოველთაო წესები საბოლოოდ შემუშავდა მე-4 საუკუნეში. არსებობს სამი სახის ლიტურგია: იოანე ოქროპირის, ბასილი დიდის და გრიგოლ დიოლოღოსის პირველშეწირულის წირვა.

ლიტურგიკა — ქრისტიანული ღვთისმსახურების შემსწავლელი დისციპლინა, რომელიც იკვლევს მის თეორიულ საფუძვლებს, განვითარების ისტორიულ პროცესებს და ტრადიციებს. ადგენს საეკლესიო დღესასწაულთა ციკლს, ღვთისმსახურების შესრულების წესებს და რიგს და ა.შ.

ლოგოსი (ბერძ. — სიტყვა) — წმ. სამების მეორე პირი. — ძე ღვთისა, როგორც სამარადისო და ღვთის იპოსტასური სიტყვა. მარადისობაში მყოფი მამა ღმერთთან და შემდეგ განხორციელებული ქვეყანაზე, რომელმაც იტვირთა ადამიანური ბუნება ცოდვის გარდა ადამიანისათვის და მათ გადასარჩენად. „თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი“ (იოანე 1, 1).

ლოცვა — საუბარი ღმერთთან და წმინდანებთან. წმინდა მამები გვასწავლიან, რომ უნდა ვილოცოთ ყურადღებით და მოწიწების გრძნობით, ლოცვის მიზანი სინანული უნდა იყოს და მხოლოს იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ ეს სამი თვისება: ყურადღება, მოწიწების გრძნობა და სინანული მუდამ თან ახლდეს ჩვენს ლოცვას: „ლოცვა არის თხოვნითი მიმართვა ღვთისადმი მადლობით და დიდებით. ლოცვაში ჩვენ შევთხოვთ ღმერთს ყოველივეს რაც გვჭირდება, შევწირავთ მადლობას მოწყალებისათვის და ვადიდებთ მას უზენაესობისათვის“ (წმ. იოანე ოქროპირი).

— მ —

მადლი (1 ტიმოთე 1, 2) — ღვთის მიერ მინიჭებული წყალობა ადამიანისათვის, მიუხედავად მათი მოღვაწეობისა,მადლი ეძლევა ყველა ადამიანს, რათა ისინი განიწმინდონ ამ ქვეყნის ცოდვებისაგან, რათა უჩვენოს მათ ხსნის გზა, სასუფეველისკენ მიმავალი.

მანტია — მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდელთმთავართა საზეიმო სამოსელი.

მარადისობა — განასხვავებენ ორი სახის მარადისობის გაგებას: 1) მასში იგულისხმება დრო, რომელიც უსასრულოდ გრძელდება, მოვლენათა უსასრულო ჯამს, რომელიც შედგება წარსულის, აწმყოსა და მომავლისაგან; 2) მარადისობაში გულისხმობენ დროის არ არსებობას, რომელიც არ უშვებს თავის თავში არავითარ ცვლილებებს.

მართალთა ლიტურგია — ლიტურგიის მთავარი ნაწილი, რომლის დროსაც პური და ღვინო გადაიქცევა მაცხოვრის სისხლად და ხორცად, მასზე დასწრების უფლება არა აქვთ კათაკმეველებს და ეპიტიმია დადებულ მორწმუნეებს, მას ესწრებიან მართლები.

მართალნი — მრევლის ის ნაწილი, რომელიც შეურყვნელად იცავს ღვთის მცნებებს.

მართლმადიდებლობა — პირველი ერთიანი ეკლესიის მემკვიდრე, მადლმოსილებით, სწავლა-მოძღვრებით, შესაბამისი ტრადიციებით. მართლმადიდებლობა ეყრდნობა საღმრთო წერილს (ბიბლიას), მოციქულთა 7 მსოფლიო საეკლესიო კრების და ადგილობრივი კრებების დადგენილებებს (IV-VIII სს.) ეკლესიის მამათა თხზულებებს, 7 საიდუმლოებას და სხვა. მართლმადიდებლურ დოგმატურ სწავლებას მოკლედ გამოხატავს „სარწმუნოების სიმბოლო“, რომელიც მიიღო ნიკეის (325 წ.) მსოფლიო და კონსტანტინოპოლის (381 წ.) კრებებმა. ეს სიმბოლო გამოხატავს აბოსოლუტურ, უცილობელ, მარადიულ, შეუცვლელ და მიუწვდომელ ჭეშმარიტებას. მართლმადიდებლობისაგან განსხვავებით კათოლიციზმმა შეიტანა ცვლილებები ეკლესიის სწავლებაში. კერძოდ: მამა ღმერთთან ერთად ძე ღმერთისაგან სული წმიდის გადმოსვლა, რომის პაპის ღვთის მოადგილეობა და უცოდველობა, გასაწმენდელის არსებობა, მადლის გაცემა ინდულგენციებით და სხვა. მართლმადიდებლები იყენებენ იულიუსის კალენდარს, კათოლიკები — გრიგორიანულს.

მართლმადიდებელი ეკლესია — იესო ქრისტეს მიერ სულიწმიდის გარდამოსვლით დაფუძნებული მოციქულთა ეკლესია, რომლის გამომხატველი სახე ჩამოყალიბდა ბიზანტიის იმპერიაში IV—IX სს—ში. ამჟამად მსოფლიოში არსებობს 15 ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია: 1) კონსტანტინოპოლის; 2) ალექსანდრიის; 3) ანტიოქიის; 4) იერუსალიმის; 5) რუსეთის; 6) საქართველოს; 7) სერბეთის; 8) რუმინეთის; 9) კვიპროსის; 10) ელადის; 11) ბულგარეთის; 12) ალბანეთის; 13) პოლონეთის; 14) ჩეხოსლოვაკიის; 15) ამერიკის, რომლებიც ქმნიან ერთ მსოფლიო ეკლესიას.

მარიამობა — წმ. მარიამ ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული. აღინიშნება 15(28) აგვისტოს.

მარტვილობა (წამება) — ჰაგიოგრაფიის ერთ—ერთი უმნიშვნელოვანესი და უძველესი ჟანრი: ასახავს ქრისტიანობისათვის თავდადებული წმინდანების ცხოვრებას და მათ მოწამეობრივ აღსასრულს.

მარხვა — განსაზღვრული დროით გარკვეული სახის საკვების (ხორცის, თევზის, რძის პროდუქტების) მიღების აკრძალვა. მარხვის დაცვა სავალდებულოა ყოველი მორწმუნისათვის; ამ დროს ლოცვითა და თავშეკავებით ადამიანის სხეული იწმინდება, როგორც სულიერად, ასევე ხორციელად. მართლმადიდებლობაში დაწესებულია 4 მრავალდღიანი მარხვა: დიდი (7 კვირა), პეტრე-პავლეს (1-დან 5 კვირამდე, დამოკიდებულია აღდგომის დღეზე), ღვთისმშობლის მიძინების (2 კვირა), საშობაო (6 კვირა) მარხვა. აგრეთვე, ერთდღიანი მარხვები, ყოველი კვირის ოთხშაბათსა და პარასკევს, ასევე ზოგიერთ სხვა დღესაც (მაგ.: ჯვართამაღლების დღეს). სულ დაახლოებით, 200 დღეა. ყველაზე მნიშვნელოვანია დიდი მარხვა.

მარხვანი — საღვთისმსახურო წიგნი, რომელიც შეიცავს საეკლესიო წელიწადის მოძრავი პერიოდის — დიდმარხვისათვის დაწესებულ საგალობლებს.

მებრძოლი და მოზეიმე ეკლესია — მართლმადიდებელ მებრძოლ ეკლესიას წარმოადგენს ამჟამად გზაზე მავალ მორწმუნეთა ერთობლიობა, რომლებიც ებრძვიან მიწიერ ცნებებს, ცოდვებსა და დემონებს. ხოლო მოზეიმე ეკლესია წარმოადგენს — ზეციურ ეკლესიას, რომელმაც დაამარცხა ჯოჯოხეთი, სიკვდილი და იმყოფება მარადიულ ნეტარებაში. მებრძოლი და მოზეიმე ეკლესიის მღვდელმთავარია იესო ქრისტე.

მედავითნე — წირვა–ლოცვის დროს ფსალმუნთა მკითხველი; წიგნის მკითხველი.

მეორედ მოსვლა — ქვეყნიერების დასასრულს იესო ქრისტეს გამოჩენა მხოფლიოს წინაშე. თავის მეორედ მოსვლაზე იესო ქრისტე არა ერთხელ ეუბნებოდა თავის მოწაფეებს; იესოს ცადამაღლებისას ანგელოზებმა მოციქულებს აუწყეს: „გალილეველო კაცებო, რას დგახართ და შეჰყურებთ ზეცას? იესო, რომელიც თქვენგან ამაღლდა ზეცად, კვლავ მოვა, როგორც ზეცად აღმავალი იხილეთ“ (საქმე 1, 2). მეორედ მოსვლისას იესო ქრისტე მოვა მთელი თავისი დიდებით, ანგელოზთა და წმინდანთა გარემოცვაში. ეს თარიღი არა მარტო ადამიანთა, არამედ თვით ანგელოზთათვისაც უცნობია. მეორედ მოსვლა მოხდება უეცრად, ყველასათვის მოულოდნელად, თუმცა წმინდა წერილში მინიშნებულია რამოდენიმე ნიშანი (დიდი არეულობა მსოფლიოში, ბუნებრივი კატაკლიზმები, სახარების მსოფლიოში ქადაგების შემდეგ სარწმუნოებისაგან განდგომა, უსჯულოების გამრავლება, ანტიქრისტეს გამოჩენა და სხვა), რომლებიც წინ უსწრებს მას.

მესვეტეობა — განდეგილობის ერთ-ერთი სახეობა. მესვეტეები დადებული აღთქმის მიხედვით ეყუდებოდნენ ხანგრძლივი დროით სვეტზე. მესვეტეობა წარმოიშვა მე-3 საუკუნის ბოლოს, ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით ცნობილნი არიან: სვიმონ მესვეტე, ნეტარი დანიელი, ნეტარი იოანე და სხვა.

მესია („მხსნელი“) — ძე ღვთისა, რომელიც მოავლინა ღმერთმა ადამიანის მხსნელად, ბოროტების აღმოსაფხვრელად და მარადიული ცხოვრების დასამკვიდრებლად.

„მესმასა“ — საეკლესიო საგალობლების (კანონის) მე-4 გალობა, რომლიც სახელწოდება აღებულია ბიბლიური ამბაკუმის გალობის დასაწყისი სიტყვიდან: „მესმა უფალო, სასმენელი შენი და შემეშინდა“ (ამბაკუმი 3, 1).

მეტანია (ბერძ. — აზრის შეცვლა, სინანული) — საკუთარი უღირსების შეგრძნებით ღვთის წინაშე თაყვანისცემა ან სინანულით შევრდომა (ორივე მუხლით დაჩოქება და შუბლით მიწაზე შეხება).

მეტაფრასი — 1) შესწორებული და შევსებული საეკლესიო ლიტერატურული ნაწარმოები, უპირატესად აგიოგრაფიული ჟანრისა. 2) ასეთი ნაწარმოების ავტორი.

მეუდაბნოე — უდაბნოში (ქვაბებში, სენაკში, უდაბურ მხარეში) დაყუდებული ბერი, მლოცველი, განდეგილი.

მეუფე — მღვდელმთავარი.

მდუღარება — ცხელი წყალი, რომელიც მართალთა ლიტურგიის დროს წმინდა ძღვნის კურთხევის შემდეგ ისხმება ბარძიმში და უერთდება ქრისტეს სისხლს. სიმბოლურად აღნიშნავს სულიწმიდას.

მირონი — 1) მცენარეული სურნელოვანი ზეთი, იხმარება ქრისტიანულ ეკლესიაში ნათლობის შემდეგ მირონცხების დროს, ტაძრისა და ტრაპეზის კურთხევისას, აგრეთვე მეფის კურთხევისას. გადმოცემის თანახმად, საქართველოში წმინდა მირონი გადმოდიოდა მცხეთაში იმ ხიდან, რომელიც იესო ქრისტეს მიწაში დაფლულ კვართზე იყო ამოსული. შემდგომში ამ ადგილზე სვეტიცხოველის ტაძარი აიგო. ამჟამად მირონს ამზადებენ 30-ზე მეტი სურნელოვანი ნივთიერებისგან (ზეითუნის ზეთი, თეთრი ღვინო, საკმეველი, სხვადასხვა ყვავილი, ვარდის ზეთი და სხვა). მირონი მზადდება ყველა დამოუკიდებელ ეკლესიაში, ეს არის ეკლესიის ავტოკეფალიის ერთ-ერთი ნიშანი. მირონის ხარშვა იწყება აღდგომის წინ, დიდ ოთხშაბათს და 3 დღეს გრძელდება. მირონს აკურთხებს პატრიარქი საპატრიარქო ტაძარში საზეიმო წირვის დროს. საქართველოში მირონს აკურთხებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი სვეტიცხოველის ტაძარში; 2) ხატებიდან და წმინდანთა უხრწნელი ნაწილებიდან მომდინარე, სასწაულებრივი ძალის მქონე სურნელოვანი ნივთიერება.

მირონცხება — ქრისტიანული სარწმუნოების ერთი შვიდ საიდუმლოთაგანი, ნათლობის შემდეგ სრულდება. მირონის ცხებისას ადამიანზე გადმოდის სულიწმიდა და ხდება მისი გაეკლესიურება, შემოდის ეკლესიის წიაღში.

მირქმა (მიკონება) იესო ქრისტესი — საეკლესიო დღესასწაული, მოსახსენიებლად შობიდან მე-40 დღეს იესო ქრისტეს ტაძრად მიყვანებისა, როგორც ამას სჯული ითვალისწინებდა, რომლის დროსაც ეკლესიაში მართალმა სვიმეონმა ხელში აიყვანა იესო და თქვა: „აწ განუტევე მონაჲ შენი მეუფეო, სიტყვისაებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვარებაჲ შენი“ (ლუკა 1, 29-30). მირქმას აღნიშნავენ 2(15) თებერვალს.

მიტრა (ბერძ. თავსაკრავი) — მღვდელმთავართა თაესაბურავი ღვთისმსახურების ჟამს. სიმბოლურად აღნიშნავს ეკლესიის გვირგვინს.

მიტროპოლიტი — ოლქის (ეპარქიის) ან პროვინციის მთავარი ქალაქის (მეტროპოლიის) მღვდელმთავარი. მიტროპოლიტის ხარისხი მიიღეს I მსოფლიო კრებაზე 325 წ. და ანტიოქიის კრებაზე 341 წ. საქართველოს ავტოკეფალურ ეკლესიაში მიტროპოლიტის ხარისხით დაჯილდოებული მღვდელმთავარი იერარქიულად ეპისკოპოსზე და მთავარეპისკოპოსზე მაღლა დგას.

მიძინება ღვთისმშობლისა — ერთი თორმეტთაგანი საუფლო დღესასწაული. ღვთისმშობელი მარიამი იესო ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ, მისი ანდერძის თანახმად, მოციქულ იოანე ღვთისმეტყველის სახლში

ცხოვრობდა. მთავარანგელოზმა გაბრიელმა ღვთისმშობელს სამი დღით ადრე აცნობა, რომ ის გარდაიცვლებოდა (მიიძინებდა). ამ დროისათვის, ღვთის ნებით იერუსალიმში შეიკრიბა ყველა მოციქული, თომას გარდა. ოთახი, სადაც ღვთისმშობელი ესვენა, უჩვეულო ნათელმა გააბრწყინა და მისი სული უფალმა თან წაიყვანა. აღინიშნება 15(28) აგვისტოს.

„მიწყალე" – 50-ე ფსალმუნი, რომელიც იკითხება ღვთისმსახურების სხვადასხვა შემთხვევაში და წარმოადგენს მონანიებას ადამისა და ადამის მოდგმის შეცოდებათა გამო.

მკრეხელობა – ეკლესიის სიწმინდეთა შეურაცხყოფა, ეკლესიის განძარცვა, ღვთისმგმობი და შეურაცხმყოფელი სიტყვა.

მნათე – სტიქაროსანი, რომელსაც ევალება ზეთის ჩასხმა კანდელში და ანთება, ნახშირის გაღვივება საცეცხლურებში, ზარების რეკვა და სხვადასხვა დამხმარე საქმიანობა საკურთხეველში.

მოთმინება – სათნოება, რომლის მეშვეობითაც მორწმუნემ უნდა გადაიტანოს ყოველგვარი გასაჭირი და უბედურება, რომელიც გარდაუვალია თითქმის ყველა ადამიანის ცხოვრებაში „ხოლო მოთმინებისა და ნუგეშის ღმერთმა მოგცეთ თქვენ ერთმანეთში ერთსულოვნება ქრისტე იესოს მიერ" (რომ. 15, 5).

მომაკვდინებელი ცოდვა – იხ. შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა და მათი წამალი – შვიდი სათნოება.

მონაზვნობა – იხ. ბერმონაზვნობა.

მონანიება – საიდუმლოება, რომლის დროსაც მორწმუნე თავისი მოძღვრის წინაშე ცოდვებს აღიარებს. ამ დროს ის ცოდვების მიტევებას იღებს თვით იესო ქრისტესაგან, რაც ხორციელდება მოძღვრის შუამავლობით.

მონასტერი – ბერ-მონაზონთა საცხოვრებელი, საკრებულო. არსებობს დედათა და მამათა მონასტერი.

მონოფიზიტები – მწვალებლური მიმდინარეობა, რომელიც აღიარებს ქრისტეს მხოლოდ ერთ ბუნებას – ღვთაებრივს. წარმოიშვა V საუკუნეში კონსტანტინეპოლში და ალექსანდრიაში. მონოფიზიტების წარმომადგენლები არიან სომხური, კოპტური და ეთიოპიური ეკლესიები.

მორჩილი – მონასტერში პირი, რომელიც ემზადება ბერ-მონაზვნობის მისაღებად. მათ არა აქვთ დადებული საბერმონაზვნო აღთქმები, არ განეკუთვნებიან სამონასტრო საძმოს, არ ატარებენ საბერმონაზვნო შესამოსელს, ისინი მორჩილად ასრულებენ მოძღვრის დავალებას.

მოსახსენებელი – სპეციალური წიგნაკი, რომელშიც ჩაწერილია მფლობელების ცოცხალ და გარდაცვლილ ნათესავთა სახელები. მოსახსენებელი საკურთხეველში შეიგზავნება სეფისკვერთან ერთად მწუხრზე ან წირვის დაწყებამდე.

მოციქულები – ღმერთის დესპანი, შუამავალი. ქრისტეს რჩეული მოწაფეები, მისი მუდმივი თანამგზავრები და ქრისტეს ამაღლების შემდეგ ქრისტიანობის გამავრცელებელნი, ცნობილია 12 უახლოესი მოციქული და 70 მოციქული. 12 მოციქულის სახელებია: პეტრე, ანდრია პირველწოდებული, იოანე, მათე, ფილიპე, ბართლომე, თომა, იაკობი ალფესის ძე, თედეოსი, სვიმონ კანანელი, იუდა ისკარიოტელი, რომელმაც იესო ქრისტე გასცა და შემდეგ თავი ჩამოიხრჩო. დანარჩენმა თერთმეტმა მის ნაცვლად კენჭისყრით აირჩია იესო ქრისტეს სამოცდაათ მოწაფეთაგან ერთი – მატათა. მოციქულები მოღვაწეობდნენ იერუსალიმში და მის ფარგლებს გარეთ. საქართველოში ანდრია პირველწოდებულმა, სვიმონ კანანელმა და მატათამ იქადაგეს. სვიმონ კანანელი საქართველოში ეწამა. დაკრძალულია ახალი ათონის მთაზე. ხოლო მატათა დაკრძალულია გონიოში.

მოციქულთა წესები – წარმოადგენს ეკლესიის უძველეს წეს-ჩვეულებათა და გადმოცემათა კრებულს, რომლებიც ასახავენ ეკლესიის ურთიერთობისა და ცხოვრების წესს და დასაბამს იღებენ მოციქულთა დროიდან. ამიტომ ისინი შემდგომში საფუძვლად დაედო საეკლესიო კანონმდებლობას. მართლმადიდებელ ეკლესიაში არსებობს 85 წესი; მე-4 საუკუნიდან დაწყებული მსოფლიო კრებები ამ წესებს იყენებდა საფუძვლიანად და გმობდა მათგან თვითნებურ განდგომას.

მოძღვარი – სასულიერო პირი. მღვდელი, ხუცესი, სულიერი მამა.

მოსხენება – იხ. აღაპი.

მოშიშარობა (ღვთის შიში) – არის ქრისტიანული სათნოება.

მრავალთავი – სხვადასხვა ხასიათის თხზულებათა კრებული.

მრევლი – ეკლესიურ ლიტურგიკულ ცხოვრებაში ჩართული მორწმუნე ერი. ქრისტიანები, რომელთაც არ აქვთ საეკლესიო წოდება და იმყოფებიან საეკლესიო იერარქიის ხელმძღვანელობის ქვეშ. მრევლის წარმომადგენლები მონაწილეობენ ადგილობრივ კრებებში და აქტიურ მონაწილეობას იღებენ საეკლესიო ცხოვრებაში.

მრუშობა – ცოლიანი კაცის ან გათხოვილი ქალის არა მეუღლესთან სქესობრივი კავშირი.

მრწამსი – ქრისტიანული რწმენის არსის გამომხატველი ლოცვა.

მსგეფსი – 1) „შვიდეულთა დღეთა სწორით სწორი" (საბა), ერთი კვირა-შვიდეული; 2) დროის მონაკვეთი, პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ოთხშაბათი და პარასკევი ხსნილია.

მსხვერპლი — მართლმადიდებელ ეკლესიაში სამკვიდრებულია უსისხლო მსხვერპლშეწირვის ტრადიცია, რომელსაც ეუქარისტიული მსხვერპლი ეწოდება; შეიწირება ღვინო და პური, რომელიც ლიტურგიის დროს გარდაიქმნება ქრისტეს სისხლად და ხორცად.

მტრედი — სულიწმინდის სიმბოლო, მტრედის სახით სულიწმინდა განცხადდა იესო ქრისტეს ნათლისღების ჟამს.

მღვდელი — ეკლესიის მსახურის წოდება. მღვდლის ხელდასხმა (კურთხევა) ხდება ეპისკოპოსის მიერ საღმრთო ლიტურგიის დროს. მართლმადიდებელ ეკლესიაში მღვდელს ევალება ქადაგების წარმოთქმა, წირვა-ლოცვა და რელიგიური წესების შესრულება. მღვდელს მხოლოდ ერთხელ ქორწინების უფლება აქვს.

მღვდლობა — ღვთისმსახურების შვიდ საიდუმლოთაგან ერთ-ერთი მთავარი. მღვდლად კურთხევის დროს, ეპისკოპოსი წარმოთქვამს განსაკუთრებულ ლოცვებს და თავზე ხელს ადებს მღვდლად საკურთხებელ ადამიანს.

მწირი — წმინდა ადგილთა მომლოცველი.

მწუხრი — მწუხრის ლოცვა დიდი და მცირე. იკითხება შებინდებისას, კვირადღეების წინა საღამოს, სადაც დღეებში — მცირე, დიდ დღესასწაულებზე — დიდი.

მწყემსი — მოძღვარი; მაცხოვრის ალეგორიული სახე.

მწყემსმთავარი — ეპისკოპოსი.

მხეცის რიცხვი — წმ. იოანეს გამოცხადებაში მხეცის ანუ ანტიქრისტეს ნიშანი „666“, რომლითაც დაინიშნება ყველა მისი მიმდევარი.

— ნ —

ნათელი კვირა (ბრწყინვალე შვიდეული) — 7 დღე აღდგომიდან კვირაცხოვლობამდე.

ნათლია, მიმრქმელი — მოწმე; თავმდები მოსანათლის რწმენაზე, რომელიც ვალდებულია ნათლულის ქრისტიანულ აღზრდაზე. ნათლიმამა — ნათლულის მამა. ნათლიდედა — ნათლულის დედა.

ნათლისღება — ერთ-ერთი უმთავრესი ქრისტიანული დღესასწაული, რომელსაც აღნიშნავს მართლმადიდებელი ეკლესია 6(19) იანვარს; ამ დღეს იოანე ნათლისმცემელმა მდინარეში მონათლა ძე ღვთისა იესო ქრისტე. წყლიდან ამოსულ იესოს სულიწმიდა მტრედის სახით დაადგა თავზე: „და გარდამოხდა მასზედ სულიწმიდა ხორციელი სახით, როგორც მტრედი და გაისმა ზეცით ხმა: შენ ხარ ძე ჩემი საყვარელი, რომელიც მოვიწონე მე“ (ლუკა 3, 22); ამ დროს ღმერთის სამი პირი განცხადდა წმ. სამებით, ამიტომ ნათლისღებას ღვთის განცხადებასაც უწოდებენ.

ნათლობა — ერთ-ერთი შვიდ საიდუმლოთაგანი, რითაც მორწმუნე პირველად ეზიარება ქრისტიანობას, განიწმინდება პირველქმნილი ცოდვისაგან, განერიდება ეშმას და ავ სულს, ნათლობით იწყება სულიერი ცხოვრება ქრისტიანისა. ესაა წყლით განბანვა და ხელახლა დაბადება. ნათლობა ხდება სულიწმიდის მადლით, მისი ძალით ხდება „განახლება ცოდვილი ადამიანის“, რომელიც წმ. ემბაზიდან პირველქმნილი შეცოდებისაგან განწმენდილ—გამართლებული გამოდის. საფუძვლად უდევს მაცხოვრის სიტყვები: „უკეთუ ვინმე არ იშვას წყლისაგან და სულისა, ვერ ხელეწიფების შესვლად სასუფეველსა ღმრთისასა“ (იოანე 3,5).

ნელსაცხებელი — სურნელოვანი ზეთი.

ნეოფიტი — რაიმე რელიგიის ახალი მიმდევარი, ახლად რჯულ-მიღებული.

ნეტარება (ცხონება) — (მათე 5, 1-12) წმ. წერილში სიტყვა ნეტარება გამოითქმის არა მარტო უფალი ღმერთის მიმართ, არამედ ანგელოზების, ღვთისმშობლის და სხვათა მიმართაც. საერთოდ, ნეტარნი არიან ისინი, ვინც იცავენ ღვთის მცნებებს და ღვთის მოშიშნი არიან. ქრისტიანისათვის სრულყოფილი ნეტარება დადგება მაშინ, როდესაც საბოლოოდ იქნება მოპოვებული გამარჯვება ჯოჯოხეთზე, ყოველგვარ ბოროტებაზე და სიკვდილზე.

ნიკეის საეკლესიო კრებები — 1) პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება. მოწვეულ იქნა ნიკეაში 325 წელს კონსტანტინე I დიდის საგანგებო ბრძანებით. კრების ძირითადი მიზანი იყო ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად აღიარება და ამასთან, უმთავრესი დოგმატურ-კანონიკური და იერარქიული ადმინისტრაციული საკითხების განხილვა. კრებამ დაგმო არიანელობა, შეიმუშავა სარწმუნოების სიმბოლოს ტექსტი, დაამტკიცა ამა თუ იმ ეკლესიის მთავარ წარმომადგენელთა იერარქიული ნორმები; 2) მე-7 მსოფლიო საეკლესიო კრება 787 წ. შედგა ნიკეაში. კრების მიზანი იყო ხატთაყვანისმცემლობის აღდგენა.

— ო —

ოდიკი (ანტიმინსი) — წმინდა ბარძიმი ქვესაფენელი ტრაპეზზე. ოთხკუთხა ქსოვილია, რომლის შუაგულში გამოსახულია მაცხოვრის დასაფლავება, ხოლო კუთხეებში — ოთხი მახარებელი. ქვეშ წარწერა აქვს, რომელმა ეპისკოპოსმა როდის და რომელი ეკლესიისათვის აკურთხა იგი. ოდიკის შუაგულში, უკულმა

პირიდან გამოკერებულია, რომელიმე მოწამის ნაწილი ნიშნად იმისა, რომ პირველი ქრისტიანები საფლავებზე ასრულებდნენ ზიარებას. ოდიკი შესვეულია ილტონში. ზოგიერთ შემთხვევაში ოდიკი ასრულებს ტრაპეზის მაგივრობას და მასზე სრულდება ლიტურგია.

ოთხთავი — იხ. სახარება.

ოლარი — მღვდლის შესამოსელი, გულზე ჩამოსაკიდი ორად შეკეცილი გინგილა. სიმბოლურად სამღვდელო მადლს ნიშნავს (იხ. გინგილა).

ომოფორი — ეპისკოპოსის გრძელი და ფართო ბაფთი, მხრებზე სატარებელი. სიმბოლურად აღნიშნავს გზააბნეულ კრავს, რომელიც მაცხოვარმა მოიძია, მხრებზე შეისვა და დაუბრუნა თავის სამწყსოს.

ორარი — იხ. გინგილა.

ორმოცი — 1) მეორმოცე დღეს ადამიანის გარდაცვალებიდან მისი სული წარსდგება პირად სამსჯავროზე. ამ დღეს წყდება, თუ სად იქნება მისი სული საყოველთაო აღდგომამდე. ამ პერიოდში მიცვალებულის ახლობლებმა განსაკუთრებულად უნდა ილოცონ მისთვის, გადაუხადონ პანაშვიდი, შეუკვეთონ წირვა მის სახელზე, გასცენ მოწყალება; 2) მეორმოცე დღეს ადამიანის დაბადებიდან ჩვილი პირველად მიიყვანება ტაძარში დედასთან ერთად, სადაც მღვდელი მათთვის კითხულობს სპეციალურ ლოცვას. დედისათვის იკითხება განწმენდის ლოცვა, რომლის შემდეგ მას შეუძლია მიიღოს წმინდა ზიარება, ხოლო ამის შემდეგ შეუძლიათ ბავშვი მონათლონ.

ოსანა — ღვთისა სადიდებელი შეძახილი, იუდეველთა მიმართვა სასულიერო პირისადმი, მიმართვა უფლისადმი.

ოქტოიხოსი (რვა ხმათა) — საეკლესიო საგალობელთა წიგნი, სადაც მსახურებები დალაგებულია ხმათა მიხედვით. ყოველი კვირის მსახურება ერთ ხმაში სრულდება.

ონითა (ტროპარი) — მოკლე საგალობელი, დღესასწაულის მნიშვნელობის ან წმინდანის ღვაწლის გამომხატველი, სადიდებელი ან სავედრებლად აღვლენილი. იგალობება პარაკლისის, მწუხრის, ცისკრის და წირვის დროს. იკითხება ჟამნობისას.

— პ —

პანაღია — ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც ეპისკოპოსი გულზე ატარებს.

პანაშვიდი (ბერძ. ღამის თევა) — საეკლესიო ლოცვა მიცვალებულთათვის; სრულდება გარდაცვალების მე-3, მე-9, მე-40 დღეს; აგრეთვე, დაბადების დღეს და გარდაცვალების წლისთავზე, ანგელოზის დღეს. პანაშვიდი არის დიდი და მცირე. დიდი პანაშვიდი შედგება 90-ე ფსალმუნისაგან და ძლისპირებისაგან თავისი ტროპარებით.

პარაკლისი — საეკლესიო მღვდელთმსახურება, სავედრებელი ან სამადლობელი ლოცვა, სრულდება მრევლისათვის. პარაკლისის მთავარ ნაწილს წარმოადგენს ტროპარი, ძლისპირები თავიანთი ტროპარებით, სახარება, კვერექსები, ბოლო სავედრებელი ლოცვა და სხვა. არსებობს სხვადასხვა პარაკლისი: უფლის, ღვთისმშობლის, წმინდანების, ახალი წლის, გვალვის დროს, ავადმყოფობის დროს და ა.შ. შეიძლება შესრულდეს ზეთის ცხებით და მცირე აიაზმასთან ერთად.

პარაკლიტონი — იხ. ოქტოიხოსი.

პარასკევი — იუდეველთა შაბათის შესახვედრად მოსამზადებელი დღე. იოანეს სახარების მიხედვით პარასკევს ეწოდება ქრისტეს „ჯვარცმის დღე“ — „პასექის პარასკევი იყო, იქნებოდა მეექვსე საათი“.

პარაფონტი — საკმეველის ჭურჭელი (საბა).

პასექი (ძვ. ებრ. — გამოსვლა) — 1) ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი; აღდგომის მომდევნო კვირა; 2) ებრაელი ხალხის დღესასწაული, დაკავშირებული ეგვიპტიდან გამოსვლასთან.

პასქალია — აღდგომის დღეთა ციკლი (წლები).

პატრიარქი (მამამთავარი) — ავტოკეფალიის მქონე მართლამდიდებელი ეკლესიის უმაღლესი სასულიერო პირის ტიტული და ამ ტიტულის მქონე პირი.

პატროლოგია — ღვთისმეტყველების ნაწილი, რომელიც სწავლობს ეკლესიის წმინდა მამათა თხზულებებს. ამ თხზულებათა კრებული.

პერანგი — ხატის ძვირფასი ლითონით შემკულობა.

პირველშეწირული წირვა (ლიტურგია) — ტარდება დიდმარხვაში ოთხშაბათ–პარასკევს და ვნების კვირის ორშაბათს, სამშაბათს და ოთხშაბათს. ასე იმიტომ ეწოდება, რომ წირვა ტარდება წინა კვირის წმ. ბასილი დიდის ლიტურგიის დროს წინასწარ შეწირულ ტარიგზე. ამ ლიტურგიას საბოლოო ფორმა მისცა გრიგოლ დიდმა დიოლოგოსმა. დამტკიცებულია ტრულის კრებაზე 692 წ.

პირჯვარი — ლოცვის გარეგანი გამოხატულება, პირჯვარი გამოიხატება სამი თითის: ცერის, საჩვენებლის და შუათითის მჭიდრო მიდებით (არათითი და ნეკი უკან იკეცება). ორი მიკეცილი თითი აღნიშნავს ქრისტეს ორ ბუნებას, სამი — სამებას. თითებს იდებენ შუბლზე, მერე მკერდს ქვემოთ, მარჯვენა და მარცხენა მხართან (გონების, გულისა და ძალის სიმბოლო).

პატირი — იხ. ბარძიმი.

პრესვიტერი — მღვდელი, ხუცესი.

პროზელიტი — სხვა სარწმუნოებიდან მოქცეული ახალ სარწმუნოებაზე.

პროზელიტიზმი — 1) მისწრაფება სხვების მიქცევისა თავის სარწმუნოებაზე; 2) მხურვალე ერთგულება ახლად მიღებული მოძღვრება-რწმენისა.

პროსკომიდია — კვეთა, ლიტურგიის პირველი ნაწილი, რომელშიც მღვდელთმსახურნი სამკვეთლოზე კვეთენ სეფისკვერს, ბარძიმში ასხამენ ღვინოს და წყალს. კვეთის დროს გამოიყენება ხუთი დიდი სეფისკვერი, ამათგან ერთ-ერთი-დან, რომელზედაც გამოსახულია ჯვარი, ამოიღება ტარიგი, ხოლო დანარჩენებიდან ნაწილები — ღვთისმშობლის, ზეციურ ძალთა, წმინდანთა, ცოცხლების და მიცვალებულების სახელზე. კვეთისას იკვეთება მორწმუნეების მიერ შეძენილი პატარა სეფისკვერი.

პროსფორა (პოსტია) — პატარა კვერი, სეფისკვერი.

პროტოიერეი — ქართ. დეკანოზი, ტაძრის უფროსი მოძღვარი; ეს საპატიო წოდება ენიჭება პირადი დამსახურებისათვის.

პროტოპრესვიტერი — საკათედრო ტაძრის წინამძღვარი. თეთრი სამღვდელოების უმაღლესი წოდება. საქართველოში პროტოპრესვიტერის წოდება მიღებულია სიონის საკათედრო ტაძარში.

— ჟ —

ჟამთა შედეგი — იხ. შედეგი.

ჟამნი, ჟამნაკონი — ჟამთა 9 ლოცვის წიგნი: შუაღამიანისა, I, III, VI, IX და სადილის ჟამნისა, ცისკრისა, მწუხრისა, სერობისა და სხვ. ღვთისმსახურების წიგნი.

ჟამნი ეკლესიისა — პირველ ქრისტიანებს ჩვეულებად ჰქონდათ განსაზღვრულ ჟამზე ანუ საათზე ელოცათ, ჟამებს კი ებრაულად ითვლიდნენ; მაგ.: მესამე ჟამზე (ჩვენებურად დილის მე-9 სთ.-ზე), მოსახსენებლად იმისა, რომ ამ დროს გადმოვიდა მოციქულებზე სულიწმიდა, მე-6-ზე (ჩვენებურად დღის მე-12 სთ.-ზე) მოსახსენებლად იმისა,რომ ამ დროს ჯვარს აცვეს მაცხოვარი, მე-9-ზე (ჩვენებურად დღის მე-3 სთ.-ზე) მოსახსენებლად იმისა, რომ მაცხოვარი ამ დროს მიიცვალა ჯვარზე. აქედან წარმოდგა ახლანდელი ჟამების, ანუ ჟამნების ლოცვა, რომელიც შედგება ფსალმუნებისა და სხვადასხვა ლოცვებისაგან.

ჟამნობა — 1) ჟამნაკონის კითხვა, ჟამნის თქმა; იკითხება: მწუხრისა, სერობისა, შუაღამისა, დიდი და მცირე ცისკრისა; 2) სამეუფო ჟამნები — კითხულობენ მგალობელნი და მეფსალმუნენი დიდ პარასკევს ცისკრის შემდეგ.

— რ —

რელიქვიები — მაცხოვრის, ღვთისმშობლის, წმინდანთა ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან დაკავშირებული საგნები ან სხეულის ნაწილები.

რენეგატი — ადამიანი, რომელმაც უღალატა თავისი წინაპრების რწმენას, მაგალითად ქრისტიანობიდან მაჰმადიანობაში გადასვლისას.

რიპიდი — ვერცხლის ან მოოქროვილ გრძელ სახელურზე დამაგრებული წრე, რომლის შიგნით მოთავსებულია ექვსფრთიანი სერაფიმის გამოსახულება. გამოიყენება მხოლოდ სამღვდელმთავრო მსახურებისას.

რიტუალი — სარწმუნოებრივი ხასიათის წეს-ჩვეულებათა ერთობლიობა.

როტონდა — მრგვალი ფორმის ტაძარი, რომელიც სიმბოლურად აღნიშნავს წრეს, რომელსაც არა აქვს დასასრული, ასევე ეკლესიის მიზანს, რომელიც გვამზადებს მარადიული ცხოვრებისათვის.

—ს —

საბაოთი — იუდაიზმში ღმერთის ერთ-ერთი ეპითეტი.

საბეჭური (პარამანი) — ბერ-მონაზვნის ჯვარი.

საბუსრეები — სამკლავე, სამაჯური.

საგალობელთა წიგნები (ბერძ. — პარაკლიტონი) — რვა ხმათა წიგნი, მარხვანი და ზატიკი, სადღესასწაულო წიგნები.

საგალობელი — გალობით შესასრულებელი სხვადასხვა ფორმისა და დანიშნულების ტექსტები. ძვ. ქართული საგალობლების ნაწილი თავმოყრილია მიქაელ მოდრეკილის „იადიგარში“ (978–988 წ.).

საგვერდული — მღვდლის სამკაული, ეძლევა ჯილდოდ, ნიშნად მისი წმინდად მსახურებისა (იხ. ენქერი).

სადიაკვნო — საკურთხეველის სამხრეთი ნაწილი, რომელშიც შედიან სამხრეთის კარებიდან და დიაკვნის გამგებლობის ქვეშაა, სადიაკვნოში ინახება საეკლესიო ჭურჭელი და სამღვდელოთა შესამოსელი.

სადღესასწაულო — საეკლესიო წიგნი, რომელშიც მოთავსებულია უმთავრესი დღესასწაულების საღვთო მსახურების წესები.

საეკლესიო მუსიკა — იხ. საგალობელი.

საეკლესიო სამართალი — ეკლესიის მიერ დადგენილი წესების სისტემა, რომელიც განსაზღვრავს ეკლესიის შინაგან სტრუქტურასა და საეკლესიო ორგანიზაციას, მორწმუნეებისა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობას.

საეკლესიო წიგნები — საღვთისმსახურო წიგნები, ესენია: სახარება, სამოციქულო წიგნი, ჟამნი, დავითნი, თვენი, მარხვანი, სადღესასწაულო, ზატიკი, კურთხევანი, კონდაკი და სხვა.

საეპისკოპოსო — იხ. ეპარქია.

საერონი — ეკლესიის წევრები, რომელთაც არ აქვთ საეკლესიო ხარისხი, მრევლი.

საგანე — უდაბნო, სამყოფელი, მონასტერი, ბერთა სადგომი, სალოცავი და თავშესაფარი.

საზვერე (სიბაჟო) — ადამიანის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც მისი სული იწყებს ზეცაში ასვლას მფარველი ანგელოზის წინამძღოლობით, მაშინ ბნელი სულები წარუდგენენ მას აღსარების საიდუმლოში მოუნანიებელ ცოდვებს. ყოველ ცოდვას თავისი დემონი ჰყავს მიჩნეული და შესაბამისი საზვერე, სადაც მოიკითხება ეს ჩადენილი ცოდვები: პირველი საზვერე — მოიკითხება ამაო მეტყველებით, მეორე — შეხედვით, მესამე — სმენით. მეოთხე — ყნოსვით, მეხუთე — ხელით ჩადენილი ყველა უკანონო და ბილწი საქმე, ხოლო შემდეგში მოიკითხება: მრისხანება, შური, სიძულვილი, სიამაყე, სიძვა და სხვა მომაკვდინებელი ცოდვები. საზვერეებზე დემონების გარდა იმყოფებიან ანგელოზებიც, რომლებიც წარმოადგენენ ადამიანების მიერ ჩადენილ კეთილ საქმეებს — თუ სიკეთემ გადასწონა ბოროტება, მაშინ ანგელოზები მიიღებენ გარდაცვლილის სულს და შეიყვანენ ცათა სასუფეველში, არადა სული გადაეცემა სატანჯველად დემონებს,

საზოგადო ღვთისმსახურება — ღვთისმსახურება, რომელიც სრულდება საზოგადოდ ყველა ქრისტიანისათვის; მაგ: წირვა, მწუხრი, ცისკარი და სხვა.

სათნოება — მოწყალება; ქრისტიანი, რომელიც ცოდვებს არ ჩადის, მაგრამ არ გააჩნია სათნოება, სასუფეველში ვერ მოხვდება. მისი სული არ ცხონდება.

საიდუმლოებანი (ეფეს. 6, 32) — დაფარული ღვთისმსახურება, რომლის შესრულების დროსაც ადამიანზე სულიწმიდის მადლით გადმოდის ღვთის მადლი; საიდუმლოებანი არის შვიდი: 1. ნათლისღება; 2. მირონცხება; 3. ზიარება; 4. სინანული; 5. ზეთის კურთხევა; 6. ქორწინება; 7. მღვდლობა.

საიდუმლო სერობა (იოანე 8, 2,4, 1 კორინთ. 11, 20) — უფლის მიერ ჯვარცმის წინა საღამოს იერუსალიმში ჩატარებული სერობა, სადაც მან დააწესა წმ. ზიარების საიდუმლო.

საიქო — სულის სამყოფელი ადამიანის გარდაცვალების შემდეგ.

საკმეველი — სურნელოვანი ფისი, რომელიც ძირითადად მიიღება საკმევლის ხის დასერილი ქერქისაგან; შეიცავს გუმფისს, ეთეროვან ზეთებს და სხვ. ეკლესიაში იხმარება საცეცხლურით კმევისათვის, სიმბოლურად ნიშნავს მლოცველთა ლოცვა-ვედრების ასვლას ცაში და იქიდან მადლის გადმოსვლას.

საკოსი — პირველად იყო პატრიარქთა და მიტროპოლიტთა, შემდგომში მღვდელმთავრის ზედა შესამოსელი, ფილონის შემცვლელი. სიმბოლურად მოგვაგონებს მაცხოვრის შესამოსელს (იოანე 9, 2,5). მართლმადიდებლობაში საკოსი მონანიების სიმბოლოა.

საკურთხეველი — ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილში ძირითადი სივრცისაგან გამოყოფილი, ამაღლებული ადგილი, სამსხვერპლო, რომელიც განკუთვნილია ადამიანის ღმერთთან შეხვედრის, მასთან დაახლოვების, ლოცვა-კურთხევის და წმინდა სერობისათვის. საკურთხეველში დგას მაგიდა (ტრაპეზი), სადაც სრულდება ღვინისა და პურის ქრისტეს სისხლად და ხორცად გარდაქმნის საიდუმლო წესი.

საკურთხი — შესაწირი მიცვალებულის სახელზე; საკურთხად ამზადებენ კოლიოს, პურს, ღვინოს, ზეთს და სხვ.

სალოსი — ღვთისათვის, ქრისტესათვის სულელი, ღვთის გლახა, ქადაგებენ სიმართლისათვის, ამხელენ საზოგადოების მანკიერ მხარეს, ზოგიერთი დაჯილდოებულია წინასწარმეტყველების მადლით, მათ შორის ბევრია წმინდანად შერაცხილი.

სამება — მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების უმთავრესი დოგმატი, რომლის მიხედვით ღმერთი ერთია თავისი არსებით, „სამგვაროვანია“ (სამპიროვანია) — მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმინდა. სამების წევრები თანასწორნი არიან. სამების დოგმატი შემუშავდა ნიკეის პირველ საეკლესიო კრებაზე (325 წ.) და კონსტანტინოპოლის პირველ საეკლესიო კრებაზე (381 წ.).

სამებისა — „კანონის“ ყოველი გალობის ბოლოს წინა მუხლი, რომელშიც უგალობენ მამას, ძეს და სულიწმინდას. მუხლის წინ ითქმის „დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა“.

სამი საღვთისმეტყველო სათნოება — 1. სარწმუნოება; 2. სასოება; 3. სიყვარული.

სამრონე — ჭურჭელი წმ. მირონისათვის, რომელიც დაბრძანებულია ტრაპეზზე.

სამკარედი — იხ. ტრიპტიქი.

სამკვეთლო — საკურთხევლის ჩრდილოეთის კედელზე მიდგმული, ფარჩებით შემოსილი მაგიდა; მასზე სრულდება კვეთა, ანუ პურისა და ღვინის შემზადება ზიარებისათვის. მასზე ასვენია წმ. ჭურჭელი და სხვა საგნები, რომლებიც საჭიროა ზიარების შესრულების დროს, ესენია: ბარძიმი, ფეშხუმი, ვარსკვლავი, ლახვარი, კოვზი და ღრუბელი. სიმბოლურად აღნიშნავს გოლგოთას.

სამკლაველები — სამღვდლო შესამოსელი, რომელიც გამოიყენება სტიქარის სახელოების მაჯებთან დასამაგრებლად. სიმბოლურად აღნიშნავს სარტყლებს, რომლითაც შებოჭეს მაცხოვარი მისი გასამართლების დროს.

სამოთხე — ნეტართა მარადიული სასუფეველი გარდაცვალების შემდეგ. სამოთხეში მოხვედრა ღვთის წყალობაა, მათთვის ვინც ერთგულად, უმწიკვლოდ და ღვთის მცნებების დაცვით გაატარა მიწიერი ცხოვრება.

სამოციქულო — საეკლესიო წიგნი, რომელშიც შესულია საქმე მოციქულთა, პავლეს 14 ეპისტოლე და 7 კათოლიკე ეპისტოლე. ამ წიგნს კითხულობენ ყოველ წირვაზე.

სამოძღვრებო წიგნები — ქრისტიანების მიერ მიღებული მოსეს და დავითის დროს ექვსი ბიბლიური წიგნი — მიღებულია, როგორც კანონიკური: იობის, იგავთა, ეკლესიასტე, ქება, იერემიას გოდება, ფსალმუნი (დავითნი).

სამრეკლო — შენობა ტაძრის ტერიტორიაზე ზარებისათვის, რომელსაც კოშკის ფორმა აქვს.

სამღვდელმთავრო არწივი — სამღვდელმთავრო წირვის ატრიბუტი, ძირს დასაფენი ოვალური ან მრგვალი ფორმის ნაჭერი, რომელზეც გამოსახულია არწივი და ქალაქი. ქალაქი განასახიერებს საეპისკოპოსოს, რომელსაც მართავს მღვდელმთავარი, ხოლო არწივი წმინდა და მართალ ღვთისმეტყველებას. წირვის დროს ეპისკოპოსი დგას ამ ქსოვილზე.

სამშვინველი — უტყვი სული; წმ. მამათა სწავლებით, ადამიანის არსი სამი ნაწილისაგან შედგება: სული, სამშვინველი და სხეული. სამშვინველი სხეულისაგან სუბსტანციურად (ბუნებით) განსხვავდება, ხოლო სული და სამშვინველი ერთმანეთისაგან განსხვავდება ფუნქციურად, ე.ი. თავისი მოქმედებით. მშვინვიერი ძალები ესაა ინტელექტი, ჩვენი გონება, რომლის მეშვეობითაც ლოგიკურად ვაზროვნებთ.

სამწმიდაო — წმიდა სამების საგალობელი: „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ“.

სანაწილე — ვერცხლის ან სხვა რომელიმე ლითონის ყუთი, რომელშიც ინახება წმ. ნაწილები; ამ ნაწილებით მღვდელი სხვადასხვა შემთხვევის დროს აზიარებს მომაკვდავს, ავადმყოფს. ამ ნაწილებს მღვდელი ამზადებს დიდ ხუთშაბათს და მთელი წლის მანძილზე იყენებს. სანაწილე წმ. ნაწილებით დაბრძანებულია ტრაპეზზე.

სანთელი — შესაწირავი; როგორც სანთელი ანათებს, ასევე ჩვენი სულიცა და გულიც ანთებული იყოს ღვთის წინაშე ლოცვით, ერთგულებითა და სიყვარულით (იხ. ცვილი).

სანოტე წიგნები — გალობისთვის განკუთვნილი საღვთისმსახურო წიგნები. სანოტე წიგნებს საფუძველი ჩაუყარა იოანე დამასკელმა (675-753), რომელმაც შემოიტანა ახალი საგალობლები, დაალაგა ისინი ნოტებზე, რომელთა მაგივრობას თავდაპირველად ანბანი ასრულებდა.

საპატრიარქო — პატრიარქის საგამგებლო.

სარტყელი — სამღვდელმთავრო და მღვდლის შესამოსელი, მოგრძო წერილი ბაფთით, რომელიც იცმევა სტიქარის ზემოდან. სიმბოლურად ორი მნიშვნელობა აქვს: 1) ნიშნავს ღვთისმსახურებისათვის მზადყოფნას და ამისთვის საჭირო ძალას; 2) აღნიშნავს იმ პირსახოცს, რომელიც გარშემოირტყა მაცხოვარმა, როდესაც მან ფეხები დაბანა თავის მოწაფეებს.

სასულიერო აკადემია — უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი, ამზადებს მღვდელმთავრებს და ღვთისმეტყველებს.

სასულიერო სემინარია — ეკლესიის საშუალო სასწავლებელი, ამზადებს მღვდლებს.

სასძლო — სძლად ქრისტესა, ითქმის უბიწონი სულნი ქალწულთანი.

სატრაპეზო — ქრისტიანული მონასტრის ერთ-ერთი ნაგებობა, შეიცავს საერთო ტრაპეზისათვის გამიზნულ დარბაზებსა და სამლოცველოს, აგრეთვე დამხმარე სათავსოებს.

საფარველი ღვთისმშობლისა — მართლმადიდებლობის ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაული. გადმოცემის თანახმად, 910 წ. ბერძნებსა და არაბებს შორის გამართული ბრძოლისას ბერძნებს ძლიერ გაუჭირდათ; დარაჯად მდგარ წმინდა ანდრია სალოსსა და მის მოწაფეს, ეპიფანეს მწუხრში გამოეცხადათ ღვთისმშობელი, რომელმაც ლოცვა-კურთხევით გადააფარა ქრისტიანებს წმინდა საფარველი, თან ძლევა და მშვიდობა უსურვა. გამხნევებულმა ბერძნებმა მტერი უკუაქციეს. ამ სასწაულით გამოიხატება, რომ ღვთისმშობელი ადამიანთა მფარველია. საფარველი (ომოფორი) იქცა ამ მფარველობის სიმბოლოდ. დღესასწაული აღინიშნება 1(14) ოქტომბერს (რუსეთში — „პოკროვ“).

საქორწილე ბეჭედი — ჯვრისწერის ატრიბუტი, რომლის დროსაც ორი ბეჭედი იდება ტრაპეზზე განსაწმენდად. სიძე-პატარძალს შორის ბერჭდების გაცვლა უჩვენებს მეუღლეთა შორის უფლებათა გაცვლას. ბეჭდის წრიული ფორმა აღნიშნავს მარადიულ ერთობას.

საქორწინე გვირგვინი — ქორწინების რიტუალის აუცილებელი კუთვნილება; სიმბოლურად აღნიშნავს გამარჯვებულის გვირგვინს, ქრისტიანის გამარჯვებას ცნებებზე (იხ. გვირგვინი).

საქორწინე სანთელი — გამოიყენება ჯვრისწერის დროს, რომელსაც ძველად ახლად დაქორწინებულებს

სასოუმალთან უდგამდნენ. სანთელი ახლად დაქორწინებულების სიყვარულისა და მათი ცხოვრების სიწმინდის სიმბოლოა.

საკვარი — საეპისკოპოსო ტაძარი; მასში უხილავად სუფევს იესო ქრისტე, როგორც მეფე და აქედან წარმოდგება მთელი ტაძრის სახელწოდებაც.

საყოველთაო ლოცვანი — იხ. ყოველდღიური ლოცვები.

საცეცხლური — საკმეველის ჭურჭელი.

საძვალე — საგანგებო სათავსი, ტაძრებისა და ეკლესიების იატაკქვეშ ან ცალკე მათთან ახლოს, სადაც კრძალავენ ეკლესიის მსახურთ, აგრეთვე, სამეფო გვარის წარმომადგენლებს.

საძმო — ბერთა ერთობლიობა.

საწინასწარმეტყველო — ღვთისმსახურების წიგნი, ღვთისმსახურების დროს საკითხავი წინასწარმეტყველება.

სახარება (ბერძ. ევანგელიე — ხარება, სასიხარულო ამბის უწყება) — ღვთის მიერ მოცემული და წმინდა მოციქულთა საშუალებით დაწერილი წიგნთა კრებული, სადაც ღვთის მიერი გამოცხადება ზუსტად და შეუცვლელად არის შენახული. ის შედგება ოთხი წიგნისაგან, რომლებიც შეიცავს ხარების, ქრისტეს შობის, ცხოვრების, ვნებებისა და აღდგომის ამბებს. არსებობს ოთხი კანონიკური სახარება — მათესაგან, მარკოზისაგან, ლუკასაგან და იოანესაგან. ოთხივეს ეწოდება ოთხთავი. სახარება შედგენილია I–II სს. მიჯნაზე.

სახარება საცისკრო — სახარება, რომელიც იკითხება ცისკარზე, სადაც მოთხრობილია იესო ქრისტეს აღდგომის ამბავი. წაკითხვის შემდეგ სახარებას გამოასვენებენ შუა ტაძარში, სადაც მორწმუნენი ეამბორებიან. ეს მოქმედება მოგვაგონებს მკვდრეთით აღდგომილი მაცხოვრის გამოცხადებას.

სეკულარიზაცია (ლათ. — საერო) — 1) საეკლესიო და სამონასტრო საკუთრების გადაქცევა სახელმწიფო საკუთრებად; 2) რისამე გადასვლა საეკლესიო სასულიერო გამგებლობიდან, საერო-სამოქალაქოში.

სენაკი — ცალკე ოთახი ბერის, მონაზვნის, განდეგილისათვის; „მცირე სახლაკი“.

სერაფიმები (ცეცხლოვანი, ღვთისადმი სიყვარულით აღმოდებული) — ერთ-ერთი წოდება ზეციური იერარქიიდან. ღმერთთან ყველაზე ახლოს მყოფი (ეს. 11, 26) არსებები. სერაფიმები გარშემორტყმულები არიან უფალს, ისინი ორი ფრთით იფარავენ სახეს, როგორც უღირსნი უფლის ცქერისა, ორით იფარავენ ფეხებს, რომ მათ არ უცქიროს ღმერთმა და ორით დაფრინავენ, რათა შეასრულონ მეუფის ყველა განკარგულება, თან განუწყვეტლივ გალობენ და ადიდებენ ღმერთს. ისინი ყველაზე უმაღლესი სულიერი არსებანი არიან და იერარქიაში პირველ ადგილს იკავებენ.

სეფისკერი (პროსფორა) — ზიარებისათვის განკუთვნილი ლიტურგიული პური. იგი უნდა იყოს ხორბლის ფქვილისაგან და აუცილებლად გაფუებული. მას აქვს ორად გაყოფილი ფორმა, ქრისტეს ორი ბუნების აღსანიშნავად, ზემოდან აქვს ბეჭედი ჯვრის ან ღვთისმშობლის გამოსახულებით. მღვდელი საზიარებლად იყენებს სეფისკერის შუაგულს, რომელსაც აწერია ქართულად „იესო ქრისტე ნიკე“ (იესო ქრისტე ძლევა), როცა მღვდელი ამ ნაწილს ამოიღებს და ფეშხუმზე დაასვენებს, მას უკვე ტარიგი ეწოდება (იხ. ტარიგი). სეფისკერიდან ასევე ამოიღება ნაწილები ღვთისმშობლის, ზეციურ ძალთა, წმინდანთა, პატრიარქის, სამღვდელოთა, ცოცხალთა და მიცვალებულთა სულების სახელზე. წირვის შემდეგ დარჩენილი სეფისკერი ურიგდება მორწმუნეებს (იხ. ევლოგია).

სიკვდილი — ორგვარია: სხეულებრივი და სულიერი; სხეულებრივი სიკვდილი მდგომარეობს იმაში, რომ სხეული კარგავს სულს, რომელიც აცოცხლებს მას, ხოლო სულიერი — როდესაც სულს ერთმევა ღვთის მადლი, რომელიც აცოცხლებდა მას. სული არ კვდება როგორც სხეული — ცოდვებისაგან დამძიმებული კარგავს სულიერ სიმშვიდეს, სიხარულს და ნეტარებას, რჩება სიბნელეში, მწუხარებაში და ტანჯვაში.

სიმბოლო (ნიშანი) — საგანი, მოქმედება და სხვა, რომელიც რაიმე მცნების იდეის პირობით ნიშანს წარმოადგენს.

სიმბოლო „სარწმუნოებისა“ — მართლმადიდებლური დოგმატების გადმოცემა; აღიარებს სამებას: მამა ღმერთს — სამყაროს შემქმნელს, ძე ღმერთს — კაცთათვის ჯვარცმულს და სულიწმიდას — მამისაგან გამომავალს.

სიმონია — საეკლესიო თანამდებობების ყიდვა–გაყიდვა.

სინანული — იხ. აღსარება.

სინას მთა — ქართული ღვთისმსახურების კერა საზღვარგარეთ, მდებარეობს არაბეთის ნახევარკუნძულის დასავლეთით, სინას ნახევარკუნძულის სამხრეთით. დაარსებულია მე-4 საუკუნეში; აქ მოღვაწეობდნენ: იოანე მინჩხი, იოანე ზოსიმე, იოანე კუმურდოელი და სხვ.

სინოდი (ბერძ. — კრება) — უმაღლესი საეკლესიო წოდების სათათბირო.

სიტე — სულის სიხარული — ქრისტე.

სიძვა — უცოლო კაცის ან გაუთხოვარი ქალის მიერ ჩადენილი სქესობრივი აქტი.

სიწმინდე — ყოველგვარი ცოდვისაგან და ვნებისაგან თავისუფლება.

სკიტი — განმარტოებული, ბერთა მყუდრო სავანე. სკიტის წესდება საერთო სამონასტრო წესდებისაგან განსხვავდება განსაკუთრებული სიმკაცრით.

სკრიპტორიუმი — ძველად მონასტერში გამოყოფილი ცალკე ოთახი ხელნაწერთა დასამზადებლად და გადასაწერად.

სკუფია — წვეტიანი, რბილი ქუდი, რომელსაც ატარებენ მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურნი; ეძლევა მღვდლებს ჯილდოს სახით.

სმირნა — ძვირფასი ნელსაცხებელი, რომელიც მარიამ მაგდალინელმა მაცხოვარს ფეხებზე სცხო.

სტავროპიგია (ბერძ. ჯვრის აღმართვა) — ეკლესია–მონასტრები, რომლებიც არ ექვემდებარებიან ადგილობრივი ეპისკოპოსის მმართველობას და ემორჩილებიან უშუალოდ პატრიარქს; სხვა მონასტრებისაგან და ეკლესიებისაგან გამოსარჩევად საკურთხევლის ან ტაძრის კარიბჭის წინ აღმართულია ჯვარი.

სტიქარი — სამღვდელოთა შესამოსელი, გრძელი, ფართესახელოებიანი პერანგი, თეთრი ფერის — ნიშნად სიწმინდისა.

სტიქრონი — რამდენიმე სტროფიანი საგალობელი, რომელიც ცისკრად და მწუხრზე იგალობება ფსალმუნისა და სხვა ბიბლიური ტექსტების შემდეგ.

სტიქაროსანი — იხ. მნათე.

სტიხოლოგია — დავითნის რომელიმე კანონის კითხვა.

სტოა — ტაძრის დასავლეთი ნაწილი, სადაც დგანან მოუნანიებელი ცოდვილნი და მოსანათლად გამზადებული კათაკმეველნი.

სუდარა — მიცვალებულთა შესახვევი ქსოვილი.

სულთაბრძოლის ლოცვა — ლოცვა, რომელიც იკითხება მღვდლის მიერ, სულთაბრძოლის დროს.

სულთმოფენობა — უდიდესი დღესასწაული, რომელიც აღინიშნება აღდგომიდან 50–ე დღეს (სულიწმიდის გარდამოსვლა მოციქულებზე). ითვლება ეკლესიის დაარსების დღედ.

სული — როდესაც ღმერთმა პირველად მიწისაგან შექმნა ადამიანი — ადამი, მან სიცოცხლის სუნთქვა, სული შთაბერა და ეს არსება გახდა სულიერი და უკვდავი; ადამიანის გარდაცვალების შემდეგ სული აგრძელებს არსებობას (იხ. უკვდავება სულისა).

სულიერ მოწყალებათა შვიდი საქმე — 1) ცოდვილთა მოქცევა; 2) უმეცართა სწავლება; 3) დაბრკოლებულთა განმართვა; 4) მწუხარეთა ნუგეშინისცემა; 5) უსამართლობის მოთმენა; 6) შემცოდეთა პატიება; 7) მოყვასის საცხოვნებლად ღვთისადმი ვედრება.

სულიწმიდა — ერთარსება სამების (მამა, ძე და სულიწმიდა) მესამე იპოსტასი ანუ პირი, რომელიც გამოდის მამა ღმერთისაგან, დამკვიდებულია ძეში და იგზავნება სამყაროში მამისაგან (იოანე 15, 20). სულიწმიდა არის ჭეშმარიტი ღმერთი, აქვს ერთი ბუნება ღმერთთან და გამოდის მისგან უწინარეს ყოველგვარი დროისა; სულიწმიდა თანაბარია მამა ღმერთისა და ძე ღმერთისა, ერთ არსია და თანაბარი.

სულიწმიდის ცხრა ნაყოფი — 1) სიყვარული; 2) სიხარული; 3) სიმშვიდე; 4) სულგრძელება; 5) სიტკბოება; 6) სიკეთე; 7) სარწმუნოება; 8) მყუდროება; 9) მოთმინება.

სულიწმიდის შვიდი ნიჭი — 1) შიში ღვთისა; 2) ღვთისმსახურება; 3) აღსარება; 4) ზრახვა; 5) მეცნიერება; 6) გულისხმიერება; 7) სიბრძნე.

სქემა (ბერძ. მონაზვნის ტანსაცმელი, სიტყვასიტყვით — გარეგნული სახე, ფორმა) — ბერ–მონაზვნის უმაღლესი ასკეტური ხარისხი მართლმადიდებელ ეკლესიაში. ამ ხარისხის მონაზვნები გამოირჩეოდნენ მკაცრი ასკეტიზმით. მონაზონთა დადებული აღთქმის მიხედვით არსებობდა დიდი და მცირე სქემა. შუა საუკუნეებში საქართველოში მონაზვნები ეწეოდნენ „დაყუდებით“ ცხოვრებას. ძველ ქართულ კანონიკურ ძეგლებში გვხვდება მონაზონთა „სქემით კურთხევის“ განწესებანი, რომელიც განსხვავებულია ჩვეულებრივი მონაზვნის კურთხევის წესისაგან.

სქემონაზონი — განსაკუთრებული ასკეტიზმით მცხოვრები, სქემაშემოსილი ბერ-მონაზონი.

სქიზმა — 1) მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიაში განხეთქილება; 2) ერთიანი ეკლესიისაგან რაიმე ნაწილის გამოყოფა.

სძლად — იწოდება ეკლესია.

სძლისპირი — საეკლესიო კანონის თითოეული გალობის I მუხლი (II და III მუხლები ტროპარებია) სამებისა, ღვთისმშობლისა. სრულდება დღესასწაულებზე, მწუხრის ლოცვაზე, სახარების კითხვის შემდეგ.

სხუანი — ცხრა გალობიანი საგალობელი, რომელიც მოსდევს ამავე დღესასწაულისადმი მიძღვნილ პირველ ცხრაგალობიან საგალობელს; „სხუანი“ შეიძლება იყოს ერთზე მეტი.

სჯულის კანონი — საეკლესიო კანონების კრებული, რომელიც აერთიანებს მსოფლიო საეკლესიო კრებების, გამორჩეული ადგილობრივი საეკლესიო კრებების, გამორჩეული ადგილობრივი საეკლესიო კრებების ეპისტოლეებიდან გამოკრებილ საეკლესიო კანონმდებლობას.

— ტ —

ტაბუკი ან ტაკუკი — მომცრო ღვინის ჭურჭელი.

ტალანტი (ნიჭი) — 1) საზარების მიხედვით ნიშნავს გონებას, სწავლას, სიმდიდრეს, კეთილშობილებას, თანამდებობას ანუ პატივს ე.ი. ყოველივე იმას, რასაც ღმერთი ადამიანს აძლევს ე.ი. 2) ძვ. ბერძნული წონითი და ფულადი საანგარიშო ერთეული.

ტარიგი (კრავი) — ოთხკუთხა ფორმის ნაწილი, რომელიც ამოიღება სეფისკვერის კვეთის დროს. ტარიგი ამოიღება დიდი სეფისკვერიდან, რომელზედაც გამოსახულია ჯვარი. ყველა ლიტურგიისათვის მზადდება მხოლოდ ერთი ტარიგი. იგი მოგვაგონებს იესო ქრისტეს, რომელმაც თავისი სისხლით დაიხსნა ადამიანი სულიერი სიკვდილისაგან. ლიტურგიის დროს, ტარიგი გარდაიქმნება მაცხოვრის სხეულად. ფეშხუმზე დასვენებულ ტარიგს მღვდელი ჯვარედინად გაჭრის ისე, რომ ერთი მეორეს არ დასცილდეს, იმის მოსახსენებლად, რომ იესო ქრისტე დაიკლა ჩვენი ცოდვებისათვის.

ტარტაროზი (ძვ. ბერძ. — ქვესკნელის უბნელესი ნაწილი, შავეთი, ცოდვილთა დასასჯელი ადგილი) — ქრისტიანულ წყაროებში: ჯოჯოხეთი, ეშმაკი.

ტაძარი — უფლის სახლი, საყდარი, სადაც სუფევს ღმერთი და ლოცულობს მორწმუნე. ტაძარი შედგება ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილი დიდი თუ მცირე შენობისაგან, რომლის ყოველ ნაწილს თავისი დანიშნულება აქვს. დიდი ყურადღება ექცევა მის ფორმას, გაფორმებას, შემკულობასა და მოხატვას. აქ იკრიბება მორწმუნე ერი, სრულდება 7 საიდუმლო და სხვა წესები. ტაძარს აქვს ძირითადად სამი ფორმა: მრგვალი (როტონდა), ჯვარედინი (ჯვარ-გუმბათოვანი), მოგრძო-ნავისებური (ბაზილიკა).

ტაძრად მიყვანება ღვთისმშობლისა — თორმეტთაგანი ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაული, ზეიმობენ 21 ნოემბერს (4 დეკემბერი). მართლმადიდებელი ეკლესია ამ დღეს აღნიშნავს მნიშვნელოვან მოვლენას, როცა მშობლებმა მარიამი ტაძარში მიიყვანეს აღსაზრდელად (სამი წლის); ეკლესია ამით აძლევს მაგალთს ყველა მშობელს თუ როგორ უნდა აღზარდოს პირმშო ადრეე ღვთის მოშიშად.

ტანტი — სავარძელი საკათედრო ტაძარში მღვდელმთავრისათვის.

ტიპიკონი — ღვთისმსახურების გარკვეული და სავალდებულო წესის შემცველი ლიტურგიკული წიგნი; ცნობილია ორი სახის წესი: ტიპიკონი სამრეველო და სამონასტრო. საქართველოში მოქმედებდა ორნაირი სამრეველო წესი: იერუსალიმის ანუ ქრისტეს საფლავისა და კონსტანტინოპოლის წმინდა სოფიოს ტაძრის, ანუ დიდი ეკლესიისა. სამონასტრო წესებიდან აღსანიშნავია სამი: საბა წმიდისა (პალესტინაში), სტუდიტეს მონასტრისა (კონსტანტინოპოლი) და ათანასე დიდის ლავრისა (ათონის მთაზე); ტიპიკონი მღვდელთმსახურთა წიგნისა, რომელიც შეიცავს ღვთისმსახურების შესრულების წესებსა და მითითებებს, უძრავ და მოძრავ დღესასწაულთა განლაგების შესახებ, ამას ემატება დისციპლინური წესები მონაზონთათვის და სხვა.

ტრაპეზი (ბერძ. — მაგიდა) — ქრისტიანული ეკლესიის საკურთხეველში მდგარი ფარჩებით შემოდილი მაგიდა, რომელზეც სრულდება მსხვერპლშეწირვის რიტუალი. ზოგჯერ ტრაპეზი იხმარება მთელი საკურთხევლის მნიშვნელობითაც, რომელსაც ასევე საყდარსაც უწოდებენ. ტრაპეზი ნაკურთხია და მირონცხებული. მასზე აუცილებლად ასვენია ჯვარი, ილიტონში გახვეული ოდიკი, სახარება და სანაწილე. ამათ გარდა, ტრაპეზზე უნდა ესვენოს სამირონე წმ. მირონით. ტრაპეზი დგას ერთ ან ოთც ბოძზე, ან კიდევ კიდობანზე. ერთი ბოძი აღნიშნავს ლერწმით გვემულ მაცხოვარს და იმ ლერწმის კვერთხს, რომლითაც ქრისტემ შემუსრა გველის (ბოროტის) თავი. ოთხი ბოძი აღნიშნავს ოთხ მახარებელს, მოციქულებს. კიდობანი წარმოადგენს ხის, ქვის, ვერცხლის და სხვა მასალისაგან ერთმანეთთან შეერთებულ კედლებს და მოგვაგონებს მოწამეთა საფლავს, რომელზედაც პირველი ტრაპეზები აღიმართებოდა.

ტრიკირი — სამსანთელა; გამოიყენება მღვდელმთავრის მსახურების დროს. სიმბოლურად აღნიშნავს სამებას.

ტრიპტიქი — სამად მოსაკეცი ხატი (ქართული სინონიმია — სამკარედი).

ტროპარი — ბიზანტიურ ღვთისმსახურებაში მოკლე საგალობლები, რომელთაც სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდათ. იგი შეესატყვისება ქართულ ღვთისმსახურებაში ხმარებულ „დასდებელს". ტერმინი ტროპარი ქართულში მე-18 საუკუნემდე არ გვხვდება. იგი, როგორც ჩანს, გვიან დამკვიდრდა რუსული საღვთისმსახურო წიგნების გავლენით. ტროპარი წმინდანთა სახელობის ლოცვაა (კონდაკთან ერთად), ამა თუ იმ წმინდანის მეხების თხოვნით, აგრეთვე, კანონის ზოგიერთი მუხლი, სტრიქონი.

— უ —

„უგალობდითსა" — საეკლესიო საგალობლის კანონის I გალობა, რომლის სახელწოდება აღებულია ბიბლიის „მოსეს გალობის" დასაწყისი სიტყვების მიხედვით: „უგალობდით უფალსა, რამეთუ დიდებით დიდებულ არს" (გამოსვლათა 6, 19).

უდაბნო — 1) უკაცრიელი ადგილი; 2) მონასტერი, სკიტი.

უკვდავება სულისა — მთელი ახალი აღთქმა სულის უკვდავების სწავლებითაა განმსჭვალული.

ქრისტიანობა იმ აზრზეა დაფუძნებული, რომ ჩვენ ღმერთი სიცოცხლის ღმერთია. ცოდვასთან ბრძოლაში მაცხოვარი სიმტკიცეს იმ რწმენით გვმატებს, რომ ხორცის წარმწყმედელს სულის მოკვლა არ შეუძლია (მათე 10, 28), მდიდრისა და ლაზარეს იგავით კი უჩვენებს, რომ გარდაცვალების შემდეგ მართალი ლაზარეს სული ნეტარებას განიცდის, ხოლო მდიდრის სული ცოცხალია, მაგრამ ტანჯვით დამძიმებული (ლუკა 16, 19-31); სული დამოუკიდებელი არსებაა, რომელიც არსებობის საიდუმლოს თავისივე თავში ატარებს. იგი ნივთიერი ბუნების ძალებზე და მატერიებზე აღმატებულია და მაშინ როცა მის ორგანიზმში ყოველივე იცვლება, თვითონ უცვლელი რჩება.

უნია — კათოლიკური და ზოგიერთი სქიზმაში მყოფი მართლმადიდებელი ეკლესიების გაერთიანება რომის პაპის მეთაურობით.

უსისხლო მსხვერპლი — ევქარისტიის საიდუმლო. იხ. ევქარისტია.

უსუპი — ნაკურთხი წყლის სასხურებელი, საპკურებელი.

უტევანი — მანძილის ერთეული, უდრის 125 ნაბიჯს.

უფლის დიდებით შესვლა იერუსალიმში — იხ. ბზობა.

— ფ —

ფანატიზმი — ავადმყოფური მისწრაფება ცხოვრებაში იმ დაუმტკიცებელი იდეების გატარებისა, რომელსაც ფანატიკოსი თვლის აბსოლუტურად სწორად. ყველაფერი, რაც ფანატიკოსის დოგმატებს არ ეთანხმება, მისთვის წარმოადგენს დანაშაულს, რომლის აღმოსაფხვრელადაც ის არ მოერიდება არანაირ ქმედებას. მართლმადიდებელი სარწმუნოება, სადაც ადამიანი რწმენას მთელი თავისი ნებითა და შეგნებით ეზიარება, გმობს ფანატიზმის ყოველგვარ გამოვლენას.

ფარლალიტი — ტაძრის დარაჯი.

ფერიცვალება — (ლუკა 9, 28-36, მარკ. 9, 2-12) მოციქულებთან სასუფეველზე საუბრის შემდეგ, იესომ თავისი მოწაფეებიდან აირჩია პეტრე, იაკობი, იოანე და წაიყვანა ისინი სალოცავად. ლოცვის დროს მოხდა ქრისტეს სასწაულებრივი ფერიცვალება, მოწაფეების წინაშე.

ფეშხუმი — დაბალფეხიანი თეფში, რომელიც იხმარება ღვთისმსახურების დროს ბარძიმთან ერთად. ფეშხუმზე აწყობენ ტარიგს — ნაკეთ სეფისკვერს. ფეშხუმს ძირფასი ლითონისაგან აკეთებენ, იგი სიმბოლურად აღნიშნავს ბაგას, სადაც ღვთისმშობელმა მაცხოვარი მიიწვია შობის შემდეგ და მაცხოვრის საფლავს.

ფეხთბანვა — წესი, დამყარებული სახარების ეპიზოდზე, როცა ქრისტემ თავის მოციქულებს ფეხი დაბანა. აღესრულება დიდ ხუთშაბათს, რომლის დროსაც მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავარი ბანს ფეხებს მასზე იერარქიულად დაბლა მდგომ მღვდელმსახურებს.

ფილიოკვეს დოგმატი — რომაულ კათოლიციზმში დოგმატი სულწმიდის გამომავლობის შესახებ. ამტკიცებენ, რომ სულიწმინდა ძე ღმერთისგანაც გამოდის.

ფილონი — მღვდლის ზემოდან, მკერდს დაბლა ჩამოსაცმელი სამოსი, რომელსაც არა აქვს არც სახელოები და არც წინა კალთა სიმბოლურად აღნიშნავს ანგელოზთა ფრთებს.

ფრესკა — ეკლესიაში, ტაძარში კედლის მოხატულობა.

ფსალმუნი — დავითნი, ძველი აღთქმის ერთ-ერთი წიგნი. ქართულად ფსალმუნი ეწოდება ამ წიგნში შეტანილ გარკვეულ საგალობლებსაც. ფსალმუნის ავტორია დავით მეფე–წინასწარმეტყველი.

ფსკვნილი — თოკისაგან მოქსოვილი კრიალოსანი, რომელზედაც კვანძები (ფსკვნილები) შესრულებული ლოცვის ან მეტანიის რაოდენობას აღნიშნავს (იხ. კრიალოსანი).

— ქ —

ქადაგება (ბერძ. — ჰომილია) — სამღვდელო პირის მიერ წარმოთქმული მოძღვრება. უძველესი დროიდან დღემდე ქადაგება წარმოადგენდა სარწმუნოების შეცნობის ძირითად საშუალებას. სახარების გავრცელების პირველივე პერიოდიდან ქადაგებს ითვლება წმიდა საქმედ. იგი გახდა აუცილებელი ყველა ღვთისმსახურისა და მოძღვრისათვის, რომლებიც მსახურობენ ეკლესიასა და მონასტრებში. გარკვეული პირის (მოწამის, მოღვაწის) მისამართით წარმოთქმულ ქადაგებას „შესხმა“ ეწოდება.

ქიროტონია — ხელდასხმა: ეპისკოპოსად, მღვდლად, დიაკვნად კურთხევის დროს.

ქორეპისკოპოსი (ბერძ. — მეთვალყურე, ზედამხედველი) — საეკლესიო ადმინისტრაციაში ქალაქის ეპისკოპოსის ხელქვეითი თანამდებობა. საქართველოში პატრიარქის თანაშემწე, აგრეთვე მთავარეპისკოპოსის თანაშემწე. უმრეელო ეპისკოპოსი.

ქრონიკონი — VI საუკუნეში ქრისტიანულ სამყაროში შემოღებული წელთაღრიცხვა. მისი ყოველი ციკლი („მოქცევა“) შეიცავს 532 წელს, რომელიც მზის (28 წ.) და მთვარის (19 წ.) ნამრავლითაა მიღებული. ყოველ ახალ მოქცევაში მეორდება მთვარის ასაკი, თვისა და კვირის თანმიმდევრობა. წელთაღრიცხვის

ქორონიკონის სისტემით სარგებლობის მიზანი პასექის მოძრავი დღესასწაულის წინასწარი გამოთვლაა და, ამდენად, მასში წლის დასაწყისად მარტია მიღებული. ქორონიკონი საქართველოში პირველად VIII ს. 80-იან წლებში გამოიყენეს. მისი მე-13 მოქცევის საწყისი თარიღი 781 წელია.

ქორწინება – ერთი შვიდ საიდუმლოთაგანი; ასრულებს მღვდელი ან ეპისკოპოსი. შედგება ორი ნაწილისაგან: დაწინდვა–დანიშვნისა (შესაულლებელ პირთა შორის ბეჭდების გაცვლა. ბეჭედი, როგორც წრე, მარადისობას გამოხატავს, მეუღლეთა თითებზე კი მათ მარადიულ ურთიერთობას ნიშნავს) და გვირგვინის კურთხევისაგან (თავზე გვირგვინის დადგმა გამოხატავს ვნებების დათრგუნვას, ჯილდოს იმისათვის, რომ მათ ქორწინებამდე კეთილსინდისიერად იცხოვრეს); ქორწინების საიდუმლოს დროს კითხულობენ ლიტურგიკულ ტექსტებს ფსალმუნთა წიგნიდან, სახარებიდან და სხვ. წარმოთქვამენ სპეციალურ ლოცვებს ან საუბრებს. ქორწინების საიდუმლოთი შეკრულ ცოლ-ქმრულ კავშირს განიხილავენ როგორც ქრისტეს სულიერ კავშირს ეკლესიასთან (ქრისტე – სიძე, ეკლესია – რძალი). მართლმადიდებელი ეკლესია რჯულიერ ქორწინებას ძალიან ძნელად აუქმებს (მაგ.: ცოლ-ქმრისაგან, რომელიმეს ღალატის შემთხვევაში და სხვ.).

ქრისტე იესო – ქრისტე ბერძნულად ნიშნავს ცხებულს, ებრაულად – მესიას. უფალი იესო ქრისტე მოევლინა ქვეყანას, რათა თავი შეეწირა ადამიანთა ცოდვების გამოსასყიდად – „არა ვაცთა და ზვარაკთა სისხლით, არამედ საკუთარი სისხლით შევიდა ერთხელ წმიდაში და მოგვიპოვა საუკუნო გამოსყიდვა“ (ებრ. 9, 12); „წმიდა ღვთისმშობლის მარიამის ძე, არის აღთქმული მესია, იგი მოევლინა ქვეყანას, წინასწარმეტყველების მიერ ნათქვამ დროს“ (დაბ. 19, 10) 25 დეკემბერს, ბეთლემში; ძველ აღთქმაში მრავალი დამადასტურებელი ფაქტია იმისა, რომ ის ნამდვილად აღთქმული მესია იყო. იესო ქრისტე არის თვითმყოფადი, მარადიული, ყველგანმყოფი და უცვლელი. იესო ქრისტე მეორე პირია წმიდა სამებისა, რომლის წინაშეც. ისევე როგორც მამისა და სულიწმიდისა, ქედს იხრის და ემორჩილება ყოველი არსება ცასა და მიწაზე. ჭეშმარიტი ღმერთი იესო ქრისტე არის აგრეთვე ჭეშმარიტი ადამიანიც, რომელიც სულიწმიდისა და ქალწულ მარიამის საშუალებით განკაცდა. განკაცდა – ნიშნავს, რომ ძე ღვთისამ მიიღო ხორციელი სახე ადამიანისა, ყველა მისი თვისება, გარდა ცოდვისა. „უცილობლად დიდია ღვთისმშობლის საიდუმლო: ღმერთი გამოჩნდა ხორცში, გამართლებულ იქნა სულში, დანახულ იქნა ანგელოზების მიერ, ნაქადაგებ იქნა წარმართებში, მიღებულ იქნა წუთისოფელში რწმენით და ამაღლდა დიდებაში“ (1 ტიმოთე 3, 16); წმ. მოციქული პავლე გვამცნობს: „ვინაიდან ერთია ღმერთი და ერთია ღმრთისა და კაცთა შორის შუამავალი კაცი – იესო ქრისტე“. ამგვარად, მასში გაერთიანებულია და განუყოფლად იმიყოფება ორი თვისება – ღვთაებრივი და ადამიანური, მაგრამ ამავე დროს, ის არის ერთი პირი – ღმერთკაცი. როგორც პირველი მღვდელმთავარი და შუამავალი, იესო ქრისტე გახდა ყველა ჩვენგანის ცოდვების მიმტევებელი (გამომსყიდველი). „რაკი ბავშვები სისხლისა და ხორცის მოზიარენი არიან, თავადაც ეზიარა მათ, რათა სიკვდილით გააქარწყლოს ის, ვისაც სიკვდილის ხელმწიფება აქვს, ესე იგი ეშმაკი, და გაათავისუფლოს ისინი, ვინც სიკვდილის შიშით მთელ სიცოცხლეს მონობაში იყო“ (ებრ. 2, 14-15). მისი უკვდავების ნათელი მაგალითია მისი ჯვარცმა, მკვდრეთით აღდგომა და ამაღლება. ქრისტეს ღვთაებრივ ძალაზე მეტყველებს მის მიერ ჩადენილი უამრავი დიდი სასწაული, რომელიც უხვადაა გადმოცემული წმ. სახარებაში; უზომოა უფლის სიყვარული ადამიანებისადმი, ყველა გაჭირვებულისა და სნეულისადმი. წმ. სახარებიდან ვგებულობთ, რომ მისი სწავლება ვრცელდება არა მარტო ერთ ერზე, არამედ დედამიწაზე მცხოვრებ ყველა ადამიანზე. მან მისცა კაცობრიობას ჭეშმარიტება, ასწავლა ღმერთთან მიმავალი გზა, მისცა მცნებები, რომელთა საშუალებითაც ყველა ადამიანს შეუძლია უკვდავჰყოს თავისი სული და მოხვდეს სასუფეველში.

ქრისტეშობა – იხ. შობა უფლისა იესო ქრისტესი.

ქრისტიანული დღესასწაულები – 12 უდიდესი დღესასწაული. მოძრავი: 1) ბზობა, ანუ დიდებით შესვლა იერუსალიმში იესო ქრისტესი; 2) ამაღლება იესო ქრისტესი; 3) სულთმოფენობა; უძრავი: 4) ნათლისღება, ანუ განცხადება უფლისა – 6(19) იანვარი; 5) მირქმა (მიგებება ყრმისა) – 2(15) თებერვალი; 6) ხარება – 25 მარტი (7 აპრილი); 7) ფერიცვალება – 6(19) აგვისტო; 8) მიძინება ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა – 15(28) აგვისტო; 9) შობა ღვთისმშობლისა – 8(21) სექტემბერი; 10) ჯვართამაღლება (მსოფლიო ამაღლება ჯვარისა) – 14(21) სექტემბერი; 11) ტაძრად მიყვანება მარიამისა – 21 ნოემბერი (4 დეკემბერი); 12) ხორციელად შობა უფლისა იესო ქრისტესი – 25 დეკემბერი (7 იანვარი). დიდი საეკლესიო დღესასწაულებია: 1) წინადაცვეთა უფლისა – 1(14) იანვარი; 2) იოანე ნათლისმცემლის შობა – 24 ივნისი (7 ივლისი); 3) პეტრე–პავლობა, მოციქულთა დღესასწაული – 29 ივნისი (12 ივლისი); 4) იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთა – 29 აგვისტო (11 სექტემბერი); 5) მცხეთობა (სვეტიცხოვლობა), საფარველი ღვთისმშობლისა – 1(14) ოქტომბერი.

ქტიტორი (ბერძ. – დამფუძნებელი, შემქმნელი) – პიროვნება, რომლის ხარჯითაც შენდება ან ხელახლა ირთვება ეკლესია. ქტიტორთა ასახვას საეკლესიო მხატვრობაში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს.

— ღ —

„ღმითგანსა“ — საეკლესიო საგალობლის (კანონის) მე-5 გალობა, რომლის სახელწოდება აღებულია ბიბილიური ისაიას გალობის დასაწყისი სიტყვის მიხედვით „ღმითგან აღიმსთობს სული ჩემი შენდამი, ღმერთო“ (ისაია 6, 9).

„ღაღადყავსა“ — საეკლესიო საგალობლის მე-6 გალობა, რომლის ქართული სახელწოდება აღებულია ბიბლიის იონას გალობის დასაწყისი სიტყვიდან: „ღაღადყავ ჭირსა შინა“ (იონა 2, 3).

ღვთის გლახა — იხ. სალოსი.

ღვთისმსახურება — წარმოადგენს განწესებულ რიგზე დაწყობილ ლოცვებს და საღვთო მოქმედებებს, რასაც მღვდელი ან ეპისკოპოსი ასრულებს ეკლესიაში ან მის გარეთ. ღვთისმსახურება არის საზოგადო და კერძო.

ღვთისმსახურების წიგნები — საეკლესიო წიგნები, რომელთა მიხედვით ხდება ღვთისმსახურება მართლმადიდებელ ეკლესიაში. მთავარი ასეთი წიგნებია: ტიპიკონი, წესდება, კონდაკი, პარაკლიტონი, თვენი (სვინაქსარი), ლოცვანი, კურთხევანი და სხვა.

„ღვთისმშობლისა“ — ყოველი გალობის ბოლო მუხლი (ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი გალობა), რომელსაც წინ უძღვის ფრაზა: „აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე“.

ღვთისმშობლის მიძინება — იხ. მიძინება.

ღრუბელი — გამოიყენება ლიტურღიაზე ბარძიმის განსაწმენდად. სიმბოლურად აღნიშნავს იმ ღრუბელს, რომელიც მხედარმა დაასველა ნაღველნარევ ძმარში და მიაწოდა ჯვარცმულ იესოს დასალევად.

— ყ —

ყველიერი — დიდმარხვის წინა კვირა, დიდმარხვისათვის მოსამზადებელი პერიოდი, რომელიც ხსნილია ყველით (რძის ნაწარმით, კვერცხით).

— შ —

შაჲ სამღვდელოება — ბერ-მონაზვნობაში მყოფი მღვდელი და დიაკონი.

შანდალი — სასანთლე, სანთლების რაოდენობის მიხედვით სხვადასხვა სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. მაგ.: ერთსანთლიანი აღნიშნავს იესო ქრისტეს ან იმ წმინდანს, ვის სახელზეც ანთია; ორიანი — იესო ქრისტეს ორბუნებოვნებას; სამიანი — წმიდა სამებას. შანდალი, რომელშიც სანთლები წრიულადაა განლაგებული მარადისობის სიმბოლოა.

შარავანდედი (ნიმბი) – 1) სხივი, შუქი, ბრწყინვალება; 2) სამეფო გვირგვინი მსგავსი სხივთა (საბა); 3) ნათელი, რომელიც თავს ადგია წმინდანებს.

„შედეგი“ (ჟამთა შედეგი) — ლოცვა; იკითხება ჟამნის ბოლოს.

შენდობის კვირა — დიდმარხვის წინა კვირა, როდესაც მორწმუნეები ერთმანეთს შენდობას თხოვენ და მიუტევებენ ურთიერთ შეცოდებებს.

შერაცხვა — მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ განსაკუთრებული ღვაწლის მქონე ადამიანების წმინდანად აღიარება.

შერისხვა — იხ. შეჩვენება.

შესამოსელი — სამღვდელო ტანისამოსი. ღვთისმსახურების დროს დიაკვანი იცვამს: სტიქარს, გინგილას და სამკლავებს. მღვდელი: სტიქარს, ოლარს, სამკლავებს, სარტყელს და ფილონს. ეპისკოპოსები: სტიქარს, ბისონს, ოლარს, ომფორს, ენქერს, მიტრას, პანაღიას და მანტიას. დამსახურებული მღვდლები დამატებით: საგვერდეს, სკუფიას ან კუნკულს, ენქერს და მიტრას. სამღვდელოთა ყოველდღიური შესამოსელია ანაფორა.

შესვლა — არსებობს დიდი და მცირე; იგივე გამოსვლა. იხ. გამოსვლა.

შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა და მათი წამალი — შვიდი სათნოება — 1. ამპარტავნება — სიმდაბლე; 2. ანგარება — მოწყალება; 3. სიძვა — უმანკოება; 4. მრისხანება — სიმდაბლე; 5. ნაყროვანება — მარხულობა; 6. შური — სიყვარული; 7. სასოწარკვეთილება — სასოება.

შვიდი საიდუმლო — იხ. საიდუმლოებანი.

შვიდსანთელა — შვიდლამპრიანი შანდალი, ტრაპეზის წინ აღმოსავლეთით.

შობა უფლისა იესო ქრისტესი — იმ საიდუმლოების შესახებ, რომ ქვეყანაზე უნდა მოვლენილიყო ძე ღვთისა, იცოდა ღვთის რჩეულმა ქალწულმა მარიამმა და იოანე ნათლისმცემლის მშობლებმა, რომელთაც ეს ეცნობათ სულიწმიდის მადლით. ღვთის ანგელოზი გამოეცხადა ქალწულ მარიამის დანიშნულს, საქმროს იოსებს და უთხრა: „იოსებ, ძეო დავითისა, ნუ გაშინებს შენი ცოლის, მარიამი მიღება, ვინაიდან ის, ვინც მასშია ჩასახული, სულიწმიდისაგან არის. ძეს შობს და დაარქმევ მას სახელად იესოს, ვინაიდან იგი იხსნის თავის ხალხს მათი ცოდვებისაგან“ (მათე 2, 20-21). ამის შემდეგ იოსები გახდა არა მარტო მარიამის ქალწულობის დამცველი, არამედ მონაწილე ისაიას წინასწარმეტყველებისა, რომლის თანახმად იგი გახდა

მომსწრე საიდუმლოსი, ქალწულისაგან ღვთის შობისა. იმ დღეებში კეისარ ავგუსტუსის ბრძანებით მიმდინარეობდა მოსახლეობის აღწერა. ვინაიდან იოსები დავითის მოდგმისა იყო, მას მოუწია დავითის ქალაქში ჩასაწერად ბეთლემში გაემგზავრება. „მათი იქ ყოფნისას შეუსრულდა მარიამს მშობიარობის დღეები და შვა ძე, თავისი პირმშო შეახვია და მიაწვინა იგი ბაგაში, ვინაიდან სასტუმროში ადგილი არ იყო მათთვის“ (ლუკა 2, 6-7). იმ მხარეში იყვნენ მწყემსები და დარაჯობდნენ თავიანთ ცხვრებს, როდესაც მათ გამოეცხადათ უფლის ანგელოზი, რომელმაც ახარა მათ იესო ქრისტეს დაბადების ამბავი: და უეცრად გაჩნდა ანგელოზთა დიდი ლაშქარი, ციდან აქებდნენ ღმერთს და ამბობდნენ: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ (ლუკა 2, 13-14). ამის შემდეგ მწყემსებმა მოინახულეს ყრმა იესო, ხოლო მერე გამოჩნდნენ მოგვები, რომელთაც ამცნეს ხალხს იესო ქრისტეს დაბადება.

შობა ღვთისმშობლისა – ერთ-ერთი 12-დან უდიდესი დღესასწაული, იესო ქრისტეს დედის წმ. ქალწულ მარიამის შობასთან დაკავშირებული. წარმომავლობით მარიამის მამა იოაკიმი იყო დავითის შთამომავალი, დედა კი – არონ მღვდელმთავრის შთამომავალი – ანა. მათი ასულის შობა იყო „სიხარული ყოველისა სოფლისა, რამეთუ მოგვმადლა კურთხევა და განაქარვა სიკვდილი და მოგვანიჭა ჩვენ ცხოვრება საუკუნო“ (ტროპარიდან). დღესასწაული აღინიშნება 8(21) სექტემბერს.

შტახხი – კეთილსურნელება.

– ჩ –

ჩილა – სანთლის გული ბამბის ნართი პატრუქისათვის.

ჩაჩილაკი – ჯოხი (მეტწილად თხილისა) ბურბუშელასნაირი ანათლებით, მორთული ტკბილეულობითა და ხილით (იხმარება საშობაო სამკაულად). სიმბოლურად აღნიშნავს წმ. ბასილი დიდის წვერს.

– ც –

ცელიბატი – ქრისტიან სასულიერო პირთა დაუქორწინებლობა. კათოლიკურ ეკლესიაში მღვდლობის აუცილებელი პირობაა.

ცვილი – ეკლესიის სწავლებით, როგორც ყველაზე სუფთა ნივთიერება – ნიშნავს მორწმუნეთა გულწრფელობას და სიწმინდეს. როგორც ნივთიერება, რომელზეც შეიძლება საგნების აღბეჭდვა, ნიშნავს ჯვრის ბეჭედს ნათლობისას და მირონცხებისას; როგორც რბილი და დრეკადი ნივთიერება აღნიშნავს მორწმუნის მორჩილებას და ცოდვების მონანიებისათვის მზადყოფნას, როგორც ნივთიერება, რომელიც უნდა დაიწვას, ნიშნავს მორწმუნის არსის განწმენდას ღვთიური ცეცხლით, როგორც მრავალი სახის ყვავილისაგან შეკრებილი, აღნიშნავს ყველა ქვეყნის ქრისტიანთა შესაწირს; როგორც კეთილსურნელოვანი ყვავილისაგან შეკრებილი ნიშნავს სულიწმიდის მადლს და, ბოლოს, ნივთიერება, რომელიც იწვის და იძლევა სინათლეს ნიშნავს ჩვენი სიყვარულისა და მშვიდობის სიძლიერეს. ამ თვისებათა გამო ცვილი საუკეთესო შესაწირია ღვთისადმი, მისგან III საუკუნიდან კეთდება სანთლები. ცვილის და ზეთის ქურდობა ისჯებოდა ეკლესიიდან განკვეთით.

ცისკარი (განთიადი) – ღვთისმსახურება, რომელიც სრულდება წირვამდე დილის 6-დან 9-მდე, ან წინა საღამოს, მწუხრის შემდეგ.

ცოდვა – ღვთის ნებისადმი დაუმორჩილებლობა, დანაშაული ღვთის ზნეობრივი კანონის მიმართ. ღვთისაგან მოცემული კანონის დარღვევა ორგვარია: აკეთო პირდაპირ კანონის საწინააღმდეგო ან არ შეასრულო კანონით მოცემული წესები.

ცოდვა მომაკვდინებელი – ცოდვა, რომელიც ადამიანს საუკუნო სიკვდილს და წარწყმედას უქადის: 1) ამპარტავნება; 2) ანგარება; 3) სიძვა; 4) შური; 5) გემოთმოყვარება; 6) მრისხანება; 7) სიზარმაცე.

ცხონება – სულის საუკუნო ნეტარება საიქიოში.

– ძ –

ძალნი – ანგელოზთა მეხუთე დასი. იხ. დასნი ანგელოზთა.

ძლისპირი (ძალი, ხმა, პირველი ხმა) – საგალობლის სტრიქონის პირველი სტროფი, რომელიც უჩვენებს მომდევნო სტროფების რიტმსა და მელოდიას. ქართულ ჰიმნოგრაფიულ ხელნაწერებში ძლისპირების დასაწყისებია მითითებული.

– წ –

წანდილი – იხ. კოლიო.

წარგზავნა – დღესასწაულის წარგზავნა. ნიშნავს რომელიმე საუფლო ან დიდი დღესასწაულის დამთავრებას. დღესასწაულიდან წარგზავნამდე იკითხება სადღესასწაულო საგალობელი, თვით წარგზავნის დღეს კი (ძირითადი დღესასწაულიდან მე-8 ან მე-9 დღეს) უკანასკნელად იკითხება საგალობელი და ამგვარი პატივით გაისტუმრება.

„წარდგომა“ — მცირე საგალობელი, რომელიც ყოველთვის უძღვის ცისკრის 9 გალობიან კანონს. მას საკუთარი მელოდია აქვს (ე. ი. თვითავაჯი) და ხშირად ემყარება „უფალო ღაღადყავის“ ტექსტს.

წარწყმედა — ადამიანისათვის მეორედ სიკვდილი, როდესაც ჩადენილი ცოდვების გამო სული ხვდება სამუდამო ჯოჯოხეთში.

წითელი პარასკევი — დიდი პარასკევი; დღე, როდესაც ჯვარს აცვეს იესო ქრისტე. ვნების შვიდეულის პარასკევი, ამ დღეს მართლმადიდებელ ეკლესიაში სრულდება განსაკუთრებული რიტუალი ქრისტეს ჯვარცმის სამახსოვროდ, რომლის დროსაც ტაძარში დაასვენებენ გარდამოხსნას, ჯვრიდან გარდამოხსნილი იესო ქრისტეს გამოსახულებას (იხ. გარდამოხსნა).

წინადაცვეთა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი — აღინიშნება 1(14) იანვარს, ნიშნად ყრმა იესოს დაბადებიდან მე-8 დღეს წინადაცვეთისა, როდესაც მას სახელად უწოდეს იესო, ე. ი. მხსნელი.

წინამძღვარი — მონასტრის ან ეკლესიის კრებულის უფროსი.

წინასწარმეტყველნი — განსაკუთრებული, მომავლის წინასწარმჭვრეტი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები. ეს ნიჭი ღვთის ნებით ეძლევათ განსაკუთრებული სიწმინდითა და ღვთისმოსავობით გამორჩეულ ადამიანებს. ძველ აღთქმაში არსებობს 4 დიდი და 12 მცირე წინასწარმეტყველი; მათი წიგნებიდან დიდებს ეკუთვნის: ესაია, იერემია, იეზეკიელი და დანიელი. მცირეებია: ოსია, იოილი, ამოსი, ავდია, იონა, მიქა, ნაუმი, ამბაკუმი, სოფონი, ავგია, ზაქარია და მალაქია. წინასწარმეტყველთა წიგნებს იესო ქრისტე აყენებდა მოსეს კანონების გვერდზე. ახალ აღთქმაში წინასწარმეტყველურ წიგნად ითვლება იოანეს გამოცხადება.

წირვა — იხ. ლიტურგია.

წმიდა ადგილები — იესო ქრისტეს ცხოვრებასთან დაკავშირებული ადგილები: პალესტინა — იწოდება წმ. მიწად, იერუსალიმი — წმ. ქალაქად; წმ. ადგილებია: გოლგოთა — იესო ქრისტეს ჯვარცმის ადგილი, უფლის საფლავი (იერუსალიმში), თაბორი (ფერიცვალების ადგილი), ბეთლემი (შობის ადგილი), მდ. იორდანე (ნათლისღების ადგილი), ნაზარეთი, სინას მთა (სადაც მოსეს ღმერთმა გადასცა ათი მცნება), წმ. ადგილებია, აგრეთვე, ქრისტეს მოციქულებისა და სხვა მოწამეთა მოღვაწეობის ადგილები. საქართველოში წმ. ადგილებია — ახალი ათონი (სადაც დაკრძალულია სვიმონ კანანელი), სვეტიცხოველი (სადაც დაფლულია კვართი უფლისა), თბილისის სიონი (აქ ინახება წმ. ნინოს ვაზის ჯვარი და თომა მოციქულის თავის ქალა) და სხვ.

წმიდა ზიარება (ევქარისტია) — იესო ქრისტეს მიერ დაწესებული უმთავრესი საიდუმლო — იესო ქრისტეს სისხლისა და ხორცის მიღება. ზიარებაზე დაიშვება ეკლესიის ყველა წევრი მარხვითა და სინანულით სათანადო მომზადების შემდეგ. ზიარებით ადამიანი ხდება ქრისტეს სხეულის ნაწილი.

წმიდა წერილი — ბიბლია.

წმიდა ჭურჭელი — 1) ჭურჭელი, რომელიც გამოიყენება ევქარისტიის საიდუმლოს დროს: ბარძიმი, ფეშხუმი, ვარსკვლავი, დაფარნები, ლახვარი, კოვზი, ღრუბელი, სამირონე და სანაწილე; მათთან შეხება არ შეუძლია ერის კაცს და დაბალი ჩინის საეკლესიო პირებს; 2) საერთო მნიშვნელობით ეს არის საეკლესიო ღვთისმსახურების დროს გამოყენებული ჭურჭელი და საგნები. მაგ.: საცეცხლური, ნაკურთხი წყლის ჭურჭელი და სხვ.

წმიდანები — ისტორიული პიროვნებები, რომლებიც ეკლესიამ აღიარა ღვთაებრივი ძალის მქონედ, ისინი არიან შუამავლები ადამიანებსა და ღმერთს შორის.

წუმწუბა — გოგირდის ცეცხლოვანი წვიმა, რომელიც მოუვლინა სოდომს ღმერთმა (საბა).

წყევლა — ღმერთის სახელით კაცის შეჩვენება, წყევლა ქრისტიანული ზნეობის საწინააღმდეგო და ყოველთა უსაშინლესი ცოდვაა.

წყლის კურთხევა — საეკლესიო ღვთისმსახურება, რომლის დროსაც იკურთხება წყალი (იხ. აიაზმა).

— ჭ —

ჭონა — ძველი ჩვეულება — აღდგომის წინა დღეს მისალოცად კარდაკარ დადიოდნენ და მღეროდნენ საგანგებო სიმღერას (ჭონას).

— ხ —

ხარება — ერთ-ერთი თორმეტთაგანი უდიდესი საუფლო ღღესასწაული, რომლის დროსაც მთავარანგელოზმა გაბრიელმა ქალწულ მარიამს ახარა მაცხოვრის უბიწო ჩასახვა. აღინიშნება 25 მარტს (7 აპრილს).

ხატი — ქრისტიანობაში იესო ქრისტეს, ღვთისმშობლის, მოციქულების ან წმინდანების ფერწერული და რელიეფური გამოსახულება. ხატი ის სარკმელია, რომლითაც მორწმუნე უკავშირდება ზეცას. იგი ღმერთთან ურთიერთობის გზას წარმოადგენს. პირველი ხატი შექმნილია მაცხოვრის მიწიერი ცხოვრების დროს; ტილოზე, რომელიც იესო ქრისტემ სახეზე მიიფარა, გამოსახულია მისი სახე. ამ ხატს მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატი ეწოდება, რომელიც ანტონ მარტყოფელმა საქართველოში ჩამოიტანა და ანჩისხატის ეკლესიაში დაასვენა. ამის გარდა ცნობილია ლუკა მახარებლის პირველდახატული ღვთისმშობლის ხატი;

მრავალი ხატი სასწაულთმოქმედია, ასეთებია: ივერიის ღვთისმშობლის ანუ „პორტაიტისა“, „სამხელიანი ღვთისმშობელი“ და სხვა.

ხატის მიწები – ხატის (ჯვრის) კუთვნილი მიწები, რომელზედაც დღესასწაულისთვის საჭირო მოსავალი მოჰყავდათ. ხატის მიწების ერთი ნაწილი, გადმოცემის თანახმად, ძველთაგანვე ხატის საკუთრებას შეადგენდა და მკვიდრი (უნჯი) მიწები ერქვა.

ხატმებრძოლეობა – ერესი, რომელიც მიმართული იყო ხატების თაყვანისცემის საწინააღმდეგოდ; წარმოიქმნა ბიზანტიაში VIII-IX საუკუნეებში.

ხატწერა – რელიგიური შინაარსისა და საკულტო დანიშნულების ფერწერა, რომელიც სრულდება მოძღვრის კურთხევით.

ხელდასხმა – იხ. ქიროტონია.

ხელმწოფებანი – ანგელოზთა მე-6 დასი (იხ. დასნი ანგელოზთა).

ხილვა – გამოცხადება.

ხმა – საგალობლის მელოდიის აღმნიშვნელი ტერმინი; არსებობს ოთხი ძირითადი (1-4) და ოთხი დამატებითი (5-8).

ხორუგვი – იხ. ბაირაღი.

– ჯ –

ჯვართამაღლება – მსოფლიო ამაღლება პატიოსნისა ცხოველსმყოფელისა ჯვარისა, ქრისტიანული დღესასწაული. აღინიშნება 14(27) სექტემბერს.

ჯვარი – ქრისტიანობის ერთი უმთავრესი სიწმინდე, ხსნის სიმბოლო. რომის იმპერიაში ხის ჯვარს იყენებდნენ, როგორც სამარცხვინო სიკვდილით დასასჯელ იარაღს. იესო ქრისტე ჯვარცმის შემდეგ ჯვრით ჩავიდა ჯოჯოხეთში, დათრგუნა სიკვდილის მეუფება და ისევ ზეცად აამაღლა პირველი ცოდვით დაცემულ ადამიანთა სულები. ქრისტიანებს ჯვრის ტარების უფლება ეძლევათ ნათლისღების შემდეგ. ქართულ ქრისტიანულ ეკლესიაში არსებობს წმ. ნინოს ვაზის ჯვარი ოდნავ დახრილი ფრთებით, რომელიც წმ. ნინომ ღვთისმშობლისაგან მიიღო საქართველოში გამომგზავრებისას. ჯვარი არის ცხოვრებისეული გაჭირვების, სიდუხჭირის და ჭირ-ვარამის ერთობლიობა, რომელიც ქრისტეს სახელით მოთმინებით უნდა გადაიტანოს მართლმადიდებელმა მცნებათა დაურღვევლად.

ჯოჯოხეთი – გარდაცვალების შემდეგ ცოდვილ სულთა ადგილსამყოფელი ოთხი სფერო: 1) გარეგანი – მამამთავართა დილეგი; 2) მას შიგნით მეორე სფერო – უნათლავთა ჩვილთა სამყოფი; 3) მესამე სფერო – სალხინებელი ჯოჯოხეთი; 4) მეოთხე სფერო – საუკუნო ჯოჯოხეთი გამოუხსნელი (ტარტაროზი, გეენია). (საბა)

– ჰ –

ჰიმნი – სახოტბო გალობა, ღვთაების სადიდებელი გალობა.

ჰიმნოგრაფია – სასულიერო პოეზიის დარგი, რომელიც მოიცავს ღვთისმსახურებაში გამოსაყენებელ საგალობლებს, ჰიმნებს.

წიგნიდან: „მწუხრისა და ცისკრის ლოცვათა და წირვის განმარტებანი“, თბ. 2003
შემდგენელი: მღვდელი აკაკი (მეგრელიშვილი)

გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტ რესურსები:

1. არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი), ხატი „დიდება საქართველოს საკათალიკოსო ეკლესიისა“, თბილისი 2006 წ., (ქართულ ენაზე).
2. ბარათაშვილი ე., გალახვარიძე ნ., არაბული კ., გრძელიშვილი ნ., „საქართველოს ეკონომიკა“ სახელმძღვანელო 2012.
3. ბარათაშვილი ე., თაკალნძე ლ., გრძელიშვილი ნ., „ბიზნესის ადმინისტრირება და კონკურენტუნარიანობა“, თბ. 2010.
4. ბარათაშვილი ე., გრძელიშვილი ნ., გალახვარიძე ნ., ნადარეიშვილი ნ. – „რეგიონული ეკონომიკა“ თბ. 2010.
5. ბარათაშვილი ე., გრძელიშვილი ნ., ზარანდია ჯ., გალახვარიძე ნ., – „რეგიონული ეკონომიკის დიაგნოსტიკა“, თბ. 2013.
6. ბირჟაკოვი მ. ტურიზმის თეორია (ქართული თარგმანი მ. მეტრეველისა). გამ. შპს. „ფოტონი“. თბილისი, 2004.
7. ბუბულაშვილი ე. „საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები“, თბ., 2006.
8. ბუბულაშვილი ე. „საქართველოს სამოციქულო ეკლესია“, თბილისი, საქართველო, 2008.
9. ბუბულაშვილი ე. „წმიდა ნინო – ქართველთა განმანათლებელი და მოციქულთა სწორი“ 2011.
10. გამსახურდია ზ, წერილები, ესსეები, 1991.
11. გამსახურდია ზ, საქართველოს სულიერი მისია, 1990.
12. გამსახურდია ზ, ეფხისტყაოსნის სახისმეტყველება, 1991.
13. გრძელიშვილი ნ. „რელიგიური ტურიზმი – როგორც ფაქტორი საქართველოს ინტეგრაციისა მსოფლიო და რეგიონულ ეკონომიკაში“, VII სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ მასალები, თბ., 2013, გვ. 41-48.
14. გრძელიშვილი ნ. „პილიგრიმული ტურიზმი – „წმინდა ანდრიას გზა“ – სულიერი, სოციალური, ეკონომიკური ასპექტები. ქრისტიანობა და ეკონომიკა IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული ქუთაისი, 2016 წლის 22-23 ოქტომბერი.
15. გრძელიშვილი ნ, – რელიგიური ტურიზმი – ინტეგრაციული პროცესების ხელშემწყობი ფაქტორი. სამეცნიერო ჟურნალი „სამართალი და ეკონომიკა“, №4. გვ. 90-99. თბ. 2013.
16. გრძელიშვილი ნ. „რელიგიის ფაქტორი აჭარის ტურისტული ბრენდის ფორმირების პროცესში“ ქრისტიანობა და ეკონომიკა VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. ბათუმი, 5-6 სექტემბერი. 2015.
17. გრძელიშვილი ნ. გრძელიშვილი რ., „ბრენდინგის როლი რეგიონის ტურისტული მიმზიდველობის ფორმირებაში“. საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია, საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი და რეცენზირებადი პრაქტიკული ჟურნალი „მოამბე“ №20,2014. გვ. 83-85.
18. გრძელიშვილი ნ. „რელიგიის ფაქტორი აჭარის ტურისტული ბრენდის ფორმირების პროცესში“ ქრისტიანობა და ეკონომიკა VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული. ბათუმი. 5-6 სექტემბერი. 2015.
19. გრძელიშვილი ნ. „აფხაზეთი-ქრისტიანობა და ეკონომიკა“, თბილისი, 2011.
20. გრძელიშვილი ნ. „აფხაზეთის ტურიზმის დღევანდელობა და პერსპექტივები“ სამეცნიერო ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“ №1, 155-165. თბ., 2013.
21. გრძელიშვილი ნ. რელიგიური ტურიზმი – როგორც ფაქტორი საქართველოს ინტეგრაციისა მსოფლიო და რეგიონულ ეკონომიკაში, VII სამეცნიერო კონფერენციის „ქრისტიანობა და ეკონომიკა“ მასალები, თბ., 2013.
22. გრძელიშვილი ნ. ტრანსსასაზღვრო რეგიონული ტურიზმის განვითარების პერსპექტივები საქართველოში. V საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ტურიზმი: ეკონომიკა და ბიზნესი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აჭარის არ. ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტი.ქ. ბათუმი, 5-6 ივლისი, 2014, გვ. 44-48.
23. დევაძე ა. გრძელიშვილი ნ. „ტურიზმი საქართველოში-არსებული მდგომარეობა, პრობლემები, პერსპექტივები“, თბ., 2012.
24. დიდებულიძე მ., „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა“, გვ. 2,3,7.
25. „ეთნოსები საქართველოში“ საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, თბილისი, 2008.
26. ენციკლოპედია, საქართველო, თბ., 1997.
27. ვასილევსკი ვ. გ., შრომები, ტ. II, 1909.
28. თარხნიშვილი მ, წერილები, 1984.
29. თვარაძე ა, გრაალის პრობლემა ვოლფრამ ფონ ეშემბახის მიხედვით, 2000
30. ალექსი იველეის 1650-1652 წწ. იმერეთის სამეფოში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა.
31. კალანდია გ. ოდიშის საეპისკოპოები (ცაიში, ბედია, მოქვი, ხობი), თბ., 2004.
32. კაკაბაძე ს, დიდგორის ომი, 1972.
33. კენჭოშვილი გ. „სიმბოლოები ქრისტიანულ ხელოვნებაში“. ლექსიკონი.
34. კვარაცხელია ნ. კულტურული ტურიზმი, თბილისი, 2004.
35. ჟურნ. „კრიტერიუმი“, №8, 2003 - რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.
36. კულტურის სტრატეგია 2025. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო 2016.
37. მაკალათია ს, ხევსურეთი, 1984.

38. მანველიძე რეზო. „ეკონომიკური გლობალიზაცია და რეგიონული ეკონომიკის განვითარების ტენდენციები“ ჟურნალი მეცნიერება და ცხოვრება № 1 (3), თბილისი 2011.
39. მეტრეველი მ. „რელიგიური ტურიზმისა და მომლოცველობის განვითარების ტენდენციები საქართველოში“ ქრისტიანობა და ეკონომიკა IX საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა კრებული (ქუთაისი, 2016 წლის 22-23 ოქტომბერი).
40. მეტრეველი ე. მასალები იერუსალემის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 1962.
41. მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენცია, გვ. 73.
42. ნუცუბიძე პ., გ. ჭანიშვილი, „დათუნას ეკლესია“, ძეგლის მეგობარი, №. 89, თბ., 1993 წელი.
43. პაპუაშვილი ნუგზარ, „მსოფლიო რელიგიები საქართველოში“.
44. პაპაშვილი მ. საქართველო-რომის ურთიერთობა, თბილისი, 1995.
45. „რელიგია და კულტურა სამხრეთ კავკასიაში“ ნინო ჩიქოვანი, თბილისი, 2006.
46. „რელიგიები საქართველოში“ საქ.სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა. რედაქტორი ზურაბ კინაძე. 2008. 440გვ.
47. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკა. თბილისი 2014.
48. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია „ანგარიში საქართველოს ტურისტული პოტენციალის კვლევის შესახებ“, 2005.
49. საქართველოს ტურიზმის სტრატეგია, 2025.
50. საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია – მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე.
51. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი საყოველთაო ეროვნული აღწერის ძირითადი შედეგები. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი. თბ., 2004.
52. სირაძე ქ. ქართული სარაინდო რომანი და „წმინდა მხედართა“ ტიპოლოგია. ავტორეფერატი, 1999).
53. მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, დედა ეკლესია-ქადაგებანი და წერილები, 1996.
54. მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე – წაკითხულ იქნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი ილია II-ის დაბადებიდან 80 და აღსაყდრებიდან 35 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი 2013 წლის იანვარი.
55. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. „ვებ და მობილურ ტექნოლოგიებში ინტეგრირებული ვირტუალური ტურისტული მარშრუტების გეოინფორმაციული სისტემა“ პროექტის ხელმძღვანელი – პროფესორი სერგო ცირამუა თბილისი – 2014.
56. საქართველოში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ჩარჩო-პროგრამა [ავტ. კოლ.: კახა დემეტრაშვილი. ვაჟა გურგენიძე, ზაზა ჩაგანავა და სხვ.]; საქ. მთავრობა, მსოფლიო ბანკი, საქ. კომუნიკაციების ეროვნ. კომისია, გაეროს განვითარების პროგრამა. საგამომცემლო ცნობები, თბ., 2004.
57. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრი – ანდრია პირველწოდებულის ნაკვალევზე, 2009.
58. საქართველოს კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“.
59. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია. სახელმძღვანელო შემომყვანი ტურიზმის ბიზნესის დასაგეგმად. მეორე გამოცემა.
60. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკა თბილისი 2014.
61. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული პოლიტიკა, 2014 გვ. 5-6.
62. ტურიზმის რეგულირება პრიორიტეტული დარგის მოძველებული კანონმდებლობა 2017, ბათუმი.
63. ნიკიფორე ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1650-1652 წწ., რუსული ტექსტი ქართული თარგმანით და ხელნაწერების მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა იასე ცინცაძემ, თბ., 1970.
64. უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, მეცნიერების, განათლების, კულტურის და ხელოვნების შესახებ (1977 - 2004 წ.წ.) თბილისი, გამომცემლობა „გეოკარია“, 2004.
65. ფერაძე გ, უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, 1995.
66. ფილდენი ბერნარ მ., იოკილეტო ოუკა, მსოფლიო მემკვიდრეობის ღირსშესანიშნავი ადგილების მართვის სახელმძღვანელო პრინციპები, თბილისი, 2007.
67. ფირცხალაიშვილი რ, კვლავ რუსთველის ბიოგრაფიის პრობლემების გარშემო, 1991.
68. ქალდანი ა., „ქართული წარმომაელობის ქრისტიანული ძეგლები ინგუშეთში“, ჟურნალი „ძეგლის მეგობარი“, №78-79, 1997-1988წწ.
69. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
70. ქართლის ცხოვრება I, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. სახელგამი, თბ., 1955.
71. ქალაქ თბილისში მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სამების საკათედრო ტაძრის არქიტექტურულ-დაგეგმარებითი გადაწყვეტის ღია კონკურსის მასალები [შედგენილია საქ. კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით] - თბ., 1989 - 30 გვ.; 19სმ. - : უფ., 150ც.
72. გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“ № 1(52), 2000 წ.
73. ქათამაძე დ., ქათამაძე გ., საერთაშორისო ტურიზმი, ბათუმი, 2013.
74. ქალდანი ა., „ქართული წარმომაელობის ქრისტიანული ძეგლები ინგუშეთში“,№.62, ძეგლის მეგობარი თბ., 1987 წელი.

75. ყაუხჩიშვილი ს., გეორგიკა, ტ. IV, თბ. 1952.; გუჯეჯიანი რ., ქართული ქრისტიანული კულტურის ძეგლები ბალყარეთსა და ყარაჩაიში, კავკასიის ეთნოლოგიური კრებული, ტ. X, თბ. 2007.
76. შატბერდის კრებული, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ., 1979.
77. ჩვენი სამება: თბილისის წმიდა სამების ეკლესია / იბეჭდება... კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით - თბ., 2002, გვ. 20; 20სმ.
78. ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) თბილისი 2017.
79. ხობის მონასტერი და მისი ისტორიული წყარო, შედგენილი და გამოცემული მღვდელ-მონაზონ კალისტრატეს მიერ, ახალ-სენაკი, 1894.
80. „ხობის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების მონასტერი", შემდგენელები ანზორ სიჭინავა, გრიგოლ ჩიტაია.
81. ედიშერ ჭელიძე „ჯვარი ვაზისა" 1-2, 2015 წ.
82. ჟურნალი „ფორბსი" - „ტურიზმი, როგორც სიღარიბის დაძლევის მექანიზმი საქართველოში" ნატო ჩაკვეტაძე 20 მაისი, 2015.
83. მღვდელი პლატონ ხუროშვილი, სვეტიცხოვლის ტაძარი, გაზეთი „ივერია", 1898. №36.
84. „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი", ტომი II, თბილისი, 1997 წ.
85. ივ.ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, 1962, ტ.III-IV, ტაბულები).
86. მ. ჯანაშვილი, „შესანიშნავი ნაშთი", ივერია, 1895 წ., № 132.
87. Addison, Charles. History of The Knights Templars, London, 1967.
88. Arceo Peon A.M. New modes of experiencing pilgrimage: devotional tourism in Yucatan, Mexico: dis... doctor of philosophy. Florid. 2009. P.259
89. Apostol M.S. The pilgrimage at Santiago of Compostela between tradition and modernity - a statistical approach // Quality - Access to Success.2013. № 14 (SUPPL.2).P.326-329;
90. Alle Elbers, Legal and institutional framework in the Netherlands for preservation of the historic built environment, 2013.
91. Ansell, C. Gash A.Tourism Governance and Regulation: Emmanuel Akwasi Adu-Ampong, (2008) 'Collaborative Governance in Theory and Practice', Journal of Public Administration Research and Theory.
92. Di Giovine M.A. Pilgrimage: Communitas and contestation, unity and difference - An introduction // Tourism. 2011 № 59 (3). P. 247-269.
93. Iacobus de Vitriaco, Historia Ierosolymitana seu Orientalis, c.LXXXIX (De sandoli, Itinera, III.
94. Finney R. Z. a., Orwig R.A.b., Spake D.F.a Lotus-eaters, pilgrims, seekers, and accidental tourists: How different travelers consume the sacred and the profane // Services Marketing Quarterly.2009. № 30 (2). P. 148-173.
95. Grdzelishvili Nodar - „Religious tourism as the most important factor in settlement and resolution of conflicts (Georgia – Abkhazia)„ "OIKONOMOS: Journal of Social Market Economy" is a scientific journal. (8) p.(79-85), 2017, Republic of Lithuania.;
96. Jokilehto J. Definition of cultural heritage, ICCROM, 2005.
97. Jung, C.G. Psychology and Transference. In The Practice of Psychotherapy. – Collected Works, 12. London, 1954).
98. Hosseini R.S.a b, Zainal A.a Religious tourism: Shiite shrine a powerful tool for regional development for Mashhad City, Iran // Current Issues in Hospitality and Tourism Research and Innovations: Proceedings of the International Hospitality and Tourism Conference (IHTC). 2012. P. 561-565.
99. Nara Conference on Authenticity/ Conference de Nara sur l'Authenticite, Japan/ 1994, Proceedings/Compte-rendu, UNESCO, ICCROM, ICOMOS, Agency for Cultural Affairs, Japan, 1995, XXI-XXV.
100. Cirlot E. A Dictionary of Symbols, London, 1973.
101. Collins-Kreiner Noga Geographers and pilgrimages: changing concepts in pilgrimage tourism research // Economische en Sociale Geografie. 2010. Vol. 101. №. 4, P. 437-448.
102. Kimberlyn Leary, James K. Sebenius, Joshua Weiss „Negotiating the Path of Abraham~, Harvard Business School. Draft v3.9, December 21, 2009.
103. Leonard Cottrell, Wonders of Antiquity, London, 1980.
104. MacCallum N., Baert T., Rosato P., „Sustainable tourism and local development in apulia region", Italy 2010.
105. Marion Melville, La Vie Des Templars, Paris, 1982.
106. Motivational Factors of International Tourists to Penang, Malaysia'', International Journal of Hospitality & Tourism Administration, Vol. 16. ISSN: 1525-6480.
107. Tadeja Jere Jakulin, Alan Clarke - Systems (Holistic) Approach to Religious Tourism - International Journal of Religious Tourism and Pilgrimage Volume 5 | Issue 3 Article 4 2017.
108. Searcy S. Tourism, pilgrimage and development in Bodhgaya, Bihar, India: Thes.... degree master of arts / East Carolina University. 2012. 76 p. 129.
109. Raj R. Religious tourist's motivation for visiting religious sites // International Journal of Tourism Policy.2012.№4(2).
110. Ramsey D., „The Role of the State in Tourism Product Development and Promotion in Manitoba". Brandon University, Canada 2010.

111. Rajesh R., „Impact of Tourist Perceptions, Destination Image And Tourist Satisfaction on Destination Loyalty: A Conceptual Model", PASOS. Revista de Turismo y Patrimonio Cultural, vol. 11, N° 3, ISSN 1695-7121
112. Yousefi M., Marzuki A., „An Analysis of Push and Pull. Motivational Factors of Internacional Tourists to Penang,Malasia" Internacional Journal of Hospitality & Tourism Administration, Vol. 16 ISSN:1525-6480.
113. Александрова А. Ю. Новейшее представление о сфере туризма как системе // Современные проблемы сервиса и туризма. 2014. Т. 8 № 1. С.24-38.
114. Александрова, А. Ю. Международный туризм: учеб. пособие / А.Ю. Александрова. - М.: Кнорусь, 2016. - 470 с.
115. Алятина А. Г. Особенности религиозного туризма // Интеллект. Инновации. Инвестиции. 2012. № 5-2(22). С.62-65.
116. Бабкин А.В., „Специальные виды туризма" учебное пособие, Ростов-на-Дону:Феникс, 2008.-252 с.
117. Божук Т. И. Методические аспекты определения оценки сакральных объектов для нужд туризма // Вестник Львовского государственного института новейших технологий и управления имени Вячеслава Чорновила. Серия «Экономические науки», 2008. Вып. 3. С. 260–272.
118. Бабкин А.В. Специальные виды туризма Ростов-на-Дону 2008.
119. Бессараб Д.А., Штефан Л.В. География международного туризма: пособ. для студентов вузов. В 2 ч. Ч. 2. География видов туризма. 2-е изд., испр. Минск: ТетраСистемс, 2013. 224 с.
120. Воронкова Л.П., История туризма и гостеприимства. М., 2004.
121. География туризма Текст: учебник / кол. авторов; под ред. А. Ю. Александровой. М.: КНОРУС, 2008. -592с.
122. Житенев С.Ю. Религиозное паломничество: межкультурные коммуникации и цивилизационный контекст / Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата культурологии. – Москва, 2010. –27с.
123. Зеленова Е.В. Модель организации православного паломничества // Туризм: право и экономика. 2013. № 1 (44). С. 7-10.
124. История туризма: Сборник / Составители Макаренко С.Н., Саак А.Э.– Таганрог: Изд-во ТРТУ, 2003. 94 с.
125. Жданов Н.С. Паломнический туризм - за и против. - Турист. 2013г. №6 - с. 23.
126. Житенев С.Ю. Религиозное паломничество: межкультурные коммуникации и цивилизационный контекст, Диссертация на соискание ученой степени кандидата культурологи. М., 2011.
127. Кузнецов В., христианство на северном кавказе до XV в, вл. 2002.
128. Лабутова Т., Ежегодник Большой советской энциклопедии. выпуск 34. стр. 007—011, Москва 1990.
129. Мезенцев К., Когатько Ю. Методы исследования географии религии: целесообразность использования, систематизация, потенциал картографического и центрографичного методов // Вестник Киевского национального университета имени Тараса Шевченко. М.: Издательско-полиграфический центр «Киевский университет», 2009. Вып. 56. С. 30–36.
130. Монтень М. „Опыты" (книга вторая). М.-СПб., 2006.
131. Патийчук В. Территориальная организация религиозной сферы административной области (на при-мере Волынской области): дис. кандидата географических наук 11.00.02. Луцк: Волынский государственный университет имени Леси Украинский, 1998. 202 с.
132. Шаповал, Г. Ф. История туризма Беларуси / Г. Ф. Шаповал.– Минск: РИВШ, 2006.–166 с.
133. Шевчук Л. Т. Социальная география: учебное пособие. М.: Знание, 2007.
134. Сущенко Е.Н. Туризм как сфера реализации досуговых ценностей в современном российском обществе: автореф. дис. ... канд. социол. наук. Ставрополь, 2006. 21 с.
135. Христов Т.Т. Религиозный туризм. Учебное пособие, Издательство: Academia, 2009. – 288 с.
136. Якунин В.Н. Значение религиозного туризма для популяризации историко-культурного наследия // Вектор науки Тольят. гос. ун-та. 2013. № 1(23). С. 282-283.

ინტერნეტ რესურსები:

137. http://abrahampath.org/. (ბოლო ნახვა 04.02.2018);
138. http://www.ambioni.ge/jixetis-dedata-monasteri (ბოლო ნახვა 12.02.2018);
139. http://www.ambioni.ge/dirbis-midgomili- rvtismsobeli (ბოლო ნახვა 02.03.2018);
140. http://www.ambioni.ge/wacxuroba (ბოლო ნახვა 16.01.2018);
141. www.ambioni.ge/samecniero-seminari-eklesia-da-kultura (ბოლო ნახვა 01.02.2018);
142. http://www.ambioni.ge/ratom-ewoda-saqartvelos-yovladwmida-rvtismsoblis-wilxvedri-qveyana (ბოლო ნახვა 22.01.2018);
143. http://ajaraheritage.ge/ge/museums/gonio-afsarosis-arqeologiur-arqiteqturuli-muzeum-nakrdzali/1 (ბოლო ნახვა 24.02.2018);
144. http://www.ambioni.ge/ra-mnisvneloba-aqvs-wmida-eklesiis-arsebobas (ბოლო ნახვა 15.03.2018);
145. http://batumelebi.netgazeti.ge/news/81661/(ბოლო ნახვა15.03.2018);
146. http://www.georoyal.ge/?id=2074 (ბოლო ნახვა 14.03.2018);
147. http://new.tbilisi.gov.ge/news/ 477 (ბოლო ნახვა 11.03.2018);
148. https://www.caminosantiagodecompostela.com/ (ბოლო ნახვა 23.03.2018);
149. https://www.caminoadventures.com/ (ბოლო ნახვა 18.03.2018);
150. https://www.linkedin.com/pulse/e-tourismgeorgian-version-natia-ikoshvili. ikoSvili n., E-Tourism (Georgian version), 21 ianvari, 2016. (ბოლო ნახვა 02.03.2018);
151. http://patriarchate.ge/geo/eklesia/istoria-movlenebi/istoriuli-religiebi-saqartveloshi/ avtori mariam cacanaSvili (ბოლო ნახვა 21.01.2018);
152. http://www.culture.si/en/Register_of_Slovene_cultural_heritage_-_rkd.situla.org (ბოლო ნახვა 05.02.2018);
153. https://www.e-unwto.org/doi/book/10.18111/9789284412792. (ბოლო ნახვა 12.03.2018);
154. http://forbes.ge/news/2714/turizmis-efeqti (ბოლო ნახვა 17.02.2018);
155. http://karibche.ambebi.ge/skhvadaskhva/namdvili-ambebi/261-ushvilo-qarthvelni-kurnebas-ghmerthsa-da-mis-tsmindanebs-sthkhovdnen.html (ბოლო ნახვა 19.01.2018);
156. http://kvemokartli.gov.ge/sights/51 (ბოლო ნახვა 08.03.2018);
157. http://www.kul.ee/en/activities/heritage-conservation (ბოლო ნახვა 19.03.2018);
158. http://kharagauli.gov.ge/%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98_%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A8%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98 (ბოლო ნახვა 23.02.2018);
159. http://karibche.ambebi.ge/qristianuli-ckhovreba/rogor-vickhovroth/3002-gnebavs-ganikurno.html (ბოლო ნახვა 10.02.2018);
160. http://karibche.ambebi.ge/eklesia/sitsmindeebi/3369-sitsmindetha-thayvaniscema.html (ბოლო ნახვა 19.01.2018);
161. http://karibche.ambebi.ge/skhvadaskhva/chemi-sofeli/6534-tao-klarjethi.html (ბოლო ნახვა 19.01.2018);
162. http://meufeanania.info/andria/ (ბოლო ნახვა 25.03.2018);
163. http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=424:2011-09-16-10-53-21&catid=47:2010-03-11-12-05-46&Itemid=67&lang=en (ბოლო ნახვა 08.03.2018);
164. https://www.mshoblebi.ge/dedebis-saloni/akhali-ambebi/625-ushvilotha-tsyaro-mckhethashi-qalebi-dghesac-dadian-iq-mosalocad.html (ბოლო ნახვა 07.03.2018);
165. http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/%E1%83%A5%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90 (ბოლო ნახვა 09.03.2018);
166. http://www.orthodoxtheology.ge/tamplierebi/ (ბოლო ნახვა 02.03.2018);
167. http://www.orthodoxy.ge/eklesiebi/kakhtubani/kakhtubani.htm (ბოლო ნახვა 01.03.2018);
168. http://forbes.ge/blog/87/turizmi%2C-rogorc-siRaribis-daZlevis-meqanizmi-saqarTveloSi (ბოლო ნახვა 09.03.2018);
169. http://www.orthodoxy.ge/eklesiebi/tao/tao.htm (ბოლო ნახვა 18.02.2018);
170. http://patriarchate.ge/saqartvelos-samociqulo-martlmadidebeli-eklesiis-eparqiebi/ (ბოლო ნახვა 02.03.2018);
171. http://unesco.ge/?page_id=510; (ბოლო ნახვა 23.02.2018);
172. http://www.orthodoxy.ge/sakhli/7saidumlo.htm (ბოლო ნახვა 05.02.2018);
173. http://patriarchate.ge/geo/eklesia/istoria-movlenebi/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%99/ (ბოლო ნახვა 05.12.2017);
174. https://www.touristisrael.com/abraham-path/12898/ (ბოლო ნახვა 20.12.2017);
175. http://patriarchate.ge/geo/sazghvargaretis-qartuli-samonastro-centrebi/ (ბოლო ნახვა 18.12.2017);
176. http://patriarchate.ge/geo/katolikos-patriarqis-qadageba-ninoobis-dghesaswaulze01/ (ბოლო ნახვა 07.12.2017);
178. http://patriarchate.ge/geo/katolikosebi-da-patriarqebi/ (ბოლო ნახვა 17.01.2018)http://patriarchate.ge/geo/mcxeta-meore-ierusalimi/ (ბოლო ნახვა 09.12.2017);

179. http://patriarchate.ge/geo/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%AE%E1%83%9D%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A1/ (ბოლო ნახვა 07.12.2017);
180. http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=424:2011-09-16-10-53-21&catid=47:2010-03-11-12-05-46&Itemid=67&lang=en (ბოლო ნახვა 24.01.2018);
181. http://istmat.info/files/uploads/17594/naselenie_sssr._po_dannym_vsesoyuznoy_perepisi_naseleniya_1989g.pdf (ბოლო ნახვა 03.02.2018);
182. http://old.gobatumi.com/ge/feelit/about-batumi/sightseeing?product=95 (ბოლო ნახვა 05.04.2018);
183. http://orthodoxy.wanex.net/tsnobarebi/tadzrebi/sameba_elia.htm (ბოლო ნახვა 17.03.2018);
184. http://www.orthodoxy.ge/patriarqi/qadagebebi/skhva/adamiani.htm (ბოლო ნახვა 24.02.2018);
185. http://ruisurbnisi.do.am/news/kvatakhevis_ghvtismshobeli_ushviloebs_k'urnavs/2012-11-14-110 (ბოლო ნახვა 19.02.2018);
186. http://www.ambioni.ge/sarkis-wminda-giorgis-monasteri; (ბოლო ნახვა 14.02.2018);
187. http://gtu.ge/Science/research/pdf/64s.ciramua_shida_grantebi_2013_2014.pdf (ბოლო ნახვა 12.02.2018); veb da mobilur teqnologiebSi integrirebuli virtualuri turistuli marSrutebis geoinformaciuli sistema - profesori sergo ciramua.
188. http://travelgis.ge/ka/about-us; (ბოლო ნახვა 17.02.2018);
189. http://taoklarjeti.com/index.php/taoklarjeti; (ბოლო ნახვა 14.03.2018);
190. http://www.orthodoxy.ge/eklesiebi/tao/tao.htm; (ბოლო ნახვა 12.03.2018);
191. http://www.orthodoxy.ge/eklesiebi/hereti/hereti.htm; (ბოლო ნახვა 13.03.2018);
192. http://www.orthodoxy.ge/eklesiebi/hereti/hereti.htm; (ბოლო ნახვა 13.03.2018);
193. http://www.ambioni.ge/sazrvrebs-mirma-darcenili-saqartvelo; (ბოლო ნახვა 251.01.2018);
194. http://www.dzeglebi.ge; (ბოლო ნახვა 28.01.2018);
195. http://saunje.ge/index.php?id=976&lang=ka; (ბოლო ნახვა 26.02.2018);
196. http://saunje.ge/index.php?id=1139&lang=ru; (ბოლო ნახვა 114.02.2018);
197. http://www.ambioni.ge/uploads/Qartvelebi-Cminda-Micaze.pdf; (ბოლო ნახვა 15.03.2018);
198. http://karibche.ambebi.ge/eklesia/sitsmindeebi/6302-sinas-mtha.html; (ბოლო ნახვა 17.02.2018);
199. http://karibche.ambebi.ge/eklesia/sitsmindeebi/1626-sinas-mtha-qarthuli-sulierebis-kera-uckhoethshi.html; (ბოლო ნახვა 25.02.2018);
200. http://edutime.ge/?p=874; (ბოლო ნახვა 19.02.2018
201. http://www.orthodoxy.ge/eklesiebi/kviprosi/kviprosi.htm; (ბოლო ნახვა 18.03.2018);
202. http://geomanuscript.ge/?page=shavi-mta; (ბოლო ნახვა 22.03.2018);
203. http://patriarchate.ge/geo/petriwonis-savane-bulgaretshi/; (ბოლო ნახვა 21.02.2018);
204. http://georoyal.ge/?m=1000&id=308; (ბოლო ნახვა 23.02.2018);
205. https://www.tsu.ge/science/?leng=ge&cat=jurnal&jnomeri=7&tid=3; (ბოლო ნახვა 25.03.2018);
206. http://www.orthodoxy.ge/tveni/ivnisi/13-antimoz.htm; (ბოლო ნახვა 26.02.2018);

დაიბეჭდა სტამბაში „კენტავრი“

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი
0102, თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. № 40